ᲣᲘᲐᲠᲐᲚᲝ

(კონდრატე თათარიშვილი)

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲝᲠ ტᲝᲛᲐᲓ



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲣᲘᲐᲠᲐᲚᲝ

ᲛᲐᲥᲘᲔᲑᲔᲚᲜᲘ

რომანი

ᲤᲠᲐᲜᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ



1 9 თბილისი 5

ტომი შეადგინა და შენიშვნები დაურთო

სოლომონ ცაიშვილმა

*

რედაქტორი
გრიგოლ ჩიქოვანი



ᲗᲐᲥᲘᲖᲔᲚᲜᲘ

რომანი



ნაწილი პირველი

I

გლეხი ნიკოია თოხიტარია

სოფელი ჭყონონა მდებარეობს სამეგრელოს ერთ მიყრუებულ კუთხეში. მიყრუებულია იმიტომ, რომ გზატკეცილი და რკინიგზა ახლო არ უვლის. ძველად კი ეს სოფელი მიყრუებული როდი ყოფილა, რასაც ამტკიცებს დახავსებული ნანგრევი, რომელიც შუა სოფელში დგას თავ-შაქარივით წოწოლა ციცაბოიან გორაკზე და ჯერ კიდევ შენახული მაღალი კოშკებით ამაყად დაჰყურებს გორაკის დაბლა გაშლილ მდინარე ჭანისწყლის ვიწრო, მაგრამ გრძელ ჭალებს. დროთა ვითარებისა გამო ბევრგან გამონგრეული ციხის კბილებიანი კედლები მწვანე სუროთი სქლად არის დაბურული და შორიდან მშვენიერი საყურებელია.

ჭყონონა მეგრულად მუხნარსა ჰქვია და გასაკვირველია, ამ სოფელს რად დარქმევია ეს სახელი?! ამ დროებით თითქმის ერთი ძირი მუხა რა არი, არ მოიძებნება ჭყონონაში.

ამნაირად მუხნარში მუხა არა დგას, სამაგიეროდ სახნავ-სათესი მიწა საკმაოდ არის და ისიც როგორი მიწა; ჭალა, რომელსაც მდინარის ტალღა უხვად რწყავს, ადიდების დროს ნაპირიდან გადადის და ნიადაგს აპოხიერებს, რაც გინდა გვალვა დადგეს. ეს კურთხეული მიწის ნაჭერი მშრომელს ერთი ოცად და ერთი ორმოცად მაინც აჯილდოვებს.

ჭყონონას აღმოსავლეთის მხრივ უძევს ეს ჭალა, რომელს შუაგულ ათასფერად დაკლაკნილი და პატარ-პატარა ტოტებად დაყოფილი მოზრდილი მდ. ჭანისწყალი მოშხუის. ჭალის დასავლე-

თით იწყება ბორცვები, სადაც მომეტებულად მცხოვრებლები სახლობენ. ერთ ამ ბორცვთაგანზეა გაშენებული ზემოხსენებული ციხე. ვინ იცის, რამდენი უმართლო სისხლის თხევა ყოფილა ამ ციხის გარემოზედ და რამდენი სულისკვეთების, ოხვრის და მდუღარე ცრემლის მოწმენი არიან მაღალი კოშკის ცივი ქვები! ახლა კი მინდვრის თაგვები და ღამურებია იქ გამეფებული და მათი გულსაკლავი, ერთფეროვანი წრიპინი მოუბრუნებლად დაკარგული დროის მოთქმა-გოდებაა.

დაბლა, მდინარის პირად, ჭალაში, გაშენებულია ერთი ოთხთვალა წისქვილი. კარგა ხანია, რაც ეს წისქვილი გაშენდა, თუმცა მოჭსვენარი მდინარე რიგზე არ უგზავნის წყალსა. თითქმის ყოველ გაზაფხულის წყალდიდობაზე წისქვილის სათავეს გააფუჭებს ხოლმე, ჩიხილს გახეთქს, ან თხრილს ამოსილავს და პატრონებს მოჭლოდნელ სამუშაოს გაუჩენს.

პატრონი კი ბევრი ჰყავს: თერთმეტი კომლი აზნაური მძებრაძენი, სამი კომლი გლეხი თოხიტარიები და ერთი კომლი ვაღურია ქირსეშია — წისქვილის ხელოსანი, სხვა სოფლის მცხოვრები. ყველა ამათ წილი უდევთ წისქვილში; მძებრაძეებს — რადგან წისქვილი მათს საერთო მიწაზეა გაშენებული, და თოხიტარიებს — რადგან თხრილის სათავეში რამდენიმე საჟენი მიწა მათი აღმოჩნდა.

მძებრაძეებს არ უნდოდათ თოხიტარიები შეეზიარებინათ წისქვილის აგებისას და დაუკითხავად დაიწყეს მუშაობა, მაგრამ თოხიტარიებმა მედგრად დაიცვეს თხრილის სათავე; დაიარაღებული დადგნენ და შეიძლება საქმე სისხლის ღვრით გათავებულიყო, რომ მამასახლისი და სხვა ზოგიერთი გამოცდილი პირი არ ჩარეულიყო და არ მოეგვარებინათ. ვაღურია ქირსეშია კი მიუცილებელი საჭირო იყო ამ წისქვილის შენების დროს, რადგან ის მაშინ წისქვილის საუკეთესო მოხელედ ითვლებოდა. გასამრჯელოდ ერთობ ბევრი ფული ითხოვა და იძულებული შეიქმნენ წილში შეეყვანათ. ამათ გარდა გახლდათ კიდევ ერთი მონაწილე; ეს იყო მეწისქვილე. დადგენილი იყო, რომ მეწისქვილესათვის მიეცათ წმინდა შემოსავლის მეხუთედი. დანარჩენ ნაწილს შუაში გაიყოფდნენ მძებრაძეები, ვაღურია და თოხიტარიები, და მეორე მხრივ, ხუთასი ფუთი სიმინდიდან, მაგალითად, ასი ერგებოდა მეწისქვილეს. დანარჩენი ოთხასის ნახევარი — ორასი ერგებოდა მძებრაძეებს და ორასიც — თოხიტარიებს და ვაღურია ქირსეშიას.

ამჟამად მეწისქვილედ გახლდათ მაძინია რულაია, კაცი დაბალი და ქოსა, ფართოტუჩა და კისერდაბალა, მხიარული და ხანდახან

ოხუნჯი, შავთვალწარბა, რომელსაც ჭუჭყისაგან გაშავებული ჩიბუ-ხი განუშორებლად პირში ეჭირა.

მაძინიას ვინაობაზე ასე მოგახსენებდნენ: ის იყო უჯეროდ შობილი ერთი თავადიშვილის ოჯახში. ძველად, ბატონყმობის დროს, უჯეროდ შობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. რასაკვირ-ველია, მაძინია გამდელის შვილი იყო. მის მამად სახავდნენ ბატო-ნის ერთ ხაბაზს, ხუმარა ათუნიას, რომელიც მეტისმეტად მაღალი იყო და ამიტომ მეტსახელად ჯიქალს ეძახდნენ. ზოგნი კი (ცოდვა პირველად მთქმელს!) თვითონ ბატონზეც ჩაილაპარაკებდნენ, თუმ-ცა საიდუმლოდ და ჩურჩულით: ლამაზი იყო ცირაია გამდელი, ლამაზი, ლოყაზე ვარდი ეფინებოდა და მოეწონა ბატონსაო — დადიოდა ჭორი სოფელში და მაძინიას მოგრძო ნიკაპი იმ ცხონე-ბულ ბატონთან ზედგამოჭრილი ჰქონდა.

თუმცა ეს საიდუმლო იყო და იმ ამბავს ერთმანეთს ჩურჩუ-ლით უზიარებდნენ, მაგრამ ქალბატონს მაინც ვერ დაემალა. გაე-ბუტა ბატონს, თუმცა უკანასკნელი ეფიცებოდა, ბავშვი ჯათუნია ხაბაზის შვილიაო. დასამტკიცებლად ბატონმა კიდეც გააროზგინა ჯათუნია, რის შემდეგ ის გაიქცა და იმ დღიდან არც ცოცხალი და არც მკვდარი არავის უნახავს. ქალბატონი ამით მაინც არ დაკმა-ყოფილდა და გაბრაზებული მუდამ დღე უჩიჩინებდა ქმარს, რომ საზიზღარი გამდელი გაეგდო.

გარემოებამაც ხელი შეუწყო ქალბატონის სურვილს. მისი უფრო-სი ქალიშვილი იმჟამად გათხოვდა ერთ მოშორებით მცხოვრებ თავადიშვილზე და ქალბატონმაც, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ, ცირაია გამდელი პატარა მაძინიათურთ ქალიშვილს მზითვად გა-ატანა. მაძინია მაშინ ორი წლისა იყო.

ახალ ბატონთანაც არ მოუსვენეს საბრალო ცირაიას. იგი იქაც დაორსულდა. ამ ამბავმაც გამოიწვია ახალი ჭორი, ჩურჩული და მითქმა-მოთქმა. მხოლოდ პირვანდელზე იმ განსხვავებით, რომ ახალმა ბატონმა ორსულობა ხაბაზის მაგივრად მეჯინიბეს დააბრა-ლა. მეჯინიბესაც საკანონო მოჰხადეს, მაგრამ ქალბატონი დედასა-ვით მარტო ბუტიაობას არ დასჯერდა; იმან მწვავე ომი გამოუცხა-და ქმარს, ასე რომ ბატონი იძულებული შეიქნა ორსული ცირაია და პატარა მაძინია ორივე გაეყიდა.

ცირაია შვილითურთ ბატონმა მიჰყიდა როსტომ მძებრაძეს, რომელიც ს. ჭყონნაში სახლობდა და სახელგანთქმული კაცი იყო. ფასად დედა-შვილში მისცა ერთი მოვერცხლილი თურქული დამბაჩა.

მეორე მშობიარობას ვერ გადაურჩა უბედური ცირაია. იგი მოკვდა და როსტომ მძებრაძის სახლში ობლად დატოვა ორი წლის მაძინია.

როსტომ მძებრაძე, თავის დროზე გამოჩენილი ქურდი და ავაზაკი, რასაკვირველია, მაძინიას ვერაფერ სიკეთეს დაასწავლიდა, მით უფრო, რომ ბავშვი ცოცხალი და მარჯვე იყო. რვა წლისა თამამად ისროდა მაყურეს * და ურა ცხენებს იჭერდა...

როცა წამოიზარდა მაძინია, მარჯვენა ხელი შეიქმნა როსტომის და მისი ამხანაგებისა. ბევრი ცხენი მოუპარავს მაძინიას, ბევრი ხარ-ძროხისათვის უმართლოდ გამოუჭრია ყელი, ბევრი ქვრივი და ობოლი აუტირებია, მაგრამ ამასაც ბოლო მოეღო. დრონი იცვალნენ. როსტომ მძებრაძე დაიჭირეს და ციმბირისაკენ უკრეს თავი მისი ამხანაგ-ხელქვეითნი აქეთ-იქით გაიფანტნენ; დარჩა მაძინია თავისუფალი. ბატონყმობა გარდასული იყო. მას არ ჰქონდა ერთი მტკაველი მიწა-მამული. არ ჰყავდა ნათესავები და არც სხვა რამ საშუალება მოეძეოდა. დაიწყო ცხოვრება ხან ერთ ნაცნობ აზნაურთან, ხან მეორესთან. ზოგან მოურავობდა, — ზოგიერთ მძებრაძის სასახლეში, როგორც ეძახდნენ ფიცრულს და ყავრით გადახურულ სახლს მათი ნაყმევი გლეხები, — თუმცა ამ ოჯახებში სამოურავო არა იყო რა.

ბოლოს თმა-წვერსაც ჭაღარა გაერია. ბევრგან მის სიარულს ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. მაძინიაც ჩაუკვირდა თავის ცხოვრებას. გონს მოვიდა, იქით-აქეთ გაიხედა-გამოიხედა და გაშტერებულმა პირი დააღო! ღმერთო ჩემო! რამდენი ცვლილება მომხდარიყო მარტო ჭყონნაში მას აქეთ, რაც ის როსტომთან ერთად სოფლებს აწიოკებდა. სარკესავით ნათლად დაინახა თავისი მდგომარეობა. აღეძრა სურვილი, ისეთი საქმე ეშოვნა, რომ ცივი ღომის დაჯყვედრებელი ლუკმა ჰქონოდა. მის ბედზე ამ დროებით გააკეთეს ზემოხსენებული წისქვილი და მაძინიაც მეწისქვილე გახდა.

მეწისქვილეობს მაძინია და თავისთავის მადლიერიც არის. ბევრი მოგება არა აქვს, მაგრამ დაუყვედრებელ ლუკმას ჭამს. წელიწადში, საზრდოს გარდა, სამოც-ოთხმოც ფუთ სიმინდს ჩამორჩება. უფრო მეტს ჩამორჩებოდა თვითონაც და წისქვილის დანარჩენ მონაწილეებსაც მეტი მოგება ექნებოდათ, წისქვილის სათავეს თუ გაფუჭებისათანავე შეაკეთებდნენ. მაგრამ სად არის დროზე

* მაყურაი — ქამანდი.

შეკეთება? მძებრაძეები არ კისრულობენ პირველად თვითონ მივიდნენ ან მუშები გაგზავნონ. იმ მამაძაღლ ყაძახებმა გააკეთონონ, — იძახიან. თოხიტარიები ამბობენ: მარტო ჩვენი არ არის წისქვილი, მძებრაძეებს მეტი წილი უძევთ, ვითომ რა დიდი გოზნა არიან, ჩვენ მათი ნაყმევები არა ვართო (თოხიტარიები სამთავრო გლეხები არიან). ვაღურია ქირსეშია კი ყველას ასე ეუბნება: არა გრცხვენიანთ ამოდენმა მონაწილეებმა წისქვილი ვერ შეაკეთოთ? მე ისიც მეყოფა, რომ ასეთ უხერხულ ალაგას წისქვილი გავმართე. შეკეთებას მაინც ნუ დამამადლითო...

მაინც წისქვილი თითქმის მუდამ მუშაობს. განსაკუთრებით ბევრი საფქვავი მოდის ზაფხულობით, როცა ახლომახლო სოფლებში ღელეები და რუები შრება და წისქვილები არ მუშაობს, მაშინ იმდენი ხალხი მოაწყდება, რომ სამი მოზრდილი დოლაბის განუწყვეტლივ ტრიალი ნახევრობით ვერ აუდის და ხშირად ჩხუბიც იმართება.

გაქვთ სიცოცხლე, რომ ამ აურზაურში მაძინიაც ხელცარიელი არა რჩებოდეს! განა ის არ არის წისქვილის ბატონი? ვისაც თვითონ უნდა, უწინ იმას დაუფქვავს, ამიტომ მოსდის სხვადასხვა საჩუქრები: ყველი, კვერცხი, ღვინო, ხილი და მისი საყვარელი თუთუნი...

II

დიდმარხვა იყო. მარტი იდგა, საკმაოდ თბილოდა. ათიოდ ახლომახლო მცხოვრებთ მოეყარათ თავი წისქვილებში. მაძინია მეჩადის გამოცხობაში იყო გართული. ქვის კარგა მოზრდილი კეცი კერაზე პირქვე ეხურა, მაგრამ დღეს, რაღაც ჯიბრზე. დროზე არ ხურდებოდა და ოდნავ გაბრაზებული მაძინია კეცხლს ჩქარ-ჩქარა უკეთებდა. სოფლელები კერას გარშემო უსხდნენ. ორი დოლაბი ბრუნავდა, მესამე გაჩერებული იყო.

— კაცო, ეს მესამე დოლაბი რად არის გაჩერებული? — იკითხა ერთმა მოხუცებულმა, რომელიც გახუნებულ ნაბადში გამოხვეული კერას ცოტა მოშორებით სავსე ტომარაზედ იჯდა.

— რა ვიცი, დაიქცა მაგის თავი, — უკმაყოფილოდ მიუგო მაძინიამ, დაიჩოქა და კეცს ქვევიდან შეხედა. კეცის სიმხურვალემ აიძულა პირი ისევ ჩქარა მოერიდებინა,—მადლობა ღმერთს, ძლივს არ გახურდა ეს ოხერი! — ჩაილაპარაკა მან და კეცი პირაღმა მოაქცია, რომ ზედ გამზადებული ცომი დაედო.

— ალბათ წყალი საკმაო არ ექნება, — აუჩქარებლივ თქვა

მოხუცის კითხვაზე, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ერთმა შუახნის, მოკლე ჩოხიანმა, რომელიც თითქმის ზედ კერაზე იჯდა.

— წყალი? — გაიკვირვა მოხუცმა,—აგი მდინარე პარანას შობა.

— „მდინარე პარანას შობა,“ — ცოტა არ იყოს დაცინვით გაიმეორა ბაძინიამ და ცომი გახურებულ კეცზე დააგდო. — პარანას შობა,—ისევ გაიმეორა და სველი ხელით ცომს კეცზე გასწორება დაუწყო. — წისქვილი სულაც არ იყო, ისეც ქე მოდიოდა აქ წყალი და მაშინ უფრო დიდიც იყო, თუ მკითხავ, მაგრამ ის მაშინ ვერაფერსა ფქვავდა. ყველაფერს თავი და მეცადინეობა უნდა.

— ჰო, — დაამთქნარა მოხუცმა.

— მე რომ ვიყო ამ წისქვილის მონაწილე, ამას ვერ მოვითმენ, — ჩაერია მოკლე ჩოხიანის გვერდით მჯდომი ნაბდის ქუდიანი.

მაძინიამ დაცინვით ახედა ნაბდის ქუდიანს.

— ვერ მოითმენ კი არა, ქვეყანას დააქცევ, — მოუსწრო მან და კეცს ოთხკუთხიანი თუნუქის ნაჭერი გადააფარა. — ერთმანეთს მიყვეს კაცი ისაა საქმე, თორემ ერთმა და ორმა რამდენიც უნდა იბორძიკოს, ვერას გახდება.

— გამარჯობა თქვენი, — მტკიცედ შემოილაპარაკა და წისქვილში შემოვიდა ერთი ახალგაზრდა, ასე ოცდასამი წლის ვაჟკაცი, შესახედავად ძლიერ ლამაზი და ჯანმრთელი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს!—ერთხმად მიუგო ყველამ. ახალ მოსულმა ზურგიდან სიმინდით სავსე ტომარა მოიხსნა და სხვა ტომრებთან დადო.

— თოლი, ეს ბიჭი ვერ ვიცანი, — ხრინწიანად თქვა მოხუცმა და დაახველა.

— დაბრმავდი, ბეჩა გოძია? — სიცილით მიუგეს სხვებმა.—ეს ნიკოიას შვილია, პეტრე!

— რომელი ნიკოიას, წიე? — გაოცებით იკითხა მოხუცმა.

— ბატონიშვილის, — დინჯად მიუგო მაძინიამ და კეცზე გადაფარებულ თუნუქს ნაღვერდალი დააყარა.

— ხი, ხი, ხი, — ჩაიცინა ნაბდის ქუდიანმა. სხვებსაც ღიმი მოუვიდათ.

— ნიკოია თოხიტარიას შვილია, ნიკოიასი, არ გახსოვს, შარშან სიმინდის მარგვლაში გეხმარებოდა, — ყურში ჩასძახა მოხუცს მოკლე ჩოხიანმა.

— მეუფეო! დიდება შენდა! — პირჯვრის წერით წარმოთქვა მოხუცმა.

— მერე ამ ერთ წელში ნიკოიას შვილი ასე გაიზარდა?! აჩუ-

ქოს ღმერთმა, მართალი კაცია, კიდევ ჰყავს ვაჟები მგონია! საწყალი, აფშილაზე რომ არ მომკვდარიყო.....

— როგორ არა ჰყავს, ოთხი ჰყავს, — მიუგო მაძინიამ. — შენისთანა გეგონა ყველა, რომ ორის მეტი ვეღარ გააკეთე?

ნაბდის ქუდიანმა გულიანად გადაიხარხარა.

მოხუცმა დამშვიდებული თვალებით შეხედა და შეუწუხებლად ჩაილაპარაკა:

— გაკეთებას, შვილო, ბევრი ჭკუა არა აქვს, უკაცრავად მოხსენებაა: ძუ ძაღლსაც ჰყავს შვილები, საქმე მერმინდელი პატრონობაა...

მაძინიამ ხვიმირები დაათვალიერა. კარის მახლობელი დოლაბი ჩამოსულიყო. ფქვილი საჩქაროდ ხოპით ტომარაში ჩაყარა. მერე განზე გადასდო და ერთს, სიმინდით სავსე ტომარას ხელი მოავლო და ის იყო თავი მოუხსნა და ხვიმირში უნდა ჩაეყარა.

— არა, შენი ჭირიმე, მაძინია, — გაისმა ამ დროს კუთხიდან ხმა და ერთი ჭაღარა კაცი წამოდგა. — შენი ჭირიმე, მაძინია, ჯერ ჩემი, შენ გენაცვალე.

ჭაღარა კაცის სახეზე მწუხარება იხატებოდა და მისი გამხმარი პირის კანი ერთი-ორად აოთხკეცებდა ამ მწუხარებას.

—ჰა, არა, ჯერი ჩემია, მაძინია, ასე ჩქარა დაგავიწყდა, რა ახალი სულგუნი მოგიტანე? — ეწინააღმდეგა ერთი შავწვერა გლეხი. მაძინია შეჩერდა, ხელები თავგახსნილ ტომარაზე ედო და ორივეს შეჰყურებდა.

— კოხთაია, კოხთაია, შენ კიდევ მოასწრებ, — შეეხვეწა გამხდარი კაცი შავწვერას. — განა ჩემი ამბავი არ იცი? შინ ავადმყოფი მიწევს.

— მართალია, მართალი, შინ ავადმყოფი ჰყავს. — კვერი დაუკრა ყველამ.

— ჩქარ... ჩქარ... ჩქარ... ჩქარ... — ჩუხჩუხებდა წყალი.—დაყარე... დაყარ... დაყარე... — ეუბნებოდა დოლაბი.

მაძინიამ თავი მაღლა ასწია, სათითაოდ ყველას შეხედა და ჩაილაპარაკა.

— კაცო, კარგი მაგრამ, ეს ტომარა ვისია, ხელში რომ მაქვს?

— ჩემია, ჩემი! — ხმამაღლა მიაძახა კოხთაიამ.

— არ შევმცდარვარ, სულგუნს მაინც თავისი გაუტანია, — გაიხუმრა მაძინიამ, — შენი კი სადღაა? — მიუბრუნდა გამხდარ კაცს.

— ა, ბატონო, ა, შენი ჭირიმე, — დაფაცურდა ის და თავისი ტომარა მოძებნა.

მაძინიამ კოხთაიას ტომარას თავი ისევ მაგრა მოუკრა და გამხდარი კაცის სიმინდი დააყარა.

— მადლობელი, შენი ჭირიმე, მაძინია, საღამოთი მოგაკითხავ, — თავმდაბლა უთხრა გამხდარმა კაცმა და წისქვილიდან გავიდა.

სხვებიც დაიშალნენ: ზოგი დაჩქარებას შეეხვეწა, ზოგმა ფქვილი ზურგზე მოიკიდა და შინისაკენ გაეშურა.

— ხვალ დილით უსათუოდ მზად უნდა დამხვდეს, მაძინია, ჩემი ფქვილი, — უთხრა პეტრემ.

— ამ საღამოს ინებეთ, — კბილების კრეჭით მიუგო მაძინიამ,— ერთი შეხედე, რა ამბავია, კვირკობის თვეში არ მინახავს ამოდენა საფქვავი. იმიტომ იყო, რომ თუთუნი მომიტანე, ჰო... ჩავარდი ჩემ ჭლანჭებში. ზეგაც გღირსებოდეს შენს ტომარას თავის მოხსნა.

— აკი მოგიტანე!

— სუ!

— დედიჩემის სული ნუ წამიწყდება, დღევანდელი დღის მადლმა. დაგავიწყდა?

— როდის, წიე, ის ერთი წკუმონტუა * რომ მომიტანე, იმას ეძახი თუთუნის მოტანას?!

— მაშ ფუთობით მოგიტანდი? ერთს კიდევ მოგიტან, ბევრს ნუ ყბედობ, დილით, ხვალ, ახლა არა მცალია! — მიაძახა პეტრემ და წისქვილიდან გავიდა.

წისქვილში დარჩნენ მაძინია, მოხუცი გოძია, შავწვერა კოხთაია და ნაბდის ქუდიანი თემა, რომელსაც მეტსახელად კუდას ეძახდნენ.

— დამარჩინა, დამარჩინა იმ კაცმა,—მთქნარებით ჩაილაპარაკა კოხთაიამ და პაპიროსს დაუწყო კეთება.

— შენსას ჩქარა დავყრი, საცაა დიდი დოლაბი ჩამოვა, — ანუგეშა მაძინიამ.

—ჩემსას კი როდისღა ეშველება!—ბოხი ხმით იკითხა მოხუცმა.

— შენსასაც ეშველება, ნუ გეშინია.

— შენც სიმინდი გაქვს აქა? — ჰკითხა კოხთაიამ კუდას.

— არა, მე ისე შემოვედი, აქეთ ვიყავი, — ცოტა არ იყოს მორცხვად მიუგო კუდამ.

— ეს ამოწშებს, კარგად ფქვავს წისქვილი თუ არა, — გაეხუმრა მაძინია.

— გაღმა რას აკეთებდი? — ჰკითხა გოძიამ.

---

* წკუმონტუა — წნელი.

— ისე ვიყავი, — უფრო წამოწითლებულად მიუგო კუდამ.

— მაშვალობდეს იქნება, — გაეხუმრა კოხთაია. — ვის არიგებ, ვის, შე კუდავ, შენა, კიდევ ვინმე თებრონიასავით არ გადაიტყუო.

— არა, მამიჩემის სულს ვფიცავ, — მოუსვა ფიცს კუდამ,— სამაშვალო ამ დროებით არავინა მყავს.

— როგორ არა, შე უბედურო, აი, მაძინია აგერ არ არის? ფქვილი ბევრი აქვს და წყალი. მაყრების მაგივრობას დოლაბები გაუწევენ, ისეთი როხროხი გააქვთ, რომ დაფა-ზურნაც არ მიუვა.

— რატომ არა, — დაემოწმა მაძინია, — მით უმეტეს, თუ დედა-შენი გამირიგა. ჰაი გიდი! რა ქორწილს გადავიხდი! გვარიანი ხონჭკა * ქვრივია... ამ ბოლო დროს მაინც სულ გასუქებულა. უბედურება ისაა, რომ წისქვილში იშვიათად შემოდის... ეშმაკი არა ხარ? არ უშვებ, თორემ მაშვალიც არ მინდა, მე თვითონ მოვცეცავ ** საქმეს, ჩემთან რომ მოვიდოდეს.

— დაიკარგე იქით, გინდა ზურგი აგიჭრელო ამ ჯოხით? — ხუმ-რობით მიუგო კოხთაიამ.

— ამიჭრელო რა, შენი მჭლე კამეჩების გავაა თუ?

— მჭლე! გიცხონდა სული. კიდეც იმიტომაა, საწყლები, სამოც ღუთს ეზიდებიან!

— რას აქებ, ბაბაია, მზითვად ხომ არ გინდა დედაშენს გა-მოაყოლო?

— აბა კიდევ, ნუ ბედავ-მეთქი, თორემ!...

— არა... ნუ სწუხარ, ბატონო, არაა საჭირო კამეჩები. კამეჩი რად მინდა. იმათ მოსავლელად ვის სცალიან, ხომ ხედავ, რამდენი საქმეები მაქვს, — დინჯად მიუგო მაძინიამ და ხელი ტომრებისაკენ გაიშვირა.

— ჰოი! მოცლილი კაცები, რას არ მიედებიან, — ჩაილაპარა-კა მოხუცმა.

— ჰო... ჩემო გოძია, — აღტაცებით მიუგო მაძინიამ,—შენც არ დაგწვავს ხელს კოხთაიას დედა... შენც....

— ფუი ეშმაკს! — დააფურთხა მოხუცმა. — შე უსინდისო, ესენი ჩვენი მოყვრებია.

— მოყვარე კი არა, არ გინდა შენაყვარები! რა მოყვარეა!

— წიე, როგორ შერულად *** ლაპარაკობ, მაგის დედა და ჩემი მამიდა თითო ძმების გაზრდილებია...

---

* ხონჭკა — ჯეელი.

** მოვცეცავ — გავჩარხავ.

*** შერულად — ხულელურად.

— უი, — მოუკრა სიტყვა კუდამ, — ასე რომ ვიანგარიშოთ...

— გამარჯობა თქვენი, ძმაო! — მოისმა ხმა კარებთან და წისქვილში ვიღაც უცნობი კაცი შემოვიდა.

ყველანი ზეზე წამოდგნენ.

ახალშემოსული იყო ასე ოცდაათი წლის კაცი, შუათანა ტანისა, ოდნავ ქერა წვერ-ულვაშა. პატარა ცხვირი და მხიარული თვალები ჰქონდა. ტანთ ეცვა მშვენიერი მაუდის ჩოხა. წელზე იმერულად გაკეთებული ვერცხლის ქამარი ერტყა და მასზე მთლად გაევერცხლილი ხანჯალი ეკიდა, კისერზე გრძელი საათის ძეწკვი ჰქონდა გადაკიდებული და თვით საათის ყური ოდნავ მოჩანდა მასრების ქვევით პატარა ჯიბიდან მოოქრულ მასრებს ლაპლაპი გაჰქონდა.

— კაცო, რაც მე თქვენ გეძახვთ, — დაიწყო ახალმოსულმა და დაკეცილი მათრახი ჩექმის ყელში ჩაიდო. — ვიძახე, ვიძახე, ვიყვირე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ვერა გაგაგონეთ რა.

ახალშემოსულს არც ძლიერ წვრილი და არც ბოხი ხმა ჰქონდა, ცოტად კი ცხვირში ჩაილაპარაკებდა.

— მობრძანდი, ბატონო, მობრძანდი, — მიუგეს ერთხმად წისქვილში მყოფ ახალშემოსულ უცხო კაცს, — უკაცრაოდ კი ვართ, ხომ მოგეხსენებათ,—და ბოდიშით მისთავაზეს კერის პირზე საუკეთესო ადგილი, ე. ი. თხმელის ნახევრად დამპალი კუნძი, რომელიც სკამის მაგივრობას ასრულებდა და რომელზეც აქამდის კოხთაია თავმომწონედ გამოჭიმულიყო.

— წისქვილის ხმაურობა ვერ გააგონებს კაცს, ბატონო, ძახილს. ერთხელ მეც დამემართა. ნაწვიმარი იყო, ღამით გაღმა უნდა გავსულიყავი და მარტო გასვლა ვერ გავბედე. ვიძახე, ვიძახე, მაგრამ მაძინიას ვერაფერი გავაგონე, — თქვა მოხუცმა.

მაძინიას სახელის გაგონებაზე ახალშემოსულმა გაიხედ-გამოიხედა და მაძინიას თვალები დააშტერა.

— მაძინია რომელსა ჰქვიან? — იკითხა მან.

— მე გახლავარ, ბატონო, — მიუგო მაძინიამ და თავის მხრივ სტუმარი აათვალიერა, — მე აქაური მეწისქვილე გახლავარ!

— შენი გვარი?

— რულაია!

— უი, სასწაული თუ გინდა, ეს არის, — თითქმის მიაყვირა სტუმარმა, — მაძინია რულია ხარ შენა? როსტომ მძებრაძეს რომ აბლდი! — როსტომის სახელის გაგონებაზე ყველამ ყური ცქვიტა.

— დიახ. ის მე გახლავარ, თითქო თქვენც მეცნობილებით და ეს ოხერი, სიბერეა თუ რაღაცა, ვერ მახსენდება.

— არ გახსოვს მერაბია ტომბაშვილი?!

— ა-ტ! — მიაძახა მაძინიამ.

— მე მისი ძმისწული ვარ, კონსტანტინე!

— კორსანტელი! აი საარაკო თუ გინდა! თქვენ რა ერთი ბეწო მინახავხართ და ახლა რავა დავაჟკაცებულხართ, სასწაული!

— როსტომი დაიკარგა, მერაბი მოჰკლეს...

— მე კი, — დაასწრო მაძინიამ, — აი, სადა ვგდივარ. განა ეს ცხოვრებაა, მარა რას იზამ. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ხომ გაგიგონია, ისეა ჩემი საქმე, რას იზამ, რა ვქნა!

— ეხ, მახსოვს, მახსოვს, შენ რომ ცხენებს საცდელად გაძლევ-დნენ და ერთი აფხაზი თავადიშვილი ცხენიდან რომ ჩამოაგდე ჯირითის დროს და კნეინა მართამ თავის ჯიბიდან ცხვირსახოცი რომ გაჩუქა, იმ დროს შენ ხომ პირველი კაცი იყავი სასახლეებში.

— ეხ! რათ მინდა, რომ გავიხსენო...

მათ საუბარს სულგანაბული ყურს უგდებდნენ.

— კორსანტელი სად მესტუმრა, ან რამ მოგიყვანა აქეთ იმ სიშორიდან. როგორ ვქნა ახლა, რით გაგიმასპინძლდე, დიასახლისი ავად გამიხდა, ამიხირდა, უნდა წყალში ვიბანაოო; დალოცვილო, მოითმინე, ბანაობა კი არა, ზამთარია- მეთქი, არ დამიჯერა და შორს არ წასულა, ამ წისქვილის ღარების ზემოთ ჩავარდა წყალში, მას აქეთ ავათაა.

მაყურებლებმა გადიხარხარეს, სტუმარსაც ჩაეცინა.

— მაგ ჩემ გამომცხვარ ჭადს შენ არ მიირთმევდე იქნება....

— ბოდიშს თავი დაანებე, თუ კაცი ხარ და რადგან შენ შემხვდი, რაზედაც ვარ წამოსული, ის საქმე გამაკეთებინე და ხუთწილად დაგიმადლი, მე თვითონ გაგიმასპინძლდები, თუ გინდა.

— რა იქნება, ბატონო, ისეთი. თუკი...

— შე კაცო, მოჯამაგირე ვერ მიშოვნია, აგერ თვე იქნება დავეძებ. მყავს ერთი მოჯამაგირე, მაგრამ, იმას ერთი რომ ვადა შეუსრულდა, ხელახლა მომატებულ ქირაზე დავიჭირე და მეორე ისაა, რომ ის სხვა საქმისათვის მინდა. მე და ჩემმა ძმამ საყასპო გავაღეთ ახლახან ფოთში და იქ მინდა დავაყენო. ახლა სახლში მჭირია ბიჭი. ქირას არ ვითაკილებ, ოღონდ კი რიგიანს წავაწყდებოდე ვისმე.

— თქვენ, ბატონო, უკაცრაოდ, რომელი სოფლიდან ბრძანდებით? — თავმდაბლა ჰკითხა კოხთაიამ.

— ლეტა-კარიდან არის, — მიუგო მაძინიამ, რომელიც დაფიქრებული იყო, თითქო რაღაცას იხსენებსო.

—დიახ, ლეტა-კარიდან გახლავარ,—გაიმეორა კონსტანტინემაც.

— მოჯამაგირე კი იშოვება, რატომ არა, მოკითხვა უნდა თორემ, — წარმოთქვა მოხუცმა, — მხოლოდ შორი კი არის და იმ სიშორეზე, ხომ მოგეხსენებათ, თვალგაუტეხელი ბიჭი, დედის კალთაში გაზრდილი...

— სიშორე რა სათაკილოა, დიდი ორმოცდახუთი ვერსტი იქნება აქედან. ახლა ამ სიშორეზე მიდიან კი არა...

— აი მართლა, შენი ბიჭი მიეცი, გოძია, — მოუსწრო კოხთაიამ.

— ჩემი ბიჭი? მე ერთი ბაღანა რომ მყავს, ვერ შეველევი. მოხუცებული კაცი ვარ.

— აკი მეორე კიდევ გყავს, — გამოედავა კოხთაია.

— მეორე სულ ბაღანაია ჯერე, იმის იმედით რას ვივარგებ!

— სუ, სუ, კაცო! — წარმოთქვა მაძინიამ. — აი ჩვენი ნიკოიას არა ჰყავს ბიჭები? ძლივს არ გამახსენდა!

— მართალია, — კვერი დაუკრა კუდამ. — პეტრე, ნიკოიას უფროსი შვილი, ახლა აქ არ იყო?

— შეიძლება, — დაემოწმა კოხთაიაც. — ცოტა ქესატი კაცი კი არის, მეორეც, ოთხი ვაჟი ქე ყავს და ერთ-ერთს დიახაც ქე მისცემს, ერთი შვილი, ვთქვათ, ბავშვია ჯერე, მაგრამ სამი დიდები ჰყავს.

— იმაზე მოხერხებული აქ, ამ არემარეს არავინ მეგულება და ნამდვილადაც იშოვნი, თუ ფულიც, ხომ იცი, თუ ცოტა გაიმეტე, — უთხრა მაძინიამ.

— შორს არის აქედან?

—სრულებით არა. ციხე რომ მოჩანს, იმის იქით, იქვე სახლობს.

— კუდა წაყვება, მაინც საქმე არაფერი აქვს, — გაიხუმრა კოხთაიამ.

— საქმე რავა არა მაქვს, — წყენით მიუგო კუდამ, მაგრამ კაცის გულისათვის კაცი...

— აი, აი, სწორედ, — მოუწონა ყველამ.

III

საღამოზე ნიკოია თოხიტარიას სახლის კერაზე ცეცხლი გაჩაღებული იყო. ერთ მხარეს ძველებურ ფართო და გრძელ სკამზე, რომელიც კერას პირად იყო დადგმული, კონსტანტინე ტომბაშვილი იჯდა და პაპიროსს შეექცეოდა. სახლი შედგებოდა ერთი კარგა

შოზრდილი ხის ოთახისაგან, რომელსაც არც ჭერი ჰქონდა, არც იატაკი და არც ფანჯარა. კედლის ფიცრები და ისლის სახურავი მშვარტლისაგან გიშერივით შავად ბზინავდა. სახლს ორი კარი ჰქონდა, ერთი წინ და მეორე უკან. უკარო კედლების გასწვრივ ტახტები იყო მიდგმული და ერთ ტახტზე ელაგა კარგა მოძველო და გვარიანად მშვარტლისაგან შემურული ლოგინი, რომელზედაც შინაურულად გაკეთებული ჩითის ზეწარი ეფარა. წინა კარის გვერდით, მარჯვნივ იდგა რაღაც მაგიდის მსგავსი, რომელიც სკამს უფრო წაგავდა, თუმცა პირველზე მაღალი და დიდი იყო და მეორეზე დაბალი და პატარა. უკანა კარის აქეთ-იქით პირუტყვებისათვის ბაგა იყო გაკეთებული. ერთ ამ ბაგათაგანზე ამ დროებით იდგა კონსტანტინეს უნავირმოხდილი ცხენი და სიმინდის ჩალას მადიანად ახრამუნებდა. უნაგირი კი კედელზე ეკიდა.

— აში... ო! ...აში, აში... აი... შე ბალაგარო, რას აკანტურებ თავსა, შემოდი აქეთ, — გაისმა ნიკოიას ხმა. მას ხარისათვის ყურში ხელი წაევლო და უკანა კარებიდან შიგ ეზიდებოდა. ნიკოიამ ხარს თავი კარებში შემოაყოფინა, მერე გავაზე ხელი ბრტყლად დაუტყლაშუნა და შიგ შემოახტუნა. ხარმა დაინახა თუ არა უცნობი კერასთან, ერთი დაირქინა, საჩქაროდ მობრუნდა და ჩვეულ ბაგაში თავი ჩაჰყო, სადაც მისი საყვარელი სიმინდის ფურჩა ეყარა.

— უკაცრაოდ, ბატონო! ამდენ ხანს მარტო დაგარჩინე, ეს პირუტყვებიც აქ მიბია; ხომ მოგეხსენებათ ღარიბი კაცის ამბავი, მათთვის ცალკე ბინა არა მაქვს და რომ მქონდეს, ეს ოხერი ქურდები, ღმერთიც ამოაგდებს, თუ თვალიდან მოიშორე საქონელი, აგაცლიან და მერე ირიკავე. ეს ხარი რომ მომპარონ, ამას მარჯვენა ხელი მომჭრან მირჩევნია... ფაცხა კი მიდგა ერთი, მარა ერთობ პატარაა და ცოტა ფუჩხასაც * აქ ვამზადებთ,—მოუბოდიშა ნიკოიამ.

— სუ, შე კაცო, ბოდიში რა საჭიროა. მე კი ვარ დამნაშავე, შეგაწუხეთ ამაღამ, არ დამიჯერე, თორემ არ მოვიცდიდი.

— როგორ გეკადრება, ბატონო. ჰხედავთ, როგორ ჩქარა დაღამდა. პატივისცემას სხვაგან კი უკეთესს იშოვნიდი, მარა აქაც, როგორც იქნას, ღამე გეითიეთ და მერე...

— რაც გთხოვე, ის მომიხერხე და თუ გინდა ამაღამ მინდვრად დავწვები.

— გარეთ დაწოლა ღმერთმა დაგიფაროს, ბატონო, მოვასწრებთ ყოვლისფერს, — თავმდაბლა მიუგო ნიკოიამ.

---

* ფუჩხა—ნამცეცი, იგულისხმება კერძი.

— მობრძანდი, ნიკოია, ერთი ამ ცეცხლის პირად დაბრძანდი, ერთი მოვილაპარაკოთ, თუ კაცი ხარ!

— კი, ბატონო, — დინჯად მიუგო ნიკოიამ, ერთი უკანა კარისაკენ გაიხედა, თითქო ვიღაცას უცდისო, მერე კარი მოკეტა და კერის მეორე მხარეს კველაზე ჩამოჯდა.

— ბატონო! — თითქო რაღაც გაახსენდაო, წამოიძახა ნიკოიამ. — თქვენ რომ მოგაცილათ, ის კაცი სიით წავიდა?

— თუთუნის საყიდლად გავგზავნე. აქ ახლოს სადღაც დუქანიაო.

— ო! კარგი დაგემართოს... მგონი, ბატონო, კვამლი გაწუხებთ, თქვენ ბუხარს ჩვეული იქნებით, — ნიკოიამ მუგუზლები რიგზედ დააწყო და ცეცხლს შეუბერა. ცეცხლისაგან ალი ავარდა და ორივენი საკმაოდ გაანათა.

ნიკოია თოხიტარია იყო ასე ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი, საშუალო ტანის, წვერულვაშიანი, ხანზე უფრო მოხუცად გამოიყურებოდა. თვალ-წარბი გიშერივით შავი ჰქონდა, ცხვირი დიდი. თავი ძველი ბაშლაყით ისე ჰქონდა შეხვეული, რომ შუბლი არც კი ეჩანდა.

ნიკოიამ ჯიბიდან დაწნული თუთუნის ნაჭერი ამოიღო და მარცხენა ხელში დაიჭირა, მერე ქარქაშიდან, რომელიც სარტყელზე ეკიდა, კარგა მოზრდილი, თხის რქის ტარიანი დანა ამოიღო და თამბაქოს წვრილ-წვრილად ჭრას შეუდგა.

ამასობაში წინა კარი გაიღო და თემა ბოჭოკია შემოვიდა. ერთი მისი შეხედვა კაცს დაარწმუნებდა, რომ მეტი სახელი კუდა მასზე ზედგამოჭრილი იყო. ის გახლდათ საშუალო ტანისა, მოსუსტო აგებულობის, წვრილი მხარბეჭიანი და ისე სასაცილოდ შეკერილი, აწ უკვე დაფლეთილი მოკლე ჩოხა ეცვა, რომ სიტყვა კუდა ძალაუნებურად გაურბენდა კაცს თავში. დაუმატეთ ამას მისი მოგრძო პირისახე, პატარა, ეშმაკური თვალები, პაჭუა ცხვირი, თხელი წვერ-ულვაში და რაღაცნაირი ფლიდური გამომეტყველება. მისი მუდამ დამცინავი თვალები, თან „ჰოვო“ და თან „არაო“ ამბობენ. სვანური, თავწვეტიანი ნაბდის ქუდი აგვირგვინებდა მის მოგრძო, პატარა თავს.

— შე კაცო, შენ სახლში წახვედი მეგონა და ისე მეწყინა, რომე... ერთი-ორი ლუკმა ერთად რომ შევჭამოთ, რა იქნება, — შემოსვლისთანავე მიაძახა ნიკოიამ თემას, თან ხელი გაივლო და ქამარში ჩარჭობილი ყალიონი ამოიღო, ტარი პირში ჩაიდო და დაუფშვრიტინა. საუბედუროდ, ყალიონის ტარის მილი რიგიანი სუფთა არ აღმოჩნ-

და, რადგან სულის ჩაბერვის დროს შვრიტინის მაგიერ მძიმედ დაიჭყრიჭინა. სხვა დროს ნიკოია ეცდებოდა ისლის სახვრით მილიდან ჭუჭყი მოეშორებინა, მაგრამ ახლა სტუმრის მორიდებისათვის ისე დატოვა, ყალიონი თუთუნით გატენა და ზედ ცეცხლი დაადო.

—მომიტანე თუთუნი? კარგია?—შეეკითხა კონსტანტინე თემას.

— მოტანით მოგიტანე, მაგრამ რა ვიცი, როგორ მოგეწონებათ, სერედინი, თქვენ რომ დამაბარეთ, არა ჰქონდა. ესეც კარგია, კერეპკიაო, მითხრა. — ამ სიტყვებით კუდამ ქაღალდში გახვეული დაჭრილი თუთუნი გადასცა კონსტანტინეს.

კონსტანტინემ ცეცხლის პირად მიატანა და უკმაყოფილოდ თავი ჩაიქნია.

— არ ყოფილა კარგი თქვენი ღუქანი, ეს სულ უკანასკნელი სორტის თამბაქოა.

— აბა, ამნაირი უვარგისი საქონელის ყიდვით არ კეთდებიან ჩვენი ვაჭრები? — თქვა თემამ.

— კეთდებიან? შენს მტერს ღმერთი გაუწყრა! — ჩაილაპარაკა ნიკოიამ.—კეთდებიან კი არა, გაალებენ სოფელში დუქანს; მოიტანენ საცა რამ ნაყარი და ბარკი საქონელია. წარმოიდგინე, თითქმის ნავთსაც წყალს ურევენ· ცხრა კაპიკიან ნავთს სამშაურზე ნაკლებ არ ყიდიან... მაგრამ გაივლის რამდენიმე ხანი და დუქანი იკეტება, ვაჭრობა იფუშება. რა ამბავია, რა მოხდაო, იკითხავთ. განა სოფელში შეიძლება ცხოვრებაო? — მოგიგებენ. ხალხი გაუტანელია, არაფერს ყიდულობს, სულ ქალაქისკენ და იარმუკისკენ ეჩქარება, თუ იყიდა რამე, ისიც ნისიად და დუქანი გაკოტრდაო.

— ხი, ხი, ხი, — ჩაიცინა სტუმარმა. მწვანე ქაღალდი თამბაქოს მოახია, თამბაქოს უსუნა და სახე საზარლად დაიკმიხა, მერე ჯიბიდან ოქროს ძაფით მოქსოვილი ქისა ამოიღო, შიგ თამბაქო ჩაყარა და ქაღალდი ცეცხლში შეაგდო.

— სულ გადაჩხრიკა, ბატონო, დუქანი, მაგრამ ამაზე უკეთესი ვერ იპოვნა, — დაიწყო თავის მართლება კუდამ, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა.

— შენ რა ბრალი გაქვს, კაცო, მადლობელი ვარ, გაგსარჯე. მოდი აქ, ცეცხლთან დაჯექი, — სიცილით მიუგო სტუმარმა.

— ჰო, თემა, აქეთ, აქეთ, შენი ჭირიმე, — მიიპატიჟა ნიკოიამ,— ის ბიჭიც რომ არ მოვიდა, — ცოტა გულშეწუხებულად დაუმატა მან, — ამისთანა უცხო სტუმართან ბნელაში ვზივართ.

— საცაღაა ისიც მოვა, — მიუგო თემამ. — ზურაბის ჭიშკართან შემხვდა, იქით მიდიოდა ბოთლიანად.

— მე შინ არ ვიყავი და ამ უბედურებს ადრე არ გაუგზავნიათ, ხომ მოგეხსენება, ბატონო, უქალო ოჯახი.

— თქვენ, ნიკოია, ცოლი არა გყავთ? — ჰკითხა სტუმარმა.

— არა, ბატონო, აგერ მესამე წელიწადია.

— მაშ საკმელს ვინ გიკეთებს?

— მყავს ერთი ძღაბი, ასე, ცამეტი წლისა, და მოხუცი დედა, მაგრამ ახლა ტვინგამორეკილია, იქით არის სასამსახურო.

— ჰა, ცუდი კი არის ოხერი, ასეთ... — კონსტანტინემ ნიკოიას შეხედა, ასეთ ახალგაზრდობაშიო, კინაღამ წამოცდა, — ასეთ მხნეობაში ცოლის დაკარგვა.

— აბა, საწყალი სულანა რა ქალი იყო, რა ქალი იყო, — გულმწუხარედ წარმოთქვა კუდამ და ისეთი, ვითომდა მოწყენილი სახე მიიღო, რომ კონსტანტინემ ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ გადაეხარხარა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმარმა ისევ კუდასკენ მიიხედა, თუმცა ის ახლა ჩვეულებრივ იყურებოდა, მაგრამ მისი ამ რამოდენიმე ხნის წინეთი სახე გაახსენდა და ხელახლა სიცილი მოაწვა და რომ რამეზე გადაეკეთებინა, ნიკოიას ჰკითხა:

— ა, ნიკო? მაშ კოტრდებიან ვაჭრები და სოფელს აბრალებენ?

— სოფელს, შენ არ მომიკვდე, სულ უბრალოდ, განა ქალაქში სიარული ვის უხარია, განსაკუთრებით წვიმა-ავდარში, აი თუ გინდა ზუგდიდში, აქედან ზუგდიდამდე თუთხმეტი ვერსტი იქნება, მარა, ღმერთმა დაგიფაროს! ისეთი ტალახია გზაზედ, რომ ბედაური ვერ გააწევს. ისეთი ადგილებიც არის, რომ რაც გინდა კარგი ცხენი იყოს, მაინც ალალბედია უვნებლად თავის გაღწევა. რამდენჯერ მინახავს ტალახში ჩაფლულ ცხენს ნიჩბებით სთხრიდნენ. ამისთანა გზაზე სიარული ვის უხარია, ბატონო, მარა, რას იზამ. სამაგიეროდ, იქ უკეთეს საქონელს იყიდი და უფრო იაფად, თუმცა ესენიც ფიცულობენ, რომ რიგიანი საქონელი გვაქვსო, თქვენი თუთუნისა არ იყოს.

კონსტანტინე ახალ მოტანილ თუთუნს ეწეოდა.

— უი, შე კაცო! ამაზე ულაძაგლესი ჯერ პირში არ ჩამიდვია. უკანასკნელი სორტიც მომიწევია, მაგრამ ამისთანა?.. — კბილების კრაჭუნით თქვა კონსტანტინემ და თავი დააქნია.

— აქაური მედუქნეები, ბატონო, — განაგრძო ნიკოიამ, — სი-

მინდსაც ყიდულობდნენ, მაგრამ რათ გინდა, იმათი ქილა* რომ ნახო, ბატონო, რაც გინდა იყოს, თოთხმეტ ოყაზე ზევით არ უნდა ავიდეს კალონით, როგორც მოგეხსენებათ, ფუთი ცამეტი ოყაა. ზედმეტ ერთ ოყასაც შენი ჭირი წაუღია. ამას ვინ ოხერი იტყვის, მაგრამ როცა ის კაცი წამოუწვენს ისეთ ბუყუნს **, რომელშიაც ჩვიდმეტ-თექვსმეტი ოყა გამოვა, როგორც გინდა, ისე ილაპარაკე, თუ ძლიერ არ გიჭირს, ისევ ქალაქისაკენ უნდა გაიქცე.

— ე! ნიკო, ქალაქშიაც ქე არის მოტყუება,—შენიშნა სტუმარმა.

— იცოცხლე, რომ იქაც იყოს, მაგრამ იქ ქემაინც, ბატონო, ლამაზად ატყუებენ, ბუყუნს კი თვალითაც არ გაჩვენებს ი კაცი. სასწორია გამართული, თუმცა მე იმ სასწორისა ვერაფერი გავიგე. ერთი მხრივ ათი გირვანქა დააწყო იმ კაცმა და მეუბნება, ეს ას გირვანქას იწონისო. — კაცო, ეს ათია-მეთქი. — ეი, შე გამოყრუებულო, შენ რა იცი, ეს ზაგრანიჩნი სასწორია. ფართხუნია წამწამაძე კი იმის მაგივრად, რა ქვია ბალანგარს... ბუბლიკასავით თავი რომ აქვს... რკინის რომ არის, ბურთივით ოწონალი.

— გირზე ხომ არ ამბობ! — დაეხმარა კონსტანტინე.

— ჰო, ჰო, ერთი თუ რაცხა ცოდვის გადიდებაა, ფართხუნია იმის მაგივრად ქვებსა ხმარობს.

— ეს რა არის, კაცო, ქვები რა ამბავია-მეთქი?

— სულ ერთია, ესეც გირისთან შესწორებულიაო, ცოლ-შვილი იფიცა.

— იქაც იპარავენ, მართალია, მაგრამ ფუთზედ ორ-სამ გირვანქას მოიპარავს ი კაცი და აქ კი ქილაზედ სამი-ოთხი ოყა ერთობ ბევრია, ბატონო!

— ჰო, იქაც ხანდისხან, ნიკოია, ისეთს ამოუსობენ, რომ, — ჩაერია კუდა.

— ხანდისხან რა ვუყოთ! აქ კი სულ! აი გუშინწინ, ჩვენ კინტირია ვაჭარს სიმინდი მივუტანე. აქ ორჯერ დავზომე. ჩემი ქილა ნამდვილი სადადიო ქილაა, ორ-ორი ხუ *** კიდევ მივუმატე, წავუღე კინტირიას, ჩავყარე იმის ქილაში, ორი თითი დააკლდა. ეს ქილა არ არისო.

— ნუ მაწვალებ, არა მცალია-მეთქი. ცოფიანმა ხომ არ გიკბინა, სულელი ხომ არა ხარ, ასე ნახევარფუთები თუ ვიყიდე ფუთის

* ქილა—ფუთი.
** ბუყუნი—კოდი.
*** ხუ — პეშვი.

ანგარიშში, მართლა აშენდება ჩემი ოჯახიო. ცოტა ხანი ქე ვუყურე, იქნება გონს მოვიდეს-მეთქი; მერე კი, სიმინდი ისევ ტომარაში ჩავყარე. მოვიკიდე ზურგზე და წასვლა დავაპირე.—სად მიდიხარ,— მკითხა. — აქეთ, შენი ჭირიმე, ბაზრისკენ-მეთქი, თითქო სულაც არ შევსულიყავი მის დუქანში. — მებრალები, ტყუილ-უბრალოდ დროს კარგავო! — რა გაეწყობა, ღვთის წერაა ყველაფერი-მეთქი. ბაზარში ფართხუნიამ აწონა. თვალებში შევატყე, რომ ტყუოდა. — რამდენია შენი ფიქრითო, — მკითხა. მეც, რა თქმა უნდა, ცოტა გავბერე: ქილანახევარს ცოტა აკლია-მეთქი — იქით! ნუ ტყუიო. — მაშ ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება, რამდენი იქნება-მეთქი. — სამი სახარების მადლმა, ფუთზედ სამი გირვანქით არის მეტიო. მე ვითომ ცოტა ხანს გავაჭირე, მაგრამ, რასაკვირველია, მივყიდე. ახლა შეადარე....

— კაცო, ასე თქვენთან ყოფილა, თორემ ჩვენთან სულ სწორედაა.

— აი, აი, ბატონო კორსანტელი, — სიცილით გააწყვეტინა ნიკოიამ, — თქვენ ვეზდაშიაც * ვიცი, გამოტყდით, ბატონო, ალბათ თქვენ ვაჭრობთ და იმიტომ.

— ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა ტომბაშვილმა.—არ დაგენიზღლავები. შენ, გეტყობა, გაგებული და დაკვირვებული კაცი ყოფილხარ. ყველგან არის ეშმაკობა, ჩემო ნიკოლა... ეჰე, ეჰი, — ამოიქშინა სტუმარმა, — მაგრამ ერთი ეს მითხარი: თუ ამდენად ატყუებენ წონაში, რატომ ამდენ ხანს არ გაკეთდნენ თქვენი ვაჭრები?

— ე! შენი სიმრთელე და გახარება! კეთდება? ჩვენი კაცი განა გაკეთდება? რა გააკეთებს, შენი ჭირიმე! ეშმაკის მოტანილს ისევ ეშმაკი წაიღებს. სანამ ჩვენს კაცს თავმომწონეობით და ამაყობით წელი მომტვრეული აქვს, მისი გაკეთება შეუძლებელია. ახლა თქვენ რომ თუთუნი მოატანინეთ, იმ დუქანში, ბატონო, ხუთი-ექვსი წელიწადია ოთხი ვაჭარი გამოიცვალა. რატომ? იკითხავთ.- იმიტომ, შენი ჭირიმე, რომ თუ ქმარს გაყვა ვინმე ჩვენ სოფელში, მაყრად ისინია. დუქანი კი დაუკეტელი. ვინმე ავად გახდა. ღამის სათევად პირველად ისინია, ვითომ ავადმყოფს ართობენ, ნამდვილად კი საარშიყოდ მიდიან. ატყდება ერთი სიმღერა, თვალ-წარბის ბზიკიაობა, ჩაჩურ-ჩულება-ჩალაპარაკება, ხელისგულზე ღიტინი, ბნელაში ჩუმად ფეხებით ლაპარაკი (ფეხებითაც ლაპარაკობენ, ბატონო!) ამას ზედ სხვა ღვთის წყრომაც დაერთვის, შენი ჭირიმე, და ამისთანებს მოცლა

* ვეზდა—მაზრა.

და დროს დაკარგვა უნდა და, რასაკვირველია, ვაჭრობა და მაგ-გვარები ერთად არ შეიძლება. სიმინდს თუ არჩევენ შემოდგომაზე, თუ ქალები არის, — ვაჭარსაც აქ ნახავ და, რა თქმა უნდა, რა გინდ ძვირად ყიდო და იცუღლუტო, ხეირი მაინც არა დარჩება რა. აკი მოგახსენეთ, ხუთ წელიწადში ოთხი ვაჭარი გამოიცვალა. ეს კინ-ტირია კი, ცოდვა არ უნდა ვთქვა, გვარიან ჭკუიანად არის ჯერჯერო-ბით, თუ ესეც არ გადარია ქალებმა, თორემ, მოსეია, ოსეია და გარსევანა ზედიზედ გაკოტრდნენ.

ნიკოიას კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, ისეთი სახე მიიღო და ტუჩებიც ოდნავ გააღო, რომ უკანა კარები აჭრიჭინდა და შემოვიდა ერთი შვიდი-რვა წლის ბიჭი. სახით ლამაზი, თმა უშნოდ გაკრეჭი-ლი, დიდრონი შავთვალწარბიანი; ბიჭი ჭუჭყიანი პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა იყო და წელზე უბრალო ღვედი ერტყა. თავზე არა-ფერი ეხურა, ფეხშიშველი იყო. ხელში ყელზე ბაწარმობმული შავი ლუდის ბოთლი ეჭირა. ბიჭი პირდაპირ ნიკოიასთან მივიდა.

— ა, ბაბა, ივანემ მოიტანა ზეთი, — წყნარა უთხრა ბიჭმა, — კოჭობინა * საჭრაქეზე დგასო გაიანემ და შენ ჩაასხიო.

— კარგი, შვილო, კარგი, — წყნარად მიუგო მამამ, — აბა ერთი ის კოჭობინა მომიძებნე!

ბიჭი მაშინვე გაექანა კუთხეში და საჩქაროდ ჭრაქი მოძებნა. ეს ჭრაქი, ან როგორც ნიკოია ეძახდა კოჭობინა, გახლდათ თუნუქის პატარა ჭურჭელი, რომელსაც ვიწრო ყელში გაყრილი ჰქონდა ვიწროვე თუნუქის მილი ბამბის პატრუქისათვის. კოჭობინაში ნავთს ჩაასხამდნენ, პატრუქს ამოსწევდნენ, მოუკიდებდნენ და ანათებდა.

რასაკვირველია, ამნაირი ლამპა ძლიერ მურავდა და საძაგელი სუნიც ჰქონდა, მაგრამ რა გაეწყობოდა! ნიკოიას აზრით ესეც დიდი ბედნიერება იყო კაცობრიობის განათლებისათვის იმასთან შედა-რებით, რაც მას ენახა.

ნიკოიამ კოჭობინა მოაწყო, მოუკიდა და ხის მაღალ დასადგ-მელზე დადგა. ჭრაქმა მართლა შედარებით გვარიანად გაანათა სახლი.

— შენი შვილია ესეც? — ჰკითხა სტუმარმა.

— დიახ, ბატონო, ეს უმცროსი გახლავს. ობლად დარჩა საბრა-ლო. სულ პატარა იყო, დედა რომ მოუკვდა. ჩემი ხელით გაზრდი-ლია და ძლიერაც მიყვარს.

— კაი ბიჭი გყოლია, სახელი რა ჰქვია?

— ფარნა, ბატონო!

ფარნამ მორცხვად თავი დაღუნა. მამის ახლო გაქვავებული იდგა.

* კოჭობინა—ჭრაქი.

ცოტა ხნის შემდეგ სახლში ნიკოიას დანარჩენი შვილებიც შემოვიდნენ: პეტრე, ივანე, ათანასე. ყველანი ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს და საღი აგებულობისანი იყვნენ. ივანეს ძლივძლივს ამოდიოდა წვერ-ულვაში და ათანასე ასე თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა იქნებოდა.

— რა კარგი შვილები გყოლია, ნიკოია, — აღტაცებით წარმოთქვა სტუმარმა, როცა ისინი ნაბის აქეთ-იქით კერის პირად ჩამოსხდნენ.

— მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე, — თავმდაბლა მიუგო ნიკოიამ, — მე კი არა, ღმერთსა ჰყავს. თუ ღმერთმა მაჩუქა, ვინ იცის, ეგება სიღარიბისაგან გამომიყვანონ. კაცისაგან დასჯილი ვარ და ღმერთმა ეგების არ მომიძულოს.

უკანა კარი ისევ აჭრიჭინდა. ათანასე გაექანა, კარი ოდნავ გააღო და თავი გარეთ გამოყო.

— რა ამბავია, ბიჭო! — მიაძახა ნიკოიამ.

— არაფერი, — მიუგო ათანასემ, კარი ისევ დაკეტა და მორცხვად წაილაპარაკა: ვახშამი მზად არისო, ბაბა.

— დიდი უკაცრავად კი ვარ თქვენთან, თქვენისთანა უცხო სტუმართან, ბატონო, — დაიწყო ჩვეულებრივი იმერული ბოდიში ნიკოიამ, — მარა, ცოტა ხელი წავიბანოთ.

— რის უკაცრაოდ ხარ, შე კაცო, ის კი არა, თუ მკითხავ, მე ვარ უკაცრაოდ, რომ ამაღამ შეგაწუხე!

— არა, შენი ჭირიმე! ბაბა, ათანასე, გამოიტანეთ, თუ რამე გაქვთ.

— ერთი უნდა გითხრა, ნიკოია, — თქვა სტუმარმა.

— მეორეც ბრძანეთ, ბატონო.

— ჩვენ სხვადასხვა ლაპარაკს გადავყევით და რაც უფრო საჭირო იყო ჩემთვის, ის კი დაგვავიწყდა.

— მოვასწრებთ, შენი ჭირიმე.

— ჰა, მოვასწრებთ რას ჰქვია. დადიანმა იცოდაო, ძველად, თურმე! თუ ვისმე სადილად ესტუმრებოდა, სადილის წინ საჩუქარს მოითხოვდა და რაც უნდა ძნელი და მოუხერხებელი ყოფილიყო მისი თხოვნა, უსათუოდ უნდა აესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადილს არა სჭამდა, ხი, ხი, ხი.

— მართალია, ბატონო, — დაემოწმა ნიკოია, — იორდანე ცხვირწკვეტაძეს, მოგახსენებდნენ, კაი აზნაურიშვილი იყო, საუბედუროდ, ლამაზი ცოლი ჰყავდა. ერთხელ ბატონი ესტუმრა და სანამ წადილი არ აუსრულეს, არაფერი მიირთვა.

— ფუ! რა ღორული დროება ყოფილა, — ზიზღით წარმოთქვა პეტრემ.

— ეხ, რაც იყო, ხომ იყო, ჩემო ნიკოია. კარგი იყო თუ ავი, მოუბრუნებლად დაიკარგა. მე კი, სანამ რაზედ წამოვსულვარ არ გავათავებ, ვახშამი კი არა, თეთრი ოქრო არ მინდა.

— მოვასწრებთ, ბატონო, — გულშეუწუხებლად მიუგო ნიკოიამ.

— მოვასწრებთ სადაურია, შენც არ მომიკვდე იმის მეტი, აბა, ჰა, მითხარი, რომელ ბიჭს შეელევი.

— ჩემთვის ყველა ერთნაირად საჭიროა, როგორც მოგეხსენებათ, ღარიბი კაცის ამბავი, მაგრამ... — ნიკოიამ გადახედა ბიჭებს, — აბა, შვილებო, რომელი წაყვებით ამ ბატონს. თქვენ იცით, თუ არ შემარცხვენთ.

პეტრემ, ივანემ და ათანასემ ნელა ჩაიცინეს, ერთიც მამას შეხედეს, ერთიც კონსტანტინეს და ერთიც ერთმანეთს.

— წავლენ, რათ არ წავლენ, ამისთანა კაცთან. ქირას კარგს მისცემს და.. — გამოეხმაურა კუდა.

— ქირაზე ნუ გეცოდები. ჩემი ამბავი აი თქვენს მეწისქვილეს, მაძინიას ჰკითხე თუ გინდა.

— არა, ბატონო, რა თქვენი საკადრისია, თქვენისთანა კაცთან ქირაზე არ მეშინია.

— მაშ მითხარი, თუ კაცი ხარ, ხუმრობა იქით იყოს. ოთხი დღეა, რაც ამ საქმეზე გადავსულვარ, ცხენიც მოვკალი საწყალი.

— თქვით, აბა, წიე? — ისევ მიუბრუნდა ნიკოია შვილებს, — არა, რომელს გინდა წასვლა?

— ამდენს რათ აჭიანურებ, ბაბა, — მიუგო პეტრემ, — თუ მისცემ, კიდევ ივანე უნდა მისცე. ათანასე ჯერ პატარაა. აქ იყოს სჯობიან.

— ჰო!—დაფიქრდა ნიკოია,—ივანეს გავუშვებთ, დავრჩებით მე და შენ ყანაში. ათანასეც უნდა მოვიხმარიოთ, ჩვენ მარტო ვერას ვავხდებით,—ნიკოიამ პირი დამუწა, ყალიონის ტარით ულვაშები გადაისწორა. — თხები კი, თხები ვინღა მწყემსოს? ჰო! ბაბა! ჩემო პატარა ბაბა,—ხმამაღლა და გაგრძელებით წარმოთქვა ნიკოიამ და უმცროსი შვილისაკენ ღიმილით მიიხედა. — ჰო. ბაბა! თხები კი პატარა ბაბამ უნდა მწყემსოს! — მოხუცმა იმდენი ალერსით და გრძნობით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო.

— კარგი, კარგი, ბაბა,—მოისმა პატარა ფარნაკ ბავშვური ტიკ-

ტიკი, — მე ვმწყემსავ თხებს, მე ახლა არ მეშინია. გუშინ ჩემი ნათლიას სახლიდან მარტო მოვედი. ეწერზე რომ მოვდიოდი, სულ ფაჩუნი, ხრიგინი ისმოდა. ტურა-მგელი იქნებოდა. არა, ბაბა? მე კინაღამ შემეშინდა, ჩქარა გამოვირბინე.

ბავშვის ტიკტიკმა ყველა გააცინა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ შენ, მალადეცი ყოფილხარ, ხა, ხა, ხა, ხა, აი ასეთი უნდა ბიჭი, — მოუწონა სტუმარმა. — მოდი აქ, ჩემთან, მოდი, — ალერსიანად დაუმატა მან.

ფარნა თავჩაღუნული იდგა და ცალი თვალით სტუმრისაკენ იხედებოდა.

— მოდი აქ, მოდი, — მოეალერსა სტუმარი.

— მიდი, წიე, მიდი ბატონთან, — მიაძახეს ძმებმა.

ფარნა მორცხვად მიუახლოვდა სტუმარს.

კონსტანტინემ ახალოხის ჯიბეში ხელი ჩაიყო. თეთრი აბაზიანი ამოიღო და ხელში მისცა.

— მადლი, მადლი, შე მუტრუკო! — მიაძახა მამამ.

ფარნამ უიმისოდაც მორცხვად დაღუნული თავი დასწია, ფულს ხელი მოუჭირა და გაბრწყინებული თვალებიანი უკანა კარისაკენ გავარდა.

სახლში ოდნავ მოისმოდა ბავშვის აღტაცებული სიტყვები.

— ბები, ბები, აი მე სტუმარმა რა მომცა, ე...ე...ე!—ტიტინებდა ბავშვი და ხტოდა.

— მაშ ივანე მოდის ჩემთან! ჩემო ივანე, შენ რას იტყვი? — მხიარულად დაეკითხა კონსტანტინე.

— უფროსების ნებაა, ბატონო, — თავმდაბლა მიუგო ივანემ.

— თქვე კაი კაცებო, გაათავეთ, რას აჭიანურებთ. პეტრემ მართალი თქვა... აკი ივანე ამბობს უფროსების ნებააო, მე მთელი წლით მინდა ბიჭი. ჰა, მითხარით რამდენად მომცემთ?

— ჭეთხარი, ბიჭო, — ჩაულაპარაკა ნიკომ პეტრეს.

— შენ უთხარი, ბაბა, მე რა...

— შენ, შენ, მე დავბერდი, შვილო, ახლა თქვენ იცით, ახალი დროის კაცები თქვენა ხართ, — ვითომ და მწყრალად მიუგო მამამ და თეთრ წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— ტანისამოსი და ქალამანი ვისი იქნება, ბატონო? — წყნარად დაეკითხა პეტრე.

— როგორც გნებავთ, ჩემი იყოს, — დინჯად და რიხიანად მიუგო კონსტანტინემ.

— რას უბოძებთ, ბატონო?

— ეს თქვენ მითხარით, თქვენ უკეთ იცით თქვენი ქირა. მე, ვაჭარი კაცი ვარ. ყოველთვის იაფად ვიყიდო და ძვირად გავყიდო, ის მინდა. ეს ვაჭრების თვისებაა. ჯერ თქვენ მითხარით.

— რა ვიცი, უთხარი, ბაბა! — მიმართა პეტრემ ნიკოიას.

ივანე კი თავჩაღუნული და განაბული იჯდა, თითქოს ასამართლებენ და განჩინების წაკითხვას უცდისო.

— ბევრი ლაპარაკით არ შეგაწუხებ, ბატონო, შვილი, ხომ იცით, რა სარფია კაცისათვის და ჩემისთანა ღარიბისათვის, განსაკუთრებით.

— მომიჭერი, კაცო, სიტყვა, — გააწყვეტინა კონსტანტინემ. — მე ვაჭარი ვარ, ხომ გითხარი, პოლიტიკა-ჩოლიტიკის მიბოდიშ-მობოდიშების არაფერი ვიცი, ამაებს ვადა გაუვიდა, ბაბა, ახლა სხვა დროა, ახლა ანგარიშის დროა.

— მაშ გეტყვი, ეს ისეთი ბიჭია, რომ... თვითონ ნახავ! ცოტა მოფერება ქე უხდება. გულიანი კაცია და თუ ბევრი ეღიჭინა კაცი, სულ არ ვარგა, მე კი ხუთი თუმნის ნაკლებ, ეს თქვენ რაცხა.... დღე შეხვედრაზეა კაცო, რომ იტყვიან ისე, პირველ დანახვისთანავე შემიყვარდით, თორემ სხვას არც ექვს თუმნად მივცემ, მამიჩემის სულს გეფიცები... რატომ და... ვამუშავებ აქ ჩვენთან, ახლო მეყოლება, სად სიმრთელე, სად ავადმყოფობა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ავადმყოფობაში მეც კარგად მოვუვლი. ახლა, ჩემო ბაბა, ნიკოია, — ხმის დაწევით გააგრძელა სტუმარმა, — ვაჭრულად რომ მოვიქცე, ახლა უნდა გევაჭრო. შენ ხუთი თუმანი მითხარი, მე სამი უნდა გითხრა. შენ არ დამეთანხმები. მეც უნდა ცოტა-ცოტა მოგიმატო, შენც ცოტ-ცოტა უკლო და ამდენ ღრიჭინ-ჭიჭყინში ტყუილად დრო წავა. არა, ჩემო ბაბაია, ერთს გეტყვი: ორმოცდახუთ მანეთს მოგცემ, ქალამანს და ტანისამოსს ჩავაცვამ.

— ცოდვაა, ბატონო, — კბილების ღრეჭით მიუგო ნიკოიამ.

— არა უშავს რა, გეყოფა.

— ორმოცდარვა მაინც იყოს.

— კარგი, ბაბა, სირცხვილია, — ჩაილაპარაკა პეტრემ, — იყოს ორმოცდახუთად.

— აი, პეტრეც დამეთანხმა, — მხიარულად წარმოთქვა კონსტანტინემ. — ჩვენ სადღეხვალიაოდ კი არ უნდა გვინდოდეს ერთმანეთი. დღეის იქით სულ სხვა უნდა ვიყოთ.

—იმედი მაქვს, ბატონო. აბა, ათანასე, ბაბა! გოგოს უშველე, თუ რამე გვაქვს, გამოატანინე.

ათანასე ვახშმის გაწყობას შეუდგა.

— მე დიდხანს დავრჩი, ამ თქვენ ლაპარაკში გავერთე, — მოიბოდიშა კუდამ.

— სუ, თუ კაცი ხარ, თემა, — მიუგო ნიკოიამ. — ვივახშმოთ და მერე წაბრძანდით.

ივანემ ტაბაკი შემოიტანა, ხელი გადაუსვ-გადმოუსვა, მერე სული გადაუბერა და სტუმარს წინ დაუდგა. ტაბაკზე ცხელი ღომი ჩოგანით დააგეს. ტაბაკი კარგა გრძელი იყო, ასე რომ, კონსტანტინე, კუდა, ნიკოია და პეტრე თავისუფლად მოუსხდნენ ერთი მხრივ. ლობიოს თხელი შეჭამანდი ხის ჯამებზე იყო დასხმული. წვრილად დაჭრილი ფხლის წნილი ფაიფურის ჯამზე ელაგა და შუაში იდგა. ტაბაკზედ იდგა ერთი ჭიქა, რომელშიაც ათანასე დოქიდან ღვინოს ასხამდა. ვახშმის გაწყობაში მონაწილეობას იღებდა ნიკოიას ქალიშვილი გაიანეც, რომელმაც ნავახშმევს სტუმრებს პირის გამოსარეცხი წყალიც მიუტანა.

ნიკოიამ მართალი თქვა, გაიანე ცამეტის წლისა იყო, თუმცა შესახედავად უფრო მეტისად მოჩანდა.

კონსტანტინეს ესიამოვნა გაიანეს ნახვა. მისი ლამაზი და მსუქანი პირისახე და შნოიანი აგებულება გონებაში ჩაესახა, თვალები მხიარულად აუთამაშდა და ოდნავ აენთო. მან ის გრძნობა გამოიარა, რასაც გამოივლის ყოველი ადამიანი, მიუხედავად წოდებისა და მდგომარეობისა, ლამაზი ქალის დანახვაზე.

კუდამაც რაღაც განსაკუთრებით აათვალიერა გაიანე, თითქო პირველად ხედავსო, თუმცა როგორც არა შორეული მეზობელი მას ხშირად ხედავდა.

IV

ნავახშმევს კუდა გამოემშვიდობა მათ და შინ წავიდა. კონსტანტინეს ჭკუაში უჯდებოდა ნიკოიას შვილის დაქირავება და ამ სასიამოვნო ფიქრით გამოწვეული ტკბილი გრძნობის ქვეშ იმყოფებოდა და იმიტომ განსაკუთრებით მეგობრულად ჰკითხა ნიკოიას, როცა კუდა გავიდა:

— ეს თემა რა კაცია?

— რა კაცი იქნება, ბატონო, — ბოროტად უპასუხა ნიკოიამ.

— ისე, ვთქვათ, როგორი მუშაა, როგორი ხასიათისაა, ქონებით, საქონელ-პირუტყვით და ამგვარი...

— ა, ბატონო, უბედურებაც ისაა, რომ მუშა არ არის. მაგისი ყანები რომ ნახო, სიცილით მოკვდები, სიმინდის ღეროს რამდენიმე გოჯ ბალახს მოაშორებს და სხვას ისე მიუშვებს. ამიტომ მისი ყანა უნაყოფოა. ამას თავი დავანებოთ. როცა სიმინდი ნორჩია, შორიდან შესახედავადაც სასაცილოა. ქაჩალი კაცის თავს ჰგავს. აქა-იქაა თოხით ამოფხაჭნილი. იმან იცის მხოლოდ მაშვლობა. თუ გინდა, თვეს თვეზედ გააცდენს, თუ სამაშვლო იშოვნა.

— მაშ, კარგი მაშვლობა იცის?

— ასე, სულ იმის ფიქრშია, ვინ ვის შერთოს.

— კაი ხელობა ჰქონია, ჩემო ძმაო, იმ კაცს.

— კაი ისე მოღვა მაგის თავს... ბატონო, კითხვა სირცხვილი არაა, რაც არ იცი კაცმა, უნდა იკითხო.

— მიბრძანეთ.

— ბატონო, ლეტა-კარში თქვენი გვარი ბევრი სახლობს?

— არც მაინცდამაინც, იქნება ასე ათ მოსახლემდის.

— კაი დაგემართოს.

— ჩვენ არა გვიშავს რა, გვარიანად ვართ. მიწა-წყალი კარგად გვაქვს. კიდევ უკეთესად ვიქნებოდით, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენი კაცის დამღუპველი ავკაცობა. მერაბი ტომბაშვილი ხომ გაგიგონია, ის ჩემი ბიძა იყო.

— ო... ო!.. — გაიკვირვა ნიკოიამ.

— ის ჩემი ბიძა იყო. იმან კინაღამ სულყველანი არ დაგვღუპა. რომ არ მოეკლათ, მთელ ჩვენ საცხოვრებელს დაანელებდა. ღვთისგან მოძღვლებული ქურდი და ავაზაკი იყო. ჩვენ, მე და ჩემი ძმა, პატარები ვიყავით და ის განაგებდა ყველაფერს. ერთ ბეწოზე გადავრჩით, თორემ ჩვენც თავის სამარცხვინო ხელობას დაგვასწავლიდა. საწყალმა ჩემმა გამზრდელმა გადაგვარჩინა. დედ-მამა ადრე დაგვეხოცა, მაშინათვე გამზრდელმა თავის სახლში წაგვიყვანა, მეც და ჩემი უფროსი ძმაც, თორემ მერაბის სიახლოვეს რომ ვყოფილიყავით, შენი მტერი, ახლა ჩვენ ან ციმბირში ვიქნებოდით, ანდა მოგვკლავდნენ. თქვენი სოფლელი როსტომ მძებრაძე იყო დიდი მეგობარი ბიძაჩემისა. თქვენი მეწისქვილე მაძინიაც მაშინ მათ თან ახლდა და საჭირო კაცი იყო.

— უი, უი, მახსოვს, ახლა ქე მივხვდი! — წამოიძახა ნიკოიამ,— ახლა ქე ვიცი მერაბი ტომბაშვილი. მრისხანე შესახედავი კაცი იყო. პა, პა, პა, ის ერთ დროს ქვეყანას აზანზარებდა. ერთი ბედი, თქვენ რომ იმას არ გევხართ. — ამ სიტყვების შემდეგ ნიკოიამ ეპვიანად დაუწყო მზერა კონსტანტინეს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო ნიკოია, მე სრულიად მენდევი. შენ რომ ეჭვობ, ის შორს არის!

— მართალია, ბატონო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ახლანდელი დროება, ძნელი სანდოა კაცი. ქვეყანა გაპადლეცებულია, ბატონო. მე იმდენი ტანჯვა, უსიამოვნება და მოტყუება გამომივლია, რომ ნდობა ყოველი კაცისადმი თითქმის დაკარგული მაქვს.

— ფიქრი ნუ გაქვს, გნებავს ფულებს ახლავე მოგცემ. ვაჭარი კაცი ვარ. გაცვეთილი, ნახევრად მშიერი აზნაურიშვილი არ გეგონო. აზნაური კი ვარ, მაგრამ მარტო აზნაურობამ ვერაფერი გამიკეთა. ორი დუქანი გვაქვს მე და ჩემს ძმას ფოთში. შენი ბიჭი თუ ჭკვიანი და მარჯვე გამოდგა, მე ვიცი და ჩემმა სინიდისმა.

ნიკოიას სტუმრის უკანასკნელმა სიტყვებმა თვალები გაუბრწყინა. კაცისადმი ნდობა მას მართლა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ იმდენად გულწრფელად ლაპარაკობდა კონსტანტინე და გარეგნობაც იმდენად საიმედო ჰქონდა, რომ ნიკოია დარწმუნდა სტუმრის სიტყვების სიმართლეში. იქნება ჩემი შვილი ოდესმე ვაჭარი გახდესო, — გაუელვა სასიამოვნო ფიქრმა...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სახლში მარტო ნიკოია და კონსტანტინე იყვნენ. ნიკოიას შვილები ფაცხაში გავიდნენ. სიჩუმეს მარტო სტუმრის ცხენის ხრამუნი არღვევდა. ეტყობოდა ცხენი ძლიერ მშიერი იყო; ხვრიტი-ხვრიტი გაუდიოდა სიმინდის ჩალას. ნიკოია ადგა, ცეცხლს ფიჩხი მიუმატა და მეორე მხრივ კველაზე დაჯდა.

— ერთი მითხარი, ნიკოია, — ჰკითხა სტუმარმა ცოტა სიჩუმის შემდეგ, — ეს შენი გვარი თოხიტარიები საიდან ხართ მოსული?

— ჩვენ, ბატონო, აქაური აზნაურების, მძებრაძეების ნაკაცარი არ გახლავართ. (ნიკოია ამით ამაყობდა). ჩვენ, ბატონო, როგორც მოგახსენებ, ილორიდან მოვსულვართ. დაილოცა მისი სახელი, მისი მოსამსახურე ვყოფილვართ. იქ ჩვენ ძველს, უბედურს, რაღაც ცუდი საქმე ჩაუდენია და აქეთ გამოქცეულა. ძველად, როგორც უკეთ მოგეხსენებათ, თუ დამნაშავე ერთი სოფლიდან მეორეში გადავიდოდა, თავისუფალი იყო. ახლა კი, ბატონო, წებელიდან მოგიყვანენ, თუ მოიწადინა ვეზნაჩალიკმა. გამოქცეულა საწყალი და მოსულა აქ, აქ კი არა, ჯერ ხახუ აფხაძეს მიჰკედლებია. ხახუ აფხაძე ყოფილა მაშინ ზემოკენჭილში, დიდი თავადიშვილი. ჩვენი ძველის გვარი მაშინ თოხიტარია არა ყოფილა, სხვა ყოფილა რაღაც, პაპაჩემი იტყოდა, მაგრამ არ მახსოვს.

— არც სახელი გახსოვს?

— სახელი კი, ბატონო, ბიჭია რქმევია. ეს ბიჭია კაი მოწონებული ყოლიათ თურმე აფხაძის სახლში. მაშინ, ხომ მოგეხსენებათ, ბატონობა იყო და ერთხელ თურმე უბრძანეს ბიჭიას ბონი გაეკეთებინა. აფხაძეებიც ილორის მლოცველები ყოფილან და ყოველ წელიწადს ბონი უნდა გაეგზავნათ ხოლმე.

—ეს ბონი რაღაა, გამიგონია კი და არ ვიცი კარგად!

— ბონი, ბატონო, სწორად გათლილი ხეა, უღლის სიმსხო და სიგრძე მრგვალად. გარეთ წითელ ალის ჩითს შემოაკრავდნენ და მიჰქონდათ წმინდა გიორგთან შესაწირავად. დაილოცა მისი სახელი, — მოწიწებით თქვა ნიკოიამ. — ამ ბონის გაკეთება აფხაძემ თურმე ბიჭიას მიანდო. ბატონს უნდოდა, ბონი მსხვილი გამოსულიყო, ბიჭიას კი ცოტა წვრილი გაეკეთებინა. თავად აფხაძეს დაუთვალიერებია ახალგაკეთებული ბონი და არ მოსწონებია. ეს რა გაგიკეთებია, ჩემო ბიჭია, ეს ბონი კი არა, თოხის ტარიაო?.. სხვა მოსამსახურეებს სიცილი აუტეხიათ, ხომ იცით, სავსე ყოფილა მაგის ოჯახი ყმებით. უსაქმო კაცებს სალაპარაკო და თავის შესაქცევარი უშოვნიათ. ეს რა არის, ბიჭია, თოხის ტარიაო, გახუმრებია ერთი, მას მოჰყოლია მეორე: ბიჭია, თოხის ტარიაო, და ამნაირად, იქით და იქით მისი გვარი სულ თოხიტარიაზე გადასულა.

ერთხელ, აფხაძეს თურმე შენი ბიჭიას გაყიდვა განუზრახავს. ეს შეუტყვია საწყალს და გამოქცეულა მთავართან და იმას შეფარებია. მთავარი თურმე ემტერებოდა აფხაძეს და ბიჭიას მისვლა ძლიერ გახარებია, მიუცია ადგილი და აქ ჭყონნაში დაუსახლებია.

— ადგილ-მამული კარგად მიუცია?

— ახლა ვისაც აქვს, იმას აქვს, შენი ჭირიმე, თორემ რატომ არა. აი დღეს რომ ბრძანებულხართ იმ წისქვილის სათავესთან, ისე კუთხურად, ალმაცერად ძევს მათი მიწა. კალონით მეც მქონდა წილი, მარა მე გამომაგდეს. ამ ერთი ბეწო მიწის მეოხებით მძებრაძეებს წილში შეუვიდნენ და დღეს მზამზარეული ლუკმა აქვთ!

— შენ კი გაქვს, ნიკო, იმ ჭალაში მამული?

— ვაი, ჩემი ცოდვა! იმაზე არაა, რომ წეღან გაგახსენე კაცისაგან დასჯილი ვარ-მეთქი. ამდენი გამოცდილება სად იყო, ვის ჰქონდა! ასე ქვეყანა თუ ყირამალა გადატრიალდებოდა, ვინ მოელოდა! მიწას ძველად ვინ აფასებდა. საცა გინდოდა, იქ მოხნავდი და დათესავდი, მოხნავდი კი? იმის ჭირი არ იყოს, რომ ქართული გურთანს გაატარებდი! სად იყო, ბატონო, ან სახნისი, ან გახედნილი ხარი. ხანში შესული კაცები სადმე მშრალ და ფერდო ალაგს ღომს ან სიმინდს თოხით მიაჩხრეკავდნენ და მორჩა. ასაკით ოცი წელზედ

ნაკლებ კაცს ვინ ნახავდა მუშას! დაწვერულვაშებული ყაძახები ან ჭარკინს თამაშობდნენ უნიფხოდ, ან თხებს მწყემსდნენ.... მიწას სადაც მინდოდა, იქ ვამუშავებდი, თუ შემეძლო. ამდენი საზღვრები ვინ გაიგონა? ვმუშაობდით მე და ბიძაჩემი სიმონიკა. ვაგინო, გინებით რა გამოვა, რას ჩამოვრჩები. ღმერთმა, როგორც ემართლებოდეს, ისე მიაგოს! ვმუშაობდით ერთად, სახლშიაც ვცხოვრობდით ერთად. ბოლოს, როცა უსტავნი ღრამანტაოო დაიძახეს, წავიდა სიმონიკა, უფროსი ის იყო და თურმე რაც კაი ადგილები იყო ჩვენი, ორივესი ნატეხი, თვითონ თავისთვის ჩაეწერა და რაც ხრიაკი და უნაყოფო, — ჩემთვის. აბა, მე რა ვიცოდი, რა ძალა ჰქონდა ღრამანტას. ამასაც არ დამჯერდა. დამიდგა შარები, მომიგონა ჭორები და სახლიდან გამომაგდო. ცოლ-შვილის პატრონი კაცი. სამი შვილი მყავდა. ერთი ქალი იყო უფროსი, — მომიკვდა უბედური,— და პეტრე და ივანე. ივანე მაშინ პატარა იყო. ბატონყმობა რომ გადავიდა, ბოტონო, სწორედ იმ წელს დაიბადა ივანე, ახლა, ბატონო, რამდენი წლის ყოფილა ივანე?

— ბატონყმობა ჩვენში რომ გადავიდა, იმ წელს დაიბადა? — დაეკითხა კონსტანტინე.

— დიახ, ბატონო!

კონსტანტინემ ჩუმ-ჩუმად ლაპარაკი დაიწყო და თან ხელის თითებს ზედიზედ ჰკეცავდა. „ოთხი... ათი.... თოთხმეტი... თხუთმეტი, ჩვიდმეტი... თვრამეტი...", ისევ გაიმეორა და მერე ნიკოიას მიუბრუნდა:

— სამოცდა ექვსში იყო ხომ, ბატონყმობის გარდასვლა?

— რა ვიცი, ბატონო, რომელში იყო. მე ამდენი ქორონიკონი ვინ მასწავლა!

— ჰო, სამოცდაექვსში იყო და ახლა მას აქეთ თვრამეტი წელიწადი გავიდა და მაშ, ივანე თვრამეტის წლისა ყოფილა.

— თო! დაბერებული, ყვე, დიდება შენდა, რა ერთ წუთს გადის ეს წელიწადი, შენი ჭირიმე, გუშინ იყო, მგონია... მერე, ბატონო, იმას მოგახსენებდით: დავრჩი ღვთის ანაბარა, გამოვიღე ხელი, მაგრამ რას გახდები... სახლი მე არა მქონდა, ხარი მე არა მყავდა, მიწა, სახნავ-სათესი რიგიანი მე არა მქონდა, შვილი მოჭიშე მე არა მყავდა! რა უნდა მექნა? ბრალი კი ყოველისფერში მე მქონდა. სიმონიკასთან რომ ვცხოვრობდით! დღე და ღამე ერთად მიგვაჩნდა ცოლქმარს, ისე ვშრომობდით! ის კი არა, სიმონიკამ დაინარჩუნა ყოვლისფერი და ჩვენ კი ღვთის ანაბარა დაგვტოვა. რა მცირეწლოვანი ვიყავი მე მამაძაღლი, — თითქმის მიაყვირა ნიკოიამ, — ცოლი რომ

შევირთე, მაშინათვე გავყოფილიყავ მაგისგან. ჩემთვის მეშრომნა, რა უჭირდა! მას აქეთ ვიტანჯე, სიმშილი, წყურვილი, სიტიტვლე და აი რასაც ჰხედავთ, ძლივს-ძლივს კვამლი გავუშვი. ბაღნებიც, საცოდავები, როგორც არის, მომესწრნენ. ერთი ორი წელიწადი ქია, სიმინდი წლიდან წლამდის მყოფნის და ცოტას გასაყიდადაც ვრჩები. ჩემი მიწები ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ვართმევ სხვას ჭალას სანახევროდ, ძნელია, ორკეცი შრომაა, მაგრამ რას ვიზამ. ხუთი წელიწადი, ბატონო, სახლი არ მედგა და სასიმინდეს ქვეშ გავატარე. ახლა კი ცოტა რომ მოვჯობინდი, საწყალი ქალი მომიკვდა, ერთი თეთრი დღე, რომ იტყვიან, არ ღნახავს უბედურს, სულ შრომა და ჯახრიკში გაატარა გამწარებული სიცოცხლე.

— აცხონოს ღმერთმა! შვილები კი კარგები დაუტოვებია შენთვის. მართლა ცოდვა კი ყოფილხარ, მარა, რას იზამ, ჩემო ნიკოია, ქვეყანა ახლანდელ დროში სიყალბეზეა დაშენებული. ვინც გინდა იყოს, ბიძა კი არა, შვილიც, სუყველა ახლა თავის ჭკუისთვის ზრუნავს.

— ეხ! რაც იყო, იყო. ღმერთი ახლა ბაღნებს რომ მიცოცხლებდეს, ბევრიც ვინაღვლო, რას გავაწყობ... ის წისქვილი ძლიერ გულსა მწვავს.

— შენ, ნიკო, ბევრს რასმეს მოსწრებიხარ, ეტყობა. აქ ხომ სასახლე იყო? — ცნობისმოყვარული კილოთი დაეკითხა სტუმარი.

— ბევრს, ბევრს, ბატონო, რას არ მოვსწრებივარ. დაილოცა შენი სახელი, როგორ გამოიცვალა ქვეყანა. მამაჩემს, ბატონო, ჩემს გარდა შვილი არ დარჩენია, არც კი მახსოვს საწყალი როდის გარდაიცვალა. მე ობლად დავრჩი. ხომ იცი ობლის საქმე, ყოველ კაცის საქაჩავებელი მე ვიყავი. ამასთანავე დროებაც ცუდი იყო. ახლა განათლდა, ბატონო, ქვეყანა, სინათლემ შემოაჭყიტა, კაცს არაფერი არ გაუკვირდება, თორემ მე რომ მოვსწრებივარ, ვინ მოგცემდა ნებას ან სახლი გაგეკეთებინა, ან ხულა, ან მარანი, მაშინათვე ბატონი წაგართმევდა, ხელმწიფე თვითონ იყო. ცხენი ან უნაგირი, ან ხარი, ან ძროხა კარგი თუ სადმე გაჩნდებოდა, მისი იყო. ამას ბევრი ბოდიში არ ღნდოდა. თითქმის ცოლი... წარმოიდგინეთ, ლამაზი ცოლის ყოლაც საშიში იყო... დედა, დედა, მე რომ მინახავს, ის ენით არ გამოითქმება... — ნიკოია ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე განაგრძო: — მერე იმ ამოსაწყვეტ ქორ-მეძებრებს რომ უნდოდა ქათმები... ახლანდელ დროში, ქე მაინც გადასახადს ზომა აქვსო, ბატონო, ზომა. რიგიანი პირნათელი თანამდებობის კაცები არა გვყავს, თორემ გადაიხადე შენი ვალი და მოისვენე! მაშინ კი

არაფერს არ ჰქონდა ზომა. რასაც დაინახავდნენ შენს სახლში ხელ-მოსავლებელს, მოიტაცებდნენ და გააქანებდნენ ბატონის სახლში. სულ წმიდათ დაღუპული იყო აზნაურის კაცი, ბატონო. იმას თავისი ბატონი აზნაური ცალკე ემუქრებოდა, საერთო ბატონიც ცალკე. აქეთ რომ ციხე მოჩანს, იქ იყო სასახლე. გალავანი შიგნით ოდებით იყო დარაბადებული, სახუცეცი იქ ცხოვრობდა და მოურავი. დივანბეგებიც იქ ბრძანდებოდნენ; მაგრამ ახლა უსამართლობამ გვერდები გამოუნგრია ციხეს და ოდების ნაფოტიც არ დარჩენილა. მარტო ერთი ბუხარიღა დგას ნახევრად დანგრეული.

ყოველ ცისმარე დღეს დადიოდნენ, ბატონო, ბოჭვერები* და ჰკრეფდნენ: ქათმებს ღორებს, ცხვარს, კვერცხს. რასაც ხელს მოავლებდნენ, და მიჰქონდათ გალმაძღრის ოჯახში. საწყალი ერთი ბატონის მოჯალაბე იყო, ბებელია ერქვა, ხანდახან იმას გზავნიდნენ ქათმების მოსაგროვებლად. ჭირივით ეჯავრებოდა საწყალს სხვისი შეწუხება, მაგრამ რა ექნა! ის თავის დღეში არ დამავიწყდება. წამოვიდოდა, გადადგებოდა ფერდობზე, გადმოძახებდა დიასახლისებს: „ნანაია, ნანაია, დაიჭირე, დაიჭირე, უსამართლო ოჯახი, უსამართლო ოჯახი...“ უსამართლო ოჯახისთვის მინდა, დედა, ქათამი დაიჭირეო.

უფრო ხშირად კი ლეჩხუმელები დადიოდნენ. ისინი კი ბევრს არ მოგერიდებოდნენ. ეზოში რომ შემოვიდოდნენ, გამარჯობის თქმის მაგივრად საქათმისაკენ გასწევდნენ და თუ რასმე ნახავდნენ, ლაპარაკი არ იყო საჭირო.

ერთ წელიწადს, ძლივს მახსოვს, არ მოგვცეს საშველი, რაცხა აიჩემეს ჩვენი ოჯახი. ძალუაჩემი ადგა და სამი კრუხი საბუდარიანად ტყეში გადაიტანა, მამალიც იქვე ხეზედ ბაწრით მიაბა.

გაჩნდენ ჩვეულებრივ მბოჭველები. ერთ ლეჩხუმელს, მახსოვს, ფილიპე ერქვა.

— აბა დეიდა, ქათამი!—მოსვლის უმალ მიაძახეს ძალუას.—აი, ბატონებო, — მწუხარედ მიუგო ძალუაჩემმა, — თქვენი თავი ნუ მომიკვდება, ჩემი ოტია ნუ მომიკვდება. ქათამი ჩემთან ვინ გაიგონა ახლა. უკანასკნელი დედალი გუშინწინ ქე მოგართვით, ხომ გახსოვთ, და ერთი წუხელ ნათლია მესტუმრა და იმას დავუკალი. მეტი არა მყავს, დღევანდელი დღის მადლმა, არა, თქვენი თავის მზემ, თუ გინდათ, ნახეთ.

* ბოჭვერები—მბოჭველები.

ძალუაჩემი კარგად იცნობდა ლეჩხუმელებს, მაგრამ საუბედურ-ოდ ისინიც კარგად იცნობდნენ ძალუაჩემს და მისი ფიცისა არა აწამდათ რა. იმათ მაშინათვე ეპვი აიღეს მისი სიტყვების სიმართ-ლეზე და საჩქაროდ საჩხრეკად გაექანენ: გაჩხრიკეს საქათმე, ფაც-ხა, აქეთ, იქით, ძველი ღომის საცეხველი ჩამურა, თუ ეგდო სადმე, მაგრამ არა და არა.... ვერაფერი იპოვნეს.

— მართლა არა ჰყოლია, კაცო, წავიდეთო, — უთხრა იმ მეორემ ფილიპეს.

— კარგი, კარგიო, — ნაღვლიანად მიუგო მან და წასვლა გაა-პირა.

ძალუაჩემს გული დაუმშვიდდა და შვებით ამოისუნთქა. აქ დროს საეშმაკოდ ტყეში მამალმა ქე არ მიაყივლა! ხი, ხი, ხი.

— აი, აი, აი! — სიხარულით წამოიძახეს ლეჩხუმელებმა და სირბილით გაექანენ იქითკენ, საიდანაც მამლის ყივილი ის-მოდა.

ცოტა ხნის შემდეგ. სამი დედალი და ერთი მამალი, ოთხივე გამოათრიეს. ყუთ... ყუთ... ყუთ... ჭყიოდა მამალი, თითქოს თავის შეცდომას გოდებსო. მაგრამ გვიანღა იყო სინანული.

— დედაია და დედაია. — მხიარულად დასძახა ფილიპემ ძალუ-ას, — ერთს არ მაძლევდი და ოთხი ქე წამოვიყვანე... ბატონი ნუ მომიკვდება, ოთხი დღე არ მოვალ შენთან და...

ისინი ხუმრობდნენ და ძალუაჩემი კი, რო დაგეკლათ, წვეთი სისხლი არ წამოუვიდოდა. კიდევ კარგი, რომ მამაკაცები შინ არ იყვნენ. მე პატარა ვიყავი, თორემ უბედურება დატრიალდებოდა.

— ჰაი, სასწაული, — სიცილით მიუგო სტუმარმა, — რა ამბები ყოფილა, კაცო, მერე იშოვეთ ქათმები?

— ძალუამ სადღაც იშოვნა. მერე კი მოგეცა ღვთის წყალობა, ვისწავლეთ ჭკუა! ქათმებს ტყეში ვინახავდით, მე ვყარაულობდი და მამალსაც ხშირად ნისკარტს შევუკრავდით, რომ არ დაეყივლა და თავისთავი არ გაეცა. ასე ვიტანჯებოდით, სანამ წიწილები ცოტა არ წამოიზარდებოდნენ და მერე რა გაეწყობოდა, ვაძლევდით თითო-თითოდ. ეჰ! ბატონო, დაწვრილებით სად წავა! ახლა ღმერთ-მა და ხენწიფემ ქვეყანა აააათლა, ჩვენ რომ ვვარგოდეთ...

— მოგაწყინეთ, ბატონო, დაისვენეთ, შენი ჭირიმე! — დაე-კითხა ნიკოია სტუმარს.

კონსტანტინეს მართლაც ძილი ერეოდა და ცოტ-ცოტად ეთვლემდა, თუმცა ცდილობდა ძილი დაემალა და თვალებს ძალზე

ალებდა. ნიკოიამ გოგოს დაუძახა და სტუმრისთვის ლოგინი დააგებინა.

მეორე დილას კონსტანტინემ ბეს სახით თუმანი დაუტოვა ნიკოიას, ივანე წინ გაიძღოლა და თავის სოფლისკენ გასწია.

V

აზნაური ბასილ მძებრაძე

აზნაური ბასილ მძებრაძის მოსახლეობა ს. ჭყონონაში მდინარე ჭანისწყლის პირად, ვაკეზე იყო გაშენებული. წარმოიდგინეთ რვაცხრა ქცევა მიწა, ხელისგულივით სწორი, ირგვლივ მაღალი ალვის ხეებით შემორგული, შუაში ერთგვარი ოთხთვალი ოდა, რომლის მსგავსი ხშირია სამეგრელოში, ყავრით დახურული, წინ გასწვრით აივნიანი, ჭახრაკით მრგვალად დათლილი რიკულებით და ლამაზი, ექვსთვალიანი ფანჯრებით. ოდის წინ, ეზოში, მაღალი ბალახი, კოლინდარი იყო დათესილი და აქა-იქ არეულად იდგა რამდენიმე ძირი ხეხილი: მსხალი, ვაშლი, სხვადასხვა ჯიშის ატამი, ქლიავი და სხვა... ოდის გვერდით კარგა მოზრდილი განის სახლი იდგა, ისლით დახურული და მის უკან ცოტა მოშორებით, ორი სასიმინდე, — ერთი მოდიდო და მეორე შუათანა, ორივე ყავრით დახურული. ოდის პირი ჩრდილოეთისკენ იყო მიქცეული და მარცხნივ, ე. ი. დასავლეთისაკენ, ოდიდან ასე ოცდახუთი საჟენის სიშორეზე ბეღელი იდგა ერთთვალი, სქელი და მკვიდრი მუხის ფიცრებისაგან გაკეთებული, რომელსაც წინა კედლის შუაგულ ჰქონდა გამოჭრილი პატარა კარი, რომელშიაც კაცი მხოლოდ ზედ გადაჩოჩვით შევიდოდა.

როგორც ეზო და სხვადასხვა შენობანი, აგრეთვე ოჯახის მორთულობა ადგილობრივ ცხოვრების მცოდნე პირს აშკარად ეუბნებოდა, რომ ბასილი არ იყო პირველხარისხოვანი მდიდარი, მაგრამ ღარიბებშიაც არ ჩაითვლებოდა. მდიდარი არ იყო, ე. ი. საფანტავი ფულები არა ჰქონდა, მაგრამ ღარიბიც არ იყო. ე. ი. ჯერ ერთი, რომ თვითონ არ მუშაობდა, ისე შეეძლო თავის მამულში შემოსული სიმინდით წლის განმავლობაში უდარდელად გამოკვებილიყო და სამას-ოთხასი ფუთი სიმინდი გაეყიდა. თავის მამულშივე შემოსული იზაბელას ღვინო წლითიწლობამდის არხეინად ყოფნიდა, ყოველდღე, სადილ-ვახშმად თითო ბოთლის ხმარებით და დღესასწაულებში კი ჩვეულებრივ ყოველ შობა-ახალწელიწად-

ნათლიღებას თითო გასუქებულ ღორს ჰკლავდა და აღდგომას ან ხბოს ან ორ-სამ ბატკანს მაინც. სამი ჩოხა უზურში ჰქონდა, ერთი სულ ახალი, მეორე მოძველო და მესამე საშინაო; ერთი საგარეო, მეორე წირვაზე წასასვლელი, ან სადმე სოფელ შიგნით და მესამე — ძველი, სახელოებჩახეული. ერთი მაღალყელიანი ჩექმა ჰქონდა, ორი სამოგვის წუღა, ერთი შინაურულად აბრეშუმის ძაფით შეკერილი და მეორე ხარაზის შეკერილი, ქართულად. ხანდახან, ზამთარში, უბრალო მოუმზადებელ ტყავისაგან შეკერილ ქალაქანსაც ჩაიცვამდა ხოლმე საშინაოდ. მასრები, ქამარ-ხანჯალი და ხმალი რიგიანი ჰქონდა, როგორიც ეკადრებოდა მის ღირსების, ტახტის აზნაურიშვილს, როგორც ეძახდა თავისთავს. ხან სამი, ხან ორი და ხან ერთი ცხენი ხომ მიუცილებლად ჰყავდა უნაგირიანად.

მეორე ისა, რომ ხუთი, ათი თუმანი მუდამ გაჭირვებისათვის ხელში ჰქონდა. ოცი, ოცდაათსაც და მგონი ორმოცდაათსაც სხვას ევალებოდა. ბასილ მძებრაძე ღარიბიაო არავინ ამბობდა და მდიდრის სახელიც კი ჰქონდა გავარდნილი საზოგადოებაში.

ჩვენი ნაცნობ წისქვილიდან მის ეზომდი პირდაპირი საცალფეხო გზით ორას საჟენზე მეტი არ იქნებოდა და სათემო გზით კი ვერსტზედ მეტი იყო.

ბასილის სიმდიდრე-სიღარიბის დასახასიათებლად ისიც უნდა ვთქვათ, რომ მას შეძლება ნებას აძლევდა ერთი მოჯამაგირე და ერთი მოსამსახურე გოგო მუდამ ჰყოლოდა.

იმავ დილას, როცა ნიკოია თოხიტარიამ კონსტანტინე ტომბაშვილი თავისი შვილი ივანეთურთ ეზოდან გააცილა, ბასილი მძებრაძე იჯდა დარბაზის ბუხართან. ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა და ბრწყინვალედ ანათებდა ბასილის სახესა და ბუხრის არემარეს. ბასილი ჯერ პირდაუბანელი იყო და მისი გრძელი ჭაღარა წვერი ჩვეულებრივ არ ირხეოდა მის მკერდზე; დაუვარცხნელი, აბურძგნილად მიჰკროდა ნიკაპსა და ლოყებს. ბასილის სახეზე ახლად გაღვიძების სიზანტე იხატებოდა.

ის შეექცეოდა ყალიონს, რომლის ბლის გრძელი ტარი ცეცხლის შუქისაგან ლალივით წითლად ბზინავდა.

— ოჰო.... ჰოი... ღ... უ.... — ნელა ჩამოთქვა, ჩაამღერა ბასილმა, რაც ჩვეულებად ჰქონდა, განსაკუთრებით, როცა მოწყენილი იყო; ერთიც ზანტად დაამთქნარა, ყალიონის ტარი პირში ჩაიდო და ძალზე მოუპლაკუნა, მაგრამ ბოლი ვერ გაუშვა, რადგან ყალიონი ჩამქრალი იყო. ერთიც ზანტადვე ჩახედა ჩიბუხს, ნეკიც ჩაჰყო და, როცა დარწმუნდა, რომ შიგ არაფერი დარჩენოდა,

ჩიბუხი ბუხრის სვეტს მიაყუდა და ერთიც გააზმორა. თითქმის ზეზე ადგომასაც აპირებდა, რომ წინა ოთახში, რომელიც დარბაზის მარჯვნივ იყო, ნაცნობი ფეხის ხმა მოესმა.

— ხარდანაძის ქალო-მეთქი! — ბოხი ხმით დაიძახა ბასილმა.

— რა არის, რა? — ცოტა უკმაყოფილოდ მოისმა ქალის ხმა.

— კიდევ ვერ მომიძებნე?

— „კიდევ ვერ მომიძებნე!“ — ბოხადვე გააჯავრა ქალმა. ქალი იყო მისი მეუღლე, ქ-ნი მარიკა, ბეჟან ხარდანაძის ასული, და ამიტომ ქმარი, უბრალოდ, ხარდანაძის ქალს ეძახდა.

— კიდევ ვერ მომიძებნე! — გაიმეორა მარიკამ,—რამ აგაჩქარა, ვეძებ! განა მეტი საქმე არა მაქვს? ჩემი მტერი, სხვისი ხელის შემყურე, აგვარას კარი ღია დაუტოვებია ბიჭს და ხბოებს ძროხები ქე მოუწოვიათ, ამდგარიყავი, შე კაცო, და მიგეხედა!

— შენ რათ არ მიჰხედე, ძროხა და მაგნაირი წვრილმანი დედაკაცის საქმეა. მე... მე სულ ახალგაზრდა ნუ გგონივარ, ორმოცდაათი ქე მისრულდება, მგონია, ხელ-ფეხი მომაკლდა.

ბასილს ცოტა ქე უყვარდა წლოვანების დამალვა, ნამდვილად კი სამოცი წლისა იყო.

— შენმა მზემ, დედაკაცის საქმეა! უიმისოდაც მოახლე გავხთი მძებრაძეების, — წყენით მიუგო მარიკამ, — ცხონებული დედა-ჩემი მზიან დღეში გარეთ არ გამომიშვებდა, მზის სხივები გაწყენსო და აქ, შენს ხელში, ჩაჩნის ქალს დავემსგავსე. აი, ის ოხერიც, ძლივს არ ვიპოვე! — კმაყოფილებით დაუმატა მარიკამ.

ამ სიტყვებთან რაღაც ქაღალდის შრიალიც მოისმა ოთახიდან და მერე თვითონ დიასახლისიც გამოჩნდა კარებში ნახევარ ფურცელ, შუაში გაკეცილ და ერთ მხრივ დაწერილი ქაღალდით ხელში.

დიასახლისი იყო შუათანა ტანისა, გვარიან კარგა ჩასუქებული ქალი, ასე ორმოცი, ორმოცდაორი წლისა. მარიკა თავის დროზეც დასახატავი ლამაზი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ულამაზო დაერქმეოდა. ახლაც არა უშავდა რა, გვარიანი ეშხიანი ქალი იყო. პირისახე საღი ჰქონდა, მხოლოდ, საუბედუროდ, კალის უმარილის გადაჭარბებით ხმარებისაგან. ალაგ-ალაგ პირის კანი დანაოჭებოდა.

— აი შენი ქაღალდი, ცეცხლი რომ მომიკიდე, აი ჩქარა, აი ჩქარაო...

— ნამდვილად ეს არის? — მშვიდად ჰკითხა ბასილმა.

— ეს უნდა იყოს.

— მე კი ვერ ვარჩევ ხელნაწერს უსათვალოდ და სათვალე კი არა მაქვს, ღვთის წინაშე, ვერც სათვალიანად ვკითხულობ

რიგიანად და შენ თუ წამიკითხავ, თორემ ბათლომეს უნდა დავუ-ძახოთ, დაბეჯითებით უნდა ვიცოდე ეს ქაღალდია, თუ არა.

— მეც ვერ ვარჩევ რიგიანად, მაგრამ ნამდვილად ეს უნდა იყოს. დრიმინტია ჭანდრაკელიას თამასუქი არ მითხარი?

— ჰო, ჰო, დრიმინტის!

— სწორედ ესაა, ცალკე მქონდა გახვეული. თუ გინდა, შეიძლება გავარჩიო.

მარიკამ ქაღალდი ცეცხლის პირად მიიტანა, გულდადებით თვალიერება დაუწყო და, თან ნაჭერ-ნაჭერ სიტყვებს ისროდა: უეზდის... მუცხოვრებმა... დრი... მინტია... ჭან... დრა... კე... ლიამუ...

— ეს ყოფილა, ეს! — სიხარულით წამოიძახა ბასილმა, ცოლს ქაღალდი გამოართვა, ერთიც თვითონ დახედა, ზეზე წამოდგა და ახალი ახალოხის ჯიბეში შეინახა. მერე საჩქაროდ ცოლს მიუბ-რუნდა:

— აბა, ხარდანაძის ქალო, გოგოს უთხარი პირი დამაბანინოს. რამე საუზმე მაჭამოს და გავწევ, თორემ სუდს შეიძლება ვერც კი მივუსწრო. მეტი არ შემიძლია მოვუთმინო, ერთის წლის ვადით ვასესხე და აგერ ხუთი წელი წრეულს იანვარში შესრულდა და რა ვქნა, მეც მიჭირს. აგერ ნააღდგომევს მარშალი გვიბარებს. ვინ იცის, რა გაჭირვება მოგველის. შეიძლება რაც ჭორები დადის, მართალიც გამოდგეს და აზნაურებსა და თავადებს ღირსების დასა-მტკიცებლად საბუთები მოსთხოვონ.

— რას ამბობ, ძეკუს მამავ! — თუმცა უკმაყოფილოდ, მაგრამ ცოტა არ იყოს შეშინებული სახით მიუგო მარიკამ. — სოფელში რაღაცაებს რომ ბოდავენ, განა სათქმელია? საბუთების მოთხოვნას ვინ გაუბედავს მაღალ საზოგადოებას, მაღალ წოდებას, იმ შეჩვე-ნებულ მაძინიას უხუმრია წისქვილში და წისქვილიდან, ხომ იცი, ამბავი ყოველგან ქარივით მოიფინება. დრიმინტიასთან საბოდიშო რა გაქვს არ ვიცი? ათასი გვიჭირს. ძუკუც აგერ, დაყაძახდა, საცაა წვერი ამოუვა, ენაცვალოს დედამისი, დროა კაცურად ჩავაცვათ, დავახუროთ. სააღდგომოდ კაი ჩოხა თუ არ შემიკერე და ახალი უნაგირი საკუთრად არ გამომიწყვე, კლასში არ წავალო.

— ჩოხა კი არა, ახლა ისიც, — წყენით შენიშნა ბასილმა და მერე დამშვიდებით გააგრძელა: — ხარდანაძის ქალო, შენ მაგ ბალანას გააფუჭებ, გააფუჭებ-მეთქი, მოფერება-მოფერებით. რათ უნდა ჩოხა, უნაგირი, აბრაგად ხომ არ გინდა. ჯერ ისწავლოს და მერე ყოვლისფერს მოასწრებს.

— აკი სწავლობს, შე კაცო! გული უნდა გაუთამამო. ბავშვია

ჯერ... აი მართლა, აი მართლა! ადრე გაუჩქარე, დღეს პარასკევია და ზუგდიდში შემოიტანენ გასაყიდ შალებს. კაი საჩოხე თუ ნახო, უსათუოდ მომიტანე. მერე ვერც კი მოვასწრებ შეკერვას. რამდენი დღე დარჩა თანაფამდი, * ძუკუს მამა?

— ზეგ კვირა არ არი? იმის სწორი ბაიობაა. მღვდელმა სთქვა. წრეულს ბაიაობა და ხარება ერთი დღე არისო, და იმისი სწორი ხომ თანაფაა.

— დედა, ღმერთო, მარტო ორი კვირა რაღა უნდა მოვასწრო! ჯერ ნემსიც არაფერში გამივლია. ნეტა ადრე წაგეღო ეს თამასუქი; შეიძლება ამდენ ხანს ამოგეღო რამე. ახლა კი როდის იქნება. დედა... დედა, — აწუწუნდა მარიკა, — ერთი არშინი ფართალი ჯერ არ მიყიდია.

— დალოცვილო! ასე ჩქარა ამოღება კი არა, გაის ამა დღეს მშვიდობით ამოგეღოს დრიმენტია ჭანდრაკელია მაზაკვალისგან ვალი. მაგისთანა რაზბონიკი მეორე არ დაიარება მთელ ვეზდაში.

ბასილმა ხელ-პირი დაიბანა, წვერ-ულვაში დაივარცხნა, ახალი ჩოხა ჩაიცვა, ახალი ჩექმებიც. რა სათქმელია, ხმალ-ხანჯალში გამოეწყო, ერთი ბოთლი ღვინოც ხელდახელ გამომცხვარ მჭადს და ფხალის წნილს დააყოლა, ბიჭიას ცხენი შეაკაზმვინა, ნაბადი წამოიხურა და სამაზრო ქალაქისაკენ გასწია. ცხენდაცხენ ბიჭს სხვადასხვა დარიგება მისცა, სად და როგორ ემოქმედა.

ბასილი მძებრაძე არ იყო მაინცდამაინც ისეთი ცრუმორწმუნე, როგორც საზოგადოდ ბევრი მისი ნაცნობ-მეზობელი, მაგრამ საუბედუროდ, სრულიადაც თავისუფალი არ იყო ამ სენისაგან. განსაკუთრებით მას სწამდა სამი რამ: ერთი: წითელმა კაცმა თუ გიფერხა, იმ დღეს გზაზე არ უნდა წახვიდეო. მეორე: თუ კურდღელმა გზა გადაგირბინა, საქმის გაფუჭების ნიშანია და მესამე: თუ ცხვირის წვერი მოგეფხანა, იმ დღეს სტუმარს მოელოდეო.

საღბედუროდ, დღეს პირველი ორი ერთად შეხვდა (მესამე ამდენად საშიში არაა, თუ სტუმრის მისაღებად მოწყობილი ხარ). ოცი ნაბიჯიც არ წაუდგამს ეზოდან, რომ იაქესავით წინ შეეჩეხა რომანოზა ზაკვიშვილი, რომელიც განთქმული იყო, როგორც ცუდი ფეხის კაცი.

ბასილს მეტისმეტად ეწყინა მისი ასე ნაადრევად შეხვედრა. იმან კი, თითქო მისი უფრო გულის გასახეთქად, ათი საუენის

* თანაფა—აღდგომა.

სიშორიდან ხმამაღლა დაუძახა: გამარჯობა, დილა მშვიდობა, დილა სიხარული, ჩემო ბატონოო — და თანაც დასძინა: ოჰ! ძლიერ გამიხარდა შენი ნახვაო. გავიგე, სიმინდის გაყიდვას აპირებთ და სულ ერთია, მე მომყიდეთ, მეც რიგიან ფასს მოგცემთო.

რომანოზა ნოქარი იყო ერთი ადგილობრივი ვაჭრისა და სოფლად დადიოდა სიმინდის სასყიდლად.

ბასილმა ერთი-ორი ზრდილობიანი სიტყვით მოიშორა და თავის გზას გაუდგა.

გაიარა რამდენიმე ვერსტი. რომანოზის შეხვედრა თუმცა ძლიერ ეწყინა პირველად, მაგრამ ცოტ-ცოტად გადაავიწყდა. ახალ-გაზაფხულის მზის თბილმა სხივებმა. მის გულს რაღაც სიამოვნება აგრძნობინა და თვალებგაბრწყინებულმა არემარეს გადახედა.

ჩრდილოეთიდან, ჯერ კიდევ თოვლით შელესილი, ათასფრად დაგრეხილი მთები მოჩანდა. მის დაბლა სამეგრელოს ვაკე, თითქმის მომეტებული ნაწილი ტყით დაფარული, ზოგან კარგა მაღალი და ზოგან დაბალი სერებით დაფენილი; ალაგ-ალაგ, წყლების პირად, ბანიერი და ფართო, ან გრძელი და ვიწრო ჭალებით ახლად აბიბინებული. ბასილი მიდიოდა მაღალ სერზე, საიდანაც თვალით ადვილად არჩევდა აჭარის მთებს, ძლივძლივობით — ლიხის მთებსაც და აფხაზეთის მთებს.

ყოველი ბუჩქის ძირას აუარებელი ია ჰყვაოდა და მისი ნაზი სუნი მოგზაურს ცხვირში ეცემოდა.

ბასილი თითქო დაათრო გაზაფხულის დილის სურნელებამ, ქცხენს აღვირი ნებაზე მიუშვა და თვალებიც ოდნავ დახუჭა.

ამ დროს, რაღაც საეშმაკოდ, მარცხნივ, ხევში ფაჩუნი მოესმა. უცბად თვალი გააღო და აღვირის მომარჯვება ძლივს მოასწრო, რომ რიგიანად მოვლილი, გასუქებული ცხენი დაფრთხა და ბასილი კინაღამ გადმოაგდო.

როგორც იყო, თავი შეიმაგრა, აღვირი დაამოკლა, ერთი-ორი მათრახიც უთავაზა ფერდებში საღარიას და მერე თამამად გაიხედა: აბა, რა იყო ის ოხერი, რომ შრიალებდა გამხმარ ფოთლებში და კინაღამ ცხენიდან გადმომაგდოო, მიიხედა და პირში ნერწყვი გაუშრა.

საბრალო ყურებაცქვეტილი უდანაშაულო კურდღელი ფრთხილად მიცოცავდა გაზაფხულის ნორჩი ბალახით პირის ჩასატკბარუნებლად. ცხენის ფეხის ხმაზე შეკრთა, ყურები ცქვიტა და მერე გონს მოსულმა, სირბილით თავს ღშველა, ბასილის წინ გზა გადაირბინა და მეორე მხარეს ტყეში მიიმალა.

— ფუი ეშმაკს! მიქამგაბრიო თაარ ანგელოზო, ყული ალერტი! თქვენ ხართ ჩემი მფარველი, — ლმობიერად ჩაილაპარაკა ბასილმა, თავიდან ბაშლაყს გადასწია და მოწიწებით პირჯვარი გადაისახა.

„სწორედ არ მომელის რაცხა სიკეთე დღეს, — ფიქრობდა ბასილი. — დიახ! ძლიერ ცუდი ვქენი, რომ მაშინათვე შინ არ დავ-ბრუნდი რომანოზას შეხვედრის შემდეგ, განა ერთი ბიჯი გადა-სადგამია? წითელი კაცი წითელია, მაგრამ მაგისთანა?! ჯვარი აქა-ურობას, ზედ კურდღელიც დაემატა, ფუ! ახლავე დავბრუნდე-ბი“, — გაიფიქრა და კიდევაც აღვირს მოსწია და ცხენი უკან მიაბრუნა.

ბლომად ჩალა-სიმინდს მიჩვეული ცხენი შინ სიამოვნებით მობრუნდა და უკანა ფეხებიც ლამაზად გაათამაშა. მაგრამ ნწ! ოთხი ვერსტიღა დამრჩა, ხუთი წელიწადი ქე ვუყურე მაგ ოჯახამოსა-წყვეტს, ახლაც, თუ არ შევიტანე ქაღალდი, სულ მიმრჩებაო, წაი-ბუტბუტა ისევ და აღვირს უკანვე მოსწია. ახლა კი ცხენი, ცოტა არ იყოს, გაუძალიანდა, მაგრამ ბასილმა ფერდებში ორი-სამი მათრახი წაუტლაშუნა და ისევ წინ წაათოხარიკა.

„რა უნდა მომელოდეს ისეთი საწყენი,“ — ძალაუნებურად მოსდიოდა ბასილს ფიქრი, ხან წითელწვერა რომანოზა და ხან ყურებაცქვეტილი კურდღელი გუნებიდან არ შორდებოდა. „ბიჭი თუ ავად გახდა, უსათუოდ შემატყობინებდნენ. მაინც ერთი კვირაა, რაც ვნახე და მაშინ მგელივით იყო. უჩიტელს რომ დავეკითხე, ცუდი არა უთქვამს რა, ცოტას ქე ზარმაცობსო და ეშმაკობსო, მაგრამ ბევრი არაფერიაო! ვითომ სუდში გამიფუჭდეს საქმე? თამასუქი პოდლოღი არ არის, ჩვენმა მწერალმა დასწერა, ქვეყანა იქ უყურებდა, საგლეხო სასამართლოში. რა ვიცი! როგორ არ მიიღებს სუდია? ეჰ! რა იცის კურდღელმა,“ — დაიმშვიდა გული ბასილმა და ერთიც ცხენს მათრახი უთავაზა და ნელა რაღაც სიმღერაც მიაყოლა... მაინც რაღაცა ძალა თავში ჩუმ-ჩუმად უცუ-ცუნებდა რომანოზას და კურდღელს თვალწინ უყენებდა.

როცა ზუგდიდში შევიდა, ყოველივე შიში გადაავიწყდა. პირველად მჭედლების ქუჩა უნდა გაეარა. აქაურ გამვლელს დიდი ვაჟკაცობა უნდოდა, რომ ყურები არ დავსებოდა, ისეთი ხმაურობა იდგა. თოხისა და ნიჩბის მჭედლების მსხვილი ჩაქუჩების. მორიგ-მორიგ. დაგადუგი. თეთრად გახურებულ მსხვილ რკინაზე... ნალ-ბანდის ჩქარ-ჩქარი ბაკუნი, საბერველების ბერვა, ნახშირის ჩხრიალი, ადამიანთა ხმაურობა, ერთად შეერთებული, შეუხამებელ და უსიამოვნო ხმაურს აჩენდა.

რამდენიმე კაცს კამეჩისათვის ირგვლივ ბაწარი შემოევლო და დასაჭედად წაქცევას უპირებდნენ. ის კი ჩვეულებრივ ბრიყვული გამომეტყველებით გულშეუწუხებლად იდგა, კისერი გაეგრძელებინა და იცოხნიდა.

ბასილმა ახლო გაითოხარიკა. კამეჩმა ერთიც ბრიყვულადვე შეხედა და თვალები დააშტერა, თითქო ეუბნება: შეხედე ამ სულელებს, რას მერჩიან, რომ ბაწრით, თოკებით და ჩაქუჩებით მომდგომიან, ვერა გამიგია რაო. ამასობაში ერთმა მჭედელმა, ნახშირით ისე გამურულმა, რომ მისი შეხედვა უცბად გოლიათსაც შეაშინებდა, მაგრა გაჭიმა თოკი, დანარჩენებმაც გაჭიმეს: „არიქა... არიქა... ჰაო... ეო... ჰო... ჰო... ჰო...“ დაიძახეს ერთბაშად და ვეებერთელა პირუტყვი წამოაქციეს.

მძიმედ დაეშვა მიწაზე საბრალო ლომა. ერთ წამს თითქო გაუკვირდა: რა ამბავია ჩემს თავზეო... და მერე ისევ აუჩქარებლად ცოხნა გააგრძელა.

— ბატონო ბასილი, ბატონო ბასილი! აქეთ ცხენი, აქეთ ცხენი, თუ დასაჭედია, აქეთ, ბატონო, აქეთ! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა ერთი შავწვერა ნალბანდი; თან ძალზედ ნალს ჩაქუჩს ურტყამდა, თან ნახშირით გამურულ, გაოფლიანებულ სახეს ქუჩისაკენ გამოყოფდა და დაიძახებდა. სამ-ოთხჯერ მიაძახა ბასილს. მაგრამ ის კიდევაც გაშორდა მის დუქანს და მჭედელმაც თავი დაანება.

— აქეთ, აქეთ, ჭედვა ვისაც უნდა, აქეთ! — იძახოდა მეორე მხარეს ქოსა და ქერა ნალბანდი.

— თოხი, თოხი, კაი თოხები! — ბანს აძლევდა მეზობელი.

— კაი ტაშთები, ტაშთები, ჭანურები და ტაფები! — მხიარულად შაირობდა, საკვაია ლინჯის ჭკადუ *, რომელიც განთქმული იყო ოხუნჯობით და მოუწყენლობით. არც ერთს, განსაკუთრებით ლამაზ არსებას, თავის დუქნის წინ არ გაუშვებდა, რომ რამე საარშიყო არ ეთქვა.

—აა, ჩემო ბიძავ, მადლობა ღმერთს, მშვიდობით გხედავ. ბევრი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი. მას აქეთ მე კიდეც ჭაღარა შემერია. ამ აუტანელი შრომით იმდენი არა, რამდენიც შენი უნახაობით. არ გეწყინოს, გენაცვალე, თორემ სულ გავთეთრდები, — ეტყოდა სოფლის დედაკაცს, მსხვილი ბოხჩით ხელში მიმავალს.

— ცირა, ცირა, აქეთ მოიხედე, აი ამ სპილენძივით ვდნები შენთვის, შე უღმერთო! — ოხვრით მიაძახებდა მეორეს, — ახალგაზდა წითელკაბიანს, ფერუმარილ გათხუპნილს.

* ლინჯის ჭკადუ—სპილენძის მჭედელი.

— მახა, მახა! — გასძახებდა მესამეს,—მე უბედური, კორსეტმა თუ... მოშვება ამ ჩემმა შეგირდმა იცის. არ გეწყინოს, საკვაია ნუ მოგიკვდება.

ჩქიმი ცხენი თოხარიკი, სქანი ცხენ ნოდიარე!
მუჭო ღვაღუ გიჭვიჭვანს, ჭკადუეფიშ ოდიარე.
ქომუნჯიშა გური გაფუ, მარა ტახუა-მოწიარე...
გვირგვინს მა დოგითირა, საკვა ჯგირი მორდიარე!

გაუშაირებდა მეოთხეს და ასე სულ უმადურად არც ერთს არ დატოვებდა.

იმ დროს, როცა ბასილმა გაიარა მისი დუქნის წინ, საკვაიას ხელში ტაფა ეჭირა და ერთ მოკლე გახუნებულ ნაბადში გახვეულ მოხუცს ეუბნებოდა: ოთხი სახარება გაუწყრეს, ვინც ოთხ აბაზად ეს გაყიდოს. საგანგებოდ გამიკეთებია. სხვაგან არც ექვს აბაზად იშოვნი, ჩემი ექვსივე შვილები ნუ მომიკვდება (არც ცოლი ჰყავდა და არც შვილი). ოჰ, ბატონ ბასილს ვეახლები ჩემი ჩაქუჩ-კვახჩით და ქულამურ საბერველით. როგორ გიკითხოთ, შენი ჭირიმე. — ღიმილით მიაძახა ბასილს, რომელმაც ღიმილითვე თავი დაუკრა და გაშორდა.

* * *

კბილების ღრეჭით მიეგება ბასილს იაგორა მიკიტნის ბიჭი პავლია, როცა ბასილი ჩვეულებრივ მისი დუქნის წინ გაჩერდა და ცხენიდან ჩამოიყვანა.

— ცხენი თავლაში, ბიჭო! — ბრძანებითი კილოთი გასძახა დუქნიდან იაგორამ და კარებში ღიმილით მიეგება ბასილს. — მობრძანდი, ბატონო! როგორ კარგად, როგორ მშვიდობით!

— გახლავართ, გმადლობთ! ჩემი ბიჭი ხომ არ გინახავთ!

მკრთალად ჰკითხა ბასილმა და კურდღელი გაახსენდა.

— დღეს დილით კლასში მიდიოდა, აქ გაიარა და მერე არ მინახავს, ძალიან ბევრი მას შემდეგ, ერთი საათი იქნება. — ბასილს გული დაუმშვიდდა.

— სუდში ხომ არ დამიგვიანდება? — ისე ჰკითხა ბასილმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ გვიანი არ იყო.

— არა, ბატონო, რას ამბობ! — იაგორამ ფიცხლავ ამოიღო საათი, რომელიც გულის პატარა ჯიბეში ჰქონდა, — თერთმეტის ნახევარია, ბატონო.

— მაშ ერთი შენ რომ იცი, ერთი მაგარი, — მხიარულად ეთხრა ბასილმა.

იაგორამ თითქმის მარდად მოავლო ჭიქას ხელი და არაყი ჩამოუსხა, ცოტაოდენი ხმელი საუზმეც მოართვა, პურის ნატეხი და ზეთისხილი.

ბასილმა ნაბადი და მათრახი მიკიტანს მიაბარა და სასამართლოსკენ გასწია.

— იაგორ! — მიაძახა მან, როცა დუქნიდან გავიდა. — ჩემი ბიჭი თუ ნახო, არ გაუშვა, აქ მომიცადოს ჩემ მოსვლამდე.

— ბატონი ბრძანდები.

VI

სამაზრო სასამართლოში

დაბა ზუგდიდის მომრიგებელი მოსამართლის „კამერა“, ან როგორც ეძახდნენ „სუდის სადგომი“ მოთავსებული იყო დაბის განაპირას, ჩრდილოეთის მხრივ და წარმოადგენდა მოყვითალო ფერით შეღებილი ქვიტკირის ერთსართულიან შენობას. სახლის ეზოს შემოვლებული ჰქონდა მუხის დახერხილი მესერი, დროთა ვითარებისა გამო ალაგ-ალაგ დამპალი და ალაგ-ალაგ წაქცეული. რამდენიმე ძირი ჭადარი და აკაცია ამშვენებდა ეზოს.

თვით კამერა წარმოადგენდა ერთ მოზრდილ ოთახს, რომლის თავი ერიო მხრივ ამაღლებული იყო მსაჯულისათვის. ოთახში ხალხისათვის რამდენიმე გრძელი ხის სკამი იდგა. ერთ მათგანს წინა ფეხზე ლურსმანი მოშვებოდა და თუ ვინმე დაჯდებოდა, საშინლად აჭრიჭინდებოდა. ვინც კი იცოდა სკამის ასეთი ჩვეულება, ფრთხილად დაეშვებოდა ხოლმე და ვინც არ იცოდა, შენი მტერი, რომ გაწითლდებოდა. მსაჯულიც ხშირად მრისხანედ გაიხედავდა ხოლმე მოჭრიჭინე სკამისაკენ. ამ წუთს ყველა ნათლად გრძნობდა მოჭრიჭინე სკამის შეკეთების საჭიროებას, თითქმის სტეფანე ვექილიც, თუმცა მას ასეთი წვრილმანებისათვის არ ეცალა, მაგრამ გათავდებოდა თუ არა სხდომა, ან როგორც ეძახდნენ „ზასდანია“, სკამი ვის ახსოვდა, ზოგი გახარებული და ზოგი გულნატკენი და ზოგიც ჩვეულებრივ გულგრილად. თავის გზას გაუდგებოდა.

როცა ბასილი სუდის სადგომში მივიდა, რამდენიმე ქალი და კაცი დაინახა ეზოში. ოდნავ აყვავებული აკაციის ძირში ერთი, ცოტა გახუნებული პალტოიანი კაცი იდგა, თავზე კრავის ქუდი ეხურა და ხელის თითები ყვითელ ტყავის ხელთათმანებში ჰქონდა დამალული. თამამად, ხელის ქნევით რაღაცას ელაპარაკებოდა მის

ირგვლივ მდგომ რამდენიმე პირს. ერთ მათგანს, ძლიერ მაღალ, თოვლივით თეთრ წვერა კაცს, რომელსაც ცალი ხელი ხმლის ტარზე დაედო და მეორეში მათრახი ეჭირა, პალტოიანი დაბეჯითებით უხსნიდა რაღაცას და თან მარჯვენა ხელის სალოკით მარცხენა ხელის თითებს ჩამოუთვლიდა. მოხუცი, რომელსაც მკერდზე წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის თეთრი ჯვარი ეკიდა, დიდი ყურადღებით უსმენდა პალტოიანს და ხანდახან. თავის მძიმედ დაკვრით უდასტურებდა.

ეს პალტოიანი გახლდათ მთელ დაბაში განთქმული კერძო ვექილი ვანია მოგებაშვილი და მოხუცი კი ერთი სოფლელი აზნაურთაგანი.

ეზოს ერთ კუთხეში, ერთი პატარა და გამხდარი შუახნის ქალი, ჩითის კაბაში გამოწყობილი, კარგა ხმამაღლა ებაასებოდა მის წინ მდგომ წითელწვერა სქელ კაცს, რომელსაც შავი ჩოხა ეცვა და ვეებერთელა ხანჯალი ეკიდა. იქვე სამი სხვა: ერთი მოხუცი, ერთი ახალგაზრდა, ასე ოცდახუთი წლის ვაჟკაცი და ერთიც თორმეტი წლის უფერული ყმაწვილი, ბამბაზიის ბლუზაში გამოწყობილი, იდგნენ და მათ ბაასს ყურს უგდებდნენ.

— არა, არა, არ შეიძლება! ქვეყანა უნდა შევაწუხო! არ ვფიქრობ, რომ კალონმა და სამართალმა ისე ოხრად დამტოვოს. გვირგვინოსანი ცოლი ვიყავი ქმრისა. ხასებს არ აგდებენ უპატრონოდ ახლანდელ დროში.... მე რა... მე რა... იმას მაინც მიხედავენ... ნასესხი ფულით შევუკერე ეს ბლუზა, — ცხარედ ეუბნებოდა ქალი წითელწვერას

— ნახავს კალონი, ნახავს, რატომ არ ნახავს, მეც თუ გადამასახლებენ იმასაც ვნახავ. რომელი „სატიის“ ძალით მომიგებ. იმასაც ვნახავ, მეც არ გეგონო სულ ბრიყვი, — ნიშნის მოგებით მიუგო წითელწვერამ.

— ასე არა სჯობია, ბაბაია, — დინჯად გაერია მოხუცი. — თავარანგელოზი გამიწყრეს, შინ ცოცხალი არ დამაბრუნოს, თუ ან— ერთის ან მეორის მხარე მქონდეს, არც შენა ხარ მართალი და არც შენა ხარ, ჩემო დაია.

სხვა რა ილაპარაკეს, ბასილს არ გაუგონია, ამასობაში შევიდა კიდეც კამერაში. კამერაში ორმოცამდე ქალი და კაცი იჯდა. ბასილმა ფრთხილად შედგა ფეხი შიგნით. ბაშლაყი მხარზე გადაიდო, ცალი ხელი ხმლის ქარქაშს მოჰკიდა, რომ არ გაეღარუნებულიყო, ფეხაკრეფით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ერთ თავისუფალ დგილზე ფრთხილად ჩამოჯდა.

მსაჯული საქმეს არჩევდა.

მის წინ იდგა შავი ჯაგარივით გაბურძგნული შავწვერა გლეხი, რომელსაც მოძველო, ყვითლად შეღებილი ჩოხა ეცვა, რაც მის შავ სახეს სრულებით არ უხდებოდა.

მის გვერდით იდგა ასე ოცდაოთხი-ოცდახუთი წლის ძლიერ ლამაზი და ლამაზადვე გამოწყობილი ქერა პირისახის ყმაწვილი კაცი. შავწვერა კაცის გვერდით იდგა შავი მაუდის ჩოხიანი, ჭაღარა გამხდარ-გამხდარი, მაღალ-მაღალი, უფერული კაცი, რომელსაც მასრების ქვემოთ პატარა ჯიბეში საათი ედო და მასზე მობმული ბრძელი ვერცხლის ძეწკვი კისერზე ჰქონდა გადაკიდებული. ეს გახლდათ სტეფანე აბლაკატი, გვარად დათვაძე — მუდმივი წევრი ამ სახლისა.

რაც რუსის სამართალი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში, მას აქეთ სტეფანე სულ ვექილობდა და თავს იმითი ირჩენდა. პირველ ხანებში დიდი მოგება ჰქონდა, რადგან მაშინ ქვეყანა უცები იყო. შემდეგ კი დროება შეიცვალა, ბევრი დახელოვნებული ვექილი გამოჩნდა და სტეფანეს წინ გაესწრო. მაგრამ ის მაინც არ იშლიდა და საქმეებს იცავდა.

სწავლა არსად არ მიეღო. რუსულად ხელის მოწერას ძლივ-ძლივობით ახერხებდა. რუსული ლაპარაკი კი ისეთი იცოდა, რომ რაც უნდა გულდაწყვეტილი კაცი ყოფილიყო, თუკი ესმოდა, გააცინებდა. ქართული ლაპარაკი და წერა, ღვთის წინაშე, კარგი იცოდა. თუმცა წერის დროს წერტილ-მძიმეს არ ხმარობდა. მხოლოდ ბოლოზე დაასვამდა ხან ერთს და ხან ორ წერტილს, იმისდა მიხედვით, რამდენად საჭირო ქაღალდი იყო.

მაინცდამაინც ბევრი საწერიც არა ჰქონდა. მისი საქმე იყო ლაპარაკი, ამიტომ ისეთ საქმეებს ეტანებოდა, სადაც საწერი იმდენი არ უხდებოდა და მხოლოდ ლაპარაკი იყო საჭირო. თუ მაინცდამაინც საწერი ქაღალდი შეხვდებოდა, ნაცნობ მწერლებს დააწერინებდა, ცოტა რასმე აჩუქებდა და ამით იოლად გამოდიოდა.

როგორც გინდათ თქვით, იმან მაინც კაი ლამაზი ხის სახლი აიშენა იქვე, იმ დაბაში, გვარიანი ადგილ-მამულიც შეიძინა: ზოგი სამოსახლო და ზოგიც სადუქნე და ქვიტკირის შენობის აგებასაც ემზადებოდა.

ქერა ყმაწვილი კაცის გვერდით იდგა ასე ორმოციოდე წლის სახემოყვითალო დაბალ-დაბალი კაცი.

სტეფანე შავთმიანს იცავდა. სახემოყვითალო კაცი ქერა ყმაწვილის მოწმე იყო.

მსაჯული, ტომით რუსი, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ავადმყოფი სახისა, საქმის გარჩევის დროს მალ-მალ შეწუხებულად იღრიჯებოდა. ეტყობოდა, გულიც ხშირად მოდიოდა მომჩივან-მოპასუხის დაუსრულებელ, უმნიშვნელო წვრილმანების ჩამოთვლისა გამო, მაგრამ 'მესანიშნავი გულგრილობით სძლევდა თავის თავს და არ ჯავრობდა.

მისი თარჯიმანი, ჩვენებურად გამოწყობილი ერთი მუჭა უფერული კაცი ისე საორჭოფოდ ხუჭავდა ერთ ბეწოვე თვალებს, თითქო უკანასკნელად ათვალიერებს ქვეყნის სიმშვენიერესო. გასარჩევი საქმე შემდეგი იყო:

გლეხი გუძა გუდულიას ეზოში კაცს თავის დღეში რიგიანი ბოსტანი არ უნახავს. უბოსტნობას ხან რას აბრალებდა და ხან რას, უფრო კი მიზეზი, რა თქმა უნდა, სიზარმაცე და დაუდევრობა იყო. მაგრამ ერთ წელიწადს, როგორც იყო, დასძლია სიზარმაცე და რამდენიმე ოთხკუთხს საყენს მაღალი, თხმელის ტოტების ღობე შემოავლო. მისმა მეუღლემაც არ დაზოგა შრომა-ღვაწლი და მართლა მშვენიერი ბოსტანი მოუვიდათ. მთელი ზაფხული ოხრად ჰქონდათ ახალი ლობიო, კიტრი, ხახვი და სხვა. ფხალმა ისეთი ძირი გაიკეთა, რომ ახლო-მახლო მეზობლებს აკვირვებდა.

ამ პირველი წლის კაი მოსავლით წახალისებულნი მეორე წლისთვის უკეთ მოემზადნენ, მეზობლებში რიგიანი თესლები იშოვნეს და ადრიდან შეუდგნენ მიწის ნიადაგის მომზადებას. მეორე წელსაც მშვენიერი ბოსტნეულობა მოვიდა, მაგრამ თხმელის ღობეს კი ალაგ-ალაგ სიმჩატე შეეტყო.

ნოემბრის შუა რიცხვებში კი ღობე ძლივს იდგა და ცოტა ძალა უნდოდა, რომ ერთობ დაძრულიყო.

საეშმაკოდ, ამ დროებით, გუძას მეზობელმა კინტირია ფართელავამ უღელი ხარ-კმეჩი იყიდა და ურემი გააწყო. კამეჩები ერთ ღამეს პატრონს აგვარიდან გაექცნენ. ძლიერ ჩქარა მიაგნეს გუძას ბოსტანს და ერთობ გაანადგურეს. ფხალი სულ ჩაეკბიჩათ. რისთვისაც კბილები ვერ მოეელოთ, ფეხებით გაეთელათ და მერე იქვე მიწოლილიყვნენ.

მეორე დილით ადრე გუძამ კამეჩები დაიჭირა, ხეზე მიაბა და პატრონს კაცი გაუგზავნა, რომ კეთილსინდისიერი მოეყვანა და ზარალი დაეფარებინა. უიმისოდ კამეჩების მიცემას არ აპირებდა.

კინტირია ფართელავამ ეს არ იკადრა. იდროვა, როცა გუძა ეზოდან გავიდა და ცოლიც წყაროსაკენ გაემართა, მიეპარა და კამეჩები შინ გაირეკა.

გუძა გუდულია მოთმინებიდან გამოვიდა, როცა შინ დაბრუნებულმა კამეჩები ვერ ნახა და ხმამაღლა დაუწყო ლანძღვა-გინება კინტირიას. კინტირიამაც ხმა გასცა და ორივემ ჯერ ერთმანეთი რიგიანად გამოლანძღეს და მერე დიდი მუქარით თავიანთ სახლში შევიდნენ.

მეორე დღეს, რაღაც ეშმაკად, ორივენი ერთმანეთს შეხვდნენ ორღობეში, თავიანთ კარ-მიდამოში.

ნახვის უმალ გაეჩქარნენ ერთმანეთისაკენ. ტუკის მოქნევაში გუძა უფრო დახელოვნებული გამოდგა და რამდენიმე მარჯვე დაკვრით თავისი მოპირდაპირე, სისხლით გათხუპნული, ძირს დასცა.

პირველად მოირბინა ახლო მეზობელმა ანდრია კულაძემ, მაგრამ მის მოსვლამდი ჩხუბი უკვე დათავებულიყო.

კინტირია სახლში შეიყვანეს. ფიცხლავ გაჩნდა მამასახლისი და მისი მიყოლებული და საქმე სასამართლოს გადასცეს.

მსაჯულის წინ მდგომი შავთმიანი იყო გუძა გუდულია, კოხტად გამოწყობილი ქერა—კინტირია ფართელავა და მოყვითალო დაბალი კაცი კი ანდრია კულაძე.

— აბა ახლა შენ მოყევი, — ხრინწიანი ხმით მიუბრუნდა თარჯიმანი ანდრიას. ანდრია, ეტყობოდა, ხშირი სტუმარი არ იყო ამ სახლისა, ისე დაფეთებულად იყურებოდა. საუბედუროდ, ანდრია კულაძე ენაჩლუნგი იყო და უჩვეული კაცი მის ნათქვამს რიგიანად ვერ გაიგებდა.

— რას მოვყვე, ბატონო, — წაიბურდღუნა ანდრიამ.

თარჯიმანმა მსაჯულს გადასცა.

— როგორ რას მოყვეს?—თვალების ბრიალით წარმოთქვა მსაჯულმა. — რა იცის გლეხი გუძა გუდულიასაგან კინტირია ფართელავას გალახვის თაობაზე, ეს ხომ პირველი მისულა. მოყვეს აუჩქარებლად, თითო-თითოდ, რაც ნახა.

— მე, ბატონო, — ისევ წაიბურდღუნა ანდრიამ და შეეცადა, როგორც უბრძანეს, დინჯად და გარკვეულად ელაპარაკა, მაგრამ დავთარი სულ აერია და სხაპასხუპით, როგორც შეეძლო, ჩააკაჭკაჭა: — მე, ბატონო.... სალეს ქვაზედ ვიჯექი, დანამყნობი მსხლის ძირში და... ბუნ... ბუნჩად ვიყ.... ვიყურებოდი, რომ სდრუ.... სდრუზა და.... რომ.... სდრუზა.... მოვ... მოვკურცხლე და მოვკურცხლე... — ანდრია შეჩერდა.

— Ну! — გადახედა მსაჯულმა თარჯიმანს. თარჯიმანმა დაიწყო:

—На точильном камне сидел, под... под... на... наложеп-

ным деревом и... и... глупо смотрел, как ударит, как ударит, побежал да побежал.

— Ровно ничего не понял,—მიუგო მსაჯულმა,—Как это, на точильном камне сидел? Под наложенным деревом? Но чем наложено? Да еще под грушевым. Об'ясните, как было в чем дело?—დაეკითხა მსაჯული.

თარჯიმანი გაწითლდა. თავისი პატარა, გამხმარი ხელები თავზე გადაისო.

— Не наложено, собственно говоря,—მიუგო მან,—а когда дикую грушу, через несколько времени домашнюю,.. насадят, вырастит и будет вкусная груша, что в лавке продают.

— Ах,—ოდნავ ღიმილით მიუგო მსაჯულმა,—как сказать, груша не дикая, но... он сидел под деревом, но как это, на точильном камне разве сидят?—გაიოცა მსაჯულმა.

— Обычай у нас положить точильный камень под деревом, а когда нужно точить напр. топор, воды кувшинчик принесут и туда и сюда на камне,—აუხსნა თარჯიმანმა და რაც ენით ვერ გააგებინა, შეეცადა თავისი პაწაწა ხელებით გაეგებინებინა.

— Гм, это большой комень что-ли?

— Бывают и большие.

მსაჯული დაფიქრდა.

— Одним словом он сидел на камне под деревом?

— ხის ქვეშ, ქვაზედ იჯდიო? — დაეკითხა თარჯიმანი ანდრიას „ნამუნევიანათ და სალეს ქვიანად ამოაგდოს“, — თავისთვის ჩაილაპარაკა თარჯიმანმა.

— Хорошо,—თქვა მსაჯულმა,—но кто это ударил, кто кого ударил?

— ვინ ვის სცემაო, ბიჭო!

— ....ი ....იმან იმას, ბა.... ბატონო, — მიუგო ანდრიამ.

— Он его говор...

— Позволте, Господин судья,—გააწყვეტინა სიტყვა სტეფანე ადვოკატმა,—вопроси. нивирно, знаит он, что что наприминнo мой доверитель ударить.

— Не перебивайте, прошу вас,—ცოტა უკმაყოფილოდ მიუგო მსაჯულმა,—Я сам этого хочу узнать—მერე თარჯიმანს მიუბრუნდა:—Кто именно, кто ударил и чем?

— კაცო, კარგად გამაგებინეო, ვინ ვის სცემაო და რითაო.

—იმან რა... ბატონო... ი... მ. ... გუძა... გუძამ გა... არტყა კინტირიას... ჯო... ჯოხი.

— Гудза ударил Кинтириа палкою.

— Позволт, Господин судья,—ისევ ჩაერია სტეფანე,—а вот Кинтириа не ударил, держал полка и не ударит мой доверител.

— Опять вас прошу не перебивать,— ახლა უფრო მწყრალად გადახედა მსაჯულმა და სახე საზარლად დაეკმნიხა.

— Сколько раз ударил?—დაეკითხა მსაჯული.

— რამდენჯერ გაარტყაო?

— რა..... ვიცი.... ბატონო, არ დამი.... დამითელია... სდრუზა... და სდრუზა... და მე... რომ ვნახე... მოვ... მოვ... მოვ... კურცხლე და... მოვკურ... ცხლე!

— Не считал, говорит. Как ударил, как ударил, побежал и побежал.

— Ладно, значит не один раз.

— Господин судья, а вот Кинтириа Партелава палка не держал, на Гудза не ударил?—მაინც არ სცხრებოდა ვექილი.

მსაჯულმა ახლაც მწყრალად გადმოიხედა იმისკენ, მაგრამ ისევ სახე შეიცვალა. ცოტა დამცინავი ღიმილი გამოეხატა და გულაგდებულად თარჯიმანს დაელაპარაკა:

— კინტირიას არ ეჭირა ჯოხიო? გუძასათვის არ დაურტყამსო?

— ჯოხი.... კი... ეჭი....რა, რა... ბატონო.... მარა მის...გან დარ... ტყმა... არ მინახავს.... ჯოხები... კი ირეოდა ზევით.

— Кинтириа тоже держал палку, но не видел, говорит, чтобы он ударил.... палки наверху путались.

— Как это палки путались?

— Он видел,—აქ თარჯიმანმა ხელები მაღლა აიშვირა და არეულად ჰაერში გაიქნია.

— А... —თქვა მსაჯულმა.

— Прошу, Господин судья... сколько расстоянии от его дома, до миста драки будит.

მსაჯულმა თარჯიმანს ანიშნა, რომ ეკითხა:

— შენი სახლიდან, საცა ჩხუბობდნენ, იმ ადგილამდე რამდენი მანძილი იქნება?

აქ ანდრო ცოტა შეფიქრიანდა.

— რა...ვიცი... ბა...ტონო!.. არ დამი... ზო... მავს... ასი საჟენი ექნება.

— Сто сажень будет.

— Еще прошу, Господин судья, на дороге между его дом и миста драки дерево или построикам стоит?

თარჯიმანმა ჰკითხა.

— შე...ნობა...არაა...ბატონო... და ხეები... ქე დგას... ღო...ღობეც არის გა...დასასვლელი.

— Строении нет, а деревья есть, забор нужно перелазить.

— Очень прост может быть, Господин судья, — აღტაცებით თქვა ვექილმა. — Очень прост, что Кинтириа ударит палка на голову на Гудза Гулулиа, как он сам говорит, сто сажень расстоянии есть, деревья есть, а как это ноябрь месяц был не совсем опали и смотря на сто сажени, как сам говорит, палки смешаны видит наверху, а потому легко допустимо друг на друга оба ударили. Но, Господин судья, бывает иной человек на такое мест попадет хоть сильно удари, царапит не будет, видно кож толст, как мой доверител, а иной маленький царапин, так много, много крови течет, как господин Кинтириа, а потому...

ბასილ მძებრაძე ამ დრომდი ყურს უგდებდა მათ ბაასს. ამ დროს უცბად ზეზე წამოვარდა. მას სრულებით დაავიწყდა, რომ არზის მომზადება და თამასუქის რუსულად გადათარგმნა უნდოდა. საჩქაროდ ისევ ფეხაკრეფით მსაჯულის კამერას გაშორდა. კიბეზე შეეჩეხა იმ თალხკაბიან ქალს, რომელიც დიდხანჯლიან კაცს ედავებოდა. ქალს მისდევდა ბლუზაში გამოწყობილი უფერული ყმაწვილი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მისი შვილი იყო. ორივენი შიგ შევიდნენ.

ბასილმა სუდის სადგომს მარცხნივ მოუარა და შევიდა კანცელარიაში, სადაც თითქმის ყველა გადამწერელს იცნობდა. საქმის მწარმოებელი მეგობრულად ხელს ართმევდა და მდივანიც ტკბილად უღიმოდა.

ბასილი მივიდა ერთ უფრო დაახლოებულ გადამწერთან და მოახსენა რაც უნდოდა, გადამწერმა თამასუქი მოსთხოვა, წინ დაიდო და ქართულიდან რუსულად გადათარგმნა. მერე მთელ ფურცელ ქაღალდზე არზა გამოიყვანა და რიგზე დაწყობილი ქაღალდები ბასილს გადასცა.

ბასილმა ქაღალდები გამოართვა და მანეთიანი ქაღალდის ასიგნაცია მაგიდაზე დაუდო. გადამწერმა ზრდილობისათვის ფულის ვითომ უკან გაბრუნება მოინდომა, მაგრამ ბასილმა მაჯაზე ხელი მოავლო და ფულიანად მაგიდაზე დაუმაგრა.

— შენი ჭირიმე. ბასილ, — კბილების ღრეჭით ეუბნებოდა, გადამწერი.

— შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, რა თქვენი საკადრისია, — დინჯად მიუგო ბასილმა.

მეტი გადამწერმაც არ ილაპარაკა, ცოტა მოწყენილი სახით ქაღალდი დაკმუკნა და ჯიბისკენ გადუძახა. მერე ბასილს თავი დაუკრა და კინაღამ თვალებიდან სიხარულის ცრემლი არ წამოუვიდა. მაგრამ სიმწუხარისა კი არა, სიხარულისა. ხუმრობა საქმე იყო? კაცს თვეში ხუთი მანეთი ჯამაგირი ეძლეოდა და რამდენიმე წუთში ერთი მანეთი მისთვის ზეციდან მოვლენილი მანანა იყო. ამხანაგებმა შურიანი თვალით შეხედეს მის ჯიბეს და იმან კი სიამოვნებით წარმოიდგინა ბოთლი ღვინო, რომელსაც საკუთრად დაიდგამდა დღეს სადილად, ბასილის მოცემული ფულის შემწეობით.

ბასილმა ისევ თავი შემოყო კამერაში, მაგრამ ახლა ზღურბლზე თამამად გადაალაჯა, არც ხელით ხმალი მიუმაგრებია, რადგან მსაჯული კამერიდან გასულიყო. მსაჯულს გუდულიასა და ფართელავას საქმის გამოძიება გაეთავებინა. ყველა მოწმისათვის ეკითხა. მომჩივან-მოპასუხის სიტყვაც მოესმინა და ახლა ცალკე ოთახში განაჩენს ადგენდა.

გავიდა რამდენიმე წუთი. ამაღლებული ადგილის პირდაპირ კარის რაზა აწკარუნდა, მერე ერთბაშად გაიღო და მსაჯული გამოვიდა ქაღალდებით ხელში.

მსაჯული მაგიდას მიუჯდა და ზარი დააწკარუნა.

— ადექით ზეზე! — ულაზათოდ დაიძახა თარჯიმანმა.

ყველანი ზეზე წამოდგნენ.

— ... დამიდგენია, — რაც შეიძლებოდა რიხიანად წარმოთქვა მსაჯულმა, — გლეხნი: გუძა გუდულია და კინტირია ფართელავა, ორივენი ცნობილი იქნას დამნაშავედ და ამიტომ მათი საქმე მოსპობილი იქნას.

მერე აუჩქარებლად სხვა ქაღალდებს დაუწყო თვალიერება. ხალხში ჩუმ-ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა. გუძა გუდულია მხიარულად აბრიალებდა უიმისოდაც დიდრონ თვალებს და ლმობიერად შეჰყურებდა სტეფანე აბლაკატს, რომელიც ისე ამაყად იყურებოდა, თითქო სტამბოლი აღლიაო. კინტირია კი, გაბრაზებული, თავის ქნევით კამერიდან გავიდა.

ბასილმა იდროვა და ქაღალდები მსაჯულს გაუტანა. მსაჯულმა არზა დაათვალიერა.

დრო დაუნიშნეო—მიალაპარაკა თარჯიმანს. თარჯიმანმა ბასილს ალერსიანად შემოხედა და ლმობიერად უთხრა: მერე შეიტყობ. პროცესი როდის იქნება დანიშნულიო.

ბასილმა მსაჯულს თავი დაუკრა და კამერიდან გავიდა.

* * *

— რა საქმე გქონია, ბატონო, დღეს სუდში? — მხიარულად დაეკითხა მიკიტანი იაგორა მუშტკუჭაძე, როცა ბასილი სასამართლოდან მობრუნდა.

— ბევრი არაფერი, ხომ იცი, ახლანდელ დროში სანამ წაგცინცლიდეს ი კაცი, ფიანდაზად გაგეშლება და თუ მოახერხა და ერთხელ დაგტყუა, მერე სული უნდა შეგიხუთოს, უნდა გაწვალოს, უკან კი ნუ მოელი...

— აი, იცოცხლე, იცოცხლე, ბატონო ბასილ, — ლმობიერად მიუგო იაგორამ და სველი ხელები კარგა ჭუჭყიან ტილოს წინსაფარს მიახოცა. — იცოცხლე, იცოცხლე, მართალს რომ ამბობ, მეც ‹ მან არ დამ.ლუპა? ვცდილობ მე საწყალი, რაც შემიძლია. ვცდილობ თქვენისთანა კეთილშობილ კაცს, რაც შემიძლია, პატივი ვცე... ერთი სიტყვით, ვასიამოვნო, მაგრამ... ნამეტანი ზარალი მომდის, ბატონო... აი თქვენისთანა ზოგიერთი ნაღდები არ ერიოს ჩემ მუშტრებში, ამდენ ხანს ცხრაჯერ გავკოტრდებოდი. ცხრა სახარება გამიწყრეს, ცხრა შაურის ადგილას ორ შაურს თუ არ ვაგდებდე, მაგრამ მაინც არ მომეცა საშველი. აგერ ხუთი წლის იქითური ნისია მექნება ოცდაათ თუმნამდი; ახლისა კი ანგარიშიც არ ვიცი.

— შენ შენა და მე კი სულ ნაღდი, ოხარკალია* ბილეთები ჩავუთვალე იმ კაცს. მაინც რიგია ერთი წელიწადი დავწეროთ ვადათ, თორემ იმედი მაქვს, შენ ფულს ჩემთან ნახევარ წელსაც არ გავაჩერებო. მომელაქუცა, მომელოშტნა და წელიწადს შენც თავი დაანებე. წრეულს იანვარში ხუთიც გავიდა.

— ეს ვინ ყოფილა აგეთი? — თანაგრძნობით ჰკითხა იაგორამ.

— არ იცი, დრიმინტია ჭანდრაკელია?

— ნავაჭარი? — იაგორამ ტუჩები ერთმანეთს მაგრა მიაჭირა, თვალები გაპრაწა და წარბები აიბზიკა.

— ვითომ ვერ გადავახდევინებ? — ცოტა შეშინებულმა ჰკითხა ბასილმა.

---

* ოხარკალია — გატკიცინებულის მნიშვნელობით.

— რატომ არა, თუმცა ძნელი კია. ის ოხერი კაცია. ის ვინ შეგითესა? ერთ დროს კი კარგად იყო.

— ეჰ! ჩემმა ბიძაშვილმა, ბათლომემ, ხომ იცი ერთ დროს ისიც ვაჭრობდა, მაგრამ...

— ოხ! ღმერთმა კაი გაგახსენოს. ბატონო ბასილ, იმ თქვენ ბიძაშვილს ცოტა რაღაც შერჩა ჩემი. ცოტაა მარა, ბევრი ცოტასაგან შედგება, როგორც უკეთ იცით, ბატონო... მე თქვენი იმედი ისეთი მაქვს, როგორც... რომ საკუთარი ჩემი... თავისა და იმედი მაქვს...— კბილების ღრეჭით შეეხვეწა იაგორა.

— იმ შეჩვენებულმა კიდევ არ მოგცა? ვეტყვი, ვეტყვი უსათუოდ.

— შენი ჭირიმე.

ბასილს ჭირივით ეჯავრებოდა, როცა ვინმე იმის ნათესავზე რასმე სათაკილოს იტყოდა და ამიტომ ლაპარაკი სხვა საგანზე გადაიტანა.

— ჩემი ბიჭი ხომ არ მოსულა, იაგორ? — ჩქარა დაეკითხა ბასილი, თითქო ეშინია, ისევ ბათლომეს ნისიას არ მოჰყვესო.

— ჯერ არა, გენაცვალე.

— ჰო! ღმერთმა კაი გაგახსენოს, კინაღამ დამავიწყდა, დედაკაცი უმისოდ შინ არც კი მიმიშვებს, შე კაცო, ბიჭისთვის საჩოხე შალი უნდა მეყიდა.

— იშოვნი, ბატონო, დღეს პარასკევია.

— კარგი, ერთი გავივლი ბაზრისაკენ და, ჩემო იაგორ, ბიჭმა თუ გამოიაროს, არ გაუშვა, მომიცადოს.

ბასილმა გაიარა ბაზარი, რომელიც შუა ქალაქში იყო მოთავსებული, პატარა ღელის პირად, რომლის გასწვრივ სხვადასხვა ხეები ლამაზად იყო ჩარიგებული.

ბასილმა გაიხედ-გამოიხედა, ორ-სამ ალაგს საჩოხე გასინჯა, გაიხედა და მისი ერთადერთი ვაჟიშვილი გრიგოლი წინ აეტაცა ღელიაში წიგნებიანად. ბასილმა შვილი გადაკოცნა, თუმცა ერთი კვირა იყო, რაც ხედავდა.

გრიგოლი (შინაურულად ძუკუს ეძახდნენ) იყო ამჟამად თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა, მაგრამ სიმაღლით თვითონ ბასილს ბევრად არ ჩამოუვარდებოდა. სახე ლამაზი ჰქონდა, მსუქან ლოყებზე ვარდი ეფინებოდა. მიუხედავად მცირე ასაკისა, საულვაშეზე შავი ქინქლები მოუჩანდა.

— როგორა ხარ, ბაბა? — ალერსით დაეკითხა ბასილი.

— არა მიშავს რა, გვარიანად ვარ, — მიუგო ძუკუმ.

— კარგად სწავლობ?

— კი, გვარიანად, — ცოტა არეულად მიუგო ძუკუმ და წითელ-მა ფერმა გადაჰკრა. შვილის კარგად ყოფნით გახარებულ ბასილს არც კი შეუმჩნევია მისი შეკრთომა.

— დედაშენმა დამაბარა საღდგომოდ ძუკუს ჩოხა უნდა შევუკეროო და აბა ერთი შენი ხელით აირჩიე.

ძუკუმ (ჩვენც სულ ძუკუს დავუძახებთ) ბევრი არ დააყოვნა. საჩოხეც აირჩია და საახალოხეც. მერე თერძთან გაიარეს და იმავე დღეს გამოაკერევინეს.

სადილად შვილი ბასილმა იაგორას დუქანში მიიყვანა. თვითონ კარგა შეზარხოშდა (სმა-ჭამა უყვარდა), სუდის ორი მწერალიც და ჩვენი ნაცნობი თარჯიმანიც გვარიანად შეახურა.

ისინი ძლიერ ხშირად სჭირდებოდა (საქმეები სასამართლოში ხშირად ჰქონდა) და ამიტომ მათი პატივისცემა უყვარდა. ხელი ხელს ბანსო, რუსები იტყვიან. ისინიც თავაზიანად ეპყრობოდნენ და საქმეს დროზე უსრულებდნენ.

ბასილმა იქვე შეიტყო თარჯიმანისაგან, რომ მისი საქმე დრიმინტია ჭანდრაკელიასთან ფულების თაობაზე მომრიგებელ მოსამართლეს ოცდაშვიდ მაისისათვის დაენიშნა.

საღამოზე, გულდამშვიდებული ბასილი ცხენს მხიარულად მოათოხარიკებდა. ცხენიც ჩქარობდა, რადგან მთელი დღე უქმელი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩვეულ ბაგისაკენ მიეჩქარებოდა.

„ღმერთო! იმ ერთ ბაღანას ნუ მომიკლავ, რიგიანი კაცი გამომიყვანე, — მხიარული გუნების ქვეშ ლოცულობდა და ფიქრობდა ბასილი,—გვარისთვის სასახელო და ჩემი მოხუცებულობის საიმედო. მოყვარეს რომ ახარებდეს და მტერს შურით თვალებს სთხრიდეს.“

— სუდს მივეწერი, ბიჭი კარგად დამიხვდა, ზასიდანიე დროზე დავანიშნინე. უწყებას დროზე გავუგზავნითო, დამპირდა პერვოჩიკი, არა, დღეს ცუდი არა შემხვედრია რა. შენი რომანოზაც გაცრუვდა და შენი კურდღელიც, — თავმომწონედ ჩაილაპარაკა ბასილმა.— მართალს ამბობს ჩვენი ექვთიმე მღვდელი, არც ფეხია, არც შეხვედრაა. — დაემატა მან. მაგრამ ისევ ჩქარა მუჭი ტუჩზე გაიჭახუნა.

— ღმერთო, შეგცოდე და შემინდევი, — მოწიწებით წარმოთქვა და პირჯვარი გადაიწერა. — ვინ იცის, ჯერ სახლამდი რა ხიფათი შემემთხვევა.

მაგრამ ბასილს არაფერი შეხვედრია და არცა რაიმე ხიფათი შემთხვევია, მშვიდობით გაიარა გზა და ვახშმობა იქნებოდა, რომ თავის ეზოში ცხენი შემოათოხარიკა, ხმამაღლა მოჯამაგირეს დაუძახა: — დათია, დათია, გამოდი, ბიჭო, ცხენი გამომართვი.

VII

მწყემსები

კონსტანტინე ტომბაშვილის გასტუმრების შემდეგ ნიკოია თოხიტარიას ჯალაბობა ფაცხაში გავიდა და იქ კერას მოუსხდა.

თუ ნიკოიას სასტუმრო სახლი როგორც გარეგნობით, ისე შინაგან მოწყობილობით მწირი და ღარიბი იყო, სამზარეულო ფაცხა კი სიღატაკეს წარმოადგენდა.

წარმოიდგინეთ, ხუთ არშინამდე სიგრძე-სიგანის, წნელისაგან დაწნული ფაცხა, რომლის ფართო და ხშირი ჭუჭრუტანები შეზელილი წივა-ნაცრით იყო შელესილი: ზოგან ისიც ჩამოცვინულიყო და ზოგან ჩამოვარდნას აპირობდა. ასე რომ, ქარი ყოველმხრივ ადვილად შესისინებდა.

კერის პირდაპირ, ზემოთ, გარდიგარდმო იყო ვადებული ორი მუჭის სიმსხო, ჯშნოდ ტყავმოცილებული თხმელის ჯოხი, რომლებზედაც ხისავე საქვაბე ეკიდა. როგორც ეს საქვაბე, ისე ხარიხები, ისლი შიგნიდან ბოლისაგან გიშერივით შავი იყო. მთელ შენობას ერთი ლურსმანი არსად ჰქონდა, არც სხვა რამ რკინეულობა. მის მაგივრობას, საცა საჭირო იყო, თხილის დაგრეხილი ან რცხილის წნელი ასრულებდა; არ ეტყობოდა არც შალაშინის, არც სატეხის, არც ბურღის ხმარების კვალი. ამ საუცხოო სადგომის შენობაში იარაღად მხოლოდ წალდი და ნაჯახი იყო ნახმარი.

ფაცხის ერთ მხარეს ორი ტლანქად გათლილი წიფლის ფიცარი იყო მიდგმული, რომელზედაც ნახევრამდე სავსე ტომარა ეგდო სიმინდის ფქვილით. იქვე წკნელის კავზე ეკიდა ხის ნიგა (რძის ჩასაწველი) და ქვევით ტომარასთან ხის როდინი, ვეებერთელა ქვასანაყით; რამდენიმე ხის ჯამი, ერთი თაბახი, ქოთნით მარილი და სხვა რაღაც წვრილმანები. ეს იყო ნიკოიას სამზარეულოს ავეჯეულობა-მორთულობა.

— აჰა-ჰაია, ჩემო ივანე! — ოხვრით წარმოთქვა ნიკოიამ და თამბაქოთი სავსე ჩიბუხი მოლაპლაპე ნაკვერცხალში ჩხრიკა. ერთი ნაკვერცხალი ჩიბუხზე მოექცა, მაგრამ თან ნაცარიც ბლომად

მოჰყვა. ნიკოიამ ნაცარს ბევრი ყურადღებაც არ მიაქცია, ნაკვერ-ცხალიც და ნაცარიც ფრჩხილით ყალიონზე დაამაგრა და ტარი პირში ჩაიდო. — კაი კაცს ქე ჰყავს, მარა რა ვიცი, სხვის ხელში, სხვის ოჯახში. დედა არა ჰყავს ახლო და მამა. ან ცუდი გული შეექნას, ან ავად გახდეს. ფუი, სიღარიბეს დაუდგეს თვალები...

— რას სწუხარ, მამაჩემო, — მიუგო პეტრემ, რომელიც კერის მეორე მხარეს კველაზე იჯდა, — რა უჭირს. ლეტაკარში კი არა, სტამბოლში წავა კაცი. გაიარ-გამოიაროს, ცოტა რამე იშოვოს, თვალი გააღოს, ჩვენც შეიძლება რამე დაგვაჩნდეს. ნეტავ მეც დამაყენა სადმე ქირაზე. აქ, ბაბა, ვთოხნეთ, რაც ვთოხნეთ, ქე შევჭამეთ და მეტი აღარაფერი დაგვრჩა, რომ...

— იქით, ბაბა! რას მეუბნები, — გაოცებით გააწყვეტინა ნიკოიამ. — ის დღე ღმერთმა ნუ მომასწროს, რომ შენ მოჯამაგირედ მიდიოდე. მე, ბაბა, დღეს ვარ და ხვალ ვინ იცის, ღმერთი როგორ ინებებს, და შენ საზღვრები უნდა გაჩვენო...

— საზღვრები კი არა, უზომო რამეები რომ გვაქვს, ბაბა, — მწარე ღიმილით მიუგო პეტრემ, — ჩვენი ორი ქცევა ხრიოკი მიწის საზღვრების ცოდნას რა ბევრი უნდა. ხუთი წლის წინათაც ვიცოდი მათი საზღვრები, მარა რა გამიკეთა! ისიც ჯერ ჩვენი როდია, ბაბა, ყოველ წელიწადს მებატონეს მეოთხედს ვაძლევთ.

— არა, შვილო! რაც გინდა იყოს, სამშობლო მიწა-წყალი მაინც ძვირფასია, გახსოვდეს, მაინც ყოველ ქვეყანას უნდა გერჩიოს.

— ამის უარს მეც არ ვამბობ, ბაბა... მე ვამბობ, რომ კაცმა უნდა გაირ-გამოიაროს რისამე საშოვნელად. მარტო ამ ჩვენ ღონეგამოლეულ ფერდობებს ვუყუროთ, ეს ვერ გამოგვიყვანს სიღარიბიდან.

— ოჰო-ჰო, ბაბა! ღმერთი თქვენს თავს რომ მაჩუქებდეს, თორემ სხვა სიმდიდრეს როგორ ვითხოვ. მე რაც გადამწვდენია, განა მდიდარი არა ვარ? ღმერთო! ერთი ღომით კარგა გამაძღე-მეთქი ვნატრობდი, და წრეულს კი ორმოცდაათი ფუთი სიმინდი კიდევ გავყიდეთ, ჩვენ სიღატაკეს არაფერი დააჩნდა თორემ, ღმერთო, შენ შეეწიე ჩემ ივანეს, წმიდა-გიორგი ხორციელი, მისი ოხვამერი * და აგენი როგორ გამწირავს, რა ვიცი... მათ სახელს ვენაცვალე... თუმანი კი დამიტოვა, ააშენა ღმერთმა! რიგიანი კაცი უნდა იყოს ის კორსანტელი. დრონე ფულებს რომ მომცემს, ესეც ბევრი რამეა. ზოსიმე პოპრიშიკი თუ გამოჩნდა ახლა, მაშინათვე ხელში მივცემ ფოსტის ფულს და მოვიშორებ, — მხიარულად წარმოთქვა ნიკოიამ.

---

* ოხვამერი — სალოცავი.

— მიეცი, ბაბა, მიეცი, თორემ ისე დაგვემუქრა ამას წინათ, შეიძლება მოზვერს მოავლოს ხელი და მაგის წაყვანას ვერ მოვითმენ, აყალმაყალში გავებმით. რამდენია მისაცემი? — დაეკითხა პეტრე.

— ხუთი მანეთი თავის ფოსტითა და მანეთი და ექვსი შაური როჭიკი. მღვდლის ფულიც ჯერ არ მიმიცია.

— ისიც გადაიხადე, ბაბა, მაინც ხომ უნდა გადაიხადო, სულ ერთია, რა დღეს, რა ხვალ.

— ხუთი... ორი... მანეთი და ექვსი შაური... ესეც რამდენია ერთად? — დაეკითხა ნიკოია.

— ხუთი ფოსტა?

— ჰო!

— მანეთი და ექვსი შაური როჭიკი?

— ჰო.

— ესეც ექვსი მანეთი და ექვსი შაური, მღვდლის ორი მანეთი.

— სულ რამდენია?

— სულ? ექვსი... შვიდი... რვა... რვა მანეთი და ექვსი შაური. თუმნიდან დედაჩემის საკაბეს მაინც ჩამოვრჩებოდე ამ საღვდგოვოდ, წირვაზე წავა საწყალი, — გულთბილად წარმოთქვა ნიკოიამ.

— თქვენ იცოცხლეთ, შვილებო, თქვენ, მე არაფერი მინდა, — ძლივძლივობით წარმოთქვა ნიკოიას მოხუცმა დედამ ჭუტამ, რომელიც შვილის გვერდით კველაზე იჯდა. ეს იყო აგერ თითქმის სამოცდაათ-ოთხმოცი წლის მოხუცი. ძლივძლივობით დადიოდა და თვალსაც შესამჩნევად აკლდა.

ნიკოიამ მართალი თქვა: დედაბერი იქით იყო სასამსახურო, მაგრამ საბრალოს რაც შეეძლო მაინც თავს არ ზოგავდა. შეეძლო თუ არ შეეძლო, გული მაინც არ უთმენდა და ყოველ საოჯახო საქმეს ხელს უფათურებდა. განსაკუთრებით პატარა ფარნა უყვარდა, სულ იმის ზრუნვაში იყო და ფარნასაც დადი * ძლიერ უყვარდა. „დადი, დადი“ სიამოვნებით იტყოდა ბავშვი და მოხუცს კალთაში ჩაუგორდებოდა. ეს ყოველთვის საჭმლის თხოვნის ნიშანი იყო.

— იქით, წიე-მეთქი! — ვითომ და წყენით ეტყოდა მოხუცი ჭუტა, მეტი არ შემიძლია, შენისთანა ვირის ტოლა ყაძახი რომ მეცემი, ფეხები არ მომამტვრიო, — თანაც ეუბნებოდა და თანაც თავის გამხმარ ხელებს, რომელიც მხოლოდ ძვლისა და საშინლად დანაჭებულ ტყავისაგან შედგებოდა, რბილზე გაუცაცუნებდა.

* დადი — ბებია.

— რას ამბობ, დედაჩემო! შენით გვიდგა, ბეჩა, სული, ცეცხლი შენით გვინთია... ა, პეტრე... ფული რამდენი დარჩება? — დაეკითხა ნიკოია.

— რვა მანეთი და ექვსი შაური ვიანგარიშოთ? ათი... რვა... ექვსი... თოთხმეტი შაური დარჩება, ბაბა.

— ძლიერ კარგი. დედაჩემს კაბას უყიდის და ჩვენთვის კიდევ ღმერთი მოწყალეა.

— გადასახადი რომ წრეულს არ შეგვაწუხებს, რამდენად გვიღირს.

ნიკოიამ ხელახლა ამოურია ჩიბუხი ნაკვერცხლებში, ახლა ნაკვერცხალი არ მოყვა, ნაცრით კი ჩიბუხი სანახევროდ გაივსო, მაინც პირში ჩაიდო, ჩაუფშუტუნა; მაგრამ ვერაფერი გემო ვერ ნახა. მხოლოდ ნაცარი ფარფაშებდა ჩიბუხში.

— შვილებო! — დაიძახა ნიკოიამ და ჩიბუხი ქალამანს მიაბერტყა. — კერასთან ჯდომა გვეყოფა. ათა,* ბაბა, — მიუბრუნდა ათანასეს, ამ ერთ, ხუთ ექვს დღეში შენთან წაიყვანე ფარნა და დაასწავლე საით გარეკოს თხა, სად უკეთესი საძოვარია და მერე თვითონ მიეჩვევა.

— ხუთ დღეს კი არა, ნაღდგომევამდი ერთად მწყემსონ. ჩვენ მანამდი საძნელო სამუშაო არც კი გვექნება, — განმარტა პეტრემ.

— თუ გინდა, ასეც იყოს, — დასთანხმდა ნიკოია. — აბა, ბაბა, ნუ იგვიანებთ.

— ბა... ბა... და... დი... — ბუზღუნით წარმოთქვა ფარნამ, — საქმელი.

— კი, დადი, კი, შენი ჭირიმე, — ალერსით მიუგო მოხუცმა და გაიანეს უბრძანა საქმელი მოეტანა.

— დასტურ, საქმელი, ძღაბო! ** — წამოიძახა ნიკოიამ.—აქეთ მომეცი, მე ვაქმევ ჩემ ბაბას, მე! აქეთ მოდი, შვილო, ბაბაია.

ფარნა მამას გვერდით მოუჯდა. გაიანემ კი ხის კაჩაზე ჩამოკიდებული შავი კარდალიდან კარგა მრუზრდილი ცივი ღომის ნატეხი ამოიღო და მამას გადასცა.

ნიკოიამ ცალ ხელში ღომი დაიჭირა, მეორე ხელით ერთი მუგუზალი აიღო, კერიდან ნაკვერცხალი გამოჩხრიკა და ღომი ზედ დაადო. ათანასემ იგივე თავისი ხელით გააკეთა კერის მეორე მხრივ.

— ლობიო არ დარჩენილა? — დაეკითხა გაიანეს მოხუცი.

---

* ათა — შემოკლებული ათანასე.

** ძღაბო — გოგო.

— არა, დადი, ქოთანი სულ ამოლეულია.

— მაშ, ფხალი და სუნელი მაინც მოუტანე ჩქიჩქუს,* თორემ ფალო** ღომს რა აქმევს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფარნა მამის გვერდით იჯდა კველაზე, წინ ედო ხის ლამბაქით მოხალული ღომის ნატეხი და ფხალის ნაჭრები. აქვე ცოტაოდენი სუნელიც ეგდო (ნიგოზი, პრასა, პილპილი და მარილი ერთად დანაყილი). ფარნა ცალი ხელით ღომს მოტეხდა, მეორე ხელით ფხალის ნაჭერს სუნელს წაუცაცუნებდა და პირში იდებდა.

— ბაბა, — ისევ ბუზღუნით შესჩივლა ფარნამ, როცა ისაუზმეს და ათანასემ თხების გასაშვებად გორაკისაკენ წასვლა დააპირა, — ბა... ბა... კვაღაიას არ მომცემ?

— როგორ არა, ბაბა, შენი არ არის?

— ჯერ რათ უნდა მაგას კვაღაია, — უკმაყოფილოდ თქვა ათანასემ და გორაკისკენ ფეხი წარსდგა.

— ი.... ი.... — ტირილი დაიწყო ფარნამ და ხელები პირისახეზე მიიფარა, — აბა... მე... არ...

— ათა, ბაბა! — მოეალერსა ნიკოია ათანასეს და როცა მან მოიხედა, თვალი დაულწამწამა და ტუჩების აწევით ანიშნა. მერე ლმობიერად დასძინა: — მიეცი, ბაბა, შენთვის უკეთესს გავაკეთებინებ. ბავშვია, გაუხარდება.

ათანასემ ნაჯახი მოძებნა და მამას გადასცა.

— ა, ბაბა, ნუ ტირი. — ფარნამ რაკი ნაჯახი მამის ხელში დაინახა, ხელები პირისახეს მოაშორა და გაბრწყინვებული თვალები კვაღაიას გაუშტერა.

— კვაღაიას მოგცემ, ბაბა, მაგრამ რამე არ მოიჭრა. — ნიკოიამ ნაჯახის ტარი მარცხენა ხელში დაიჭირა, პირი ზევით მოაქცია და მარჯვენა ცერის გული რამდენჯერმე გაულვ-გამოუსვა: — უჰ! — რას სჭრის, ხოკუნს,*** ბაბა, ხოკუნს სამართებელივით. გაუფრთხილდი, ბაბა, შენი ჭირიმე!

გახარებულმა ფარნამ მამას ნაჯახი გამოართვა, თვითონაც თითით გასინჯა და ქამარში ჩაირჭო.

— ფარნა, ფარნა, მოდი, მომეხმარე მაგათ გარეკვაში! — გორაკიდან იძახოდა ათანასე და თან თხებს ერეკებოდა.

---

* ჩქიჩქუ — ჩვილი.

** ფალო — მარტოს მნიშვნელობით.

*** ხოკუნს — პარსავს.

— რ... რ... რ... ტ... ცეიტ... ყაი... ყაი... ყაი... ბდრუ... ბდრუ!— ყვიროდა ათანასე და თხებს ერთად აგროვებდა. ფარნაც მიეშველა ნიკოიას მცირე ფარა ფრუტუნ-ფრუტუნით გორაკიდან გამოვიდა, გზას დაადგა.

ხუთი თხა ნიკოიას საკუთარი იყო, ოთხიც სხვადასხვა პირთაგან გაბარებული. ერთი დიდი ყოჩი სხვისი საზიარო, და პატარა, ახალგაზრდა ყოჩი — სხვისი მიბარებული. ამნაირად ნიკოიას ფარას შეადგენდა ცხრა დედალი თხა და ორიც ყოჩი, სულ თერთმეტი სული.

თხები ეზოდან გარეკეს და ბიჯურის გზას დაადგნენ. ბიჯურში ტყე და ხშირი ბუჩქნარი ერთმანეთში იყო არეული. უფრო დიდროვანი წიფელა და რცხილა მეფობდა. იქ თხების სანეკრე ბევრი რამ მოიძებნებოდა და ამიტომ ხშირად იქითკენ მიუდიოდათ თხა, არათუ ნიკოიას, სხვებსაც, ვისაც კი თხა ჰყავდა. ბიჯურის ტყეს ეჭირა ათასამდე ქცევა ადგილი და ამიტომ თხების სანეკრე იქ ყოველთვის საკმაო იყო. ტყე სამთავრო იყო და თხის პატრონთ არავითარ ბაჟს არ ახდევინებდნენ, მხოლოდ ხეების მოჭრა სასტიკად იყო აკრძალული. ტყეს დარაჯებიც ჰყავდა.

ფარნა სხვა დროსაც გაჰყოლია ათანასეს ხათრისათვის, მაგრამ ახლომახლო ადგილებში. ბიჯურში კი ჯერ არ ყოფილიყო და ბიჯურის ნახვა ძლიერ უხაროდა.

— შორია, ათა, ბიჯურამდი?—დაეკითხა ფარნა, როცა თავიანთი გზა გაიარეს, ორღობეს გაყვენ და ოტორონჯე ღელეს მიადგნენ.

— კარგა მანძილია!

— მაინც?

— აბა როგორ დაგიზომო. ჩვენს ოხვამეში * ხომ ყოფილხარ?

— შარშან თანაფა დღეს არ ვიყავი? უტუ ციგანმა წითელი კვერცხი რომ მაჩუქა.

— მაშ, ჩვენი სახლიდან ოხვამემდი რომ არის, იმდენი და კიდევ იმდენი და კიდევ იმდენი და კიდევ იმდენი.

— უჰ! ბევრი ყოფილა. მარტო რომ ვიქნები, რა მეშველება, მეშინია, რომ ვერ გავრეკო!

— რის გეშინია, დღისით იქნები და არა ღამით. თუ ცოფიანი ძაღლი დაინახო, ერთს წუთს ხეზე აირბინე და იქ რა გიშავს!

— ხეზედაც საშიშიაო, წიე, ამბობენ! თურმე ის სულ უბედური

* ოხვამე — ეკლესია.

პირიდან დუჟს ბლომად გამოუშვებსო და ხის ღეროს მიასხამსო და როცა კაცი ხიდან ჩამოსვლის დროს ფეხს გადააბიჯებს, გაცოფდებაო.

— ვინ გითხრა აგეთი სიჩურჩუტე. ამდენი ჭკუა რომ ჰქონდეს, ცოფიანი არც კი იქნება. ახალი გაცოფებული მართლა საშიშია. ღონეც აქვს და სიმარჯვეც და თუ ცოფი მოერია, მერე თვალში ვერც კი იხედება რიგიანად.

— ვინ მითხრა, იცი? მითხრა კი არა, ლაპარაკობდა, მე ყურს ვუგდებდი. ილია ტორონჯაძის შვილს რომ ექიმი მოუყვანეს, აი ის ამბობდა და იმას ხომ ნამდვილად ეცოდინებოდა. — თუ ხეს დუჟს არ მიასხამს, სხვა რისი მეშინია, ერთ წუთს ავირბენ ხეზე და რა მიჭირს.

— თხებს ვის დაუტოვებ? — სიცილით დაეკითხა ათანასე. ბავშვი ცოტა შეფიქრიანდა...

— ალბათ გაიქცევიან...

— ყვე! შენი იმედით მართლა აშენდება ჩვენი ფარა! თხა რომ ისეთი ჭკვიანი იყოს, მწყემსი არც კი დასჭირდებოდა. მწყემსი კი იმიტომ არის, რომ ცოფიანი ძაღლისა და ტურა-მგლისაგან დაიფაროს.

— თო! ჯიჯა, * მე ჯერ პატარა ვარ, თორემ, როცა გავიზრდები, კიდევაც დავიფარავ ტურა-მგლისაგან.

ამ ლაპარაკის დროს მათ გაიარეს პატარა ღელე ოტორონჯე და მის გაღმა ბუჩქნარს აყვნენ. თხები ბუჩქნარში აქეთ-იქით გაიფანტნენ და სიამოვნებით ჩააკნატუნეს აქა-იქ. რაც მოხვდათ.

— ჰე, ფარნა! აქ ნუ აძოვებ. ისევ შარაზე გამორეკე თხები! — დარბაისლურად გადასძახა ათანასემ.

ფარნა ძაშინვე ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ზოგან ეკალი მოედო, ზოგან ბუჩქნარში გაიხლართა, მაგრამ მაინც რის ვაი-ვაგლახით მცირე ფარა ისევ გზაზე დააყენა. თან ერეკებოდა და თან, რაც შეეძლო, ხმამაღლა უყვიროდა.

— მარტო ყვირილით რა გამოვა, სახელები უნდა დაუძახო, თორემ მარტო ყაი, ყაი რომ უკიჟინო, ყურსაც არ გაიბერტყავენ. ყველას სახელები არ იცი? — დაეკითხა ათანასე.

— ყველასი? რა ვიცი, ძმაო, მე, — ცოტა გაკვირვებით მიუგო ფარნამ. — ხუდუშა ვიცი, უჩა, დარგა ვიცი, ოჩაგა ვიცი.

— აი, იმას რა ჰქვიან, მაღალი რქები ერთად რომ აქვს წვერში შეერთებული? — დაეკითხა ათანასე.

* ჯიჯა—ბიძია.

— არ ვიცი.

— იმას ტკუბა ჰქვია. აგერ, ამ მოთეთროს, ცოტად რომ კოჭლობს, ჩხაპრა ჰქვია. იმ ე, წინ რომ მიდის, დიდ ჯიქნიანი, იმას ერექემია ჰქვია.

— ამას რაღა ჰქვია, ოჩოგას გვერდით რომ მიდის! ე, ახლა რომ ხუდუშიას ურქინა, — ჰკითხა ფარნამ.

— რომელსა?

— ე, „ფრიტ, ფრიტ“ რომ დაიძახა.

— იმას ღუზანია ჰქვია.

— ახლა ვიცი, ღუზანია, ღუზანია, — ბეჯითად წარმოთქვა ფარნამ, ქამრიდან პატარა ნაჯახი ამოიღო. ერთ ძველ ხის კუნძს მოუქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა.

— მაგას ნუ შვრები, ფარნა, — შენიშნა ათანასემ, — შეიძლება ფეხზედ მოიხვედრო და ფეხი მოიჭრა; ამის გარდა ნაჯახიც გაფუჭდება, თუ ქვას მოხვდა.

— უიმე, აკი დამავიწყდა, ბაბამ რომ მითხრა. შეიძლება ახლაც გავაფუჭე,—ნაღვლიანად წარმოთქვა ბავშვმა და ნაჯახის პირს დახედა: — უი, ახლა მომკალი, ღმერთო, ახლა მომკალით, — შეწუხებით დაუმატა მან. — ათა, ათა, მგონი გამიფუჭებია, გამოტეხილა,— აგერ, გერ, — ატირდა ბავშვი.

— მე არ გითხარი, ქვას მოხვდება-მეთქი!

ათანასემ ფარნას ნაჯახი გამოართვა და დაათვალიერა.

— უჰ, აი სად გამოგიტეხია, მაგრამ არაფერია, ამ საღამოს გავლესოთ.

— საღამომდე არ დავბრუნდებით ჩვენ? შუადღეზე არ წამოვალთ?

— რადგან ბიჯურში მივდივართ, შუადღეზე წამოსვლა არა ღირს. მაისსა და ივანობას დიდი დღეებია, მაშინ შეიძლება და ახლა, მარტში, წამოსვლად არა ღირს. ძლიერ გშია? — დაუმატა ათანასემ.

— არა, არა მშია, მაგრამ ალბათ მომშივდება!

— რას იზამ, უნდა მოითმინო. ზაფხული რომ იყოს, ხილს ვიშოვნიდით... შევცდით, თორემ შენთვის სურით უნდა წამოგვეღო საჭმელი.

— განა მარტო ჩემთვის, შენ ვითომ არ მოგშივდება?

— რა არ მომშივდება, მე ვითომ კაცი არა ვარ? მაგრამ მე მოვითმენ.

— მეც მოვითმენ, — თამამად უპასუხა ფარნამ.

— რა კარი გაქვს, რომ არ მოითმინო, — გააჯავრა ათანასემ. — შეხედე , ჩხაპრა საით მიდის, აქეთ, სხვებს შეუერთე ის ტურის გასატყავებელი.

ფარნამ ფიცხლად აღასრულა ბრძანება და განზე გაქცეული თხა ისევ ამხანაგებს შეუერთა.

ამნაირად, ჩვენი მწყემსები ბიჯურს მიუახლოვდნენ.

ბიჯურის ტყეს ეჭირა მაღლობი და სწორი ადგილი, მხოლოდ ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ ცოტად დაქანებული იყო და აქ შუა ტყეში ჩამოუდიოდა კარგა მოზდილი ღელე, რომელსაც ფართო ღელეს ეძახდნენ.

შუაგულ ტყეში იყო ერთი მაღალი და ვაკე ადგილი, რომელსაც „ბეგს“ ეძახდნენ და სადაც ყოველთვის ისვენებდნენ მწყემსები. იქვე გამოვიდოდნენ სათამაშოდ და სალაზღანდაროდ. აქვე იყო საჭურჭლე თიხა, რომელსაც ახლომახლო მეჭურჭლეები ეზიდებოდნენ.

მშვენიერი დარი იდგა. მარტმა თანდათან ძალა გამოიჩინა. მზის გაცოცხლებული სხივები ისარივით მოხვდა ზამთრის სიცივისაგან მოკუმშულ ხის კოკორებს, შუაში გაიარა და პატარა ფოთლები გამოაჩინა. მერე თბილი სხივები ბლომად მოაშუქა და ფოთლები ცოტ-ცოტად გააფართოვა.

ამდროებით თხმელა თითქმის დაფოთლილი იყო. ალაგ-ალაგ წყლის პირად ამოსულ თხმელის ბუჩქნარს თითქმის ხელისგულის ოდენა ფოთოლი ფარავდა. წიფელა მწვანდებოდა, ზოგან კიდეც ამწვანებულიყო. გარეულ თხილს თავისი გრძელი ხვიხვილები, რომელიც ზამთარში ისე ამშვენებდა, დაემრგვალებინა და ყურებაცქვეტილი, ნაზი, მწვანე ფოთოლი გამოეშვა. ყოველ ბალახს, ყოველ ბუჩქნარს, ყოველ ხეს ფერი შეეცვალა და სადღესასწაულოდ მოსართავად ემზადებოდა. მგალობელი ფრინველები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ და ამიტომ ტყეში ის საამური, ათასნაირ ყილოზე ჟივილ-ხივილი არ ისმოდა, რაც მაისში და ივლისში ისმის. მშიერი ძერა ნება-ნებაზედ დაცურავდა ცის ლაჟვარდზე და ყვავების გუნდი არეული ჩხავილით გამხმარ წიფლის კენწეროზე „ყვა-ყვას“ გაიძახოდა.

„ფვიტ, ფვიტ, ფვიტ, ფვიტ, ფვიტ, ფვიტ“. ერთი მაღლა, მეორე დაბლა, მესამე საშუალოდ და გაგრძელებით, ლარჭემის ხმა მოესმათ ჩვენს მწყემსებს, როცა ბეგს მიუახლოვდნენ.

— დია, ლარჭემი! — მხიარულად წამოიძახა ფარნამ.

— ე უი! — დაიყვირა ათანასემ.

აქ ლარჭემის ხმა შეწყდა და იქიდან იმგვარივე პასუხი მიიღო.
— რომელი ხარ შენ? — ისევ დაუყვირა ათანასემ.
— ძაკალა ვარ, ძაკალა!
— მაშინათვე მივხვდი, რომ ძაკალა იყო. — ჩუმად, თავმოწონედ თქვა ათანასემ.
— დაგიძახა და იმიტომ მიხვდი, — ნიშნის მოგებით უთხრა ფარნამ.
— არა, დედის სული ნუ წამიწყდება. ლარჭემის ხმაზე ვიცანი.
— შენ რომელი ხარ? — დაუყვირა იქიდან ძაკალამ.
— ათა, ათანასე ვარ!
— ო! მოდი, მოდი ჩქარა.
რამდენიმე წუთიც და მწყემსები ერთად შეიყარნენ.
— ფარნაც წამოგიყვანია? — ჰკითხა ძაკალამ.
— ერთი თვის შემდეგ ეს იქნება ნამდვილი ჭყიში. *
— რატომ? — გაოცებით ჰკითხა ძაკალამ.
— მე არ მეცლება, ყანაში უნდა ვიმუშაო. ივანე ლეტა-კარში-ქირაზე წავიდა.
— უჰ! ეს კი მეწყინა, — ნაღვლიანად მიუგო ძაკალამ. — ამ ზაფხულს რამდენს ვითამაშებდით, ან რამდენ კიბოსა და ჩიტებს დავიჭერდით, უჰ!
— ჩემს მაგივრობას ფარნას გადავცემ, — ღიმილით მიუგო ათანასემ. — ბარემ მეც ქე მწყენია, მარა რა ვქნა.
— ფარნა, ფარნა, შე კაცო, და შენთან აგერ რამდენი წელიწადია შეჩვეული ვარ.

VIII

შუა ბეგში, სათემო გზის პირად, ერთი ქარისაგან წანაქცევი ვეებერთელა წიფელის მსხვილი და გრძელი როკი ეგდო. ტოტები შემოლეოდა; ზოგი შეშად წაეღოთ მახლობელ მეზობლებს და ზოგიც დროთა ვითარებისა გამო დამპალიყო. სალაზღანდაროდ და დასასვენებლად ეს ადგილი ჰქონდათ მწყემსებს მიჩნეული. ვისაც რამე იარაღი ჰქონდა, თავის მოვალეობად თვლიდა წიფელის მსხვილი, ალაგ-ალაგ ჩამპალი ღეროსათვის ცოტა გაეკაკუნებინა და

* ჭყიში — მწყემსი.

ნაფოტები დაეყარა. ამიტომ წიფელის ლეში ათასნაირად უშნოდ მოთლილი და ჩაკეპილი იყო.

მისვლის უმალ ფარნამაც შესთავაზა წიფელის როკს პატარა ნაჯახის პირი. ათანასე და ძაკალა ცოტა მოშორებით იდგნენ და რაღაცაზე მუსაიფობდნენ. ორივენი სიმაღლით ერთი ზომისანი იყვნენ. ათანასეს ტანთ ეცვა მოკლე, მსხვილი შალის ჩოხა არა თუ მოძველო, კიდევაც ღახეული. თავი კი გვარიანი სუფთა შალისავე ყაბალახით ჰქონდა შეხვეული. ძაკალას კი ძველი, ჩითის, უანგარიშო ფარატინ ჩამოკიდებული ახალუხი ეცვა. ეტყობოდა, ვინმე სრულწლოვანის გამონაცვალი იყო, რადგან ერთობ დიდი იყო მისთვის. თავზე ძველი ნაბდის ქუდი ეხურა. ქუდს კუნჭული ამოგლეჯილი ჰქონდა, საიდანაც ჯაგარივით მაგარი და რამდენიმე თვის დაუბანელი თმა ჩანდა.

— წიე, ასე დიდად ნუ აკაკუნებ! — გადმოსძახა ათანასემ ფარნას, — შეიძლება ტყაჩუმ გამოიაროს, ნაჯახს წაგვართმევს. ერთ დღეს მე ისე ტყუილად მეჭირა, მაგრამ კინაღამ წამართვა. თხები მუქთად ძღებიან არ გეყოფაო, რომ ხეებსაც აფუჭებო.

ბიჯურის შუაგულ სათემო გზა გადიოდა და ამ გზის პირად ეგდო ეს წაქცეული წიფელა.

თხები ერთი თვალის დახამხამებაში აქეთ-იქით მოედვნენ ტყეს, ახლად აყვავებული კვირტები მხიარული კრუტუნით ჩააკნატუნეს.

— ნამდვილს ამბობ? — ხმამაღლა დაეკითხა ძაკალა ათანასეს

— დედიჩემის სული ნუ წამიწყდება!

— შენი თვალით ნახე?

— ჩემი თვალით, მაშა? იქით კვირას, ერთი ყაბალახი სავსე დავიჭირე. დღე კიდევ ასეთი თბილი როდი იყო.

— თხებს რა ეშველება, თხებს, — ნაღვლიანად თქვა ძაკალამ.

— მეც ეს მაწუხებს და.

— ფარნას ვითომ ვენდოთ?

— რა ვიცი, თუ ღმერთი გწამს, ან შეშინდეს, ან რამე, პირველადაა აქ დღეს.

— მაშ ერთი ვქნათ, ათა?

— რა!

— წავიდეთ ცოტა ხანს და თხებს ჩქარა ისევ მოვაკითხოთ. დავათვალიეროთ და ისევ წავიდეთ.

ათანასე დაფიქრდა.

— ფარნა! — ალერსიანად დაუძახა ათანასემ.

— ჰო!

— შენ ჩემი კარგი ბიჭი არა ხარ? ერთს რომ გეტყვი, თუ იმას კარგად შემისრულებ, ისეთ საჩუქარს მოგიტან, რომ...

— რას, რას, შენი ჭირიმე, ათა, — ატიტინდა ბავშვი, ნაჯახი, რომელიც ხელში ეჭირა და მიუხედავად ძმის შენიშვნისა, მაინც ნელ-ნელა წიფელას თლიდა, უცბად ქამარში ჩაირჭო და იმათთან მიიჭრა.

—სუ, ნუ ღრიალებ! იცი, რას გეტყვი? თუ შენ რიგიანად თხებს მიჰხედავ, იცოდე, სულ ყური უნდა უგდო, ერთ წამს არ უნდა მიატოვო, თვალიდან არ უნდა გაუშვა, ხანდისხან უნდა დაიყვირო, თხებს უნდა სახელები ჭკახო. შორს თუ გაიფანტნენ, ახლო უნდა მორეკო, კაი საძოვრისაკენ თუ გაიწევს, შენც უნდა გაყვე... თუ შენ ამას რიგიანად შეასრულებ, ჩვენ, იცი, სად წავალთ? ფართო ღელეში ჩავალთ და იმდენ კიბოებს დავიჭერთ, რომ ამაღამ ვახშმად ფო... ფო... ფო...

— დია, კარგი, კარგი! — აღტაცებით წამოიძახა ფარნამ. — დადის კიდევ მოვუტანოთ? აქედან ძლიერ შორს იქნებით?

— არა, — გულის გამამაგრებელი კილოთი მიუგო ათანასემ. — შენ რომ დიდს დაიყვირებ, ჩვენ გვესმოდეს იქნება. ხელში მოქაფურელი ცული არ გიჭირავს?

— ბევრი ტურა-მგელია ამ ბიჯურში? — შიშით შენიშნა ფარნამ.

— ჰა, ჰა, ჰა, — ჩაიცინეს ორივემ, — ტურა-მგელს შენთან რა უნდა? კაცისა ყველაფერს ეშინია! ისიც დღისით. შენ თამამად იყავ, ჩვენ აგერ არა ვართ! მხოლოდ არ დაგვღუპო, თხები არ გაფანტო და იმდენ კიბოს მოგიტანთ, რომ...

მათ ერთხელ კიდევ დაათვალიერეს თხები: ყველა იანგარიშეს. რამდენიმეჯერ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაიყვირეს, მერე ისევ კიჟინ-კიჟინით და სირბილით ფართო ღელესაკენ გაიქცნენ.

— აბა, შენ იცი, ფარნა, აბა, შენ იცი! — ერთხელ კიდევ დაუყვირეს შორიდან და თვალიდან მოეფარნენ.

პირველ წუთს ფარნა შიშის ზარმა აიტანა. იდგა ტყეში. ფართო შარაგზის პირად. გარშემო ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ დროგამოშვებით თხების ფრუტუნი სიჩუმეს არღვევდა.

ფარნამ ყოველმხრივ მიიხედა, თითო-თითოჯერ თვალი გააყოლა იმ მხარეს, საითკენაც ათანასე და ძაკალა გაიქცნენ. მხოლოდ ტანი აებურძგნა და პატარა გულმა თაბთაბი დაუწყო. მზათ იყო ღრიალი აეტეხა, მაგრამ გაახსენდა ათანასეს სიტყვები: „რის გეშინია, მოქაფურელი ცული ხელში არ გიჭირავსო. კაცისა

ყველაფერს ეშინიაო. ფარნამ მაღლა აიხედა. ერთი ბეწო ღრუბელი რა არის, არ მოიძებნებოდა ცის ლაჟვარდზე. ბრწყინვალე მზე უხვად გზავნიდა თბილ სხივებს. შუა წირვის დრო იქნებოდა. ფარნა შეეცადა გული გაემაგრებინა, ხელი მოუჭირა ნაჯახის ტარს, გაექანა მახლობელ ბუჩქნარისაკენ, მოჭქნია და ცერის სისხო იელი ყველივით გადასჭრა. ამით წათამამებული დაერია და რამდენიმე სრულიად უდანაშაულო მცენარეს სიცოცხლე მოუსპო.

— ა უ.... უი! — დაიყვირა მან, ჯერ შიშით. მისი ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოდიოდა პირიდან, მერე გათამამდა და საშინელი ყვირილი გააბა.

ფარნა ცდილობდა დაწვრილებით შეესრულებინა ათანასეს დაბარება. წამდაუწუმ მირბოდა თხებთან, თუმცა გზას რომ გაშორდებოდა, ცოტა არ იყოს, თმა აეჩეჩებოდა. გზიდან შორს წასულ თხებს აქეთ ერეკებოდა, ყვიროდა, მღეროდა და თან პატარა კვალაიას, სადაც მოხვდებოდა, მარჯვნივ და მარცხნივ ხეებს და ბუჩქებს უწკაპუნებდა. ამ ხეტიალის დროს ის წააწყდა ერთ ადგილს, სადაც მიწა რამდენიმე საჟენის სიგრძე-სიგანეზე ამოთხრილი იყო და ყვითელი გატკეპნილი თიხა ალაგ-ალაგ დიდ გუნდა-გუნდად ეფარა. გონიერი ბავშვი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ადგილი საჭურჭლე თიხის სათხრელი უნდა ყოფილიყო. გაგონილიც ჰქონდა, რომ ბეგში საჭურჭლე თიხა არისო და იქიდან გააქვთ მეჭურჭლეებსაო. გარდა ამისა, შარშან ის პეტრეს წაყვა მახლობელ სოფელში, ერთი კაცის სახლში, რომელიც მეჭურჭლე იყო. როცა ისინი მივიდნენ, მეჭურჭლე მუშაობდა. სწორედ იმნაირივე თიხა ეწყო მეჭურჭლის წინ.

ფარნამ თხმელის ტოტი ჩამოსჭრა და ამონათხარ მიწას გამხმარი ფოთლები გადასწმინდა, რადგან ჭურჭლის მუშაობა ჯერ დაწყებული არ იყო და შარშანდელ ამონათხარ მიწას ალაგ-ალაგ ფოთლები და ფიჩხები ეყარა. ჯოხითაც ამოთხარა რამდენიმე მუჭა თიხა, პერანგის კალთაში ჩაიწყო და მახლობელ რუსაკენ გაექანა.

ფარნა ჩამოჯდა რუს პირად. ნაჯახი გვერდით მოიდო. თიხას მუჭით წყალი დაასხა და ზელა დაუწყო. თიხა ცოტად რომ მოზილა. ხელით გააგორ-გამოაგორა და ბურთივით დაამრგვალა. მერე ეს ბურთიც ცალი ხელისგულზე დაიდო, მეორე ხელისგული დაატკაცუნა და თიხა გააპრტყელა. შემდეგ ბრტყელი თიხის კიდე ირგვლივ ზემოთ ასწია და რაღაც ჯამის მსგავსი გამოიყვანა. თავის გულში ბავშვს სურდა რაიმე პატარა ჭურჭელი გაეკეთებინა. ან ქოთანი ან ლიტრა. მაგრამ რიგზე დაუზელავი თიხა გაიხსნა. ზოგან სულ მოვარდა, ზოგან პირი დააღო. ფარნამ მოვარდნილი ნატე-

ხები ისევ მიაწება, სველი ხელიც მოიხმარია, მაგრამ ლამაზი ჭურჭელი მაინც არ გამოვიდა. ერთი ნაკლი ის ჰქონდა მისგან გაკეთებულ ჭურჭელს, რომ ძირი მრგვალი არა ჰქონდა, როგორც საზოგადოდ ჭურჭლებს აქვთ ხოლმე. უშნოდ მოღუნულ-მიღუნული იყო, ერთ მხრივ აწეული იყო, მეორე მხრივ დაწეული. თვითონ ოსტატსაც არ მოეწონა და უკმაყოფილოდ ისევ შეზილა. ახლა ხელმეორედ დაისველა ხელი და ისევ გულმოდგინედ ხელახლა კეთება დაიწყო. ვერც ახლა გამოუვიდა. მეორედაც გული არ აუცრუდა და მესამედაც სცადა, მეოთხედაც და ისე გაერთო ამ საქმეში, რომ სხვა ყველაფერი დაავიწყდა.

ათანასე და ძაკალა სიმღერით და კიჟინით მოვიდნენ ფართო ღელესთან.

— აი ზემოთ ავუხვიოთ, ოკამბეშეს * რომ ეძახიან, იმის ზემოთ გუბე რომ არის, იქ ვიკიბოვოთ, — თქვა ათანასემ. რამდენიმე წუთიც და ისინი დანიშნულ ალაგას იყვნენ.

გუბე წარმოადგენდა სიგრძით ოთხ-ხუთს და სიგანით ერთ ნახევარ საჟენს და სიღრმით სამ ჩარექ წყალს, რომელსაც ზემოდან არშინის სიმაღლე ციცაბოდან ანკარა ღელე ჩამოხრიალებდა. ქვევით კი, გუბის ბოლოს, ფონი იყო, ვეებერთელა სიპი ქვევით სავსე, რომლის სისქეს სანახევროდ ძლივს ფარავდა ქვევით მიმდინარე წყალი.

ღელეს ერთი ნაპირი დაბალი იყო და მეორე — მაღალი. დაბალი ნაპირი ბუჩქ-ეკლით იყო დაფარული და მაღალ ნაპირზე კი მოზრდილი ხეები, განსაკუთრებით რცხილა ხარობდა, რომლის ტოტები ქოლგასავით ფარავდა გუბეს.

შემოდგომაზე, რასაკვირველია, რცხილის ფოთლები წყალში სცვიოდა, განსაკუთრებით გროვდებოდა ნაპირზე. წლითი-წლობით მოგროვილი ფოთლები თიხა-ქვიშაში და ფიჩხში შერეული, წარმოადგენდა რაღაც სქელ და მჩატე ტლაპოს, რომელშიაც უყვარდა კიბოს დაბუდება.

— ჰო, აქ კი უსათუოდ იქნება კიბო! — სიხარულით წამოიძახა ძაკალამ, როცა გუბესთან მივიდნენ. შარშანწინ, მახსოვს, მე და მამაჩემი კიდევ ვიყავით აქ.

— აბა ახლა ფეხზე გავიხადოთ, — თქვა ათანასემ.

ორივემ თავიანთი ნახევრად დაგლეჯილი, მოუმზადებელი ტყავისაგან შეკერილი ქალამნები გაიხადა.

* ოკამბეშე—საკამეჩე.

—ტა, ტა, ტა, რა ცივია, ყინვასავით ყოფილა, ნა, ნა, ნა, ნა, ნა,— კბილების რაკრაკით წარმოთქვა ძაკალამ, როცა წყალში ფეხები ჩადგა და ფიჩხებს ნელა გადასწია, რომ კიბოს ფრთხილად მიჰპაროდა.

— დღეს კიდევ არ იქნება ისეთი ცივი, — მიუგო ათანასემ. — შეხედე, მზე რავა ათბობს. იქით კვირას ცა სულ მოღრუბლული იყო და ქარიც ისეთი უბერავდა, მაგრამ... თო, თო, თთო... ა... ბიჭო, მართლა, ეს რა ცივი ყოფილა, — დაიღრიალა ათანასემაც, როცა თვითონაც ჩადგა წყალში ფეხები, — დღევანდელი დღის მადლმა. მაშინ ისეთი ცივი არ იყო.

— ნელა, ნელა, ნუ ღრიალებ, კიბოები არ დააფრთხო, — მიუგო ძაკალამ.

— ვავა! ბორო პაპის * მონათლულო. კიბო რას გაიგონებს.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, — მიუგო ათანასემ და ფიჩხები ფრთხილად გადასწია.

— ვითომ კიბოს არაფერი ესმის ყურში.

— მაშ არა და. დუტუმ თქვა, თევზს და კიბოს სმენა არა აქვთო და თვალს კი ძლიერ ჰხედავენო.

ძაკალამ არა მიუგო რა. დუტუ ისეთი ავტორიტეტი იყო თევზის ჭერაში, რომ იმის ნათქვამის წინააღმდეგობა ძაკალას არ შეეძლო. მან შეამჩნია კიბო და ნელ-ნელა სულგანაბული ეპარებოდა.

— ოჰ, ოჰ, ეს ერთი! — დაიძახა ძაკალამ და მაგრა შეკუმშული ბუჭი წყლიდან ამოიღო.

ნეკის ძირიდან საბრალო მოყვითალო კიბოს ფეხები ჩანდა.

— ეს მეორე! — დაიძახა ათანასემ.

— აბა, ჰა, 'შენი ყაბალახი, — უთხრა ძაკალამ.

ათანასე წყლიდან ამოვიდა, კიბო იქვე მდელოზე დააგდო და საჩქაროდ თავიდან ყაბალახი მოიხსნა. კიბომ კი, რა იგრძნო თავისუფლება, ცოტა წაბუდრუგუნდა, მაგრამ ზურგზე ისევ ათანასეს ხელი დაეფარა.

— ოხე! — ოხუნჯურად დაუძახა მან, — წიგნში ასე არა წერია მაგისთანები შენ თავის დღეში არ იკადრო, ეს ტყუილი მოგივა, — შეუბრალებლად ეუბნებოდა ათანასე, ხელი დაავლო და ყაბალახში ჩააგდო. მერე ყაბალახის ტოტები სარტყელივით შემოირტყა და თავზე დასახური პარკივით წინ მოიმარჯვა.

---

* ბორო პაპა—ლენჩი მღვდელი.

ძაკალამაც თავის კიბოს იქ გადაუძახა.

— ნა, ნა, ნა, ნა,... შე ოხერო! — მწარედ დაიძახა ძაკალამ და ხელი საჩქაროდ წყლიდგან ამოიღო. ერთი ვეებერთელა, ნახშირივით შავ კიბოს ფეხები მის ნეკში მაგრა ჩაეჭიდა.

— ე! ეს კარგი დაგიჭერია, — მოუწონა ათანასემ. — პაპას ჩილი-თქვა *, ბიჭო, პაპას ჩილი-თქვა.

— პაპას ჩილი, პაპას ჩილი, — გამწარებით ამბობდა ძაკალა. ცალ თვალს ლოყა-ტუჩებიანად საზარლად ჭმუჭნავდა. კიბო მაინც არ ეშვებოდა; ხუმრობა საქმე იყო? სიცოცხლის დათმობა განა ასე ადვილია?!

ძაკალამ ძალზედ გააქნია ხელი ნაპირისაკენ. კიბოს სიმძიმემ დასძლია და მდელოზე ბარტყანი მოიღო. ფეხის განძრევაც ვერ მოასწრო საცოდავმა, რომ ათანასეს შეუბრალებელი თითები მის ხოპიან ზურგს მოხვდა და ყაბალახში ჩაუძახა.

— ბიჭო, თასირამი ხომ არ არის? — ჰკითხა ძაკალამ.

— არა, ყა, — გაფანტულად მიუგო ათანასემ.

— წყეულმა რარიგად მომიჭირა, კინაღამ სული ამომაძრო.

ამნაირად, ჩვენი მწყემსები შეუდგნენ ნადირობას და ისე გაერთენ, რომ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, სადმე ქვეყანაზე თხა არსებობდა თუ არა.

პატარა ფარნამ ბარე ათჯერ გაიმეორა ჭურჭლის კეთება, მაგრამ ამაოდ; რიგიანი ერთხელაც არ გამოუვიდა. თითები მთლიანად თიხით გაეგლისა, წელი საშინლად ეტკინა, თვალები დაუმძიმდა და თან ზნეობრივი მწუხარებაც დაემატა; ჯავრი მოსდიოდა, რომ ოსტატობა ვერ გამოიჩინა. ერთხელ კიდევ სცადა, მაგრამ არა და არა, ჭურჭელი ლამაზი არ გამოდიოდა. ბავშვი ცოტა ხანს დაფიქრდა; ერთი ახლო ძლიერ მიბჟუტავ რუს შეხედა, ერთიც თავის ჭურჭელს და გაბრაზებულმა სველი თიხა შორს გადააგდო. ახლა მას გაახსენდა თხები და ათანასეს დანაბარები: კარგად თუ შეასრულე ჩემი ნათქვამი, მე ვიცი შენი პატივისცემაო, კიბოები ამაღამ თავზე საყრელი გექნებაო. ვაიმე, — გაიფიქრა მან და მზეს შეხედა. შუადღეზე ბევრად გადაცილებული იყო. ფარნამ ყური დაუგდო, მაგრამ თხების ფრუტუნი არ მოესმა.

ხელები საჩქაროდ რუში ამოიბანა, მაგრამ ისე კი, რომ ტალახი სანახევროდ ზედ შერჩა, შიშით აძაგძაგებულმა ნაჯახს ხელი მოავლო და ზეზე წამოვარდა.

— ნანა, ჩემი ცოდვა, დავიღუპე, თხები სად არის? — წაიბუტ-

* ჩილი — ცოლი.

ბუტა ტირილით და მის ნორჩ გონებას ერთიერთმანეთზე სამწუხარო ფიქრები მოადგა.

რაც უნდა ყოფილიყო, მარტო ტირილით ვერას გაარიგებდა. მას ერთ წამს გადაავიწყდა ყოველივე შიში და თამამად ტყეში შევიდა. კარგა მანძილით მოშორდა სათემო გზას და აქ ხშირ ეკლნარში, სადაც წიფელებიც იდგა, ცოტად გული მოულბა, რადგან თხების ფრუტუნი შემოესმა.

თხები გატაცებით პირს ახრამუნებდნენ. ერთი მათგანი, რომელსაც ტკუბა ერქვა, მიწაზე იწვა და იცოხნებოდა. დანარჩენი ორი, ერთი უჩადარგა და ერთიც ძაკალას თხა, რომლის სახელი ფარნამ არ იცოდა, ერთმანეთს ურქენდნენ. ფარნა დიდი მოყვარული იყო თხების ჭიდაობისა და ძლიერაც ესიამოვნა, რომ ერთი თხა სხვისი იყო და აინტერესებდა, რომელი მათგანი აჯობებდა; რასაკვირველია, უჩადარგას გამარჯვების მსურველი იყო. მაგრამ ისევ დანარჩენი თხები გაახსენდა და მათ დასათვალიერებლად გაეშურა. საუბედუროდ, აქ ერთი დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ: თუმცა ათანასემ დღეს ყველა თხა გააცნო, მაგრამ კარგად ჯერ მაინც ვერ იცნობდა. გარდა ამისა, ერთად ყველას რიცხვიც არ იცოდა. მაგარი ის იყო კიდევ, რომ ათზე ზევით თვლაც არ ეხერხებოდა. ძაკალას თხების კი ამბრუ-ბამბრუ აღარა გაეგებოდა რა; არც სახელები, არც ფერი, არც რიცხვი. სხვა რა შეეძლო, რაც თხები ნახა, ერთად თავი მოუყარა და წაქცეულ წიფელასაკენ გარეკვა დააპირა. თხებს კი სრულებით არ უნდოდა ბლომა და გემრიელი საჭმელისათვის თავი დაენებებინათ და ფარნას ძახილზე: „ყაი, ყაი, ყაი," ყურიც არ ათხოვეს და წვერების ცანცარით ისევ კნატუნი გააგრძელეს.

ფარნამ მოუფერებლად დაუშინა მათ, რაც ხელში მოხვდა, ქვა, მიწა, კეტი, ერთს კინაღამ ნაჯახი ესროლა და ყველანი შარაგზაზე, წიფელასთან მირეკა.

ბავშვი გულდადებით აკვირდებოდა თხებს, მაგრამ დაბეჯითებით ვერ მიმხვდარიყო, სრულად იყვნენ თუ არა.

— დიდი ოჩაგა კი არის, აგერ პატარა ოჩაგა, ე, ხუდუშია, ე, ჩხაპრა, — ამბობდა ბავშვი. ნაცნობ თხებში უცნობ (ძაკალას) თხებსაც არჩევდა და მათი საქმე უფრო აწუხებდა: ვაითუ ისინი სრულიად დაიფანტნენო.

რაც იყო, ის იყო! მათ საძებრად სხვაგან ვერსად წავიდოდა. სამაგიეროდ, რაც შეეძლო, ყვირილით ცდილობდა დანაშაული გამოესწორებინა და წამდაუწუმ, ااا.... უ.... უის გაიძახოდა.

კარგა ხანი ინადირეს ჩვენმა მწყემსებმა. პირველი აღტაცება

დაუცხრათ. ხელ-ფეხშიაც სიცივე იგრძნეს და თხებიც გაახსენდათ. რომ თქვას კაცმა, ყაბალახიც კიბოებით სავსე ჰქონდათ.

— ა დ დ... დ... დ... დ... — ტუჩების კანკალით წარმოთქვა ძაკალამ. — გვეყო... ფა, ათანასე, წავიდეთ. შეხედე! მზე კიდეც გადახრილა. ერთი წუთი არ გასულა, მგონია, ეს ოხერი...

— ვერც კი მივაკითხეთ თხებს, — ნაღვლიანად მიუგო ათანასემ, — ტყუილი მოგვივიდა, ბავშვის ანაბარა დავტოვეთ თხები. ეს ოხერი, თუ ერთხელ ხელი დავისველე, მერე ხომ ვერ დავანებებ თავსა, უჰ, დაღამებულა კიდეც.

ორივენი საჩქაროდ ამოვიდნენ წყლიდან და თხებისაკენ გაეშურნენ. კიბოებით სავსე ყაბალახი ათანასეს კისერზე ჰქონდა გადაკიდებული. მათ მალე მოესმათ ბავშვის ყვირილი.

— ოჰო, ჩემო ფარნა! თუკი დღეს თხები არ დააბნიე, შენი საჩუქარი მე ვიცოდე, — წაილაპარაკა ათანასემ, როცა ბავშვის ხმა გაიგონა.

— ა.... უ.... უ!.. — დაიყვირეს ორივემ, რომ ბავშვისათვის გული უფრო გაეთამამებინათ.

— ვო, ფარნა! — დაუძახა ათანასემ, როცა მიუახლოვდა.

— ჰო. — შეშინებულად მიუგო ფარნამ.

— ბიჭო, თხები ხომ არის?

ფარნამ არა მიუგო რა.

— ა... ფიე?!—უფრო ხმამაღლა დაუძახა ათანასემ.—ბიჭო, ხომ არ დააბნიე თხები? — ჰკითხა ათანასემ, როცა მიუახლოვდნენ.

ფარნა ერთ ადგილას იდგა და თითქმის თრთოდა შიშისაგან. ათანასე ერთი შეხედვით მიხვდა, რომ რაღაც სიკეთე არ იყო.

— ქე მაინც მითხარი, ბიჭო, შე კინჩხ მოსამტვრევო! — დაუყვირა ათანასემ, — დაჰკარგე თხები?

— მე... მე... — წაილაპარაკა ფარნამ და ცრემლმორეულმა ღრიალი მორთო.

— ვაი შენ და ზურნა! — მწყრალადვე მიაძახა ათანასემ და ძაკალას მიუბრუნდა.

— აბა, ძაკალა, დავათვალიეროთ თხები.

ორივენი საჩქაროდ თხების თვლას შეუდგნენ.

— ჩემს ღუზანია აკლია, — თქვა ათანასემ.

— ჩემსა ერთი შქერა და ერთიც ბაჯგალა! — ნაღვლიანად მიუგო გაფითრებულმა ძაკალამ.

ფარნა კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა და მისი დიდროვანი ლამაზი თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით მოდიოდა,

ნიკაპის წვერთან ცრემლის ნაკადული ერთმანეთს უერთდებოდა. და კამკამით მიწაზე ცვიოდა.

— ბეეე!—დასცინა ათანასემ,—გაგისქდეს მაგ ბონჩო თავი! ერთ წუთს თხებს ვერ მოუარა. ამის იმედით ჩვენი თხები აშენდება! მითხარი, ბიჭო, ქე მაინც, მითხარი, სად იყვნენ, როცა ნახე?

ათანასეს ბევრჯერ დამართოდა მაგისთანა შეცდომა თავის სიცოცხლეში და კარგად იცოდა, რომ ბავშვი ალბათ რამე სათამაშოს შერჩებოდა და თხები გაიფანტებოდნენ. სინიდისის წინაშე თავის თავს უფრო ამტყუნებდა, თუმცა სიტყვით ბრალს უფრო ფარნას სდებდა.

— ე, იქით, — ტირილით მიუგო ფარნამ, ხელით ანიშნა.

— არიქა, გავიქცეთ! — ცქვიტად გადასძახა ათანასემ ძაკალას.

— შენ კი... აქედან ფეხი არ მოიცვალო, თორემ სულს ამოგართმევ! — მწყრალად და ბეჯითად მიაძახა ათანასემ და ორივენი გაიქცნენ.

— ახლა მომკლას და გაშაქვაოს არა სჯობიან? — ამბობდნენ გზა-გზა მწყემსები, — ისე როგორ გადავირიეთ, რომ თითის ტოლა ბავშვს ამდენი თხები დავუტოვეთ... ოხ... ღმერთო, წმიდა გიორგო!— დაპირებას აძლევდნენ ორივენი.

ნახევარი საათის თავდავიწყებული ძებნის შემდეგ, როგორც იყო, ნახეს ჯოგს აცდენილი თხები. ეს ბედნიერი შემთხვევა იყო ორივესათვის, რადგან ხშირად მოხდებოდა, რომ ხან პატარა ტურა და ხან დიდიც არ დააყოვნებდა, მწყემსების დაუდევრობისა გამო, გზააბნეული თხის ხორცით პირის გატკბარუნებას.

ფარნამ ცოტ-ცოტათი უკლო ღრიალს, როგორც კი ისინი თხების საძებრად წავიდნენ. მერე ნელ-ნელა ფრუტუნი დაიწყო და მერე კი სულ გაჩუმდა.

ახლა კი უფრო ერთგულად მოეკიდა საქმეს და თხებს სულ ირგვლივ დასტრიალებდა. გულში კი წამდაუწუმ იმეორებდა: „წმიდა გიორგი, თაარ ანგელოზო, ნუ დაჰკარგავ ჩვენ თხებსა". ასეთი ლოცვა მამისაგან ხშირად გაეგონა და თვითონაც გაჭირვების დროს ამასვე იმეორებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჯარისკაცებივით დამწკრივებული თხები ფეხების ბაკუნით შინისაკენ მიდიოდნენ და მათ უკან სამივენი მხიარულად მისდევდნენ. ძაკალამ ლარჭემს ტუჩები დაადო და მოწყენილი ხმები დაუსტვინა: „ფიტ... ფიტ... ფიტ... ფიტ..." ბიჯურის შესავალში გზა რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. ამ ადგილამდის გზა ერთად ჰქონდათ მწყემსებს. აქ კი ათანასეს მარჯვნით

მიმავალ გზისაკენ უნდა აეხვია და ძაკალას კი მარცხნივ, ამ ადგილას კიბოები გაიყვეს. ძაკალამ თავის ხვედრი რცხილის წვრილ და წვეტიან წკირზე ჯბოდიშოდ ერთი მეორეზე მიარჭო. მერე „თიში. თიშიო“ დაუძახეს თხებს და თითქო ოფიცერი უბრძანებს ჯარისკაცებსაო, არეულად მიმავალი თხები შუაში გაიყენენ და თავიანთ გზას დაადგნენ.

— მშვიდობით, ათა! — მიაძახა ძაკალამ.

— მშვიდობით! — მიუგო ათანასემ. — ხშირად გამოიარე აქეთკენ.

— ახლა თითქმის სულ აქეთკენ დავდივარ, ნაოჩუ საყანედ აიღეს წრეულს და ჩვენს მუხურში თხის საძოვარი თითქმის არც კი არის ახლა.

ძაკალა თავის თხებით გზის მოსახვევს მიეფარა. ფარნამ და ათანასემ შინისკენ გასწიეს.

— ფარნა, — ალერსიანად უთხრა ათანასემ, როცა ისევ ოტორანჯე ღელეს მიუახლოვდნენ. — რა საჭიროა ბაბას ვუთხრათ, რომ ჩვენ დღეს თხები დაგვებნა. ალბათ შენ ძლიერ გაგიჯავრდება.

ათანასე ცრუობდა. მან კარგად იცოდა ბაბა ვის გაუჯავრდებოდა და შეიძლება ლოყებზედაც ეთავაზა ერთი-ორი თქვენი მოწონებული სილა და ამიტომ განზრახ გადაუკრა ასეთი სიტყვა ფარნას.

ფარნა კი თავის მხრივ შიშით კვდებოდა: ბაბა გაიგებს ჩემს დაუდევრობას და გამიჯავრდებაო, სიხარულით დაყაბულდა.

მზე უკანასკნელ სხივებს ისროდა, როცა ბავშვები მხიარულად შევიდნენ თავიანთ ეზოში და მაძღარი თხები მარაკაში შელალეს.

IX

აზნაური ბართღომე მძებრაძე

ბასილ მძებრაძის სახლში ეს არის ისადილეს. სიტყვაზე, სადილი კარგი ჰქონდათ. ახალი ტოფე, უგვორო, წვერედია *და კალმახი. სულ ამ დღეებში დაჭერილი ზეთიანი დოში, სათალი და საზღვარგარეთული „სარდინკაც“ ამშვენებდა ბასილის ტაბლას.

ბასილ მძებრაძე წყლის ახლო ცხოვრობდა და ამიტომ თევზის ჭერაც კარგი იცოდა. ახალგაზრდობაში გამოჩენილი მესასროლე

* თევზების ჯიშებია.

იყო. ახლაც მის ოჯახში, როცა უნდოდათ, ახალი თევზი გამოულეველი ჰქონდათ.

ნასადილევს ბასილი აივანზე გამოვიდა და რიკულებზე გრძლად მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა. მარიკაც შორიახლო მოთავსდა. ძუკუმ, რომელიც სააღდგომოდ ჩამოსულიყო, ახალუხი ჩაიცვა, თოფი ხელში აიღო და ერთ მეზობლის ბიჭთან ერთად სანადიროდ წავიდა.

ბასილს ძუკუს გარდა ერთი შვიდი წლის ქალიც ჰყავდა, რომელსაც ტასიას ეძახდა. ტასია თუმცა პატარა იყო, მაგრამ ახლავე ეტყობოდა, თავის დროზე ლამაზი ქალიშვილი უნდა გამოსულიყო. ნახშირივით შავ თვალებს ცეცხლივით აბრიალებდა. მსუქანი ღაწვები თურაშაული ვაშლივით უღუოდა და ტანის მოყვანილობა ნაზი და შნოიანი ახლავე ეტყობოდა. ნასადილევს ტასიაც მეზობლებში წაიყვანა მოსამსახურე გოგომ და შინ მარტო ბასილი და მარიკა დარჩნენ. მარიკამ თვალი გააყოლა მხარზე თოფგადაკიდებულ ძუკუს, მართლაც და ახოვანს, მხარბეჭიანს და კმაყოფილებით ქმარს მიუბრუნდა:

— ძუკუს მამა, თუ ღმერთმა გვაჩუქა, კაი ბიჭი გამოვა ჩვენი ძუკუ. აგებულება, დეეთსიი დო გუუტე *, კალაპოტში ჩამოსხშული პაპამისია, ცხონებული მამაჩემი. ჩოხაც ძლიერ არ შვენის? ენაცვალოს დედამისი.

— მამაშენზე უარესი აგებულება, არ მოვკვდე იმის მეტი, არც მამაჩემს ჰქონდა. აგებულებით, ჰაი გიდი, მე ვითომ, ცუდი აგებულების ვიყავი... შენ რომ მოგიყვანე... ჰაი, ჰაი... რაც შეეხება ჩოხას, ეს სწორედ ნაადრევია მაგისთვის, ჯერ ისწავლოს, ბატონო, ისწავლოს და მერე ყველაფერს მოასწრებს,—ცოტა უკმაყოფილოდ მიუგო ბასილმა.

— ნაადრევი რატომაა, ძუკუს მამა? — გაიკვირვა მარიკამ.

— იმიტომაა, შენ ხარ ჩემი ბატონი და, რომ ჩოხას ჩაიცვამს, ხანჯალს დაიკიდებს, რევოლვერს, და შენს სწავლაზე გულს ქე აიცრუვებს. მე მინდა ის კლასი მაინც გაათავოს. როდი მინდა ყაჩაღი გამოვიდეს... შენ რა იცი, რა დროებაა მომდგარი. თუ ჩემსავით დარჩა, ვაი...

—არაფერი დროება არაა მომდგარი,—უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მარიკამ. — შენ სულ მასე იცი ყოველთვის. სწავლითაც დაისწავლის... ვენაცვალე მას, მარტო მისი წელი და გულ-მკერდი ერთ ბიჭად ღირს.

* დეეთხიი დო გუუტე—დაეთხოვე და გაუშვი.

ბასილიც გულის სიღრმეში ძლიერ მოხარული იყო, რომ მისი ერთადერთი შვილი გარეგნობით კარგი შესახედავი იყო, მაგრამ იმავე დროს ყოველდღიური გამოცდილება ცხადად ეუბნებოდა, რომ მარტო გარეგან სიმშვენიერეს ბევრი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. საჭირო იყო შინაგანი, სულიერი სიმშვენიერე, შინაგანი ძალა, რომელსაც, საუბედუროდ, ბასილის უკვე გამოცდილი თვალი შვილში საკმაოს ვერა ხედავდა და ეს ძლიერ აწუხებდა.

— ოჰო, ოჰო! — გაგრძელებულად წამოიძახა ცოლის პასუხად. თუთუნს მოუკიდა და ფეხი ფეხზე გადადებული რიკულებს ზურგით მიეყრდნო.

დელი.... ვო... დელაო...

მოისმა ჩუმი სიმღერა ოდის გვერდით და აივანს მოადგა ერთი, ასე ოცდაათი წლის ნახშირივით შავწვერა, მოდაზე შეკერილ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, თავზე თეთრი კრავის ქუდით და სირმით აჭრელებული წუღით.

ჯერ კიდევ მისი სახის გამოჩენამდე, მის წვერზე და ცხვირსახოცზე ბლომად წასმულმა ოდეკალონმა იჩინა თავი და ჰაერში კეთილსურნელება დაატრიალა. ამ სურნელებით მიხვდა ბასილი. ვინც მოდიოდა.

ბასილის წინ იდგა ბართლომე მძებრაძე. ეს ის ბართლომე გახლდათ, რომლის გულისათვის ამას წინათ ასე ეხვეწებოდა იაგორა მიკიტანი.

ახალმოსულს ხელი ხანჯალზე ამაყად დაედო და დიდი პრანჭვით მიესალმა მათ.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო, — თქვა მან.

— ჰო, ბართლომეს გაუმარჯოს, — მშვიდად მიუგო ბასილმა.— მობრძანდი, ბართლომე, სად იყავი, შე კაცო, დღეს წირვაზე ხომ არ ამოსულხარ?!

— წირვაზედ რა მინდოდა, ბერი ხომ არა ვარ, — სიცილით მიუგო მან და აივანზე ავიდა. მარიკამ სავარძელი გამოუტანა და დასაჯდომად მიიპატიჟა.

— კი ბატონო, — ზარმაცად მიუგო ბართლომემ, — ამას კი არ დაგამადლი....

— ა... შეხედე, რა თქვა, — შეუტია ბასილმა ცოტა სიჩუმის შემდეგ. — ბერი ხომ არა ვარო. წირვა-ლოცვასაც მასხარად იგდებს.

— სად იყავი მართლა, ბართლომე? — დაეკითხა მარიკა.

— სად იქნებოდა, — დამცინავი კილოთი მოუჭრა ბასილმა,

სქელ-სქელი კვამლი პირიდან გამოუშვა, — სად უნდა ყოფილიყო, სანადიროდ წავიდოდა.

— სად სანადიროდ? — დინჯად ჰკითხა მარიკამ.

— არა, ბატონო, — ღრეჭით მიუგო ბართლომემ.

— როგორ თუ რის სანადიროდ,—გააგრძელა ბასილმა,—მაგისთანა თავისუფალი ყმაწვილები რაზედ ნადირობენ. მსუქან-მსუქან დედლებზე, ან თუ ხელთ იგდეს, არც ახალ ვარიებსაც აუქცევენ გვერდს.

მარიკა მიხვდა, რასაც ამბობდა მისი ქმარი და ზიზღით, ცოტა მოთქმის კილოთი, გაჭიანურებულად მიუგო:

— ვავა... ვავა... ვავა... ვავა... რასაა, რომ ჩერჩეტობენ ეს უბედურები, ამ ბებრუცუნას მაინც ამნაირების სათქმელად რა ხელი აქვს. მიწას უნდა ჭამდეს და ცოდვებს უნდა ინანიებდეს, თორემ...

— არა, ბატონო, ყა, შენი თავი ნუ მომიკვდება. თავი მტკიოდა და გვიან გამომეღვიძა. მერე კი დამეზარა ეკლესიაზე ასვლა.

— სწორედ ასე ყოფილა, — დაცინვით კვერი დაუკრა ბასილმა. ბართლომემ ნელა ჩაიცინა.

— ამნაირებს თავი დავანებოთ, რამე ახალი ამბავი არ იცი?,— ჰკითხა მარიკამ.

— რა ამბავი, ბატონო?

— რა ამბავია ქვეყანაზედ?

— მშვიდობა, ჩვენი მაძინია კარგად არის, სულ არ ძინავს. ზოგს მსხვილად უფქვავს, ზოგს წვრილად.

— ეს მეც ვიცი, სხვა რამე, ქუთაისიდან რა ჩამოიტანე!

— ჩემი თავი, როგორც არის ძლივსძლიობისას, აჰა, ჰა,—დაამთქნარა ბართლომემ და თან ჩაილაპარაკა: — ახალი ამბავი მეტი რა გინდა, საშინელი უფულობაა ეს ბალაგარი. ახლა მაინც სულ გავიფშვიტე, აბაზი არ მომეძევა.

— შენ იმდენი რა გიჭირს, ბაბა, მარტოხელი კაცი ხარ, ელენს არ დაეძებ და გელენს, მე კი... მე კი მარტო მოსამსახურე გოგოს მოწყობა დამიჯდა ამ საღდგომოდ ხუთი კაჭალია მანეთი, ხუთი სახარების მადლმა, სხვებს ნუ იკითხავ.

ბასილს უყვარდა თავის ღარიბად და გაჭირვებულად გამოჩენა, განსაკუთრებით უიმედო კაცებთან, რომ ფულები სესხად არ ეთხოვათ, მაგრამ ამასთანავე გადაჭარბებული ტრაბახიც იცოდა. ამდენს და ამდენს ვხარჯავო.

ბართლომემ, რასაკვირველია, კარგად იცოდა თავის ახლო ნათესავის (ბიძაშვილები იყვნენ) ამბავი და ხუმრობით მიუგო:

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ბიძი, შენ მუდამ ასე იცი წუწუნი, ღვთით არა გიჭირს რა. სულ ასე იცით ქონებით გულგახვიხვინებულმა კაცებმა! მე მესმის, რომ ვწუწუნობდე. აგერ კაცი ვბერდები და არაფერს ვადგივარ, თორემ შენ რა გიჭირს, ბიძი, ცოლი გყავს და შვილი, სახლი გაქვს და კარი. სიმინდი ბლომად გაქვს და ღომი, ფული ხომ გაქვს ჩეჩქივით. მამული კი ხელუხლებელი გაქვს, თითქმის ჩვენი გვარის მონახევრე ხარ.

—აი, ბიძი,—ღრეჭით მიუგო ბასილმა,—შენც ხომ არ მიჯერებ. სად მაქვს, ბიძია, ფული. ერთი-ორი გროში სულის მონაფხაჭნი სადმე მომეძეოდა, დაიტაცეს იმ კაცებმა და დამიბრუნებენ თუ არა, ღმერთმა იცის. აი შენი მეგობარი თუ ნამეგობრალი დრიმინტია ჭანდრაკელია, შენ რომ მარწმუნებდი... ხუთი წელიწადი ვუცადე, მერე რა მექნა, იძულებული შევიქენი მეჩივლა.

— მართლა, სუდში ქაღალდი შეიტანე, ბიძია?

— რა უნდა მექნა, კაცო, ხუთი წელიწადი გავიდა! ღმერთი არ იცი!

— ახლახან ვხედავდი იმ ოჯახდაქცეულს, მიფიცა, სულ იქითიქით გადამივიდაო, მკვდარი ვარ, თორემ ცოცხალი არა ვარ, ისეთი საქმე მჭირსო და ამ ორ თვეში როგორმე ქვიშის თოკად დამიჯდეს, მაინც ვიშოვნი და მივუტანო.

— ვაი, ვაი, შენი სიმრთელე-გახარება! მაგნაირი სიტყვებით ასჯერ მომიქალაჩუნა, მაგრამ ყოველთვის მომატყუა. ახლაც ვისა აქვს იმედი. სუდის წესითაც რას გადავახდევინებ, მარა, ლისტი მაინც მქონდეს ხელში, ვინ იცის, ეგებ... .

— თუ სულ მკვდარი არაა, ახლა მაინც უსათუოდ გადაიხდის.

— ჰმ, ჰმ, რა ვიცი, — თავის ქნევით მიუგო ბასილმა და მერე შუბლზე ხელი გადაისვა, თითქო რაღაცას იხსენებსო. ჰო, მართლა, ბართლომე, თუ კაცი ხარ, იმ იაგორა მიკიტანს მიეცი რაცა რამ გმართებს, სირცხვილია.

— გითხრა რამე? — გაიოცა ბართლომემ.

— როგორ არა, სულ მეუბნება ხოლმე.

—შეხედეთ მაგ ღორის შვილსა, მაგას, თუ მაგას ცხვირ-პირი არ ჩავამტვრიო, — ბრაზით თქვა ბართლომემ...

— ცხვირ-პირის ჩამტვრევა კი არა.

— იმდენი დღე გაუძლია მის ფხალის ძირივით გაბერილ კეფას, მაგ კუბაქს, მაგასა, რომ არ ვუჩივლე და პასუხისგებაში არ მივეცი, ის არ ეყოფა მაგ ძაღლის გავარდნილს? კიდევ ფულებს რომ მედავება. უწმინდურად გაკეთებული წვენი მაჭამა. აქ დიდი პატივი და

მორიდება, საშინელით... დამაწყებინა და ამოტელაზე გადავრჩა ეაცი. — ბართლომემ მარჯვენა ცერის ფრჩხილი სალოკის ფრჩხილის ბოლოს დააჭირა და ბასილს უჩვენა.

— ღმერთს გეფიცები, ერთი თუმანი ნაღდი ფული წამალში ვამივიდა, კინაღამ მოვკვდი.

— რა ვიცი, — დინჯად მიუგო ბასილმა.

— დაანებე თავი მაგ ყურუმსაღს, აბა, ერთი მე მითხრას, როგორ ავუჭრელო ზურგი.

— ძუკლს მამა, რა ეშველება ამდენ საკერავებს, თანაფა კარზე-დაა მომდგარი, საშველი არა მაქვს, თუ რამდენიმე დესპინეს და მაიკოს არ გავუგზავნე ხვალ დილითვე, — გაერია მარიკა, რომელიც დაფიქრებული იჯდა და მათი საუბრისათვის თითქმის ყური არ უგდია. მას თავისი დარდი ჰქონდა და იმაზე ფიქრობდა.

— გაგზავნე მერე, მე რას დავეძებ!

— ბიძი, — მიუბრუნდა ბასილს ბართლომე, — ერთი ცაცხვისაკენ გავიაროთ! ჩვენები შეკრებილი იქნებიან და...

— კარგი, წავიდეთ, — სიამოვნებით მიუგო ბასილმა,—ამ გზაფხულზე ჯერ მინდორობაში არ გავსულვარ. ან კარგს იტყვის კაცი, ან ავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი ეზოდან გავიდნენ.

ბართლომე მძებრაძე იყო უმცროსი ძმა იმ როსტომ მძებრაძისა, რომელსაც ახლდა მაძინია რულაია და რომელიც ცუდი კაცობისათვის ციმბირში გაგზავნეს.

სულ ხუთი ძმა იყო: როსტომი, ირაკლი, პავლე, გელა და ბართლომე. გელა ათი წლის წინათ მოკვდა უცოლშვილოდ, ირაკლი და პავლე ცოლშვილიანები იყვნენ და ბართლომე უცოლშვილო ძმებთან ცხოვრობდა.

ბასილთან შედარებით ისინი ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. გასაყიდი კი არა, ხშირად თავიანთი სარჩო ჭირნახულიც არ მოსდიოდათ, სახლი ედგათ რაღაც ოდის მსგავსი, ბედნიერ დროებაში აშენებული, რომელიც ახლა სიძველისა და დაუდევრობისა გამო ნაოხარს წარმოადგენდა. აივნის აღსასვლელ კიბეზე ფეხის დაბიჯებაც საშიში იყო, რადგან ფიცრები დამპალი და ზოგიც ჩამტვრეულიყო და ზოგან ჩასამტვრევად ემზადებოდა. თვით აივნის იატაკის ფიცრები სიძველისა გამო ყოველ ფეხის დადგმაზე იღუნებოდა და საცოდავად ჭრიჭინებდა, თითქო იხვეწება მიშველეთ — ან შემაკეთეთ. ან გამომცვალეთო. მათი ოჯახის მოწყობილობის და მდგომარეობის აღწერას გვერდს ავუხვევ, არ მინდა საბრალო მძებრაძეები გავა-

წითლო და არც მკითხველი შევაწუხო. მხოლოდ ვიტყვი, რომ აქ სიზარმაცე და დაუდევრობა ყველაფერში წითელი ძაფივით გამოსჭვივოდა.

მღშაობა სამივე ძმას სათაკილოდ მიაჩნდათ, მამული ნაკლები ჰქონდათ, ჯამაგირი ერთი გროში არსაიდან ეძლეოდათ და ისე, ზეზეურად, ვზამზარეულად ციდან ხომ არაფერი ცვიოდა! ყოველ ნივთს მათ სახლში სიღატაკისა და სიქესატის ბეჭედი ესვა. მათ ოჯახს ქურდისა, მტაცებლისა და ავაზაკის სახელი ჰქონდა გავარდნილი, რაც სულ დაუმტკიცდა როსტომის დროს. მისი სიკვდილის შემდეგაც არ გადავარდნია მათ ოჯახს ქურდის სახელი და ახლაც ხალხს მტკიცედ სწამდა, რომ თუ მათ რამე მოეძეოდათ, ნაქურდალი იყო.

ბართლომე პატარობიდან, რაღაცნაირად, მეფართლეს ჩაუვარდა დაბა ზუგდიდში. ყმაწვილი ნიჭიერი იყო და ანგარიში, ვაჭრობა რიგიანი დაისწავლა. აღამ ერთი-ორჯერ თბილისში წაიყვანა, მერე მარტო გაგზავნა და შემდეგ ისეთ ნდობაში შევიდა, რომ თავისი საქონელი ერთობ მას ჩააბარა, თვითონ კი შორიდან თვალყურს ადევნებდა.

ბართლომეს ჯერ კარგად მიჰყავდა საქმე და მომავლისათვის დიდ იმედებსაც იძლეოდა, მაგრამ ცოტ-ცოტად ბანქოსა და ნარდის თამაშს გადაყვა. ლამაზ ქალებსაც გვერდს არ აუხვევდა, ლოთობა-ქეიფობაც დაიწყო. დაემართა უბედური სატკივარი და რამდენიმე წლის განმავლობაში ოდესმე მდიდარი და სანდო მაღაზია დაიკეტა და პატრონი კოტრად გამოცხადდა. ბართლომე, რა თქმა უნდა, შინ დაბრუნდა და ვაჭარი კი ჯავრის გამო გარდაიცვალა.

მას უკან ბართლომე ცუდაობს. ხან აქ არის, ხან იქ. უფრო დაბა-ქალაქებში ატარებს დროს. ცხოვრობს ზოგი ბანქოს თამაშობით, ზოგი წაართმევს ვისმე, ზოგი მოატყუებს, ხანდახან კიდევ მოიპარავს და იოლად მიდის.

X

პატარა გმირი

დიდ ორშაბათს, ცოტა არ იყოს, აცივდა. მზე სქელი და მოშავო ღრუბლებში დაიმალა. ქვეყანას მოწყენილი ფერი დაედო. სოფლის ეკლესიის ზარის დროგამოშვებითი მოწყენილი ხმა თითქო ბანს ეუბნებოდა ფერმიხდილ არემარეს. მწერები და ჩიტები თავიანთ

ბჟდე-ბუნაგში მიიმალნენ და მათი ცქვიტი მოძრაობა, ხმაურობა არემარეს არ აღვიძებდა. ყველგან სიჩუმე, ყველგან მოწყენა.

მაგრამ, აი, ოტორონჯე ღელესთან გაისმა მხიარული ძახილი:

— ჰეი, ჰეი, ტკვატ, ტკვატ, ტკვატ რ... რ... რ... რ... ტ ც... ე... იტ...! მაგრე, ფარნა, ე მაგრე, შენი ჭირიმე, ჰო! გაირეკე ჩქარა წინ ის ყვაპუს გასაქვავებელი,—ხმამაღლა თადარიგს იძლეოდა ათანასე თოხიტარია და თხებს ბიჯურისაკენ ერეკებოდა.

— ჰეი, ჰეი! ვორე, რა, ნანინა, ჰეი, ჰეი, ვორე, რა, ნანინა, აბადელია ნანინა, აბადელია ნანინა. — ცოცხლად ჩაავღერა ძმის სიტყვებით გათამამებულმა ფარნამ.

— აიარე ბაიარე, ბაიაში წორი თანაფარე, ქირსე რენდო კალანდარე, ნაკურთხია (წყალ-კურთხევა) დიდი დღარე.... — ხმამაღლავე, გალობის ხმაზე წარმოთქვა ათანასემ.

თითქო მათ ხმაზე გამოერკვნენო, შორს, წიფლის კენწეროზე მჯდომმა ყვავმა ზარმაცად ყვა... ყვა... დაიჩხავლა და ბუჩქნარში რაღაც ფრინველმა უშნოდ და ხრინწიანად დაიკეკლა.

— ბაიაში წორი თანაფარე, ბაიაში წორი თანაფარე, — აღტაცებით გაიმეორა ფარნამაც და განზე გაქცეული თხის მოსარეკად გაიქცა.

— ათა, — ჰკითხა ბავშვმა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ. — დღეის შემდეგ რამდენი იქნება თანაფამდი?

— თვითონ არ ამბობ: ბაიაში წორი თანაფა არისო.

— მერე ერთი წორი რამდენია?

— რვა დღე.

— მაშ თანაფამდი რვა დღე ყოფილა?

— რვა რატომ!

— მაშ!

— გუშინ რომ ბაიობა იყო, ესეც ერთი დღე.

— მერე?

— დღეს ხომ ორშაბათია, ეს ორი დღე, ხვალ სამშაბათი, ეს სამი, ზეგ ოთხშაბათი, ეს ოთხი, ხუთი — ხუთშაბათი, ექვსი — პარასკევი, შვიდი — შაბათი და რვა — კვირა თანაფა. ორი გამოვაკლოთ, დარჩება ხუთი. ხუთი დღეა მარხვა დღეის იქით და მეექვსე ხსნილია.

— დედა, დედა, მისი ჭირიმე! თანაფას წითელ კვერცხს მომცეს?

— როგორ არა, ხორცსაც გაჭმევენ, ყველსაც.

— ჩხაპრას თიკანს მაშინ დავკლავთ?

— დავკლავთ.

— დედა, დედა, საყვარელო! — მკერდზე მუჭის ცემით იძახდა ბავშვი და თან ხტუნავდა. — დადი. ქათამსაც დაჰკლავს?

— ახლა შენ გადაჰყვები, აი შეხედე, დოღუზანა, საითკენ წასულა, ჩქარა, თორემ ელიას საისლეში შევარდება და ხომ იცი.... მიდი, ჰო, მიდი....

ჩვენმა მწყემსებმა თხები მშვიდობით მორეკეს ბიჯურში, დღეს ძაკალა არ მოვიდა და ათანასეს ცოტა არ იყოს მოეწყინა, ფარნასთან რამე თამაშობას ვერ ახერხებდა. გულით უნდოდა კიბოზე ნადირობა, მაგრამ მარტოდმარტო წასვლა ეზარებოდა.

თხები გაძღნენ და დასასვენებლად ბეგისაკენ გაეშურნენ. მწყემსებიც წაქცეულ წიფელზე ჩამოჯდნენ.

შუადღე იყო.

— იცი, რა გითხრა, ფარნა? — თქვა ათანასემ, — მაგრამ ჰო, იყოს.

— არა, მითხარი, რა იყო?

— იმ დღესავით იზამ?

— რომელ დღესავით?

— თხები რომ მიატოვე და მეჭურჭლეობა დაიწყე.

— არა, ხატის მადლმა! იმ დღეს რა, ახალი ვიყავი, ახლა კი.... მითხარი, მითხარი, რა იყო...

— არაფერი, ისე ვიხუმრე.

— მაინც, მაინც? — ეხვეწებოდა ფარნა.

ათანასეს გულით უნდოდა ეთქვა, მაგრამ საქმეს განზრახ აზვიადებდა, რომ ბავშვისთვის მეტი ცნობისმოყვარეობა აღეძრა.

— ისეთ რასმე გეტყვი, ისეთ რასმე, რომ... — ხმა გააგრძელა ათანასემ.

— მითხარი... რა... ამდენი... — თითქმის ტირილით შეეხვეწა ფარნა.

— თუ თხებს არ მოშორდები, მე წავალ, იცი, სად წავალ? აქეთ მელა-ტურის ომანე ვიცი. დავათვალიერებ, შეიძლება მარგვიცა ჰყავს. მერე ძაღლები წამოვიყვანოთ, ცეცხლი შევუკეთოთ და მარგვები შინ წავასხათ.

— დედა! — აღტაცებით დაიძახა ფარნამ. — ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება. ოღონდ ბევრხანს კი არ დაიგვიანო.

— მე ჩქარა მოვალ. შენ ნუ გეშინია! ცული ისეთი გალესი-

ლია, რომ თომას შქას გიილანს. *რამე თუ ისე... სქინჩე ** და თავი გააგდებინე, — რიხიანად დაარიგა ათანასემ, თუმცა დარწმუნებული იყო, აქ მას არაფერი დაეცემოდა.

ფარნამ ერთხელ კიდევ შეჰფიცა ერთგულება და ბრძანების ენაშეუბრუნებლად შესრულება, ოღონდ კი ათანასეს მელა-ტურის ამბავი დაწვრილებით მოეტანა.

ათანასე სიხარულით ტყისკენ გაეჩქარა და ფარნამ როკის ნელ-ნელა კაკუნი დაიწყო.

აღმოსავლეთის ქარმა დაბერა და ღრუბლები ნელ-ნელა ჩაალაგა ურთის მთის იქით შავ ზღვაში. ლურჯი ცის კამარა ისევ გამოჩნდა და ბრწყინვალე მზემ ისევ გაუღიმა დედამიწას.

შუა ბიჯურში, სათემო გზის პირად, ხეტუტა შტოებიან ხის ძირში დაწოლილიყო ნიკოიას თხის ფარა და იცოხნიდა. მათ შორიახლო როკზე კაკუნი გაჰქონდა ფარნას კვაღაიას.

— ხაბარდა, ხაბარდა, აჰა, ჰაიტ! ჩუ, ჩუ! — დაიძახა ვიღაცამ და თან მათრახის მწარე ტკაცუნი და თან აჩქარებული ცხენის ფლოქვების ტაფატუფი გაისმა. ფარნას უცბად შეეშინდა და მიიხედა, ფარნამ შეხედვა ძლივს მოასწრო, რომ მის წინ ძუკუ მძებრაძემ ცხენით გაიქროლა.

თხები დაფრთხნენ და აირივნენ, რაც სრულებით არ ესიამოვნა ფარნას და ბუკუს სახელზე არც მაინცდამაინც ზრდილობიანი სიტყვებისაგან შეთხზული წყევლა-კრულვა გაგზავნა. ფარნამ თვალი გააყოლა გაჭენებულ ცხენს, მაგრამ მხედარი ცხენის შეჩერებაზე სრულებით არა ზრუნავდა. წამდაუწუმ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფერდებზე მათრახს უტკაცუნებდა და ჰაიტ, ჰაიტო, უყვიროდა.

— წიე, წიე, — მოისმა ფართო ღელესკენ მიმავალი გზიდან გოგოს წვრილი ხმა. — წიე, ძუკუ! თავს ლაფი კი დაგესხა! წიე, დამიცადე, დია, ღმერთო! რა ხანგა *** შენა ხარ. მოიცა, დედას უამბო ყველაფერი. — მტირალი ხმით ამბობდა ძუკუს პატარა და და გაჩქარებით მორბოდა. „წიე, ძუკუ!“ დაიძახა ისევ ბავშვმა, მაგრამ მაშინ ძუკუ უკვე იქაურობას მიფარებული იყო.

ფარნა სათემო გზის შუაგულ იდგა ნაჯახით ხელში, ხან ნიავივით მიმქროლავ ძუკუს გასცქეროდა, ხან სირბილით მიმავალ მტირალ ტასიას.

---

* თომას შქას გიილანს — თმას შუაზე გასჭრის.

** სქინჩე — დაჰკარი.

*** ხანგა — გადარეული.

გოგო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხს აჩქარებდა და თან ხელში ჩითის წითელი ბოხჩა ეჭირა. მის უკან ფარნამ, ასე საჟენის სიშორეზე, ერთი ჭრელი შუათანა ტანის ძაღლი შეამჩნია. ძაღლი მოდიოდა, როგორც საზოგადოდ ძაღლები, ნელი სირბილით. ენა გამოყოფილი ჰქონდა. ფარნას პირველ წუთს მისთვის ბევრი ყურადღებაც არ მიუქცევია.

„ალბათ ძაღლიც შინიდან გამოყოლიათ", — გაიფიქრა მან.

— მომიცადოს, მომიცადოს მაგ გიჟმა, მაგ სულელმა, თუ მისი ყურები ამ საღამოს მამას არ დავაზელინე, — კაპასად ისროდა სიტყვებს გოგო. სირბილისაგან გახურებულს სული უგუბდებოდა.

— ალბათ მოგიცდის, ნუ გეშინია, ასე ნუ მირბიხარ, თორემ სული შეგეხუთება! — თანაგრძნობით მისძახა ფარნამ, რადგან მტირალი გოგო ძლიერ შეეცოდა.

— მე მაგას, მე მაგას, — ისევ მწყრალად გაიმეორა ტასიამ და უკან მიიხედა, ძაღლი მისგან ხუთი საჟენის მანძილზე იყო. თვალებგაბრიალებულს გრძლად გამოყოფილ ენიდან სქელი ქაფი მოდიოდა.

— ნანა, ნანა, ჩქიმი ცოდა, — საცოდავად და უმწეოდ დაიწუწუნა გოგომ. უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და ფარნასაკენ გაეშურა. გოგომ კარგად არ იცოდა, რაში იყო საქმე, თორემ შეიძლება გულზედაც შემოყროდა. მას მხოლოდ ძაღლის შეეშინდა, არ მიკბინოსო, და ის კი არ იცოდა, რომ ძაღლი ცოფიანი იყო.

ფარნა მიხვდა, რა ცუდი მდგომარეობა იყო. ცოფიანი ძაღლის ამბავი ბევრჯერ გაეგონა და თმა აებურძგნა. ძაღლი მაინცდამაინც დიდი არ იყო. ტანზე ძლიერ გამხდარი იყო და ფეხებსაც ძლივს მიათრევდა. ეტყობოდა, უბედურს საზარელი სენი მორეოდა, ისე ულაზათოდ მოდიოდა.

ფარნას მთელი ტანი აუკანკალდა. შიში, სიმამაცე, ბუნებითი მიმზიდველობა გაჭირვებულის მოსახმარებლად ერთად აირია მის ნორჩ ტვინში. თუმცა თვითონ თრთოდა, მაინც მიეშველა გოგოს და ისიც თვალცრემლიანი და სახეგაფითრებული მიეგება და ბავშვის დაგლეჯილ ტანისამოსს მოებღაუჭა.

ფარნა კიდევ უფრო აკანკალდა. გაქცევა შეუძლებელი იყო. თვითონ რომ შესძლებოდა განზე გადახვევა და ხეზე ასვლა, გოგოს ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა არ შეეძლო. მისი ტანის ცახცახი და პაწია გულის ბაგაბუგი, თავის გულის ძგერასთან შეერთებული, ყურში ისარივით ხვდებოდა ფარნას. ბიჭმა რაკი უკიდურესი მდგომარეობა დაინახა, ინსტიქტურად ნაჯახის ტარს ხელი მოუჭირა.

„გაიქეც, გაიქეც, ხეზე აირბინე, ტყეში დაიმალეო“,—ჩასჩურჩულა რაღაცამ ყურში, მაგრამ, იმავ დროს, ძმის დარიგებაც გაახსენდა: თამამად იყავ, ნაჯახი თმას აპობს, სქინჩე და გააგდებინეო. თვალიც აერია, ერთი ძაღლის მაგივრად ოთხი ერთად მოეჩვენა. რაც შეეძლო, ნაჯახი მოიქნია და სქინჩა კიდევაც. ცულის ტარი ხელიდან გაუვარდა და ორივენი შარაგზაზე დაეცნენ....

— რ... რ... ყრ... ყრ... ყრ... — მოესმა მიწაზე გაგორებულ ფარნას, როცა გონს მოვიდა და ცოტა გამოერკვა. აიხედა და დაინახა, რომ ძაღლი წაქცეულიყო იქვე, მისგან ერთი საჟენის სიშორეზე, ფეხებს საცოდავად იქნევდა, კვაღაია თავის ქალაში განდაგან ერჭო და ალისფერი სისხლი ნაკადულივით ჩამოდიოდა. ტასიაც გამოერკვა. ორივენი საჩქაროდ წამოხტნენ და როკს მიეფარნენ. ჯერ კიდევ ეშინოდათ: შეიძლება ძაღლი ისევ წამოვარდესო.

— შენი ოჯახი ღმერთმა ააშენა, შენ არ ყოფილიყავი, ის ძაღლი ხომ შემჭამდა. — მადლობით ჯთხრა გოგომ.

— მერე იცი, იმ ძაღლს რა ჭირს?

— რა?

— ის ძაღლი ცოფიანია.

— ტალაა?! — წამოიძახა გოგომ და ხელახლა გაფითრდა, — მე ის კი არა, შემებრალა საწყალი ძაღლი, შეიძლება კბენა არც კი უნდოდა-მეთქი. — ნანა, ნანა, ნანა, — მწარედ კბილების კაწკაწით თქვა გოგომ.

— ნუ გეშინია, გადავრჩით, ღმერთი შეგვეწია. ის თუ არ მოკვდა, ჩვენს საკბენად მაინც ვერ წამოვა. თავში მოხვედრია კვაღაია და რაკი მოხვდა, ის ისეთი მჭრელია, რომ პარსავს. ათანასემ გალესა გუშინ. მე მიწას დავარტყი, თურმე ქვა ყოფილიყო და გამოვტეხე. მერე გავლესეთ, ბაბამ მე მაჩუქა- წინათ ათანასეს...

— ყვე, დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი! ამას რას ვხედავ! — გაოცებით დაილაპარაკა ვიღაცამ შარაგზაზე. — ყვე, დაილოცა შენი სახელი. ა... წიე!! ვინ მოკლა ეს ძაღლი, ან კვაღაია თავში რათ ჩასტოვა?

ბავშვებს ამ ხმაზე გული გაუთამამდათ და საფარიდან გამოვიდნენ.

— ბიჭო, ვისი შვილი ხარ შენ, ან ეს ძაღლი ვინ მოკლა?! — ჰკითხა მათ უცნობმა, რომელიც ჭოკლე ნაბად გვერდზე გადაგდებული, გაოცებული დაჰყურებდა მკვდარ ძაღლს.

— მე ნიკოიას შვილი ვარ.

— რომელი ნიკოიასი?

— თოხიტარიასი! ეს ძაღლი მე მოვკალი.

ᲣᲪᲜᲝᲑᲛᲐ დამცინავი სახით შეხედა: „შენ კი არა! არ გინდა...“

— მე, დღევანდელი დღის მადლმა, დედა ნუ წამიწყდება.

— რა მესმის, დიდება შენდა! — პირჯვრის წერით ამბობდა ᲣᲪᲜᲝᲑᲘ. — ეს გოგო ვისია?

— ბასილ მძებრაძესი, — ნელა მიუგო ტასიამ.

ახალმოსულმა გაშტერებულად შეხედა.

—ბასილის შვილს აქ რა უნდოდა! კაცო, სიზმრად ხომ არა ვარ. ბიჭო, მე ვერ მიცანი? — დაეკითხა ფარნას.

— კი გიცანი, — მორცხვად მიუგო ფარნამ. — გუდუ არ ხარ, გᲣᲓᲣ სხულია.

— აი, მცნობ, ეტყობა, — სიცილით მიუგო გუდუმ და სანდომიანი თვალებით შეხედა პატარა და დახეულ ფარატინებში გახვეულ, მაგრამ საღი გამომეტყველების ჩასუქებულ ბავშვს.

გუდუ სხულია ᲭᲧᲝᲜᲝᲜᲔᲚᲘ იყო, მაგრამ ნიკოიას სახლიდან მოშორებით ცხოვრობდა, არავითარი მეგობრული დამოკიდებულობა არა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ნიკოიასთან და მის სახლში იშვიათად მიდიოდა. ცნობით კი, ფარნას გარდა, ყველას იცნობდა.

— ეს შენი თხებია? — მიუთითა გუდუმ ჩრდილში დალაგებულ თხებზე,—დედა, ღმერთო... ამას კი რა უნდოდა აქ?! სასწაული, ᲰᲛ! ᲭᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔᲓ სიკეთე როგორ მოვა, თითის ტოლა ბიჭს აქ როგორ გამოუშვებს კაცი?!

— ჩემთან ათანასეც არის, — გააწყვეტინა ფარნამ. — ათანასე ტყეში შევიდა. მელა-ტურას ომანეს ნახავს, მერე მივალთ, ძაღლებს მივიყვანთ, აᲟᲔᲠᲘᲐᲡ და მᲣᲠᲐᲡ, ᲰᲛ, ᲰᲛ, ᲰᲛ, აᲟᲔᲠ, აᲟᲔᲠ! რომ დაუძახებ, კუდის ᲭᲕᲐᲗᲐᲚ-ᲭᲕᲐᲗᲐᲚᲘᲗ უკან დაგედევნებიან; აქ რომ მოვიყვანთ, ᲕᲐᲨᲘᲜ ათანასემ თქვა, ცეცხლი შევᲣᲭᲘᲓᲝᲗᲝ და მარგვები შინ წავასხათო.

გაკვირვებული გუდუ ოდნავ მოღიმარი ტუჩებით უსმენდა ფარნას გულუბრყვილო ტიკტიკს.

— მერე, მერე, ᲯᲘᲯᲘ, ეს მითხარი, ეს ბასილის შვილი როგორ გაჩნდა აქ?

— მე ჩემ ძმას მოვყვებოდი, იმან ცხენი გააᲭᲔᲜᲐ, არ მომიცადა.

— ᲧᲐᲣ, დირგონი, დირგონი, დირგონიო, ტკეჩა და ტკეჩა მათრახი, — აღტაცებით გააწყვეტინა ფარნამ, — ᲰᲐᲘᲢ, ᲰᲐᲘᲢ, მარᲯᲐ! უᲰ! რას მირბოდა ცხენი! თხები წამოცვივდნენ. ოხო, ხო, ხო, საღარი ლაფშა, სულ მიფრინავდა.

— გაიზარდე, ᲯᲘᲯᲘ, გაიზარდე, — ალერსიანად უთხრა გუდუმ და ბავშვს თავზე ხელი დაუსვა. ის მიხვდა, რაშიც იყო საქმე:

— თქვენ ბედი გქონიათ და ეს არის, ჩემო ძმაო. ეს ნაჯახი როგორ ჩარჩენია, — თავისთვის ჩაილაპარაკა გუდუმ.

— რა ვიცი, — გააწყვეტინა წათამამებულმა ფარნამ, — როცა მოვუქნიე, მეც მიწაზედ დავეცი.

— ჰა, ჰა, — ჩაიცინა გუდუმ, — თქვენ სალოცავებს უპატიებიხართ, მიქელგაბრიოს თქვენი დაღუპვა არ ნდომებია და ეს არის... ძუკუ რად გაიქცა, ა? — ცოტა უკმაყოფილოდ შენიშნა გუდუმ. — შენ რათ არ მოგიცადა? ა... აა... ცხენზე რათ არ მოგიჯინა?.. თქვენი ცხენი ორ ბავშვს კი არა, თუ გაჭირდა, ხუთ კაცს წაიყვანს.

— აქეთობას მეც უკან ვეჯექი, — ნელა მიუგო ტასიამ.

— ვის სახლში იყავით? — ჰკითხა გუდუმ.

— დედამ დესპინეს საკერავები გაუგზავნა და ის წავიღეთ, მაგრამ მათი სახლიდან რომ გამოვედით, ძუკუმ ცხენს მათრახი დაარტყა და ცხენი გაიქცა. ვეხვეწე, ვეხვეწე, მაგრამ ცხენი ნელა არ წაიყვანა, მე შემეშინდა და ფეხით წამოვედი.

— ძლიერ ცუდად უნებებია! მე ის უფრო ჭკუიანი მეგონა. თითისტოლა ბაღანა ამ უდაბურ ტყეში მარტო დაგტოვა და თვითონ კი გაიქცა. ეს სრულიად არ შეშვენის მამიშვილობას, — წყენით თქვა გუდუმ.

— ფარნა, ფარნა, რა ამბავია, თხები დაგებნა? — მოისმა ათანასეს შეშინებული ხმა ტყიდან.

— აქეთ მობრძანდი, აქეთ, შე ყიყამო! — მტკიცედ გასძახა გუდუმ. — აქ ბაღანა დაგიგდია და შენ ტყეში ფარფაშობ. ერთი ბეწო დაკლებია, თორემ ხომ დაიღუპებოდით დღეს, ხომ საცოდავობა დატრიალდებოდა.

— რა არის, შენი ჭირიმე?! — სასოწარკვეთილი ხმით დაიღრიალა ათანასემ და საჩქაროდ მოიჭრა.

— აი შეხედე, რაც არის!

გაფითრებული ათანასე იდგა შარაგზაზე. ხან მკვდარ ძაღლს დაჰყურებდა, ხან ფარნას შეხედავდა და ხან გუდუს.

— მეორეჯერ არ მოგივიდეს, ჩემო ძმაო, მაგისთანა შეცდომა,— დარიგებით უთხრა გუდუმ. — შენ პატარა არა ხარ, დროა ჭკუა გქონდეს. ბავშვის ამარა დატოვე თხები და შენ ტყეში გაიქეცი. ერთი რაღაც წამი დღეს, თორემ... ხომ საცოდავობა დატრიალდებოდა. ჰმ, ბასილ მძებრაძესაც რომ კინაღამ ცეცხლის გენია მოჰკიდებია. აი, აი, — თავის ქნევით დაუმატა გუდუმ.

— ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი, გასაროზგავი ვარ, გასაროზგავი. მაინც ეს ოხერი, ერთი წუთი თუ თვალიდან მოვ-

შორდი, მაშინათვე რამე ბანძლი არ მოხდეს, ხომ არ შეიძლება... გუდუ, მიშველე, შენ გენაცვალე, ეს ძაღლი როგორმე მიწაში დავ-ფლათ, — შეეხვეწა ათანასე გუდუს.

— მეჩქარება, შე კაცო, — მიუგო გუდუმ და ზანტად მიიხედ-მოიხედა.

— კი, კი, შენი ჭირიმე, რადგან ღმერთმა შენი თავი შემახვედ-რა, მაგიერ მეც კაცი ვარ, რაზედაც დამიძახებ, ერთ დღეს არ დაგა-მადლი.

— არ მოკვდე იმის მეტი, — გააწყვეტინა გუდუმ, — მე აქ არავითარი წილი მიდევს, აი შეხედე, ძაღლს რამდენი უბრძოლია. სანამ მოკვდებოდა. შე როცა მოვედი, ძაღლი უკვე მკვდარი იყო. კვაღაიაც რომ ჩარჩენია, არ გადმოვარდნილა, ეტყობა მაგრა და-ურტყამს. ის ბიჭი ივარგებს, სწორედ ჩონჩხიანი ყაზახი გამოვა, გაზარდოს ღმერთმა. ა, წიე! — დაიყვირა გუდუმ, როცა ნაჯახის ტარს ხელი დაავლო და დაანძრია, — რა მაგრა უშვლიჭავს, — ერთი-ორჯერ მაგრა გასწი-გამოსწია გუდუმ და ნაჯახი ძაღლს თავიდან ამოაცალა, — აა.... ძმაო, ამას კი რიგიანი გაწმენდა უნდა, თორემ საშიშია. აჰა, ათანასე, წაიღე და სველ მიწაზე ბევრხანს უსვი, მერე ერთი-ორი დღე სადმე წყალში ჩააგდე. ჭკადუს გაახურებინებდე კარგი იქნება. საშიშია ბალაგარი, ძაღლი კი მიწას მივაბაროთ, თორემ ააყროლებს აქაურობას და აყროლება კიდევ არაფერი... მეჩქარება, მარა რა ვქნა, რადგანაც შეგხვდი, მარტო ვერ დაგტოვებ.

— დედა, ღმერთო, ღმერთო, ჩემო დამბადებელო, მიქამგარიო, ნწ, ნწ, ნწ, — მხრების აწევით ამბობდა ათანასე. — ბედი ჰქონია საწყალს ჩვენს ოჯახს, ბედი...

— ბედი კი არა, მიწა უნდა ჭამოთ და ისე ეევედროთ უფალს. შენ ხუმრობ, ბატონო, თითისტოლა ბავშვმა როგორ გაბედა... რომ აეცდინა და, ნანა, ნანა, შენი მტერი!

— დაილოცა მისი სახელი, ტყუილად კი არ გამილესია. გუშინ მამაჩემმა კინაღამ გამლახა, რას უხახუნებ მაგ ოხერს, ბიჭი სადმე ფეხს მოიჭრისო.

ათანასემ ნაჯახის ტარს ფრთხილად, ფრთხილად ხელი დაავლო და ულდოდა ტყეში გასაწმენდად შეეტანა, რომ გაჭენებული ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

ძუკუ ცხენს ისევ უკან მოაჭენებდა.

გასუქებული ცხენი აქაფებული იყო და ორთქლი ასდიოდა.

— სრულებით არ გეკადრება, შენ არ მომიკვდე, მამიშენის შვილს არ შეგშვენის სწორედ! — ცოტა ციცად მიაძახა გუდუმ.

—რა არ შემშვენის?—ცივადვე ჰკითხა ძუკუმ, ცხენი შეაყენა და ნაბიჯით წამოიყვანა. — სადა ხარ, შე ჭირიანო გოგო, ამდენ ხანს! ფეხი ხომ დაბორკილი არა გქონდა. მოვკვდი კაცი შენი ყურებით, ვიცადე, ვიცადე, აგერ-აგერ მოვა-მეთქი, — მწყრალად უთხრა ძუკუმ ტასიას, რომელიც ძმისაკენ გაექანა და არა ნაკლებ მწყრალად შეუტია:

— სად მირბოდი, წიე, ცოტა დამაკლდა, თორემ კინაღამ ძაღლმა შემჭამა.

ძუკუს ფერმა გადაკრა, როცა მიწაზე მკვდარი ძაღლი დაინახა. ცხადად იგრძნო თავისი დანაშაული, მაგრამ მორბილების მაგივრად უფრო გაბრაზდა. თავმოყვარეობა შეელახა. საქმის ვითარება არ იცოდა. ძაღლი გუდუს მოკლული ეგონა, ეწყინა მისი სიტყვები და ცოტა ამაყად წარმოთქვა, ვითომდა ხუმრობით:

— გვარიანი გინადირნია! მსუქანია თუ არა?

— რას ამბობ, ძუკუ! ხომ არ გადაირიე! — ძლივს თავშეკავებით მიუგო გუდუმ.—ერთადერთი და კინაღამ ცოფიანმა ძაღლმა შეგიჭამა დღეს და შენ კიდევ ხუმრობ! განა ეს ისწავლე?!

— მე რაც ვისწავლე, შენი საქმე სრულებით არაა, — მწყრალად მიუგო ძუკუმ და ცხენი შეაჩერა.

— არა, ძმაო, შენ... როგორც გეტყობა, რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. მარა შენ თუ კაცი შეიქენი?!—თავის ქნევით და ბოლო სიტყვაზე კბილების დაჭერით წარმოთქვა გუდუმ და ძაღლის დამარხვას შეუდგა.

— შენი ძმა საღორეში ეძიე... თავს ნუ იგდებ, ყაზახო, თორემ ისე გაგხთი, რომ ამ მათრახის კუდს ჰკოცნიდე,—მკვახედ მიუგო ძუკუმ და მათრახი ზევით ასწია.

— ვავა, ჯიმა, — ნაღვლიანად წარმოთქვა გუდუმ და მარცხენა ხელი შუბლზე მიიტატუნა. — ბასილ მძებრაძე უსქედ ამოვარდნილა. ვაი, აბა, ვაი! რა კაი კაცი, რა კაი ოჯახი!

ძუკუ აენთო, ბრაზი იმდენად მოერია, რომ სიტყვა ვერ წარმოთქვა. არეულად ისროდა რაღაც ხმებს და მათრახმომართული გუდუსკენ იწევდა.

— მამაჩემის სულს ვფიცავ, — ხმამაღლა დაუყვირა გუდუმ და ჯოხი მოიმარჯვა, — ერთი ნაბიჯი წინ არ გადმოდგა, თორემ ამ ცოფიან ძაღლს გვერდით მოგიწვენ. თავი აგიგდია და არც კი შეგიტყვია, დიდი ვირიც ყოფილხარ, ვინცხა ყოფილხარ. მადლობის მაგივრად ნეტავ რას ამბობს? არც მაგდენი პატარა ხარ, რომ კაცმა ყველაფერი მოგითმინოს. შენი აზნაურობა მე ფეხებზე მკიდია.

შენი წყალობა ღმერთმა თავის დღეში ნუ მომცეს. დიდი კაცი თუ ხარ, შენ სახლში იდიდკაცე, შენ ეზოში იბატონე, აქ, სათემო გზაზე შენი დიდი კაცობა რასა სჭრის...

მათ ხმაურობაზე ტასიამ ტირილი დაიწყო. ათანასესაც შეეშინდა, ვაითუ ძუკუს ბავშვობამ დასძლიოს და წამოიწიოს, გუდუმაც არ მოუთმინოს, გაარტყას და ერთი ალიაქოთი, აყალმაყალი ატყდესო. ათანასეს მით უფრო ეშინოდა, რომ გუდუ მთელ სოფელში განთქმული იყო, როგორც გულადი კაცი.

ფარნა როკს მიყრდნობოდა და სულგანაბული იყურებოდა.

—აქეთ წამოეთრიე, აქეთ, — დაუჭყივლა ძუკუმ ტასიას,—კიდევ ტირის? გამომაყოლეს საშმაკოდ...—მან იგრძნო, რომ გუდუსთან ჩხუბი ხეირს არ დააყრიდა. დაავლო ტასიას ხელი, ცხენზე უკან მოისვა და ხმაამოუღებლად გზას გაუდგა.

— რას გეტყვი იცი, ათანასე? — უთხრა გუდუმ, როცა ხელად გაკეთებული ხის ნიჩბით სველი მიწა ამოთხარეს, ძაღლი შიგ ჩაათრიეს და მიწას აყრიდნენ, — იცი, ჩემო ძმაო. ნათქვამია, კაცი მოკვდებაო და ნათქვამი. არ მოკვდებაო. მე მითქვამს, ის კაცი თუ თავის ლოგინზე მოკვდა, მე ეს მომპარსე, — ულვაშზე ხელი გადაისვა გუდუმ,—ყველა გაიგებთ. მე თუ მოვკვდი, ვინც დარჩება, ის ნახავს, თუ იმან თავის ლოგინზე სული დალია... ყველა ნახავთ. შეუძლებელია იმას თავის ლოგინზე ამოხდეს სული. შე კაცო, ამაყი მინახავს, მაგრამ მაგისთანა... ამბობდნენ მაგაზე და, წარმოიდგინე, დღემდე არა მჯეროდა. ჯერ ნოლში არა ჩანს და ამას რომ სჩადის, ღმერთი არ გაზრდის ალბათ, თორემ, შენი მტერი, ჭყონნაში არ დაიდგომილება. ჰაი სასწაული, დაი ტყეში დატოვა და თვითონ გაიქცა... ბეგში ცხენის ჭენებისათვის საჩუქარს ხომ არ მისცემდნენ ნეტავი. კიდევ როგორ მექნა, თორემ, ზალიკას სულს ვფიცავ, მაგას დღეს გადმოვიღებდი მაგ ცხენიდან და ერთი რიგიანად დავუზელავდი ცხვირ-პირს. კარგიც იყო, ჭკვას დაისწავლიდა. ყა, რა ამბავია, ძმებო. გამარჯვება თქვენი, ეს ძაღლი სად იყო, ჩემ დას ხომ არ უკბინა, ოხ! თქვენი ჭირი შემეყაროს და მაგისთანები კი არა თქვა! მოირბინა გიჟივით და კარგად გინადირნიათო. ბასილის შვილი ის არ ყოფილიყო და დღეს რაც ხანი წინ მიძევს შუაში გამყოფოდა. ვის დაემგვანა ნართი, მაგისთანა ოხერი. ისე, ისე, ათანასე, ის მიწაც მიაყარე, მერე კარგად დავტკეპნოთ, — მიუბრუნდა ათანასეს, — ა... ვის დაემგვანა, — ისევ გააგრძელა გუდუმ, — დედას ჰგავს ალბათ, ისიც ქე არის ცოტა კი არა, ცოტაზე მეტით

კუდაბზიკა. კაცი რომ მოვიდეს შენ სახლში, ან წამოიწიე, შე კაცო, ვინც გინდა იყო, მართლა დედოფალი ხო არა ხარ, ან მობრძანდი უთხარი, ან დაბრძანდი, თუ გლეხთაგანი ვინმე მივიდა მათ სახლში, ხარდანაძის ქალი აწევს ცხვირს მაღლა და ოჩამურესავით გდია აივანზე და ორი სიტყვა თუ გითხრა, დიდ წყალობად ეიაჩნია.

* * *

დიდ ორშაბათს საღამოს ბასილ მძებრაძე ცოტა მოწყენილი იჯდა თავისი ოდის აივანზე. მისი მეუღლე მარიკაც შორიახლო იჯდა და რაღაცას კერავდა...

— ხარდანაძის ქალო, გაიგონე, კიდევ გეუბნები: სანამ ცოტად არ მოვრბილდები, ის ბიჭი არ შეპახვედრო ამ ორ დღეში, თორემ, მერაბის სულმა, ხელში შემომაკვდება. რომ არ გამქცეოდა, თავს ორად გავუპობდი. სულ შენი ბრალი კია. აი ჩოხა, აი ცხენი და უნაგირიო... მეზობლის სახლში კაცურად ვერ მივიდა და ვერ მოვიდა, ის კაციც მომიმდურა ტყუილუბრალოდ. მერე როგორი კაცი! გაჭირვების დროს ხუთ კაცად ღირს...

— ერთი ახირებული ხასიათი შენცა გაქვს, ძუკუს მამა, — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მარიკამ, — თუ ყაზახმა ვერ მოითმინა, ძუკუ რა, ბავშვი ხომ არ არის!..

— მე აქ ნეხვი დამაყარე, თუ მაგისაგან კაცი გამოვიდეს, — თავმდაბლა მიუგო ბასილმა და კისერზე ხელი მოისვა, — დეილოცა შენი სახელი, — აუმაღლა ბასილმა ხმას, — ჰმ! გუდუ სხულია რათ შეაგინებდა ძუკუს ტყუილუბრალოდ. გუდუ სტამბოლიდან მოსული ხომ არ არის? ჩემ ცხვირწინ გაჩნდა და გაიზარდა. რა ხასიათის კაცია არ ვიცი? მაშ როგორ! ყოჩაღ, კარგი გიქნია, ამფერ! დაი ტყეში დაგიგდია და შენ გაქცეულხარო, ამას ეტყოდა. ათთულმნიანი ცხენი ორ წუთში რომ გაუბათილებია.

მარიკა ჩაჩუმდა. ბასილმა ყალიონი ქისაში ჩაუშვა.

— გესმის, ხარდანაძის ქალო, მაგ ნიკოიას შვილს ჩემი ძველი ჩოხა და ქუდი ხვალვე გაუგზავნე. ის არ ყოფილიყო, თანაფა კი არა ობიშხა * ურიევის შეგექმნებოდა წრეულს.

---

* ობიშხა — პარასკევი.

XI

სკოლა და მასწავლებელი

დადგა ივნისი. ფარნა უკვე დახელოვნდა თხების მწყემსვაში და თამამად დაჰყავდა მამის პატარა ფარა საძოვრად, მხოლოდ ბიჯურის ტყეში მარტო წასვლას ჯერ ვერა ბედავდა და იქ წასვლის დროს ვინმე მეზობელს, ისევ მწყემსთაგანს, დაუამხანაგდებოდა.

ივნისის შუა რიცხვებში, ერთ. მეტად ცხელ დღეს, შუადღისას, ფარნა თხებს შინისაკენ მიერეკებოდა. სოფლის ეკლესიის გვერდით მდებარე მინდორი უნდა გადაევლო. ამ მინდვრის შუაგულ სათემო გზა გადიოდა.

სოფელში რაიმე საზოგადო შემთხვევის დროს ხალხი ამ მინდორში იკრიბებოდა, განსაკუთრებით დღეობებში, საცეკვაოდ, სალაზღანდაროდ და ცხენების საკენებლად. დღეობას მოდიოდა ხალხი ეკლესიაში, ლოცულობდა, ფულს სწირავდა, ხატის წინ დაჩოქილი წმიდა სანთელს თავზე გადაივლებდა, ხატს ემთხვეოდა და მერე გადიოდა მინდორში. იქ ოხუნჯობდა, თამაშობდა, მღეროდა, ცეკვავდა. ცხენოსანი ჯირითობდა, თარჩია დაჰქონდა. საუბედუროდ სულ ცოტა რამე იყო საჭირო, რომ ადგილობრივ ხატის სათაყვანოდ მოსულთ ცეკვა-თარჩია თამაშობის დროს ერთმანეთისათვის აყალმაყალი აეტეხათ ან ძველი ანგარიშები გაეხსენებინათ. ამიტომ ამ მინდორში ხშირად ხდებოდა ჩხუბი, ერთი მეორეს ცხვირ-პირს უსისხლიანებდა. თითქმის სიკვდილის მაგალითიც ბევრი ყოფილა ამ მინდორზე.

ხალხი გულდამშვიდებული იყო: ხატს ფული შეეწირე და მისი გული მოვიგეო, და გახარებული და კმაყოფილი საღამოს შინ მიდიოდა. თუ თავის მოწინააღმდეგესაც შუბით თავს გაუტეხდა, ან ხანჯლით ბეკს ჩაათლიდა, მაშინ ხომ სასიხარულო ამბით ის ყოვლად კმაყოფილი იყო.

ეკლესიის ეზოს კიდეზე, მინდვრის პირად, იდგა ერთი ძველი დაბალი ფიცრული სახლი, რომელსაც სასენაკოს ეძახდნენ. სახლს არც ჰერი ჰქონდა, არც იატაკი, გამურულ კედლებიდანაც უანგარიშო ჭუჭრუტანები გამოსჭვრეტდა. წინა კარი როგორც იყო ეკიდა, თუმცა დასაკეტი რაზა არა ჰქონდა, უკანა კი ნახევრად დამტვრეული ისე მიყუდებულიყო. ღვთის წინაშე, არც საჭირო იყო ამ სახლისათვის კარები, რადგან შიგ მტვერის გარდა არავითარი ავეჯი ან ნივთი არ მოიძებნებოდა.

ამ სახლის დანიშნულება ის გახლდათ, რომ დიდ მარხვის პირველ და უკანასკნელ კვირაში ვინც ეკლესიის მოშორებით ცხოვრობდა, უფრო ქალები, აქ მოდიოდნენ და სანამ ეზიარებოდნენ, აქა ცხოვრობდნენ.

ფარნამ შორიდანვე დაინახა ამ მინდორში ათი-თხუთმეტიოდე მოთამაშე ბავშვი და ძლიერაც გაეხარდა. შუა დღეა, თხებს ჩრდილში მოვასვენებ და მე კი იმათთან ბურთს ან რიკას ცოტა ხანს ვითამაშებო. მართლაც, როცა ცოტად დაუახლოვდა, ფარნამ შეამჩნია, რომ ბალღები ბურთს თამაშობდნენ და ფარნამაც მოუთმენლად გაირეკა თხები ერთი დიდი თხმელისაკენ, რომ თხები ჩრდილში დაებანაკებინა და თვითონ მოთამაშეთ ჩქარა შეერთებოდა. თხები თვითონაც სირბილით გაექანენ ჩრდილისაკენ. მაგრამ ამ დროს სასენაკოდან პატარა ზარის წკარუნი მოისმა. ბავშვს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, წირვის დროს ზარის ხმას არა ჰგვანდა. უფრო იმან გააოცა, რომ მაგ ხმის გაგონებაზე ბავშვებმა საჩქაროდ თამაშობა შესწყვიტეს და სასენაკოსკენ სირბილით გაიქცნენ. ბავშვი დაინტერესდა რაში იყო საქმე.

სასენაკოდან ბავშვების ჩოჩქოლი და ხმაურობა მოისმოდა და მის წინ მინდორში თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ადგილობრივი მღვდლის შვილი სევერიანე წყალაძე დასეირნობდა. ფარნამ ის შორიდანვე იცნო. სევერიანე აუჩქარებლად შევიდა სასენაკოში და ხმაურობაც უცბად შეწყდა. ახლა ფარნა მიხვდა ყველაფერს. ვუშინწინ დილითვე ყური მოჰკრა თავისი დედის და მათივე მეზობლის ქალის ლაპარაკს. მართა, ცოტა არ იყოს, ღირსეულად ეუბნებოდა მოხუც ჭუჭას: ჩემი პატარა არტემა სევერიანეს მივაბარე, წიგნი უნდა დაისწავლოსო. დღესაც მოთამაშე ბავშვებში ფარნამ გაარჩია არტემა თავისი ახალი წითელი პერანგით და თეთრი ყაბალახით და ცნობისმოყვარეობა აღეძრა. საშინლად მოესურვა ენახა, თუ როგორ სწავლობდნენ წიგნს.

ფარნა ნელ-ნელა მორცხვად მიდიოდა სასენაკოსაკენ, სადაც ჯერ კიდევ სიჩუმე იყო, მხოლოდ სევერიანეს მაღალი ხმით ლაპარაკი ისმოდა. სევერიანეც ჩაჩუმდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ რაღაც ხმამაღლა მიაძახა და ბავშვებმა ისეთი ხმამაღლა ლაპარაკი, თითქმის ყვირილი ასტეხეს, რომ ფარნას ერთ წამს შეეშინდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ მისთვის გაუგებარმა სიტყვებმა, რომელსაც იძახდნენ ბავშვები, მიიზიდა და ისევ წინ გასწია.

მის ყურამდი ნაჭერ-ნაჭერად მოისმოდა სხვადასხვა ხმები.

— ხალი, ახალი... ეს... ხა... ლია, — იძახდა ერთი მჭექავი ხმით.

— აკე...თე... ნამ...გა...ლი... გუუ...გუუ...ლი... გოდო...ლი...— ბოხი ხმით იმეორებდა მეორე ხმა.

— ჩექმა...ჩი...რი... ჩი...თი... ჩა...მი... ჩი,—მამლაყინწასავით ყიოდა მესამე.

— ქალო, კეკე, ბალი ჭამე, სოფო, ჩემი კაბა მომე, — ნაზად ისმოდა გოგოს ხმა.

— შინ, ჩან, ცან, ღან, ყარ, ხარ, — თითქო დოლზე ურტყამენო მრგვალად, დუდღნებდა მეხუთე და ეს ერთმანეთში არეული ხმები ხრიალ-ხრიალით ეფინებოდა არემარეს.

როცა ფარნა სასენაკოს წინა კარს მიუახლოვდა და ფრთხილად შეიხედა, შეამჩნია, რომ ბავშვები ფიცრებზე ისხდნენ, ფიცრებივე ედგათ წინ. სალოკ თითს ფიცრებზე დაწყობილს რაღაც ქაღალდებზე ნელა უცაცუნებდნენ და ზემოხსენებულ ხმებს იმეორებდნენ.

ფარნა მივიდა, ოდნავ შიგ შეიხედა და კარს მიეფარა. კარებში მორცხვად შემყურე ფარნა რომ დაინახეს, ბავშვებმა ხმაურობა შესწყვიტეს, სევერიანემაც შეამჩნია და ალერსიანად მოეფერა.

— შენ ვისი ბიჭი ხარ? — ჰკითხა სევერიანემ.

— ნიკოიას შვილია, ნიკოია თოხიტარიასი, — მოესმა რამდენიმე ხმა.

სევერიანე მიუბრუნდა მათ და მრისხანედ გადასძახა.

—თქვენ არ გეკითხებით, თქვე მხეცებო, თქვენ ჩუმად იყავით, ნიკოიას შვილი ხარ? — ალერსიანად დაეკითხა ფარნას.

— დიახ, — თავჩაღუნულად მიუგო ფარნამ და ტიტველი ფეხის ცერით მტვერს ჩხრეკა დაუწყო.

— შენ არ გინდა ისწავლო წიგნი? — ისევ ჰკითხა სევერიანემ.

— მე თხებს ვწყემსავ, — ჩუმად მიუგო ფარნამ.

— სად არის ახლა შენი თხები?

— აქ, ჩრდილში ისვენებენ.

— მერე საით გარეკავ?

— ჯერ შინ და მერე, ნასადილევს, ხან აქეთ, დობერისკენ, ხან ქუცონისკენ.

— ცოტა ხანს მაინც შემოდი შიგ, ნუ გეშინია, — გაათამაშა სევერიანემ.

ფარნა მორცხვად შევიდა და კუთხეში გაჩერდა.

იმის შესვლაზე ბავშვებმა ისევ ჩოჩქოლი ასტეხეს, ზოგი ეცინოდა, ზოგი სახელს ეძახდა, ზოგი პატიჟობდა და ზოგიც ემასხრებოდა.

— თქვენ კიდევ? — დაიყვირა სევერიანემ, — გააგრძელეთ კი-

თხვა.—ბავშვებმა თითქო ახალ შემოსულ ფარნას თავი უნდა მოაწონონო, წინანდელზე უფრო მაღლა ასტეხეს ყვირილი.

ფარნა გაწითლებული და თავჩაღუნული იდგა, მაგრამ ცოტ-ცოტად მიეჩვია და გათამამდა. თავი მაღლა აიღო; ჯერ მორცხვად გადახედა ბავშვებს, მერე უფრო თავისუფლად თვალიერება დაიწყო. უმეტესი ნაწილი ბავშვებისა იცნო. არტემას გარდა. აქ დაინახა თავისი მოგვარის ერჩქონდია თოხიტარიას შვილი ელიზ-ბარი, ბათა კალათიას შვილი ტარასი, სესირყვა შიგანიას შვილი იოსები და სხვა. წინა ფიცარზე, შესავალი კარის მარჯვნივ, კუთხეში მან შეამჩნია ბასილ ᲫᲔᲫᲑᲠᲐᲫᲘᲐ გოგო ტასია, რომელიც ამას წინათ, მარტის თვეში, ძაღლის კბილებს გადაარჩინა. ტასიას ისევ ის კაბა ეცვა, რომელიც იმ დღეს, გრძელი ფოჩვებიანი და წვრილი სახელოებიანი.

მან ალერსიანად გაუღიმა ფარნას და ფარნამაც წამოწითლებულმა მითვე პასუხი გასცა. ძლიერ გაუხარდა მისი აქ ნახვა, თუმცა თვითონ არ იცოდა რისთვის. მის დანახვაზე ბეგში წაქცეული როკი და ძუკუს და გუდუს წალაპარაკება გააახსენდა.

ზოგ ბავშვს წინ ფიცარზე თეთრი ქაღალდის ნახევი ედო, იმახე ხანდაზმით თითს ადებდა და ანბანის სახელებს იძახდა. ზოგი პატარა, გაჭუჭყიანებულ და გახეულ წიგნში იხედებოდა. ზოგს, და მათ შორის ტასიასაც, ლამაზი და სუფთა წითელი წიგნი გაეშალა.

ტასიას გარდა კიდევ ორი სხვა გოგო გაარჩია, მაგრამ ისინი ვერ იცნო. გარეშე სოფლელები იყვნენ.

— ა... შენ არ გინდა ისწავლო? — ისევ ჰკითხა სევერიანემ, როცა ბავშვები მოიღალნენ.

ფარნამ არა მიუგო რა, ძირს იყურებოდა და ცალი ხელით ქამრის ღვედს ეკირკიტებოდა.

— გინდა ანი, ბანი შენც დაგიწერო?

ბავშვმა თავის ქნევით დაუდასტურა.

— კარგი, მაშინ შენც დაგიწერ. ფილიპე, დარეკე,—მიუბრუნდა ერთ ბიჭს მასწავლებელი.

ერთი შეგირდთაგანი ფიცხლავ გარეთ გავარდა და სხვენზე ჩამოკიდებული პატარა ზარი დარეკა. ბავშვები აჩოჩქოლდნენ.

— ჩუმად! — დაიძახა სევერიანემ.—ადექით!—ბავშვები აბრაკუნდნენ.

— ღირს არს ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ!

— ღირს არს ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ, — მწყობრად გაიმეორეს ბავშვებმა

და ლოცვის შემდეგ სირბილ-კიჟინით და ხტუნაობით მინდორში გაიფანტნენ.

შუადღეზე გადაცილებული იყო. მზე, როგორც იტყვიან, უმოწყალოდ აცხუნებდა ქვეყანას თავის ძლევამოსილ სხივებს. ფრინველები მიჩუმდნენ. მხოლოდ დაუცხრომელი კალია ქს, ქს, ქს-ო მოუსვენრად სისინებდა. ათიოდ თხა, ვაცის წინამძღოლობით, ეკლესიის აღმოსავლეთით ჩამომავალ საფერხე ღელის პირად მოდიოდა და მათ უკან ფარნა ნელ-ნელა მიალაჯებდა. ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ეჭირა და შიგ გულმოდგინედ იყურებოდა.

— ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, — დაიძახა. მან და ისევ ჩუმად ქაღალდს ჩააჩერდა, — ან, ბან, გან, დონ, — ისევ გაიმეორა და ისევ ქაღალდს ჩააჩერდა.

— სად დახეტიალობდი, წიე! რაღა დროს თხების გარეკვაა! ახლა იქით-იქით უნდა მიერეკებოდე, არ ხედავ მზე გადახრილია, შე ყიყამო, შენა! — წყრომით მიეგება ფარნას თავისი და გაიანე, როცა მან თხები ეზოში შერეკა.

ფარნა ჩუმად იყო. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ქაღალდი მოწიწებით დაკეცა და უბეში შეინახა. თავის საიდუმლოების გამჟღავნება არავისთვის უნდოდა.

— არ მეტყვი, ბიჭო? შე წმიდა გიორგის კისერმოსატეხო, სად იყავი ამდენ ხანს?

— სად ვიქნებოდი, — მიუგო ფარნამ.

— მეც მაგას გკითხავ, რათ დაიგვიანე?

— თხებს ვაძოვებდი.

— ვიცი, ვიცი, როგორ აძოვებდი. ბავშვებთან ჭარკინს და რიკს თამაშობდი. მომითმინე მე შენ, მოვიდეს მამა, თუ შენი თავი ერთი რიგიანად არ გავატყეპინო.

— სუ, სუ, გოგო, — მოისმა მოხუცი ჭუჭას ხმა, — აქ მოდი. სადილი ჭამე, შენ გენაცვალოს შენი დადი.

სადაც ასეთი მფარველი ჰყავდა, როგორც დადი, გაიანეს მუქარისა ბევრი არ ეშინოდა. თხები ავვარაში შელალა და თვითონ სადილობას შეუდგა.

ნასადილევს ფარნამ თხები ქუცონასკენ გარეკა. ეს ადგილი მისი სახლიდან ვერს-ნახევარზე იყო. იქ ბევრი სხვადასხვა ბუჩქი ხარობდა და მათ შორის ანწლიც, რომლის ფოთოლი თხის საყვარელი საჭმელია. თხები ხარბად დაეწაფნენ ანწლის ფოთოლს და ორი საათის კნატუნის შემდეგ ყველას მუცელი აქეთ-იქით გამოებერა.

საღამო ჟამს მხიარულად დაუშტვინა ფარნამ და თხები შინის-

ქენ გაირეკა. მზე ის იყო ჩასვლას აპირებდა და მისი ახლა უკვე ძლივძლივს თბილი სხივები შარავანდედად ერტყმოდა ცის კამარას და ქვეყანას მოწითანო ფერსა ჰფენდა. ნიავმაც დაპკრა, ფოთლები შეარხია და ჩიტებიც ააჭიკჭიკა. ბინდმა პაპანაქებით გულშეწუხებულ პატარა ფარნასაც სიხარული მოჰფინა და მისდა უნებურად დააწყებინა მისი საყვარელი სიმღერა:

ჰეი, ჰეი! ჰეა, ჰე!
ვა დილა, ვა დილა!

გზაზე საფუტკრე ღელე უნდა გაევლო. როცა სიმღერა-ტტუნაობით ამ ღელეს მიუახლოვდა, შეამჩნია, რომ ღელის პირად ამოსული ერთი პატარა წიფელის განზე გამოშვერილი ტოტი სწორედ ისე იყო მოღუნული, როგორც მის ქაღალდზე დაწერილი „ანი". მან საჩქაროდ უბიდან ქაღალდზე დაწერილი ანბანი ამოიღო, დახედა, მერე ხის ტოტს შეხედა და სიხარულით ორ-სამჯერ შემოტრიალდა.

— ყა, სასწაული, — გაიკვირვა ბავშვმა. მართლაც, წიფლის ტოტი ძლიერ ჰგავდა ქაღალდზე დაწერილ „ანს".

ამასობაში თხებმა ფეხების ბაკუნით და ფრუტუნით ღელე გაიარეს.

ფარნა ერთ ხანს უყურებდა წიფლის ტოტს, მერე საჩქაროდ ქამარში ჩარჭობილი კვაღაია ამოიღო და თხმელის წვრილი და სწორი წკნელი ჩამოსჭრა. წკნელი ორივე ხელში დაიჭირა და გადაღუნა. წკნელმაც ისეთი სახე მიიღო, როგორც წიფლის ტოტმა. ცალი ხელი გაუშვა და წკნელი ისევ გასწორდა. ანბანი მიწაზე გაშალა, წკნელი ისევ გადაღუნა. ცალი თვალით ანბანს დაჰყურებდა და თან წკნელს ნელ-ნელა ღუნავდა და ცდილობდა ანისთვის მიეგვსგავსებინა. მიამსგავსა კიდეცა. გახარებულმა აქეთ-იქით მიიხედა. თითქო თავისი სიხარულის მოწმედ მთა და ბარი უნდა მოიყვანოსო და უფრო სიხარულით აივსო, როცა ერთ საგანს თვალი მოავლო და რაღაც ახალი აზრი დაებადა.

ღელის პირად ერთ ადგილას ორ არშინამდე სიგრძეზე და არშინ-ნახევრამდე სიგანეზე სველი ქვიშნარი იყო. ბავშვმა მოღუნული წკნელი საჩქაროდ ქვიშისკენ გაარბენინა, ზედ დააკრა და ისევ მოაშორა. მის სიხარულს სწორედ საზღვარი არა ჰქონდა. ქვიშაზედაც „ანი" იყო გამოხატული.

ქაღალდზე დაწერილი ანბანი ქვიშაზე გაშალა ფარნამ, წკნელი ხელში აიღო და ახლა შეეცადა „ბანის" გამოხატვას. რამდენნაირად არ ატრიალა წკნელი, მაგრამ არ იქნა და არა. „ბანს" მაინც ვერ

მიამსგავსა. სულ „ანი“ და „ანი“ გამოდიოდა, ან კიდევ რაღაც პირქვე გადმობრუნებული „ანის“ Მსგავსი, რომელიც ანბანში კი შენიშნა, მაგრამ სახელი მისი არ იცოდა.

სიხარული ცოტ-ცოტად ჩაუქრა და მოწყენა და მწუხარება იგრძნო. ბევრი ეწვალა, ბევრი შეეცადა, მაგრამ ამაოდ.

იმედგადაწყვეტილი მზად იყო წკნელი შორს გადაეგდო, რომ თავში ისევ ახალმა აზრმა გაურბინა.

— აკი კალმით წერენ? — წაიბუტბუტა ბავშვმა.

წკნელით ქვიშა გაასწორა, მერე ცალ ხელში წკნელი აიღო, მეორეში დაწერილი ქაღალდი და წკნელის ერთი ბოლო დაუსვა ქვიშაზე. ჯერ მრგვალი ხაზი შემოავლო, მერე ზევით წაიღო სწორი ხაზი. მერე მარცხნივ მიაბრუნა, როგორც ქაღალდზე იყო დაწერილი, მერე ცოტა ზევით და შემდეგ ისევ ქვევით. მართლა „ბანი“ გამოვიდა, ფარნას თვალები უბრწყინავდა.

— წკნელის გადაღუნვა რა საჭიროა. აკი როცა წერენ, ხომ ხელით წერენ, — კვლავ წაიბუტბუტა მან.

ახლა შეეცადა „განის“ დაწერას. ისიც გამოიყვანა, მერე „დონი“... და ამნაირად ექვსივე ასო ქვიშაზე დაწერა.

მერე წკნელი გადაუსვა. ყველა წაშალა, ისევ ქვიშა გაასწორა და ხელახლა წერა დაიწყო. ბავშვი იმდენად გაიტაცა ამ შრომამ, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩავიდა მზე და ქვეყანას ნელ-ნელა სიბნელე გადაეფარა.

— სწორედ უნდა გადავსახლდე, სწორედ უნდა აქედან . ავიბარგო! საშველი წამალი არა მაქვს... ა.... უ.... უი.. შე წმიდა გიორგი მიქამ გარიოს კინჩხმოსატეხო, სადა ხარ... ღმერთო! ღმერთო! ცეცხლი შენ მოუკიდე მის ოჯახს, ამოვარდნილი და ამოწყვეტილი, აჯ.... უ.... უი!. — უწყალოდ ყვიროდა და იწყევლებოდა, ილანძღებოდა გახუნია ძღანძღალაძე, რომელიც საფუტკრე ღელის პირად ესახლა და ეზოს ერთ მხრივ, ღელეზე გადმომყურე ფერდობზე, საისლე ჰქონდა გაშენებული.

ფარნა ამ ხმაზე გამოფხიზლდა, ის მიხვდა, რაში იყო საქმე, აიღო კვაღაია და გახუნიას საისლესაკენ გაექანა.

ფარნას და სხვა მწყემსების თხებსაც არა ერთხელ ეგემნათ აქაური ტკბილეულობა და ახლაც, რაკი ფარნა რაღაც საქმეში გართული ნახეს, თხები საისლესაკენ გაემართნენ.

გახუნია თან ყვიროდა და თან გრძელი ჯოხით თხებს ერეკებოდა.

— ბიჭო, შე დაქცეულო, ბიჭო, მაინცდამაინც ჩემი ამოწყვეტა

გინდათ? ბიჭო, უსათუოდ ჩემი დაკარგვა გინდათ? — მიაძახა გახუ-ნიამ, როცა ბინდში ფარნას სახე ოდნავ გაარჩია. გახუნიას ბუნებით ცოტა კი უყვარდა საქმის გაჭიანურება, თორემ მის საისლეში საიმისო ზარალი არა იყო რა.

— ამისთანა სიჩურჩუტეს კაცი როგორ იზამს, — გააგრძელა მან და ჩამორჩენილ თხას ჯოხი გადაჰკრა, — თითის ტრლა ბავშვს ჩააბარა ამოდენა ჯოგი. დალოცვილი, თავისთვის ყველა ჭკუიანია. დიდის საქმეს ჩვილს ასრულებინებენ, ხარკალაია მანეთიანებით ხელს ივსებს და ჩემ საისლეს კი თხის კბილები. გაირეკე, გაირეკე ადგილ, მეორეჯერ არ შემოუშვა, თორემ უსაქმოდ უკეთილ-სინდისიეროდ თხებს არ მოგცემ, — დაუმატა გახუნიამ, როცა თხე-ბი საისლედან გაილალნენ, — იცოდე, რომ...

— შენ სულ მასთე იცი, შე მკვდარო ყაზახო, — მოისმა გაკა-პასებული ქალის ხმა საისლეს ზემოთ, ღობის გვერდით. — მეორე-ჯერ არ შემოუშვა, მეორეჯერ არ შემოუშვაო და ახლა მგონი ერთი კვირეა მეათეჯერ შემოვიდნენ.

ქალი ტყუოდა, ფარნას მწყემსობაში ეს პირველი შემთხვევა იყო. დღეს რაღაც საეშმაკოდ მოუვიდა, თორემ ამ გზით ფარნა იშვიათად დადიოდა.

— ახლავე წადი იმ კაცთან და რიგიანად უთხარი. მან ლეტა-კარიდან შვილის ნამოჯამაგრი ოქროები ვოაჩხრიალოს და ჩვენი საისლე მათ სანაცვალოდ იქცეს, ეს არაფერსა ჰგავს. — კიდევ უფ-რო ხმამაღლა და უფრო კაპასად ჩააკრიალა ქალმა.

— გზა-გზა ეძინება, მისთანა ძუძუმწოვარა „ბუგა“ ბავშვი მია-ყოლეს თხას! მაგის ნამწყემსი კიდევ რა იქნება! — არა ცხრებოდა ქალი. ქმარს კი ხმა არ ამოუღია ქალის ლაპარაკის დროს. ეტყობო-და, „კეთილ მორწმუნეს“ მაგრა შებოჭილი ჰყავდა ხელში გახუნია ძღანძღალაძე, თუმცა ენაშაქარა არც გახუნია ბრძანდებოდა.

ფარნას ძლიერ შეეშინდა. ორი, ერთიერთმანეთზე დამაღონე-ბელი სურათი წარმოუდგა: გახუნია სახლში მივა, მამასთან დამა-სმენს, გაიანეც ზედ დაუმატებს, მამა ძლიერ გაჯავრდება, შეიძლება კიდევაც გამლახოსო.

რასაკვირველია, მან თავის მხრივ ყველაფერი თხებს გადააბრა-ლა. ერთი გრძელი თხილის წკნელი გამოჭრა და თხებს მიაყოლა ვარაუდად ზურგ-ფეხებში. შეშინებული თხები ერთმანეთს ეკრო-დნენ და გაჩქარებით შინისაკენ მიბაკუნებდნენ.

ფარნას უნდოდა ისე მიერეკა თხები, რომ არავის შეეტყო. ფელა შეაღო აგვარის ჩელტის კარი და თხები შიგ შერეკა.

— ოჰო! ფარნა, მორეკე? სად დაიგვიანე ამდენ ხანს, — თხების ფეხების ბაკუნზე ხმა გასცა პეტრემ აგვარიდან. ის ნიგით ხელში ადრევე მოსულიყო თხების საწველად.

სხვა დროს ფარნა სიმღერით, ყვირილით და ერთი ზარ-ზეიმით შემოდიოდა ეზოში და დღეს ასეთი სიჩუმე და გვიან მოსვლა პეტრეს არ ეპაშნიკა.

— თხები ხომ არ დაგებნა, ფარნა? — ალერსიანად ჰკითხა პეტრემ.

— არა.

— მაშ რატომ ხარ მოწყენილი?

— მოწყენილი რომ არა ვარ?

— ავათ ხომ არა ხარ?

— არა, — ბეჯითად მიუგო ბავშვმა.

პეტრე თხის წველას შეუდგა და ფარნა შინ შევიდა. ივნისის მთელი დღის შრომით დაღლილი ნიკოია თოხიტარია დაღვრემილი იჯდა ფაცხის კერასთან და არხეინად ჩიბუხს შეექცეოდა. ფაცხაში ძლიერ ცხელოდა, მაგრამ ნიკოია იმდენად დაღლილი იყო, რომ, რაკი ერთხელ შემოვიდა, ადგომა და გარეთ, გრილ ჰაერზე გასვლა ეზარებოდა.

გაიანე და დადი ვახშმის მზადებაში იყვნენ. ფარნა ფაცხის ერთ კუთხეში იჯდა და გულის ფანცქალით მოელოდა გახუნიას მოსვლას.

პეტრემ რძით სავსე ნიგა შემოიტანა. გაიანემ პატარა კარდალა გარეცხილი დაახვედრა.

— ჩემი ფარნა! ივარგებს, მგონია, ეს ბიჭი, წმიდა გიორგის მადლმა, — თქვა პეტრემ. — ისე კარგად უძოვებია დღეს თხები, რომ ნიგაში რძე ძლივს ჩაეტია.

მამამ ალერსიანად გადახედა ფარნას. ათანასეს კი, რომელიც გარეთ ხის ნაჭერზე იჯდა, ბევრად არ ესიამოვნა ფარნას ქება.

— მეტი არ გავიხარე მაგისთვის, იმან რომ ჩემზე უკეთესად ძძოვოს თხები.

— უკეთ აძოვებს-მეთქი, ამას არც მე ვამბობ და ნიგა რძით სავსეა, ეს ცხადია.

— ახლა ზაფხულია და იმიტომ, — იმართლა თავი ათანასემ.

— დღეს სულ გვიან მობრუნდა სადილად, — ჩააკერა სიტყვა გაიანემ.

— სუ, ძღაბო, შენ, — გამოეხმაურა ფარნა. — იმდენი სიკეთე შენ, რაც მე დავიგვიანე... ოი, ჯიჯა... ა... უ — აჭიკყინდა ბავშვი.

— ნუ კი ტირი, შე კაცო, — ერთხმად უთხრეს პეტრემ და ნიკოიამ. — ჩვენ გაქებთ და შენ კი ტირი?

— შენ, ძღაბო, ენაწასული ნუ ხარ? ადრაგუნებ ყველაფერს, რაც პირზე მოგადგება, — დინჯად შენიშნა დადიმ. — ჩქარა მოდი, ეს რძე ჩავწუროთ.

გაიანემ რძის საწური მოძებნა. ეს იყო თიხის უძირო ჭურჭელი, რომელშიაც ძირს რამდენიმე წვრილი წკნელის ხარიხა იყო მიმაგრებული, ამაზე სუფთა გვიმრას აფენდნენ, ზედ რძეს ასხამდნენ. ეს რძის საწური გაიანემ დადის გადასცა. დადიმ ხელში დაიჭირა კარდალას თავზე პირდაპირ. გაიანემ ნიგას გადასწია. თეთრი რძე ჩუხჩუხით გადიოდა გვიმრის საწურს და კარდალაში ჩახრიალებდა. გაიანემ ცალკე ჭურჭელში მომზადებული კვეთარი მოძებნა და ისიც ცოტა ჩაასხა რძეში. დადიმ ნახევარი ადლის სიგრძე წვრილი ვაზის ჯოხით რძე და საკვეთარი კარგად ერთმანეთს შეურია. ჯოხი კარდალის კიდეზე მიაკაკუნა და ერთიც დაუწრუწუნა.

— ნეტავ ვიცოდე, ვახშამს აპირობენ ამაღამ თუ არა, — წარმოთქვა ნიკოიამ. — ძლივს ვქანაობ, ისეთი დაღლილი ვარ.

— ახლავე, შვილო, ახლავე, — მიუგო მოხუცმა დედამ.

ფარნა და ათანასე რაღაცაზე აყაყანდნენ, მათ ლაპარაკში გაიანეც გაერია.

— სუთ, სუთ, ვინმემ დაიძახოს, ყურთასმენა აღარ არის! — დაიძახა პეტრემ.

— მართლაც, მგონია კიდევაც იძახის ვიღაცა, — მიუგო ნიკოიამ.

— ე.... უყურე, უყურე.. სუთ... სუთ... ე... ათანასე, ათა, გახედე, ბიჭო, ვინ არის.

ათანასემ ხმა გასცა, მაგრამ ვერ გააგონა. სტუმარი კი სულ იძახდა: ვო, ათანასე, ათანასეო.

— ა... უი! — რაც შეეძლო, მიაბღავლა ათანასემ.

— ნიკოია შინ არ არის? — მოესმა სტუმრის ხმა.

— კი, კი! — დაუყვირა ათანასემ.

— ერთ წუთს მომხედოს, თუ ცალია. სიტყვა მაქვს.

— ვინ არის, ბიჭო? — გასძახა მამამ.

— გახუნიას ხმას ჰგავს.... დიახ, ის უნდა იყოს.

გახუნიას სახელის გაგონებაზე ფარნა აცახცახდა. იმას ფარსაგი რომ არ დატრიალდებოდა, არ ეგონა... ნიკოია კი ძლივძლივობით, „უჰუ-ჰუს“ ძახილით ადგა და გახუნიასაკენ წავიდა.

— აქეთ მობრძანდი, გახუ, ბაბა! როგორ შორიდან იძახი, შე კაცო. — დაუძახა ნიკოიამ.

სანამ ნიკოია დაბრუნდებოდა, ღომი ტაბაკზე დააგეს. მწვანე ლობიო ნიგვზით შეზავებული ხის ლამბაქებზე დააწყვეს და თავთავიანთი თია * ღირსებისადა გვარად ყველას დაუდგეს და სავახშმოდ მოემზადნენ.

— ბაბა, შენ ჭკვიანად იყავი, თორემ, ბაბა, მე გაგლახავ, იცოდე, — შემოილაპარაკა ნიკოიამ, — გახუნია ჩივა, რომ ჩემი საისლე სულ ერთიანად თხებს გააოხრებინაო. მეორეჯერ არ მოგვიდეს ასეთი შეცდომა, ბაბა, დაკვირვებით უნდა ადევნო თვალ-ყური, თხა ხომ მოუსვენარი საქონელია.

— რძეც იმიტომ მოაქვთ თხებს, საისლეში თუ შეუშვი, აქ რაღა კაი მწყემსობა გამოვიდა. — თავმომწონედ შენიშნა ათანასემ.

მაგრამ ბევრი გამოჯავრება საჭირო არ იყო. ფარნა ატირდა და თვალებიდან მსხვილი ცრემლი გადმოაფრქვია. იმ ღამეს თითქმის არ დაუძინია. თუ ცოტად მიეძინებოდა, ქვიშა, ზარი, წკნელი, საისლე.... ერთმანეთში არეული, თვალწინ ელანდებოდა. დაწერილი ანბანი ხან დაგლეჯილი მოეჩვენებოდა, ხან ისეთი ფართო, რომ მთელი ჭყონონა იმ ანბანზე ეტეოდა და გახუნას საისლეც იმ ადგილზე იყო მოთავსებული.

ყოველ გაღვიძებისთანავე ანბანს ხელს მოავლებდა და მაგრა მოუჭერდა. ქაღალდი მოწიწებით გულზე ედო...

XII

სევერიანე იყო ადგილობრივი მღვდლის, ევთიმე წყალაძის შვილი. ევთიმე მღვდელს მის გარდა სამი შვილი ჰყავდა, მაგრამ სევერიანე ყველაზე უფროსი იყო. სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. ამ წელს მესამედან მეოთხე კლასში გადავიდა და ახლა, საზაფხულოდ დათხოვნილი, შინ იმყოფებოდა.

ჯერ კიდევ პირველ კლასში იყო სევერიანე წყალაძე, ფრიად მოსაწონი და სასარგებლო ჩვეულება შემოიღო. ივლისსა და აგვისტოში სოფელში ყოფნის დროს ოთხიოდ მეზობლის და ნათელმირონის შვილები მოაგროვა და წიგნის სწავლება დაუწყო.

მეორე წელს იმდენი ბავშვი მოგროვდა, რომ მღვდლის პატარა ოთხთვალი ოდის პატარა დარბაზი, — სადაც პირველად გამართა სკოლა, — არ ეყო და იძულებული შეიქნა სასენაკოში გადაეტანა.

* თია — კერძი.

ზოგი ფიცარი მამას სთხოვა, ზოგიც მეზობელს და იქ ხელად მოაწყო ტლანქი ფიცრებისაგან ბავშვებისათვის დასაჯდომი და საწერი, საკლასო მაგიდების მსგავსი. წელს ვაჟების გარდა ქალებიც მოეყვანეს, ერთი ბასილ მძებრაძემ და ორიც მახლობელი სოფლის აზნაურებმა.

სწავლის ფასს სევერიანე ფულად არაფერს ართმევდა და თუ ვინმე რამე ფეშქაშს მიართმევდა, უარს არ ეტყოდა. ზოგს მოჰყავდა ქათამი, ზოგს მოჰქონდა რძე, ზოგს ყველი, ზოგსაც ხილი. სწავლის წესრიგი სევერიანეს კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ის ასწავლიდა როგორც იცოდა და როგორც უნდოდა. დღეში ხან ერთ გაკვეთილს მისცემდა, ხან ორს, ხან ოთხსაც, როგორც მოისურვებდა.

ასწავლიდა ლოცვებს, წერა-კითხვას ქართულად და ვინც ქართულში გაიმართებოდა, რუსულადაც. ასწავლიდა აგრეთვე ანგარიშს და ხან კი, ბავშვებთან ერთად, ისიც თამაშობდა.

სევერიანე დილით ადრე დგებოდა. პირველი მისი საქმე იყო ჭანისწყალში ბანაობა, თუმცა მდინარე ვერსზე მეტი მანძილით იყო დაშორებული მისი სახლიდან. მიუხედავად ამისა, სევერიანე ყოველ დილით ბანაობდა. წყლიდან დაბრუნების შემდეგ რძეს და ყველს მიირთმევდა ცხელ მჭადთან. მჭადის გამოცხობაში სევერიანეს დედას, ეკატერინეს, ბადალი არა ჰყავდა. მერე სასენაკოსკენ გასწევდა და ნასადილევს კი ხეების ჩრდილში ჭილობზე გორაობდა, ან წიგნს კითხულობდა, ან ეძინა.

ეს არის სევერიანე ბანაობიდან დაბრუნდა და სენაკის ახლო თავის სახლისკენ მიემართებოდა (მისი სახლი ეკლესიიდან ნახევარი ვერსის სიშორეზე იყო), რომ თხების ფრუტუნი შემოესმა. მიიხედა და დაინახა ფარნა, მისი განუშორებელი კვაღაია უკან ქამარში ჰქონდა ჩარჭობილი. მთელი ღამის მარხვისაგან დამშეული თხები დობერისაკენ მიეშურებოდნენ.

— ფარნა, აქ მოდი! — დაუძახა სევერიანემ.

ფარნა იმწამსვე მასთან გაჩნდა. თხებმა უიმისოდაც გააგრძელეს ნაცნობი გზა. აქეთ-იქით არც კი მიუხედავთ. გარდა ნახევრად გამოფუღრული თხმელის და რცხილის ხეებისა, აქ საკნატუნებელი არა მოიძებნებოდა რა.

— დაისწავლე რამე? — ალერსიანად დაეკითხა სევერიანე.

ფარნამ მორცხვად ხელი უბეში ჩაიყო და ქაღალდი ამოიღო. ზოგი ფარნას ხელისაგან და ზოგიც სხვა მიზეზებისა გამო ქაღალდი ალაგ-ალაგ გასვრილი და დაჭმუჭნული იყო.

— აბა, წაიკითხე.

— ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ! — თამამად თქვა ფარნამ.

— კარგი, ახლა მომეცი აქ, — უთხრა სევერიანემ. ბავშვმა ქაღალდი სევერიანეს გადასცა და თხებს მიხედა. მათ დაღმართი დაევლოთ და გზის მოსახვევში ჯარისკაცებივით მწყობრად მიიმართებოდნენ. ღუზანია ოფიცერივით წინ მიდიოდა და წვერს მიაცანცარებდა.

სევერიანემ ორივე ცერი ერთ ასოს აქეთ-იქით დაადო, სხვა ასოები დამალა და ფარნას დაეკითხა:

— ეს რა არის?

— გან, — მიუგო ფარნამ.

— ესა?

— ვინ!

— ესა?

— დონ!

— ყოჩაღ, ჩემო ფარნა.

ფარნამ ამოიხვნეშა და ისევ თხებისაკენ მიიხედა.

— თხების გაქცევისა გეშინია? — თანაგრძნობით უთხრა სევერიანემ და თითონაც მიიხედა. — უი, სანამდი მისულან.

თხებს სახარე ღელე გაევლოთ და დობერის ძირს შესდგომოდნენ. მათი რქები ახლა ძლივძლივს მოჩანდა. მაინც ფარნა ჯერ კიდევ ცალ-ცალკე თხებს კი არჩევდა.

„ე... ჩხაპრა, ე... ხუდუშია, როგორ მიბაჯბაჯებს“, — გაიფიქრა ბავშვმა.

— ახლა, ფარნა, არა გცალია, ოხ! რა კარგი იქნებოდა, რომ გეცალოს, — ნაღვლიანად თქვა სევერიანემ. — შუადღეზე მაინც ადრე წამოდი. ახლა თუ გიკახსენდა, ერთი-ორი ანაბანა კიდევ მივუშატოთ: ზენ, თან, ინ, კან, ლას...

— ზენ, თან, ინ, კან, ლას, — რამდენიმეჯერ გაიმეორა ფარნამ, ქაღალდი ხელში დაიჭირა, თან ქაღალდს დაჰყურებდა და თან შირბოდა.

ერთ წუთში ფარნა თხებთან გაჩნდა და როცა ყველანი დაათვალიერა, ხის ქვეშ, მწვანეზე დაჯდა და ანბანი გაშალა.

— ზენ! ეს კი მაშინათვე დავიმახსოვრე. ამ მეორეს რა იყო, რომ დაარქვა...

— ფუიტ! — შეშინებულად დაიფრუტუნა ამ დროს ერთმა თხამ.

— აუ... უი! — დაიკივლა მწყემსმა და ზეზე წამოვარდა. —

ჰეი, ჰეი, ვეი! აუ... უ... უი! — ისევ დაიყვირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ყვიროდა ვითომდა გარეული ნადირის შესაშინებლად.

ჯერ შუადღე არ იყო, როცა ფარნამ პირი იბრუნა შინისაკენ. ცოტა კი ეშინოდა: ვაითუ ვინმემ ჩემი ოჯახისთაგანმა შემამჩნიოსო. თუმცა დარწმუნებული იყო, არავინ შეამჩნევდა, რადგან სამნივე: პეტრე, ნიკოია და ათანასე სიმინდს მარგლავდნენ ჭალაში და ყანიდან დაბრუნებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლდათ. წუხელვე ჩიოდა ნიკოია: ვეღარ მოვერიეთ, სიმინდი ფუჭდება და ნადი უნდა მოვიწვიოთო. დადი და გაიანე კი სადილის კეთებაში იქნებოდნენ. გართულნი.

თხები ჩრდილოში დააბინავა და სენაკს მიუახლოვდა. ბავშვები ეტყობოდა, სენაკში იყვნენ, თუმცა ხმამაღლა არ კითხულობდნენ. დროგამოშვებით მხოლოდ სევერიანეს ხმა მოისმოდა.

სასენაკოს რომ მიუახლოვდა, ბავშვების ჩოჩქოლი გაიგონა.

— ჩუმად, ჩუმად წერეთ, ჯკან ნუ იხედებით... შენ ხომ მელანი თავის დღეში არა გაქვს, — ამბობდა სევერიანე.

ფარნა ფრთხილად მივიდა და კარებში შეიჭყიტა.

— თხები დააბინავე? ეს კარგად გიქნია. კაი დროსაც მოხვედი.

ბავშვებმა წერას თავი დაანებეს და ფარნას ყურება დაუწყეს... ტასიამ გუშინდელსავით ალერსიანად გაუღიმა.

— თქვენ თქვენი საქმე გააგრძელეთ!—გადასძახა ბავშვებს სევერიანემ. — შენ, ვასილ, გინდა გარეთ გაგაგდო?

ბავშვები მიჩუმდნენ. მათი კალმების ნელი წრიპინიღა მოისმოდა.

— ნაჯახი ახლა შეინახე, — ლმობიერად უთხრა სევერიანემ ფარნას.

ბავშვებმა სიცილი და ჩოჩქოლი ასტეხეს. ფარნა კი გაწითლდა, ხელი უკან წაივლო, ნაჯახი ამოიტანა და გარეთ, კარებთან მიაყუდა.

— თითქო არ გინახავთ არც ბიჭი, არც ნაჯახი, თქვე მხეცებო, თქვენა! — მწყრალად გადასძახა მასწავლებელმა და ერთს, ყველაზე უფრო ცეტს, რომელიც ფარნას ხელს უპოტინებდა, ვითომდა. აქეთ მომეცი ნაჯახიო, და დამცინავი სახით იღრიჭებოდა, სევერიანემ ყურზე ხელი მოკიდა და ზევით ასწია. ბავშვი ჯცბად გაიბუტა, მერე მოიღუშა და კბილების ღრეჭით ტუჩები საძაგლად აიცმაცუნა. სევერიანემ ყურს ორ-სამჯერ მაგრა გასწი-გამოსწია და ერთი-ტყლაშუნა რლაც დაურთო. ერთ წამს სკოლაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს რომ გითხარი, გახსოვს რამე? — დაეკითხა სეევერიანე ფარნას, რომელსაც ქაღალდი უკვე გაეშალა.

— ზენ... ინ, — ჩუმად თქვა ფარნამ.

— ნუ გეშინია, თამამად იყავი. „თან", — თქვა სეევერიანემ და ოითი თანს დაადო. — კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, ჟან! — რამდენჯერმე გაიმეორა და ფარნასაც გაამეორებინა. ბავშვი გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა და ათვალიერებდა მისთვის უცნობ ასოებს და, რასაკვირველია, არა ხედავდა მისკენ მიჩერებულ ბავშვებს.

მიუხედავად სეევერიანეს წყრომისა, მოსწავლეებმა წერას ისევ თავი დაანებეს და ფარნას შეაჩერდნენ. ზოგი გაკვირვებით შეჰყუ-რებდა, ზოგი დასცინოდა, ზოგს ეხარბებოდა ბავშვის მკაფიოდ სიტყვის გამოთქმა. ტასიას თვალები სიხარულისაგან თითქმის სველი ჰქონდა. როცა რამდენიმეჯერმე ფარნამაც შეუცდომლად გაიმეორა ასოები, სეევერიანე ბავშვებს მიუბრუნდა. მათ საჩქაროდ კალმებს და გრიფელებს ხელი მოავლეს და, თითქო აქ არაფერიაო, წერა განაგრძეს.

— მე რა გითხარით! თქვენ თქვენი საქმე განაგრძეთ-მეთქი, არ გაიგონეთ ყურში?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სულგანაბული ბავშვები ისევ სწერდნენ.

კიდევ რამდენიმეჯერმე გაიმეორა ფარნამ ასოები, აიღო ნაჯახი და თხებისკენ გაეჩქარა.

მეორე დღეს კიდევ მიუმატა ასოები და მეოთხე დღეს ყველა ასო ზეპირად იცოდა.

ბავშვებმა გაკვირვებულად პირი დააღეს, როცა მეხუთე დღეს ფარნამ ყველა ასო მკაფიოდ ჩამოუთვალა. ზოგი მათგანი ამ ასოებს თვეზე მეტ ხანს სწავლობდა და ჯერ უნ, ფარ, ჭან-ზე იდგა.

ცალ-ცალკე უჩვენა სეევერიანემ ანბანი, ფარნამ ყველა გამოიც-ნო. სეევერიანესაც, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა.

— ახლა, ჩემო ფარნა, უნდა დაისწავლო, რას იტყვის ეს ასოე-ბი. ან იტყვის — ა-ს, ბან — ბ-ს, დონ — დ-ს. ა,ბ,გ,დ, — დაუწყო სეევერიანემ, დანარჩენი კი ფარნამ თვითონ გააგრძელა.

—მე ამათი წერაც ვიცი,—წარმოთქვა გათამამებულმა ბავშვმა.

— აბა, აბა! — აღტაცებით წამოიძახა სეევერიანემ და ხელში ცარცის ნაჭერი მისცა.

ფარნა მიუდგა ერთ გამჭვარტლულ ფიცარს, რომელიც საკლასო დაფის მაგივრობასა სწევდა, და „ა“ გამოიყვანა.

— ახლა „ბ!“ — დაუძახა სევერიანემ.

ფარნამ ჯერ რგოლი გამოიყვანა.

— ისე არა, — გაუსწორა სევერიანემ. — აი, ასე! ზემოდან უნდა დაიწყო. ქვემოდან ზევით უნდა გაატარო ხაზი, მერე განზე, მერე ძირს, და მერე უნდა რგოლი.

ფარნამაც ასე გამოიყვანა. მიყვა მერე და რამდენიმე წუთში ყველა ასო დასწერა. რასაკვირველია, ზოგიერთს მრუდედ წერდა, მაგრამ, საზოგადოდ, კარგად ამგვანებდა.

— ეს ვინ გასწავლა? — გაკვირვებით ჰკითხა სევერიანემ.

ბავშვები კი შურიანად თავს აქნევდნენ და წწ, წწ-ს იძახდნენ კვირობდნენ. ტასიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ფარნამ ნაჭერ-ნაჭერ სიტყვებით გააგებინა, თუ როგორ ისწავლა ანბანის წერა. წიფელის ტოტის და წკნელის ამბავიც უთხრა.

—შენ ნიჭიერი ბავშვი ყოფილხარ. ამ ზაფხულს რომ გეცალოს, ქართულს კი არა, რუსულ წერა-კითხვასაც კარგად დაისწავლიდი... ხვალ მე შენ ქაღალდს და ფანქარს მოგიტან.

— მე მივცემ აი, აგერ!—წამოიძახა ტასიამ და მთელი ფურცელი თეთრი ქაღალდი მიაწოდა.

გახარებული ფარნა შუადღეს სიმღერით და კიჟინით თავის ეზოში შედიოდა. თხები აგვარაში შელალა და სირბილით და ხტუნვით სახლში შეირბინა. უბეში კი სიამოვნებით ხელს იდებდა და ფრთხილად მალ-მალე სინჯავდა. იქ ვისი ძვირფასი განძი იყო დამალული.

* * *

ერთ დღეს სევერიანე რაღაც კაი გუნებაზე არ იყო. ბავშვები ადრე დაითხოვა და შინ წამოვიდა. მამა ევთიმეც შინ ბრძანდებოდა, აღსარების მთქმელთა სიას ადგენდა.

— შვილო სევერიანე, — ტკბილად მიუბრუნდა ევთიმე. საზოგიერო გამოარჩია კვირისათვის. — უნდა გიყვარდეს, შვილო, საღმრთო წერილის კითხვა, ღმერთი მოწყალეა! ეგების როგორმე სემინარიაში გაგგზავნო. ღარიბი ვარ, შვილო, მაგრამ პერანგს გავიხდი და შენ მაინც გაგგზავნი. საკმარისია, რაც მე პრიჩედნიკობაში მღვდლებისაგან გამომიცდია, რომ შენც იმ ჯოჯოხეთში არ ჩაგაგდო. თავიც რომ დავიწინდო, მაინც გაგგზავნი სემინარიაში. ჩემ დროს

სად იყო, შვილო, კლასები და წიგნები. ღმერთმა აცხონოს ლუკა ბერი. იმან რომ ორი ანაბანა მასწავლა, იმით დღეს ლუკმასა ვჭამთ. ხუთი ვერსიდან ფიჩხებს ვეზიდებოდი ჩემთვისაც და ლუკა ბერისათვისაც.

— შეშაც არ იყო? — გაიოცა სევერიანემ.

— სად იყო, შვილო, მონასტრის გარშემო სალი კლდეების მეტი არაფერი მოიძებნებოდა, ტყუილად არ ერქვა უდაბნო... სად იყო ან სანთელი, ან საპონი... აბა, შვილო, აიღე წიგნი. კვირიაკე მეხუთე, ხმა, მერვე გამოარჩიე და ჩაათვალიერე.

სევერიანემ მოწითალო ტყავგადაკრული წიგნი აიღო, ბოლოდან რამდენიმე ფურცელი გადმოშალა და ჩუმადაც ჩაილაპარაკა: „კვირიაკესა მეხუთესა, მეხუთესა... მესამე... მეოთხე... მეხუთეც. კვირიაკესა მეხუთესა, სამოციქულო რომაელთა დასაწყისი: რე ინ და ბან. „რე ინ და ბან", — გაიმეორა მან და წიგნს შუაგულ შლა დაუწყო. — აი, „რე ინ და ბან". კვირიაკესა მეხუთესა... „ძმანო... რომელი იგი".

—გამარჯობა, ბატონებო, თქვენი!—შემოიძახა ოთახში ვიღაცამ. სევერიანემ უცბად მიიხედა. ევთიმემაც ახედა.

მათ წინ იდგა მათივე მრევლთაგანი გლეხი კოჩა ბარია. მაწვნით სავსე აფშარა * ხელში ეჭირა და ფეხებშებორკილი ქათამი იღლიაში ეკავა. ოთახში თავის შემოყოფისთანავე ქათამმა საშინელი კრიახი ასტეხა.

— მობრძანდი, მობრძანდი, ბაბა კოჩა,—მიემხიარულა მღვდელი. — რად გაისარჯე, ეს ქათამი რა საჭირო იყო.

— რა თქვენი საკადრისია, ბატონო, მარა, ხომ იცით, ღარიბი კაცის საქმე. ერთი-ორი ანაბანა დაისწავლოს, რამდენად მიღირს, — მიუგო კოჩამ და მაწონი და ქათამი გადასცა მათ ხმაურზე შემოსულ სევერიანეს უფროს ძმას, დიმიტრის, და თვითონ შენდობის ასალებად მღვდელთან მივიდა.

— დაბრძანდი, ბაბა კოჩა, დაბრძანდი, — მოეპატიჟა მამა ევთიმე.

კოჩა ტახტზე ჩამოჯდა. ის იყო შუახნისა, შავწვერა და დიდცხვირა. თავი წითელი ყაბალახით ჰქონდა წაკრული.

— აა... ბატონო სევერიანე, — კრძალვით შეეკითხა კოჩა, — ის ჩემი ბაღანა ვითომ სწავლობს რასმე? ვაი, იმის მეტი... აა... ვითომ?

— კი, გვარიან კარგად სწავლობს, მხოლოდ დროა, რომ წიგნი ჰქონდეს, წიგნი არა აქვს.

* აფშარა — ხის ჭურჭელი ხუფით.

— დედა, ღმერთო, მომკალი, — გააწყვეტინა კოჩამ, — იქით კვირას შენ შემოგეთვალა, მაგრამ მოგეხსენებათ, რა გამწარებული დროა, ღმერთმაც დალოცა მისი სახელი. ქვეყანაც რომ მოიძულა... ლამის სიმიდი გახმეს. სამარგლავი მქონდა და ვერ მოვიცალე, ან წიგნის ყიდვისა მე რა ვიცი, მე შენ გეტყვი, მამაჩემიც იმის კითხვამ დაახრჩო. როსთაია მიდიოდა ზემოთ და ფეხმოსატეხ დედაკაცებს იმისთვის ერთი აბაზი გაეტანებიათ, აბზუკაა თუ რა ჯანაბაა, იმის საყიდლად; იმასაც ვერაფერი მოეტანა.

— რაც ჩქარა უყიდით წიგნს, მით უკეთესია. თუ გინდათ, ხვალ მე წავალ და მოვიტან. ხომ შეიძლება, მამა? — დაეკითხა სევერიანე ევთიმეს.

— რათ არა, შეჯექი ჯორზე და წადი.

— მე მოვიტან წიგნს, ბაბა კოჩა, მაგრამ ერთი აბაზი არ ეყოფა, კაი წიგნი უნდა მოვიტანო. ბევრ ხანს ეყოფა საკითხავად.

— მაშ რამდენი მოუნდება, ბატონო?

— ცხრა შაური უნდა წიგნს, დაფაც უნდა სამშაურიანი.

— მაინც დავღუპულვარ, ძმაო, და...

— აბა, არ იცი, ჩემო კოჩა, სწავლას რა ხარჯი უნდა! — აღტაცებით მიუგო მამა ევთიმემ. — შენ ცხრა შაურს სწუხარ, და მე რამდენი ცხრა მანეთი მიზის ეს ბიჭი, ვინ ჩამოთვლის, და ჯერ კიდევ სადაა... ერთი ბედი, რომ სენაკშია სასწავლებელი, თორემ შენი მტერი, როცა აქედან მარტვილში დავდიოდით... რა გზები, რა მდინარეები იყო გასავლელი.

— შენ, პაპა, რას ამბობ, შენ მიყოლებ მეცა, სად შენ და სად მე, — ხმამაღლა გაეხუმრა გოჩა, — პაპა, მკვდარი შენია და ცოცხალი. სინდოას სულისათვის აფანი მოზვერი რომ მოგცეს, იმის ფასი ჩემ ოჯახში ხუთ წელიწადს არ შემოვა.

— სუ, სუ, ნუ ტირი ყოველთვის. მაგიერი, ჩემო კოჩა, გასავალიც ბევრი ჰაქვს...

— შენს მტერს ღმერთი გაუწყრა, ბატონო ევთიმე! ორი წლის ფოსტა ჯერ ამ კისერზე მაძევს, — კოჩამ დასამტკიცებლად ხელი კისერზე დაიჯახუნა, — თუკი ნიჭი აქვს, ბატონო, თათრის ვალი დავიდვა, მაინც ვეცდები.

— გვარიანი ნიჭი აქვს, არა უშავს რა, მაგრამ სასწაულია! — წამოიძახა სევერიანემ. — მე ჯერ ისეთი ნიჭის კაცი არ მინახავს, როგორიც ნიკოია თოხიტარიას ბავშვი ყოფილა.

— რომელი, ბატონო? — ჰკითხა კოჩამ.

— სულ პატარა.

— ალბათ ფარნა იქნება, როგორ არ ვიცი, ის ხომ თხებს მწყემსავს! — გაიოცა კოჩამ.

— ის, ის, ჰო, თხებს მწყემსავს, მარა ერთ-ორ საათში იმდენი დაისწავლა, რამდენსაც სხვა ორ კვირას ვერ დაისწავლის.

— ჰო, ჰო, ეს კი გამიხარდა, — მხიარულად თქვა კოჩამ, თუმცა ხმაში სიყალბე შეეტყო და სახეზედაც შურიანმა ელფერმა გადა-ჰკრა.

— ნიშიერია ძლიერ, ა? — იკითხა მამა ევთიმემ.

— უჰ! მე შენ გეტყვი: მაგას რომ პატრონი ჰყავდეს, ერთი რამე გამოვა.

— ეს კი ნიკოიას დაუმადლე, რომ მიჯბარებია, — მოუწონა ევთიმემ.

— მიაბარა კი არა, — სიცილით მიუგო სეევერიანემ, — ნიკოიამ მგონი ჯერ არც კი იცის. თხებს ერეკებოდა ერთხელ სასენაკოს ახლო და შემოიხედა. მე რაღაც სახით მომეწონა, ანბანი დავუწერე, და აგერ, რამდენიმე დღეა და ყველა ანბანს იცნობს და თითქმის წერს.

* * *

საღამოზე ნიკოია თოხიტარიას ჯალაბობა ჩვეულებრივ მოგროვილიყო ფაცხაში. ფარნა არ იყო, მეზობელთან გაეგზავნათ მარილის სასესხებლად.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფარნაც შემოვიდა.

— ა, დადი, რუსუნდამ მეტი მარილი არა მაქვსო.

— არ შეგეშინდა, დადი? — ალერსიანად შეეკითხა მოხუცი.

— გამოვიქეცი.

— ბაბა! — ლმობიერად დაუძახა ნიკოიამ. — აბა, ბაბა, მაჩვენე, წიგნს როგორ კითხულობ.

ყველანი გაოცდნენ. ეს საიდუმლო ნიკოიას გარდა ჯერ არავინ იცოდა. ფარნა კი, თან კმაყოფილი და თან დარცხვენილი, ძირს იყურებოდა.

— გამაჩემა, გამაჩემა დღეს კოჩა ბარიამ, — დინჯად მიუბრუნდა ნიკოია თავის ჯალაბობას. — სეევერიანეს ლთქვამს: ერთ თვეს რომ მოაცლევინებდნენ, წერასაც და კითხვასაც დაისწავლისო. აბა, შენი ჭირიმე, მიჩვენე შენი ქაღალდი.

ფარნამ გაუბედავად უბეში ხელი ჩაიყო და ანბანი ამოიღო. ქაღალდი ჭუკყი-ოფლისგან სულ გათუთხულიყო, ზოგი ასოები ძლივსღა ჩანდა, ზოგან კიდევ გახეულიყო.

ფარნამ ქაღალდი გაშალა და მტკიცედ ჩაიანგარიშა ყველა ასო. ნიკოიას პირთან ახლო, მარჯვენა ხელში, ყალიონი ეჭირა, სიხარულით სავსე თვალებით შვილს შეჰყურებდა და მისი ყოველი სიტყვის გამოთქმაზე სახეზე სიხარულის ღიმი უქროდა

დანარჩენებიც ყველანი თვალგაბრწყინებული შეჰყურებდნენ. გაიანეს ცალ ხელში საცერი ეჭირა, მეორე ხელი წელზე ედო და ღიმილით შეჰყურებდა.

იმავე ღამეს შინაურ რჩევაში გადაწყვიტეს, რომ ფარნა ამ ზაფხულს სევერიანესთვის მიებარებინათ, თუმცა ეს ათანასეს ბევრად არ ეჭაშნიკა. წიგნის სწავლების წინააღმდეგი მას არაფერი ჰქონდა, მხოლოდ თხების მწყემსვაზე უარი თქვა.

— როგორ არა, ხვალ დილით, დაიქადეთ, ჯიჯა, ჰო, როგორ არა, მე ისევ თავის დღეში თხებს არ გავყევები. როგორც გინდათ, ისე ქენით, — ჯიუტობდა ათანასე.

— ერთს გეტყვი, ბაბა, — თქვა პეტრემ. — სამარგლავი თითქმის გათავებულია. მეორეჯერ ჩვენ, მე და ათანასეც მოვერევით. გარდა ამისა, ბავშვი დილ-დილით ივლის იქ, თორემ საღამოობით თავისუფალი იქნება. ნასადილევს კი შეიძლებს თხების გარეკვას და დილით კი შენ გაყევი, ბაბა, ამ ერთ თვეს, — ეს რჩევა ხმაშეუბრუნებლად მიიღო ნიკოიამ.

მეორე დილას ნიკოიამ აიღო სამი ახალი სულუგუნი, ერთი ქათამიც დაიჭირა, ფარნა თან წაიყვანა და მამა ევთიმეს სახლისკენ გასწია.

სამწუხაროდ, სევერიანე შინ არ დაბრუნდა, როგორც გუშინ ამბობდა, — ზუგდიდში წასულიყო.

ევთიმეს ძლიერ გაუხარდა ნიკოიას გადაწყვეტილება ფარნას თაობაზე და თავის მხრივაც, კერძოდ, დახმარება აღუთქვა.

მეორე დილით ფარნა მიიჩქაროდა სასენაკოსაკენ. თავისთანა ბედნიერად ქვეყანაზე არავინ მიაჩნდა.

ღელის გაღმა იმავე სოფლის გლეხი ფუცორა მუკორთელია შეხვდა. ფუცორა ძლიერ დაღონებული მიდიოდა. ფარნამ გაბრწყინებული თვალებით შეხედა და გაუღიმა.

— როგორ ყველის ვაჭარივით იღრიჭები! — გულმოსულად შეუტია ფუცორამ.

ფარნას გაუკვირდა. მას ყველანი მასავით მხიარული ეგონა.

საღამოზე, როცა სევერიანე ჩამოვიდა, ძლიერ გაეხარდა ნიკოიას გადაწყვეტილება.

— შვილო, მე გთხოვ ჩემ მხრივ, იმ ნიკოიას შვილი...

— რა შენი თხოვნა მინდა, მამა,—სიცილით მიუგო სეევერიანემ.

— სხვა, შვილო? — ჰკითხა ევთიმემ. — რა ამბავია ზუგდიდში, ვინ ნახე, ბლაღოჩინი ხომ არ გინახავს?

— ვნახე, როგორ არა, აღსარების მთქმელთა სია ღსათუოდ თავის დროზე წარმომიდგინეო, შემოგითვალა.

— ვწერ, ეს არის რაღა, შავად მე დავწერ, თეთრად შენ უნდა მიშველო, შვილო. დიაკვანი მე არ მყავს, რომ გადამიწეროს. ის კი არა, საწყალი მიქელია ხელს ძლივს აწერს, ჟამნი იცის, წერისა რა მოგახსენო.

— დავწერ, დავწერ, მამა, ნუ გეშინია, — მიუგო სეევერიანემ,— ერთი ახალი ამბავი კიდევ მოვიტანე.

— რა? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ევთიმემ.

— სამეგრელოს იმერეთის ეპარქიას აშორებენო.

— ვინ გითხრა?! — გაიოცა ევთიმემ.

— ბლაღოჩინი და ვიღაც ორი მღვდელი ლაპარაკობდნენ. ჯერ სულ გადაწყვეტილი არ არისო, მაგრამ რომ ჩქარა გადაწყდება, ეს ღეშველიაო, სამეგრელოს და გურიას ერთად შეაერთებენო და კათედრას ფოთში გადაიტანენო.

— აიტ, პაჩი! — წამოიძახა მამა ევთიმემ, — აი, გაბრიელო, შენ ნაწილო კაცო, თუ მართალია, შენს მოშორებას მოვკვდე არ მირჩევნია? შვილო, შენ პატარა ხარ და გახსოვდეს, თუ გაბრიელს ჩამოერთვა ჩვენი ქვეყანა, მაშინ დაიღუპება სამღვდელოებაც და ეკლესიის საქმეც. ეხ, შვილო, მე ვიცი, აქ რაშია საქმე, სად ქუხს და სად ელავს. მაგრამ ისეთი იელვებს და ისეთი მეხიც მოყვება, რომ მისგან რამდენიმე წელში დანგრეულის აშენებას ასი წელიწადი მოუნდება.

— ბლაღოჩინი კი სიხარულით ცერზე იდგა, ჩვენ კაცს ნიშნავენო, მისთვის რაც პატივი მიცია, თუ ახლა არ გამიხსენა, არ ვიცი რას ვიზამო.

— ბლაღოჩინს რა ღჭირს, შვილო, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. შენ რა იცი ჩვენი ქვეყნის ხრიკები, მე კი აქ დავბერდი, გამოცდილი ვარ. ჩვენი კაცი, შვილო, საქმეს აფუჭებს, თორემ სხვა... ჩვენში იციან გადაჭარბებული მოყვრობა, გადაჭარბებული ნათელ-მირონობა, ქრთამი, ამნაირი და იმნაირი, და თუ გაბრიელივით სწავლა, სულის სიმაღლე, ხასიათის სიმტკიცე, შრომისმოყვარეობა, სიწმინდე და უანგარობა ერთად არ არის ვისმესთან შეერთებული, სხვა კაცი ჩვენს ქვეყანაში ვერ ივარგებს. ვარგებით

ჟი ივარგებს, შეიძლება თვითონ მშვენივრადაც იცხოვროს, მაგრამ ნაყოფს ვერ გამოიღებს. საერთოდ უმრავლესობას სარგებლობას ვერ მოუტანს და თითო-ოროლამ, მაგალითად, როგორც ჩემი თანამწირველი მამა სთეფანეა, მთაგაღმელი, მაგისთანეებმა ადვილად შეიძლება კამილავკაც დაიხურონ და გულ-მკერდი ჯვრებითაც დაიმშვენონ. ესეც ცოტაა, სიძეებსაც და მეგობრებსაც ანაფორას ჩააცვამენ, ისე გამეზარდე შენ, ნუ გეშინია, ამით მიწყევლიხარ. ჩვენ ქვეყანას სწავლით და ჭკუით აღჭურვილი და რკინის ხასიათის კაცი უნდა. ჩვენი ხალხი ნიჭიერია, მაგრამ საუბედუროდ, ორპირა, შფოთის, აყალმაყალის მოყვარულია; მისი სასიკეთო გზაზე დაყენება მხოლოდ ზეგარდმო მადლით ცხებულს შეუძლია, მე ეს ასე მითქვამს. კაცი მოკვდება, შვილო, და ნათქვამი არ მოკვდება.

* * *

შაბათ დილას, როცა ფარნა თოხიტარიას სასენაკოში შეეიდა. ბავშვებმა ერთი კიჟინა ასტეხეს. ზოგი პატიჟობდა: ჩემთან დაჯექიო, ეუბნებოდა და ადგილს სთავაზობდა, ზოგი ემასხრებოდა: თხები რა უყავი, საისლეში ხომ არ შეგეპარაო. ზოგი ოხუნჯობდა: დადიმ კვერი გამოგიცხო თუ არაო. ფარნას თან გული მოსდიოდა და თან არ იცოდა, რა ექნა, საით წასულიყო.

— აქ ვოდი, ფარნა, აქ მოდი! — დაუძახა ტასიამ. — აქ დაჯექი. თქვენ რას ეცინით მაგას. ბევრიც ეცადოთ, თქვენზე უკეთ მაინც დაისწავლის, — მიუბრუნდა ტასია ბავშვებს. — ნუ გეშინია, ფარნა, მათ ყური არ უგდო.

— შენ ვითომ რა არის, რომ გამოექომაგე, — უთხრა ტასიას კოწია ახალაიამ, — მოგწონს ფარნა? ქმრად ხომ არ გინდა, აზნაურის ქალი ქე ხარ, მარა.

— აჰა, ჰა! — გაიცინეს ისევ ბავშვებმა.

— როგორ, როგორ? — ტირილით მიუგო ტასიამ. — მოვიდეს სევერიანე, და... გა... ყურე... ბი... ნებ შენ... სეირს, შე მუტრუკის შვილო... ა... ა... ფფტ... ფფტ.... — ქვითინებდა ტასია.

— რა ხმალრია! — შემოიძახა სევერიანემ და სასენაკოში შემოვიდა. ხელში რაღაც ქაღალდებში გახვეული ეჭირა. — შენ რა გატირებს? — მიუბრუნდა ტასიას.

ტასიამ ქვითინით აუხსნა, რაშიც იყო საქმე.

სევერიანემ კოწიასკენ მრისხანედ მიიხედა. ის კი ნაცარივით გაფითრებული იდგა.

— აქ გამობრძანდი! — დაუყვირა მასწავლებელმა. კოწია ადგილიდან არ იძროდა.

— აქ მოდი-მეთქი!

— მე... — რაღაც წაიდუდუნა კოწიამ.

— ჩქარა-მეთქი!

კოწია ნელ-ნელა, კანკალით გამოვიდა. სევერიანემ ერთი ლაზათიანი სილა გააწნა და კუთხეში დააჩოქა.

ბავშვები მიჩუმდნენ.

სევერიანემ შეხვეული ქაღალდი გახსნა და წიგნები, დაფები და ქაღალდები ამოალაგა.

— სისო ჭურაძე! — დაიძახა მასწავლებელმა.

ბავშვი წამოდგა.

— აი, შენ მოგიტანე ანბანი. შეხედე, რა ლამაზი წიგნია, არ დახიო.

— ესტატე ბარია!

შავგვრემანი, დიდთავა ბავშვი წამოდგა.

— შენ ასპიდის დაფაც მოგიტანე და ანბანიც, გრიფელის ფული არ ეყო, ჩემით ვიყიდე, ეს შენთვის მიფეშქაშებია. იცოდე, კარგად ისწავლე.

— ფარნა თოხიტარია!

ფარნა გაოცებული წამოდგა. მას არაფერი დაუბარებია სევერიანესთვის.

— მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ შენ აქა გხედავ. წიგნი გიყიდე და მოგიტანე. ეს წიგნი შენთვის მიჩუქებია. ეცადე, არ გააფუჭო. შეხედე, რა ლამაზია.—ამ სიტყვებით სევერიანემ წითელ ყდაში ჩასმული წიგნი გადასცა.

ფარნას სიხარულისაგან კინაღამ თავბრუ დაესხა. როცა გამოერკვა, წიგნს დააცქერდა. წიგნის შუაგულ ბულბული იყო დახატული და მის ზემოთ მსხვილი ასოებით რაღაც იყო დაბეჭდილი. ფარნა დააკვირდა ამ ასოებს, გამოიცნო და გულში თითო-თითოდ გამოთქვა: დ... ე... დ... ა... ე... ნ... ა...

XIII

გამოგდებული და დატუსაღებული

სექტემბრის დამლევი იყო. გრძელ-გრძელი ტაროებით დატვირთული სიმინდის ღერო სიმძიმისაგან წაქცევას ლამობდა. ზოგან კიდევაც წაქცეულიყო. ყურძენი დამწიფებული იყო, ღომი

თავთავ დაყვითლებული, ყოველი ხის ფოთოლი. და მცენარის მარცვალი — მწიფე და ზრდაგათავებული.

თუ რასმე სასარგებლო მარცვალი მოეძეოდა, ადამიანი მიწაზე დავარდნას აღარ დააცდიდა, ისე გზავნიდა ბეღელ-სასიმინდისკენ.

ბასილ მძებრაძე კმაყოფილი და მხიარული გადმომჯდარიყო თავისი სახლის აივანზე და სიამოვნებით თვალს ავლებდა მის წინ გაშლილ, მაღალ სიმინდით დაბურულ ჭალას. ჭალას კი არა, ამ დროებით ეს ვაკე ერთ ხშირ, ბნელ ტყეს წარმოადგენდა.

— ხარდანაძის ქალო! — მხიარულად დაუძახა ბასილმა მარიკას, — თუ ღმერთმა ინება, კაი მოსავალი მოგვივა წრეულსა. აბა, შეხედე... რა სიმინდებია.

— ღვთისმშობლის იმედით, — მიუგო მარიკამ და ქმრის ახლოს, სავარძელზე მოიკალათა.

— მერაბის სულს ვფიცავ! ასეთი კაი ჭირნახული ეს ოცი წელიწადია აღარ მახსოვს. გაკეთდნენ, გაკეთდნენ ყაზახები.

— რათ არ გაკეთდებიან! ჩვენ დავიღუპეთ, თორემ იმათ რა უჭირთ. საუდიეროს არ იხდის და საბეგროს. ძაკაიას მამას გატრუსული ღორი შემოჰქონდა ჩვენს ოჯახში, დიდობა შენდა ღმერთო, გუშინ იყო, მგონია, და ახლა თავსაც არ დაგიკრავს. გამარჯობასაც არ გეტყვის.

— აბა, — რიხიანად მიუგო ბასილმა, — სახლი როგორი ააშენეს მაგ ყურუმსაღებმა, წინეთ ბატონს არ ედგა მაგისთანა სახლი. ჰეი გიდი, სადაა ლევან დადიანი, რა ფიცხლად ააფცქვნიდა!

— ცხენ-უნაგირს არ იკითხავ! ხმალ-ხანჯალს?

— ხარდანაძის ქალო! — ხმას დაუდაბლა ბასილმა, — ღვთის წინაშე რომ ვთქვათ, არა, თუ გიყვარდე, სინიდისის ქვეშ ვილაპარაკოთ, ლატარიაში ხომ არ ამოუგიათ ძაკაიას და მის ძმებს სახლი და ცხენ-იარაღი. რომ თქვას კაცმა, ძლიერ შრომობენ. აგერ, ზოგს თავისას და ზოგს სხვისას ოც ქცევამდე მიწას ამუშავებენ, ხარებს ზრდიან, ურემ-კამეჩები ჰყავთ გაწყობილი; ქალებს არ იკითხავ, რამდენ აბრეშუმს იწევენ, ჩოხას ქსოვენ! ერთ წუთს უქმად არ სხედან და რასაკვირველია, ფულს მოიგებენ.

— ბატონო, ერთ წამს მობრძანდი აქ! — მორიდებით დაუძახა მოსამსახურე გოგომ, ირინემ, მარიკას.

— რა არის, ძღაბო.

— ცოტა ხანს მობრძანდი.

მარიკა წამოდგა და ოთახში შევიდა. ფოსტლები ეცვა და

ფეხის ყოველ გადადგმაზე ფოსტლების ტკაცუნთან ერთად მისი მსუქანი ტანის სიმძიმისა გამო სახლის ფიცრული იატაკიც ოდნავ ჭანაობდა და ჭახუნიც გაჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მარიკა იმავ ნელი ნაბიჯით უკანვე დაბრუნდა და ბასილს ჩუმად ჰკითხა.

— ძუკუს მამა, როგორ ვქნა, ზესიხანმა ისევ გამოგზავნა გოგო!

— რა ამბავია?

— ერთი მარცვალი სიმინდი არ მოგვეძევაო და თუ შიმშილით არ დაგვხოცავთ, თქვენ იცითო.

— ახლა მოდი და... — ცოტა ხმამაღლა დაიწყო ბასილმა.

— სუ, შე კაცო, გოგო აგერ დგას, — გააწყვეტინა მარიკამ.

— დგას კი არა, გადამასახლებს, აი...

— სუ-მეთქი, სირცხვილია.

— მე სასირცხვილო არაფერი მაქვს. სამ ყილოსავით ვაჟკაცს, აზნაურიშვილებს, წლის სარჩო სიმინდი არ მოუვიდოდეს, ამაზე მეტი სირცხვილი რა უნდა იყოს!.

— რა ქნან, აბა, ძუკუს მამა, თუ მამული არა აქვთ. სხვის მიწას უაზახებივით ხომ არ დაამუშავებენ.

— რას მეუბნები, ხარდანაძის ქალო, დღეს მე შენ გულს მომაყვანიებ. ჩემზე ნაკლები მამული ჰქონდა როსტომ მძებრაძეს? კუტაჯალა ირაკლის საკუთრება არ იყო? ნახევარ ჭყონონად ღირდა, სტამბოლის ნატეხია, რაღა... აი, ეს, შენ ძაკაიას დაუგირავა! დგას ი კაცი და ყოველ წელს დაკეცილ თუმნიანებს ჯიბეში ილაგებს.

— თუ გაუჭირდა, დაუგირავებდა, მა რა ექნა?

— თუ გაუჭირდა, ხელი გაანძრიოს, თითონაც იმუშაოს, არა უშავს რა. პრინცი თავის ხელით ბოსტანს ბარავს, მძებრაძეზე ნაკლები კაცია?! აზნაური მჭადსა არა სჭამსო, და...

— ახლა შენც, გადაყვები, ძუკუს მამა. თქმა ადვილია, მაგრამ, ღმერთმა არ გაგიჭიროს, თორე შენ რომ იმუშავებ და იმით დაგვარჩენ, ბევრი არ იქნება... მითხარი, როგორა ვქნა, სირცხვილია. აგერ ვიღაც კიდევ მოდის.

— მე რას მკითხავ, როგორც გინდა, ისე ქენი, — გულმორბილებულად მიუგო ბასილმა, — მიეცი, რაღა.

მართლაც ვიღაც შემოდიოდა ჭიშკარში, ხელში დიდი ჯოხი ეჭირა. შორიდან ბასილმა ვერ იცნო, მაგრამ ახლოს რომ მოვიდა, იცნო. ეს ადგილობრივი მამასახლისის „პორპოშიკი“ იყო. გულზე თითბრის მრგვალი ნიშანი ეკიდა, მოკლე ძეწკვზე. ხელში კი რაღაც შუაში ბეჭედდასმული კონვერტი ეჭირა.

— მშვიდობა, ბატონო, თქვენი, — მორიდებით წარმოთქვა

ახალმოსულმა, როცა აივანს მიუახლოვდა. თავზე შემოხვეულ ბაშლაყს ოდნავ ასწია და ბასილს თავი დაუკრა.

— გამარჯობა, — მიუგო ბასილმა მჯდომარედ, — აქ მოდი, ტაგუია, რა გნებავს?

— იქით არა მცალია, ბატონო! ეს ქაღალდი თქვენ გამოგიგზავნეს.

— საიდან?

— მწერალმა მომცა, ზუგდიდიდან უნდა იყოს.

— ნეტავ რა ამბავია? — შეშინებულად თქვა ბასილმა და ხელი გაუშვირა.

„პორპოშიკმა“ საჩქაროდ გადასცა, ისევ თავი დაუკრა და გაშორდა. ბასილმა პაკეტს დახედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. პაკეტზე რუსულად იყო დაწერილი. აქეთ-იქით რამდენჯერმე გადმოატრიალა, თითებითაც მოურბილა, თითქოს ქაღალდის შინაარსი ამით უნდა შეიტყოსო. კარგი ვქენი, რომ სიმინდი მივეცი, — გაიფიქრა ბასილმა. — ხომ მეც დამჭირდა ახლა ის კაცი.

ზესიხანი, რომელიც სიმინდს ესესხებოდა, ირაკლი მძებრაძის ცოლი იყო, ბართლომეს რძალი. ბართლომემ კი რუსული კითხვა იცოდა.

— ხარდანაძის ქალო! — დაიძახა ბასილმა. — ახლავე გოგო გაგზავნე და ბართლომე მომიხმე, რაღაც ქაღალდი მომივიდა, რუსულადაა დაწერილი.

მარიკამ გოგო გაგზავნა და თვითონ საჩქაროდ ქმართან მიიჭრა. პაკეტი ხელში აიღო, თავისი მსუქანი ხელებით გასინჯა და ისევ ქმარს გადასცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბართლომე მართლა მოვიდა.

— აბა, ერთი, გენაცვალე! — მოსვლისთანავე მიაძახა ბასილმა. და ჯერ კიდევ გაუხსნელი პაკეტი გადასცა.

„მის კეთილშობილებას, აზნაურს ბასილ მძებრაძეს მიერთვას, ს. ჭყონნას,“ — ეწერა ზედ.

— აბა, აბა, შენი ჭირიმე, შიგ რა წერია, — თითქმის ერთხმად მიუგო ცოლ-ქმარმა.

ბართლომემ ცერის და სალოკის ფრჩხილებით პაკეტის ერთი გვერდი მოხია და ერთი დაკეცილი ქაღალდი გამოიღო, — მის კეთილშობილებას აზნაურს ბასილ მძებრაძეს! — ისევ დაიძახა ბართლომემ და მერე ნელ-ნელა გააგრძელა. ჯერ ჩუმად რუსულად ამოიკითხავდა და მერე თარგმნიდა.

წერილის შინაარსი შემდეგი იყო:

„პატივი მაქვს უმორჩილესად შეგატყობინოთ, მოწყალე ხელმწიფეო, რომ თქვენი შვილი, გიორგი, მეტად უდიერად იქცევა. ყოველი ჩვენგან მიღებული ზომა მისი ხასიათის გასასწორებლად, ამაოდ რჩება, ამასთანავე, საშინელი ზარმაცია და თითქმის არაფერს სწავლობს. უკანასკნელი მისგან ჩადენილი დანაშაული იმდენად მძიმე და სათაკილოა, რომ ამ ორ დღეში თუ თქვენი ნებით არ ისურვებთ მის გაყვანას, სასწავლებლის სამმართველო იძულებული იქნება პოლიციას მიმართოს და მისი საშუალებით თქვენთან გამოგზავნოს“.

ბეხი რომ დასცემოდა მათ სახლს, უარეს შთაბეჭდილებას არ მოახდენდა. ბართლომეც ვითომდა შეწუხდა და უჰ, ღმერთო, მომკალიო, იმეორებდა. გულში კი, თუ ძლიერ არ უხაროდა, არც სწყინდა. იმან თუ რამე დაისწავლა, — ფიქრობდა ბართლომე, — მის ცოტაოდენ ქონებასთან!.. მერე ჩვენ აქ აღარ დაგვედგომილებაო. „მოვიდეს, ჩემსავით ხანჯალი დაიკიდოს და სოფელში იარშიყოს. მისი მასწავლებელი ახლა მე ვიქნები. თამბაქო-პაპიროსი ხომ უზღრში მექნება“, — გულს იხარებდა ბართლომე.

— მე ყოველთვის ვამბობდი, მერაბის სული ნუ წამიწყდება, ყოველთვის ვამბობდი: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიმეთქი... ჩვენ გვარში კაცმა რამე დაისწავლოს, არ შეიძლება, — მწუხარედ წარმოთქვა ბასილმა რამდენიმე ხნის შემდეგ და მწარედ ამოიოხრა. რამდენიც ამას წინათ კმაყოფილი და მხიარული იყო, ახლა ორი იმდენი დაბეჩავებული და მოწყენილი სახით იყურებოდა.

— გვარი რა შუაშია, ბიძი,—თავმდაბლა მიუგო ბართლომეჰ,— ეს მე აქედან ვიცი, ის ძუკუს ბრალი არ იქნება, იქ ისეთი ფინთი მასწავლებ...

— შენც რა გალაპარაკებს მაგისთანებს? — გულმოსულად თქვა ბასილმა. — მაშ ვინ ცოლ-შვილ ამოსაგდების ბრალია. განა ძუკუს მეტი სხვა არავინა სწავლობს იქა? განა ყველანი კარგად სწავლობენ, მაგრამ აგეთი თავის მოკრა ჯერ არავის დამართია. ქვეყანამ უნდა შეიტყოს, საზოგადოებაში ყელი უნდა გამომეჭრას. ან იქით ვიყო, ან აქეთ. ბაბა, შვილო-მეთქი, ვეუბნებოდი, ყველაფერი შენთვის მინდა, ან ვისია ეს ოხრად დასარჩენი! ა, ცხენი, ბაბა; ა, უნაგირი; ა, ტანისამოსი, მაგრამ ეს ყველა ამ დედაგაგდებულის შვილის ბრალია, — ბრაზით შეხედა ბასილმა მარიკას.

— ჩემი რათაა? — მკვახედ მიუგო მარიკამ.

—უჰუ, ჰუ, ჰუ! თქვენი რჯული და სალავათი ამოვარდა. თქვენი დუხი კი დაიქცა: ანანანია, ანანანია, ანანაიაო და გათავდა. აი ხან-

ჯალიო, აი ცხენიო, ჩოხა-ახალუხიო და აი, აგისრულდა კიდეც, მოგიჯდება გვერდით, უკეთე ფქვილის ღომი და შემწვარი ქათმები. აგერ საბრალო მერაბიკა ფირტვაიას შვილი სუდში მწერალი იქნება და შენი შვილი კი, იმპუ! — ცერის მაღლა აშვერით შეუტია ბასილმა.

— არა, ბიძი, მასე ნუ ჯავრობთ, ჯერ ვინ იცის... წადით, მოელაპარაკეთ.

— მე? ახლა? ამ საათში, ან დღეს, ან ხვალ. მე თუ ის ვნახე, ცოცხალი გადამირჩება, გგონია? მეტი არ იცოცხლა ჩემმა მტერმა. მაგას სიკეთე მაშინ შეეტყო, როცა ერთი ბეწო დაი ბიჯურში დააგდო და თვითონ ცხენს აჭენებდა. კინაღამ ცეცხლი მომიკიდა, ბავშვი სიკვდილს, მერე როგორ სიკვდილს, ძლივს, შემთხვევით გადარჩა და ის, მადლობის მაგივრად, უდანაშაულო კაცს ეჩხუბებოდა. წალმართ კაცს პატარაობითვე შეეტყობა, ამაში ნურვინ მომატყუებს. აი, ძმაო, ცხენი და ულაგირი. მე, რომ მომკლათ, ფეხს ერთ არშინზე არ გადავდგამ მაგისათვის, — ბასილი ცოტა ხანს დაფიქრდა, — თქვენ არ იცით, — დაიწყო ისევ, — და მე კი იმ სმოტრიტელმა პირადად რამდენჯერმე მითხრა: ძლიერ ეშმაკია და არ ვიცი, რა მოვუხერხო. წადი, გენაცვალე, ბართლომე, წამოიყვანე, მაგრამ აქ კი არ ეოიყვანო ჯერ. მისი გამზრდელის სახლში მიიყვანე. იქ იყოს ერთი-ორი კვირა, სანამ გული ცოტად არის მომირბილდება, თორემ თუ ადრე ვნახე, მეც არ ვიცი, რა უბედურება დამემართება, — ისე მტკიცედ და დაბეჯითებით წარმოთქვა ბასილმა, რომ სიტყვის შებრუნება შეუძლებელი იყო.

— ქე მაინც ნამდვილად ვიცოდე, რა ჩაიდინა ისეთი მაგ შეჩვენებულმა, — გულდამწვარად ამბობდა ბასილი. — მაგრამ რა ბევრი მიხვედრა უნდა! ან ვისმე გალახავდა, ან წაეჩხუბებოდა. კიდევ კარგი, თუ ვინმე ამხანაგი და ისიც ყაზახთაგანი გალახა, თორემ შეიძლება მასწავლებელს სცემა კიდეც... ახალი უჩიტელი მემტერებაო, რომ ამბობდა.

— სულ ერთია, რაც ულნიათ, იმის მეტს ხომ არ უზამენ, ხომ არ ჩამოახრჩობენ, — მიუგო ბართლომემ.

— ნეტავი ახლა ჩამოახრჩონ, — ნატვრის კილოთი თქვა ბასილმა.

— შენი თავი, — იმავ კილოთი მიუგო მარიკამ.

— ვა-ვა, ვა-ვა! — მოთქმით თქვა ბასილმა და ცოლს ზიზღით გადახედა.

— ვაი შენ და ღვთის რისხვა, ერთ ბაღანას იმედით ვართ და იმასაც სიკვდილს უქადის! შენც არა ხარ ნასწავლი, მარა ქვეყანაზე

ქე დადიხარ. არ ისწავლა, რა ვუყოთ! უსათუოდ დავახრჩოთ? მოუფერე, ჩააცვი, დაახურე, საზოგადოება გააცანი. ჩვენი მამული იმას კი დაარჩენს. ბევრი ნასწავლი სულ არ ვარგა. რაც გინდა უსწავლელი იყოს, გლეხის შვილს მაინც ემჯობინება. გლეხის შვილმა რაც გინდა ისწავლოს, მაინც გლეხია, — ყაზახია... თოხიტარიას მაინც ემჯობინება.

— მე ეს მომპარსე, — ულვაშზე ხელი გადაისვა ბასილმა, — თუ ის გლეხები ჩვენ თავზე არ დაგვაჯდნენ, თუ ჩვენ...

— შენ სულ ის ინატრე, შე საწყალო, — ზიზღით გააწყვეტინა მარიკამ, — შე უბედურო, რაღაც გული შეშინებული გქონდა...

ბასილი გულმაღალი კაცი იყო და როცა გული მოუვიდოდა, მარიკას სიტყვის შებრუნება არ შეეძლო; მაგრამ ხანდისხან გაერეოდა წუთი, როცა სადავოს მარიკა გაიტანდა, მაშინ წავიდოდა და წავიდოდა მარიკა წინ. ბასილი კი დამორჩილებული რჩებოდა.

— ბატონო, თქვენ კი ნუ ჩხუბობთ. რაც არის, ის არის, ბევრიც რომ იჩხუბოთ, ვერაფერს გაარიგებთ. მე ხვალ წავალ და ჩამოვიყვან! მართლაც რა? ვინც უსწავლელია, თუ ყველა შიმშილით მოკვდა, ქვეყანაზე ნახევარი კაცი ცოცხალი აღარ დარჩება. სწავლა, სწავლა, დამიჯინეთ, სულ ჰკლავს კაცს ი შენი ეეტი სწავლა. სწავლულები ყველა ჭლექიანები არიან. აი, თუ გინდ ჩვენი მიროვი სუდია, იხრჩობა საბრალო, — დაცინვით თქვა ბართლომემ.

— აბა, — ამოიოხრა ბასილმა, აივნიდან ჩამოვიდა და ეზოში გაიარა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბართლომეც ჩამოვიდა და ბასილს გამოემშვიდობა.

— მოიცა, რა გითხრა! — დაუძახა ბასილმა.

ბართლომე შეჩერდა.

— გესმის?

— რა?

— ხვალ დილით ცხენს გამოვგზავნი, ერთს შენთვის და ერთს მაგ კისერმოსატეხისათვის, აბა, შენ იცი. კიდევ, გესმის? შენი ჭირიმე, დათა ზართაბელიას გაუარე და ამბავი გადაწყვეტილად მომიტანე, უთხარი მაგ სახლდამწვარებს, მაგ ოჯახდაქცეულებს, რომ ერთი რიგიანი პასუხი შემომითვალონ. დაუსწრებელი განჩიხებით მაისში მომისაჯეს თავნი და სარგებელი ხარჯითურთ რვა თუმან-ნახევარი, ლიფსტი გამოვიტანე და სუდენი პრისთავი უნდა მიმეყვანა, მაგრამ დათა შემიჩინა მაგ ეშმაკის კაცმა...

— ვინ, ბიძი? — ჰკითხა ბასილმა, თუმცა იცოდა ვისზეც ლაპარაკობდა.

— შე კაცო, არ იცი? დრიმინტია მაზაკვალმა... თუ ღმერთი გწამს, რა მექნა, შემრცხვა, მეც კაცი ვარ, დრიმინტიასავით შუბლგარეცხილი როდი ვარ. მადროვე ერთი-ორი თვეო. ორი კი არა, ოთხი არისო. ერთი ჰკითხე, გენაცვალე! დასტური შემომითვალოს. დათასთვის რა მექნა, თორემ დრიმინტიას ფულს როგორ ვადროვებდი.

ბართლომემ ამოიოხრა და თავის სახლში წავიდა, ბასილი კი ისევ აივანზე ავიდა.

* * *

მეორე დღეს, გათენებისას, ბასილმა ორი შეკაზმული ცხენი ბართლომეს გაუგზავნა და მოუთმენლად მოელოდა მის უკან დაბრუნებას, რომ შეეტყო რა დანაშაული ჰქონდა მის შვილს. ნასადილევს ბასილი სულ მოლოდინად გადაიქცა და წამდაუწუმ ჭიშკრისაკენ იყურებოდა. მზე თითქმის ჩაიწურა, მაგრამ ბართლომე არ ჩანდა.

— ყვეი, პაჩი?! — წამოიძახა ბასილმა. — ი კაცის საქმე არ მიკვირს? წყალში რომ დამხრჩვალიყო, წვეთი წვიმა არ მოსულა. ბანქოს თამაშს თუ გადაყვა, მაგრამ იმდენი უჭკუო როგორაა, რა ვიცი, ღმერთივით შევეხვეწე. თუ დაიჭირეს? მაგრამ რათ დაიჭერდნენ... — ბჭობდა ბასილი.

დაბნელდა კიდეც. ბართლომე მაინც აღარ გამოჩნდა.

— ბიჭო! — დაუძახა მოჯამაგირეს, რომელიც ეს-ეს იყო წისქვილიდან დაბრუნდა, — წადი, შეიძლება სახლში დაბრუნდა. რა არის, შე კაცო-თქვა! შენი ყურებით თვალები დამებრიცა-თქვა, მაგრამ, მოიცა, — ბასილს ჭიშკრიდან ცხენის ფეხის ხმა მოესმა, — მგონი მოდის კიდეც, აი, აი მოდის. ცხენი ჩვენი უნდა იყოს. მიდი, მიდი, ბიჭო, მოიყვანე. ბართლომე ხარ?

— მე ვარ, ბატონო, — მოესმა ხმა, მაგრამ ეს ხმა ბართლომესი არ იყო.

— შენ რომელი ხარ?

— ზაქა გახლავარ,

— ბიჭო, ბართლომე სად არის? — მოუთმენლად ჰკითხა ბასილმა.

— მოგახსენებთ, ბატონო, ახლავე გიახლებით.

ზაქამ საჩქაროდ აირბინა კიბე. ცხენები კი უჩანამ წაიყვანა.

— საღამო ვშვიდობისა, ბატონო!

— გაგიმარჯოს, ჩემი ცხენები მოიყვანე? ბართლომე სად არის?

— დიახ, ბატონო, თქვენი ცხენებით გეახელით, ბართლომე ნაობახთში ჩააჯდინეს.

— რისთვის?! — გაიოცა ბასილმა.

მათ ხმაურზე მარიკაც გამოვიდა.

— მე, ბატონო, დღეს ცოტა საქმე მქონდა და ადრე წავედი ზუგდიდში, ბართლომე კი არ შემხვედრია. მეკონმოკონი * ვივაჭრე, შინ დაბრუნებას ვაპირებდი და ბაზარზე რომ მოვდიოდი, ვიღაცამ დამიძახა, მივიხედე, ძუკუ იყო. მოდი აქ, ზაქა, მოდიო, ცხენით ხარ თუ ფეხითო.

— ფეხით გახლავარ, ბატონო-მეთქი.

— მაშ მოდი, შეჯექი ამ ცხენზედაო. შევჯექი და წამოვედით. ეს ცხენი ბართლომეს შესაჯდომი იყო, მაგრამ ის დღეს მედუქნეს წაეჩხუბა და ნაობახთში ჩასვესო, მითხრა. სხვა არაფერი ვიცი. ძუკუ კი. მის გამზრდელთან ჩამოხტა.

ბასილი და მარიკა პირდაღებული იყურებოდნენ.

ზაქაც ცოტა ხანს ჩუმად შესცქეროდა მათ, მერე თავი დაუკრა და წასვლა დააპირა.

— მოიცადე, ზაქა, ვივახშმოთ, — დაეპატიჟა ბასილი.

— მადლობელი, ბატონო, ცოტა დაწნეხილი ყურძენი მიდევს საწნახელში და მეშინია არ გადამივიდეს, უნდა ვუყარაულო.

— დიდობა შენთვის, ღმერთო, — პირჯვრის წერით წარმოთქვა ბასილმა, როცა ზაქა წავიდა, — რაღაც სიკეთე არ მოელის ჩვენ გვარს.

— ვერ გამიგია, მედუქნეს რათ წაეჩხუბებოდა, ძუკუს მამა? — ჰკითხა მარიკამ.

— მერაბის სულს ვფიცავ, აქედან ვიცი, რაშია საქმე, ნახავ თუ ისე არაა. ალბათ იაგორა მიკიტანთან მოუვიდოდა ჩხუბი. არ გახსოვს, ერთხელ... რა ერთხელ გინდა, ბაიობას რომ თქვა: ცხვირიდან ძმარი უნდა ვადენინო მაგ მამაძაღლსაო — ნახარჯის თაობაზე. იაგორა, რა შვილია, ერთი კაპიკის გულისთვის სამარეში ჩაყვება კაცს. ალბათ ნახარჯს მოსთხოვდა. ეს გალანძღავდა, ის არ მოუთმენდა და გაიმართებოდა ჩხუბი. ჩხუბში ბართლომე უფრო დახელოვნებულია, და მართლა, როგორც დაიქადნა, ცხვირიდან სისხლს ნოადენდა და შენს ბართლომეს დაატყვევებდნენ. — ეს ბოლო სიტყვები გალობის კილოთი დაათავა ბასილმა. — კიდევ კარგი, რომ ამით გათავდებოდეს საქმე, — გააგრძელა მან. — ერთ-ორ დღეში

* ძეკონმოკონი — იგულისხმება საწვრილმანო.

შაგას გამოუშობენ... არ ვარგებულა მაგ გლახა, მაგი, ფუი! თორემ იმის დაჭერა არ შეეძლოთ! პოლიციას რა ნება აქვს, კეთილშობილი კაცი ჩხუბისთვის ნაობახთში ჩასვას, — მრისხანედ წარმოთქვა ბასილმა. — მაგ გლახას უნდა ეთქვა: „აი ჩემი სახელი და გვარი, ხომ არ მომიკლავს, ვცემე, მიბრძანდეს, სუდში მიჩივლოს-თქვა!“ პროტოკოლს შეაყენებდნენ და სუდს გადასცემდნენ და მერე პასუხისგება იქნებოდა საჭირო. მაგრამ ნწ, — უკმაყოფილოდ თავი გააქნია ბასილმა, — საქმე ისაა, რომ იაგორას კარგად ვიცნობ. ის ამას ასე არ დატოვებს. მოწმეებიც მზად ეყოლება. ორი თეფში ძველი ხარჩო აჭამოს, ათ მოწმეს იშოვნის, მეტი რა ყრია ზუგდიდში. პოლიციას ბართლომეზე უკეთესად უყვარს იაგორა, რადგან ხეირს იმისაგან მოელის. პორტოკოლსაც რიგიანს შეადგენინებდა, მოწმეებიც მზად ეყოლება. ერთ-ორ დღესაც უმადურად გაატარებინებს ნაობახთში. მერე უჩივლებს, და კაია ადვოკატი თუ არ დაიყენა, ერთი თხუთმეტ დღეს მაინც ჩასვამს კიდეც და ირიკავე, აი! მარა რა გახეთქა და რა გაპობა, სულ ერთია, რა თხუთმეტი დღე ჩამჯდარხარ, რა ადვოკატი დაგიქირავებია! ადვოკატს სამი თუმანი მაინც უნდა, ბართლომესთვის სამი თუმნის გადახდას სამი თვე ნაობახთში ჯდომა სჯობია. მიზეზი ექვსია თუ შვიდი შაური.

ბასილი ნამდვილად მიხვდა. გარემოება მართლაც ასე იყო.

ბართლომე ადრე მივიდა ზუგდიდში. თავდაპირველად ზედამხედველს გამოეცხადა. ზედამხედველმა იგივე უთხრა, რაც ქაღალდში ეწერა; დასძინა მხოლოდ, რომ ამ ორ დღეში რომ არ წაგეყვანათ, ბოქაულს გადავცემდიო, ჯერე ამხანაგს მწარედ სცემა და მერე მასწავლებელს შუა ბაზარში ქვა ესროლა და რევოლვერითაც მოკვლას დაექადაო. ბასილს დიდად პატივსა ვცემ, კაი აზნაურიშვილია, მაგრამ რა ვქნა, მისი შვილის გასწორება ჩვენ ვერ შევიძელითო.

იქიდან გამობრუნდა ბართლომე, ძუკუ მოძებნა, ერთი ნაცნობის დუქანში დასტოვა და თვითონ დათას საძებრად წავიდა. დათა მეფართლე იყო. დუქანში არ დაუხვდა. აქეთ გაიარაო, უთხრეს. გაიარა თვითონაც აქეთ-იქით და ამ ძებნაში უცაბედად იაგორას დუქანს წააწყდა. იაგორა ჯერ მიეგება, მაგრამ გულმა ვეღარ მოუთმინა და ორი-სამი სიტყვის შემდეგ მცირეოდენი ვალი გაახსენა.

— საქმე ხომ არ შემოგლევია, — ამაყად მიუგო ბართლომემ.

— მე კი არ შემოვლევია საქმე, შენ ხარ, მგონია, საქმეშემოლეული და გაგიჩენ მე შენ საქმეს, — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა იაგორამ.

— ვის უბედავ მაგას, შე ღორის გავარდნილო, შენა, — შეუტია ბართლომემ და ხელი მოუქნია.

იაგორამ ხორცის საკეპი დიდი დანა აიღო.

ბართლომემ ხანჯალი იშიშვლა, იაგორას სიბრტყეზე ხელში დაჰკრა, დანა გააგდებინა და რამდენიმე ალაგას მსუბუქად დასჭრა.

სისხლი კი ბლომად წამოვიდა. მოგროვდა ხალხი, მოვიდა პოლიცია, ოქმი შეადგინეს და ბართლომე დაატუსაღეს.

XIV

თეთრი კბილი, შავი გული

გავიდა დრო და ჟამი, ბასილ მძებრაძეს გული მოულბა და შვილს შინ მოსვლის ნება მისცა. ძუკუ პირველ ხანს ცოტა მორიდებულად იყო, მამის ეშინოდა, მაგრამ ჩქარა ისევ გათამამდა. სულ გადაავიწყდა შენი სმოტრიტელი და უჩიტელიც, აიღო ხელში თოფი და ყოველდღე სანადიროდ დადიოდა, ან ცხენს აჭენებდა.

შემოდგომა მიიწურა. სიმინდი დაარჩიეს და სასიმინდეში ჩაალაგეს, ღვინოები ქვევრებში ჩაასხეს. ჭირნახულის ᲭᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ მორჩა ადამიანი და ცოტაოდენ სიმხიარულეს მიეცა: გაიმართა ქორწილები, და მასთან სიკვდილმაც, თითქო ეშინია კაცს უკან არ ჩამოვრჩეო, თავი იჩინა. სოფელ ᲭᲧᲝᲜᲝᲜᲐᲨᲘ აგერ ორი თვის განმავლობაში არავინ მომკვდარა, ᲭᲐᲒᲠᲐᲛ მინდვრის მუშაობას მორჩნენ თუ არა, სამი კაცი ზედიზედ გარდაიცვალა. ორი, რა გაეწყობა, მოხუცებული იყო და ერთი კი ფრიად გულდასაწვავი, — ახალგაზრდა, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი. უკანასკნელი არ უტირნიათ, ე. ი. ფორმის ტირილი არ გაუმართავთ და ის ორი მოხუცებული კი რიგზე იტირეს. განსაკუთრებით ერთი მათგანი, ბოხუია ბარია, ჩვენი ნაცნობი კოჩა ბარიას სახლიკაცი. ბოხუია ბარია ᲭᲧᲝᲜᲝᲜᲐᲨᲘ თითქმის ყველა გლეხზე შეძლებულად ითვლებოდა შვილებიც შეძლებული ᲭᲧᲐᲕᲓᲐ და ამიტომ შედარებით კაი ტირილი გამართეს. ხალხიც, რა თქმა უნდა, ბლომად დაესწრო. ტყუილად არ არის ნათქვამი: თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო: დაუპატიჟებელიც ბევრი ეწვია მის ტირილს. ბოხუია შვილებთან გაყოფილი იყო და ცალკე, პატარა სახლში ცხოვრობდა. შვილებიც ახლომახლო, თითქმის ერთ ეზოში ესახლნენ და კარგი მოსახლეობაც ᲭᲥᲝᲜᲓᲐᲗ. მის ოთხ ვაჟს ოთხივეს კაი ლამაზი, ბუხრიანი ოდები ედგათ.

მიცვალებული თავის პატარა სახლში ესვენა. ტირილის დღეს

სტუმრები ჯერ იქ მიდიოდნენ და ტიროდნენ, ქალი და კაცი. მამა ევთიმეც ოლარით და საცეცხლურით იქვე კუბოს თავთან იდგა. თუ გინმე პატივსაცემი მოვიდოდა, ფილონსაც გადაიცვამდა, ხელში ჯვარს დაიჭერდა, მოტირალს კარებში მიეგებებოდა და კმევ-კმევით კუბომდი მიაცილებდა.

ნამტირალევი სტუმრები სამუსაიფოდ შედიოდნენ ოდებში, სადაც ბუხრებში ცეცხლი გუგუნებდა.

ერთი ოდის დარბაზში მოგროვილიყვნენ საპატიო ქალები: აქ ბრძანდებოდა თავად ვახტანგ მუხურელის ასული ოლღა, რომელიც ჩუმად აზნაურს გაყვა — ჭყონონის ზომიჯნე სოფლის ვაკე-კარის მცხოვრებ ილარიონ შუშხუნაძეს, და რომლის თაობაზე ერთ დროს დიდი აურზაური ატყდა. აქვე ბრძანდებოდა, რასაკვირველია, მარიკა, ტასიაც თან ჰყავდა; ევთიმეს მეუღლე ეკატერინე, ადგილობრივი მოვაჭრის ცოლი ნინო და მამასახლისის ცოლი დარიკო. ორი უკანასკნელი სოფლის არისტოკრატებში ითვლებოდნენ. დანარჩენი აზნაურების ცოლები თუ ქალიშვილები უკლებლად იყვნენ და მათ შორის ჭანისწყლის გაღმა სოფელ მონაჭერის მცხოვრების აზნაურ გიორგი ბრტყელაიას მეუღლე ეფროსიმე ბრძანდებოდა. გაღმა ეფროსიმე იყო და გამოღმა მარიკა. ეს ორი მანდილოსანი მუდამ ერთმანეთს ეტოქებოდნენ ჩაცმა-დახურვაში, ოჯახის მორთულობაში, საზოგადოებაში გასვლაში, სმასა და ჭამაში.

ეფროსიმეს მეუღლე, გიორგი ბრტყელაია, ბასილზე უკეთესად ესახლა და საზოგადოებაში უფრო გართული და ხელმოსავლელი კაცი იყო და საქმეშიაც მეტი დახელოვნებული, მაგრამ ფულით ბასილი ჯობდა. გიორგი სულ აქეთ სესხულობდა, ბასილი კი იქით ასესხებდა.

რასაც ეფროსიმე ახალს შეიძენდა, ტანისამოსს თუ სამკაულს, უსათუოდ ბასილსაც მარიკასთვის იგივე უნდა მოეტანა. პირიქით, თუ მარიკა რასმე ახალს შეიძენდა, ეფროსიმეც ქმრისაგან იმასვე მოითხოვდა. გულით ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებოდათ, მაგრამ შეხვედრისას ღვიძლი დები გეგონებოდათ, ისე ელაქუცებოდნენ ერთმანეთს.

— ხომ ბრძანდებით, ბატონო, კარგად? — მოიკითხა ეფროსიმემ მარიკა.

— თქვენი იმედით, სული გვიდგია, თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით, გენაცვალე.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, ასე! საძაგელი კი არის სოფლის ცხოვრება. ამ სიახლოვეს ერთმანეთის ნახვა გვენატრება! დღეს

ცხონებულმა ბოხუიამ შეგვკრიბა, თორემ დღესაც ვერ ვნახავდით ერთმანეთს.

— მართალია, ბატონო, — გამოეხმაურა ეკატერინე.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, — დაუდასტურა მარიკამ და ტუჩები საორპოფოდ ააცმაცურა. — ღვთის წყალობით და თქვენი შემწეობით სასმელ-საჭმელი ქე მაქვს, მაგრამ ამ უგზოობამ ძლიერ შეგვაწუხა. აი, როგორც ეფროსიმემ ბრძანა, ამ სიახლოვეს ერთმანეთის ნახვა გვენატრება. ერთი ვერსტი ძლივს იქნება. ქონება რათ გინდა, თუ სულ კარჩაკეტილად იცხოვრე...

— რა გიჭირს, გეთაყვა, ღვთით და შენი კაი ქმრის იმედით, — გამოეხმაურა მამასახლისის ცოლი, — თუ გინდ ყოველ კვირახ დამზადებულად პროვეზია მოგივა.

— შიმშილი მეც არ მაწუხებს, დარიკო, მხოლოდ ყრუ სოფელში ყოფნასაა რომ ვუჩივი, — ამაყად თქვა ეფროსიმემ.

— რა თქვენი საკადრისია, თქვენ თუ შიმშილით მოკვდით, ჩვენ რა უნდა მოგვივიდეს, — თავმდაბლა მიუგო დარიკომ.

— ბატონო, აქეთ, ბუხრისკენ მოიწიეთ, არ შეგცივდეთ, — მიუბრუნდა მღვდლის ცოლი თავადის ასულს.

— არა, ბატონო, — მიუგო მან და თავმომწონედ აქეთ-იქით მიიხედა.

— ეს თქვენი ასული გახლავთ, ბატონო? — დაეკითხა თავადის ასული მარიკას და ტასიაზე მიუთითა.

— დიახ, ბატონო, — მიუგო მარიკამ და ტასიას თავზე ხელი გადაუსვა.

— მოდი, გენაცვალე, მოდი ჩემთან! — დაუძახა თავადის ასულმა და ხელები გაუშვირა.

— მიდი, ნანა! — უბრძანა დედამ.

ტასია მივიდა, თავადის ასულმა ლოყებზე რამდენჯერმე აკოცა, ხელები გარს შემოაღობა და თავის წინ გააჩერა.

— ნანა, შვილო, როგორ გაზრდილა, — შემოხედა ეფროსიმემ. — ახლახან ვხედავდი, რა პატარა იყო. სწორედ მზეთუნახავი იქნება. მზეთუნახავი, — მიეალერსა ეფროსიმე. — ჩემი სონიჩკა კი მოვიძულე. არ დამიჯერა გიორგიმ და ზუგდიდში წაიყვანა.

— კარგი გიქნია, შენი თავი ნუ მომიკვდება, კარგი, — პირმოუფერა ერთი აზნაურის ცოლმა.

— ზუგდიდში, რაზე? — დაეკითხა მარიკა და ტუჩები ოდნავ გაულურჯდა. ლაპარაკში შეატყო, თუ რად უნდა წაეყვანათ ზუგდიდში და გულმა ბაგძაგი დაუწყო.

— სასწავლებელში, გენაცვალე, რიგ და წესსაც დაისწავლის. აქ, სოფელში, რას ნახავს. აქაურ მეთხე ბიჭებთან გაზრდილი გოგო რა იქნება, — ვითომდა თავმდაბლად, მაგრამ ცხადი სიამაყით მიუგო ეფროსიმემ.

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა გულში მარიკას. როგორ თუ ეფროსიმემ გოგო სასწავლებელში გაგზავნა და მე ეს აქამდე ვერ შევიტყევიო, — ჯავრობდა გულში მარიკა.

— თქვენი ვაჟი ხომ ზუგდიდშია სასწავლებელში? — დაეკითხა ეფროსიმე მარიკას, თუმცა მარიკაზე ადრე იცოდა მისი ბედ-იღბალი, მაგრამ თავი უმეცრად მოაჩვენა.

— არა, გენაცვალე, ახლა შინა მყავს. ვეღარ გაუძლო, სუსტი ბიჭია... იქ კი მაგარი კაცი ნანდომა, თოლი, ღმერთი არ მომიკლავდეს, თორემ ლუკმას არავის არ შესთხოვს.

— მე უბედური, — ვითომ და ნაღვლიანად თქვა ეფროსიმემ. — ვეღარ გაუძლებდა. მართალია, ყველა ბიჭი როდი ისწავლის, ყველა როდი გამოდგება კლასისათვის. აი, ჩემი ბიკტორი, ვენაცვალე, სამი წელიწადია, რაც სწავლობს და ჯერ არ დარჩენილა, მიდის და მიდის, — თავმომწონედ დაუმატა ეფროსიმემ.

მარიკა გულში აენთო, მაგრამ თავს საოცარი სიდინჯით იმაგრებდა. ეს სიტყვები თითქმის პირში თქმა იყო: შენი შვილი უვარგისი, გამოუსადეგარიაო.

— ბევრი სწავლულებმაც ვერა გააკეთა რა, შენი ჭირიმე, ეფროსიმე, — გულგრილად მიუგო მარიკამ, თითქო მისი სიტყვების მნიშვნელობა არც კი გაუგიაო. — ზოგიერთი სწავლულები ერთი კაპეიკის გულისთვის ნალ და ფოლოს შუა გადიან. თუ ღმერთმა მიცოცხლა ჩემი ძუკუ, საქმეს ისე არ დაეუტოვებ, რომ ზოგიერთებივით, — ამ სიტყვას კბილი დააჭირა მარიკამ, — ცოტა რამეზე ფულის სასესხად არ მირბოდეს.

ეს ეფროსიმესთვის ალმაცერად მათრახის გადაკვრა იყო.

— ცოცხალ კაცს, ვინც ნამდვილად ცოცხალია, ფულიც სჭირია და საქონელიც. იქითაც ასესხებს და აქეთაც ისესხებს, ეს ბევრი არაფერია, გენაცვალე, ამის ნუ გეშინია. მხოლოდ ღმერთს მისი სიცოცხლე თხოვე; რა უჭირს, უბედურობა ისაა, ბატონო მარიკა, როცა ზოგიერთებივით, — ხაზი გაუსვა ამ სიტყვას, — როცა ზოგიერთებივით ჯიუტები, ზარმაცები და ჩხუბის თესლები გამოვლენ, — ყალბი თანაგრძნობით მიუგო ეფროსიმემ.

ვინ იცის, რას იტყოდნენ კიდევ ეს მანდილოსნები. შეიძლება

ამ მარილიან ლაპარაკს მარილიანი ჩხუბიც მოჰყოლოდა, კარები რომ არ გაღებულიყო და ბეჩუ აფხაშვილი არ შემოსულიყო.

— ბატონებო, უკაცრაოდ ვარ, მაგრამ, — დაიწყო პრანჭვით და ცერემონიით ბეჩუმ, — გთხოვთ, ბატონებო, მასპინძელს პატივი სცეთ და თითო ჭიქა ღვინო მიირთვათ.

— რა საჭიროა, — ძლივძლივობით წარმოთქვა თავადის ასულმა.

—მე ახლა გიახელი და ისე წამოვედი, — ტუჩებგაბუტვით ბანი მისცა ეფროსიმემ.

— ამ თბილ ოთახში ყოფნა ყოვლისფერს მირჩევნია, — გაიპატიჟა მოვაჭრის ცოლმა ნინომ.

— ეს სანგარო საჭმელი და ამნაირების თქირთქოლი * არ იყოს ამ სატირალში, სწორედ კარგი იქნება, — კვერი დაუკრა მარიკამ.

— წამობრძანდით, თქვენი ჭირიმე, — შეუშფოთებლად გაიმეორა ბეჩუმ, რომელიც პირველად არ ხედავდა მათ ამისთანა შემთხვევაში და მათი ხასიათი ანი და ბანივით იცოდა.

—მობრძანდით, ბატონო!—მოიპატიჟა მარიკამ თავადის ასული.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, როგორ შეიძლება!

— ეფროსიმე, შენი ჭირიმე!

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა. თქვენ, ბატონო!

— ძუკუ არ მომიკვდეს, იმის მეტი!

—ეოჰ! ეს როგორ შეიძლება, რაა, მაშინათვე რომ დაიფიცეთ,— ვითომდა შეწუხდა ეფროსიმე.

— აბა, ბატონებო, აბა, თქვენი ჭირიმე, — ჩქარობდა ბეჩუ.

ეფროსიმემ ოდნავ ფეხი წინ წადგა, თითქო ეჭვშია, წავიდეს თუ არაო. მას ზანტად თავადის ასული გაჰყვა, მას მარიკა და ისე ყველანი ნელ-ნელა გამოვიდნენ და ძველებურ, ისლით დახურულ დიდი სახლისაკენ გაემართნენ, სადაც სტუმრებს მოგროვებისდაგვარად, სახლის შიგნით, ირგვლივ გამართულ ტაბაკზე სხამდნენ და უმასპინძლდებოდნენ თეთრი პურით, ლობიოთი, მაკარონით, ფლავით, ზეთისხილითა და ორნაირი ღვინით.

— დაიქცა მათი კუთხე, რას აჭიანურებენ, არ ვიცი, ესენი წასვლას, — უთხრა ერთმა ღარიბი აზნაურის ცოლმა მეორეს.

— ორი გროში რომ მოეძევაო, ის ულიტინებს, თორემ ჩემსავით რომ იყოს, სირბილ-სირბილით გაირბენდა, — მიუგო მეორემ.

— გაიარე, გაიარე, ჩვენც მივყვეთ, არ დავიგვიანოთ. ხუმრობა საქმეა, თეთრი კაჭალია აბაზი გადავახურე ცხონებულს, ბავშვისათვის

* თქირთქოლი — თითხნა.

ნიფხავი არ მეცვა, მაგრამ იმას მოვაკელი და სირცხვილისთვის აქ მოვიტანე. ქე ჰაინც ერთს კარგად გავძღები. შენ ჩემს ახლოს იყავი, — ჩუმად ჩაულაპარაკა თავის გოგოს, რომელიც გვერდით მისდევდა, — და რაც პურები დარჩეს, ცხვირსახოცში გაახვიე და შინ წაიღე.

თუმცა ქალბატონები ეარობდნენ, მაგრამ ათი წუთის შემდეგ რომ შეგეხედათ, გუსიამოვნებოდათ, ისე მადიანად ახრამუნებდნენ ბამბასავით რბილ პურს და შაქარ-ზეთში მოხრაკულ მაკარონს, და ზედ კიდევ წითელ ღვინოს უშხაპუნებდნენ. ეფროსიმემ, მიუხედავად ნასადილეობისა, როგორც ამბობდა, გირვანქა-ნახევარი პური და თითო თეფში ლობიო და მაკარონი დაანელა.

საბრალო ბოხუიას შესანდობარიც მიირთვეს მანდილოსნებმა და ერთმანეთსაც დღეგრძელობა უსურვეს.

ბოხუიას ტირილის მესამე დღეს ბასილ მძებრაძე ზუგდიდში მიდიოდა და თან ტასიაც მიჰყავდა სასწავლებელში, წინააღმდეგს მარიკა ვერ მოითმენდა და ეფროსიმეს სულ თავზე არ დაიჯენდა.

თუმცა გვიანი იყო, ნოემბერი ილეოდა, მაგრამ ბასილმა მოახერხა და ტასია ზუგდიდის საქალებო პირველდაწყებით სასწავლებელში მიაღებინა. ბინა კარგი უშოვნა და ტანისამოსი რიგიანი შეუკერა.

XV

დადგა ახალი წელიწადი და ნიკოია თოხიტარიას სახლს შარშანდელზე მეტი სიხალისე და სიმხიარულე დაეტყო.. პირადად ნიკოიაც წელს უფრო თამამად და წელგამართულად იყურებოდა.

ფარნა თამამად კითხულობდა წიგნს, რომელიც სევერიანემ აჩუქა. მუდამ თან დაჰქონდა ტყეში და როცა თხები ბუჩქნარში დაიღლებოდნენ და კნატუნს შეუდგებოდნენ, ფარნაც ჩამოჯდებოდა ხის ძირას და წიგნის კითხვას დაიწყებდა. ბევრი ლექსი და ამბავი დაისწავლა ზეპირად. მას უნდოდა რაც შეიძლებოდა ბევრი ნასწავლი დაეხვედრებინა სევერიანესთვის, როცა ის საზაფხულოდ ისევ სკოლას გახსნიდა. საწერი ქაღალდის უქონლობის გამო ფარნა წერდა რითაც მოხვდებოდა და სადაც მოხვდებოდა: ქვაზე, ქვიშაზე, კედელზე, ნაცარზე, ხეზე, ზოგან ფიჩხით, ზოგან ნაჯახის წვერით. უფრო კი ნახშირით. მათი საჯლის ერთი კედელი სულ წარწერილი იყო მათი ოჯახის წევრთა სახელებით და გვარით. „ნიკოია თოხიტარია“, — ეწერა ერთ ადგილას. „პეტრე თოხიტარია“, — ეწერა მის გვერდით და ისე რიგზე ივანე, ათანასე, ფარნა, დადი და გაიანე.

სულ ბოლოს, მსხვილი ასოებით თავმომწონედ გამოჭიმულიყო, — ფარნა თოხიტარიამ დაწერა ესაო.

საღამოზე, როცა ფარნა შინ დაბრუნდებოდა, კერას მოუჯდებოდა, აიღებდა ფიჩხს, გადაჩხრეკდა ნაცარს და ნელ-ნელა წერდა. წერდა ყველაფერს, რაც თავში მოუვიდოდა; ხან წიგნში წაკითხულ ლექსებს ან ამბავს გამოიყვანდა. თუ კერის ვიწრო ადგილზე სრულად არ დაეტეოდა, გადაუსვამდა ფიჩხს, ნაცარს ისევ გაასწორებდა და დანარჩენს ხელახლა მიაწერდა. ნაჯახის წვერით ბევრ წიფელას და რცხილას მიაწერა თავისი სახელი და გვარი და აგრეთვე თავისი თხების სახელებიც: ხუდუშია, ერეკემია, უჩა, დარგა და სხვა.

იანვრის დამლევს ნიკოიას კონსტანტინე ტომბაშვილი ესტუმრა. მისი მოსვლა, რა თქმა უნდა, ყველას გაუხარდა ნიკოიას ოჯახში და შეეცადნენ კაი პატივიც ეცათ. შარშანდელი დიდმარხვის ვახშმიდან დიდად განირჩეოდა წრეევანდელი. ტაბაკზე წელს სუფთა სუფრა იყო გადაფენილი, შემწვარი ყვერული მოხარშული წვნით, შემწვარი გოჭი და ჭყლინტი სულუგუნი ამშვენებდა სუფრას. რამდენიმე ღვინით სავსე ბოთლი და რამდენიმე ჭიქა ჩარიგებულიყო საჭიროებისამებრ. სახლის კუთხეში წელს უბრალოდ გაკეთებული ხის შეუღებავი ოთხფეხა მაგიდა იდგა, რომელზედაც გაიანეს მოქსოვილი ბამბის საფენი ეფარა. ჭრაქის მაგივრობას წელს პატარა ლამპა ასრულებდა. სტუმრის პატივსაცემად ნიკოიამ თავისი ბიძაშვილი სისოც მოიწვია და, ერთი სიტყვით, ცდილობდა სტუმრისათვის ესიამოვნებინა.

— ამდენს რათ გაისარჯე, შე კაცო, — მოიბოდიშა კონსტანტინემ, როცა ვახშმად დასხდნენ.

— შენი საკადრისი არაფერი გვაქვს, ბატონო, მაგრამ იმედია,— თავის მხრივაც მოებოდიშა ნიკოია.

შუაღამე გადასული იყო, როცა ვახშამი გაათავეს და კარგად შეზარხოშებულნი სუფრიდან ადგნენ. კონსტანტინეს მოლაპარაკება უნდოდა ნიკოიასთან, მაგრამ იმდენად დაღლილი იყო და თან ღვინით შეხურებული, რომ მაშინვე დაიძინა.

მეორე დილას, პირის დაბანის უმალ ცალკე გაიხმო ნიკოია და საუბარი დაუწყო.

— შენ ოჯახში, ჩემო ნიკოია, ღმერთმა მხიარულად შემომიყვანოს, დაირა-ლხინს დავსწრებოდე მრავალჯერ, მაგრამ მე ახლა პირდაპირ შენთან არ წამოვსულვარ. ზუგდიდში საქმე მქონდა, ვალი მემართა ერთი კაცისა და იმას მოვაკითხე... ვიფიქრე, ამ სიახლოვეს ნიკოიას როგორ არ გავუარო-მეთქი, და შემოვუხვიე. —

(კონსტანტინემ იცრუა, პირდაპირ ნიკოიასთან მოვიდა), — რადგან, ღვთით, მშვიდობით გხედავ, უკეთესი დრო როდის გვექნება მოსალაპარაკებლად.

— რის თაობაზე. ბატონო!

— ივანეს თაობაზე. მამა ნუ წამიწყდება, წმიდა გიორგის მადლმა, რაც დღეს ეკლესია გააღონ, მის კადლმა, თუ ჩემ ხელში ის ბიჭი ერთი ოთხი-ხუთი წელიწადი დარჩა, კაცი გამოვა. შენ არ გეწყინოს, ბაბა, და უბრალო შინა მოჯამაგირედ კი არა მყავს. მართალია, შინა მოსამსახურედ მინდოდა, მაგრამ როცა შევატყვე, კაცი მარგებელია, დუქანში დავაყენე.

— ოთხი-ხუთი წელიწადი, ბატონო? — საორჭოფოდ დააქნია თავი ნიკოიამ.

— მოიცა, კაცო, — გააწყვეტინა კონსტანტინემ. — ყური დამიგდე, რას გეუბნები! ერთი წელიწადი შუა მარტში თავდება, ხომ ასეა?

— კი, ბატონო!

— კაი დაგემართოს, თუმანი მაშინ ხელში მოგეცი.

— კი, ბატონო, თქვენ უკეთ არ იცით?

— ჰო, თუმანიც მერე გამოგიგზავნე, ივანეს ხელით აგვისტოში!

— კი, ბატონო.

— ეს ორი თუმანი. დარჩა ჩემზე, ჩემო ბატონო, ორ თუმანნახევარი. ამას სრულად მოგართმევ ახლა და მომავალი წლისთვის კიდევ მოვრიგდეთ.

— მომავალ წელზე, რა ვიცი, ბიჭს თუ არ დავეკითხე. წიე, პეტრე! — დაუძახა ნიკოიამ. კონსტანტინეს პეტრეს დაძახება არ ესიამოვნა, მაგრამ რას იზამდა.

— აბა, ჩემო პეტრე, — რაც შეიძლებოდა ტკბილად მიუბრუნდა კონსტანტინე, — ნიკოიას ვეუბნებოდი, ახლანდელ დროში, ჩემო ძმაო, კაცმა თუ ცოტა თვალი არ გააღო და ამ სოფელს არ ეოშორდა, ძნელია ცხოვრება.

— შენ არ დამღუპო დღესა, კორსანტელი, — ხმამაღლა გაეხუმრა ნიკოია. — ესეც ესე ამბობს და არ გადამირიო... ამაზე ვარ დაყრდნობილი.

— მოიცა, ბაბა, — ხუმრობითვე მიუგო კონსტანტინემ,—ძველი დროების კაცებმა სულ ასე იცით. ახლა სხვა დროებაა... შენ, ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა პეტრეს.

— რათ იკადრებთ, ბატონო, — მორიდებით შენიშნა პეტრემ.

— არა, შენ, ჩემო ძმაო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ახალი დროება უნდა გესმოდეს. მოჯამაგირე, რასაკვირველია, მუშაობს, მაგრამ

მოჯამაგირეს გააჩნია. ივანეზე მოგახსენებ. აქ სადმე აზნაურის ან თავადის სახლში მოჯამაგირობა და ჩემთან ყოფნა, თუ გინდ ტრაბა-ხობად მიიღე, და იცოდე, ერთი არ არის. მე შენი ძმა უბრალო ხელის მოსამსახურედ არა მყავს: ფოთში, საყასბოში დავაყენე, ხორცის ხელობას ისწავლის, ყველაფერს ცოდნა უნდა: ანგარიშს, წონას! ეს ყველაფერი საქმეა, ჩემო ძმაო, გამოსადეგია. ამიტომ ახლა ნიკოიასაც ვეუბნებოდი, ერთი ოთხი-ხუთი წელიწადი დაარ-ჩინეთ ის კაცი ჩემთან, თუ გინდათ, რომ კაცი გამოვიდეს. ის ახლა მე მომაშოროთ, მერწმუნეთ, მისთვის დიდი ზარალი იქნება.

— ნება თქვენია, ბატონო, — მიუგო პეტრემ.

— კი, ბაბა, მარა ჩვენ? — გაერია ნიკოია, — ჩვენს ოჯახ....

— შენ ახლა დაიჯინებ შენებურად, ბაბა, — წყენით გააწყვეტი-ნა პეტრემ. — ურიას ქრისტიანობას აძლევდნენ და ნეკით უარობ-დაო, ისე მოგდის შენც. აქ რას გაგიკეთებს ბევრს... წამოიყვანე და ირაკლი მძებრაძის სასახლეში დააყენე მოჯამაგირედ, ახლო გეყოლება და აკეთოს ფქვილის ღომი, ისიც სანახევროდ არა აქვთ, თორემ.

პეტრეს სიტყვები კონსტანტინეს გულში ჩაეხატა, მით უფრო, რომ პეტრესი ეშინოდა: ვაითუ ის არ დამეთანხმოსო და ამიტომაც იყო, ნიკოია ცალკე გაიხმო. ახლა კი, რა შეიტყო, პეტრეც მისი აზრისა ყოფილა, მხიარულად გაეხუმრა:

— ნეტავ შენი თავიც იქ მომცა, მერწმუნე, არ იზარალებ.

— აი, ნეტავ მეც იქ დამაჯინა, — მიუგო პეტრემ.

— თოლი! გეეყალიო *, ჯიმა! შვილი არ გადამერიოს დღეს! — ხუმრობით მოაყვირა ნიკოიამ.

— ხა, ხა, ხა, — ჩაიცინა კონსტანტინემ. — ახლა, ჩემო პეტრე, როგორ იტყვი, მომავალ წელს რამდენად მომცემთ ივანეს.

— როგორც გენებოს. ჩვენ, მართალია, ღარიბები ვართ, მაგ-რამ სინიდისი, დამერწმუნეთ, კაცისა გვაქვს. ერთი-ორი მანეთის ინტერესით, თავი მომიკვდეს, თუ...

—ღმერთმა გაშოროს, ფიცი რათ მინდა,—გააწყვეტინა კონსტან-ტინემ.

— ამას თქმა არ უნდა. საცა ფული იშოვება, იქ ბიჭიც იშოვება, მაგრამ თქვენი ოჯახი სადღეხვალიოდ როდი მინდა.

— არც მე მგონია, მარტო სადღეხვალიოდ ვიყოთ, — შენიშნა ნიკოიამ.

---

* გეეყალი — ვიცოდი.

— აბა, მითხარით? — ორივეს დაეკითხა კონსტანტინე.

— თქვენ ბრძანეთ, ბატონო!

— ბევრს არ გავაჭიანურებ, ძმაო, შარშან ოთხ თუმან-ნახევრად მყავდა? წრეულს ხუთ თუმანს მივცემ.

— ცოტაა, ბატონო, — მიუგო მამა-შვილმა.

— რას ამბობ, კაცო, ახლა ტანისამოსი იანგარიშეთ, დაკონკილად ხომ არ ვატარებ გოროდში.

— მაინც, რაც გინდა იყოს, ბატონო, ის ახლა ზრდაგათავებული კაცია, ექვსი თუმანი უეჭველად ერგება.

— შე კაცო, ექვსი თუმანი ჩინონიკებს არ ეძლევა. არც ტანისამოსს აძლევს ვინმე და არც საჭმელს, — გაიკვირვა კონსტანტინემ.

— ჩილონიკების საქმე სულ სხვაა, ბატონო. იმათთან ჩვენ რა გვინდა.

— რა გინდა კი არა, ბევრი რამე კი გგონია შენ წვრილი ჩინოვნიკობა.

— ერთს გეტყვი, ბატონო, არ გეწყინოს, — თქვა ნიკოიამ.

— თქვი, შე კაცო, საწყენი რაა. აქ, ბაბა, ანგარიშის საქმეა; ვაჭრობა და წყენა ვის გაუგონია, მე ანგარიშით ვცხოვრობ.

— ხუთიც მიუმატე და ნესქერ მის საქმეს.

— მე ექვს თუმანზე ნაკლებ გულში არ მედო, მაგრამ რაკი მამამ თქვა, თანახმა ვარ, ნაკლებად კი... — შეიჭოჭმანა პეტრემ.

— ტანისამოსიც ჩემია?

პეტრემ და ნიკოიამ მორიდებით დაუდასტურეს.

კონსტანტინემ თავი აქეთ-იქით გააქნია, ცალი თვალი დახუჭა, ზევით აიხედა, მარცხენა ხელის თითები შუბლზე მიიტატუნა, მერე ხელი ძირს გააქანა და წარმოთქვა:

— თანახმა ვარ, კარგი, მოდი, — და პეტრეს ხელი გაუწოდა. იმანაც ხელი დაჭერა და შინისკენ წამოვიდნენ.

„ამათ ჯერ კიდევ არ იციან თავიანთი ფასი,—ფიქრობდა კონსტანტინე, — ორმოცდათხუთმეტი, სამოცი... სულ თუ გინდ ოთხმოცდახუთი იანგარიშე... სამას მანეთს ერთი კაპიკივით იმუშავებს საყასბოში. ჯერ არ იციან თავიანთი ფასი, მაგრამ ჩემგან, მგონია, დაისწავლიან.

წასვლის წინ დარჩენილი ოცდახუთი მანეთი მისცა და მომავლის ბეთ ხუთი მანეთიც დაუტოვა.

* * *

დადგა ისევ დიდმარხვა. ჭყონონაში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. წისქვილი ფქვავდა, მაძინია უვლიდა. პატარა ფარნა წელს დახელოვნებული მწყემსი იყო. მას წელს უშიშრად დაჰყავდა თხები ბიჯურში და არათუ ტურა-მგლისა ეშინოდა, პირიქით, ხმამაღალი კიჟინით აშინებდა მათ.

ერთ დღეს, ახალ ნაღდგომევს, ფარნამ გარეკა თხები ბარცხენისაკენ. ის ადგილი მდებარეობდა წისქვილის გაღმა და სოფელ მონაჭერის ნაწილი იყო. ბარცხენა იმიტომ ერქვა, რომ ამ ადგილზე ერთგვარი ეკლიანი ბუჩქნარი ბლომად ხარობდა. ამ ბუჩქს მეგრულად ბარცხენას ეძახიან.

საღამოთი ადრე გამოირეკა ფარნამ თხები და წისქვილის გვერდით, წისქვილისა და ბასილ მძებრაძის სახლს შუა ჩამომავალ პატარა რუს გასწვრივ ამოსულ ხშირ ეკლიანში შელალა.

ახლად აყვავებული ქორფა ეკალი ესიამოვნათ თხებს. ზოგი უკანა ფეხებზე დგებოდა, კისერს იგრძელებდა და შესანიშნავი სიმარდით იტაცებდა განზე გაშვერილ ქორფა ეკლის ტოტს.

ეკლის ფალაგე, როგორც ვთქვით, რუს გაყოლებით მისდევდა, სხვაგან კი გაშლილი იყო ფართო ჭალა. ჭალაში ზოგან ხვნა-თესვა დაეწყოთ, ზოგან მხოლოდ სიმინდის ღეროები მოეწმინდათ და ზოგან კი შარშანდელი სიმინდის ღეროებიც არ იყო მოწმენდილი.

ორი თხა ეკალს ალბათ არ დასჯერდა და ბასილის ეზოსკენ გაეშურა.

— ყაი, ყაი! — დაუძახა ფარნამ, მაგრამ მათ თითქო არც გაუგონიათო, ბაჯბაჯით და წვერის ცანცარით გაზომეს ბასილის ბახჩისაკენ, სადაც მათ ახლად აყვავებული ხეხილი იტყუებდა.

— ყაი-მეთქი, შე ამოსაწყვეტო! — დაუყვირა ფარნამ, თანაც ცოტა გაირბინა და სიმინდის ღეროც ესროლა. თხები შეშინდნენ და უკან გამობრუნდნენ. ფარნამ რაღაც მწკრივად მიმავალი ფრინველები შეამჩნია, იმას დაუწყო ყურება.

— ჭიტა! — მოესმა უკანიდან. — ხა, ხა, ხა, მე ხმითვე გიცანი, თხებს რომ უჯავრდებოდი და შენკენ გამოვიქეცი.

ფარნამ მოიხედა. მის წინ ტასია იდგა. წელს, რა თქმა უნდა, შარშანდელზე უფრო დიდი ჩანდა, თუმცა სახეზე ცოტა უფერობა ეტყობოდა. ფარნამ გაუღიმა.

— რა იყო, ფარნა, ზევით რომ უყურებდი?

— რაღაც ჩიტები მწკრივად მიფრინავდნენ.

— აბა სადა, მეც მაჩვენე!

ფარნამ ზევით აიხედა და ცას დაკვირვებით თვალიერება დაუწყო.

— ახლა არც კი ჩანან, — მიუგო მან და ისევ დაკვირვებით შეხედა ცას.

— ჩვენ დღეს ბევრი სტუმარი გვყავს, — დინჯად თქვა ტასიამ.

— ვინ არიან? — საჩქაროდ მიუბრუნდა ფარნა.

— ზალიკა მაწკირია, დრიმინტია ჭანდრაკელია, სამსონი ყურაშვილი და კიდევ ვიღაცეები. მათი გვარი და სახელი არ ვიცი. არც უჩანამ იცის, ირინესაც ვკითხე, იმანაც ვერ მითხრა. ერთ კაცს სულ აქ აქვს პატარა წვერი, — ტასიამ ხელი ნიკაპზე მიიდო, — თორემ სხვაგან, როგორც ჩემი ხელისგულია! — ხმის დაქერით წამოიძახა ტასიამ და ხელისგული უჩვენა.

— რაზე მოვიდნენ ამდენი სტუმრები? — დაინტერესდა ფარნა.

— არ იცი? დრიმინტია ჭანდრაკელიასთვის ბაბას ფული უსესხია, — ცოტა არ იყოს, ამაყი კილოთი მიუგო გოგომ, — ბაბამ უჩივლა და რაღაც გამოიტანა, ლიფსტი, ლიფსტიო, ამბობდნენ და მე კი არ მინახავს, დიდია თუ პატარა. ამიტომ დღეს ბევრი კაცები მოვიდნენ. ბაბას ეხვეწეს, უი, რამდენი ეხვეწეს, დილიდან სადილობამდი სულ ლაპარაკობდნენ. ერთი ცხენი მისცეს ბაბას, ისეთი ცხენი, რომ უ... უ... მაღალი, მაღალი... კიდევ რაღაც ქაღალდი, ხელწერილიო, დაუწერა და მისცა ზალიკამ. მე, მე მენდე, შე კაცო, ეუბნებოდა ბაბას ზალიკა. თუ ექვს თვეში არ გაგისტუმრა, მე მოგცემო. ზალიკა ჩემი მორდიაა, მუხლზე დამისვა და ერთი დიდი კალფენტი მომცა.

ფარნა ჰირდაღებული უყურებდა გოგოს. თავის სიცოცხლეში არ გაეგონა დრიმინტიას სახელი. არც მისი ცხენი აინტერესებდა. კალფენტი კი უფრო მოეწონა, ვინემ რაღაც ხელწერილი.

— კალფენტი გემრიელი იყო? — ჰკითხა ფარნამ.

— უჰ! შაქარივით ტკბილი. რომ მცოდნოდა შენ აქ იყავი, უსათუოდ მოგიტანდი.

— მე რათა? — გაიკვირვა ფარნამ.

—იცი, შე ბორო,—გაგრძელებით და სიცილით მიუგო ტასიამ,— არ იცი, განა, ღმერთმანი, შენ როგორც ჩემი ძუკუ, ისე მიყვარხარ! ძუკუ ჩემი ძმაა, შენ ამაზე კარგი საქმე არ მიქენი? შენ არ ყოფილიყავი, ცოფიანი ძაღლი მიკბენდა. ბაბამ თქვა, ის დალოცვილის შვილი არ აგჩენოდა, ძუკუს იმედით დავიღუპებოდითო.

ფარნას თვალები აენთო. ალერსიანად შეაჩერდა გოგოს ლამაზ ხაზეს და ბავშვურმა, უმანკო სიმპათიურმა გრძნობამ გაურბინა

ხეულში. ფარნასაც უნდოდა რაღაცა ეთქვა, წითლდებოდა, გული რაღაცნაირად უცემდა, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა.

— ახ, ნეტავ სევერიანე ისევ ჩქარა მოვიდოდეს,—თქვა ტასიამ.

— შენც იმასთან ისწავლი?—ჰკითხა ფარნამ.

—მაშინათვე! ბაბა ამბობს, მე ჩქარა ისევ ზუგდიდში წამიყვანენ ან ხვალ, ან ზეგ და როცა ისევ ჩამოგიყვანო, მთელი ზაფხული სევერიანეს რიგიანად უნდა მოვამზადებინო შენი თავიო.

— ეჰ, შენ ბედნიერი ხარ, — ამოიოხრა ფარნამ.—ზუგდიდშიაც წაგიყვანებენ, აქაც გასწავლიან, მე ამ ოხრებს უნდა ვსდიო.

— განა ზაფხულში შენც არ მიხვალ სევერიანესთან?

— ზაფხულში შეიძლება მივიდე, მაგრამ მაშინაც დრო არ მექნება ხეირიანად. მაინც საღამოობით ამ თხებს უნდა ვსდიო. წიგნს რომ დავხედავ ერთი წუთი, და გაიხედავ, თხებიც არ არიან.

— ნეტავი შენც ზუგდიდში წამოგიყვანდნენ, ღმერთმანი, ისე გამეხარდებოდა, — თანაგრძნობით წარმოთქვა ტასიამ.

— უი შე... ბედიანი, ზუგდიდში მე კლასს ვინ მაღირსებს. ზაფხულობით მაინც მეცალოს რიგიანად, ისიც მეყოფა.

— ტასია, ტასია! — მოისმა ამ დროს ირინეს ხმა.

— ჰო, ჰო! — დაუწივლა ტასიამ.

— შე კინჩხმოსატეხო, სადა ხარ?

— აგერ, აგერ, — ისევ დაუჭყივლა ტასიამ და შინისაკენ გაექანა.

ბასილ მძებრაძის ოდის აივანზე რამდენიმე, ზოგი ნაბდიანი და ზოგი უნაბდო, კაცი მათრახებით ხელში იდგა.

— ცხენები, წიე, ცხენები! — დაიძახა ბასილმა.

რამდენიმე შეკაზმული ცხენი ჯჩანა მოჯამაგირემ თავლიდან გამოიყვანა და სახლის წინ გააჩერა. სტუმრები მასპინძლებს გამოემშვიდობნენ და თავიანთ გზას გაუდგნენ.

ბასილმა სტუმრებს თვალი გააყოლა, მერე აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ფალაგესთან თხები შეამჩნია.

— ვო უჩანა! — დაუძახა მოჯამაგირეს.

— ბიჭო, ეს ვისი თხებია, ა იქ, ფალაგესთან კნატუნობენ. ბაღჩაში არ შემოიჭრან, თორემ სულ ერთიანად გააფუჭებენ.

— ნიკოია თოხიტარიას თხებია, ბატონო!

— თოლი, ის პატრა ბიჭი მწყემსავს, ცოფიანი ძაღლი რომ შოკლა?

— დიახ, ბატონო.

— ახლა სად არის?

— აი, აგერ, გადაღუნული კაკლის უკან დგას.

ბასილმა ხელი შუბლზე მიიდო და გახედა.

— შენ, ჯიჯი, ეი, შენ! — დაუძახა ბასილმა. — რა ჰქვია, ბიჭო, სახელი? — დაეკითხა მოჯამაგირეს.

— ფარნა ჰქვია, ბატონო!

— ფარნა, ფარნა! დაუძახე, ბიჭო, აქ მოვიდეს.

ფარნას ეგონა თხების აქ მორეკვისათვის ალბათ მიჯავრდებაო და ერთ წუთს გაქცევა დააპირა, მაგრამ ამასობაში ბასილის მოჯამაგირე მივიდა და მოფერებით მიიპატიჟა.

ფარნა მორცხვად წამოვიდა და თავდაღუნული ავიდა ბასილის აივანზე.

ბასილმა სიამოვნებით დაათვალიერა თუმცა ძონძებში გახვეული, ფეხშიშველი, მაგრამ ლამაზი და ჩაფსკვნილი ბავშვი.

— ხარდანაძის ქალო, აი ის, ძაღლის მკვლელი, ერთი გაუმასპინძლდი, თუ გიყვარდე.

მარიკამ ოთახიდან თავი გამოჰყო. სახეზე ღიმი უკრთოდა, მას ფარნა რამდენჯერმე ჰყავდა ნახული.

— ამის გამასპინძლება ტასიას საქმეა, ესაა მისი მეგობარი, — სიცილით თქვა ხარდანაძის ქალმა.

ორივე ცოლ-ქმარნი დღეს რაღაც კაი გუნებაზე იყვნენ, ალბათ ცხენისა და ხელწერილის გამო. ტასია დედის გვერდით იდგა და რაკი ფარნას თავის სახლში ხედავდა, სიხარულით ანთებულიყო.

— მოდი, შვილო, აქ მოდი, — ალერსიანად უთხრა მარიკამ; ბავშვი სასადილოში შეიყვანა და სკამზე დასვა მაგიდასთან. მაგიდა ნაპურევით სავსე იყო. ეტყობოდა, ახლახან ესადილათ და ალაგება ჯერ არ მოესწროთ. სხვადასხვა საჭმელი იმდენი დარჩენილიყო, რომ ფარნასთანას ხუთს გააძღებდა. ფარნა მორცხვად მიუჯდა და ნელ-ნელა ჭამას შეუდგა.

— ნუ გრცხვენია, ფარნა, შენი ჭირიმე! — გაათამამა ტასიამ, რომელიც მის პირდაპირ იჯდა და მხიარულად შეჰყურებდა.

ორი ჭიქა ღვინოც დალია ფარნამ, კარგადაც გამოძღა და თხებისკენ გაეჩქარა.

— ვერაბის სულს ვფიცავ, ხარდანაძის ქალო, — უთხრა ცოლს ბასილმა, როცა ფარნა წავიდა, — ამ ბიჭს პატრონი რომ ჰყავდეს, კაცი გამოვა, რაღაც საღი და გამომეტყველი სახე აქვს.

— ჰმ, — მიუგო მარიკამ და ტუჩები გაბუტა, — რა იქნება ისეთი, ნიკოია ქუსლმოქცეულის შვილი!

— არა, რათა, ნიკოიას შვილობაზე როდია!

— მაშ რაზეა, — უკმაყოფილოდ მიუგო მარიკამ. — ძუკუს მამა, ხანდისხან რაღაცნაირი ახირება იცი. შენი კარგი იმდენი არ მოგწონს და სხვისი, თუ გინდ, ერთი სიტყვით... რაც გინდ იყოს, მოგწონს. რა უნდა გამოვიდეს მეთხე ბიჭისაგან, ყაზახის შვილისაგან. აივანზე ხეირიანად ვერ ამოვიდა; თავი სულ კაკუტივით ძირს მიაქვს.

— ეჰ, შენცა ხარ. ერთი, ცალმხრივი მსაჯული! ბაბა, ბავშვია ჯერ, ჩვეული არაა, აბა რა ქნას.

— ბავშვია, დიახ ბავშვია, ორი წლისა! — დაცინვით გააწყვეტინა ვარიკამ.—იმაზე პატარა არ იყო ჩემი ძუკუ, ჭყონდარი * რომ მობრძანდა. ჭყონდართან თამამად მივიდა, ხელზე ემთხვია და ჭყონდარმა ჯვარი აჩუქა! ვენაცვალე, სითამამე მაშინაც ეტყობოდა.

— და ამ სითამამით, — გააწყვეტინა ბასილმა, — მასწავლებლებს ქვა ესროლა და მოკვლასაც უპირებდა.

— ერთი სიტყვით, ისეთი რამე თქვი, რომ რამეს ჰგავდეს, — აკაპასდა ხარდანაძის ასული, — განა არ იცი, რა ღმერთგამწყრალი გვარისანი ხართ? ის კი არა, მოეფერე, კარგად ჩააცვი, დაახურე. რამდენი ხანია გეხვეწება, ცხენი, ცხენიო, მეც რამდენი გეხვეწე. გი მოუწყვე საკუთრად ერთი ცხენი და უნაგირი. გაერიოს საზოგადოებაში, გაიცნოს კაცები. ერთი გადავხედოთ იმ კაცს, აბა რას იზამს. დაუჯინია: არ ისწავლა, არ ისწავლაო. რა გინდ არ ისწავლოს, ნიკოიას შვილს მაინც ქე ემჯობინება, ცა და დედამიწა ერთმანეთს რომ მიატყდეს. სხვა რა გინდა...

— თოი, თოი, თოი, ქალის გაჩენას რა ვუთხარი. სულ შენ გაიფუჭე მაგი, შე ოჯახამოსაგდებო. განა მე არ ვეფერებოდი, განა ცოტა ვეფერე? თოი, თოი, თოი! რაც თქვენ დაებატონეთ ქვეყანას, მას შემდეგ უკუღმა დატრიალდა დედამიწა.—აუმაღლა ხმას ბასილმა, — თათრის მეტს, მერაბის სულს ვფიცავ, თათრის მეტს ქალი მოშინაურებული არა ჰყავს. კეხი უნდა ედგას ზურგზე და მაშინ შეიძლება...

— იმდენი ცხონება აქვს მამაშენს, შე დამპალო ყაზახო, იმდენი სიკეთე დედაშენს, — გაანჩხლდა მარიკა, — მაინც ბევრი რა მაკლია. ბარეღამ კეხიც დამადგი და ის იქნება, რა გახარებულად მე შენ გყავარ. იმდენი ცხონდა პაპაშენი. ეკლესიაში პირჯვარის დასაწერად ვერ წავსულვარ. ან რით წავიდე! ეფროსიმეს, ვიღაც ბრტყელაიას ცოლს, თამბაქელიას ასულს, დრაფის ტალმა ეცვას

* ჭყონდარი — ჭყონდიდელი.

და მე.... მე... რო... პო... მითხარი ერთი?—თითქმის ტირილით დაეკითხა მარიკა.

— დიდობა შენდა, ღმერთო, — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ბასილმა და თავის განუშორებელ მეგობარს, ყალიონს, ხელი მოავლო.

XVI

ვინ იზარადა, თუკი ყველა კმაყოფილია?

ბასილმა მართალი თქვა. ბართლომე მძებრაძეს ორი დღე გაატარებინეს სატუსაღოში და მერე გამოუშვეს.

სატუსაღოდან გამოსვლისთანავე გაეშურა ბანქოს სათამაშო სახლისაკენ, რომელსაც ადგილობრივ „საყავოს“ ეძახდნენ, ზოგნი „ტახტირსაც“ უწოდებდნენ და სხვანი — „რესტორაციას“. იქ ბართლომეს ბევრი ძმაბიჭები დაეხვდა. ზოგი კოცნიდა და განთავისუფლებას ულოცავდა, ზოგიც იაგორა ბიკიტნის სახელზე უწმაწურად იგინებოდა.

— აა... ბართლომეს ვახლავარ, კარტი-ნარდი-ბილიარდით გამოგიშვეს?! აა.... მადლობა ღმერთს. სახალინს იქით გადაგაბრძანეს მეგონა. იაგორას გალახვისათვის კი დაგიმადლე, ოო... დაგიბერდა ის მარჯვენა. ის ისეთი მსუნაგი ვინმეა.—მოემხიარულა ბართლომეს საყავოში შესვლისთანავე ერთი ამფსონთაგანი, რომელსაც ლამაზად შეკერილი ახალი ჩოხა ეცვა, ქამარზე ვეებერთელა ხანჯალი ეკიდა. წვერი მოდაზე სამკუთხედად ჰქონდა შეკრეჭილი და ლამაზად დაგრეხილი ულვაში ბოლოში კოხტად შეწკვიტინებული. მართალი რომ ვთქვათ, გარეგნობით ლამაზი შესახედავი კაცი იყო. ეს გახლდათ გოგია ქულაშვილი, ხელობით კარტოჟნიკი, როგორც ეძახდნენ. არ ხნავდა, არ თესავდა, არ ვაჭრობდა, არ იჯარადობდა, არ მსახურობდა, მამულ-დედული არ გააჩნდა (გლეხთაგანი იყო); მიუხედავად ამისა, მუდამ კოხტად გამოწყობილი დადიოდა. ხუთი სხვადასხვა ფერის ჩოხა ჰქონდა. სამი აბრეშუმის ახალოხი და სხვა მისი მიყოლება, უანგარიშო. დღეს ფოთში იყო, ხვალ ოზურგეთში, ზეგ ბათუმში, იქით კვირას ქუთაისში.

— მაგის დედასა, მაგ გაქონილ ყაზახს,—მიუგო ბართლომემ.— მაგის თავს კიდევ ჩავიგდებ ხელში და მე, ზურაბის შვილი, ბართლომე არ ვიქნები, თუ მისი დამპალი წელები ძაღლების სათრევად არ გავხადე.

— იქით, კაცო! მგონია, მოგეგების გზაზე ვადგივარ და რანაირ

მყრალ სიტყვებს ლაპარაკობ! ნაჩალიკს ქუჩაზე კენჭი ვერ მოუყრია და იაგორა მიკიტნის მართლა აყროლებული წელების გარეცხვაც ზედ გინდა დაუმატო. ხუმრობა საქმედ მიგაჩნია! თუ ძმა ხარ, არ ჩაიდინო მაგისთანა საქმე, სუნით კაცს არ დაეედგომილება, — ხუმრობით შეეხვეწა ერთი დაგლეჯილჩოხიანი მოთამაშე, რომელსაც ნახშირით გამურული სახე უმტკიცებდა, რომ მჭედელი უნდა ყოფილიყო.

— ერთი შენც, გამოყოფ ახლა თავსა, რა შენი საქმეა აქ ყოფნა, ტახტირი არ გააპუტყიანო. შენ ქულამღრს და საბერველს მიხედო არ გირჩევნია? თედორე მღვდელს ჯორი გამოუგზავნია დასაჭედავი. — ბართლომეს ნაცვლად მიუგო გოგიამ.

— შენი თაგვის კუდივით წვეტიანი ულვაშები ნუ მომიკვდებაო! რომ აგაფცქვენი ამ საათში სამი მანეთიანი, იმაზე კრუხივით კაკანებ, მაგრამ ვერ მოგართვი კოჩას გამომცხვარი შაურიანი პური! ახლა ბართლომეს მიელაქუცე, მაგრამ იმისგან რა ხეირს ნახავ. იმას შენთვის რა ექნება. ახლა მაგის ჯიბე და შენი ნალია ორივე ერთიაო! არც ერთში გროში კაპეიკის საღირალი არა მოიძებნება რა.

— ახი არ არის, ახლა იმ ბართლომემ, როგორ ოქროპირის ჯორივით აყუდულა აქა, იაგორას მაგიერად შენ შემოგკრას ის ხანჯალი და აქვე წელები გადმოგიყაროს? მე ხომ გამსვრის, ისა თქვი და! ხუთ დღეს ვერ გავირეცხავ, ჩხოუშის წყალი არ ეყოფა... აქეთ უყურე, ჰა! ერთიანი ჩამოვედი! ახლა შენი ჩამოსასვლელია, — უთხრა მჭედელს მოპირდაპირე მოთამაშემ, წვერგაპარსულმა, მსხვილმა, ჭაღარა კაცმა.

ბართლომე ამგვარ ხუმრობას ამ ძმაბიჭებთან შეჩვეული იყო და გული სრულებით არ მისდიოდა, პირიქით, მხიარული და კმაყოფილი იღიმებოდა.

— არა, ხუმრობა იქით იყოს, ლამაზი ქალების მადლმა, კაცს ცოტა გული უნდა გაუკეთო, გაუთამამო. დღეს მას მოუვიდა, ხვალ შენ დაგემართება. იაგორას უშვერი სიტყვები ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან. კიდევ ბევრი მოუთმენია, თორემ მე რომ ვყოფილიყავი, ხელში შემომაკვდებოდა. მოდი, ბართლომე, ერთი, რაღა, ცოტა წავუთაქუნოთ კონჩინა თითო-თითო ყავაზე, — მიეფერა და მიემხიარულა ისევ გოგია.

— რას დავეძებ, — გაფანტულად მიუგო ბართლომემ.

— ბიჭო, კარტი. შე ყურუმსაღო! ივაკია, არ გესმის, კარტი! — დაუყვირა გოგიამ მოსამსახურე ბიჭს და სათამაშო მაგიდას მიუჯდა. ბართლომემაც აიღო ერთი სავარძელი.

— ნელა, — შენიშნა მჭედელმა. — ნალბახტში, სავარძელზე ჯდომას გადაეჩვეოდი და არ წაიქცე.

— შენ ჯერ ნახშირი ცხვირ-პირიდან მოიწმინდე, — მიუგო ბართლომემ, — შენისთანა გაზინგულ ყაზახს იქაც ვჯობდი! — ხუმრობით და მშვიდად დაუმატა ბართლომემ. — ვე და ჩემმა ღმერთმა, ის სალდათებიც ისეთი პატივით მეპყრობოდნენ, რომ...

— რა თქვენი საკადრისია, უეჭველია, ბატონო, — იოხუნჯა მჭედელმა, — შესვლისთანავე ბოჭკას გარეთ შენ გაგაზიდვინებდნენ, რა სათქმელია. განა აზნაურს იქ არ იცნობენ?

— ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა ყველამ ერთბაშად.

რამდენიმე საათი დარჩა ბართლომე საყავეში. ბანქოც ბევრი ითამაშა და ნარდიც. თუ ბანქოს თამაშში რვა აბაზი წააგო, სამაგიეროდ ნარდში თორმეტი აბაზი მოიგო, და ამნაირად მოგებული, შინ დაბრუნდა.

მაგრამ იაგორა ყველა გამვლელ-გამომვლელის წიხლით სათელი როდი იყო, როგორც ჰარტოჟნიკებს ეგონათ. ეგონათ კი არა, ისინი კარგად იცნობდნენ მას, და ამიტომ მხოლოდ ჯავრის ამოსაყრელად შორიდან დაცინვა-მუქარითა და გინებით ენას იფხანდნენ. იაგორა იმიტომ სძულდათ, განსაკუთრებით უსაქმურებს, რომ მისი გაცურება და მოტყუება ძნელი იყო.

იაგორა მარტო პერანგის ამარა დარჩა ობლად. ბევრი წვალება და ვაება გამოიარა, მაგრამ თავისი შრომით და მეცადინეობით ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ იმ ზომამდე მიაღწია, რომ რამდენიმე ათასი მანეთის: ფულის თუ შენობა-საქონლის პატრონი გახდა.

ცხოვრებამ, წრემ და, საზოგადოდ, კაცობრიობის „მეს“ სიყვარულმა იაგორასაც თავისი ბეჭედი დაასვა, და თანამედროვე კაცად გაზარდა. ზურგს სადაიროდ არავის უშვერდა და ბევრსაც ამიტომ სძულდა. თვითონ კი გამოტეხილად არავის ჩაეჯინებოდა, მაგრამ ქვეშ-ქვეშ არა თუ დაირას დაუკრავდა სხვის ზურგზე, საქალამნე ტყავსაც ააცლიდა. თხუთმეტი წლის ყოვლად უსინდისო და უპატიოსნო მიკიტნის შეგირდობამ თასპასავით გამომართა და გამოჩარხა.

ბასილ მძებრაძე ძლიერ კარგად იცნობდა იაგორას და კიდევაც მისი მოსაზრება ბართლომეს საქმეზე სიტყვა-სიტყვით ახდა.

იაგორამ მოწმეები დაამზადა. ბოქაულს როგორიც თვითონ უნდოდა, ისეთი ოქმი შეადგენინა და ბართლომეს მოსამართლესთან უჩივლა.

ნაახალწლევს ბართლომეს უწყება ჩააბარეს: „ოთხ თებერვალს, 18... წელსა, ზუგდიდის მომრიგებელი სისხლის სამართლის განყოფილებისა მოგიწვევთ თქვენ, რათა გამოცხადდეთ მასთან კამერაში დილის საათებში, ვითარცა მოპასუხე იაგორა მუშტკუჭაძის გალახვის თაობაზედ“ — ეწერა უწყებაში.

ბართლომემ ერთი უხეიროდ დახედა უწყებას, ქაღალდი ხელით დაჭმუჭნა და ზიზღით ახალწლის ჯიბეში ჩაიგდო. ცოტა ნასვამიც ქე იყო, ბევრი ყურადღებაც არ მიუქცევია. როცა გამოფხიზლდა, დაჭმუჭნილი ქაღალდი ისევ ამოიღო და გულდადებით წაიკითხა, მაშინ კი ფიქრს მიეცა.

— ჰა, მაგ ღორის შვილი, — ამბობდა ბართლომე. — მაგისთანა კაცი არ მოჰკლა, არ აკეპო?! ერთი-ორი გავარტყი მაგ ძაღლის გაგდებულის შვილს და ორი დღე ტილებით სავსე სახლში გამატარებინეს, ის არ მეყოფოდა? და ახლა კი გამომდგარა და კიდევ მიჩივის... აჰა, დედასა, სადა ხარ, დროებავ!.. სადა ხარ, როსთომო მძებრაძეე, რომ შენს ბართლომეს ვიღაც იაგორა ნაობახთში აჯდენს.

მაგრამ ამნაირი მუქარა-გინებით რა გამოვიდოდა! ამ უწყებამ ერთობ შეაწუხა ირაკლი და პავლე, — ბართლომეს ძმები. მათ, როგორც ვთქვით, წლის სარჩო სიმინდი არ შემოუდიოდათ და ახლა საჩივარი და მაგისთანები მათთვის ხომ ძლიერ სამძიმო იყო.

შინაური რჩევა გამართეს ბასილის თავმჯდომარეობით და გადაწყვიტეს: ჯერ მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში შეეტყოთ რამდენად საშიში იყო საქმის მდგომარეობა და მერე მის მიხედვით ემოქმედათ.

ბართლომეს ბასილიც წაყვა, ან უკეთ ვთქვათ, ბასილს ბართლომე წაყვა, რადგან ბასილი უფრო ჩქარა მოსძებნიდა და შეიტყობდა კანცელარიაში საქმის ვითარებას, ვინემ ბართლომე. კანცელარიაში საქმე მოიკითხეს და უფრო შეწუხდნენ. ისინი შეაწუხა ბოქაულისაგან შეღგენილმა ოქმმა. სექტემბრის 27 ს, 18... წელსა ზუგდიდში მოვაჭრეს, მიკიტანს იაგორა მუშტკუჭაძეს, დუქნის ნახარჯის მოთხოვნისათვის მიულხტა ს. ჭყონონას მცხოვრები აზნაური ბართლომე ზურაბის ძე მძებრაძე და ხანჯლით რამდენიმე ალაგას დაჭრა. შეიძლება სულაც მოეკლა, მეზობლები და პოლიცია რომ არ მიშველებოდა. ბართლომე მძებრაძე, რამდენად ვიცით, ბანქოს თამაშობის მეტს არაფერს აკეთებს, თუკი რიგიანი ზომები არ იქნა მიღებული და მაგისთანა უსაქმო და

ხათაბალის მოყვარული კაცები ასეთი მძიმე დანაშაულობისათვის სასტიკად არ იქნენ დასჯილნი, მაშინ მაგნაირი ჯურის კაცები სულ აღვირს წაიხსნიან, სულ წათამამდებიან, მშვიდობიან მოქალაქეთ უფრო ხშირ-ხშირად დაუწყებენ ჩხუბსა და აწიოკებას, და მერე მათი ალაგმვა პოლიციას ძლიერ გაუჭირდება“,—ამიტომო, დასძენდა ბოქაული, — „გთხოვთ, შესაბამისი კანონის მუხლის ძალა უკლისად მიუსაჯოთ“.

ბასილმა და ბართლომემ ვექილებიც ნახეს. მაზრის საუკეთესო ვექილებმა საქმის დაცვა ოთხ თუმნად დააფასეს უპირობოდ, ე. ი. სრულიად განთავისუფლების პირობას არ იძლეოდნენ. ძლიერ დაინტერესებულნი და გულმოსულნი არიან ამ ამბით მოქალაქენიო, უთხრეს ბასილს ზუგდიდში. თუ მჩატედ მოეპყრა სამართალი, არა თუ აპელაციას გადაატანინებენ სადაც ჯერ არს, ღუბერნატორთანაც ცალკე აპირებენ საჩივარსო. თუ მასეთ გამვლელ-გამომვლელმა ჩვენი ფულის გულისთვის ხანჯლებით გვჩეხეს, ჩვენ, ეტყობა, არ დაგვედგომილება და რამე მოგვიხერხეთო. დაღონებული დაბრუნდნენ შინ აზნაურები. ბასილი თავისი გვარის დიდი პატივისმცემელი და ქომაგი იყო. ამიტომ ბართლომეს სულელური მოქცევა და მოსალოდნელი შედეგი ერთობ აწუხებდა.

— რას გეტყვი, ჩემო ძმაო, იცი? — უთხრა ბასილმა, როცა ზუგდიდიდან დაბრუნებულებმა თავიანთ სახლისკენ წასვლა დააპირეს. — ეცადე, სადმე ფულები იშოვნო. მე კიდევ დროს არ დაგამადლი, ან შეიძლება რამე გავაწყო მაგ იაგორასთან. სუდამდი თუ მივიდა საქმე, იცოდე, წააგებ. ბევრი გაწყენინე და კიდევ გითხრა, გეწყინება: უფრო შენი ბრალი კია, იმ კაცს იმდენი ბრალი არა აქვს; მიუგდებდი შვიდ შაურს და მორჩა, ამაზე როგორ ავტეხდი აყალმაყალს. შენ ვინ მოგცა, ჩემო ძმაო, ქვეყანა გადასაჩეხავად. ახლა, ძმაო, არ დაიჯერე, რუსის კალონია. ეცადე, ეცადე როგორშე, ხომ იცი, ცოლ-შვილს გეფიცები, ახლა ხელში ერთი კაპეიკი არ მოვეძევა, თორემ როგორ დაგიჭერ, თუ რამე მქონდა, შენც ხედავდი, გოგოს სწავლის ქირას მივეცი.

— მაინც რამდენი მეყოფა, ბიძი? — ჰკითხა ბართლომემ.

— უკანასკნელი სამი თუმანია საჭირო. მე კარგად ვიცნობ იაგორას! მაშინვე ჩემთვის დაგეჯერებინა, საქმეს ხუთ მანეთად შოვაგვარებდი. ახლა კი, არა მგონი, ნაკლებ რამე გავაწყო.

— რა ამბავი, ძუკუს მამა, როგორ ყოფილა საქმე? — მიეგება ბასილს მარიკა.

— როგორ იქნებოდა. თუ შენ გახსოვს, მე მაშინათვე ვთქვი, როგორ წავიდოდა საქმე. კაცი სუდში დავბერდი და საქმე როგორ წავა, არ ვიცოდე? ისეთი გლახა გლახურს იქმს და შენ კი სირცხვილით უნდა დაიწვა, მძებრაძეს ნაკაზანია გადაუწყვიტესო, გალანძღეს, გააბახესო, იტყვიან, თორემ ბართლომეა არამზადა, ამას ვინ იტყვის. სირცხვილით სუდის სადგომში ვერ შევსულვარ... ვაუკაცურად რამე ექმნა, მესმის, და იმან კი. შვიდი შაურის ნისიისათვის. აბა, თვალი სად გავაღო, ქე მაინც ქვეყანა არ მიცნობდეს: ერი და ბერი... ჰაიტ, ანასინი მაგის საქმეს!

— მაინც, მაინც, შე კაცო, — ჩააცივდა მარიკა.

— რა მაინც გინდა, დედაკაცო, პირისთავს ისეთი პორტოკოლი შეუდგენია, რომ თუ გინდა კნიაზ მენგრელსკის გადაასახლებს. რას იზამს ყაზახი ამისთანა შემთხვევაში. ქე მაინც რამე შეძლება ჰქონდეთ ოჯახდაქცეულებს! მამა-პაპისაგან თუ რამე ჰქონდათ, შთანთქეს... აი, აი, რა მამული, რა ჭალები, რა სავენახეები?! — თავი გააქნია ბასილმა. — ახლა კი რისამე საშოვნელად ხელს არცერთი არ ანძრეეს. პირიქით, ჩხუბსა და დავიდარაბას მართავენ. ღმერთმა სიკეთე უყოს, მაგრამ რა ვიცი! თოი, დიდება შენდა, — ჩაილაპარაკა. მან და.მერე ხმას აუწია: — იაგორა მიკიტანი კოჩას შვილი ეგონა, რომ ხანჯალს ულნევდა? ის კი არა. ის კაცი საბჟანდე ღვედივით გამოზელილია. მე ვიცოდი, ბატონო! აი, ახლავე რიგი-მეთქი, მარა. ვინ დაგიწესა.

* * *

ნიკოია თოხიტარია დილით კერასთან იჯდა და ცეცხლთან თბებოდა და თან ჩიბუხს შეექცეოდა.

— უხ! — მოისმა ხმელი ხველა და ფაცხის კართან გაჩნდა მისივე მეზობელი კოჩა ბარია.

— კოჩა, მობრძანდი, — მოიპატიჟა ნიკოიამ. — ადე, ბიჭო, პეტრე!

პეტრე ადგა და კოჩას მიეგება:

— მობრძანდი, კოჩა, მობრძანდი.

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე! — ღმერთო, კარგი შემოიყვანე ამ ოჯახში! — შემოილაპარაკა კოჩამ და თავი ცოტა ძირს დასწია, რადგან კარიბჭე მისთვის დაბალი იყო. — დილა მშვიდობა, დილა სიხარული!

— ღმერთმა გაცოცხლოს, — მიუგო ნიკოიამ, ზეზე წამოდგა და პეტრე რომ იჯდა, იმ კველაზე მოიპატიჟა.

— პეტრე, ერთი შეშა შემოიტანე, რაც გინდა იყოს, იანვარია! — გასძახა მამამ.

— არა, გენაცვალე, საჭირო არაა, ნუ გაწყინდებით, — მიუგო კოჩამ და თან დილის სიცივისაგან გაყინულ ხელს ცეცხლზე ითბობდა.

პეტრემ შეშა მიუმატა და მინელებული ცეცხლი ისევ აგუგუნდა.

— საკვირველი დარი არაა? დეილოცა მისი სახელი, — თქვა კოჩამ.

— აბა, შე კაცო, ნამდვილი აპრილია, — მიუგო ნიკოიამ. — იანვარი ღმერთმა იანვრად გააჩინა. არ გახსოვს, ჩვენს ბიჭობაში, რა თოვლი იცოდა, კოჩა, და მერე რა მშვენიერი ზაფხული მოყვებოდა!

— კიდევაც იმიტომ იყო, ბაბამე, მაშინ დოვლათიანი დროება. ღვინო ბლომად ქურჩანობდა, ყველი და ხორცი ოხრად ეყარა.

— ახლა სადღაა ისე, — გააწყვეტინა ნიკოიამ. — აგერ თითქმის ორი კაცი ხუთიოდე თხას დავსდევთ და ერთი მუჭა რძე არ მოაქვს. ან საიდან მოიტანოს, შენი ჭირიმე, საჭმელი სადღა აქვს. ხომ გახსოვს, როგორი იყო ბიჯური და ახლა რა არის?

— ჰ! შე კაცო, როგორ არ მახსოვს? აქ რომ ფშალოს მოსწევდი, ოხვამე-კარზედ ინძრეოდა, ისე გადმობურული იყო ერთმანეთს სურო, ფშალო და ძიტრა. ახლა კი რცხილაც არა აქვს პირუტყვს საკნატუნებელი.

— ჩალაზე როგორ ხარ, კოჩა? — ჰკითხა ნიკოიამ.

— მაქვს ცოტ-ცოტა. დღისით დარი კარგია და საქონელს გარეთ ვუშობ, შოულობენ ცოტა რასმე თავის შესაქცევარს. ის, ნათლიას მოცემული აფანი ჯაკელა, რაცხა ბალაგარი, დამიღარიბდა და იმას ჯერ გარეთ არ ვუშვებ; თებერვალმა რაც გინდა ქნას, მეყოფა, მგონია, ჩალა. ერთი შენი თუთუნი, — დასძინა კოჩამ და ქამრიდან ყალიონი ამოიღო.

ნიკოიამ თავისი გამჭვარტლული, სამი წლის გაურეცხავი მატყლის ქისა მიაწოდა.

— დამელია, კოჩა, თუთუნი, ეს უკანასკნელია. ვაი, ჩემი ცოდვა. ახლა უნდა ვიყიდო და ამდენ ყიდვას რა აუვა. შარშან ერთი ვერა ავადმყოფობამ დამლუპა, თორემ მეორე იმდენი დამერგო, მთელ წელიწადს მეყოფოდა, — შესჩივლა ნიკოიამ.

— შენ ახლა არ მკითხავ, ნიკოია, რაზე მოვედი, — დაიწყო კოჩამ, როცა თვითონაც ყალიონს მოუკიდა და ქისა ისევ ნიკოიას დაუბრუნდა.

— თქვი, შენი ჭირიმე.

— თავათ ღმერთმა და მერე წმიდა გიორგმა, მიქამგარიო თაარანგელოზმა ამოაგდოს ყოველი ბანძლის და ჩხუბის ამტეხი, ყოველი ხათაბალის მოყვარე კაცი. რაც ჭკუაში შევედი, მას აქეთ ყოველთვის მძულდა, ან როგორ შევიყვარებ თავის დღეში, ან როგორ გავერევი მაგნაირი კაცების საქმეში. ეს შენც კარგად იცი, ჩემო ნიკოია. ა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მარა, რო გაგიჩნდება ჭირი და აღარ მოგცემს საშველს, რას იზამ! იმის გაზრდას, საწყალ დედაჩემს გოჭი გაეზარდა არა სჯობდა? ერთ დღეს ურა კამპანიას გვაძახებდა ყველას, მაგრამ რას იზამ, რაც არის, არის! ძუძუმკერდობა ჩვენი გაჩენილი არ არის... იმ კისერმოსატეხ ბართლომეზე გეუბნები. ჩვენს ოჯახში თუ რამე მოიძებნებოდა, შეჭამა და ეს არის. ცოლ-შვილს გეფიცები, ნიკოია თოხიტარია, მარტო მე, ძმების გარდა, ჩემი საკუთარი ფული ერთდროებით, ექვსი თუმანი მივეცი, წვრილ-წვრილს ვინ იანგარიშებს. საქონლის მოსატანად მივდივარო, (მაშინ დუქანში იყო), ამას ვიზამ, იმას ვიზამო, მეტი არ გავიხარე მისთვის, ან რაღა საქონელს მოიტანდა, ან რას ივაჭრებდა, თანაფია წამხთარაძის კახპა ცოლს რომ უკან მისდევდა. ყველაფერი იმას შეალია და დარჩა შიშველი კაცი. მერე რა კაცი დაღუპა? ახლა იყო და იყო! ქე მაინც სხვას არ აწუხებდა. იშოვნიდა რასმე, ან ერთ აბაზს, ან ერთ მანეთს, შეჭამდა, არ იშოვნიდა, ქე იყო ისე... ხან აქ, ხან იქ ბანქოს თამაშობით თავს გვარიანად ქე იქცევდა.

მაგრამ ეშმაკმა მაინც რომ არ მოასვენა და ვილაცა მიკიტანს წაჩხუბებია და კინაღამ მოუკლავს ხანჯლით. უჩივლია იმ კაცს, და ამბობენ, ძლიერ მაგრა მიდის საქმეო. მე რომ შევიტყვე, ყურში თითები გავიყარე. თვითონ კი რა მუბლით მოვიდოდა ჩემთან, ატა, ტა, ტა, ტა! მაგრამ მოსულა მოხუცებულ ქალთან, საშველი არ მიუცია. გულსა წვავს ცეცხლმოკიდებულს, სამ წელიწადს ძუძუმკერდს ეგირდონებოდა. შინ რომ მოვედი, შემიჩნდა, საშველი აღარ მომცა! დედაა, კაცო, რა ვუყო, მშობელი დედაა, დღესა თუ ხვალ მოკვდება და სამარის პირად მდგარი როგორ გავაცუდო. ბართლომე ოხერია, მაგრამ მეც, ოჯახდაქცეული, გულსა მწვავს, ჩვენი ნაშრომ-ნადაგი, ჩვენი გაზრდილ-გამოკვებილი. ქენი, ნიკოია, ღმერთობა, — სვენებით წარმოთქვა კოჩამ, — ქენი ხელმწიფო-

ბა, ქენი კაცობა, გაქვს, ქე ვიცი, და ერთი სამი ოუმანი მიათხოვე ორი-სამი თვის ვადით. ბასილი ცდილობს როგორმე იმ ოჯახდაქცეულ მიკიტანთან მოარიგოს, და საქმე მოასპობინოს. თვითონ ხომ იცი ბასილის საქმე, რა ხელმოჭერილი კაცია. იმიტომაცაა აქვს, ბაბა! ესეც არ იყოს, მეტი არ არის ის კაციც. ფული ბასილი, სიმინდი ბასილი, ცხენი ბასილი. მძებრაძეების პოდრაჩიკი ხომ არ არის!

— მე, ჩემო კოჩა, — მიუგო ნიკოიამ და თანაც ჩაახველა, — შენ კარგად იცი, რა განაჭირი და ნაობლარი კაცი ვარ. სიკოია და გიტინია თუ პერტეიას ძმები და სიმონიკას შვილები იყვნენ, მე, ნიკოია, პერტეიას შვილი არ ვიყავი, სიმონიკას შვილიშვილი? იმათ წისქვილის სათავე თუ ეკუთვნოდა, მე ვითომ უჯერო შვილი ვიყავი? ქვეყნის დამამაგრებელმა მოჰკითხოს მაგათ! კაი ადგილას ქე მაქვს ჩაბარებული და მისი კაი თავი ხელს ისე როგორ ამაღებს, რომ ერთი რიგიანად არ დააძახებინოს ჩემი სახელი. ბართლომე და ირაკლი არ ყოფილიყვენ, შეიძლებოდა ჩემი სახელიც ეცნოთ მონაწილედ, მაგრამ იმათი რჩევით და ზურგს მიფარებით გამაგრდნენ სიკოია და გატინია, და მე უხმოდ დამტოვეს. მე ერთი ძროხასავით ყაზახი ვიყავი, საქმეს ვერ მივაგნებდი, მეშინოდა, წვრილი ჩვილ-ჩვილი ბაღნებით სახლი სავსე მქონდა, თორემ ნაჩალიკისთვის მაშინათვე რომ მეთქვა, თურმე შენ სიკოიას ზურგს აუჭრელებდნენ და მეც წილს მომცემდნენ. მაგრამ ცოდნა და გამოცდილება სად იყო? შენ შეიძლება გეწყინოს და შენმა ირაკლიმ და ბართლომემ მიყო ეს. მათი უფროსი ძმა როსთომი კი რათ გამახსენდება! მაშინ ხომ არც სახლი მედგა, სასიმინდეს ქვეშ ვცვოდვილობდი. ჩემი ერთადერთი მოზვერა მოაპარვინა და მაგას რომ კისერზე დანა წაუსვა, როგორ იმან „ბეე...ო“ დაიძახა მაშინ, ისეთი „ბე“ დააძახინე, ღმერთო! მაგრამ რას ვამბობ?! ღმერთო, ძრიელო, ხენწიფე დიდებულის კურთხეულო კალღონო! როსთომი ხომ ჩააძალლეს, იმის კვალს მიაყოლე ყველა ჩემი დამჩაგვრელები. — აღელვებით თქვა ეს ნიკოიამ და ორივე ხელი ზევით აღაპყრო, კისერი გადიგრიხა და თვალები დააბრიალა, — შენ რომ არ იყო, კოჩა, და სხვა ვინმე რომ იყოს, ამ საწყალ ჩემ შვილებს გეფიცები, კიჟინ-კიჟინით გამოვედევნები.

კოჩა თან დარცხვენილი, თან ცოტა გულმოსული, და თანაც თანაგრძნობით შეჰყურებდა ნიკოიას.

— მეც ვიცოდი, რომ არ გამაგდებდი და იმიტომ გავბედე მოსვლა, — რაც შეიძლება დამშვიდებულად და თითქმის ხუმრობის

კილოთი მიუგო კოჩამ, — ერთი მუცლიდან, ღორის გარდა, კაცი ძნელად გამოვა, შე კაცო, რა! პატარობიდან ერთად ვართ შეზრდილი, თუ ერთმანეთის გაჭირვება-დალხინება არ ვიგუეთ, სხვა აბა ვინ მოგხედავს, დღეს შენ გაქვს, ხვალ...

— შენ მტერს მეტი არ მიეცა, მე რამე მაქვს, — გააწყვეტინა ნიკოიამ, — ტყუილი გითხრა — ტყუილი იქნება. ერთი ბაღანა ქე ცოდვილობს იმ სიშორეზე, სხვის ოჯახში, აგერ ერთი წელიწადი ჩქარა იქნება. განა თითონ არ იცი? სხვისი მოჯამაგირობა რა ძნელია. ბატონყმობა რა არის მოჯამაგირობასთან. ბატონყმობის დროს, არ გახსოვს, დადიანის ოჩეზე რა ამბავი გვქონდა? შევიკრიბებოდით ასი კაცი, იყო ერთი სიმღერა, ჭიდაობა და დავმარგლავდით ძალიან დიდი ხუთ ქცევა მიწას, მერე ისიც როგორი დამარგლული იყო: სანახევროდ ისევ ფარფაშობდა ღვარძლიანი ბალახი. საჭმელს კიდევ გვაძლევდნენ, დიდობა შენდა! სულ არ იყო მაშინ ჭკუა თუ? ახლანდელი მოჯამაგირე კი, ბაბა, წკირზეა ჩამოცმული ორი კაპეიკისათვის, ტყვეა ნამდვილი, ჭამს, არ იცი და სვამს, არ იცი. ღამე ნახევარ დროს დასაძინებლად არ ეცლება. „აბა, შე მამაძაღლო, წისქვილი; აბა, შე ძაღლის შვილო, ცხენი; აბა, შე ყურუმსაღო, სადილი; კიდევ როგორ მიიზლაზნება“, — დაუჭყივლებს აღა. იმას კი არ იკითხავს, რომ ისიც კაცია. შეიძლება კაი გუნებაზე არ არის, ან ვინიცობაა, რამე ტკივა. შვილის ნამოჯამაგირი, ცხრაფრად ჭინჭში გახვეული ორი თუმანი ქე მაქვს, რათ დაგიმალო, მაგრამ არ იკითხავ ჩემ გაჭირებასაც? როდის იყო, მე რომ ფულებს ვასესხებდი! გუშინ ფოსტა გადავიხადე და დღეს ხელახლა გადასახდელია. აწი მებატონე, აწი პაპა, აწი ტერ-მოყვარე. ის ორი გროში ჩემი როდია, ბაბა, ახლა ძველი დროება როდია, კოჩა! ოცდახუთი სული რომ ვჯდებოდით ტაბაკთან. ყველაფერი საერთო მიგვაჩნდა. ახლა, ბაბა, წვერი ამოუვა კაცს თუ არა, მაშინათვე თავის გემოზე ცალკე ცხოვრებას ნდომობს.

— როგორმე, როგორმე, ნიკოია. ნუ გამაცუდებ, ეს შვილები ნუ მოგიკვდება, შენი მიცვალებულის სული... ნუ წაგიწყდება. ძალიან, ძალიან დიდი, დიდი, სამი-ოთხი თვე გავაჩერო შენი ფული, როგორც შენი თავი ბინდა, ისე მოგართმევ.

— შენთვის, შენი გაჭირვებისათვის რომ გინდოდეს, კიდევ გავბედავ და იმისთანა კაცისთვის, რომელმაც პირიდან ლუკმა მომტაცა, მამაპაპეული სარჩო-საბადებელიდან ხელი გამაბანია...

— ჩემთვის რომ მოგეცეს, სწორედ იმისთანა მადლობელი

ვიქნები, შე კაცო. ვისთვის მინდა, იმას რას დაეძებ. ხომ გითხარი, მე რომ იმას ვუმადლი, ღმერთმა ისე დაუმადლოს, მაგრამ რა ვქნა. კაცს ქუდი სირცხვილისთვის ხურავს. ჩემი გაზრდილია ის ოჯახ-დაქცეული. თუ გინდა ხელწერილს ჩემ სახელზე მოგცემ...

— რა! — გაიკვირვა ნიკოიამ. — ვთქვათ სასესხი ფული რომ მქონდეს, ბართლომეს თამასუქს ავიღებ? ბართლომეს სამ წაურს არ ვენდობი, ხუთი თამასუქი რომ მომცეს.

— ერთს გეტყვი, ნიკოია, გამიგონე. მართალია, გერწმუნები, ძნელი სანდოა, მაგრამ, ვთქვათ, ირმის მონახეთქში, ისე სამკუთხად რომ ძევს წისქვილის გაღმა, გაბრიოს ყანის გვერდით, ერთი ქცევა მიწა, ის თუ დაგიგირავა, მგონია, მაშინ კი ენდობი. მერწმუნე, იმ მიწაში ორ-სამ თუმანს, იცოდე, ყველა ენდობა.

ირმის ნახეთქის გაგონებაზე ნიკოიას და პეტრესაც სიხარულის ელფერმა გადაურბინა. ირმის მონახეთქი ერქვა ჭალას წისქვილის გაღმა, ამ ჭალის მსგავსი მთელ ჭყონონაში არ მოიძებნებოდა. იქ ირაკლისა და მის ძმებსაც შერჩენოდათ ორი იყო თუ სამი ქცევა მიწა, რომელიც ასე თუ ისე მათ არჩენდა. ნიკოია თავის დღეში არ მოიფიქრებდა, რომ ირმის მონახეთქს პატრონი, რაც გინდა გაჭირვება დადგომოდა, დასაგირავებლად შეელეოდა.

— თუ გინდა ვთქვათ ასე, დაუგირავებია, — მიუგო ნიკოიამ და შეეცადა თავი ისე მოეჩვენებინა, ვითომ ამ ამბავს მაინცდამაინც შეთაბეჭდილება არ მოუხდენიაო, — ვთქვათ ბართლომეს დაუგირავებია, მარა ბართლომემ რომ დღეს დაგიწეროს, ხვალ მოვა ირაკლი და გადაგაგდებს, მათ ხომ მამული გაყოფილი არა აქვთ. ზეგ პავლე დაგიწყებს კირტკაობას და მიწას კი არა, ჯოჯოხეთს მოგანატრებენ. ახლა, ხომ იცი, ჩემო კოჩა, ქვეყანა რანაირია!

— შენ ოღონდ ამ საქმეში დამეხმარე, ნუ ჩამარჩენ, სირცხვილს ნუ მაჭმევ და სამივეს მოვაწერინებ ხელს.

— არა, მე ისე ვამბობ, თორემ ის ორი გროში რომ მაქვს, შეიძლება ხვალვე გზა გამოუჩნდეს. საწყალი კაცის საქმე ხომ იცი!

— შენი ჭირიმე, ნიკოია, როგორიც გინდა, ისეთ პირობას დაგიწერინებ.

— წიე, როგორ მეტყვი? — დაეკითხა ნიკოია პეტრეს.

— შენ არ იცი? მე რასა მკითხავ. მიწა თუ მოგცა რიგიანად, ბიეცი, რას დავეძებ, ოღონდ კი ხელწერილში არ მოგატყუონ,—მიუგო პეტრემ.

ფარნას ჯერ თხები არ გადაერეკა, სულგანაბული ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს. სიტყვა „ხელწერილთან“ ტასიას სიტყვები

გაახსენდა: დრიმინტიამ ბევრი ეხვეწა... და ბაბას ხელწერილი მისცაო. აგერ ჩემ ბაბასაც პირდებიან ხელწერილის მიცემას, მაშ, ჩემი ბაბაც კაი კაცი ყოფილაო, — გაუელვა ბავშვს თავში.

* * *

— რა ქენი? — ეუბნებოდა ბასილი ახალშემოსულ ბართლომეს.

— რას ვიზამდი, ბიძი. მე, ხომ იცი, როგორც მგელს კაცი კრავს არ ენდობა, ერთ შაურს არავინ მენდობა. ჩემი ძიძიშვილი, საბრალო კოჩა, ვატარე, მთელი სოფელი დაიარა, მაგრამ თითქო პირობა შეკრაო, ვისთან არ იყო, სად არ იყო, მაგრამ ჩემ ბედზეა, თუ რაცხა უბედურობაა, ვერსად ვერაფერს გახდა. ერთს ადგილს წავაწყდით, როგორც არის, ორ თუმანს, მაგრამ რათ გინდა, ერთი ქცევა ირმის ნახეთქი უნდა დავუგირავო. დანარჩენი ერთი თუმანი, ბიძი, გინდ მომკალი, გინდ მაცოცხლე, შენ იცი...

* * *

— შენს გარდა სხვა ვინმე იყოს, ვიცი, რას ვუზამ, — ეუბნებოდა იაგორა მიკიტანი თავის დუქნის უკანა ოთახში ბასილ ᲫᲘᲫᲔᲑᲠᲐᲫᲔᲡ. — ახლა ამაზე პირისთავიც გამიჯავრდება, ყველა მეზობელი დამემდურება. მეორეჯერ რომ შემემთხვეს ᲘᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐ, პირისთავი კი არა, დესეტნიკიც ახლო არ მომეკარება. განა ენით გამოითქმება, იმან მე რომ მიყო? აბა, შენი ძვირფასი ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება, ერთი, ამას დახედე! — მოარბენინა იაგორამ თავისი ჩოხა ახალუხი, — აი, ერთი დახედე, სადაა დაჭრილი ხანჯლით, აი, მეორე, აი, მესამე. მე თვითონ მიკვირს, როგორ გადავრჩი. ასეთ საქმეს რომ გიზამს, იმისთანა კაცი უნდა შეიბრალო?! შენით თქვი, საცა დღეს ეკლესია გააღონ, იმის მადლი თუ გწამს.

— სათქმელი არაა, იაგორ, მაგრამ კიდევ გელაპარაკო, რა საჭიროა. უიმისოდაც ბევრი ვიყბედეთ. აი, ეს სამი თუმანი ჩაიდევი და საქმე მოსპე. ჩვენ ვღირვართ ამდენად, დამერწმუნე. ქვეყანა წახდა, დაიქცა, თორემ ოდიშში ერთი ვინმე... ერთი გვარი თუ იყო ვინმე, ჩვენც ვიყავით.

— ოცდაათ მანეთად კი არა, ოცდაათი სახარება გაუწყრეს, ვინც ოცდაათ თუმნად დათმოს, მაგრამ შენი ხათრისთვის მიპატიებია.

ერთი საათის შემდეგ კმაყოფილი ბასილი ამაყად იჯდა ცხენზე და ᲭᲧᲝᲜᲝᲜᲐᲡᲐᲙᲔᲜ მითოხარიკობდა.

„დიდობა შენთვის, ღმერთო, მამაჩემი ყველა მძებრაძეზე

გლახა იყო. ცუღლუტურსა და ქურდობა-დაწიოკების მეტ ვერაფერში გამოდგებოდა და დღეს კი ღმერთმა ისე მოაბრუნა დროება, რომ მისი შვილი ყველა მძებრაძეებს ვჯობივარ. ზურაბის შვილს და როსთომის ძმას კაცი შაურს არ ენდობა და მე... ჩემი ხათრისთვის იმ კაცმა სისხლის სამართლის საქმე გააუქმა,"—გაიფიქრა ეს ბასილმა და ამ სასიამოვნო გრძნობის გავლენით ერთი-ორი მათრახიც გადაუჭირა ფერდებში სრულიად უდანაშაულო საღარიას. ცხენი გავარდა ციციკ-ციციკით, კიშმიშზე შედგა და უკანა ფეხები ლამაზად გაათამაშა.

— აჰა, შე ვგლის თაო! — დაუძახა ბასილმა და აღვირი მაგრა დაიჭირა.

გულნატკენი არც იაგორა დარჩა. მან თუმცა იჩივლა, მაგრამ ცოტა შიშში არ იყო. ბართლომეს რომ დასჯიდნენ, ამაში ეჭვი არა ჰქონდა.

— მაინცდამაინც ჭკვიანურად არ გიქნია, — ეუბნებოდნენ მოკეთეები. — თუ გინდა ის კაცი დასაჯონ, მერე შენთვის რა მოგებაა, მთელი მაზრის თავადაზნაურობა გადაგემტერება. მოგეხსენება, მაგათ როგორ ერთმანეთის მიდგომა იციან. ნახევარი მათგანი ხლაფორთის მეტს არაფერს აკეთებს. საცა იქნება, ისეთ ადგილს ვადაგახტუნებენ, რომ მთელი შენი სიცოცხლე ვერ ამოხვიდე. გარდა ამისა, მოგება კიდევ მათგან რჩება, ჩემო ძმაო. ნისია იციან, მაგრამ მიცემაც იციან. ერთი ვთქვათ, ასეც მოხდება, მანეთს აგაღლეტს, სამაგიეროდ, მეორეს და მესამეს ხუთ და ათ მანეთს ააქუცებ: მაინც უზურში მოგებაში ხარ. დიდი შეცთომა და წინდაუხედაობა მოგივიდა, რომ ბართლომეს შვიდი შაურისთვის ჩხუბი აატეხინე და ხანჯალი ამოაღებინე. მას ცუდს სიტყვასაც არ ვეტყოდი, პირიქით, შევიპატიჟებდი და ერთ შაურიან ოტკასაც ზედ მივაყოლებდი, სამაგიეროდ, როცა ბასილი მობრძანდებოდა, გადიგადუკრავდი ჩოთქს და ერთი-ორჯერ მაგ შვიდ შაურს იქ გავაქვითებდი და ამნაირად არც მწვადი დაიწვებოდა და არც შამფური.

ეს გონიერი მსჯელობა იაგორასაც მოუვიდა ფიქრში, მაგრამ გვიანი იყო; საქმე მოსამართლეს ჰქონდა. აი ახლა, საქმეც მოსპობილია, თავადაზნაურობაც მადლიერი და სამი თუმანიც იაგოს ჯიბეში. ამ საამო ფიქრის გავლენით კმაყოფილმა იაგორამ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა თავის დუქანში და შემდეგ დახლში შევარდა.

„მაინც ერთი ვიანგარიშო წმინდა მოგება რამდენი დარჩება, — გაიფიქრა ვან და საანგარიშე რგოლებზე ხელი დაადო. — სამი

მანეთი ხომ ფულად პირისთავს მივეცი, პორტოკოლი რომ შეაყენა.... სამი.... თითო სადილი დესეტნიკებს: გუჯუს და ტარას: ყაურმა — აბაზი.... პური — ორი შაური... ბოთლი ღვინო — აბაზი. ესეც ათი შაური. არზა რომ დამიწერა ივლიანე წერალმა. ფულად ათი შაური მივეცი, ზაკუსკაც რომ მიირთვა, ფული არ მოუცია, ხელი ჩავიქნიო ჯობია! საჭირო კაცია. ერთი არაყი — შაური, მჭადი — შაური. ჰო! გაკეთებული პაპიროსიც მივეცი კიდევ, ესეც ერთი შაური. სულ ხუთი შაური. მოწმეებისთვის ჯერ არაფერი პატივი მიცია. არც კი დამჭირებიან, მაგრამ ვინ იცის, კიდევ როდის დამჭირდებიან. თითო არაყსაც მაგათ დავალევინებ: ოთხი კაცია — ერთი აბაზი... ესეც ოთხი მანეთი და ცხრა შაური. გამოვაკლოთ სამ თუმანს... დარჩება წვინდა მოგება ოცდახუთი მანეთი და სამი აბაზი და ერთი შაური“.

— ესეც შენს იაგოს, — მხიარულად ჩაილაპარაკა იაგორამ და კმაყოფილებით ულვაში წაიგრიხა.

არც ჩვენი ნიკოია და მისი შვილები იყვნენ მოწყენილი. ხელწერილზე სამივე ძმას ხელი მოუწერა და ერთი ქცევა მიწა ირმის ნახეთქზე დაუგირავეს. თამასუქიც ცალკე მისცეს, რასაკვირველია.

მეორე დღეს, დილაადრიან, პეტრე და ნიკოია თოხებით ხელში ესტუმრნენ ირმის ნახეთქს და სიმინდის ძველ ღეროებს ჩქაფაჩქუფით ჭრა დაუწყეს.

ბართლომეც კმაყოფილი იყო: გაბახებას და ნალბახთში ჯდომას გადავურჩიო. ბასილი მხიარულობდა: გაელენიანი და ჭკუასაკითხი კაცი ვარო. იაგორა სიამოვნებდა: ოცდახუთი მანეთი ვიშოვნეო, და ნიკოიაც გახარებული იყო: ერთი ქცევა ირმის ნახეთქზე მოწეული სიმინდი სრულად ჩემი საკუთრება იქნებაო. მაშ, ვინ იზარალა?

XVII

დადგა ისევ იანვარი და სევერიანეც დაბრუნდა ჭყონნარში. დაბალი სასწავლებელი უკვე დაემთავრებინა. ამ ერთი წლის განმავლობაში სიმაღლეზე კარგა მომატებოდა, საულვაშეზე ოდნავ შუქი ფერი გადაჭკრავდა და ნიკაპი პატარ-პატარა ქინქლებით გადაბუროდა.

მოსელისთანავე სევერიანე შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. ძველი შეგირდები ისევ მოგროვდნენ, ბევრი ახლებიც მიემატნენ. ბასილმა ტასიაც გამოუგზავნა და კერძოდაც ჩაბარა, რომ რიგიანად ზოემზადებინა შემდეგი კლასისათვის. სხვათა შორის, რა თქმა უნ-

და, ფარნაც მოვიდა. სევერიანეს გაუკვირდა, როცა ფარნა გამოცადა. ბავშვს თითქმის ნახევარზე მეტი წიგნი ზეპირად დაესწავლა. სევერიანეს მაშინვე რუსული წერა-კითხვის სწავლება დაუწყო და ივნისის დამლევს საქმე იქამდი მივიდა, რომ ფარნა თოხიტარია ყველა დანარჩენ ბავშვს სჯობნიდა ცოდნით.

პეტრეპავლობის წინა დღეს ცოტაოდენი ძღვენი მიუტანა ნიკოიამ და სევერიანე ინახულა. მამა ევთიმეც შინ დაუხვდა. ის იყო ბოსტნის მუშაობიდან გამოვიდა და ხელის დასაბანი წყალი მოითხოვა.

— იცი, რას გეტყვი, ბაბა ნიკოია, — უთხრა სევერიანემ, როცა ერთმანეთს ჩვეულებისამებრ ცოტა მოუქალაჩუნეს და მოუბოდიშეს. — თუ გინდა, ბაბა, ეს ბიჭი კაცი გამოვიდეს, ჩემი რჩევა გაჰიგონე: ამ ზაფხულში მე, რაც შემიძლია, მოვამზადებ, და სექტემბერში უსათუოდ ზუგდიდში წაიყვანე. იქ უეჭველად მეორე განყოფილებაში დააჯენენ, ორი-სამი წელიწადი იქ თუ დარჩა, მერე თითონ გაიგნებს გზას და კაცი გამოვა.

— შენს პირს თაფლი და შაქარი! რას მეუბნები, დალოცვილის შვილო! ზუგდიდში წასაყვანი და იქაური გასაზრდელი კი არა, უკაცრაო პასუხია, პერანგი არ მაცვია ყაზახს. ჯერ დილ-დილით შენთან რომ დადის, ეს, იცი, რამდენად საზარალოა ჩემთვის? ორიოდე თხა რომ დაღოღავს, ბატონო, იმით მიდგია სული და იმას მიმიყობოდა. ახლა დავრჩი უმწყემსოდ. ათანასემ სიკვდილი ინატრა და ისევ თხას არ გაყვა, რაკი ერთხელ გადაეჩვია. დავრჩი მე. სადილობამდი, სანამ ფარნა შენგან დაბრუნდება, მივყვები მე, და ნაშუადღევს მივჩანჩალებ ყაზახი ყანაში, ნაშუადღევის ნამუშევარი რა იქნება? ხვავი და ბარაქა დილის მუშაობას აქვს. გათენებისთანავე რომ დაახტები ჯერ კიდევ ნამით დატვირთულ ნორჩ სიმინდს, გემო იმას აქვს! კიდევ ამიტომ არა მაქვს ჯერ სამარგლავი გათავებული.

— მართლა, ნიკოია, როგორი სიმინდია იმ შენს ახალ ყანაში? — დაეკითხა მამა ევთიმე.

— სუ, ბაბა, ცოტა ხანს, სიმინდი კი არა, მე ამ კაცს მინდა წავეჩხუბო, — ჩუმად უთხრა სევერიანემ მამას. — რას მეუბნები, ნიკოია? ქვეყანა ღმერთმა გაანათლა. გამოდი, ისწავლე, თვალი გააღე, განათლება შეიძინეო, გითხრა და შენ იმ სიბნელიდან, რომელშიაც დროთა ვითარებისა გამო მომწყვდეულხარ, აღარ გინდა გამოხვიდე! ჯერ მარტო, რაც ახლა იცის შენმა შვილმა, რამდენად ღირს. განა შენ შეგიძლია დააფასო! იცი, რამდენად გამოსადეგი

იქნება მისთვის ის ცოდნა? მერე როგორ ისწავლა საწყალმა, თითქ-მის ძალით. ახლა რომ ერთი თუმნის ზარალი ნახო მაგისი წიგნის სწავლაში, მერწმუნე, ათ თუმნის და ოც თუმნის მოგებას მოგიტანს შემდეგში. ბიჭი ბევრია ჭყონონაში, მეც ბევრი შეგირდი მყავს წრეულს და ასე დაეინებით არავისთვის მირჩევია ზუგდიდში წაყვანა. ეს ბიჭი სხვა ნიჭის და მოწადინების პატრონია, და თუ მისი ნიჭი შენ ასე უბრალოდ ჩაღუპე, საუკუნოდ დამნაშავე იქნები შენი სინიდისის წინაშე, იმის და ღვთის წინაშეც. მე შენთვის მი-თხოვია და მირჩევია ეს საქმე, თორემ ბოლოს დაინაღვლებ, ბაბა-მეე, და მერე გვიანი იქნება. ორი წელიწადი მაინც გაატარებინე იქ და რაც დააკლდება ზაფხულობით, თუ ვიცოცხლე, როცა მოვალ, მე შევუვსებ. კიდევ ბევრი აკლდება, მაგრამ სულ არა-რაობას მაინც ემჯობინება.

ეს სიტყვები იმდენად მტკიცედ და წრფელი გულით წარმო-თქვა სევერიანემ, რომ ნიკოიას მოუხეშავი გულიც თითქმის ცოტათი მოალბო.

— შენი სიტყვები ოქროა, ბატონო, მაგას ვინ გაბედავს, მაგრამ რას იზამ, აღლაკი რომ არ შეგწევს!

— სუ, სუ, ნუ მეტყვი, მოიწადინე, ბაბა, ვალიც რომ დაიდო მაგისთანა საქმეში, ზარალი არაა, სამაგიეროდ, ისევ ის სწავლა ერთი ათად გადაიხდის.

— ვნახოთ, ბატონო, ვნახოთ, შენი ჭირიმე. შენც და ეს შენი ბაბაც, ჩვენი მოძღვარი, ყოველთვის კარგს გვეუბნებით, მაგრამ ჩვენ ვართ. ბატონო, ა... ხალხი, მა რას ჰქვია ხალხი! ღმერთს, დეილოცა მისი სამართალი, ტყუილად კი არ დაურქმევია ჩვენთვის ხალხი.

— ახლა კარგი, ეყოფა, — ჩაღლაპარაკა მამა ევთიმემ სევერია-ნეს. — ბევრ ტიტინს რომ დაუწყებ, სულ არ ვარგა. თანდათანო-ბით უნდა შეადგმევინო ფეხი. ერთად ყველაფერს მაგის თავი ჯერ ვერ მოხარშავს. ის მითხარი, ჰო, ნიკოია ბაბა, წელან რომ გკითხე, შენს ახალ ყანაში როგორი სიმინდია? — ისევ ჰკითხა მამა ევთიმემ.

— კარგი, კარგი, ბატონო, ღმერთმა მშვიდობაში გიკითხოს, ძნელი სამუშაო კია, მოძღვარო! შარშან ტუტუნრუას ჰქონდა, კარ-გად ვერ დაუმუშავებია. ასეა, ა... ბატონო, ბურჩხი და დოლოკეტი მოდებული, — ნიკოიამ ორივე ხელის ფრჩხილები ზევით აიშვირა.

— ეს არაფერია, თუ შენ ხელში ერთი-ორი წელიწადი დარჩა,

ისე გამოაკეთებ, ხელისგულივით იქნება. მართლა, რამდენად გაქვს დაგირავებული.

— ორ თუმნად, მოძღვარო, ორ თუმნად. ბიჭის გაპოგზავნილი ფოსტის ფული მედვა კიდობანში და ის მივეცი. მე ვინ მომცა, ბატონო ევთიმე, გასასესხი ფული, შენ მაინც ხომ იცი.

— არა, ბაბა ნიკოია, შენ ნუ კნავი. შენ არ წაგიგია! ის კი არა, კუჭი გაიმაგრე! შენ არ მეცოდები, მაგრამ ის კაცები კი რით იცხოვრებენ, იმას არ იკითხავ? ისეთ განძს რომ ხელიდან იშორებენ, ნეტავ რას მოელიან, არ ვიცი?!

— ჩემს მიწყალობებდნენ, ბატონო, თორემ მისი მიწა ღმერთმა მოახმაროს. აზნაურიშვილის საკუთრებაში მე რა ხელი მაქვს.

— მეტი არ იხარა ჩემმა მტერმა! — გაგრძელებით მიუგო მამა ევთიმემ. — ვაი, იმის მეტი, იმათ რომ შენი ფულები ასე ჩქარა ჩაგიჩხრიალონ. გაკვირვებული ვარ, ეს კაცები რას აპირებენ, რა უძევთ გულში. დედა, ღმერთო! რა მამულის პატრონები იყვნენ და როგორ ქვესკნელში ჩაარონიეს. ის უბედური ბართლომე მაინც გვარიანი იყო, მეგონა. რაღაც ვაჭრობა დაიწყო, ხაბაკობდა ერთ დროს და ახლა ის სულ მსტვინავი გახდა. პავლე რომ ჰქვიან, იმას ჯვარი მუქთად დავწერე. რვა წელიწადია მას აქეთ. პირველ სამ წელიწადს ბოდიშს მეუბნებოდა და ახლა ისიც გადაავიწყდა. აქეთ თხოვა კი არა, რომ მქონდეს, მისთანა დაფსებულებს იქით უნდა აჩუქო.

— ჰო, პაპა, სულ ისინი შეიბრალე, ჩვენზე კი არ იტყვი შესაბრალისიაო, — ხუმრობით მიუგო ნიკოიამ. — პირში რომ უთხრა ასე, ხანჯალს მოგიენევენ, ეხ! საწყალი კიდევ ჩვენი კაცი, — თავის ქნევით გააგრძელა ნიკოიამ,—ჩვენ არავის ვებრალებით, ყველა ჩვენ ზურგზე ნავარდობს. ცა და ქვეყანას კი ჩვენი ცხრაფრად გახეთქილი ხელი ჰკვეცავს.

— როგორ არ მებრალები, ბეჩა, — თანაგრძნობით მიუგო მამა ევთიმემ. — მაგრამ შენ შესაბრალი რა გიჭირს. მუშა კაცი ხარ, ბაბა ნიკოია! ვისაც მუშაობა შეუძლია, მუშაობა იცის და სამუშაოც აქვს, თავის დღეში საცოდავი ხარ არის. ის თავს ყოველთვის დაირჩენს. მაგრამ ვაი იმ კაცს, რომელსაც სამუშაო აქვს, მაგრამ მუშაობა არ ეხერხება, როგორც შენი ირაკლი და ბართლომე.

— ღმერთი ისე ააშენებს, ის დღე მაგათ არ მოესწრებათ, რომ ის ჩემი ბატონი იყოს.

— ნუ გეშინია, — სიცილით მიუგო მამა ევთიმემ. — მაგისთანებს გაუვიდა, ბაბა, ვადა. გაიქცა ტყეში! ახლა შრომის და ცოდ-

ნის დროებაა. ვინც ამ დროების ყაიდას არ მიყვება, სასტიკად დაისჯება, იცოდე, დროებამ ხათრი და შებრალება არ იცის.

— შრომა კი არ მაკლია მე საწყალს, — ამოიოხრა ნიკოიამ, — ბევრი არაფერი გამოდის, თორემ...

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა, — მიუსწრო მღვდელმა, — პირში მუჭი უნდა მიიჯახუნო. როგორ არაფერი გამოდის. არა, მითხარი, შვილები ნუ მოგიკვდება, — დაინტერესებულად დაეკითხა მამა ევთიმე. — სიკოიას რომ გამოეყავი, რა გქონდა?!

— ოი! — ამოიოხრა ნიკოიამ, — არაფერი.

— მერე სახლი ხომ დაიდგი?

— კი, ბატონო.

— ხარი ხომ იყიდე?

— კი.

— სასიმინდე ხომ გააკეთე?

— კი.

— თხები ხომ გაიჩინე?

— კი.

— ᲗᲘᲛᲨᲘᲚᲘ ხომ გადაიგდე?

— კი.

— ახლა სხვისი მიწაც ხომ დაიგირავე?

— კი.

— აჰა, შე დალოცვილო, საიდან მოვიდა ეს, ხომ შრომიდან მოვიდა?

— რასაკვირველია, შრომიდან.

— ო... ო, ჩემო ბაბაია, ჯერე შენ ნახე, თუ რიგიანად იშრომე. შემდეგში რამდენი სიკეთე შეგძინოს შრომამ. ახლა ეს მითხარი, შენ აღარაფერი გქონდა და ამდენი შეგიძენია. ირაკლის კიდევ არაფერი ჰქონდა? ა... ხომ გახსოვს, ზურაბს რა მამული დარჩა? მარტო შენ სახლიკაცს, ზაკაიას. რომ აქვს დაგირავებული. ვაჟიშვილად არ ღირს? ეს, მე კი გადავუევი ლაპარაკს, — ჩაილაპარაკა მამა ევთიმემ. — კოკი! — დაუძახა თავის ერთ შვილს, რომელსაც ალექსანდრე ერქვა, მაგრამ სასიყვარულოდ კოკის ეძახდა.

— ჰო, — მოისმა ბიჭის ხმა.

— სტაროსტას დაუძახე, ბაბა. დრო არის დარეკოს. ახლა დროა ჩვენ საქმეს შევუდგეთ. ხვალ წირვას არ დააკლდეთ, ბაბა, — მიუბრუნდა ნიკოიას: — ხვალ, ბაბა, დიდი დღეა... წმიდათა და თავთა მო-

ციქულთა პეტრესი და პავლესი. მათ ქრისტიანობისათვის ბევრი იღვაწეს, ბევრი წვალება მოითმინეს.

— დეილოცა მისი სახელი, — პირჯვრის წერით თავისთვის წარმოთქვა ნიკოიამ.

— მათი ხსენების დღეს, ბაბა, სულით და გულით უნდა შეევეხვეწოთ მათ, — გააგრძელა მღვდელმა. — რომ მათ თავიანთი შუამდგომლობით და ლოცვით ჩვენზედაც მოფინონ ღვთის მადლი. მადლი მხნეობის და მოთმინებისა, აი, მარტო ხვალინდელ სამოციქულოში რომ წერია... ეჰ! რა ჭირი და რა განსაცდელი არ გამოუვლია წმიდა მოციქულ პავლეს: ურიათაგან ორმოცდაერთ მოკლებული ცემა მივიღეო. სამგზის კვერცხითა ვიეც, ერთგზის ქვითა განვიტვინე, ორგზის ნავი დამექცა, დღე და ღამე უფსკრულსა დავყაო... მრავალგზის ჭირნი ავაზაკთაგან, ჭირნი უდაბნოსა შინა, ჭირნი ძმათა მატყუართაგანო, სიმშილითა და წყურვილითა და რუდუნებითაო.

— დაილოცა მისი სახელი! — ისევ კრძალვით და პირჯვრის წერით წარმოთქვა ნიკოიამ.—ჩვენ რა გაგვეგება, ბატონო, ყრუებს.

* * *

ივლისის გახურებული დღე იყო.

ნაშუადღევს, ირმის ნახეთქში, ნიკოია თოხიტარია და ორი მისი შვილი, პეტრე და ათანასე, მარტო პერანგა სიმინდს მარგლავდნენ. ცის ლაჟვარდზე ერთი ბეწო ღრუბელი აღარ მოიძებნებოდა და მზე მეტად სასტიკ სხივებს ესროდა დედამიწას. დღევანდელი ბოჭრილი სქელი სიმინდი და ბალახბულახი სიცხისა გამო უკვე დამჭკნარიყო. მუშებს ედოთ სქელი სამარგლავი, სადაც სიმინდი და ბალახი ერთმანეთს ეტოკებოდა. მაგრამ მარჯვედ მოქნეული ფოლადი ჩქაფჩქუფით, ძირიანად სჭრიდა მავნე ბალახს და სიმინდს საზრდელად ნიადაგს უმზადებდა. სამივე მამა-შვილს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე, თხელი მიტკლის ბერანგი მათ გაოფლიანებულ ტანს ლავაშივით მიკვროდა და სიცხისა გამო გაწითლებული ტყავი გამოჩანდა.

— მაინც რომ ეს ბედნიერი სულ შეიკუმშა დღეს, — თქვა პეტრემ. — ერთს მაინც დაიქნევდეს ნიავი, თორემ მეტი არა ვარ, სულ ალივით მომეკიდა პირისახეზე.

— მოუქნიე, ბაბა, მოუქნიე, — წაათამამა ნიკოიამ შვილი, — ეს ფრთა როგორმე გავიტანოთ და მერე ერთი რიგიანად მოვისვენოთ.

— ე... ჯიჯა, შენ ახლა მოხვედი, ჯერ ორჯერ არ მოგიქნევია

თოხი და იმიტომ ასე ადვილად ამბობ ფსუას გატანას. ჩვენ კი... — შესჩივლა ათანასემ.

— წიე, მე შენ! — დაუძახა პეტრემ, — ნუ ცუღლუტობ-მეთქი. თოხს იქნევ კი არა, ქვეყანას აკვირვებ! შეხედე, აი, კეღუცა და დუტუ რა ამბავში არიან, — თვალით მიუთითა ორ, მოშორებით მომუშავეებზე; რაც დილით თოხი მოიქნიეს, მას აქეთ ძირს არ დაუდვიათ, სადილიც, მგონია, ზეზეურად ჭამეს. რა თავგადადებული ხალხია, შენი ჭირიმე! — გაიკვირვა პეტრემ.

— შენ, ბიჭო, სულ მე მიხარკე, — ჩაილაპარაკა თავის მხრივ ნიკოიამაც. — სათამაშოდ ხომ არ ვიყავი, დღეს დიდი კოვზით მაწონს რომ შეექცეოდი, ის საიდან მოვიდა.

ათანასემ არა მიუგო რა და ჩუმადვე მუშაობა განაგრძო.

ფართო ჭალაში ბევრგან მოჩანდა თეთრი პერანგი. ზოგან თითო, ზოგან ორი, ზოგან სამი და ზოგან ხუთი-ექვსი ერთად. ნანატრი დღეები იდგა და ყველა ცდილობდა ესარგებლა.

ბუნებამაც თითქო შეიბრალა მუშებიო, ნელ-ნელა აასისინა სიო. სიმინდის მწვანე ფოთლები ოდნავ შეირხა, აფორფოშდა და მუშების პერანგიც ააფრიალა.

— ო... ო... შენი გულისა! — სიხარულით წამოიძახა პეტრემ, როცა სიო გახურებულ სახეზე მოხვდა და ცივი ნიავი გადააფინა.

— კარგი, შვილებო, კარგი! — დაიძახა ნიკოიამ, როცა ფსუა გაიტანეს.

— ყალიონს თუ არ მოვუპაპუნე ერთი მოსვენებულად, თავის დღეში არ მარგია, — სამივენი იქვე თუთის ჩრდილში ჩამოსხდნენ. ნიკოიამ და პეტრემ ყალიონს მოუკიდეს და სიამოვნებით ამოუშვეს პირიდან მყრალი თამბაქოს ბოლი.

— თოხები კიდევ დასაპირავია, ოხერი, — ცოტა შეწუხებით წარმოთქვა პეტრემ. — ნახშირი კიდევ ვერ მივუტანე მჭედელს, რამდენი ხანია აღვუთქვი და სულ ტყუილი გამომივიდა. დრო და მოცალეობაც რომ არ არის! ხვალ ამოვუღებთ მგონია სულს ამ სამარგლავს. ა... ბაბა, თუ ღმერთმა გვაჩუქა, ახლავე რა სიმტკიცე ეტყობა ღეროებს, რა შქიშქილასავითაა“.

— მაინც რომ ამ უბედურს ტუტურუას ასეთი მიწა ხელში ჰქონდა და სულ ხელი რომ არ უხლია! ასეთი ბალახმორეული სიმინდიც არ მინახავს!

— ნუ გეშინია, ბაბა. თქვენს თავს ღმერთი რომ მიცოცხლებდეს, მიწის მეტი რა არის. მაგრამ ბართლომემ ასე ჩქარა, არა მგონია, ვალი გადაიხადოს. რომ იშოვნოს, ვალს მაინც არ გადაიხდის.

პირიქით, ეცდება კიდევ მიუმატოს. ფული ასე ადვილად რომ ეშოვნა, ჩვენ თავს არც კი მოგვატეხდა. ნუ გეშინია! ჩვენ მაგას ბულზე არ ვახატივართ და ისიც ჩვენ არ გვახატია, იმანაც ქე იცის... ბარტო წრეულს რომ დაგვრჩეს აქაური სიმინდი, — დარჩომილიცაა. გათავებულია ანგარიში, — მაშინაც ზარალში არ ვიქნებით. ეს სიმინდი ხომ სარგებელია, თავნი ფული სარგებლით უნდა მომცეს. არ მომიკვდეს იმის მეტი ჩემი თავი! კარგად არ მოვუპირე კისერში? ვეცადოთ, ვეცადოთ, შვილებო! ღმერთმა ეს მიწა ჩემი საკუთარიმც მაჩვენოს, — ხელი დაათათუნა ფხვიერ მიწაზე ნიკოიამ. — ევთიმე პაპასთან ამას წინეთ რომ ვიყავი, მითხრა: მეტი არ გაიხარა შენმა მტერმა, იმან რომ ფულები ასე ჩაგიჩხრიალოსო.

— მართლა, ბაბა, პეტრეპავლობას სევერიანეს ვხედავდი და იმ ბავშვზე რომ მეუბნება, რა ვუყოთ, არ ვიცი?

— აი, შენთვისაც უთქვამს.

— მითხრა კი არა, საშველი არ მომცა. წაიყვანეთ და წაიყვანეთო, დამიჯერეთ, სჯობია, თორემ მერე ინანებთო. ბაღანაც ისეთნაირად მოწადინებულია, რომ ცოდვაა მაგის ისე დაგდება. ახლა ჩვენი სახელი და გვარი თურმე რუსულად დაუწერია და გვიჩვენა გუშინ. ჩვენ ხულას ღკან მიუწერია ქორონიკონი, რომელ წელს, თვეს და დღეს დაიბადა სალომეს ვაჟი. აი ახლა რომ დაებადა. რამანოზა მესიმინდემ გაიარა ერთხელ, შეხედა და მე მკითხა: ეს ვინ დასწერაო.

— ბავშვმა მიაჭყაპნა-მეთქი.

— ბავშვი კი არა, კაცი ის ყოფილაო. ამისთანა კაი ხელი ნეტავი მე მქონდესო.

— რა ვიცი, შეიძლება მართლა კაცს დაემგვანოს და დავიხუჭოთ თვალები და ვითომ წავიყვანოთ ზუგდიდში? მარა, ა, წიე? გადაირიე! — თითქმის მიაყვირა ნიკოიამ, — ჩვენ კლასში სწავლას სად აუვალთ, ჩვენ კი არა, მდიდრები ვერ აუდიან. ოხერ თხებს რა ეშველება!

— არა, ბაბა, ღმერთი მოწყალეა, მოვახერხოთ რამე, — დინჯად მიუგო პეტრემ. — სექტემბერში მაგოდენი სამუშაო რა გვექნება, რომ ორი კაცი ვერ აუვალთ, მარტო სიმინდის აღება, გაგვიჭირდება დიდი, დიდი, ერთი კვირა ან ათი დღე. მერე ზამთარია და ისაა.

— თხებს, თუ გინდათ, მე ვმწყეესავ, — გაერია საუბარში ათანასე.

— ოჰო! — წამოიძახა პეტრემ, — ო... ო.. მოგშალე თუ არა

ასე ჩქარა? მე გახლავარ პეტრე. ძნელი ყოფილა თოხნაობა, აი, ჩემო ათანასე? სიმინდის მარგვლა ფართო ღელეში კიბოიას ჭერა გეგონა? ა!

ათანასე, თავდაღუნული და ცოტად დარცხვენილი, ნელ-ნელა იცინოდა. ნიკოიას, ცოტა არ იყოს, გაუხარდა, რომ ათანასემ თხეტის მწყემსობაზე დასტური განაცხადა, და ხალისიანად მიუბრუნდა პეტრეს:

— ბიჭო, იქ კლასში, ალბათ, დიდი ქირა იქნება შესატანი?

— არა, დიდი არ არისო, და მაინც სამი თუ ოთხი მანეთიაო წლიურად შესატანი. ერთი მანეთის ქაღალდიც უნდაო. ბინად კი მამიდასთან დავაყენოთ.

— შორს არ იქნება კოხთაიას სახლი?

— რა შორია, ცოცხალი ბავშვია, ერთ წუთს გაირბენს.

— აბა, ახლა, ბიჭებო, კაი მაგას! — დაიძახა ნიკოიამ, როცა ყალიონი ამოსცალა, — ერთიც დავსცხოთ ჩვენებურად ამ სამხრობისას. ე... სადა ხარ, ჩემო ახალგაზრდობავ? ტა, ტა, ტა, ძლივსღა ვდგები, ეგ ოხერი, შემეპარა ბალანგარი სიბერე, შემეპარა, ძალი მომაკლდა, — გაჭიანურებულად წარმოთქვა ნიკოიამ და ნელ-ნელა წამოდგა. — ღმერთო, დიდება შენდა! აბა, პეტრე, ის ფალაგე კარგა აჩეხე, თორემ ისევ დაითესება ეს სავალალო ჭყორჭყოტო, — დასძინა ნიკოიამ და თოხს ხელი მოავლო.

* * *

სევერიანეს ძლიერ გაუხარდა, როცა ფარნასაგან შეიტყო ნიკოიას გადაწყვეტილება მის სკოლაში მიცემის თაობაზე. უფრო ბეჯითად მოეკიდა საქმეს და ორ თვეში კიდეც რიგიანად მოამზადა.

თანდათან მოახლოვდა სევერიანეს საშუალო სასწავლებელში წასვლის დროც. სევერიანეს გულით უხაროდა ახალ სასწავლებელში შესვლა, ქალაქის ნახვა და იქ ცხოვრება, და გულის ფანცქალით მოელოდა წასვლის დღეს.

ბამა ევთიმეს კი ამ დღის მოახლოება ათასგვარ ფიქრსა და დარდ-ვარამში აგდებდა. სევერიანეს გარდა ორი სხვა შვილიც ამ წელს სასწავლებელში უნდა მიეცა და სამი შვილის ერთად გამოზრდა მძიმე ტვირთად აწვებოდა სოფლის ღარიბ მღვდელს, რომლის უიმისოდაც მცირე შემოსავალს ბლაღოჩინის ბასრი კბილი და წვეტიანი კლანჭები მღსრს ავლებდა და ნიორიდან ჩენჩსა არგუნებდა.

შინ რჩებოდა კიდევ ორი შვილი, რომელნიც დღეს თუ ხვალ

სასწავლებელში უნდა მიეცა. გარდა ამისა, თვითონაც ადამიანი იყო. ცოლი ჰყავდა, სახლ-კარი ჰქონდა, მტერმოყვარე მოუდიოდა. რასაკვირველია, ბევრი შავი ფიქრი ერეოდა თავში მამა ევთიმეს, მაინც გულმაგრა იყო, არ შედრკა. ბლაღოჩინისაგან ხუთი თუმანი, მთელი მისი წლის ჯამაგირი მოიტანა. გადასახადის გამოანგარიშებაში გამოქნილმა ბლაღოჩინმა ხუთი მანეთი ააფცქვნა. ამას კარგად ხედავდა მამა ევთიმე, მაგრამ რა ექნა, უნდა მოეთმინა.

ბლაღოჩინიდან გამობრუნებული შინ რომ მოდიოდა, კვლავ წარმოიდგინა თავისი აწმყო მდგომარეობა: „ერთ შვილს თბილისში გავგზავნი, ორიც სასულიერო სასწავლებელში მისაცემი მყავს და ჯიბაში კი მარტო ხუთი თუმანი მიძევს! ხუთი მანეთი კიდევ წამართვა მაგ ულმერთომ, ხუთი მანეთი ახლა ჩემთვის ხუთი თუმნის ტოლაა“. ამ ფიქრის დროს გულმა მეტი არ მოუთმინა და ბლაღოჩინის სახელზე ერთი-ორი უკარსაული სიტყვა ჰაერში აანიავა. „თათარი და ურია შევა ახლა ჩემს მდგომარეობაში, მარა რა ვქნა... მაინც რომ არ გაძღა ეს ოჯახდაქცეული! ბლაღოჩინობამდი ნემსის ყუნწში გაეტეოდა და ახლა კი მუცელი რუმბივით აგერ-აგერ გაუსქდება, მაგრამ მაინც ხვეჭავს და ხვეჭავს. მაცხოვარო, შენთვის ჩამიბარებია ჩემიც და მისი, ორივეს თავი, შენი მართლმსაჯულობის მოლოდინში ვარ, — ზეცას თვალებაპყრობით წარმოთქვა მამა ევთიმემ. — ღვთისმშობელი მომასწრებს ჩემი სევერიანეს კურსის დამთავრებას, რომ მაგისთანა ტყავის მძვრელებს ქეჩოში დააჯდეს. ბლაღოჩინობა არგუნა ახალმა, დაღმა დატრიალებულმა დროებამ, თორემ სხვაზე მეტი იმან რამე რომ იცის, ღმერთი ისე ააშენებს,“ — ფიქრობდა მღვდელი და თან დეზებით უჩქარებდა შინისაკენ. ხუთ თუმანს ორიც მიასესხა. ხუთი სევერიანეს ჩაუდო ჯიბეში და თან მოკლე დარიგებაც დაურთო.

— შვილო, შენ ხომ იცი ჩვენი მდგომარეობა, აი, ეს ხუთი თუმანი, ეს მთელი წლის ჩემი სახაზინო ჯამაგირია. ხომ ხედავ, შენს ორ უმცროს ძმებს, აი, დღეს ესენიც მიმყავს სასწავლებელში. მე არაფერს დავზოგავ თქვენთვის. აი, შეხედე, შვილო, ჩემს ანაფორას. რასა ჰგავს, მაგრამ მე ამის სრულიად არა მრცხვენია, ვიცი რა, რომ ამის საყიდელი ფულით უფრო საჭირო და სავალდებულო საქმეს ვასრულებ. ტყუილად არ დაფლანგო, შვილო, ფულები! ერთი მანეთი ერთი თუმნის ადგილას მოიხმარე, ურიგოდ არ გაისარჯო, უწმინდურ ადგილებისკენ არ გაიარო, უზნეო ამხანაგებთან საქმე არ დაიჭირო, უფროსების მორჩილი და თავმდაბალი იყავი, სწავლას ეცადე. ჩვენი სიღარიბის აშბავი თვითონაც რომ კარგად იცი, მე რად

ᲒᲐᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝ. ᲐᲘ, ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲓᲔᲓᲐᲨᲔᲜᲘ, ᲓᲦᲔ ᲡᲣᲚ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲫᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲑᲐ, ᲨᲔᲜ ᲘᲪᲘ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲗᲣ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲝ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲔᲪᲐᲓᲔ, ᲨᲕᲘᲚᲝ. ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲘ — ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔ, ᲨᲕᲘᲚᲝ. ᲐᲑᲐ, ᲥᲐᲚᲝ, ᲛᲝᲓᲔ! — ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲛ ᲪᲝᲚᲡ.

ᲗᲛᲐᲓᲐᲣᲕᲐᲠᲪᲮᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲘᲜᲫᲩᲐᲛᲝᲮᲔᲦᲚᲘ, ᲐᲗᲐᲡᲤᲠᲐᲓ ᲛᲢᲕᲔᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲤᲕᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲠᲘᲚᲘ, ᲐᲡᲔ ᲨᲣᲦᲐᲮᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲤᲘᲪᲮᲚᲐᲕ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲨᲕᲐ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲜᲝᲕᲐᲒᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲛᲨᲘᲪ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲝᲔᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲞᲐᲠᲣᲡᲘᲜᲘᲡ ᲑᲚᲣᲖᲐᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲛᲜᲔᲑᲘᲗ, ᲩᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲥᲕᲔ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ.

— ᲠᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲮᲐᲠ, ᲥᲐᲚᲝ, ᲗᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲒᲔᲕᲐᲠᲪᲮᲜᲐ, — ᲣᲗᲮᲠᲐ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ.

— ᲡᲐᲓ ᲛᲔᲪᲐᲚᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲐᲛᲐᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲓᲔ, — ᲛᲝᲬᲧᲔᲜᲘᲗ ᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛ, ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜᲔᲡ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲘᲙᲠᲐ.

— ᲨᲕᲘᲚᲝ, — ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲐᲜ. ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲐᲔᲕᲡᲝ, ᲒᲣᲚᲘ ᲐᲣᲩᲣᲧᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲐᲥᲕᲘᲗᲘᲜᲓᲐ.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲢᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲪ ᲐᲢᲘᲠᲓᲔᲜᲔ. ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜᲔᲡᲐᲪ ᲚᲐᲞᲐᲚᲣᲞᲘᲗ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ, ᲡᲣᲚ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲩᲐᲙᲑᲔᲩᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲨᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲘᲓᲒᲐ, ᲓᲔᲓᲘᲡ ᲢᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲑᲦᲐᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲠᲗᲝ.

— ᲰᲔᲠᲘ ᲰᲐᲐ! — ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲛ. — ᲢᲘᲠᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲔᲗ... ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐ ᲐᲑᲦᲐᲕᲚᲔᲑᲡ! ᲨᲔᲜ ᲡᲣ, ᲑᲐᲑᲐ, ᲜᲣ ᲢᲘᲠᲘ, — ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲐᲙᲑᲔᲩᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲨᲘ ᲐᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲣᲚ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲔᲓᲝ, — ᲜᲣ ᲢᲘᲠᲘ, ᲑᲐᲑᲐ, ᲛᲔ ᲨᲔᲜ ᲑᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲛᲝᲒᲘᲢᲐᲜ.

— ᲐᲑᲐ, ᲑᲐᲑᲐ, ᲑᲐᲑᲐ, ᲖᲝᲡᲘᲛᲔ! — ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲛ ᲛᲝᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲡ. — ᲨᲔᲜ ᲒᲐᲣᲓᲔᲥᲘ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲒᲖᲐᲡ.

ᲛᲝᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔ ᲐᲦᲕᲘᲠᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲣᲫᲦᲕᲐ ᲪᲮᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲙᲘᲓᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲝᲠᲘ ᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲔᲮᲖᲔ ᲨᲣᲐᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲐᲬᲠᲘᲗ ᲓᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲝᲮᲩᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲝᲕᲐᲒᲘᲗ. ᲔᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ ᲗᲐᲛᲐ ᲔᲕᲗᲘᲛᲔᲛ ᲯᲝᲠᲖᲔ ᲐᲙᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲖᲔᲓ ᲨᲔᲯᲓᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲐᲯᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜᲔ

მეორე ცხენზე შეჯდა. ორი-სამი რაღაც დარიგება დაიბარა მამა ევთიმემ და პატარა ქარავანი გზას გაუდგა. ფქვილით დატვირთული ცხენი და ჯორი მისი საკუთარი იყო და დანარჩენი სხვა ორი ცხენი მეზობლებში ნათხოვნი.

მამა ევთიმემ სევერიანე მატარებელში დააბინავა და თბილისში გაგზავნა. დანარჩენი ორი შვილიც სასწავლებელში მისცა, მათ ბინა მოუძებნა, წიგნები ყიდა და შინ დაბრუნდა. ორი კვირის შემდეგ ისევ მიაკითხა შვილებს, ცოტაოდენი სანოვაგე კიდევ მიუტანა. ამ დროებით წერილი მიიღო სევერიანესაგან, სადაც ის, სხვათა შორის, სწერდა, რომ მიმიღეს, სწავლაც დავიწყეთო, რაც შეეხება ხარჯს, თვეში სულ უკანასკნელი თხუთმეტი მანეთი მინდებაო. აჰა, ერთი — ამოიოხრა მღვდელმა ამის გაგონებაზე და დაფიქრდა. სასწავლებლის სამმართველოსაგან მოწმობა აიღო, რომ ორ შვილს სასწავლებელში ზრდიდა. ეს მოწმობები სევერიანეს გაუგზავნა და მისწერა, წარედგინა, სადაც ჯერ იყო და რამე შემწეობა ეთხოვა.

ნიკოია თოხიტარიამაც წაიყვანა ფარნა ზუგდიდში და პირველ დაწყებით სკოლაში მიაბარა. ფარნა გამოსცადეს და წარჩინებულად ბიუგო. სიხარულით დასვეს მეორე განყოფილებაში.

* * *

ოქტომბრის დამლევი იყო. ფურჩისაგან გარჩეული სიმინდი მამა ევთიმეს ოდის აივანზე ეყარა, ჯერ სასიმინდეში არ შეელაგებინა. თვითონ მამა ევთიმეს მთელი დღე ჩალის კონებად შეკვრისა გამო ხელები ათ ალაგას გაჩხვლეტილი, ტალახსა და სიმინდის ჩალაში ამოსვრილი ჰქონდა. სამზარეულო სახლის ვიწრო მიწურ აივანზე დაბალ სკამზე იჯდა და ფიქრს მისცემოდა. ეტყობოდა, ახალდაბრუნებული იყო ყანიდან და ძლიერ დაღლილიც იყო. უეცრად ოდის მეორე მხრივ ძაღლებმა ყეფა ატეხეს და ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა იმავე სოფლის მამასახლისის თანაშემწე, იგივე, რომელმაც ერთხელ ბასილ მძებრაძეს კონვერტი მიუტანა.

— ტაგუა ხარ, შვილო? ხომ არ გიჭირს რამე? — გამოეხმაურა მამა ევთიმე.

— არა, ბატონო, — ბიუგო მამასახლისის თანაშემწემ და შენდობის ასაღებად წამოიწია. მამა ევთიმე წამოდგა და ჯვარი გადაწერა.

— ეს, ბატონო, თქვენი უნდა იყოს, სასამართლოში მოიტანა მამასახლისმა, ვასილ ვაჭარს მიეცა. — ამ სიტყვებით ტაგუამ

მამა ევთიმეს კონვერტი გადასცა. კონვერტზე შვიდკაპიკიანი მარკა ეკრა.

მამა ევთიმეს თვალები გაუბრწყინდა. ეჭვი არ იყო, წერილი სევერიანესაგან იქნებოდა.

— სათვალე, სათვალე, ქალო! — დაუძახა ცოლს.

„ძვირფასო მამა! — სწერდა სევერიანე, — ღმერთმა ისმინა შენი ლოცვა, შენგან გამოგზავნილი მოწმობა წარვადგინე და ცხრამეტ ამა ოქტომბერს სახელმწიფო ხარჯზე მიმიღეს“... ქვევით რა იყო დაწერილი მამა ევთიმემ ვერ გაარჩია, რადგან თვალები აუწყალდა.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოიძახა მან, — კურთხეულო ხენწიფის სამართალო, — პირჯვარი ნელა გადაიწერა და ორი მსხვილი ცრემლი თვალებიდან ქაღალდზე დაეცა.

XVIII

სოფლის სასამართლოში

იანვრის ერთ დილას ჭყონონაში ციხის ნანგრევიდან გაჩნდა ბუკის გაცხელებული ბურიწი.

— ა... უ... უი...! — თან უმატებდა მებუკე რაც შეეძლო ყვირილით და მისი მჭექავი ხმა თითქმის მთელ ჭყონონას თანდათანობით ეფინებოდა და ჭანისწყლის გაღმა იკარგებოდა.

— დუ... დუ... დუ... დუ... დუ... დუ... დუ... მრტტტ... მრტტტ... ტტ... აუ... უი! — დაიჭექა მებუკემ და კიჟინითვე გააგრძელა: — კაცის შვილი არ დააკლდეთ სასამართლოს. ნაჩალიკი და პირისთავი მობრძანდება. თითო თუმნის საწინდარი გამოუტანეთ, ვინც დააკლდებაო. ა... უუუიბრტტ. ბრტ... დუ... დუ... დუ, დუდუ დუ დუ... ბრტ, ბრტ!

— წიე, რა ამბავია, რა ღმერთი გაწყრა, ამდენი ყრილობა ვინ გაიგონა, კიდევ ქურდობის თაობაზე არის? — არა ნაკლებ ხმამაღლა დაიძახა ციხის ფერდობის ახლო მცხოვრებმა ერთმა გლეხმა.

— ქურდები კი არა, ნაჩალიკს გამოსაცხადებელი აქვს, რაღაც დიდი საქმეო, კაიტატმა თქვა. მე თვითონ ვხედავდი, ჩვენი წერალი აჭიდაგაჭით მოაჭენებდა ცხენს ზუგდიდიდან!—ცოტა მოდაბლო ხმით დაუყვირა პასუხად მებუკემ, ცალკე საყვირის ბერვითა და ცალკე კიჟინით მოქანცულმა.

მეორე დღეს, სოფლის სასამართლოს ეზოში დილიდანვე დაიწყო ხალხმა დენა. ნაშუადღემდე კარგა ბლომად შეიკრიბა. ზოგი

სასამართლოს აივანზე იყო შეჯგუფული, ზოგი მახლობელ დუქანში, ზოგი მინდორში აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ და მუსაიფით თავს იქცევდნენ.

თოვლ-წვიმა არ იყო, მაგრამ ყინულივით ცივი ქარი საგრძნობლად უსისინებდა. ნაჩალიკი და მისი მიყოლებულნი ჯერ არსად ჩანდნენ. ნაბადში გახვეული ოციოდ გლეხი ცივი ქარისაგან სასამართლოს შენობის კედელს მიფარებოდა, ერთმანეთთან ახლოახლო დამსხდარიყვნენ და მუსაიფობდნენ.

— სადილი მაინც მეჭამა, — თქვა ერთმა. — აი, აი! ქვეყანა იქცევაო, მართალი მეგონა და გათენებამდი აქეთ გამოვწიე და აგერ ქე ღამდება, მაგრამ არავინა ჩანს.

—კარგად გავძეხი, ტყუილი რა მოგახსენო,—მიუგო მეორემ,— ჩვენ პირისთავთან მშიერს კი არა, მაძღარსაც [illegible]ერს პასუხის მიცემა. ისეთს შემოგძახებს და შემოგიკურთხებს [illegible] ცოცხალ[illegible]ზე და მკვდარზე, რომ ძუკნა ძაღლსაც არ გაეკონება. — [illegible] ქარ[illegible] კი იცის, — თქვა მესამემ, — მაგრამ დღეს ნაჩალიკთან [illegible] თქვამს რა ძალა ექნება. როცა მარტო [illegible], [illegible] [illegible]

— რომ ვთქვათ, გასამტყუნარიც არაა, — გაიხმაურა მეორემ.— იმდენ სხვადასხვა კაცებთან აქვს საქმე, რომ ყველასთან გულკეთილად მოქცევა და ყველას ერთობ დაკმაყოფილება შეუძლებელია. ზოგი ქურდია, ზოგი ჩხუბობს, ზოგი კიდევ...

— შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, — მიუგო მეხუთემ, — გინება, მერე, რა პატიოსნებაა. მაინცდამაინც თუ მიუცილებელი საჭიროა, ვინც დამნაშავეა, იმას უნდა აგინო, თორემ შენ მოადგები და მართალს და მტყუანს ერთმანეთს მიაჩარგაზებ, ეს როგორ შეიძლება!

— სრულებით უმიზეზო ვიყავი, ისე ბევრად მაგინა, მაგრამ სიტყვა ვერ შევუბრუნე, — ნელა შენიშნა ერთმა ღარიბულად ჩაცმულმა, პატარა, ერთი ბეწო კაცმა, — ლაპარაკი რომ დავაპირე, მათრახი მომიღერა და შემეშინდა.

— შენთვის, ბეჩა, მათრახი რა საჭირო იყო, — გაეხუმრა ერთი ჩასქელებული გლეხი, — იმ სისხო ბურწენივით ყაზახს სულიც მაგრა შემოებერა, ცაში აგაფრენდა.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ყველამ.

ერთი ჯგუფი სასამართლოს გვერდით ასე რომ მუსაიფობდა, მეორე ჯგუფი თვით სასამართლოს აივანზე მოგროვილიყო. აქ, ეტყობოდა, სოფლის გლეხთა მოწინავე კაცებს მოეყარათ თავი. თითქმის ყველანი სუფთად და კოხტად ჩაცმულ-დახურულნი

იყვნენ. ზოგს ჰაღალყელიანი წაღებიც ეცვა და მოჭედილი ხმალიც ეკიდა. უმეტესობას ხელში მათრახი ეჭირა, რაიც ამტკიცებდა, რომ ცხენით მოსულიყვნენ.

— ა... ზალიკა, მაშ დალიეთ, ა... კარგად? — ჰკითხა ერთმა ლამაზმა ბუხრის ქუდიანმა, ცოტად ჭაღარაგარეულმა, მეორეს, თუმცა წვერგათეთრებულს, მაგრამ მარჯვე და საღი გამომეტყველების კაცს.

— უჰ! მე შენ გეტყვი, სულ უღმრთოდ დავეწაფეთ, სულ უბედურად დავცხეთ. ტოლუმბაშს რომ არ ეღალატა, უბედურს. მე შენ გეტყვი, ა!.. გაქვს ღვთის წყალობა, ჩვენ იქითურ მაყრებს ვუზამდით, მოამბეს არ გავუშობდით შინ ფხიზლად. მარა რათ გინდა, რაღათ გინდა, გვიღალატა უბედურმა ნიკოიამ, მე ის კაცი მეგონა.

— ეჰ, ეჰ, მე ვიცი მისი ხასიათი, რომ შეხურდება, გადირეგაერია ლაპარაკში ერთი.

— ეგ ეგ, — მიუგო ზალიკამ, — ისე ქე ვიცნობდი და დიახ პატიოსანი კაცია, — ბაგრამ რათ გინდა, სიმთვრალეში... ღმერთმა დაგიფაროს მისგან. ჯერ ის ოჯახდაქცეული რა კარგად მიყვა საქმეს. საჩაიე ჭიქით დაიწყო ნეფე-დედფლის სადღეგრძელო. ორჯერ თითო ჭიქა რომ ჩამოატარა, მერე მეორეც მიუმატა. სამჯერ ისიც ჩამოატარა და მერე დიდი ჭიქა დაიწყო, ვერმუთიანი. მერე ყანწი. ყანწი ორჯერად დასცალა, და კიდევაც გადაირია. ვერაფრით ის ვერ დავამაგრეთ. ტანისამოსი სულ ერთიანად დაიფხიწა, ბოთლები დაამტვრია, შეფა კინაღამ წააქცია, ერთი სიტყვით, ფუი, მაგის...

— ნიკოიას როგორ ამოვარჩევდი ტოლუმბაშად, რათ ამოარჩიეთ, შენ თვითონ დამჯდარიყავი, ზალიკა, — მიუგო ერთმა გრძელ ნაბდიანმა წითელწვერამ.

— თოლი, რა ვიცოდი, დასაღუპავი, ისეთი გიჟი თუ იყო, თორემ მაშინათვე მე დავდგებოდი... ის ერთი ულვაშწაგრეხილი მაყარი კი ავავსე გუდასავით. სიმართლე უნდა თქვა კაცმა, სუფრაზე წმინდად იჯდა: ერთი-ორჯერ ღვინის განზე გადასხმაც მოინდომა. ბაგრამ ვერ მივართვი! სუფრიდანაც გვარიან საღად ადგა, თითქმის პირჯვარიც გარდიწერა და თავიც დაგვიკრა, მაგრამ შეფის გამოსავალთან რომ მივიდა, შენი მტერი! მძებრაძეების წისქვილის ღარივით ამოუშვა სულ პირიდან.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, — უთხრეს ზოგიერთებმა, — ხა, ხა, ხა, — იცინოდნენ სხვები.

ერთი სოფლის საუკეთესო ჯგუფთაგანი სასამართლოს მახლობელ დუქნის უკანა ოთახში იყო მოგროვილი.

იქ ბუხარში ცეცხლი ენთო და მის წინ სკამზე ბასილ მძებრაძე იჯდა. კედლის გასწვრივ მიდგმულ ტახტზე ოთხიოდ კაცი იჯდა. ერთ მათგანს თოვლივით თეთრი წვერი მკერდს სცემდა და მკერდზე ერთი თეთრი ვერცხლის მედალიც ეკიდა. ეს გახლდათ ნამამასახლისარი გიორგი ჭუბურია, კაცი გამოცდილი, როგორც ეძახდნენ. სხვა ორი, მის გვერდით მჯდომნი, შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. ერთი იყო ქოსა და დაღმეჭილი სახისა — ეს იყო მედუქნე ოქროპირა ძეკვიშვილი, და მეორე, შავწვერა, ხელობით ფურგალი, ისიც სოფლის ცხოვრებაში ძლიერ დახელოვნებული და ყოველნაირი კლიმანჭურების მცოდნე. მას ერქვა ბესარიონი. გვერდით კიდევ იჯდა ერთი მოხუცებული კაცი — ბაკურია ერცქემია, მთელ ჭყონონაში განთქმული მოლაპარაკე. ბასილის გვერდით სკამზე იჯდა მძებრაძეებში ჩამოსიძებული აზნაური ლავრენტი ტკვარჩელია; ისიც ძლიერ დახელოვნებული იყო სოფლელების მორიგება-წაკიდებაში, ვექილობასა და ამისთანებში.

სოფელ ჭყონონაში არავითარი საზოგადო საქმე ამ ექვსი კაცის გარეშე არ გადაწყდებოდა.

— შენ ნამდვილად კი იცი, ოქროპირა, რომ აწერის თაობაზე მოდის დღეს ნაჩალიკი? — ჰკითხა ბასილმა მედუქნეს.

— ნამდვილად ვიცი, ზუგდიდიდან წუხელ მოვედი. ჯვარისკენ კიდევაც დაუწყიათ აწერა.

— ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს აწერა? — იკითხა მოხუცმა ბაკურიამ.

— არაფერი ვიცოდე, — მიუგო ბასილმა.

— კაცო, ახალი კამელარია ხომ არ დგება, — გაერია ნამამასახლისარი გიორგი.

— მე ვფიქრობ სალდათობა ჯნდა იყოს, — წარმოთქვა ლავრენტიმ.

— ასე მოგახსენებენ, — კვერი დაუკრა მედუქნემ.

— რას, სალდათობას? — დაეკითხა ბასილი.

— სწორედ.

— არა მგონია!

— ყველა ასე ამბობს, — განაგრძო მედუქნემ. — ამბობენ, საბოლოოდ გადაწყვეტილიაო. ჩემი ძმისწული, თქვენც იცით, ნაჩალიკთან ლაქიათაა, და რასაც სანაჩალიკოში იტყვიან, ხომ არაფერი გამოეპარება.

— ვთქვათ, კარგი, ასეც იყოს, ეს მეც გავიგე Ჭორსავით, მაგრამ მართალი არ Ჭეგონა, ვთქვათ, სალდათობას გამოაცხადებენ, Ჭაგრამ როგორ იქნება, ყველას ერთად წაიყვანენ, აზნაურ-თავადებსაც? ეს როგორ იქნება, არ ვიცი, განა მაღალ საზოგადოებასაც გაუბედავენ ვითომ? — იეᲭვა ბასილმა.

— რასაკვირველია, შენს მტერს ღმერთი გაუწყრა? — მიუგო ნამამასახლისარმა, — თუ წაიყვანეს სალდათად, ყველას ერთად წაიყვანენ. წოდების გარᲩევა ამაში არ იქნება. საცა მე ვიქნები, შენც აქ გვერდით უნდა ამომიდგე, — ნიშნის მოგებით გაეხუმრა ბასილს და მერე ლავრენტის მიუბრუნდა: — ნუ გეშინია, ორივეს მოგვცემენ რუსები ხიშთიან თოფებს და ნა... პლე... Ჩუ! რომ დაგიძახებენ, უნდა თქვენი კეთილშობილება და Ჩემი პატიოსნება მობრუნდეს მარᲯვნივ. აკრა... ფულო, რომ გიკამანდრებენ, უნდა მოვბრუნდეთ მარცხნივ.

— ის დღე შენ არ მოგესწრება, — ხუმრობითვე მიუგო ლავრენტიმ, — Ჭე და შენ რომ ერთნაირად ვმსახურობდეთ. მართლა. ბასილი, ხუმრობის გარეშე, — მიუბრუნდა ლავრენტი ბასილს, — ამ თავადაზნაურობას როგორ უზამენ, მათთვის, ალბათ, ცალკე ცხენოსნების პოლკს შეადგენენ, აი, ომიანობაში არ იყო, კაცო, დვორიანსკი პოლკი?

— მე ვფიᲥრობ, ასე უნდა იქნეს.

— მეტი თქვენი თავი არ მომიკვდეს, — გაერია დურგალი. — ყველა ერთად იქნება: გლეხი, თავადი და აზნაურობა. სამხედრო Ჭეგარა Ჩვენ სახელმწიფოში საერთოა, თუ ეს ასე არ იქნა, მე Ჭევრი მაგინე!

— რას ამბობ, კაცო! — ცოტა არ იყოს მწყრალად მიუგო ლავრენტიმ.

— მაშ, რის თავადაზნაურობაა, რა მაღალი წოდებაა, თუ გლეხისაგან არ გაარᲩევენ!

— მოიცა, მოიცა, — გაერია ბასილი,—ვთქვათ ახლა, Ჩემ შვილს და კოᲩას შვილს ერთად დააყენებენ, ა?.. როგორ გეკადრება?

— მე, ის კი არა, სასწაული გავიგე, — წარმოთქვა ნამამასახლისარმა.

— აბა, რა? — მიუგეს ერთბაშად.

— თქვენ, მაღალი წოდებაო, ამბობთ, და Ჩვენი თავადაზნაურობა Ჯერ გარᲩეული არც კი არისო. ვინ იქნება აზნაური, Ჯერ არაᲭინ იცისო.

— ეს ახალი ამბავი არაა, — ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ

თქვეს აზნაურებმა, — გარჩეული, მართალია, არაა, მაგრამ ჯერ კიდევ ვინ იცის.

— ღმერთმა იცის, ბაბა, უკეთ, როგორ იქნება საქმე, — წარმოთქვა მოხუცმა ბაკურიამ.

— პირისთავთან რომ მივალ, ყველაფერს დაწვრილებით გამოვკითხავ, — ცოტა ამაყად თქვა ტკვარჩელიამ, თითქო ამით ის უნდა დაიქადოს, რომ ერთი შემომხედეთ, რა ბიჭი ვარ, პირისთავთან დაახლოებული ვარო.

მზე თანდათან იხრებოდა, უიმისოდაც იანვრის მოკლე დღე თავდებოდა და მაინც არავინ ჩანდა. სასამართლოს წინ კარგა მოზრდილი მინდორი თითქმის აივსო ხალხით.

ბევრი ხნის უნახავები ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ზოგნი ცხენზე ან ხარზე ვაჭრობდნენ, ზოგი ხუროს ურიგდებოდა, ზოგი მეზობელთან სამოციქულოდ სიტყვას აბარებდა მეორეს, ზოგი ავადმყოფის მორჩენას ულოცავდა და ზოგიც სამძიმარს ეუბნებოდა.

თითქმის ბინდისას, როგორც იქნა, დაიძახა ვიღაცამ მოდიანო, და გზაზე რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. ხალხი ფიცხლად შეჯგუფდა სასამართლოს წინ. აზნაურები აივანზე მოთავსდნენ, მამასახლისი საზოგადოებას წინ დაუდგა.

— გამარჯვება თქვენი! — დაიძახა უფროსმა რუსულად, თუმცა ქართულიც კარგად იცოდა. თარჯიმანმა, რომელიც თან ახლდა, ხალხს გადაუთარგმნა.

— ღმერთმა გაცოცხლოს, — დაიგრიალა რამენიმე თავშიშველმა კაცმა.

— მე დღეს მოველი იმიტომ, რომ გამოგიცხადოთ უმაღლესი მთავრობის ბრძანება, რომლის ძალით თითოეული სახლობის სია უნდა შედგეს ერთი ფრიად დიდი და სასარგებლო საქმისათვის, რომელსაც ჩქარა შეიტყობთ. მიუცილებლად საჭიროა, ამ დღეებში მიროვოი პოსრედნიკი მოვა თქვენს სოფელში, მოგიხმობთ და ყველა უნდა სიაში ჩაეწეროთ; ვის რამდენი შვილი ჰყავს და რა ჰასაკისანი არიან. სათქმელი ხომ ვისმე არაფერი აქვს? — დაუმატა უფროსმა. თარჯიმანმა უთარგმნა. ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა.

— ერთს კი მოგახსენებთ, ბატონო, — მოისმა ბაკურიას ხმა, რომელსაც ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის წინ აყენებდნენ ხოლმე.

— აბა, თქვი?

— ჩვენ რამდენი შვილები გვყავს, ან რა ჰასაკისანი არიან განა მღვდელმა უკეთ არ იცის? ეს საქმე მას აბარია. მე, უნდა მართალი

ვთქვა, ნამდვილად, დაბეჯითებით რამდენი წლისაა ჩემი შვილები არც ერთი არ ვიცი.

— მღვდელი მღვდელია, და თქვენც ცალკე უნდა ჩასწეროთ, — უშნოდ მიუგო უფროსმა.

— ვაგრამ, ბატონო, ორი ჰასაკი ხომ არ იქნება, შეიძლება ჩემი ნათქვამი და მღვდლისა ერთმანეთს არ მოხვდა, მაშინ ხომ... — უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ბაკურიას, მაგრამ ადგილობრივმა ბოქაულმა, რომელიც უფროსის გვერდით მორიდებით იდგა, — სს... ბევრს ნუ ყბედობ, ყაზახოვო! — დაუძახა და ჩააჩუმა.

— სხვა როგორი მშვიდობაა შენ საზოგადოებაში, მამასახლისო? — ჰკითხა უფროსმა.

— მშვიდობა კარგი, ბატონო, თქვენი ბრძანებით.

— ქურდობა ხომ არ არის ხშირი?

— არა, ბატონო, მხოლოდ ძვაძვალა ჭკურუას მოპარეს იქით კვირას ერთი ლაფშა ცხენი, იორდანე სულუგინაძეს ჭაკი ცხენი, ფართხუნია ვაგიკვენაძეს უღელი ხარი და ირინე ქვრივს დედალი ვეწველი თხა. ბურდღუია ღვედაძეც ამბობს, ერთი ღორი მაკლიაო. დღეს განაცხადა, მაგრამ ჯერ არ არის გამორკვეული, მოპარულია თუ მეზობლების ღორებს გარდაყვა, ან სადმე მიიმალა.

— მერე განკარგულება ქენით რამე?

— ზომები უკვე მიღებულია, ბატონო, — გაერია ბოქაული, ღორზე ჯერ არაფერი მომიხსენებია და სხვა კი საქმის ქაღალდებში ჩაწერილია.

— კარგი! სხვაფრივ? — ისევ იკითხა უფროსმა, — როგორი მოსავალი იყო?

— კარგი, ბატონო, მხოლოდ ყურძენი ძლიერ დაზიანდა შარშან, ღვინო ძლიერ ნაკლები და ვდარე მოვიდა. ფერდოებში გვალვამ სიმინდი ძლიერ დააჭკნო და... ისიც ნაკლები იყო შარშან.

— კარგი, ისე ხომ ერთმანეთში თანხმობა არის?

— კი, ბატონო, მხოლოდ სულუგინაძეებმა და ჭკიდაძეებმა პარასკევს ერთმანეთს ცხვირ-პირი ჩაამტვრიეს, კიკო სულუგინაძეს ასულის მოტაცების თაობაზე. ახლა სულუგინაძე და ომერი ჭკიდაძე ან მორჩებიან, ან არა, ხუთ-ხუთ ადგილას აქვთ თავი გახეთქილი და ცხვირ-პირდაკაწრული კი ბევრია.

— ზომები ხომ მიიღეთ?!

— კი, ბატონო, — ისევ გაერია ბოქაული, — ოქმი შედგენილია.

— მშვიდობით, ძმებო! — დაიძახა უფროსმა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — დაიგრიალა ხალხმა და თავიანთ სახლში დაიფანტა.

* * *

მამა ევთიმემ დაუჯდომელი ილოცა, თმა დაივარცხნა და ის იყო ისევ ლოცვანს მოავლო ხელი, რომ მისი პატარა ზალის კარები აჭრიჭინდა და ნიკოია თოხიტარია შემოვიდა.

— ხომ არ ჭირს რამე, ნიკოია?! — მისძახა მღვდელმა.

— შენდობა, ბატონო, — მორიდებით წარმოთქვა ნიკოიამ და შენდობის ასაღებად გაეჩქარა. — უკაცრაოდ, მოძღვარო, შენ დღეს წირვა გქონია და მე არ ვიცოდი, გაგაწყინეთ. იმ საუბედურო ასაწერად მივდივარ. დღეს გვიბარებენ, მირონ პოსტონიკ სეფანე ჭუბურიას სახლში ჩამომხთარა და ყველა იქ უნდა მივიდეს და ჩასწეროს თავისი ოჯახობა. რა ვიცი, როგორ ვქნა. ზოგი ამბობს, მოძღვარო, ვცირეწლოვნად ჩასწერო სჯობიაო; ზოგი ამბობს, მეტი დასწერო უკეთესიაო; სულ ავირიე, არ ვიცი, ღმერთმანი, რომელ ერთს დავადგე.

— მე თუ რჩევასა მკითხავ, ჩემო ნიკოია, მართალს გეტყვი. ნურავის ნათქვამს ნუ აყვები. რაც ნამდვილად არის, ის ჩასწერე, ნურც მოუკლებ, ბაბა, და ნურც მოუმატებ.

— ნამდვილად რამდენია, ხომ არ ვიცი?

— ჰო, შეიტყო გინდა? ახლავე!

მღვდელმა საჩქაროდ აღსარების მთქმელთა სია მოსძებნა და ფურცვლა დაუწყო. მოიცა, ბატონო, — ჩურჩულებდა თავისთვის მღვდელი: — თოხიტარია, თოხიტარია... ფურცელავა... ირიკაშვილი... აა... თოხიტარია, თოხიტარია... სუმონიკა... სოკოია... აი, ნიკოია. თოხიტარია ნიკოია პერტეიას ძე! — დაიძახა მამა ევთიმემ. სამოცდახუთის წლისა, ქვრივი.

— მეტი ვიქნები, ბატონო.

— მე კი მგონია, რომ იმდენიც არ იქნები. შენი დაბადების დროს სად იყო საეკლესიო საბუთების წარმოება. შვილნი მისნი, — გააგრძელა მამა ევთიმემ, — პეტრე, ოცდაოთხი წლისა; ივანე ოცდაერთის წლისა, ათანასე — ჩვიდმეტის წლისა, ფარნა — თორმეტის წლისა და გაიანე — თხუთმეტის წლისა. დედამისი ჭუჭა გურიკოჩის ასული, ოთხმოცდახუთის წლის ქვრივი.

— საბრალო გურიკოჩაც წერებულა, — სიცილით შენიშნა ნიკოიამ.

— აა, ბაბა, ეს არის. დედაშენი ოთხმოცდახუთის წლისაა, შენ სამოცდახუთისა, პეტრე ოცდაოთხისა, ივანე ოცდაერთისა, ათანასე ჩვიდმეტისა, ფარნა თორმეტისა და გაიანე თხუთმეტისა. შენ და დედაშენზე, რა მოგახსენო, და დანარჩენებს გრამი არ აკლია, ყველა ჩემი ხელით მონათლული და ჩაწერილია.

— მაშ, მოძღვარო, შენი სიტყვით იყოს, არ მოვუკლებ, არც მოვუმატებ, თუკი არ დავიბენი მირონ პოსტონიკთან.

— ეს ცნობები ჩვენ უკვე გავუგზავნეთ მას.

— თქვენ თუ გაგზავნეთ, მე რაღას მაწვალებენ, არ ვიცი? მშვიდობით, ბატონო.

ნიკოია კარებში გავიდა. მამა ევთიმემ კი ლოცვანს ხელი მოავლო და დაიწყო: „მოვედით ერნო, უგალობდეთ ქრისტესა, რომელმან განიყვანა ერთი თვისი ზღვასა მას მეწამულსა“.

* * *

კონსტანტინე ტომბაშვილი წელსაც მოვიდა ნიკოია თოხიტარიას სახლში და თან ივანეც მოიყვანა.

ივანე ახლა სრული ვაჟკაცი იყო. ნიკოიამ, რაც შეეძლო, კარგად გაუმასპინძლდა ტომბაშვილს და განსაკუთრებული პატივით და მოწიწებით ეპყრობოდა.

— ღმერთმა თუ ჩემი პეტრეს ბედნიერება მაჩვენა, მორდიათ შენს გარდა არავინ მინდა, — სხვათა შორის გაურია ლაპარაკში ნიკოიამ.

— მაგისთანა უბრალო საქმეს კიდევ რა დიდი ხვეწნა უნდა, ჩვენი სახლები გაყოფილი არ უნდა იყოს! ასე არ არის, ივანე? — დაეკითხა ივანეს კონსტანტინე. — ე... ჩემო ნიკოია, ახლა იმდენად მიეჩვია ივანე სუკის მწვადებს, რომ რამდენიც გინდა ეხვეწო, მე არ მომშორდება.

— გუავდეს, ბატონო, გუავდეს, შენთვის მიჩუქებია, — ხუმრობით მიუგო ნიკოიამ.

ახლა ნიკოია თვითონაც არ მოაშორებდა ივანეს კონსტანტინე ტომბაშვილს. იგი ცხადად ხედავდა, რომ იმ კურთხეული დღიდან, როცა ამ კაცმა პირველად შემოდგა ფეხი მის ოჯახში, ყოველივე მისდა საბედნიეროდ შეიცვალა. წინათ ნიკოიას პერანგის გამოცვლა უჭირდა, ორ წელიწადში ერთხელ არ ეღირსებოდა სამოგვის ქალამანი, ტანზე ძონძი ეცვა, ახლა კი სულ სხვა იყო. გარეგნობით ხუფთად ეცვა და ეხურა.

კონსტანტინესაგან დროზე მოცემული ფულით დაგირავებულმა

ერთი ქცევა ირმის ნახეთქმა პირველსავე წელს სამოცი ფუთი სიმინდი მოუტანა, რაც, უკანასკნელი, სამი თუმანი ღირდა. ამნაირად თავის რიგიანი შრომით თავისი ფული, ორი თუმანი, პირველსავე წელს აიღო და ერთი თუმანიც სარგებელი დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ირმის ნახეთქი ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა მის უფლებაში, რადგან მძებრაძე ფულის დაბრუნებაზე არც კი ფიქრობდა.

ნიკოია ცხადად ატყობდა, რომ ტომბაშვილთან საქმის დაჭერამ ყველაფერში ბარაქა და წარმატება მისცა. ამას ნიკოია კონსტანტინესაგანაც არ მალავდა. როცა შემდეგი წლისთვის ტომბაშვილმა ივანეს ჯამაგირად ექვსი თუმანი და ტანისამოსი დაუნიშნა, ნიკოია და პეტრე ხმის ამოუღებლად დაეთანხმნენ.

— მხოლოდ ერთი კია, — თქვა კონსტანტინემ. — რქვენ იცით თუ არა, რომ წრეულს შემოდგომაზე უსათუოდ სალდათობა იქნება?

— ვიცით, ბატონო, — მიუგო ნიკოიამ, — ჩვენ აგვწერეს კიდეც.

— რამდენი წლისაა ივანე?

— ოცდაერთისა, ბატონო.

— აიტ! — დაიძახა კონსტანტინემ, — მზათა ყოფილა.

— ის კი არა, მე მეშინია, პეტრე არ წამართვან-მეთქი.

— პეტრე რამდენი წლისაა?

— ოცდაოთხისაა, ბატონო.

— ფიქრი ნუ გაქვს... მოიცა! შენ რამდენი წლისა ჩასწერე.

— რამდენიც არის, მღვდელს ამოვაკითხვინე და რაც ქაღალდში ამოვიდა, იმდენი ჩავაწერინე.

— კარგი გიქნია.

— სჯობია ვითომ?

— რა სათქმელია. რაც ნამდვილია, ნამდვილია, სანამდი იმალება, ბაბა. ხელმწიფეს ასე ადვილად ვინ დაემალება.

— პეტრეს არ წამართმევდნენ, თორემ!..

— ივანეს წაყვანა კი არაფრად მიგაჩნია? ა... როგორ არა, ხვალ დილით, — ნიშნის მოგებით უთხრა კონსტანტინემ. — ჩემი საქმე ფეხებზე გკიდიათ, მაგრამ ღმერთია მოწყალე, ივანეს არავის დავანებებ. ადრე ჩამოვალ და საქმეს.... მოვაკვარახჭინებ.

— შენ იცი, ბატონო, — ნდობით მიუგო ნიკოიამ.

— ის შენი პატარა ბიჭი სადღაა, — იკითხა სტუმარმა, — რაღაც თვალში მაკლია.

— ჰო, — სიცილით მიუგო ნიკოიამ, — ის, ბატონო, გადამრიეს, აი, გადამრიეს, ზუგდიდში კლასშია.

— კლასშია, სასწავლებელში? — გაიკვირვა კონსტანტინემ.

— აბა, ბატონო, რა ეკლასებოდა, მუტრ...

— დალოცვილო, მერე სათაკილოდ ჰიგაჩნია?

— სათაკილო კი არაა, ბატონო, მაგრამ მე ერთი ღალატი კაცი...

— ქე მაინც ვინ გირჩია აგეთი საქმე? — ხმამაღლა და აღტაცებით წარმოთქვა კონსტანტინემ.

— ჩვენი მღვდლის შვილმა, ბატონო, იმან დაუწყო სწავლება.

— ის ღმერთმა აცოცხლოს, ვიღაცაა, და შენ, ბაბა, ეცადე, ცოტა ხანი არ გამოიყვანო იქიდან. წერა-კითხვაში გაივარჯიშოს და მერე მე მკითხე! ივანეს სიმარჯვესთან და სიმართლესთან ერთი-ორი ანაბანა დამისწავლა! მაშინ ქე ვიცი, რას ვიზამ, მარა, — ნაღვლიანად დაუმატა კონსტანტინემ.

— თუ გინდა, ივანე აქეთ მომეცი და ის ბიჭი ახლავე წაიყვანე. იქ გყავდეს, რამდენ ხანსაც გინდა.

— არა, ჩემო ნიკოია, ნუ ჩქარობ. ივანე შენს ყანაში ახლა არ გამოდგება. ის ბავშვიც ჯერ ისევ იქ იყოს. ერთი-ორი წელიწადი კიდევ ისწაელოს და მერე დიდის სიხარულით წავიყვან. თუ ისიც მუყაითი კაცი გამოვიდა, მაშინ მე მიყურე! თუ თავზე ქუდი მახურავს, გაჩვენებ, როგორ ავაკრაჭუნებინო კბილები შენს მტრებს.

— ოი! — წაილუღლუღა ნიკოიამ, — მე ვინ მომასწრებს იმ დღეს, ერთი მაგათი თვალის ამოსათხრელად რომ ჩემი შვილები მათ ცხვირის მაჩხვეპარად დავუყენო.

XIX

სასიამოვნო შეხვედრა

ივნისის დამლევს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლის მოსწავლეები გამოსცადეს და დაითხოვეს. მეორე განყოფილების ან მეორე სტოლის, როგორც ეძახდნენ, შეგირდებში ფარნა თოხიტარია ყველას სჯობდა. მან ჩინებულად მიუგო გამოცდაში, რის გულისათვის, სახლში დასათხოვნელ მოწმობასთან ერთად, აჩუქეს ლამაზი წიგნიც, სადაც დახატული იყო სხვადასხვა ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, რუსეთის ისტორიაში გამოჩენილი კაცები, მეფეები, დედოფლები.

ფარნა სიხარულით ცას ეწია და დათხოვნის შემდეგ, რაც

ძალი და ლონე ჰქონდა, მირბოდა მამიდის სახლში, სადაც ბინადრობდა. ცალ ხელში ახლადმიცემული ბილეთი და წიგნი ეჭირა, მეორე ხელით ჩანთას იმაგრებდა, რომ სირბილის დროს ასპიდის დაფა არ დამსხვრეოდა.

— აი, დაგწყევლა ღმერთმა, შე კისერმოსატეხო, რა შტერივით მირბიხარ, ნელა ვერ გაიარე? ერთი ბეწო დამაკლდა, კინაღამ ცალი ბორბალი თხრილში გადამიგდო ამ მოზვერმა! — წყრომით მიაძახა გლეხმა, რომელიც ხარებშებმულ ურემს მოუძღოდა.

ფარნას დანახვაზე ხარები მართლა დაფრთხნენ და ურემი კინაღამ გადააბრუნეს.

—ამნაირ-აშნაირი გიჟებით სავსეა ის დასაქცევი კილასია, თუ რა ჯანდაბაა, — უკმაყოფილოდ გააგრძელა მეურმემ, — შენ რომ იქ რამე ისწავლო, ის დედიშენთან დაიქადე, — დაილაპარაკა გლეხმა და მოზვერს სახრე გადაუჭირა, თითქოს ფარნას ჯავრს ამაზე იყრისო.

ისარივით შევარდა ფარნა მამიდის სახლში.

— რა ამბავია, შვილო, ხომ არ მოგდევს ვინმე? — გაოცებით ჰკითხა მამიდამ, რომელსაც ცალ ხელში ცოცხი ეჭირა და მეორეში მტირალი ბავშვი.

— არა, მომდევს კი არა, შინ დამითხოვეს. აა... მამიდა, ბილეთი. რა კარგი ბილეთია, აა, როგორი წიგნი მაჩუქეს! — აღტაცებით ეუბნებოდა ფარნა და ბილეთს და წიგნს მამიდას აჩვენებდა.

მამიდამ ცოცხი დააგდო და ბილეთს თითები მოუპოტინა, თითქო მისი სიავკარგე თითებით უნდა გასინჯოსო.

— ახლა, მადა, მადა, მე წავალ, ახლავე წავალ, — თან ამბობდა ფარნა და თანაც ერთ ადგილზე წარამარა ტრიალებდა. მამიდას წიგნი და ბილეთი გამოართვა და ჩანთაში ფრთხილად შეინახა.

— სად უნდა წახვიდე, მადა? — ლმობიერად მიუგო მამიდამ. — დამშვიდდი, მადა, ხომ არ გადარეულხარ.

— სახლში უნდა წავიდე, შინ უნდა წავიდე, ჭყონნაში, ახლავე, ამ საათში, მერე ვერც კი მივუსწრებ, მეშინია შუა გზაზე არ დამიღამდეს.

— რას ამბობ, შვილო, პირჯვარი დაიწერე, სახლში მარტო რა წაგიყვანს, ჭოითმინე, ხვალ და ზეგ მოგაკითხავენ, ანდა მამაკაცი სახლში მინდა გავგზავნო, თქვენი ფოთიდან მოყვანილ ზავოდის ღორს გოჭები მოუგია, ჩემმა ძმამ ერთი აღმითქვა და უნდა მოვაყვანინო, და მაშინ შენც წაყვები.

— რას მეუბნები, მადა, ხვალ და ზეგ, ჯაჭვით რომ დამაბა, მე აქ არ მოვიცდი! მართლა რა, ბაღანა ხომ არა ვარ, მე ახლავე უნდა

წავიდე. მე გზაზე სრულიად არ შემეშინდება. გზა პირდაპირია, მარტო ერთი ასახვევია მარტოხელა მუხასთან, იქ მარჯვნივ რომ მიდის, ის გზა უნდა დავტოვო და მარცხნივ, აქეთ, სუკისაკენ მიმავალ გზას უნდა ავყვე, — აქ ფარნამ ხელი გაიქნია მარჯვნივ და მარცხნივ და თვითონაც ისე მიბრუნდა, თითქო ახლა იმ გზის გადასახვევში არისო. — სწორედ ეს გზა პირდაპირ ჭყონონაში მიდის.

— სადილი მაინც ჭამე, მადა, — უთხრა მამიდამ, როცა ნახა, რომ ყმაწვილი თავისას არ იშლიდა.

— არ ვინდა, მადა, არა, ღმერთმანი არ მინდა, — ფიცულობდა ფარნა.

—წიე, როგორ არ გინდა,—ცოტა ხმაშაღლა მიმართა მამიდამ,— დილით არაფერი გიჭამია, მაშინაც, აი, ჩქარა, აი, ჩქარაო, ღომის მოხალვაც არ დამაცალე.

— არა, მამიდა, სულ არა მშია, ბაბა ნუ მომიკვდება, სულ არა მშია.

ფარნამ საჩქაროდ ოძებნა, თუ რამ ტანისამოსი ჰქონდა. ძებნა დიდხანს არ მოუნდა, რადგან რაც ზედ ეცვა, იმის გარდა ბევრი არაფერი ჰქონდა. ფეხებიდან სამგის ქალამანი გაიხადა და ბოხჩაში ჩადო.

მამიდამ მაინც ცივი ღომის ნატეხი და ყველის ნაჭერი თეფშზე დააწყო და შესთავაზა.

სხვა ღროს ფარნა მგელივით ეცემოდა და ღომსა და ყველს თვალის დახამხამებაში გადასანსლავდა, მაგრამ ღღეს ზანტად მოუჯდა. მოტეხა ერთი ლუკმა ღომი და თან ყველიც შეაყოლა, კარგა ხანი ღეჭავდა და ძლივძლივობით გადაყლაპა. ერთი-ორი ლუკმაც, როგორც იყო, შეჭამა, მაგრამ ვერავითარი გემო ვერ მიატანა. საჩქაროდ წამოხტა და მამიდამ მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ბავშვი ჭიშკარს გადადიოდა.

— ჭკუიანად იყავი, ჭკუიანად, გზაზე რამე არ დაგიშავდეს! — დინჯად მიაძახა მამიდამ და ერთიც მზეს შეხედა.

ივნისის ბრწყინვალე და მხურვალე მზე ჯერ ძლიერ მაღლა იყო და ამით დაიმედებულმა მამიდამ ერთიც შეხედა მიმავალ ძმისწულს, აიღო ცოცხი და თავისი საქმე გააგრძელა.

* * *

ფარნა დაადგა გზას, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიდიოდა და მიდიოდა. პირველად ეადვილებოდა სიარული და თავს არ ზოგავდა, თითქმის გარბოდა, მაგრამ თანდათან გაოფლიანდა-

ფეხებშიაც დაღლა იგრძნო და სიარულსაც მოუკლო. ფეხსაბან ღელეს რომ მიუახლოვდა, იმდენად მოიქანცა, რომ საჭიროდ ცნო ღელის პირად, ჩრდილში, დაესვენა. „მზე ჯერ კიდევ სადაა, — გაიფიქრა მან, — დაღამებამდი მისვლას მაინც მოვასწრებ“. — თავისი პატარა ბოხჩა სასთუმლად ამოიდო და ჩრდილში წამოწვა. საწიგნე ჩანთაც მოიხსნა და იქვე დააგდო. ფრთხილად ამოიღო ბილეთი და წიგნი. ერთიც ბილეთს გადახედა, მერე წიგნი აიღო და სურათებს გულდადებით ათვალიერებდა.

კარგა ხანი ფურცლა წიგნი, მერე ისიც შეინახა და მზად იყო ისევ გზა განეგრძო, რომ რაღაც მტირალი ხმით ჩივილი შემოესმა.

— არა... არა... არ მინდა, — გაჭიანურებულად ბუზღუნებდა ვიღაცა, — რა იყო, რომ მითხრა, ცალკე ცხენს, კაი უნაგირიანს გამოგიგზავნიო! ფეხით წავალ, არ მინდა, ა...

ფარნა წამოდგა და მიიხედა. ერთ ცხენზე დიდი ხურჯინი იყო ჯადაკიდებული, ლოგინით და ბავშვის სხვა ხაბაკებით სავსე. შუაში ასე თერთმეტ-თორმეტი წლის ყმაწვილი იჯდა. ფარნამ შორიდანვე იცნო. მისი ამხანაგი აზნაური პავლე რომანოზის ძე უდიერაშვილი იყო. ცხენს ერთი ახალგაზრდა ოცი-ოცდახუთი წლის კაცი ფეხით მიუძღოდა.

— ცალკე ზიხარ, რა უბედურობაა, მაგ ცხენზე, — მიუგო შომყოლმა. — რა იცი, პავლე, ასეთი ახირება. ერთხელ რომ რასმე დაიჯინებ, საშველს არ მისცემ! რაც შენი მასპინძლის სახლიდან გამოვედით, მას აქეთ ბუზღუნობ და ბუზღუნობ, რა დაგემართა, შე კაცო, შენ ბარგზე შენვე იჯდე, რა სირცხვილია.

— არა, არა, — ისევ წაიბუზღუნა პავლემ. — ბარგი რა, მეფართლე ურია ხომ არა ვარ, თავისუფალ ცხენს რომ გამოგიგზავნიო, რათ არ გამომიგზავნა!

— არ დამიჯერებ, რომ გეუბნები. რომანოზიც და ელისაბედიც დღეს სატირალში არიან, თორემ ცხენი და უნაგირი თავისუფალი ყოფილიყო, უსათუოდ გამოგიგზავნიდა. ჯვარის საწერად ეკლესიაში ხომ არ მიდიხარ, შე კაცო. აი მიხვალ შინა და მერე ხვალ, ზეგ, რომელიც გინდა, იმ ცხენზე შეჯექი და რამდენიც გინდა. აჭენე-ათუხარიკე. აი ესეც, ვიღაცა მოსწავლე ყოფილა, — მიუთითა შომყოლმა ფარნაზე, რომელიც მათ მიუახლოვდა, — აი ხედავ, ფეხით მიდის შინ, მაგრამ რა უჭირს!

ფარნას ძლიერ გაუხარდა თანამგზავრების შეხვედრა და მით უფრო ამხანაგის, რომელზედაც ცოტაოდენი ამაგიც მიუძღოდა. უდიერაშვილი სწავლაში ცოტა სუსტი იყო და ფარნა გაკვეთილის

მიგების დროს უჩურჩულებდა. საანგარიშო ამოცანების გამოყვანა კი სრულებით არ იცოდა და მის გამოყვანაშიაც ფარნა ხშირად ეხმარებოდა.

— ის, რა ვუყოთ, ფეხით რომ მიდის,—დაიბუზღუნა პავლემ,— ის გლეხის შვილია და მე გლეხის შვილი ხომ არა ვარ, ფეხით რომ ვიარო.

— ვისიც შვილი გინდა იყოს, კაი ბიჭი კი ყოფილა, — მიუგო მომყოლმა და ფარნას დაუპირდაპირდა,—ფერი არ აკლია და ხორცი, შესაფერი სიმაღლე არ აკლია და სიგანე. ვაშლივით გაწითლებული ბიჭია და სხვა რა გინდა. გამარჯობა, ჯიმაია, შენი, — მიუბრუნდა მგზავრი ფარნას.

— ღმერთმა გაცოცხლოს, — მიუგო ფარნამ და გზას დაადგა.

— რასაა, პავლე, რომ ჩივი? — დაეკითხა ფარნა. გულში საშინლად ეწყინა პავლეს ამაყური სიტყვები, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქო არც გაუგონიაო. ეხ, — გაიფიქრა გულში, — რა ექნებოდა ერთი, მეც, ეს ოხერი, აზნაურის შვილი ვყოფილიყავიო.

პავლემ ფარნასაც ბუზღუნით გააგებინა თავისი მწუხარება.

— რა გატირებს, მერე, შე კაცო. ეს მაინც დაფაზე ამოცანების გამოყვანა არაა, რომ ვერ გამოიყვანო და იტირო. — მხიარულად მიუგო ფარნამ.

პავლე გაწითლდა და ხმა ჩაიკმიდა. მართლაც, პავლემ ერთხელ დაფაზე არითმეტიკული ამოცანა ვერ გამოიყვანა, მოთმინებიდან გამოსულმა მასწავლებელმა სცემა და პავლე აატირა. ამ ამბის გახსენება პავლესთვის ძლიერ მძიმე იყო. ფარნამაც მაგიერი გადაუხადა და მის ავადმყოფ ადგილს ფეხი დააჭირა.

პავლეს მომყოლმა კაცმა კი ვერაფერი გაიგო, თუ რომელ ამოცანაზე იყო ლაპარაკი. მას მხოლოდ ის უხაროდა, რომ პავლე ჩაჩუმდა და მისი ბუზღუნი აღარ აწუხებდა.

კარგა მანძილი გაიარეს ერთად და ერთ გადასახვევში პავლე და მისი მომყოლი თავიანთი სოფლის გზას დაადგნენ და ფარნა ჭყონონის გზას დაადგა. რამდენადაც ემარჯვებოდა და ეხალისებოდა ფეხის გადადგმა ზუგდიდიდან გამოსვლის დროს, ახლა ორი იმდენი ემძიმებოდა და ეზარებოდა. კუჭმაც თავისი განაცხადა, და ფარნას მის მიერ უპატიოდ მიტოვებული ცივი ღომი და ყველის ნაჭერი გაახსენდა. თავის წონა ოქრო რომ ჰქონოდა, მზად იყო ახლა იმ ცივი ღომი-ყველისათვის მიეცა, მაგრამ სად იყო! დაღლილ-დაქანცული

ზანტად ალაჯებდა და დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, წკვიპი ღელემდის მიაღწია, და იქ ერთი ჩრდილქვეშ გაგორდა.

ჭყონონამდი ჯერ კარგა მანძილი იყო.

დიდი ხანი იწვა ჩრდილქვეშ, ფეხები ცოტა მოულბა, მაგრამ კუჭს კი არა ეშველა რა.

„ტყემალი მაინც იყოს, ეგ ოხერი,“ — გაიფიქრა მან და კიდევაც უნდოდა ამდგარიყო და არემარე დაეთვალიერებინა, რომ ქალის ნაცნობი ხმა შემოესმა.

— ნამდვილად ფარნაა, შორიდანვე ვიცანი, ღმერთმანი, ფარნაა, არა, უჩანა?

— უნდა იყოს, მეც ასე მგონია, — მოისმა ბასილ მძებრაძის მოჯამაგირის ხმა.

ფარნამ მიიხედა; მის წინ, რამდენიმე საჟენზე, ტასია ცხენით, ფრანგულ უნაგირზე კოხტად განზე გადამჯდარი მოდიოდა. ვერცხლით ტარმოჭედილ მათრახს ცხენს ზურგზე ნელ-ნელა უცაცუნებდა. მის გვერდით დიდ სავსე ხურჯინაკიდებულ ცხენზე მათი მოჯამაგირე უჩანა იჯდა. ცხენი, ცოტა არ იყოს, ნოდია იყო და უჩანა ძალზე ერეკებოდა.

— ხომ გიცანი შორიდან, ხომ გიცანი, — მოუჭიკჭიკა ტასიამ.

— ჰაი, ჩემო ფარნა, ფარნაოზას გაუმარჯოს, — მიესალმა უჩანაც.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ. ვაინც მოგეწიეთ. მე თქვენ ახლა შინ იყავით მეგონა. დღეს დილით კლასში რომ მივდიოდი, მაშინ არ შემხვდი, უჩანა, მე შენ და მას აქეთ რა ხანია!

— არ იცი, ხაბაკი-მაბაკი, ზოგი საყიდელი რაღაცებიც დავაბარა ბასილმა, მერე სიცხემ მოგვისწრო შუადღეზე, თავის გადასაგდები, ღვთით, არაფერი გვიჭირდა და დავრჩით.

— ახლა ლაპარაკს კი ნუ გადაყვები, უჩანა, ერთი ჩამოდი მაგ ცხენიდან და ფარნა შეაჯინე! — ბრძანებით უთხრა ტასიამ.

— კი, ბატონო, მზადა ვარ პატივი ვცე, ეს კი ბიჭია, ცხონებული ამისი დედისაგან ბევრი კარგი გამახსენდება.

— არა, არა, თქვენ არ შეწუხდეთ, მე ისე წავალ ნელ-ნელა, მირჩევნია, — არეულად მიუგო ფარნამ.

უჩანა კი ჩამოხტა და ერთგულად ცხენს თავაზობდა. ცხენზე შეჯდომაშიაც ეშველა.

— აგაშენათ ღმერთმა, ოი, ოი, დამამტვრია მაგ ოხერმა კეხმა, ჰო, ერთი ფეხს რომ გავიმართავ, რამდენად მიღირს, საუბედუროდ, ის აბჟანდიც მოკლეა ჩემთვის, ფეხები შემხუთებია, — ჩიოდა უჩა-

ნა, ჯერ ერთი-ორჯერ წაიბაჯბაჯა და მერე მშვიდად ცხენოსნებს წინ გაუძღვა.

ფარნას კი უჩანასაგან დაწუნებული კეხი ღინღლის ბალიშად მოეჩვენა.

— მაგრა დაარტყი, მაგრა, ფარნა, თორემ ის ცოტა ჯანჯალი ცხენია, — მხიარულად ჩაილაპარაკა ტასიამ და ფარნას ღიმილით შეაჩერდა. ფარნამაც შეხედა. ორივენი ძლიერ კმაყოფილნი იყვნენ ამ შეხვედრით.

— როგორი ბილეთი გაქვს, ფარნა? — ჰკითხა ტასიამ.

— გვარიანი, — მიუგო ფარნამ.

— აბა მაჩვენე!

ფარნამ ხელი ჩანთაში ჩაყო, ბილეთი მოსძებნა, ცხენი გააჭენა, ტასიას მიუახლოვდა და ბილეთი გადასცა.

ტასიამ დახედა, მხიარულმა ფერმა გადაჰკრა სახეზე და აღტაცებით წამოიძახა:

— რომ ამბობ, გვარიანი კი არა, პირველი შეგირდი ყოფილხარ, ერთი ოთხიც არ გირევია!

— წიგნიც მომცეს, — დაუმატა გათამამებულმა ფარნამ.

— აბა!

ფარნამ წიგნიც აჩვენა. ტასიამ ცალი ხელით, ტუჩის შემწეობით, აქეთ-იქით გადაშალა წიგნი, რადგან მეორე ხელში აღვირი და მათრახი ეჭირა, და უფრო გახარებულმა და თვალგაბრწყინებულმა ფარნას შეხედა.

— ყოჩაღ, ფარნა, ყოჩაღ, ისე მიხარია, ისე მიხარია, რომ ჩემ ბილეთსაც გაჩვენებდი, მაგრამ ხელის ახლო არა ვაქვს.

— მართლა, როგორია? — დაეკითხა ფარნა.

— ისიც გვარიანია, — სიცილით მიუგო ტასიამ.

— მაინც? ხუთებია?

— ხუთიც არის.

— ოთხებია?

— ოთხიც არის.

— სამებია?

— ჰ... ე... ე... სამი კი არ არის. — გაგრძელებით მიუგო ტასიამ.

— ყოჩაღ! — მიუგო ფარნამ.

— აბა, რა გეგონა, ხა, ხა, ხა! — გადაიკისკისა გოგომ.

— გადგით, გადგით ფეხი, ეს ოხერი. ბედაურებზე ზიხართ და ვერ გარეკეთ! — მიაძახა უჩანამ, რომელსაც მათთვის კარგა მანძილით წინ გაესწრო, რადგან ბილეთისა და წიგნის განხილვის

დროს ცხენები მათ სულ ნელა მიჰყავდათ. — რა, ქაღალდის და წნიგის განხილვა მოგინდათ ახლა, არ ვიცი, — ჯავრობდა უჩანა. — კიდევ ვერ მოუწყინდით მაგ სანგაროს.

— ვაი, სი კოჩი, უჩანა. შენ, რაც გინდა იყოს, მაინც მოგეწევით! — ცქვიტად მიაძახა ტასიამ. აღვირი მაგრა დაიჭირა და ცხენს მათრახი დაარტყა. ცხენი ცოტად შეხტა და მერე ბაკუნ-ბაკუნით გაითოხარიკა. ფარნამაც, რაც შეეძლო, გააჭენა ცხენი. მან კი უშნოდ გაიქნია უკანა ფეხები და თაქთაქით გაჩანჩალაკდა. ხურჯინმა ფაფუნი ჭოიღო და კეხი აჭრიჭინდა. ციხის გადასახედავთან რომ ჭივიდნენ, ფარნამ მადლობა უთხრა და ცხენიდან ჩამოხტა.

— შენ აქ გადუხვევ? — ჰკითხა ტასიამ.

— დიახ, ამის გზა აქეთ არის, — მიუგო უჩანამ და უზანგი მოიმარჯვა.

— კვირას წირვაზე ხომ ამოხვალ? — ისევ ჰკითხა ტასიამ.

— ღსათუოდ.

— მეც მოვალ.

— ეეჰ, ბაბაია სქუა, დავღლილვარ. — წარმოთქვა ღჩანამ და ცხენზე მძიმედ შეჯდა.

ცხენოსნებმა გზა განაგრძეს, ფარნამ კი თავის სახლისაკენ მიმავალი ბილიკით გადაუხვია.

ტასია მალ-მალ უკან იყურებოდა და ფარნაც თვალს აყოლებდა. ცხენოსნები ქვიან დაღმართზე ნელ-ნელა დაეშვნენ. ტასიამ უკან მოიხედა, მაგრამ ფარნა ვერ დაინახა. მათ შუა პატარა ბორცვი იყო.

ზუგდიდიდან მოსვლის მეორე დღესვე ფარნამ ინახულა სეევერიანე, რომელიც ამ დღეებში ჩამოსულიყო ქალაქიდან. თუ შარშან ნიკაპი პატარ-პატარა ქინქლებით ჰქონდა დაფარული, წელს მუქი ფერი გადაჰკრავდა. სეევერიანეს ძლიერ გაეხარდა, როცა ფარნას მოწმობა დაათვალიერა და ამ ზაფხულსაც სწავლება აღუთქვა.

ერთი კვირის დასვენების შემდეგ, სეევერიანე ისევ შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. ახლა ის პატარა სეევერიანე არ იყო, გასართობად, როგორც ზოგიერთი სოფლელები ამბობდნენ, სასენაკოსთან რომ თამაშობდა. იგი ახლა დინჯად გამოიყურებოდა და როგორც გარეგნობით, ისე სულიერადაც სიმწიფის ნიშები ეტყობოდა. სოფლელებიც, როგორც ქალაქში მოსწავლეს, პატივითა და მორიდებით უყურებდნენ.

ჯერ ის შეეცადა, ცოტაოდენად სასენაკო შეეკეთებინა, ზოგიც

ბავშვების მ'მობლებისა და ზოგიც მამა ევთიმეს შემწეობით, სასენაკოს თხმელის თხელი ფიცრების ჭერი გაუკეთა. წინ ორი პატარა ფანჯარა გამოაჭრევინა და შუშის ჩასასვამი ოთხთვლიანი ჩარჩოები ჩაადგმევინა. სასენაკოს მტვერით სავსე და მინგრეულ-მონგრეულ მიწურ იატაკს სველი წითელი თიხა ბლომად დააყარა. გაასწორა და ბალღების შემწეობით კარგადაც დატკეპნა, ასე რომ, იატაკმა ცემენტმოსხმულის სახე მიიღო. ერთი მეზობელი ხურო მოიწვია და იმ ფიცრებისაგან, რომელიც სასენაკოში ჰქონდა, რამდენიმე საკლასო გრძელი მაგიდის მსგავსი რაღაც გააკეთებინა. ქვეშ წიგნების და ყაბალახების შესანახი ჯჯრაც ჰქონდა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატან-გადმოტანა ადვილად შეიძლებოდა. უწინდელ, ვარაუდად დადგმულ გაუწმენდავ ფიცრებთან შედარებით ეს დიდი ნაბიჯი იყო წინ.

ბავშვებიც იმდენი მოგროვდნენ წელს, რომ სასენაკო სანახევროდ არ ეყო და უადგილობისა გამო უკმაყოფილო ბევრი შინ გაბრუნდა. რაც იყო, ის იყო. სამაგიეროდ, ვინც მიიღო, იმათ კი რიგიანად მოჰკიდა ხელი. ყოველდღე სამ-სამ გაკვეთილს აძლევდა. შეგირდების სია და გაკვეთილების ნუსხა შეადგინა, ფურცელზე ლამაზად და მსხვილად დაწერა და წინა კედელზე გააკრა. ამნაირად, გარეგნობითაც სასენაკო სკოლას დაემსგავსა.

ფარნა და ტასიაც, რასაკვირველია, შევიდნენ მოსწავლეთა რიცხვში, ისინი ერთად ისხდნენ და მათ სევერიანე ცალკე ასწავლიდა. ტასიას და ფარნას, როგორც სამაზრო ქალაქის მოსწავლეთ, დანარჩენი ბავშვები, ცოტა არ იყოს, შურიანი თვალით უყურებდნენ, და იმათაც, ღვთის წინაშე, თავი მაღლა ეჭირათ და დანარჩენებზე უფროსობას ჩემობდნენ.

სევერიანეს ძმებიც დადიოდნენ სკოლაში, მაგრამ სევერიანე მათ ვერ მოურიგდა. ერთი რომ, როგორც ძმები, თამამნი იყვნენ სევერიანესთან, მის ნებადაურთველად, როცა უნდოდათ, შინ მირბოდნენ. შემოიღეს ბავშვებში კალმების თამაშობა, ჩხუბი და სხვადასხვანაირი ცელქობა, რომელიც უკვე დაესწავლათ ამ ერთი წლის განმავლობაში სასწავლებელში.

სევერიანემ თავისი ძმები სასენაკოში აღარ შემოუშვა. თუმცა მამა ევთიმე ამისი ძლიერ წინააღმდეგი იყო და ისეთი გუნდი მოუვიდა ერთხელ, რომ კინალამ მთელი სასენაკო მილეწ-მოლეწა და ბავშვები გარეთ არ გაყარა, მაგრამ ისევ მორბილდა და თავის შვილებს სხვა საქმე მიუჩინა. მათ ცხენისა და ჯორის მოვლა-პატიება ჩააბარა. ბავშვებსაც ეს უნდოდათ. ყოველ დილით ერთი

ცხენზე და მეორე ჯორზე პერანგის ამარა შეჯდებოდნენ და ერთი კიჟინით და დავიდარაბით გაირბენდნენ სასენაკოს კარზე, თითქო სევერიანეს აჯავრებენო.

ფარნა და ტასია თუ წინათაც მეგობრები იყვნენ, ახლა იმდენად შეეჩვივნენ ერთმანეთს, რომ უერთმანეთოდ ცხადად ეტყობოდათ მოწყენა. თუ რომელიმე მათგანი რაიმე მიზეზისა გამო გაკვეთილს დააკლდებოდა, მეორე იმ დღეს თავს უქეიფოდ და ულაზათოდ გრძნობდა, ზანტად წერდა და გაკვეთილს არეულად უგებდა; თითქო ვიღაცას ელისო, სულ განზე იყურებოდა.

— რა დაგემართა დღეს, არ ვიცი?! — გაკვირვებით მიუბრუნდა ერთ დღეს სევერიანე ტასიას; ფარნა ამ დღეს გაკვეთილებს არ დასწრებია. იმ დღეს ძველი ხელობა გაახსენეს, — თხას გააყოლეს. რადგან ნიკოიას ნადი ჰყავდა და არ ეცალა. — რა დაგემართა, ვერ გამიგია. გუშინ, გუშინწინ რა მშვენიერად მიგებდი, და დღეს კი, თითქო გეძინებაო, სულ გაფანტულად იყურები. რვეულზედაც ველანი ხუთ ადგილას დაგიღვრია.

ტასია, ჭარხალივით გაწითლებული, ძირს იყურებოდა და თავის ლამაზ, ფუნთუშა და ბოლოწაწვრილებულ თითებს ფიცარზე ნელ-ნელა უსვამდა. ერთხელ სევერიანემ ფარნა დაფასთან გაიყვანა. სამწუხაროდ. საკლასო დაფის მაგივრობას ახლაც ის გამურული მუხის ფიცარი ასრულებდა.

— აბა შენ დასწერე: ხუთიათას ექვსას სამოცდარვა!

ფარნამ დაწერა.

— ვთქვათ, ეს სულ მანეთებია. ახლა ეს ფულები გაუყავი ოთხმოცდაექვს კაცს, თითოს რამდენი ერგება?

ფარნამ გაყოფის მაჩვენებელი ხაზი გაუსვა და დაიწყო:

— ხუთი ათას სამოცდარვა უნდა გავყოთ ოთხმოცდაექვსად. ორმოცდათექვსმეტში ოთხმოცდაექვსი არ იმყოფება, უნდა მივუმატოთ ერთი რიცხვი, გამოვა ხუთას სამოცდაექვსი. ხუთას სამოცდაექვსში სამოცდახუთი არის..... — აქ ფარნა ცოტა შეჩერდა.

—ჰო, რამდენჯერ, დაახლოებით თქვი, — მოეხმარა სევერიანე.

— ექვსჯერ.

— ვთქვათ, კარგი!

— ახლა უნდა შევიტყოთ, ექვსჯერ ოთხმოცდაექვსი რამდენია, იმის გასაგებად, ოთხმოცდაექვსი ექვსჯერ იმყოფება თუ არა ხუთას სამოცდაექვსში.

— კარგი, — მიუგო სევერიანემ.

— ექვსჯერ ექვსი ოცდათექვსმეტი, ექვსს დავწერ, სამს ვინახავ, ექვსჯერ რვა... რვაჯერ ექვსი, — ორმოცდარვა. ორმოცდარვა და სამიც ორმოცდათერთმეტი. ერთად ხუთას თერთმეტი. ახლა ეს გამოვაკლოთ ხუთას სამოცდაექვსს. ექვსი, დარჩება ნული, ექვსს — ერთი, დარჩება ხუთი, ხუთს — ხუთი, დარჩება არაფერი.

— ასე, ასე, დიახ, — მოუწონა სეევერიანემ. ფარნამ ცარცი დაფას მოუღერა, უნდოდა რაღაც ეთქვა და კიდეც დაეწერა, მაგრამ ამ დროს მათრახმა გაიტკაცუნა და ცხენის ფეხის ჩქარი ბაკიბუკი მოისმა. ყველამ მიიხედა. სასენაკოს კართან ბასილ მძებრაძე იდგა ცხენით.

— ჰა! — დაიძახა სეევერიანემ. — ჩამობრძანდი, ბატონო!

— გმადლობთ, — სიცილით უთხრა ბასილმა. — იქით არა მცალია, სეევერიანეს გაუმარჯოს. — სეევერიანე მიეგება და ხელი ჩამოართვა. — მშვიდობა, ბიძია, თქვენი. გაიზარდეთ, გაიზარდეთ.

მამის დანახვაზე ტასია შეწითლდა და დარცხვენილი ღიმილით წინა ფიცარს დაეყრდნო.

— როგორ მშვიდობით, როგორ კარგად გიკითხო! რაა, შე კაცო, სულ რომ არ გამოჩნდი, ან ისე გავიარ კაცის სახლში, ან კარგს ვიტყვი, ან ავს! დასაბატიჟებლად ვერ მოვიცალე და ისე შენ კაცს არ მიეკარები. ეს როგორ შეიძლება! — უსაყვედურა ბასილმა.

— რა ვქნა, ბატონო, ხომ იცით, ვერ მოვიცალე, სულ საქმეები, — თავი იმართლა სეევერიანემ.

— მე შენ გეტყვი, კაი საქმეც ქეა, — დინჯად მიუგო ბასილმა, — თუ ღმერთმა გვაცოცხლა, შემდეგში ეს საქმე სულ კარგად უნდა გავაწყოთ. ჰე, ჰე, გიდი, შენ თავს ღმერთი სულ აქ, ახლოს რომ მომცემდეს სწავლის გათავების შემდეგ, მადლი ის იქნება. მაგრამ შენ, ძმაო, საით გადიკარგები, ვინ იცის, ჩვენი ტალახიანი სოფელი ეგებ არც კი იკადრო.

— არა, რატომ არა, — მიუგო სეევერიანემ.

— ეჰ! რატომ, ჩემო სეევერიანე, და იმიტომ, რომ შენ ჯერ გამოცდილი არა ხარ და მერე თვითონ შეიტყობ. ყაზახმა სიკეთე დაგიფასოს, არ შეიძლება. შენ ერთგულად რომ ეკიდებოდე, ის ეშმაკობას მაშინ დაგიწყებს და ქვეშ-ქვეშ სამარის სათხრელად მოგიდგება... შენ ახლა რომ შრომობ, განა ეს ცოტაა, მარა გიფასებს ვინმე? ა.. დედა ნუ მოგიკვდება?... ახლა აქ ჩემმა გოგომ რომ ისწავლა, იმდენი ვიცოდე ნეტავი და ასი მანეთი ამ საათში არ გადავიხადო, საშველი არ მომცა. რა გითხრა, სეევერიანე, — ხმა დაბლა ჩაილაპარაკა ბასილმა, — გაგაცდინე, მარა...

— არა, რათ იკადრებთ!

— არ შეიძლება, ტასია ახლავე შინ გაუშვათ? მე სასამართლოსკენ მივდივარ და დედამისმა დამაბარა, რაღაც საკერავები აქვს მისთვის.

— დიდი კმაყოფილებით, — მიუგო სევერიანემ.—ტასია, აიღე წიგნები და შინ წადი.

ტასიამ წიგნები მოაგროვა, ერთიც ფარნასკენ მოწყენილად მიიხედა და წასვლა დააპირა. ფარნას სახეზე ალმური მოედო და გულმა საშინლად ცემა დაუწყო. ბასილმა ცხენს ისევ შემოკრა მათრახი და სასამართლოსკენ წავიდა.

— აბა, შეშდეგ, ფარნა, გააგრძელე, — მიუბრუნდა სევერიანე ფარნას.

— რჩება ორმოცდაათი,—არეულად თქვა ფარნამ.—უნდა ჩამოვიტანოთ რვა, ხუთას რვაში ოთხმოცდაექვსი იმყოფება შვიდჯერ.

— რას ამბობ, ფარნა?! — მიუგო სევერიანემ.

— ექვსჯერ?

— არა.

— ორჯერ.

— ხუთას რვაში?! — გაკვირვებით დაეკითხა სევერიანე.

ფარნა გაჩერდა. ტუჩები გალურჯებოდა.

— რა დაგემართა, ფარნა? — ლმობიერად დაეკითხა სევერიანე. ფარნამ მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და მიუგო, თუმცა თავს ნაკლებ ანგარიშს აძლევდა, თუ რას ლაპარაკობდა. — ხუთჯერ.

— კარგი!

— ხუთჯერ ექვსი — ოცდაოთხი.

— რას ამბობ, რას?!

— არა ოცდაათი. ხუთჯერ რვა — ოცდათოთხმეტი...

— რა გემართება, ვერ გამიგია, რა კარგად დაიწყე, რა მშვენივრად ამბობდი! — კვირობდა სევერიანე.

— არა, ორმოცდასამი, ოთხმოცდასამი...

— კარგი, კარგი, დაჯექი. — შეკრულად შეხედა სევერიანემ და ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა და მერე ბავშვებს მიუბრუნდა.

—ერთი დარეკეთ. ადექით, ილოცეთ, გაკვეთილი გათავებულია.

30 იანვარი, 1901 წ.
ქ. თბილისი.

პირველი ნაწილის დასასრული.

ნაწილი პირველი

XX

საჭიროა საბუთი

საღამო ჟამი იყო, როცა აზნაური ბასილ მძებრაძე და მისი ბიძაშვილი ბართლომე ცხენებიდან ჩამოხტნენ და ოდის აივანზე ავიდნენ. ორივეს სახეზე სიდინჯე და ცოტაოდენი მოწყენაც ეხატებოდა.

მარიკა მათ მხიარულად მიეგება, და თუმცა მათმა გაბუტულმა სახემ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა, მაინც მიეხმატკბილა.

— რა ამბავი, ძუკუს მამა, მარშალთან რაზე ყოფილხართ დაბარებული?

ბასილმა ხმა არ გასცა, ნაბადი ნელა მოიხსნა და პასუხის მაგიერ ნელავე გადასცა.

— რამ გაგბუტა, შე კაცო? — დაეკითხა ისევ მარიკა. ბასილმა მათრახიც და ყაბალახიც ჩუმადვე მიაწოდა.

— რამ გარსაპა ეს ხალხი, არ ვიცი? — გაიკვირვა მარიკამ და ნაბად-ყაბალახი ოთახში შეიტანა.

ბასილი და ბართლომე აივანზე ჩამოსხდნენ.

მარიკა ისევ გამოვიდა.

— შენ მაინც მითხარი, რა ამბავია, ბართლომე, თუ ძმა ხარ? — უთხრა მარიკამ ბართლომეს.

— არაფერი, ბატონო, უმაღლესად გადაწყვეტილიაო, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობამ აზნაურის ხარისხი საბუთებით უნდა დაამტკიცოსო. ცალკე კომისიას ადგენენ ამისთვის და ყველამ, ვინც აზნაურია და სურს ეს წოდება დაიმტკიცოს, საბუთი იქ უნდა წარადგინოსო. ვისაც კომისია ღირსად იცნობს, ის რუსეთში გაიგზავნებაო და იქიდან გერანლიდგან დამტკიცება მოუვაო.

— დაილოცა შენი სამართალი, ნუ მეუბნები, ბართლომე! — პირჯვრის წერით წარმოთქვა მარიკამ. — მოდი ახლა და ნუ დაიჯერებ: თუ ახალი ამბავი გინდა, წისქვილში მიდი და იქ გაი-

გონებო. ახლა კი არა, შარშანწინ ხუმრობდნენ, რომ მაძინია წისქვილში ამბობდა: აზნაურებს საბუთს მოსთხოვენო. მე მაშინ ვიცინოდი. მოდი და ეცინე ახლა!

ბასილი ჯერ ხმას არ იღებდა. ბოლოს ხელი წაივლო ჩექმის ყელისაკენ და ყალიონი ამოათრია. ტარში ჩაშვიტინების შემდეგ ჯიბიდან ამოიღო დაჭრილი თამბაქოთ სავსე ხარის ბუშტისაგან გაკეთებული ქისა, რომელშიც ყალიონი ჩაჰყო და სალოკი თითით თამბაქოს შიგ მოგროვება დაუწყო.

— ირინე, ერთი სიფიჩქა! — დაიძახა მან.

მარიკა ადგა და ასანთი მოიტანა.

ბასილმა თუთუნს მოუკიდა, სქელ-სქელი ბოლი პირიდან ამოუშვა და თითქო ამ ბოლმა გამოაფხიზლაო, წამოდგა, ერთი გაიარ-გამოიარა და ლაპარაკი დაიწყო:

— აა... ახლა ვთქვათ, თუ კაცი ხარ, — მიუბრუნდა ბართლომეს, მარჯვენა ხელი მხარზე დაუთათუნა და მერე ჰაერში გააქნია.— ვთქვათ ახლა, ქვეყანა გაჩენილა და მძებრაძეც აზნაური ყოფილა. არა, თუ ძმა ხარ, არა! — თვალების მაღლა აწევით და ერთ წერტილზე დაბრიცებით დაუმატა მან.

— ჰტ! — წაიტუტუნა ბართლომემ.

— კარგი, ძლიერ კარგი! ამდენი ხანი, შე კაცო, თუ აზნაური იყო, ახლა რაღა საბუთი სჭირია, ა.... თუ ღმერთი გრწამს. მთელი სამეგრელო ენგურსა და ცხენისწყლის შუა დააფიცო, ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა, ერთხმად იტყვის, რომ მძებრაძე აზნაურიშვილიაო. ჩვენი გვარი ვინმე ბრტყელაია ან ცქვიტყურაძე როდია, გუშინდელი გააზნაურებული. გუშინწინამდე ხბოს რომ იხდიდა ბეგარად. ნანდული ძველთაძველი ტახტის აზნაურია მძებრაძე, და ახლა წარმოიდგინე, რომა... საბუთი წარმოადგინე, აზნაური ხარ ნამდვილად, თუ არაო, — აქ ბასილმა ტუჩი მოკუმა, მხრები აიჩეჩა, ყალიონის ტარი პირში ჩაიდო და მოუპაპუნა, მაგრამ ბოლი ვერ ამოუშვა, რადგან ლაპარაკის დროს ცეცხლი ჩამქრალიყო. ასანთის ღერს მოუკიდა, ხელში დაიჭირა და ისევ განაგრძო — შენ ახალგაზრდა ხარ, რა გახსოვს, და ცხონებული პაპაჩემი სუმონა რომ გენახა, ოჰო, ჰო, ამ კარში არ შემოეტეოდა. — ასანთი თანდათან იწვოდა და როცა თითი მოეწვა, საჩქაროდ ყალიონის ტარი პირში ჩაიდო, თან ძლივს მბჟუტავ ცეცხლს ყალიონს ადებდა და თან ლაპარაკობდა: — ხელმწიფე ნიკოლოზი რომ მობრძანდა ჩვენს ქვეყანაში. ლევან დადიანი დახვდა თავის აზნაურებით,

მთელი წოდება მოგროვილიყო და ამდენ კაცში ხენწიფემ სუმონია გამოარჩია. პირდაპირ იკითხა, ისე მოეწონა მისი ახოვანება... და ახლა რა ამბავია, შე კაცო... რა საბუთი გინდა უკეთესი... მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, — აქ ბასილმა ხმა დაუშვა, თითქო ეშინია, ვინმემ არ გაიგონოსო, — ღმერთსა ვფიცავ, ჩვენი ბრალია ყველაფერი. ზოგიერთი ისეთები გავურიეთ იმ წინანდელ ჩვენ დეპუტატ-საბრანიაში, რომ ერიამორიათ აშალეს ჩვენი საქმე.

— ასე ამბობდნენ, ბიძი, ჰო! ასე ამბობდა დღესაც თავადი სეხია ფარქანიძე. ეს საქმეც ზოგიერთებმა პირადი სარგებლობა-ინტერესისათვის გაიფუჭესო და ახლა მაგათი გაფუჭებული საქმით ათასი უდანაშაულო პირი დაისჯებაო.

— მეც იმასაა, კაცო, რომ ვჩივი. — აღტაცებით მიუგო ბასილმა და ფიცარზე ჩამოჯდა, — კაცი ვარ, კაცო, კატა ხომ არა ვარ? რამდენი უდანაშაულო პირი ისჯება! საწყენად არ ვიტყვი და რამდენია ხელმოკლე აზნაური, და ეს საქმე ახლა მათ ცოტაოდენ ხლაფოთს კი არ მოსდებს. საბუთი იქნება არა აქვს, ვინ იცის. თუ გინდ ჰქონდეს, ხომ იცი, საქმის წარმოება, საცა გინდა იყოს, რა სადავიდარაბოა; რამდენი დრო და ხარჯი ჭნდა. ამაზე ვამბობ, კაცო, თორემ მე? ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც რასმე ვიზამ. საბუთი რაა, შე კაცო, მაინცდამაინც, მე თუ არ მექნა, მაშ ვინ ოხერს ექნება? ის კი არა, ჩემი საბუთი სხვას უნდა გამოადგეს. მოურავად სულ ჩვენი ძველი იყო, დადიანის კარისკაცები სულ ჩვენები იყვნენ. ერთ დროს თურმე მძებრაძე სახუცეცის თანამდებობასაც ასრულებდაო, მაგრამ მე ვამბობ, საზოგადოდ, — ამაყად დაუმატა ბასილმა.

— ჩვენ კი, ბიძი, ერთი საბუთი უნდა გამოგვადგეს? — ჰკითხა ბართლომემ.

— მე ვფიქრობ, ჭნდა გამოგვადგეს. მამაჩემი, ცხონებული მერაბი იყო, იმის მკვიდრი ძმა იყო ზურაბი, მამაშენი. და მათი მამა, ე. ი. ჩვენი, რაღა, ბაბუა, იყო სუმონა. იმისი საბუთი ახლა ჩვენ ყველას უნდა გამოგვადგეს. მხოლოდ, როგორც მარშალმა თქვა, ჭნდა დავამტკიცოთ საეკლესიო საბუთით, რომ ნამდვილი მისი შთამომავალნი ვართ.

— ეს ხომ ბევრი არაფერია.

— არა, რატომ! ადვილიც არაა. ყველას კანტორის მოწმობა უნდა.

— მღვდლის ეყოფაო, რომ ამბობდნენ.

— არა, მე თვითონ მარშალს ვკითხე, არავინ არ მოტყუვდეთ. მეტრიკული მოწმობა უსათუოდ კანტორიდან უნდა იყოსო.

— ეს კი საქმეს გააჭიანურებს.

— რაც უნდა იქნას, უნდა ეცადო, ჩემო ძმაო. საქმის გაჯანჯ-ლება არ ვარგა. მე ტახტის აზნაური ვარო, რომ იძახო, ეს მარტო არ დაგიჯერა იმ კაცმა, ხომ ხედავ! დამისაბუთე, რომ აზნაური ხარო. რას უზამ, შენც, როგორც გიბრძანებენ, ისე უნდა უსაბუთო. ღმერთო, მომკალი, ყველაფერს მოველოდი და მძებრაძესაც თუ საბუთს მოთხოვდნენ, ამას კი არა... მე, შვილო, ხომ იცი, რაც შემიძლია, თავს არ დავზოგავ, მაგრამ კარგად ხედავ. ულეი მეც ერაფერი მაქვს. თქვენც ეცადეთ, დაფაცურდით. ირაკლის და პავლესაც ეთხარი, ხელი გამოიღონ, სირცხვილია!

— რასაკვირველია, ბიძი, რაც შეიძლება.

— ასეა და... ახლა, ძმაო, ფულებია საჭირო, ჩქარა უნდა შევი-ტანოთ, რომ ჩქარა გათავდეს და მორჩება... მაგრამ, ჰო! ფულებმა გამახსენა! დედა, ღმერთო, რა კაცთან მაქვს საქმე, კაცო, ღმერთი არ არის ქვეყანაზე? ჩემისთანა დასჯილი კაცი კიდევ იქნება? შემეჭა-ჭა, შემეჭამა, შემეჭამა მაგ დრიმინტია მაზაკვალმა.

დრიმინტიას გაგონებაზე ბართლომე გაწითლდა: მას ეზარებო-და დრიმინტიას ამბის გახსენება... ამ ამბის გახსენებაზე ყოველ-თვის ჩუმად თავისთავს სწყევლიდა, რა საეშმაკოდ ვასესხებინე მა-შინ ის ფულები ბასილს მაგ დასაღუპავისათვისაო.

— არ გაგისწორდა კიდევ, ა... ბიძი? — რაც შეიძლებოდა თანა-გრძნობით დაეკითხა ბართლომე.

— ჰმ! მა რას გეუბნები. შემეჭამა, ერთი სიტყვით! ჯერ ხომ, ხუთი წელიწადი მაწვალა. მერე უჩივლე, უხლაფორთე. რა თქმა უნდა, დავადევი. მერე ის იყო, ერთი ნაცხენია მოიყვანა. ქვეყანა შემიჩინა, ზალიკა შემომიჩინა, ისიც ნათელმირონი მომიმდურა... კიდევ დარჩა ორი თუმანი. არ იქნა და არა. დღეს ხვალ, დღეს ხვალაო... და ქე არის ისე... აბა, ასე სისხლი გამიშრო იმ გაკოტრე-ბულმა და გაცრუებულმა ყაზახმა.

— ღმერთიც იმას დასწყევლის, კაცი იყო მეგონა, კარგად ჰქონდა მაშინ საქმე და მეც იმან შემაცდინა. მოვმკვდარიყავი, ნეტავი, და ამ საქმეში არ გავრეულიყავი. მეც შემარცხვინა შენთან და შენც ქე გახრჩობს, — რაც შეიძლებოდა, პირს მოუ-ფერა ბართლომემ.

— ე... ეჰ! — ამოიოხრა ბასილმა და გაჩუმდა, რაც ყოველთვის

იცოდა, როცა საჭირბოროტო დრიმინტია ჭადრაკელიას გადაუხდელი ვალი გაახსენდებოდა.

დაბნელდა. მაისის დღის მუშაობისა გამო ილაჯგაწყვეტილი გლეხები ჭალიდან თავიანთი სახლისაკენ მიდიოდნენ. ბასილის სახლის პირდაპირ, შუა ჭალაში, მაღალ როკზე ყვავები ჩხავილით გროვდებოდნენ და ღამის გასათენებლად ემზადებოდნენ. მარიკა სამზარეულოსკენ წავიდა და ბართლომემაც შინ წასვლა დააპირა.

— მოიცა, შე კაცო, ვივახშმოთ, — შეეპატიჟა ბასილი.

— გმადლობ, ბიძი, ეს ცხენი კოჩას უნდა მივუყვანო, სადილობამდი მოვალ-მეთქი და მოვატყუილე, მეორეჯერ არ მათხოვებს.

ბასილი არ გაუძალიანდა. ბართლომე ახლო ხეზე მიბმულ ცხენთან მივიდა და თოქართო სატახტოს გასწორება დაუწყო.

— თე, ბართლომე, როგორ მიდიხარ, არ ვიცი? — უთხრა ბასილმა. — როდემდი ვაჭენოთ საქმე. მოდი, დღესვე გავსინჯოთ საბუთები, აბა, რომელი სჯობია. მოდი, მოდი, ცხენს მე ბიჭს წავაყვანინებ. გადადებული საქმე, ხომ იცი...

ბართლომე ისევ შემობრუნდა.

— ირინე! — დაიძახა ბასილმა.

— ბატონო!

— მოდი ერთი, ჩექმები გამხადე და წუღები მომიტანე.

ირინემ ჩექმა გახადა და წუღა მოართვა.

— ხარდანაძის ქალს დაუძახე, ერთ წამს აქ ვოვიდეს, — გასცა ბრძანება ბასილმა.

ირინე სამზარეულოსკენ წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ მარიკა ოდაში მძიმედ ამოვიდა.

— ხარდანაძის ქალო, — რაც შეიძლება ალერსიანად უთხრა ბასილმა, თითქო ამას წინეთ ბუტიაობისათვის ბოდიშს უხდისო. — ერთი, ხარდანაძის ქალო, ქაღალდები მოსძებნე, საბუთი უნდა ავარჩიოთ. რას გეტყვი, იცი, ბართლომე? მე შეიძლება კარგი საბუთი არც კი მქონდეს. რაც კი ქაღალდები იყო, განსვენებულ როსთომს ჰქონდა. აქ თუ რიგიანს არ წავაწყდით, ირაკლის და პავლესაც უთხარი, ხვალ ნურსად წავლენ. მე თქვენსა მოვალ და ყველა ქაღალდები დავათვალიეროთ. სირცხვილია, კაცო. თუ შევიტანთ, ერთი ჩვენ გვარს რომ ეკადრებოდეს, იმისთანა შევიტანოთ. ისეთი, რომ ბევრი სალაპარაკო არ იყოს და ფიცხლავ გათავდეს საქმე.

ამასობაში მარიკამ კარგა მოზრდილი ყუთი მოიტანა. ყუთი გარედან სხვადასხვა ფერადებით შეღებული თუნუქით იყო შეპე-

ლილი. ბასილმა ყუთი გააღო და მუხლებზე დაიდო. ყუთი ქაღალ-
დებით იყო სავსე.

— აბა, ბართლომე, ერთი კარგად დაათვალიერე. აბა, ჯერ ეს
ნახე რა არის, — უთხრა ბასილმა და სიძველისაგან გაყვით-
ლებული კარგა მოზრდილი ქაღალდები გადასცა.

ბართლომემ გახსნა, რამდენიმე ფურცელი ქაღალდი ერთად
იყო შეკინძული.

— სია გადასაბურავთა ფულთა გარდაცვალებულის აზ-რის
მერაბი მძებრაძესი, — დაიწყო ბართლომემ.

— უი, მართლა, ეს რათ მინდა, დაანებე თავი მაგ ოხერს, სად
მოქცეულა, — გააწყვეტინა ბასილმა. — სხვა, სხვა, შენი ჭირიმე.
ეს, რაც განიხილო, აქ სტოლზე დააწყვე, მაგრამ მოიცა, სიტყვაზე,
ერთი ის სიაც ნახე, მინდოდა მენახა და სულ მავიწყდება. ერთი, გენა-
ცვალე, მოსძებნე, ახთულა ტუტინაძემ რამდენი გადააბურა? მე
იქით მანეთი გადავაბურე და იმის შვილს საყვედური უთქვამს: მამა-
ჩემი მანეთით არ მოვიდოდა მერაბის სახლშიო.

ბართლომემ სია გადაშალა და ჩუმ-ჩუმად კითხვა დაიწყო: უ...
ე... იოსება ცქვიტიამ — სამი შაური.... უ.... უ... არჩილა ერჩქინ-
დიამ — ორი აბაზი... ხახუ ზინდაშვილმა — ერთი აბაზი.

— ახთულა ტუტინაძემ, — ჩაილაპარაკა ბასილმა.

— ვეძებ, ბატონო, — ბართლომემ ქაღალდი ისევ გადმო-
ფურცლა. ელიზბარ თეთრაძემ ორი მანეთი... ზალიკა წკირაძემ
ხუთი მანეთი... თო! — დაიძახა ბართლომემ, — ის მაშინაც იყო
თქვენი მოკეთე?

— რასაკვირველია, იმის მამის მონათლული ვარ და ახლა
შვილებიც მას მოვანათლე.

— რომ ვერა ვნახე. ახთულა ტუტინაძე!

— იქნება არაფერიც გადააბურა?—სიცილით შენიშნა ბასილ-
მა. — მანეთიანებში ნახე. ვანეთზე ნაკლებს როგორ მოიტანდა, რა
ვიცი?

ბართლომემ ქაღალდი გადაფურცლა-გადმოფურცლა და ისევ
ჩუმ-ჩუმად კითხვა გააგრძელა: — უ... უ... უ... აი, აი, აგერ, ეს წავა-
წყდი: ახთულა ტუტინაძემ ერთი მანეთი.

— მადლობა ღმერთს. მანეთია, ა.... ნამდვილად?

— სწორედ, ერთი კაპეიკი არც მეტი, არც ნაკლები. ვინ გითხ-
რა, ჯავრობსო?..

— გავიგე და მართალი გითხრა, ისე შემრცხვა, რომ... ჯერ მა-

გალითი არ ყოფილა, რომ მე ვისიმე მოტანილი გადასაბურავი შემერჩინოს.

ბართლომემ ქაღალდი დაკეცა და მაგიდაზე დადო.

— ეს შეკრული ქაღალდები რაღაა? — წაატანა ხელი ბართლომემ წითელი ჩითის ნახევით ერთად შეკრულ ქაღალდებს.

— ეს არაფერია, — საჩქაროდ წარმოთქვა ბასილმა და ხელი დააფარა, ყუთიდან ამოიღო და ჯიბეში შეინახა, თითქო ეშინია, ვინმემ არ წამართვასო.

ეს ქაღალდები ხუმრობა არ იყო. აქ იყო ერთად მოთავსებული ყველა თამასუქი და აღმასრულებელი ფურცელი, რაც კი ბასილს ჰქონდა. მათი რაოდენობა, მარიკას გარდა, რასაკვირველია, არავინ იცოდა.

ბართლომე მიხვდა, რაც ქაღალდები იყო, და ჩუმად ჩაიცინა. „ოხ, ერთი ხელში ჩამიგდო, — გაიფიქრა მან. — როგორ გავაკოტრებ კარტოფნიკებს, ფოთი და ბათუმის გარდა სხვაგან არც კი ვიკადრებ თამაშობას. ჰე-ჰეი გიდი, და!“

— აბა, ახლა არ იჩქარო, ისე, თითო-თითოდ, ყველა ქაღალდები, — უთხრა ბასილმა.

ბართლომემ ხელი დაავლო ერთ მოძველო, ოთხად გაკეცილ ბატარა ქაღალდს.

„ძმაო ბასილ, ხვალ სარაქონში ვაპირებ წასვლას და გთხოვ...“ — წაიკითხა ბართლომემ.

— გადააგდე იქით, — ჯავრით თქვა ბასილმა. — ოხრად დარჩა მაგის თავი, კაცო, მაგისთანა ქაღალდები კი არა, საბუთები, ძველებურ ქაღალდებზე იქნება დაწერილი. არ ურევია ამ ოხრებში? მარშალმა, როგორ იყო რომ თქვა, რომელი წლის აქეთური საბუთი არ ვარგაო?

— ორმოცდაათისო, მგონია, ორმოცი რომ ურევია, ქე ვიცი.

— დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ მოცემულს ძალა ღარა აქვსო, ასე არა თქვა?

— ასე თქვა, მგონია!

— მგონია კი არა, ნამდვილად ასე თქვა. უსათუოდ მთავრის ან მეფის ხელმოწერილი უნდა იყოსო და ის პირი, ვისაც საბუთი ეკუთვნის, აზნაურად უნდა იყოს მოხსენებულიო. მაგრამ ერთი ეს მითხარი, დავით დადიანი რომელ რიცხვში გარდაიცვალა?

— რა ვიცი ამდენი ქორონიკონების, ეს მღვდლების საქმეა.

— მა რა იცი, — გაეხუმრა ბასილი, — ოთუსბირი?

— გაქვს ღვთის წყალობა, ოთუსბირი მე ვიცოდე, გინდა შენც

დაგასწავლო, ბიძი. მომეცი ის, ჯიბაში რომ შეინახე ერთი მსხვილ-თაგანი.

— აი, იქ რომ ბევრია, მეტი არ იხარა ჩემმა მტერმა, — ნაღვლიანად მიუგო ბასილმა და დაფიქრდა. — არ ვიცი, რომელ წელს გარდაიცვალა დადიანი.

— შენ, ბიძი, მაშინ კაი ტოცორო ბიჭი იქნებოდი, უნდა გახსოვდეს.

— ვიყავი, რათ არ ვიყავი, რაც ახლა ვარ, მაშინაც ის ვიყავი! სიმაღლეზე არ მომიმატნია მის შემდეგ და სიმსხოზე. მომაკლდა კი ბევრი. მაგრამ წელიწადი კი ვერ დავიმახსოვრე. დავით დადიანის სიკვდილის წელს იყო, თუ იმის მერე, მზე დაბნელდა, დღევანდელ დღესავით მახსოვს და მისი სიკვდილის მესამე იყო თუ მეოთხე წელსა ომერ-ფაშა ენგურს გამოვიდა.

— ამდენი რა გინდა, დავით დადიანის მერენდელი ვისიმე ხელმოწერილი აღარაფერს სჭრისო და ეს არის. თუ დავით დადიანის ხელმოწერილია, რომელი წლისაც გინდა იყოს, სულ ერთია. სიკვდილის შემდეგ ხომ ვერ მოაწერდა ხელს.

— ეს ასეა, კი, აბა, აბა ნახე, შეიძლება წააწყდე რასმე.

ბართლომემ ხელი დაავლო ერთ მოდიდო ქაღალდს, გაშალა და წაიკითხა: — პირობა...

— ოხრათ დარჩეს მაგისი თავი, — მიუგო ბასილმა. — საბუთი მინდა, კაცო, და არა პირობა. მაინც ერთი ნახე, აბა, ეს რომელი პირობაა.

ბართლომემ კითხვა გააგრძელა:

— „18... ნოემბრის 16 დღესა, ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მოწერნი ერთის მხრივ. აზნაურნი ბასილი მერაბის ძე, ირაკლი, პავლე და ბართლომე ზურაბის ძენი, კოხთა სჭუნჩის ძე, ვახთა ყაღვათის ძე. ირაკლი ჭუჭუს ძე, ერისთუ და ივანე უჩანას ძენი, ოქროპირა ჭვიპის ძე, გახუ იოსების ძე, უთუთი და გვატი სიკოს ძენი, ნარიქი და ამბაკო პეპუს ძენი მძებრაძეები. ლავრენტი გიორგის ძე ტკვარჩელია და მეორე მხრივ ამავე სოფლის და უეზდის გლეხნი სიკოია და გატონია სუმონიკას ძენი და...

— ოი. ეს ბალაგარი წისქვილის პირობა ყოფილა. — გააწყვეტინა ბასილმა. — აქ მეორე პირობა მქონდა სხვისი მობარებული და ის მეგონა.

— დელი, დელი. აბა დელა, ნანა, — გულშეწუხებულად შემოიმღერა ვიღაცამ ბასილის დარბაზში.

ორივემ აიხედა.

მათ წინ ძუკუ იდგა.

— ბართლომეს გამარჯობა, — მიემხიარულა ძუკუ.

— იცოცხლე, ალბათ შეგემატება რამე, უცბად შენი ხმა ვეღ ვიცანი...

ძუკუმ წარბები აიბზიკა, ტუჩები სასაცილოდ ააცმაცუნა და ოდნავ ენა გამოყო, თან ცალი თვალი ბიძაშვილისკენ ალმაცერად გადისროლა და ამით ბართლომეს ანიშნა, რომ ეს აქ არ იჯდეს, პასუხად რაღაცა საინტერესოს გეტყოდიო. მერე ქაღალდებს შეხედა.

— ეს ქაღალდები რა ამბავია? დაღარიბებული ვაჭარი გულის გასართობად ძველ დავთარში იხედებოდაო, ისე ხომ არ მოგდით,— ვითომდა იოხუნჯა ძუკუმ.

ბასილმა ერთი ამოიოხრა და დინჯად მიუგო:

— შენ სულ ასე იმასხრე! აგერ დავაყკაცდი, მაგრამ ჭკუა კი, რაცხა ცოდვის გადიდებაა, ერთი ბეწო რა არის, არ მოგემატა.

— შენ ხომ, თუ ქადაგება დაიწყე, ბოლოს არ მისცემ, — მკვახედ მიუგო ძუკუმ.

— შენთვის გეუბნები, შვილო, შენთვის, თორემ მე ყოველთვის ბასილი ვიქნები. ამ ჩემ დროებას, როგორღაც არის, კარგად თუ ავად, ქე გავათრევ. შენთვის, შვილო, შენთვის. მადლობა უფალს, ჩემ სიცოცხლეში ჩემი ცეტობით და მეტობით საქმე არ გამიფუჭებია. მხოლოდ ამ სიბერეში ეს ახალი დავიდარაბა არ გამჩენოდა, ტკბილად წავიღებდი ბოლომდი ჩემს დღეს... ამასაც შენთვის, შვილო, თორემ მე, სანამ ცოცხალი ვარ ბასილი მძებრაძე ვიქნები, კოჩა ბარიად არ გარდამქმნიან, მგონია, უბრალოდ ღირსებას არავინ ამხდის.

ბასილი თან ამბობდა და თან ბართლომეს ქაღალდებს აწოდებდა.

ბართლომე გაჩუმებული იჯდა. ქაღალდს ათვალიერებდა, თავის ქნევით უარს ანიშნებდა და ქაღალდს მაგიდაზე აგდებდა.

ძუკუ ჩაჩუმდა და სკამზე ჩამოჯდა. ის მართლა თითქმის დავაყკაცებულიყო. სიშაღლით ბასილს კიდეც აჭარბებდა. მისი განიერი მხარ-ბეჭი, დიდრონი თვალები, ჯანმრთელი გამომეტყველება მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ნიკაპი და ყბები ალაგ-ალაგ ნორჩი შავი წვერით დაფარული ჰქონდა.

სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც ვიცით, ბასილი ცოტა ხანს გაჯავრდა და ახლოს აღარ იკარებდა. მაგრამ თანდათან გული მოულბა. ან რა უნდა ექნა, ერთადერთი ვაჟიშვილი

იყო, ფრიად სახელოვანი მძებრაძეების გვარის გამაგრძელებელი. „რა ვუყოთ, მაინცდამაინც რომ არ ისწავლა,—ფიქრობდა მოხუცი,—ეჭვი არაა, სწავლა ჯობდა, მაგრამ თავადაზნაურობაში ასში სამი არ ურევია ნასწავლი, მაგრამ ქე ცხოვრობენ. რაღაც ბედზე არ მოყვებათ სკოლის გათავება. მარტო ჩემ შვილს არ დამართია ეს ამბავი. თავად ქიშვარდი ქაჯურაძეს და ყარამან წასულაძის შვილებიც ქე გამოაგდეს ძუკუს გამოგდების მეორე კვირას, მაგრამ ქე ცხოვრობენ თავიანთ სახლში... ჰე, მოვიძულო, სულ არ ივარგებს, შეიძლება სულ ავაზაკ-აბრაგებს აყვესო“. ბასილმა ისევ მოფერება და ალერსი დაუწყო შვილს.

ტანისამოსი, რა თქმა უნდა, რამდენიმე ხელი და კარგი ღირსებისა შეუკერა. სირმით აჭრელებული შაგრენის წუღა-მესტები უყიდა. ახალი მოდის „შაჰაზის“ მესხებით გულ-მკერდი დაუმშვენა, ჭუთაისიდან ახალი მოდისვე სპილოს ძვლის ტარიანი დიდი ხანჯალი მოუტანა. დახერხილი ირმის რქით მოჭედილი კეხიანი და სირმით მოქარგული შაგრენის ბალიშიანი უზანგაღვირმოვერცხლილი უნაგირი გამოუწყო და თავისი სასიქადულო ვერცხლით მოჭედილი და მოოქრული ხმალი წელზე დაკიდა.

— ა... ძმაო, კაი ბიჭი და კაი ცხენ-უნაგირი, — ამბობდნენ ზოგიერთები, როცა ძუკუ, გამოწყობილი, პირველად გაერია საზოგადო შეკრებულობაში.

— ერთადერთი შვილია, მამაპისი შეძლებული კაცია, არ გამიკვირდება, რომ რიგიანად გამოაწყოს, — ცოტა შურიანად ამბობდნენ სხვები.

— კლასი მიატოვა ამ ყმაწვილმა? — კითხულობდა ზოგი.

— მძებრაძე სწავლული ვის გაუგონია,—ოხუნჯობდნენ სხვები.

ძუკუ შინ არაფერს აკეთებდა. დილით, საუზმის გვიან მირთმევის შემდეგ, ძმაბიჭებში გადიოდა. ისინი საკმაოდ ჰყავდა, როგორც აზნაურები, ისე გლეხები, ყველა მასავით უსაქმური. განსაკუთრებით მეგობრობდა ბართლომეს. მაგრამ ის ჭყონნაში ხანდისხან მოდიოდა. როგორც ვიცით, ბართლომე ბანქოს თამაშობით ცხოვრობდა და ჭყონნაში ამით თავს ვერ დაირჩენდა. მაინც, თუ ბართლომე ჭყონნაში იყო, ძუკუ იმას არ შორდებოდა. მათ ჩქარა მჭიდროდ დაუამხანაგდა იმავე სოფლის მცხოვრების, ჩვენი ნაცნობი კოჩა ბარიას მოგვარე, სოფრომია ბარია. სოფრომიას არც მამული გააჩნდა, არც დედული. მამას ერთი ქცევა-ნახევარი მიწა შეხვდა წილად მძებრაძისაგან და ისიც ბიძაშვილებმა შეისყიდეს. შესახედავად ლამაზი იყო. სიმღერა, ცეკვა, თამაში ჩინებული იცოდა,

საკმაო ოხუნჯიც იყო და ამიტომ, მიუხედავად მოჯალაბის შვილობისა, აზნაურების და თითქმის თავადების სახლებშიც მიღებული ჰყავდათ, თითქმის მთელი მაზრა იცნობდა. ბოროტი ენები ათასნაირ ჭორებს უგონებდნენ, თუმცა ჭორებს, უმრავლესობის აზრით. მისთვის არა იმდენად სათაკილოს, რამდენად სასახელოს. მუდამ სუფთად ჩაცმულ-დახურული დადიოდა და თითო ცხენიც ყოველთვის ჰყავდა. საქმეს არაფერს აკეთებდა; ამიტომ საზოგადოებას საეკვო პირთა სიაში ჰყავდა მოთავსებული.

ძუკუ, ბართლომე და სოფრომია თუ ჭყონონაში ერთად მოხვდებოდნენ, ერთმანეთს თითქმის არ შორდებოდნენ. საუზმობდნენ ერთად. უფრო კი, ბასილის სახლში, თუ უკანასკნელი შინ არ იყო. მერე დადიოდნენ სოფელ-სოფელ და მომეტებულ დროს არშიყობაში ატარებდნენ. ეს ხელობა ბართლომემ და სოფრომიამ ჩინებულად იცოდნენ და ახლა ძუკუს ასწავლიდნენ. საუკეთესო დრო იყო მათთვის გაზაფხული და ზაფხული, როცა სოფელი. თითქმის მთელ დღეს სახლის გარეთ, ჰინდვრის მუშაობაში ატარებს და შინ მარტო ქალები რჩებიან.

დღეს, რაკი ბართლომე ბასილს წაყვა, ძუკუ და სოფრომია მარტონი დარჩნენ. ერთი კარგად ისაუზმეს და მერე წავიდნენ ორფეხზე სანადიროდ, როგორც ამბობდნენ, მაგრამ დღეს რაღაც არ მოუვიდათ დღეში და დუქნებისაკენ გამოიარეს. აქ სხვა მათსავით უსაქმურებთან ცოტა ნარდი ითამაშეს, ბევრი ოხუნჯეს და იხუმრეს. საღამოზე ბურთიც ითამაშეს და მერე ძუკუ შინ წამოვიდა და სოფრომია თავისი ბიძის სახლში, სადაც ღამეს ათევდა.

— სულ არა და არა! — წყენით ჩაილაპარაკა ბასილმა. — ნახავ, თუ მე საბუთი მექნა? კაცო, რას მეუბნები! ასლი არ უნდა მქონდეს? წიე, დაუძახე ერთი დედაშენს, ერთ წამს მოვიდეს, — უთხრა ძუკუს. — ეს, ეს, აბა. ბართლომე! — სიხარულით წამოიძახა ბასილმა და ერთი ძველებური, ცხრაფრად გაკეცილი ქაღალდი ყუთიდან ამოიღო და გადასცა.

— გარეგნობა კი უგავს, — თქვა ბართლომემ.

— ჩუ ! წელსა, — დაიწყო ბართლომემ, — მარიამობისათვის კ დღესა, ესეთი ჟამითი-ჟამად და უკუნითი-უკუნისამდე უტყუარსა და ჯვარის სახედ ჩემს მიერ ხელმოწერილსა წიგნსა, გაძლევ ჭყონონას სოფლის მცხოვრები გლახ...

—გადააგდე, გადააგდე! მართლა რამე იყო, მეგონა,—იმედგადა-

წყვეტილად თქვა ბასილმა. — ეს ქორონიკონი რამდენია, ზევით რომ წაიკითხე?

— ეს კი ვიცი, საწყალმა ჩემმა მასწავლებელმა ივაკა დიაკონმა სხვა რა მასწავლა.—ჩინ, ყარ, ჲ —ათას რვაას სამოცი წელიწადია.

— ეს დავით დადიანი კი არა, მაშინ ომიანობა გათავებული იყო. ბუნტობაც გათავებული იყო, ჭგონია. ამას, რომ მოვკვდე, არ მირჩევნია? ხარდანაძის ქალო, — უთხრა ბასილმა ახალ შემოსულ მარიკას, — ეს რა ცოდვის გადიდებაა, ერთი საბუთი რომ ვერ ვიპოვეთ ამ ყუთში?!

— მე რომ მეკითხები, მე რა ვიცი, შენ ყუთში საბუთი რათ არა ძევს, ჰმ! — მხრების აწევით მიუგო მარიკამ.

— მაშ უჩარდია გითოლენდიამ უნდა იცოდეს შენ სახლში რა ძევს და რა არა? მაშ ვინ არის ოჯახის პატრონი, თუ არა შენ! — გულმოსულად დაიძახა ბასილმა.

— აღუ, არ დაიღალო! — დაუწრუწუნა მარიკამ და ცერი აჩვენა. — შენი ქალალდებისათვის მე ხელი არ მიხლია. რასაც მოიტან, შიგ ვინახავ. რაც ჩემ მოსვლამდი ეწყო, შიგ აწყვია, რასაც გაიტან, გაიტან და ის არის.

— აბა მაშ, მე საბუთი არა მქონია არც ერთი?

— მე რა ვიცი.

— როგორ არ იცი?! — თითქმის ჰიაყვირა ბასილმა.

— ხომ არ დამთვრალა ეს კაცი დღეს? — მიუბრუნდა მარიკა ბართლომეს. — ხომ არ გადარეულა? ხარდანაძის სახლიდან მოვუტანდი საბუთს, თუ რავაა მისი საქმე? რა ვიცოდი, რომ აზნაურობაც გაუჭირდებოდა, თორემ შეიძლება საბუთიც მომეტანა მისთვის.— ამაყად წარმოთქვა მარიკამ. — საბუთს რომ მე მეკითხება, რა ჩემი საქმეა საბუთი. მძებრაძეების გააზნაურება მე არ შემიძლია, წინათ თუკი არ იყვნენ აზნაურები.

— ახლა ყველას ნუ კი გვლანძღავ, — სიცილით მიუგო ბართლომემ, — შენ ძმასაც ასევე საძებარი ექნება, ნუ გეშინია!

— სასაცილოა კი არა, სატირალია, შე კაცო. — დინჯად ჩაულაპარაკა ბასილმა.

— იტირე მერე, ვინ გიშლის, — მოუჭრა მარიკამ. — რა მოგიბარებია ჩემთვის და რასა მთხოვ! რაც მოგიბარებია, ხომ ან დამიბრუნებია, ან ამ ყუთში ძევს. რაც ჩემთვის კაცს არ მოუცია, საიდან უნდა მოვძებნო, — ხელგაშლით დაუმატა მარიკამ.

— ახლა. ბიძი, ღმერთს სიმართლე უყვარს, — მშვიდად გაეერია ლაპარაკში ბართლომე.

—მარიკა მართალს ბრძანებს, თუ არ ჩაგიბარებია, მართლა რა... შეიძლება მართლა ჩვენსა არის, გაყოფის შემდეგ ალბათ შენ არ წამოგიღია, ამაზე რათ ჯავრობ.

— ეჰ, კაცო, — ცოტა დამშვიდებით წარმოთქვა ბასილმა. — როგორ დავიჯერო, როგორ დავიჯერო, რომ ამ ქაღალდებში ერთი მაინც ისე არ გამოერია. კაცო, გაიგონე, რომ სუმონა მოურავი იყო და ხშირად მოდიოდა ბატონისაგან მონაწერი. მაშინ ახლანდელივით გადაწერილი არ იყო საქმის წარმოება. მიწერდნენ, ეს და ეს გაეკეთეო, ან ამას და ამას ეს გამოუცხადეო, ან დაიბარებდნენ სასახლეში, ან რასმე აჩუქებდნენ. შიგ რაც ეწერა, იმას შეასრულებდა და ქაღალდს ყუთში ჩააგდებდა. დღეს, ხვალ, ზეგ, გროვდებოდა უანგარიშო. სად არ ეგდო. ერთხელ, ასე ოცდაორი წლის რომ ვიყავი, თავლაში ერთი პატარა ქაღალდი შევამჩნიე, ავიღე, მაშინ გვარიანად ვკითხულობდი. ჭყონონას მოურავს აზნაურს სუმონა მძებრაძესო, ეწერა ზედ. — ფერის ცვალობისთვის თუ ას კალმახს მომიტან, ბეკუ შუშხუნაძის უმემკვიდროდ დარჩენილ მამულს შენ გაჩუქებო, — შიგ ეწერა და ბოლოს მთავარი აწერდა ხელს. მე გამიკვირდა! აქ ამას რა უნდოდა-მეთქი, ავიღე და იქვე კედლის ჭუჭრუტანაში მივაბიძგე.

— ოუ, ბიძი, შენახვა ჩვენ არა გვცოდნია და ტყუი...

— კაცო, რას გეუბნები, — გააწყვეტინა ბასილმა. — ყურადღებას ვინ აქცევდა. სიზმრადაც არავის დასიზმრებია, რომ საბუთებს მოითხოვდნენ. მე ის მაჯავრებს, რომ ყველგან ეყარა და ნუთუ ერთი მაინც ამ ჩემ ყუთში არ მოყვა! ღმერთს გეფიცები, ტყუილი არ გითხრა, შენ გახსოვს, ერთი ხულას ტოლა პატარა სასტუმრო სახლი გვედგა, ძველად სად იყო სახლი! ერთი კედელი სულ მაგ საბუთებით იყო გაწებილი.

— მაგნაირ კაცს ჭკუა ჰკითხე! — დაცინვით შენიშნა მარიკამ და სამზარეულოსაკენ გაეშურა. — ოთახს იმით წებავდნენ, ცხენებს ჩალის მაგივრად უყრიდნენ და ახლა, თუ არ იპოვნეს, ხარდანაძის... — გზა-გზა ლაპარაკობდა მარიკა.

ბასილი გულში გრძნობდა, რომ მარიკა ყოვლად უდანაშაულო იყო, მაგრამ უნდოდა ჯავრი რამეზე გაექარვებინა.

— ნავარობა და ოხრობა მაგისი. ახლანდელ სიცოცხლეს სიკვდილი თუ არა სჯობდეს, ღმერთი გამიწყრეს, — გულდაწყვეტილად თქვა ბასილმა და აივანზე გავიდა.

ბართლომემ ღიმილით შეხედა ძუკუს და წარბებაბზეკით. ჩუმად ჩაალაპარაკა:

— რა ამბავი, ღღეს როგორი დრო გაატარეთ. სოფრომიაც იყო?

— ეხ! შენ დაგეჭცა დაბადების დღე. როცა საჭირო ხარ, მაშინ გადიკარგები. საბუთიანად ამოგაგდოთ ღმერთმა, რასაა, რომ ხლაფორთობთ, — უკმაყოფილოდ მოუგო ძუკუმ. — ვიყავით კი არა. ოთხჯერ გავიარეთ მისი სახლის ახლო, მაგრამ მარჯვე დრო ვერ ვიშოვნეთ. რაღა მარჯვე დრო გინდა, კაცო, ქმარი იქვე ეზოში მუშაობს, დგას ყაზახი და მარგლავს სიმინდს... ჰა, ღღეს შენც ვერაფერს იზამდი.

— ვაი, ვაი, ვაი, — მოუსწრო ბართლომემ. — უჩემოდ, ბიჭო. თქვენ გათლილ კიტრად არ ღირხართ. დამაცა, გაყურებინებ მისსეირს.

— ხერხიანი დრო თუ იშოვე, ეს მესმის, მარა, კაცო, მაჰაჯირობა ხომ არ არის, ძალით ხომ არ ეცემი, ისე მიზეზი უნდა გქონდეს. კაცის სახლში რომ მიხვალ, ვირივით ყაზახი გამოგეკიდოს და თოხის ყუით ხერხემალი ჩაგიმტვრიოს.

— ბართლომე მოგიკვდეს, თუ მაგის ჩანამტვრევი ხერხემლით ჭყონონაში გაიაროს. თქვენ რა იცით, ბიჭო, ჯერ არშიყობას რა და რა ხერხი უნდა. ძლიერ ლამაზია ის მამაძაღლი, ა!

— უჰ! ძმაო, — ათრთოლებით თქვა ძუკუმ, — დაადნობს კაცს, როცა მიდის, წვრილი წელი და განიერი თეძოები ისე მოგტაცებენ თვალს... მაგის ფუნთუშა ლოყებზე კი რაღა უნდა გითხრა. ტუჩები მიადევი და ზედვე დააკვდე, მადლია.

— მერე, კაცო, — საქმიანი კილოთი თქვა ბართლომემ, — მაგისთანა არსება ვისია? ვიღაც ჭუჭყიანი ყაზახის. მთელი დღე ვეებერთელა თოხი ხელში უჭირავს, მუხლამდის ფეხები ტალახში და მტვერში აქვს ამოგლესილი. ოფლის სუნით ერთ ვერსტს ვერ მიეკარები... და ამისთანა, მზის სხივებისაგან გადათუთქული მაგისთანა ანგელოზივით არსებას თავის ჭუჭყიან, სიცხისაგან დახალულ ტუჩებს რომ მიაყრდნობს... ეჰ, ჰ, ჰ, განა ეს სამართალია? ან ცხრაფრთად აბედივით დაბეჟილ ხელებს მის ბამბასავით ფამფა სხეულს რომ შემოახვევს, განა ეს ღვთის წყრომა არაა! მაგრამ დამაც...

— ერთი ვახშამი, ვახშამი, — შემოილაპარაკა ბასილმა და კარი შემოაღო.

ბართლომემ უცბად შეწყვიტა ლაპარაკი.

— მგონია წვიმაც მოვიდეს, ისე მოიღრუბლა, — გააგრძელა ბასილმა, — ცუდი კი არის ახლანდელი წვიმა... როგორ დავიჯერო,

რომ ერთი საბუთიც არა მქონია. ლაკადა ადგილებს ქე მოუხდება ახლანდელი წვიმა და ჭალას კი არ უნდა... შენ მაშინ ნახე .სეირი, თუ თქვენ სახლშიაც ვერ ვიპოვნეთ საბუთი.

— ჩემ სახლში როგორ არ მოიძებნება, რა ვიცი, ისე როგორ დაიქცევა ქვეყანა.

— შენი მტერი, რომ ხარჯი დაგვაწვეს, თუ შენთანაც ვერ ვიპოვნეთ და არქივში შეგვექნა საძებნელი.

— შეიძლება, ბიძი, სხვა ვისმე, ჩვენ მოგვარეებს ჰქონდეთ ჩვენი გამოსადეგი?

— არა ბგონი! პირიქით, მაგათი გამოსადეგი ჩვენ უნდა გვქონდეს. მძებრაძე, ნამდვილი და ღირსეული, სუმონა ყოფილა. მისი შვილიშვილები ვართ ჩვენ და საბუთიც ჩვენ უნდა გვქონდეს. აჰა, აი, დავიღალე კიდეც, ჩქარა ვახშამი, ძილი მინდა, — მიუბრუნდა ბოსამსახურე გოგოს, რომელსაც გარეცხილი ღვინის ჭიქები შემოჰქონდა.

XXI

ივნისის დამლევს სევერიანე წყალაძე ძლიერ დასუსტებული დაბრუნდა სოფელში. ეს თბილისში მისი ყოფნის მეორე წელიწადი იყო. სახე გაყვითლებოდა, ლოყები ჩავარდნოდა, მისი გამჭრიახი და მოელვარე თვალები ძლივძლივობით ბჟუტავდა. მამა ევთიმემ და ეკატერინემ კინაღამ ღრიალი ასტეხეს, როცა პირველად დაინახეს მათი შვილი, მათი სასიქადულო შვილი სევერიანე ჭლექში ჩავარდნილი ეგონათ. სევერიანემ სახეზე შეატყო მათ გულის აზრი და ანუგეშა.

— ღმერთი, რჯული, — უთხრა მან, — აქეთ წამოსვლისას თავი ექიმს გავასინჯე და პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ საეჭვო და საშიში არა მჭირს რა, მხოლოდ მირჩია სრული დასვენება, წმინდა ჰაერი და რიგიანი სასმელ-საჭმელი, ეფრო კი რძე და თოხლო კვერცხი.

— დედა, დაისვენე, ნანა, დაისვენე, შემოგევლოს დედაშენი, ოღონდ შენ მყავდე კარგად და სხვა შვილებს კისერს მოვტეხ, რომ ერთი ბეწო რამეში გაგაჯავრონ. რძე და თოხლო კვერცხს როგორ არ გიშოვნი, თუ ღმერთი შენს თავს მაღირსებს, — ათრთოლებით ამბობდა საბრალო დედა და თვალებიდან მსხვილი ცრემლები ჩამოდიოდა.

— ახლა შენც დაიწყებ ვაი-ვაგლახს. ხომ გითხრა, მოსვენებაა

საჭიროო, და შენ კი ტირილი დაიწყე და სულ აღელვებ, — უკმაყოფილოდ შენიშნა ცოლს მამა ევთიმემ. — კარგი, შვილო, — მიუბრუნდა სევერიანეს. — დაისვენე, ისეირნე, ჭამე და სვი, როგორც შენი ქეიფი იყოს. მხოლოდ ბავშვებს წრეულს ხელს ვერ მოკიდებ. მათ მეტისმეტი შრომა უნდა. აი გაისად, თუ ღმერთმა მშვიდობა ქმნა, მაშინაც მოასწრობ. ოღონდ შენ იყავ ჯანმრთელად.

ენით თამამად ლაპარაკობდა მამა ევთიმე, მაგრამ მის გულში კი აღელვებული ზღვა დუღდა და გადადიოდა. ჩუმ-ჩუმად ჩქარ-ჩქარა შეხედავდა შვილს და ცდილობდა მის სახეზე ამოეკითხა, საშიში იყო მისი მდგომარეობა თუ არა. „ვაითუ საეჭვო სატკივარი სჭირდეს და არ მიმხელდეს“, — ფიქრობდა საბრალო მღვდელი და გული უკვდებოდა. გაგონილი ჰქონდა, ამ მხრივ რა ცუდია დიდი ქალაქები და რა ზომამდია მისული იქ გარყვნილება. თავისი ეჭვი მამა ევთიმემ ცოლსაც გაუზიარა. საბრალო დედას ამის გაგონებაზე ტანში გააზმორა და მოთქვის კილოთი ქმარს მიუგო:

— დედა, დედა, ვინ იცის, ეგები ცეცხლმოკიდებული ვიყო და გენიაში ვიწვებოდე, იმ დასაქცევ ქვეყანაში. რა ვიცი, სად გაებაყრუ ბაღანა.

მაგრამ, საბედნიეროდ, მათი შიში გაქარწყლდა. ერთი კვირის განმავლობაში სევერიანეს უკეთესობა დაეტყო ღონეშიაც და ფერხორცშიაც, და მამა ევთიმე და ეკატერინე სრულიად დამშვიდდნენ.

სევერიანე სეირნობდა ხან ფეხით და ხან ცხენით. სვამდა რძეს, თოხლო კვერცხს ყლაპავდა. მზრუნავი დედა ყოველ ცისმარე დღეს, საოჯახო მოთხოვნილების გარდა, თითო ქათამს ჰკლავდა. რამდენიმე მეორეხარისხოვან ნაჭრებს, როგორც მაგალითად კისერსა და ფეხს, სხვა შვილებს მიუგდებდა, რომელნიც მგლის ლეკვებივით დაიფრინდებოდნენ და ძვლიანად ჩაახრამუნებდნენ და დანარჩენ საუკეთესო ნაჭერს სევერიანეს შესთავაზებდა.

ჩვენი ნაცხობი სასენაკო, რადგან წელს სწავლა არ იყო, ობლად გამოიყურებოდა. მის ახლომახლო ბავშვების ფეხისაგან გატკეპნილ ადგილზე მდელო ოავი იჩინა და სასენაკოს გვერდზე, და განსაკუთრებით უკან, ანწლი და გვიმრა სიხშირეში და სიმაღლეში ერთმანეთს დაეჯიბრა.

შარშანდელი ბავშვების მხიარული ცელქობა, ხმაური არეშარეს არ აღვიძებდა. მიჩუმდა და მიყრუდა სასენაკოს მიდამო.

მხოლოდ საზოგადო კანონს სევერიანემ წელს ფარნა გამოაკლო. მას კი მისცა ნება, როცა დრო ექნებოდა. მასთან მისულიყო და ფარნაც თითქმის ყოველდღე დადიოდა. მოჰქონდა ხან რძე,

ხან ყველი, ხან ხილი, ხან კიბო და თევზი, რომლის ჭერა ფარნამ კარგად იცოდა.

ახლა ფარნა უწინდელი ბავშვი როდი იყო. მაღალ-მაღალი, ლამაზი და ფერ-ხორციით სავსე, კანში აღარ ეტევაო, იფიქრებდი, ისე ჩასქელებული ჰქონდა მთელი სხეული. ახლა ის არათუ თამამად წერდა ქართულად და რუსულად, საღმრთო ისტორიასაც უთხრობდა და უბრალო ნაწევრების ამოცანებსაც აკეთებდა.

სეევერიანესთან მის რეპეტიციას სავსებით შინაური ხასიათი ჰქონდა. ყოველი სკოლური ფორმა და რიგი განდევნილი იყო. სეევერიანე ჭანდრის ჩრდილში ჭილობზე გორავდა და იქვე, მწვანეზე, ფარნა იჯდა წიგნით ხელში და კითხულობდა, ან არითმეტიკულ ამოცანას აკეთებდა. სეევერიანე ან ყურს უგდებდა, ან შეკითხვას აძლევდა, ან უხსნიდა. ხანდისხან რამე წასაკითხ წიგნს მისცემდა და გაკვეთილიც ამით თავდებოდა. მათ შორის უფრო მეგობრული მუსაიფი და დროს გატარება იყო, ვინემ სკოლური სწავლება. მაგრამ ამნაირი მუსაიფით ორი თვის განმავლობაში ფარნამ უფრო მეტი შეიძინა, ვინემ მთელი წლის განმავლობაში მუდამ გულმოსული და ზარმაცი მასწავლებლისაგან სამაზრო ქალაქში.

ერთ დღეს ზაფხულის ჩვეულებრივი ყუყუნა წვიმა დაუშვა. სეევერიანე დარბაზში იჯდა, ფანჯარასთან, და რაღაც წიგნს კითხულობდა, ფარნა კი შუა ოთახში სასადილო მაგიდას უჯდა, წინ რვეული ედო და წერდა. მამა ევთიმე ის იყო სამრეველოდან დაბრუნდა, ვიღაც ავადმყოფი ეზიარებინა, იქვე ოთახის შუაგულ იდგა და წვიმისაგან დასველებულ წვერს იწმენდდა.

— აბა, შეხედე, მამა, როგორ წერს ფარნა, მომავალი წლისათვის აღსარების მთქმელთა სიას მას გადავაწერინებ.

— აღსარების მთქმელთა სია კი არა, — იეჭვა მამა ევთიმემ.

სეევერიანემ წიგნს თვალი მოარიდა და მამას შეხედა.

— შენ არ მომიკვდე, აბა, დახედე?

მამა ევთიმე ფარნას მიუახლოვდა. ფარნა ცოტა აღელდა, გაწითლდა და ხელის კანკალით აატარ-ჩაატარა კალამი.

— თო, თო, ეს ბიჭი არ ხუმრობს, შენმა მადლმა! ეცადე, ჯიჯი, ეცადე! ღმერთი მოწყალეა, ვინ იცის, რას ამზადებს შენთვის? სეევერიანე, — მიუბრუნდა მამა ევთიმე. — რატომაა, რომ ფარნა ასოებს სულ ცალ-ცალკე სვამს, გადააბას ერთმანეთს, რა ჯჭირს, უფრო ჩქარა ვერ დასწერს?

— რასაკვირველია, მაგრამ მე მინდა, რომ ჯერ ასოების ლამაზად გამოყვანა დასწავლოს და როცა ამაში კარგად გაკარჯიშე-

ბული ასოების გადაბმას დაიწყებს, დაწერილი ადვილი გასარჩევი და ლამაზი გამოუვა.

— ჰო, როგორც ვატყობ, მომავალი წლისთვის კიდეც დასწერს აღსარების მთქმელთა სიას. დაილოცა შენი სახელი, — პირჯვრის წერით განაგრძო მამა ევთიმემ. — რა დროება მინახავს და რას ვხედავ, მერე ბევრი ხანი იყოს, ნეტავ! ოცდაათი წლის წინეთ. ნთელ სამეგრელოში, ასე წარმოიდგინე, ხუთმა-ექვსმა იცოდა რიგიანი წერა, ისიც სამღვდლოთაგანმა. ერის კაცებზე ნუ იტყვი. ზოგიერთებმა ხელის მოწერა ძლივს იცოდნენ და ბევრი მღვდელი იმასაც ვერ ახერხებდა.

— რას მეუბნები! — გაიკვირვა სეევერიანემ.

— ისე გამეზარდე შენ, ეს რომ მართალია. და ახლა ნახე, საბრალო ნიკოიას შვილი როგორა წერს.

— განა ცუდია, მამა? — მიუგო სეევერიანემ და წიგნი დაკეცა

— არა, ცუდიაო, ვინ ამბობს! ცუდი კი არა, განათლებაა. მაგაზე უკეთესი ქვეყანაზე რაღა იქნება. უზრდელი და უსწავლელი ძროხის ტოლია, ჭამს და ძინავს, სხვა არაფერი, მაგრამ ერთი კი არის: ჩვენმა კაცმა ცოტა თუ ისწავლა, ან თუ რაიმე შეიძინა, მერე მშვიდობით, მაშინათვე გაამპარტავნდება. ახლო ნუ მიეკარები, ასწევს ცხვირს მაღლა, არც ღმერთს იცნობს, არც კაცს. რა ვიცი, მე ასე შემიმჩნევია, და რამდენად მართალია, არ ვიცი, და ცოტა მოდაბლ წოდების კაცი ფეხს წინ რომ წარსდგამს, ცხელებაშეყრილ კაცს დაემგვანება.

— ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა სეევერიანემ. — ავადმყოფია, განა? გეთანხმები, მაგრამ ეს ბევრი არაფერი, დროება ყველაფერს გაასწორებს. ეს ბუნების კანონია. ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ ფარნა ასეთი არ იქნება, მგონია. ა, ფარნა, ცოტა რასმე რომ შეიძენ. გაამპარტავნდები და როგორც მამაჩემი ამბობს, სიცხე მოგეცემა?

ფარნამ თავი კიდევ უფრო ძირს დასწია და აკანკალებულმა ძლივძლიობით გაგრძელა წერა.

* * *

აზნაური ოსეყმა მძებრაძე რუსუდან ხინჯიას ასულის მესამე სჯულიერი ქმარი იყო. უწყალომან სიკვდილმან იმის თავიც გარდაიღო და დარჩა რუსუდანი ნამდვილი ქვრივი. მეოთხე ქმრის ნებას კანონი არ მისცემდა, და რომ მიეცა, არა ვგონებ, ვისმე შეერთო. ყოველ შემთხვევაში, საეკვო იყო მისი გათხოვება. მრავალმა წელმა და სამმა სხვადასხვა ხასიათის კაცმა თავისი ბეჭედი დაასვეს

რუსუდანს და ახლა ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ მისი დანაოჭებული, გამხმარი სახე ერთ დროს არა ერთსა და ორ ვაჟკაცს გულს უტოკებდა. ოხ, დროებავ, დროებავ! ოსეყმას სიკვდილის შემდეგ რუსუდანი ვერ მოთავსდა თავის გერთან, გახუსთან, ოსეყმას პირველი ცოლისაგან დაბადებულ შვილთან, და ვგონებ, უფრო მის ცოლთან იუსტინესთან. ხან აქეთ დააპირა წასვლა, ხან იქით, და ბოლოს გადაწყვიტა მონოზნად შემდგარიყო. სიცოცხლის ორმოცდამეთხუთმეტე წელს დაგმო და უარი უთხრა ამ ბილწ და გარყვნილ ქვეყანას. მაგრამ მონასტერში კი არ წასულა, იქვე, ჭყონნის ეკლესიასთან დააპირა ეპოვა მყუდრო თავშესაფარი და ლოცვა-ვედრებაში დროს გატარებით საუკუნო ცხოვრებისთვის მომზადებულიყო.

მართლაც, რუსუდანმა თავისი წილი, თუ რამე ჰქონდა, გახუს გამოართვა. ზოგი რამეები ითხოვა, ზოგიც აჩუქეს და ამ შეერთებული ძალით ჩვენი ნაცნობი სასენაკოს პირდაპირ პატარა, ერთთვალა სახლი ააშენა. თუ რამე ხაბაკ-ხუბაკი ჰქონდა, ყველაფერი იქ გადაიტანა. სამგლოვიარო მიტკლის ანაფორა ჩაიცვა, ხელში შავი ძაფისაგან გამოსკვნილი კრიალოსანი დაიჭირა, თავი შეიხვია შავი მიტკლით და მერე ისე ოსტატურად, რომ ცხვირპირისა და თვალების მეტი არაფერი უჩანდა, და დაიწყო ცხოვრება.

რუსუდანის ახალგაზრდობა საიდუმლოებით იყო სავსე. ზოგნი ამბობდნენ: ვიღაც თავადის უჯერო შვილიაო, გაზრდილი კი იყო თავადის სახლში; ზოგი — სვანეთში მონატაცები და ჩამოყვანილიაო, თუმცა სვანს სახე არ მიუგავდა; ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. თვითონ თავის თავს კი რუსუდანი აზნაურ მამუჩარ ხინჯიას ასულს უწოდებდა. პატარაობითვე ობლად დავრჩი, ნათლიაჩემმა, თავად იოსებ ღვივიშვილის მამამ, არჩილმა თავის სასახლეში წამიყვანა და იქ გავიზარდეო. ახლაც ბევრ რამეებს ამბობდნენ მისი ახალგაზრდობის, პირველ ორ ქმართან ცხოვრების დროიდან და ასე რომ, მონოზნად შედგომის შემდეგაც ვერ გადაურჩა ულმობელ ქვეყანას გაუკილავ-გაუჭორავი.

— რა გინდა, ძმაო, ქმარი სჯულიერი გამოიცვალა და ისე... მე ჩითის ახალუხი არ გამომიცვლია იმდენი ჩემს სიცოცხლეში. როგორც ულდოდა, ისე გაიხარა გული, ახლა მონოზნად შედგა და სულსაც იცხოვნებს, მოდი და შეედარე, — ამბობდა ერთი.

— შენ რა იცი, მას რაც ჩაუდენია, ის თუ ყველა აპატია ღმერთმა, — ამბობდა მეორე. — მაშინ მე ცოცხალი უნდა ავფრინდე ზეცას.

— რა უქნია, ჰო, ისეთი, — განზრახ კითხულობდა მესამე, — ორ-სამ გოგოს კი შვილები მოანელებინა, მაგრამ ეს სამადლო საქმეა; თავისით რომ დაბადებულიყვნენ, მათ დედებს არავინ შეირთავდა.

— თითქო სულ ერთი არ იყოს, რა მონელებაა და რა დაბადებაა, თუკი დაორსულდა.

მიუხედავად ამისა, მთელი სოფელი პატივსა სცემდა რუსუდანს, ჩქარა სახელიც მოიხვეჭა, როგორც გამოცდილმა ექიმმა და ღვთისმმოსავმა ქალმა. განსაკუთრებით ქალებზე ჰქონდა ძლიერი გავლენა.

საჭმელ-სასმელი უხვად მოსდიოდა სოფლელებისაგან, შეშა და წყალი უზრუნველი. ოქტომბერში, ჭირნახულის დალაგების დროს, რუსუდანი დაჰყვებოდა ჭანისწყლის ჭალას და საკმაო სიმინდს მოაბოჭავდა. მოგროვილი სიმინდი არათუ თვითონ ჰყოფნიდა, კიდეც ჰყიდდა.

რაც გინდა ავადმყოფობა შეგეჩივლათ მისთვის, წამალს მაშინვე მოსძებნიდა. თვალის ტკივილი, გულის ფრიალი, ყურის ტკივილი, წითელი ქარი, საბავშვო საყმაწვილო, თითქმის ჭლექის მორჩენასაც ჩემობდა. ბებიობა ხომ მაგის ხელში იყო.

წამლებს კი ყოველნაირ ავადმყოფობას უძებნიდა, ვაგრამ უხდებოდა თუ არა ავადმყოფს, ამის დარდი არ აწუხებდა. სოფელი ერთხმად ღაღადებდა: უებარი ექიმიაო, თუმცა მისმა დანაყილმა და ჩანახარშმა წამალმა არა ერთი და ორი გაგზავნა უდროოდ შავი მიწისაკენ.

რუსუდანი ამას არ დასჯერდა და საეკლესიო საქმეებშიც გაერია. მნათეს ხშირ-ხშირად დარიგებას აძლევდა, პრიჩეტნიკს მფარველობას უწევდა. სოფლად ქადაგებაც დაიწყო, უფრო ქალებში: ღმერთზე, სახარების ძალაზე, სარწმუნოებაზე, სიყვარულზე და ქადაგებებში ოსტატურად ალაგ-ალაგ მამა ევთიმეს საყვედურებსაც გაურევდა.

მისგან ხერხიანად დათესილმა მარცვალმა ზოგიერთ ამყოლ პირთა შორის კეთილი ნიადაგი მოიპოვა, და საბრალო მამა ევთიმეს ამის მეოხებით არა ერთი და ორი უსიამოვნობა შეხვდა სხვადასხვა ქრისტიანული წესების აღსრულების დროს. მამა ევთიმემ ყოველივე ეს იცოდა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებისა გამო სდუმდა, თუმცა შინაურობაში არ მალავდა, რომ მონოზანი წრეს გადადის და ისეთ საქმეებში ყოფს ცხვირს, რომელიც მას სრულებით არ ეხებაო.

მიუხედავად ამისა, რუსუდანი მამა ევთიმეს სახლში ხშირად

მიდიოდა. მუსაიფობდა ეკატერინესთან, თვით მამა ევთიმესთან, სვამდა, ჭამდა. შორიდან კაცს შეეხედა, ერთმანეთის გულითადი მეგობრები ეგონებოდა.

შეიძლება რუსუდანს მამა ევთიმე სრულებით არ სძულდა. პირიქით, გულის სიღრმეში მისი პატივის მცემელიც ყოფილიყო, მაგრამ გული მაინც არ მოუთმენდა, ცოტათი მაინც რომ არ გაეკილა სოფლის მღვდელი, თუნდაც მარტო იმისათვისაც, რომ ბასილის გარდა მამა ევთიმე ჭყონონაში ყველა მძებრაძეზე უკეთესად ცხოვრობდა. პირში რუსუდანი თუმცა უცინოდა მამა ევთიმეს, მაგრამ შურიანობით, ამ საყოველთაო საზიზღარი სენით დაბნელებული, ადვილად ვერ მოურიგდებოდა იმ აზრს, რომ მამა ევთიმეს, ჩაჭომავლობით გლეხთაგანს, სასმელ-საჭმელი უხვად ჰქონდა, შვილებს ყველას სასწავლებლებში ზრდიდა, ცხენი და ჯორი ჰყავდა, ყოველდღე ბარაქა და შემატება ეტყობოდა; და ეს მაშინ, როცა მძებრაძეები, უხსოვარი დროიდან ჭყონონას აზნაურები და მებატონეები, დღითიდღე კლებულობდნენ, მომეტებულს მათგანს სიმინდის ღომიც ენატრებოდა. რუსუდანი ამას ნათლად ხედავდა, და როგორც მძებრაძეს ნაცოლარს, თავმოყვარეობა ელახებოდა, თუმცა იმასაც ცხადად გრძნობდა, რომ პირადად მამა ევთიმე მძებრაძეების დაქვეითებაში უდანაშაულო იყო.

საზოგადოდ, რუსუდანი პურმარილიანი და გულკეთილი ქალი იყო. ნიკოია თოხიტარიასთან რაღაც გულმკერდული მეგობრობა ჰქონდა და ამიტომ ფარნა ხშირად შედიოდა მასთან, როცა სეევერიანესგან მობრუნდებოდა. ხან შეშას და წყალსაც მოუტანდა ეოხუცს, რუსუდანიც თავის მხრივ ხშირად უმასპინძლდებოდა.

აგვისტოს დამლევს უკანასკნელი გაკვეთილი მისცა სეევერიანემ ფარნას, თუკი მათ შინაურულ მეცსაიფს გაკვეთილს დავარქმევთ. მეორე დღეს სეევერიანე თბილისში მიდიოდა. ახლა ის სრულებით არ ჰგავდა იმ სეევერიანეს, რომელიც მაისის დამლევს ჩამოვიდა, ფერმიხდილი და ღონეშალეული. ახლა ის ჩასქელებულ კისერს ძლივძლივობით აბრუნებდა. ეკატერინე, რა სალაპარაკოა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, და მისი კვლავ ჯანმრთელობისათვის ჩუმ-ჩუმად ღვთისმშობელს ევედრებოდა.

— შვილო, შვილო, — ეუბნებოდა დედა ხშირ-ხშირად წასვლის წინა დღეებში.—თუ ცოტაოდენი სიყვარული გაქვს დედაშენისა, ჩემი პირველი და უკანასკნელი თხოვნა ესაა. შვილო, ყელი არ გამომჭრა და უწმინდურ ადგილებისაკენ არ გაიარო. ყველაფერს მოასწრებ, თავს შემოგევლე, შვილო! თუ ღმერთმა შენი კურსის დამთავრება

მაჩვენა, რა მიმიყვანს მე უბედურს იმ დღემდი. თორემ, ისეთ ცოლს შეგრთავ, ამონახატი იყოს, მზეთუნახავი.

— რას მეუბნები, ნანა, განა მე იგეთ კაცად მიგაჩნივარ? — ღიმილით მიუგებდა სევერიანე.

— ოხ, ვიცნობ მე კაცებს. ეჰ, შვილო, განა არ გიცნობთ მე თქვენ? მაგრამ, ჩემი სიყვარული თუ გაქვს, მე კვლავ ეს მითხოვნია შენთვის: ქალი რომ შეგხვდეს, მოგეწონოს და გული აგიღელდეს, მაშინათვე მე მომიგონე, მე, დედაშენი; რომ მეც ქალი ვარ, მე, დედაშენი. აი ძუძუ, რომელმაც გაგზარდა, შვილო, ჩემს ჯაფისაგან დანაოჭებულს და გალურჯებულ სახეს თვალწინ დაიყენებ, იცოდე, ის დაგიფარავს მაცდურის ქსელისაგან.

— შენც ერთი, ნანა, ბაბასავით დამიწყებ ქადაგებას, — კვლავ ეტყოდა სევერიანე და სიცილით გაშორდებოდა ხოლმე.

უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგ ფარნა გულთბილად გამოემშვიდობა სევერიანეს და შინისაკენ გასწია. ზეგ ისიც მიდიოდა სკოლაში. პირველდაწყებითი სკოლის გათავებას კიდევ ერთი წელიწადი უკლდა. საღამო ჟამი იყო, გზაზე, ჩვეულებრივ, რუსუდან მონოზანს გამოუარა.

— ფარნა ხარ, შვილო! — შორიდანვე დაუძახა რუსუდანმა. — ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, ახლა ისე მესაჭიროებოდი. მოდი, შვილო, ერთი ამ ქაღალდებში შხამიანის შელოცვა გამომირჩიე. თვალს ვერ ვაწვდი, შვილო, დავბერდი. სათვალეშიაც ვერ ვარჩევ რიგიანად. — ამ სიტყვებით ერთი კარგა მოზრდილი, ძველ ჭინჭში გამოხვეული ქაღალდები გადასცა ფარნას.

ფარნა დერეფნის საძირკველზე ჩამოჯდა და რუსუდანის შემწეობით იატაკზე ბოღჩა გაშალა. რა და რანაირი ქაღალდები არ ეყარა შიგ. ერთი რვეულის გარდა, ზოგი მთელი ფურცელი ოთხად გაკეცილი და დროთა ვითარებისა გამო გაყვითლებული, ზოგი ერთი ბეწო დაჭმუჭვნილ-დაჯღაბნილი, ზოგიც ძველებურ სქელ მწვანე ქაღალდზე რაღაც წერილები.

ფარნამ ერთ რვეულს ხელი მოავლო, გადაშალა და წაიკითხა: „პატივისმცემელი მამისა, იხარებდეს ძეთა მიერ, პატივისმცემელი მამისა, იხარებდეს ძეთა მიერ.“

— ო! ეს ჩემი დამტირავი, ჩემი იოსების დაწერილია. პატარაობისას, როცა სწავლობდა, მაშინდელი, — აღტაცებით გააწყვეტინა რუსუდანმა.

— დაწერილი ლამაზათაა, მაგრამ სულ ერთი და იგივე წერია: „პატივისმცემელი მამისა, იხარებდეს ძეთა მიერ“.

— ალბათ ისე ულდა და ისე დაწერდა ჩემი იოსები, თავზე შემოევლოს მისი რუსუდანი. ეს გადადევი, შვილო. ამაში არ იქნება შელოცვა. შელოცვები აი ამ მეორე რვეულში იქნება, — მიუთითა რუსუდანმა მეორე რვეულზე. — კოსთაიას გოგოს მარჯვენა ფეხის ცერი დასიებია და დედამისი მოიჭრა ამ საღამოს, არიქა, მიშველეო, შეიძლება დასუნებული იყოსო, წამალი უნდა მოვუმზადო და შევუულოცო.

ფარნამ რვეული გაშალა.

— ლოცვა საბავშვო საყმაწვილოსი: სახელითა მამისათა და ძისითა, — წაიკითხა მან.

— აი, აი, ამ რვეულში იქნება! — წამოიძახა რუსუდანმა,—სხვა ნახე საბავშვო საყმაწვილოსი კი არ მინდა, შხამით დასიებულის ან გველის ნაკბენი რომ იქნება, ან მორიელის, იმისი ლოცვა.

— ლოცვა მეკეკისა...

— კიდევ ქვევით ნახე.

— ლოცვა სიმსივნისა.

— აი, აი, კიდევ ცოტა ქვევით.

— ლოცვა შხამიანისა.

— აი, ეს ლოცვა წამიკითხე, შვილო.

— ბირმელა... ჰი, — დაიწყო ფარნამ. — სტრაფელი ჰი, რამუა იუმე სღამუნ ალელაჰი ქეფენ; ასასან, ბასასან, ბასტუმ მიმირნუშ კულუფუ ალელიჰი ქუფფენ.

— შვილო! ამას რომ წაუკითხავ და შეულოცებ, წყალს დააალევინებ, ამ ქაღალდსაც ზედ დაადებ, შხამს ძალა დაეკარგება და ნაკბენი, ღვთით, მორჩება, — ავტორიტეტულად შენიშნა რუსუდანმა. — სულ არეულად მაქვს ეს ქაღალდები, — ჩუმად განაგრძო მან, შელოცვის რვეული ფარნას გამოართვა, შხამიანის შელოცვა ფრჩხილით დანიშნა, იმას იოსების ნაწერი რვეული ზედ დაადო და სხვა ზოგიერთი ქაღალდებიც მასზე დააწყო. — ამდენ ერთი ბეწო ბურდებს რათ ვინახავ. არ ვიცი, — ნელა შენიშნა რუსუდანმა და ზოგიერთი ქაღალდი, რომლებიც ძლიერ ძველად და უმნიშვნელოდ მოეჩვენა, ცალი ხელით აკრიფა, მუჭით დაჭმუჭნა და სასენაკოს გვერდით სანაგვესაკენ გადისროლა.

— რად გადაისროლე, ჩემთვის მოგეცა! — შესძახა ფარნამ.

— გეთქვა, შვილო, რომ მცოდნოდა, არ გადავაგდებდი. ისეთი ერთი ბეწო ქაღალდები რაღათ გინდა, შვილო, ალბათ, ძველებური ერთმანეთთან მინაწერი ბარათებია, ვინ იცის, საიდან სად ჩამი-

ვარდებოდა ხელში, ვერც კი გაარჩევ რიგიანად, მაშინ სხვანაირად, კიჟმაჟურით წერდნენ! — ამბოხვრით დაუმატა რუსუდანმა.

ფარნამ საჩქაროდ მოაგროვა გადაგდებული ქაღალდები და უბეში ჩაიდო. მერე რუსუდანს გამოემშვიდობა და შინ გასწია. გზაზე ამოიღო ერთი, ხელისგულზე ცოტად ფართო, ძველი ქაღალდი და დახედა. ზოგი ასოები იცნო, მაგრამ წაკითხვით ვერ წაიკითხა. მელანიც თითქმის წაშლილი იყო, გარკვევით არ აჩნდა. ქარაგმებით სავსე იყო და ასოებიც, მართლა, რაღაც ეშმაკურად იყო ერთმანეთში გადახლართული. ეს ისევ უბეში ჩაიდო და მეორე ქაღალდი ამოიღო. ამას თავი და ბოლო თაგვებისაგან მოჭმული ჰქონდა, მაგრამ გადაგდებით არც ერთი ქაღალდი არ გადააგდო. მერე მათი არსებობა არც კი გახსენებია ნავახშმევამდე. ნავახშმევს, როცა ბლუზას იხდიდა, ქაღალდები მიწაზე დასცვივდა.

— ეს რა ქაღალდებია?—ჰკითხა მის გვერდით მდგომმა გაიანემ.

— რა ვიცი, რუსუდან მოლაზონმა მაჩუქა. აი, ამ ჩემს სასთუშალში ეყაროს და როცა დაგჭირდეს მოიხმარე.

— რაში დამჭირდება მაგეთი ერთი ბეწოები, რა ნაგლეჯები მოუცია, — ტუჩის აბზეკით მიუგო გაიანემ, როცა ქაღალდები დაათვალიერა.

— მაინც აქ ელაგოს, — უთხრა ფარნამ, — ქაღალდები მუთაქის ქვეშ შეინახა, პირჯვარი გადიწერა და საბანი გადიხურა.

პირველ სექტემბერს ფარნა გაემგზავრა სასწავლებელში, მაგრამ ფეხით კი არა, როგორც წინათ. ახლა მათ საკუთარი ცხენი ჰყავდათ.

ნიკოია თოხიტარიამ ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში შესამჩნევად იმატა. თვითონ ნიკოია, ამ ხუთი წლის წინათ როცა ტომბაშვილი პირველად მოვიდა მის სახლში, წელში მოღუნული, დაბეჩავებული რომ იყო, ის ნიკოია, რომელიც ღორის ტყავისაგან თავისივე ხელით შეკერილ ქალამანს ორმოცჯერ დააკერებდა, ათჯერ გადი-გადმოაბრუნებდა და მთელ ზამთარს მაინც გაატარებინებდა, ახლა სულ სხვა იყო. წელში გამართული დადიოდა, თვალებს მხიარულად აბრიალებდა. საზოგადოებაშიაც პატივი დაედო. მობრძანდი, ნიკოია, დაბრძანდიო, ეუბნებოდნენ. წინათ კი: ნიკოია, მოდი. შენც მოდი, ნიკოიაო, სამადლოდ ეტყოდნენ ხოლმე. ცხრაფრად დაკერებული და გაჭუჭყიანებული მსხვილი შალის ყაბალახის მაგიერ ახლა თეთრი ყაბალახით ჰქონდა თავი წაკრული და ყაბალახის წვერზე ეკონწიალებოდა აბრეშუმის ძაფის ფუნჯი, რომელიც ყაბალახის თავზე შემოხვევის დროს ყურთან მოექცეოდა

ხოლმე. წინათ ორ წელში ერთხელ თუ შეიკერავდა ორ შაურიან ჩითის ახალუხს, დიდი ღვთის წყალობა იყო, ახლა კი ჩითის კი არა, ერთი სატინის ახალუხიც ჰქონდა. წინათ თუ წლის განმავლობაში უმეტეს დროს ფეხშიშველი დადიოდა, რის გამო ცხრაფრად დახეთქილი ჰქონდა ქუსლი, ახლა ხშირად შავი სამოგვის ქალამანი ეცვა და შინაურულად შეკერილი კანის ქალამანი კი მუდამ. მისი შვილებიც სუფთად და თითქმის კოხტად ჩაცმულნი დაიარებოდნენ. ბართლომე მძებრაძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ დაიხსნა ირმის ნახეთქი. ნიკოიამ ჩინებულად დაწმინდა ღვარძლისაგან და ისე გამოაკეთა, რომ მაინცდამაინც ძნელი მუშაობა არ სჭირდებოდა და საჭოცდაათიდან ოთხმოც ფუთამდე ყოველწლივ წმინდა სიმინდს იძლეოდა. ჩალა, ლობიო და გოგრა კიდევ სხვა იყო. გარდა ამისა, ნიკოიამ სამი ქცევა მიწა კიდევ დაიგირავა სხვა მძებრაძეებისაგან, რადგან აზნაურობის მაძიებლობამ ფული მოითხოვა. ფულზე კი მძებრაძეები ცოტა ქესატად ბრძანდებოდნენ და იძულებული შეიქმნენ ჭალა დაეგირავებინათ. ამნაირად, ნიკოიამ სხვისი მიწების სანახევროდ მუშაობას თავი გაანება. დროებამაც ხელი შეუწყო, სიმინდის ფასმა აიწია. ცხენი შეიძინა, ახალი უნაგირი იყიდა. ხები ზოგი გაყიდა, ზოგი თვითონ დაჰკლა და ზოგი გააბარა, და მათ მაგივრად ორი მეწველი ძროხა გაიჩინა.

ეზოს ღრმა თხრილი შემოავლო და მესრით შემოზღუდა. ბელებისაგან გაკეთებულ და ისლით გადახურულ სასიმინდის გვერდით ფიცრული და ყავრით დახურული ახალი სასიმინდე დადგა. სახლი ჯერ ისევ ძველი ედგა, მაგრამ ისიც მიასუფთ-მოასუფთავა; საქონელს ახლა შიგ აღარ აბამდა. შემთხვევით ერთი პატარა ფიცრული სახლი იყიდა, ცოტა მასალა მიუმატა, გააგანიერა, თავის გემოზე დადგა და საპირუტყვე სახლად გახადა.

დედამისი, ჭუჭა, თუმცა ძალზე მოხუცებული იყო, მაგრამ თითქო გაახალგაზრდავდაო, სუფთად ჩაცმულ-დახურული ხანდიხან ეკლესიაში ამოვიდოდა და გულმოდგინედ ღმერთს ევედრებოდა. ნაწირვებს მხიარულად მუსაიფობდა და კიდეც გაიხუმრებდა. აბა, ასეთია ცოტაოდენი ღონე! გაიანე აბრეშუმის კაბაში, ქოლგით ხელში თავმომწონედ მიდიოდა ეკლესიისაკენ. იგი ახლა სრული დამწიფებული იყო, ძლიერ ლამაზიც, და არა ერთ ახალგაზრდა ბიჭს გულს უმღვრევდა მისი ფუნთუშა ლოყები და მოსული გულმკერდი.

XXII

ბედნიერი შეხვედრა

გაჩნდა სალდათობა. ყველა ახალგაზრდა, ოცდაერთი წლის ჭაბუკი ჯარისკაცად ჩასწერეს და ნოემბრისათვის სამაზრო ქალაქში კენჭის საყრელად გაიწვიეს. ბევრი არაფერი განსხვავება დასდვეს თავად-აზნაურ-გლეხებს შორის, თავადაზნაურობის და სასულიერო წოდების შვილები მხოლოდ ცალკე წიგნში ჩასწერეს და პრივილეღიროვანნოე სოსლოვიე დაარქვეს: ეს იყო და ეს, სხვაფრივ კი ერთნაირად ღძახდნენ, ერთნაირად ზომავდნენ და ერთნაირად კენჭს აღებინებდნენ, თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც.

პეტრე თოხიტარია კი გადასცდა სალდათობას, ივანე კი ოცდაერთის წლისა იყო და კიდევაც ჩასწერეს. კონსტანტინე ტომბაშვილმა, როგორც თქვა, ისე შეასრულა. კენჭის ყრის რამდენიმე დღით წინ მოვიდა, ერთი კვირა დაჰყო სამაზრო ქალაქში და ივანეც გაანთავისუფლა სალდათობისაგან, როგორც ნიკოიას ჩუმად უთხრა, საზოგადოდ კი ამბობდა: ბედი ჰქონია საბრალოს, დიდი ნომერი შეხვდა და იმან გადაარჩინაო.

სალდათობის გათავების შემდეგ კონსტანტინემ გამოუარა ნიკოიას. ნიკოიამაც სიხარულის ნიშნად ერთ მოზვერს თავი გააგდებინა. მეზობლებსაც დაუძახა, გაიმართა სმა-ჭამა და ურას ყიჟინით ეამოაყრუეს არემარე.

ივანე ახლა საყასბოში ნოქარი იყო. სასმელ-საჭმელისა და ტანისამოსის გარდა თვეში ახლა თუმანი ჰქონდა.

ბრბო სულმოკლეა. ცოტა რამე გააკვირვებს. ერთი ბეწო ღირსებისთვის მეტისმეტად გაქებს და ერთი ბეწო შეცდომისთვის მიწასთან გაგასწორებს. თუ შეძენის გზას დჭადექი, მაშინვე მდიდარს დაგიძახებს და ვინიცობაა იზარალე, ვაი, მაშინვე კოტრად მოგნათლავს. ბრბო უკიდურესად სჯის, — საშუალო სჯა მისგან შეუძლებელია.

საბრალო გლეხმა ნიკოია თოხიტარიამ ტანჯვა-ვაებით რამდენიმე თუმანი იშოვნა, რამდენიმე ქცევა მიწა დაიგირავა და შვილი პირველდაწყებით სასწავლებელში მისცა. ეს საკმაო იყო, რომ ხალხს მისთვის მდიდარი დაერქვა.

არათუ ჭყონნამ შეიტყო ნიკოიას სიმდიდრე, სოფელ აკეცილში, სადაც ცხოვრობდა დრიმინტია ჭანდრაკელია, იქაც გაუვარდა ხმა ნიკოიას ფულიანობაზე. საბრალო დრიმინტია ჭანდრაკელიას ისე

გაუტყდა სახელი ამ ბოლო დროს, რომ ახლომახლო სოფლებში ერთ აბაზს არავინ ენდობოდა. კოტრია, კოტრია! ერთხელ ძლევა-მოსილად რომ დაიძახა ბრბომ, მერე არა ეშველა რა.

ნდობა დაეკარგა და ვერაფრის გზით ვეღარ დაიბრუნა. ნამდვილად კი დრიმინტია არ იყო კოტრი და არც მაინცდამაინც უსინდისო კაცი. მხოლოდ დროებამ ისიც ათამაშა, როგორც ათასობით და ათიათასობით სხვა.

პატარაობითვე დრიმინტიამ წვრილმანი ვაჭრობა დაიწყო. ცოტა რამე ჰქონდა, როცა უკანასკნელი ომიანობა გამოაცხადეს, აფხაზები აიბარგნენ და თურქეთში გადასახლდნენ. სწორედ ამ გადასახლებით ისარგებლა დრიმინტიამ. შედარებით სულ მცირე ფასად აუარებელი საქონელი შეიძინა. მაგალითად, დედალი ცხვარი, ან თხა იყიდა ხუთ შაურად, ძროხა ორ მანეთად, ცხენი ხუთ მანეთად და ამნაირად შესყიდული მთელი ჯოგით სამეგრელოში დაბრუნდა. რაც გინდა იაფად გაეყიდა ამრიგად შეძენილი საქონელი, მაინც არაჩვეულებრივი მოგება დარჩა, და ჯიბეც გაიმგვრალა. კაი დუქანი გამოჭიმა, საქონელი მოსკოვიდან და ოდესიდან გამოიწერა. სახლ-კარი კარგად მოაწყო. თვითონაც საკადრისად ჩაიცვა-დაიხურა და დაიწყო ცხოვრება. ბრბომაც ბევრი არ დააცადა და დაიძახა: მდიდარია, მდიდარიაო! ყველგან და ყველასაგან თავისი ქება ესმოდა. ზოგი პატიჟობდა, ზოგი ნათლიაობას თხოვდა, ერთი ცოლს ურიგებდა, მეორე ლამაზ ქალებთან, ისე, საქმეს უწყობდა. ყველას მოსწონდა, ყველა თავს უკრავდა და მხიარულად უღიმოდა. დრიმინტიაც გულკეთილად იქცეოდა და მხიარულად უღიმოდა, ვინც ეწვეოდა, უსმელ-უჭმელს არ გაუშვებდა. დუქნიდანაც ნისიად აძლევდა საქონელს. განა შეიძლებოდა რამდენიმე მანეთის ხაბაკისთვის უარი ეთქვა ისეთი საპატიო და მოყვარული პირებისათვის, რომელნიც ათას სხვადასხვანაირ სახეირო საქმეს პირდებოდნენ!

გავიდა რამდენიმე ბედნიერი წელიწადი და უცბად.... დიდება შენდა, ღმერთო! რა მოხდა? — ბევრი არაფერი! ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. სხვა ვაჭრებმა ახალი საქონელი გამოიწერეს, ან მოსატანად თვითონ გაემგზავრნენ და დრიმინტია ჯერჯერობით, არც მოსატანად მიდიოდა, არც ახალს იწერდა. საქონელი ჯერეთ კიდევ ჰქონდა, თუმცა ძველებურად ბლომად კი აღარ ეყარა თაროებზე. ალაგ-ალაგ თაროებს სიქაჩლე შეეტყო. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ მყიდველებმაც გვერდი აუქციეს და ახალმოტანილ საქონლისაკენ გასწიეს. დაფაცურდა დრიმინტია, თვალი გაახილა, მაგრამ გვიან იყო. ბოღიმარი კეთილშობილი მეგობრები

საპატიო სიშორეზე დაღდგნენ და ბოდიშის მოხდით ნისიის გადახ-
დის დადროვება შესთხოვეს. აქეთ კი, თუ ვისიმე ემართა, კარებში
ბუზს არ უყენებდნენ და თავიანთ ფულებს თხოვდნენ. ისტუმრა ვა-
ლები, როგორც შეეძლო, ისტუმრა, და ბოლოს იძულებული შეიქნა
დუქანი დაეკეტა. ეჰე! — დაიძახა ბრბომ. გაკოტრდა დრიმინტია,
გაკოტრდაო, და მორჩა და გათავდა. სოფელმა გააკოტრა და
სოფელმავე კილვა-დაცინვა დაწყო.

არც ერთი ვალი არ შექმნია იმდენად თავსატეხი, რამდენადაც
ბასილ მძებრაძის რამდენიმე თუმანი. ერთი ცხენი, როგორც იყო,
იშოვნა და ნახევარზე მეტი გადაუხადა, მაგრამ ორი თუმანი მაინც
დარჩა. ამ ორმა თუმანმა ისე გაუჭირა საქმე, იმ ზომამდი ძიი-
ყვანა ბასილმა, რომ ან უნდა დაეკმაყოფილებინა, ან უკიდუ-
რესი საქმე ჩაედინა. მართლაც და სრულ კოტრად უნდა გამოეცხა-
დებინა თავი და თუ რამე საკუთრება კიდევ შერჩა, ცოლისთვის
დაემტკიცებინა. ამ ზომამდის საქმის მიყვანა და თავის დამცირება
სრულებით არ ედო გულში. კაცი იმედით ცოცხლობს და მასაც,
როგორც კაცს, მომავლის დიდი იმედი ჰქონდა. ვინ იცის, როგორ
დატრიალდება დროება, მოგება და წაგება ერთმანეთის ძმები
არიან! — ფიქრობდა დრიმინტია, — შეიძლება ისევ გავება რამე
სახეირო საქმეშიო.

მაგრამ დრო მიდიოდა, სანატრელი, სახეირო საქმე არ მოდიო-
და და ბასილ მძებრაძე კი კისერში მუხრუჭს უჭერდა.

ერთხელ მას ესტუმრა ჭყონონას მცხოვრები ბიტა ბარია,
რომელმაც დრიმინტიას, მას ჟამსა შინა ჟამსა სიმდიდრისასა, შვილი
მოანათვლინა, დრიმინტიასთანა შეძლებულ კაცს, როგორც ამბობდა,
თავი შემოაფარა. კაცმა რომ თქვას, ბევრი სიკეთე უყო დრიმინტიამ
ბიტას. ერთხელ ცხენი აჩუქა, მეორეჯერ ძროხა გაუგზავნა, მესამე-
ჯერ ფურკამეჩი. რამდენჯერმე საალდგომოდ ბიტას ოჯახში ყველა,
ქალი თუ კაცი, თავით ფეხამდე შემოსა.

მაგრამ ბიტა ბარიას სასახელოდაც უნდა ვთქვათ, რომ სამაგიე-
როდ, მან დრიმინტია სიღარიბის დროსაც არ დაივიწყა. როცა მას
დიდ პატივნაცემმა და დავალებულმა მეგობრებმა გვერდი აუხვიეს,
ბიტა ისევ ძველებურად დადიოდა მის სახლში, თან ყოველთვის
რამე ძღვენი მოჰქონდა და ამით თანაგრძნობას უცხადებდა და
გულს უმსუბუქებდა.

ახლაც დრიმინტიას ბიტას მოსვლა ძლიერ გაუხარდა. ლაპარაკ-
ში თავისი გულის წუხილიც გაურია. ზედ დაუმატა, რომ ქვეყანა

დავიარე, რა არ ვეცადე, მაგრამ იმდენად დამკარგვია ნდობა, ვერ-სად ვერაფერი ვიშოვნეო. შეიძლება გეგულებოდეს ფული სადმეო, დაეკითხა ბიტას და ისიც აუხსნა, თუ რა სამარცხვინო საქმე უნდა ჩაედინა, თუ ვინიცობაა, ვერ იშოვნიდა და ბასილს არ დააკმაყოფილებდა.

ბიტამ გულწრფელად მოისმინა დრიმინტიას გაჭირვება და აუჩქარებლად, ჩუმად, თითქო საიდუმლოს უმჟღავნებსო, მიუგო:

— კი მეგულება ჩვენს სოფელში, ერთ ალაგას, თუკი გაიმეტა. ახალი შეძენილი კაცია და ხელსაც მაგრა უჭერს. ქონებით კი, ნამდვილად უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჭირს კი ვაგისგან ფულის გამორთმევა.

— მიმყევი ერთი, ბიტა, — შეეხვეწა დრიმინტია, — ვთხოვოთ, შე კაცო, შევეხვეწები. აი ჩემი ცოდვა, — მწუხარედ თქვა დრიმინტიამ. — რამდენი გაჭირვებული გამომიხსნია და ახლა ყველა კოტრს და რაზმონიკს მეძახის. მხვდება კი ყველაფერი, მაგრამ რაღა დროისაა, გვიან ვისწავლე ჭკუა. მაინც ვთხოვოთ, კაცო, შევეხვეწოთ, თუ ქნა კარგი, თუ არა შტრაფს ხომ არ გადაგვახდევინებს.

— მაინც ის ოჯახდაქცეული რამ ააჩქარა! ასეთი პატიოსანი კაცი ქვესკნელში ხომ არ ჩავა, ერთი-ორი თვე კიდევ მოითმინოს. მთა ხომ თავზე არ დაეცემა.

— პატიოსანი? — გააჯავრა დრიმინტიამ, — ისე გაუმარჯვებს მაგას ღმერთი. როცა რამე მომეძეოდა, ჩემისთანა პატიოსანი მეორე ვინ იყო? განა არ იცი?... ბასილს ახლა სხვა საქმე უჭირს და თავისი წუხილი ჩემზე გადმოაყარა. თურმე აზნაურობის საბუთი არა ჰქონია. ეძებეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერსად მოსძებნა. არქივში ეძებს, მაგრამ ძებნას ხომ ფულები უნდა და საბუთი კი იმის გამოსადეგი არ იქნება, ირაკლის და მის ძმებსაც უნდა გამოადგეს, ერთმანეთის ბიძაშვილები არ არიან? იმათ კი საჭირო ფულები ვერ მოუტანეს, აბა საიდან მოუტანენ. მარტო თავისი ნაღდი ფულით კი ბასილს არ უნდა ეს საქმე გაარიგოს. და აი, ახლა, თუ მისი ვალები მართებს ვისმე, როგორც, ვთქვათ, ჩემი, საეჭვოსავით, ამას მოებღაუჭა. ვითომდა, სანახევროდ დაკარგული ფულებით უნდა საქმე გააკეთოს, და მეც მუხრუჭი ამიტომ მომიჭირა. — ვინ არის ეგეთი ფულიანი? — ჰკითხა ბოლოს დრიმინტიამ.

— ნიკოია ჰქვია, გვარი თოხიტარიაა. მისი შვილი ვიღაც ტომბაშვილს ჰყავს, ვაჭარს ლეტაკარში მოჯამაგირედ.

— ტომბაშვილს, რომელს, კონსტანტინეს?

— სახელი რა მოგახსენო!

— კონსტანტინეს ქე ვიცნობ. ძლიერ კაი ვაჭარია. ლეტაკარელი კია, მაგრამ ფოთში ვაჭრობს, ნიკოიაც კი გამიგონია.

— არც ის ვიცი. მხოლოდ ის კია, რომ ნიკოიას შვილი მოჯამაგირეთაა. ამ ხუთი წლის წინათ ისეთი ღატაკი იყო ნიკოია, რომ ცეცხლს სულს ვერ შეუბერავდა და ახლა იმ ნამოჯამაგირი ფულით ბარე ათი ქცევა მიწა ქე დაიგირავა (ბიტამ გადააჭარბა) და ფულსაც კი ჩუმად ასესხებს.

— აჰა, ჰა, ჰა, თუ მიწებს იგირავებს, თუ მიწის დაგირავებას დაეჩვია, იმისგან ფული ძნელი საშოვნელი იქნება. ის უსათუოდ გირაოს მოითხოვს და გირაო რომ მომცა, ფულიც მექნება.

— მაინც ვნახოთ, — ᲗᲨვიდად მიუგო ბიტამ, — ოც მანეთად როგორ არ ვეღირები, რა ვიცი, ერთადერთ ხარს დავუწინდებ ამოწყვეტილს, რომ იზამდეს.

— გმადლობ, ჩემო ბიტა, — თითქმის გულაჩვილებულად მიუგო დრიმინტიამ. — შენს გარდა მე ერთვული მეგობარი არა მყოლია. დიდად შენზე მეტი პატივი რომ მიცია, იმისთანა კაცებმა პანღური ამომკრეს და შენ კი სიღარიბეშიაც არ დამაგდე. გმადლობ, გმადლობ, ღმერთმა მაგიერი გადაგიხადოს. ვინ იცის, ეგები შენი გულკეთილობა ღმერთმა კიდეც გადამახდევინოს. ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის და დროებაც ათასნაირად შეიცვლება. ჩემი ბედი კალთაში არავის არა აქვს ამოხვეული.

* * *

შუა ნოემბერი იდგა. ჯერ ᲗᲘრნახული სოფელში ყველგან არ იყო მილაგებული. ნიკოია თოხიტარიას გაურჩეველი სიმინდი კუთხეში ელაგა. მისი სახლის ნახევარზე მეტი ადგილი გაურჩეველი სიმინდით იყო მოფენილი, უკანა კარები აღარ ჩანდა და ცალი კედელი სულ ᲗᲔრამდი იყო სავსე.

— ტყუილი არ არის? ამას ჩვენ მარტო ხუთ დღესაც ვეღარ მოვერევით და მოდი, ერთი ნადი ვაწვიოთ ამაღამ და ერთი მოქნეკით დავარჩიოთ, — რჩევა მისცა შვილებს ნიკოიამ.

შვილებიც დაეთანხმნენ და სამნივენი აქეთ-იქით ნადის საწვევად ᲗᲔზობლებში გაიფანტნენ.

შინ დარჩნენ გაიანე და მოხუცებული ᲗᲣᲗᲐ. ორივენი ფაცხაში კერას იქით-აქეთ უსხდნენ. დაუქმება ჟამი იყო.

— მართლა, როგორ ვზივარ, არ ვიცი, — წარმოთქვა გაიანემ და თოფნაკრავივით ზეზე წამოვარდა.

— რა დაგემართა, გოგო, ქაჯი ხომ არ გეცა? — ნელა მიუგო მოხუცმა.

— ქაჯი კი არა, არ გინდა ხაჯი? გადაირიე, ბეჩა დადი?

— კიდევ, აბა, როგორ ენას ალავაშებს. ღმერთმა სიკეთე გიყოს, შვილო, ეხლანდელ გოგოებს, მაგრამ არა მგონი, — დინჯად ჩაილაპარაკა ბებერმა.

— ოი, დადი, ის კი არა, ქისა მაქვს საკერი, კორსანტელს აღვუთქვი აბრეშუმის ქისა. სრულებით დამავიწყდა. თანგი ხვალვე უნდა მივუტანო მაიკოს. ახლავე თუ არ გამოვჭერი, მერე დროც არ მექნება, საცაა, დაღამდება, ნადები მოვლენ და ვახშამი უნდა მოვუმზადოთ. — თქვა გაიანემ და სახლისაკენ გაეჩქარა. აქ მაგიდის კოლოფს გამოსწია და ქაღალდისაგან გამოჭრილი ქისის თარგი გამოიტანა. მერე ზანდუკი გააღო, აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და ზედ თარგი დააზმანა. „მოდი, ჯერ ამისთანა თანგს მეც გამოვჭრი ჩემთვის, — გაიფიქრა მან. — მაგრამ ქაღალდი სად ვიშოვნო? ნუთუ ფარნას არ დარჩა სადმე უხმარი ქაღალდი! — გოგომ მაკრატელი აიღო, წვერი კბილებზე მიიდო და დაფიქრდა.—ოი, მართლა!—თქვა მან, მუთაქისკენ გაეშურა. ბუთაქის ქვეშ ფარნასაგან შენახული ქაღალდის ნახევები ხელუხლებელი ეყარა, ხელი მოუსვა და მაგიდაზე დაყარა. — უი, ეს რა ნამცეცები ყოფილა,—ჩაილაპარაკა გოგომ,—სათანგე არც კი ურევია, ეს რანაირი დაქყაპუნებულია, — თქვა ერთ დაქმუჭნულ, ხელისგულის ოდენა ლურჯ ქაღალდზე და თითებით და მაკრატლის ყუით გაასწორა. — ბეჭედიც ჰქონია, ალბათ, რამის ბოწმობა იქნება. იარმუკაში ვერ წაუყვანია ვიღაცას და მოწმობა ტყვილად ხელში შერჩენია; ვაი უბედური კეთილსინდისიერი, კიდევ ორ შაურს ან სამ წკუმონტუა თუთუნს გადაახდევინებდა. ქაღალდზე მარტოღა ბოლოში პატარა ოთხკუთხი ბეჭედი ესვა. ქისის თარგი აიღო და ქაღალდზე დააზმანა, მაგრამ სანახევროდ არ ეყო, უკმაყოფილოდ ქაღალდს ხელი წაჰკრა, მაკრატელიც მიაშველა და განზე, მაგიდაზე გადაასრიალა.

გადახედა სხვა ქაღალდებს და ერთი ყველაზე უფრო ფართოდ მოეჩვენა. აიღო. ისიც თითებით გაასწორა და ზედ თარგი დაადო. ქაღალდი სიგანეზე თითქმის თარგზე მეტი მოვიდა, მაგრამ სიგრძეზე ერთ კუთხეში ცოტა დააკლდა. „ამას სხვა ნაჭერს მივაკერებ, ეს არაფერია, — გაიფიქრა გოგომ, ცალი ხელის თითები თარგს და ქაღალდს დააჭირა, რომ ერთმანეთს არ მოშორებოდა, მეორე ხელში მაკრატელი აიღო და ნელ-ნელა თარგის განაპირა ქაღალდზე გაუ-

ტარა. ერთი გვერდით გამოსჭრა, ფრთხილად მოატრიალა მეორე გვერდზე და მაკრატელი დააწკარუნა, რომ ამ დროს სახლის წინ ცხენის ფეხის ხმა და მათრახის გაუბედავი ტკაცუნი მოესმა. მაკრატელი საჩქაროდ გადააგდო და გარეთ გაიხედა. თითქმის აივანთან, ვიღაც უცნობი შავწვერა და თვითონაც შავ-შავი კაცი, ჭაღარა და ვამხმარი სახისა, მოძველო ნაბადმოხურული, ცხენზე იჯდა და მის წინ მათივე სოფლის მცხოვრები ბიტა ბარია იღლიაში ჯოხშემოდებული იდგა. გაიანემ წამს გაქცევა გააპირა, რადგან მეტად შინაურულად ეცვა, მაგრამ ჯკანა კარებიდან ვერ გავიდოდა. იქ როგორც ვიცით, გაურჩეველი სიმინდი ეყარა. იძულებული გახდა, გამოსულიყო და სტუმრებს მისალმებოდა.

— სალამი მშვიდობისა. ცირა.—მიესალმა ცხენოსანი სტუმარი.

— გაიანეს ჯგირობუა, * — ხუმრობით უთხრა ბიტამ.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბატონებო, — მიუგო გაიანემ.

— ნიკოია შინ არ არის? — იკითხა ბიტამ.

— არ გახლავს, ბატონო!

— პეტრე?

— არც ის გახლავს, ბატონო, — ღიმილით მიუგო გოგომ.

— არც ათანასე?

— არც ისაა.

— სად გადაკარგულან, შენი ყარაულად მაინც არც ერთი არ დარჩა? — გაეხუმრა ბიტა.

— მე ყარაული რაღათ მინდა. ტყვე ხომ არა ვარ? — თამამად მიუგო გოგომ.

— ყარაული არ მინდაო, ახლავე რომ მოგიტაცოთ?

— არა, მაგას მაგისი არ ეშინია, — თანაგრძნობით ჩაერია ცხენოსანი.

— მე ვის რათ ვუნდივარ, — ძლივს გასაგონად მიუგო გაიანემ.

— მაინც სად არიან?

— სიმინდი დაგვრჩა, ბატონო, გაურჩეველი და ნადის საწვევად წავიდნენ.

— ბევრ ხანს არ მოვლენ?

— უნდა მოვიდნენ, სხვა საქმე არაფერი აქვთ. აქ შემობრძანდით, ბატონო, — მიიპატიჟა სტუმრები გაიანემ.

ბიტამ ცხენოსანს შეხედა და რაღაც ჩუმად უთხრა, იმანაც ტა-

* ჯგირობუა — კარგად ყოფნა.

ღაცა მიუგო და ცხენიდან ჩამოვიდა. ცხენი ბიტამ ჩაᲗოართვა და სახლის სვეტზე მიᲗედილ დიდ ლურსმანზე აღვირით მიაბა.

ამით ისარგებლა გაიანემ, ერთიც მორცხვად გაიხედა და ფაცხისაკენ გაიქცა.

უცხო სტუმარი კი სახლში შევიდა. ეს გახლდათ ჩვენი დრიმინტია ჭანტრაკელია.

— ღმერთო, კარგი შემოიყვანე ამ ოჯახში, — შემოილაპარაკა დრიმინტიამ. — ამას, ძმაო, სახლი ჯერ სიმინდით სავსე ჰქონია.

— სალდათად ჰყავდა წრეულს შვილი ჩაწერილი, ის, რომ გეუბნებოდი, — მიუგო ბიტამ, — და იმან ცოტად ხელი შეუშალა, თორემ ახლა გათავებული ექნებოდა. ნახევარი კი აქვს დალაგებული. ნაცაა სხვაფრივ, მუშა კი არა, ნაცაა!

— მაშ, კაი ბლომად ჰქონია მაგას წრეულს სიმინდი, შენ არ მომიკვდე, — თქვა დრიმინტიამ. — მერე რა ფასი ექნება წრეულს,— თავი დააქნია მან. — უკანასკნელი, უკანასკნელი, სამი აბაზი მაინც იქნება.

— დაბრძანდი აქ, სკამზე, დრიმინტია, და მე ერთი მის მოხუც დედას გადავუკრავ სიტყვას.

— აბა, შენ იცი, — თან დარცხვენილად და თან შეხვეწნის კილოთი მიუგო დრიმინტიამ და მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. ცალი ხელი მაგიდაზე დადო და თითები აათამაშა. მერე მაკრატელი აიღო და მაგიდის ფიცარზე ნელ-ნელა ხაკუნი დაუწყო და თან იმ ხმაზე ფეხის ქუსლსაც აყოლებდა. მერე მაკრატელს თითები გაუყარა და ჰაერში რამდენჯერმე გააღრაჭუნა.

— არა გიჭირს რა, ღვთით, — მოესმა ბიტას მკაფიო ხმა, — ჯერ სასიკვდილოდ სადა გცალია, ბეჩა, შვილიშვილებს ცოლები უნდა შერთო, ეს უნდა გაათხოვო, არ ხედავ, როგორ დამსხვილდა.

ცხადი იყო, რომ ბიტა ნიკოიას მოხუცებულ დედას ემუსაიფებოდა. მოხუციც რაღაც პასუხს აძლევდა, მაგრამ მისი მისუსტებული და დაბალი ხმა გარკვევით არ მოისმოდა. დრიმინტია თავდაკიდვით იჯდა. მან ერთხელ კიდევ გააღრაჭუნა მაკრატელი და მოესურვა რამე გამოეჭრა და თავდაღუნულმა განზე გაიხედა. მაგიდის ბოლოს პატარა ლურჯ ქაღალდს თვალი მოავლო. ხელი გაᲗიმა, მაკრატლის წვერი დააᲗირა და ჩოჩ-ჩოჩვით მოიახლოვა, მერე ხელში აიღო და ალმაცერად გადახედა. ხელნაწერის კითხვა გვარიან კარგა იცოდა. ქაღალდის თავზე დაწერილმა თარიღმა, ცოტა არ იყოს, დააინტერესა. ქაღალდი თვალთან ახლო მიიტანა, რადგან დროთა ვითარების გამო მელანი ცოტად გახუნებულიყო, და კითხვა დაიწყო. რამდენს

ქვევით კითხულობდა, იმდენი სახეზე აღელვება ეტყობოდა და ბოლომდი რომ წაიკითხა, ხელებიც აუკანკალდა. ზეზე წამოდგა, თვალებზე ხელი მოისვა, თითქო უნდოდა შეემოწმებინა, სიზმარში ხომ არა ვარო. პირველი წუთის აღელვებამ გაუარა, ისევ სკამზე ჩამოჯდა და ქაღალდი ხელმეორედ ჩაიკითხა. აი, რა ეწერა ამ ქაღალდის ნახევში: „ქ. ჩყნ-ს წელსა, აპრილის კგ-ს დღესა. ვაკეკარის მოურავს ტარიელ სოლომონის ძეს შუშხუნაძეს. ს. ჭყონონას მცხოვრების გლეხის კიკო ბარიას ქვრივმა ტირილით შემომჩივლა. ის ამბობს: „მეგატონე ჩემი, აზნაური მერაბი მძებრაძე უდიერად მეპყრობაო, შვილებს მიწიოკებს, მიუხედავად მათი მცირე წლოვანობისაო. ერთადერთი მოზვერა არგამად მოვტაცა და მოიხმარაო. არა ერთხელ მოუწევია ჩემ ყურებამდის აგეთ საჩივარს მაგ მძებრაძეზე და ამისათვის მოგიწერ გააფრთხილო **აზნაური მერაბი სუმონის ძე მძებრაძე,** თორემ თუ კიდევ განმეორდა მაგაზედ მაგისთანა საჩივარი, იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღო. ქვრივს კი მიეცეს ჩემი ბეღლიდან ექვსი ქილა ღომი და ორი გლეხის გარდასახადი სხვა ხორაგეულობა, სანამ ობლები არ გაუწლოვანდებიან. მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი...“ და ბოლოს პატარა ბეჭედი სხვა ესვა, ალბათ, წერილს რომ უფრო სიბეჯითე და ძალა ჰქონოდა.

დრიმინტიას ხელში ეჭირა ქაღალდი და თვალებს არ უჯერებდა, ათასგვარი გრძნობა: გაკვირვება, სიხარული, ბედი, შემთხვევა ერთად ირეოდა მის გონებაში. თვალები გაუბრწყინდა და თამამი გამომეტყველება მიიღო. წელში გაიმართა. მთელი ტანი დაუმჩატდა. ირგვლივ ყველაფერი ლამაზად და ბრწყინვალედ ეჩვენებოდა, თითქმის ნიკოია თოხიტარიას სახლის მჭვარტლისაგან გამურული კედლებიც რაღაც სასიამოვნოდ მოეჩვენა. ამ წუთში ყოვლისფერი უყვარდა ამ სახლში. მზათ იყო სიმინდის ტაროები სათითაოდ დაეკოცნა და ყველა ამის მიზეზი იყო ეს ძველი ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც სხვა მაგისთანებთან ერთად მონოზანმა სახლის გვერდით, ნაგავში გადისროლა, იქიდან მუთაქის ქვეშ მოჰყვა და აქიდან კინაღამ ქისის თარგად გამოჭრა ეღირსა, მაგრამ ღვარგისობისა გამო განზე იქნა დაგდებული. ახლა კი ამ ჭუჭყიანმა ქაღალდის ნაგლეჯმა ეს დარდით გულსავსე კაცი უცბად გაამხიარულა. გასამხიარულებელი კიდევაც იყო. ამ ქაღალდში სამი რამ იყო ღირსშესანიშნავი: ერთი რომ, ქაღალდი დაწერილი იყო 1850 წელს, თარიღი გარკვევით ჩანდა; მეორე, რომ სამეგრელოს მთავარი ხელს აწერდა, და მესამე: მერაბი სუმონის ძე მძებრაძე აზნაურად იყო ნახსენები მთავრისაგან და ზედ მისი ბეჭედიც ესვა. ერთი სიტყვით, ეს იყო

საუკეთესო საბუთი ბასილი და მისი ბიძაშვილების აზნაურობის დასამტკიცებლად. მერაბი რომ აქ მაინცდამაინც საქებურად არ იყო ნახსენები, ამის დარდი დრიმინტიას სრულებით არ აწუხებდა. ამას ბასილიც არ ითაკილებდა, რადგან ეს საქმეს არ აფუჭებდა. საქმე ის იყო, რომ მერაბი სუმონის ძე მძებრაძე აზნაურად იყო ნახსენები და მხოლოდ ეს იყო საჭირო. ამნაირი საბუთის ძებნაში ბასილი მძებრაძემ არა ერთი თუმანი დაჰკარგა, სად არ იკითხა, ვის არ თხოვა, ვინ არ ქრთამა, მთელი არქივი გადმოაბრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა. მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ რუსუდან მონოზანს მეჭეჭის შელოცვასთან ერთად ჭინჭში გამოხვეული ექნებოდა, რასაც მან ამდენი შრომა და ფული დაახარჯა.

როცა ნელ-ნელა აღტაცება დაულაგდა, დრიმინტიამ ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, საბუთი დაკეცა, სასოებით გამოახვია და ისევ ჯიბეში ჩაიდო, თან ხელიც ჩაიყო, თითქო ეშინია, ვინმემ არ მოპაროსო. ჯიბეში ხელჩაყოფილი აივანზე გავიდა. დრიმინტიას სული ყელში ებჯინებოდა: უნდოდა ახლავე, ამ საათში, ამ წუთში წასულიყო, მაგრამ ზრდილობა და საჭიროებაც, ეჭვი რომ არ აეღოთ რამე, ითხოვდა, მასპინძლის დაბრუნებამდი მოეცადა. აივანზე აქეთ-იქით სეირნობა დაიწყო. როგორც ნავაჭრალი კაცი, თავდაპირველად გამოანგარიშებას შეუდგა, თუ რამდენს აიღებდა ამ საბუთში. „ხუთი თუმანი თუ გადავახდევინე. ოცი მისი ვალი, დამრჩება სამი თუმანი ნაღდი ფული. — დრიმინტიამ ცალი ულვაში ნელა გადაიგრიხა, ცალი ხელი ისევ ახალუხის ჯიბეში ედო. — რა უჭირს, ათიც გადავახდევინო, — მოუვიდა აზრი. — რაც მე იმან ხელი მომიჭირა, ა... ათი... მაშინ რვა თუმანი ნაღდი. ორასიც რომ ვსტკიცო ყურძირში, — თითქმის დაილაპარაკა მან, ჯიბიდან ხელი ამოიღო და ორივე ხელით ულვაშები წაიგრიხა. — ორასს გავიკრავ, არ უნდა ბოდიში, მოგიკვდეს დრიმინტია, თუ მან შემთხვევა ხელიდგან გაუშვას. შეიძლება იპოვნა სადმე უფრო იაფად, მაშინ გროშსაც ვერ აიღებ, — ჩასჩურჩულა რაღაც ხმამ ყურში. ამ ხმაზე ერთი ცივად გააზმორა და ხელები ისევ ჯიბეში ჩაიყო, ერთ წამს საშინელი ნოწყენა იგრძნო. — არა, განა, ცოტა ეძება? რომ ენახა, ცოტა ფულები დახარჯა?! ზუგდიდში ახლახან რომ ვნახე, კაცი თითქმის სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ვერსად ვერაფერი ვიპოვნეო. არა, რა სათქმელია, ორას მანეთს ავაფცქვნი, სრულებით არ მოვებოდიშები. ვირი მაშინ ვყოფილვარ, როცა ყველა კაცს ვენდობოდი და პატივსა ვცემდი, თორემ ახლა? ორასი მანეთი, ორასი... მაგრამ ეს კი ვერ მომიფიქრებია და რანაირად აღმოჩნდა ეს ძვირ-

ფასი ქაღალდი ამ ყაზახის ოჯახში და მერე რა პანტასავით ეგდო მაგიდაზე. ალბათ, უცაბედად ჩავარდნიათ ხელში, კითხვა არავის სცოდნია და ყურადღებასაც ამ ჭუჭყიან ნაგლეჯს ვინ მიაქცევდა. ხუმრობაც არაა მისი წაკითხვა. ძლიერ მიჩვეული თუ არაა კაცი, ვერც კი წაიკითხავს. მე ძლივს გავარჩიე. ღმერთო, შენ მიცოცხლე მამკია კოჭლი. იმას რომ ჩემთვის კითხვა არ ეს წავლებინა, ახლა მაგას ვერც კი წავიკითხავდი. რამდენად მიღირს მარტო ერთ საათში, ორი ანაბანა რომ ვიცი. ღმერთო, მიცოცხლე, ღმერთო, აცოცხლე ჩემი მასწავლებელი, მამკია კოჭლი.“ — მამკიას გახსენებაზე დრიმინტიას ისიც გაახსენდა, თუ როგორ ისწავლა წერა-კითხვა. დრიმინტია და მამკია კოჭლი, ადგილობრივი დიაკვნის შვილი, ერთად მწყემსდნენ. მამკიას ცალი ფეხი არ უვარგოდა და ბევრი სიარული, რასაკვირველია, ემძიმებოდა, წერა-კითხვა კი იცოდა, დრიმინტია პირობაში შეეკრა: შენ ოღონდ წერა-კითხვა ვასწავლე და თხებს ყოველთვის მე მივხედავო. მამკიამ მართლა დაასწავლა წერა-კითხვა და დრიმინტიამაც პირობა პირნათლად შეასრულა. იჯდა მამკია ჩრდილ ქვეშე, ან ეძინა, ან წალდით ხელში რასმე თლიდა. დრიმინტია კი ქაღალდით ხელში თან კითხულობდა, თან თხებს ერეკებოდა.

დრიმინტიამ საბუთი ისევ ამოიღო და ერთხელ კიდევ გასინჯა. საბუთის სინამდვილე ყოველ ეჭვს გარეშე იყო. ხელები ისევ ჯიბეებში ჩაიწყო და დაფიქრებით გაიარ-გამოიარა.

— დედა, ღვერთო! — თითქმის წამოიძახა მან, — სულაც არ გამხსენებია. ასეთი საოცარი შემთხვევისათვის ღვთისთვის მადლობაც არ მითქვამს, პირჯვარიც არ გადამიწერია, მიწა უნდა მეჭამა... შეგცოდე და შემინდვე,—მოწიწებით წარმოთქვა დრიმინტიამ: პირჯვარი გადიწერა და ძირს დაიწია, მიწა უნდა აეღო, რომ სახლის გვერდით კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი მოესმა.

— ჩალა კი, ღვთით, მშრალად დავალაგე... მარტო იმ საბას ნაყანევში უცბად მოსულმა ჭუჭუხმა დამისველა, ასე ორას კონამდი, მაგრამ ნაკვერცხალზე ქვაჩალერად ჩამოვკიდეთ და ვითომ დალპება ოხერი? — ამბობდა ბიტა.

— რა დაალპობს. მანამდი შენც ნუ დაცლი, პირუტყვებს აჭამე: აივანს მოუარეს. ნიკოიამ დრიმინტიას მიემშვიდობა:

—სალამი მშვიდობისა, ბატონო! დასაპატიჟებლად რომ ვერ ვიშოვნიდი, ამისთანა კაცი როგორ მობრანძულ დროს მომიყვანა ამ კაცმა, — ვითომ უსაყვედურა ნიკოიამ ბიტას.

— ღმერთმა გაცოცხლოს, არაფერია! სიმინდი სახლში ეყაროს,

ის არ არის, ბაბა, სირცხვილი, რომ არ იყოს, ისაა ცეცხლის მოკიდება, ორეომ, — მხიარულად მიუგო დრიმინტიამ.

ბიტამ დრიმინტიას შეხედა და გაუკვირდა. ეს ის დრიმინტია არ იყო, ამ რამდენიმე წუთის წინათ მასთან დაღვრემილი რომ მოდიოდა. ძლიერ გაუკვირდა დრიმინტიას ასეთი მხიარული გამომეტყველება და თვითონ ერთიორად უფრო მოწყენილმა, თვალით ანიშნა, რომ მხიარულება ნაადრევია, ამისაგან ფულის შოვნა საიმედო არ არისო.

— შინ მობრძანდით, ბატონო, შინ, — ეპატიჟებოდა ნიკოია.

— არა უშავს რა, აქაც მოვთავსდებით, — მიუგო დრიმინტიამ.

— კი, აქ სჯობიან, სამ... მაშ სკამებს გამოგიტანთ.

— შენი თავი არ მომიკვდეს, იმდენ ხანს არა მცალია. ცოტა სათხოვნელი მქონდა შენთან, ნიკოია, — ზრდილობიანად ეუთხრა დრიმინტიამ.

— ბრძანე, ბატონო, მე კიდევ რა შემიძლია, საწყალს, — მიუგო ნიკოიამ. ეს, „რა შემიძლია“ ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ თუ ფულზეა საქმე, იმედი აღარ გქონდესო.

— ერთი-ორი თუმანი დამჭირდა, ორი-სამი თვის განმავლობაში მინდა, სარგებელს კარგს მოგცემ, — მტკიცედ და ისეთი კილოთი უთხრა დრიმინტიამ, თითქო — თუ მომცემ, კარგი, თუ არა და მასზე უნაღვლესი ორივეს ღმერთმა ნუ დაგვაართოსო.

ბიტა გაჩუმებული ყურს უგდებდა. ამ კაცის საქმე მაკვირვებს, ღნდა ეღრიჯებოდეს და როგორ ტყემალივით ეუბნებაო.

— ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, — მოყვა ნიკოია, — ჩემი შვილები ჩემი ხელით მომეკლას, ტყუილი თუ გითხრა, აგერ ბიტას ქე ვეუბნებოდი. ამ სალდათობაში დამეხარჯა. ტყუილს ვერ გეტყვი, ღვთის და თქვენი წყალობა ერთი-ორი კაპეიკი ქე მქონდა. ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი! რომ მქონდეს, ვინ ოხერი!..

— იმედია, რომ გქონდეს, არ დამიჭერ. მაინც შენი ისეთი მადლობელი ვარ, თითქო გესესხებინოს. ხმით ქე გატყობ, რომ გულწრფელი კაცი ხარ. აგაშენა ღმერთმა, — მიუგო დრიმინტიამ და გამომშვიდობება დაიწყო.

— ბატონო, არც ღვინო, არც წყალი, ღმერთო, მომკალი, — მოიბოდიშა ნიკოიამ.

— რათ იკადრებ, მადლობელი ვარ, — თქვა დრიმინტიამ და ცხენზე შეჯდა.

— რა არ ვუთხარი, რა არ ვეხვეწე, მაგრამ არა გამოვიდა რა, — მოწყენით უთხრა ბიტამ, როცა ნიკოიას ეზოდან გაჯიდნენ.

— თუ არ ქნა, ქე იყოს. რა ვუყო ახლა.

— ის ბასილიც არაა კაი კაცი. ერთი-ორჯერ მეც შემხვდა, შენზე საყვედურს ლაპარაკობდა. განაგონი აქვს იმ კაცს და რომ ჰქონდეს, მაინც სესხებას ვერ გაბედავსო.

— ღმერთი მოწყალეა, ბიტა! თუ შემჭამს ბასილი მძებრაძე, იმასაც ქვეყანა დაინახავს. აღდგომა სულ ერთ მხრივ არ იქნება, ჩვენსკენაც მოიხედავს ბრწყინვალე მზე.

— ხარი შევაძლიე, ცოლ-შვილს გეფიცები, — არ ცხრებოდა ბიტა, — რათ მინდაო, სხვისი კი არა, ჩემსას ვერ მოვუარეო. ასე იცის ცოტა წინ წაწევამ. რათ უნდა კი არა, ამ სამი წლის წინეთ ჩოქჩოქით იხვეწებოდა. ქენი წყალობა და ცალი ხარი მათხოვეთო, ყანა ბოუხნავი დამრჩაო.

— შენი დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ბიტა, ამდენად გულთან რომ მიიტანე ჩემი გაჭირვება. ჰაიტ! — ცქვიტად დაუძახა დრიმინტიამ ცხენს პატარა რუს დაღმართში და მათრახი დაარტყა. მისი მჭლე ცხენი დაფაცურდა, თითქო იმანაც იგრძნო პატრონის სიხარულიო, თეძოს ძვლები, რომლებიც სიმჭლევისა გამო ტყავქვეშ ნათლად იხატებოდა, აამოძრავა და რუს მძიმედ გადაატა.

ერთი საათის შემდეგ ცხენზე გადამჯდარი დრიმინტია ჭანდრაკელია შინისაკენ მიეშურებოდა. ჯიბეში ხელს მალ-მალ იყოფდა და შუბლზედაც ისვამდა. ვისაც შეხვდებოდა, გამარჯობის თქმას არ დააცლიდა, პირველად უსათუოდ თვითონ ეტყოდა.

„ა... ეგ ოხრად დასარჩენი, აბა, რომ ვერ ბიხვდები მაშინვე? — გაიფიქრა მან და ხელი შუბლზე გადისვა. — იმ ბაგიდაზე მაგისთანა ქაღალდები არა ერთი ეყარა. ნეტავ ვინ მისცა მაგათ, ყველა საბუთები იყო. სიხარულმა მომიტაცა და სხვას ყურადღება არ მივაქციე, ვერ მოვიაზრე უცბად ეგ ოხერი, — უსაყვედურა თავის თავს. — არა, სუ! ვაითუ იმ კაცმა კარგად იცოდა ეს ქაღალდი რა იყო და იქ ეგებ შენახული ჰქონდა და ქურდობაც შემომწამოს? — ამ ფიქრში დრიმინტია წამოწითლდა, ქუდი მოიხადა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მომსდევსო. ტყუილად დარდობდა. მისი წასვლის შემდეგ გაიანემ ქისის თარგი გამოკრა, ლურჯი ქაღალდი არც კი გახსენებია. სიმინდის მრჩეველი მეზობლების ქალები და ვაჟკაცები მოგროვდნენ და შეაღამემდი სულ დაარჩიეს. მუშაობის გათავების შემდეგ მათ ვახშამი მიირთვეს. ვახშმის გაწყობის წინ გაიანემ თუ რამ ნივთი ელაგა ბაგიდაზე, როგორც, სარკე, მაკრატელი, ლამპა, აალაგა. ქაღალდებს კი გადაუსვა და სიმინდის ფურჩაში გადაყარა.

XXIII

ისევ ხელწერილი

შობის წინა დღეს ბასილ მძებრაძის სახლის დარბაზის ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. დაფიქრებული ბასილი ბუხრის წინ სავარძელში იჯდა და ახალდაბანილ თმა-წვერს ივარცხნიდა. იქვე სკამებზე ირაკლი და პავლე მძებრაძეები ისხდნენ. ორივეს გამხმარი სახე და მოკლე წვერი ჰქონდათ. ირაკლი კარგა აჭაღარებული იყო და პავლეს კი აქა-იქ თეთრი წვერი ერია. ორივეს ქალამნები ეცვათ და ეტყობოდათ ახლახან შემოსულიყვნენ აქ, რადგან ქალამნები ღამალის წინდების მოკლე ყელი, რომელიც შარვალზე გარეთ ძაფით ჰქონდათ შეკრული, სველი იყო და ალაგ-ალაგ დაუდნობელი თოვლის პატარა გუნდაც ბრწყინავდა და თანდათან დნებოდა.

გარეთ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოვდა. ზღვის ქარი საშინლად უბერავდა და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თოვლის ქინქლებს ალმაცერად ჰყრიდა.

ირაკლიმ გარეთ გაიხედა, ერთიც დაამთქნარა, ცალი თვალი ძალზე დახუჭა და დამთქნარებითვე ჩაილაპარაკა:

— რა გადაცემული დღეა, წართი, თუ არ გადაიღო და არ გამოიდარა, შენი მტერი, ჩალასაც ვერ ამოიტანს კაცი.

— შენ ჩალაზე ჩივი და შეშაზე უნდა თქვა, ერთი ღერი არ მოგვეძევა, — მიუგო პავლემ.

— ზამთარი კი იქნება წრეულს, კალენდარში წერიაო, ამბობდნენ. ის ოხერი, რომ ვერ ვიყიდე! გიორგი ბრტყელაიას ჯიბით დააქვს, მაზაკვალს. ზოგი ისეთი კაი ამბები წერია, — წარმოთქვა ბასილმა.

— ნეტავ ცეცხლი მოუკიდა ყველა კალენდრებს! ოღონდ მე კი ერთი ურემი შეშა მოვცა ახლა და რაც კალენდრებია ქვეყანაზე, ყველა ზღვაში გადააგდო, — შენიშნა პავლემ.

ბასილმა წვერ-ულვაში დაივარცხნა. სავარცხელი ბუხრის თავზე ჩამოდო, მერე აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა და რამდენჯერმე პირჯვარი დაიწერა

— ბართლომე სად არის? — ჰკითხა ბასილმა, როცა ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— ქარბორიასთან, — მიუგეს ორივემ. — ამ ზამთარში . მას სოფელში რა გააჩერებს, — განაგრძო პავლემ.

— ბაწრით და ჯაჭვით არ მოიცდის, — თქვა ირაკლიმ.

— კარგადაც იქცევა, სადღაა, ძმაო, მაგისთანა კაცის გასაძღომი მჭადი, — ბასილმა უშნოდ ჩაიცინა.

— კიდევ ქალაქ ალაგას მაგისთანა კაცი, — საქმიანი კილოთ თქვა ირაკლიმ, — იქ ტახტირებში და სამიკიტნოებში თბილად დროს გაატარებს.

— ძუკუ სად არის, ბატონო? — იკითხა პავლემ.

— არ ვიცი, შენ არ მომიკვდე, — თითქოს უცხოზე ლპარაკობსო, ისეთი კილოთი მიუგო ბასილმა. — როცა დილით ავდექი, ქე შევამჩნიე, თოფს რაღაცას უკიტორებდა. ალბათ, სანადიროდ წავიდოდა. ისიც ჩქარა წავა, მგონია, ქარბორიას ანაბარა. — მწარედ დაუმატა ბასილმა და ერთიც ამოიოხრა.

— ქარბორია ღმერთმან აშოროს, ბიძი, ის კი არა, იმას აპონი ხარ, * — თანაგრძნობით მიუგო ორივემ.

— შენი მტერი დაეპონა მაგისთანა შვილს, — მწარე ღიმილით მიუგო ბასილმა. — თვითონც წაიქცევა და შენც ქვესკნელში გადაგაგდებს. მე სანამ სული მიდგა, ამ ჩემ ორ ფეხს დავეპონები, — მუხლებზე ხელი დაირტყა ბასილმა, — ის კი მე დამეპონება და კიდევაც სანამ ცოცხალი ვარ, არ დავცემ, მაგრამ ჩემ შემდეგ რა ეშველება, ვიღას დაეპონება?

ირაკლიმ და პავლემ არა მიუგეს რა, მხოლოდ ჩუმად ამოიოხრეს.

ბუხარში ცეცხლის ალს ლაპლაპი გაჰქონდა. წიფლის ერთ მოგრძო მშრალ ნაჭერს ცეცხლი შუაგულ ჭოდებოდა და აალებულ ხეს ტკაცუნ-ტკაცუნი გაჰქონდა. აი, უკანასკნელად იტკაცუნა შეშამ და შუაში გამწვარი ნაღვერდალში ჩავარდა, თითქო ხის მორევა გაუხარდაო, შეშას ბარბაჩით მოედო.

ბასილმა თვისი საყვარელი ყალიონის ტარი პირში ჩაიდო, სიამოვნებით მოუპაპუნა და სქელ-სქელი კვამლი გამოუშვა.

— ვო, ირაკლი და პავლე! — წარმოთქვა ჰან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ.—თქვენზე უფროსი თქვენ-თქვენს ოჯახებში არავინაა. როგორ გაჭირდა ჩვენი საქმე, კარგად იცით. ცოდვას ვერ ვიტყვი: რაც შეგეძლოთ, მტრის ჯავრისათვის დღემდი მხარი არ მოგიცილებიათ ჩემთვის. რამდენი ვიხარჯეთ, რამდენი ვეძებეთ ის საბალაგროდ დასარჩენი საბუთი! ღმერთი რომ კაცს გაუწყრება და გასწირავს ის არის, თორემ აზნაურობის საბუთი ჩვენ საძებარი უნდა გვქონოდა? მაგრამ ბევრიც რომ ვიწუწუნოთ, საქმეს ამით არ ეშ-

* აპონი ხარ — იმის იმედითა ხარ.

ველება. ახლა საეშმაკოდ, დედა ღმერთო! დრიმინტია ჭანდრაკელიას, ჩემი სისხლის მსმელს, რაღაცნაირად, — სად იპოვა, ნეტავი ვიცოდე! ხელში ჩავარდნია ჩვენი გამოსადეგი საბუთი და...

— მართალი ყოფილა, ბიძი?! — გაოცებით დაეკითხნენ ორივე ძმები.

— მართალი, აბა, ჩემი თვალით ვნახე. ივ მენცარმა ხელი კი არ მომაკიდებინა. თვითონ ორივე ხელით ეჭირა და წამიკითხა, ზალიკასაც წააკითხა.

— ნეტავ რა წერია შიგ? — დაინტერესდნენ ძმები.

— საქმე ისაა, რომ აზნაური მერაბი სუმონის ძე მძებრაძეო, ურევია და ეს არის თავიდათავი საჭირო, თქვენთვინაც და ჩემთვინაც. წერილი სასახელო არ არის, — მორცხვად შენიშნა ბასილმა, — მაგრამ რას დავეძებ, მე არც მესაჭიროება, ის ქე არის ცხადად და სხვა რაც წერია, რას დავეძებ. მამაჩემს პირად კი არა სწერს მთავარი! ვაკე-ჯარის მოურავს, ტარიელ შუშხუნაძეს წერს.

— შარშან რომ გარდაიცვალა, იმას?

— დიახ, ტარიელ შუშხუნაძეს სწერს, რომ მამაჩემი გააფრთხილოს. კიკო ბარიას ქვრივს, არ გახსოვთ, კუზიანი ბებერი რომ დადიოდა, ისიც ახლახან უეცრად რომ გარდაიცვალა. აი იმას უჩივლია მამაჩემისათვის.

— ოჰო, შენი ჭირიმე? — გაიკვირვეს ძმებმა.

— აი, ძმარ, საბუთი ვნახეთ ეს არის, მაგრამ რა ფასს ამბობს არ იტყვი? განა ნავაჭრალი და განაკოტრი კაცისაგან სიკეთე გამოვა? ორას ჭანეთზე ნაკლებ ლაპარაკსაც არ კადრულობს ის მენცარის შვილი!

— ყო, წიე! — თითქმის მიაყვირა ორივემ.

— აბა, დედის სულწაწყმენდილი! რომ მინახა დრო, მაგრა დამაჭირა, რამდენი ხანი მაწვალა ფულის თაობაზე. ოცი მანეთი ახლაც მართებს. ისე მოცაცილად მქონდა ახლა საქმე, რომ ცაში უნდა აფრენილიყო, ან ჩემი ვალი გადაეხადა, და წარმოიდგინე. ეშმაკმა თუ ანგელოზმა, ხელში ჩემი სულის კლიტე ჩაუგდო. ხა, ხა, ხა, — მწარედ ჩაილაპარაკა ბასილმა, — თუ უნდა, გაგიღებს ის კაცი, თუ არა და ყავხარ დამწყვდეული და ეს არის, — მწარე ღიმილითვე დაუმატა.

— გადირია ყოფაგაქუცული? — ჯავრით წარმოთქვა პავლემ. — ორასი მანეთი ლობიოს ჩენჩი ხომ არ არის? ორასი მანეთი ნაღდი ფული ახლა მე მომცა და შენი აზნაურობა ინგურში გადაგიგდო, ოცარცეს ქვემოთ.

— რას ამბობ, კაცო, აზნაური არ ვიყო, ღმერთმა ნუ ქნას, — ცოტა ამაყად მიუგო ირაკლიმ, — მაგრამ ორასი მანეთი ერთობ გაუჭიმავს მაგ შავ ყაზახს.

— ასეა, ძმაო, აი, ხომ ხედავ, დროებამ რა მოგვიტანა! — ბასილმა ყალიონი მაგრა მოსწია, სქელი ბოლი გუნდ-გუნდად ამოდიოდა პირიდან და ნელ-ნელა ბუხრისკენ იფანტებოდა. აპრიალებულ ცეცხლს ჩააფურთხა მასპინძელმა და აუჩქარებლად განაგრძო: — მე თუ მკითხავ და როგორც ვაკვირდები, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისეთი დროებაა დამდგარი, რომ შენს აზნაურობას მართლა ბევრი არაფერი გასავალი არა აქვს. ახლანდელი აზნაური, ბაბა, ისაა, ვისაც რამე აქვს და ვინც რამე იცის; ჩვენ კი, საუბედუროდ, თუ რამე გაგვაჩნია, ნელ-ნელა ხელიდან გვეცლება და არავითარ ცოდნას და ახალ რასმე არ მივსდევთ... ეს, ვთქვათ, ასეა. წყალში რომ ჩავარდე და იხრჩობოდე, თუ ხელი არ გაუსვი და ნაპირისკენ არ გაუჩქარე, რიმდენიც გინდა თვალი ხუჭო, და ალბათ სიზმარი იქნებაო, რომ იძახო, რას გამოგადგება. თავი სანამდის უნდა იტყუილო, ბაბა!.. მაგრამ, კაცო, თვალები ჩემი ხელით როგორ დავითხარო. ჩემი ოეხით კუბოში როგორ ჩავიდე! — აქ ბასილი წამოდგა და ხელები ფართოდ გაშალა. — მამაჩემი, პაპაჩემი, პაპისპაპა და ბაბუა ამიერ მითაყამიდან უკუნისამდე აზნაური ყოფილა, ყმა ჰყოლია, სახლკარი ჰქონია, მიწა, მამული ჰქონია, სამამულო საქმეში მტრისთვის ზურგი თავის დღეში არ უჩვენებია,—ბასილი თან ლაპარაკობდა და თან ხელებს ზევით და ქვევით აქნევდა, — და ახლა გლეხი ბასილი მძებრაძეო. რომ მეძახდნენ, მაგას ჩემი ყური ვერ გაიგონებს. ხარჯის ში'მით ეს მივატოვო და ცოცხალი დავიმარხო? არა, სანამ ვარ, ვიყო ისე, როგორც ვყოფილვარ. რაც უნდა დამიჯდეს, ცოლ-შვილიც რომ დავიწინდრო, და რომ მოვკვდები, მერე თუ გინდა ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა.

ირაკლი და პავლე სულგანაბული ყურს უგდებდნენ. მათი მოწყენილი სახე კიდევ უფრო მოიღუშა.

— რას ვუზამთ, უნდა ვეცადოთ,—ფრთხილად დაარღვია სიჩუმე პავლემ.

— კარგი, ძმაო, თუ ეცდებით აი ეს არის. რაც მე დღემდი დამიხარჯავს, ცოლ-შვილის პატრონი კაცები ხართ, თქვენ და თქვენი ღმერთი!.. ნახევარ ხარჯს ახლაც ამოვუდგები. რა ექნა. და როგორმე თქვენც უნდა მოიწადინოთ, სამნი ხართ.

— სამნი ვართ, ბიძი, მართალია.!— ბიუგო ირაკლიმ, მაგრამ ის ერთი კაცი, ღმერთო შეგცოდე, არ იყოს, სჯობია. რაც ვაჭრობას

თავი დაანება, მას აქეთ ერთი კაპეიკის ღირებული ოჯახში არ შემოუტანია. განა შენც ჩემზე უკეთ არ იცი, მაგრამ გულში რომ გიჭირს კაცს, უნდა ილაპარაკო. ჩვენ არ ვმუშაობთ ხეირიანად. თორემ ჰაგის ნამუშავერი ხომ არ გაგონილა და არც იქნება, ისე უნდა დაილიოს. მოვარდება ხანდისხან შინ, თუ რამე გაგვაჩნია. სვამს და ჭამს. ქალებს მაგის სარეცხის რეცხვაში ხელები უსკდებათ! საპონს მაინც მოიტანდეს. ერთი ქცევა მიწა ერთ ვაჟიშვილად ღირდა, შენც ქე იცი... თავისივე სულელობისათვის ყაზახს დაუგირავა. რატომ ასი მანეთი არ აიღო ამ ორ მოწევაში იმ კაცმა და ვგონებ საკუთრად მაგას შერჩეს. ვინაა ამომღები, გენაცვალე. ყაზახმა, მამაძაღლმა, თუ ერთხელ ჩაგიგდო, წურბელასავით სისხლს გამოგწოვს. რომ დაგინდოს, ყოვლად შეუძლებელია. ახლა, ბიძი, ასი მანეთის შოვნა ჩვენთვის? შენ რა, უცხო არა ხარ, ყველაფერი ჩვენი ამბავი კარგად იცი. მე რა უნდა გითხრა.

პავლე თავჩაღუნული იჯდა და ჩუმ-ჩუმად ხან ირაკლის, ხან ბასილს შეხედავდა და ხან გაპრიალებულ მხურვალე ნაკვერცხლებით სავსე ბუხარში შეიხედავდა.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — ჭხრების აწევით და ხელების გაშლით მიუგო ბასილმა. — მაგრამ თქვენც ჩემი ამბავი ხომ იცით. თუ ორი გრამი ვისმეს მართებს ჩემი, — კბილით ამოსაგლეჯ-ამოსაღებია, ერთი ორი გროში თუ ხელში მქონდა, დაილია, ძმაო. ზღვა კოვზით დაილევაო, ნათქვამია, და ჩემი ორი კაპეიკის დალევას რა ბევრი რამე უნდოდა. აქეთ ხუთი მანეთი, იქით ათი მანეთი, აქეთ ორი თუმანი, იქით სამი თუმანი, აქეთ ორი მანეთი, იქით ერთი მანეთი და ამდენ აქეთ-იქითში... ფვიტ, ხელიდან, — მარჯვენა ხელის ცერი შუა თითს მიაჭირა და დაატკაცუნა.

— მაინც რა გაუჭიმავს მაგ შავ ყაზახს. ეგებ კიდევ უფრო იაფად წავაწყდეთ სადმე. რა გაჩქარებს, ბიძი, — ინუგეშა თავი პავლემ.

— სხვაგან რომ ვიშოვნიდე! — წამოიძახა ბასილმა და ხელები გაშალა, — თათრის ვალს დავიდებ, მეტს მივცემ და ვიყიდი და იმას კი, იმ გაკოტრებულს, პირს ჩალაგამოვლებულს დავტოვებ, მაგრამ ესაა მაგის ღვთის წყრომა, რომ ვერსად ვიშოვნეთ. განა ცოტა ვეძებეთ? რა გვაჩქარებსო, რომ ამბობ! საჩქარებელი არაა თუ! განა მარტო საბუთია საჭირო? ეს ჭხოლოდ საქმის დაწყებაა. ახლა ბეტრიკული მოწმობები, ახლა ოცდახუთი ჩინოლიკების ხელმოწერილი ქაღალდი, მერე შეტანა და დავიდარაბა. არა, ერთი და

ორი წელიწადი გაივლის... თქვენ რომ ვერაბის ძმისწულები ხართ, ამასაც დამტკიცება უნდა.

— აზნაურობაც რომ სადავიდარაბო გაგვიხდა, ფუი, მის საქმეს, — მწარედ ჩაილაპარაკეს ძმებმა.

— აბა, რა დროს მოვესწარით! — ნაღვლიანად მიუგო მათ ბასილმა.

— ეს მანეთს ახლა, ბიძი, რომ ჩამოგვახრჩოს კაცმა, ვერ ვიშოვნით, — მწარე სიცილით თქვა ირაკლიმ.

— რა ვქნათ აბა, ბიძი, — მიუგო ბასილმა, — კაცს სირცხვილისათვის ხურავს ქუდი. თუ თქვენ ჯარს იტყვით და არ გინდათ, მე ვაინც, რაც გინდა გადამხდეს, უნდა ვეძიო ჩემი ღირსება, სანამ გავუძლებ. კოჩა და ბიტა ბარიას ამხანაგად გამხადონ, გადმოდგეს სუკზე ტაგუია პოპროშიკი და ვო, ბასილ, ვო, ბასილ, ბარი და ნიჩაბი წამოიღე, ანაკლიისაკენ გზა გასაკეთებელიაო, რომ დამიკიჟინოს, ამას ჩემი ყური და თვალით ვერ მოვისმენ და დავინახავ და მერე... თქვენ თუ არ გინდათ, თქვენი ნებაა.

ირაკლიმ და პავლემ ერთმანეთს შეხედეს, მერე ფანჯარაში გაიხედეს. თოვლი ბლომად, ფრიალ-ფრიალით ცვიოდა, არავითარი საგნის გარჩევა არ შეიძლებოდა. ვათ შეწუხებულ სახეს მოწყენილმა და სუსხიანმა ბუნებამ ჯერო მეტი მოწყენა დაურთო.

* * *

შობის წინა ღამეს ნიკოია თოხიტარიას ფაცხაში კერაზე ცეცხლი იყო გაჩაღებული. ჯაჭვზე თუჯის დიდი კარდალა ეკიდა ღორის ხორცით სავსე და იხარშებოდა. ნიკოიას ჯალაბობა, ივანეს გარდა, იქვე იყო. დადი და გაიანე ერთ კუთხეში კუპატს აკეთებდნენ. ნიკოია კარდალის ახლო კველაზე იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა. პეტრეს ხელში პაპიროსი ეჭირა. ათანასე და ფარნა ღორის ბუშტს ბერავდნენ. კარდალაში წყალი დუღდა, ათასფრად გადი-გამოდიოდა, აქაფებულ ბუშტებს ბუშტებზე ისროდა. კარდალაში ღორის თავიც იხარშებოდა, კარგად არ ჩატეულიყო და ერთი ყური წყლიდან მოჩანდა. ნიკოიამ ხის შამფური აიღო, ზევით ამოყოფილ ღორის ყურს დააჭირა. ქვაბი ცალმხრივ გადაიწია და ქონიანი წყალი ცეცხლზე გადმოიქცა. ცხრ... აციცხინდა ქონი და საშინელი ალი ავარდა.

— ნანაია, შვილო, რას შობი, ცეცხლი არ მოგვიკიდო, — მიაძახა ბუბამ.

— ა, წიე, როგორი ალი ავარდა! საწყალი კერა ცარიელი ქონი

ყოფილა, რაც მე მაგას ამ მარხვაში სიმინდი ვაჭამე, — სიხარულით შენიშნა ათანასემ.

— ნელა, ბაბა, ნელა. ერთბაშად ნუ დაწევ, თორემ ცეცხლი საშიშია, — თქვა პეტრემ.

— ეს ოხერი ყური უშნოდ არის ამოჩიჩხინებული, მოუხარშავი დარჩება, — იმართლა თავი ნიკოიამ და ღორის ყურს წკირი ნელ-ნელა დააჭირა. ქაფი ვაინც ქვაბიდან ნელ-ნელა გადადიოდა და ცეცხინი გაჰქონდა.

—ერთობ პატარაა ჩვენი ფაცხა, თუ ცოტა დიდი ცეცხლი აანთე, კაცს გასასვლელ-გამოსასვლელი ალაგი აღარ დაურჩება. ერთი გვარიანი დიდი სამზადე რომ მოგვცა, კი გვჭირია, — თქვა ნიკოიამ; ერთი ხელიდან წკირი მეორე ხელში გადაიტანა და ცეცხლისაგან გახურებული სახე განზე მიიბრუნა.

—მე ის საპირუტყვო სახლი სამზადოდ მინდოდა, შენ არ დამიჯერე თორემ, — მიუგო პეტრემ.

— პირუტყვებს რაღას უზამდი?

— ამ ფაცხაში დავაბამდი.

— ამაში რა დაეტევა?

— როგორ არ დაეტევა.

— რა დაეტევა, უღელი ხარი აქ თუ მოთავსდა, დიდი თავი დაუკარი. სხვას, ღვთის წყალობა, ორი ძროხა ქე არის, ორიც ხბო, ერთი ქაბლა, * ცხენი; ამდენ სულს რას უზამდი, სად დააბამდი?

— რაც აქ არ დაეტეოდა, იქ დავაბამდი.

— არა, შვილო, არ არის ლამაზი, — მიუგო ნიკოიამ. წკირი ფრთხილად ქვაბში ჩაჰყო, წოწინარივით ღორის თავს ამოუდო. მეორე მხრივ გადმოაბრუნა. მოუხარშავი ყური ახლა ძირს მოექცა. მდუღარე წყალში, და ნიკოიამაც წკირი მოაშორა. — არაა, შვილო, კარგი, როცა კაცი საჭმელს აკეთებს და იქ ძროხა და ცხენიც უბია. უწმინდურობა და ბინძურობაა. ქათამი ხომ უკაცოდ არ მოიცდის გასაწყვეტი. სადაც კაცია, იქ უნდა გაიზარდოს, ბაგაში ჩააფრინდება, ბლმბულს ჩაჰყრის და შეიძლება ცხენს ან ძროხას ჩალაში ჩაყვეს და კიდევაც მოკლას.

— ხა, ხა, ხა, — გაიცინა პეტრემ. — რა ჩქარა გავდიდკაცდით, ბაბა. მე რომ პატარა ვიყავი, სასიმინდეს ქვეშ, ამ ფაცხის ტოლაც არ იყო, ჩვენც ვთავსდებოდით, საჭმელსაც იქ ვაკეთებდით. ძროხაც იქ გვება, გოჭსაც იქ ვზრდიდით და სტუმარიც იქ მოდიოდა.

* ქობლა — უშობელი.

— ნუ გამახსენებ, შვილო! მერე ის ცხოვრება იყო! მერე ის სიცოცხლე იყო! რა ვიხეირეთ მერე, შვილო! საწყალი დედაშენი იქ დასნეულდა და კიდევაც სიცოცხლეს გამოესალმა.

—ღმერთო, ისე გამოასალმე სიცოცხლეს, ვინც ჩემი ნიკოია დამიუსამართლა, — ნელა ჩაილაპარაკა მოხუცმა ჭუჭამ.

— სამაგიეროდ, ახლა გვარიანად ვართ ფონს გასული, მამაჩემო, ნუ გეშინია, — უთხრა პეტრემ და თავი მაღლა ასწია, თითქო ღვინის სმაში მოპირდაპირეს ენაძლავებაო.

ნიკოიას სახეზე მხიარულმა ღიმმა გადაურბინა ოა შვილებს სათითაოდ შეხედა. ყველანი ფერხორცით სავსენი, კმაყოფილნი და მოღიმარნი მამას შეჰყურებდნენ.

— თქვენი იმედით, შვილებო, ჩემი ივანეს იმედით, ღმერთი რომ თქვენს თავს მიცოცხლებდეს, სხვა რის მეშინია.

— აჰა, ძმაო, კისერიც რომ მოიტეხო, ამაზე მეტი ეს ბუშტი არ გაიბერება! — წამოიძახა ათანასემ. რომელსაც ისლის ლახვრის ერთი ბოლო პირში ედო, მეორე ბუშტის ვიწრო მილში ჩაეშვა, ხელითაც იმაგრებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლახვრის მილში სულს უბერავდა.—ახლა, ფარნა.—მიუბრუნდა ათანასე ფარნას. — ბუშტს ყელთან ძაფი მჩატედ მოაბი, მე ძლიერ გავბერავ და როცა სულ ძლიერ გაიჭიკნოს, უცბად ძაფით მაგრა მოსკვენი.

ფარნამ აბრეშუმის მაგარი ძაფი ძოსძებნა, ბუშტს ყელთან მჩატედ ჩამოასკვნა და ძაფს იქით-აქეთ ხელიც მოკიდა. ათანასემ ისლის ლახვარი პირში ჩაიდო და ჯერ ნელ-ნელა ჩაბერა, დაჭუჭნული ბუშტი ცოტ-ცოტად გაიბერა. ათანასემ ჩაბერა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლოყები გამოებერა, თვალები გაუმსხვილდა და სახეზე ალმური მოედინა. „ჰმ“, ცხვირით და თავის კანტურით ანიშნა ფარნას. ფარნამ ძაფი იქით-აქეთ გაჭიმა და მერე გარშემო რამდენჯერმე შემოავლო, ისევ გასკვნა და ისევ შემოავლო. ათანასემ კი ისლის ლახვარი დროზე ამოაცალა.

— ეჰ, ცოტა დაიგვიანე, — უსაყვედურა ათანასემ ფარნას. — მჯ ხომ განიშნე, იმავ წამს უნდა მოგეჭირა. მე ეაშინათვე ლახვარი ამოვაცალე, შენ ერთი ბეწო დაიგვიანე და სულიც ცოტა გამოვიდა.

— არა უშავს რა, — მიუგო ფარნამ და გაბერილ ბუშტს თითებით დაირასავით დაუბრახუნა. — მაგარია, მეტი რა გინდა?

— ტყუილად არ გაადგოთ, ბაბა. დიდი ბუშტი ჰქონია ღორის პირობაზე, — უთხრა შვილებს ნიკოიამ.

— აბა რათ მოვიხმაროთ, — ჰკითხა ფარნამ.

— ქისა გააკეთეთ. აი, გაიანე გაგიკეთებთ:

— ყა, ქისად ეს არ ვარგა, — თქვა პეტრემ, — ქისად ძროხის ბუშტია კარგი.

—ქისად გავაკეთოთ და ბასილ მძებრაძეს ვუძღვნათ,—გაიხუმრა ათანასემ. — ივას აქვს ყოველთვის ბუშტის ქისა.

— მე ვიცი ამას ვის ვუძღვნი! — წამოიძახა ფარნამ და გაბერილი ბუშტი მიწაზე დააგდო. ბუშტმა ოდნავ ფაფუნი მოიღო, აქეთ-იქით მიგორ-მოგორდა და ერთ ადგილას გაჩერდა.

— აბა, კაი, მაგას! — დაიძახა პეტრემ.

— მე, ვე! — წამოიწია ფარნამ.

— არა, მე! — თქვა ათანასემ და ფარნას მოეჭიდა.

ორივემ ხელი მაგრა დაავლეს ერთმანეთს და არ უშვებდნენ. ნიკოია და პეტრე იცინოდნენ.

— ჯვარი აქაურობას, წართი! — უკმაყოფილოდ შენიშნა ჭუჭამ.

— ქვეშ გენია გაჩაღებულია, ზევით მდუღარება ჰკიდია და ესენი აქ ჭიდაობენ. ათა, დადი, შენც გაბაღანავდი?

— არც ფარნაა ბაღანა, ნუ გეშინია, — მიუგო ათანასემ და დადის შეხედა. ფარნამ ისარგებლა იმ წამით და მარდად დაახტა ბუშტს მარჯვენა ფეხით. ბუშტი გავარდა, რაც საერთო ხარხარით იქნა მიგებებული.

— თოლი, ღმერთმა კაი გაგახსენოს, — დაეკითხა ნიკოია პეტრეს, — იმ ოჯახდაქცეულებს როგორ ეუყოთ, ამ საღამოს რომ მოვიდნენ?

— ვის, ბაბა?

— იმ მძებრაძეებს, ღმერთო, — თვალები მაღლა აღაპყრო ნიკოიამ, — მგონია, ისევ ლაყუჭში ბაწარი...

— წისქვილზე არ თანხმდებიან?

— თანხმდებიან კი, ბიჭო, მაგრამ რა ვიცი, ან გაფუჭდეს, ან რამე ხრიკი დამიდგან, ისინი ხომ დაჭერილი ეშმაკები არიან.

— ვითომ წყალმა გააფუჭოს, იმის გეშინია?

— ესეც სათქმელია.

— აგერ ოცი წელიწადი ქე ბრუნავს ის დასამტვრევი, ათასჯერ მოვიდა წყალი, მაგრამ მაინცდამაინც თვალსაჩინო არა უვნია რა, თუ ჩვენ ჯინაზე ქვეყანა დაიქცევა, ჯანი გავარდეს, რა გაეწყობა.

— მაგრამ სასწორზე თავი როგორ დავადვათ, წიე! ოფლის ქვეშ ნამოვარი ფულებია. ივანეს ფული მარტო სამი თუმანი გვაქვს, სხვა ფოსტას და როჭიკს ვოვახმარეთ. სხვა სიმინდის ფულებია, არ გახსოვს, რა ვიტანჯეთ ირმის ნახეთქში.

— რაც მოხდება, მოხდეს, მხოლოდ იმ წისქვილში ჩვენც

გვედოს წილი სიკოია და გატინიას ჯინაზე, თუნდ ერთ თვეს ვიყოთ ჩვენც იმ წისქვილის მონაწილე და მერე როგორი მონაწილე! ირაკლის, პავლეს და ბართლომეს წილზე, ზურაბის შვილების წილზე, ოჰო, ჰო, როგორ თვალი ამოვთხარე გიტინიას და ძის შვილებს. მაგრამ, — ხმას დაუმდაბლა პეტრემ. — როგორ დავიჯერო, რომ იმათ უწისქვილოდ გასძლონ. მათი მარჩენალი ის არის, დღედაღამ იმას დარაჯობენ. ალბათ ან მოკვდებიან, ან წისქვილს დაიხსნიან.

— დაიხსნან, რას დავეძებ! ჩემი მე მომცენ, ბატონო. ორი-სამი წელიწადი ვერ დაიხსნიან, ქე ვიცი, და მერე ჰქონდეთ. მაგრამ, ვაი, იმის მეტი, როგორც ირმის ნახეთქი ვერ დაიბრუნეს, ვერც წისქვილს დაიბრუნებენ, თუ ერთხელ ფული აიღეს და შეჭამეს. ეს არაფერია, შვილო, ოღონ ხელწერილში არ მოგვატყუილონ, იმათ ხოვ...

— აი აგერ არა მყავს, — მიუთითა პეტრემ ფარნაზე. — სხვა ჯერ რა გვარგო, რაც ამას დავახარჯეთ და რაც ფქვილს ვეზიდებით ზუგდიდში.

— ხელწერილს რას იცნობს ეს ჯერეთ, — იეჭვა ნიკოიამ.

— ქაღალდს რავა ვერ ვიცნობ, რიგიანი დაწერილია თუ არა, — ცოტა ამპარტავნად თქვა ფარნამ. — თუ ბართლომესთანა დავწერე, ორივე ხელებს მოვიმტვრევ.

— კარგია, შვილი, თუ რამეში გამომადექი და შრომა და ზარალი ტყუილად არ დამიკარგე, — ლმობიერად უთხრა ნიკოიამ და სიხარულით სავსე თვალებით შეხედა.

* * *

რა ზომამდი არ სძულდათ ირაკლისა და მის ძმებს ნიკოია თოხიტარია, რა ზომამდი არ ეჯავრებოდათ კიდევ მისგან ფულის ვალად აღება, მაგრამ სხვა გზა არ იყო, რომ კიდევ მისთვის არ მიემართათ და — თვალები ცრემლითა და გული ნაღვლით სავსეთ — წისქვილი არ დაეგირავებინათ.

იმავე დღესვე, რა დღესაც ბასილთან იყვნენ, დაფაცურდნენ, აქეთ-იქით ბევრი იწანწალეს, მაგრამ ვერას ვახდნენ, საღამოთ ისევ ნიკოიასთან მივიდნენ და წისქვილი შეაძლიეს.

სხვაგან სოფელში ფული ვერ იშოვნეს. იმიტომ კი არა, რომ სოფელში სხვაგან ფული არ იყო. სრულებით არა. ფული ბევრსა ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ გლეხებს და გლეხები კი ფულის სესხებაში ყველანი ხელმოჭერილნი იყვნენ. ისეთ უიმედო პირებს, როგორიც ირაკლი და მისი ძმები იყვნენ, არავინ ენდობოდა. წისქვილის ინტე-

რესი ნიკოიას ჰქონდა, თორემ სხვას იმაში გარევა კიდეეაც ეჯავრებოდა.

მოილაპარაკეს და ნიკოიაც დათანხმდა. აქაც, როგორც მიწის დაგირავების დროს, ხელწერილი უნდა დაეწერათ და ათი თუმნის ვექსილიც მიეცათ. ვადა კი ცხრა წელიწადი უნდოდათ დაენიშნათ. ცხრა წლის განმავლობაში ნიკოია წისქვილს ისარგებლებდა და თავის ათ თუმანსაც ცალკე აიღებდა. უამისოდ ნიკოია არ დათანხმდა.

წყალკურთხევის მეორე დღეს, ნასადილევს, ნიკოია თავის შვილებით, პეტრეთი და ფარნათი, მივიდა ირაკლის სახლში. აქ მათ დახვდათ ბასილი, ირაკლი, პავლე, ბართლომე და სოფლის მწერალი ელიზბარი.

— შენმა შვილმა ქე ისწავლა, ბაბა, ნიკოია, და ჩემმა კი წინ ნაბიჯი არ წარსდგა, ღმერთმა გაჩუქოს, მოდი, გავცვალოთ, — მიეხუმრა ბასილი, როცა ნიკოია ირაკლის სახლის აივნის კიბის დამპალ საფეხურებზე ფრთხილად ადიოდა და თან ჯერ ჯოხით სინჯავდა, — შეეძლო თუ არა კაცის დამაგრება.

ნიკოიამ მძიმედ თავი დაუკრა ყველას, ბასილს განსაკუთრებით თავმდაბლად და ხუმრობითვე მოახსენა:

—შენი შენ გყავდეს, ბატონო, და მე ჩემი. შენი, რაც გინდა იყოს, ჩემსას ნაინც ქე ემჯობინება. შენი შვილი ტალახშიაც რომ ეგდოს, მაინც ალმასივით ბრწყინავს.

— ამაში კი ვემოწმები ნიკოიას, — ამაყად მიუგო ბართლომემ და ორივე ხელი ახალუხის ჯიბეში ჩაიწყო. ტუჩებს კვნეტა დაუწყო და გაიარ-გამოიარა, თითქო სიბრაზე და ნიკოიასადმი სიძულვილი ამას უნდა გადააყოლოსო.

ირაკლისა და მისი ძმების ერთთვალა ოდის ნახევრად ჩამონგრეულ ბუხარში ცეცხლი თუმცა ენთო, მაგრამ ერთი შეხედვით შეეტყობოდა, რომ სახლის პატრონი შეშის მხრივ ძლიერ ქესატად ბრძანდებოდა. კედლებშიაც ბევრგან იყო საკმაო ზომის ჭუჭრუტანა. ნახევრად კიკილისაგან შეჭმულ დამპალ იატაკის ფიცრებს კი ზოგან ისეთი ფართო არე ჰქონდა, რომ ზედ სიარულის დროს სიფრთხილე იყო საჭირო. ოთახის ეექვს-ეექვს თვალ ფანჯრის ჩარჩოებში ოდესღაც შუშებიც ყოფილიყო ჩასმული, მაგრამ ახლა მხოლოდ სამი შუშა დარჩენოდა მთელი, დანარჩენი ჩამტვრეულიყო. ამნაირად სახლში ქარი ადვილად უბერავდა ყოველ მხრივ და შიგნითაც ისეციოდა, როგორც გარეთ. გარეთ კი ყინავდა, თუმცა თოვლი თითქმის დამდნარიყო.

ნიკოია თავის სქელ ნაბადში მაგრა გაეხვია და ტახტზე ჩამოჯ-

და. ბასილი კი სკამზე იჯდა ბუხრის წინ. შუა ოთახში ერთი ძველი პატარა მაგიდა იდგა და იმას მწერალი და ბართლომე მიუსხდნენ. მწერალს წინ ქაღალდი და საწერ-კალამი ედგა.

— ლაპარაკი ხომ გათავებულია თქვენ შორის, ნიკოია? — ჰკითხა მწერალმა.

— კი, ბატონო, აი ბასილიც აგერ ბრძანდება.

— მაშ დავწეროთ.

— დასწერეთ, ბატონო.

— აბა, ბართლომე, მოკიდე ხელი, შავი გამოიყვანე. — უთხრა მწერალმა.

— შენ კი რათ დაგიბარეთ? თუ მე დავწერე, მაშინ შენ რა მოხელე ნაჩალნიკი იქნები. ტყუილად გაჭამეთ დღეს ყვერულის კურტუმო?

—შე ოხერო, ჯერ კუჭამდი არ მისულა, აი, აგერ მიძევს,—მკერდზე ვიიდო ხელი მწერალმა, — და შენ კი ახლავე დამაყვედრე, — ხუმრობით მიუგო მწერალმა, კალამს ხელი მოკიდა და წერა დაიწყო...

— აჰა, ძმაო, დავწერე! — დაიძახა მწერალმა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— აბა, წაგვიკითხე, — უთხრა ბასილმა.

— 18... წელსა, იანვრის 7-ს დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის-მომწერნი №... უეზდის და ჭყონონას სოფლის მცხოვრებნი აზნაური ირაკლი, პავლე და ბართლომე ზურაბის ძენი მძებრაძეები გიგირავებთ დღეის რიცხვიდან ცხრა წლის ვადით ს. ჭყონონაშივე ირმის ნახეთქ მუხურთან ბდ. ჭანისწყალზე დგმულ მძებრაძეების წისქვილისაგან ჩვენს წილს თქვენ, ამავე უეზდის და სოფლის მცხოვრებს ნიკოია პეტრიას ძე თოხიტარიას ათ თუმნად, ე. ი. ასი მანეთი ნაღდ ფულად, რომელიც დღეს სრულებით ვიიღეთ თქვენგან. და სრული უფლება გაქვთ ცხრა წლის განმავლობაში ისარგებლოთ ჩვენი წილის შემოსავლით, როგორც თქვენი საკუთრებით. ვადის შესრულებისთანავე ჩვენ, მძებრაძეები, ვალდებული ვართ თქვენი ათი თუმანი სრულად დაგიბრუნოთ და უკეთუ ვერ დაგიბრუნეთ, იმ შემთხვევაში წისქვილი დარჩება საუკუნოდ თქვენს უფლებაში. ვინიცობაა, დანიშნულ ვადის განმავლობაში ვინმე მოციქე გამოჩნდა, ვალდებული ვართ მოგაშოროთ და თქვენ ყოველმხრივ უზრუნველგყოთ, რასა შინა ხელს ვაწერთ.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ბასილმა. — აბა, ხელი მოაწერეთ, ხელი, და გავათავოთ საქმე.

— კი, ბატონო, — მიუგეს ირაკლიმ და პავლემ.

— ეჰე, ძმაო, — ზლაზვნით წარმოთქვა მწერალმა და ბასილისაკენ მიიხედა, — დედა ნუ მომიკვდება, ისეთი პირობაა, რომ ვექსილი სრულიად საჭიროც არ რის.

— მეც ასე ვფიქრობ, რომ ასეთ მაგარ პირობას კიდევ ვექსილი რაღათ უნდა, — დარბაისლად თქვა ბასილმა. — ისარგებლე, ბაბა. წისქვილით, სანამ შენს ფულებს არ ეოგცემენ და გეყოფა. ჩვენც კაცები ვართ, მარტო სარგებლობას არ უნდა უყურებდე, ქვეყანა რომ გადმობრუნდა. იმიტომ ერთმანეთის პატივისცემა არ ღნდა დაგვავიწყდეს... ჩვენც შეიძლება რამეში...

— თქვენი თავი ღმერთმა ნუ მომიშალოს, ბატონო. — მიუგო ნიკოიამ. — მარა, რა ვიცი, შემოსავალი, მაგდენ მონაწილეებში, რაღა იქნება.

— რას ამბობ, ნიკოია, —დამალული სიბრაზით მოუსწრო ბარ-ოლომემ, — როგორ თუ შემოსავალი არ არის? წელიწადში სულ ულანასკნელი, სულ მცირე, სამოცი, სამოცდაათი ფუთი მაინც გვერგება ჩვენ, სამნივე ძმებს.

— კი, კი, — დაემოწმენ ირაკლი და პავლე. ბართლომე და მისი ძმები აჭარბებდნენ, თავის დღეში მათ წილზე ამდენი სიმინდი არ მოსულა.

— რაც გინდა იყოს, — გაერია ბასილი, — სულ მარტო მოგების ინტერესებით არ უნდა იყოთ ფულისათვის გამსჭვალული.

— მართალია, ბატონო, მაგრამ, როგორც ერთი საწყალი და გამოუტდელი... — დაიწყო მობოდიშება ნიკოიამ.

— დაგიწერთ, დაგიწერთ თამასუქსაც, ნიკოია, — უხალისოდ მიუგო ირაკლიმ. — სალაპარაკოდ არა ღირს, შენი ჭირიმე! — თვალით ანიშნა მწერალს.

მწერალი ისევ წერას შეუდგა, მას ბართლომე მიუახლოვდა და დროგამოშვებით რაღაც ერთმანეთს უჩურჩულებდნენ. პეტრეს და ფარნას მოეწყინათ და აივანზე გავიდნენ. ნიკოიამ ბასილთან რაღაც მუსაიფი გააბა.

— აჰა, ძმაო! მზადაა ქაღალდები! — დაიძახა მწერალმა რამდენიმე ხნის შემდეგ და ორი დაკეცილი ქაღალდი მაგიდაზე დადო. ირაკლიმ ქაღალდები აიღო და ნიკოიას გადასცა. ნიკოიამ თითქმის ხელის კანკალით გამოართვა, ფარნა მოიხმო და იმას გადასცა.

— რა დათვალიერება უნდა, — წარმოთქვა მწერალმა, — შენი ფარნა დაბადებულიც არ იყო, როცა ჭწერლად დავდექი, მას აქეთ სულ მაგას ვადგენ! — ცოტა თავმომწონედ მიაძახა მან, თღმცა რაღაც შიში და არეულობაც კი შეეტყო სახეზე.

ფარნამ ერთი ქაღალდი აუჩქარებლივ, ჩუმად ჩაიკითხა და ნელა შენიშნა:

— პირობის ქაღალდი ჯერე ბართლომეს ხელმოწერილი არაა.

— როგორ? — თქვა ბართლომემ.

— პირობის ქაღალდს თქვენი ხელმოწერა აკლია, ირაკლის და პავლესი კი არის.

— როგორ, აკლია? მოაწერეს, მგონია, — თქვა ბასილმა და გაკვირვებული იყურებოდა.

— როგორ თუ ხელის მოწერა აკლია, — ათრთოლებით წარმოთქვა ბართლომემ და ტუჩები ოდნავ გაულურჯდა და შეუთამაშდა.— შენისთანა გუშინდელი ბაყაყი მასწავლის ხელის მოწერას? — მწყრალად დასძინა მან.

ფარნა გაწითლდა და ძმა-მამისაკენ მიიხედა. პეტრესაც პირზე ალმური ასდიოდა. ნიკოია გაფითრებული იდგა.

— ჩვენ საჩხუბრად და სალაპარაკოდ სრულებით არ მოვსულვართ აქ, ბართლომე, — ცივად მიუგო პეტრემ. — თქვენთვის არაფერი წაგვირთმევია და თუ მოვედით, წასვლასაც შევიძლებთ. წავიდეთ, ბაბა, — ჩაულაპარაკა ნიკოიას. ფარნამ ქაღალდები მაგიდაზე დააწყო და სამივემ წასვლა დააპირა.

— წამართმევ კი არა, შენმა მზემ, შენი წართმეული კიდევ როგორი იქნება! — ბრაზით მიაძახა ბართლომემ.

— დიდება შენდა, კაცო! ეს ხალხი ხომ არ დამთვრალა, ხომ არ გადარეულა დღეს! — თქვა ბასილმა და ზეზე წამოდგა. — ვერ გამიგია, მერაბის სულს ვფიცავ, რაშია საქმე. ასე წუმწუმასავით ერთმანეთს რომ მოეკიდნენ, ესეც არ მინახავს. ნიკოია, მოდი აქ ბაბა, და გამაგებინე, რაშია საქმე.

— რა ამბავია, რა იყო? თუ ხელმოწერილი არაა, მოვაწეროთ და ის იქნება, — ამბობდნენ ირაკლი და პავლე.

მწერალი, გაჩუმებული და გაწითლებული, მაგიდასთან იდგა. გულმოსული ბართლომე კი ულვაშის კენტით კუთხიდან კუთხეში დადიოდა..

— ელიზბარ, — მიუბრუნდა ბასილი მწერალს და დაბალი ხმით ჰკითხა: — მართლა აკლია ხელის მოწერა?

მწერალმა მორცხვად და კბილების ღრეჭით დაუდასტურა.

— ეს როგორ გეკადრებათ! — ნელა წამოიძახა ბასილმა. — დედაბერის არაკივით მოგსვლიათ, მერაბის სულს ვფიცავ, თქვენვე დანაშაულში ხართ და თქვენვე გული მოგდით. აზნაურის საკადრისი სრულებით არ არის აგეთი საქმე, მოაწერე ხელი ახლავე! — თითქ-

მის ბრძანების კილოთი მიუბრუნდა ბართლომეს და ნიკოიას, დასაძახებლად აივანზე გავიდა.

— შენ, ჩემო ძმაო, — დინჯად მიუბრუნდნენ ძმები, — სიკეთე თავის დღეში არ გიქნია და ახლაც, არევ-დარევის მეტს, საქმის გამოწყობაში კაცს არ გამოადგები. ასეთი სიყალბე ფონს რომ ვერ გავა, შენ მაინც როგორ მოგივიდა, შე კაცო, — უკმაყოფილოდ უთხრეს მწერალს.

ბართლომემ ქაღალდებზე უშნოდ ხელი მოაწერა და საჩქაროდ უკანა კარებიდან გავიდა და თან უკმაყოფილოდ მიალაპარაკა:

— ოხრად დაგრჩა შენი აზნაურობა.

— ღმერთო, მომკალი, მე სრულებით ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, — კვირობდა ირაკლი. — ხშირად გავდიოდი გარეთ. ესენი სულ აქ ისხდნენ და ამის ფიქრში არც კი მოვსულვარ.

— ნიკოია, ეო, ნიკოია! — იძახდა ბასილი აივნიდან. — აქ მოდი. შე კაცო, პეტრე, პეტრე! წუმწუმასავით რომ მოეკიდეთ ერთმანეთს, რა იყო ისეთი!

ნიკოია და მისი შვილები ჭიშკარში ნელ-ნელა გადიოდნენ.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, თუმცა ბაყაყები ვართ, მაგრამ ბაყაყსაც თავისი სორო აქვს, ისიც ღვთის გაჩენილია. თქვენ ჯვარი დაგწერეთ, ბატონო, ჩვენ ჩვენს გზაზე მივდივართ.

— როგორ გეკადრებათ აგეთი სიტყვები, ნიკოია! — უფრო რიხიანად დაუძახა ბასილმა, — აიტ! შე ძაბუნო, სულმოკლე კაცი ყოფილხარ! მე მაინც არაფერი დამიშავებია შენთვის. თუ გამარჯობას მეტყვი როდისმე, მითხოვნია დაბრუნდე.

ნიკოია მაშინვე დაბრუნდა.

— აქ მოდით, თქვე კაი კაცებო! ერთმა თუ რამე გაწყენინათ, შე კაი კაცო, რა, ძაღლები ხომ არა ვართ, — უთხრეს ირაკლიმ და პავლემ.

— ჯვარი დამიწერია, ბატონო თქვენთვის, თქვენს სალანძღავად მე რა ხელი მაქვს, — ყალბი სითავმდაბლით მიუგო ნიკოიამ.

— აა, წიე! ახლა ნასწავლო, კარგად დახედე, აბა! — უსირცხვილოდ მიაძახა მწერალმა ფარნას და ორივე ქაღალდი გაუწოდა.

ფარნამ ქაღალდები გამოართვა, ჯერ ერთი მწერალს შეხედა და თვალით ანიშნა: ფიქრი ნუ გაქვს, მაგნაირი ხრიკებით თვალს ვერ ამიხვევო. მერე ნელა გახსნა ქაღალდები და თითო-თითოჯერ ძირს დახედა. გულმოსულად ახალ ხელმონაწერი ჯერ რიგიანად მშრალი არ იყო და ცოტაოდენი მელანი დაკეცის დროს ქაღალდის მეორე მხარეს მისცხებოდა და ხელმონაწერიც ოდნავ წაშლილიყო. ფარნას

ღიმმა გადურბინა სახეზე და მამას ნელა ჩაულაპარაკა: კი, ორივე ხელმოწერილია.

ხმა არავის ამოუღია. ბასილი დაფიქრებით ულაულრებდა. ნიკოიამ ქაღალდები ჯიბეში ჩაიდო. მერე ჯიბიდან ქისა ამოიღო, ათი თუმანი დათვალა და ირაკლის გადასცა.

XXIV

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

საზაფხულოდ სევერიანე წყალაძე ისევ დაბრუნდა შინ. გვარიან ჯანმრთელად იყო. სიმაღლე კარგა ზომატებოდა. ნიკაპი და საულვაშე თითქმის წვერით ებურებოდა. სახეზე თითქმის გამოცვლილიყო. ხუთი წლის წინათ ვისაც ენახა, ახლა ვერ გამოიცნობდა. ეს კიდევ არაფერი, საქმე ის იყო, რომ ხასიათი სრულებით განსხვაფერებოდა. სად იყო უწინდელი მოშღიმარი, ცქვიტი, მოსიყვარულე სევერიანე. სახეზე რაღაც მოწყენა და დაფიქრება ეტყობოდა. უწინდელი ცქრიალა და მოელვარე თვალები ახლა დაღვრემილად და სასტიკად იყურებოდნენ. წინათ ყოველ გამვლელ-გამომვლელს სოფელში ოთხი თუ ხუთი საყენის სიშორიდან გამარჯობას ცქვიტად დაუძახებდა. ახლა კი არც ამჩნევდა გზაზე შეხვედრილ კაცს, და თუ ვინმე აქეთ გამარჯობას ეტყოდა, ერთ წამს გაოცებული თვალებს აჭყეტდა, თითქო უკვირს: ეს რა ამბავიაო. უშნოდ მიუგებდა: გაგიმარჯოსო და თავჩაღუნული ისევ გზას განაგრძობდა.

როცა ქალაქიდან დაბრუნებული სევერიანე ცხენიდან ჩამოხტა, გახარებული დედა მაშინვე მიეგება და ხელგაშლილი გაექანა საყვარელი და სასიქადულო შვილის მკერდში ჩასაკრავად. სევერიანე ახლა დედაზე ძლიერ მაღალი იყო. თითქმის მთელი თავით აჭარბებდა. სევერიანემ დედის მიახლოვებაზე თავი ძირს არ დახარა და ეკატერინე შვილს ჩაკონების მაგივრად კისერზე ჩამოეკიდა.

— გენაცვალოს, გენაცვალოს დედაშენი, — ლუღლუღობდა ეკატერინე და თანდათან სევერიანეს ტუჩების საკოცნელად იწევდა. სევერიანემ თავი ოდნავ ძირს დახარა და ერთი ცივად აკოცა დედას შუბლზე. დედამ კი ძალა მოიკრიფა, მაგრად მოუჭირა ხელები კისერზე, შვილი თავისკენ მიიზიდა და კოცნით დაუფარა ტუჩები, ლოყები, ნიკაპი, კისერი... საცა მოხვდა, რადგან სევერიანე თავს ათასფრად აკანტურებდა.

— გეყოფა, დედაჩემო! ამდენი კოცნა ვის გაუგონია, ექიმები ბევრ კოცნას მავნებლად თვლიან,—უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა სევერიანემ. მაგრამ გახარებულ დედას ეს არ ესმოდა და მანამ არ მოეშვა, სანამ გული არ იჯერა.

უმცროსმა ძმებმა კი უფრო კრიტიკულად შეხედეს საქმეს. სევერიანეს სახეზე რაღაც მათთვის უცნობი სიდინჯე აღმოიკითხეს და ფრთხილად მიუახლოვდნენ. ამათაც თითო-თითოჯერ ტუჩები ლოყებზე მიადო სევერიანემ და სახლის აივანზე ავიდა.

— აბა, საჰმელი, აბა, გოგო, ქათამი გაათბე, ის ახალი სულგუნი მოიტანე, შეიძლება თოხლო კვერცხი ჭამოს, ხაჭაპურს ხომ მეტი არ მოუვიდა, ნაღვერდალი კეციდან გადაყარე, — თან ამბობდა და თან გიჟივით წაღმა-უკუღმა დარბოდა დედა.

მამა ევთიმესაც, ცოტა არ იყოს, ცივად მიესალმა სევერიანე, ევთიმის ყოველ კითხვაზე, ეგსარხოსზე, კანტორაზე, სამღვდელოების ხაზინიდან ჯამაგირის დანიშვნაზე, სემინარიაზე, რექტორზე, ქალაქის ამბებზე, ომიანობაზე... სევერიანე კენტ და ჰოკლე, ულაზათო პასუხს აძლევდა.

„ყეეი, პაჩი! ეს რა ამბავია, — ფიქრობდა მღვდელი,—ავადმყოფობა არ ეტყობა. ისე სუსტად არ არის და რაღაც გაბუტული რომ დადის, ეს რა ღვთის წყრომას ნიშნავს“.

სევერიანემ საგზაო აბგა გახსნა, იქიდან წიგნები ამოალაგა, ზოგი ახალი და ზოგიც ძველი, ზოგი ყდაში ჩასმული, ზოგიც უყდოდილით, რაკი პირს დაიბანდა და ისაუზმებდა, აიღებდა ერთ-ერთ წიგნს, ან წამოწვებოდა ტახტზე, ან თუ ძლიერ ცხელოდა, გავიდოდა ეზოში, დაიგებდა ჭილობს ჭადრის ჩრდილში და წიგნს კითხულობდა. მიუცილებელ საჭიროების გარდა ხმას არავის სცემდა. თუ დაეკითხებოდნენ, ჰოკლედ უპასუხებდა.

შვილს სულ წიგნით ხელში რომ ხედავდა, მამა ევთიმემ თავისიანებს გამოუცხადა, რომ უბრალო ყბედობით არ გაეწყინებინათ სევერიანე. სასმელ-საჰმელი დროზე და რიგიანად მიეცათ და ერთი სიტყვით, რამენაირად მისთვის ხელი არ შეეშალათ. პირველი მაგალითი ყველას თვითონ უჩვენა. ბევრი შეკითხვებით თავს არ აბეზრებდა. მორიდებულად ეპყრობოდა და წელს აღსარების მთქმელთა სიის წერაც არ სთხოვა.

სკოლაზე წელს ლაპარაკიც არ იყო. ვინც კი სთხოვა, ყველას ერთსა და იგივე პასუხს აძლევდა: არა ჰცალია, დრო არა მაქვსო. ამიტომ ჩვენი ნაცნობი სასენაკოს გარშემო თუ შარშან გვიმრა და ანწლი ხარობდა, წელს პატარა ხეებმაც იჩინა თავი.

სხვა ყველაფერს შეურიგდა მამა ევთიმე, მაგრამ ერთი რამ ვეტისმეტად აკვირვებდა და თითქმის აშინებდა. საქმე იმაში იყო, რომ წელს სევერიანე ეკლესიაში არ დადიოდა. წინა წლებში კი ყოველ კვირა-უქმე დღეს მამას ეხმარებოდა, გალობდა, კითხულობდა, ქადაგობდა; წელს ორჯერ თუ მივიდა ეკლესიაში და ისიც წირვის ბოლოს.

ერთხელ მამა ევთიმემ მიქელი დიაკვანი ბლაღოჩინთან გაგზავნა და რაღაც საეშმაკოდ მიქელამ დააგვიანა. შაბათს, ნასადილევს გაგზავნილი, კვირა დილასაც არ ჩანდა.

— აბა, შვილო, დღეს პრიჩეტნიკი არა მყავს და შენ იცი, — მოცინარი სახით უთხრა მამა ევთიმემ სევერიანეს.

— მე რა ვიცი, — გულავარდნილად მიუგო სევერიანემ და წიგნი გაშალა.

— წირვაში უნდა მომეხმარო, — გაუმეორა მამამ.

— დიაკონი სად არის?

— ბლაღოჩინთან გავგზავნე, ველარ მოუსწრო.

— რა ჩემი საქმეა, სწირეთ, როგორც იცით,—ცივად მიუგო სევერიანემ.

მამა ევთიმე გაფითრდა, მაგრამ ვაინც მშვიდად შენიშნა:

— შენი საქმე რატომ არ არის, შვილო, ხვალ და ზეგ, თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა, მღვდელი უნდა იქნე და ახლავე უნდა ივარჯიშო საეკლესიო ღვთისმსახურებაში. აკი წინეთ ძლიერ გიყვარდა კითხვა-გალობა.

— მე მღვდელი თავის დღეში არ ვიქნები, — ვიუგო სევერიანემ.

— მაშ რაღა იქნები? მღვდლობას სწავლობ და მღვდელი უნდა იქნე.

— ნუ! — ცოტა არ იყოს მოზიზღოთ მიუგო სევერიანემ.

— აბა, აბა, ჩქარა, წადი, წადი ეკლესიაში, წიგნები გამოარჩიე და მეც ახლავე მოვალ. — ისეთი კილოთი უთხრა მამა ევთიმემ, თითქო ეუბნებაო: ბევრს ნუ ლაპარაკობ, რასაც გეუბნებიან, გაიგონე და აღასრულეო.

— ნეტავი თქვენც აგეთი ჩერჩეტი არ იყოთ, — უშნოდ მიუგო სევერიანემ, — წიგნი საზაფხულო პალტოს ჯიბეში ჩაიდო და საესეირნოდ წასვლა დააპირა.

— ვაი, ჩემი ცოდვა! ტყუილად დამკარგვია შრომა, — ნაღვლიანად წარმოთქვა მამა ევთიმემ და ცალი ხელი შუბლზე ვოიტატუნა.

მერე ერთ ხანს მიმავალ შვილს უცქირა, თვალები აენთო, სახე გაუწითლდა და ერთბაშად დაუყვირა:

— აქეთ მობრუნდი-მეთქი, შე ძაღლის გავარდნილო! როგორ თავს იგდებს, არ ვიცი? მე რას ვეუბნები და ეს ჭირიანი, აბა, შეხედეთ!... ეს გასწავლეს განა? ამას ჰქვია დედ-მამის პატივისცემა? პატივისცემა რა შუაშია. პატივისცემას ვინ თხოვს...

— რა იყო, შე კაცო, ფარსაგი რამე არ მეგონა! ასე მწარედ რამ აგაყვირა ამ დილას, — გამოელაპარაკა ეკატერინე სამზარეულოს კარებიდან. ეტყობოდა, მჭადის ცომს ზელავდა, რადგან სახელოები ნიდაყვამდი შეკეცილი ჰქონდა და ხელებიც ცომით შელესილი.

— მე პერანგს ვიხდი მაგის გულისათვის და ეს ჩერჩეტს მეძახის, — განაგრძო მამა ევთიმემ. — მართლა ჩერჩეტი ვიყავი, თხებს რომ არ ვიგაყოლიე: ისე რომ მექნა, როგორც ვხედავ, მგონია, უფრო მეტ ვოგებას ვნახავდი.

— რა არის, კაცო, რამ გადაგრია დღეს?! — ისევ ჩაერია ეკატერინე, ხელები საჩქაროდ გაიხოცა და მათ მიუახლოვდა.

— მე სრულებით არა ვარ გადარეული. აი შენი სასიქადულო შვილი. წირვაზე მომეხმარე-მეთქი და ჩერჩეტს მეძახის.

— მერე ასეთი გულის მოსვლა გაგონილა? კი, გენაცვალე, სევერიანე, ნანა, — ლმობიერად დაუმატა ეკატერინემ და სევერიანეს მიუბრუნდა. — კი, შენ გენაცვალოს დედაშენი, მამას წირვაში მოეხმარე. მოგეხმარება, შე კაცო, რა გაჯავრებს? — უსაყვედურა ქმარს.

სევერიანე ერთ ალაგას იდგა თავჩაღუნული, არც აქეთ მიდიოდა და არც იქით.

არ ვიცი, როგორ გათავდებოდა ეს უსიამოვნება, რომ ჭიშკარი არ აჭრიალებულიყო და პატივცემული მიქელა მედავითნე არ გამოჩენილიყო თავის მოწითანო და ფრიად ნაკლებ მოსიარულე ჯორით. ᲛᲘᲡ დანახვაზე მამა ევთიმე გაჩუმდა და სევერიანემაც ერთი აქეთ-იქით გაიხედა, თითქო როგორ მოიქცეს არ იცისო, და სახლისაკენ გაეჩქარა.

— რად დაგაგვიანდა ამდენ ხანს, არ ვიცი? — უკმაყოფილოდ მიაძახა მამა ევთიმემ მედავითნეს.

— შინ არ დამიხვდა, — აუჩქარებლად მიუგო მიქელმა. — სადღაც წასულიყო, მერე წუხელ გვიან მოვიდა, დღეს ადრე არ გაიღვიძა. მერე გამოვეჩქარე, მაგრამ მაინც დამაგვიანდა, — ამბობდა მედავითნე და თან, რაც შეეძლო, იქით-აქეთ დეზებს ჩხვლეტდა ფერდებში საბრალო ჯორს. პირუტყვი კი, ეტყობოდა, მიჩვეული

იყო დეზებს, ყურები აეცქვიტა და, თითქო განგებო, რაც ჭიშკარში შემოვიდა, სულ ტაატ-ტაატით მიჩანჩალებდა.

— აბა, აბა, გაეჩქარე ეკლესიაში, მეც ახლავე მოვალ. შუადღეა. — თქვა მამა ევთიმემ და თავის პატარა ოთახში შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ, ანაფორაგადაცმული, თავზე შავი ფართო შლაპით ეკლესიისაკენ გაემგზავრა.

— ჩემი დღევანდელი წირვა რაღად ვარგა, — ბრაზით ჩაილაპარაკა მამა ევთიმემ.—დამაცა, მე შენ მომიკვდი, თუ ეს არ ვოგანანიებინო... ჰე! ღმერთო ჩემო! თავზე დავისვი, გავაბატონე მაგ ყურუმსაღი... მღვდლობას წუნობს. მღვდლობის წყალობით არის, რომ თბილისის ქალაქში მეცხრე ეტაჟიანშია გამოჭიმული, თორემ სხვები ჩვენი გვარის, თუნდ ტუტუია წყალაძის შვილი რად არა ცხოვრობს იქა? ის განა მაგაზე უარესი ბიჭია?

სევერიანე ოთახში შემოვიდა და მაშინვე ტახტზე წამოწვა. თავქვეშ მუთაქა ამოიდო, უაზროდ ჭერს შესცქეროდა და თან ახალ ამოსულ წვერს იწიწკნიდა. კარგა ხანი იწვა ასე, მერე კედლისკენ პირი იბრუნა და სალოკი თითით კედელს ხაზვა დაუწყო.

— აქა ხარ, შვილო? — ტკბილად შემოილაპარაკა ეკატერინემ უკანა კარებიდან.

სევერიანეს, თითქო ამ ხმაზე სადგისი უჩხვლიტესო, გაათრთოლა და ტახტზე წამოჯდა. ეკატერინე კარებს ისევ ფრთხილად მოშორდა.

ერთ ხანს ასე იჯდა სევერიანე. მერე ზანტად წამოდგა. მაგიდაზე დაწყობილ წიგნებში ჩხრეკა დაიწყო და ერთი პატარა წიგნი გამოარჩია. წიგნის ყდაზე გამხმარ-გამხმარი, უწვერულვაშო და გრძელთმიანი კაცი იყო დახატული. პალტოს ჯიბიდან წიგნი ამოიღო და მის მაგივრად ეს ჩაიდო, ქუდი დაიხურა და ეზოში გამოვიდა. ეზოში აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა; ერთ ხანს ჭიშკრისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ეს რაღაც ჭკუაში არ მოუვიდა. ერთიც სამზარეულო სახლისაკენაც მიიხედა. ისლის სახურავიდან კვამლი სქლად ამოდიოდა და ღია კარებიდან ჩანდა, კერაზე ცეცხლი როგორ ლაპლაპებდა.

— ძღაბო, ბევრი არ მოგვიდეს, — ეუბნებოდა ეკატერინე მოსამსახურე გოგოს. — აბა, სინჯე, თუ მარილი აკლია, მიუმატე, პილპილი კი ისე, ცოტა. ვენაცვალე, სევერიანეს ბევრი პილპილიანი არ უყვარს.

სევერიანემ ეკლესიისაკენაც მიიხედა. წირვის დასაწყისს რეკავ-

დნენ. ერთიც მაღლა აიხედა, ლურჯი ცა საამურად დაჰყურებდა დედამიწას, აქა-იქ თხელი, მოთეთრო ღრუბელი გაუზომელი ცის სივრცეში ნელ-ნელა იკარგებოდა. სეევერიანე მობრუნდა და ეზოს ერთ მხარეს გაყვა. ღობეზე გადახტა და ბორცვის ქვევით ჩაირბინა. ფერდობს ქვემოთ პატარა რუ ჩამოდიოდა და ამ რუს პირად, ერთ ადგილას სიგრძე-სიგანით რამდენიმე საჟენი ვაკე იყო, მწვანე ბალახით დაბურული. ამ პატარა ვაკეს სხვადასხვა ხე და ეკლიანი ძიგირონი ფარავდა. გზა ახლო არ უვლიდა და თუ არ განგებ, იქ ვინმე ძვირად მოვიდოდა. აი სწორედ ამ საიდუმლო ადგილისაკენ გაეშურა სეევერიანე. მივიდა თუ არა, პალტო გაიხადა და მწვანეზე დააგო, სარტყელი მოიხსნა, სიამოვნებით პალტოზე გაგორდა და წიგნი ხელში აიღო. ათიოდ გვერდი გადაიკითხა, ფანჭრით სამ-ოთხ ალაგს წიგნის აშიაზე დაკლაკნილი ხაზი დაუსვა — უჰ,—გაგრძელებით ამოიოხრა მან, წიგნი გვერდზე მოიდო და პირაღმა დაწვა.

— კაი ალაგს კი დამალულხართ, მაგრამ ქე მოგაგენით, — მოესმა თითქმის ყურის ძირში.

სეევერიანემ გაოცებულმა აიხედა, მის წინ თეთრი პარუსინის ბლუზაში გამოწყობილი ფარნა იდგა, გრძელი ყაბალახი გვერდზე გადაეგდო. ერთმანეთი სიყვარულით გადაჰკოცნეს.

— გაათავე განა ზუგდიდში სასწავლებელი? — მხიარულად ჰკითხა სეევერიანემ.

— კი, თქვენი იმედით, — მიუგო ფარნამ და მკერდზე საკოცნელად მიიწია, მაგრამ სეევერიანემ მოუსწრო, მხრებზე ხელები დაავლო და ისე პირზე აკოცა.

— დიდხანს გაგრძელდა თქვენი ეგზამენები? — ჰკითხა სეევერიანემ, როცა ორივენი მწვანეზე ჩამოსხდნენ.

— აბა, ბატონო, წრეულს რაღაც დააგვიანეს.

— მოწმობა მოგცეს?

ფარნამ სიცილით დაუდასტურა.

— არა გაქვს აქა? მაჩვენე.

ფარნამ ხელი უბეში ჩაყო, ოთხად გაკეცილი მთელი ფურცელი ქაღალდი ამოიღო და სეევერიანეს გადასცა.

— თო, თო, თო, — მხირულად ამბობდა სეევერიანე, ხან გაშლილ ქაღალდში იხედებოდა და ხან ბრწყინვალე თვალებით ფარნას შეჰყურებდა. ფარნაც მხიარული შეჰყურებდა, ხან ჭორცხვად ძირს დაიხედავდა.

— ალბათ პირველ შეგირდად გაგითავებია, ფარნა! — აღტაცებით წამოიძახა სეევერიანემ, როცა ბოლომდე ჩაიკითხა.

— ჰო! რა ვიცი, ასე უნდა იყოს, — მორცხვად მიუგო ფარნამ.

— მე არ შევმცდარვარ, მე არ შევმცდარვარ, ყოჩაღ, ყოჩაღ! — მხიარულად ამბობდა სევერიანე და ქაღალდს დაჰყურებდა. — ნიკოიას ძლიერ გაუხარდა? — შეხედა სევერიანემ.

— რა ესმის საბრალო მამაჩემს ჰოწმობის ავკარგიანობისა, მაგრამ როგორ არა, რომ გავათავე, ძლიერ უხარია.

— მე ეს მიკვირს, შენზე რომ სულ არ უმოქმედნია სკოლას! ბროწეულივით გიღუის ლოყები, ან რა საღად და ჯანმრთელად გამოიყურები.

— სუსტად არც თქვენა ხართ წრეულს, ბატონო, ღვთის იმედით.

— ბატონოს თავი დაანებე, თუ კაცი ხარ, მე სადაური ბატონი ვარ.

— რატომ, ბატონო, შენ თუ...

— კიდევ ბატონო, ბატონს ნუ დამიძახებ, სევერიანე-თქვა, და ის იქნება.

— თქვენზე უკეთესს ვის უნდა დავუძახო ბატონო. თქვენზე მეტი სიკეთე ჯერ ჩემთვის კაცს არ უქნია.

— დაანებე, შე კაცო, თავი, მე კი არა, შენმა ნიჭმა ქნა, თორემ.

— ბატონო, ერთსა გკითხავ!

— კიდევ ბატონო, სულ ბატონი და ბატონი! რა იყო, — სიცილით დაუშატა სევერიანემ და ცალ გვერდზე წამოწვა.

— წრეულს კლასი არ გექნება?

— შენ რაღად გინდა!

— რატომ?

— შენ ხომ დაამთავრე?

— რა დავამთავრე?

— სწავლა.

— ვაი იმის მეტი. — თავის ქნევით და მწარე ღიმილით თქვა ფარნამ. — ვასწავლებელმა დამაბარა, უსათუოდ სადმე სხვა უფრო მაღალ სასწავლებელში გადადიო, მთელი საათი ველაპარაკა, — ახლა, ხომ იცი, მაგისთანა მცირე ცოდნით ფონს ვერ გახვალო, მაგრამ სად არის, ესეც, რაც ვისწავლე, მამაჩემს დიდ ამბად მიაჩნია. დავიღუპე, გავსწორდი, რამდენი დამეხარჯა შენზეო, სულ ამას ივეორებს.

— ახლა ხომ კარგადაა მამაშენი, გვარიან შეძლებულს ამბობენ, მართლა, რა უჭირს, რომ საქალაქო სასწავლებელში წაგიყვანოს სადმე?

— ᲰᲛ, ᲰᲛ!—მწარედ ჩაიცინა ფარნამ,—ესეც რომ გააგონო, ტუკს მოავლებს ხელს... ეჰ, ამაზე ფიქრიც მეტია, სადღაა, ბატონო, შეძლება. ჩვენი შეძლება კიდევ რა სახსენებელია, წლითი წლამდე სიმინდის ფაფით რომ თავს ძლივს ვირჩენთ, ეს რა შეძლებაა. გარდა ამისა, ძმები მყავს. არც ერთისთვის კაცს ერთი ანაბანა არ უსწავლებია და მე რომ ცოტა რამე... ისა... დიდ რამედ მიაჩნიათ... ხომ მოგეხსენებათ კაცის ხასიათი.

— შეშურდათ, რაღა, შენი სწავლა-განათლება, მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, ხი, ხი, ხი, — ჩაიცინა სევერიანემ.

— არა, ბატონო, ძლიერ მოხარულიც არიან, მაგრამ...

— რა მაგრამ? ამ მაგრამმა მოუკიდა ქვეყანას ალი. ის მაგრამ არ იყოს, კაცობრიობას რა უჭირს. ერთს მეორეს უპირატესობა, რაგინდ ნათესავი და მეგობარი იყოს, მაინც შეშურდება. შურმა, შურმა შეიპყრო ქვეყანა. პირველი ცოდვა ხომ შურიანობაზე იყო დამყარებული, ხომ გახსოვს, წარბების მაღლა აწევით გადახედა ფარნას სევერიანემ.

— როგორ არა, ბატონო, ეშმაკის შური.

— ოო, ჩემო ბატონო და ჩემო ბატონო, — გაჭიანურებულად თქვა სევერიანემ და ფეხები გაჭიმა.

ზემოდან რაღაც ფოთლების შრიალი მოისმა. ორივემ იქითკენ მიიხედეს.

— რა იყო ნეტავ? — თქვა სევერიანემ.

— არ ვიცი, თქვენ არ მომიკვდეთ, — მიუგო ფარნამ.—ალბათ ან ძროხა ან ღორი იქნებოდა.

— რომ არა ჩანს, კაცო, ძროხას რა დამალავდა.

— საუცხოო ადგილი კი აგირჩევიათ, ბატონო, წიგნის საკითხავად.

— კიდევ ბატონო! კაცო, არა ვ.. არ.. მე.. თქი... ბა... ტო... ნო... — თითო მარცვლობით ჩამოიანგარიშა სევერიანემ. — ბატონები... ძვირფას ხალიჩებზე და მოქარგულ ბალიშებზე მორთხმით სხედან... ჰო, ჰო, მართლა, შენ რა იცოდი, რომ მე აქ ვიყავი, შინ რომ არ იცოდნენ მე საით წამოვედი, — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა სევერიანემ.

— შინ მართლა არ ვიცით, საით წავიდაო, მითხრეს. თქვენმა პატარა ძმამ კი ღობეზე მიმითითა, აი იქ გადახტაო. მეც გავყევი და მოგაგენით. ეს ადგილი მე ვიცოდი მწყემსობის დროს. ჩვენს სოფელში ხელისგულის ტოლა ადგილი არაა, რომ არ ვიცოდე. ბიჯურიდან მოყოლებული, მრუდეჩქონამდე.

სევერიანე დაკვირვებით ერთ წერტილს დაჰყურებდა და თავისთვის თითქო რაღაცას ანგარიშობს ან იზეპირებსო.

— ჰო! — წამოიძახა მან, — ჰო,—და ფარნას შეხედა,—შენ, ამას წინათ რა იყო, რომ მკითხე? — არა, ძმაო, წრეულს არ მექნება სკოლა, არა მცალია, წიგნები მაქვს საკითხავი. შენც გათხოვებ, თუ გინდა, ხშირად შემოიარე ჩემთან. გახსოვდეს, რომ წიგნები ყოველთვის უნდა იკითხო, თორემ რაც იცი, ისიც დაგავიწყდება და პირიქით, თუ წიგნები იკითხე, ერთიორად მეტ ცოდნას შეიძენ. შენ ჯერ ჯეელი ხარ.

— ვეცდები, ბატონო, თუკი დრო შექნა.

— სად აპირობ შენ ახლა წასვლას?

— სადმე დუქანში დავდგები ალბათ. ჩემი ძმა რომ არის, იქითკენ. მის აღას ჩინებული მაღაზია აქვსო თურმე.

— ჰო, — გაგრძელებით თქვა სევერიანემ.

შუადღე იყო. მზე ისარივით გზავნიდა გახურებულ სხივებს. ჩრდილი ცოტ-ცოტად მიილია. პატარა ვაკეს და ჩვენს მეგობრებს თავზე მზის ცხელი სხივები დაადგათ.

— ჰა, სანამდი მოსულა მზე, — აიხედა ჰაღლა ფარნამ. — წირვა კიდეც გამოვიდოდა. ჩვენ წირვაზე წამოვედით, იქ გნახავდით მეგონა და იქ რომ ვერა გნახეთ, გულმა ვერ მომითმინა და აქეთ წამოვედი.

— დიახ, დღეს, — ცოტა დარცხვენილად წაილუღლუღა სევერიანემ, — დღეს რაცღა გუნებაზე არ ვიყავი. მართლა, მზე როგორ თავზე წამოგვწოლია შეუმჩნევლად, მოგვპარვია. ხი, ხი, ხი, აი, იქ რუს პირად გადავიდეთ, მანამდი ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერ მოვა.

სევერიანე წამოდგა. პალტოს საყელოზე ხელი დაავლო და ჩრდილისაკენ წაათრია.

— მე კი ახლავე უნდა გეახლოთ, ბატონო, წიგნზე მერე შემოვალ, ამ ორ თვეს, ალბათ, არსად არ წავალ.

— უსათუოდ, უსათუოდ, ისეთ კაი წიგნებს გათხოვებ, რომ... მოითმინე, ახლა სად მიდიხარ? სადილი ვჭამოთ.

— მადლობელი, ბატონო, ჩვენები ალბათ ეიცდიან.

— რას ჩქარობ, ჯერ შუა წირვისა არ დაურეკიათ.

— კი, ბატონო, დარეკეს.

— დიდი ხანია? მე რომ არ გამიგონია?

— ალბათ ყურადღება არ მიგიქცევიათ, თორემ.... გვარიანი ხანია.

ფარნა გამოემშვიდობა და წავიდა.

სევერიანემ წიგნი ხელში აიღო და პირაღმა წამოწვა. კუჭმაც თავისი აგრძნობინა. გულით უნდოდა შინ წასულიყო, მაგრამ დილანდელი სცენა ახსენდებოდა და რცხვენოდა. გულის სიღრმეში არ შეეძლო თავისი თავი არ გაემტყუნებინა, არ გაეკიცხა მამის უბრალოდ შეურაცხყოფისათვის. მაგრამ იმავ დროს რაღაც ძალა ამართლებდა, ჯიზეზოდ ხდიდა. „არ ვარგა ასე, მივალ, ბოდიშს მოვიხდი, ხელზე ვემთხვევი. — ეუბნებოდა ერთი აზრი. — რა შენი საქმე იყო დიაკვნის მაგივრობა... საზოგადო პროგრესი და ევოლუცია, აი შენი საქმე,"—უჩურჩულებდა მეორე აზრი. წიგნის კითხვის ხალისი დაეკარგა, დაკეცა და იქვე გადააგდო. პირაღმა მწოლიარეს ლილასავით ლურჯი ცა დაჰყურებდა. ერთი ბეწო ღრუბელი არსად მოიძებნებოდა. სევერიანეს თვალწინ ჰაერში რაღაც დაკლაკნილი ზოლივით სახეები დასცურავდა. საითკენაც თვალს გაათამაშებდა, სახეებიც იქითკენ გაცურდებოდა. სევერიანე ძლიერ გაერთო ამით, და ხან ერთს, ხან მეორე თვალს ხუჭავდა და ათასნაირად ერთიმეორეზე გადახლართული სახეები ელანდებოდა.

— ჰიტა! — დაიძახა ვიღაცამ და სევერიანეს თვალებზე ხელი დააფარა.

სევერიანე თოფნაკრავივით ზეზე წამოვარდა. მის წინ დედამისი იდგა.

— წავიღეთ, ნანა, შინ, — ალერსიანად უთხრა ეკატერინემ.

სევერიანე გაწითლდა. დედის მარტივმა და ყოველნაირ სიყალბეს მოკლებულმა სიტყვებმა დავთარი დაუბნია, თითქო ენა დაუბაო, ხმას ვერ იღებდა.

— წამოდი, ნანა, სადილი ჭამე, — ისევ თბილად უთხრა დედამ. რაც სწავლაში შედიხარ, ჭკუაზედაც გემატება, მგონია, შვილო, და შენ კი, მგონია, ჯიუტობაში გემატება. წვერი ამოგდის, ნანა! იქითა წლებში რა კარგი ბიჭი იყავი. სკოლა გქონდა, მთელი სოფელი, დიდი და პატარა, შენს ჭირს მიწაზე არ აგდებდა; ბასილ მძებრაძე ისეთ შეკრებულობაში ამბობდა შენს ქებას, ერთ-ორჯერ მეც გავიგონე, რომ ერთ რამედ ღირდა. მამასაც ეხმარებოდი, ჩვენ ყველას გვეალერსებოდი და ახლა კი ხმას არავის სცემ. სულ მგლოვიარე კაცივით დადიხარ, შვილო! ეს რომ მცოდნოდა, არც კი გაგაგზავნიდი შაგ სიშორეზე. ხასიათია, შვილო, პირველი საქმე. ჩვენ რომ ორ დღეს სული გვიდგია, კარგი სიტყვები გვითხრა, მოგვეალერსო, ვოგვემხიარულო, ის გვინდა, თორემ შენი ცუღი კაცობა, იმის მეტი, შენს ეკატერინეს ღმერთმა ნუ აჩვენოს, რომ მე შენ გამაკეთებ, ამის იმედი სრულებით არა მქონდეს. აბა, მაჩვენე, რომელ შვილს გაუკე-

თებია დედ-მამა! შენთვის, ჩემო ძვირფასო, ჩემო შვილო, საწყალ მოხუცებულ კაცს ხელის კანი ატყავებული აქვს მუშაობით. რიგიანად არ აცვია და არ ახურავს. ჩვენც, ყველანი, აი, შვილო, შეხედე, ეს ორშაურიანი ჩითი სრული წელიწადია ვაცვია. მეც ადამიანი ვარ, მეც მინდა კარგად მეცვას, კარგად მეხუროს. უკანასკნელი გლეხის გოგოებს ვერა ხედავ, რას ჩადიან. ტუტუა ერჩქინდიას ქალიშვილი დღეს მოქარგული სედლოთი მოსულა წირვაზე... არ ვარგა, შვილო, ასე. მამაშენი რათ გააჯავრე! სამუშაოდ ხომ არ გგზავნიდა. ცხენ და ჯორს საბალახოდ ხომ არ გატანდა, წირვაზე მომეხმარეო, გეუბნებოდა. ყველა შვილზე უფრო შენ უყვარხარ, შენზე ფიცულობს და შენ კი ისე მოიქეცი... მარტო მიქელა დიაკონი რას იტყვის, ან მისი ცოლი. მაშინათვე რუსუდან მონოზანს გადასცემს. ის კი ერთიორად გააზვიადებს და მთელ სოფელს რა და რა ჭორებს არ მოსდებს. ეს მეორეჯერ აღარ მოგვიდეს, ნანა, ახლა წამოდი.

— წადი შენ, მე მერე მოვალ. ახლა წიგნი უნდა ვიკითხო!

დედის სიტყვებმა სევერიანეს გულზე სირცხვილის ალი მოუკიდა. ამ წუთში თავის თავი ამ გულწრფელ და მისადმი წმინდა სიყვარულით აღსავსე ქალის წინაშე მტვრად მოეჩვენა, მაგრამ ჯიუტობა მაინც ერთიორად ემატებოდა.

— სულ ამ ნავარმა და ოხერმა წიგნმა გადაგრია მგონია. მეტი სწავლა კაცს გადარევსო, რომ ამბობენ, ის არ მოგვიდეს, ნანა და ცეცხლი არ მოგვიკიდო! წიგნის კითხვას ვერე ვერ მოასწრებ? ახლა სადილობაა. საცაა მამაც მოვა, ნალოცვევ-ნამარხულევი კაცია, სადილი უნდა.

— მოვალ-მეთქი, — უკმაყოფილოდ მიუგო სევერიანემ.

—ახლა წამოდი,—სიყვარულით უთხრა ეკატერინემ, იმ გრძნობით, რომელიც მხოლოდ დედას შეუძლია გამოხატოს საყვარელი შვილისადმი, სევერიანეს მიუახლოვდა და ნელა ყურზე ხელი მოკიდა. — წამოდი-მეთქი, შე ძაღლის შვილო, ჩემი სიცოცხლე ბაგაზე დამილევია და ეს კი, შეხედეთ, როგორ მეჯიუტება, — ხუმრობა-ალერსით უთხრა დედამ, ყურებზე ოდნავ დაუქიჩავა, ახლო მიიზიდა და ახალი ამწვანებული ლოყა კოცნით დაუფარა.

სევერიანეს ხეპრობა-ჯიუტობამ ვეღარ გაუძლო დედის უანგარო, განუზომელ სიყვარულს და თითქო ძალაუნებურად ეკატერინეს ხელს ტუჩებით დაეყრდნო.

— წავიდეთ, წავიდეთ, შინ ალბათ გვიცდიან.

— წადი, დედა,—რბილად უთხრა სევერიანემ,—მე ახლა მამის

შეხვედრა მრცხვენია და მერე მოვალ, — სევერიანეს თვალებიდან ცრემლი მოდიოდა.

— აღუ, წვერიან კაცსა! ახლა წამოდი, მე გიბრძანებ, — ხუმრობით უთხრა ეკატერინემ, ყურს უფრო ზაგრა მოეჭიდა და შინისაკენ გაეზიდა.

სევერიანე ძალადობდა, ზაგრამ ყური ეტკინა და ჩოთირ-ჩოთირით დედას მისდევდა.

— მერე, მერე, დედა, შენი ჭირიმე, ახლა მაპატიე!

— საპატიო რა მაქვს, თუ შენ გრცხვენია, მე მამაშენს და სხვას ყველას ვეტყვი, რომ ხვის ამოღება არ გაბედონ, თითქო არაფერი ყოფილიყოს. წავიდეთ, წავიდეთ, რომ იცოდე, რა ჩახოხბილი გაგიკეთე დღეს. სულ დარჩეული ნიგვზის ზეთი გამოვწურე...

* * *

აზნაურის სისო შუშხუნაძის ტირილი იყო სოფელ ვაკეკარში. მღვდლები ბევრი იყვნენ და არა ნაკლებ მთავრები, რომლებიც, სიტყვაზე, ამ ბოლო დროს ძლიერ მრავლდებოდნენ. მამა ბლაღო-ჩინიც ბრძანდებოდა. მამა ევთიმეც.

ის იყო სამღვდელოებამ ისადილა. მათთვის ცალკე ოთახში იყო სადილი მოეზადებული. ხიზილალა, კალმახი და სარდინკა თავზე საყრელი ჰქონდათ. სამღვდელოებასთან რამდენიმე აზნაურიც სადილობდა. ღვინო კარგი ჰქონდათ და კარგადაც გადაჰკრეს. ნასა-დილევს ოდის აივანზე ჩამოსხდნენ და მუსაიფი გააბეს.

სახლი მაღალ ქვითკირის საძირკველზე იყო აშენებული. წინ ფართო ეზო ეშლებოდა. აქ დღეს სადღესასწაულო ტანისამოსში მორთული რამდენიმე ასი ქალი და კაცი ირეოდა. მიცვალებული ესვენა სახლის გვერდით სახელდახელოდ გაკეთებულ დიდ სეფაში, სადაც შედიოდნენ მოტირალნი და საიდანაც მამაკაცების ბღავილი, ქალების კივილი და მოთქმა ერთმანეთში ირეოდა და ერთი გაურ-კვეველი შემზარავი ზრიალი მოისმოდა.

— მამაო ბლაღოჩინო, — დაეკითხა ბლაღოჩინს ერთი გრძელ-წვერა ჭაღარამერეული მღვდელი. — რა ამბავია, ამ ჯამაგირებზე რომ ამბობენ, ვითომ შეიძლება მოგვასწროს ღმერთმა?

— დაბეჯითებით არც მე ვიცი, — საქმიანი კილოთი მიუგო ბლაღოჩინმა.

— ამბობენ კი, სამღვდელოებას დიდი იმედიც აქვს, ამ ხუთ-ექვს წელიწადში შეიძლება გამოვიდესო.

— ნეტავ რამდენი მოვა თითოზე, — მყივანი ხმით შენიშნა ერთმა წითელწვერა გამხმარ-გამხმარმა მღვდელმა.

— ექვსზე ნაკლები არ იქნებაო, ბრძანებს ყოვლად-სამღვდელო, — მიუგო ბლაღოჩინმა.

— მალაქია, მალაქია, ღვინო, ღვინო, — ყვიროდა ერთი ჩოხის კალთებაკეცილი შუახნის კაცი; ოდის წინ მინდორზე იდგა და მარნისაკენ ხელს იქნევდა.

— ნელა გაიარე, აქ, მგონია, წყალი დაუღვრიათ, ნელა, ფეხი არ მოგისხლტეს, თორემ ამოდენა ტკბილი შეჭამანდი აქ თუ დავყარეთ, საინებზე შენც ნურას იტყვი, — უთხრა წინა მეხონჩემ უკანას, რომელთაც ვეებერთელა ხონჩაზე საინებით დაწყობილი მოხრაკული ჭაკარონი მოჰქონდა.

— ბატონებო, ბატონებო, თქვენი ჭირიმე, მასპინძელი გთხოვთ, ყელი არ გამომჭრათ და უღვინოთ არავინ წაბრძანდეთო. აბა, ბატონებო, ვისაც არ მიგირთმევიათ, ღამდება, თორემ არ თენდება! — ხმამაღლა იძახდა მაღალ-მაღალი, თეთრი ნაბდისქუდიანი კაცი.

— აი, ჩვენი ცოდვა, — ნაღვლიანად თქვა ერთმა სამღვდელოთაგანმა, რომელიც ბლაღოჩინის გვერდით იჯდა და ოქროსფერი ჭილობის ქუდი ეხურა. — რას დავიდარაბობს ეს კაცი, რა თავს იწუხებს! აი თუგინდ დღევანდელი ამოდენა ხარჯი, ამოდენა დავიდარაბა, ტყუილად ოხრდება, არც სულს რგებს და არც ხორცს.

— სულზე რა მოგახსენო, მამაო, ხორცზე კი გეტყვი: ისეთი გავძეხი დღეს, რომ ხვალ ამ დრომდი, იცოდე, კაცი ვარ, თუ გინდ ომერ ფაშას წინააღმდეგ წავალ. — უთხრა ერთმა დაბალ-დაბალმა, წვერგაკრეჭილმა, შავჩოხიანმა აზნაურიშვილმა, რომელიც ღარიბთაგანი იყო, მუშაობა არ იცოდა და ამიტომ მუქთ საჭმელს ძლიერ ეტანებოდა. დღეს სადილ სამღვდელოებასთან მიირთვა, ახლა ერთ მღვდელთან კაი თამბაქო ეგულებოდა, ერთი პაპიროსიც გამოართვა და იმას შეექცეოდა.

— შენ, ტაია, სულ ხუმრობაში უნდა გაატარო შენი ღრო, არც სულზე უნდა იზრუნო, არც სხვა სასიკეთოზე! — მიუგო ადგილობრივმა მღვდელმა, რომელიც ეს-ეს იყო ქვის კიბეზე ამოვიდა და დაოფლიანებულ შუბლს ცხვირსახოცით იწმენდდა.

— შენ რამ შეგაწუხა, მამაო მოსე, — ცოტა დაცინვით გასცა პასუხი ტაიამ. — საორმოცოს, ლაპარაკი არ უნდა, სრულიად მოგცემენ. განსვენებულ სისოს ფული ქე დარჩა გვარიანად. — მამა ბლაღოჩინს და სხვა პატიოსან მამათ, ხელი ვოავლო სამღვდელოებას, — წესის აგების შემდეგ თავიანთ მართებულს დაურიგებენ.

ღვინო, შენც თვითონ მოწმე ხარ, მეც შევხურდი, მაგრამ მწყალობდეს თქვენი მაკურთხებელი და თქვენი ლოცვა-კურთხევა, თქვენც ცოტა გაკლდათ, რომ მრავალჟამიერ შემოგეძახათ. ეს ასე, ჩემო ბატონო, და თქვე კაი კაცებო, იმდენი სიკეთე თქვენ და მეც, თქვენი ანაფორის ჩრდილ ქვეშ ერთი რიგიანადაც არ გავძღე? მა რა ვართ ამ წუთისოფელში? მოკვდა ის კაცი, ამ წუთისოფელს გამოეთხოვა! ა... იქ, მას ღმერთმა სასუფეველი მიანიჭოს და აქ ჩვენ, მისმა ნაცნობ-მეგობრებმა, მისი ამ ქვეყნით წარსვლა არაფრად არ აღვნიშნოთ? მისი მოშორების მოსაგონარი რამე არა ვქნათ? აი, წმიდანო მამანო... თქვენ, ერთი სიტყვით... მოგიწვიეთ, ჰეზობლებიც და ნათესავ-ნაცნობებიც მოვიწვიეთ, ვიტირეთ ი კაცი, ერთმანეთი ვანუგეშეთ. რომ შევიკრიბეთ, ესეც დიდი რამეა, ან კარგს იტყვის კაცი, ან ავს. იქნება ისეთი რამე დიდებული და სასარგებლო აზრი წამოცდეს ვისმე, განსაკუთრებით ამ ნასადილევს, რომ ჩვენი ქვეყნის საქმე...

— განსაკუთრებით ამ სიცხეში, — დასძინა ბლაღოჩინმა და ზეზე წამოდგა, — ვაი, შენს ჭკუას, — ხელის თავზე ჩაკვრით მიუგო ბლაღოჩინმა.

— არა, ერისთუ ნუ მომიკვდება, თუ ვტყუი, შენ თვითონ გასინჯე... მამაო.

ბლაღოჩინი ყურს არ უგდებდა და ტაიამაც საჭიროდ სცნო ქადაგება შეეწყვიტა.

— კაცო, შეხედე, მზე სად მისულა, — წარმოთქვა ბლაღოჩინმა, — ჭგონი დრო კი არის ჩვენი რიგი ავასრულოთ.

— ეს თქვენზეა, ბატონო, დამოკიდებული, — მიუგო ადგილობრივმა მღვდელმა.

— ჩემზე რათაა? მასპინძელი შენა ხარ, შენ უნდა ითავო, ჩვენ ხომ სტუმრები ვართ.

— მაშ, ჭომითმინეთ, ერთი მასპინძელს მოველაპარაკები, — მამა მოსემ საჩქაროდ კიბე ჩაირბინა და მასპინძლის საძებნელად წავიდა.

მამა ევთიმეც აივანზე იჯდა ერთ მოხუცებულ, სანდომიანი გამომეტყველების ჭღვდელთან და მასთან ჩუმად მუსაიფობდა.

— შენი შვილი ხომ დაბრუნდა საზაფხულოდ შინ? — ჰკითხა მეზობელმა მამა ევთიმეს.

— გეახლათ, მამაო, — თავმდაბლად მიუგო ევთიმემ.

— ახლა როველ კლასშია?

— მეოთხეში გადავიდა.

— ჰო, ძმაო, მოსაფრთხილებელი ყოფილა.

— მოსაფრთხილებელი, რათა — შეშინებულად ჰკითხა ვამა ევთიმემ.

— ფილოსოფოსობდეს იქნება, — ღიმილით მიუგო მღვდელმა.

— ეს რაღა იქნება, მამაო ოქროპირ? — დაეკითხა მამა ევთიმე. ფილოსოფოსი ქე გაეგონა მამა ევთიმეს, მაგრამ გარკვევით არ იცოდა, რას ნიშნავდა. ფილოსოფოსი კაცი ცუდი რომ არ იყო, ეს იცოდა.

— რა იქნება, ბაბა, ჩვენი ფილოსოფოსი. — მხიარულად ჩასჩურჩულა მამა ოქროპირმა. — დილით გვიან დგებოდეს იქნება, ხმას არავის სცემდეს იქნება. ათი რომ უთხრა, აქეთ არ მოგიგებდეს იქნება, სულ მოწყენილი იქნება, წირვა-ლოცვას სათოფეთ არ ეკარებოდეს იქნება, და აი, ჩვენებური ფილოსოფოსიც.

— წიგნებსაც კითხულობს, — თავისით ამოუვიდა ხმა მამა ევთიმეს და გაკვირვებული მამა ოქროპირს შეჰყურებდა. ეს კაცი გულთმისანი ხომ არ არისო.

— აი ესეც მართალია, ხომ გითხარი, — ისევ გაიცინა მამა ოქროპირმა.—მე, ბაბა, მაგისთანებში გამოცდილი ვარ. ჩემზე წინეთ სემინარიაში შვილი არავის მიუცია. რამდენ წელიწადს დაჰყოფს იქ ყმაწვილი კაცი, იმდენი სხვადასხვა ზნე-ხასიათს მიიღებს. გასწორდება, ნუ გეშინია. ახალგაზრდა ბიჭები,—განაგრძო მამა ოქროპირმა, — ბევრსა ფიქრობენ თავიანთ გუნებაში, მაგრამ, საუბედუროდ, საქმით ბევრი არა გამოუდით რა. სანამ სწავლობენ, ქვეყნის განათლებას და განახლებას ეტრფიალებიან, და ცხოვრებაში რომ გამოვლენ, ბევრი ნაყოფი არა მოაქვთ რა. რაც „მე“ და „შენ“, ისინიც... ბევრი არაფერი, — ყურში ჩასჩურჩულა მამა ოქროპირმა.

— მამაო ოქროპირ! — ბოხი ხმით დაუძახა მაპა მოსემ და ხელი მხარზე დაადო. — რა ჩუმ-ჩუმად ეპუსაიფები ამ ჭყონონელ მღვდელს. ორივეს ყურსოვნიკი შვილები რომ გყავთ, იმიტომ თავი მოგწონთ. — შვილის კურსოვნიკობა ავადმყოფი ადგილი იყო მამა ვოსესთვის. მისმა შვილმა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასის ზევით არაფრით არ ისწავლა. — აბა, მამანო, ვიცვალებულს წესი ავუგოთ, დროა. თქვენც გეჩქარებათ და მეც წირვა-ლოცვა მიჭირს.

მღვდლები და მთავრები მიცვალებულის ანდერძის ასაგებად გაეჩქარნენ. ტირილი და მოთქმა მიჩუმდა. სასადილო სეფაში ხმაურობა კიდევ ისმოდა.

საღამოზე მაპა ევთიმემ მხიარულად შემოათოხარიკა ეზოში თა-

ვისი პატარა ჯორი. ეკატერინეს სამზარეულო სახლის წინ გამხმარი ცერცვი გაეშალა და მოკლე ჯოხით მარცვალს ჩენჩოს აშორებდა.

— იცი, ქალო, რა გითხრა, — ჯორიდან ჩამოსვლისთანავე ჩუმად უთხრა მამა ევთიმემ და სარტყელივით მუცელზე შემოხვეული ანაფორის კალთები გაისწორა, ერთიც აქეთ-იქით მიიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო. სიახლოვეს არავინ არ იყო. — იცი, ქალო, ჩვენი სევერიანეს აგეთი უცნაური ხასიათის მიზეზი ფილოსოფია ყოფილა.

— დედა, ვისი სოფია! — გაოცებით წარმოთქვა ეკატერინემ.

— ნუ კი გადირიე, — უფრო ჩუმად უთხრა მამა ევთიმემ. — სოფია კი არა, არ გინდა, ანასტასია. ფილოსოფია, აბა როგორ გაგაგებინო, როცა კარგად არც მე მესმის და, ვგონებ, ვინც მითხრა, იმასაც მარტივად ვერ წარმოუდგენია. ეს ასეთი უცნაური ხასიათი ასაკის ბრალიაო და რამდენსაც კაცი სწავლობს, იმდენად ხასიათიც ეცვლებაო. შემდეგში გასწორდება, ახლა კი მოსაფრთხილებელიაო. ეს მამა ოქროპირმა ვითხრა. მან რა ხანია შვილი სემინარიაში გამოზარდა. მისი შვილი ახლა ხომ ბლაღოჩინია. ის ხომ გამოცდილი კაცია.

— მერე შენ მოუყევი: ჩემი შვილი ასე იქცევა, ისე იქცევაო, — უკმაყოფილოდ მიუგო ეკატერინემ და ჯოხი მოიშარჯვა, რომ ცერცვზე დაერტყა.

—აქეთ მითხრა ყველაფერი, ქალო, იმანაა რომ პირი გამიშრო, ხომ გეუბნები, გამოცდილი კაცია-მეთქი!

ეკატერინემ თავისი საქმე განაგრძო. მამა ევთიმე ჯორს უნაგირის მოხსნას შეუდგა.

XXV

—ხარდანაძის ქალო!—დაიძახა ტახტზე წამოწოლილმა ბასილმა.

— რა არის! — გასძახა მარიკამ აივნიდან.

— ბიჭი არ დაბრუნებულა?

— ასე ჩქარა რა დააბრუნებდა. ქარი ხომ არ იყო.

— აჰა, აფუუფუ... ფუ... — მიახველა ბასილმა, წამოდგა და აივანზე გამოვიდა. ის გადარეული საით წავიდა!—გადარეულს ძუკუს ეძახდა.

— წავიდოდა სადმე.

— ოხ, — ამოიოხრა ბასილმა. კარგად იცოდა, ეს „სადმე" რას ნიშნავდა.

— ხომ კარგად დააბარე, სამი ბოთლი არაყი და ორიც რამე

კაი სასმელი მოიტანოს. რომ შეცურდები ხათაბალაში, ბარეღამ შნოზე უნდა შეცურდე. თუ კარგად არ გამოგვეხე და არ შეახურე ის კაცი, არც კი იტყვის რიგიანად. ბლაღოჩინსაც თუ არ მოულხინე! მერე ვამა ამბაკო ისეთი კაცია, ერთი სიტყვა რომ სხვანაირად დასწეროს, ხომ გაფუჭდა საქმე. ოჰ, ოჰ!.. დრიმინტია, დედაშენს. — თავის ქნევით მწუხარედ თქვა ბასილმა. — რა ფულები ჩავუჩხრიალე ხელში ერთი ბეწო ჭუჭყიანი ნაწერისათვის მაგ ყურუმსაღს, მაგასა!

მძებრაძეებმა საბუთი შეიძინეს, მაგრამ ახლა მეტრიკული მოწმობები იყო საჭირო და იმის წერილობითი დასაბუთება, რომ სუმონა მძებრაძის შთამომავალნი იყვნენ ბასილი, ირაკლი და მისი ძმებიც. საეკლესიო საბუთებში ბართლომეს მეტრიკა კი აღმოჩნდა. ბასილის დაბადების დროს სამეგრელოში საეკლესიო საბუთების წარმოება არ იყო. ზოგი მღვდელი მაშინ მეწისქვილე იყო და მწუხრ-ცისკარს ლოცულობდა წისქვილში, სადაც მგალობელთა გუნდის მაგივრობას დოლაბ-ბორბალი ასრულებდა.

ირაკლის და პავლეს მეტრიკა რიგით უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბუთებში არ აღმოჩნდა. ამიტომ ყველა ამ საქმის გამოძიება დანიშნა სინოდალურმა კანტორამ და ამის გამოსაძიებლად ბლაღოჩინის თანაშემწე მამა ამბაკო არწევანიძე უნდა ვოსულიყო. ბასილი მძებრაძე და მისი ბიძაშვილები მის მისაღებ მზადებაში იყვნენ.

მოწმეები ოცამდე იყო საჭირო. ახლა გამომძიებელი და მისი მოყოლებული... სულ ხუმრობა საქმე არ იყო მათი გამასპინძლება. ერთი რიგი ჰალა-ჰალად სტუმრების გამასპინძლება როგორ შეეფერებოდა უხსოვარ დროიდან პურღვინით განთქმულ ოჯახს! მისვა ძმებმაც გამოიღეს ცოტა რამ ხარჯი, უფრო კი ბასილმა თავის ჯიბიდან და მზადებას შეუდგნენ.

ბასილმა ერთი წლის კაი მოზვერი იყიდა. იზაბელას ღვინოს როგორ გამოაჩენდა ამისთანა შემთხვევაში! კაცი ტახტის აზნაურობის მაძიებელი იყო და ტახტის აზნაურიშვილს როგორც ეკადრებოდა, ისე უნდა მოქცეულიყო. ამიტომ რამდენიმე ფუთი საუკეთესო იმერული ღვინო მოატანინა. სხვა სასმელ-საჭმელი, რაც შეიძლებოდა, დაამზადა.

— ერთი საქმე კიდევ არის, ხარდანაძის ქალო, — უთხრა ცოლს ბასილმა.

— რა საქმე?

—წერილი გამომატანა ამბაკო მღვდელმა ჩვენ მამა ეეთიმესთან. ისიც ,ხომ უნდა დაესწროს გამოძიებას. აქითობას ვერ გამოვიარე მის სახლისკენ, დაღლილი ვიყავი და ერთი ბართლომესთან კაცი გა-

გზავნე, ევთიმეს ის წერილი მიუტანოს. ჩემი ახალი ახალუხის ჯიბეში ძევს. ეს მაინც ქნას, სხვა რაღას აკეთებს. ის გადარეული, თუ დაბრუნდა, ერთ სასროლს დავკრავ, იქნება კალმახები დავიჭირო.

— ვე თვითონ მივდივარ ამ საღამოს მღვდლისას, ცოტად სიცხე რომ დავარდება და ბიჭიც რომ დაბრუნდება. სირცხვილია, ამდენი ხანი ვერაფრით მოვიკითხეთ, ვერც ვნახეთ სეევერიანე. ბევრი პატივი და შრომა მიუძღვის იმ კაცს.

— ეს კი დაგიმადლე, ხარდანაძის ქალო, — ლმობიერად უთხრა ბასილმა. — სულ ამ საუბედურო საქმეს გადავყევი და სულ იქითიქით მიმირჩა. მაშ, წერილიც შენ ვიუტანე და ის იქნება.

— ვივუტან, რა მძიმე ტვირთია.

— მარტო შენ წახვალ თუ ტასიასაც წაიყვან?

— ერთად წავალთ.

— მაშ, მე ახლა ერთი პირი დამაბანინეთ და იმ გადარეულის მოსვლამდე ბადეს გავხედავ. ერთ ალაგს მგონი გახეულია. იმ დასაქცევ წისქვილის ზემოთ რომ როკს მოვახვედრე... კანაფის ძაფიც მომიძებნე. სიტყვიერადაც გადაეცი მამა ევთიმეს, რომ ხვალ დილით გამომძიებელს ველი. შენ ბევრს ნუ დაიგვიანებ; ინდაური, ქათმები და სხვა რამ წვრილმანი ამ საღამოთივე მოისტუმრე და ხვალ ნაკლები ფუსფუსი იქნება საჭირო.

— გაგიმარჯოს ღვერთმა, — დაცინვით თავი დაუკრა მარიკამ. — მე ესენი უკვე მოვამზადე; შეწვა-მოხრაკვის მეტი არა უნდა რა.

— აბა აგეთი ჭკუიანი რომ ხარ, იმიტომ მიყვარხარ, ხარდანაძის ქალო, მერაბის სულს გეფიცები, — ტკბილად უთხრა ბასილმა. — თორემ ზოგიერთებივით რომ იყო, ერთ საათს არ დაგაყენებ ჩემ სახლში.

— სუ, სუ, არ დამაყენებ კი არა, მათხრვრად წავალ აი, საწყალ ხარდანაძეებს ჩემი რჩენა გაუჭირდებათ.

— გულმოსასვლელად კი არ მითქვამს,—ცოტა მორცხვად მიუგო ბასილმა. — ეს ისე, ხუმრობით გავურიე. ეხ, დასწყევლა ღმერთმა, არ მაქვს რაღაც ხუმრობის შნო, — უთხრა ბასილმა და მარიკასთვის გული რომ არ მოეყვანინებინა, დაეკითხა: — ბიჭსაც თან წაიყვან?

— მაშ, ჩვენი ხელით ხომ არ წავიღებთ რაცხა მეკომოკონსა.

— გოგო წაგეყვანა კი ჯობდა ჩემი ფიქრით, ბიჭი აქ რასმე გააკეთებდა. — საქმიანად შენიშნა ბასილმა.

— თითქო გოგოს აქ არაფერი საქმე ჰქონდეს! ოჯახში შენ არ იქნები, მე არ ვიქნები და გოგო უფრო საიმედოა, ვინემ ბიჭი.

— კარგი, ბატონო, კარგი, მე არ გეჩხუბებით, კანაფის ძაფი მომიძებნე, ბატონო, კანაფის ძაფი. დედაკაცებთან მუსაიფით ხეირი არ გამოვა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბასილმა.

მარიკამ კანაფის ძაფი მოძებნა. ბასილმა სასროლი ბადე მინდორში, ჩრდილში გაშალა და გახეულ ადგილს დაკერება დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ ვარიკა და ტასიაც მღვდლის სახლისკენ მიდიოდნენ. მათ უკან კარგა მოზრდილი ბოხჩით ხელში მოჯამაგირე მისდევდა.

მარიკას ეოსელა შორიდანვე შეამჩნიეს მამა ევთიმეს სახლში. მამა ევთიმე შინ არ იყო. ეკატერინე კაბააკეცილი და თავწაკრული გამოვარდა სამზარეულო სახლიდან, სადაც მის უმცროს ვაჟს საშინელი ყვირილი გაჰქონდა: არ მინდა, არა, არ მინდაო, მე ის მეორე, დიდი მინდოდაო. ეკატერინე ოდის უკანა ოთახში შეევარდა, რომ სუფთა კაბა გადაეცვა.

სევერიანე კი ამ დროს ფეხშიშველი და ხალათის ღილებგახსნილი წამოწოლილიყო დარბაზის ტახტზე. მაგიდასთან ფარნა თოხიტარია იჯდა და რაღაც წიგნს კითხულობდა.

— ის წიგნი ძლიერ მომეწონა, გუშინწინ რომ მომეცი. — დაარღვია სიჩუმე ფარნამ, გადაშლილ წიგნს თვალი მოარიდა და სევერიანეს შეხედა.

— ის რომელი წიგნი იყო?

— გულივერის ეოგზაურობა.

— ჰო?

— მართალი იქნება ეს ვითომ, სევერიანე? შეიძლება, რომ ისეთი პატარა კაცები იყვნენ ქვეყანაზე?

— ხა, ხა, ხა, — ჩაიცინა სევერიანემ. — ვინ გაიგონა, მოგონილია, განგებ არის ისე დაწერილი.

— ძალიან კი მოუგონია იმ კაცს, მართალი ულდა გითხრა,—დინჯად მიუგო ფარნამ. — პატიოსანი კაცი კი ყოფილა, მაგ ვიღაც გულივერია. იმ პატარა კაცებისათვის ხელი რომ გაესვა, — ხმამაღლა წარმოთქვა ფარნამ. თან იცინოდა და თან ხელებს ისე უსვამდა, თითქო ხმალი უპირავსო. — სულ ერთად ხომ ნაცარტუტად აქცევდა იქაურობას. პირიქით, ის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ; იქაურ ზნე-ჩვეულებას და კანონებს ემორჩილებოდა, მათს ენას სწავლობდა და მათს სიმამაცეს აფასებდა. თუკი რაღე სიმამაცე ჰქონდა მათს ძლევამოსილ მხედრობას, რომელიც იმ კაცმა ლაჯებქვეშ ვაატარა.

— სამაგიეროდ, ვეებერთელა კაცებს რომ ჩაუვარდა ხელში,

იმათაც არ ჩამოახრჩვეს. ჩამოხრჩობა რა საჭირო იყო, არ გასრისეს. პატივით მოეპყრნენ და შოშიასავით გალიით დაჰყავდათ, — მიუგო სევერიანემ.

— მე ვფიქრობ, რომ სიკეთისათვის სიკეთე ჭყო ღმერთმა, — სასოებით თქვა ფარნამ, — სუსტთან რომ ძალმომრეობა გამოეჩინა, მძლავრი მასთან ძალმომრეობას იხმარდა, მომრევის ზომრევი ხომ არ დაილევა.

— მაშ, აქედან ჩვენ ის უნდა ვისწავლოთ, რომ სუსტი და უძლური თავის დღეში არ უნდა დაიჩაგროს მძლავრისაგან!

— აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ მობრძანდით. მობრანძულად ვართ, ოხერი, ხომ მოგეხსენებათ ოჯახის გარემოება, — ზოესმათ აივნის წინ. ეკატერინე მარიკას ეპატიჟებოდა.

— არაფერი, შენი ჭირიმე, ჩვენც სოფელში არა ვცხოვრობთ? გაგაწყინეთ, მგონია, მე უბედურმა. უდროო დროს მოვედი... — გადამეტებული ზრდილობით უპასუხა მარიკამ.

— აი, ღმერთო, შენ ამოაგდე! — ჩუმად და გაოცებით წარმოთქვა ამ ხმის გაგონებაზე სევერიანემ. ლაპარაკი შეწყვიტა, ზეზე წამოვარდა, ფეხით ქალამნები მოსძებნა, გზა-გზა ჩოთირ-ჩოთირით ჩაიცვა და უკანა კარებიდან გავარდა.

ეკატერინეს სიჩქარეში დაავიწყდა სევერიანე წინდაწინ გაეფრთხილებინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ყველაფერი მისწორდა და მორიგდა. მტირალი ბავშვი ჩაჩუმდა, რაკი ახალმოტანილი ხაჭაპურის ნაჭერი ხელში მისცეს და სევერიანეც, პირდაბანილი და ჩაცმული, დარბაზში სტუმრებთან მუსაიფობდა.

— კაი მადლიერი მოწაფე არ არის შენი მოწაფე? — თვალებით ანიშნა მარიკამ ტასიაზე და რაც შეიძლებოდა ტკბილად უთხრა სევერიანეს. — ამდენ ხანს ერთხელაც რომ ვერა გნახათ, ერთხელაც ვერ მოგიკითხათ.

—რავა არა, მნახა. ეკლესიაში ბარე ორჯერ კი ვხედავდი. ისეც, სადღაც ორ-სამჯერ შემხვდა. ძლიერ მიხარია, რომ კარგად სწავლობს, — მიუგო სევერიანემ.

— ეგეთი ნახვა რა ნახვაა, — ტუჩების გაბუტვით თქვა მარიკამ. — სულით და გულით გვინდოდა შენი ნახვა, გენაცვალე, ჩემი ძუკუ ნუ მომიკვდება, გვინდა კიდეც რამე პატივი გცეთ, ისე ჩემი ძუკუს ბედნიერება დედამისს ენახოს... ძუკუს მამასაც თუ ძუკუსავით არ მიაჩნდეთ, მაგრამ, ხომ მოგეხსენება, ბატონო, სულ შფოთი და დავიდარაბა, სულ უსიამოვნება, რაც ეს აზნაურობის საქმე

დავიწყეთ, მერე სულ... სულ... გულითაც რომ მინდოდეს პატივისცემა, ვერ მომიხერხებია...

— რა ბრძანებაა, ბატონო, რათ იკადრებთ. ვე რა მიქნია ისეთი თქვენთვის. ორი ანბანი რომ დავასწავლე ტასიას, ეს ბევრი საქმეა? ნეტავ შემეძლოს ბევრი რამე, — გააწყვეტინა სიტყვა სევერიანემ. გულში კი ბრაზი მოდიოდა, ნეტავ ამ კომპლიმენტებს ბოლო როდის ბოლეღებაო.

— მაგას ნუ იკადრებ, შენი ჭირიმე. ორი ანბანი კი არა, თქვენი ამაგი ჩვენზე დაუფასებელია. თქვენი იმედით, თორემ ასე ადვილად კლასში...

— ახლა რომელ კლასშია, ბატონო, — გაერია საუბარში ეკატერინე.

— მარტო ერთი წელიწადი უკლია, ბატონო, თუ ღმერთმა მშვიდობით დააცალა, მაგრამ რათ მინდა ან სწავლა, ან სხვა რამე, ახლანდელი დროის ჩვენი ცხოვრება გროშად არა ღირს. ყოველივე უბედურობა ჩვენ გვატყდება თავზე, ბატონო. სხვა გაჭირვებას, როგორც იყო, ქე ვუძლებდით, ასე თუ ისე იოლად ქე მივდიოდით, მაგრამ რათ გინდა, ამ აზნაურობის თაობაზე ისეთი ხარჯი დაგვაწვა კისერზე, შენ გენაცვალე, რომ ლამის არის სულ ერთიანად გავსწორდეთ. აზნაურობა უნდა დაამტკიცო. ღმერთო, მომკალი ახლა! ჩვენთვის აზნაურობა, — ცოტა ამაყად გააგრძელა მარიკამ და ცივად ჩაიცინა. — თქვენ ხომ კარგად იცით, მოძღვარსაც რამდენჯერ უთქვამს ჩემი მამამთილის მამის ამბავი, საგაზეთოდ დააქვთ მისი ამბავი. დადიას * დივანბეგზე, სახუცეზე ერჩივნაო, და ახლა ჩვენ აზნაურობა საძებნელი გაგვიხადეს.

— რა ვუყოთ, — ანუგეშა სევერიანემ. — მარტო თქვენთვის რომ იყოს პირადად, სხვაა, მაგრამ რაც საზოგადოდ ყველასათვის აღცილებელია, რას უზამ.

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა! — მიუგო მარიკამ. — მარტო ჩვენთვის რომ იყოს ეს კანონი, ამდენ ხანს თავს მოვიკლავდი, რომ იცოდე, სევერიანე. ჩემი ორივე ბაღანა ნუ მომიკვდება, ჯერ ხუთასი მანეთი დაგვიჯდა, ვაინც ეს სულ ცოტა სულ მოკლე დროში რომ ვიანგარიშოთ. მარტო ხვალ რამდენი ხარჯი და... მართლა, შვილო, ტასია, აბა ის ქაღალდი, — მიუბრუნდა მარიკა ტასიას. — ამოიღე, შვილო, არ დაგვავიწყდეს.

— რა ქაღალდი ყოფილა, ბატონო? — ჰკითხა ეკატერინემ.

---

* დადია — დადიანი, მთავარი.

— ხვალ ბლაღოჩინს ველით, გამომძიებელს, შენი ჭირიმე. ბლაღოჩინს მოძღვარისათვის წერილი მოუწერია... კიდევ ვერ მოძებნე? — ისევ დაეკითხა ტასიას. ტასიამ ბარათი ჯიბიდან ამოიღო და დედას გადასცა. მარიკამ კი სევერიანეს გაუწოდა, — მოძღვარიც უნდა დაგვესწროს ხვალინდელ გამოძიებაზე.

სევერიანემ ბარათს ერთი შეხედა და დედას გაუწოდა.

— ეს გამოძიება მეტრიკული მოწმობების თაობაზე იქნება ალბათ, ბატონო? — დაეკითხა, როგორც იყო, სევერიანე.

— დიახ, ბატონო, მაგრამ რათ გინდა, სულ ჩვენს კისერზე გვატყდება ყოველივე ხარჯი და შრომა-ტანჯვა. ხომ მოგეხსენებათ, — აქ თავი დააქნია ჰარიკამ, ნიკაპს ასწია და ერთიც ალმაცერად ფარნასაკენ მიიხედა, თითქო უნდოდა ეთქვა: ეს აქ არ იჯდეს, უფრო მეტს ვიტყოდი რაღაცასაო. მაგრამ რის თქმაც უნდოდა, ყველამ იცოდა და ვგონებ ფარნამ ყველაზე უფრო კარგად. მარიკას ირაკლისა და მის ძმებზე უნდოდა ეთქვა. ისინი რაც შვილები და ქონების პატრონნი იყვნენ, ამას ბევრი დამალვა არ ეჭირვებოდა. უიმისოდაც დღესავით ცხადი იყო.

— ვიცით, ბატონო, — მიუფერა ეკატერინემ, — მღვდელს, ისე გამეზარდა ჩემი შვილები, ათასჯერ უთქვამს: ბასილი მძებრაძესთანა დასჯილი კაცი ცის ქვეშ არ მოიძებნებაო. მარტო თავისი თავი უჭირდეს, რაღაა, ათასი სხვის საქმეს და გაჭირვებასაც პასუხი უნდა გასცესო, ხუმრობა არაა, ბატონო, მუდამ სხვის მაგივრად ხარჯის გაღება, ყველას თავისი თავი უჭირს.

—აი, იცოცხლეთ, ქმარ-შვილებიანად, მართალს რომ ამბობთ,— გააწყვეტინა ჰარიკამ და ლმობიერად შეხედა.

—შენი რა საქმეა სხვისი გაკილვა, დედაჩემო,— დინჯად შენიშნა სევერიანემ.

— რა კილვაა, შვილო! ჯერ შენ ცხოვრებაში არ გამოსულხარ და არ იცი; ქვეყანა ანგარიშით ცხოვრობს. ბასილს ბევრი აქვს, ღმერთმა კიდევ მისცეს, მაგრამ ყველა მძებრაძეებისთვის კი არა აქვს... თავის თავი ყველამ თვითონ უნდა ნახოს. შენ ჯერ, შვილო, ერთი კაპეიკი შენი არ გიშოვნია, ოჯახი არ გამოგიცდია და არ იცი, რა ძნელია ცხოვრება,—ცოტა არ იყოს, ხმამაღლა თქვა ეკატერინემ.— დასამალი რა მაქვს, შვილო, ბატონ მარიკას ეს რათ ეწყინება. პავლემ ცოლი შეირთო, ჯვარი დაიწერა, ბედაური აზნაურის შვილია, ერთი გახვრეტილი კაპეიკი არ მოუცია. რაშდენიმე წელსა ბოდიშით გვატყუებდა და ბოლოს ისიც მიატოვა.

— კიდევ არ გადუხდია შეჩვენებულს? — მორცხვად შენიშნა მარიკამ.

— ვინ გაიგონა, ბატონო!

— ეს წასული საქმეა, დედაჩემო, — უთხრა სევერიანემ.

— რა ვუყოთ, შვილო! მეც ვიცი, ხელიდან წასულია. თქვენ თავს ღმერთი მიცოცხლებდეს, თორემ მაგისთანებს კიდევ გავუძლებთ, — თავმოწონედ თქვა ეკატერინემ, ერთიც მარიკას შეხედა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, აჩქარებით და ნაღვლიანი კილოთი განაგრძო:—ღმერთო, მომკალი, ბატონო მარიკა, როგორ გიყურებ, არ ვიცი, მე ცოცხლად მიწაში ჩასასვლელი, სულ ლაპარაკს გადავყევით.

— რათ იკადრებ, გენაცვალე, მე სტუმარი ვარ თქვენთან?

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა. დასაპატიებლად ვერ ვღირსვართ და ასე უეცრად... ჩაი მაინც...

— ძუკუ არ მოუკვდეს, იმის მეტი, დედამისს. ჩაი კი არა, აგერ დავიწვი სიცხით.

— მაშ ატამი მაინც, ღვინოსთან, ერთი, შვილო!..

— შენი თავი არ მომიკვდეს, ეკატერინე! ის ნუ მოგიკვდება, — მიუთითა სევერიანეზე, — ხილმა თავი მომაძულა... არაფერია, ნუ შეწუხდები, ოღონდ... საღამოა კიდეც, იმდენი საქმეები მაქვს ხვალისთვის, რომ, — გაჭიანურებულად თქვა მარიკამ. — ერთს კი გთხოვ, ეკატერინე, ბოსტანს გიქებენ ძლიერ.

— გნებავთ დავათვალიეროთ, ბატონო, ინებეთ, შენი ჭირიმე, თუ რამე მოგეწონებათ, ღმერთო მომკალი, არც ღვინო, არც წყალი. ყველა ზეზე წამოდგა.

— წავო, ნანა, ტასია.

მიუბრუნდა მარიკა ტასიას, რომელსაც რაღაც ნახატებიანი წიგნი გადაეშალა და სიამოვნებით ფურცლავდა. იმდენად გართობილიყო წიგნის თვალიერებაში, რომ უკანასკნელი მუსაიფი არც კი გაუგონია.

— წავიდეთ, — ნაღვლიანად მიუგო დედას და წიგნს მაინც თვალს არ აშორებდა.

— წავიდეთ, ვნახოთ, აბა, ჩემი ბოსტანი, — მიემხიარულა ეკატერინე.

— ბოსტანის სანახავად მიდიხართ? — დაეკითხა ტასია დედას.

— ჰო, ბოსტანი დავათვალიეროთ და ვერე შინ წავიდეთ.

— დედა, თუ არ გეწყინება, მე ამ წიგნების თვალიერება უფრო მიხარია, — შეეხვეწა ტასია.

— ნება შენია, — მიუგო მარიკამ და ეკატერინესთან ერთად ოთახიდან გავიდა.

— წიგნებს უკეთესებს გაჩვენებ, თუ გინდა, — უთხრა სევერიანემ ტასიას და მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს ჩხრეკა დაუწყო.

ძლიერ უხაროდათ მანდილოსნებს, რომ მარტო ორნი მიდიოდნენ ბოსტნის დასათვალიერებლად; უფრო სავსედ და გულახდილად იმუსაიფებდნენ, უფრო დაწვრილებით უამბობდნენ ერთმანეთს ნანახ-განაგონზე, ან ვისმე გაპორავდნენ, თამამად მოიკლავდნენ ამ მხრივ წყურვილს.

— აი, ეს წიგნი ნახე, — უთხრა სევერიანემ, როცა ქალები გავიდნენ და ერთი სქელი, ლამაზყდიანი წიგნი ხელში მისცა.

ტასიამ წიგნი გამოართვა და თვალები დააშტერა. ფარნაც მიუახლოვდა და საპივენი მაგიდას მიუდგნენ.

ტასიამ წიგნის ყდა გადაშალა. პირველი ფურცლის შუაგულ მოკლე შავწვერიანი და შავთმახუჭუჭიანი კაცი იყო დახატული. ტასიამ ნახატს ზემოთ მსხვილი ასოებით დაწერილს დახედა და ჩუმად წაიკითხა А. С. Пушкин. ფარნამაც დახედა.

— ა-ა, პუშკინი, — მხიარულად თქვა მან.

ტასიამ ფარნას შეხედა და გულწრფელად გაუღიმა.

— გისწავლია რაპე მისი ლექსი? — ჰკითხა სევერიანემ ტასიას.

— არა, — ნაღვლიანად მიუგო ტასიამ.

— არ შეიძლება, რომ არ გესწავლოს. ის დიდებული რუსი მწერალი-მოლექსეა.

— როგორ არ უსწავლია, — ჩაერია ფარნა. — მე თვითონ ყური მიგდია, რომ კითხულობდა:

По дороге зимней скучной
Тройка борзая бежит...

— ეს კი მისწავლია, — თქვა ტასიამ.

— აი. ეს ამის დაწერილია, — მიუგო სევერიანემ.

— კიდევ ვისი დაწერილია: Буря мглою небо кроет...

— ეს განა არ გისწავლია? — ჰკითხა ფარნამ.

— ეს არა ჯერე, — მორცხვად მიუგო ტასიამ. — ალბათ გვასწავლიან, რა შავი კაცი ყოფილა, ან რა კიროკილი * თმა ჰქონია, — სიცილით დაუმატა ტასიამ და ნახატზე ხელი დაუსვა.

— შავია, მაგრამ შახია, — მიუგო სევერიანემ და სხვა წიგნებს დაუწყო ჩხრეკა.

* კიროკილი — დახვეული.

ტასია წიგნს ნელ-ნელა ფურცლავდა. წიგნი დასურათებული იყო. ფარნა მის პირდაპირ იჯდა და იმდენად ახლოს, რომ ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. მათი ფეხებიც ერთმანეთს ხვდებოდა.

— აი, ეს თვითონ პუშკინი პატარაობისას, — აუხსნა ფარნამ ერთი სურათი, რომლის დანახვაზე ტასიამ წამოიძახა:

— რა თმა კიროკილი ბავშვია, ჩაჩნის * შვილს არა ჰგავს! —

— ემაგრე, ემაგრე, აუხსენი, ფარნა, — უთხრა სევერიანემ, რომელსაც თავის მხრივ გაეშალა ერთი წიგნი და წარბშეკრული და დაფიქრებული რაღაცას ეძებდა. ხან აქეთ გადაშლიდა, ხან იქით გადმოშლიდა.

— Ну, ну, не то, не то, — ჩაილაპარაკა მან. — შენ ხომ ბევრი რამ გიამბე მაგ წიგნზე და ახლა შენ ტასიას აუხსენი. ის ხომ პატარაობისას დიდი მეგობარი იყო შენი, — ამბობდა სევერიანე და წიგნში იხედებოდა. ორივემ ჩაიცინა; ერთმანეთს შეხედეს და გაწითლდნენ.

— მე რა ახსნა შემიძლია, მაგრამ მაინც ვეცდები, — არეულად მიუგო ფარნამ.

— ეცადე, ეცადე, ჰო, — გაფანტულად თქვა სევერიანემ. — სად არის ნეტავ. აქ უნდა იყოს, — ბუტბუტებდა სევერიანე და წიგნს ფურცლავდა, უკმაყოფილოდ გადაშლილ ფურცლებს ტკაცუნი გაჰქონდა.

— აი, ეს მისი ცოლია, — აუხსნა ფარნამ ტასიას და ერთი გულმკერდ ამოღებული კაბით დახატულ ქალს თითი დაადო. — ამის გულისათვის მან სხვა კაცს თავი შეაკლა.

— როგორ თუ შეაკლა! — გაკვირვებით მიუგო ტასიამ და შიგ თვალებში შეაჩერდა ფარნას.

— ერთი ვიღაც კაცთან ჭორი დაუგდეს, — საქმიანად მიუგო ფარნამ. — ეს ჭორი პუშკინმა შეიტყო, შურიანმა საზოგადოებამაც შეუსინა და საქმე გაბერა. პუშკინი იძულებული გახდა თავისი პატივის დასაცავად ის კაცი დუელში გამოეწვია. ესროლა იმ კაცმა, ჭოახვედრა და სასიკვდილოდ დასჭრა.

— ამან ვერაფერი უყო? — ათრთოლებით ამბობდა ახალგაზრდა გოგო, თვალები გადიდებოდა, ნორჩი ძუძუები უთრთოდა და ფარნას შესცქეროდა.

— ამანაც ესროლა მარცხენა ხელით, — ღიმილით მიუგო ფარნამ, — და კიდეც ჭოარტყა, მაგრამ არა სასიკვდილოდ.

* ჩაჩანს სამეგრელოში ბოგანო ყიზილბაშებს ეძახიან. ავტ.

— Наконец,— ნელა წამოიძახა სევერიანემ, წიგნს ერთ ალაგას ჩააჩერდა და ჩუმად კითხვა დაიწყო. ის წიგნიც დასურათებული იყო. იმ ადგილას, სადაც სევერიანე კითხულობდა, რაღაც ცხოველების ჩონჩხები და ცალ-ცალკე ძვლებიც იყო დახატული.

— ოხ, როგორ იცინი, — მიუგო ტასიამ ფარნას, — კაცი, მერე როგორი კაცი მოჭკლავთ და შენ იცინი?!

— ჩემი რა ბრალია, — კვლავ სიცილით მიუგო ფარნამ და თავისი ბროლივით თეთრი კბილები გამოაჩინა, მსხვილი თვალები აუწყალიანდა და მსუქან ლოყაზე ალმური აედინა. — მე რა შუაში ვარ. სამწუხარო კი არის, ასეთი ღვთის მადლით დაჯილდოებულმა კაცმა რომ უდროოდ სხვას შეაკლა თავი. ოცდაჩვიდმეტის წლისა იყოო, არ მითხარი, სევერიანე? — დაეკითხა ფარნა.

— ა!.. — ახალ გამოღვიძებულივით წამოიძახა სევერიანემ, რომელიც წიგნს გულმოდგინედ კითხულობდა და იმდენად გართულიყო, რომ ფარნას სიტყვები არ ესმოდა.

— ოცდაჩვიდმეტის წლისა არ მოკვდა პუშკინი?

— ჰო, ჰო, — მიუგო სევერიანემ და ისევ წიგნს ჩააჩერდა.

— აი, რა ახალგაზრდობაში დაიკარგა, ვინ იცის, კიდევ რამდენს დასწერდა, რომ უდროოდ სული არ დაელია, — ნაღვლიანად თქვა ფარნამ.

— ეს სულ მისი დაწერილია? — ჰკითხა ტასიამ.

— სულ მისია.

— უჰ! რა ბევრი დაუწერია, — თქვა ტასიამ და წიგნი ხელით ასწონ-დასწონა. მერე ისევ ქალის სურათს დააცქერდა. — რომ არ არის მაინცდამაინც ისეთი გასაგიჟებელი ლამაზი! — ჩუმად, თითქმის ყურში ჩუხჩა ფარნას.

— რა ვიცი, — ისევ სიცილით მიუგო ფარნამ და ჟუჟუნა თვალები გოგოს შეანათა. — ამბობენ, ლამაზი იყო,—ფარნა ტასიასკენ გადიხარა, უცებ მისი ლოყა გოგონას ლოყას შეეხო უნებლიეთ, და მაშინვე უკან წაიღო დამდუღრულივით. ტასიამ ინსტინქტურად ლოყაზე ხელი მოისვა. გაწითლებული ფარნა შიშით შეჰყურებდა გაკვირვებულ ქალიშვილს.

— მე კი ლამაზად არ მიმაჩნია, — გაფანტულად წარმოთქვა ტასიამ, — აბა, კარგად დახედე, ცოტად გოჩას რძალს, სანდუხტიას თუ არა ჰგავს.

— კი ჰგავს ცოტად, — გაიცინა ფარნამ.

— ეს ვისი დაწერილია, მიჯლაბნილი რომ არის? — იკითხა ტასიამ, როცა წიგნი კიდევ გადაფურცლა.

— ეს თვით პუშკინის ხელნაწერია.

— რა დაჯღაბნილია მერე, სტრიქონი სწორადაც არაა წაყვანილი, ჩვენი მასწავლებელი ქალი ამაზე ორს დასწერდა, — იოხუნჯა ტასიამ.

— ხა, ხა, ხა, — გაიცინა ფარნამ. — ლამაზი წერა რათ უნდა. მისი ნაწერები ხომ სულ დაბეჭდილია, და არა ერთხელ და ორჯერ. საქმე შინაარსია, თორემ ახლანდელ დროში დაწერილი, როგორიც გინდა იყოს, მხოლოდ წაიკითხონ... სხვა რა საჭიროა მისთვის ლამაზი წერა. მისი ნათქვამი მარგალიტებია, ან რა კარგად აქვს აწერილი ჩვენი ქვეყანა!

— ჩვენშიაც იყო განა?

—აქ, ჩვენში, არც ჭყონონაში, არც სამეგრელოში არ ყოფილა. თბილისში იყო და ის ხომ ჩვენი დედაქალაქია. საზოგადოდ, ჩვენი ქვეყანა ისე კარგად აქვს აწერილი, რომ მკითხველის გონებას იტაცებს და ათასნაირ, ხან მწუხარე და ხან მხიარულ ფიქრებს მოჰგვრის. ეს ყველა სეევერიანემ მითხრა, თორემ მამაჩემი როდის იყო პუშკინზე მუსაიფობდა, — ხმადაშვებით და ღიმილით თქვა ფარნამ.

— აა, — ისევ გაიხუმრა სეევერიანემ და კითხვა განაგრძო.

ტასია ფარნას თვალს არ აშორებდა. უკანასკნელი მისი სიტყვები სეევერიანესადმი იმდენად ერთგული გრძნობით, იმდენი თავმდაბლობით და თან მტკიცედ იყვნენ წარმოთქმულნი, რომ ტასიას ნორჩი და ალღოიანი გული აცახცახდა და ფარნასადმი მეტი მიმზიდველობა იგრძნო. „რა კაი ბიჭია,—ფიქრობდა გულში ტასია, — რა ლამაზია, რა ჭკვიანი. — მას გაახსენდა ფარნა, ფეხშიშველი, პატარა ნაჯახით ხელში. ათასფრად დაკონკილ და დაგლეჯილ ტანისამოსში პირველად სასენაკოში რომ შეხვდა. მაშინ ხომ ყველამ დასცინა, მაგრამ მათი დამცინავები ზოგი მოჯამაგირედ დადგა, ზოგმა არ ისწავლა. ფარნამ კი, მიუხედავად ყოველნაირი დაბრკოლებისა, პირველდაწყებითი სამოქალაქო სკოლა დაამთავრა და ისიც პირველმა, ყველაზე უკეთესად. იქ ხომ თავადაზნაურთა შვილებიც ბევრი იყვნენ, მაგრამ ნიკოიას შვილმა ყველას აჯობა. მაშ, კაი ბიჭობა გვარიშვილობაზე არა ყოფილაო, გაუელვა გოგოს თავში და გული მწუხარებით შეეკუმშა. დღეს პირველად შეეპარა ეჭვი იმ რწმენაზე, რომელსაც მის გარშემო ყველანი მოწიწებით აღიარებდნენ, როგორც ბუნების კანონს, რომ თავადაზნაურობა სხვა სისხლისაგანაა შემდგარი და გლეხობა სხვა სისხლისაგანო. ეს მსჯელობა ხშირად გაუგონია დედისაგან, ხანდისხან მამისაგანაც. ბართლომე ხომ გლეხს

კაცად სულ არა თვლიდა, თუმცა სოფრომია ბარიას დიდი მეგობარი იყო.

— გლეხი არ უნდა დაინდო, უნდა გაატყავო,—ქადაგებდა ბართლომე, მაგრამ მისი გატყავებული ჯერ არავის ენახა და თვითონ კი ივ გლეხებისაგან, რაც დრო გადიოდა, მარტო ძვალი და ტყავიღა რჩებოდა. საუკეთესო, თუ რამ ებადა ბართლომესა და მის ძმებს, ახლა ამ ფარნას მამის ხელში იყო.

ალბათ მომავალში შეიძლება მაჰაჩემის ქონებაც მაგას დარჩესო, გაიფიქრა გოგომ და კინაღამ თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. საფუძველიც ჰქონდა ასე ეფიქრა. მისი ერთადერთი ძმა ძუკუ ვოაგონდა. ძუკუს სირმით, მაუდითა და აბრეშუმით მოსავდნენ, მაგრამ მაინც ვერა ეშველა რა, სწავლა არ მიიღო და დროს ლაზღანდარობასა და სისაძაგლეში ატარებდა. ეს ტასიამ კარგად იცოდა. ნათლად თვალწინ წარმოუდგა ის წამიც, როცა ძმამ ტყეში მარტო დასტოვა და ავ ვაჟმა, მაშინ უსუსურმა და უმწეო ბავშვმა, იშვიათი თავგამოდებით და საოცარი თავგანწირულებით უბედურებას გადაარჩინა. ყოველივე ეს ასწონ-დასწონა გოგომ და მის ნორჩ გონებაში ახალი რწმენა, ახალი ფიქრი დაიბადა, თუმცა ჯერ სუსტი და გამოურკვეველი. ყმაწვილს თვალი მიაპყრო და სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

— თუ ვიცოცხლე, როცა ფულებს ვიშოვნი, უსათუოდ ვიყიდი მაგ წიგნსა, — უთხრა ფარნავ.

— ძვირი ეღირება? — ჰკითხა ტასიამ.

— მანეთ-ნახევარი ღირსო, თქვა სევერიანემ.

სევერიანემ ისევ წაიბუტბუტა რაღაც და კვლავ მიჩუმდა. მათი ყურის საგდებლად მას აღარ ეცალა. ორი რაღაც ცხოველის ჩონჩხის ნახატს ათვალიერებდა, თან ძვლების სახსრებს ფრჩხილით ზომავდა და ერთმანეთს უდარებდა.

— ეს სხვა ნახატები რაღაა, აგერ კაცი ცხენს რომ მიაჭენებს, ფო, ფო, ფო, ამას რა გრძელი წვერი ჰქონია! ან როგორი თვალები. კაცს დაესიზმრება, — წარმოთქვა ტასიამ.

— ო ო... ეს, — ღიმილით მიუგო ფარნამ და ცოტა ფიქრის შემდეგ განაგრძო: — ეს მაგის ნაწერების შინაარსის დასურათებაა, რომ უფრო თვალსაჩინო და ადვილი წარმოსადგენი იყოს მისგან ეოთხრობილი ამბები. აი მაგალითად, — აღტაცებით თქვა ფარნამ და წიგნს ხელი წაატანა... ამ დროს კარებში მარიკას ხმა მოისმა:

— ძუკუს ცუდი კაცობა დედამისს არ ენახოს, იმის მეტი, ეკატერინე. მათი შენაწევარი რაღა იქნება, სიმინდი არ ჰყოფნით

წლიდან წლამდე, თორემ სხვას ვინ დაეძებს. ეს დავიდარაბა კი ჩვენ გვაწევს კისერზე და როდის გათავდება...

მარიკას ხმაზე ფარნა და ტასია გაფითრდნენ, თითქო მოულოდნელად ქურდობაში დაიჭირესო.

— ტასია, წავიდეთ, — დაღლილი ხმით უთხრა მარიკამ.

მის ხმაზე სევერიანე გამოერკვა, წიგნი განზე გადადო და წამოდგა.

ყველანი ეზოში გამოვიდნენ.

მზე ჩასულიყო, შავი ზღვიდან სიო ნელ-ნელა უსისინებდა და სიცხისაგან ღონემიხდილ მცენარეებსა და ცხოველებს სულს უბრუნებდა. ეკატერინეს ხელში გვარიანი მოზრდილი ბოხჩა ეჭირა, სწორედ ის ბოხჩა, რომლითაც აქეთობას ხაჭაპური და ყველი მოჰქონდათ. ახლა ბოხჩაში სხვადასხვა ბოსტნეულობა და მწვანილი ელაგა. რამდენიმე კიტრი შიგ თავისუფლად ვერ მოთავსებულიყო და ბოხჩის წვერების ნასკვნიდან სანახევროდ გარეთ იყო გამოშვერილი.

— ღმერთო, მომკალი, ეს შეკრული თქვენ გიჭირავთ ხელში, — ზრდილობიანად უთხრა მარიკამ ეკატერინეს. — ტასია, ახლავე გამოართვი.

— მეჭიროს, შენი ჭირიმე, რა უჭირს, — მიუგო ეკატერინემ.

— აქეთ, ბატონო, — მორიდებულად უთხრა ტასიამ და ბოხჩა თითქმის ხელიდან ძალით გამოსტაცა.

— ჩვენი მოჯამაგირე მაშინათვე გაიქცა, შეჩვენებული, ძუკუს მამა მოუსვენარი კაცია, ერთი წუთის დაკარგვას ვერ მოითმენს, მაგრამ ჰო, იმასაც დღეს ბევრი საქმე ჰქონდა.

— ღმერთო, მომკალი, ჩემი ბიჭიც რომ არ მოვიდა ჯერ, — თანაგრძნობით მიუგო ეკატერინემ და იქით-აქეთ მიიხედა — ღმერთო, მომკალი, ამოდენა ბოხჩას ტასიას რა წააღებინებს... ჩემი შთერებიც რომ არ არიან, — თქვა უმცროს შვილებზე. — სადილს იგდებენ თუ არა, რომ გაიქცევიან, მათ კვალს ვერ ნახავ საღამომდი.

— რატომ, განა ამას მე ვერ მოვერევი? — ბოხჩა ხელში დაატრიალა ტასიამ. — ორი ამდენიც რომ იყოს, წავიღებ.

— მე წაგიღებთ, ბატონო, მაგ ბოხჩას, — გამოეხმაურა ფარნა. — გზა მაინც იქითკენა ვაქვს, წისქვილში ჯნდა ჩავიარო.

— მაშ საქმე გამოწყობილი ყოფილა, — მხიარულად წარმოთქვა მარიკამ და ერთიც ფარნას შეხედა იმნაირი თვალებით, თითქო ეუბნებაო: ეს რომ გამიხარდა, ისე შენი დაბადება არ გამხარებიაო. ტასიამ ბოხჩა ფარნას ღიმილით გაუწოდა.

— აბა, ღამე ᲨᲨვიდობისა, შენი ჭირიმე, ნუ შეწუხდებით, გენაცვალე, ეკატერინე, ნუ შეწუხდები, სევერიანე ნუ მოგიკვდება, — უარობდა მარიკა, როცა ეკატერინემ გაცილება დააპირა.

— ის არ მომიკვდეს იმის მეტი, რა თქვენი საკადრისია, — მიუგო ეკატერინემ. — მარტო ᲭᲘᲨᲙᲠᲐᲛᲓᲘ, ბატონო, დიდი მადლობელი, თქვენი ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, თქვენ ვინ გაგაწყინათ, თქვენ ვინ გკადრათ, ბატონო, მოსაკითხი იქით გხვდებათ, თქვენ რათ შეწუხდით, ამდენად არა ვღირვართ. ღმერთი შეაძლებინებს ჩემს სევერიანეს მაგიერ ᲰᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ, — წუწუნებდა ეკატერინე.

— რა ბრძანებაა, გენაცვალე, ის კი არა, მკვდარი ვართ სევერიანესთან. ᲫᲣᲙᲣ ისე მიცოცხლა, ᲫᲣᲙᲣᲡ მამაც ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ამას ამბობს, მაგრამ სულ უდროობა, სულ ხარჯი და დავიდარაბა.

— ოღონდ თქვენ ნუ შეწუხდებით, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, და მე... ისეთი რა მიქნია... ნეტავ შემეძლოს, — თავაზიანად ეუბნებოდა სევერიანე და თან ფიქრობდა, როდის იქნება ეს ცერემონია გათავდეს, ამ პირფერობას ბოლო მოეღოს, ესენი ეზოდან გავიდნენ და მე ჩემს საქმეს დავუბრუნდეო.

საუბედუროდ, სევერიანეს ᲯᲘᲑᲠᲖᲔ ქალები სრულებით არა ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ და ᲢᲐᲐᲢᲘᲗ მიდიოდნენ ᲭᲘᲨᲙᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. სევერიანეც იძულებული იყო მათ ფეხის ხმაზე ეგლო და ᲑᲠᲐᲖᲘ გულში ᲩᲐᲔᲙᲚᲐ.

— ახლა კი მეტი არა, ᲥᲛᲐᲠ-ᲨᲕᲘᲚᲘ ნუ მოგიკვდება, — მოიᲫᲝᲓᲘᲨᲐ ისევ მარიკამ, როცა შუა ეზომდი, როგორც იყო, მივიდნენ.

— შენ არ მომიკვდე.

— ღმერთო, მომკალი, გაგაწყინეთ დღეს.

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა, ის კი არა. თქვენი მობრძანებით სული მოვიბრუნე დღეს, რამდენად მიღირს თქვენი . ნახვა. მე კი, ნეტავი მომკლა, არც ღვინო, არც წყალი, ნეტავ სული ამომხადოს, ევთიმეს ისე ეწყინება, რომ...

ამ დროს ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲘ აᲭᲠᲘᲐᲚᲓᲐ და მამა ევთიმე გამოჩნდა თავის ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲝᲠᲖᲔ. უკან უნაგირის კომპულზე სავსე აბგა იყო დაკრული, საიდანაც შემწვარი ქათმის ბარკალი მოჩანდა.

— ცოლს რომ უყვარხარ, სათქმელი არაა, მოძღვარო, — მიეალერსა მარიკა, — ის იყო გახსენა და თქვენც გამოჩნდით.

— აᲮ, ბატონო მარიკა! თქვენ მობრძანებულხართ და მე შინ არ დაგიხვდით. რომ მცოდნოდა, ადრე წამოვიდოდი, — მოიბოდიშა მამა ევთიმემ და დაუᲩᲥᲐᲠᲐ ᲯᲝᲠᲡ, რომელიც უიმისოდაც, რაკი ეზოში თავი შემოᲰᲧᲝ, ყურებაცქვეტილი, კუდის მარᲯᲕᲔᲓ ქნევით მიცუცქურობდა.

მათ მოახლოვებაზე მამა ევთიმემ ჯორი შეაჩერა და ჩამოხტა. აღვირი ხელში დაიჭირა და მარიკას მიესალმა.

— ბატონო, ჩემი მოსელა ხომ არ გეწყინათ. — გაეხუმრა მამა ევთიმე, — მეც ვოვედი და თქვენც ქე მიბრძანდებით. რა იქნება, ვითომ, ვახშმად რომ მომითმინოთ, მთვარიანი ღამეა, ბიჭს გაგატანთ.

— გმადლობთ, მოძღვარო, რა ხანია აქ ვართ, ეკატერინესთან ლაპარაკით ვერ გავძეხი, თორემ უფრო ადრე უნდა წავსულიყავი. ხვალისთვის იმდენი საქმე მაქვს...

— ხვალისთვის მართლა, კი ვიცი, — მხიარულად მიუგო მამა ევთიმემ. — აი, ახლა ვხედავდი ბასილს, ისეთი კალმახები დაიჭირა წისქვილის ზემოთ, რომ...

— შაშ ხომ მოგახსენათ, ბატონო!

— კი, ბატონო, წერილი გამოუგზავნია ჩემთვის ბლაღოჩინის თანაშემწეს. თქვენ მოიტანეთ, ბატონო?

— დიახ, ბატონო!

— მაშ, ხვალ თქვენი სტუმარი ვართ. ის ცრუ ქოსა პაპა ამბაკო ისე გავხადოთ, რომ ეს ჩვენი ციხე ვონასტრად მოეჩვენოს.

— ჰ, ჰ! — მიუგო მარიკამ.

— ღმერთო, მომკალი, როგორ ისე... — ისევ მოიბოდიშა მამა ევთიმემ.

— დიდად გმადლობთ... ჩემთან ბოდიში რა საჭიროა. მეტი არა, ეკატერინე, მეტი არა, შენი თავი არ მომიკვდეს, იმის მეტი, — აქაქანდა მარიკა და ორივე ხელით ეკატერინე შეაჩერა.,

— ბევრს ნუ შეაწუხებ, ქალო, — უთხრა მამა ევთიმემ. — მარტო სიტყვებით რა გამოვა... თუ ვიცოცხლეთ, კიდევ მოვესწრებით.

— კი, ბატონო, ღმერთმა თქვენი თავი გვიცოცხლოს, — მარილიანად თქვა მარიკამ, სამივეს ხელი ჩამოართვა, გამოემშვიდობა და შინისაკენ გასწია.

XXVI

გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ე ღ ი

გათენებისთანავე ბასილ მძებრაძის სახლში ფაციფუცი დაიწყო. თავდაპირველად ხბო დაჰკლეს. ბასილის ნამოჯამაგირალი უჩანა, რომელიც დაცოლშვილებული ცალკე ესახლა, დილაადრიან მოვიდა ბასილის სახლში. ეს მეხორცედ მოეწვია ბასილს, როგორც თავისი

საქმის მცოდნე და გამოცდილი. ბასილის ახლანდელმა მოჯამაგირემ, კოხთაიამ სასიმინდეს ქვემოდან კისერზე ბაწარმობმული ხბო გამოიყვანა და საკლავი ადგილისაკენ წაყვანა გაუპირა. საკლავ ადგილად მიჩნეული იყო ეზოს გვერდით ტყემლის ხე, რომელსაც ერთი ტოტი განზე გადაღუნული ჰქონდა და საკლავის ჩამოსაკიდებლად მოხერხებულ რასმე წარმოადგენდა. გარდა ამისა შიგნეულობის სარეცხად წისქვილის წყალიც აქედან ახლო იყო. საბრალო ხბო, თითქო ტანმა უგრძნო, რომ მისი უკანასკნელი წუთები დგებოდა. ერთ ხანს გაუძალიანდა; წინა ფეხები მიწას მაგრა დააჭირა, კისერი გაჭიმა, თავი ძირს დახარა და ადგილიდან არ იძროდა.

— ჰა, ჰა, აშიო! — უკმაყოფილოდ დაუძახა კოხთაიამ და თავს მოსწია. ხბო წაჩოთირდა და ისევ გაჩერდა.

— აუ, შე ოხერო, ხომ იცი, არა გვცალია. ბლაღოჩინს ველით, გვეჩქარება და შენ კი საქმეს აჭიანურებ, — ისევ უკმაყოფილოდ შენიშნა კოხთაიამ, ცალი ხელი უკან ფეხზე მოავლო და თან ბაწარსაც ღონივრად მოსწია. ძალად წააჩანჩალაკა. ტყემლის გარშემო მაღალი ბალახი იყო ამოსული. ხბომ ეს შენიშნა, ეგონა, საბალახოდ მივყევართო და ფეხის ძალად ათიოდე გადადგმის შემდეგ ჰხიარულად თვითონვე წათოხარიკდა, თავს კმაყოფილებით აქნევდა და თანაც პატარა კუდს ნელ-ნელა თეძოებზე იცაცუნებდა.

უჩანა კი გალესილი დანით ხელში ტყემლის ძირას იდგა.

— ამდენ ხანს ხბო ვერ მოიყვანე, შე კაცო? — უსაყვედურა უჩანამ კოხთაიას.

— არ წამოვიდა და!

—მე მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა ჯიუტობა, თუ უჩანა ვარ,— კმაყოფილებით თქვა უჩანამ. ბაწრის ერთი ბოლო ხბოს უკანა ფეხზე მოაბა, კისერზე კი მოუხსნა. „ჰე“ ცქვიტად დაიძახა და თვალის დახამხამებაში. ხბო ტყემლის განზე გაწეულ ტოტზე თავდაღმა ჩამოკიდეს. იელვა დანამ, მუ... მუ, ერთი კი დაიბღავლა ხბომ, და ალისფერი სისხლი ჩქრიალ-ჩქრიალით დაიღვარა მწვანე მდელოზე და წითლად შეღება. რამდენიმე, ზოგი ბასილის და ზოგიც სხვისი ძაღლი საიდანღაც გაჩნდა და სწრაფად ლოკვა დაუწყეს თბილ სისხლს. სისხლი მოდიოდა და მოდიოდა, ახლა ჰდელოს გარდა ძაღლების თავს, ყურებსა და კისერს ღებავდა... რ... რ... რ... ღრინავდა ერთი ძაღლი. არ... არ... ემუქრებოდა მას მეორე... აფ... აფ... აფ... დაიყეფა მესამემ.

— თოლი! მაგათ არ ხედავ, შე კაცო? იქით გარეკე, — კბილების ღრეჭით უთხრა უჩანამ კოხთაიას, ხბოს თავი მოატრიალა, შე-

მაერთებელი ძვალი ატკაცუნდა, უჩანამ დანა დაუსვა და თავი კისერს მოაშორა.

— ეს გასაწყვეტები, ამ სხვის ძაღლებს რა უნდა, ვინ დაპატიჟა, ჩვენ რომ დღეს ხბოს ვკლავდით, ვინ შეატყობინა! — წამოიძახა კოხთაიამ, ტუკს ხელი მოავლო და ძაღლებს დაუშინა. ძაღლებმა ტკივილისაგან წელი დახარეს და ვაი-ვუის ძახილით აქეთ-იქით გაიფანტნენ, შორიახლო გაჩერდნენ და სიამოვნებით ტუჩებს ილოკავდნენ და თავმოშორებულ კისრიდან ჯერ კიდევ წვეთ-წვეთით ჩამომავალს სისხლს თვალებს არ აშორებდნენ. ხბო ჯერ კიდევ ინძრეოდა.

— ემაგრე, ბიჭებო, ემაგრე, გამარჯობა, ბაბა, უჩანა, შენ იცი და შენმა შვილობამ, როგორ დაფაცურდები დღეს. აბა, ჰე, შენ იცი, განა ტყუილად გაგზარდე! ტყუილად გაგზარდე!—თვალების ფშვნეტით და ახალუხის ღილების ბნევით მოლაპარაკობდა ბასილი და მათ ახლო გაჩერდა. — მსუქანი კი იქნება, მგონია.

— რა ბრძანებაა, ბატონო! — გაიკვირვა უჩანამ, — სიასამური იქნება, — დანით ფეხები მოჭრა და გატყავებას შეუდგა.

ცოტ-ცოტად მოწმეებიც მოგროვდნენ და რამდენიმე ხნის შემდეგ ბასილის დერეფანი ახმაურდა.

— მე შენ გეტყვი, თუ ღმერთმა ქნა და ასეთი დარები დაიჭირა, წრეევანდელ ზოსავალს კაცი ვერ მოერევა, — თქვა ერთმა ჭაღარა გლეხმა. თითქმის ყველა ტალახიანი იყო.

—ჯერ ნუ ჩქარობ, ბაბა,—მიუგო მეორე კრძელ თეთრწვერამ,— აგვისტოში წვიმა თუ დააყოლა, შენი მტერი!

— არა, არა, გიორგი! — მოაძახეს მას აქეთ-იქით. — დღეის სწორი არ იყო ელიობა? ახლა სიმინდს ვერაფერი გააფუჭებს, ელიაობაში თუ მივიდა მთელად, მერე ყოფილია ჭირნახული.

— თუ წყალი გადავიდა? — ნელა შენიშნა გიორგიმ.

— ღმერთმა! გვაშოროს! — თითქმის ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— თუ წყალი გადავიდა, — გაერია ბასილი, რომელსაც რაღაც განკარგულება მიეცა ბიჭებისათვის და ის იყო აივანზე ამოდიოდა, რა თქმა უნდა, განუშორებელი ჩიბუხით. — თუ წყალი გადავიდა?— ბასილმა დაუსტვინა,—მაშინ, ბაბა, მაშინ, ბაბა, შევიკრათ ბარგი და სადმე უნდა გადავსახლდეთ.

— არა, ბატონო ბასილ, წყალი წრეულს არ გადავა, — გამოეხმაურა ერთი დაბალი და გამხდარი გლეხი, რომელსაც პირში ჰატარა ყალიონის ტარი ედო. — მარტში გათავდა, ბატონო, წრეულს წყლის გადასვლა. წყალმა წრეულს, რაც უნდოდა, მაშინ

გაათავა. აბა გახსოვთ ვისმე ამდენი გადასვლა? მერე ისეთი ნელი გადასვლა.

— მართალს ამბობს სოსრანი, შეუნიშნავს, — თქვა გიორგიმ. — მართლა, ჯერ ასეთი წყლის გადასვლა არ მახსოვს. ერთი მტკაველა მიწა არ გაუფუჭებია წრეულს.

— გააკეთა კი ბევრი, — კმაყოფილებით თქვა სოსრანმა.

— ძალიან კი გააკეთა! მოსეიას მიწა ნახევარზე მეტი ჭურიაში ჩაიტანა, — შენიშნა ერთმა.

— ის რა ვუყოთ, ის ისეთ ალაგასაა, რომ სულ წაიღებს მაგ მიწას, — თქვა სოსრანმა.

— იმასაც არ დააჯერებს და მგონი ჭანიწყალი სულ მოსახვევს პირდაპირ რომ დაყვეს და ირმის ნახეთქის ზემოთ თავი გამოყოს, მაშინ რას ეტყვი?

— ღმერთმა აშოროს... ა, პა, პა, — შეშინებულად ახმაურდა თითქმის ყველა. — ნახევარი ჭყონონა დაიღუპება. სულ მცირე, ორას ქცევა მიწას გააფუჭებს.

— ბაბამეე, — დინჯად შენიშნა გიორგიმ. — იმას ახლავე უნდა შველა, ახლავე უნდა გამაგრება, თორემ თუ ერთხელ დაიძრა და გზა იშოვნა. მოსეიას მიწას კი არა, ფილუ, შენსას ქვეშ მოიყოლიებს.

— ა, წიე, — მიუგო ფილუმ. — ღმერთმა აშოროს!

— ეს ყველა კარგი, ვთქვათ, მაგრამ, ეს ჩემი სტუმარი რომ ამდენ ხანს არ მოდის, მაგას რა ჰქვია, ეს ხომ ჭანიწყლის ბრალი არ არის? — წარმოთქვა ბასილმა.

— დრო კი არის, კაცმა რომ თქვას, — მიუგეს ზოგიერთებმა, — შეხედე, მზე სანამდი მოსულა.

— წვრილ სადილობამდი ბევრი არ აკლია, — თქვა ჩვენმა ნაცნობმა კუდამ, რომელიც როგორღაც მოწვეთა რიცხვში მოჰყოლიყო.

— ირაკლის და პავლესაც რომ არა ვხედავ, — იკითხა ერთმა.

— ისინი კი აქ არიან... არაფერია, — გაფანტულად თქვა ბასილმა, ფეხის წვერებზე შედგა და ჭიშკრისაკენ რაღაცას თვალიერება დაუწყო. — ეგერ, ვიღაცა კი მოჩანს, ცხენითაა თუ ჯორით, — დაუმატა მან.

ყველამ იქითკენ მიიხედა.

— ეს ჩვენი ეთუმე მღვდელია, — თქვა კუდამ.

— დიახ, ეთუმე მღვდელია, — დაემოწმნენ სხვებიც.

— ისინიც ქე უნდა მოსულიყვნენ ამდენ ხანს, — ცოტა გაკვირვებით თქვა ბასილმა და დარბაზში შევიდა. მარიკა და ტასია რაღაცებს ალაგებდნენ.

— ხარდანაძის ქალო, — უთხრა ბასილმა, — სამოვარი ხომ არ დაადგმევინე?

— გადადუღდა და გაშრა კიდეც. აი ჩქარა, აი ჩქარაო და მეც ავდექი თუ არა, მაშინათვე დავადგმევინე...

— კარგი გიქნია, საცაღაა მოვლენ, ჩვენი ევთიმე ქე მოდის.

— ბლაღოჩინიც ქე მობრძანდება, ბატონო, ბლაღოჩინიც, — აჩქარებულად შემოილაპარაკეს დერეფნიდან.

— აბა ვინმეს ცხენები გამოართვით, — განკარგულება მისცა ბასილმა და თვითონაც აივანზე გამოვიდა, რომ სტუმრებს მიგებებოდა.

მამა ევთიმე, გამომძიებელი, ბლაღოჩინის თანაშემწე მღვდელი მამა ამბაკო, მისი მწერალი და ერთიც მათი მხლებელი ერთად შემოვიდნენ ბასილის ეზოში.

მამა ევთიმე ჩვეულებრივ ჯორზე იჯდა. მამა ამბაკო მშვენიერ, ნახშირივით შავ ცხენზე. ეზოში შემოსვლისთანავე მამა ამბაკომ ცხენს ეთრახი დაარტყა. ცხენმა კისერი მოიღერა და გასახტომად მოემზადა, მაგრამ მხედარმა გამოცდილი ხელით მაგრა დაიჭირა აღვირი, ცხენი რამდენჯერმე კიშმიშზე შეაყენა, ისევ შემოკრა მათრახი. განზე გააჭენა და ერთი ხის ძირას ჩამოხტა.

მწერალი და ეხლებელი, ეტყობოდათ, სოფლური ფოსტის ცხენებზე ისხდნენ. ისეთნაირად მოჩანჩალებდნენ და იმდენად მშლე ცხენები იყვნენ, რომ ზედ ჯდომა კი არა, კაცს ეგონებოდა, ეს არის მიწაზე გაგორდებიან და ფეხებს გაფშეკენო! მიუხედავად ამისა, მხედრები ამაყად უნაგირზე განზე გადამჯდარიყვნენ და შარტო ძვალ და ტყავდარჩენილ გვერდებზე მათრახს უტყლაშუნებდნენ.

— მაგისთანა ეღვდელს, ბასილ მძებრაძე, — გამარჯვების მაგივრად დაიძახა ცხენიდან ჩამოხტომისთანავე მამა ამბაკომ.—მაგისთანა მღვდელს, — მიუთითა მამა ევთიმეზე, რომელიც ჯორიდან ჩამოეხტარიყო და მოსართავებს უშვებდა. — მაგისთანა მღვდელს, რა ჰქვია, იმ თქვენ მეწისქვილეს, დამავიწყდა, ნაბრაგევი რომ არის, მაგისთანა მღვდელს, მე თქვენი ვიყო, ბაბა, ავიყვან, და შენ ხარ ჩემი ბატონი, პროპროშიკად დავუყენებ. კაცო, მე ამ სიშორიდან მოვედი და ესეც ჩემთან მოვიდა. ამ შენ ჭიშკართან შემხვდა, ხახუს სულს ვფიცავ.

— დაიკარგე, დაიკარგე იქით, — ხუმრობითვე მიუგო მამა ევთიმემ, — მაძინიას პოპროშიკობა სწორედ შენ გეკუთვნის. ქოსა კაცის პოპროშიკი ქოსა უნდა იყოს.

— აი, რას ამბობს, კუბაკი. ყაზახი გავააზნაურე და ახლა გამითამამდა. დამაცადე, მე შენი თავი თუ ბედენიკზე წარვადგენინე, — უხუმრა მამა ამბაკომაც და აივნისაკენ გაემართა. ბასილი მიეგება.

— ჰო, კაცო, დილა მშვიდობისა არც კი მითქვამს. ისე კი ერთი კალათი სავსე ქე ვილაპარაკეთ, — ვითომდა მოიბოდიშა მამა ამბაკომ. — დილა მშვიდობისა — დილა სიხარული, როგორ მშვიდობით, როგორ კარგად გიკითხოთ? — სხაპასხუპით თქვა ამბაკომ და ბასილს ხელი ჩამოართვა. მამა ამბაკოს ლაპარაკში, სიარულში, მიხვრა-მოხვრაში სიჩქარე ეტყობოდა. მისი სახეც და ოკლე ქოსა წვერებიც თითქო სადღაც მიიჩქაროდნენ. — ასეთი ახმახი რომ შეგეყრება, — გაიშვირა ხელი მამა ევთიმესკენ, — გამარჯვებაც დაგავიწყდება.

—უკაცრაოდ, ჩვენ მღვდელს მასე ნუ იგდებ შენ, მამაო, თორემ, ცუდად იქნება შენი საქმე, მაგას ისეთი ჭინჭარი ეზრდება ბოსტანში, რომ თუ საკბენად მოგაწოდა, ამ მომავალ დროის მღვდლებს, პა, პა, პა, — ნიშნის მოგებით მიუგო ბასილმა.

ბლაღოჩინის თანაშემწე აივანზე ავიდა, მოწმეები მოწიწებით მიეგებნენ და შენდობა მოსთხოვეს.

— შენ როგორ დადიას ხოჯივით. გაგიჩიჩხინებია, ყაზახო, ულვაშები! — ხუმრობით შეუტია ერთ მართლა გრძელულვაშა გლეხს. — ხუთი კოკა შემოგითვალე და მარტო სამი გამომიგზავნე და ისიც როგორი, მირონცხებულ კაცს არ დაელეოდა.

— აი შენი ჯავრი მეტი, — თავის ქნევით მიუგო გლეხმა, რომელსაც პავლეს ეძახდნენ. — ახლა, რაც გაგიგზავნე, იმასაც კი ვნანობ, თორემ... შენმა მოხმარებამ ჩემ შვილს რამე რომ უშველა... ხომ წაიყვანეს სალდათად, — ნაღვლიანად დაუმატა გლეხმა.

— ოხ! განა? — ვითომდა გაიკვირვა მამა ამბაკომ. — რატომ მაშინათვე ჩემთან არ მოდი.

— როცა მოვედი, მაშინაც ნეტავ არ მოვსულიყავი, სამი კოკა ქარვასავით ღვინო დავკარგე.

მამა ამბაკოს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, ცოტაც კი რცხვენოდა, მაგრამ ამ დროს მარიკა გამოვიდა, უკან ტასია მოსდევდა.

— ჰა, ქალბატონ მარიკას! — აღტაცებით წარმოთქვა ბლაღოჩინის თანაშემწემ.

— აბა, ამას ჰქვიან, ჩემო ბატონო, ჭალა ალაგას ცხოვრება, დოვლათთან, ეზოში ჰაერის სუნთქვა, როგორ გასუქებულხართ, — თან ლაპარაკობდა და თან ხელი გაუწოდა სამთხვევად. — ჩემ ცოლს

რაღა ღმერთი გაუწყრა ნეტავი? რა ნასაკურთხი არ ვაჭამე, სად აბანოებზე არ დავათრევ, არა ეშველა რა, მაინც ფარგასა ჰგავს კარამოკეტილი.

— ვოო, ვოო, რა მასხარა შენა ხარ, — სიცილით უთხრა მარიკამ, ხელზე ემთხვია და განზე გადგა, რომ ტასია მიეშვა.

— ა!.. — ხმამაღლა და გაჭიანურებულად წამოიძახა მამა ამბაკომ.—ეს შენი ცირაა, არა? დიდო, დიდო, დიდო, დიდო! ამას წინეთ ვხედავდი, ერთი გოჯის ტოლა იყო. რავა გათქვიშინებულა, ქერს ხომ არ აჭმევენ! ეჰე, ჩემო ბასილი, ფრთხილად იყავი, თორემ! კარგი არ არის, ახლა რომ საცოლე ვიყო?

— თოლი, იქით დაიკარგე, შე ცეცხლმოკიდებულო, რას ლაპარაკობ, — გააწყვეტინა მარიკამ და ჰაერში ხელი გაიქნია, ვითომდა ამბაკოს საცემად. — რასაა, ნეტავი, ბაღანას რომ ეუბნები.

ტასია ხელზე ემთხვია და გაწითლებული გაიქცა.

— რა დიდ გულზე ხარ, ხარდანაძის ქალო, — ბოხი ხმით მიუგო მამა ამბაკომ და ენა სასაცილოდ აათამაშა. — შენ გოგოს კი არა, შენ გაგეხუმრებიან... ხელს დაგწვამ, აი, მამა გიცხონდა, საცოლე რომ ვიყვე ახლა. დამიწუნე ან გვარიშვილობა, ან ყმაწვილბიჭობა, ან სხვა რამე. რა გაუგებარი და მიუმხვდარი ხალხია, ხახუ ნუ მომიკვდება! გამოვდგარან და ქოსას მეძახიან. ქოსა მე სრულებით არა ვარ, ქოსა კი არა, ყმაწვილი ვარ ოცდაორი წლისა. შენ ქმარსაც კი აქვს კოჩას თხასავით დიდი წვერი, მარა რა გააკეთა? კოცნას უშლიდეს იქნება?

— იქით დაიკარგე, შე უსირცხვილოვ, იმას არა სჯობია, რაზედაც მოსულხარ, ის გაათავო და ჩქარა წახვიდე აქედან, — ხუმრობით მიუგო მარიკამ.

— ბასილი მძებრაძე-მეთქი, ბასილი მძებრაძე-მეთქი!—ვითომდა გულმოსულად დაიძახა მამა ამბაკომ.

— ბატონო, — უპასუხა ბასილმა, რომელიც ცხენების დაბინავების განკარგულებას იძლეოდა.

— ეს ქალი მომაშორე, ძმაო, ეს ქალი მოშაშორე აქედან, თორემ ახალ გამოძიებას კი არა, გამოძიებულსაც დავხვევ და მერე აზნაურობას თავი დაანებე, გლეხობას საქებრად გაგიხდი.

— მე ახლა, მამაო, — ხუმრობითვე მიუგო ბასილმა,—შენთვის მინდოდა ვეკითხნა: ეგეგ რამე ახალი კანონი იცოდე, რომ ეს ქალი მომაშორონ, და შენ მე მეკითხები?

— ფოი! რას ჩერჩეტობენ, — ჩაილაპარაკა მარიკამ და სახლში შევიდა.

— კაი კაცია, სწორედ, კაი მხიარული ხასიათისაა, სულ განსვენებულ დეკანოზს ჰგავს, — ჩუმად, მაგრამ მამა ამბაკოს გასაგონად თქვეს ზოგიერთებმა.

— კი, კი, კაი კაცია, — დაემოწმნენ სხვები და ამბაკოს არ გასაგონად დაუმატეს: — კაი კაცია, ცოტა ჩქარი რომ არ იყოს და... არ უყვარდეს...

—აჰა,—დაამთქნარეს სხვებმა,—მიქამგარიო, შენ შემიწყალე,— თქვეს და პირჯვარი გადიწერეს.

— მაპაო, ქე მაინც ახლა, არც მათრახს მომცემ, არც ანაფორას გაიხდი, საქმეს აღარ შეუდგები? მამაო, რას შვრები? — ხუმრობით უთხრა ბასილმა.

ამბაკომ ბასილს საგანგებოდ თვალები გაუშტერა, ორივე ხელი ანაფორის საკინძეზე დაივლო და ისე სასაცილოდ ბასილს შეაჩერდა.

— ხა, ხა, ხა, — გაიცინა ყველამ.

მამა ამბაკომ ანაფორის ღილი ჩუმად გახსნა და უნდა გაეხადა, რომ უცბად ხელები ძირს დაუშვა, მერე ერთბაშად ზევით ასწია და მხიარულად დაიძახა:

— დედა, დედა, ვის ვხედავ, ვის ვუყურებ! აქ მობრძანდით, ჩემო გვრიტებო, ჩემო ჩიტებო, ჩემო გასაზნაურებლებო, ჩემო სულებო და ჩემო გულებო. იმიტომაა ჭყონონა ქებული, რომ ასეთი ალმასები ჰყავს.

მის წინ ირაკლი, ბართლომე, პავლე და ძუკუ იდგნენ. შენდობა აიღეს.

— თოლი, ეს უბედურები, რავა, სულ გახუნებულან, მაგათ აზნაურობა რათ უნდათ, — გაეხუმრა ირაკლის და პავლეს. — ამას კი კიდევ არა უშავს რა, — თქვა ბართლომეზე. — ჩოხა მაინც გვარიანი აცვია. — ჰა, ძუკუს ვეახლები ლეჩხუმელი მეკურტნეებით, გამარჯობა, გაგიმარჯოს! კიდევ ვერ მიაგენი, სად უძევს ბასილს ფულები? ჰაგისთანები ბართლომეს ჰკითხე ხოლმე, ის დაგასწავლის.

— ოო! ერთი კიდევ ჩამიგდო შენი თავი ნარდში, ვაი შური საყვარელი, — გულზე მუშტის მიბრახუნებით თქვა ბართლომემ.

— ვაი დედაშენს, ვაი ბაბუაშენს, — თავის კანტურით ნაღვლიანად მიუგო მამა ამბაკომ. — კაცნო, ძმანო! არა ხართ ქრისტიანები. ისმინეთ და გაიგონეთ. ერთი საათის განმავლობაში ერთი თუმანი წამართვა, თუმანი, თუმანი!—მოტირალი ხმით გააგრძელა ამბაკომ.— ახალშეკერილი წაღების ამოსაღებად მიმქონდა. შემოვიღამდა. დუტუ ბურდინაძეს ვესტუმრე, ეს წყეულიც იქ დამიხვდა. ვითამაშეთ, ვითამაშეთ, — ამოიოხრა მამა ამბაკომ. — და თუმანი, თუმანი!..

აი, აი, ცოლმა კინაღამ მომკლა, — აღამაღლა ხმა, მუშტი მოუღერა ბართლომეს.—ხომ ჩაგიგდე ხელშიო,—ო... შენი გააზნაურება ამაშია ა...—დააქნია მოკუმული მუჭი.

— აბა, ვამაო, აბა, ბატონო, — ჩაილაპარაკა დინჯად ბასილმა.

— აჰა, ძმაო, რა გაგიჭირდათ, ჰა, — დაიძახა მამა ამბაკომ, ანაფორა გაიხადა და გადასცა ბასილის მოსამსახურე გოგოს, რომელმაც პატივისცემით ორივე ხელზე დაიდო. ანაფორაზე ქუდი დადო, მასზე მათრახი, საჩქაროდ ახალუხის ღილებიც გაიხსნა: — ახალუხიც გავიხადო? — დაეკითხა გოგოს, რომელიც თავდაკიდვით მორცხვად იცინოდა, — ა... დაია, პერანგიც გავიხადო? ჰა, ძმაო, ჰა, ბარემ ესეც გაეხადეთ, — გაიშვირა ცალი ფეხი.

— სულ არ გადაირიოს კარამოსაკეტი, — თავისთვის თქვა ბართლომემ და მერე ხმამაღლა დაუმატა: — თუ მაინცდამაინც უფალს უნდა მიგიღოს და საგიჟეთში გასაგზავნად გაგხადოს, ქე მაინც ეს გამოიძიე, ამდენი ხარჯი არ გვაზარალო და მერე რაც დაგემართება, მადლობა ღვერთს, რა ვქნათ. ყველანი იქ წამსვლელები ვართ.

— იმ დღეს შენ არ მოესწრები! სუთ, სუთ, მართლა, გვეყოფა, გვეყოფა, შეიძლება ბასილი მართლაც გაჯავრდეს, — დინჯად თქვა შამა ამბაკომ, კაბის ღილები ისევ შეიბნია, საქმიანი სახე მიიღო და მწერალს დაუძახა:

— სარდიონ, სარდიონ, აბა, ბაბა, საქმე.

—აბა, მაეაო, ჯერ ერთი სტაქანი ჩაი, რახანია დამზადებულია,— უთხრა ბასილმა.

— მარტო ერთი სტაქანი? ეარტო ერთი სტაქანი? ყაზახს რა ეჩაიება, ჭიქები არ დაამტვრიონ, — გაიშვირა ხელი მამა ამბაკომ.—აა, კაი კაცო, ამიტომ მიყვარხარ, აი!

— მოძღვარი სადღაა? — იკითხა მარიკამ, როცა ვამა ამბაკო მაგიდას მოუჯდა.

— ესეც საკითხავათ მიგაჩნია? — მიუგო ამბაკომ. — კაცი დღე და ღამე თქვენთან არის და ხასიათი კიდევ არ შეგიტყვიათ. ჯორს აბანავებდეს იქნება, როგორც თვითონ ამბობს, არ მინახავს, რომ კაცს ჯორი კი არა, ცოლიც ისე უყვარდა, როგორც მამა ევთიმეს თავისი კოკია-ჯორი.

— მაინც რომ არ გაურიოს, არ შეიძლება, — თქვეს ზოგიერთებმა.

— ხვითოა, ბაბა, ხვითო, და ამიტომაც უყვარს. შენ ქე ეხუმრე-

ბი, ჯორი კი არა, დაუდექია. ხუთ შვილს ქე ზრდის ი კაცი მაგ ერთი ჯორით, — ქება შეასხა ბასილმა.

— ვგონი შენც შეგყვარებია ეგ ჯორი, როგორც ვატყობ, — მიუგო მამა ამბაკომ, ერთი ეშმაკურად ჩაიცინა და ჩაი მოხვრიპა.

ჩაი მოწმეებსაც დაალევინეს, თითო არაყიც მიაყოლეს და მერე გამომძიებელი საქმეს შეუდგა.

დარბაზის შუაგულ მაგიდაზე ქაღალდები დააწყვეს, თვითონაც მოუსხდნენ და საქმეს შეუდგნენ. ბევრი თავი არ შეუწუხებია მამა ამბაკოს მოწმეების სათითაოდ ჩვენების ჩამორთმევაში, თუ როდის დაიბადა ირაკლი, ან პავლე, მღვდელი ვინ იყო, პრიჩეტნიკი ვინ პყავდა, რა თვე და დღე იყო. ჯერ ყველანი მამა ევთიმემ დააფიცა. მერე მამა ამბაკომ მოწმეები ერთად დააყენა და საზოგადოდ ჰკითხა: ირაკლი და პავლე ზურაბის შვილები არიან თუ არა?

— კი, ბატონო, — იგრიალეს მოწმეებმა.

— ირაკლი ხომ 18.... წელს დ'აიბადა, იანვრის 5-ს?

— კი, ბატონო, — მიუგეს მოწმეებმა.

— ბასილი ხომ მერაბის შვილია?

— კი, ბატონო, — ამბობდნენ მოწმეები.

— ვერაბი ხომ ზურაბის ძმა იყო?

— კი, ბატონო.

— მერაბი ხომ სუმონის შვილი იყო ?

— სუმანიკას შვილი იყო, კი, ბატონო, კი, ბატონო, და კი ბატონო!

— უკაცრაოდ, მამაო, — ზრდილობიანად უთხრა ბართლომემ, მივიდა და რაღაც ყურში ჩასჩურჩულა.

— შენ გირჩევნია ისე? — მიუგო მამა ამბაკომ და თვალებში შეაჩერდა. — კარგი, ბატონი ბრძანდები! ჩემთვის უკეთესია. აბა, ბატონებო, გარეთ ვიბრძანდით.

ყველა გარეთ გავიდა. მამა ამბაკომ კარების დაკეტვა უბრძანა, მოწმეების სია ხელში აიღო და დაიძახა.

— გახუნია ძღანძღალაძე!

შემოვიდა გახუნია.

— შენ ხარ გახუნია ძღანძღალაძე?

— დიახ, ბატონო, — მიუგო გახუნიამ.

— რამდენი წლისა ხარ?

— რა ვიცი, ბატონო, ვიქნები ასე ორმოცის წლისა.

მამა ამბაკომ ბართლომეს შეხედა. თითქო ეუბნებაო: აბა, კარგად ყური დაუგდეო.

— კარგი, — მიუგო მამა ამბაკომ.

— პავლეს დაბადება-ნათვლა ხომ გახსოვს?

— კი, ბატონო?

— აბა, მითხარი, რომელ წელს იყო?

გლეხი გაჩერდა.

— ორმოცდა შვიდს იყო, ხომ? — ეიეშველა მამა ამბაკო.

— დიახ, ბატონო, — მიუგო გახუნიამ.

მამა ამბაკომ ერთი ბართლომეს შეხედა, ერთიც ბასილს, ირაკლის და პავლეს.

— დავწერო ასე? — დაეკითხა ბართლომეს.

ბართლომე გაფითრებული იდგა, ხმას არ იღებდა.

— ესე იგი, გამოდის ამ პავლეს ჩვენებით, რომ პავლე თვით მოწმეზე კაი რვა-ცხრა წლით უფროსი ყოფილა, და მოწმე კი ამბობს პავლეს დაბადება და ნათვლა მახსოვსო.

მამა ამბაკო გაჩუმდა და დამცინავად შეჰყურებდა მძებრაძეებს.

— თავისუფალი ხარ, — უთხრა მაჰა ამბაკომ გახუნიას. გახუნია გარეთ გამოვიდა.

— აი? — მიუბრუნდა ისევ ბართლომეს,—დავწეროთ ასე? — ბართლომემ თავი მოიფხანა.

— ო.... რა ჩქარა შეგიღვარე წყალი? ნარდი კი არა, მგონია, ბანქოსაც დაგავიწყებ დღეს, — მხიარულად და სიცილით თქვა მამა ამბაკომ. — მაგათი ჩვენება, როგორც ისინი სათითაოდ იტყვიან, ისე თუ დასწერე, კანტორა ვოწმობას მოგცემს კი არა, ტუკით გამოგეკიდება. ხაშურის იქით ფეხის გადადგმის ნებასაც არ მოგცემენ.

— დასწყეველა ღმერთმა, მე უკეთესი მეგონა? — იმართლა თავი ბართლომემ.

— ო! შენ ოთუსბირი იყო გეგონა? წადი, წადი, ისინი იქ გარეთ გაართე, როგორმე არ მოაწყინო. ბუნტი არ ატეხონ სადილობამდი და ამას ჩვენ დავწერთ, როგორც რიგია. საზოგადო კითხვები ხომ დაუსვი?—კი ბატონოვო, ხომ მიპასუხეს? ახლა თავისუფალი არიან. მხოლოდ ხელისმოწერის დროს შემომიყვანე.

— აბა, ახლა, სარდიონ, შენებურად, — მიუბრუნდა მამა ამბაკო მწერალს, წერე და წერე, წერე და წერე! მოწმეების სია, აი, აგერა გაქვს, ვე კი, ძმაო, თუ ცოტა თვალი არ მოვატყუილე, თავი აგერ კვახივით გამისქდება. წუხელ მაინც მეტი მოგვივიდა. მაგისთანა მაგარი ღვინო, ადესის კი არა, სვირულიც არ მინახავს!

— ვისთან იყავით? — ჰკითხა მამა ეევთიმემ.

— სოსო ჯანჯღაიას სახლში, რათ გინდა, ამოვწყდით, ამოვწყდით. თითქმის თენდებოდა, სუფრა რომ აიშალა.

ამ სიტყვებით ვამა ამბაკო ტახტზე წამოწვა.

— ბალიში, ბატონო, ბალიში! — მიაძახა შემთხვევით შემოსულმა მარიკამ.

— კარგი ქე იქნება, — დაღლილი ხმით მიუგო მამა ამბაკომ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვამა ამბაკომ გემრიელი ხვრინვა ამოუშვა და სარდიონი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კალამს ქაღალდზე ავლებდა. ხანდახან დაბეჭდილ პატარა წიგნს ჩახედავდა, რომელიც წინ გაშლილი ედო, და ხან მოწმეების სიას.

მამა ევთიმე ცოტა ხანი გაჩუმებული იჯდა, მაგრამ იმასაც ძილი მოერია უსაქმობისა გამო და თავის კანტური დაიწყო. რომ არ დასძინებოდა, ეზოში გავიდა და ჩრდილქვეშ გლეხებს მოუჯდა. იქაც ნახევარზე მეტ მოწმეებს ჩრდილქვეშ დასძინებოდა. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა მამა ამბაკო ოდნავ შეინძრა, ერთიც გაგორ-გამოგორდა ტახტზე. შეკუმშული ხმით რაღაც გაუგებარი მიაძახა, ერთიც ლაზათიანად დაამთქნარა და გამოიღვიძა.

— უფუ, უფუ... ა... პა... პა... პა... — გაზმორებით წამოიძახა მამა ამბაკომ, პირი მწერლისაკენ იბრუნა, მარჯვენა მხარზე დაწვა და თავქვეშ ბალიში გაისწორა. — აბა, სარდიონ, რა დამესიზმრა თუ იცი?

— ხო! ამოგაგდოს ჩემმა გამჩენმა, ხელი რომ მოჰკრა, ვერაფერს ვიგრძნობ და ეს კი სიზმრებზე მელაპარაკება.

— გაათავე, ა?

— თითქმის ვათავებ, მარა რათ გინდა, ასე არ დავღლილვარ ჩემს სიცოცხლეში, შენ ქე მაინც დაიძინე, ბაბა, და მე... ერთი მაინც დაგეწერა ეგ ოხერი.

— დამეწერა კი არა, ღმერთს გეფიცები, რომ არ დამეძინა, ცუდად იყო ჩემი საქმე. შენ ამ დილას ცოტა მაინც თვალი მოატყუე და ვე ერთი ყუნტი რა არის! ღმერთო, დიდება შენდა, — დაამთქნარა მამა ამბაკომ.

— ახლა ხომ კარგად ხარ? — დაეკითხა სარდიონი.

— ახლა? ახლა მოგეცა ღვთის წყალობა! მე შენ დღეს მოგილხინო, ასე ვარ, როგორც მერცხალი, ასე გაგხდი, რომ ძაღლს ბაბას ეძახდე!

სარდიონმა წერა გაათავა.

— აბა, მამა ამბაკო, ხელი ვოაწერეთ, მოვიხმოთ მოწმეები და ხელი მოვაწერინოთ, — უთხრა სარდიონმა.

— მე კი მოვასწრებ, შე კაცო, მე რა მეჩქარება. ჯერეთ დაპირებული რომ არ მომცენ, ისე ხელს მოვაწერ კი არა, — ჩაულაპარაკა სარდიონს და ზეზე წამოვარდა. — აა, — გაიზმორა და თვალებზე ხელი მოისვა.—დაბეჟილივით ვარ რაღაც, ეგ ოხერი. ხომ რიგიანად დასწერე, შეცთომა ხომ არ მოგსვლია?

— არ მომსვლია, მგონია, პირველად ხომ არა ვწერ.

— კარგი, კარგი, ჩემო სარდიონ, უკაცრაოდ კი ვარ, რომ ვერ მოგეხმარე, მაგრამ, ერთი რომ, ეგ ოხერი, წერას რომ დავიწყებ, მაშინათვე შეცთომა მომივა და მეორე, რაც უფრო სახეში მისაღებია, დაღლილი ვიყავი.

— მე კი არ ვიყავი დაღლილი, მარტო ორი საათი მეძინა ამ დილას!

— აი, ახლა ნუ გადაყვები, დავუძახოთ ბოწმეებს. სამაგიეროდ, თუ ამბაკო ვარ, პირობაზე ხუთიანს ზედ დაგიმატებ. აბა, დაუძახეთ, დაუძახეთ და ჩქარა ერთი, ბაბა, თორემ აგერ კუჭი გამიხმა შიმშილით.

— აბა, ახლა, ძმებო, ხელი მოაწერეთ — მიუბრუნდა მამა ამბაკო მოწმეებს.

— რას, ბატონო, — გამოეხმაურა გიორგი.

— ა... ვირი ყაზახი... არ გახსოვს, რაც გითხარი ამას წინათ, — მოკლედ გაუმეორა ამბაკო ყველაფერი.

მოწმეებმა ხელი მოაწერეს. წერის მცოდნე აღმოჩნდა ორი კაცი, რომელთაც არწმუნეს დანარჩენებმა თავის მაგიერ ხელის მოწერა.

— ო-ო, ჰო! ხომ გაგააზნაურე, — გაეხუმრა მამა ამბაკო ირაკლის. — შენგან ცალკე, ხახუ ნუ მომიკვდება, ერთი ხარი ქე მერგება.

— აი, მე ხარი მომცა და შენთვის კურტანი დამიდგა წელზე, — მიუგო ირაკლიმ.

— აბა, რას ბოდავს? ერთი წყალი მომიტანეთ, პირსაბანი, თორემ დაწერა თუ შემეძლო, დახევაც შემიძლია. წყალი!

საჩქაროდ მოართვეს. მამა ამბაკო პირის ბანას შეუდგა.

XXVII

საღილზე

ბასილ მძებრაძის დარბაზის კედლის გასწვრივ, ტახტის წინ ფართო და გრძელი სასადილო მაგიდა იყო გაშლილი, მაგიდაზე თეთრი ტილოს სუფრა ეფარა. მასზე წყვილ-წყვილად რიგზე დაწყო-

ბილი იყო. ღვინით და სხვა სასმელებით სავსე ბოთლები და სხვადასხვა ზომის ჭიქები.

სუფრის თავზე საპატიო ალაგას მამა ამბაკო დასვეს. მას ვამა ევთიმე მოუჯდა, შემდეგ სარდიონი და ისე რიგ-რიგად, ღირსების გვარად. ვინც ერთ მხარეს მაგიდაზე არ დაეტია, მათთვის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ მეორე ტაბაკი გაეართეს და ამრიგად, ბასილის დარბაზი იქით-აქეთ სტუმრებით გაიქედა.

როცა ყველამ დაიჭირა თავ-თავისი ადგილი, რომლის მოწესრიგებასაც კარგა დრო მოუნდა, საქმელების შემოტანა დაიწყეს.

პირველად თეფშებზე დაგებული ცხელი ღომი შემოიტანეს და ყველას სათითაოდ წინ დაუდგეს. მას მიაყოლეს ახალი სულგუნის ყველი, შემწვარი კალმახი, მწვანილი და თეთრი პური წვრილწვრილად დაჭრილი. შემოიტანეს აგრეთვე შემწვარი ქათამი ნიგვზის წვენგადასხმული, ყველასათვის ცალ-ცალკე თეფშზე დაწყობილი.

რამდენად საპატიო იყო სტუმარი, იმდენად ხორციც მეტი ეწყო თეფშზე და რამდენად ისე.... იმის კერძი ერთი ბარკლით, კისრის ნატეხით, ან ფილტვებით ისაზღვრებოდა. სამაგიეროდ, მაგნაირი სტუმრის თეფში წვნით პირამდი სავსე იყო.

მამა ამბაკოს თეფშზე ქათმის საუკეთესო ნაჭრები. თითქმის უკლებლად ელაგა.

— აბა, თქვენი ჭირიმე, ბატონებო! ნუ გააცივებთ, რაცა გვაქვს, მიირთვით, — შეეხვეწა ბასილი სტუმრებს.

— თქვენც მობრძანდით, ბასილ, თქვენც, — მოიპატიჟეს მღვდლებმა.

— ირაკლი და პავლე, მობრძანდით.

— თქვენი თავი ნუ მომიკვდება, — მიუგო სამივემ,—ჩვენ ჯერ პატარა-პატარა საქმე გვაქვს.

— ბართლომე მაინც რასა დგას მესამე ბორბალივით, ეს ხომ არავითარ განკარგულებას არ იძლევა. ტყუილად მოსამსახურეებს ეჩრება, ჩემი კერძი ქათმის წვენი კინაღამ დააღვრევინა, ცოტა დააკლდა, თორემ და ქე დამღუპა კაცი, — გაეხუმრა მწერალი.

— მართლა, ბართლომე, შენ რას დგახარ, დაჯექი, — უთხრა ბასილმა.

— მოვასწრობ, ვიდგე.

— მოვასწრობ რას ჰქვიან, ჩვენ ვემარვართ, შენ დაჯექი!

— აქ მოდი, ბაბა, აქ მოდი, გაგიკეთე საქმე და არც კი მიმადლი, შე ყურუმსაღო! — მიიპატიჟა სარდიონმა.

ბართლომემაც ბევრი არ დააყოვნა და ჭწერალს გვერდით მოუჯდა.

— მარიკა, ბატონო, მობრძანდით, — მიიპატიჟა მამა ამბაკომ.

— შენ ნუ მომიკვდები, იმის მეტი, მიირთვით, ბატონებო, — მიუგო მარიკამ, რომელიც რაღაცას ფუსფუსებდა წინა ოთახში.

— ხუმრობა იქით იყოს, — ჩუმად ჩაულაპარაკა მამა ამბაკომ მამა ევთიმეს, — დამჯდარხარ, ყაზახო, პატარძალივით, ადექი, ერთი სუფრა აკურთხე, შე ოჯახქორო! ქე მაინც არ მოგშივდა? მე კი ისე ეშია, რომ ეომიფრთხილდი, თორემ შეიძლება შენც შეგეპამო დღეს... აბა, აბა, ჩქარა!

მამა ევთიმე წამოდგა, ქუდი მოიხადა და „მამაო ჩვენო" წაიკითხა. ყველანი წამოდგნენ და პირჯვრის წერა დაიწყეს. მამა ევთიმემ სუფრაზე ჯვარი გადასახა, ქუდი ისევ დაიხურა და დაჯდა.

— ღმერთო, დიდება შენდა, — ხმამაღლა თქვა მამა ევთიმემ. — ღმერთო, შენ ხარ ჩვენი შემწე, ღმერთო, შენ აღაშენე მასპინძელი, რაც საქმეზე მოგვიწვია, კეთილად აღესრულე! ხელი მოკიდეთ. შვილებო, ხელი! — გადასძახა სუფრას, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გასაგებად ვერ გამოთქვა, რადგან ცხელ ღომს ჭამდა.

სხვებმაც ბევრი არ დააყოვნეს და ჭამას შეუდგნენ.

— მოიცათ, მოიცათ, ბატონებო, სასმელები დაგავიწყდათ! — ნაღვლიანად შენიშნა ბასილმა.

— ღმერთო, დიდება შენდა! — ისევ დაიძახა ეამა ევთიმემ და ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო. — ღმერთო, გაუმარჯვე მასპინძელს, მტერი აშორე და მოყვარე უმრავლე.

— აამენ! — დაიგრიალეს ერთად და ღვინო ჩამოილოცეს.

— ისეთნაირად ხმამაღლა ლაპარაკობს და სმას იწყებს ე თქვენი მღვდელი, რომ მგონია, ტოლუმბაშობა ქე უნდა, — გაჭიანურებულად თქვა მამა ამბაკომ. — რას გაიმეტებ, რომ შენი თავი დავანიშვნინო!

— არ მოკვდე, იმის მეტი, თავიდან გინდა აიცილო და მე მომახვიო, ევთიმეს შენისთანა ბიჭები ვერ ეოატყუებენ.

მამა ამბაკოს უნდოდა პასუხი მიეცა, ხელები ხელსახოცზე შეიხოცა და ოდნავ პირი დააღო, მაგრამ ამ დროს ინდაურის ხორცით სავსე თეფში თვალწინ გაუჩნდა და ლაპარაკი გადააყოლა. ინდაურს შემწვარი გოჭი მოყვა და გოჭს მშრალად მოხარშული ხბო. მღვდლებს მრგვალად მიართვეს ბეჭები და დანარჩენი სხვა ნაჭრები ღირსებისდაგვარად.

— ახლა კი, ბასილ, შენი ჭირიმე, — შეეხვეწა მამა ამბაკო და პავლე, — თქვენც, ახლა ხომ დაწყობილია, ღვთის წყალობა ყველაფერი ბევრია.

— კი, შენი ჭირიმე, ცოტა ხანს კიდევ.

— რა ცოტა ხანი უნდა, მობრძანდით, ბატონო, ჩვენც უკეთესად მოვილხენთ. მოდით, მოდით, თუ ღმერთი გწამთ.

სამივემ ხელი დაიბანა და მღვდლების პირდაპირ დაჯდა.

— აბა, თქვენი ჭირიმე, არ მომიწყინდეთ, რაცა გვაქვს, მიირთვით! — მხიარულად გადასძახა სტუმრებს ბასილმა.

— ბევრი, ბევრი, მიქამგარიოს და თქვენი წყალობა, — უპასუხეს სტუმრებმა.

— ჰა! რამ გაგაჩუმათ! — დაიძახა მამა ამბაკომ.—ეოდებიან ეს უბედურები ღომს და ჭამენ და ჭამენ. გიორგი ნამამასახლარს და ახალ ადგოკატს დაულოცე გაისს ამა დღეს, — ჭიქა დასცალა და გიორგის უჩვენა მამა ამბაკომ.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბატონო, — თავმდაბლად მიუგო გიორგიმ, რომელიც ბართლომეს გვერდით იჯდა, წამოდგა და თავზე შემოხვეულ ბაშლაყს ოდნავ ასწია.

— მასპინძელი ღმერთმა ააშენოს.

— ჰაამენი ქმნას ღმერთმა!

— ე, მაგრე, ჰო ცოტა-ცოტად მიეჩვიე, — ჩაილაპარაკა მამა ევთიმემ.

— არა, ხუმრობა იქით იყოს, შენ არ მომიკვდე, — ლმობიერად მიუგო მამა ამბაკომ, — ეს ერთი ისე მასპინძლის ხათრისთვის, თორემ მე დღეს სმა არ შემიძლია, გუშინ ძლიერ გავილახე.

— სარდიონს დაულოცე! — დაუძახა მამა ევთიმემ.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, მამაო!

— ბართლომეს გაუმარჯოს ღმერთმა!—დაიძახა ამბაკოს მხლებელმა, რომელიც გაღმა სუფრაზე იჯდა.

— იცოცხლე!

—აბა, ბატონებო, მოილხინეთ, მოილხინეთ!—აქეზებდა სტუმრებს ბასილი.

— ვერე იცით, რას ნიშნავს ეს მოილხინეთ, მოილხინეთო, ბასილი რომ ამბობს? — თქვა სარდიონმა.

— იმას ნიშნავს, რომ დროა სარდიონი ტოლიმბაშად ამოირჩიოთო, — მიუგო გიორგიმ.

— სარდიონი რატომ, შე კაცო, აგერ არ ხედავ? სულის კლიტეებს, ჩვენს მაცხოვნებლებს, ჩვენს მოძღვრებს, იმათ უფრო არ შეფერის? — მიუგო სარდიონმა.

— სრულიად არ შეფერის, — თქვა მამა ევთიმემ,—შენ უფრო შეგფერის, გიორგი! ექვს წელიწადს მამასახლისად იყავი, ლაპარაკიც გერჩის და სმაც იცი.

— არა, ბატონო, თქვენთან, ღვთისგან კურთხეულებთან მე რა მინდა, ჩემი ლაპარაკი თქვენთან რასა სჭრის, საღმრთო წერილი ხელში არ გიჭირავთ, ბატონებო!

—ამდენს რას ლაპარაკობთ,—თქვა ამბაკომ,—აიღეთ ჭიქები და მიულოცეთ გიორგის, — სავსე ჭიქა ხელში დაიჭირა ამბაკომ და გიორგისაკენ გაიშვირა. — გიორგი, ღმერთმა გაცოცხლოს, ღმერთმა კარგად შეგასრულებინოს...

— შენი თავი არ მომიკვდეს, არა, ღმერთმანი, — ხმამაღლა გააწყვეტინა გიორგიმ, ადგა და თავი დაუკრა, — მადლობელი, ბატონო, ღმერთმა პატივი გცეს, მაგრამ ვე არ შემიძლია.

— ამდენს რას აჭიანურებ, ხუცესო! მაგისთანა შემთხვევაში, შენ მინახავხარ ტოლბაში და ახლაც შენ უნდა იქნე. ტყუილად რას იხამები, — ულთხრა მამა ევთიმემ.

— ამდენს რას იპრიწები, შენია და შენი ტოლომბაშობა. — მიუგო მამა ევთიმემ.

— ღვინოს ვერ დავლევ, ჩემო ძმაო, და ისე ტოლუმბაშობა რას ვარგა.

— მაშ, წყალი დალიე !— დაიძახა ერთმა.

— ვისაც რამდენი შეუძლია, დალიოს, ქორწილი ხომ არ არის, ერთმანეთს ჩავეჯინოთ, — ამბობდა მეორე.

— აბა, ბატონებო, გვწყურია! — ყვიროდა მესამე.

— კი, კი, მამა ამბაკო იყოს, მამა ამბაკო! — იძახდნენ აქეთ-იქიდან.

— სუთ, სუთ,- შე კაცო, ეს რა ხმაურია? არ დაგვილევია ისე, ასეთი ხმაურობა რომ არის, რომ გადავკრავთ, მაშინ რაღა იქნება,— ამბობდა მამა ამბაკო.

— გაათავე, კაცო, და დაიწყე, მაშინ უფრო რიგი და წესი იქნება, — ეუბნებოდა მამა ევთიმე.

— ისე გაგაწესოს ღმერთმა! ესენი რომ შენ რიგ და წესზე გაგიზრდია, — ჩუმად ჩაილაპარაკა მამა ამბაკომ. — მაგათ ხუთი ჭიქა

რომ დალიონ, შეიძლება ჩხუბიც აგიტეხონ. ავათა ვარ, კაცო! ვიცი, რომ გამლახავს, მაინც რა უსაშველო ღვინო მოგიტანია, ბასილ, — ხმამაღლა უთხრა ბასილს, სავსე ჭიქა ხელში აიღო და გახედა. — ფა, ფა, ფა, ქარკაა, ქარვა... ჰა, წიე, ფო, ფო, ფო, — კბილის კაწკაწით დაუმატა, როცა ღვინო დალია.

— აბა, მამაო, შენი მაყურებელი ვართ, გვწყურია!—დაუძახეს აქეთ-იქით.

— თქვენ ამოგაგდოთ ღმერთმა, გამოძიება მე, ტოლუმბაშობა კიდევ მე, ერთი, ერთი, ჩემო ძმაო?—მიუბრუნდა ერთ-ერთ მოსამსახურეს. — ერთი კაი თოხიც მოსძებნე და ჭყონონელებს სიმინდსაც დაგიმარგლავთ და ის იქნება.

—მამაო, იცოცხლე, ღმერთმა რიგიანად შეგასრულებინოს, გაგიმარჯოს, — სავსე ჭიქებით ხელში დალოცეს აქეთ-იქით.

— ამოგაგდოთ ღმერთმა! რომ ჩაგაცივდებიან, საშველს არ მოგცემენ, — ჩუმად ჩაილაპარაკა. ამბაკომ, წამოდგა და ხმამაღლა გააგრძელა:

— გესმით? მადლობელი ვარ! კარგი, მაგრამ ვინც ღვინოს არ სვამს, ახლავე თქვას, თორემ ბოლოს, თუ ხელი გამოიღო, იცოდე, სუფრიდან ავაგდებ.

— კი, კი, დიახ, ვინც სვამს, ახლავე უნდა დაიწყოს სმა. ჰო, ა... უ... — ისმოდა ერთმანეთში არეული ხმები.

მამა ამბაკომ სავსე ჭიქა ხელში აიღო, ერთი ღვინოს გახედა, ერთიც აქეთ-იქით გაიხედა, ერთიც მამა ევთიმეს შეხედა, ერთიც თვალები დახუჭა და მერე ისე ზარმაცად შემოავლო სუფრას, თითქო მძიმე ტვირთი ჰკიდია და არ იცის, საით წაიღოსო. მერე ერთბაშად გამოცოცხლდა და დაიწყო:

— ბატონო ბასილ, ღმერთმა გაცოცხლოს, გაბედნიეროს, გულის სურვილი ღმერთმა კეთილად შეგისრულოს, ჯერ მარიკა უნდა მიედღეგრძელებინა ახალი კანონით, მაგრამ... ო, ერთი სიტყვით, ისე გამყოფოს, როგორც შენ გინდოდეს, ცოლით, შვილით, ყოველი შენი კეთილით. რაც საქმეზე ჩვენ დღეს მოვედით, ღმერთმა კეთილად დაასრულოს, აზნაურობა კი არა, ღრაფობა გამოეგზავნონ შენთვის, მე რა მეხარჯება, მრავალჟამიერ იყოს შენი სიცოცხლე! გიორგის გაუმარჯოს! — ცქვიტად დაიძახა მამა ამბაკომ.

გიორგიმ ადგომა და თავის დაკვრა ვერ მოასწრო, რომ თამადამ დაიჭექა:

— ჟამიერ...

— მრავალჟამიერ!.. — მცირე ხმით ბანი მისცა ბართლომემ.

— მრავალჟამიეე... — წაიდუდუნა მწერალმაც.

მამა ამბაკომ ღვინო დალია. სხვებმაც ადღეგრძელეს ბასილი. ის ყველას ღიმილით თავს უკრავდა და როცა ყველამ გაათავა, ადგა და სამადლობელი შესვა.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ბატონი მარიკა!—დაიძახა თამადამ.

მარიკა საჩქაროდ მოიჭრა და შუა დარბაზში გაჩერდა.

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო, რომ დაბრძანებულიყავით, გაგვიხარდებოდა.

— არა უშავს რა, ბატონო...

— ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს, — ფეხზე ადგომით გააგრძელა თამადამ.

— დაბრძანდით, ბატონო, ნუ შეწუხდებით, — შეეხვეწა მარიკა.

— ღმერთმა ისე მოაწყოს თქვენი საქმე... როგორც... მოწყობილიცაა. რომ... მოყვარეს უხაროდეს და მტერს შურდეს. შენი ლამაზი ქალიშვილის ქორწილზედაც დაშელიოს ღვინო... როგორც ეს ჭიქა სავსეა, ისე სავსე ჰყოს ღმერთმა, როგორიც კიდეც არის თქვენი ოჯახი, თქვენი სახლი და ბეღელ-მარანი. ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს... აბადელია... ვო-რე-რა, ვო-რე-რა,—დაიწყო სიმღერა სიტყვის დამთავრებისთანავე ამბაკომ.

— ვო... რე-რო-რა, რეო-რე-რა! — მოსძახა ბართლომემ.

— ჰაააი... ჰაა... — დაბერა სარდიონმა.

— ოჰო... ჰო... ჰო... ჰოოოო... — დასჭყივლა გიორგიმ.—ქეიფია, ქეიფი!

— აბა, თქვენი ჭირიმე, მოილხინეთ, მოილხინეთ! — იძახდა ბართლომეც.

— ახლა სუთ, ერთი ყური დამიგდეთ, — წამოდგა თამადა.

ყველანი ცოტ-ცოტად მიჩუმდნენ. ზოგი ხბოს მშრალ ხორცს თლიდა, ტყემლის წვენში ავლებდა და ჭამდა. ზოგი შემწვარი გოჭის ხორცის უკანასკნელ ლუკმით პირს იტკბარუნებდა და ცალი თვალით თამადას შეჰყურებდა. ზოგს დროებით ჭამაზე ხელი აეღო და დაფიქრებული დანას ჩუმ-ჩუმად თეფშს ეკაკუნებდა.

—ბასილი მძებრაძე, ჰო!—დაიწყო თამადამ,—რაც შეიძლება... კაი აზნაურიშვილია, ბევრი რამე... ასე, რომ ვთქვათ, ბევრი რამ სიკეთე და...დოვლათი მიუცია ღმერთს... მისთვის. მაგრამ... ყველა დოვლათზე, ყველაზე უფრო.... ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ... ჯილდო... ჯილდო მიუნიჭებია მისთვის ღმერთს... ორი მისი ბაღანა. ორი ერთმანეთზე უკეთესი. თქვენი შვილები სად არის, ბატონო, — დაეკითხა ბასილს.

— ახლავე, ბატონო,—ბასილმა საჩქაროდ დასაძახებლად ბიჭი გაგზავნა.

ერთი წუთი და ძუკუ და ტასია თამადის წინ იდგნენ.

— აი! — მხიარულად წამოიძახა ამბაკომ. — ხომ ხედავთ, ბატონებო, რა ანგელოზებს მინდობილია ბასილ მძებრაძე. მაგათი სადღეგრძელო ცალ-ცალკე რაღაც არაა ლამაზი, ამიტომ მე ვსვამ ორ ჭიქას ერთად, შეხედეთ! — დაიძახა თამადამ და თეფშზე დაწყობილი ორი სავსე ჭიქა ყველას უჩვენა.

— ვხედავთ, ვხედავთ! — დაიძახეს ერთხმად.

— ღმერთმა თქვენი ბედნიერება, თქვენი წითელი გვირგვინი თქვენს ჭირისუფალს აჩვენოს. მამულისათვის სასახელო და დედამამის სასარგებლო ღმერთმა გამოგიყვანოთ,—კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა ამბაკოს, მაგრამ მრავალჟამიერი შემოსძახეს ხმაღლა.

დაიწყეს ორ-ორი ჭიქის სმა. ერთი დალევდა, მეორეს გადაულოცავდა, მეორე მესამეს და ისე.

— რა ამბავია, კაცო, ამდენ ხანს კიდევ ვერ დაამთავრეთ! — თითქმის მიაყვირა მამა ამბაკომ, რადგან ერთმანეთში არეული სიმღერა-ხმაურობისა გამო დაბალი ხმით ვერაფერს გააგონებდა. — დალიეთ, რაღა, ჩქარა.

— კი, ბატონო, კი, — უპასუხა მოხუცმა ბასამ, რომელსაც ნუნუას კვალი ახლავე დამჩნეოდა სახეზე.

— არა, ძმაო, ასე არ ვარგა. მე ვინმე თანაშემწე უნდა დამინიშნოთ, იქით, სუფრის ბოლოს ვერ ვარჩევ რიგიანად... აბა, როგორ გეკადრება, სარდიონ, სარდიონ, ნახევარი მარტო, დასცალე, რაღა, დასცალე, რას უყურებ!

— არ შემიძლია, მამაო, დაღლილი ვარ.

— დაღლილი რას მიქვია, შენ თუ არ დალევ, სხვები სულ არ დალევენ.

— დალიე, სარდიონ, უნდა დასცალო,—ეუბნებოდნენ მეზობლები.

—თანაშემწე თუ არ ამომირჩიეთ, მე ისე ღვინოს არ დავლევ,— გაიმეორა თამადამ.

— ბართლომე მძებრაძე იყოს თანაშემწე! — დაიძახა გიორგიმ.

— სრულებით არა, შენ გეკუთვნის ნამდვილად, შენ, — მიუგო ბართლომემ.

— ესეც რაღა გასაჭიანურებელია. გიორგის ეკუთვნის თანაშემწეობა.

— მაშ, კარგი, ეაშ, კარგი, — თქვა თამადამ. — გესმის, გიორგი, აბა, შენ იცი, რა კარგად ადევნებ თვალყურს შენს მიდამოს...

— მე რა სათანაშემწე ვიყავი, ბატონო!

— ბოდიშს თავი დაანებე-მეთქი. აქეთ შემოხედე. ამას ხომ ხედავ! — თამადამ თეფშზე დაწყობილი სამი სავსე ჭიქა აჩვენა. — ორის შემდეგ რა უნდა?

— სამი, ბატონო! — ცქვიტად ეიუგო გიორგიმ.

— აი, მე ახლა ვსვამ სამ ჭიქას, სამი, ერთმანეთისაგან განუყრელი და მოყვარული ძმების სადღეგრძელოდ.

— ერთმანეთს ძაღლივით ჭამენ, — ჩუმად ჩაილაპარაკა კუდამ.

— ღმერთმა ერთმანეთის სიმწარე არ აჩვენოს მათ... იცოცხლეთ, როგორც თქვენ გსურდეთ... გიორგის გაუმარჯოს ღმერთმა! მე ახლა ეარტო შენთან მაქვს, ბაბა, საქმე.

საენიე: ირაკლი, პავლე და ბართლომე ფეხზე იდგნენ და მადლობას ეუბნებოდნენ.

სამ-სამი ჭიქის გაეოცლა კარგა ხანი გაგრძელდა. ამან უფრო აახმაურა ყველანი. ახლა უფრო ცხარედ გადაერია ერთმანეთში სიმღერა და ლაპარაკი. მოპირდაპირეებმა ერთიმეორეს ფართოფართო მუსაიფი დაუწყეს.

— ჩემო თანაშემწე! — დაიძახა მამა ამბაკომ, როცა, როგორც იყო, ყველამ დალია.

— ბატონო! — მიუგო გიორგიმ.

— ირაკლი, პავლე და ბართლომე ვადღენგრძელეთ, მაგრამ ისინი თავიანთ ოჯახში სტუმრები არიან, მაგათი ოჯახის ღედაბოძი... დაეამშვენებელი, მათი მანდილოსნებია.

— კი, ბატონო!

— სამწუხაროდ, დღეს რაღაც მანდილოსნებმა არ ინებეს, თუ გარემოებამ ნება არ მისცა, ჩვენს სუფრასთან არ დასხდნენ, თორემ პირველად მათი სადღეგრძელო ჭნდა დაგველია, ამიტომ მე ვსვამ ორივეს, ირაკლის და პავლეს. მანდილოსნების სადღეგრძელოს, სახელები კი არ ვიცი.

— ზესიხანი და ასპიროზი, — ეიუგო ბასილმა.

—ასპიროზი და ზესიხანი, ძლიერ კეთილი. მაგრამ, გიორგი, ხომ იცი, სადაც დედაზე ლაპარაკობენ, იქ შვილებზედაც უნდა ითქვას. ირაკლის, როგორც შევიტყვე, ორი შვილი ჰყოლია, ორივე ვაჟები. ღმერთმა დაუზარდოს, ხუმრობა საქმეა, ბაბა? მომავალში წმინდა აზნაურები ისინი იქნებიან. ტახტის აზნაურები. პავლესაც ერთი

ქალი ჰყოლია, ესეც სამი, და სულ ერთად ხუთი. ამნაირად, მე ახლა ვსვამ ხუთ ჭიქას.

— სამის მერე რა უნდა, ბატონო? — ჰკითხა გიორგიმ.

— ეევსი, — სიცილით მიუგო მაჰა ამბაკომ.

— მა'მ, შვიდზე რათ გადადიხარ?

— ვო, გიორგი! — თავის ძირს დაკიდვით და ცალი თვალის დახუჭვით დაუძახა თამადამ.

— ბატონო!

— გასაშვები სისხლი, ბაბა... ᲣᲜᲓᲐ გავუშვათ. სანამდი ვამიზეზოთ, ვამიზეზოთ, რა გამოვა!

— ზომაზე უნდა გავუშვათ, ბატონო, თორემ თუ ერთბაშად დიდი იარა გავჭერით, ბლომად წავა და ჩქარა დავცალიერდებით, და თუ ზომაზე გავჭერით, შეიძლება კიდევ გვარგოს და მოგვარჩინოს.

ᲕᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ თამადის წინ იდგნენ. მათი გამხდარი სახე და მორთულობა ამტკიცებდა, რომ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ სიღარიბის მომთმენი იყვნენ. თავი მაინც ღირსეულად ეჭირათ.

— ქალბატონები რა ხანია გვიცდიან, ჩემო გიორგი, სირცხვილია! — თამადამ დალოცა, ხუთივე ჭიქა დასცალა და გიორგის გაუგზავნა.

— ნანა, ნანა, ჩემი ცოდვა, — კბილების კაწკაწით თქვა გიორგიმ, როცა ხუთივე ჭიქა ღვინით გაავსო და თეფშზე დაწყობილი ᲞᲔᲚᲨᲘ დაიჭირა და თამადას მიუბრუნდა:—პა, პა! ვო, მამაო, დაშახრჩო ვინდა დღეს?

ახლა კიდევ ᲣᲤᲠᲝ მეტი ხმაური ატყდა. ყველა სუთ, სუთო, — იძახდა, ერთმანეთს აჩუმებდნენ და ამით ხმაურობას კიდევ უფრო ემატებოდა.

— სოსრანი არ მოკვდეს, იმის მეტი, რა შენი საკადრისია, მე თუ მოხუცმა დავლიე, — ეუბნებოდა ბასა სოსრანს.

— ეს ოთხი კი დავლიე, 'შენ არ მომიკვდე!

— არა, სამი რომ დალიე, ქე 'ვხედავდი.

— მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი! — თითქმის ყვიროდა ერთი გლეხი, რომელსაც პახვალას ეძახდნენ. — მე თუ რამე კაცის წყენა გულში ᲕᲭᲝᲜᲓᲔᲡ.

— პახვალა, პახვალა, ეს სრულებით არ გეკადრება 'შენ, ბაღანა ხომ არა ხარ.

— ვო... რიდო!.. დალიე და შე... გერ... გე... ბა! — დაიწყო ერთმა და მიაყოლეს სხვებმა.

სიმღერა კარგა ხანი გაგრძელდა.

— სუთ, სუთ, თამადას სათქმელი აქვს რაღაცა, დაჩუმდით ა... ა... უღი! — მიაყვირა გიორგიმ.

მართლაც ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა.

— გაიგონეთ, გაიგონეთ!—დაიძახა მამა ამბაკომ.—კამპანია — კარგი, სასმელ-საჭმელი — ჩინებული, მასპინძლის გული — მხიარული. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთს კი ნაღვლობს მასპინძელი.

ყველა გაოცდა და გაკვირვებით ერთმანეთს შეხედეს. „რა ამბავია ნეტავი,“ — გაიფიქრეს სტუმრებმა.

— ნაღვლობს კი არა, ძლიერ ნაღვლობს, — გააგრძელა მამა ამბაკომ. — საჯაყი საქმე დამართია, ორი ბაღანა ყოლია, პატარა ბაღნები, ვიღაცას დაუმწყვდევია და ახლა კამპანია თხოვს იშუამდგომლოს და გააშვებინოს. ასე არ არის, ბატონო ბასილ?

— დიახ, ჩემო ბატონო, — შეკავებული სიცილით მიუგო ბასილმა.

ამან კიდევ უფრო გააკვირვა ყველა.

— მე, ჩემ მხრივ წინააღმდეგი ვარ, ნებას არ ვაძლევ, რომ ბაღნები გამოუშვან. როცა გამოუშვებენ, ყურებში ხელს დავავლებ და ისევ დავამწყვდევ, — ბეჯითად მიუგო გიორგიმ.

— დიდი ღვედივით გამოქნილი უნდა იყოს ეს გიორგი,—ჩუმად უთხრა მამა ამბაკომ ბასილს.

— ო! არის რაღა, გამოჩარხული, მაგას რომ ცოტა ესწავლა, ფა, ფა, ფა...

—რაც გინდა იყოს, ბავშვების დატყვევება შეუძლებელია, დიდი ცოდვაცაა ამ სიცხეში, დატყვევებულად კი არა, უკაცრაო მოხსენებაა, ლაფაჩად ძლივს ვსუნთქავთ. მე, როგორც მღვდელი და მერე როგორც ბლაღოჩინის პომოშნიკი და კამპანიის უფროსი, საყვედურიც უნდა ვუთხრა ბატონ ბასილს ასეთი უდიერობისათვის. შენ რას იტყვი, ხუცესო? — დაეკითხა ევთიმეს.

—დატყვევებული უნდა განთავისუფლდეს.—სიცილით მიუგო ეამა ევთიმემ.

სამარისებრივი სიჩუმე იყო.

— ნეტავ წინეთ მეთქვა, თუ ასე დაჩუმდებოდნენ.

— ვისი ბაღანაა, სადაურია, იპოვა საღმე? მიბარებულია? — ჩურჩულით დაუწყეს ერთმანეთს კითხვა მოწმეებმა.

გიორგი ნელ-ნელა იღიმებოდა და შეკითხვაზე პასუხს არ აძლევდა.

— მოიყვანთ, თუ არ მოიყვანთ? — საქმიანი კილოთი თქვა

თამადამ და დინჯი სახე მიიღო. — თუ არ გაანთავისუფლებთ, ახლავე ოქმს გიდგენ. სარდიონ, პორტოკოლი, ახლავე.

— წადი, ბიჭო, — უთხრა მოჯამაგირეს ბასილმა, — ხომ ხედავ, აგერ გადირევა ე კაცი, პორტოკოლსაც ქე მიქადის. ხარდანაძის ქალს უთხარი: შეეხვეწოს იმ კაცს და ბაღნები გამოაშვებინოს. ხარდანაძის ქალო, კამპანია გთხოვს-თქვა, ბაღნები გამოაშვებინე.

რამდენიმე წამის შემდეგ მოჯამაგირე დაბრუნდა და ერთი ხარ-ხარით იქნა მიგებებული. ბიჭს ხელში ორი მოზრდილი ყანწი ეჭირა.

— ბაღნები მეგონა, არ გამიკვირდა! — თქვა ერთმა.

— ვინ ყოლია ბაღანა, საიდან მოვიდა-მეთქი, რა არ ვიფიქრე, — თქვა მეორემ.

— სუთ, სუთ, რაც იფიქრეთ, ის იფიქრეთ და გათავდა. ახალ გამოშვებულ ბაღნებს პატივისცემა უნდა, — მოუჭრა სიტყვა ყველას თამადამ,—საწყლებს სწყუროდეთ იქნება, ბიჭო, კარგად გამორეცხე?

— კი, ბატონო.

მამა ამბაკომაც ცალ ხელში ყანწი დაიჭირა. მეორე ხელში ღვინით სავსე ბოთლი აიღო. მუცელში მრგვალად ხელი მოავლო, გადაწია და პირი ყანწში ჩაუყო: „ხო, ხო, ხო,“ თახთახებდა ღვინო და განზე წინწკლების სვრით ყანწში ჩახრიალებდა.

—აგაშენა ღმერთმა!—დაიძახა მამა ამბაკომ,—სრული ბოთლი ჩანავალა ამ ყანწში. ერთი თითი ძლივს დარჩა... ეს მიცვალებულის საზედაშო იყოს. მეორეც ამის ზომაა ალბათ.

— ნამცეცი არ აკლია, არც მეტია, არც ნაკლებია, — თქვა ბასილმა.

— გიორგი! — დაიძახა თამადამ.

— ჰოო!

— ა.... შე უზრდელო ყაზახო, განა ჰოო ვარ მე!

— უკაცრავად, ბატონო, თუმცა...

— აქ მოხედე... ამას ხომ ხედავ?

— შენ, თუ სავსე ყანწს, მამაო!

— ახ! შენ ფაფალა წვერს რა ვუთხრა! მე კი არა, ამ სავსე ყანწს ხედავ?

— მე ორივეს ვხედავ, ბატონო.

— მერე უფერულად მხედავ, განა?

— პაპა! ვო, პაპა! — თავის კანტურით მიუგო გიორგიმ.—პაპა, მე რომ გრძელწვერას მიყურებ, გიორგი მქვიან, იცოდე! ხუთი ვეზ-ნაჩალიკი გამომიცვლია, ორი პირისთავი, მესაჰისთვინაც უნდა

ამეხადა ეპოლატები, მაგრამ ხომ იცი... მე, პაპა, თავი დამანებე, მოხუცებულ კაცს, მასთე ნუ ჩამეჯინები, თორემ.

— ამას ხომ ხედავ-მეთქი, — გაუმეორა ამბაკომ.

— კი, ვხედავ, ბატონო!

— შენ ეს მითხარი, პოლიტიკა-ჩოლიტიკაში რად გადადიხარ! კაცი კაციაო იტყვიან, მაგრამ კახაბერი სხვა კაციაო! საყვარელი კაცი საგანგებოდ პატივსაცემია... თქვენთან შეზრდილი, თქვენთან ჭირის და ლხინის შუაზე მყოფი, თქვენი მნათვლელი და მაზიარებელი, თქვენი მლოცველი და მწირველი, ღმერთმა აცოცხლოს მამა ევთიმე... ურა! — დაიძახა თამადამ და ერთხმად დააგრიალა ყველამ.

— ეს კარგი, ყოჩაღ, კარგად მოუვიდა, — თქვეს ზოგიერთებმა.

— მადლობელი, მადლობელი, — თავს უკრავდა მამა ევთიმე.

თამადამ ყანწს ტუჩი დაადო და ერთი მეოთხედი დალია, — აბა! — დაიძახა მან და პირი ჭიარიდა. წვერ-ულვაშზე ხელი მოისვა და გიორგის შეხედა: — ვო, გიორგი!

— ჰოო, წაუღია შენი თავი, — თქვა ისევ მამა ამბაკომ. — ეტყობა, ვერ დავლევ მაგასა.... უფ! რა ვქნა, ჭომეხმარე!

— ოხო, ხო, რა გითხრა, პაპა ხარ, პაპა! პაპა რომ არ იყვე, ქე გეტყვი, მაგრამ...

— აფუ! — ისევ დაიძახა მამა ამბაკომ, ყანწი მოიყუდა და ერთბაშად დასცალა. ერთ წამს ყანწი ხელში ეჭირა და დაკვირვებით გიორგის შეჰყურებდა, მერე ყანწის პირი ცერის ფრჩხილზე დააკაკუნა და ორი-სამი ჩარჩენილი წვეთი გადმოაქცია. — გიორგი, ამას ხომ ხედავ!

— კი, ბატონო, შეგარგოს ჭიქამგარიომ!

— გიორგის გაუმარჯოს! — გაუწოდა ცარიელი ყანწი ამბაკომ.

— მოძღვარს ღმერთმა გაუმარჯოს, შენს წირვა-ლოცვაზე ღმერთმა დაგაბეროს.

— აბადელია, დელია, ვორე... — დაიწყო თამადამ.

— აა... აი, ჰეა... — ჩაბღავლა სარდიონმა.

გიორგიმ ყანწი დასცალა და სარდიონს დაულოცა, სარდიონმა შეორეს, ჭეორემ მესამეს.

უკანასკნელად პახვალამ დალია, ადგა, ცარიელი ყანწი ხელში დაიჭირა და თამადას მიმართა:

— ახლა, ბატონო, ამას გზა საით ვუჩვენო?

— აქეთ, — თვალით ანიშნა მამა ევთიმეზე.

— ბატონო მოძღვარო, შენი ჭირიმე, რამდენი დღეა მე შენთვის

ამ ყანწით ღვინო არ დამილოცნია, იმდენ წელიწადს ღმერთმა შენ ცოლ-შვილს... თავი არ ატკინოს.

— მადლობელი, ჩემო პახვალა, მაგრამ ყანწი ჩემთვის ერთობ დიდია.

— მამა! — დაიძახა პახვალამ, სუფრიდან გამოვიდა (სწორად ვერ მიდიოდა), როგორც იყო, მამა ევთიმესთან მივიდა, ცარიელი ყანწი ხელში მისცა და ხელზე ემთხვია.

მამა ევთიმემ პირზე აკოცა და ერთიც უკმაყოფილოდ თამადას შეხედა.

— რას მებღვირები? — ნიშნის მოგებით მიუგო მამა ამბაკომ. — უნდა გამოგცადო დღეს, ხარ თუ არა ბედენიკის ღირსი.

— აი, შენ და შენი ბედენიკი. ათი წელიწადია, რაც მპირდებიან, მაგრამ ჯერაც ვეღარ ვეღირსე.

— ის, დალიე, ის, ბედენიკაზე მერე ვილაპარაკოთ. ეპისკოპოსის კანცელარიაში შემოდი ფოთში. მაგრამ შენებურად ზუმპასავით არ მოხვიდე, რავე საკენკიც ჩამოიტანე და... ხომ იცი, როგორც წესია...

ევთიმემ სავსე ყანწი მოიყუდა, ცოტა მოსვა, მერე ხორცის ნაჭერი დააყოლა, ისევ მოსვა, მერე იწაფა და დასცალა.

— ეს მესმის,—თქვა თამადამ. — ვარგებულხარ, როგორც კაცი. ბლაღოჩინს ვეტყვი, რომ წრეულს შენ წარგადგინოს.

—ვაი, შენს ენას,—მიუგო მამა ევთიმემ. წვერ-ულვაშზე ხელი გადისვა, ყანწი თამადას გადასცა და პურის ნაჭერს წაეტანა.

შუაღამეს ბევრი არ უკლდა. ბასილ მძებრაძის დარბაზი ლამპით იყო განათებული. გაღმა სუფრა აელაგებინათ. უმთავრეს სუფრაზე არეულად ეყარა ცივი ღომი, ხბოს ხორცი, გაძიძგნული ძვლები, ყველი, პური, ცარიელი და ნახევრად სავსე ბოთლები და სხვადასხვა. უმეტესობა ამდგარიყო. დარჩენილიყვნენ მხოლოდ მღვდლები, სარდიონი, გიორგი და ერთი-ორი გლეხი. ბასილი იქვე შორიახლო იჯდა, ბართლომე აივანზე სეირნობდა. ირაკლი და პავლე არ ჩანდნენ.

— ვო, გიორგი,—ულაზათოდ წარმოთქვა ბამა ამბაკომ, თვალები დასიებოდა და ღვინის ორთქლისაგან შეხურებულ თავს ძლივ-ძლივობით აკანტურებდა.

— შენი თავი არ მომიკვდეს, იმის მეტი, მამა ამბაკო, ბატონო, შენ გენაცვალე, თუ ერთ წამს დამიჯერო.

ამბაკოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გიორგი ადგა სავსე ყანწით ხელში.

— ეს, მამაო, იცოცხლეთ, იბედნიერეთ, ახლა ჩემია ტოლუმბა-შობა, მადლობელი ვართ პატივისცემისათვის, როგორც ეკადრებოდა შენს გვარიშვილობას, ისე მოგვილხინე. მადლობელი ვართ. იცოცხლე, იარე, პური ჭამე, ჯიბაში ფული, ბეღელში პური, გული მხიარული, ხელში ჭიანური, მრავალჟამიერ იყოს შენი სიცოცხლე,— გიორგიმ ყანწი მოიყუდა. სხვებმა ჭიქებით დალოცეს.

გიორგიმ ყანწი დასცალა და პირქვე დამხობილი ჭამა ამბაკოს აჩვენა.

— ახლა, როგორ, მამაო.

ამბაკომ შეხედა. მამა ამბაკოს ის ბეჯითი გამომეტყველება აღარა ჰქონდა, რაც ყანწის მოტანის დროს.

— შენი ჭირიმე, როგორც გნებავდეს, — თითქო ბალღს არწევსო, მოეფერა გიორგიმ. — შენ როგორც გსურდეს. ნაკურთხ კაცთან ვე, ჭიანჭველას, რა მინდა. თუ გნებავს, სულ ნუ დალევ, თუ გნებავს, იმ პატარა ჭიქით მიირთვი.

ეს სიტყვები არ ეთქვა გიორგის, შეიძლება მამა ამბაკოს მართლა ჭიქით დაელია სამადლობელი და უსიამოვნებაც არა მომხდარიყო რა, მაგრამ გიორგი რა შვილი იყო, თუ ამისთანა შემთხვევას, თავის სასახელოდ, ხელიდან გაუშვებდა.

— ვითომ იმდენად სისუსტე შემატყვე, რომ მიბრალებ.—ცოტა ბრაზით მიუგო მამა ამბაკომ.

— შებრალება... ჯვარი დაგიწერე, — ისეთი კილოთი მიუგო გიორგიმ, თითქო ეუბნება: მართალია, ამ წუთში შესაბრალისი ხარო.

— მა რას იღრიჯები, ყაზახო!

— ბატონი ხარ, სხვა ვინმე იყოს, ან სხვაგან, გიორგი არ მოგიკვდეს, იმის მეტი, ჭაგი არ გააბედვინოს. ყაზახი ვარ, ეს ცხადია, არაფერ დასამალავად არ მიმაჩნია და არც თქვენგან მიმიღია რამე წყალობა, ბატონო, რამდენად მახსოვს, — გულშეუწუხებლად მიუგო გიორგიმ.

ამბაკო გუდასავით გაიბერა. უფრო გიორგის სიდინჯე ხეთქავდა გულზე.

— მერე, მერე, ამდენს რას ლაპარაკობ! — ჭკვახედ უთხრა მამა ამბაკომ. — დამილიე და ეს არის, გამომიგზავნე.

—,ა... ბატონო, მიირთვი,—გიორგიმ ცარიელი ყანწი გაუწოდა.

მათ ხმაურზე ბასილი ცოტა შეფიქრიანდა. ბართლომემაც კარებში შემოიხედა.

ამბაკომ ყანწი გაივსო და ხელში დაიჭირა. სიბრაზისაგან ხელი უკანკალებდა. იწაფა ყანწი. ღვინო სანახევროდ მის წვერებზე

წურწურით ჩამოდიოდა და სუფრაზე იღვრებოდა; მაინც, როგორც იყო, დასცალა.

— გიორგის გაუმარჯოს, — გვარიან თამამად და რიხიანად თქვა მამა ამბაკომ და ყანწი გაუწოდა.

— ახლა, თუ კაცი ხარ, საყოლაწმინდო და გაათავე, ის ყანწი კი დამალე, — ჩაულაპარაკა სარდიონმა, რომელსაც ძილი ერეოდა.

გიორგის ცარიელი ყანწი ხელში ეჭირა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ, ამ დროს მამა ამბაკო ადგა. მაგიდაზე დაბჯენით სუფრიდან გამოვიდა, ერთი ფეხიც წინ წარსდგა და ათრთოლებით ხელის გული პირზე მიიფარა. მაგრამ გვიანღა იყო; ღვინო შადრევანივით სჩქეფდა პირიდან, პირზე მიფარებულ ხელის თითებშუა მოდიოდა. ზოგი ტანისამოსზე ნაკადულივით ჩამოსდიოდა და ზოგიც იატაკზე იღვრებოდა.

ბასილი უცბად მიიჭრა, ხელი მოკიდა და ფრთხილად გარეთ გაიყვანა.

მამა ევთიმე დაფაცურდა. მიშველება ვოინდომა, მაგრამ, საუბედუროდ, თვითონაც არ აღმოჩნდა მაგრად, ხან აქეთ წაბარბაცდა, ხან იქით, და წინა კარის მაგივრად, ბასილის მოჯამაგირის შემწეობით, უკანა კარებში გავიდა.

ყველანი აიშალნენ. მწერალი თუმცა ბარბაცით, მაგრამ როგორც იყო, თვითონ გავიდა გარეთ. საჭიროც რომ ყოფილიყო, ვინ მოეხმარებოდა, ოთახში ფხიზელი არავინ იყო.

გიორგი ყოჩაღად გამოვიდა სუფრიდან, რა თქმა უნდა, ისიც არ შიდიოდა სწორად, მაგრამ სახლის უკანა კიბე მშვიდობით ჩაიარა და ამით გათამამებულმა. ფეხი მაგრა წინ წარსდგა, აქ ფეხებმი უმტყუნეს და მდელოზე გაგორდა.

— ბართლომე, ბართლომე! ჩქარა სანთელი მოიტანე, ვილაცა დაეცა მინდორზე, — მოისმა ვარიკას ხმა.

მეორე ნაწილის დასასრული.

ნაწილი მესამე

XXVIII

რკინიგზის სადგურზე

ქუთაისიდან მატარებლის მოსვლას ორი საათი უკლდა. ამიტომ დაბა № სადგური ჯერჯერობით მიჩუმებული იყო. მშვენიერი დარი იდგა. მზე უკანასკნელ სხივებს ალვაცერად ისროდა და შუა ზღვისაკენ დასამალავად ემზადებოდა. სადგურის უფროსი, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი, უძილობისა გამო თვალებდასიებული, მოკლე, ღილებშეუბნეველი ტანისამოსით და წითელი ქუდით სადგურის წინ, ლიანდაგის გასწვრივ, ქვაფენილზე იდგა და დასავლეთისკენ ჩამამავალ მზეს შეჰყურებდა. მას მზე იმდენად არ აინტერესებდა, რამდენად ნელი სიო, რომელიც დასავლეთიდან ქროდა და, მთელი დღის პაპანაქების შემდეგ, ჰაცოცხლებელ ნექტარად ეჩვენებოდა ყოველ სულდგმულს. სადგურის უფროსი სიამოვნებით უშვერდა სიოს მარტო პერანგით დაფარულ გულ-მკერდს, თან ქუდსაც მალ-მალ იხდიდა და მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელს გადი-გადმოისვამდა ხოლმე.

სადგურის მოსამსახურე, მოკლე კიბით მხარზე და ნავთით სავსე თუნუქის ჭურჭლით, ერთი ფარნიდან მეორეზე გადადიოდა. ფარანთან კიბეს მიადგამდა, საცა ნავთი ნაკლებად იყო, უმატებდა, ჭუჭყიანი ხელსახოცით ფარანის ჰინას ვითომდა. ასუფთავებდა და თან ნელ-ნელა რაღაც გაუგებარ სიმღერას ღიღინებდა.

სადგურის პირდაპირ, ბარგის პატარა საწყობის სახლის წინ. რომელსაც დაბელები „სკლადს" ეძახდნენ, რამდენიმე საბარგო

ვაგონი იდგა და ეტყობოდა, რაღაც საქონლით იტვირთებოდა, რადგან მუშების ხმაური და ვაგონში შევარდნილი სავსე ტომრების და ყუთების ბრახუნი ისმოდა.

— დანიელ პეტრეს ძევ! — დაელაპარაკა სადგურის ერთი ოთახიდან სადგურის უფროსის თანაშემწე სადგურის უფროსს, — დღეს მეტისმეტად დაღლილი ვარ, თუ ცოტა არ მივიძინე, არ შემიძლია, ფეხზე ვეღარ ვდგები.

უფროსს კი ახლა პირი აღმოსავლეთისკენ ებრუნებინა და ხელები ზურგზე შემოეწყო.

— ა... — ბოხად მოსძახა უფროსმა.

— დასაძინებლად მივდივარ.

— გისურვებ კეთილ სიზმრებს.

— დანიელ პეტრეს ძევ, ასე რამ დაგაფიქრათ?

— დაფიქრება რომელია, კაცო. კინაღამ სიცხით დავიწვი და ახლა ამ დალოცვილ სიოს მივენდევი. საღამსაღამოთი ეს რომ არა ჰქროდეს, ამ დამპალ ადგილებში კაცი წვიდად მოიხარშება.

— დღეს მაინც როგორ? — ცოტა მორიდებით დაეკითხა თანაშემწე.

— არა და არა, არ მოდის, ძმაო, ბედი, — ნაღვლიანად მიუგო უფროსმა და მერე შეეცადა თამამად და რიხიანად გაეგრძელებინა:— ხუთი თუმანი ამაფცქვნა მაგ მაპაძაღლმა. მერე ამ სიცხეში, შეკუმშულ ოთახში ჯდომა!

— რა ვუყოთ, მოსავალია, — ანუგეშა თანაშემწემ.

—რა მარჯვედ თამაშობს მაგ ვირიშვილი, ასე გგონია, ყურადღებას არც კი აქცევსო და იგებს და იგებს.

— მაშ, ნახვამდის, — ზრდილობიანად თავი დაუკრა თანაშემწემ და მარჯვნივ, თავის ბინისაკენ გაუხვია.

— ვასილ გრიგორის ძევ! — დაუძახა უფროსმა.

თანაშემწე მობრუნდა.

— ათ საათზე მზად იყავი, მანამდი, როგორც არის, გავაჩანჩალებ საქმეს, მაშინ შენ იცი, მომეშველე, თორემ ამდენი ხნის უძილობისაგან თუ ერთხელ გავგორდი, ცხრა პარავოზი ერთი ერთმანეთს რომ დაახალო, ვერაფერს გავიგებ.

— კარგი, — მიუგო თანაშემწემ და გაშორდა.

უფროსმა ქვაფენილზე სეირნობა დაიწყო.

— ხომ გითხარი, კაცო, ჯერ არავინ იქნება-მეთქი. საშველი არ მომეცი. ჯერ სადღაა მაშინა, ორ საათამდე ქე უკლია და შენ კი სული ცხვირში შეიჯინე, რა საინტერესო ამბავს გველაპარაკებოდა ის კაცი

სამიკიტნოში; რა ამბავი დამართია იმ ვიღაცას: ცოლთან სხვა კაცზე ვიუსწრია, — უკმაყოფილოდ უთხრა ერთმა მაღალ-მაღალმა კაცმა მეორეს, რომელსაც ვეებერთელა სავსე ხურჯინი გადაედო მხარზე.— როცა საბარგო სახლს მოუარეს და სადგურს შეხედეს.

— ყოველ შემთხვევაში, დაგვიანებას ადრე მოსვლა ჯობია, — ვულშეუწუხებლად მიუგო ხურჯინიანმა.

— სადაური დაგვიანებაა! არა ხედავ, ერთი სულიც არავინ არის.

— ხომ არ გაგვიჯავრდებიან ადრე მოსვლისათვის, — ხმადაბლა მიუგო ხურჯინიანმა, იჭვნეულად და ფრთხილად შეხედა წითელ ქუდიან უფროსს, რომელიც ამ დროს ცოტად შებინდებულ ცას შეჰყურებდა.

— გაჯავრდება! ღმერთი მაგას ააშენებს, — თამამად მიუგო მაღალ-მაღალმა. — ჩვენ რომ მოგვწყინდეს, იმიტომ ვამბობ, თორემ... არა უშავს რა, შევიდეთ, ალბათ ხალხიც ცოტ-ცოტად მოგროვდება...

— მოგროვდებიან, მა რას იზამენ, ოჰო! — მძიმედ დაიძახა ხურჯინიანმა, ცალი ფეხი ლიანდაგიდან ქვაფენილზე შედგა და ზეღ მძიმედ ავიდა.

—არა, იმაზე არ არის საქმე... ვაჭრობა... ჩემო პეხუ, ლატარიაა. მე რომ ომიანობის გათავების შემდეგ მაშინათვე მაგას გავყოდი, სინიდისს გეფიცები... რომ... — ეუბნებოდა ერთი მოძველო მაუდის ჩოხიანი შალის ჩოხიანს. ისინი იმავ საბარგო სახლის გვერდიდან გამოჩდნენ, რადგან დაბიდან სადგურამდე ამ მხრივ მოდიოდა საცალფეხო გზა: მაუდის ჩოხიანს კრავის ქუდი ეხურა, ცოტად წელში მოკუზულიყო, ხელში პატარა კრიალოსანი ეჭირა და ეშმაკურად თვალებს აბრიალებდა.

მათ ერთი შემოიხედეს სადგურისაკენ და რაკი ორი კაცის მეტი ვერავინ ნახეს, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნეს. უფრო მაუდის ჩოხიანი ლაპარაკობდა, კრიალოსანს ხელში ათამაშებდა და თავს ათასნაირად აკანტურებდა. ესენი ადგილობრივი წვრილი მოვაჭრეები იყვნენ.

— Ну вот, я тебе говорил, что пока никого не будет,— მოისმა ხმა ისევ საბარგო სახლის გვერდით და გამოჩნდა ორი ახალგაზრდა, ევროპიულად გაპრწყობილი, კაკარდიანი ქუდებით და ლამაზი ჯოხებით ხელში.

— Ничего, соберутся.

— Ах, господи! Что за срам.

— До сих пор, ვერ წარმომიდგენია, კაცო, ну, положение человека!

— Не дай бог, ни вам, ни нам...

კარგა შებინდდა, ლამპები აანთეს. სადგურის უფროსი თავის სამუშაო ოთახში შევიდა და საქმეს შეუდგა. ხალხიც ცოტ-ცოტად მოგროვდა და მატარებლის მოსვლის წინ თითქმის მთელი დაბის ინტელიგენცია აქ იყო შეკრებილი. უბრალო მოგზაური, მოვაჭრე და დაბალი ხალხი ხომ სალაპარაკო არაა.

აგერ, ადგილობრივი ბოქაული, მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე, ხაზინადარი, მოსამართლე თავიანთი ცოლ-შვილებითურთ. აი, წვრილი ჩინოვნიკობაც. სასამართლოს მწერლები, მწერლების მოადგილეები, სამაზრო სამმართველოს საქმის მწარმოებელნი და გადამწერნი. აი, ადგილობრივი მასწავლებლებიც, თავ-თავი ვაჭრები, ხელოსნები, მედუქნეები. აი, ადგილობრივი თავადაზნაურობაც, კოხტად გამოწყობილნი, და მათი ქალიშვილები, მანდილოსნები. ერთი სიტყვით, ერთგვარი, უფერული და წვრილმანი ცხოვრების ცოტა გამანიავებელი ეს კურთხეული სადგურია მატარებლის მოსვლის წინ.

— კნიაზ ვახტანგს ვახლავარ, — ეუბნება საქმის მწარმოებელი.

— იცოცხლე, — პასუხს უგებს თავადი ვახტანგი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული, თითქო ერთი წუთიც და მტერს ხმალდახმალ უნდა დაერიოსო.

— გაიგეთ, კნიაზ?

— როგორ. არა?

— ღმერთო ჩემო, რა სირცხვილია.

— აბა, ქალები სანდო არაა.

— ნადვორნი სოვეტნიკობა წრეულს ვიიღო იმ კაცმა. რა კარგად ჰქონდა საქმე დაყენებული.

— არა, სოლომონ ივანეს ძევ! თანახმა ვარ, ყველანი ადამიანები ვართ, — ეუბნება ერთი მოხელე მეორეს, — მაგრამ ადამიანი შეცთეს და შერე როგორ. ისეთი ქმარი გასცვალოს ვიღაც...

—მიუსწვრია, ა.... მართლა მიუსწვრია? სტეფანე ლაზარეს ძევ, ნუ ვეუბნები.

— Честное слово, Егор Василич, как есть...

— ხა, ხა, ხა, ლამაზი ბიჭი კია, რა ვუყოთ, რომ ხუთმანეთიანი მწერალია, — თითქმის ყურში უჩურჩულებს სტეფანე ლაზარეს ძე იაგორ ვასილის ძეს.

— ფუ, თვალები დაუდგეს მაგისთანა სისაძაგლეს, — ეუბნება კნეინა ელისაბედი მომრიგებელი მოსამართლის ცოლს.

— რას მეუბნები, გენაცვალე, მომკვდარიყო, ჯობდა.

— დარია პეტრეს ასულო! ქმარ-შვილი ნუ მოგიკვდება, მის მაგივრად მე მრცხვენია.

— ხომ უყურებ, კეკელა, როგორ წუწუნებენ სხვის შეცდომაზე, — ეუბნება ვაჭარ საბას ცოლი ვაჭარ კახაბერის ცოლს და ჩუმად უთითებს მოსამართლის ცოლზე.

— ხი, ხი, ხი, — იცინის კეკელა და საბას ცოლს წარბს უბზიკებს. — ბედნიერები, ასე ჩქარა დაავიწყდათ თავიანთი ე...

—Оскорбительно, господа, для целого человечества, каронная служба посрамлена! Долой таких негодяев... Ну да, я вам доложу, в двадцать четыре часа... ну да...— ფიცხობს მაზრის საპმართველოს მდივანი.

— დიდი ხანია, ძმაო, ყველამ ვიცოდით, მაგრამ დღემდი კრინტი არავის დაუძრავს. თითქო საბრალო გაგიშვილის ვეტი არავინ შემცდარიყოს. ვიტროფანე კუზმას ძის ცოლთან. ორმოცდაათი წლის კაცმა თექვსმეტი წლის გოგო შეირთო და მაშ რა იქნებოდა,—ჩუმად უპასუხებს ჩინოვნიკი მიხეილ ანდრიას ძე მდივანს.

—Ну что из этого, Михаил Андреевич, веи, так сказать, и я тоже почти вдвое старше своей жены... виноват, сейчас, Иосиф Титич, иду!

— ვაი, შე უბედურო, — ჩუმად მიაყოლა მიმავალ მდივანს მიხეილ ანდრიას ძემ, — არც კი იცი, შენ თავზე რა ამბავია: ჩქარა შეიძლება შენც დაიჭირო მიმინო.

მატარებლის მოსვლა თანდათან ახლოვდებოდა. ზოგი ბილეთის აღებას ჩქარობდა, ზოგი გასაგზავნი ბარგის ჩაბარებას.

— Берегись, ხაბარდა!! — ყვიროდა რკინიგზის მუშა და სადგურის წინ კირდასხმულ სწორ იატაკზე ბარგით სავსე, ხელით სატარებელ მარხილს მიაგორებდა.

— ანტონია, ეს ხაბაკები. აი იქ, მესამე კლასის ზალაში შეიტანე და ეს ყუთი კი სასწორს ახლო მოუდევი, — ისმოდა ერთი მოუთმენელი ხმა.

— ადრე წავიდეთ-მეთქი, რამდენი გეხვეწე, — ცხარობდა მეორე, — არ დამიჯერე და ახლა საცაა მატარებელი მოვა და რომ ვერ მოვასწროთ.

სალაროს წინ ხალხი მიჯგუფულიყო და მოლარე გაჩქარებით ბილეთებს არიგებდა.

იქვე თამამად გამომყურე ჟანდარმი იდგა.

—ახ, ღმერთო ჩემო,—უკმაყოფილოდ წარმოთქვა ჟანდარმმა—ბა რას ჩქარობ. ვერ მოასწრებ, გგონია? — უთხრა ერთ გლეხს, რომელიც შეჯგუფულ ხალხს ლურსმანივით ერჭობოდა, რომ ბილეთი ჩქარა აეღო.

ჟანდარმის ნათქვამი, რასაკვირველია, ვერ გაიგო და ისევ ზოუსვენრად, დაიწყო აქეთ-იქით ტრიალი. ჟანდარმმა ხელი მოკიდა და ისევ გაუმეორა.

— კაცო, ნუ ჩქარობ, მოასწრობო, გეუბნება, — აუხსნა ერთმა მგზავრმა, რომელსაც ხელში ერთმანეთში არეული სპილენძის და ვერცხლის ფული ეჭირა და ბილეთის აღებას სრულებით არ ჩქარობდა.

— რა ვიცი, ბატონო, ხამი კაცი ვარ, რომ დამაგვიანდეს!

— რას ამბობ, — სიცილით მიუგო მგზავრმა.

— ოჰო, კაი დროზე მოვსულვართ, კინაღამ დამგვიანებია.

— ჰა, ეს შენა, თეიმურაზ? — დაიძახა ერთმა ახალშემოსულმა.

— კონსტანტინე? — მიუგო მან.

— საით, თეიმურაზ?

— ფოთში.

— მაშ, ორი ბილეთი ჩემთვისაც აიღე, — უთხრა თეიმურაზს კონსტანტინემ.

ხმაურობა-ჩოჩქოლს უფრო და უფრო მოემატა. ზოგი იცინოდა, ზოგი ხუმრობდა, ზოგი ერთიმეორეს გულის დარდს უზიარებდა და ზოგიც იგინებოდა და ილანძღებოდა.

— აჰა, ეს ორი ბილეთი შენ! დიდი ჩხუბი და ჭიდაობა ქე უნდა ამ ოხერის აღებას. ყველა ხელმოკლეობს, ყველა ჩქარობს, ერთმა კაცმა სულ გვერდები დამიმტვრია, — დაილაპარაკა თეიმურაზმა და მესამე კლასის ორი ბილეთი კონსტანტინეს გადასცა.

— გმადლობ, ფული ალბათ არ გინდოდეს, იქნება, — გაეხუმრა კონსტანტინე და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— ფულს შენ კიდევ როგორ გამოგართმევ, გაჭირვებულ კაცს, — სიცილით მიუგო თეიმურაზმა.

კონსტანტინემ უშნოდ ამოიღო ჯიბიდან მთელი მუჭი თეთრი ფულებისა. და ჩქარ-ჩქარა დაუთვალა, რამდენიც ერგებოდა.

— ეს მეორე ბილეთი ვისთვის გინდა? — დაეკითხა თეიმურაზი.

— აი, — ტუჩებით უჩვენა კონსტანტინემ ფარნაზე, რომელიც ერთად მოგროვებულ სხვადასხვა ხაბაკთან იდგა და გულმოდგინედ დარაჯობდა.

— ახალი ბიჭი იშოვნე?

— ივანეს ძმაა!

— ჰა, სახე კი კარგი აქვს, თუ ივანესავით მარჯვე გამოვიდა.

— ორკლასიანი სკოლა დამთავრებული აქვს.

— შე დასაღუპავო, მერე ტურას ბედი ხომ არა გაქვს? მე რა-ბანია ვეძებ და ერთი ბიჭი ვერ მიშოვნია. რა მალამო გაქვს ისეთი.

— არ იცი, რა მალამო უნდა მაგისთანა შემთხვევაში? — დამცინავი კილოთი უთხრა კონსტანტინემ.

— ამ მალამოს მეც ვაძლევ, განა მე მუქთად მიჭირავს ბიჭები?

— ჩხ, ჩხ, ჩხ, — დაქშინა ორთქლმავალმა და სადგურის წინ დაიქუხა და გაჩერდა.

მატარებელი მოვიდა. ყველანი აირივნენ. ვინ ბარგს ეპატრონებოდა, ვინ ვაგონის საფეხურისაკენ მირბოდა, რომ ადგილი ადრე დაეჭირა, ვინ ახალჩამოსულ ნაცნობს ხელს ეჭერდა და ჰკოცნიდა.

ზოგნი ვაგონში ასასვლელ კიბესთან ერთმანეთს შეეტაკნენ. ძირს ჩამომსვლელი ზევით ამსვლელს არ უშვებდა და მაღლა ამსვლელი ძირს ჩამომსვლელს.

— ბატონებო, უნდა დააცალოთ ერთმანეთს, ან თქვენ უნდა მისცეთ გზა, ან თქვენ, თორემ ეს როგორ შეიძლება, — გულმოსულად შენიშნა კონდუქტორმა.

აქ, როგორც იყო, ერთმანეთს გაშორდნენ, მაგრამ მეორე ალაგს სულ უბედურად ერთმანეთს შეეჩეხნენ. ძირს ჩამომსვლელს ორივე მხრივ სავსე, დიდი ხურჯინი მოჰქონდა და ზევით ამსვლელს მოზრდილი კალათი. კალათი და ხურჯინი დაატაკეს ერთმანეთს. ერთი იქით სწევდა, მეორე აქეთ. ესეც არ გათავებულა უაყალ-მაყალ-უჩხუბრად. ყველა თავს იმართლებდა. მტყუანი იყო მხოლოდ საბრალო ვაგონი.

— ეს კაი ადგილი შემხვდა, — სიამოვნებით თქვა კონსტანტინემ და ვაგონის ერთ კუთხეში სკამზე დაეშვა.

— მე ვიცი, ბატონო, როგორ ჯობია. მაშინათვე რომ სული აგეტოტება კაცს, არ ვარგა, უნდა ცოტა მოითმინო. ხალხი მილაგდებაშოლაგდება, მაშინ ადგილსაც ეძებნი.

—ეი, თეიმურაზ! დღეს რაღაც ბედზე მოგვივიდა, თორემ, ამ დასაქცევში დასაჯდომს კი არა, დასადგომ ადგილს ვერ იშოვნი, — უთხრა კონსტანტინემ. — ხაბაკი ყველა არის, ფარნა?

— არის, — მიუგო ფარნამ და თაროებზე დაწყობილი ბარგი დაათვალიერა.

— შენ აქ რაზე ამოხვედი დღეს? — ჰკითხა კონსტანტინემ თეიმურაზს.

— აქ დღეს კი არ ამოვსულვარ, სოფლიდან ᲐᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ.

— ჩარხავ, რაღა, საქმეს. ბევრი გყავს კომისიონრები?

—რათ გინდა,—ტუჩებგაბუტვით მიუგო თეიმურაზმა.—სიმინდის ყიდვას, ჩემო ბატონო, კონსტანტინე, ფული უნდა ბევრი, ფული. ისეთ ხალხთან გვქონდეს საქმე, რომ ადვილად შეიძლებოდეს გაატარო, მესმის, მაგრამ ჩვენში ყველა ვაჭარია. ნახევარი კაპეიკი მეტი თუ მისცა იმ კაცმა, მამაშენიც რომ იყოს, შენ არ მოგყიდის. ბევრფულიანი კაცი არ დაზოგავს; ერთ ალაგას კაპეიკიც იზარალო, ᲛᲔᲝᲠᲔ ალაგას სამს ამოიგებ. ფულია საქმე და აი, თქვენ, მაგალითად, ᲨᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ხელს რათ არ კიდებთ, ღვთის წყალობა თქვენცა გაქვთ, ნდობაც კარგი გაქვთ.

— ათას რამეს ვერ აუვა, ოხერი, კაცი, თეიმურაზ, თორემ კარგია, მოგეცა ღვთის წყალობა, — მიუგო კონსტანტინემ და ფანჯარაში გაიხედა.

მესამედ დარეკეს. ხალხი აირია, გაისმა რამდენიმე გამოსამშვიდობებელი კოცნა.

—ნიკოლოზ ილიას ძევ, არ დაგვივიწყოთ,—მოისმა ქალის ნაზი ხმა. — წერილი მოგვწერეთ.

— ვახთა, ვახთა, — ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოეყო და ტლანქად ყვიროდა ვიღაცა, — ადრე გაეჩქარე, ადრე. დაშავებულ ცხენზე არავინ შეაჯინო.

— Поклон, поклон всем,— ეუბნებოდა ადგილობრივი ცნობილი მოარშიყე ერთ თავის ამხანაგს და ახალგაზრდა ქალებით გარშემორტყმული, ეშმაკური ღიმილით თავს უკანტურებდა ვაგონის დერეფანში მდგომ ყმაწვილს.

— კარგი, კარგი, ჩემს მოსვლამდი ესენი არ მოაწყინო, — ᲨᲘᲣᲒᲝ ამხანაგმა და სიამოვნებით ულვაში წაიგრიხა.

— ხა, ხა, ხა, — ჩაიცინეს ქალებმა.

— ფშვრ... იტ... — დაისტვინა უფროსმა კონდუქტორმა.

— ვო... ო... ი! — დაიყვირა ორთქლმავალმა.

— ფშვრ... ფშვრ... იტ! — განიმეორა ისევ კონდუქტორმა.

— ვო... ვო... ვო... ი! — დაიჭექა ორთქლმავალმა. ერთი წამიც და ბორბლებიც ნელა გადაბრუნდა, ვაგონების შემაერთებელი ჯაჭვები აწკარუნდა, ბორბლები თანდათან სიჩქარით გაგრიალდა რკინის ლიანდაგზე.

— ფრთ, ფრთ, ფრთ, — ქშინავდა ორთქლმავალი და მაღალ და ფართო მილიდან სქელ-სქელ კვამლს უშვებდა.

— ხრ, ხრ, ხრ, — ხრიხინებდა მატარებელი და თანდათან

სადგურს შორდებოდა. ერთი წუთიც, და თვალებიდან მიეფარა. ნასიამოვნები საზოგადოება კი დაიშალა.

მგონი ადვილი მისახვედრია, რომ ზემორე მოხსენებული კონსტანტინე—კონსტანტინე ტომბაშვილი იყო და ახალგაზრდა ბიჭი—ფარნა თოხიტარია. თეიმურაზი ერთი მეორეხარისხოვანი ვაჭართაგანი იყო ფოთში, რომელიც, სხვათა შორის, სიმინდის ყიდვასაც მისდევდა.

— რა ათასი საქმე გინდა, შე კაცო, — ხმამაღლა უთხრა თეიმურაზმა კონსტანტინეს, როცა სადგურს განშორდნენ.—მე შენ ვიყო, მაგ საყასპოს თავს დავანებებ და სიმინდს ხელს მოვკიდებ.

— სიმინდი სიმინდია, კაცო, მაგრამ რა ვიცი, ჩემო ძმაო, ხელახლა სასწაული შეგვექნება. საყასპო, მართალია, ძველებურ მოგებას არ იძლევა, ომიანობის დროს რომ იყო, მაგრამ მაინც კაი მოგებაა. ჩემი ძმა იოსებიც კარგად დახელოვნებულია იმ საქმეში და ახლა მაგას თავი დავანებო და უცნობ საქმეს... ლატარიაში თავი ჩავიგდო? — მიუგო კონსტანტინემ.

—აბა, რა გითხრა, კონსტანტინე, სულ კარგად, ე. ი. დაახლოებით არ მიცნობ, მაგრამ მაინც გაგებული გექნება სანდო კაცი ვარ თუ არა, მიშოვნე ერთი სამას თუმნამდის, ერთ ორასს მეც დავკონკავ და გამოვცადოთ ერთ წელიწადს მაინც. რაც იქნება, ის იქნება, დამერწმუნე... ახლა სიმინდს ისეთი ფასი და მოთხოვნილება აქვს, რომ ამაზე სახეირო საქმე ჩვენში არა არის რა.

— ვნახოთ, ვნახოთ, თეიმურაზ, — მიუგო კონსტანტინემ. — ეს სახუმარო საქმე არ არის. იოსებსაც მოველაპარაკები, ავწონ-დავწონავთ საქმეს.

— Господа, билеты!— შემოიძახა კონდუქტორმა.

კონსტანტინემ და თეიმურაზმა ბილეთები გაუწოდეს.

— შენ იყავი, არ მეგონა დღეს, თორემ ბილეთს არც კი ავიღებდი, — უთხრა თეიმურაზმა კონდუქტორს.

— სულ ერთია, — ცოტა მორცხვად მიუგო კონდუქტორმა, ბილეთები ვამოსჭრა. ორი ბილეთი კონსტანტინეს დაუბრუნა და თან დასძინა: — საით ბრძანებულხართ, ბატონო?

— აქეთ ვიყავი, ჭყონნასაკენ.

— კეთილი... Билеты, билеты, господа!— განაგრძო კონდუქტორმა და მოჰყვა ბილეთების შემოწმებას.

ზოგან ბილეთებს სჭრიდა და უკან უბრუნებდა, ზოგან სჭრიდა და სულ ართმევდა, ვინც მახლობელ სადგურამდე მიდიოდა, ზოგან კი, უბილეთოებისაგან, ფულს ჯიბეში იჩხრიალებდა.

— ასეა, ჰო, პირველად მოდიხარ! — დაუყვირა ვაგონის მეორე კუთხეში ერთ მოხუც გლეხს. — სულ ოთხ აბაზნახევარი ღირს ბილეთი და მე ცხრა შაური მერგება!

— ორი აბაზი და ერთი შაური? — გულშეწუხებულად, ხრინწიანი ხმით მიუგო მოხუცმა.

XXIX

მ ო ს ა შ ვ ა ღ ე

კონსტანტინე ტომბაშვილს ორი დუქანი ჰქონდა ქ. ფოთში. ერთი დიდი მაღაზია, როგორც ეძახდნენ, და მეორე საყასბო. მაღაზიაში ჩაი, შაქარი, დამზადებული ხორაგეულობა, თევზი, ერბო, მინის ჭურჭლეულობა და სხვადასხვა წვრილმანი იყიდებოდა. კონსტანტინეს დუქანი მეზობლებთან შედარებით ერთ საუკეთესო დუქნად ითვლებოდა მთელ ქალაქში.

კონსტანტინე მაღაზიას განაგებდა, მისი ძმა იოსები კი — საყასბოს. გაყოფილი ჯერ არაფერი ჰქონდათ; ორივეს თანასწორი წილი ედო როგორც დუქნების მოგება-წაგებაში, ისე სოფელ ლეტაკარში ოჯახსა და მამულში.

ორთა შუა რიცხვით, ორივე ძმა წელიწადში ოცდაათი ათას მანეთს ატრიალებდა.

მეორე დილას, როცა კონსტანტინემ ფარნა შეიყვანა მაღაზიაში, უკანასკნელი ცქერად გადაიქცა. კარგად გაწყობილი დუქანი ზუგდიდშიაც ენახა, მაგრამ ამდენად ზორბა დუქანსა და ამდენ ჭრელსა და ბლომა საქონელს, ერთად თავმოყრილს, პირველად ხედავდა.

კონსტანტინემ ფარნა თავის უფროს ნოქარს ჩააბარა და თვითონ რაღაც საქმეზე ტამოჟნისკენ წავიდა.

პირველი წამიდან ფარნამ გულმოდგინედ თვალყურის დევნება დაუწყო ვაჭრობას. რა და რა საქონელს როგორ აფასებდნენ, რამდენად აძლევდნენ, როგორ წონავდნენ, ახვევდნენ. მუშტრებს როგორ ეპატიჟებოდნენ და სხვ. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა საანგარიშო რგოლებს; რგოლებზე ანგარიშის ცოდნა დიდიხანია წყუროდა, სიამოვნებით უყურებდა, როცა ვაჭრები რგოლებს ჩქარ-ჩქარა ატკაცუნებდნენ, მაგრამ აქამდე შემთხვევა არ ჰქონია, რომ თვითონაც დაესწავლა. ახლა კი, რაკი უფროსი ნოქრისაგან რგოლების

უმთავრესი საიდუმლო გაიგო, მთელი თავისი არსებით მათ მიეცა; თავისუფალ დროს სულ ვარჯიშობაში იყო და ერთი თვის შემდეგ კარგადაც დაისწავლა.

ორი თვის შემდეგ ყოველივე სავაჭრო საქმეში უფროს ნოქარს თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა. კონსტანტინესა და უფროსი ნოქრის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. პირველს უხაროდა, რომ მის მაღაზიას ერთი ნიჭიერი და საიმედო კაცი შეეძინა და მეორეს ის, რომ ფარნას შემწეობით ცოტა დასვენებას ეღირსებოდა. სხვა ბიჭები, ცოტა არ იყოს, შურით უყურებდნენ ფარნას, რადგან ზოგი მათგანი აგერ რამდენიმე წელიწადი იყო და იმან კი ერთ თვეზე მათ წინ გაუსწრო. მაგრამ ფარნა ისე თავმდაბლად და მეგობრულად ეპყრობოდა ყველას, რომ ძალაუნებურად ყველა პატივსა სცემდა.

— შენი ცოდვა მე არ მინდა, — უთხრა კონსტანტინემ სამი თვის შემდეგ ფარნას. — მამაშენისაგან პირობა ისე მაქვს, რომ ერთ წელიწადს უჯამაგიროდ უნდა იმსახურო, მაგრამ რაკი ასე ჩქარა გაიმართე ვაჭრობაში და საქმეს მუყაითად და ერთგულად ეკიდები. ამ დღიდან, ამავე წელს თუმან-ნახევარი მიჩუქებია შენთვისო.

ფარნას თვალები სიხარულის ცრემლით აევსო.

* * *

ტომბაშვილების საყასბო რიონის პირად იდგა. ივანეს საქმე იყო იქ პირუტყვის კვლა, გატყავება და ასო-ასო აქნა. წონაში და გაყიდვაშიაც ხშირად ეხმარებოდა. თავის საქმეში ისეთი ხალისიანი და მარჯვე იყო, რომ მთელ ქალაქში თითქმის ბადალი არა ჰყავდა. სხვა ბიჭი რომ ერთ ძროხას დაჰკლავდა და გაატყავებდა, იმდენ ხანში ივანე ორს მორჩებოდა. ამიტომ სხვა ყასბებმა გადაბირება მოუნდომეს და ჯამაგირის მომატებას შეპირდნენ. იოსებს შეეშინდა, კონსტანტინესთან მოითათბირა და გადაწყვიტეს წელიწადში თხუთმეტი თუმანი, ტანისამოსი და სასმელ-საჭმელი მიეცათ. ეს კი სოფლელი უსწავლელი გლეხისათვის კარგი ჯამაგირი იყო და როცა ჭყონნაში შეიტყვეს, არა ერთ ბიჭს გაურბინა თავში შურიანმა აზრმა.

— ძაღლის ბედი ჰქონია მაგ ყურუმსაღს. ქე მაინც სხვას რითიმე სჯობდეს, — ამბობდა ერთი.

— ეს ასეა. ძმაო, — ბრძანებდა მეორე. — კაცს რო ღმერთი შეიყვარებს, სულ ყურშა რომ იყოს, მაინც წაწევს და წაწევს წინ. აბა, ივანეზე უგლახესი დაიარებოდა ვინმე ჭყონნაში? უქალამნობით ცხრაფრათ დახეთქილი ჰქონდა ქუსლი. მიტკლის პერანგი თავის

დღეში არ მინახავს მის ტანზე, სულ ხამი ეცვა, ჩოხაზე ხომ თქმაც ბევრია.

— რის ჩოხაო, კაცო! ცივი ღომი არა ჰქონდა მამამისს სამყოფი, — კბილს ილესავდა მესამე.

— მერე, სახლის გადაკეთებაც მოუწადინებია, — უმატებდა მეოთხე.

მართლაც, ნიკოია თოხიტარიან, თავისი ძველებურად, გრძლად დადგმული სახლი დაარღვია და ახალ გეგმაზე გააკეთა. სახლს შუაში ერთი კედელი ჩაუმატა, გააგანიერა და ორი ოთახი გამოიყვანა და ერთი პატარა ფანჯარაც გამოჭრა წინ, თუმცა ფანჯრისათვის ფიცრის გაჭრა კი ენაღვლებოდა. წინ, აივანზე ფიცრის იატაკი დააგო და ჭერიც ფიცრულივე გაუკეთა.

შიგ მორთულობითაც ნიკოიას სახლი ახლა დიდად განირჩეოდა წინანდელისგან. ჭუჭყიანი ᲘᲐᲑᲜᲘᲡ მაგივრად ახლა აბრეშუმის საბნები ელაგა ტახტზე და დურგლის გაკეთებული გალაქული კაკლის ხის ჭახრაკის ფეხებიანი მაგიდა ამშვენებდა კუთხეს.

სამივე მამა-შვილი წინანდელზე უფრო გულმოდგინედ და ᲫᲮᲜᲔᲓ მუშაობდა. ხუთი ქცევა დაგირავებულ მიწას სამიც იჯარით მიუმატეს წელს და ამრიგად რვა ქცევა მიწა დაამუშავეს. მიწა იჯარით აიღეს ერთი მახლობელი სოფლის აზნაურისაგან, რომელსაც ამ საკირბოროტო აზნაურობის საძებრად მეტისმეტად ესაჭიროებოდა ფული, დასაგირავებლად არ შეელია, თუმცა ნიკოიას დაგირავება კი სურდა, და სამი წლის ვადით იჯარით გასცა სამი ქცევა ჭალა ორ თუმნად წელიწადში. სულ უკანასკნელი ქცევა ᲫᲘᲬᲐ წელიწადში ორმოცდაათ ფუთ სიმინდს და ოთხას კონა ჩალას მისცემდა პატრონს. ნიკოია მაინც უზურში მოგებული იყო.

მიწის პატრონმა კი ნიკოიასაგან მიღებული ექვსი თუმანი მეტრიკული მოწმობის გამოტანას დაახარჯა.

* * *

გაზაფხული თავდებოდა. ᲭᲧᲝᲜᲝᲜᲐᲨᲘ ყველაფერი ძველებურად, უფერულად ᲫᲘᲓᲘᲝᲓᲐ. იგივე ხვნა-თესვა, ქორწილ-ტირილი და წვრილმანი მტრობა-მოყვრობა. ჩვენი ნაცნობი წისქვილიც ძველებურად ბრუნავდა და მეწისქვილე მაძინიაც ისევ ძველებურად ᲮᲐᲜ პატარა კეცზე მᲭᲐᲓᲡ აცხობდა, ხანაც პატარა კარდალით სიმინდის ღომს ᲮᲐᲠᲨᲐᲕᲓᲐ.

საღამო ჟამი იყო. წისქვილის ქვემოთ, პატარა გუბის პირად, ორ

ეაქკაცს ტანი დაებანათ და ტანისამოსს იცვამდნენ. კისერზე გრძელ ბაწარმობმული ახალ-ტანდაბანილი ცხენი იქვე ბალახობდა.

ერთი ვათგანი იყო ძუკუ, მეორე ბართლომე.

— სად დაიკარგა ის კაცი ნეტავი? — იკითხა ძუკუმ.

— ვინ?—მიუგო ბართლომემ და ახალუხის ღილების შებნევას შეუდგა.

— სოფრომიაზე ვამბობ, შე კაცო! ერთი კვირაა არა ჩანს.

—გაღმა, სააფხაზოში არ წავიდა? შეეჩვია მაგ მენცარი იქაურობას და...

— ვო, უბედურს, რავა ტყავს გააძრობენ. იმან არ იცის იქაური ადათი. გვარიანი გამოწყობილი ქე მიდის აქედან და შენ ნახავ, უკან პერანგის ამარა თუ არ დაბრუნდეს.

— ამას თქმა არ უნდა, მას თითივით შიშველს ნახავ.

— ვაიმე!—წამოიძახა ძუკუმ,—ჩემი მასრები თუ აჩუქა ვისმე?

— შენი მასრები მიაქვს?

— ჩემი, მაშ! მერე რომელი, ახალი, საგანგებოდ რომ გავაკეთებინე! ნახევარი ირმის რქის და ნახევარი სპილოს ძვლისაგანაა. ოცდახუთი მანეთი ნაღდი ფული დამიჯდა. ვაიმე, თუ გამინაღდა!

— ეს თუ გინდ ხელში გქონდეს. იმას იქ ისე მოულაქუცებენ, თავადიშვილები გვერდზე მოისვამენ, ვის სადღენგრძელოს დალევენ, მოეფერებიან. მერე თხოვნას დაუწყებენ. ზოგი ქუდის გაცვლას შესთხოვს, ზოგი ხანჯლის, ზოგი შენი მასრებისას. სამაგიეროდ, აღუთქვამენ, რასაც მოინდომებს, თითქმის მთელ ოჩამჩირეს დაჰპირდებიან ბღლაზიანად, და შენს სოფრომიას ტიტველს გამოგვიგზავნიან.

— ეხ, ქე ვაინც ნუ მეუბნები, — გააწყვეტინა ძუკუმ. — შენ მანუგეშებდი. მეგონა და რას მეუბნები. მამაჩემმაც ჯერ არ იცის.

— ვო, — გაგრძელებით მიუგო ბართლომემ, ახალუხის ღილკილოების შებნევა გაათავა და წელზე ხელი გადისვა.

— ჯერე არ შეუმჩნევია, მაგრამ თუ გაიგო, ხომ იცი, რა ღრიჭინა ხასიათისაა, ჩხუბს აგატეხინებს. მოყვება ერთ დაუსრულებელ ქადაგებას და, ერთი სიტყვით, გამოგაყრუებს, ბასილი ჭუბურაძე არ მიუვა, თუ ერთხელ დაიწყო. უცხო არ იქნება, იმ სოფრომიამ თუ დამიკარგა მასრები? მეც რო არ მოვიფიქრე, ეს ოხერი, აი ესენი შიმეცა,—ხელი გადისვა ძუკუმ თეთრი, უბრალო ძვლის მასრებზე.— ღმერთო, ჭომკალი, თუ დამიკარგა ის მასრები, მარჯვენა ხელს შირჩევნია.

— ჰეი, სოფრომია ხამია ჯერ, უბედური, თორემ მე რომ ვიყო, თუ ვისმე ვაჩუქე, ვთქვათ, მაგისთანა საქონელი, ხუთ მაგისთანად

ღირდეს ისეთ ცხენს ავაფცქვნი სამაგიეროდ. მაგათი წესი ასეთია. რასაც გთხოვს, უნდა აჩუქო, რასაც თხოვ, უნდა გაჩუქოს. ჰთხოვს, ვაგალითად, მასრებს, ვთხოვ საუკეთესო ცხენს და ვამოვკურცხლავ აქეთ.

— ა, ბაბა, თავისუფალი კაცები, ლამაზად ტანი დაუბანიათ და გემოზე დროს ატარებენ!—მიაძახა ვიღაცამ და მათ თავზე წამოადგა.

— აა... ჩემო კუდა, შენა ხარ? ვო, ბეჩა, არც შენა ხარ, საუ-ბედუროდ, ბარისოფი, იმანაა, რაც უდროოდ დამაბერა, მიგიგნია. ბეჭ, ადგილზე, მიგიგნია, — მიუგო ბართლომეს და უკვე გამოწყობილი, მდელოზე დაჯდა.

— რათ ლანძღავ პატიოსან კაცს, — დაცინვით შენიშნა ძუკუმ.— ეს ახლა კარგად მუშაობს. მისი ყანები, ღმერთმა ნუ მოაკლოს ისეთები მის ჩამომავალს, ფო, ფო, ფო, სხვები ახლა მარგლავენ და ამის სიმინდს პოპორი უსვრია. სიმაღლით ერთ არშინს არ აღემატება, მაგრამ რა ვუყოთ, სიმინდი კი არა, თვითონ კუდაც არ არის ძლიერ მაღალი, მაგრამ მე შენ გეტყვი, ბიჭი არ არის თუ? საშაგიეროდ მის სიმინდს ოქროსფერი გარდაჰკრავს, ოქროსი.

— ჰ, ვ... — რაღაც გაუგებრად ჩაილაპარაკა კუდამ.

— მოდი, მოდი, ერთი ახალი ამბით გაგვართე,—მოიპატიჟა ბარ-თლომემ, კუდამ ბევრი არ იბოდიშა და იმათთან მდელოზე ჩამოჯდა.

— აბა იჩურჩუტე რამე, რამ გაგაჩერა,—გაეხუმრა ძუკუ, ორივე წუღა ჩაიცვა და მდელოზე წამოწვა.

—მე თქვენთან მოვრბოდი, იქნება რამე იჩურჩუტონ-მეთქი და...

— ვაი, შენს კეფას, — მიუგო ბართლომემ და თავში ხელი ჩააფარა.

— ბიკო, ეს ნაბდის ქუდი თავის დღეში არც დაიხევა და არც დაძველდება ნეტავი? — თქვა ძუკუმ და კუდას თავზე ხელი წაატანა.

კუდამ თავი განზე გადაწია და ქუდს ხელი მოჰკიდა.

— არა. ხომ არ წაგართმევ. კაცო! არა. ახლა შენც... — ეუბნე-ბოდა ძუკუ და მისი ქუდისაკენ ხელს იშვერდა.—მართლა გეუბნები, ბასილი ნუ მომიკვდება, მე რაც გავჩენილვარ და შენც გიცნობ, სულ ეს ქუდი გხურავს ზამთარ-ზაფხულ... არა. მაჩვენე, მაჩვენე, მე ნუ მოგიკვდები, ჰა, კარგი, ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება, მინდა ისე.

კუდამ ქუდი გადასცა. ძუკუმ ხელში დაიჭირა და თვალიერება დაუწყო.

— მართლა, რა მტკიცე ნაბადია. ეტყობა სვანური ხელობაა. სად გააკეთებინა ვაგ ყურუმსაღმა. შეეტყობა სიძველე კი. აი, აგერ

კიდეც ქოჩორზე გამოხეულა. ვო, ბართლომე! — დაიძახა ძუკუმ. — აბა, თუ გამოიცნობ: რა მინდაო, — ამბობს ეს ქუდი?

ბართლომემ თვალები ზევით აღაპყრო, ერთიც გიქივით დაიბრიალა, მერე ხელები მიიფარა. ვითომდა ძლიერ დაფიქრდა და თითქო ვიღაც ყურში ეჩურჩულებაო, ნელ-ნელა გაგრძელებით წარმოთქვა:

— ის ქუდი რას ამბობს?

— პო!

ბართლომემ თვალები გადმოატრიალა, სახე დაიგრძელა და სასაცილო გამომეტყველება მიიღო.

— ამბობს, რომ, — უცნაური ხმით დაიწყო მან. — მეც მინდა ცურაობა ვისწავლოო, ოცი წელიწადი სიცხისაგან და წვიმისაგან ქე ვიფარავ კუდას ჯაგარიან ქეჩოსაო, ერთხელ მეც მინდა ვისიამოვნო, უნდა ამ სიცხეში ვიბანაოო. გადამაგდეთ ამ მორევშიო! — ძუკუმ ქუდი გადასაგდებად მოიმარჯვა.

—სუ, სუ, თუ კაცი ხარ, არ გადააგდო, ბასილი ნუ მოგიკვდება, ძუკუ... ეს როგორ შეიძლება! — აწუწუნდა კუდა და ხელი წაატანა.

ძუკუმ კუდა ცალი ხელით გააჩერა და ქუდიანი ხელი განზე გასწია.

— მე რა მიზეზი მაქვს, ხომ უყურებ, ის კაცი ზეციდან იღებს ბრძანებას.

— კუდა ჩაჩუმდესო! — ისევ დაიძახა ბართლომემ. — თუ არ ჩაჩუმდა, ტანისამოსი გახადეთ და ტიტველი გაუშვითო.

— მაშ, კაი მაგას,—წამოიძახა ძუკუმ, ქუდი იქვე გადააგდო და სანამ კუდა გაქცევას ეპასუხებდა, ხელი სტაცა და მდელოზე პირაღმა გააგორა. ბართლომეც მიეშველა და გატიტვლება დაუწყეს.

— ვო, ვო, სუთ, თუ ღმერთი გწამთ, ვა, ვა, ვა,— ზმუკუნებდა კუდა, რაც შეეძლო. იკუმშებოდა და თავს არ ანებებდა, მაგრამ ოთხ ღონიერ ხელს რა წინააღმდეგობას გაუწევდა. სანახევროდ გაატიტვლეს და, როგორც იყო, თავი მიანებეს.

— კარგი ახლა, კუდა, ხუმრობა გათავდა. ჩემო ძმაო, ახლა დინჯად, დარბაისლურად ვიმუსაიფოთ, ერთი გვიამბე, რამდენი ქალ-ვაჟი შეჰყარე წრეულს ერთმანეთს?

— თქვენი მასაფი ამოვარდა, თქვენი დუხი ამოწყდა, — იგინებოდა კუდა და ტანისამოსს ისწორებდა.

— რასაც გკითხავენ, შენ იმას პასუხი გაეცი, ვირიშვილო, თორემ ახლავე დედიშობილა გაგიშვებთ სახლში, — ვითომდა გულმოსულად ეუბნა ძუკუმ.

— თქვენს ღდინსაც რა ვუთხრა, — გააგრძელა კუდამ, — ეს კიდევ სად გაუხევიათ, ამოსაწყვეტები!

— კარგი ახლა, კუდა, — მიუგო ბართლომემ, — ახალს გიყიდით!

კუდამ ეშმაკური თვალებით შეხედა ბართლომეს.

— არ გვეტყვი? ჰო, კარგი, ბევრი იმაშვალე წრეულს? — დაეკითხნენ ისევ.

— არც მაგდენი წრეულს, ბევრი არაფერი, —ამოოხვრით მიუგო კუდამ.

— კუდა, ვო, კუდა, — დაეკითხა ძუკუ იმნაირი კილოთი, თითქო ცხელებით არის ავადაო, — კუდა, კუდა, არ გეგულება სადმე კაი ჩიტები და მტრედები?

— მტრედები და ჩიტები თქვენ ხელში არ არიან? — ბოროტად გაიღიმა კუდამ.

— რა არის, ბაბა, ჩვენს ხელში? — მიუგო ბართლომემ,—ჩვენს ხელში ეხლოლოდ ძველი დედლებია, ზოგი კვერცხსა სდებს, ზოგიც კრუხია, ზოგი წიწილებს ზრდის, მათთან საქმის დაჭერა ხათაბალაა... გასაწყვეტი მამლებიც მუდამ დარაჯობენ.

— კუდა, ერთი კაი მტრედთან საქმეს თუ გამირიგებ,—უთხრა ძუკუმ, — აი შეხედე ცხენსა, ეს ცხენი ფეშქაშ, შენი საჩუქარი იყოს.

კუდამ მართლა შეხედა დაღდასმულ ცხენს და თვალები აენთო:

— ცხენი შენი ხომ არ არის! ბასილი?

— ბასილი კი არა, არ გინდა კიდევ მერაბი? ტურას ფეხი შენცა და შენ ბასილსაც, — მიუგო ძუკუმ.

ბართლომემ გადაიხარხარა.

— ბასილმა სრულ საკუთრებად მაჩუქა მე ეს ცხენი, რასაც მინდა, იმას ვუზამ.

— შენ ოღონდ კაი მტრედი მოსძებნე,—უთხრა ბართლომემ,— და უსაჩუქროდ კი არ დარჩები, ნუ გეშინია... არა, მართლა, მართლა, კუდა, — ხვეწნის კილოთი მიუბრუნდა ბართლომე. — ახლა ამ არეშარეში ვინ გეგულება ერთი კაი ახალი გვრიტი?

— თქვენ თვითონ არ იცით?

— ჩვენ ვიცით, მაგრამ ვნახოთ, აბა, შენც თვალი როგორ გიჭრის.

— გვრიტები ბევრია, მაგრამ ახლა გაიანესთანა გვრიტი...

— რომელი გაიანე? — საჩქაროდ ჰკითხა ძუკუმ.

— ნიკოიას გაიანე ახალი ვარდია, რაღა, — თავის ქნევით თქვა კუდამ.

— ეს კი მართალია!—წამოიძახეს გმირებმა.—არა, ამას თვალი უჭრის, ეტყობა გემოც ჰქონია, კბილები არ უჭრის, თორემ...

— კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ, — გააგრძელა კუდამ. — პატარაობისას მაინცდამაინც ბევრი არაფერი იყო, და ახლა...

— ეჰ, ძმაო კუდა, თუ იმასთან გამირიგებ საქმეს, იმის ტუჩებზე თუ დამაკონებ, აჰა, ძმაო, ცხენი კი არა, ამ სარტყელსაც დაგიმატებ, — ათრთოლებით მიუგო ძუკუმ.

— ნიგვზის მუხურში ნახევარი ქცევა ვიწა რომ მაქვს, ხომ იცი, — თვალების ბრიალით უთხრა ბართლომემ, — თუ ზურაბის შვილი ვარ, ხელწერილით ჩაგაბარებ.

კუდამ ორივეს იჭვნეულად შეხედა.

— რას გვიყურებ ასე, გატყუებთ ბგონია, — მიუგო ორივემ. — ჩვენი მონატყუები აბა რომელი ნახე. შენ ოღონდ საქმე გაგვიწყვე... სიტყვა მიუტანე, პასუხი მოგვიტანე, სალაპარაკოდ გვიშოვნე... იმოსაშვალე, რაღა, და საჩუქარზე ნუ გეშინია, განა საეჭვოა, ან სალაპარაკო! წერა-კითხვა იცის იმ დასაღუპავმა? — ჰკითხა ბართლომეს.

— არ ვიცი, არა მგონია.

— ისეთ ლექსებს მივწერდი, კითხვა რომ იცოდეს, რომა სულ ავათამაშებდი, — დაიკვეხნა ბართლომემ.

— მეორე ბიჭს რომ ასწავლიდა ის ლუგა ყაზახი, გოგოსთვის დაესწავლებინა, არ სჯობდა? ახლა ხომ გამოგვადგებოდა. გოგოს წერილს რომ მისწერ, უფრო გაუხარდება, უკეთესად მოაწყობ კაცი საქმეს, — იბრძენა ძუკუმ.

— აბა, ბორო ყაზახმა რა იცის თოხნის მეტი, როგორ ჯობია! მეთხეს წიგნი რათ უნდა, ისეთი ამპარტავანია მერე ის ბაყაყი, რომ იცოდე, — დაუმატა ბართლომემ.

უკვე შებინდდა. გლეხები ყანიდან შინ ბრუნდებოდნენ.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო, — უთხრეს ზოგიერთებმა. მდელოზე წამოწოლილ აზნაურიშვილებს. გზა ივ ადგილის ახლოგადიოდა, საცა ისინი ისხდნენ.

— იცოცხლეთ, — მიუგეს მათ.

— ის თემო ხომ არ არის იქ, თქვენთან რომ ზის?—თამამად და, ცოტა არ იყოს, ცხარედ დაიძახა ერთმა გლეხმა. შეჩერდა და თოხის ტარზე დაებჯინა.

— ამოსაწყვეტებს ხუმრობის მეტი არაფერი ახსოვთ, — თავისთვის ჩაილაპარაკა გლეხმა და მერე ხმამაღლა წარმოთქვა:—დიდება შენდა, ღმერთო! — მიუბრუნდა კუდას, სხვა გლეხებიც შეჩერდ-

ნენ. — რაც მე შენ დღეს, ძმაო, გიძახე. ორჯერ შენს სახლშიაც ვიყავი, სად არ გეძებე! დღევანდელი დღე წმინდად გავაცდინე. კაცო, რას უყურებ, არ ვიცი? ორი საქენია შენი გასაღობავი, ძმაო, რისთვის არ გააკეთებ, შე საპატიო კაცო! სანამდი უყურებ. თავთავისი წილი ყველამ გააკეთა, შენი მარტო თაგვის კუდივითაა დარჩენილი. სიმინდი ვმარგლოთ თუ ღორებს სისა, სისა ვუძახოთ.

— ვეც შენისთანა მარტოხელი კაცი ვარ, ძმაო, — გამოეხმაურა მეორე გლეხი, — მაგრამ ექვსი საქენი ღობე დავღობე, შე დალოცვილო.

— თუ ხვალ არ გააკეთე, მამასახლისს უნდა მოვახსენოთ, ყველანი ხელს მოვაწერთ, ეს რასა ჰგავს, განა ახლა ღობეზე ჩივილის დროა. სიმინდის მარგვლა ნახევრად მოთავებულია და ღობე კიდევ სრულიად არა აქვს.

კუდა, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი იდგა, თავი ძირს დაეხარა და ტუჩებს ათასფრად აცმაცუნებდა.

— დღეს მინდოდა გამეკეთებინა მაგ ბალაგარი, ვაგრამ არ მეცალა, — იმართლა თავი კუდამ.

— რამდენჯერაა, მაგას რომ ამბობ, ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება! — მოსძახეს გლეხებმა ერთად.

— არა, ვოიცა, — გამოეხმაურა ერთი შავწვერა და სიცხისაგან გაფუთქული გლეხი. — გული კი არ მოგივიდეს, და დღეს რაღა საქმე გქონდა? არაფერი. ბაბა, მე მითქვამს, რომ სულ ჭაბუკობა არ არის, თავის დრო აქვს ყველაფერს. ბრმა და კოჭლი ჩვენც არ ვიყავით და ერთ დროს მათრახის ტკეჩაფის მეტი არაფერი მახსოვდა, მაგრამ ახლა შემოვხედე, რასა ვგევარ.

— ღსათუოდ, უსათუოდ! — დაუძახა იმ გლეხმა, რომელიც პირველად გამოეხმაურა. — თორემ მეტი მოთმენა შეუძლებელია.

— სწორედ, სწორედ! — დაიძახეს სხვებმა და გზას გაუდგნენ.

კუდაპაც წასვლა დააპირა.

— მოიცა, რა მიგაჩქარებს, ასე მალე შეგაშინა ყაზახებმა? ჩვენ არ გყავართ? — გული გაუთამამა ბართლომემ.

— ის კინტირია არ იყო? ისე რომ გტუქსავდა, დამაცადოს მაგან, მაგისაგან პატარაობისას კიდევ მახსოვს. ჩემი ხმალი, ხომ იცი, ბოლოზე ხელს მოავლებ, ტარამდი იღუნება. ხელს რომ გაუშვებ, შურგინს მოადენს, საკლავივით ავკაფავ მაგ ჯანგარა ყაზახს, — დაიქადნა ძუკუმ.

— ოხ, მართლა, ის კინტირია რა მეჯავრება, — კბილების კრეჭით თქვა ბართლომემ. — რა უსვინდისო კაცია. ერთხელ სამი მანეთი

ვთხოვე, მარტო სამი მანეთი, კაცო. საჰი დღის შიგნით მოგცემ-მეთქი, არ მათხოვა. ფული ჰქონდა, ყოველთვის აქვს, მამაძაღლს... მეორეჯერ ცხენი ვთხოვე, გამაცუდა. ახ, მაგის დედის... კაცო, ერთ-ორჯერ მივედი მის სახლში, ვეზობელია-მეთქი, ვიფიქრე. მესამეჯერ რომ მივედი, ასე მითხრა: თუ ძმა ხარ, ჩემ სახლში ნუ მოდიხარო. ახ, ასე პირდაპირ, პირში მომახალა, უზრდელი და გაუთლელი კაცია. ერთი სიტყვით, მხეცია, რაღა. თუ ძმა ხარო, ვაი, დედასა, დროებავ. კინტირია ძმას მეძახის.

— ამდენს რას ლაპარაკობ, — გააწყვეტინა ძუკუმ. — სქინჩო უნდა კისერში ვაგისთანა ვირს და თავი გააგდებინო. ცოლი კი ლამაზი ჰყავს მაგ ყურუმსაღს, კაი გათვითვინებული ქალია, ა... — გაიცინა ძუკუმ და ბართლომეს იღლიაში ჩაუღიტინა.

— კიდეც იმის შეეშინდა,—აღტაცებით მიუგო ბართლომემ, — იმიტომ დამითხოვა მაგ შავმა ყაზახმა. ღვთის წინაშე, ცოტა ქე გვევარშიყე. ხა, ხა, ხა, ხა, — ჩუმად გადაიხარხარა ბართლომემ. — ცოტა რომ... თვალები დავუშტერე და შევუწამწამე, წარბიც ავუბზიკე და ცხვირის ნესტოებიც შევუთამაშე... ჩავაფრინდი, ჩავაფრინდი რაღა. საბრალო, აენთო, ძუძუები აუთანთალდა. აბა. მაგისთანა გაწანგულ-გაჭუჭყიანებულ მხეცთან მაგისთანა ქალი როგორ...

— ღამე მშვიდობისა, ბატონებო, — ამოოხვრით წარმოთქვა კუდამ და წასვლა დააპირა. კარგად იცოდა, რომ ბართლომეს და ძუკუს ნუგეში ბევრ არაფერს გამოადგებოდა და კინტირიას კისერიც ისე ადვილი გადასათლელი არ იყო, როგორც ძუკუ ამბობდა. სიტყვაზე, ეს ძუკუმაც კარგად იცოდა, მხოლოდ პირის გასამშვენებლად დაიკვეხნა. კუდა კი ნათლად გრძნობდა, რომ თუ ხვალ თავის სვედრ ღობეს არ გააკეთებდა, უსიამოვნება შეემთხვეოდა. არც ერთი ღერი სარი არა ჰქონდა და ერთი წკირი წნელიც ჯერ არ მოეძიოდა.

— კუდა, შენ იცი, და მერე ჩვენ ვიცით შენი პატივისცემა, — უთხრეს კუდას ბართლომემ და ძუკუმ.

— ვეცდები, ვეცდები, რაც შემიძლია, — მიუგო კუდამ და გზას გაუდგა.

— დაღამდა, კაცო, შინ წავიდეთ, — თქვა ბართლომეშ.

— მოიცა, რას ეჩქარები, რა ცოლ-შვილი გიტირის, რა კაი სიოა, ცხენმა ცოტა მოიბალახოს, ნეტავ სასროლი წამომეღო, თევზსაც დავიჭერდი, — მიუგო ძუკუმ.

— ნახავ, თუ კუდამ საქმე არ გაარიგა. შენ არ იცი, ის რა მამაძაღლია, თუ ერთხელ შეეჩნდა, სიკვდილივით არ მოშორდება.

— იმ დასაღუპავებმა, ცოტა არ იყოს, გული აუშღვრიეს...

— ეს არაფერია, იმას ხვალ მიაღობავს და გათავდა. რამე საჩუქრები ქე უნდა, გული უნდა გაუთამამო, ხომ იცი, კაცის ხასიათი, ისე მუქთად როდი მოიწადინებს.

— რას მეუბნები, — მიუგო ძუკუმ, — თუ მართლა გაიანესთან გააწყო საქმე, ცხენი ახლა რად დავიკვეხნო, და საჩუქარს მართლა ქე ვიცემ რიგიანს, თუ ბიჭი ვარ.

— მე კი ვხუმრობ, გგონია? იმ ნახევარ ქცევა მიწას, ზურაბის სულს ვფიცავ, ვაჩუქებ, თუნდ შენ გაგიწყოს საქმე. მე ქალის ინტერესი იმდენი არა მაქვს, რამდენიც მაგ ქუსლმოქცეული ყაზახის, მაგ ნიკოიასი. საცაა, შეგვეამოს, რაც კარგი რამ გვებადა, სულ ხელში ჩაიგდო.

— ჰე, შენც ერთი, მაგის მაჰასთან რა მინდა, ნეტავ ის ახლა ზღვაში გადააგდო. მე გოგო მინდა, კაცო, გოგო. ის წითელი ლოყები მინდა დავუკოცნო, იმის ცხელ ძუძუებს მინდა დავეწაფო,—აღელვებულად თქვა ძუკუმ და მთელი ტანით გაიზმორა.

— ოხ, — ამოიოხრა ბართლომემ.—შენ ჯერ ბოვში ხარ, ქალების მეტი რა გახსოვს.

— ან რა ჯობია, ბიჭო, ლამაზ ქალებს. მაგათზე უკეთესი კიდევ იქნება რამე ქვეყანაზე? ერთი ლამაზი გოგო ერთ სოფლად ღირს.

— ეხ, ბევრი მიღამუცებია, ბევრი მიპროშტნია, მაგრამ ხეირი ბევრი აღარაფერი გამოვიდა, დასწყევლოს ჩემმა სალოცავებმა. ხიფათის მეტს ისინი არაფერს შეგახვედრებენ. საცხოვრებელი მაგათ დავაპარკე, მასაფი ამოუვარდა მათ. მაინც, გული რომ ვერ ვოგითმენს, ეგ ოხერი! რომ დაინახავ, ატოკდები მაინც. იცი, რომ მაცდურთან გაქვს საქმე, სულის და ხორცის დამღუპველთან, მაინც თავდავიწყებული იმათკენ მიისწრაფვი. საშინლად გიზიდავს ეგ ოხერი. აქ რაა, ბიჭო, თბილისში უნდა ნახო. კალმით ნახატიაო, იტყვი, ბიჭო. ან რა მსუქანი ქალებია. უფ, უფ!.. ან რა ტანისამოსს იცვამენ. ზოგიერთს ნახევარი ხელი და ძუძუებზე ზევით ბროლივით ტიტველი ხორცი უჩანს, ხო, ხო, ხო, რა მორთულობაა, რა ჩაცმულობა. რომ შეგეყრება მაგისთანა ანგელოზი, ხომ გადაგრევს კაცს.

— ოჰო, ხო! — გაიზმორა ძუკუმ.

— რომ ჩავიდოდით, ა... საქონლის საყიდლად იმ დასაქცევში.... ფაიტონ! დაიძახებ, მორბის ხუთი ერთად. ახედავ და დახედავ ძველი, დახეული ტყავი არ ჰქონდეს, ან ცხენები მჭლე არ იყოს. გამოარჩევ

საუკეთესოს და გასწევ. — საით, ბატონო? გეკითხება. საკითხავად მიგაჩნია? Пошли, красный фанарь... ეჰე. გულისა, გამქონდა რიხინ-რიხინი... გაიხედავ, მეორე დღეს ოცდაბუთიანი ქე გაკლია. ფუი, მაგათი მასაფი. შორიდან რომ უყურებ, მზათა ხარ მართლ. სოფელი მისცე... და ახლო ერთი ფიცარიც დაგეზარება.

— მე კი, ძმაო, — თქვა ძუკუმ, პირაღმა მიწაზე გაიშხლართა, ფეხები გაჭიმა და მთელი ტანი აუთრთოლდა, — მე კი, რა გითხრა, ჩოხას გავიხდი ჰაგისთანა ახალგაზრდაზე. ქმრიანები კი ბანძღია. ხომ გახსოვს, იმ ღამეს რომ გეუბნებოდი. აკი კინაღამ დავიღუპე კაცი, ქე მოვიდა იმისი ქმარი. ღმერთო, ცეცხლი მოუკიდე. ტახტქვეშ გავათენე მთელი ღამე. სულ ერთიანად მტვერში ამოვისვარე. რწყილებმა ხომ შეჭამეს. მოფხანაც ხომ რიგიანად არ შემეძლო... უხ! რა გადამწყდა, კაცო, კაცის ენა იმას ვერ გამოთქვამს. შუაღამეზე მეტი იყო, როგორც იქნა, წამოდგა ყაზახი და გარეთ გავიდა, ძაღლებმა რაღაცაზე ყეფა ასტეხეს, რობუსკენ გადაიწია და კიჟინი მორთო, ალბათ ქურდების ეშინოდა, მე კი ვიდროვე და გავვარდი. ამოდენა დამაკლდა, — ფრჩხილის წვერი უჩვენა ძუკუმ. — ძლივს თავი დავაღწიე.

— ჰერე არ მისულხარ?

— ფუ! ეშმაკი მივიდა მაგასთან. სამჯერ მომატყუა. რომ არ შერცხვება ოჯახდაქცეულს. რა ჩემი ბრალიაო, — სიცილით მითხრა, მერე რომ ვნახე, მოვიდოდა, არ მეგონაო.

კიდევ რამდენიმე ხანი ილაპარაკეს ჩვენმა გმირებმა, მერე ძუკუმ ცხენი დაიპირა, ბაწარი ავშარასავით აურთო და ზედ შეჯდა, ბართლომეც უკან მოიჯინა და შინისაკენ გაითოხარიკეს.

XXX

მუშები და გმირები, მათი გასაჭირები

ივნისის გასულს ნიკოია თოხიტარიას უბედურება ეწია. მისი საყვარელი დედა, მისი ოჯახის ერთგული დარაჯი გარდაიცვალა. ავად დიდხანს არ ყოფილა, არც რამე თვალსაჩინო სატკივარი სჭირდა. თვითონ ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა სიკვდილზე. (წარმოიდგინეთ, მისი საყვარელი ფარნაც არ დაიბარა, რომ უკანასკნელ წამს შეეხედა და გამოთხოვებოდა), სიკვდილის წინ ერთი საათით მეზობლის ქალები სანახავად შემოვიდნენ. ჯერ, როგორც წესი

ითხოვს, სარეცელს მიუახლოვდნენ და დაეკითხნენ: როგორა ხარ, შენი ჭირიმე ჭუჭა, როგორა ხარ?

— როგორ ვიქნები, თქვენი ჭირიმე, — მილეული ხმით მიუგო მოხუცმა. ერთ დროს, როგორც იტყვიან, მართლა წამოსადეგი ქალი ახლა საბანქვეშ მუქის ტოლაღა ეოჩანდა. — როგორ ვიქნები, გენაცვალე, ცუდად კი ვიყავი, შემეშინდა, სათხილო მივიღე, მაგრამ ახლა გვარიანად ვარ, თითქმის მოვრჩი, მგონია. ერთი ხანია ასე კარგად არა ვყოფილვარ.

— ხველა იქნება, ხველა, საუბედურო, სურავანდი! ისეთი უბედური დაგორავს ის სანგარო, რომ კინაღამ ბაღნები დამიხოცა, — თქვა ერთმა.

— ის კაცი, — (იგულისხმა თავის ქმარი მეორემ),—ძლივს დაღოღავს, ტარიელი ნუ მომიკვდება, ღვინის ტიბუ გაუკეთე პილპოლიანი და იმან ცოტა მოუშუშა, თორემ ყურთასმენა აღარა ჰქონდა.

—აი, აი, ჰო! რა დროს ხველაა საუბედურო, ზაფხული და ხველა, წრეულს რაცხა ფარსაგი წელიწადი არაა, — თქვა მესამემ.

ქალები ლაპარაკში გაერთვნენ. სურავანდიდან დარზე გადავიდნენ, დარიდან მომავალ იარმუკაზე, იარმუკიდან აბრეშუმის მაზანდაზე, აბრეშუმიდან კაბებზე, კაბებიდან გასათხოვარ ქალებზე, სასიძოებზე და გაჩაღდა მუსაიფი, ჭორი და მითქმა-მოთქმა.

ავადმყოფმა გაიანე მოიხმო და საჭმელი მოითხოვა. გაიანემ მაშინვე ქათმის კამანაყარი მოარბენინა თეფშით. ცალ ხელში თეფში დაიჭირა, მეორეში კოვზი და მოხუცს კვება დაუწყო. ხანდახან მოხარშული წიწილის ხორცსაც და ცივი ღომის ნატეხსაც შეატანდა ხოლმე.

ამასობაში ერთი მეზობელიც შემოვიდა. თვითონ ნიკოია და მისი შვილები იქვე, ეზოს ქვემოთ მუშაობდნენ. უცბად მოხუცი არაჩვეულებრივ შეინძრა, ნახევრად შეჭმული წიწილის ბარკალი ისევ თეფშზე დააგდო და სანამ მიეშველებოდნენ, კიდეც სული განუტევა. არც კვნესა, არც შეწუხება. ერთი სიტყვით, სანთელივით ბოლომდე დაიწვა: პატრუქი და ქონი დაილია და გაქრა.

ნიკოია თოხიტარიას ოჯახი, ამას წინათ კმაყოფილი და მხიარული, უზომო მწუხარებას მიეცა. ჭუჭა თუმცა მოხუცი იყო, მაგრამ ნიკოიას ოჯახის დედაბოძად ის მიაჩნდა. ჭუჭასავით უანგაროდ ოჯახს ვინღა მიხედავდა. ყველა ჭიმედ განიცდიდა მის დაკარგვას და გაორკეცებული მდუღარე ცრემლი იღვრებოდა მიცვალებულის გვამზე.

რა თქმა უნდა, ნიკოიამ ჩვეულებრივი ტირილი დააპირა, შვილე-

ბი ფოთიდან დაიბარა. დროც ისეთი იყო, რომ საქმის გადადება შეუძლებელი იყო. ერთი რომ, გაცხელებული სამუშაო დღეები მეზობლებს დიდხანს ვერ მოაცლევინებდა და მეორე, სიცხეებისა გამო მიცვალებული წახდებოდა.

— დავიღუპე, რა ცუდ დროს გარდაიცვალა ცხონებული, — ამბობდა ერთი მეზობელი. — არ მივიდე, არ მოვეხმარო, არ შეიძლება, და ამ ორ დღეს თუ არ მივედი ჩემ სამარგლავში, მშვიდობით, ცხენს საბალახოდ თუ გავუშვებ, თორემ ერთ ტაროს ვერ ამოვტეხ.

— ცუდი დრო კია, მართალია, მაგრამ, — ამბობდა მეორე. — მაინც კარგია, ცოტა მოხალისდება კაცი. რა ხანია, ჩვენ სოფელში ტირილი არ ყოფილა. გამოვყრუვდით, ერთი სიტყვით. კარგია, ღმერთმა აცხონოს, თეთრი პერით სოფელი გამოძღება.

— პა, პა, პა, — ეოხუნჯებოდა მესამე მამა ევთიმეს, — გვარიანი როკი წაექცა ნიკოიას.

— ნეტავ ის არ მომკვდარიყო, საწყალი, და მე გინდ...

— შენც ახლა, მამაო, თავის მოკატუნებას ნუ დაიწყებ, ჭუჭას სულ არ მოკლავდი თუ? მის ხნობამდი მივიდე, ბაბა, და თუ არ მოვკვდე, ტუკი დამარტყი და კლდეზე გადამაგდე.

მართალი რომ ვთქვათ, გულის სიღრმეში ევთიმეც ეთანხმებოდა თავის ერთ-ერთი მოწაფის პირველ აზრს.

„საორმოცოს როგორ არ მომცემს,—ფიქრობდა მამა ევთიმე,— თუ ნიკოიამ რაიმე არ გამოიღო, სხვა ხომ ზედაც არ შემოგხედავს. წესის ანაგები ერთი, სულის ფული, აქეთურ-იქითური, ზოგი ხორაგი, ზოგი სხვა რამ, ასე ორთა შუა რიცხვით სამ თუმნიდან ოთხ თუმნამდი ქე უნდა მერგოს. თითქო განგებამ მოაწყო ასე საქმე, — განა არ იცოდა, ჩემი ახლანდელი გაჭირვება?“ გაჭირვება კი მართლა დიდი ჰქონდა: მეოთხე შვილიც სასწავლებელში უნდა მიეცა და მეხუთეც აკვანში ფეხებს აფათურებდა.

ნიკოია თოხიტარია კი გულ-მკერდზე ხელის ცემით თვალაცრემლებული დადიოდა თავის ეზოში და „დავიღუპე, დავიღუპეს“ — იძახდა მწარედ.

იმავ დღესვე შეუდგნენ მზადებას; ბარათების წერას, ფანჩატურის კეთებას, სადაც მიცვალებული უნდა დაესვენებინათ. ადგილობრივ მედუქნეს ოცდაათი ფუთი თეთრი პური შეუკვეთეს. ღვინის ჭაშნიკების მოსატანად აქეთ-იქით კაცები გაგზავნეს. მაკარონი, ზეთი, კუბოს გასაწყობი ფარჩა და სხვა რამეები ფოთში წასულ კაცს დააბარეს და ამგვარად, ერთფეროვან ცხოვრებას მიჩვეულ ნიკოიას ოჯახში ჭუჭას გარდაცვალების მეორე დღეს დიდი ფაცა-

ფუცი იყო. მეზობლის ქალები მოდიოდნენ და მოდიოდნენ მისახმარებლად. ზოგი ნაჯახით და ზოგიც წალდით შეიარაღებული. მამაკაცები სეფას აკეთებდნენ და სახლის გვერდით ორი ადგილობრივი ხურო წიფლის ფიცრებისაგან კუბოს კრავდა, ქალები შავებს ჰკერავდნენ.

მზადება სამ დღეს გაგრძელდა. მეოთხე დღეს ტირილი იყო. დარი კარგი დადგა. ქალი და კაცი ბლომად მოგროვდა. უსმელ-უჭმელი არავინ დარჩა. მაჰა ევთიმეც არ დარჩა გულნატკენი, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ცხოვრებაში, ანგარიშით მოსალოდნელზე ნაკლები მიიღო, მაგრამ სულ არარაობას მაინც ჯობდა.

მოხუცი დაასაფლავეს და ნიკოიას სახლში ცხოვრება ძველებურად გაგრძელდა. ივანე და ფარნა ფოთში დაბრუნდნენ. ნიკოია, პეტრე და ათანასე ყანაში მუშაობდნენ. შინ სადილის გამკეთებლად და ოჯახის თვალყურის მგდებლად მარტო გაიანე რჩებოდა.

— ასე არ ვარგა, შვილო, — უთხრა ერთხელ ნიკოიამ პეტრეს, როცა ნასადილევს ცოტა შეისვენეს ჩრდილში.

— რა არის, ბაბა? — მიუგო პეტრემ.

— ჩვენი ოჯახის საქმე, ბაბა. ჩვენ ნახევარ დროს შინ არა ვართ. ეთელი ოჯახი ერთ გოგოზეა აკიდებული. ისიც სხვისია, შვილო. დღეს და ხვალ გზა უნდა უჩვენო, და რაც ადრე მოაწყობ მის საქმეს, მით უკეთესია. ახლა ჰგავს რაღაცას, თორემ... სამი-ოთხი წლის შემდეგ... თუ მუდამდღე ცეცხლის პირად აჯარგალე, წვინარას დაემგსავსება და არავინ ზედაც არ შეხედავს. ქალიშვილი, ბაბა, ყვავილის მსგავსია. უცბად გაიფურჩქნება და უცბადვე, თუ დროზე შარა არ უჩვენე და არ გაათხოვე, დაჭკნება და მერე ვის უნდა შენი დამჭკნარი ყვავილი.

— ეს მართალია, ბაბა, მეც ბევრსა ვფიქრობ მაგაზე და რაც უნდა დაგვიჯდეს, როგორმე უნდა ადრე გავათხოვოთ.

— ჰო, ამაზე გეუბნები, მაგრამ გათხოვებაც ასე იმპუსავით არ შეიძლება. იმას, ვთქვათ, გაათხოვებ, მაგრამ ოჯახს რაღას უშვრები. უქალო ოჯახი როგორი იქნება. მე და შენ ღომი რომ ვხარშოთ, ეს ვინ მარგლოს?

პეტრე დაფიქრდა, მიხვდა ჰამა რასაც ეუბნებოდა და ერთიც ამოიოხრა.

— რას ხენეში, შვილო, მიხვდი განა ჩემს აზრსა? — სიცილით დაეკითხა ნიკოია.

— მივხვდი, ბაბა, და, ცოტა არ იყოს, შევშინდი.

— რადა?

— არ შევშინებულვარ. ისე, რაღაც ტანზე სხვანაირად გამირბინა. მოკოებით არ ვილაპარაკოთ, პირდაპირ ვთქვათ, საჭიროა, რომ ცოლი შევირთო.

— საჭიროა სწორედ, მე ხომ არ შევირთავ, შვილო, ჩემი დრო გადასულია, ღმერთმა მალე შენი ცოლი მაჩვენოს.

— ო... შენ კი გიხარია, ბაბა, მაგრამ მე კი ცოტა ცოდვად დარჩენილი ვარ. შენ თვითონ კარგად იცი, რომ ყველაზე ადრე მე მოგეშველე. შვილივით კი არა ძმასავით მოგესწარი... რაც ათი წლის შევიქენი, მას აქეთ ხომ ხელში მიჭირავს ეს კოპიტის ტარი.

— ნამდვილია, ბაბა.

— მას აქეთ, რაც შემიძლია, შენ და შენი ღმერთი, თუ რამეში ან ურჩობა, ან ორგულობა, ან ზარმაცობა გამომიჩენია.

— არა, არა, ბაბა, ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი, — თითქმის თვალებ აწყალებულმა მიუგო ნიკოიამ.

— მე ახლა ბაღანა არა ვარ, ბაბა, ოცდამეშვიდე წელში ვდგავარ, მგონია!

— ჰო, ასეა.

— იმ ორს, თუ ღმერთმა მშვიდობით ამყოფა, თავიანთი საქმე ჯერჯერობით კარგად ვიჰყავთ. ცოდვას ვერ ვიტყვი, ივანემ ბევრი შემწეობა მოგვცა. ის იქითკენ არ წასულიყო, ჩვენ დღეს ასე, ცოტა წამოღონებულად, არ ვიქნებოდით. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სულ ხომ ერთნაირობა არ იქნება. ახლა ქვეყანაზე სხვა დროებაა მოსული. ძველად, შენს ბავშვობაში ოცი და ოცდახუთი სული ერთად ვსხდებოდით ერთ ოჯახში სადილათაო, რომ ამბობ, ბაბა, ეს ამბათ, მოწყენის დროს გასართობად კარგია, თორემ ახლანდელ ცხოვრებას არ შეეფერება, ახლა ყოველ კაცს თავდაპირველად თავისთავი ახსოვს, თავისთავი უჭირს. დღეს ძმა ძმაა, მოყვარულია, შემწეა. სულ ჭუდამ ასე ხომ არ იქნება! თავისი ნაშრომი თვითონვე უნდა. მე ახლა ცოლშვილში გავება, ხომ საუკუნოდ ხელ-ფეხი შეკრული მექნება. სიკვდილამდი ხომ ხელს ვერ მოვაშორებ ამ ოხერ თოხის ტარს. სულ მუდამ უნდა ვთოხნო, ვთოხნო და ვთოხნო, სანამ სული არ ამომხდება და მაშინაც...

— ასე გული რამ შეგიშინა, შვილო, — გააწყვეტინა ნიკოიამ.

— არა, ბაბა, დამაცადე. დიდი ხანია, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა და ახლა რაკი შემთხვევა მომეცა, მოხარული ვარ. შიშით, ბევრიც მეშინოდეს, რა გამოვა. შიშზე არ ვამბობ. ვეც მინდა სადმე გავიარო, ერთი-ორი გროში ვიშოვნო. ხელ-ფეხი მეც არ მაკლია. ერთ კაცს, ჩემსავით უსწავლელს, თუ რისამე გაკეთება შეუძლია მეც

შეკიძლებ და სხვები თუ შოულობენ, მეც ვიშვნი რასმე. აი ახლა, ზოგი სოჩისკენ მიდის და კარგა მოგებულიც ბრუნდება. ზამთრობით ჰაინც წავიდე, ისიც კარგია. ვიმუშავებ, შეეხვდები რასმე, ან კარგს, ან ავს, გავიარ-გამოვიარ. ოჯახს თუ მოვეკიდე, მერე საუკუნოდ ერთ ალაგს ულელში ვიქნები შებმული. ვინც გინდა იყოს, თუ გინდა ძმა, სხვისი შემწეობის იმედი, ოცნება და თავის მოტყუება იქნება და მაშინ საცოდავად რომ დავრჩე, ბაბა, მგონია, შენთვისაც სასიამოვნო არ იქნება.

—ვიცი, შვილო, შენ სად აპბოძ, მაგრამ განა მე მაგრე მიყურებ?

— არა, შენზე კი არ ვამბობ.

— თუ გინდ ისინიც, ვიზედაც შენ ფიქრობ, ნიკოია არ მოგიკვდეს, იმის მეტი. სანამ ცოცხალი ვარ, რასაც ვიშოვნით, თანასწორად ყველასია. თანასწორად უნდა გაიყოს.

— მე, ბაბა, — გააწყვეტინა პეტრემ.

— არა, არა, მომითმინე, ჩვენ აქ სიცხეში ვიხრაკოთ და ივანემ და ფარნამ, ფარნა რაა ჯერ, თუ ღმერთმა ხელი მოუმართა საბრალოს ჰო, თუ მათ საქმე იშოვნონ და ჯიბეში მარტო ჩაიჩხრიალონ... აბა, როგორ არა! ეს კი ვერ მივართვი. ჩვენ აქ ვშრომობთ, ისინი იქ, მოგება და ზარალი იქაური და აქაური საერთოა. შენ ამაზე არ შეგეშინდეს, შვილო, ისინიც უსვინდისო კაცები არ არიან.

— შენ სხვანაირად იფიქრე, ბაბა, მე სულ სხვა რამ მინდოდა...

— არა, შვილო, შენ არ მოგიკვდე, იმის მეტი. მე ვიცი, შენ რა გინდოდა. შენ უფროსი შვილი ხარ, ყველაზე მეტი ჯაფა მიგიძღვის, დამერწმუნე, შენი ჯაფა დაფასებული იქნება. ისეთი სულმოკლე ძმები არა გყავს შენ, რომ შენი შრომა რიგიანად არ დააფასონ. ცოლი კი ახლა შენთვის მიუცილებელი საჭიროა, თუ ჩვენი ოჯახის წაქცევა არ გინდა და სანამ გოგოს გათხოვებაზე რასმე ვიტყოდეთ, ჯერ შენს ცოლზეა საფიქრებელი. ცოლს რომ შეირთავ, ერთი ორ წელიწადს გაიანეც მოეხმარება, ოჯახს შეაჩვევს. ერთად უფრო იოლად გამოვლენ. ამ ბოლო სამ წელიწადს უბედურ დედაჩემს რის გაკეთება შეეძლო, თვალყურს ადევნებდა, თორემ სულ გაიანე არ ცხაბარობდა? ახლა კი საჭიროა, იმასაც შრომა ცოტად შევუმსუბუქოთ. გარდა ამისა, შვილო, ორი ქალი ოჯახში ერთმანეთის დარაჯია. ახლა ხომ იცი, სოფელი რა გარყვნილ-გაფუჭებულია. ჩვენ ნახევარ დროს შინ არა ვართ და მარტო ქალი საშიშია. განა ცოტაა ულაქმო კაცი.

პეტრემ არა მიუგო რა.

— ღმერთმა კეთილი დღის ნათქვამი გვიქნას, — ცოტა ხნის

სიჩუმის შემდეგ თქვა ნიკოიამ, თოხის ტარს ხელი მოავლო და ზეზე წამოდგა. — ღმერთმა კეთილად შეგვისრულოს, ისე ტყვიასავით ხომ არ ვეცემი. ჯერ კარგად დავათვალიერებ, გულდამშვიდებით მოვიღებნი: კაი ქალი იყოს, მზითვიანიც, რასაკვირველია, კაი ოჯახის შვილი. მაინცდამაინც თავი რათ დავიმდაბლოთ და ნამოჯალაბის ქალს ან აზნაურის ნაკაცარს რათ მივებათ, — ცოტა არ იყოს ამაყად დაუმატა ნიკოიამ.

* * *

ივლისის პაპანაქება იყო. რიყეში ერთხელ დამარგლულ სიმინდს ხელმეორედ მარგლავენ. დარი ხელს უწყობდა, ალივით მოდებოდნენ პირველი მარგვლის დროს დარჩენილ მავნე ბალახს და სიცოცხლეს უსპობდნენ, რომ სიმინდისათვის რიგიანი ტაროს გაკეთების საშუალება მიეცათ.

ციხის ფერდობზე, სათემო გზის გვერდით, მწვანეზე, ერთი ძველთაძველი ცაცხვი იდგა. მისი მსხვილი ტოტები აქეთ-იქით შორს იყო წასული და ხუჭუჭა ფოთლებით სქლად დაფარული, ვეებერთელა ქოლგასავით ფარავდა არემარეს. განსაკუთრებით ზაფხულში, სიცხის დროს, ვერც ერთი მოგზაური ვერ მოითმენდა, ცხენოსანი იყო თუ ქვეითი, გზიდან არ გადაეხვია და ცაცხვის ჩრდილში არ მოესვენა.

დღეს მის ჩრდილქვეშ მგზავრის შეკაზმული ცხენი არ ბალახობდა, არც ფეხით მოგზაურის დაკეცილი ნაბადი მოჩანდა.

მაშ, ესენი ვინღა არიან, ჩოხაგახდილნი, ახალუხის ღილებგახსნილნი, თავფეხშიშველნი, ნება-ნებაზე რომ გორავენ ცაცხვის ჩრდილქვეშ?

ო, ესენი მგზავრები სრულებით არ გახლავთ, ბატონებო. ესენი ბრძანდებიან ჭყონონას ნუგეში და დიდება, ამპარტავნება და სიქადული ოდიშისა. ესენი გახლავთ ჩვენი გმირები: ძუკუ, ბართლომე და სოფრომია ბარია. დღეს ერთობ შეაწუხა ესენი შეჩვენებულმა სიცხემ და, როგორც იყო, უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და აქ ამოვიდნენ.

— აქ რომ არ ამოვსულიყავით, — თქვა სოფრომიამ და განიერ მკერდზე ხელი გადაისვა, — აქ რომ სული არ მოგვეტანა, შენი მტერი. ხომ წმინდად მოვიხარშებოდით. ჰაინც, ერთი ხანია, წრეევანდელისთანა სიცხე არ მახსოვს.

— ა... — მიუგეს ძუკუმ და ბართლომემ და გაგორდ-გამოგორდნენ გრილ მდელოზე.

— ღმერთო, შენ ააშენე, ვინც ეს ცაცხვი აქ დარგო, — როგორც იყო, წარმოთქვა ბართლომემ. — ჩრდილი ჩრდილია, მაგრამ უნდა ნახო, რა გადასახედავია, სულ მასკური სისინებს და სისინებს. მართლა დალოცოს ღმერთმა, ვინც ეს ხე დარგო, ეტყობა, ნიჭიერი კაცი ყოფილა.

— სამოთხეა, რაღა, — მიუგო ძუკუმ.

— აი, მესმის, აქ, — წარმოთქვა სოფრომიამ, ცალი ხელი მდელოზე დაეჭირა და ისე წამოწოლილი გულდადებით ლაპარაკობდა. — აქ, კაცმა, მესმის, გააშენე კაი სახლი, გვერდით რიგიანი ბახჩა მიეცი, ამ ცაცხვის ირგვლივ ლამაზი სკამები და მაგიდები გააკეთე. ზედ დააწყვე კაი ხაჭაპური, მსუქანი ბეჭი, წითელი ღვინო და მოილხინე და მოილხინე. ჰა, შენი ჭირიმე!

— მეტი არაფერი, შე უბედურო? — დაეკითხა ძუკუ.

— მეტი რა, ჩამოსძახე და ჩამოსძახე ხელხვავი და ხასანბეგურა.

— მეტი არაფერი! — სიცილით თქვა ბართლომემაც. — შავთვალწარბა?

— ოხ! — წამოიძახა სოფრომიამ.—თავი და თავი ქე დამვიწყებია!

— აი, მესმის, ბუეუეიანი ხალიჩა დააგე ამ ჩრდილქვეშ და რომ რიგზე გამოიეუეო და გამოიეღინთო, გაგორდი და გამოგორდი ხალიჩაზე! გაშალე მკლავი, ზედ დაიწვინე და გააგორე და გამოაგორე ხაბურზაკივით, — იბრძენა ძუკუმ.

— ეხ, სად არის, რჯულძაღლი, ეს ფული. ბევრი ფული რომ მოგვცა ახლა, ბევრი-ბევრი ორ თვეზე მოვაწყობ ყველაფერს, — თქვა სოფრომიამ.

— რა თქმა უნდა, უფრო ადრეც, თუ გინდა, — მიუგო ბართლომემ.

— რომ მოგვცა ერთი ათი-ათასი მანეთი, — თქვა ძუკუმ.

— ათი კი არა, ოციც რომ მოგვცა, — მიუგო სოფრომიამ.

— ეხ, თუ ინატრებ, ქე მაინც უნდა ინატრო, ნატვრაც რომ არ იცით, — იწყინა ბართლომემ. — თითქო გეშინიათ მეტი არ მოგვივიდესო. გროშ კაპეიკს გახვრეტილს ვინ გაძლევს და რადგან ნატვრაზეა საქმე, თუ ინატრებ, სიტყვას მაინც შნო უნდა მისცე, მესმის ერთი ხუთი მილიონი ვანეთი.

— ყო, წიე — დაიძახა ორივემ.

— ჰო, ჰო, შენი გულისა, ბიჭო, მაშინ რას ვიზამ, რას ვიზამ, ეწ, ეწ! თავდაპირველად ტატაჩი აბანჩბაიას შავ ცხენს ვიყიდი და

რომ გავიარ ამაღლებას ნობადენში, ა... ჩამოდექით თავადიშვილებო, — აღტაცებით თქვა ძუკუმ.

— ერთი ცხენი, რაღა, ერთს კი არა, ჯოგს მოვრეკავ; ყარაჩიდან, კავკავიდან, ყარაბაღიდან, ქვესკნელიდან, ჯანაბიდან, — ჩამოთვალა სოფრომიამ. — კვირაში შვიდი დღე რომ არის, შვიდ გამორჩეულ სხვადასხვა ფერის ცხენს ცალკე დავაბამ, ცალკე თავლას გავუკეთებ და ცალკე მეჯინიბეს მივცემ და ყოველდღე თითო-თითოზე შევჯდები მორიგეობით: მაგალითად დღეს, ვთქვათ კვირაა, დღეს თეთრ ცხენზე, ხვალ ორშაბათია, ოქროსფერ ცხენზე, ზეგ წითელზე, და სულ ისე...

— მე კი, ძმაო, — აუჩქარებლად გააწყვეტინა ბართლომემ. — ისევ ვაჭრობას დავიწყებდი. გავმართავდი მაღაზიებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ე. ი. ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში. ზუგდიდში კი, რა სათქმელია. მთელ ქუჩას დავიჭერდი და ათ-თხუთმეტ დუქანს ერთად ავიღებდი. ა... წიე, ყა! ღმერთმა გვაშოროს! — მიაძახა ისევ ბართლომემ, თითქოს თავის სისულელისა თვითონ შერცხვაო. — არა, ძმაო, ჩვენ ისედაც გადარეული ვართ, და იმდენი ფულები რომ გვქონდეს, ქვეყნის ცოდვას მოვიკიდებთ, ერთ სოფელს მაინც წმინდად გავანადგურებთ.

— რა გადამრევს, კაცო, — ხმამაღლა თქვა სოფრომიამ.

— გადავირევი კი არა, უფრო მაშინ დავჭკვიანდები. მამაჩემი რომ მუდამ ყმუის. მივცემ ერთ ოცს, თუ გინდ ოცდახუთ ათას მანეთს. აზნაურობას კი არა, თავადობას დავიმტკიცებ. ფულებით რას არ ვიზამ. ხელმწიფიდან მოყოლებული ყველა მიცნობდეს იქნება.

—ეხ, ხუთი შაური მაინც მომცა, ეს ოხერი, თუთუნს ვიყიდდი,— ნაღვლიანად თქვა სოფრომიამ. სამივემ გაიცინა.

— ეხ, ფული ფულია, ოხრად დარჩა,—გადუხვია სოფრომიამ,— ფული კი არა, გაღმა რომ ერთი ქალბატონი ვნახე, კაცის თვალი...

— ოი, შენ გაგისკდეს შენი სიგრძე მიწა, კიდევ რომ იხსენებ გაღმელ ამბავს, — ეოუჭრა ძუკუმ.

— ხომ გეუბნებოდი, შენს მასრებს გაგინაღდებს-მეთქი, — სიცილით მიუგო ბართლომემ.

— აი, ისე გაანაღდოს ღმერთმა ამისი კეფა.

სოფრომიამ ეორცხვად ჩაიცინა.

— ჯერ კიდევ არ იცის ბასილმა, დედაჩემს ქე ვუთხარი.

— შენ, შე უბედურო, ხელი დაგიკლია, თორემ მე რომ შენს

ადგილზე ვყოფილიყავი, ხელცარიელი არ წამოვიდოდი იქიდან, — თანაგრძნობით უთხრა ბართლომემ.

— რა ხელცარიელობა გინდა, კაცო,—თავი იმართლა სოფრომიამ.—რომელი გინდა, აირჩიეო, მითხრა იმ კაცმა, ეს ცხენი გინდა, თუ მთაში რომ მყავს საღარიაო. ასე მითხრა მთელ შეკრებილობაში. მე მაშინ რომ მაჩვენა, იმ ცხენს საღარია ისე ჯობია, როგორც ვე კნიაზი ვეგრელცკი. იფიცა ყველაფერი, როცა მთიდან ჩამოვა, უსათუოდ გამოგიგზავნიო.

— ბიჭო, ანდაზა მაინც დაგავიწყდა! დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო.

— ჰე, ერთი მაინც, რომ დაიწყეს, — უკმაყოფილოდ მიუგო სოფრომიამ. ხომ გითხარით, კაცო, საქმე როგორ იყო, ქელეხი იყო. მთელი აბჟუა იქ იყო შეკრებილი. იმდენ ქალ და კაცთან, იმდენ დიდებულებთან თავადიშვილმა მასრები მთხოვა, უარი როგორ მეთქვა, კაცო, ოდიშისთვის სახელი როგორ გამეტეხა, ცოცხლად ყელი როგორ გამომეჭრა: ჰააიტ, მარჯა! აგრუა, უბედური, ვაჭარიაო, მეტყოდნენ. სამაგიეროდ, კაცო, აქეთ მითხრა თავის პირით, ეს ცხენი გინდა თუ საღარიაო. შენი წყალობა სულ ერთია-მეთქი. ჰო, ეს ქე ვუთხარი, ეს შენ ხუმრობად მიგაჩნია? შენ ვერც მაგას ეტყოდი. როცა ზთიდან ჩამოვა, გამოგიგზავნიო, პატიოსანი სიტყვა მომცა.

— გაანებე თავი, — გააწყვეტინა ძუკუმ. — იმაზე სუდში ხომ არ ვიჩივლებ, რა ვუყოთ.

— მიჩივლე თუ გინდა, რას წაიღებ, — სიცილით მიუგო სოფრომიამ.

— კოჩა თავისი სახლის სიახლოვეს არ გაგატარებს, ოცდაათი ისპოლნიტელნი ლისთი რომ მიუტანო. მე რას ამიწერ, თუკი არ... ხო, ხო, ხო, არა, მოითმინე, — გააგრძელა სოფრომიამ, — სოფრო მოგიკვდეს, თუ აფხაზეთში ზარალი იმერეთს არ აზღვევინოს. ახლა რომ წავალ, ხონში კი ფეხს არ შევდგამ. აპა, პა, სულ ხონი, ხონი, შემოგველია ეს შენი ხონიც... არა, იქით წავალ, ზესტაფონისკენ, საჩხერესკენ. ჭიათურისკენ... მაგრამ როგორ წავალ, გამოვეწყობი გლახაკად, პირს არ დავიბან ერთი კვირა, ჩავიცვამ ფარატინებს, ისე გამოვეწყობი, რომ შემხვდეს ვინმე, შემოხედვაც დაეზაროს. ა... რომ იქით-აქეთ ავათვალიერებ-ჩავათვალიერებ. მოგიკვდეს სოფრომია, ხუთი იმისთანა მასრების საღირალი არ მოიტანოს და არ მოიყვანოს.

— მასრებს ნუ ახსენებ, — გააწყვეტინა ძუკუმ. — ნეტავი იმ აფხაზებს პერანგი არ გაეხადათ შენთვის და...

— ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა ბართლომემ. — სოფრო, დამწვარო, პერანგიც გთხოვეს?

— ჰაი, დაწყევლოს ღმერთმა, აბა, შე კაცო!

— ბიჭო, ვერე რა ჩაიცვი?

— ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ. ჩავიცვი რაღაც ჭინჭი, რაც მომხვდა.

— აუ, უ, უი, — დაიკიჟინა ბართლომემ.

— ტყავი მშვიდობით რომ მოყვა, არ გიკვირს? ა... უ... ო! — მიაყოლა რაც შეეძლო ძუკუმაც.

— აუ.... უ... უი, — არ ჩამორჩა სოფრომიაც და სამთავემ უშველებელი კიჟინი გააბეს. მათი კიჟინი ფერდობს ეფინებოდა და ძირს ხრამში იკარგებოდა.

კიდევ დიდხანს იგორავეს ცაცხვის ძირას ჩვენმა გმირებმა, ბევრი იოხუნჯეს. ბოლოს მზეც გადიხარა და ჩვენს გმირებსაც ჰოსწყინდათ ეს ცუდაობა.

— აბა, ახლა საით წავიდეთ, — თქვა ბართლომემ, წუღებს ხელი მიატანა და ჩაცმას შეუდგა.

— მე იქითკენ წავალ,—თქვა ძუკუმ და ჩოხის ჩაცმას შეუდგა.

— საით? — ჰკითხა სოფრომიამ.

— კუდას გავუარ, ერთი რა ამბავს მეტყვის.

— მართლა, მეც დაბლა ზვინისაკენ ერთი გვრიტი აღმოვაჩინე, მარა, ა... სულ დამავიწყდა, ახლავე უნდა წავიდე.

— ძლიერ კარგია, ა?

— გაიანეს სჯობია?

— ახლა როგორ გითხრა, ვის როგორ მოსწონს. გაიანე ლამაზი გოგოა, თქმა არ უნდა, მაგრამ ორივე ერთად რომ დააყენო, მე ძმაო, მაგას გამოვარჩევდი.

— დაბლა ზვინში ვინ ყოფილა ისეთი, ვისი შვილია! მითხარი, ვინ არი? — დაეკითხა ძუკუ.

— ჯერ არ გეტყვი და თუ გავარიგე საქმე, მერეც შეიტყობ.

— ჯერ არ გაგირიგებია?

— ლუკმა ღომი ხომ არ არის, მოტეხო და პირში ჩაიდვა. შენ, აგერ, კაციც ქე გყავს შეჩენილი, რა ხანია, აგერ ყურის ძირშიც არის, მაგრამ ჯერჯერობით ვერა გააწყვე რა.

— მე... რა ვუყოთ, გარს უბედურება ახვევია.

— იმას რომ ახვევია, ის უნდა იკითხო და... მაგრამ მაშ რის

სოფრომია ვარ, კოჩა ნუ მომიკვდება (კოჩას ხუმრობით ფიცულობ-და), თუ მე მათ საღერღელი არ ავუშალე და საბუდარი არ ავუ-ჩეჩე. ჯერ ისე, რაღა, ვითომ აქ არაფერია, ბელა-კუდასავით შორს, შორს მოვუტრიალებ. ხა, ხა, ხა, ხა, არ მოგიკვდეს იმის მეტი სოფრომია, მაგისთანებში თუ ერთმა ბიჭმა აჯობოს. მერე ისე, ცოტ-ცოტად, შორიახლო, და მერე და მერე...

— სახელი მაინც მითხარი რა ჰქვია?

— დამაცალე. ჯერ არც სახელს გეტყვი. მომითმინე, ჯერ გზა გავკაფო და მერე თუ გინდა შენც გაგატარებ!

— ეხ, თქვე ბავშვებო, უსუსურებო, — დარბაისლად წარმო-თქვა ბართლომემ და წუღაჩაცმული ზეზე წამოდგა. — თქვენ მარტო გოგოები გახსოვთ და მე კი, ვაიმე, ვაიმე, — ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა მან, ძირს დაიხარა და წუღა ერთ ალაგას თითით გა-სინჯა. — ავა, ვა, ვაია, ერთი დღეც, და გაიხევა უსათუოდ. უნდა წავიდე ახლავე ქუთაისი კარბაძის სასახლეში, იქ ერთი სტუმარი მეგულება, კი აქვს ცოტა ჯიბაში, მგონია, თუ ამ წუღის ფასი არ ავაფცქვენი ნარდში ან ბანქოში, ცუდათაა საქმე. ეხ, თქვენ მარტო გოგოებზე ზრუნავთ, და მე თუ მშვიდობა შემექმნა და პაპიშენის სალოცავებმა ხელი მომიმართეს,—შეხედა სოფრომიას,— ერთ ქალბატონთან მინდა საქმე გავარიგო... ხო... ხო... კუ-ჭისა... აბა!.. მართლა რომ კუჭისა, ზურაბის სულს ვფიცავ!... ეჰე, ბიჭო, მაშინ ნახე და, ნახე და იხილე... მიქელი დიაკონი ნუ მომიკვდება, ნა, ნა, ნა, ხომ აღმა დაბრუნდა ჩემი დაღმა დატრია-ლებული საქმე.

— ალბათ, დედიბი * ვინმე იქნება, — გააწყვეტინა ძუკუმ:

— აღუ, შენისთანა ყმაწვილებს არ მოეწონება. სულ ახალ-გაზრდა არ არის, მაგრამ ჯერ ისეთი ეშხიანია ჰამაძაღლი, რომ სულ ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან. ამას წინეთ, — აქ ბეჭები შეათამაშა ბართლომემ, — შემხვდა ერთ ადგილას. ბანქოს თამაში დავიწყეთ. ჩემთან ერგო ამხანაგობა, პირდაპირ დამიჯდა, რაღა. რომ მოვიგეთ და რომ მოვიგეთ, შევუთამაშე თვალები და ჩუმად ფეხიც ისე, რაღა, ჯერ ვითომ უცაბედად წუღის წვერი მის ფეხ-საცმელს მოვახვედრე. რასაკვირველია, მაშინათვე ზრდილობიანად მოვაშორე. ღამე იყო, დროც ხელს მიწყობდა. მერე ისევ ფეხი. ბაბა, ფეხი, — გაგრძელებით თქვა ბართლომემ. — ზურაბის სული-მე, ერთ მილიონად ღირს მაგისთანა შემთხვევაში ფეხი, თვალს

* დედიბი — დედაბერი.

შენც თავი დაანებე, ენაც ვერ იზამს იმას, რასაც ფეხი. ისევ მოვაშორე, რა თქმა უნდა. ოხ! რა გახურებული ფეხი აქვს, კაცო. მიკარება და ალივით მოვეკიდა, მერე ისევ ისე და ცოტა-ცოტაღ და შეიძლებოდა დამეწყო რიგზე საქმე, მაგრამ მასპინძელმა, კარ-გამოკეტილმა, ვახშამი, ვახშამიო, და ქე გაგვაწყვეტინეს. თუ ვოვაწყვე საქმე, ჰეი გიდი, რა ფულები აქვს და რა მდიდარია.

— უი, ჩემო ძმაო, არც თქვენ გქონიათ დაკვანწული საქმე, მეც, მოგიკვდეს ძუკუ, თუ არ გამოვაწყვე საქმე, რაც გინდა დამიჯ-დეს, გათავებული ანგარიშია. მე მივდივარ ახლა.

— ჩვენც მივდივართ, — მიუგეს ორივემ და სამივენი სირბი-ლით, კიჟინით და უმსგავსო სიმღერით სერიდან ჭალაში დაეშვნენ. სოფრომია დაბლა ზვინისაკენ გაეშურა, ბართლომე შინ წავიდა და ძუკუ კუდას სახლისკენ.

XXXI

ერთი პატარა სერის ძირას მიკრუნჩხულიყო თემა ბოჟოკიას ეზო. ეზოს ოდესღაც წკნელის ღობე და ალაგ-ალაგ მუხის ჯებირი ჰქონდა შემოვლებული. დღეს კი წკნელის ღობე ბევრგან წაქცეულ-დამტვრეულიყო და ჯებირი დარღვეულ-დაბნეული. ეზო შორიდან, და თითქმის ახლოდანაც, ტყედ ეოეჩვენებოდა კაცს, რადგან თხმელის ხეებით იყო დაბურული, მხოლოდ დაურღვეველი ღობე და ერთ ალაგას ოდესმე ჭიშკრისაგან დარჩენილი ორი დიდი ბოძი ამტკიცებდა — აქ ვიღაცის ნამოსახლარი იყო, ან ვიღაცა ესახლა.

სახლი კი შორიდან არა ჩანდა, ან რა გამოაჩენდა? ის იყო პატარა, ჯარგვალი, წვრილ-წვრილი, თხელი და უხეიროდ ტყავ-მოცილებული ხეებისაგან აგებული. სახურავი ისლისა ჰქონდა, მაგ-რამ სიძველისა და პატრონის დაუდევრობისა გამო ქარს ბევრგან გაეფხრიწა და ბევრგან ისლიც და ზედ დამამაგრებელი დაგრეხილი წკნელიც უშნოდ გამორიჩხინებულიყო. რასაკვირველია, ასეთი სახურავი წვიმას ვეღარ დაიმაგრებდა და მართლაც, წვიმის დროს თემას სახლშიც ისე მოდიოდა ღვარი, როგორც გარეთ.

სახლის გვერდით პატარა სასიმინდე იდგა, მუხის მაღალ ბოძებზე, დროთა ვითარებისა გამო განზე გადაწეული. სასიმინდე სიმინდის ჩალით იყო დახურული. სახურავი ახლა ალაგ-ალაგ ჩა-ცვენილიყო. სასიმინდეს კარი — წკნელისაგან დაწნული ჩელტი, თავის ალაგას არ ეკიდა, არამედ სასიმინდეს ქვეშ ეგდო, ან რა

საჭირო იყო მისი ჩამოკიდება, როცა სასიმინდეში ამჟამად (ივლისში) ერთი მარცვალი სიმინდი არ მოიძებნებოდა. ივლისამდე რაღა გააძლებინებდა თემა ბოჭოკიას ნამუშევარს, როცა წელიწადში რიგიანად ათ-თხუთმეტ დღესაც არ ანდომებდა მუშაობას.

თემა ბოჭოკია მომეტებულ დროს ცუდაობასა და ლაზღანდარობაში ატარებდა. როგორც ვიცით, ხშირად მაშვლობდა და თუ გაარიგებდა საქმეს, მაშინაც, როგორც საზოგადოდ მაშვლები, ან სულ არაფერს მიიღებდა, ან მარტო ძროხის, ან თხის თავსა და ტყავს.

სანამ ყოფნიდა წლის სარჩო, ხომ ყოფნიდა, და როცა უკანასკნელი მარცვალიც გამოელეოდა, რაც დეკემბერს არ გადასცილდებოდა, თემა დაიწყებდა სესხს ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო კი, როგორც თვითონ ამბობდა, იპარავდა. სიმინდის გარდა გვერდს არ აუხვევდა, თუ მოხერხებულად წააწყდებოდა, გოჟს, ქათამს, იხვს, საბუდარიდან კვერცხსაც არ დაიწუნებდა, და ერთი-ორჯერ, სხვისი შთაგონებით, რადგან თვითონ ვერ გაასაღებდა, მეზობლის ხბოც მოიპარა, ერთხელ ცხენიც და გასამრჯელოდ რამდენიმე აბაზი მიიღო.

სოფელმა მშვენივრად იცოდა რა კაციც იყო თემა ბოჭოკია, მაგრამ ბევრ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან მისი ხელმრუდობისაგან სოფელს მაინცდამაინც თვალსაჩინო ზარალი არ მოსდიოდა. ის თითქმის იმდენს აკლებდა, რამდენსაც მელაკუდა, და ამიტომ ხალხმაც შეტსახელად კუდა დაარქვა, მორჩა და გათავდა, უკეთესი სახელის მოძებნა შეუძლებელი იყო.

საუბედუროდ, ცოლიც ისეთი დაუდევარი შეხვდა, როგორც თვითონ იყო. მის სახლში ბუზის, ჭიანჭველის და ორი მჭლე ლეკვის გარდა არავითარი სულდგმული არ მოიძებნებოდა, არც ძროხა, არც ხარი, არც თხა, არც ქათამი. შვილებზე კი, საუბედუროდ, ქესატად არ იყვნენ. ათი წლის განმავლობაში ხუთი შვილი მიეცათ და ხუთივე ცოცხლები იყვნენ. უფროსი გოგო რვა წლისა იყო; დანარჩენი ვაჟები ერთიერთმანეთზე მოწყოლნი.

ძუკუ თავის სიცოცხლეში პირველად შედიოდა თემა ბოჭოკიას ეზოში. საჭიშკრე ადგილიდან ოცდახუთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ხშირ, ახალგაზრდა თხმელარში ძუკუს თვალწინ წარმოუდგა კუდას ჯარგვალი. ერთადერთი წინა კარი ღია იყო. შუაში ცეცხლი ენთო და რაც შიგ ხდებოდა, შორიდანაც ადვილი გასარჩევი იყო.

კერის პირად, ერთი მხრივ, თემას ცოლი — ერთი მუჭა, ღონე

მილეული ქალი, — ჯორკოზე იჯდა, ტანზე ათასფრად დაკონკილი, ჭუჭყიანი კაბა ეცვა. წინ, პატარა გობით მოხარშული მწვანე ლობიო ედგა და დანაყილი სუნელით აზავებდა. იქვე მისი გოგო, პირდაუბანელი, თმადაუვარცხნელი, რაღაც საარაკო ძონძებში გამოხვეული ცივ ღომს ნაღვერდალზე ხალავდა. კერის მეორე მხრივ თემა იჯდა, მისი განუშორებელი წვეტიანი ნაბდის ქუდით. დანარჩენი თემას შვილები, ყველანი ტიტლიკანები, მთელი თვეებით დაუბანელ-დაუვარცხნელნი, ვარაუდად ეყარნენ, ვინ საცა მოხვდებოდა. მხოლოდ ყველაზე უმცროსი, რომელსაც ჯერ სიარული არ შეეძლო, დედის ახლო, მიწაზე იჯდა, ხელში ფიჩხის ნაჭერი ეჭირა, ხან ფიჩხის ერთ ბოლოს ჩაიდებდა პირში, ხან ორივე ხელით ფათურობდა.

ერთი თვალის შემოვლებით გაარჩია ყოველივე ეს ძუკუმ და რაღაც შეწუხება იგრძნო, მთელი ტანი დაუმძიმდა, მაგრამ ჩქარა გამოერკვა და ხმამაღლა დაახველა.

ლეკვები გარეთ იწვნენ. უცხო კაცის დახველებაზე ზარმაცად თავი ასწიეს და ისევ ძირს დაუშვეს, ეტყობოდათ, ყეფის გუნებაზე არ იყვნენ.

— ვიღაც მოვიდა, — შეშინებულად ჩაილაპარაკა თემას ცოლმა. დასამალავად უკან გაწევა დააპირა და კაბის გასწორება დაიწყო. სამწუხაროდ, ვერც ერთი ვერ შეასრულა, რადგან დასაწევი არსად იყო. ზურგით თითქმის კედელს ეყრდნო. კაბას ცალი ხელით ეზიდებოდა, მაგრამ რაც იყო, მასზე უკეთესად ვერაფერი გაასწორა, მხოლოდ დაცვენილმა და ძალზე დაძველებულმა ჩითმა მეტი გაწევა ვერ აიტანა და ერთი ფარატინიც მიემატა.

— ვინა ხარ? — ცქვიტად დაიძახა კუდამ და კარებში აიტუზა.

— მე ვარ, თემა შინ არი? — მიუგო ძუკუმ, თუმცა თემას ხმაც ესმოდა და კიდევაც ხედავდა.

თემამ, რასაკვირველია, იცნო.

— დია, ბატონო. ძუკუ, აქ მობრძანდით, — შეიპატიჟა კუდამ.

— იქით არა, აქ მოდი ცოტა ხანს.

თემა მაშინვე გაექანა. მის უკან ჯარგვალის კარი ნელა აწკრიალდა და ნელავე მიიხურა.

— რა ამბავია, თემა? — ჰკითხა ძუკუმ და მისდა გასაოცრად, ცოტა არ იყოს მორცხვად; თვითონაც ვერ გაეგო, რად ან ვისი რცხვენოდა.

— ახლა, ჭგონია, უკეთ არის საქმე, — მხიარულად უთხრა თემამ, — მაგრამ. ბატონო, შინ მობრძანდით!

— არა, არა, — მიუგო ძუკუმ და ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიწია, — უკეთ როგორ?

— უკეთ იმიტომ, ბატონო, რომ სანამ მაგ სულკიკილიანი, ბებერი ცოცხალი გახლდა, საქმის გაწყობა ხომ შეუძლებელი იყო. ოხ, რა იყო..... ის... ორ-სამჯერ კი მივედი ისე, ვითომ რაღაც მოვიმიზეზე, მაგრამ, სულმოთარსულმა, მაშინათვე შემატყო, ის ხომ მენცარი იყო. დამიჯინა, რა გნებავთ, რა გნებავთო, მამაკაცები შინ არ არიანო. გოგო ჩემ დასალაპარაკებლად არ გამოუშვა. ახლა რაკი ღმერთმა მისი სული მიიღო და სახლში მარტო გაიანე რჩება, ახლა კი..... ასე..... საფიქრებელი ახლაც არის, ცოტა რამე ეჭვი თუ აიღეს მისმა ძმებმა, სახუმარო არაა. მე რაღაც ეჭვის თვალით ვიყურებენ. მამა კი, ცოდვას არ ვიტყვი, ბოხჩო ყაზახია. ერთხელ ქე მითხრა: მოდი, თემა, ერთი პეტრესთვის ცოლი გამირიგეო. მეც, რასაკვირველია, პირი მოვუქონე, ჯერ ვაქე: ასეთი ხარ, ისეთი ხარ-მეთქი, და მერე დავუმატე — რძალს კი არა, სიძესაც გაგირიგებ-მეთქი. მაინც. როგორც იყო, ვიდროვე და ერთი ორჯერ გავიარე მისი ეზო, ვითომ ისე მომგზაურად და ცოტა სიტყვაც გადავუგდე, მაგრამ ჯერ ძლიერ შორს. პირდაპირ თქმა არ შეიძლება, დაფრთხება, შეიძლება ძმებსაც უთხრას. ჯერ უნდა დავუწყო მთიდან. ზღვიდან, და მერე თანდათან.

— აბა, შენ იცი, ჩემო თემა, და მეც უმადურად არ დაგირჩები. ახლა კი, ეს ხელში დაიჭირე, — უთხრა ძუკუმ, ხელი გაუწოდა და სამმანეთიანი ქაღალდი ხელში შეაჩეჩა.

— ეს არა, ბატონო, საკირო არაა, — მიუგო თემამ, ფულს ხელი მოუჭირა და სიხარულისაგან კინაღამ ცრემლი წამოუვიდა.

— არა, არა, ეს გქონდეს, — ჩაულაპარაკა ძუკუმ, მობრუნდა და შინისაკენ წავიდა.

თემა ბოჭოკია თვალგაბრწყინებული შევიდა თავის ჯარგვალში. ქაღალდის ფული შემუჭული ეჭირა და თითებსაც მაგრა უჭერდა. თითქო ეშინია, ვინმემ არ წაართვასო.

ცოლმა მაშინვე შეამჩნია რაღაც მხიარულება და აჩქარებით დაეკითხა:

— რაო, თოლიგე, რაზე მოვიდა ძუკუ?

— ისე,—იცრუა კუდამ,—ხვალ ნადი გვყავს და მოგვეხმარეო.

— ტყუის, — დაცინვით მიუგო ცოლმა და თემამაც თავი ვერ იმართლა, რადგან ერთი რომ, ბასილს სამარგლავი სიმინდი არ ჰქონდა, რადგან მის მიწებს სხვები ამუშავებდნენ და ხათრისთვის

რამდენიმე ქცევას თუ თვითონ ამუშავებდა, იმას მოჯამაგირეც მოერეოდა; და მეორე, რომ თემას ცოლმაც კარგად იცოდა, რა ყანა-ბოსტნის გულშემატკივარი კაცი იყო ძუკუ მძებრაძე.

— მაინც მითხარი, რაზე მოვიდა? — სულწასულად დაეკითხა ცოლი.

— თო, რას ჩამაცივდი, ისე მოვიდა, სხვასთან გამგზავნა.

— ვე კი ვიცი, რაზე მოვიდა, — ეშმაკურად ჩაიცინა ქალმა. — უი, შენ ერთ დღეს ამბობდი კიდეც, ვიცი, ვიცი!

— თუკი იცი, რაღას მეკითხები! ჩქარა ვახშამი. დაღლილი გარ, — თემას ხელისგულში დაშმუშნული ქაღალდი თითქო ინძრეოდა. თემასაც გულით უნდოდა ცალი თვალით მაინც შეეხედნა ამ თილისმური ქაღალდისათვის. ცოლს იჭვიანად დაუწყო ყურება. აქეთ-იქითაც იჭვიანად მიიხედ-მოიხედა. ხელი მუხლებში ჩამალა, მუჭი ოდნავ გახსნა და ქაღალდს ალმაცერად გადახედა.

ამით, რასაკვირველია, სრულიად გასცა თავის თავი. ცოლი ჩააცივდა, რაღაც ხელში გიჭირავს და მიმალავო. კუდამაც მეტი ვერ მოითმინა და ფული გამოაჩინა.

პირველ წამს კინაღამ თავბრუ დაესხა. ის მანეთზე ზევით აღარა ფიქრობდა და ახლა ჰოი, ბედო და იღბალო! ერთად სამი მანეთი!

— ეს ფული იმან მოგცა? — ჰკითხა თან გაკვირვებულმა და თან გახარებულმა ცოლმა. ახლად შეზავებული ლობიო ერთიც იგეშა და ხის ჯამში გადაალაგა.

— იმან მომცა, მაშ! — ამაყად მიუგო კუდამ. — შენ რა იცი, მე რა კაცი ვარ, აზნაურებს სულ ხელისგულზე ვყავარ.

— შენ რაც კაცი ბრძანდები, ის დიდი ხანია ვიცი, — ცოტა შხამიანად მიუგო ცოლმა. — მაგრამ მე რომ ეს ნოკაბია აგერ-აგერ შემომეხევა, ესეც სარკესავით ცხადია.

— ჰო, შენ სულ შენი კაბა, — გააწყვეტინა კუდამ.

— იმისი ჭირი არ შემეყაროს, რომ აბრეშუმის კაბები მაქვს გამოსარჩევი.

— მეც არ მაცვია მაუდის ჩოხა, მაგრამ ქე დავდივარ.

— შენ, შენ, შენ, — ბრაზიანად მიუგო ცოლმა. — შენ ქე მაინც რაღაცა ქე გაცვია და ვე... აი, ბაღნებსაც შეხედე! ყველანი ტიტვლები ვართ. მეფართლე რომ გამოიარს, ამ ფულით ღსათუოდ ჩითი-ნარმა უნდა ვიყიდოთ და ტანი როგორმე დავიფაროთ, თორემ...

— ფოსტას რაღა ვუყო, ბორჩიკი ყოველდღე რომ მოდის? მე

ეს ფულები ფოსტისთვის მიმაჩნია, მივუგდებ და ცოტა ხანს მაინც ვოვისვენებ.

— ნეტავ ფოსტიანად ინგურში გადაგაგდო. ფოსტა კი არა. შემომხედე, რასა ვგევარ! მეზობლებში ვერ გავსულვარ სირცხვილით. ჭირი ჩემთვის არ არსებობს და წირვა-ლოცვა. ხუთი წელიწადი გავიდა, რაც სატირალში ნათხოვარი კაბებით დავდივარ, ისეთი მეზობელი არაა, ხუთჯერ მაინც არ მეთხოვოს და მეტს არ მათხოვებენ. არა, ფოსტა შარშანაც არ მიგიცია, მაგრამ არ გადვუსახლებივართ.

კუდა დაფიქრდა. ფოსტის გადაუხდელობა კი აწუხებდა, რადგან ვბოქველები საცა კი შეხვდებოდნენ, საშველს არ აძლევდნენ. მაგრამ ცოლის ნათქვამიც სიმართლე იყო. მან დაათვალიერა თავისი შვილები და გული აუჩვილდა.

— კარგი მერე, რაღას კაპასობ, — რაც შეეძლო ლმობიერად უთხრა თემამ. — კარგი, ფართალი იყიდე ამ ფულით,—უთხრა და. რომ უფრო დაემშვიდებინა ცოლი, სამმანეთიანი გაუწოდა.

ქალმა სველი ხელები ჭუჭყიან კაბას ვიახოცა და საჩქაროდ ქმარს ფული გამოართვა.

მეორე დღეს კუდა ნიკოიას სახლისკენ გაემგზავრა.

* * *

ნიკოია თოხიტარიას ეზო წარმოადგენდა ფერდობს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაქანებულს. ჩრდილოეთისკენ მის მეზობლად მისი მოურიგებელი მტრები, მისი ბიძაშვილები სიკოია და გიტინია ესახლნენ. ამ მხრივ ეზოს გასწვრივ ნიკოიას თხრილი ჰქონდა შემოვლებული და ზედ სხვადასხვა ხე დარგული. გიტინია და სიკოიამაც თავიანთ მხრივაც ჯიბრზე თხრილი შემოავლეს და ხეები დარგეს. ამნაირად, მათი ეზოს შუა ერთი ადლის სიგანე ვიწრო ორღობე იყო დატოვებული, რომელზედაც არავინ გარეშეთაგანი არ დადიოდა, რადგან გასასვლელი სათემო გზასთან არა ჰქონდა. ამნაირად, ეს მხარე გარეშე თვალისაგან უზრუნველი იყო. დასავლეთისაკენ იყო მეორე ფერდობი, სადაც ესახლა ერთი გლეხი. ნიკოიასთან გვარიანად განწყობილი. მისი სახლი პირდაპირ დაჰყურებდა ნიკოიას სახლს და ირგვლივაც მინდორი ჰქონდა, მაგრამ ბედზე იმდენად შორს იყო, რომ იქიდან კაცი ვერ გაარჩევდა შევიდოდა ვინმე ამ მხრიდან ნიკოიას სახლში თუ არა, ეს მხარეც უცხო თვალისაგან საშიში არ იყო, სამხრეთისაკენ კიდევ ესახლნენ მეზობლები, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს მხარე დაქანებული იყო

და ნიკოიას სახლიდან მეზობლის სახლები არც კი ჩანდა. ეს მხარეც გარეშე თვალებისაგან უშიშარი იყო. აღმოსავლეთის მხარე კი საშიში იყო. ამ მხრივ ახლო ესახლა ძლიერ კარგად განწყობილი მეზობელი, რომელსაც ნიკოიას სახლ'ში ხშირი მიმოსვლა ჰქონდა. გარდა ამისა ეს მხარე უფრო გაშლილი იყო და ჭიშკარიც აქეთკენ ეკიდა.

კუდა ნელ-ნელა მოდიოდა ნიკოიას სახლისაკენ. დარწმუნებული იყო, რომ არც ნიკოია და არც მისი შვილები შინ არ დაუხვდებოდნენ, არც ვისმე ნაცნობის შეხვედრისა ეშინოდა, რადგან თითქმის მთელი სოფელი ყანაში მუშაობდა. შინ საჯდომად ან სასეირნოდ ვის ეცალა, გამწარებული დროება იყო.

„მაგრამ ვინიცობაა, ეშმაკს თვალები დაუდგება, — გაიფიქრა კუდამ,—რომ მივიდე და შინ დამხვდნენ, მაშინ რას იზამ კუდა! რა პატივსადები მიზეზი მოვიგონო? ცხენი ვთხოვო, ერთი რომ არ მათხოვებს, რომ მათხოვოს, რა ვუყო, საით წავიდე? სად მიდიხარო, რომ მკითხოს? — სიდედრი სულთმობრძავია-მეთქი ვეტყვი, ერთი ბედი, შორებელია და არავინ გაიგებს ტყუილია თუ მართალი. მოციქულად გავგზავნი ვინმესთან? — არავისთან, მრუდე ჩხირის საფასე დავა არა მაქვს. სიძეს ან რძალს გაგირიგებ-მეთქი ვუთხრა, — რიგიანი არავინ მეგულება. მაინც სულ ერთია, ვეტყვი ისე ლიტონად: სასიძო ასეთია, ისეთია, მდიდარია... სასძლო კალმით ნახატია, მზითევი უანგარიშო, უნაგირი, ცხენი, ფული, მამული, დედული... მაგრამ ამ უდროო დროს რატომ მოვიდაო, ეჭვი რომ აიღოს? აიღოს და აიღოს, ხომ არ შემჭამს?“ — ხმამაღლა დაილაპარაკა კუდამ და მარჯვედ გასწია წინ.

მაგრამ რამდენადაც უახლოვდებოდა ნიკოიას სახლს, იმდენად ფერიც ეცვლებოდა და გულიც საშინლად უცემდა. გზაზე ვიღაც ცხენოსანი შეეფეთა. თუმცა ამ კაცს პირველად ხედავდა, მაგრამ მის დანახვაზე კუდა მაინც შეკრთა, აი ეს არის, მეტყვის, — კუდავ, ეიცი საით მიდიხარო, გაიფიქრა მან.

— თუ კაცი ხარ, ლესიჭინის გზა საით არის? — ზრდილობიანად დაეკითხა მგზავრი მისალმების შემდეგ.

— ა... ბატონო, პირდაპირ დაყევი ამ გზას. ოჩხამურს რო გაიარ, ორი გზა დაგიხვდება, ჭარჯვნივ გზა ახალსენაკისაკენ მიდის და მარცხნივ ლესიჭინესაკენ.

— მადლობელი, — მიუგო მგზავრმა, ერთი მათრახიც დაარტყა ცხენს და გზა გააგრძელა. იმ კაცს ქვეყანაზე თუ რამე ნაკლებ აინტერესებდა, ეს იყო ნიკოია თოხიტარია და მისი ასული გაიანე.

მათი სახელი ჯერ არც გაუგონია და შეიძლება თავის სიცოცხლეშიაც არც კი გაიგონოს.

კუდა მიუახლოვდა ბასას სახლს; ასე ეძახდნენ ნიკოიას აღმოსავლეთით მოსახლე გლეხს. ეზოში არავინ ჩანდა. სასტუმრო სახლი დაკეტილი იყო. სამზადი სახლის გამურული ისლის სახურავიდან ბოლი გუნდ-გუნდად ამოდიოდა. შიგნიდან ბასას ცოლის რუსუდანას სიტყვები მკაფიოდ მოისმოდა:

—გაათავე, გაათავე, ჯიმა, მორჩა, მორჩა, დანაყე, დანაყე. აგერ თითქმის შუადღეა.

კუდა მიუახლოვდა ნიკოიას ჭიშკარს. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნიკოიას სასტუმრო სახლის ორივე წინა კარი დაკეტილი იყო. გარეთ, კედელზე, თეთრი, მასრებიანი ახალი ჩოხა ეკიდა. „ა, პეტრეს ჩოხა", — გაიფიქრა კუდამ. ქათმები უთავბოლოდ დარბოდნენ ეზოში. კრუხ, კრუხ კრუხ, — იძახდა კრუხი, წიუ, წიუ, წიუ,—წიოდნენ წიწილები და შრიალ-შრიალით დედას მისდევდნენ. სახლის წინ, ეზოში, მწვანეზე, ერთი ლამაზი წითელი ხბო ბალახს შეექცეოდა. მეორე ჭრელი კი ჩრდილში იწვა და იცოხნიდა.

კუდა შეფეთიანებულად აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქმის ხეებისაც კი ერიდებოდა. სასტუმრო სახლს გვერდით ჩაუარა და სამზადისს შეხედა. კარი ღია იყო. ისლის სახურავიდან ცოტ-ცოტა ბოლი ამოდიოდა.

სახლს საჩქაროდ უკანიდან მოუარა. აქ კი სამშვიდობო იყო. მისი აზრით მავნე თვალი აქ აღარ შეამჩნევდა.

— უხ, — მიახველა კუდამ.

— ვინ ხარ, — მოისმა გაიანეს ხმა და კარებში გამოჩნდა.

კუდას დანახვაზე ერთიც შეკრთა და საჩქაროდ კაბაზე დაიხედა. მაგრამ ჩქარა დამშვიდდა, კაბა თუმცა საშინაო ეცვა, მაგრამ მთელი და სუფთა.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმა კუდა. — ნიკოია შინ არ არის?

— ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო, არ გახლავს.

— არც ბიჭებია?

— ყანაში არიან, რა გნებავდათ?

— მინდოდა, ისე, — გულგრილად ჩაილაპარაკა კუდამ და ზევით აიხედა.

— აქ მობრძანდით... ცეცხლთან გათბით, — შეიპატიჟა ქალმა.

— გათბობა კი არა, შუაგული ივლისია. ქვეყანას ცეცხლი უკიდება.

გოგო გაწითლდა და გაეცინა.

— სადილს ამზადებდე იქნება? — ჰკითხა კუდამ.

— დიახ, ბატონო!

— რა შენი საქმეა სადილის კეთება, შეირთოს პეტრემ ცოლი და აკეთებინოს ღომი და ლობიო. შენ კი ახლა გაქვს დრო, უნდა იმხიარულო, დრო ატარო.

— ვეუბნები, მაგრამ არ მოყავს ჯერე და რა ვუყო,—სიცილით მიუგო ქალმა.

— არ მოყავს რა ლექსია. შენ რომ მოსამსახურედ ეგულები, იმიტომ არ მოყავს. აბა ერთ-ორჯერ უსადილოდ დაარჩინე. ნახავ, მოიყვანს თუ არა. შენ კი ამ ცეცხლის ახლო ფუსფუსით ხელები გაგიტლანქდება. სახე დაგეწვება, ჩაჩანის ქალს დაემსგავსები.

— იქით დაიკარგე, შე დამწვარო, — სიცილით მიუგო გაიანემ და ეშხით სავსე თვალებიდან ნაკვერცხლები გადმოაფრქვია.

— იქით რა, ტყუილს გეუბნები თუ?

— სუ-მეთქი, თორემ დაგწყევლი.

— წყეველით ნუ დამწყევლი, და ერთი წყალი კი დამალევინე.

— ახლავე, — მიუგო ქალმა, საჩქაროდ შინ შებრუნდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ლამბაქზე დადგმული ჭიქით წყალი გამოუტანა.

თემას სრულებით არ სწყუროდა, მაგრამ ერთი საჩაიე ჭიქა წყალი უკანასკნელ წვეთამდი დალია.

— თქვენი წყალი კი მომწონს სწორედ, — სულის მოთქმით თქვა კუდამ. ულვაში შეიხვრიპა და ჭიქა ისევ ლამბაქზე დადგა.

გაიანემ წყლის ქებაზე რაღაც სიცილით ჩაიდუდუნა და ჭიქა ისევ შეინახა.

— მშვიდობით ბრძანდებოდე, გაიანე, ჩემი ნათქვამი გახსოვდეს, ნიკოია და პეტრესთვის ღომის ხარშვას თავი დაანებე. ისეთ ყმაწვილს გაგირიგებ, რომ ო... ფო, ფო, ფო, მაგისთანა ბიჭი დუნიაში არ იყოს.

— იქით დაიკარგე შენი ყმაწვილიანად, მე ჯერ ყმაწვილისთვის არა მცალია, — ვითომდა მორცხვად უპასუხა ქალმა.

— მე ვიცი, გცალიან თუ არა, თემა ისე ადვილად ვერ მოტყუვდება, მშვიდობით, — გაიმეორა მან, ერთი-ორი ნაბიჯი წინ

წადგა და ისე კი, რომ სახლის კედელს არ მოშორებია, რათა მეზობლის სახლიდან არ შეემჩნიათ.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, — მიუგო გაიანემ. — რა გნებავდათ ბაბასთან.

— ჰო, — მიუგო კუდამ, — ბაბასთან კი არა, შენთანაც მაქვს საქმე, კინაღამ დამავიწყდა. ერთმა ყმაწვილმა, კაი ყმაწვილმა, მოკითხვა შემოგითვალა. ისეთი მოკითხვა, რომ ათი ურემი ადგილიდან ვერ დასძრავდა.

— შენ კი მარტო შენი ქუდით წამოიღე? — მოუჭრა ქალმა.

— ჰო, ესეც გამიჩნდა ერთი, ძუკუ მძებრაძისავით რა უნდათ ამ ჩემ ქუდთან, არ ვიცი? ქუდია და ქუდი.—კუდამ ქუდი მოიხადა და ერთიც დაათვალიერა.—მოკითხვა სრულად მეც არ მომიტანია ცოტა, ერთი ბოხჩის ოდენა წამოვიძღვანიე. ჯერ მინდა შევიტყო, მიიღებ თუ არა, და მერე ურმითაც მოგიტან.

— კარგი, გეყოფა ხუმრობა.

— თავს ლაფი დამესხას. თუ ვხუმრობდე.

— სუ-მეთქი. შენ ორ-სამჯერ კიდევ მითხარი მაგისთანები, — ანთებული თვალებით თქვა გოგომ.

— მესამეჯერაც გეუბნები, მეოთხეჯერაც და მეხუთეჯერაც გეტყვი და, ცოლ-შვილს გეფიცები, მართალს გეუბნები, და თუ არ გაჯავრდები, კარგადაც გეტყვი.

— მერე რას უყურებ, რად არ მეუბნები! — დაინტერესდა ქალი.

— ასე თქმა როგორ შეიძლება, რომ გვნახოს ვინმემ?

— ვინ გვნახავს. მერე თუ გინდ გვნახოს.

— შენიანები რომ მოვიდნენ!.

— ჩემიანები არ მოვლენ, სადილი იქით უნდა მივუტანო.

— მაინც ამ მინდორში!

— აბა ცაზე ხომ არ ავფრინდები მე ცეცხლმოკიდებული? — სიცილით მიუგო გაიანემ.

— ნეტავ ახლა აგაფრინა, ქალებს მაინც ცოტა გაკლიათ აფრენამდი, მაგრამ...

—თუ მეტყვი, მითხარი რაც გინდა. თუ არა და მე არა მცალია, მჭადი უნდა ავიღო კეციდან.

— ახლა მეც არ მცალია. ხვალ შემოვალ. ასე, ნაშუადღევს. შინ ხომ არ იქნებიან?

ქალმა თავი გააქნია.

— ნიკოიას კი ნუ ეტყვი, მე რომ დღეს აქ ვიყავი,— ამ სიტყვებით კუდა გზას გაუდგა.

გაიანე მეხლზე ხელდაბჯენილი კერასთან იჯდა და დაფიქრებული რამდენიმე ხანს მიმავალ კუდას უცქეროდა.

თემა კი უფრო დაშინებული ბრუნდებოდა უკან.

ჭიშკრის გარდასვლამდი ტურასავით აქეთ-იქით იცქირებოდა. — ხომ არავინ მხედავსო.

ბედზე არავინ ჩანდა. ბასას სახლისკენ სიჩუმე იყო, მხოლოდ სასიმინდეს ძირში, რომელიც ნიკოიას ჭიშკრის ახლო იყო, ბასას ერთი ხუთისა და მეორე სამი წლის გოგო-ბიჭი თამაშობდნენ. მათ მიმავალი თემა ბოჭოკია შეამჩნიეს.

— კუდა, კუდა, — დაუძახა ბიჭმა, ორივე ხელი პირზე მიიფარა, გაიქცა და სასიმინდეს ერთ ბოძს მიეფარა.

— კუდა, კუდა! — გაიმეორა მეორემაც და ძმის მაგალითს მიბაძა.

ეტყობოდა, ბავშვებს შეენიშნათ დიდების ლაპარაკი თემა ბოჭოკიაზე და მის ზედმეტ სახელზე და ახლა დასცინოდნენ. კუდამ სისხლით სავსე თვალები შორიდან გამოუბრიალა. ამ წუთში მზად იყო, ხელში რომ ჩავარდნოდა ეს ბალღები, კბილებით დაეფხრიწა. მას თავის შეურაცხყოფა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ის, რომ შეიძლება ბავშვების ხმა სახლში გაიგონონ, გამოიხედონ და რამე ეჭვი აიღონო.

ამ დროს კი ოფლში გაწურული ბასას ცოლი ცხელ ღომს მუხის ფოთლებით ამოფენილ კალათაში ალაგებდა ქმარ-შვილისათვის ყანაში გასაგზავნად.

—ორი ოკოგაფილი ჩავალაგე, არ ეყოფათ, ვითომ, სალომე?— დაეკითხა ცოლი ქალიშვილს და ჩაიხედა კალათაში, საიდანაც ცხელი ღომისაგან ორთქლი ბლომად ამოდიოდა.

— ეყოფათ, მგონია.

— აჰა, ერთი ცაფაც მიმიმატებია, — თქვა ქალმა, ტაბაკაზე დაგებულ ერთ ჩოგან ღომს ხელი მოავლო და კალათაში ჩაუმატა.

კუდა ამ დროს სათემო გზაზე გამოდიოდა. აქ კი გული დაუმშვიდდა. დღევანდელი ნამოქმედარის გარკვევას შეუდგა, „მგონი კი გვარიანი თესლი ჩავუგდე გულში. დღეს მეტი ხომ არ ვუთხარი! ერთბაშად არ ვარგა პირში მიძალება. ცოტ-ცოტად მივაჩვიო უკეთესია. თუ გავარიგებდე საქმეს და შემეწეოდეს ჩემი სალოცავები, ხუმრობა საქმეა, მაგისთანა სამმანეთიანს ორ-სამს კიდევ ავაგლეჯ, რა მეხარჯება, არ ვიცი? საზამთროდ შეიძლება კაი ნაბადიც

გადავისკვინჩო მხარზე. — აქ თემამ სიამოვნებით მხრები ასწია. თითქო ნაბადს ისწორებსო. — კარგს ქე იზამს, ოჯახდაქცეული რაიმე საჩუქარსაც გაუგზავნიდეს. ქალების ანკესი საჩუქრებია."

თემამ მეორე და მესამე დღესაც შემოიარა, მაგრამ ახლაც შორი-შორს ელაპარაკა და ნამღვილად რაში იყო საქმე, არ ეააგებინა. იმდენი იმეცადინა, რომ სალაპარაკო ადგილად სიკოია და გიტინიას ეზოსკენ ორღობე აირჩია და მისასვლელად ეზოს უკანიდან საცალფეხო ბილიკი. მართლაც, ეს ძლიერ მყუდრო და საიდუმლო ალაგი იყო, მით უფრო ზაფხულში, როცა ხეები, მაღალი გვიმრა, ბალახი და სიმინდი ერთმანეთს ეხმარებოდა, რომ გარეშე მაყურებლისაგან ეს ადგილი დაეფარა. ამ ორღობემდი მისასვლელი ბილიკიც საიდუმლო აირჩია. ამ ბილიკით ძვირად თუ ვინმე გამოივლიდა და კუდას შეხვდებოდა, მაგრამ თუკი შეხვდებოდა ვინმე, შენი მტერი! კუდაზე მაშინვე ეჭვს აიღებდნენ. როგორც ქურდზე, და საქმე ბოქაულამდისაც მიაღწევდა. ეს კარგად იცოდა კუდამ და რაც შეიძლებოდა თავი ფრთხილად ეჭირა..

მესამეჯერ მოახერხა ორღობეში გაიანეს შეხვედრა. თვითონაც, როგორც იფიქრა, ხელცარიელი არ მოსულა. თან მოიტანა პატარა ლამაზი ყუთი, რომელშიაც ეწყო რამდენიმე ნაჭერი კეთილსურნელოვანი საპონი, ერთი მოზრდილი შუშა მშვენიერი დუხი და სხვადასხვა წვრილმანი, ქალის ზიზილპიპილ-მოსატყუებელი ანკესი, როგორც თვითონ ეძახდა. ეს ფეშქაშიც ბიართვა და რაშიაც იყო საქმე გააგებინა.

ძუკუს სახელის გაგონებაზე გაიანე შეკრთა და პატარა ყუთი, რომელიც კუდამ ხელში შეაჩეჩა, გაუვარდა.

— რამ შეგაშინა? — სიცილით უთხრა კუდამ.

— რას მეუბნები, შე დამწვარო. ჩემი დაღუპვა გინდა! — ძლივს მიუგო გაიანემ.

— დაილოცა შენი სამართალი! — გაიკვირვა კუდამ და პირჯვარი გადიწერა. — ახლანდელ დაღუპულ დროში სიკეთეც რომ არ უნდა ამ ხალხს. ბედსაც რომ არ ნდომობენ. გღუპავ კი არა, გაკეთებ, მგონია, შე კარგამოკეტილის შვილო.

— რას მეუბნები, თემა, ნუ გამაგიჟებ!

— ნეტავ ახლა გაგაგიჟა, რა ძვირად მიღირს.

— შენ გაგაგიჟა. თუ კარგია, — ნიშნის მოგებით მიუგო გაიანემ.

— აბა როგორ ვქნა! კარგს გეუბნები და შენ კი მადლობის შაგივრად. მწყევლი.

— თემა, მე ის, როგორც დადიას შვილი, ცოლად არ შემირთავს.

— რატომ ვითომ?! — გაიოცა თემამ.

— როგორ თუ რატომ, თემა? — უპასუხა გაიანემ. — ის ბასილი მძებრაძის შვილია და მე...

— გაიანე, იცი, რა გითხრა? მე შენ უფრო ჭკვიანი იყავი. მეგონა, — გააწყვეტინა კუდამ. — რა ვუყოთ მერე, რომ ბასილის შვილია? ნეტავ ბასილის ქალიშვილზე ახლავე გვირგვინი დამედგას მე, თემა-კუდას, რომ სრულიად იმისთვის გული არ შევიწუხო, ან ჩემი გოგო გასათხოვარი იყოს და იმაზე ძუკუს ჯვარი გადაწეროს, იმაზე მე შავები არ ჩავიცვა. ბასილმა თუ გინდა სულ ბუქნა ითამაშოს.

— დიდოუ, იქით! — თითქმის მიაყვირა გაიანემ და მერე დაფეთიანებულად აქეთ-იქით მიიხედა, ვინმემ ხომ არ გაიგონაო.

— იქით უნდა წაყვე, ჰო, მა როგორ, — გააჯავრა კუდამ.

— თემა, ნუ გამაგიჟებ, — ათრთოლებულად მიუგო გოგომ. სახეზე ალმური მოედო, თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა.

— გაიანე,—დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო თემამ, — შენთვის ღმერთს სილამაზე გვარიანი მოუცია, მაგრამ ხერხი და გამოცდილება ნაკლები. იმ კაცს შენ შეუყვარდი. შენთვის თავს იკლავს. შენი ჯავრით ღამე არა სძინავს და შენც ხელი უნდა გამოიღო. ხომ გაგიგონია, ბეჟაია ნამოურავმა რომ იცოდა: სანამ თონე ცხელია, ბაბა, პური გამოაცხვეო, განელდება, ვეღარ გამოაცხობო. ახლაა თონე ცხელი და შენ ხელიდან დრო არ უნდა გაუშვა. მაგაზე უკეთეს ბიჭს, ბედაური აზნაურიშვილია ი კაცი, სად იშოვნი!

გაიანეს მთელი ტანი აუცახცახდა, სახე ციებაშეყრილივით აებურძგნა. ხან მორცხვად თემას შეხედავდა, ხან პატარა ყუთს დააჩერდებოდა, ხან აქეთ-იქით მიიხედავდა, მაგრამ სულის სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა. რასაც შეხედავდა, ყველაფერი ორად ან სამად ეჩვენებოდა. თავის ღღეში ასეთი გრძნობა არ გამოუცდია.

საღამოზე თემა ძუკუს მოელაპარაკა და შინ დაბრუნდა. ჯიბეში მეორე სამმანეთიანი ედო.

„უცხო არ იქნება, ის გოგო ძლიერ გაძალიანდეს და მართლა ქმრობა მოსთხოვოს. უიმისოდ არ დათანხმდეს.— ფიქრობდა

გზადაგზა კუდა. — მაშინ ნახე სეირი. ვაი იმის მეტი... ძუკუ მაგაბ ისე მოაღორებს, რომ... განა მაგეთ გოგოებს ატყუებენ. მარა ესეც არის, მოტყუილებისათვის კანონი სასტიკად იქცევაო. ბეჟანიკამ რომ ილაპარაკა: ერთ აზნაურიშვილს გლეხის გოგო ძალად შეართვეინესო. უიმისოდ ღირსებას ახდიდნენო. თო, მაშინ ნახე, თუ დაორსულდა და ცოლად წასაყვანი თუ შეექნა. ნიკოია თოხიტარიას და მის შვილებს მერე ახლოდაც ვერ მჯეკარები... მაგრამ არა მგონია. სანამ ბასილი ცოცხალია, საცხოვრებელს დააგირავებს და ამ ზომამდი საქმეს არ მიიყვანს. მარიკა! ფო, ფო, ფო, თუ შემატყო, რომ მე ვლესავ ამ საქმეს, ვაი ჩემი ცოდვა, როგორ ამიჭრელებენ ზურგს, იმასაც არ დამაჯერებენ... არა, რატომ? არ მოგიკვდეს იმის მეტი თემა, თითსაც ვერ ჩამოაზმანებენ... რა საბუთი აქვთ, რომელი სტატიის ძალით! მაშინათვე კანონს მივმართავ, სულ ბღავილ-ბღავილით წავალ სუდის სადგომისაკენ. ეხ, ნეტავ ერთ სამიანს კიდევ მომცემდეს, თუ უნდა ის შეირთოს და თუ უნდა ძუკნა. კისერიც მოუტეხია იმასაც და იმასაც. როგორც უნდა, ისე მოიქცეს. თემას აქ რა ეხარჯება, არ ვიცი?" ეს ბოლო სიტყვები კიდეც წაილაპარაკა მან და სამმანეთიანი ხელით გასინჯა.

XXXII

გამოცხადებული საიდუმლო. ანგარიში.

გათენდა. ჭყონონა ინეთი სქელი ნისლით იყო დაბურული. რომ ხუთი საჟენის სიშორეზე კაცი ძროხას კამეჩისაგან ვერ გაარჩევდა. ბალახი და ხის ფოთოლი ხშირი ნამით იყო დატვირთული. დღე პაპანაქებას იქადდა.

გიტინია თოხიტარია ეს არის ლოგინიდან ადგა და თვალების ფშვნეტით ნაჯახი მოსძებნა, დაკვირვებით პირი გაუსინჯა და ცოტა ხმამაღლა დაიძახა:

— ელიპაბედ!

— ბატონო, — მოისმა ქალის ხმა.

— ერთი, დოქით წყალი გამომიტანე, ნაჯახი უნდა გავლესო.

სახლის გვერდით მუხის ტლანქად გათლილ როკში ერთი მოზრდილი სალესი სიპი ქვა იყო ჩამაგრებული. გიტინია მივიდა და ნაჯახით ხელში ამ ქვას მოუჯდა.

გიტინია იყო სამოცდახუთი-სამოცდაშვიდი წლის, საშუალო ტანის, მოკლე ხუჭუჭა წვერა მოხუცი. თავზე კრავის ძველი ქუდი ეხურა და ტანზე შინმოქსოვილი შალის მოკლე. სამუშაო ჩოხა ეცვა.

ელისაბედმა, მისმა რძალმა, უფროსი ვაჟის ცოლმა, დოქით წყალი მოუტანა. ელისაბედი იყო მაღალ-მაღალი, გამხდარი, თვალებჩაცვივნული, სახეზე ყვითელი ფერი გადაჰკრავდა. ერთ დროს ეტყობოდა გვარიანი ლამაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შვილების ზრდას, ციებას და კიდევ სხვა მიზეზებს ისე დაეკნო და მოეშალა, რომ კაცს ჭლექიანი ეგონებოდა.

— მახაზიამ არ გაიღვიძა კიდევ? — ჰკითხა შამამთილმა რძალს.

— არა, ბაბა.

— იაკობა და ანდრიასაც სძინავთ?

— დიახ, ბაბა.

— ახლა, რაკი მარგვლა გავათავეთ და ცოტა მოგვეშვა, მოდგებიან და მთელი დღე იძინებენ. მარგვლა მარგვლაა, შვილო, მაგრამ, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა გიტინიამ, — თუ შეშაც დროზე არ მოიმზადე, შენი სიმინდი რათ გინდა. ზამთარში საჭმელს რა გემო აქვს, თუ ცეცხლს გულ-მკერდი არ მიუფიჩინე.

— გავაღვიძებ, ბაბა, თუ გინდა.

— არა, — მიუგო მოხუცმა, ნაჯახის პირი ქვაზე დაადო, ზედ წყალი დაასხა, ერთი ხელი ნაჯახის ტარს მოკიდა, მეორე ხელის თითები ნაჯახს სიფართეზე დააჭირა და ქვაზე წაუსვ-წამოუსვა.

ხიჭი, ხიჭი, ხიჭი, ხიჭი, — გაჰქონდა რკინის ქვაზე და მოხუციც ყოველ წასმა-წამოსმაზე თავს აკანტურებდა.

—ბაბა, რაღაც მინდოდა შენთვის მეთქვა და თავისუფალი დრო ვერ ვიშოვნე, — ნელა უთხრა ელისაბედმა, რომელიც მამამთილის ახლო იდგა.

— რა ყოფილა, შვილო?! — გაოცებით ჰკითხა გიტინიამ, ქვაზე წყალი დაასხა და ნაჯახი მეორე მხარეს მიაბრუნა.

— ცუდი არაფერი, ბაბა, ჩვენთვის, — ბოროტი სიცილით მიუგო რძალმა. სახე გაუბრწყინდა, მიმქრალი თვალები უელვარებდა და სახეზე ერთმანეთში არეული ჯავრი და სიხარული ეხატებოდა. — ჩვენოვის არაფერია საწყენი და იმათთვის კი, — ანიშნა ნიკოიას სახლისაკენ და მორიდებით აქეთ-იქით მიიხედა, ყურს არავინ გვიგდებდესო.

— რა ყოფილა, ბაბა? — ჩურჩულით დაეკითხა მამამთილი. ორივე ხელი ნაჯახს დააჭირა და ტანგადახრილი გაჩერდა.

— ჯერ მახაზიასათვისაც არ მითქვამს, ვოი, შური საყვარელი, — გულზე ნუჭის მიბრახუნებით გააგრძელა ელისაბედმა. — ცოტა რამე რომ შეიძინეს, ახლავე თავი მოიჩიკინეს ქაცილაშივით * გაიბერნენ, მაგრამ...—უკანასკნელ სიტყვას კბილები დააჭირა ელისაბედმა.—ღმერთო, შენით, გვარიანი დაღი მიეკვრებათ, მგონია.

— რა არის, ბაბა, რა, ჩქარა მითხარი. — სულმოკლედ დაეკითხა მამამთილი.

— სასთაული ვნახე, ბაბა, სასთაული. — სიამოვნებით ამოიხვნეშა ელისაბედმა და განაგრძო: — სუსა ხაბარდაიას ქალს ნერჩის ლოცვა რომ ჰქონდა, ხუთშაბათი არ იყო?

მამამთილმა არა მიუგო რა, ის მხოლოდ დაკვირვებით და მოუთმენლად უგდებდა ყურს.

— კაი ნერჩის ლოცვა ჰქონდა სუსას, მოვედი იქიდან თუ არა. ინდაურები ვერა ვნახე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი — ვერსად ვერ ვიპოვე. მაშინ საისლესკენ გავიარე. ხორო ატმის ძირს ცოტა ხანს გავჩერდი. ერთი-ორი ატამიც გავთალე და ყური დავუგდე, შეიძლება ინდაურის ხმა გავიგონო-მეთქი. ამ დროს რაღაც ტკაცუნი მომესმა. მივიხედე და საისლეს ქვემოთ ერთი კაცი ღობეზე ფრთხილად გადადიოდა. მე მაშინათვე ჭველონში დავიმალე და იქიდან თვალყურის დევნა დავუწყე. რომ მომიახლოვდა, ვიცანი, თემა ბოჭოკია იყო, ხელში რაღაც გახვეული ეჭირა.

—თემა ბოჭოკია?! საიდან ამოვიდა?! ავავაია, დავღუპულვართ, ინდაურებს კი არა, არაფერს არ შეგვარჩენს. მაშინათვე რათ არ მითხარი, მამასახლისთან გავიქცეოდი, წერალს შევეხვეწებოდი. — დამფრთხალად გააწყვეტინა გიტინიამ.

—ღამაცადე, ბაბა, აქ სხვა საქმეა. ვადევნე თვალი. ეს შენი თემოია კუდა გადაჩოჩდა მეორე ღობეზე და ჩვენ და ნიკოიას შუა ორღობეს შეყვა. მე მაშინათვე, ილარიონი ნუ მომიკვდება, მაშინათვე მივხვდი, თუ რაში იყო საქმე და ფეხაკრეფით ავყევი. ჩავედი ოფურჩემდი ** და იქ მივიმალე. არ მოვტყუვდი, დედიჩემის სულს ვფიცავ. ვნახოთ, ქე არ გამოიპრანწა თავის სახლიდან ის კანდიორი, ის ამაყი. თეთრი კაბა ჩაეცვა, თეთრი ცახორცი ხელებით თავზე გაეშალა ქოლგასავით, ქარი უბერავდა და აფრიალებდა.

---

* ქაცილაში — პატარა გუდა.

** ოფურჩე — საბძელი.

წამოვიდა, წამოვიდა და თემასთან არ მოვიდა! ორივენი ორღობეში ჩამოჯდნენ, მართლა ისეთი ადგილი აირჩიეს, რომ უცაბედად არ მენახა, ძნელი შესამჩნევი იყო. ეტყობოდა, ძლიერ ფრთხილად იქცეოდნენ, მაგრამ მე რის ელისაბედი ვარ, თუ მაგისთანა გოგომ მომატყუილა. მე სულ ოფურჩეს მივეყუდე. რაღაც ილაპარაკეს, მერე თემამ ბოხჩა გახსნა, ლამაზი ყუთი ამოიღო, ყუთიც გახსნა და რაღაცეები ამოალაგა. ერთი შუშა რომ იყო, ეიცი. ყუთი და რაღაც ხაბაკები გაიანემ კარგად დაათვალიერა. მერე ხაბაკები ისევ შიგ ჩაალაგეს, კიდევ ერთ ხანს ილაპარაკეს და თემა, თითქოს აქ არაფერიო, ისევ იმავ გზით გაბრუნდა. გაიანემ კი ყუთი კაბის ქვეშ დამალა და სახლისკენ გაიქცა. მე ამის მნახველს, რა სალაპარაკოა, იმ დღეს არაფერი მიჭამია, არც იმ ღამეს დამიძინია. მეორე დღესაც ამ მიდამოს არ მოვშორებულვარ, თითო წუთ-წუთში ვათვალიერებდი. თქვენთან სადილი გავგზავნე და ერთხელ კიდევ დავათვალიერე. დიდოუ, დიდოუ! რა ვნახე, რა ვნახე! ორღობეში კიდევ მუსაიფობდა გაიანე. მაგრამ იცი, ვისთან? დიდოუ, დიდოუ! ძუკუ მძებრაძესთან.

ეს ბოლო სიტყვები თითქმის ყურში ჩასჩურჩულა ელისაბედმა გიტინიას.

— ვიშო! — გაიკვირვა გიტინიამ. — ძუკუ მძებრაძესთან?! საით მიეთესა კარგამოკეტილი!

— ვერ გაიგე, ბაბა? მე მაშინათვე მივხვდი, მაშინათვე, ილარიონის დღეგრძელობამ. მე, ქალმა ქალის ამბავი არ ვიცოდე? აქ, ბაბა, თემა კუდაა, საქმეს რომ არიგებს. ჯერ მოითმინე, ნურავისთან ნუ იტყვი ამ ამბავს. ჯერ მოითმინე, ჯერ დააორსულოს, დააორსულოს და მერე ვიფხანოთ და ვიფხანოთ გული, — მართლა ბრაზით გული მოიფხანა ელისაბედმა და მუჭიც გულზე მიიბრახუნა.

— ასეთი ბედნიერი ჩვენ განა ვიქნებით, შვილო? — ნაღვლიანად მიუგო გიტინიამ და ბოროტად დააბრიალა თვალები.—აი ღმერთო, მიქამგარიო, — თვალები ზეცისკენ აღაპყრო მოხუცმა. — აი ღმერთო, ერთი მაგათი თავლაფის დასხმას თუ მომასწრებ, მერე მეორე დღესვე მოვკვდე, ცხონებული ვიქნები, შვილო, ცხონებული...

— აი, ბაბა, ასეა საქმე და თუ გვინდა აღდგომა გაგვითენდეს, ჯერ არავინ შეიტყოს, თორემ პეტრეს და ათანასეს ყურამდი თუ მივიდა... იცი, ბაბა, ათანასესთანა კვარჩხი * არც ერთი არ ურევია

* კვარჩხი — უკეღმართი.

ნიკოიას შვილებში, ძუკუს კი არა, ღმერთს არ მოუთმენს და საქმეს ჩაშლის, გოგოსაც კარგა მობეგვავენ და ქვეყნის თვალშიაც თავის მართლებას შეუდგებიან. ჭორს კი ჩვენ გადაგვაბრალებენ. საჭიროა ჯერ არავინ შეიტყოს. ჯერ დაორსულოს, დაორსულოს და მერე რამდენიც უნდათ, აფარონ ხელი, — უკანასკნელი სიტყვები თითქმის ხტუნვით წარმოთქვა ელისაბედმა და ქათმების გასაშვებად გაეშურა.

მოხუცმა მხიარულად განაგრძო ნაჯახის ლესვა და თანაც ღიღინი წამოიწყო.

მზე ამოვიდა. ქარმაც დაჰბერა და ნისლიც ცოტ-ცოტად გაიფანტა. მზემ ღიმილით დახედა დანამულ ბალახს და ალმასივით ააელვარა; ჭანისწყლის გაყოლება ჭალაში ჩაგუბებული იყო სქელი ნისლი და შორიდან საუცხოო სურათს წარმოადგენდა. გიტინია თოხიტარია და მისი შვილები მხრებზე ნაჯახგადებული მიეჩქარებოდნენ ერთი აზნაურის სახლისაკენ, რომელსაც სანახევროდ შეშას გაურიგდნენ, ე. ი. ტყე აზნაურის იყო. თოხიტარიებს უნდა მოეჭრათ, ღაეჭრათ და საკენებად დაეწყოთ. მერე შუაში გაიყოფდნენ. თავის წილში სამ საკენამდი მოელოდა გიტინია, ამიტომ ჩქარობდა, რომ შემოდგომის მუშაობის დაწყებამდე როგორმე გაეთავებინა. დღეს ძლიერ მხიარული მოდიოდა. ერთი ხანია ასეთი მხიარული არა ყოფილა და შვილებიც გაოცებით შეჰყურებდნენ. „პერტეიას შვილმა როგორ უნდა მაჯობოს, — ფიქრობდა გზა-გზა გიტინია. — ამას სიკვდილი არა სჯობია. პერტეია რომ ადრე არ მომკვდარიყო, სასმელ წყალს არ მაღირსებდა. სულ ქეჩოზე დამაჯდებოდა. მაგრამ ინება ღმერთმა და ის ხომ გაემგზავრა... ნიკოია ქვეშ მოვიყოლიე მეგონა. მართლაც ერთ დროს მათხოვარისაგან ბევრი არაფრით განირჩეოდა, მაგრამ უცბად, რაღაც ეშმაკის ძალით, ჭეშმარიტად, ეშმაკის ძალით. ალბათ ეშმაკს მიანდო თავი, ვაი, დიდება შენთვის... კაცი შიმშილით კვდებოდა და გავიხედე. სიმინდს ქე ყიდის; გავიხედე, მიწას ქე იგირავებს; გავიხედე, წისქვილის წილში შემოვიდა; დიდოუ! გავიხედე, ორი შვილი ვაჭარი ქე ყავს; გავიხედე, სახლი გამოაკეთა; გავიხედე, კაი ცხენ-უნაგირი. ტანისამოსი... შეიძლება ჩქარა ყავრით დახურული და ბუხრიანი ოდა დაიდგას, ალბათ ღმერთი ხელს არ მოუმართავს, თორემ. ახლა მოდი და ნუ გასკდები ჯავრით. მაგრამ უპრიანია ღმერთს და ისეთი ეშმაკი შეჩენია, რომ მისი ლოყააპრიწული გოგო თუ დაორსულა. თუ მუცელი გაუმსხვილა და თუ ყელი გამოსჭრა, საქვეყნოდ

ნამუსი ახადა, საანდაზოდ და სალექსოდ საქმე თუ გაუხადა არიქა, ბიჭო, შე საბრალო, ეცადე, ჰო!“

ეს უკანასკნელი სიტყვები ვერ მოითმინა და ხმამაღლა, კბილების დაჭერით წარმოთქვა.

შვილები გაოცდნენ.

— ვისაა, ბაბა, რომ ეუბნები? — გაკვირვებით დაეკითხნენ შვილები.

გიტინია გამოერკვა და ენას კბილი დააჭირა. მაგრამ გვიან იყო

— არავის შვილო,—არეულად მიუგო გიტინიამ. — იმ საბრალოზე, იმაზე.

— რომელი საბრალოა? — არ ცხრებოდნენ შვილები.

— ის საბრალო, ცუცუნას შვილი.

— რომელი ცუცუნასი?

— ქვრივის შვილი, ტოჩავილა, თუ რა ჰქვიან. სამი თუმანი ქე მოუტანია შინ, ნახავთ, თუ ობლობას თავი არ დააღწია, — ეს კარგად გაიფიქრა და ბოლო სიტყვებსაც შესაფერი რიხი მისცა. მაგრამ სიყალბე მაინც ეტყობოდა და შვილები მაინც ვეღარ დააჯერა. „რაღაც უნდა იყოს, — ფიქრობდნენ შვილები. — ასე გიჟივით ვის იყო რომ აქეზებდა, აქ რაღაც ამბავია!“ — ორჭოფობდნენ ისინი.

ბევრი ეცადა გიტინიამ, რომ რძლის ნაამბობი დაემალა. მაგრამ ვეღარ შესძლო. მოსვენება დაეკარგა, ნასადილევს ვერ დაიძინა. ნაჯახს შეშას უქნევდა და ფიქრით სულ ის ეხატებოდა. თუ ყელი როგორ გამოეჭრებოდა ნიკოიას და მის ოჯახს. „რა თქმა უნდა, ძუკუ გაიანეს დააორსულებს და მერე ახლოც არ მიეკარება. ცოლად რომ ძუკუმ ნიკოიას შვილი შეირთოს, ამის ფიქრიც შეუძლებელია. — თოი, შური, საყვარელი, იმ დღეს მოვესწრებოდე!“— წამოიძახებდა გულში გიტინია და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცულსაც ხელს დაარტყამდა ხოლმე. ერთ-ორჯერ ისე გაერთო ამ ფიქრებში, რომ კინაღამ შუათანა შვილს ფეხი გააგდებინა.

შვილებს უკვირდათ მამის ამგვარი არაჩვეულებრივი ქცევა და შენიშნეს კიდეც. იმანაც მეტი ვეღარ მოითმინა და თუმცა დიდად საიდუმლოდ, მაგრამ მაინც უამბო შვილებს რძლის ნაამბობი და მერე, თითქო სავსე გუდა გასკდაო, ერთობ გადმოაყარა ნიკოიას და მის ოჯახს საყვედურები. უფროსი და უმცროსი შვილი დიდი აღტაცებით მიეგებნენ ამ ახალ ამბავს და მამასთან ერთად მომავალი სიხარულის ოცნებაში გაერთნენ. მხოლოდ შუათანა

შვილმა, რომელსაც იაკობას ეძახდნენ და რომელიც პეტრეს კბილა იყო, გულგრილად მოისმინა ყოველივე და როცა მამა-შვილებმა ლაპარაკით და ამ საქმის აწონ-დაწონით გული იჯერეს, დინჯად შენიშნა:

— ამდენ სასიხარულოს მე აქ ვერაფერს ვხედავ, ბაბა, ჩვენ ამითი ბევრს ვერაფერს მოვიგებთ. გალანძღვით კი, მგონია, ჩვენც გავილანძღებით. ვიშ, რა სასიამოვნო საქმე მოუვიდა გიტინია თოხიტარიას ნიკოიას შვილის გალანძღვითო, ამას, მგონი, არავინ იტყვის, და მძებრაძემ თოხიტარიას ქალი დააორსულა და ზედ მიაფურთხაო, ამას კი იტყვიან და ეს ჩვენი ლანძღვაც იქნება, რადგან ჩვენც თოხიტარიები ვართ გვარად. ან და შენ გგონია, ნიკოიას ბიჭები ასე კამეჩივით კისერს მოიდრეკენ და ძუკუს ოჯახის გალანძღავს შეარჩენენ! ვაიმე, ვაიმე. როგორ ქექეთ * უყურებთ თქვენ მაგათ. ახლანდელ დროში შენს მძებრაძეს ვინ მისცა ქვეყანა თავის ქეიფზე სათელად. ახლა ცოტ-ცოტად ყველას ყურები გაეხვრიტა. კანონი კანონია და ალმასივით ბიჭები შენ ძუკუს ხუთჯერ მიუმტვრევენ ყბას. მოერიდებიან გგონიათ, თუ! ძუკუს წყალობა მათ რაღა აქვთ, რომ მოერიდონ. მოგიკვდეს, ნიკოიამაც, თუ გაჭირდა, თავისი სისხლი იმათგან თუ არ დაღვაროს,—იაკობა თანდათან გაცხარდა.—მე რას დავეძებ, თქვენ რომ რაღაც ერთ მტკაველა მიწაზე ერთმანთს ემდურით. ჯგობოია ყანდარიაც მთელ სიცოცხლეში მიწის ტირილში იყო, სულ საზღვრებს ასწორებდა [illegible]ებთან. სულ მიწაზე ღრიჭინობდა, მოკვდა და დასასაფლავებელი მიწა ვერ უშოვნეს. დამიჯინე უსათუოდ: მიწა, მიწა. ჭანისწყლის ჭალა არც შენია და არც ნიკოიასი, არც ბასილისაა, თუ მკითხავ, ღმერთმა გააჩინა და კაცები სარგებლობენ, დღეს მე, ხვალ შენ, ზეგ ის, და ისე სულ... ამაზე ამ ზომამდი ჩხუბი და სიძულვილი არ ღირდა ჩვენს შორის. მაგრამ რაკი თქვენ იმის სახლში, ის ჩვენ სახლში არ მოდის, სიკვდილ-სიცოცხლეში ერთმანეთისაგან გაყოფილი ვართ, მეც თქვენთან ვარ და თქვენ კვალზე მივდივარ, მაგრამ როცა მძებრაძე თოხიტარიას გოგოს, ჩემს ბიძაშვილს, ნამუსს ახდის და სოფელიც გალეწსავს და ქალის ძმები პატიოსნების დასაცველად ხმას აიმაღლებენ, იცოდე, იაკობა მათ გვერდით იდგება. ჩემ სახლში მოვიდეს პეტრე, შეიძლება თოფიც ვესროლო, მაგრამ მინდორში თუ მას მძებრაძემ ჩხუბი აუტეხა, მე უკანასკნელ წვეთამდი ჩემს რჯულს მხარი უნდა დავუჭირო.

* ქექეთ — მსუბუქად, მჩატედ.

იაკობამ ლაპარაკი ნელა დაიწყო, მაგრამ თანდათან შეხურდა და ბოლო სიტყვებს იმდენად ცხარედ ამბობდა, რომ ტუჩებზე ქაფი გამოაჩნდა.

— შენ სულ მასთე ხარ, შვილო, — ვითომ და ტკბილად, მაგრამ ცხადი სიბრაზით მიუგო გიტინიამ. — ჩვენ სისხლისმსმელს ყოველთვის ფრთა გადააფარე. იანვარში კაცი ფეხშიშველი დადიოდა, ახლა საცაა ჩექმას ჩაიცვამს და შენ სიამოვნებით შეჰყურე. მე ვაჭარი ვარო, აზნაური ვარო, გეტყვის და შენ კი თავი დაუკარი. შენ, ეი, ჩემი ძმა კი არა, ჩემი ნაყმევი ხარო, — გეტყვის და შენ კი მოწიწებით სალამი მიეცი.

— მერე იმან როდის დაგიშალა, შენც ნუ იქნები ვაჭარიო! — გაცხარებითვე მიუგო იაკობამ. — ივანე გვატი აფშირხავას მეღორეთ ჰყავდა, ფარნა თხას მიყობოდა, ორივე კაცები გამოვიდნენ. შენც ვინ დაგიშალა, ისე მოქცეულიყავი. რამდენი გეხვეწე, რამე ხელობაში მიმეცი-მეთქი, წიგნს და სასწავლებელს ვინ გაგიბედავდა... მე ვითომ სხვაზე ნაკლები ხელები მქონდა თუ! — თქვა იაკობამ და თავის მსხვილ-მსხვილ მუშტებზე დაიხედა.

— ახლა ამბობ ამას, თორემ ხელობაში რომ მიმეცე, მეორე დღეს აქეთ გამოიქცეოდი. ბასილ მძებრაძეს კი ნუ ეხუმრები, მაგისი მამა-პაპა...

— ვაი, თქვე უბედურებო, — გააწყვეტინა იაკობამ, — სულ მაგათ ქებაში უნდა დალიოთ სული. მაგათი მამა-პაპა კი არა, ფოთს რომ პარახოდები მოდის, სულ მათი მამა-პაპის მოგონილია და სენაკს მაშინა რომ მობრიგინებს, მათი ბებიის მზითვად გამოყოლილია! რა იყო მაგათი მამა-პაპა? უდროობა დროებაში აწიოკებდა საწყალ გლეხს, ნებით თუ არ მისცემდა რასმე, ძალით წაართმევდა, კანონი არ იყო და სამართალი. თვითონ ნახევრად მოუხარშავ ხორცს ძიძგნიდა მგელივით, აი, რა იყო მაგის მამა-პაპა... ნიკოიას ამბავი ახლა რომ გშურს, შე კაი კაცო, ფარქანიძის სახლში ძღვნად ხარი რომ მიგყავდა, ის გაგეყო და ჩემთვის ორი ანაბანა დაგესწავლებინა, ახლა სამწილად მეტ მოგებას მოგცემდი და გამოსადეგი შეგექმნებოდი. ფარქანიძემ რა გაგიკეთა, შენს სახლში რომ მოვა ბატონია, იმის სახლში რომ მიხვალ, წყალს ეზიდები... ხარი ტყუილად დაიკარგა...

— ახლანდელი დროება საოცარია, — გააწყვეტინა გიტინიამ.— უფროს-უმცროსობა დაიკარგა, პატივი და მორიდება აღარ არის. წიე! მძებრაძეებს და ფარქანიძეებს ისე ადვილად ვერ ახსენებდნენ შენისთანა ბიჭები ძველად, მაგრამ ახლა...

— მაგრამ ახლა, მაგრამ ახლა! — გააჯავრა იაკობამ.—მეც იმას ვამბობ, რომ ახლა აღარ არის მაგათი დროება-მეთქი. შარშან რომ ჭალადიდში შეშის საჭრელად ვიყავი, იქ ერთმა კაცმა ისეოები მითხრა, რომ კინაღამ გადამრია. თურმე ჩვენ უსინათლოდ ვცხოვრობთ და ვღეჭავთ გაჭირვებულ ლუკმას. განა ჩვენც კაცები არა ვართ, ჩვენც თავები არ გვადგია? აქ, აქ რაღაც მიჭიჭინებს, — ხელი გაისვა იაკობამ შუბლზე. — მაგრამ რათ გინდა, ყრუ ვარ, უენო ვარ, ორი კაკალი ანაბანა რომ...

— აჰა, აჰა, მოდით, მოდით, ეს ხე როგორმე საღამომდი ავკაფოთ, ზღაპრებს თავი დავანებოთ, თუ ღმერთი გწამთ, — გააწყვეტინა უფროსმა ძმამ, მალხაზმა, რომელსაც გიტინიასი და იაკობის ლაპარაკის დროს კინაღამ თვლემა დააწყებინა.

— აბა, აბა, შვილებო, — დაფაცურდა გიტინიაც, ნაჯახს ხელი მარჯვედ მოავლო და მიუხედავად სამოცზე მეტი წელისა, მხნედ დაარტყა წაქცეულ თხმელას, შვილებიც მიეშველნენ და ოთხი ცულის კაფაკუფი გაისმა პატარა ტყეში.

* * *

სიმინდები მეორედაც გაიმარგლა, გაიმარგლა და გრძელ-გრძელი ტაროებით დაიტვირთა. ყანებში მუშაობა ჯერჯერობით მიწყდა. გლეხმა იდროვა თავისუფალი დროით, ზოგი აქეთ-იქით გაიფანტა, სადმე ღღიურ სამუშაოდ, მომეტებულად, რასაკვირველია, მახლობელ ქალაქ-დაბებისაკენ, ზოგი ზამთრისათვის შეშის მოგროვებას შეუდგა, ზოგი, და მათ შორის ჩვენი ნაცნობი თემა პოპოკია, სამუშაოდ არსად არ მიდიოდა და შინაც არაფერს აკეთებდა. მის ყანაში სიმინდი და ღვარძლი ერთ სიმაღლეზე იყო.

ნიკოია თოხიტარიამაც მუშაობა გააოავა. პეტრემ ისარგებლა თავისუფალი დროით და ფოთისაკენ წავიდა, რადგან ძმები რაღაც სამუშაოს შოვნას დაჰპირდნენ. ნიკოია და ათანასე კი ურმით შეშას ეზიდებოდნენ.

* * *

ერთ საღამოს ბასილ მძებრაძე, ჩვეულებრივ, სახლის აივანზე გადამჯდარიყო. ძუკუ და ბართლომე იქვე ისხდნენ.

—მაშ, კარგად შეიტყვე ყოველივე საქმე, ბართლომე?—სიამოვნებით დაეკითხა ბასილი.

— ზურაბის სულს გეფიცები, ბავშვი ხომ არა ვარ, — მიუგო ბართლომემ. — ყველა ქაღალდი ჩემი თვალით ვნახე.

— მაშ, გაგზავნეს, ა, ჩვენი ქალალდები, — მხიარულად წარმოთქვა ბასილმა და სიხარულისაგან თვალები აუწყლიანდა.

— გაგზავნეს, როგორ არა, მორჩა, გათავდა, — მიუგო ბართლომემ.

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს. ხარჯი უანგარიშო წავიდა, მაგრამ ჩქარა კი მოვიყვანეთ სისრულეში. რას ამბობ, კაცო! — აღტაცებით წარმოთქვა ბასილმა.—თავად ოტია ფარქანიძემ რა ხანია დაიწყო. გუშინწინ ვხედავდი. ჯერ კანტორიდან მოწმობა არ გამოუტანია. ორი კვირა თბილისში გავატარეო, ათი თუმანი მარტო ხარჯად წამივიდაო, მაგრამ მაინც ვერა ეშველა რაო, ღმერთს მართალი უყვარს, იმ მოწმობების გამოტანა მეც კი გამიჭირდა, მაგრამ რაკი გავიგე რაში იყო საქმე,—თითქმის ჩურჩულით თქვა ბასილმა,—სად იყო გახვრეტილი და სად წვეთავდა... მაშინათვე ამოვგლისე... რომ ვნახე, სად იყო კუდის წვერი, წავავლე ხელი. მოგიკვდეს ბასილ მძებრაძე, წყალს მიადგეს და ფონი ვერ იპოვნოს.

— ტრაბახობით კი არ მიმიღო, ბიძი, და შენ არ მომიკვდე და მეც ამ უკანასკნელ დროს ქუთაისში გვარიანად მოვცაცე საქმე. ზოგიერთების საქმე ერთი წელიწადია გამოწყობილი გდია, მაგრამ არავინ აგზავნის, საბუთიც რიგიანი აქვს, მოწმობაც, ოცდახუთი ჩინოვნიკის ხელმოწერილიც, მაგრამ არავინ გზავნის, იქაც, ბიძი, როგორც შენ ამბობ, კუდია საძებნელი, მეც მოვძებნე და გწყალობდეს თაარანგელოზი... მაგრამ საქმეც იმაშია, რომ სადაც სხვები თუმანს ანდომებენ, მე იქ ერთი მანეთით გამოვდივარ და ზოგან მაგ დალოცვილმა ბანქომაც მიშველა. ხერხიანად არ მოვქცეულიყავი, ბიძი, შენ ნუ მომიკვდები, იმ შენი მოცემული ფულით ჯერაც ვერ გაიგზავნებოდა ჩვენი საქმე.

— კარგი, კარგი, შვილო, — მხიარულად მიუგო ბასილმა. — მძებრაძე ნიჭით და ხერხით ყოველთვის განთქმული იყო და მაგნაირები რომ მოვახერხოთ, რას გამიკვირდება... ხარჯი კი, ჩემო ბართლომე, შენი მტერი, ჩავდექით. რაღა, რემიზში. მაინც ეს ოხერი და ეს ნავარი, ჩემი ანგარიში ერთხელაც რომ არ ეყო. ჩემი ანგარიშით, მაგალითად, რომელიმე წვრილმანში ხუთი მანეთი უნდა, ნამდვილად კი თხუთმეტი არა ყოფნის. ოხ, ოხ, სულწაწყმენდილმა დრიმინტიამ გამზაკვა, გამზაკვა სწორედ! იმას რომ ორი შუკა მანეთები ჩავუჩხრიალე, ის სიკვდილის დღეს არ დამავიწყდება... მოიცა, მოიცა, ერთი ბართლომე, მოდი ვიანგარიშოთ, აბა, რამდენი დაგვიჯდა სულ ეს საბუთობიას საქმე.

— რას დავეძებ, კარგი, ვიანგარიშოთ, — მიუგო ბართლომემ.

— ა, კარგი, კარგი, — კმაყოფილად მიუგო ბასილმა და შვილს მიუბრუნდა.

— ძუკუ. ბაბა, ერთი დედაშენს დაუძახე.

ძუკუ გავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, ქამარ-ხანჯალ მორტყმული და მხარზე თოფგადაკიდებული დაბრუნდა.

— ახლავე მოვალო, თქვა დედამ.

— შენ სად მიემგზავრები?

— ცხენთან.

— ჰო, გაეჩქარე, გაეჩქარე, შვილო. ბაწარში არ გაიხლართოს, ფართო ჩქონთან დაატოულე, წყალშიაც ჩაიყვანე.

— რა ვიცი, ზოგი არ მირჩევს წყალში ჩაყენებას, — შეწუხებულად თქვა ძუკუმ და ორივეს შეხედა.

— პირველი საქმეა წყალში, — დაბეჯითებით თქვა ბასილმა.

— კოჭლობს კიდევ? — იკითხა ბართლომემ.

— რამდენიმედ კიდევ უხურდება უკანა ფეხები, მუცელიც ებერება, — მიუგო ძუკუმ.

— მაშ, ჩააყენე, ჩააყენე წყალში, მუცელს მოუხდება, — ურჩია ბართლომემ.

მარიკას მძიმე ფეხის ხმა შორიდან მოისმა. ჯერ კიდევ ზალაში არ შემოსულიყო, რომ აივნის იატაკის დირემ ჭრიჭინი მოიღო.

— რა გინდა, ძუკუს მამა? — მხიარულად ჰკითხა მარიკამ. აზნაურობის საბუთის გეროლდიაში გაგზავნამ მარიკაც გაამხიარულა. რაღა თქმა უნდა, ის თავის თავს სხვანაირად გრძნობდა იმ აზნაურების ცოლებთან შედარებით, რომელთაც ჯერე გეროლდიაში გაგზავნა კი არა, მეტრიკული მოწმობაც კი არა ჰქონდათ გამოტანილი.

— ხარდანაძის ქალო, — მხიარულადვე უთხრა ბასილმა. — ერთი პატარა ყუთი მოგვიძებნე, გვინდა ვიანგარიშოთ, აბა, რამდენი დაგვეხარჯა... ღვთით, ეს ერთი საქმე გვარიანი მსხვილი გადავიგორეთ თავიდან. ახლა კი ცოტა ხანს დავწვები მარჯვენაზე. როგორმე ამ ორ ბაღანას გზას ვუჩვენებდე, თორემ...

მარიკამ ყუთი მოიტანა, ბართლომემ ოთახიდან საანგარიშო რგოლები მოატანინა, ვაჭრობისაგან ესღა დარჩენოდა. დაიწყეს ანგარიში:

— ჯერ ბართლომე, ორასი მანეთი ჩააგდე, დრიმინტია მაზაკვალს რომ მივეცი. აჰა, ჰუ! — ამოიოხრა ბასილმა.

— კარგი, ეს ორასი.

— ორასი? კარგი შენი ჭირიმე, — დაფიქრებით თქვა ბასილმა და სხვადასხვა ზომის დაკეცილ ქაღალდებში ჩხრეკა დაიწყო.

— ორასი? კარგი, ახლა, გენაცვალე, მანეთ-ნახევარი ჩადი, თხოვნა რომ დავაწერინე.

„ტკაც“, გაიტკაცუნა რგოლმა.

— მანეთ-ნახევარი, — გაიმეორა ბასილმა. — ექვსი მანეთი და ხუთი შაური, მეორე თხოვნა. მე აქ, ბართლომე, ყოველნაირ ხარჯს ვანგარიშობ.

— ყოველნაირი უნდა იანგარიშო, მაშ. ოღონდ ხარჯი გავიდეს და რაშიც არ გასულა, სულ ერთია.

— ჰო, მეც იმას ვამბობ, ახლა, მაგალითად, თხოვნა დავაწერინე ხუთ მანეთად, მაგრამ მანეთი და ხუთი შაური ისე დამეხარჯა, ზოგი საუზმე, ზოგი იქითური, ზოგი აქეთური. მაინც იმ საქმეზე დამეხარჯა, თორემ ის საქმე არ ყოფილიყო, არ დამეხარჯებოდა.

— ცხადზე უცხადესია, — დაემოწმა ბართლომე. — შენ, ბიძი, ნამდვილად სავაჭრო კაცი ხარ, ზურაბის სულს ვფიცავ. მოდი, ერთი გახსენი ქისა და გავაღოთ დუქანი, დავუხუჭოთ ეშმაკებს თვალი. პატიოსან სიტყვას გაძლევ, ცუდაობას თავი დავანებო და რიგიან გზაზე გამოვიდე. მეც კაცი გავხდები და შენც, მერწმუნე, ბიძი, არ იზარალებ.

— ხა, ხა, ხა, — ჩაიცინა ბასილმა. — ის კი არა, ვალებში ვარ ჩავარდნილი. აი შენით ნახავ, იანგარიშე ქვევით. ეს ხომ ჩააგდე?

— კი, როგორ არა.

— ოცდათორმეტი მანეთი და სამი აბაზი რომ შევიტანეთ პრისუსტიაში.

ისევ გაიტკაცუნა რგოლმა.

—კარგი, შენი ჭირიმე, ჯერ ეს, მაგრამ სულ ერთია, ოცდაოთხი მანეთი და რვა კაპეიკი, ერთი სადილი რომ გავმართეთ სამი მანეთი, კიდევ იმ დღის წვრილმანი ხარჯი. შვიდი თუმანი ამბაკო პაპას რომ შივეცით გამოძიებისათვის.

— სულ შვიდი გამოგართვა?! — გაიოცა ბართლომემ.

— ორივე შვილებს გეფიცები — ლაპარაკიც არ მაცალა. ეს გადაწყვეტილიაო, მერე რა სადილი გავუმართეთ ყოფაგაქუცულს. თუმცა იმ ღამეს ჭე გვაზარალა, ხა, ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა ბასილმა. — მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე დღეს რიგიანად შეექცა.

— ო... ბიძი, ის ჩინებული მსმელია, იმ ღამ მოუვიდა რაცხა ისე, ალბათ აწყინა რამემ, თორემ გიორგისთანა სმაში მაგას ვერ

დაენაძლავება. მე მაგას ბევრგან შევხვედრივარ, კარგად სვამს. კარგი მომლხენი კაციცაა.

— სმით გიორგიც კარგად სვამს, მაგრამ იმ ღამეს ხომ ერთობ ყველას მეტი მოუვიდა. იცოდე, ჩემმა ყანწებმა, შენიშნული მაქვს, არ შეიძლება ხელი გაიცუდონ. ვინც მათ მიეთამამება, არაა სათქმელი, წავა და წავა ხელიდან.

— ოხ, სმას ახლახან რომ შევხვდი საპყონდიდოში, ის იყო. ბიძი, თორემ. — წარმოთქვა ბართლომემ. — კამპანიას როგორ არ შევხვედრივარ და ისეთი გემოზე, ერთი ხანია, რომ...

— იქითკენ კი იციან, — დაემოწმა ბასილი. — საპყონდიდო პურ-ღვინით ყოველთვის განთქმული იყო.

— ან რა ქალები, ან რა გიტარა, ან რა სიმღერა, ან რა სმა და ჭამა. გავწყდით კი გავწყდით, — ამოოხვრით დაუმატა ბართლომემ.

— კარგი, კარგი, მაგას ახლა თავი დავანებოთ. შვიდი თუმანი ჩახვედი?

— ო, ახლავე, შვიდი? კი, ჩავედი.

— შვიდი აბაზი ერთი.

— შვიდი აბაზი.

— ორი მანეთი მეორე. თხუთმეტი მანეთი თბილისში რომ გავგზავნე მოწმობაზე და რომ მოვტყუვდი. დედა, რა ბრიყვი ვყოფილვარ თურმე! ასე მეგონა, თხუთმეტ მანეთს თუ გავგზავნიდი, მეორე დღეს მოწმობას აქ მომიბრძანებდნენ.

— თხუთმეტი მანეთი, — თქვა ბართლომემ და რგოლი გაატკაცუნა.

— ახლა ჩემი ხარჯი თბილისში: ორმოცდასამი მანეთი და ოცდაჩვიდმეტი კაპეიკი გზის ფულიანად.

— კარგი, მერე?

— მდივანს ქრთამი რომ მივეცი, ოთხ თუმან-ნახევარი. ნაკლებ არც კი შემომხედა. როცა მელაპარაკებოდა, განზე იყურებოდა. ქრისტემ აკურთხოს, ერთი ვიღაც არხმაიტმა მიშველა, თორემ დღესაც არ მექნებოდა გამოტანილი.

— ოთხ თუმან-ნახევარი, — ნელა ჩაილაპარაკა ბართლომემ და ხელი გააქნია საანგარიშო რგოლებზე.

— თექვსმეტი მანეთი და შვიდი შაური იქ, ზოგი მწერლებს, ზოგი კიდევ ვის.

— კარგი, ბატონო... მერე?

— ქუთაისში ჩემი წასვლა ერთხელ, თორმეტი მანეთი, მეორეჯერ, ცხრა მანეთი. ჩახვედი?

— კი, ბატონო.

— შენ წინეთ გაგატანე ქუთაისში ხუთი მანეთი.

— ნამდვილია.

— მანუჩარს მიეეცი სამი მანეთი გზის ფული, მარშალთან რომ საქმე იყო რაღაცა. ახლა შენ ხომ გაგატანე ხუთი თუმანი? აბა ახლა რამდენი გამოვიდა სულ?

— სულ, ჩემო ბატონო, — გაგრძელებით თქვა ბართლომემ, — ხუთას ოცდათვრამეტი მანეთი და სამოცდაცხრამეტი კაპეიკი.

— აგაშენა ღმერთმა, რამდენი მანეთი იქ გამოტოვებულია, იმდენი წელიწადი, შენ არ გწყეველი, და მე, — მკერდზე ხელის მიდებით მიუგო ბასილმა.

— ყველანი კი მეუბნებიან, ბიძი, თქვენსავით იაფად და ჩქარა საქმე ჯერ არავის გაუთავებიაო.

— საბუთმა გაგვიჭირა საქმე, ოხერმა, თორემ... დედა, ღმერთო! — წამოიძახა ბასილმა. — საბუთის ძებნაში რომ ხარჯი მოგვივიდა, — ორივე ხელი წინ გაიშვირა ბასილმა და თვალებგაფართოებული ბართლომეს შეაჩერდა.

— ჰო, ისიც ამ ანგარიშში უნდა შევიდეს.

— შენს მტერს ღმერთი გაუწყრა. ამ საქმეში დაიხარჯა, მა სადა? მარტო არხივარიუსები მიზის თორმეტ-ცამეტი თუმანი.

— სულ მაშინდელი ხარჯი რამდენი იქნება, ბიძი?

— ოცდახუთი თუმანი, ეს სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ. სულ არ მახსოვდა., — სალოკი თითი შუბლზე მიიტკაცუნა ბასილმა, დაფიქრებული ისევ აივანზე მიდგმულ ფიცარზე ჩამოჯდა და ჩიბუხს ხელი მოავლო.

— ესეც! — დაიძახა ბართლომემ და საანგარიშო რგოლები გაატკაცუნ-გამოატკაცუნა. — შვიდას ოთხმოცდა რვა მანეთი და სამოცდაცხრამეტი კაპეიკი.

— ღმერთმა გაცოცხლოს, ახლა არ იტყვი: მისვლა, მოსვლა, ცხენი, უნაგირი, სიცივე, სიცხე, წყალი, მთა და ბარი... ორჯერ ხობი წყალში კინაღამ დავიხრჩვი. ერთი სიტყვით, ამდენი რა გინდა, მრგვალად რომ ვიანგარიშოთ, ათასი მანეთი წასულა ხელიდან.

— სალაპარაკო არაა. მერე ამდენი ფულით რა საქმეს არ დაიწყებდა კაცი. თამამად ვაჭრობას ააბრუნებდა.

— ეჰ,—თავის მაღლა აწევით გაიკვირვა ბართლომემ.—მომეცი ახლა ხელში ასი თუმანი და ისეთ საფართლეს გამოვჭიმავ, რომ...

— მაგრამ ეს კი არის, ბართლომე, ახლა ჩვენ რომ გლეხს გვეძახდნენ, იმას მეორე ამდენი დაახარჯო, სჯობია.

— ეს მართალია, ბიძი, მაგრამ რათ გაგვიხდა ასე ძვირად საყიდელი ის, რაც მამა-პაპისაგან გვეკუთვნოდა. ეს ჩვენ მოგვივიდა ამდენი ხარჯი და ახლა სხვა ნახე... ყველა ერთად რომ იანგარიშო, სად მიდის, — ხელი მაღლა ასწია ბართლომემ.

— მარტო სხვადასხვა დაწესებულებაში ქრთამად, მარტო ქრთამად ნახევარ მილიონამდე დაიხარჯა, მერაბის სული თუ მწამს ჩაზინას გროში არა რგებია ისე, — მიუგო ბასილმა.

— რა საეჭვოა!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბასილი ყალიონს ცეცხლს უკიდებდა.

— ახლა ხომ გჯერა, რომ კაპეიკი ფული არ დამრჩენია და ვალებიც კი მექნება, — თან თქვა ბასილმა და თან პირიდან სქელ-სქელი კვამლი გამოუშვა.

ბართლომემ საორჭოფოდ თავი გააქნია.

— აბა შეხედე, ჯიდევ არა სჯერა.

— მჯერა, რატომ არ უნდა მჯეროდეს.

— არა, შენ მაინც იჭვნეულობ. ნუ კი გეწყინება და ამ ხარჯში, რაც ახლა ვიანგარიშეთ, ორ მესამედზე კიდევ მეტი ხომ საკუთარი ჩემი ჯიბის ფულია?

— მართალია, აქ საწყენი რა არის.

— კარგი და პატიოსანი. აბა ახლა მესამედი მოაკელი საერთო ჯამს, — ბართლომე ისევ ანგარიშს შეუდგა. რგოლებს დაფიქრებული იქით-აქეთ აგდებდა.

— რამდენი გამოდის? — დაეკითხა ბასილი.

— ახლავე... ორასი, — თავისთვის ბუტბუტებდა ბართლომე, — სამოცი... კარგი, შენი ჭირიმე... ორი, არა, არა ხუთი იქით გაუშვი, სამი ჩააგდე... სამოცდაცხრამეტი. დიახ, დიახ.

— რამდენია?

— ორი მესამედი გამოდის ხუთას ოცდახუთი მანეთი და ოთხი აბაზი და ერთი შაური.

— ექვსასს რა უჭირს, თუ გინდ ხუთასიც იყოს. ხუთას მანეთ ნაღდ ფულზე მეტი მე სად მექნებოდა. თუ გინდ მქონოდა, გასულა და ეს არის. ახლა ოჯახის გაჭირვება ხომ მაინც თავის რიგზე მიდიოდა: მტერი, მოყვარე, ქორწილი, ტირილი, დღესასწაული, ცოლ-შვილი. გოგოს სწავლა რამდენი დამიჯდა. ახლა სწავლა რომ გაათავა — ტანისამოსი რამდენი ვუყიდე. მადლობელი კი ვარ,

მაგისი ჭირი შემეყაროს, კი ისწავლა კარგად. ეხ, ნეტავ ის ვაჟი [illegible]ამსვლოდა, — ამოიოხრა ბასილმა. — ჩემ სახელს არ დააგდებ-და, მაგრამ, მადლობა ღმერთს...

— ძუკუზე უარესი იქნებოდა, ხა, ხა, ხა, — გააწყვეტინა ბართლომემ. — დამერწმუნე, ბიძი, ძუკუზე უარესი, ვაჟი რომ ყოფილიყო. ახლავე ისეთ თვალებს აბრიალებს, რომ პა, პა, პა, ჩვენ, მძებრაძეებს, არ გვიწერია, ბიძი, სწავლა.

— ეხ, რაც არის, ის არის, ქალად ღმერთი აცოცხლებდეს, თორემ. ერთი, ჩემ სიცოცხლეში, მე რომ შემეფერება, ისეთ კაცს მივცემდე, მეტი არა მინდა რა. ქალიშვილია, ბაბა, ცოდვა, თორემ ვაჟიშვილმა რაც უნდა, ის ქნას. ყოველნაირად გამოვცადე, მაგრამ არა გამივიდა რა. ახლაც რომ აიკვიატებს ერთ რასმე, რომ ვერ მოაშლევინებ.

— ეს ვისზე ამბობ, ბიძი?

— ძუკუზე გეუბნები, კაცო. დაიჩემა ეს ცხენი, ამოსაწყვეტ ნარიქის უშოვნია საღაცა, ის ხომ ცხენის გაცვლა-გამოცვლის მეტს აღარეფარს აკეთებს. ასი რგვალი მანეთი ჩავუანგარიშე ხელში. ცხენი, ერთი სიტყვით, გვარიანი კაი ლაფშა იყო, სწორედ გვარიანი კაი ცხენი იყო. შემოჯდა ზედ და, შენ ხარ ჩემი ბატონი, აი აქეთ, აი იქით და ორი თვეც არ არის, ცხენმა უკანა ფეხებზე კოჭლობა დაიწყო. თუ კვერცხი, ან თუ ძვალი. შენი მტერი, პირდაპირ წყალში გადაცვინდა ასი მანეთი. ეს ერთი და რამდენი მაგისთანას მიახარჯა თუმნობით და მანეთობით. ახლა, წარმოიდგინე, სად მექნება ფული. ოცდაათი წელიწადია, აქეთ ფული არ მისესხნია. და ასი სახარების მადლ[illegible] ასი მანეთი ქე ვისესხე ამას წინეთ; მგონია, კიდევ შემე-ქნება სასესხი, თუ სიმინდის ფასმა არ აიწია.

— ახლა კი გვარიანი ფასი აქვს, ბიძი.

— მაინც, მაინც, თუ ღმერთი გწამს? — მოუთმენლად დაე-კითხა ბასილი. — რი გორ შეიტყვე, როგორი მაზანდაა ფოთში და სენაკში.

— ფოთში სამ აბაზ-ნახევარი უნდა იყოს და სენაკში ასე თერთ-მეტი შაური, ათი შაური.

— ეჰ, აქ სოფლად მაშ, ათ შაურსაც არ მისცემენ ჯერ,—მოწყე-ნით თავი დააქნია ბასილმა.

— ჰო! — წამოიძახა ბართლომემ. — იმ სიმინდმა გამახსენა, ზოგიერთი კაცის ბედი როგორ მიფრინავს? სასწაულია, სწორედ სასწაული! მაშინაში შევხვდით ერთმანეთს, ისიც ქუთაისიდან მოდიოდა.

— ვინ?

— ᲰᲛ, — ჩაიცინა ბართლომემ, — სამაგალითოა, ვინ, ბიძი, და სიკოია თოხიტარიას შვილი, ფარნა, ბაჟაკი რომ იყო. ახლახან ფეხშიშველი რომ თხებს მიყვებოდა. ისეა გამოწყობილი, თავადიშვილი რა სახსენებელია მასთან, ვინმე პრინცის შვილი გეგონება, ან ასე ჩქარა ასე რამ გაზარდა, ერთი მტკაველით კი არის ჩემზე უფრო მაღალი. იმ ვირიშვილს, ჟიჟღილს მიუგავს სახე და მერე, ჯერ სულ ბაღანაა, ტომბაშვილს ახლავე უფროს პრიკაშჩიკად დაუყენებია და სიმინდის ყიდვაც მიუნდვია. შეიძლება შინისაკენაც წავიდე სიმინდის საყიდლადაო, — მითხრა.

— ვაჟო, მეტი ხანი არ არის ჯერ, ის რაც ფოთში წაიყვანეს! შენ მეორეზე არ ამბობდე? — გაიოცა ბასილმა.

— არა, კაცო, შენ ივანეზე ამბობ? იმას არ ვიცნობ? ის საყასბოშია. ისიც კაი ბიჭია, ᲰᲛ, ერთი ორჯერ ისეთი სუკის მწვადები მაჭამა. იმას სიმინდის ყიდვის თავი არა აქვს... ის არა, ის, პატარა, მეც ის არ მაკვირვებს. სხვები თხუთმეტ-ათს წელიწადს მაინც ცოდვილობენ და იმან კი მისვლა და...

— რომ ვთქვათ, ზუგდიდში კი გაათავა კლასი, — დინჯად გააწყვეტინა ბასილმა. — სწავლას ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რა სწავლა! მაგის სწავლა კიდევ, — კბილების ღრეჭით მიუგო ბართლომემ. — მაგის სწავლას, ჩიტი გაფრინდაო და მელაკუდამ მგელი მოიტაცაო, ვაჭრობასთან რა კავშირი აქვს.

— არა, რატომ, — თავი გამოიდო ბასილმა. — სწავლას ყოველ საქმესთან აქვს კავშირი... მაინც ის დაქცეული ტომბაშვილები; წავიდნენ და წავიდნენ წინ... ვო, უბედური როსთომი, — გაიხსენა ბასილმა.

— ა, — ამოიოხრა ბართლომემ. — ისინი არიან და არიან. მაგათ ახლა ჩვენი კაცი არა მგონია შეედაროს. იმ კონსტანტინეს კარგად ვიცნობ. ღვედია, რაღა, ღვედი, გამოჩარხულია. პატარაობაშიაც ვიცნობდი, ბიჭად რომ იყო დუქანში. ერთი კაპეიკისათვის თვალებს დაითხრიდა. ძუნწი იყო, ძუნწი. ნანა, ნანა, ისეთი რომ!..

— ახლა კი გზაზე გამოიყვანა თავისი საქმე, ძმაო, — ცოტა არ იყოს შურიანად თქვა ბასილმა და ამოლეულ ყალიონს ერთიც ულაზათოდ ჩაუფშვნიტა და რიკულის თავზე დააბერტყა. — იმასაც ნახავ, თუ თოხიტარიაც კაცად არ გამოიყვანოს. გამდიდრდება ი კაცი; მოვა და გამოჭიმავს კაი ოდას, მე შენ გეტყვი, მოურავი წაართმევს თუ! ჩაიცვამს შენზე უკეთესს. შეჯდება ბედაურზე,

დაიწყებს იმერული და კახური ღვინის სმას, გააღებს დუქნებს და შენ შეჰყურე და საბუთები და მოწმობები აგროვე. მერაბის სული თუ მწამს, ხანდიხან გული ათასნაირად შემეცვლება. კაცო. ამოდენა ფული დაგხარჯეთ აზნაურობაზე, ვიყიდეთ, რაღა, ქრისტეს მადლმა! ათას მანეთად ლევან დადიანი ხუთ სოფელს მოგცემდა ქალიან-კაციანად, ტყიანად, ქვიანად და წყლიანად. რას ამბობ, რაღა დადიანი გინდა, ერთი ხარი რომ მოგეყვანა სახუცესისათვის და ადგილი გეთხოვა, კი არ დაგიზომავდა; სად იყო მიწის ზომვა, ვინ გაიგონა. ზომვა რომ დაგეწყო, სიცილს დაგიწყებდნენ, ისე ხელით მიგითითებდა: ამ გორიდან იმ გორამდეო და შიგ ორასი ქცევა ქე იქნებოდა... აბა, წარმოიდგინე. ჩვენ რა ფულები რას დაეახარჯეთ. იმას, რაც ჩვენი იყო, რაც ერთადერთი დაგვრჩა მამა-პაპისაგან, ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი! კიდევ ვერ წარმოგვიდგენია, რას ნიშნავს ესა. აბა მითხარი, რა მოვიგეთ!

—მოგება კი არა, ბიძი,—მწარე ღიმილით მიუგო ბართლომემ,— შენ კიდევ, ბიძი, ღვთის და შენი ჭკუის წყალობა, კიდევ შეგრჩა ქონი, მამული მაინც გაქვს და ჩვენ კი, შენი მტერი, სიცოცხლიდან წმინდად გამოვედით. მე თუ გინდა, რა დასამალავია, არც სულს ვარგივარ და არც ხორცს, ისე გამიჯანჯალებია ჩემი ცხოვრება, ქე მაინც, საბედნიეროდ, მე მარტო ვარ. მაგრამ ჩემი ძმები? არ ვიცი, ვერ მომიფიქრებია, იმათ რაღა ეშველებათ. არც მუშაობა შეუძლიათ. არც არაფერი აბადიათ, ცოლ-შვილი კიდევ ჰყავთ. თუ რამე ხელწამოსავლები გვებადა, ნიკოია თოხიტარიას აქვს ხელში... და შენ უყურე.

— მე აბა რას გეუბნები! — დინჯად და მოწყენით მიუგო ბასილმა. ეტყობოდა მოხუცს გულის სიღრმემდი შეჰხებოდა ეს მწვავე საკითხი. — მეც იმას ვამბობ, მე ვითომ რა მამული მაქვს, ახლა თუ რამე გამიჭირდა, სხვა გზა არა მაქვს, მეც მამულს უნდა დავავლო ხელი და რა ბევრი ბგონია... არა, შვილო, ჩვენ თუ რამენაირად ხელი არ გამოვიღეთ და რამე ახალი საშუალება არ მოვძებნეთ, ჩვენი საქმე წაგებულია, — აქ ბასილი წამოდგა, თვალები ალივით აენთო და აკანკალებული ხელები წინ გაიშვირა. — გაბატონდა გლეხი, ჩემო ძმაო, გაბატონდა. წავიდა და წავიდა წინ, მომავალი მისია.

— არც იმდენად უნდა გაიტეხო, ბიძი, გული, ჰაიტ!—თამამად უთხრა ბართლომემ და ისიც ზეზე წამოდგა. — ნუ გეშინია! რაც გინდა იყოს, ყაზახზე უკეთესი მაინც ვიქნებით. ყაზახი, რაც

გინდა გამდიდრდეს, მაინც ყაზახია. — თითქმის გაბრაზებით და კბილების კრაჭუნით დაუმატა ბართლომემ.

ბასილიც არ იყო ნაკლებ გაბრაზებული და ორივენი ერთ ხანს ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ეს გაბრაზება და გულის მოსვლა ცხადად ამტკიცებდა, რომ ბართლომეს ბოლო სიტყვები ყალბი იყო და მხოლოდ გულის მოსაფხანად იყო წარმოთქმული.

XXXIII

ᲓᲐᲮᲦᲘᲓᲐᲠᲘ

წისქვილის ქვემოთ, რამდენიმე ასი საჟენის მანძილზე, ჭანის წყალს ლამაზი კუნძული გაეკეთებინა. კუნძულს სიგრძე ასი საჟენი ექნებოდა და სიგანე ორმოცი. ზედ მშვენიერი მაღალი ბალახი ხარობდა და ძუკუმაც, როგორც ურჩიეს, ჯერ კარგახანს ცხენი წყალში ჩააყენა და მერე უკანა ფეხებზე გრძელი ბაწარი მოაბა და ამ კუნძულზე საბალახოდ გაუშვა. თვითონ კი მდინარის პირად ციცაბოზე სუფთა ადგილი აირჩია, ჩოხა ძირს დააგო და გაგორდა. ჯერ პირაღმა იწვა და კარგა ხანი ლურჯ ცას ათვალიერებდა. მზე გადახრილი იყო, ნახევარი საათიცა და ციხის ნანგრევის ბორცვს მიეფარებოდა; ამიტომ ცის კამარის დათვალიერებას მზის სხივები არ უშლიდა. ძუკუ დააშტერდა ცის კამარას, მაგრამ თვალებს სულ ერთფერობა ეხატებოდა: მხოლოდ ლურჯი ფერი და ლურჯი ფერი. ერთი ბეწო ღრუბელი არსად მოჩანდა. ძუკუ მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა: თვალწინ ჯერ მაღალი ბალახი გადაეშალა, მერე ჭანისწყლის ტოტი, რომელშიაც წყალზე ხეთჯერ მეტი სიპი ქვა ეყარა და მის გაღმა დატაროებული მაღალი სიმინდი ჭალის სიგრძე-სიგანეზე გაშლილიყო. მარჯვნივ ბასილის ეზოს მაღალ-მაღალი არყის ხეები და ოდის სახურავი მოჩანდა და მარცხნივ ხშირი სიმინდებიდან ოდნავ გამოსჭვრეტდა წისქვილის ისლის სახურავის წვერი. ეს სანახაობაც არ მოეწონა ძუკუს და მარჯვენა მხარეზე გადაბრუნდა. მის თვალწინ ჭანისწყალი ნელა მიიზლაზნებოდა. ამ ადგილას წყალი შეგუბებულიყო, ღრმა კალაპოტი ჰქონდა და ამიტომ ნელა მიდიოდა, ქვემოთ, რამდენიმე საჟენზე კი, ფონი იყო და იქით დაღმართი, რომელზედაც წყალი ჩქარ-ჩქარა მიჩუხჩუხებდა. მეორე ფონი ზემოთ იყო, ასი საჟენის სიშორეზე, იქ სათემო გზა გადიოდა და ეს გზა წისქვილს გვერდით უვლიდა.

ძუკუ წყალს დაეჩერდა. სარკესავით სწორი ზედაპირი ნელ-ნელა ირწეოდა. ალაგ-ალაგ მრგვალად ტრიალებდა, ტრიალ-ტრიალით ქვევით ჩაექანებოდა და იკარგებოდა. პატარა თევზები ცელქად დაცურავდნენ წყალში და ხანდახან ფრთხილად თავსაც ამოყოფდნენ წყლიდან და ისევ საჩქაროდ ჩაყურყუმელავდებოდნენ. ერთმა კარგა მოზრდილმა წვერედამაც გაისეირნა ერთი ადლის სიღრმეში, რაც ძუკუს, როგორც თევზის ჭერაში გამოცდილს, არ გამოეპარა. „ახ, ერთი სასროლი წამომეღო. — გაიფიქრა მან. — ამ ულვაშას დავაკრავდი ამაღამ გახურებულ კეცზე". და ერთიც წყალში ჩააფურთხა, წყალი მრგვალად გაიპო და ეს რგოლი თანდათან გაფართოვდა და ტალღებს შეუერთდა. ძუკუმ მეორეჯერაც გადააფურთხა, მესამეჯერაც, მეოთხეჯერაც... ყოველ ჩაფურთხებასთან წყალზე აღმოჩენილი რგოლები ძუკუს ძლიერ ართობდა. ცალი ხელით პატარა კენჭი აიღო და მდინარეში გადაისროლა. „ტყუპ!" მოადინა კენჭმა და წყალზე ლამაზი რკალი გააკეთა. რკალი თანდათან გადიდდა და ვეებერთელა რგოლად ტალღებს შეუერთდა.

— ოჰ, ამ სიფართე ურმის ბორბალი, — წაიბუტბუტა ძუკუმ. — მერე ამისთანა ბორბალს რამ სიდიდე ხე დასჭირდება. ხუთსაჟენიანი თელა სულ მთლად მოუნდებოდა, რამ სიმაღლე უნდა იყოს კამეჩები, რომ ასეთ ურემს შეაბა. — ძუკუმ ცალი ხელით მუჭის სიმსხო ქვა მოსძებნა და შუა მდინარისაკენ გადაისროლა. ახლა რკალმა თითქმის მთელი მდინარე დაფარა. — ჰა, წიე! დაიძახა ძუკუმ. — ამას ხომ...

— არ ამოწყვიტო თევზები, ახლა ქვით დაიწყე ნადირობა? — მოესმა უკანიდან. საჩქაროდ მიიხედა. მის წინ თემა ბოჭოკია იდგა.

— ამდენ ხანს სადა ხარ, შე კაცო, არც კი მოგელოდი.

თემა მდელოზე ჩამოჯდა.

— არ მომელოდი... თაფლა ლეღვის საკრეფად ხომ არ ვიყავი წასული, — ცოტა არ იყოს ტლანქად მიუგო თემამ.

— ჰო, ახლა შენც ნუ გაჭიმავ, რა ამბავია?

— ცოტა-ცოტად, ისე, რაღა, მიდის საქმე.

— ხომ გადაეცი!

— გადაცემით კი გადავეცი, მაგრამ მეტი ვერა მოვახერხე რა.

— ვერაფერი უთხარი?

— ცხვირსახოცის გადაცემა როგორ მოვასწარი უხიფათოდ, ეს არ გიკვირს? ახლა ივლისი როდია. ყანაში სამუშაო გათავებულია და ყაზახი ხშირად შინ არის. თუ სადმე გაიარა, ისევ ჩქარა ბრუნდება. მამა თუგინდ სადმე წასულა, შვილი შინ არის. ერთი

ბედი, პეტრე შინ არ არის და ნიკოია და ათანასე შეშის მოსატანად წასულიყვნენ. ერთი ბეწო გადავრჩი, კინაღამ მნახეს.

— ხომ არ გნახეს ნეტავ? — შეშინებულად ჰკითხა ძუკუმ.

— რის კუდა ვარ, თუ ასე ადვილად კაცს თავი დავანახვე, ისე ოსტატურად გამოვუძვერი, რომ ნამდვილ მელაკუდას შეშურდებოდა.

— ყოჩაღ, ჩემო თემა. ეს კი დაგიმადლე. სირცხვილია, ოხერი; რომ გამომეღავნდეს. უსიამოვნება მოყვება და სალაპარაკო ავტეხო, არ მინდა, თორემ არ ნოგიკვდეს ძუკუ, გლეხის გოგოს არშიყობისათვის ის ჰყონონიდან ვერავინ გადაასახლოს. ცუდი დრო კი არი. მართლა, ეს აგვისტო, სულ შინ არიან, მაგრამ დამაცა, სიმინდის აღება რომ მოვა, მაშინ იქნება კარგი დრო.

— შენ შენითაც უნდა აკეთო საქმე, ძუკუ, თორემ მე რა, ჩემი მოციქულობით ბევრი ვერაფერი კეთდება. შენი პირით რომ ეტყვი, სულ სხვაა.

— კაცო, დრო ვერ ვიშოვნე მეც მოხერხებული. ერთი ორჯერ, როცა ვიშოვნე, ერთი ორი წუთი, და ერთი-ორ წუთში რა გაკეთდება! დიდი თვალთმაქცი ქალი უნდა იყოს. თვალებით ისე შემოგხედავს, თითქო ეს არის. შეჭმა უნდა შენიო, და ხელს კი არ მოგაკიდინებს. მაგრამ მომითმინე, თუ ჩავიგდე ხელში...

— ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა კუდამ.

— ახლა შენ გასამრჯელო გინდა, არა? — დაეკითხა ძუკუ და კუდას მასხრულად შეხედა.

— თუ მიბოძებ რასმე, შენ წყალობას, კოვზის ზიარება იქნება, და კუდაც ხომ მუდამ შენი ერთგული მელაა.

ძუკუმ ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ერთი მანეთიანი ქაღალდის ფული ამოიღო და იქვე მდელოზე დააგდო.

თემამ მაშინვე ხელი სტაცა.

— რამ აგაჩქარა, მოცემა რომ არ მდომოდა, არც კი ამოვიღებდი, — ბრძანების კილოთი შეუბღვირა ძუკუმ.

— რა ქექე ჭკუისა ხართ ეს აზნაურები, — მიუგო კუდამ. — შე დალოცვილო, ქარმა დაუბეროს და წყალში ჩააგდოს, მერე, ირიკავე კუდა.

— კარგი, კარგი, ახლა ეს იკმარე, — მიუგო ძუკუმ, — ამ დღეებში ახალი ჩოხა უნდა შეეიკერო და ძველს შენ გაჩუქებ.

— შენი წყალობა ღმერთმა ნუ მომაკლოს, ბატონო, გაიანეს წითელი ლოყები ლამაზად გადაგეკოცნოს და სხვა ათასი.

— ეს კი მესმის, ამაზე უარს არ ვიტყვი.

— ეს ვინ უნდა იყოს, ბატონო, — გააწყვეტინა კუდამ და ზემო ფონისკენ თითი გაიშვირა.

ძუკუმ მიიხედა.

ფონში ვიღაც ცხენოსანი გადიოდა. სიშორისა გამო სახე გარკვევით არა ჩანდა, მაგრამ ჩაცმულობა და გარეგანი სიკოხტაეე უმტკიცებდა, რომ უბრალო ვინმე არ უნდა ყოფილიყო.

— ვინ უნდა იყოს! — საორჭოფოდ გაიმეორა ძუკუმაც. — არჩილ დადიანს ჰგავს ცოტად, მაგრამ ის მარტო თავის დღეში არ დადის და წვერიც უფრო მეტი აქვს... შეიძლება ვიღაცაა, ჩვენს სახლში მიდის სტუმრად.

— მეც ასე მგონია. — მიუგო კუდამ.

— აბა, თემა, თუ გაიქცევი ყანა-ყანა, შარაგზაზე თუ გამოხვალ და თუ შეიტყობ, აბა, ვინ არის ის ცხენოსანი. ბიჭი იქნები.

— ახლავე, ბატონო, — მიუგო თემამ და გავარდა.

ამასობაში მგზავრი ფონს გავიდა და სიმინდებში მიიმალა. ძუკუმ ჩოხა ჩაიცვა და ცხენს გახედა. ცხენი მადიანად ბალახობდა კუნძულის ბოლოს, წყლის პირად. ძუკუ ცხენისკენ გაეშურა, ბაწარს ხელი მოავლო, წამოიყვანა და წყლის პირად ძეწნის ტოტზე მიაბა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კუდაც გამოჩნდა. მას წყლის ტოტი გამოევლო და ფეხებს ზარმაცად მოათრევდა.

— ვინ ყოფილა, თემა? — მოუთმენლად დაეკითხა ძუკუ.

— არავინ, — ზანტად მიუგო კუდამ.

— როგორ არავინ, ხომ არ მოგვლანდებია.

— მოლანდებით არ მოგვლანდებია, მაგრამ ფარსაგი ვინმე თუ იყო, არ მეგონა.

— ვინ იყო?

— ჰმ, ფარნა თოხიტარია, ნიკოიას შვილი. — ამასობაში თემა ძუკუს მიუახლოვდა. სახეზე უკმაყოფილობა და შურიანობა ეხატებოდა.

— რას მეუბნები, თემა, — გაიკვირვა ძუკუმ. — ფარნა თოხიტარია და ასე გამოწყობილი, ან ასე რამ გააზორბა ვირიშვილი, — ცოტა არ იყოს, შურიანად დაუმატა ძუკუმაც. — შეხედე, ყურუმსაღი, ბატონიშვილს არ დავამგვანე!

—მეც და სხვებიც ქე გაგვაკვირვა, მაგრამ რას იზამ. ამ ზოვიერთებს ბედი ციდან რომ მზად ჩამოუვარდებათ ხოლმე, ერთხელ

წინ რომ წაწევს, მერე წავა და წავა. ათი წლის წინათ ნიკოია თოხიტარია ჩემისთანა იყო.

— იმას არ გეკითხები, ნიკოიაზე არ გეუბნები, — გააწყვეტინა ძუკუმ. — ფარნაზე მითხარი.

— რა გითხრა, გითხარი და ეს არის. გამოჭიმულია ყაზახი. იმას რომ ჩოხა აცვია, მაგისთანა ფართალი, მართალი გითხრა, ჯერ თვალითაც არ მინახავს. ქუდი ახურავს, მარა როგორი! სარტყელი არტყავს როგორი! ისეთი ჩექმები აცვია, რომ სარკესავით სახეს დაგანახვებს. კისერზე საათის ძეწკვი, რასაკვირველია. წისქვილის პირას მაძინია შეხვდა და ხომ იცი მისი ამბავი, გაუხუმრა. იმან კი თავმომწონედ თავი გადაწია და ამაყად ცხენს მათრახი გაუტყლაშუნა.

— შენ არაფერი გითხრა?

— პაააა, თემას გაუმარჯოს, როგორა ხარ, თემაო.

— სხვა რაღა გინდა!

— ვაი ბაბუამისს, როგორა ხარო, მკითხა და სახეზე შევატყვე, გულში სულ სხვას ფიქრობდა. ფო, საწყალი, სულ გახუნებულა ეს ცოდვის შვილიო.

ძუკუმ არა მიუგო რა. ჩუმად ცხენთან მივიდა, გავაზე ხელი გადაუს-გადმოუსვა, თოკი ხელში მოიგროვა და ზედ შეჯდა.

ისინი ერთმანეთს განშორდნენ.

* * *

ფარნა თოხიტარიამ საუცხოო ნიკი და ერთგულება გამოიჩინა ტომბაშვილთან. კონსტანტინე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ საიმედო კაცი ყავდა მაღაზიაში და მომავალში მას ბევრ იმედს სდებდა.

გავიდა ორი წელიწადი და ერთი ღირსშესანიშნავი საქმე მოხდა ტომბაშვილის მაღაზიაში. უფროსმა ნოქარმა, რომელიც, სიტყვაზე, შორეული ნათესავიც იყო ტომბაშვილისა, ასი თუმანი ფული იზარალა და ერთ მშვენიერ დღეს თავიც გაანება. ნოქარი სხვა ვაჭრის ნოქარს დაუამხანაგდა და ორივემ, იქვე, კონსტანტინეს გვერდით, კაი ლამაზი დუქანი გამოჭიმეს, იმგვარივე საქონლით, როგორითაც კონსტანტინე ვაჭრობდა. ახლა კი ნოქრის მოქმედება ცხადი იყო, მაგრამ ვინ რას უზამდა! კონსტანტინე ნოქარს სრულიად ენდობოდა და ამიტომ შემოსავალ-გასავალს წელიწადში მხოლოდ ერთხელ ანგარიშობდა. ხშირად კი არა სინჯავდა. სწორედ ამ ნდობით ისარგებლა ნოქარმა და ასი თუმანი ნაღდი ააკრა და

მერე ისე ხერხიანად, რომ ვერავითარი მართლმსაჯულება თითსაც ვერ მიაკარებდა. ერთი გზა იყო: კონსტანტინე ბედს უნდა დამორჩილებოდა და დამორჩილდა კიდეც. ახლა კონსტანტინეს ძალაუნებურად ფარნასათვის უნდა ჩაებარებინა დახლი, რადგან მაგაზე დაახლოებული არავინა ჰყავდა და ფარნამაც დაუმტკიცა, რომ არჩევანში არ შემცდარა.

პირველ თვეს მეტოქე მედუქნეებს ჩინებული ვაჭრობა ჰქონდათ, რადგან მუშტრები დიდი ხნობით იცნობდნენ და შეჩვეულნიც იყვნენ, ამიტომ კონსტანტინეს მუშტრების უმეტესობა იმათთან გადავიდა. მაგრამ მეორე და მესამე, და განსაკუთრებით მეოთხე თვეს, საქმე სხვანაირად შეიცვალა. ფარნამ ისე სუფთად მოაწყო მაღაზია, ისე ლამაზად და მომხიბლავად გამოფინა საქონელი, ისე რიგზე ჩააყენა ბიჭები აქა-იქ საქონელ შუა და, რაც უმთავრესია, ისე ტკბილი და სანდომიანი სიტყვებით მიმართავდა მყიდველებს, რომ კონსტანტინეს მაღაზიისადმი ნდობა და პატივი თანდათან აღადგინა. გარდა ამისა, კონსტანტინეს ურჩია ზოგი საქონლისათვის ფასი დაეკლო, თუნდ საზარალოც ყოფილიყო, რამდენიმე ხნობით. კონსტანტინე დათანხმდა და ამ ხერხმაც სასურველი შედეგი არ დააყოვნა. ექვსი თვის შემდეგ კაპიტალმა თავისი გაიტანა. ახალმა მტერ-მეზობლებმა მეტოქეობა ვერ გაუწიეს და იძულებული გახდნენ დარჩენილი საქონელი მიეყიდ-მოეყიდათ და ბედის საძებრად ბათუმში გადასულიყვნენ.

ამ გარემოებამ ფარნა კონსტანტინეს თვალში უფრო აღამაღლა და მან ცხრამეტი წლის ფარნას ოცდახუთი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა წელიწადში და ხელწერილით პირველი ნოქრობა ჩააბარა.

კონსტანტინემ ჩვენ ნაცნობ თეიმურაზთან სიმინდის ვაჭრობასაც მიჰყო ხელი, მაგრამ მათ შორის, საუბედუროდ, ჩქარა უთანხმოება ჩამოვარდა. კონსტანტინე თეიმურაზს აბრალებდა, ოცი თუმანი ფული ყალბად მიანგარიშა, ერთი სიტყვით, მომტაცაო, და თეიმურაზი კონსტანტინეს აბრალებდა: პირობა გვქონდა. რასაკვირველია, სიტყვიერი, მოგება შუაში უნდა გაგვეყო და იმან კი, როცა სახეიროდ საქმე დაინახა, მესამედის მეტი არ მომცაო. ასე იყო თუ ისე, მათი ამხანაგობა ჩაიშალა. ეს კიდევ ბევრი არაფერი, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ კონსტანტინე გაურიგდა ერთ ბერძენ ვაჭარს, ორმოცი ათასი ფუთი სიმინდი უნდა ჩაებარებინა ნახევარი წლის განმავლობაში. ფასს ბერძენი რიგიანს იძლეოდა, მხოლოდ თუ ვადაზე გადააცილებდა, ბერძნის სასარგებლოდ ასი თუმანი ჯარიმა უნდა გადაეხადა. პირობა კონსტანტინეს სახელზე იყო და-

წერილი და მისგანვე ხელმოწერილი. თხუთმეტი ათასი ფუთი იყიდა თეიმურაზმა, და კიდევაც ერთმანეთს აეშალნენ. კიდევ სამი თვე გავიდა. ვადა ახლოვდებოდა და სიმინდი სანახევროდ არ ჰქონდათ ჩაბარებული. საიმედო კაცსაც აღარსაიდან ხედავდა, რომ საშველად მოეწვია. აქაც სამსახურის გაწევას ახალგაზრდა ფარნა შეპირდა.

— რას ამბობ! — გაიკვირვა კონსტანტინემ. — შენთვის ეს სულ ახალი საქმეა და ამაში რას შესძლებ?

— ყელი გამომჭერი, თუ საქმე რიგიანად და სასარგებლოდ არ დავაბოლავო, — მიუგო ფარნამ. — მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობაა?

— სხვები რომ ყიდულობენ, იმ ფასს ნახევარი კაპეიკი უნდა მოვუმატოთ ფუთზე.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო კონსტანტინემ. — მაინც თითქმის ოთხ კაპეიკ წმინდა მოგებას ვხედავ ფუთზე.

— ეს კიდევ უკეთესი.

— ბიჭო, გავბედო და მოგანდო? — ორჭოფობდა კონსტანტინე.

— როგორც შენი ნება იყოს. ერთი ოც დღეს მაინც გამოსცადე.

კონსტანტინე თუმცა იჭვნეულობდა, მაგრამ სხვა გზაც არა ჰქონდა, ფარნა გამოაწყო, საჭირო ფული და ტომრები მისცა და გაგზავნა სოფლებისაკენ.

ფარნა ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა და ხუთი ათასი ფუთი სიმინდი ჩამოიტანა.

კონსტანტინე ახალგაზრდა ნოქარს გაშტერებული შეჰყურებდა.

— ბევრს არ გეტყვი, ჩემო ძმაო, — უთხრა კონსტანტინემ, — თუ ამ საქმეს ბოლომდე რიგიანად მიიყვან, მოგების მესამედი ღმერთმა კეთილად მოგახმაროს და ამ ხნის განმავლობაში შენი ჯამაგირიც თავის ძალაში რჩება. აქ კი შენს მაგივრობას მე გავწევ-ვაი, თუ შენც იოსებივით (პირველი ნოქარი) მიღალატო, — ნაღვლიანად დაამატა კონსტანტინემ.

— მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი, მხოლოდ ივანე, ჩემი ძმა, უნდა გამატანო, რადგან დრო ცოტა დარჩა და მე მარტო ვერ აუვალ მისვლა-მოსვლას.

კონსტანტინე სიხარულით დასთანხმდა და ყასაბიც, კონსტანტინეს ძმა, წინააღმდეგი არ გაუხდა. საერთო საინტერესო საქმე იყო, და სამი დღის შემდეგ ფარნა ნაქირავები ცხენით ჭყონონისაკენ გაემგზავრა.

* * *

შვილების მოსვლა ნიკოია თოხიტარიასათვის დიახ რომ დღესასწაული იყო. ასეთი სიხარული, რაც მან ივანესა და ფარნას დანახვაზე იგრძნო, თავის სიცოცხლეში არ გამოუცდია. გარეგანი შეხედულებით ორივენი კაი სანახავები იყვნენ. ორივე მაღალ-მაღალი, მხარბეჯა, ლამაზი სახისა. მიუმატეთ ამას მათი მშვენიერი ჩაცმულობა და ქალაქში ცხოვრებისა გამო იქაური შეთვისებული ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და მიხრა-მოხრა.

კვირა დღეს ნიკოია შვილებითურთ წირვაზე წავიდა. ეკვი არა გვაქვს, ნიკოია ღვთის მორწმუნე კაცი იყო. წირვა-ლოცვაზე სიარული უყვარდა, მაგრამ დღეს ლოცვა-ვედრება იმდენად არ აინტერესებდა, რამდენად თავისი სასიქადულო შვილების გამოფენა საზოგადოებაში. თვითონაც კარგად გამოეწყო. შვილებისაგან მიტანილი ახალი, მაღალყელიანი ჩექმები ჩაიცვა. გაიანემაც ძმებისაგან მოტანილი შლიაპა დაიხურა და ყველანი ეკლესიისაკენ გაემგზავრნენ.

ეკლესიაში ხალხი ბლომად მოგროვილიყო. წირვის ჟამნი დაეწყოთ. ზოგნი სიცხისა გამო ეკლესიის დერეფანში იდგა და წირვას ისმენდა. ხალხმა ნიკოიას და მის შვილებს შორიდანვე ყურადღება მიაქცია, შეიქნა ერთი ჩუმი ჩოჩქოლი და მათკენ ცქერა დაიწყეს. მიქელა დიაკონიც ჩაიყოლია საზოგადო ხმაურმა და მოძრაობამ. ის კარებთან იდგა, წინ პატარა კათედრა ედგა და ჟამნს კითხულობდა. სხვებთან ერთად იმანაც მიიხედა ჭიშკრისაკენ, საიდანაც ეკლესიის ეზოში მწკრივად შემოდიოდნენ ნიკოია და მისი შვილები: პეტრე, ივანე, ათანასე, ფარნა და გაიანე.

დიაკონმა თვალები დააშტერა ახალ შემოსულებს და თან ამბობდა ალილუია, ალილუია, ალილუიაო, და სამჯერ თქმის მაგივრად ბარე ექვსჯერ გაიმეორა. შეიძლება სულ ალილუია ეთქვა, მამა ევთიმეს საკურთხეველიდან ხმა რომ არ გაეცა. მიქელა გამოერკვა და საჩქაროდ მიაყოლა: დიდება შენდა, ღმერთო, უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენო. ჭიშკარს თვალი მოარიდა და ისევ ჟამნში ჩაიხედა.

ნიკოია და მისი შვილები ეკლესიაში შევიდნენ და პირჯვარი დაიწერეს, ე. ი. მარჯვენა ხელის თითები გულ-მკერდზე აათამაშეს, თითქო ჩონგურის სიმებს უკრავენო.

ფარნამ მოიხმო მნათე და ერთი აბაზი გადასცა. ივანემაც აბაზი გაუწოდა, ნიკოიამ ორი შაური და პეტრემ ერთი შაური. ამ ფულებით საკმაო ბევრი სანთელი აანთეს. ნიკოია თავმომწონედ შე-

სცქეროდა სანთლების ალს და ჩუმად ღმერთს მადლობას სწირავდა. ზოგი მლოცველთაგანი მათ დაკვირვებით ათვალიერებდა. ზოგი შურიანი თვალით უყურებდა, ზოგს უხაროდა და ზოგიც ქვეშ-ქვეშ იცინოდა.

ნაწირვევს ხალხი ჩვეულებრივ გაეშურა ცაცხვისაკენ, რომლის ფართო ჩრდილში წირვის შემდეგ. საზოგადოება ტკბილ მუსაიფში რამდენიმე წუთს ატარებდა.

ცაცხვის ხესთან მიდგმული იყო ერთი ფიცარი, რომელიც საპატიო პირების საჯდომად იყო დანიშნული. ეს საპატიო პირები იყვნენ ჯერ თვით მღვდელი და მერე აზნაურიშვილები და მათ შორის განსაკუთრებით ბასილ მძებრაძე.

გამოჩენილ აზნაურთაგან დღეს ბასილის გარდა არავინ იყო და ამიტომ ამ ფიცარზე მარტო ბასილი იჯდა. ირაკლი მძებრაძეც კი იყო, მაგრამ ისეთი დაფლეთილი ჩოხა-ახალუხი ეცვა, რომ საპატიო ალაგას ჯდომა კი არა, სულ უკან-უკან იმალებოდა და ცდილობდა. არავის შეემჩნია.

ქალები ცალკე იკრიბებოდნენ მეორე პატარა ცაცხვის ძირას. აქ კი ფიცრის მაგივრად, ძველი ნანგრევებისაგან თლილი ქვა იყო დაწყობილი და საპატიო ქალები ამაზე ჯდებოდნენ. აქაც, რა თქმა უნდა, მარიკა პირველობდა და დღესაც ნაწირვევს თამამად ჩამოჯდა უფრო მსხვილ ქვაზე, ტასიაც თან ჰყავდა.

ივანესა და ფარნას მეზობლები და ნათესავები სიხარულით მიემშვიდობნენ და ალერსიანად გადაკოცნეს.

—რავა დავაჟკაცებულხარ, ბიჭო, — მოეალერსა ბასილი ფარნას, როცა ცაცხვთან გავიდნენ. — აბა, მოდი, დაბრძანდი, — შესთავაზა ფიცარი.

— გმადლობთ, — ზრდილობიანად მიუგო ფარნამ, გაიცინა. და სკამის ახლო მდელოზე ფეხმოკეცით წამოჯდა. - ფიცარზე მარტო ბასილი იჯდა, თავისი განუყრელი ჩიბუხით პირში და ხალხს პირდაპირ შეჰყურებდა.

— არა, არა, მერაბის სულს ვფიცავ, არ მიკვირს, რავა დავაჟკაცებულა ეს ბიჭი, — გააგრძელა ბასილმა. — აბა, ჩემო ბაბაია, ნიკოია, კაი შვილები მოგესწრო, სწორედ კაი ბიჭები გამოვიდნენ.

— მე კი არა, ღმერთსა ჰყავს, ბატონო, — თავმდაბლად მიუგო ნიკოიამ და კმაყოფილი თვალებით შვილებს გადახედა. ნიკოია ცდილობდა რაც შეიძლებოდა, მორიდებულად ელაპარაკნა, მაგრამ ამ მორიდებულ ლაპარაკში ნათლად გამოსჭვიოდა მისი გულის

ისმსუბუქეც. „მყავს, მაშა, მე გახლავარ ნიკოია". — ამბობდნენ ვისი თვალები.

— ერთი რამე გვიამბეთ ახალმოსულმა ვაჭრებმა, ჰო, რა ამბავია ქვეყანაზე, რას ამბობენ ჩხუბზე, ვაჭრობა როგორია, სხვა რაღათ გვინდა თქვენი თავი! — ხმამაღლა და ცოტა ტლანქად დაიძახა ჯგუფად დამსხდარი ხალხის შუაგულიდან ჩვენმა ნაცნობმა ნამამასახლისარმა გიორგიმ.

— მაგათი თავი როგორ არ გვინდა, შე კაცო, ნეტავ მაგათთანა ერთი ოცდაათი გაურია ჩვენს სოფელს, — მიუგო მეორე გლეხმა.

— ეს მეც ვიცი, შე კაცო, ვიხუმრე თორემ, — გაასწორა გიორგიმ.

— ჩხუბზე რა მოგახსენო, — ნელი ღიმილით წარმოთქვა ფარნამ. — რადგან დაწვრილებით ჩხუბის ამბები არ ვიცი და გაზეთებიდან ჩანს, რომ თვალსაჩინო ჩხუბი ახლა არსად არ უნდა იყოს. ჩვენი ხელმწიფე კი არავისთან არ ჩხუბობს.

— არა, ის გოჭი, მე რომ მოგეცი, სულ სხვაა. ის ჭრელი ღორის გოჭი არ არის. ჭრელი ღორის გოჭსაც გიშოვნი, ამ ერთ თვეში მოიგებს, მგონია, — წვრილი ხმით ეუბნებოდა ერთი შავწვერა, ოდნავ ჭაღარაშერეული გლეხი მეორეს, ქერა წვერიანს, რომელიც პატარა და წვრილტარიან ყალიონზე ახლად ცეცხლმოკიდებულ აბედს ადებდა.

— სუთ, სუთ, თქვე კაცებო, — ჩასჩურჩულა მას მესამემ. — რა ღორზე და გოჭზე მოგინდათ ახლა ლაპარაკი. ყური დაუგდეთ, აგერ ან ავს გაიგონებს კაცი, ან კარგს.

— ვაჭრობას რაც შეეხება, — განაგრძო ფარნამ, — ახლა ვაჭრობის საქმე სიმინდზეა დამყარებული, ფასიც კარგი აქვს.

— ჰო, მართლა, ერთი ნამდვილი გვითხარი, თუ კაცი ხარ! — მოსძახეს აქეთ-იქით.

— ფოთში სამი აბაზია, სწორედ, არც მეტი, არც ნაკლები... და აქ სოფელში ცხრა შაური და ორი კაპეიკის ზევით არ მიეცემა.

— არა, მართალი თქვი, — სიცილით ჩაილაპარაკა ბასილმა.

— პატიოსანი სიტყვა, დედის სულს...

— ფოთში სამი აბაზ-ნახევარიაო, ჩემი სიძე მოვიდა გუშინწინ! — ხმამაღლა დაიძახა ერთმა გლეხმა.

— სამი აბაზი და ერთი შაური სენაკში არისო, სასამართლოში ამბობდნენ გუშინ! — დაიძახა მეორემ.

— როგორ თქვას კაცმა, თორემ მეც გავიგონე. — —ცოტა მორცხვად წარმოთქვა მესამემ. — ანაკლიაში ოთხი აბაზი არისო.

— სად გაიგონე, ბასა, სად? — დაეკითხა ბასილი.

— როგორ ვთქვა, საარაკოდ რომ იტყვიან, ისე მომდის,—უფრო მორცხვად მიუგო ბასამ. — წისქვილში გავიგონე ამ დილას.

— ხა, ხა, ხა, — გაიცინეს ზოგიერთებმა.

— სიმინდის ფასზე, ჩემო ბატონებო, — აუჩქარებლად დაიწყო ფარნამ, როცა სხვადასხვა აზრი მოისმინა, — სხვას არ დავიქადი და სიმინდის ფასი და მაზანდა კარგად ვიცი, რადგან ამ დროებით ამ საქმეს ვადგივარ. სენაკის მაზრაშიაც ვიყავი, ამ ჩვენს არემარეში რაც ფასებია, ყველა ვიცი, მაგრამ თქვენ რომ ამბობთ, მაგდენი, დამერწმუნეთ, არაა.

ამ დროს მამა ევთიმე მოვიდა. გლეხები წამოდგნენ, ბასილიც წამოდგა.

— ნუ შეწუხდებით, ნუ შეწუხდებით, დილა მშვიდობისა, — საზოგადოდ მიესალმა შეყრილებს ევთიმე და ბასილს ხელი ჩამოართვა.

ყველანი ისევ დასხდნენ. ევთიმეს წინ ფარნა იდგა.

— ჰა�ა! — დაიძახა მამა ევთიმემ და ზეზე წამოვარდა. ფარნა ხელის სამთხვევად დაეწაფა. ევთიმემ პირზე აკოცა. — ჩემო ფარნა, ჩემო ფარნა, — აღტაცებით ამბობდა მამა ევთიმე და თავიდან ფეხამდე ათვალიერებდა. — დიდება შენდა. ღმერთო. რავა დავაქაცებულა, აა... ხომ გახსოვს, აღსარების მთქმელთა სიას რომ მიწერდი?

— ჰ, შენი ჭირიმე, ბატონო! — მომღიმარი თვალებით შემოხედა ევთიმეს ფარნამ. — ბატონი სევერიანე სად ბრძანდება?

— სევერიანემ, შვილო, არ მიკადრა, — ხუმრობით მიუგო მამა ევთიმემ, — სწავლა გაათავა და იქითკენ იშოვნა ადგილი.

— მღვდელია, ბატონო?

— არა, ჯერ მღვდელი არ არის, მასწავლებელია, მგონი სულ არ აპირობს მღვდლობას, რა ვუყო, არ ვიცი.

— ოხ, ერთი მაჩვენა, მეტი არაფერი მინდა. — გულწრფელად თქვა ფარნამ.

— აი, სავაჭროდ არ მიდიხარ ქალაქისკენ, იქითკენ არის.

— უსათუოდ უნდა ვნახო, საგანგებოდაც რომ წავიდე. სხვა, როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო?

— გახლავართ ასე.

— ცოლით, შვილებით.

— სული გვიდგა, ღვთის იმედით. შენი ამბავი სევერიანეს მივწერე და თურმე ისე გახარებოდა, რომ... ერთობ, ერთობ...

— მადლობელი, ბატონო, მე რა, ჯერ რა ვარ, მაგრამ თუ ვიცოცხლე, სევერიანეს პატივისცემას ვინ გადაიხდის, მაგრამ მაინც-

— იცოცხლეთ, შვილებო, იცოცხლეთ და მოესწრებით ერთმანეთის პატივისცემას.

— ალექსანდრე და დიმიტრი დიდები იქნებიან, ბატონო!

— ალექსანდრე, შვილო, წრეულს გაათავებს სასულიერო სასწავლებელს და დიმიტრი მომავალ წელს. ალექსანდრე ცოტა ზანტი და ზარმაცი შემექნა და დიმიტრი კი, იცოცხლე, კაი ბიჭი ის იყოს. მუშაა, მუშა. ოჰ, ისეთი, შინ რომ მოვა, ერთი წამი უქმად მისი გაჩერება არ შეიძლება. ბოსტანი გინდა, ყანა გინდა, ცხენი, ჯორი, ერთი სიტყვით... მაგრამ რაღათ გინდა, შვილო, წინ გამძღოლი უნდა, წინ გამძღოლი. ორი კიდევ მყავს შინ, ღარიბმა კაცმა რა უნდა ქნას...

— ჰო, პაპა, შენ სულ მასე იკნავე და იწუწუნე, რამ გაგაღარიბა! — რიხიანად გააწყვეტინა ბასილმა.

— თოლი, ესეც რომ ღარიბი ვარო, იძახის, სხვამ რაღა უნდა ქნას, — ნახევარი ხმით ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— შენი საქმე წინ არის, ბაბა, და ღმერთმაც ხელი მოგიმართოს, — გააგრძელა ბასილმა. — ვის რა გვეთქმის, რაც არ გემატება, არ გაკლდება, მაგრამ ჩვენ კი, რა ვიცი, ღმერთმა კერძოდ ჩვენთვის თუ რამე სასწაული არ მოავლინა, ცუდადაა ჩვენი საქმე.

— რას ამბობ, ბატონო ბასილ, შენ, მე რაც გინდა ვიყო, მაინც მჯობიხარ.

— მეტი არ იხარა ჩემმა მტერმა. აბა მითხარი რით? ერთ დროს რაღაც ქე ყოფილა ჩემი ძველი, მაგრამ დღეს მე რა ვარ? რა მოხელე ნაჩალიკი ვარ? ერთ დროს მეც ვფართხალობდი და ახლა დაიჯერებ თუ არა, ჩემისთანა გაჭირვებული კაცი მეორე არ მოიძებნება. შენ, მამაო, შენი ღირსება გაქვს და გაქვს ბედნიერ დღეს ნაშოვნი, მე კი რომ არა მქონია ჩემი ღირსებაც, რომ არა ვყოფილვარ აზნაური. — ბასილი ლაპარაკის დროს ხმას თანდათან უმაღლებდა და ცხარდებოდა. — შენს დღევანდელ წირვა-ლოცვას ვფიცავ, ათასი მანეთი ნაღდი ფული დაგვიჯდა საბუთი თუ შეტანა, მეტრიკა, შენ უკეთ არ იცი? და ათასი სხვადასხვა დავიდარაბა.

— უჰ, — მწარედ ამოიოხრა ირაკლიმ, რომელიც გლეხებში იჯდა მოწყენილი და დარცხვენილი.

— ჯერ კიდევ რა ვიცი, — გააგრძელა ბასილმა. — გავგზავნეთ კი როგორც არის, მაგრამ, სანამ არ გადაწყდება, ძილის წინ სიზმარი ვის გაუგონია.

ქალები შინ წასასვლელად აშლილიყვნენ და ჭიშკრისაკენ მიდიოდნენ. მათ დიდი ცაცხვის წინ უნდა გაევლოთ. წინ მარიკა მიდიოდა.

— ეს კაცები დღეს რას აპირობენ, არ ვიცი? სადილი აღარ გახსოვთ? — მხიარულად დაილაპარაკა მარიკამ. — ახლანდელი ბიჭები ხომ არ კადრულობენ ძველ მეგობრებს, — ხუმრობით მიესაყვედურა ფარნას და გაუცინა.

ფარნა ჭარხალივით გაწითლებული, საჩქაროდ მიიჭრა და მოწიწებით ხელი ჩამოართვა დედა-შვილს და ორივეს წინაშე ბოდიში მოიხადა, რომ ნაწირვევს მათთან პირველი არ მივიდა, მაგრამ ყველაფერი უზრდელობას გადააბრალა, თუმცა ეს ისე ზრდილობიანად და ქალაქური გაშალაშინებული სიტყვებით წარმოთქვა, ისე მარილიანად, რომ მარიკამ იჭვიანი თვალები გადაუბრიალა. ტასია აენთო და ყმაწვილ კაცს თვალს არ აშორებდა.

— კი, კი, დროა წავიდეთ, — თქვა ბასილმა და ზეზე წამოდგა. ყველანი აიშალნენ.

— ბატონებო, შვილებო, რამდენჯერ უნდა გითხრათ. სირცხვილია, გუშინწინ თვით პრინცთავი მიბრძანდებოდა ამ გზით; უკან ბარე ოთხი ყაზახ რუსი მიჰყვებოდა და ძლიერ მისაყვედურა გალავნის უქონლობის თაობაზე, — რაც შეიძლებოდა, ლმობიერად დაიწყო ევთიმემ. — შვილებო, ქვეყნის ღორი და სხვა პირუტყვი ამ ჩვენს ეკლესიის ეზოში თარეშობს. თითოეულ ჩვენთაგანს, უკანასკნელი რომ ვთქვათ, ორასი საჟენი ღობე მაინც გვექნება ჩვენ ჩვენ სახლში გაღობილი და აქ კი, ამოდენა საზოგადოებამ ერთი ქცევა მიწა ვერ შემოვზღუდეთ, სირცხვილია.

ამის გაგონებაზე ყველანი ახმაურდნენ.

— ნეტავ, შენი სიმრთელით, ჩემი ხვედრი სულ არ გამეკეთებია. სხვამ არ გააკეთა და ის ტყუილ-უბრალოდ ლპება,—ამბობდა ერთი.

— იჯარით გადავცეთ, ინჯარაში გადავცეთ! — ყვიროდა მეორე.

— შემოდგომამდი მაგას ვერაფერს ვუზამთ! — იძახდა მესამე.

— თუ გასაკეთებლად მიგვაჩნია, ძმაო, ამაზე უკეთესი დრო შეუძლებელია, — ამტკიცებდა მეოთხე.

— თუ გაკეთება გვინდა, პირგოვორია საჭირო, პირგოვორი. — ტლანქად ხუმრობდა მეხუთე.

— მე ერთიღა დამრჩენია: ვეზნაჩალიკს მოვახსენო. მეტი მოთმენა არ შემიძლია. — მიაყვირა თავის მხრივ მამა ევთიმემაც, რადგან ნელა წარმოთქმულს ვერ გაიგონებდნენ.

— კი, კი, უნდა გავაკეთოთ, უნდა გავაკეთოთ, — თანხმდებოდნენ ყველანი და ამნაირი ხმაურით ეკლესიის ეზოდან გავიდნენ.

ევთიმე გამოემშვიდობა ყველას და შინისკენ წავიდა.

ეკლესიის გალავანი მართლა სასაცილო სურათს წარმოადგენდა.

აქა-იქ თითო საკენის სიგრძეზე მესერის ღობე იყო გაკეთებული, სხვაგან ისევ ღია ან ძველი დამტვრეული ზღუდე წაქცევას ლამობდა. ამიტომ პირუტყვები არხეინად შემოდიოდნენ ეკლესიის გალავანში. ძროხები ამასაც არ ჯერდებოდნენ. შუა დღის პაპანაქებაში ეკლესიის აივანი ჰქონდათ ამორჩეული, და ეკლესიის აივანზე მათი იქ ყოფნის კვალი მართლა ბევრი აჩნდა.

ეს გამოცხადება პირველი შემთხვევა არ იყო. ორი წლის მანძილზე აცხადებდა მამა ევთიმე, ყოველ ნაწირვევს, გალავნის შეკეთებას. მაშინ ყველა გაკეთებას ლამობდა, ყველა ჰოს ლაპარაკობდა, მაგრამ რაკი გალავანს გასცდებოდნენ, საუბედუროდ, ყველას და მათ შორის მამა ევთიმესაც, ავიწყდებოდა მეორე კვირამდის. მაშ. რას ჰქვიან: „ზრუნვანი ამა სოფლისანი“?

— მაშ ასე, სიმინდის საყიდლად მოხვედი, ა...? — დაეკითხა ბასილი ფარნას, როცა გალავნიდან გამოვიდნენ.

— დიახ, ბატონო!

— მეც კი მაქვს ცოტაოდენი, მაგრამ შენ მეიაფე იქნები და... — ხუმრობით უთხრა ბასილმა, — შენ არ მოგყიდი.

— მეიაფე რატომ, ღმერთი გამიწყრეს, ჩემს სოფელში თუ ერთი კაპეიკი ყოველთვის მეტი არ მივცე და თქვენთვის, ბატონო, ზომ განსაკუთრებით, — პირი მიუფერა ფარნამ.

— კაი დაგემართოს, თუ ასე ჰქენი, — თქვეს ზოგიერთებმა. — მარა, ბაბა, ვაჭრებმა სულ მასე იცით პირმოფერება.

ფარნას გაეცინა.

— მაშ, მოგყიდო, ბიჭო? — ისევ უთხრა ბასილმა.

— როგორც გენებოთ, ბატონო, რამდენი გექნებათ?

— ორასამდე კი მექნება, მგონია.

— კეთილი, ბატონო.

— ფასი?

— ფასი, რაც მაზანდაა, თუ მეტი არა, ნაკლებს ხომ არ მოგცემ, — ღიმილით მიუგო ფარნამ, — ჩქარა კი მინდა, თუ გაიმეტებთ ზვალვე უნდა შევუდგეთ დაფშვნას.

— ძლიერ კარგი.

— გინდათ, ბე მოგართვათ.

— თანახმა ვარ, — კმაყოფილებით მიუგო ბასილმა.

ფარნამ ჯიბიდან დიდი, ყვითელი ტყავის საკეცი ქისა ამოიღო, სქლად ჩაწყობილი ქაღალდის ფულები გადმოიანგარიშა, ერთი ოცდახუთიანი ამოიღო და ბასილს გაუწოდა.

ამ დროს მისი თვალები ტასიას თვალებს მოხვდა. ფარნა შეწითლდა, ქისა ისევ ჯიბისკენ წაიღო და ტასიამ კი ნელა გაუღიმა.

სხვებიც ბევრი შეპირდა სიმინდის გაყიდვას. ფარნამ მეორე ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და მათი სახელ-გვარები ჩაიწერა, ფულები იქვე დაურიგა ყველას, ვის ხუთი, ვის ათი, ვის ოცი, და ისიც წიგნში დაინიშნა.

მათ უკან, ასე ორმოც, ორმოცდაათი საჟენის სიშორეზე, მოდიოდა ორი კაცი. ერთი იყო მალხაზია თოხიტარია, გიტინიას შვილი, და მეორე — მისი ცოლისძმა, ამავე სოფლის მცხოვრები პავლე აბჟანდია.

გიტინია თოხიტარიას ოჯახისათვის ნიკოიას შვილების ასე რიხით მოსვლა ხომ წითელი პარასკევის გათენება იყო, და მართლაც, თვალებიდან სიხარბის ნაკვერცხალს აფრქვევდნენ.

— როგორც გინდა, ისე თქვი, ძმაო, — უთხრა პავლე აბჟანდიამ მახაზიას, — კაი ბიჭებია ეს ივანე და ფარნა. არა, არა ერი-მორი, და ზრდილობაც რომ აქვთ.

— დიახ, კარგები არიან, — ცივად მიუგო მახაზიამ. მას უიმისოდაც შურით გულში ცეცხლის ალი უგუგუნებდა და ახლა პავლემ წყლის მაგივრად ზედ ნავთიც გადაასხა.

— ის დაც რა კარგად გამოუწყვიათ. ნახავ, თუ რიგიან კაცს არ მიათხოვეს. ნაბოლარა გოგოა, მაგრამ ისიც ზრდილობიანია.

ეს კი მეტისმეტი იყო. გაიანეს სახელის გაგონებაზე მახაზიამ ვეღარ მოითმინა და ჟანგიანი კილოთი მიუგო:

— გამოწყობილი კარგი დაჰყავთ, რა სათქმელია, მაშ ცუდი გამოწყობილი ვიწრო ორღობეში რაღას ივარგებს.

— იქით, რას ამბობ?! — გაიკვირვა პავლემ.

— ტყუილს ვამბობ, ჰო. — ისევ იმ კილოთი თქვა მახაზიამ. ბრაზი და შურიანობა იმდენად მოებჯინა ყელში, რომ თავს ძლივს იმაგრებდა. — დიახ, არა ერთხელ წოლილა გვიმრალებში და ჩვენს და მათ ეზოს შუა ორღობეში.

— რას მეუბნები. — დაინტერესდა პავლე.

მახაზიამ საიდუმლო ვერ შეინახა და რაც იცოდა, ყველაფერი უამბო და თანაც ტყუილიც ბევრი დაუმატა.

— ყვეი, დიდება შენ, რა მესმის! — გაიკვირვა პავლემ.

— მაშ, არ იცოდი? — მხიარულად მიუგო მახაზიამ, მან რაკი ერთხელ გამოთქვა, რაც გულში უჭირდა, კიდეც ღამშვიდდა.

ახლა კი გაახსენდა მამის და ცოლის დარიგება; პავლეს ნაამბობის საიდუმლოდ შენახვა სთხოვა და იმანაც, რასაკვირველია,

აღუთქვა. ჩქარა ისინი ერთმანეთს გაშორდნენ. მახაზიამ ბევრი პატიჟა ცოლისძმა სადილად, მაგრამ იგი არ დასთანხმდა, რადგან შინისკენ ეჩქარებოდა.

მოვიდა თუ არა შინ, მახაზიასაგან ნაამბობი საიდუმლო ცოლს ახალ ამბად უამბო და როცა უამბო, მერე გაახსენდა, რომ მახაზიამ საიდუმლოდ უთხრა. ცოტა კი ეწყინა, მაგრამ გული იმით დაიჯერა. რომ ცოლს სასტიკად აუკრძალა ამ ამბის ვინმესთან გამჟღავნება. ცოლი დაპირდა არავის ვეტყვიო, მხოლოდ საღამო ჟამს მეზობლის ცოლმა რომ შემოუარა და ატმით სავსე კალათს დანებით მოუსხდნენ, გულმა ვერ მოუთმინა და საიდუმლოდვე მეზობელს გაანდო.

რასაკვირველია, საიდუმლო ჩინებულად დაიფარა...

XXXIV

მეორე დღეს, გათენებისას, ბასილ მძებრაძემ გამოიღვიძა თუ არა, ორ-სამ მეზობელ გლეხთან საჩქაროდ მოჯამაგირე გაგზავნა და სთხოვა, რომ დღეს სიმინდის ფშვნაში მოხმარებოდნენ.

ერთი საათის შემდეგ მართლაც ბასილის ყავრით გადახურულ სასიმინდეში ხელკეტების ჩქარ-ჩქარი დაგადუგი იყო და სიმინდის მარცვალი სრისინ-სრისინით ჭერიდან ძირს ცვიოდა. ბასილიც მალ-მალ ნახულობდა მუშებს. კიბით ავიდოდა. სასიმინდეს ვიწრო კარში შეიხედავდა და მუშებს გამოემუსაიფებოდა.

ცხრა საათი იქნებოდა, როცა ბასილის სასიმინდეს ფარნა თოხიტარია ცხენით მოადგა. ბასილი ამ დროს სასიმინდეს კარებთან იდგა, თავი შიგ შეეყო და ახალდასვენებულ მუშებს მუსაიფით ართობდა. მათრახის ხმაზე საჩქაროდ მოიხედა და რაკი ფარნა დაინახა, მხიარულად მიესალმა.

— ჰა, ფარნას გამარჯობა. დღეს არ მოსულიყავი, სწორედ მეწყინებოდა. ეს კი დაგიმადლე. — გულშეწუხებულად ამბობდა ბასილი და თან კიბიდან ნელ-ნელა ჩამოდიოდა.

— გამარჯობა, ბატონო, ნუ შეწუხდებით, მე ერთი წუთით შემოვირბინე, რომ მენახა მუშაობდნენ თუ არა, ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ხელობა. შენი ჭირიმე, ნუ შეწუხდები.

— შეწუხება რას ჰქვიან, შე საპატიო კაცო, — აუჩქარებლად მიუგო ბასილმა. — ვახთაია, ვახთაია! — დაუძახა მან ერთ მუშათაგანს, — ფარნას ცხენი გამოართვი.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, ბატონო ბასილ, — მიუგო ფარნამ და ცხენიდან გადმოხტა. — ძლიერ საჩქარო საქმეები მაქვს. ამ ერთ თვეში ხუთი ათასი ფუთი უნდა მოვაგროვო. წინააღმდეგ შემთხვე-

ᲙᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲐᲚᲐᲛ ᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲩᲥᲐᲠᲝᲑ, ᲑᲔᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲤᲨᲕᲜᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲩᲥᲐᲠᲝ. ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ.

— ᲠᲐᲡ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲕᲥᲐᲛᲝᲗ, — ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ.

— ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ. ᲛᲔᲪ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲝᲛ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ, ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ...

— ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲥᲕᲡ, ᲛᲔᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ, ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲡᲐᲓᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲯᲐᲛᲝ. ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲛᲔᲜᲐ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

— ᲯᲔᲠ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲠᲐᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲚᲘᲐ, ᲡᲐᲓᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲕᲘᲚᲘ, — ᲛᲘᲣᲒᲝ ᲤᲐᲠᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲫᲔᲬᲙᲕᲒᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲔᲓᲐ.

— ᲛᲔᲠᲔ ᲕᲘᲜ ᲒᲘᲨᲚᲘᲡ, ᲬᲐᲓᲘ, ᲨᲔᲛᲝᲘᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲘᲚᲐᲓ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲓᲘ. ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲔᲮᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲛᲘᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲬᲐᲛᲡ, — ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲛᲐ.

— ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ!

— ᲠᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲡᲐᲓᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ.

— ᲨᲔᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, — ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲤᲐᲠᲜᲐᲛ.

— ᲬᲘᲔ, ᲨᲔ ᲧᲣᲠᲣᲛᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲨᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲕᲐ ᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑ. — ᲒᲐᲔᲮᲣᲛᲠᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ.

ᲤᲐᲠᲜᲐᲛ ᲩᲐᲘᲪᲘᲜᲐ.

— ᲛᲐᲨ, ᲒᲐᲔᲩᲥᲐᲠᲔ, ᲒᲐᲔᲩᲥᲐᲠᲔ, ᲨᲕᲘᲚᲝ. ᲡᲐᲓᲘᲚᲐᲓ ᲒᲘᲪᲓᲘ, ᲘᲪᲝᲓᲔ.

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, — ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲤᲐᲠᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲡ ᲛᲝᲐᲮᲢᲐ.

— ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲠ ᲮᲐᲜᲓᲘᲡᲮᲐᲜ, ᲫᲣᲙᲣᲡ ᲛᲐᲛᲐ, — ᲣᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲒᲐᲓᲣᲒᲘ ᲐᲡᲢᲔᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲣᲮᲘᲡ ᲦᲘᲚᲔᲑᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲡᲚᲨᲔᲙᲔᲪᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲛᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲨᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲐᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲦᲘᲦᲘᲜᲘᲗ ᲝᲓᲘᲡ ᲐᲘᲕᲐᲜᲗᲖᲔ ᲐᲓᲘᲝᲓᲐ.

— ᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲮᲐᲠᲓᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲐᲚᲝ! — ᲒᲐᲘᲙᲕᲘᲠᲕᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲛᲐ.

— ᲠᲐᲕᲐ ᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲠᲐᲦᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲐᲐ.

— ᲠᲐᲢᲝᲛ? — ᲛᲘᲣᲒᲝ ᲑᲐᲡᲘᲚᲛᲐ. ᲐᲘᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲡ ᲨᲔᲐᲪᲥᲔᲠᲓᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲠᲐᲢᲝᲛ! — ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲓ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲛ. — ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲐᲣᲠ-ᲙᲐᲠᲨᲘ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ. ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲪᲕᲔᲐ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠ ᲙᲘᲑᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲕᲬᲘᲗᲚᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲔᲤᲠᲝᲡᲘ-

ნეს ეცვა ახალი მოდის შალის კაბა, მის ქმარს ქუთაისიდან მოუტანია და მე აქ დუქანში ვერ მიყიდია.

— მერე, რას ფიცხობ, შე კაი ქალო, — დინჯად მიუგო ბასილმა. — ჯერ ერთი, ვინ გითხრა სადილად დავპატიჟე კაცი თუ არა..

— აკი ეძახდი თოხიტარიას: უსათუოდ სადილად გიცდიო.

— კარგი, ბატონო, ძლიერ კარგი და პატიოსანი. სადილად დავპატიჟე ფარნა თოხიტარია, კნიაზ მენგრელსკი ხომ არ დამიპატიჟნია. შენი შაურ-კარში წასვლის გულისათვის მეც და ჩემი მუშებიც უსადილოდ თუ გინდა დაგვარჩინო, ამაზე მადლობა მომიხსენებია, — ხუმრობით დაუმატა ბასილმა და თავი ძირს დახარა.

— უსადილოდ კი არა, — თავმომწონედ მიუგო მარიკამ. — მაგისთანა ყაზახების გასაძღომი ჩემ ოჯახში ნასადილევის ნასადილევსაც კი იშოვება, მაგრამ კაცს რომ დაპატიჟებ და შენ განზე გახვალ, რა პატიოსნებაა. მაგისთანა კაცი კეთილშობილზე უფრო მოსახმარია.

— კარგი და პატიოსანი, ჩემო ბატონო, — ისევ მშვიდად მიუგო ბასილმა. — აქ მე საწყენს და გულმოსასვლელს ვერაფერს ვხედავ. მერაბის სულს ვფიცავ. ფარნა ეპისკოპოსი არაა, რომ ძროხა დავუკლა კრებულისათვის, არც პრისთავია, ცხვარი ან თხა დავკლა... ყველრული ხომ მაინც გვექნება დღეს, ჩემო ბატონო, და ის გვეყოფა. ყველიცა გვაქვს და მაწონიც. მაშ რაღა გინდა. ჩვენც გავძღებით, ფარნასაც გავაძღობთ. თქვენ კი მიბრძანდით, ბატონო, შაურ-კარში, მაგრამ ეს მითხარი, ვინ მიგყავს?

— ძუკუ მიმყავს, ცხენების მოსაყვანად წავიდა. თუ ცხენი ვიშოვნე, ტასიაც მინდა წავიყვანო.

— არა, დედა, — გამოეხმაურა წინა კარებიდან ტასია. — გუშინ ვხედავდი სვიმონა ვაჭარს და მითხრა, ახალგაზრდა ქალების საკაბე რიგიანი არა მაქვსო. მე იარმუკამდე მოვიცდი, მაშინ კარგს ავარჩევ.

— ფულიც არა გვაქვს ახლა ამდენი, ხარდანაძის ქალო, — შენიშნა ბასილმა. — ალბათ ძუკუც რასმე ქე იყიდის.

— სატინის ახალუხი და ყარამანდულის შარვალი თუ არ ვუყიდე, ჩამომახრჩობს.

— აგაშენოთ ღმერთმა და მე ოცდახუთი მანეთი რომ მომცა ამ კაცმა ბეთ, იმის იმედით ვარ, არც იქითა ვარ, არც აქეთ. მარტო თქვენი ფართალი მიჭირდეს, რა გაეწყობა.

— აკი სიმინდს ვფშვნით, განა ფულს სრულებით არ მოგცემს?

— რომ მოგვცემს, ხარდანაძის ქალო, გადაირიე! — გაკვირვებით შენიშნა ბასილმა. — ვალი, ვალი. დაგავიწყდა?

მარიკა ცოტა შეწითლდა და ოთახში შევიდა. ბასილმა ჩიბუხი ხელახლა გატენა და, ჩვეულებრივ, ფიცარზე ჩამოჯდა.

ტასია მხიარულად დატრიალდა და რაც შეიძლებოდა, ერთი ხელის მოსმით, ირინეს შემწეობით, რიგიანი სადილი დაამზადა. ირინე დანიშნული იყო. ქორწილიც ამ შემოდგომაზე უნდა გადაეხადათ და რამე საქმის გაკეთებაში, ცოტა არ იყოს, ნაზობდა. ბასილს კი აგერ ათი წლის სამსახურისათვის მზითევი უნდა მიეცა და ამ ქესატობის დროს ესეც არა სახუმარო სევდად აწვა.

ნაშუადღევის ორ საათზე ფარნაც მოვიდა და სადილობაც დაიწყეს. მუშებს ადრე მიართვეს სადილი და ახლა ისინი ჩრდილქვეშ ისვენებდნენ.

— ახლა რომ არ მოსულიყავი, ტყუილი არ არის, ვიწყებდი, რაღა, სადილობას. დაგავიწყდი მეგონა, რაღა დროის სოფლის სადილობაა, ახლა გოროდებში სადილობენ, — გაეხუმრა ბასილი, როცა ხელები დაიბანეს და სასადილო მაგიდას მოუსხდნენ.

— დიდი ბანძი კი არის ეს ოხერი, — უკმაყოფილოდ წარმოთქვა ფარნამ. — ამ ჩვენ კაცს მაინც ვერ დააჯერებ, რომ მართალს ეუბნები. განსაკუთრებით, თუ ვაჭარი ხარ; მამაშენიც რომ იყოს, არ გენდობა. სულ ყოველთვის ატყუებ ჰგონია. ერთხელ სათქმელი ათჯერ უნდა უთხრა.

— ეჰე, გუშა, ახალგაზრდა ვაჭარო! — ცქვიტად გადასძახა ბასილმა. — ბაბაია ნანაიას ტყუილად არ ჰკოცნისო, ნათქვამია. ვაჭრებმა სულ მასე იცით, შვილო, თავის მართლება. ხალხი თუ ეჭვობს, ალბათ საფუძველიცა აქვს. შენ თუ ისინი ან წონაში, ან ფასში არ მოატყუილე, არა, ბაბაია, არა, მაგ ტკვაჩი ასიგნაციებს ისე ვერ ატარებ მაშინ, უანგარიშოდ რომ გაქვს ჯიბაში. სიმართლე და ვაჭრობა ვინ გაიგონა ერთად!

ფარნას გაეცინა და ტასიას შეხედა. იმანაც გაუღიმა და თავისი ლამაზი, შავი თვალები მხიარულად შეანათა.

ფარნა აენთო, ტანში გააჟრჟოლა და გულმა საშინელი ცემა დაუწყო.

— აბა, ჩემო ძმაო, — აქეზებდა ბასილი და თვითონ ღომის მსხვილ ლუკმას ნიგვზიან-პილპილიან მოხარშულ ქათმის წვენში აწობდა და მადიანად ილუკმებოდა. — უკაცრავოდ კი ვართ, მაგრამ რაც გექონდესთ, დიასახლისი შინ არ ბრძანდება, მაგრამ მის მაგივრობას ტასიაც გაგვიწევს, ეს ხომ შენი ნაამხანაგარია, — სიცილით დაუმატა ბასილმა. — შენ არ ვიცი და ეს კი ხშირად გიხსენებს. ვინძლო იქით ფოთისკენ კაი საქმრო აურჩიო, ნასწავლი კაცი უნდა.

ფარნას კინაღამ პირიდან ლუკმა გაუვარდა, ტასიამ რაღაც მოიმიზეზა და გარეთ გავიდა.

— მართლა, მარიკა სად ბრძანდება? — უხერხულობის დასაფარავად მოიშველია ფარნამ.

— აქეთ, შაურ-კარის დუქნებისაკენ გაემგზავრა, ხომ იცი, ქალის ხასიათი. ოცი კაბა რომ აქონდეს, სანამ ოცდამეერთეს არ შეიკერავს, თვალში ძილი არ მოუვა... აბა, ჰე, ასწი, რაღა, — მიუთითა ღვინით სავსე ჭიქაზე, ერთი თვითონ აიღო ხელში, ჩამოილოცა და დალია. — ტასია! — დაიძახა ბასილმა.

— ბატონო.

— მოდი, ბაბა, სადილი შენც არ გინდა? კარგად გაუმასპინძლდი შენს ნაამხანაგარს. არ გახსოვს, ძაღლის კბილებს რომ გადაგარჩინა. ყოჩაღ, ჩემო ფარნა! შენ პატარაობითვე გეტყობოდა, რომ გონიერი კაციშვილი იქნებოდი. მერაბის სული თუ მწამს, მიხარია. ეცადე, ეცადე, ბაბა, ქვეყანა ვინც შრომობს იმისია, — დაბეჯითებით უთხრა ბასილმა და ერთიც მძიმედ ამოიოხრა.

ფარნას მთელი თავისი ბავშვობა გაახსენდა და გამხიარულდა.

ტასიაც სუფრას მოუჯდა და ყველანი მადიანად შეექცნენ. ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იოხუნჯეს: ვაპრობაზე, მომავალზე, მოგებაწაგებაზე, მართებლობაზე, ქალებზე და სხვა და სხვა.

ნასადილევს ბასილი მძებრაძე, ჩვეულებრივ, აივანზე მიდგმულ ფიცარზე წამოწვა დასაძინებლად. ფარნამ კი ეზოში ალუჩის ძირში ჩრდილი აირჩია. მუთაქა და ჭილობი იქ მიართვეს, თუმცა უარობდა. ირინემაც უკანა ოთახში ჩქარა ხვრინვა ამოუშვა.

ფარნა წამოწვა ჩრდილქვეშ ჭილობზე. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. რაღაცა ამძიმებდა და აწუხებდა. მალ-მალ ოდისკენ მიიხედავდა და გულის ფანცქალით იქიდან ვიღაცის გამოსვლას ელოდა. სიმპატიური გრძნობა ტასიასადმი, რომელიც მას პატარაობისას ჩაესახა, თანდათან გაიზარდა და ახლა თითქმის საშიშ ზომამდე იყო მისული. ფარნამ ტასიასაც თვალებში შეატყო, რომ ისიც გულგრილად არ უყურებდა, მაგრამ ნამდვილი არაფერი იცოდა და ეს ეჭვი უფრო ადარდებდა. რომ ცოტათი გული გადაეყოლებინა, სიმინდის ყიდვის ფიქრებში გაერთო. დაიწყო ზეპირად მოგონება: ვის რამდენი ბეთ მისცა დღეს, რამდენი ფუთი იყიდა, მერე წმინდა მოგება რამდენი რჩებოდა დღევანდელი ნაყიდისაგან, იქიდან მას რამდენი ერგებოდა. ხელის თითები რამოდენიმეჯერ ჩამოთვალა და კმაყოფილებით გაგორდა ჭილობზე. მაინც ტასიას სახე წინ ედგა და განუსაზღვრელად იზიდავდა. ფარნა დაფიქრდა და უცბად თოფ-

ნაკრავივით ზეზე წამოვარდა. გაახსენდა ცხენი. მართალია, მისი ცხენი ეზოს გვერდით ფალაგეზე საბალახოდ გრძელი ბაწრით პალოს მიაბეს, მაგრამ დღეს მეტისმეტად გაილახა: რამდენიმე საათში თითქმის მთელი სოფელი შემოირბინა ამ აგვისტოს სიცხეში, საღამო ჟამს კიდევ უნდა ეტარებინა და ახლა განსაკუთრებული მოვლა ეჭირებოდა.

ფარნამ ჩოხის საყელოს ხელი დაავლო, ჩოხა მხარზე გადაიგდო, სარტყელი, რომელზედაც ხანჯალი და რევოლვერი ეკიდა, კისერზე დაიკიდა, ქუდი დაიხურა და ცხენისკენ გაეჩქარა.

მისვლა მართლა საჭირო ყოფილიყო. მშიერი ცხენი ხარბად დაწაფებოდა მაღალ ბალახს და პალოს გარშემო ადგილი ხელისგულივით გაეტყავებინა, თვითონაც თოკში გახლართულიყო და ახლა ერთ ალაგას თავდაკიდვით იდგა და გრძელი კუდით ნელა ბუზებს იგერიებდა.

ფარნას დანახვაზე ცხენმა შორიდანვე დაიხვიხვინა, თითქო უსაყვედურა: დალოცვილებო, თქვენ რომ გამოიჟუჟეთ და ძილს თავი მიეცით, მეც ცოცხალი არსება ვარ, თქვენი ზურგით დამტარებელი. საკმაო ჭამა-მოსვენება მეც მჭირიაო.

ფარნამ ბაწარი საჩქაროდ გახსნა, პალო ამოაძრო და სხვაგან, უკეთეს საბალახოსკენ გადიტანა. თვითონ კი, ცხენი რომ ხელახლა არ დაბმულიყო, იქვე ძეწნის ქვეშ. ჩრდილში წამოწვა და ცხენის მადიან ბალახის ხრამუნს სიამოვნებით შესცქეროდა.

ბასილ მძებრაძე გემრიელად ხვრინავდა აივანზე, არა ნაკლებ ტკბილად ეძინა ირინეს უკანა ოთახში. ტასიამ კი ნასადილევს რაღაც საკერავი აიღო ხელში. ორ-სამჯერ ნემსი გაუყარა და ძაფიც დაეხლართა. საკერავი გადააგდო, მაკრატელი აიღო და ქაღალდისაგან რაღაც თარგის გამოჭრას შეუდგა. არც ეს მოეწონა და ესეც გადააგდო. მაგიდიდან რაღაც წიგნი აიღო, გახსნა და ვითომ კითხვა დაიწყო, რამდენიმე წუთის შემდეგ წიგნს დააკვირდა და მიხვდა, რომ წიგნი უკუღმა სჭეროდა. რასაკვირველია, შიგ მხოლოდ იხედებოდა და აზრით სულ სხვაგან იყო. წიგნიც გადააგდო. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. მუთაქა აიღო და კარებამდი მივიდა, ერთი გარეთ გაიხედა. მუთაქა ისევ ტახტზე დააგდო და თვითონაც წამოწვა, მაგრამ ისევ ჩქარა წამოდგა. ისიც ფარნაზე არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში იყო. გული საშინლად უცემდა და მთელ ტანზე რაღაც ჟრუანტელი უვლიდა. წინა ოთახიდან უკანა ოთახში გავიდა. აქ ირინე პირაღმა იწვა; კაბის ზევითა ნაწილი გაეხადა, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე გულზე, პირი ოდნავ გაეღო და ტკბი-

ლად ხვრინავდა. ერთი ბუზი ცხვირზე აჯდა, ორი კი ტუჩზე დატრიალებდა, ხან დააჯდებოდა, ხან აფრინდებოდა. ტასიამ ხელი დაუქნია და ბუზები დააფრთხო, ერთიც მიახველა, მაგრამ ირინე არც კი შენძრეულა. ერთი კიდევ გაიხედ-გამოიხედა და უკანა აივნიდან ეზოში გამოვიდა. გული საშინლად უცემდა, სახე გაფითრებული ჰქონდა. ვისმე რომ ენახა ამ წუთში, ციებაშეყრილი ეგონებოდა.

ოდას გვერდით მოუარა და იმ ჩრდილში შეიხედა, საცა ფარნა იწვა. ჩრდილში ჭილობი და მუთაქა ეგდო, ფარნა კი არსად ჩანდა.

ქალმა საშინელი მოწყენა იგრძნო, პირზე ორივე ხელი რამდენჯერმე წაისვ-წამოისვა, რომ ცოტაოდნად მაინც მოსულიერებულიყო. იქით-აქეთ ყური დაუგდო, სასიმინდედან მუშების ხმაური ისმოდა. ტასია დაფიქრდა და თითქო რაღაც გაახსენდაო, სამზადი სახლს უკანიდან მოუარა და ბახჩას გაყვა. სამზადი სახლის უკან ხეხილის ბახჩა იყო და იმის იქით, უბრალო მაღალი ბუჩქნარი ეზოს ბოლომდის, სადაც არეულად იდგა თხმელა, რცხილა, ბეოლა, კოპიტი, თელა და გვიმრა-ეკალიც საკმაო იყო. ტასია ამ ბახჩაში შევიდა და შიგ ხეტიალი დაიწყო. ჭანისწყლის ჩუხჩუხი ოდნავ ისმოდა. უცბად მის ყურს ცხენის ფრუტუნი შემოესმა და ტასიაც საჩქაროდ იქითკენ გაექანა.

ბასილ მძებრაძეს რაც შეიძლებოდა კარგად ჰყავდა აღზრდილი ტასია და ძლიერაც უყვარდა. რაკი ძუკუ სწავლაში არ გამოდგა და ტასიამ გაიმარჯვა, ერთიორად უფრო შეიყვარა. შეიძლება სადმე უფრო მაღალ სასწავლებელშიაც წაეყვანა, ვისმე რომ ერჩია და ჩაეგონებინა, მაგრამ თავისით ბასილმა ეს ვერ მოისაზრა და, გარდა ამისა, ამ საჭირბოროტო აზნაურობის ძებნამ, ამ უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, მისი ფულიცა და მოცალეობაც სულ ერთიანად შთანთქა.

რამდენადაც ბასილ მძებრაძე გულკეთილი, მოხერხებული თადარიგის კაცი იყო, იმდენად მისი მეუღლე მარიკა ამპარტავანი და ზარმაცი იყო, საოჯახო საქმეებს კი აკეთებდა გვარიანად, მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩიოდა და საყვედურობდა. მაგალითებად მოჰყავდა ცნობილი აზნაურების და თავადების ცოლები, რომლებიც მრუდე ჩხირსაც არ აბრუნებდნენ და დროს ნებივრად ატარებდნენ.

ძუკუ ხომ სათქმელი არაა, რაც იყო; საქმეს აფუჭებდა, თორემ რისამე გაკეთებას მისგან ვინ ითხოვდა.

ტასიას პატარაობიდანვე შეეტყო სიფაქიზე და შრომის სიყვარული. ჯერ კიდევ ხუთი წლისა იყო, მოწიწებით ჰკეცავდა თავის

პატარა კაბას, ასუფთავებდა და კედელზე მიჭედილ ლურსმანზე ჰკიდებდა. რაც რამ ნივთები ეშოვნა, თავის ნაწერი რვეულებითურთ, უკლებლად ყუთში რიგზე ელაგა. სანამ სწავლობდა, ხომ სწავლობდა, და როცა სწავლა გაათავა და შინ დაბრუნდა, წუთს არ ისვენებდა. ხან ქსოვდა, ხან კერავდა, ხან კითხულობდა, ხან სარეცხს რეცხავდა, ხანაც ქარგავდა. მაგიდებს, სავარძლებს, ყოველ ხის ავეჯს, სახლის ყოველ კედელს მისი სუფთა და შრომისმოყვარე ხელი დაეტყო. აქ მისი ნაქსოვი მაგიდის საფარი ხვდებოდა კაცს თვალში, იქ არშია, აბრეშუმის ნაირნაირ ძაფებისაგან ხელოვნურად გაკეთებული თაიგული, აქ ფერადი ქაღალდებისაგან გაკეთებული ფარდები და სხვადასხვა სახეები. რაც შეეძლო შრომობდა და ფუსფუსებდა ტასია, და მართალი რომ ვთქვათ, ამით დედ-მამას ღიდადაც ახარებდა და მათ სამართლიანად მოსწონდათ თავი.

საუბედუროდ, თვითონ ტასია დედ-მამის სახლში ცხოვრებით სულიერად არ იყო კმაყოფილი და ხშირად მოწყენას გრძნობდა. თავი და თავი მიზეზი ის იყო, რომ ამხანაგი, მეგობარი არავინა ჰყავდა. ბასილი მის მეგობრად არ გამოდგებოდა. დედის ხასიათი პატარაობიდანვე არ მოსწონდა და მათ შორის უფრო ფორმალური კავშირი იყო, ვინემ წრფელ გრძნობაზე დამყარებული. რაც დღე გადიოდა, უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ რაც ტასიას მოსწონდა, ის დედას ეჯავრებოდა. ეს უფრო შესამჩნევი შეიქნა ამ ბოლო დროს, როცა ტასია წამოიზარდა და გრძელი კაბა ჩაიცვა.

ძუკუსთან ხომ პატარაობითვე აიშალა და როგორც ერთადერთი ძმა, რასაკვირველია, უყვარდა, მაგრამ პატივს არ სცემდა და მათ შორის მეგობრობა არათუ არსებობდა, შეუძლებელიც იყო.

ერთადერთი მისი მეგობარი იყო რამდენიმე წიგნი, რომელიც ზოგი იყიდა და ზოგიც ნაცნობებმა აჩუქა. მეგობრობდა აგრეთვე მის ყოფილ მასწავლებელ ქალთან, რომელთანაც ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა. როცა ზუგდიდში წავიდოდა, უსათუოდ მასწავლებელ ქალთან შეივლიდა, რამე საკითხავ წიგნს გამოართმევდა და მასთან მუსაიფით დამტკბარი შინ ბრუნდებოდა. ერთი ორჯერ ტასიას თხოვნით ბასილმა მასწავლებელი ქალი ჭყონონაში დაპატიჟა და კარგადაც გაუმასპინძლდა. მისი ყოფნა ჭყონონაში ტასიასთვის დღესასწაული იყო. ვინ იცის, რამდენი არ იმუსაიფეს, რამდენი არ ისეირნეს. თუ სადმე ლამაზი ადგილი იყო, ყველა ინახულეს. ციხის ნანგრევი რამდენჯერმე დაათვალიერეს. მასწავლებელმა ქალმა ამ ბოლო დროს ისეთი რამეები ჩაუწვეთა ყურში, რომელმაც ტასიას

მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა აღუძრა და აზრით და მიმართულებით დედ-მამას სულ ერთიანად დააშორა.

მარიკა ხშირად მოყვებოდა თავისი წინაპრების, ხარდანაძეების ქებას: თუ რამდენი ყმა ჰყავდათ, გლეხებს მათ ოჯახში ბეგარად როგორ შემოჰქონდათ მხარზე გადადებული ვეებერთელა მსუქანი გატრუსული ღორები, თუ როგორ არბევდნენ ტარიელივით ბიჭები — ხარდანაძეები გლეხებს, თუ როგორ გააროზგვინა მამამისმა ერთხელ ათი გლეხი ერთად და სხვა და სხვა.

ბუკუ მოყვებოდა ჯარიანობის ამბავს: ამაღლება-დღეს ნაბოდენში ვინ როგორ ცხენზე იჯდა. როგორი ხმალ-ხანჯალი ეკიდა. ბაგრატ თავადმა რისთვის აუტეხა ჩხუბი პეტრე აზნაურს. ჯერ მათრახი როგორ მოუქნიეს ერთმანეთს, როგორ დაარტყეს. მერე, როგორც ჩვენებური წესია, ხმალ-ხანჯალ-რევოლვერზე რომ მიდგა საქმე, როგორ დასჭრეს ერთმანეთი... ვინ ვის ეხმარებოდა. თვითონ როგორ ლომივით გაერია მოჩხუბრებში, რომელმა აზნაურმა დაუჭირა მხარი პეტრეს და სითამამით და სიმარჯვით ყველა გააკვირვა...

ამნაირ ვადაში გამოსულ, თითქმის ერთსა და იგივე ამბებს უგდებდა საბრალო ტასია მთელი დღეობით, თვეობით და თითქმის წლობით ყურს, ვერ მოითმენდა და ხანდახან გამოეპასუხებოდა ან დედას, ან ძმას, რაც ყოველთვის უკმაყოფილობით გათავდებოდა. დედა ესაყვედურებოდა, კაი გოგო ხარ, მაგრამ საუბედუროდ, რაღაც გლეხური ხასიათი გაქვსო, და ძმა ეუბნებოდა: მასწავლებლის ნათქვამ და წიგნში ამოკითხულ სულელურ აზრებს ბოდავო.

განსაკუთრებით აბრაზებდა ყველას, თითქმის მამასაც, მისი მსჯელობა აზნაურობაზე და საბუთობიაზე. ტასია ამტკიცებდა, რომ ახლანდელ დროში აზნაურობის ძებნა და ამაზე ფულების ხარჯვა უჭკუობაზე უჭკუობა არისო. იმ ფულებით სხვა რამე, დროის შესაფერი საქმის გაკეთება სჯობდა და თვით ახლანდელი აზნაურობა ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფულის მსგავსი არისო. აღამიანი. როგორც დანარჩენი სულიერი და უსულო საგანი, ამ ქვეყანაზე პირადი ღირსებით უნდა ფასობდესო. პირველ აზრს ცოტად ბასილიც თანაუგრძნობდა, მაგრამ მეორე, რომ აზნაური და გლეხი შეთანასწორებულიყვნენ, ამაზე ფიქრიც საშიშრად და სათაკილოდ მიაჩნდა. მარიკას კი ამის გაგონებაზე ბრაზი მოსდიოდა და ბასილს ტუჩების აბუტვით ეუბნებოდა:

— რა მისი საქმე იყო კლასი და სწავლა, მე არ მისწავლია სკოლაში, მაგრამ, აბა, საწყალი, ხარდანაძის ქალი, მარიკა არა ვარ, თუ!

— აკი შენ აიკვიატე, უსათუოდ წაიყვანე, წაიყვანეო.

— კარგი იყო მეგონა. რომ მცოდნოდა ასეთ სულელურ აზრებს დაისწავლიდა, ღმერთი როგორ გამიწყრებოდა და როგორ გავგზავნიდი, წართი. ეფროსიმეს გოგომაც დაამთავრა იქ სკოლა, მაგრამ ის ასე გადარეულად ხომ არ ირჯება.

ტასია ამოიოხრებდა და მოშორდებოდა ხოლმე მშობლებს. მარიკა მაინც თავს ინუგეშებდა: მადლობა ღმერთს, ძუკუმ არ ისწავლა, თორემ იმასაც რომ ასეთი სიჩურჩუტე დაეწყო, ხომ დავიღუპებოდი. ეს კი ქალია, დღეს ჩემთან არის და ხვალ თავისი კუთხე უნდა ნახოს და იქ რაც უნდა ის თქვას, მე ამით ბევრ ზარალს არ ვნახავო.

XXXV

ფარნა წამოწოლილიყო ტირიფის ქვეშ მდელოზე, კრავის ქუდი განზე გადაეხურა და ცხენის მადიან ხრამუნს სიამოვნებით შეპყურებდა.

ტასია გაჩქარებით მიდიოდა იქით, საითაც ცხენის ფრუტუნი შემოესმა. ერთ ალაგას გაჩერდა და ყური დაუგდო, სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, მხოლოდ სასიმინდეოდან ზარმაცად მოქნეული კაკუტების ხმა მოისმოდა.

„სად მიდიხარ!“ — ჩასჩურჩულა ყურში რაღაც იდუმალმა ხმამ. ახალგაზრდა ქალი შეკრთა, თავი ძირს დახარა და გაფითრებულმა მიწას უაზროდ თვალები დააშტერა. მაღალი მდელო, მინდვრის ყვავილები, გამხმარი ფიჩხები და ნახევრად დამჭკნარი, ალბათ ახლად ჩამონათალი თხმელის შტოები ერთმანეთში არეულიყო, მაგრამ ტასია ვერაფეს ამჩნევდა.

ფრთხილი ხვლიკი გამოძვრა თავის სოროდან და ვახშმის საძებრად წასვლას აპირებდა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, სახიფათო ხომ არა მომელის რაო. მაგრამ საშიში არა იყო რა. თავისი ჭკვიანი თვალებით ერთიც მაღლა აიხედა, შეიძლება იქიდან მომელის რამე უბედურებაო. მისი თვალები ტასიას ანთებულ თვალებს შეხვდა. აი ეს არის დავიღუპეო, გაიფიქრა საბრალომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გასრიალდა, ტასიას წინ გაირბინა, უშველებელი ტკაცუნი და შრიალი მოადინა გამხმარ ფიჩხფუჩხებში და იქვე, მახლობელ ხშირ ეკლნარში, გულგახეთქილმა თავი შეაფარა.

— ა... ნა-ნა, ნანა! — დაიწივლა შეშინებულმა ტასიამ და მახლობელ ღობისაკენ გაექანა.

ფარნა ზეზე წამოვარდა და საჩქაროდ მასთან მიიჭრა. მათ მხოლოდ ღობე ყოფდათ.

— აი, აქ ჩამოვსხდეთ, ამ ძეწნის ქვეშ. ჩრდილიც კარგი აქვს და სხვა ადგილთან შედარებით სუფთაცაა, — თქვა ფარნამ და დასაჯდომად მოემზადა.

ტასია თითქო უარობდა, აქეთ-იქით ფრთხილად იხედებოდა და ფარნასაკენ სანდომიან თვალებს ისროდა.

— ოი... დედა, ღმერთო... ბასილი ნუ მომიკვდება, მაგრამ, — უაზროდ დაიწყო ლაპარაკი ტასიამ და თითქო ძალაუნებურად ძირს დაიწია. — ამოსაწყვეტი ბატები სადღაც გაგვექცნენ, იმათ ვეძებდი, შენ სახლის გვერდით ჩრდილში გეძინა, მეგონა... იმ წყეულმა გველმა ისე შემაშინა.

ტასიას ტყუილის ლაპარაკი ხმაში შეეტყო და კიდევ უფრო გაწითლდა. ფარნაც აღელვებული იყო, მაგრამ შეეცადა, რაც შეეძლო, გამოერკვია და გაეთამამებინა ქალიშვილი.

— რა იცი, რომ გველი იყო? — დინჯად შენიშნა ფარნამ.

— როგორ არ ვიცი!

— ნახე?

— არ მინახავს, მაგრამ ისე ჩქარა გაირბინა, რომ...

— ღმერთი შენს მტერს გაუწყრა, როგორ ბავშვივით ლაპარაკობ. განა გველი გაირბენს? ფეხები რომ არა აქვს. გველი გასრიალდება და შენ, როგორც ამბობ, თუ გაირბინა, მაშ ხელიკი ყოფილა.

— შეიძლება, — ჩუმად მიუგო ტასიამ.

— ნამდვილად, ნამდვილად, ხელიკი ყოფილა... უი, იმას შეუშინებიხარ, — სიცილით მიუგო ფარნამ და რამდენჯერმე ტაში შეშოჰკრა.

ტასიამ ფრთხილად მიიხედა სახლისკენ.

— რა იყო? — ჰკითხა ფარნამ.

— ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ და ხელებსაც ნუ ატკაცუნებ.

ფარნა ტასიას მიეახლა. გული გამალებით უცემდა.

— გეშინია, შინ არ გაიგონონ ჩემი ხმა? — ტუჩების კანკალით ჩუმად მიუგო ფარნამ.

— არ მეშინია, ჰო... შეიძლება გაიგონ, თუმცა ბაბას ძინავს და ირინესაც.

ფარნა შეეცადა თავი თამამად დაეჭირა, სახეზე ხელი მოისვა.

— მაშ ახლა ხმადაბლა ვილაპარაკოთ, — გვარიან თამამად მიუგო ფარნამ და დაეჩერდა ტასიის მარჯვენა ხელს, რომელიც ქალს შუხლზე უდო.

— ხელი ხომ არა გტკივა? — ჰკითხა ფარნამ, თუმცა თვითონ არ იცოდა, რისთვის ჰკითხა ეს.

— ხელი? — გაკვირვებით შეხედა ტასიამ. — არა, რომელი ხელი?!

— აი, ეს, — მიუგო ფარნამ და ქალის ნეკს ხელი შეახო.

— ეს ხომ არა მტკივა? — ძლივს წარმოთქვა ქალმა, გულ-მკერდი უთრთოდა.

— მე დასივებულად მომეჩვენა, — არეულად თქვა ფარნამ და ტასიას ხელი ხელში დაიჭირა.

— არა, ის შარშან მტკიოდა, როცა ზღმარტლის კრეფის დროს ეკალი შემერჭო.

— ჰოო... — გაგრძელებით მიუგო ფარნამ და ქალის თითებს ხელი ნელა მოუჭირა.

ტასიამ თავი ძირს დახარა, ფარნას უცნაურად შემოხედა და მეორე მდელოს დააჩერდა.

— ხომ არ გეწყინა რამე ჩემგან? — ათრთოლებული ხმით ჰკითხა ფარნამ. ოთხივე თითი ხელში მოიმარჯვა და უფრო მაგრა მოუჭირა.

— არა, — გაფანტულად მიუგო ტასიამ და ისევ უცნაურად შემოხედა.

— მაშ, არა, მაშ, არა? — ტუჩების თრთოლვით ამბობდა ფარნა და ხელს თანდათან უჭერდა.

— ხელი არ მომამტვრიო, მეტკინა, — გულგრილად შენიშნა ქალმა.

ფარნა აენთო.

— გეტკინა? ღმერთო, მომკალი, გინდა ახლავე გავუშვა?

— გაუშვი-მეთქი კი არ მითქვამს, მეტკინა-მეთქი, — ისევ გულგრილად მიუგო ტასიამ.

ფარნას მოთმინება ეკარგებოდა ტასიას გულგრილობისაგან. თითქმის გიჟდებოდა.

— ტასია! — ჩუმად ჩაილაპარაკა მან.

— რა იყო? — ჰკითხა ქალმა და ისეთნაირად შემოხედა, თითქო უკანასკნელად უნდა გამოსცადოსო.

ფარნამ ვერა მიუგო რა. ათასნაირი სათქმელი პირზე ეკერა და ენა აღარ ემორჩილებოდა. თავი უბრუოდა. მის გარშემო რა ხდებოდა, ვეღარაფერს ხედავდა და ერთი გამოურკვეველი რაღაც ბზრიალის მეტი აღარაფერი ესმოდა. უცებ ქალის სახე თავის სახეზე მიიკრა. ქალი არ ეწინააღმდეგა და ორივე ერთმანეთს ჩაეკონა.

— შე... ნი... ვი... რი... მე... ჩე... მო... სიცოც... ხლე... — ჩურჩულებდა ქალი და ათრთოლებული კოცნით უფარავდა ტუჩებს, თვალებს, ლოყებს და ახლად ამწვანებულ ნიკაპს.

ყმაწვილი იმითკე სცემდა პასუხს, მან მაგრა მიიკრა ქალი მკერდზე და, ცოტა არ იყოს, ტლანქად შეახო მის სხეულს ხელი. ქალს პირველმა გრძნობათა ღელვამ გადაუარა. ცოტა გამოერკვა და ყმაწვილი კაცის ხელებიდან გასათავისუფლებლად ხელის ფათური დაიწყო.

ფარნა არ უშვებდა, ხელებს უჭერდა, წელზე ხელს ხვევდა და თავისკენ იზიდავდა.

— გამიშვი, გამიშვი, ფარნა... ასე ხელს ნუ მიჭერ, ნუ ჩქარობ, ასე როგორ შეიძლება, — ჩურჩულებდა ქალი და უფრო მხნედ ითავისუფლებდა თავს. ცოტ-ცოტად ფარნასაც გაუარა აღელვებამ და ხელების ძალა შეასუსტა. ქალმა თმა გაისწორა, თავსაფრის ხელ-ახლად შემოხვევა დაიწყო, სანდომიანი თვალებით ფარნას შეხედა.

— ჩემთვის ეს ჯერ არავის გაუბედნია, ფარნა!

ფარნა გაწითლდა და ვერა მიუგო რა.

— ჩემთვის ეს ჯერ არავის გაუბედნია და ვერც გამიბედავს, — გაიმეორა ქალმა. — მაგრამ შენი ბრალი არ არის. მე მეტისმეტად ავჩქარდი, ვერ მოვითმინე. ჩემი ქალური სისუსტე სავსებით გამოვამჟღავნე. მაგრამ რა ვქნა; ღვთისა და კაცის წინაშე გამიმჟღავნებია, რომ სუსტი ქალი ვარ. ვერ შევიძელი დამეფარა ჩემი გრძნობა. ბევრი ვებრძოლე ჩემ თავს, მაგრამ ვერაფერი შევიძელი. მე შენ მიყვარხარ, ფარნა.

ფარნა კიდევ უფრო გაწითლდა და ცრემლით სავსე თვალებით შეაჩერდა ახალგაზრდა ქალს. ქალმაც აღელვებით შემოხედა. ვერ მოითმინა და ისევ კოცნით დაუფარა ტუჩები.

— მეც მიყვარხარ, ტასია, განუზომლად მიყვარხარ, მაგრამ ასეთ ბედნიერებაზე ფიქრიც მეშინოდა, — როგორც იყო მიუგო ფარნამ. როცა კოცნით გული იჯერეს და ცოტა დამშვიდდნენ.—რა ნახე ისეთი ჩემში, გლეხის შვილში?

— სუ, ეს მეორეჯერ არ მითხრა, — სალოკი თითის ზევით აწევით მიუგო ტასიამ. — შენ ქალაქ ადგილას ცხოვრობ, ჩემზე უფრო მეტს ხედავ, განათლებულ კაცსაც ხშირად შეხვდები, წიგნებსაც მეტს იშოვნი, მაგრამ გეტყობა, ჯერ ანაბანა არ შეგითვისებია. მე პირდაპირ გეუბნები, ნუ კი გეწყინება.

— შენგან?! — გაოცებით მიუგო ფარნამ.

— ჰო, ჩემგან, — გააჯავრა ქალმა. — ვითომ ძლიერ გიყვარვარ...

მოითმინე, ასე ადვილად მე შენ ვერ მომატყუებ. ცოტა ვიცნობ, გამიგონია ძაიხ, რაც შვილები ბრძანდებით მამაკაცები. თავს ისე მოაჩვენებთ, თითქო რაღაც მაღალი გრძნობით ხართ გამსჭვალული და ნამდვილად კი ერთი წუთის ჟინის მოკვლა გსურთ და მერე სად არის თქვენი წმიდა გრძნობა!

ფარნას აღელვება დაულაგდა და წამოთამამდა კიდეც.

— არ ვიცი, რა დაგიფიცო. შენთან რა სახსენებელია, მაგრამ დედიჩემის ძვლებს გეფიცები... დარწმუნდი, რომ მე ჯერ, მაღაზიაში თუ შემოვა საყიდლად და ორ-სამ სიტყვას თუ მეტყვის, თორემ მე ჯერ ქალს არც კი დავლაპარაკებივარ. მეტი დროც ხომ არა მქონია. მერწმუნე, მე უმანკო კაცი ვარ, მერწმუნე, პატარაობიდანვე შენი სახის გახსენება გულს მიტოკავდა... მაგრამ მე მაინც ვძლევდი ჩემ თავს, რადგან მე, ნიკოიას შვილი...

— კიდევ დაიწყო თავისებური, — გააწყვეტინა ტასიამ. — ნეტავ ჩემი მასწავლებელი ქალი დააჯინა ახლა აქ, გაყურებინებს სეირს.

— ღმერთმა დაგვიფაროს ახლა აქ შენი მასწავლებელი ქალი! — სიცილით მიუგო ფარნამ.

ტასია გამოერკვა, ეს რა ვთქვიო და ფართო თვალებით ფარნას შეხედა, თვითონაც გაიცინა და თოვლივით კრიალა კბილები გამოაჩინა.

— მე სხვანაირად მინდოდა მეთქვა. ჩემმა მასწავლებელმა ქალმა რომ გაიგოს შენი მსჯელობა, სიცილს დაგიწყებს. ნუთუ კიდევ არა ხარ დარწმუნებული, ჩემო ფარნა, რომ ძველ, ჩვენს წოდებრივ წყობილებას საჭირველი გამოეთხარა და მერე რა ჩქარა. ჭყონნაში დღესაც არის ასამდის, თუ მეტი არა, კაცი, რომელთაც თავიანთი თვალით უნახავთ ბატონყმობის ყოველნაირი უსამართლრბა. უნახავთ კი არა, თავიანთი ზურგით და ყბა-კბილებით უტვირთიათ მებატონისაგან ყოველნაირი უდიერება და ახლა, ძლივს ოცდაათი წლის თავისუფლად ამოსუნთქვის შემდეგ, შეხედე, როგორ გამოიცვალა ხალხი სულიერად და ხორციელად და როგორ იცვლება ყოველდღე. ამის დანახვას, მგონია, არავითარი სწავლა არ უნდა, ვინც ბუნებით ბრმა არ არის, ან ძალით თვალს არ იბრმავებს, ყველა ცხადად დაინახავს, რადგან ეს აშკარაა. ჩვენი აზნაურობა კი წესაგებული მიცვალებულია. ხომ იცი, მიცვალებულს რომ შენდობის ფურცელს ატანენ. აი, სწორედ იმ შენდობის ფურცელს ჰგავს ახლანდელი საბუთობია. რას მიყურებ, ფარნა, ასე გაკვირვებულად? გიკვირს ჩემი სიტყვები? მოგიკვდეს ტასია, თუ ვისმეზე ნაკლები ყოფილიყო, გზა რომ მიეცათ მისთვის. — ქალი ცოტა შეჩერდა. ორი-

სამი მელიკუდა მოგლიჯა, წვეტიანი ბოლო კბილებში მიიბიძგიეა და ისევ გააგრძელა: — შენ კახკალებ აზნაურობის წინაშე და იცი, ჩემო ფარნა, რა გვიყო ჩვენ იმ აზნაურობამ? მამიჩემისთანა შემძლებელი აქ, ამ სიახლოვეს არავინ იყო, განა თვითონ არ გახსოვს? ახლა ვალებში ვართ სულ იმ აზნაურობის ძებნის გამო. რომ წარმოვიდგენ, გამეცინება. თუ ერთი-ორი სულელია, ყველა ერთად რამ გაასულელა? რასაა, რომ ეძებენ, რაშია, რომ ამოდენა ფულებს ხარჯავენ... მთელი სიცოცხლის ნაშოვნი თუ რამე გააჩნდა, საბუთის შოვნას და მის გაგზავნას მოახმარა. კაცი მოხუცებულობაში შესულია. ძველებურად არც შრომა, არც მოხერხება შეუძლია. თუ გინდა მოსვლია აზნაურობის დამტკიცება. რა უნდა შეგვმატოს იმან? ასე გონია ჯიბეში ჩაიდებ და ადიდებულ ხობისწყალს რომ მიადგები და მენავეს უჩვენებ, მაშინათვე დიდი პატივით ნავში ჩაგსვამს და გაღმა გაგიყვანს. როგორ არა, ხვალ დილით, — ნიშნისმოგებით თქვა ტასიამ. — ორი კაპეიკი რომ არ მისცე. შენი აზანაურობის ათი მოწმობაც რომ მიუტანო, ზედაც არ შემოგხედავს. თუ ხობისწყლის გასვლაში არ გიშველის, სხვა მის ღირსება-ფასზე რაღა უნდა ვილაპარაკოთ? მაშ, ხომ ახლანდელი დროისათვის გამოუსადეგარი ყოფილა შენი აზნაურობა. ბევრი ხანია, რაც ეჭვი შემეპარა მის ახლანდელი დროისათვის უმნიშვნელობაზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ნათლად დავრწმუნდი, რომ როგორც ძველი ჩალანდარი წინ ვეღარ დაუდგება ახლანდელ რკინიგზას, ვერც ძველებური აზნაურობა დაუდგება წინ თანამედროვე ცხოვრებიდან წარმოშობილ აზნაურობას. გიკვირს? აზნაურობა ახლაც არის და ყოველთვის იქნება, მაგრამ არა დადიანის საბუთით მინიჭებული, არამედ შეძენილი ცოდნით, სწავლით, შრომით და გამოცდილებით და ახლა კი თავისებურ საბუთს აძლევენ ახალი დროის აზნაურებს, ისეთ საბუთს, რომლის წინაშე ახლანდელ დროში ყოველი მოკვდავი ქედს იხრის და თავს იმდაბლებს. ამ საბუთზე მამაჩემმაც და შენც ბევრი ილაპარაკეთ დღეს სადილად. ეს საბუთი შენ აი, იქ, ჯიბეშიც კარგა ბლომად გიძევს, ეს გახლავს ფული, ფული, ფული... იცოდე, ახალი აზნაურობის საბუთი ოქროა. წარმოიდგინე ბუნებაც მამაჩემს თურმე ხელს უწყობდა. ძველებური აზნაურობის საბუთი არა ჰქონდა, სამაგიეროდ ახალი აზნაურობის საბუთი სხვა მეზობლებთან შედარებით გვარიანად ჰქონდა. ადგა, ახალი საბუთი ძველ საბუთზე გასცვალა და ზედ სართიც დაუმატა. ისევე მოუვიდა, როგორც ახლა ეს შენი რევოლვერი აიღო და ირაკლის ძველი ჩახმახიანი დამბაჩა რომ აქვს, იმაზე გასცვალო და სარტყელიც ზედ დაუთავო. საბრალო

ბაბა, არ იცი შენ, ის რა კაი გული კაცია. ნამდვილი ნიჭიერი კაცია და იმიტომ მებრალება, რომ ამ მოხუცებულობის დროს ასეთ პირობებში შეხვდა ცხოვრება. მით უფრო საცოდავია, რომ შვილი წაღმართი არა ჰყავს. ჩემი ძმა, ძუკუ, უკუღმართია, ნამდვილი უკუღმართი. შეძენილს ფლანგავს, მეტი არავითარ სასიკეთოს ის არ მისდევს. ყოველგვარი სიბინძურე და სისაძაგლე იმის ხელშია. ჰაი, — ამოიოხრა ქალმა. — მაგრამ ჰო, მამაჩემი, როგორც არის, კიდევ გაიანჩალებს თავის დროს, ავად იქნება თუ კარგად, ადგილ-მამული ჯერ კიდევ გვარიანად შერჩა, მაგრამ მერე! ჩემი ძმა ზოგიერთ ჩვენ მოგვარეებზე უარესად იქნება. იცი, ჩვენები რა მდგომარეობაში არიან? ენით ვერ გამოითქმება, განა არ იცი? მათი გაჭირვება აუწერელია. ტანზე პერანგი არ აცვიათ, ცივი ღომი ენატრებათ, ერთი სიტყვით, უკიდურეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯანს მაინც არ იტეხენ და აზნაურობას მაინც ეძებენ. შენ უკეთ არ იცი, ირაკლიმ და მისმა ძმებმა რა ქნეს... თავსაც დააწინდრებენ. ოღონდ კი აზნაურობა გამოუგზავნონ. ეს ასეა ხომ, ჩემო ფარნა, მაგრამ ამდენი რათ ვიყბედე, მიხვდი? იმიტომ ვიყბედე, რომ მე ახლა პატარა არა ვარ, დროა ჩემ თავზედაც ვიზრუნო. საზოგადოდ, ადამიანს როგორც უცხოვრია, მეც ასე მინდა ვიცხოვრო, მაგრამ მათხოვრად დარჩენა სრულებით არა მსურს... ვუშვებ ძველ აზნაურობას, მინდა ახალი აზნაურობა და მეგობრად ხელს გიწვდი.

ფარნა პირდაღებული შეჰყურებდა თვალებანთებულ და თურაშაული ვაშლივით ლოყაგაწითლებულ ახალგაზრდა ქალს. ის ამ წუთში რაღაც უშველებელ არსებად ელანდებოდა და თავის თავი კი ერთ ბეწო რამედ, მტვრად მის წინაშე. მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ ენა დაება.

— კიდევ გაკვირვებით მიყურებ? — დაიწყო ისევ ტასიამ. — შენ გგონია, რომ სოფელში გაზრდილი გოგო ვერაფერს მიხვდება და ახალს ვერაფერს შეითვისებს?

— მე ენით ვერ გამოვთქვამ. — როგორც იყო, წარმოთქვა ფარნამ, — მე ენით ვერ გამოვთქვამ, რა დაგარქვა, რა სახელი გიწოდო, ვის შეგადარო, როგორ შევიძლო შენი პატივისცემა, რით გავამართლო ამდენი შენი ჩემდამი ნდობა და ვიქნე შენი უმორჩილესი მონა-მოსამსახურე, — ამ სიტყვებით ათრთოლებული ხელი დაავლო ვაჟმა ქალის ხელს და ხარბად დაუწყო კოცნა.

— კიდევ მონა-მოსამსახურეზე გადავიდა,—დინჯად მიუგო ქალმა, თითქო ვაჟის ცეცხლივით ცხელ კოცნას ყურადღებას აღარ აქცევსო. — გეტყვი, მაგრამ არ მინდა გული გატკინო. აზნაურულ

სიამპარტავნეს დამწამებ. გაიგონე, რომ მოსამსახურედ კი არა, ამ-ხანაგად და მეგობრად მინდიხარ. არ ვიცი, რამ ქმნა, ცოდვამ თუ მადლმა, ბედმა თუ უბედობამ, რა საათმა და წამმა, როგორც ჩვენ-ში იტყვიან, მე შენ მიყვარხარ. მე შენი ვარ, მაგრამ იცოდე, უაზ-როდ არ მიყვარხარ, მე კარგად ვიცი შენი თავგადასავალი, ნათლად თვალწინ მიდგას ის წამი, როცა პირველად შემოიხედე სასენაკოში და მერე, რა თავგანწირულებით და მეცადინეობით ეკიდებოდი საქ-მეს. მე მწამს შენი ნიჭი და რაც უნდა დამემართოს, უშენოდ ცხოვ-რება არ შემიძლია, შენ რას იტყვი?

— მე რა მეთქმის, — გვარიან თამამად მიუგო ფარნამ. — ჩემი სახე უნდა გაძლევდეს პასუხს.

— თანახმა ვარ, ამ წუთში, გეთანხმები, გიყვარვარ, მაგრამ იცო-დე, მე ქალი ვარ, შედარებით შენთან მაინც სუსტი არსება ვარ. ცოტა კი გამიგია თქვენი ხასიათი, მამაკაცებს რამდენი ქარი შემო-გიბერავთ, იმდენად გული შეგეცვლებათ, და მე იმდენად გატაცე-ბული ვარ, მთელი ჩემი არსება მადლობელია შენი. რომ იცოდე...

— მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი...

— კარგი, ნუ ფიცულობ. ვიხუმრე. მაგრამ ეს ოხერი, გულია... გული სუსტია, იშვიანია... მაგრამ კარგი, დროება გვაჩვენებს ყველა-ფერს. საქმით დავუმტკიცოთ ერთმანეთს. ამაზე ახლა კმარა. შენ ეს მითხარი: ფოთში როდის წახვალ?

— როცა სიმინდის ყიდვას მოვრჩები, ალბათ, ორი კვირა და-ვრჩები.

— მერე როდის ჩამოხვალ?

— თუ ხეირი გამოვიდა, ისევ ჩქარა მოვბრუნდები, მაგრამ ნა-შობევამდი ახლა სიმინდის ყიდვის დრო არ არის.

— კარგი, წერილის მოწერას ვერ მოვახერხებ შენთან?

— როგორ არა, სულ ადვილია, პირდაპირ მომივა. მე ვერ მოგწერ?

— საშიშია. მასწავლებელი ქალის გარდა მე არავინ მწერს წე-რილს. ისიც ფოსტით არ მომდის, რომ შეიტყონ, ჯერ... საშიშია.

— მაშ რა ვქნათ?

— მოიცა, მოვიფიქროთ.

ტასია ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე თითქო სხვა რაღაცა უნდა თქვას და ვერ გაუბსენებიაო, ნელა წარმოთქვა: — ჰო, რაღაც მინდოდა შენთვის მეთქვა, მეთქვა კი არა, მეკითხნა... დღეს კი არა, ხვალ...

ამ დროს ბასილის ეზოში ქათმებმა საშინელი კრიახი ასტეხეს და ირინეს წვრილი ხმაც მოისმა:

— ჰაუ, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ჰოუ, ჰოუ, ჰოუ!

— ოხ, გაუღვიძიათ, შეიძლება დედაც დაბრუნდა, — უცბად წამოიძახა ტასიამ, ერთი საჩქაროდ ფარნას აკოცა, ღობეზე მარდად გადახტა და ბუჩქნარში მიიმალა.

ფარნა სიხარულისაგან თავბრუდასხმული იჯდა ერთ ალაგას და თვალს არ აშორებდა ღობეს, რომელზეც ეს-ესაა ტასია შველივით გადახტა. მისი განშორებით საშინელი მოწყენა იგრძნო. სიზმარში ხომ არა ვარო, გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და თვალებზე ხელი მოისვა და ჩაფიქრდა. ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა. შეიძლება ითქვას, რომ არაფერს არ ფიქრობდა. საფიქრად სად ეცალა, მთელი მისი არსება ამჟამად გრძნობად იყო გადაქცეული. რაღაც მეტისმეტად ახარებდა და თანაც სწყინდა.

ცხენმა დაიფრუტუნა და ფარნაც გამოარკვია. ზეზე წამოდგა და მზეს შეხედა. მზე კარგა გადასულიყო. საჩქაროდ ჩოხა ჩაიცვა, სარტყელი შემოირტყა. შერე ცხენთან მივიდა, ფეხზე მობმული ბაწარი კისერზე გადაუგდო და ძერწოს მოაბა, თვითონ სიმინდებში შევიდა.

ამ ფალაგიდან სამოცი საჟენის მანძილზე წისქვილის წყალი მოდიოდა. გაღმა-გამოღმა უშველებელი სიმინდებით იყო დაბურული. წისქვილის წყლის ერთი ნაპირი დაქანებული იყო და მეორე ამაღლებული, და რაღაც ხევის მსგავსს წარმოადგენდა. და რადგან ამისთანა ალაგას წყალი ნაპირიდან გადასვლის დროს მეტ შლამს სტოვებდა, აქ სიმინდიც საუცხოო მოდიოდა და ერთი შეხედვით კაცს უდაბურ ტყეს მოაგონებდა. სიმაღლით ექვს აღლზე მეტ, მსხვილ და მკვიდრ ღეროებიან ზორბა ტაროებით დატვირთულ ხშირ სიმინდებში თითქმის ბნელოდა, რადგან მზის სხივები სუსტად ატანდა. ფარნა ამ სიმინდებში შევიდა და ვეებერთელა ტაროების დანახვაზე სიამოვნებით გაიღიმა. ამაყად აჭიმული ღეროები თითქო გრძნობდნენ თავიანთ ღირსებასო და ფოთლების ოდნ[illegible] კაევით სალამს აძლევდნენ ასე უღროოდ მათთან მოსულ სტუმარს. ფარნამ მიდამო დაათვალიერა, წისქვილის წყალს მიუახლოვდა და პირის ბანას შეუდგა.

— სად გაიპარე, შე საპატიო კაცო! — ხუმრობით გასძახა ბასილმა, როცა ფარნამ კისერზე ბაწარმობმული ცხენი ისევ ეზოში შემოიყვანა. — პატივი გეცი, მგონია, ჩრდილში მოგართვი მუთაქა, ჭილობი და შენ კი ტყეში გაიპარე.

— გმადლობთ, ბატონო, ამ ცხენის დარდმა არ დამაძინა.

— ჰოო... ეს კი დაგიმადლე, რომ პირუტყვების პატივისცემა

გყვარებია. რამდენ შენ პატივსცემ, ხუთ იმდენს აქეთ გცემს პატივს, შვილო, ცხენი. ეს კარგი, სწორედ მოგიწონე. ქალაქში მცხოვრებმა კაცებმა ძლიერ ნაკლებ იციან ცხენის პატივისცემა. თოხარიკი ცხენის სიარული მოსწონთ, მოახტებიან ზედ და ჰა... ტირკონი, ტირკონი, მაგრამ ცხენსაც რომ ჩვენსავით მოშივდება, მოსწყურდება ან დაიღლება, ამაზე დალოცვილნი თავს სრულებით არ იტკენენ. ალმართში ისე მიყავთ, როგორც დალმართში. წყალში გასვლის დროს ტუჩი რომ ჩაჰყოს, გაჯავრებით ლაგამს ამოკრავენ, რაღა დროის წყლის სმა არისო. ეჰ, ერთი ბოქაული იყო ჩვენში, რამდენჯერ მივლია მასთან, რაც გინდა ბედაური მიგეცათ, ორ-სამ საათში გაბათილებდა.

— კარგად რომ არ მოუარო, ბატონო, ჩემი ძმა მეორეჯერ არ მათხოვებს და საქირავებელი გამიხდება,—სიცილით მიუგო ფარნამ.

— შენი ძმა უარს კი არ გეტყვის, მაგრამ... ბალახი ამ ეზოშიც კაი იყო, გაუშვებდი და მოისვენებდი.

— არა, ბატონო, ეზოს გააფუჭებდა.

— ეზო ბევრი არაფერი, მაისი არ არის, რომ კოინდარი გათელოს, მაგრამ ჰო, კარგად გიქნია, იქ, ფალაგეშიაც მშვენიერი ბალახია.

ფარნამ ამ დროს ცხენი სახლის გვერდით ალუჩის ხეზე მიაბა.

— აქ შემოდი, შე კაცო, პირი დაიბანე. — შემოიპატიჟა ბასილმა.

— პირი უკვე დავიბანე.

— სად?

— წისქვილის წყალში.

— იქ, ყანებში შეიარე? როგორ მოგეწონა ნამუშევარი?

— მშვენიერებაა, განსაკუთრებით ერთ ადგილას, ცოტა დაწეული რომ არის, ოხ! რა ჩინებული სიმინდია. ან რა ტაროებითაა დაჯორგილი. ის ვისია, ბატონო?

— ჩემია, — ღირსებით მიუგო ბასილმა. — ერთი წვერი ბოლოსაკენ ლავრენტი ტკვარჩელიასაა, სხვა კი ჩემია.

მათი ლაპარაკის დროს ტასია, თითქო აქ არაფერიაო. წინა ოთახიდან გამოვიდა და აივანზე ერთ სვეტს მიეყუდა. გარეშე მაყურებელი ხუთჯერ დაიფიცებდა, რომ თუ ის ვისმეზე ფიქრობდა ამ დროს, ყველაზე ნაკლებ ფარნა თოხიტარიაზე, იმდენად გულგრილად იყურებოდა.

ფარნამ ცხენს გავაზე ხელი ეადაუსვ-გადმოუსვა და უნაგირის მოსატანად ოდისკენ გაემართა.

— ბიჭს დავუძახებ და მოვატანინებ, შე კაცო,—უთხრა ბასილმა.

— ბიჭებმა, ბატონო, თავის საქმეს დაუჩქარონ. ხვალ შუადღეზე როგორმე ურმები უნდა გავგზავნო, ოცამდე კი მყავს მოპირიანებული, უნაგირს კი ჩემი ხელით გამოვიტან, მეტი რა მოხელე ვარ ყაზახი, — ამ სიტყვებით ფარნა აივნის კიბეზე ადიოდა, ტასიასკენ მიიხედა და ოღნავ გაიღიმა. ტასიამაც ოდნავ გაუღიმა და ისევ ჩვეულებრივი გულგრილი სახე მიიღო.

ახალგაზრდა კაცს გული დაეწვა, უნაგირს ხელი დაავლო, უნაგირი რაღაც მძიმედ მოეჩვენა. „რა მიზეზია, ნუთუ?!“ ფიქრობდა გულში.

— ხვალ სადილობის დროისთვის რა მოგახსენო, — მიუგო ბასილმა. — გუშინ რათ არ მითხარი, თუ ასე გეჩქარებოდა, სამ კაცს მოვიწვევდი, მეოთხე ჩემი მიემატებოდა და მაშინ მართლა გაათავებდნენ.

— მე კი მოგახსენეთ, ბატონო, — სიცილით მიუგო ფარნამ და ცხენის კაზმვას შეუდგა.

— მაშ, მოიცა, ერთი დავათვალიერო, აბა რამდენი უკლიათ კიდევ, თუ ბევრი უკლიათ, ხვალ ღილით კაცებს დავაყრი და მოვუსწრობ, ამაზე არ შეგაწუხებ, ნუ გეშინია, — ამ სიტყვებით ბასილი სასიმინდესკენ წავიდა.

ფარნამ წინა მოსართავი მოუჭირა ცხენს და ბალიშს სწორება დაუწყო, რომ ჩუმად წარმოთქმული თავისი სახელი მოესმა. აიხედა, ტასია სანდომიანი თვალებით მოაჯირიდან დაჰყურებდა. ახალგაზრდა ქალმა ხელი წინ გაიშვირა და დაკეცილი პატარა ქაღალდის ნახევი მდელოზე დააგდო. ფარნამ ერთი აქეთ-იქით მიიხედა, საჩქაროდ დააფრინდა, აიღო და ახალუხის ჯიბეში მოწიწებით შეინახა. ტასიამ ერთიც შემოხედა, მოწყენით გაუღიმა და ოთახში შევიდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, — შემოილაპარაკა ბასილმა. — დღეს გვარიანად უმუშავნიათ, ხვალ წვრილ სადილობამდის ბდღვირს აადენენ, ნუ გეშინია. შენ მხოლოდ ფული მომიმზადე.

— ფული, უეჭველია, ნეტავი ხუთი იმდენი მოგცა, რომ სულ წითელ-წითელი ბილეთები ჩაგიშრიალო ხელში, — ცოტა ამაყად დასძინა ფარნამ.

ბასილმა არა მიუგო რა. ერთი დაფიქრებით ძირს დაიხედა, ერთიც ფარნას შეხედა, ერთი თავის ღილებგახსნილ, ცოტა არ იყოს, მოძველო ჩითის ახალუხს დახედა და ყალიონის ტარი პირში ჩაიდო.

ფარნა მორიდებით გამოემშვიდობა ბასილს, დიდი მადლობა მოახსენა პატივისცემისათვის.

— რას იბოდიშები, შე კაცო! დღეს ასე და შემდეგში, თუ ვიცოცხლე... — პირი დაიმშვენა ბასილმა.

— გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ, — მიუგო ფარნამ და ცხენი გაათოხარიკა. ჭიშკართან დუქნიდან დაბრუნებულ მარიკას და ძუკუს შეეფეთა.

— თქვენი მოსვლა და ჩვენი წასვლა, ჩვენი მოსვლა და თქვენი წასვლა, — გაეხუმრა მარიკა.

— აა... ბატონო, ბედნიერად ბრძანდებოდეთ.

— ფარნას გამარჯობა, — მიესალმა ძუკუ!

— იცოცხლე, ჩემო ბატონო!

— ახლახან გხედავდი, მგონია, რა პატარა იყავი, შე ოჯახქორო და რავა გაშთიქინებულხარ, ვაჭრობაც დაგიწყია.

— ნოტიო ალაგას ვცხოვრობ, ბატონო, და ხომ იცი, ისეთ ადგილს ჩქარა იზრდება ყველაფერი, — მიუგო ფარნამ.

— მაგას თავი დავანებოთ, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწინა, ყმაწვილო, რომ მიდიხარ... დღეს უკაცრავოდ კი ვარ, მაგრამ... — ნაზად მოიბოდიშა მარიკამ.

— არა, ბატონო, რას ბრძანებთ!..

ისინი ერთმანეთს განშორდნენ.

XXXVI

მეორე დილას ათი საათი იქნებოდა, რომ ფარნა თავისი ძმით ივანეთურთ და ოთხი კამეჩის ურმით მიადგა ბასილის სასიმინდეს. სიმინდის ფშვნას ათავებდნენ.

— ძლივს, ძლივს მოვასწარი, — მისალმებისთანავე გამოელაპარაკა ბასილი.

— დიდად გმადლობთ, ბატონო, ეს ძლიერ კარგად გიქნია.

— მიქნია რა შუაშია, შე კაცო. რაც შენ წახვედი გუშინ, მას შემდეგ ვერაფერი ბევრი, მაგრამ დღეს დავაყარე სამი ისეთი ბიჭი. რომ ნაცარ-ტუტა ადინეს... უქირაოდ, ხომ იცი? — ჩუმად, საიდუმლოსავით უთხრა ბასილმა და ტუჩები და წარბები აიბზიკა, — ახლანდელ დროში უფულოდ არა კეთდება რა, უფულოდ ახლანდელი კაცი ერთ ნაბიჯს არ გადადგამს შენთვის.

— მართალია, ბატონო, ქვეყანა ახლა... — დაემოწმა ფარნა და სიმინდის ზომვას შეუდგა.

— ქილა* კი გქონია რიგიანი, — სიცილით მიუბრუნდა ბასილი.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, იმის მეტი, — ღინჯად მიუგო ფარნამ, — დღეს რაც ეკლესია გააღონ, იმის მადლმა, ნამდვილი ცამეტი ოყაა, არც მეტი და არც ნაკლები.

— ჰო, კარგი, გემოწმები, მაგრამ ერთს კი ვეტყვი, რატომაა, რომ ამ სოფლებში მესიმინდეები სიმინდს არა სწონავთ?

— სოფელია, ბატონო, — ხვეწნის კილოთი მიუგო ფარნამ. — სასწორი მძიმეა. აქ მისი მოტანა ძნელია, გზაზე დაიმტვრევა, ძვირი ღირს. ორი-სამი დღისთვის იმის მოთრევას აზრი არ აქვს. სადაც შუდმივად ყიდულობს კაცი, იქ, მესმის.

სიმინდი დაზომეს, ოთხივე ურემი დატვირთეს.

მეურმეები გზას გაუდგნენ. ბასილი და ფარნა კი ოდისკენ წავიღნენ. ფარნას ხელში სამგზავრო დავთარი და წვრილი ფანქარი ეჭირა. ოდის აივანზე მარიკა და ტასია ისხდნენ. ფარნა მათ ზრდილობიანად მიესალმა და ტასიას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა, მაგრამ მან წამწამიც არ შეარხია და ეზოში მოკუნტრუშე ხბოს მზერა დაუწყო. ხბოს ყოველ ახტომ-დახტომაზე იღიმოდა, თითქო მეტისმეტად საინტერესოდ მიაჩნიაო. გამოცდილი თვალი შეამჩნევდა. ხანდახან ფარნასაგან გადმოსროლილ ნაპერწკლებს. მაგრამ მარიკას და ბასილს ახლა ამის 'შესამჩნევად' არ ეცალათ. ისინი გატაცებული იყვნენ იმ ანგარიშით, რომელიც უნდა მიეღოთ ფარნასაგან სიმინდის ფასში.

— ას ოთხმოცდარვა ქილა ნახევარი, ხომ, ბატონო ბასილ!

— სწორია, — დაუდასტურა ბასილმა.

— ათი სახარების მადლმა, ათ შაურზე ზევით ჯერ არავისთვის მიმიცია.

— რას ფიცულობ, შე კაცო!

— ორ-ორ კაპეიკს ქილაზე ვერა გკადრებ, მაგრამ თქვენი ხათრით იყო.

— როგორც გენებოს, — მხიარულად მიუგო ბასილმა. — თუ არ მიუმატებ, მე შენ იმისთვის დაგემდურო, იმდენი დამემდურა მიქამგარიო.

— მიქამგარიოც შეგეწიოს და წმინდა გიორგიც. სულ გერგებათ, ბატონო... ოთხმოცდაცამეტი მანეთი, სამი აბაზი და თექვსმეტი კაპიკი. აბა თქვენც დათვალეთ, ბატონო.

* ქილა — საწყაული, ერთი ფუთი.

ბასილმა თითებზე თვლა დაიწყო, ჩუმ-ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა: — ასეა, სწორია, აბა რა თვლა-ანგარიში უნდა, სწორია.

ფარნამ ჯიბიდან სქელი ტყავის ქისა ამოიღო და იქიდან მთელი ქაღალდის ფულების წყება ამოალაგა.

— ამდენი ფულით ჯიბაში არ გეშინია, შე კაცო? — გაიკვირვა ბასილმა.

— თქვენისთანა კეთილების იმედი საცა მაქვს, ვისი შემეშინდება, ბატონო, — მიუგო ფარნამ.

— მართალია, ჩვენ სოფელში ვინ რას გაგიბედავს. ვინმემ რომ თითი გახლოს, უბედურს!... მაგრამ სხვა სოფელში კი...

— ოცდახუთი ხომ მიიღეთ, ბატონო!

— კი, ბატონო, — მიუგო ბასილმა.

მარიკამ ქმარს ცოტა ალმაცერად შეხედა.

— ახლა გერგებათ, ბატონო, სამოცდარვა მანეთი, სამი აბაზი და თექვსმეტი კაპეიკი, მაგრამ უკაცრავად, წვრილი ფულის მოცემას მე თქვენ არ შეგკადრებთ და აი სამოცდაცხრა მანეთი იყოს.

— არა, რატომ, ანგარიშით მომეცი.

— გადავიანგარიშე ესაა, — ღიმილით უთხრა ფარნამ და რამდენიმე სხვადასხვა ფერადი ქაღალდის ფული ბასილს გაუწოდა.

ბასილმა ფული შესანახად მარიკას გადასცა და სადილზე მოიბოდიშა.

— ახლავე მზად იქნება, — მიუგო მარიკამ.

— თქვენი თავი ნუ მომიკვდება, იმის მეტი! — წამოიძახა ფარნამ და წასვლა დააპირა.

— რას ამბობ! დადე, დადე ის მათრახი, სადილი რა, ფოთში სამიკიტნოში ხომ არა ვართ. ღომი და ლობიო, დღეს მარხვაა, სხვა რაღა დამრჩა. მე შენ გეტყვი, იმის ჭირი არ შემეყაროს, ძველებურად ბატკანი და ბურვაკი. რომ მაქვს ყოველდღე.

— ვინ ღირსობს, ბატონო, — თავმდაბლა მოახსენა ფარნამ. — თქვენს პატივისცემას, დიდად გმადლობთ, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ურმები უნდა გავაცილო, თექვსმეტი დატვირთული ურემი. ირმის ნახეთქის ბოლოს მყავს მოპირიანებული. იქ ესენიც მიემატებიან და ყველა ერთად გზაზე უნდა დავაყენო, კაჭუიას ნაყანევთან ფონის გადაღმა ასავალი მეტისმეტად უხერხულია და სანამ იქ ყველას ჩემი თვალით არ გავატარებ, გული არ დამიმშვიდდება. მათ ივანეც თან უნდა გავაყოლო, სენაკში რკინიგზაში ჩააბარებს და ისევ აქეთ მობრუნდება. იმათ მობრუნებისას ახალი ტვირთი უნდა დავახვედ-

რო და მგონია, სადილის ჭამა აღარც კი მექნება ამ დღეებში. — სიცილით დაუმატა ფარნამ.

— მაინც რამდენი იყიდე ამ დღეებში?

— ოთხი ათას ფუთამდე კი მაქვს დაბეჭებული, მაგრამ რათ გინდათ, ურმებმა გამიჭირეს საქმე, საკმაო ურმები ვერ ვიშოვნე.

— კიდევ ბევრი უნდა იყიდო?

— ჯერ სადა ვარ, აბა ნახევამდის, ბატონებო.

— მოიცა, კაცო, ერთი საათის შიგნით სადილი მზად იქნება.

— დიდად გმადლობთ, — ერთხელ კიდევ უთხრა ფარნამ და აღვირით ხეზე მიბმულ ცხენისაკენ გაიქცა.

— კაი შვილი არ მოესწრო ამ ნიკოია ქუსლმოქცეულს, ძუკუს მამა? — ცოტა შურიანი კილოთი მიუბრუნდა მარიკა ბასილს.

— ბიჭი კარგია, თქმა არ უნდა, — დაემოწმა ბასილი.

— მაგრამ ყაზახობა მაინც ეტყობა.

— რაში მაგალითად? — გაფანტულად ჰკითხა ბასილმა.

— ყველაფერში, ისე, რაღაც ტლანქი მიხრა-მოხრა აქვს.

— მე კი მიხრა-მოხრა უთაკილო აქვს მგონია. ჩემი აზრით გლეხობა სიტყვა-პასუხში ეტყობა, რაღაც შეშინებულად ლაპარაკობს.

— შენ ესეც შეგიმჩნევია, — მხიარულად მიუგო მარიკამ.—რაც გინდა ჩააცვა და დაახურო ყაზახს, მაინც მაშინათვე გამოიცნობს კაცი. ეტყობა, კარგად არ დაკვირვებიხარ, თორემ შენიშნავდი, მეტისმეტი ტლანქი და მოუხეშავი მიხრა-მოხრა აქვს. მაღალი წოდების სისხლის კაცი რო არ არის, მაშინათვე შეეტყობა. ისე კი ლამაზი და წარმოსადეგი ბიჭი კია.

ტასია მეტად გააბრაზა დედის სიტყვებმა, მაგრამ საოცარი გულგრილობით ითმენდა. მაინც, საუბედუროდ, ბოლომდე თავი ვერ შეიმაგრა და, რაც შეიძლებოდა, გაბედულად წარმოთქვა:

— მიხაია მძებრაძეს კი საუცხოო მიხრა-მოხრა და ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი აქვს, სამი სიტყვა რომ წამოროშოს, ყურებში ხუთჯერ თითი უნდა დაიცვა.

— აა... ვექილმა დაიწყო ლაპარაკი. — აპილპილდა მარიკა. — ეტყობა, მოწონებია თოხიტარია, ჭუჭას შვილიშვილი.

— მიკვირს, დედა, საიდან გამოგყავს აგეთი უცნაური აზრი! — ბრაზით მიუგო ტასიამ და სახეზე ალმური აედო. — მე თოხიტარიას რას დავეძებ, უმართლოდ კაცის კილვა პატიოსნება არაა.

— შენ, ჩემო ბატონო, იმ გრძელ ენას. ცოტა რომ დაიმოკლებ-

ადე, უკეთესს იზამ. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ენის ტარ-ტალს ეჩვევი. პატარა კი ნუ გგონია შენი თავი.

— ხარდანაძის ქალო, — მორიგების კილოთი თქვა ბასილმა. — ასეთი უბრალო საქმისთვის არ ღირს აყალ-მაყალი ვიღაც ყაზახი-სათვის.

— პატარა რომ არა ვარ, იმიტომ მგონია, ნებაც უნდა მქონდეს ჩემი საკუთარი აზრი მეც ვიქონიო, — გულაჩვილებულად თქვა ტა-სიამ და ლამაზი, მსხვილი თვალები ცრემლით აევსო.

— სწორედ მოსწონებია თოხიტარია. ის სქელი ფულები რომ ამოახრიალა, იმას მოუხიბლავს, ღმერთო მომკალი, ხა, ხა, ხა, ხა, — შხამიანად ჩაიცინა მარიკამ. — ის მისი კი არ გეგონოს, ტომბაშვი-ლის ფულებია. თოხიტარიას მაგდენი მთელ სიცოცხლეში არ ექნე-ბა. არიქა, ბეჩა, ეცადე, — დაცინვით უთხრა შვილს, — გახუ წვე-რაძის ქალიშვილმა რომ ქნა ისე, გაყევი ყაზახის შვილს, თოხიტა-რიას, რა გიჭირს, შალის ქსოვა დაიწყეთ. კვირა დილას ნაქსოვი ბოხჩაში გაახვიეთ, თავზე დაიდევით. ტუფლები მხარზე გადაიკი-დეთ და ფეხშიშველი გაუდექით ზუგდიდისკენ გზას სავაჭროდ, ვაი შური საყვარელი! რა კარგი იქნება.

ტასიამ საშინელი ქვითინი მორთო და ოთახისკენ გაეშურა.

— ეჰ, ხარდანაძის ქალო, რათ აატირე ახლა? ხანდახან...

— რა ხანდახან გინდა, ძუკუს მამა, — ბრაზით გააწყვეტინა მა-რიკამ. — სულ მაგრე იცის. მაგრამ ეს სულ ჩვენი ბრალია, იმ კლას-შა გააფუჭა და იმ განათლებულმა ქალმა. უჩიტელიცაა თუ რაცხა ეშმაკია. მეტად მაგას არ დავპატიჟებ ჩემს სახლში. ვის დაემსგავსა ასეთი ნეტავი! არაფერი კეთილშობილური და აზნაურული მას არ აცხია. ახლა რაა, ერთ დღეს ჯავრით გამხეთქა. ერთი ქვეყანა არისო, სადღაც ჯანდაბაში, აზნაური ვარ რომ თქვაო, სიცილს დაგიწყე-ბენო.

— ილაპარაკოს მერე, რას დაეძებ, — ზანტად მიუგო ბასილმა და თავის საყვარელ ყალიონს მიმართა.

— ილაპარაკოს, ილაპარაკოს! სულ შენ გააფუჭე მაგი, ძუკუს მამა, შენ არ მომიკვდე. საქმის ასე აბუჩად აგდებაც არ ვარგა. სტუმრებთანაც ასე იტყვის, ან თავად მელიტონ ფარქანიძესთან. ან თავად ავთანდილ ბეჭითალიძესთან, ან თართაყანი კვარნახანთან და ქვეყანაზე ყბადასაღები გავხდებით. აი მათი ნასტავლი შვილიო, იტ-ყვიან. სახით, მაინც, ერთი ურიგო იყოს ეს ცეცხლმოკიდებული. თამარ დედოფალსა ჰგავს, — ცოტა მშვიდად დაამთავრა მარიკამ.

— ე, სტუმართან როგორ იტყვის, — მიუგო ბასილმა და ყალიონში თამბაქო ხელით მოასწორა.

— იტყვის, დამიჯერე, იტყვის, შენც უნდა დააშინო და უნდა დაარიგო, ძუკუს მამა, თორემ...

— ეხ, მაგი არაფერია, — კბილებ შუა დაილაპარაკა ბასილმა; რადგან ყალიონის ტარი პირში ედო, — მერაბის სულს ვფიცავ, ხარდანაძის ქალო, ეს გოგოც ზოგს ტყუილს არ ლაპარაკობს. მე მაგ აზნაურობამ ქვესკნელში ჩამიყვანა... მაგის... და ფუი! — მწყრალად დაილაპარაკა ბასილმა, ერთი უშვერი სიტყვაც დაუმატა და აივნიდან ეზოში ჩამოვიდა.

როცა წინა დღით ფარნა ბასილის ეზოდან გავიდა, მოუთმენლად მოელოდა იმ წამს, როცა შეძლება მიეცემოდა და ტასიასაგან გადმოგდებულ უსტარს წაიკითხავდა. ცალი ხელი ჯიბეში ედო და ქაღალდს ხელიდან არ უშვებდა, თითქო ეშინია, ქარმა ჯიბიდან არ ამომაცალოსო. როცა ბასილის სახლს კარგა მოშორდა და ერთ პატარა ტყეში შევიდა, აქეთ-იქით გაიხედა და როცა დარწმუნდა, რომ არავინ მოდიოდა, გულის ფანცქალით ქაღალდი ჯიბიდან ამოიღო და გახსნა. შიგ ნაჩქარევი ხელით რამდენიმე სიტყვა ეწერა: „შაბათს, შუა დღისას, იქ მოგელი, მამა შინ არ იქნება“. ფარნამ რამდენჯერმე წაიკითხა და თვალებგაბრწყინებული ქაღალდის ნახევს დასჩერებოდა და სიამოვნებით თვალს არ აშორებდა. ამ წუთში ეს ქაღალდის ნახევი ერთ სოფლად უღირდა.

— კაი მაგას, ამას ექნება ახლა ფულები, კაი მაგას. კაი ადგილსაც შემხვდა, ჰაი გიდი, სად არის მოჰაჯირობა, ერთი რომ მაგას... — ჰიჭყინა ხმით, ხმამაღლა დასჭყივლა ფარნას ვიღაცამ უკანიდან, თითქმის ყურისძირში.

ფარნას ერთ წამს ელდა ეცა და გაფითრებულმა უკან მიიხედა. მეტი ხანი არ არის, არავინ არსაიდან ჩანდა და ახლა მიწიდან ხომ არ ამომძვრალაო, — გაიფიქრა მან, ქაღალდი საჩქაროდ ჯიბეში შეინახა.

რამდენიმე საჟენის მანძილზე იმავე სოფლის მცხოვრები გახუ მძებრაძე მოდიოდა თავის მშლე ჭაკი ცხენით. უნაგირის ძველი, დახეული ბალიშიდან ცალკე მატყლი და ცალკე ბამბა მოჩანდა. ოცალაგას გაკერილი დამპალი ღვედის მოსართავები უშნოდ ერტყა ერთი მუჭა, ღონემიხდილი ჭაკი ცხენის მუცელზე. თვითონ მხედარს ყველაფერში, ძველი, გაქონილი და გაჭუჭყიანებული ყაბალახიდან მოყოლებული ცხრა ადგილას გაკერილ წუღამდე, სიკოტრე და სიქესატე ეტყობოდა.

— ნეტავ იქით არ გაგცარცვამდე თორემ. — ხუმრობით მიუგო ფარნამ.

გახუ, როგორც ვიცით, რუსუდან მონაზვნის გერი იყო და ნიკოია თოხიტარიას ცოტათი მეგობრობდა. მათ ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთი ცხენდაცხენ გადაკოცნეს.

— შენი ჭირიმე, — კბილების ღრეჭით უთხრა გახუმ. — ძლიერ გამიხარდა შენი ნახვა, მაგრამ ცოტა ქე გემდური, ამდენი ხანი აქა ხარ და ერთხელაც არა გვნახე.

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ, — მოიბოდიშა ფარნამ. — მოგეხსენებათ, ისეთი საჩქარო საქმეები მაქვს, რომ დღე და ღამე...

— ვიცი, ვიცი, ვაჭარ კაცებმა სულ მასე იცით. მაგრამ ერთი სიტყვით, — თვალების გაპრაწვით და ღირსებით წამოთქვა გახუმ, და თანაც ფეხები აბჟანდებს ძალზე ჩამოუჭირა. საბრალო ცხენი სიმძიმისგან რკალივით გაიღუნა. საუბედუროდ, ცალი აბჟანდის ღვედიც მკვიდრი არ აღმოჩნდა, სიმძიმისა გამო გაწყდა და გახუც კინაღამ ცხენიდან ჩამოვარდა. — შე ბალაგარო და ოხრად დასარჩენო! — უკმაყოფილოდ წამოიძახა გახუმ და სხვა რა გზა იყო, ცხენიდან ჩამოვიდა. ბედი, რომ თასმის ნაჭერი და სადგისი ჯიბეში ჰქონდა.

გახუ ცოტა შეწითლდა და შურიანი თვალებით შეხედა ფარნას მსუქან ცხენს, კოხტა შაგრენის ბალიშიან და მოვერცხლილ უზანგებიან უნაგირს და გამწყდარი ღვედის მიკერებას შეუდგა, თან თავისი თავიც შეაქო ასეთი კარგი ჩვეულებისათვის. რომ თასმა-სადგისს მუდამ ჯიბით ატარებდა, თან დაწყებული ლაპარაკი გააგრძელა:

— ერთი სიტყვით, დიდად სასიამოვნოდ მიმაჩნია, ჩემ შვილებს გეფიცები, რომ კარგი კაცი გამოხვედი.

— კარგობა სად არის, ბატონო, — ცოტა მორცხვად მიუგო ფარნამ.

გახუმ, როგორც იყო, უზანგის ღვედი მიამაგრა, ისევ ცხენზე შეჯდა და გზა განაგრძეს. აზნაური მაინც ამაყად იჯდა ცხენზე. ხან მარჯვნივ გადაჯდებოდა გაცვეთილ ბალიშზე და ხან მარცხნივ. აბჟანდებზე კი ფეხს ახლა ძლიერ ფრთხილად აჭერდა.

— აა, ბევრი ფული მიგაქვს ჯიბით? რა გასაცარცვავი კაცი ხარ, შაჰაჯირობა რომ იყოს, — ისევ გაეხუმრა გახუ.

— შენ ის თქვი, იქით არ გაგცარცვო, — ხუმრობით მიუგო ფარნამ.

— მე? — მწარე ღიმილით მიუგო გახუმ. — მე რა უნდა წამარ-

თვა? ერთი გახვრეტილი კაპეიკი ჯიბაში არა მაქვს. ჩემ ცხენს და უნაგირს ხომ ხედავ, რაც არის. ეს ხანჯალი? — ერთი ხელი გახუმ ხანჯლის ტარზე დაადო და მეორე ბოლოს მოჰკიდა. — ეს ხანჯალი ომიანობა წელს ვიყიდე, ბათუმი რომ ავიღეთ, იმ წელს, მილიციაში ვიყავი, ვერცხლი არ ასხია და ოქრო. კერმუხტის ტყავით ჰქონდა ქარქაში შეხვეული და ახლა ესეც შემოელია. როგორც შენ არ ამოგიღია, არც მე, აგერ ათი წელიწადზე მეტი იქნება და არც გამისინჯავს, პირი ქარქაშიდან ამოვა თუ არა. არც ახლა მინდა გავსინჯო. ვფიქრობ, ჩაჟანგული უნდა იყოს. სხვა რა, შვილო, ვინ რა უნდა წამართვას? შენ კი სხვა საქმე გაქვს, ახალი ხილი ხარ... მაგრამ ჯერ ეს მითხარი, რა ქაღალდს იყო, რომ ისე გულმოდგინეთ კითხულობდი? თამასუქი იქნებოდა, ან შეიძლება ქალმა ბედდამწვარმა მოგწერა ბარათი.

ფარნა ჭარხალივით გაწითლდა და ინსტინქტურად ხელი ჯიბისკენ წაიღო.

— ოჰო, მივხვდი, ნუ გეშინია, არ წაგართმევ... აბა მე რას არ მივხვდები! სადა ხარ, დროებავ, სადა ხარ, სიყმაწვილევ, მოგიკვდეს გახუ, გახუ მოგიკვდეს, თუ ყოველთვის ასე გახუნებული ვყოფილიყავი. მე შენ გეტყვი, ბიჭი არ ვიყავი, აი! ომიანობის დროს სულ სირმით მქონდა გულ-მკერდი აჭრელებული. ბედაურზე ვიჯედი, მერე ქვაბლუხ მარღანიას მივყიდე თხუთმეტ თუმან ნაღდ ფულად, სხვა რა გინდა? ქალებში ხომ პირველი კაცი მე გახლდი. ჯიბაც არ მქონდა ღვთის წყალობა ცარიელი და ქალები? როგორც ფუტკრები სარაჯს, ისე მეხვეოდენ. მწუწნეს და მწუწნეს, სანამ ქონება გამაჩნდა. მეც ვწუწნე, რა დაგიმალო. მაგრამ როცა ცოტა მოვხუცდი, თაფლი გამომელია, ფიჭა დავრჩი... ჰეჰეი, გუშა, როგორც გველი წურწუფას* გაურბის, ისე დაიქსაქსნენ ის ოხრები... აა... ა... მაგათ... ახლა, შენც სახელი რომ გაგივარდა, ალბათ აქეთ-იქით მოგიფრინდებოდნენ გასაწყვეტი მტრედები... იცოდე, ფრთხილად იყავი, არ გაგიტყუონ, თორემ ასე გაგხთიან, როგორც აი... — აქ გახუმ მარჯვენა ხელის სალოკი თითი პირში იშვლიჭა, ისევ გამოიტანა და ფარნას უჩვენა, თან ისეთი სასაცილო სახე მიიღო, რომ ფარნამ ვერ მოითმინა და გადაიხარხარა.

—ოსეყმის სულს გეფიცები, — დინჯად უთხრა გახუმ, — ქალებმა ამოაგდეს, ძმაო, ქვეყანა.

ისინი მიუახლოვდნენ ისეთ ადგილს, სადაც გზა ორად იყოფო-

* წურწუფა — გოგირდი.

და. გახუ გამოემშვიდობა და ჰალისკენ წავიდა, ფარნა კი სერებისკენ აღმავალ გზას აყვა.

ფარნა იმ ღამეს შინ ცოტა გვიან დაბრუნდა. ვახშამი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. არ შიოდა. თუმცა ადრე დაწვა, მაგრამ ძილი დიდხანს არ მიჰკარებია. რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. ხანდახან თითქო ნახევრად ეძინა, ნახევრად მღვიძარე იყო. მთელი მისი არსება ტასიას გარშემო ტრიალებდა. ათასნაირი სახით ელანდებოდა, ხან მოწყენილად, ხან მხიარულად, ხან მომავალი მისი საიდუმლო შეხვედრა ეხატებოდა, ხან ფიქრობდა, ვითომ შეუტყვეს და ერთი ალიაქოთი ასტეხეს მძებრაძეებმა. ცდილობდა უკუეგდო ასეთი საზარელი ფიქრი. მაგრამ თითქო მოსყიდულიაო. გონებიდანაც არ შორდებოდა. ხან წარმოიდგენდა თავის თავს ტასიაზე ჯვარდაწერილს, თუმცა ასეთი მეტისმეტი სამხიარულო ოცნებაც ვერ გაებედა. თითქმის გათენებისას, როგორც იყო, ჩაეძინა.

— აბა, აბა, ფარნა, ეს რომ არ იცოდი, რა ამბავია, ავად ხომ არა ხარ? — აღვიძებდა მეორე დილას ივანე. — დღეს ხომ სადილობამდი გზას უნდა დავადგეთ, ბასილის სიმინდიც დასაზომავია.

— აა... ბასილმა რა თქვაო! — შეშლილივით წამოიძახა ფარნამ და გამოიღვიძა.

—მე რა ვიცი. ბასილი რა და რას არ ამბობს,—სტამბოლიდან მოყოლებული საჩერქეზამდე. რაც ამბავი მომხთარა, ყველას ლაპარაკობს, მაგას მე რას დავეძებ. ადე, კაცო, დიდი ხანია, რაც გძინავს, არ დაგვაგვიანდეს, — გულშეწუხებულად მიუგო ივანემ.

XXXVII

უხერხული მდგომარეობა

თეძა ბოჭოკიამ ჩვეულებრივ ივახშმა. ცერის სისხო ყველის ნაჭერი და დახალვის გამო ნაცრით შეგლესილი ღომის ნატეხი, და ისიც არასაკმარი, მუცლისკენ გაგზავნა და სახლის გარეთ მისგანვე ხელდახელ შეკონკილ ტახტზე ძველი ჭუჭყიანი ლეიბი დაიგო და ზედ გაგორდა.

ძილი არ ეკარებოდა. ან რა დააძინებდა. ცალკე შიმშილი აწუხებდა: ერთი კვირა გადიოდა. რაც რიგიანად არ გამძღარიყო; ცალკე ის აშინებდა, რომ წლევანდელი მისი მოსავალი ვერაფერ ბევრ სანუგეშოს წარმოადგენდა მისი წვრილ ცოლ-შვილისათვის. ზამთარი კარზე მომდგარიყო და. ერთი ღერი შეშაც არ ჰქონდა მომზადებული. მოტანის თადარიგშიაც არ იყო, კიდევაც რომ ყოფილიყო, ბევრს

ვერაფერს გააწყობდა, რადგან არც ერთი მეზობელი არც ურემს და არც ხარებს არ ათხოვებდა. ამ საღამოს რაღაც განსაკუთრებით ნათლად წარმოუდგა თავისი უნუგეშო მდგომარეობა და გულის სიღრმეში დაუდევრობა-ზარმაცობისათვის თავის თავსაც გამტყუნება დაუწყო. გაახსენდა ის დღე მარტის პირველ რიცხვებში, როცა დათბა და ჰაერშიც გაზაფხულის სუნი დატრიალდა. მისი მეზობლები ზოგი სიმინდის ღეროების მოსაწმენდად და მინდვრის სახნავად მოსამზადებლად წავიდა, ზოგიც ღობეებისთვის წკნელის საჭრელად გაეშურა, თვითონ კი იმ დღეს შინ უსაქმოდ იჯდა.

„უსაქმობა რათ იყო, — მოეშველა ვეკილივით დამცველი აზრი. — იმ დღეს კაცი შეპირებული გყავდა, დარუია კოჭლს რომ ირიგებდი. კიდევაც იმ დღეს გადაწყდა მისი საქმე და კაი ხარის და თხის ტყავები იკრა შენმა კუდამაო“. „ეს, თუ გინდ, ვთქვათ კარგი,— არ ცხრებოდა ბრალმდებელი აზრი, — ეს რატომ იყო, რომ სხვები ეიშერივით შავ სიმინდს მარგლავდნენ და შენ ძლივსძლიობისას ხნავდი მაშინ? სხვები მეორედ მარგლავდნენ და შენ პირველადაც არა გქონდა გათავებული და ეშმაკიც ვერ გაარჩევდა სიმინდს ღვარძლისაგან. ამის შედეგი კიდევაც ისაა, რომ შენი სიმინდი სიმაღლით კაცს ვერ დაფარავს, ოცი ღეროდან ხუთს ტარო არა აქვს და ამისთანა ყანის პატრონი რას უნდა მოელოდეს, რით უნდა ირჩინოს თავი, კარზე მიმდგარ ზამთარში?“ დამცველი აზრი ისევ მოეშველა: „რა უნდა მექნა, რა უნდა მექნა, მარტოხელი კაცი ვარ. ხარები არა მყავდა, სახნისი არა მქონდა, სანამ თავისი არ გაათავეს, არავინ მათხოვა და დავვიანებული ნამუშევარი სუსტი და მჩატე გამოდგა...“ „არა, არა, არა, მოითმინე, მაგისთანებით თავს ვერ გაიმართლებ, — ვადაუჭრა გამამტყუნებელმა ფიქრმა და ისეთ სასტიკ გამტყუნებას უქადდა, რომ კუდა წინდაწინვე შიშისაგან ათრთოლდა და დახეულ ლეიბზე ძალზე გაგორ-გამოგორდა. წვრილ პალოზე დაბჯენილი ტახტი საცოდავად აჭრიჭინდა და წასაქცევადაც ერთ მხრივ გადაიხარა. ამ დროს ძაღლმა ულაზათოდ დაიყეფა და სახლის წინ კაცმაც დაახველა. თემა გამოერკვა, სულის შემხუთავი დარდები დროებით გადაავიწყდა და ზეზე წამოვარდა. ხმით იცნო ვინ იყო ახალმოსული.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო, — მიიპატიჟა კუდამ.

— არა, აქ მოდი, — მიუგო მოსულმა. სტუმარი ძუკუ მძებრაძე იყო.

ორივენი სახლიდან ათიოდ საჟენის სიშორეზე ჩამოსხდნენ. ბნელი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით მოჭედილი. მახლობელ ტყეში ბუ წრიპინებდა. მინდვრის ბაყაყის ყიყინიც მოისმოდა.

— ასე გვიან რამ შეგაწუხათ, ბატონო, — მოიბოდიშა კუღამ.

— მებოდიშები, განა?

— რაზე ამბობთ მაგას, ბატონო!

— მე შენ შემომაკვდები, შე უბედურო!

— რატომ, ბატონო? — მშვიდად მიუგო თემამ და გაიცინა.

ძუკუსაც გაეცინა. ჩქარა ისევ დინჯი კილოთი უთხრა:

— კიდევ გეცინება? კაცი მეტი არა ვარ, ლამის გავგიჟდე. ან რად დაიწყე საქმე. ან რად არ ათავებ?

— რა ვქნა, ღმერთმა ამოაგდოს...

— რა ვქნა კი არ გიშველის... ან უნდა...

—მომითმინე, ძუკუ, შენ ძალიერ ჩქარობ, მათქმევინე, — საქმიანი კილოთი მიუგო კუდამ.

ძუკუ ჩაჩუმდა, ყურს უგდებდა.

— ღმერთმა ამოაგდოს, ახლა ისიც საეშმაკოდ გამოჩნდა. ჭუჭა საიქიოს გავგზავნე მეგონა და ჭუჭა კი არა, მეორე ისეთი გამოჩნდა, რომ სულ აგვირია დავთარი. ის ფარნაა, თუ ვიღაც ქაკი ცხენია, მოეთრია... გუშინწინ თხებს მიყობოდა. თავის დღეში ის კაცი თუ გამოვიდოდა. არ მეგონა და ახლა გადმობრუნებულა ყაზახი, ბატონო. მაგრამ რავა! თავადიშვილი რა შუაშია! რაც ის მოვიდა, მას აქეთ მათი სახლი სასამართლოზე უფრო ხალხიანია. დღეში უკანასკნელი ორმოცი კაცი მივიდეს. თუ გინდა ორი იყოს. მერე რა დროა, ღმერთო, მომკალი. ეს ხალხის მოსვლაც რომ არ თავდება. ზოგი წინიდან მოდის. ზოგი უკანიდან, გზას კი არ დაგიძებენ. ზოგს ბეი უნდა, ზოგი ანგარიშს უსწორებს, ზოგს კამეჩ-ურემი ჰყავს და სიმინდის წაღებას ურიგდება. ერთი სიტყვით, მისი სახლი ნამდვილი კანცელარიაა, იმ ქოფაკმა, იმ ნიკოიამ შემჭამა. ერთხელ მივედი. მივედი, რაღა, პატიოსნად, წინა კარებიდან. დილა მშვიდობისა-მეთქი. სიმინდი ხომ არა გაქვს, თემა, გასაყიდიო. — მაშინათვე მომახალა და ულვაშებში კი იცინოდა, მაგ ქუსლშებრუნებული, მაგი, ფარნამ კი, ღმერთს მართალი უყვარს, ღმერთმა გაგიმარჯოსო, ზრდილობიანად მითხრა, მეტი არაფერი.

— შენ რა უთხარი მერე? — დაეკითხა ძუკუ.

— რას ვეტყოდი, არა-მეთქი. — მაშ რა გინდაო, დამიჟინა. მოვახერხე როგორც იყო, რაღაც მიდებ-მოდებული. ვინცხას ვეძებ-მეთქი, მაგრამ რომ არ გამოდიოდა ლამაზი, მეც ქე ვხედავდი. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერაფერი გავაწყე. მერე, შვილებს გეფიცები, ოთხჯერ მაინც მივედი. სად არ ვუდარაჯე.

ერთხელ კინაღამ მამასახლისი შემეფეთა. შუადღე იყო, მაგრამ ისეთ საიდუმლო ალაგას ვიყავი, რომ ვენახე, უსათუოდ დამიჭერდა. გურამის მოპარულ ხარს ეძებდნენ. ძლივს გადავრჩი... მხოლოდ გუშინწინ ერთი წუთით შევხვდი, წყლის მოსატანად მიდიოდა. ჩქარა, თორემ უკანიდან მოდიანო, მაშინათვე ეს მომახალა. მეც. რა თქმა უნდა, ასე-ისე-მეთქი... რა ვქნა, ხომ ხედავ, ხალხი როგორ ირევა, თავისუფალი დრო ვერ მომიძებნიაო. შაბათს მგონი იქნება თავისუფალი დრო. ფარნა ამბობს, რომ იმ დღეს ისეთი საჩქარო საქმეები მაქვს, მთელი დღე შინ არ ვიქნებიო. საღამომდი ბაბაც და ბიუებიც შინ არ იქნებიანო. მეტი ვერაფერი მოვახერხე, მაშინათვე გაიქცა და მოგეცა სიმრთელე და გახარება, მეც საჩქაროდ ვსტკიცე თავი ხშირ გვიმრაში, თორემ რომ ვენახეთ, მამასახლისი კი არა, მირონპოსტონიკზე უარეს დღეს დამაყენებდნენ.

— ვინ მოსდევდნენ მაგას?

— ვინ იქნებოდნენ! მისივე ძმები და ერთი ვიღაც უცნობი, ალბათ, ფარნას ამხანაგი იქნებოდა ვინმე. ისეთი ხარხარით და კისკისით მირბოდნენ წყაროსაკენ, რომ...

— მაგათი კისრის მოტეხა, მაგათი კისრის მოტეხა, მაგათ კისკისი. და მე გულზე ალი მედება, კაცო. ერთხელ მაინც დავკოცნო მაგის მსუქანი ლოყები. ერთი ჩავიმტვრიო ხელში მაგისი ბეჭები და მერე თუ გინდ დაიქცეს ქვეყანა. მაგის გულისათვის სხვა ქალები მომემდურნენ. მისაყვედურებენ, რა მიზეზია, ჩვენზე გული აიცრუეო.

— ეს ასე, ძუკუ, მაგრამ ერთი უნდა გითხრა: მე იმდენს ვერაფერს გავაწყობ ამისთანა საქმეში, რამდენსაც შენ. შენ უნდა ეცადო, შენ უნდა გამოელაპარაკო, შენ უნდა დააჯერო, თორემ ჩემთან კიდეც რცხვენია ოჯახდაქცეულს, კიდევ... ცოტად, ჰო, შენ ისე არ მითხარი? თუ საჭიროდ ნახო, აღუთქვი, ცოლად შეგირთავსო. ამით პირს ვუფერებ, თორემ ისე უცხო არ არის. ახლა როგორც გინდა თქვი, ძნელია... მისი ძმა სიმინდის ფურჩასავით ასიანებს აფაჩუნებს და ტყუილი არ არის, რომ...

— შენც ერთი!.. — უკმაყოფილოდ მიუგო ძუკუმ.—უთხარი მერე, თამამად უთხარი, რას ებოდიშები. უსათუოდ ცოლად შეგირთავსთქვა. შენს გარდა ცოლი არ უნდა-თქვა. რა გენაღვლება, არ ვიცი? თუ ასეთი უბრალო რამე შემოაგდებს ბადეში უთხარი, უთხარი, დაარწმუნე. ერთი ჩამივარდეს ხელში, მერე მე ვიცი, როგორ უნდა შერთვა. ცოლად შერთვა კი არა ამან, ამანს ვაძახებ; რამდენი მაგისთანა გოგოებს გაუთამაშებს ძუკუ, ყველა თუ ცოლად შეირთო, ბასილი მძებრაძის ქონება კი არა, კნიაზ მინგრელსკის არ აუვა.

— ასეა, ჩემო ბატონო, იცი, რომ ამაზე უკეთესი დრო არ იქნება. შაბათი ხომ ზეგ არის?

— ეს მესმის, კარგი ამბავი მოგიტანია. ასე, შუადღისას მივიდე?

— დიახ!

— ეს კარგი, კარგი, — მიუგო ძუკუმ. შენს გარჯას, ნუ გეშინია, დავაფასებ, ახლა კი აი, მეტზე ნუ დამემდურები, — და ხელი გაუწოდა ძუკუმ და რაღაც დაჭმუჭნული ქაღალდი მისცა.

კუდამ სუნით იცნო რა ქაღალდიც იყო და სიხარულით კინაღამ ხელზე აკოცა.

ძუკუ შინ წავიდა. კუდა ისევ დასაძინებლად გაეშურა. „რამდენია. ნეტავ ვიცოდე", ამბობდა გულში კუდა. სიბნელისა გამო ქაღალდის სახეს ვერ არჩევდა. სიფართო კი მანეთიანისა ჰქონდა, მაგრამ კუდას ფანტაზია უფრო მეტად სახავდა. ბევრი ატრიალა ქაღალდი, რამდენჯერმე უსუნა, მაგრამ სუნით, აბა, რაღას შეატყობდა. ქაღალდის ფულს ყველას ერთნაირი სუნი აქვს. სხვა გზა არ იყო, ცეცხლი უნდა აენთო და განეხილა. „სამმანეთიანი მაინც თუ არის", ფიქრობდა თემა და წარმოიდგინა რაში და რაში გამოადგებოდა. საუბედუროდ, საჭიროებამ გადააჭარბა სამ მანეთს. „ხუთიანი თუ არის", გაუელვა აზრმა, და ისიც შეუდარა საჭიროებას. აქაც საჭიროება მეტი გამოვიდა. ვთქვათ, ეს ქვეყანაც რომ დაიქცეს, მაინც არ იქნება, მაგრამ მაინც ისე. ტყუილად, ვთქვათ თუმნიანია. საჭიროებამ თუმანსაც გადააჭარბა, მაგრამ თუმნად ბევრ მიუცილებელ უსიამოვნებას გადაიგდებდა თავიდან. ეე...ხ! ეს ფული თუ ახლა თუმანი გამოდგება, წმიდა გიორგი ხორციელი!—შეევედრა კუდა.—ერთ ბატკანს, ქვეყანაც რომ ყირამალა გადატრიალდეს, მაინც ვაახლებ შენ კაი თავს," — ამ ფიქრით კუდა ჯარგვალში შევიდა, კერაზე ნაღვერდალი გაჩხრიკა, ნაკვერცხლებს ჩაუბერა, ფიჩხიც მიუმატა და ცოტა ალი გააჩინა. გულის ფანცქალით მიიტანა ალთან ქაღალდი, თითებს მაგრა უჭერდა, ერთიც დახედა და დაღონებულმა ნაღვერდალს ისევ ნაცარი შემოაყარა. ქაღალდი ერთი მანეთიანი იყო. „რა დაგკარგვია და რას ეძებ", ჩასჩურჩულა რაღაც ხმამ ყურში, — ორ დღეს დილიდან საღამომდი შრომობენ და ამდენს ძლივს შოულობენ და შენ თითქმის მუქთად იშოვნე. მანეთად ათი არშინი მიტკალი იყიდება". ამასთანავე თავისი თითქმის ტიტველი ბავშვები გაახსენდა. წარმოიდგინა, როგორ შემოსავდა ეს ქაღალდი მათ პერანგით მაინც. — „ესეც კარგია," — სიამოვნებით დაუმატა და ისევ დასაძინებლად მიწვა.

* * *

მესამე დღეს, შაბათს, შუადღისას ძუკუ მძებრაძე მელატურასავით ეპარებოდა ნიკოია თოხიტარიას ეზოს უკანიდან. ფოთლის ყოველ შრიალს ან ჩიტის ტოტიდან ტოტზე გადაფრენას ყურადღებას აქცევდა და ტანში აჟრჟოლებდა. სამზად სახლს მიუახლოვდა და შეჩერდა. აქამდე ზოგან მაღალი სიმინდი იყო, ზოგან ტყე, და ვერავინ შეამჩნევდა, აქედან კი, როგორც სამზადი სახლის, ისე სასტუმრო სახლის წინაპირი და გზის დანარჩენი ნაწილი წარმოადგენდა მწვანე მინდორს, სადაც აქა-იქა, მეჩხერად, სხვადასხვა ხეხილი იდგა და კაცის კი არა, ქათმის გარჩევაც შეიძლებოდა.

ძუკუმ ფრთხილად დაათვალიერა კარ-მიდამო. გარეთ კაცთაგანი არავინ იყო და სახლშიაც არავითარი ხმაური ისმოდა.

პირველად ქათმებმა შეიტყეს მისი მოსვლა; იქვე, სამზადის გვერდით, სიმინდებში ჭიებს ეძებდნენ და ძუკუს დანახვაზე უკმაყოფილო კაკანი ასტეხეს. მეტისმეტად ცხარობდა ერთი დედალი. ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავო· „სწორედ, სწორედ“ — უდასტურებდა მამალი და ამაყად ათვალიერებდა ახალმოსულს.

—ჰოუ, ჰა, ჰა, ა, ა!—მოისმა ქალის ნაზი ხმა სასტუმრო სახლის წინა აივნიდან.

ძუკუ მიხვდა, რომ გაიანე შინ იყო. ორი-სამი ნაბიჯი უკან დაიწია, სიმინდიანში შევიდა და სულგანაბულმა და ცოტად წელში მოხრილმა მოლოდინი დაიწყო. პირდაპირ მისვლა ვერ გაბედა. შეიძლება ვინმე სტუმარი ან ვინიცობაა ერთ-ერთი შინაურთაგანიც შინ იყოსო.

ქათმების ხმაზე სახლის გვერდით მწოლარე ძაღლიც გამოერკვა, თავი მაღლა აიღო და ძუკუსკენ უგულოდ ყეფა დაიწყო. ფო, ფო, ფო!—იძახდა გიშერა და თავს ოდნავ აკანტურებდა, ტანი კი არ შეუნძრევია, რკალივით იწვა.

ძუკუ რამდენიმე წუთი ელოდა, მაგრამ სახლიდან არავინ გამოვიდა, ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანი კიდევ მოითმინა, ერთი აქეთ-იქით მიიხედა. დაავლო ფხვიერ მიწას ხელი, აიღო და ქათმებისკენ ისროლა· ქათმებმა საშინელი ტკრციალი გააბეს და ფრთაგაშლილი იქით-აქეთ გაიფანტნენ.

— ჰოუ, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!—ახმაურდა გაიანე და ქათმებისკენ გამოიქცა. ეტყობოდა, რაღაც არშიას ქსოვდა, რადგან ცალ ხელში თეთრი ძაფის გორგალი და ახლად დაწყებული ქსოვილი ეჭირა, მეორე ხელში კი თეთრტარიანი ყაისნაღი. ტანზე, ქვევით ჩითის კაბა ეცვა, და ზევით პერანგზე, მიტკლის თეთრი კოფთი ღილებშეუბნევი ფარ-

ფაშობდა. გულ-მკერდი თითქმის უჩანდა. თავი შიშველი ჰქონდა და ფეხებზე სამოგვის ქალამნები ეცვა.

გაიანემ ჰოუ-ჰოუს ძახილით სასტუმრო სახლის გვერდით გაირბინა და შეშინებულ ქათმებს თვალიერება დაუწყო.

„კრუხ, კრუხ, კრუხ,“ კრუხუნებდა სამზარეულოს გვერდით მაღალ ბალახში მიმალული კრუხი. ათიოდე პაწაწინა წიწილა ფრთებქვეშ შეეფარებინა, ორიც შესვლას აპირებდა, მაგრამ ადგილი აღარ იყო. ერთი კი დედას ზურგზე ეჯდა და ერთი ბეწო ნისკარტით ბუმბულზე უცაცუნებდა.

— ჰოუ! — დაიძახა გაიანემ და უეცრად გაჩუმდა. ძაფი და ყაისნაღი ცალ ხელში დაიჭირა. მეორე ხელით კი ღილების შებნევას შეუდგა, თან შემკრთალი უკან-უკან იწევდა.

— გაიანე, გაიანე! — დაუძახა ძუკუმ.

— აქ მოდი, აქ, — ნახევარი ხმით მიუგო გაიანემ, ღილები შეიბნია. ხელი ტანისამოსზე წაისვ-წამოისვა და სახლის კედელთან შეჩერდა.

— შინ ხომ არავინ არის! — გვარიან თამამად დაუძახა ძუკუმ.

— არავინაა, შემოდი.

— წინიდან ვერ შემოვალ, შეიძლება მეზობლის სახლიდან დამინახოს ვინმემ.

— ვინ დაგინახავს, მოდი.

— არა, წინიდან ვერ მოვალ.

— მაშ, ამ კარებიდან შემოდი, — უკანა კარებზე მიუთითა გაიანემ და თან კარებიც შეაღო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ორივენი ოთახში ისხდნენ. ძუკუ ტახტზე იჯდა, შუა ალაგას, გაიანე კი წინა კარებთან ახლო. ძუკუ გვარიან ყოჩაღად გამოიყურებოდა, თუმცა აღელვებული იყო; სახე გაწითლებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ვნებათა ღელვად იყო გადაქცეული.

გაიანეს ფერი ცოტა შემკრთალი ჰქონდა, თან რცხვენოდა, და თან ცდილობდა თავი თამამად და ღირსეულად დაეჭირა.

— რამ მოგაწყინა, გაიანე! ჩემი მოსვლა თუ გეწყინა, ახლავე წავალ, — კარგა რიხიანად უთხრა ძუკუმ.

— რომ არა ვარ მოწყენილი, —მიუგო გაიანემ და ეშმაკურად გაუღიმა.

ძუკუ კიდევ უფრო აენთო. თავს ძლივს იმაგრებდა. სახე აებურძგნა და ცოტად კიდეც აძაგძაგდა.

— მაშ შენ იყავი, ქათმები რომ შეაშინე? რატომ წინა კარებიდან არ შემოდი?

— მომერიდა, ეშმაკს თვალი დაუდგეს, ხომ არ ელით ვისმე? — ცოტა არ იყოს შეშინებულად დაუმატა ძუკუმ.

— ვის უნდა ველოდე, ფარნა საღამომდი არ მოვა, ბიჭები და ბაბაც, ალბათ, საღამომდი არ მოვლენ, ჭვავს თესავენ დობერაში.

— როგორ თუ ალბათ! რომ მოვიდნენ?!

— არა, არ მოვლენ, — სიცილით მიუგო გაიანემ.

— მაშ, ჩვენ ახლა მარტონი ვართ?

— მარტონი, — თავის ქნევით და ისევ ეშმაკური ღიმილით მიუგო გოგომ.

— აქ. ჩემთან დაჯექი, გაიანე, — უთხრა ძუკუმ.

—აქ ვიყო, რა მიჭირს, აქედანაც ხომ კარგად გხედავ. — ყოველ სიტყვას გაიანე ისეთნაირ სიცილს და თვალებს აყოლებდა, რომ ყმაწვილ კაცს ისარივით გულში ხვდებოდა.

— შორიდან რომ გხედავდე, რაღათ მინდა, ახლო მოდი, — თხოვნით უთხრა ძუკუმ და ქალს მიუახლოვდა.

ქალი თავდაღუნული იდგა.

—რა არის, რომ ქალებს წვალება გიყვართ, გაიანე?—ალერსიანად უთხრა ძუკუმ. — შე უღმერთო, არა ხედავ, მეტი არა ვარ, არა ხედავ, როგორ გავხდი...

გაიანემ ახედა. ძუკუს გამხდარს არაფერი მიუგავდა. გაჟინ-ქღილებული ვაჟკაცი თითქმის კანში არ ეტეოდა. გაიანე ცოტა ხანს შეაჩერდა და ისევ საორპოფოდ გაუღიმა.

— გაიანე. — ჩასჩურჩულა ძუკუმ.

— რა არის? — ჩუმადვე მიუგო ქალმა.

— არ გებრალები, შე ცეცხლმოკიდებულო!

ქალი ხმას არ იღებდა. ვაჟმა მარჯვენა მკლავის ნიდაყვთან ხელი წაატანა. ქალი არ უარობდა. ძუკუმ მეორე ხელიც მოჰკიდა. ქალი არ ეწინააღმდეგა. ვაჟმა ხელი წელზე შემოხვია და თავისკენ მიიზიდა.

— უუ... მეტკინა, მეტკინა, გამიშვი, გამიშვი, ძუკუ, — წაიჩურჩულა გაიანემ, თავი გაითავისუფლა, მეორე მხარეს გადავიდა და კუთხეში მიდგმულ ზედ ჭურჭლეულობა დაწყობილ მაგიდასთან გაჩერდა.

— რა არის, გაიანე, შენ გენაცვალე, გეწყინა რამე ჩემგან? — ნაღვლიანად და თან საყვედურით უთხრა ძუკუმ.

— არა, არაფერი არ მეწყინა, მაგრამ...

— მაგრამ, რა მაგრამ, ხომ არა გეჯამ, შე ქალო, რომ გამექეცი,— კიდევ უფრო უსაყვედურა ძუკუმ.

ქალმა არა მიუგო რა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

„ჭვიტ, ჭვიტ, ჭვიტ“, ისმოდა ერთი ჩიტის ჟღურტული მახლობელი ხიდან. „ბეე“ სადღაც შორს მიაბღავლა ძროხამ.

— გაიანე! — დაუძახა ძუკუმ.

— რა იყო?

— ამას შენგან არ მოველოდი.

გაიანემ პასუხი არ გასცა.

ძუკუ ისევ თანდათან მიუახლოვდა, თან საალერსო სიტყვებს ბლომად ეუბნებოდა, თან ნელ-ნელა ხელი წელზე შემოავლო, უცბად ლოყაზე დაეკონა და ხარბად დაუწყო კოცნა.

— უ!.. — ისევ დაიძახა გაიანემ, ცალი ხელი პირზე მიიფარა და მეორეთი მაგიდას ჩაეჭიდა, ასე რომ, თეფშებმა და ჭურჭელმა წკარუნი მოადინა.

— გამიშვი. გამიშვი, ძუკუ, — ჩურჩულებდა გოგო და იმ იმედით, რომ ჭურჭლების გატეხას მოერიდება და ხელს გამიშვებსო, მაგიდას არ შორდებოდა. მაგრამ ძუკუს ჭურჭლების დარდი სრულებით არ აწუხებდა. მას ჭურჭლის წკარუნი არც კი ესმოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გოგოს თავისკენ იზიდავდა და კოცნიდა.

— გამიშვი. გამიშვი, ძუკუ, გეყოფა, დამაცა. რაღაც გითხრა, — ეუბნებოდა ქალი, რაკი ნახა, რომ ძუკუ არ ეშვებოდა, შესაძლებელი იყო მაგიდა წაქცეულიყო და ჭურჭლეულობა დალეწილიყო, ამიტომ მაგიდას ხელი გაუშვა.

ახლა ქალი უფრო თამამად ეწინააღმდეგა ძუკუს და ორივენი ზეზეურად წაიჭიდნენ.

—კარგი რა, მე ძალით ხომ არ მოვსულვარ შენთან? შენ თანახმა იყავი, მეგონა, — მკვახედ თქვა ძუკუმ და ხელი გაუშვა.

გაიანემ ნაწნავები გაისწორა. რომელიც, ცოტა არ იყოს, აებურძგნა და ისეთი დამცინავი სახით შეხედა ძუკუს, თითქო ეუბნება — შე დალოცვილო, რაღა დროის ჩემი მოტყუება არისო.

— გაიანე, — უთხრა ძუკუმ.

ქალმა არა მიუგო რა.

— გაიაე, — უთხრა ძუკუმ ისევ, — ან შენი ხელით ყელი გამოშჭერი, ან იცოდე, მეტი არა ვარ.

— ყელის გამოჭრა ღმერთმა გაშოროს, — გულგრილად შენიშნა ქალმა.

— დედა ნუ მომიკვდება, აქ, შენ წინ, ჩემი ხელით თავს მოვიკლავ, — გაბრაზებით წარმოთქვა ძუკუმ და ხანჯალზე ხელი დაიდო.

იმდენად აღტაცებული და გაცხარებული იყო, რომ გაიანეს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და ლმობიერად უთხრა:

— ამ ზომამდი რათ ფიცხდები, ძუკუ. პატარა არც შენა ხარ და არც მე.

— პატარასავით კი ირჯები და რა ვიცი, — ცივად მიუგო ძუკუმ.

— პატარასავით რომ გავრჯილიყავი, შენ ახლა კმაყოფილი იქნებოდი.

— ქე მაინც რა გალაპარაკებს ასეთ შხამიან სიტყვებს... შე ცეცხლმოკიდებულო.

— შხამიანს სრულებით არ ვლაპარაკობ, ძუკუ... გოგოობა კარგა ხანია გავათავე. ნამდვილი სრულწლოვანი ვარ ახლა. მე რომ ახლა ბრიყვულად შევცთე და თავი დავიღუპო, დიდი სირცხვილი იქნება ჩემთვის.

— შეცთიო, ვინ გეუბნება?..

— მომითმინე, ძუკუ... შენ ვაჟკაცი ხარ, კაი მამის შვილი, კაი აზნაურისშვილი ვაჟი ხარ შენ, შენ რა გიჭირს. მე კი ცალი ფეხი სამარეში მიდგია. მე რომ ახლა ნამუსი ავიხადო, მთელი ქვეყნის თითით საჩვენებელი გავხდები. შენ კი არხეინად შენს სასახლეში დაბრძანდები, შავი თვალები გაქვსო არავინ გეტყვის.

— მერე ვინ გღუპავს?

— დაღუპული არ ვიქნები?

— რატომ?

— როგორ რატომ, კისერმოჭრილს დამტოვებ და...

— ეს ვინ გითხრა?

— რა თქმა უნდა, როგორც მეფის შვილი მე ცოლად არ შემირთავს, ისე არც შენ შემირთავ და რა გითხრა... — აქ თავი ძირს დაღუნა ქალმა.

— რა იქნება ვითომ, რომ შეგირთო. ქვეყანა დაიქცევა?

ქალმა ათრთოლებული თვალებით შემოხედა.

— რაო, ვითომ, რაო, — გამოცოცხლდა ძუკუ, — ვითომ შენ რომელი აზნაურის ქალი გჯობია, ან შენ ძმებს რომელი აზნაურები სჯობიან. მაშინ მოკვდეს ძუკუ, შენ თუ რომელიმე აზნაურზე გაგცვალოს. ღმერთი თავდებად მომიცია. რაც დაგინახე და ჩემდა საუბედუროდ გულში ჩამივარდი, მას აქეთ დღე და ღამე სულ თვალწინ მელანდები, ღმერთი არ იცი? ლამის გადავირიო კაცი... შენ კი, სისხლის მაგივრად, ჩირქი გდგმევია ძარღვებში. განა არ ხედავ ჩემს ტანჯვას, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო გვრიტო, — რაც შეიძლებოდა, ლმობიერად მოუალერსა ძუკუმ.

— რომ მომატყუილო, ძუკუ? — ნელა უთხრა ქალმა.

— მე? — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო ძუკუმ.

— ძნელი სანდოა...

— ჩემს სისხლს, ჩემს ღირსებას თავის დღეში არ შევკადრებ. რომ პატიოსანი სიტყვა ვთქვა და მერე გარდავთქვა.

ქალი ორჭოფობდა.

— მაშ, შენ ასეთი მჩატე აზრისა ყოფილხარ ჩემზე, — ვითომდა ძლიერ იწყინა ძუკუმ. — მადლობელი ვარ.

— არა, მე ისე, გულმოსასვლელად როდი ვამბობ, თუკი გულწრფელად გიყვარვარ, რას ჩქარობ, საქმე გავათავოთ კანონიერად და მერე შენი არ ვიქნები? — თავდაღუნულად მიუგო ქალმა.

— შენ, წლოვანი ვარო ამბობდი, და გეტყობა, ჯერ არ ყოფილხარ, — დარიგების კილოთი მიუგო ძუკუმ. არ იცი, განა, მამაჩემის, ძველი ხახურაზის ამბავი? გინდა ალიაქოთი აატეხინო. ეს საქმე ნელა უნდა შევაპაროთ, თორემ ასე ტუკურად ხომ არ შეიძლება. შენ ნუ ჩქარობ მაგას, მე დამაცალე და თუ გავაფუჭე საქმე, რაც გინდა, ის მიქენი, ღმერთი თავდებად მომიცია. — აბა, რას მეტყვი, მეტი არა ვარ.

ქალი დუმდა.

— ამდენი რა გინდა, ჩემო თვალის სინათლევ! შენ ჩემი ხარ და მე შენი, — ესეც თქვა ძუკუმ, გაექანა და ქალი გულში ჩაიკრა.

— ოხ... ოჰ, შე კაცო, ოხ, — არც მაინცდამაინც დიდი მოწინააღმდეგის კილოთი დაიკრუსუნა ქალმა და თვალები მიბნიდა.

— შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, — ლუღლუღებდა ძუკუ და სახეს, ლოყებს და ყელს კოცნით უდაღავდა.

ქალიც ნელ-ნელა მინებდა, ვაჟს კისერზე ხელი შემოხვია. ჯერ ფრთხილად აკოცა ტუჩებზე, მერე უფრო მაგრა და მაგრა ჩაეკონა.

ძუკუ საშინლად აღელდა, ერთი წინა კარებისკენ გაიხედა და ქალს მეორე ოთახის კარებისკენ წევა დაუწყო.

— რომ მოვიდეს ვინმე, ძუკუ? — ძლივძლივობით თქვა სულშეხუთულმა გოგომ.

— განა ვინ მოვა, შენ არა თქვი, არავინ მოვაო.

— არავის არ მოველი, მაგრამ.

ისინი უკანა ოთახში შევიდნენ...

— ყხ, — მოისმა ხველა წინა აივნიდან.

ქალ-ვაჟი გაშეშდა.

— ყხ,—ისევ მიახველა უცნობმა. — ჰეი, მასპინძელო, — ხმაზე ეტყობოდა, რომ ვიღაც მოხუცი უნდა ყოფილიყო.

— ვინ დასაღუპავია, ღმერთო, ახლა მომკალი, — ჩუმად თქვა ძუკუმ. ამ დროს მზად იყო ამ უცნობისათვის ხანჯალი ტარამდის გულში ჩაერჭო.

— არ ვიცი, ვინ არის? — ჩუმადვე თქვა გაიანემ.

— ღმერთო, მომკალი, ახლა როგორ?..

— შენ აქ იყავი, მე ერთ წუთს გავალ, ვნახავ, ვინ არი, — მიუგო გაიანემ. პირზე ორივე ხელი რამოდენიმეჯერ მოისვა და კაბაზე დაიხედა.

— ჰეი. მაინძელო! — გულშეწუხებულად იძახდა სტუმარი.

— ვაი შენ და ზურნა, — ჩაილაპარაკა ძუკუმ და მის სახელზე ლაზათიანად ჩააფურთხა.

— მობრძანდი, ბატონო! — გასძახა გაიანემ და მიეგება.

— ოო... ბაბაია, არავინ იყო მეგონა, — თქვა ახალმოსულმა. — აი სიკვდილს თვალი დაუდგება. ქალია, ბაბაია, ოჯახის დამამშვენებელი, — მოისამძიმრა სტუმარმა, ალბათ გაიანეს დედაზე და დიდედაზე ნაღვლობდა.

გაიანე აივანზე გამოვიდა.

აივნის წინ იდგა ერთი მოხუცი, რომელიც რამდენჯერმე კი ენახა, მაგრამ არც სახელი და არც გვარი მისი გაიანემ არ იცოდა. მოხუცი ერთი მუჭა კაცი იყო. თოვლივით თეთრი, მოკლე წვერ-ულვაში ჰქონდა. თავი მოძველო ყაბალახით ჰქონდა შემოხვეული, დაგლეჯილი და მოკლე ნაბადი განზე ეხურა და ხელში ჯოხი ეჭირა.

— მობრძანდი, ბატონო, — მიეხმაურა გაიანე.

— კი, ბატონო, — აუჩქარებლად თქვა მოხუცმა და ნელ-ნელა აივნის კიბის საფეხურებზე ამოვიდა.

გაიანემ სკამი გამოუტანა და მოხუციც ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო.

— ნიკოია არ არის, ბაბაია! — ალერსიანად ჰკითხა მოხუცმა.

— არ გახლავს, ბატონო.

— არც ბიჭებია?

— არ გახლავან?

— სად არიან?

— ბაბა, პეტრე და ათანასე ჭვავს თესავენ დობერაში, ივანე და ფარნა სიმინდის საყიდლად დადიან.

— ჰოო, ბაბაია, მეც ის სიმინდის მყიდველები მინდოდა... შენ, ბაბაია, ნიკოიას შვილი ხარ?

— დიახ, ბატონო!

— კაი დაგემართოს, ბაბაია, კაი ცირა დარჩენილხარ დედას. შენ

ვე არ მიცნობდე იქნება, ბაბაია, მე თუთაშხია მოწებაია ვარ, აქ, ვაღმა ვსახლობ. შენი ბაბა კი კარგად მიცნობს. ცხონებულ დედა-შენსაც ვიცნობდი... ქე მქონდა, ბაბაია, ერთი-ორი კაკალი. ღვთის წყალობა, სიმინდი. შენი ძმა მიქეს, კაი ფასს აძლევსო, თორემ სიმინ-დის მყიდველი... თმის სიხშირე დაფაფუნობს... და მეც წამოვიჩანჩა-ლე... მაგრამ. — ბუზღუნით წარმოთქვა მოხუცმა, — დავბერებულ-ვარ, სულ დავბერებულვარ. ბაბაია... მე მამაშენზე დიდად უფროსი ვიქნები. ის პატარა თიკნებს რომ მწყემსავდა, მე მაშინ ყირიმის თო-ფი მეკიდა. ერთად კი ვთამაშობდით... — მოხუცი ყოველ სიტყვაზე ჩერდებოდა, ამთქნარებდა და ნელ-ნელა აგრძელებდა: — მეტი არ ვყოფილვარ, ბაბა, მეტი არ ვყოფილვარ. უფრო თამამად წამოვიდო-დი, მეგონა, მაგრამ, ჰო, არა, ღონეს უღალატნია. ეს მუხლები მაში-ნათვე ჩამეკეცება, როცა ცოტა მეტს გავიარ. ამ აღმართზე სულ ვერ დავატანე ძალა, სულ ვერ გავდგი ფეხი. მოხუცმა ფრთხილად წაივ-ლო ხელი ქამარზე და ერთი მოკლე ტარიანი უშნო ჩიბუხი ამოიღო და არა ნაკლებ გამურულ ქისაში თავი ჩაუყო.

— შენ კი, ბაბაია, ერთი ცეცხლი მომიტანე, ეს სათუმო რომ არ მოვწიო. არ მარგია, ეს ოხერი, ეე...ნანაია, შური, ატა, ტა, ტა, ტა, — აკვნესდა მოხუცი, მუხლებზე ხელები დაიჭირა, კბილების ღრეჭით ადგა, ერთიც გადააფურთხა და ისევ სკამზე ჩამოჯდა.

გაიანემ ასანთის კოლოფი მოიტანა.

—აა... ბაბაია, სიფიჩქა მომიტანე? მუგუზალი მოგეტანა, თორემ ამას ხეირიანად ვერც კი მოვუკიდებ. საკვესი დამეკარგა. ვაი, ახა-ვაი, ისეთი საკვესი მქონდა, კაჭალია აბაზად ღირდა. ორი წელი-წადი ქე მემსახურა. სად დავკარგე, არ ვიცი. — თან ლაპარაკობდა მოხუცი, თან ერთი ღერი ასანთი აიღო და გაუბედავად კოლოფზე წასმულ წამალს წაუხახუნა.

— მაგრა ჩამოკარით, ბატონო, — შენიშნა გაიანემ, რომელიც ფეხზე იდგა და მოხუცს ცოტა დაცინვით შეჰყურებდა.

მოხუცი შეეცადა მაგრა ჩამოეკრა, კიდეც ჩამოკრა, მაგრამ ასანთის ჩხირი შუაში გადატყდა.

— მომითმინეთ, მე მოვუკიდებ, ბატონო, — უთხრა გაიანემ და მოხუცისაკენ მიიწია. ასანთის კოლოფი გამოართვა. ერთი ჩხირი აი-ღო, მოუკიდა და თუთუნით გატენილ ყალიონზე დაადო.

—აა... ა

გი... კარგი. ღმერთი შეეწიოს, ბევრი ხანია თქვენ სახლში არა ვყოფილვარ. მაშინ ეს სახლი არ გედგათ.

— სახლი ეს იქნებოდა მაშინაც, ბატონო, მერე გამოვაკეთეთ...

— ა... განზე მოგიბრუნებიათ... ჰო... ვიცი, ვიცი, ახლა ვიცი-კაი ისე დაგემართოს. თვალებს მომაკლდა, ბაბაია, რიგიანად ვერ ვარჩევ. ოჰო, ჰო, — გაგრძელებით წარმოთქვა მოხუცმა და სახლის თვალიერება დაიწყო. — აი, აი, ერთი ახალი არყილი ჩაუმატებიათ და განზე მოუბრუნებიათ, აი, აი, კარგი, კარგი, აივანიც ლამაზი აქვს, კარგი, კარგი... ახლა, ბაბაია, — მიუბრუნდა გაიანეს. — ისევ შინ წავიდე, მერე რა ამომიყვანს. რადგან მოვედი, ქე მაინც ვნახავ შენს ძმას და ახლა, რაკი აქამდი მოვედი, სუმონიკას სახლშიაც შევიარ. ხორცი და სისხლია, რა ხანია არ მინახავს, ვინ სიცოცხლე, ვინ სიკვდილი, ბაბაია. ერთს თვალს იმათაც მოვკრავ და მერე ისევ ამოვალ.

ესეც თქვა მოხუცმა, ნელა წამოდგა და გზას გაუდგა. ცალი ხელით ჯოხს მაგრა აბიჯებდა, მეორეთი პირში ჩადებული ყალიონის ტარი ეჭირა და მოკუზულად მიჩანჩალებდა.

— იბედური! გაიზარდე, გაიზარდე, — მიეალერსა პატარა ხბოს, რომელიც თუთის ხის ძირში იწვა და მოხუცის გავლის დროს უცბად წამოხტა და გაკვირვებული თვალებით შეაჩერდა.

* * *

— ვინ სახლ-კარგამოკეტილი იყო, ვინ ოჯახდაქცეული! — ცხარობდა ძუკუ.

— თუთაშხია მოწებაია ვარო.

— თუთაშხა* კი არა, ჟაშხაც** ნუ გაუთენოს წმიდა გიორგმა. რამ მოიყვანა ახლა... გარეთ გავიხედე, მაგრამ არავინ რომ არ შემიმჩნევია, ხომ არ გვნახა, ნეტავი.

— არა, — ცალი თვალის დახუჭვით მიუგო გაიანემ, — მაგას მაგისთანების თავი არა სტკივა.

— კიდევ როგორ ვქნა, თორემ დავეწევი მაგას და სულ ნაკუწ-ნაკუწად დავჭრი, — გაბრაზებით თქვა ძუკუმ.

— გადაირიე, რას ამბობ, — მიუგო გაიანემ. — მაგ საწყალს რა ბრალი აქვს, თავის საქმეზე მოვიდა.

— საქმიანად ამოაგდოს ჩემმა გამჩენმა. აბა, ახლა, გაიანე, — დაუმატა ძუკუმ.

---

* თუთაშხა — ორშაბათი

** ჟაშხა — კვირა.

— ახლა, შენი ჭირიმე, ძუკუ, ახლა არ შეიძლება. იქნება კიდევ ვინმე მოვიდეს, ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება.

— შენი ხელით მომკალი და ეს არის.

— რომ მომკლა, არ შემიძლია, ხომ ხედავ?

— მე ცოცხალი არ წავალ აქედან, იცოდე,—დინჯად თქვა ძუკუმ.

— რა ექნა, რა გიყო, შე დამწვარო, — სიცილით მიუგო ქალმა.

— კიდევ გეცინება, ოხ, ღმერთი ამოაგდებს თქვენს კვალს, ეშმაკებად ხართ გაჩენილი.

—თუ ეშმაკი ვარ, თავს რად მატეხ,—სიცილით მიუგო ქალმა.

— რა ვუთხრა მაგ შენს ენას. — ნელა თქვა ძუკუმ, ქალს მიუახლოვდა, რამდენჯერმე მაგრა აკოცა, ხელი დაავლო, რომ ისევ უკანა ოთახისკენ გაეწია.

— აბა, წარმოიდგინე, ძუკუ, შესაძლებელია თუ არა, თვითონ ხომ ხედავდი, კინაღამ რა დაგვემართა.

— რა დაგვემართა! შენი ბრალია. ხმას არ გავცემდი, მაგ ხინძირ ბადიდს, კიდევ ერთი-ორჯერ დაიძაბებდა და უკანაც წაეთრეოდა.

— აბა რა ვიცოდი, ვინ იყო... მერე ხომ მოვიდოდა საღამოს... ადრეც ვიყავი, ვიძახე, ვიყურე, მაგრამ ხმა არავინ გამცაო, იტყოდა და ხომ იცი, ეჭვს მაშინვე აიღებდნენ. ახლაც მეშინია, ის კი არა, ბაბა ხანდახან ისეთ დარიგებას მეტყვის ხოლმე, ვაითუ ვინმემ ყური დაუხვრიტა,—თვალების ფართოდ გაღებით დაუმატა გაიანემ.

—მაშ, აბა როგორ, მაშ, აბა, როგორ,—მწუხარედ ამბობდა ძუკუ.

— რა გიყო, მეც არ ვიცი, მზეც გადახრილია, იქნება ვინმე მოვიდეს და რომელიმე ბიჭი ადრე დაბრუნდეს. მართლა, დღეს შაბათი არ არის?.. ადრე მოვლენ, — ქალი დაფიქრდა, — მომითმინე, მომითმინე, დამაცა. იცი, რა გითხრა, — უთხრა გაიანემ, — მოდი, ერთი, ჩვენს ხულაში შედი და იქ იყავი. შიმშილით მოკვდები, ლიდ ხანს მოგიწევს ლოდინი, მაგრამ არაფერია, საჭმელსაც მოგიტან და როცა ყველანი დაიძინებენ, მე მოვალ. ჩვენები ადრე იძინებენ, — ეშხით სავსე თვალების ბრიალით თქვა გაიანემ.

ძუკუ ეცა და ისევ კოცნით დაუფარა ლოყები, პირი, თვალები და ისე მაგრა მიიკრა მკერდზე, რომ ძვლები აუტკაცუნა.

— არ დამახრჩო, — ძლივს წარმოთქვა ქალმა.

— რატომ ადრე არ მითხარი ეს, — სიხარულით თქვა ძუკუმ, როცა კოცნით გული იჯერა და ცოტათი დალაგდა. — მაგრამ იქ რომ ვინმე შემოვიდეს?

— ვინ შემოვა. ჩემს გარდა იქ თითქმის არავინ შედის. თუ შევა ვინმე, ათასში ერთხელ.

— მაშ კარგი, — სიხარულით თქვა ძუკუმ. უკანა კარებიდან ნელა გავიდა და ხულისაკენ გაემართა. ხულას პირი სიმინდებისაკენ ჰქონდა მიქცეული, ერთი მხრით სახლი ფარავდა, მეორე მხრით ხეები, და იქ შემავალ კაცს, ეზოს გარედან თუ არ ვინმე საგანგებოდ მოდარაჯე, ვერავინ დაინახავდა. ყოველ შემთხვევაში, ძუკუ გაიქცა და სირბილ-სირბილით ხულაში შევარდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაიანე მივიდა და კარში შეიხედა.

— შენი გულისა, რა კაი ხარი მყავს დამწყვდეულიო, — ხუმრობით ჩაილაპარაკა ქალმა.

— ვაი შენი ჯავრი მეტი, — მკერდზე მუჭის ცემით მიუგო ძუკუმ.

— კარი დავკეტო გირჩევნია, თუ ასე ღია იყოს?

— ცოცხალი გინდა მომხარშო? ქე მაინც წყალი აადუღე და ისე მომხარშე.

— მაშ კარგი, ღია იყოს. აი მაგ სიმინდის ტაროებზე წამოწექი. ცოტა უხერხულად კი იქნები, მაგრამ რას იზამ, უნდა მოითმინო. — სიცილით მიუგო გაიანემ.—რომ შებინდდება, საჭმელსაც მოგიტან,— დაუმატა ქალმა და გაშორდა.

ხულა მაგარი ფიცრებისაგან გაკეთებული ერთ მკვიდრ ოთახს წარმოადგენდა. სიგრძე ოთხი არშინი ექნებოდა, სიგანე და სიმაღლე სამი. ჭერ-იატაკიც მაგარი ფიცრებისაგან ჰქონდა. არც კედლიდან, არც ჭერ-იატაკიდან, როგორც ჩვენში იტყვიან, სიმსი არ გამოკრთოდა, ისე მაგრა იყო ფიცრები ერთმანეთთან მიდგმული. ერთი პატარა კარი ჰქონდა, სიგრძე-სიგანით სამი ჩარექი, რომლის ქვედა კიდე იატაკიდან ერთ არშინზე იყო მოშორებული, ასე რომ. შემსვლელი შიგ ერთბაშად ვერ შეავიდოდა: ჯერ თავი უნდა შეეყო, მერე ტანი და მერე ზედ გადაეჩოჩა. ხულა პატარა, სიმაღლით არშინიანი კედლით ორად იყოფოდა. ერთ მოდიდო ნაწილს ეჭირა მთელი ოთახის ორი მესამედი, მასში ზოგი გაფშვნილი ზოგი გაუფშვნელი სიმინდი ეყარა. მეორე პატარა განყოფილებაში ღომის გაუცეხვავი თავთავი ეყარა. იქვე იდგა ერთი დიდი კოკა, ორი პატარა გატეხილი ლახუტი,* რამდენიმე ძველი დერგი და გატეხილი ქოთნები. ერთი ლახუტის თავზე რაღაც თიხის, ტაშტის მსგავსი ჭურჭელი იდგა მასალით სავსე. სხვა ბევრი რამ წვრილმანი, ზოგი სულ გამოუსადეგარი. კედელზე ერთი გატეხილი კეხიც და დაკეცილი ღვედის ნაჭერიც ეკიდა.

ხულას სისუფთავეზე პატრონი, ეტყობოდა, არ ზრუნავდა.

* ლახუტი — ქვევრი.

ყოველ ნივთს ხულაში აუარებელი მტვერი ეყარა. რადგან კარის გარდა, ჰაერი არსაიდან შემოდიოდა და კარიც ხშირად დაკეტილი იყო, ხულაში საძაგელი მყრალი და ნოტიო სუნი ტრიალებდა. ობობასაც არ დაეკლო ხელი, ჰერი და კუთხეები ლამაზ-ლამაზ ქსოვილებით მოეფინა.

ამისთანა საპყრობილეში იყო დამწყვდეული საბრალო ვნებათაღელვით შეპყრობილი ძუკუ მძებრაძე.

— მომიცადე მე შენ, თუ ხელში ჩაგიგდე, — მკერდზე მუქის ჩაკვრით დაიქადა ძუკუმ და სიმინდის ტაროებზე წამოწვა. ერთ ხანს სიმინდზე წოლა კიდეც ესიამოვნა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო და უფრო გრძნობდა ტკივილს კუნთებში. გარდა ამისა, ყოველ მის განძრევა-გამონძრევაზე სიმინდის ტაროები ირეოდა, ერთმანეთს ეხახუნებოდა. ეს საშინელ უსიამოვნებას გვრიდა ნერვებაშლილ ახალგაზრდა კაცს.

ყველაზე მომეტებულად აწუხებდა ლოდინი. ერთი წამი ერთ საათად ეჩვენებოდა. ძუკუ ვერ ატყობდა რამდენი ხანი გავიდა მისი ხულაში შესვლის შემდეგ, მხოლოდ სიბნელით შეატყო, რომ საღამო ჟამი უნდა ყოფილიყო. ხულაში კი ისეთი სიბნელე დამყარდა, რომ თვალში თითს ვერ იკრავდაო, რომ იტყვიან. ძუკუს ყურამდი მამაკაცის ხმამაც მოაწია.

—ჩქარა გაარბენინე, ბიჭო, ჩქარა გაარბენინე გუჯუსთან თოხები, ხვალ დილას, როცა ჩვენ გავიართ, მზათ დაგვახვედროს. ჩემი თოხი ერთ მხრივ ცოტა სქელია, ცოტა დაათხელე-თქვა, უთხარი, გესმის! მოითმინე, აქეთობას, წისქვილშიაც გამოიარე, მაძინიას უთხარი, ხვალ საღამომდის უსათუოდ სამი ქილა დაამზადოს. დასაღერღავად მიუშვას, ღერღილი მჭირდება, — აბარებდა ნიკოია ათანასეს.

— ჰა, ჰა, ჰა, არიქა, შე კინჩხმოსატეხო ძღაბო, სადა ხარ!

უფრო ნათლად და ხულიდან უფრო ახლო მოესმა ძუკუს ისევ ნიკოიას ხმა: — არ გაუშვა, არ გაუშვა ესენი. თუ თავისით აგვარაში შესვლას არ დაანჩვიე, სულ ასე მათ დასაჭერად ვინ ირბენს! რძე ხომ კარგად მოწველე. ეს აფანი ხბო აჭირებს საქმეს, — ბუზღუნებდა ნიკოია.

ცხადი იყო, რომ ხბორებს დასაჭერად და დასაბინავებლად დასდევდნენ. ხმა ხან გარკვევით ესმოდა ძუკუს. ხან ძლივს მოვარდებოდა გაურკვეველი ხმაური.

— აი, ენწერულმა მგელმა მოგიგრიხა კისერი! — წყევლით მიაძახა ნიკოიამ თითქმის ხულის გვერდით. ძუკუმ სული განაბა და კედლის ფიცარს ლავაშივით მიეკრა. თითქმის სუნთქვაც შეწყვიტა.

— ხულის კარიც ღია დაუტოვებია მაგ რინტუ * გოგოს, მაგას, აგერ ბერდება და მიხვედრილობა კიდევ არა აქვს, ხშირად ვხედავ მაგ კარს ღიას და ჩვენი საცხოვრებელი კი შიგა ყრია. მობრძანდა ეგება ი კაცი და სახლშიაც წააბრძანოს, გამარჯვებასაც არ გეტყვის, — ესეც თქვა ნიკოიამ და ხულის კარი მაგრა მიატკაცუნა და გარედან რკინის რაზა გაუყარა.

— ოჰო, ემაგრე, ყურში დაავლე ხელი მაგ ბალაგარს, კისერზე ნუ მოუჭერ, ცოდვაა, გაიანესაც უთხარი, ხულას ბოლქომი დაადვას ახლა სიმინდი ძლიერ მოსაფრთხილებელია. ნახევარი სოფელი შიმშილით კვდება. აბა, ჰა, პეტრე, შენ იცი, რა კარგად გატრუსავ მაგ გოჭსა, — ამბობდა ნიკოია და ხულას თანდათან შორდებოდა.

ძუკუს მდგომარეობა აუწერელი იყო. ბრაზიც მოსდიოდა და კიდევაც ეცინებოდა, სწუხდა, თავის თავს სწყევლიდა. ირგვლივ ჯოჯოხეთური სიბნელე ეხვია. ერთ წუთს ხანჯალზე ხელი დაიდო და კედლის გამოჭრა მოინდომა, მაგრამ ამ სულელურ აზრზე ისევ ჩქარა აიღო ხელი. რა უნდა ექნა, ბედს უნდა დამორჩილებოდა.

როგორც იყო, მოისმა ფეხის ხმა და ხულის კარი ფრთხილად გაიღო. — შე ცეცხლმოკიდებულო, წადი, თავს უშველე, ვერ მოვახერხე, ამაღამ სტუმარი მოგვივიდა, არა მცალია, ვახშამი უნდა ვამზადო, ეჭვს აიღებენ, მერე, მერე, — ძლივს გასაგონად საჩქაროდ ჩაულაპარაკა გაიანემ და ხულას ისევ გაშორდა.

— აი თქვენი,—წაიდუდუნა ძუკუმ რაღაც. ენით გამოუთქმელ ლანძღვა-გინებას უგზავნიდა ნიკოიასაც, მის შვილებსაც, სტუმარსაც და თითქმის მთელ კაცობრიობას, როგორც იყო, ფრთხილად გადმოხტა ხულის კარიდან და საჩქაროდ სიმინდებში შეევარდა. გიშერა, რომელიც დღისით მოკაკული იწვა და ოდნავ თავს აკანტურებდა, ახლა საშინელი სიფიცხით აედევნა, რაკი სიმინდებში შრიალი მოესმა.

ძუკუ უგზო-უკვლოდ მირბოდა სიმინდებში და გიშერაც უშველებელი ვაი-უით უკან მისდევდა.

— ა ა...უ...უა...უა! — დაიკიჟინა პეტრემ, რაკი ძაღლის მწარე ყეფა გაიგონა.

— მიდი, ჰო, მიდი, ჰო, — წააქეზა ნიკოიამაც. — ტურაა ნამდვილად, სულმოთხუპნილი, აქეთ, რობუსაკენ აქვს სორო, იქით კვირია ვხედავდი, სულ ახალი გამოთხრილია. საღორეს კარები ხომ კარგად დაკეტე, შვილო, — მიუბრუნდა პეტრეს. — გოჭები არ და-

* რინტუ — შტერი.

გვიჭამოს მაგ მსუნაგმა. ღმერთო, შენით, ერთი, თუ მოვიცალეთ, დადარაჯება უნდა, ან სორო დავთხაროთ, თორემ ქათმებსაც გაგეიწყალებს.

— უი, თქვენი რჯული და თქვენი სალავათი, — მყრალ სიტყვებს ისროდა ძუკუ და მირბოდა სიმინდიანში. ერთ ადგილას ღობეს მიადგა, რა თქმა უნდა, საცა მოხვდა, ვარაუდად გადახტა. ღობეს იქით ბუჩქნარი, ეკალნარი აღმოჩნდა. ეკალი წამდაუწუმ ჩოხა-ახალუხის კალთებს ედებოდა, მის ცხვირ-პირსაც არ ერიდებოდა, ერთი კინაღამ თვალებში მოხვდა და ამნაირად გაფხაჭნილი და გაბურძგნული, როგორც იყო, სამშვიდობოს გავიდა.

— უი, შენი — პირაქაფებული უკურთხებდა ძუკუ ნიკოია თოხიტარიას და შინისკენ მირბოდა. — მოვკვდე, არ მირჩევნია ამასა? ეს ჯერ არ დამმართნია. მარა, დამაცა, მე ბასილის შვილი არ ვყოფილვარ, თუ ერთი ათად არ ამოვიღე, — გულს იკეთებდა გაწბილებული ყმაწვილი კაცი.

XXXVIII

ფარნა თოხიტარიამ შაბათ დილას ადრე გამოიღვიძა და დაუყოვნებლივ თავის საქმისკენ გაეშურა. შუადღე იქნებოდა, როცა ის ზოგან ტკბილი და ზოგან გულმოსული ყბედობით დაღლილი, წისქვილის ახლო, სათემო გზაზე ცხენით მოდიოდა.

ცხენიც დაღლილი და მშიერი იყო, თუმცა ფარნას კუჭიც სიმაძღრეს ვერ დაიკვეხნიდა. „ახლა როგორ ვქნა, ან ამ ცხენს რა ვუყო, ან შეიძლება დამაგვიანდა კიდეც“, — გაიფიქრა გულში და აქობამდის ბედისწერაზე მიშვებული აღვირი ისევ დაამოკლა და ცხენს აუჩქარა. დაღლილმა ცხენმა თავი ააკანტურა და ჩოთირ-ჩოთირით გაითოხარიკა.

წისქვილის წინ, მაღლობზე, მაძინია მეწისქვილე იდგა დაფიქრებული და სიმინდით დაბურულ მიდამოებს ათვალიერებდა. ფარნას რაღაც აზრმა გაურბინა და როცა მაძინიას დაუპირდაპირდა, ალერსიანად გამარჯვება უთხრა.

— ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბატონო, — ტკბილად მიუგო მაძინიამ, თავზე შემოხვეულ ყაბალახთან ხელი მიიტანა და ოდნავ ასწია. ფარნამ ცხენი ცოტად შეაჩერა.

— რამ დაგაფიქრა, ჩემო მაძინია? — რაც შეიძლებოდა ტკბილად ჰკითხა ისევ ფარნამ.

—დასაფიქრებელი არ არის?—დინჯად მიუგო მაძინიამ.—აგვი-

სტო ილევა. სექტემბერი კარზე მომდგარია. აი ამდენ ყანებში საცაა სიმინდი მოსაგროვებელი იქნება და მე ერთი მუშახელი არა მყავს. ერთი უღელი ხარ-კამეჩი არ გამაჩნია. ნეტავ, შენი სიმრთელით, სულ არ დამეთესა ამ სიფართე ადგილი. საბალახოდ გამეშვა, ისა სჯობდა. ფარნას გაეცინა და ცხენი სულ შეაჩერა.

— მეორეჯერ ასეთი შეცთომა არ მოგვიდეს, — დინჯადვე მიუგო ფარნამ, თუმცა სიცილს ძლივს იკავებდა.—ახლა რომ საბალახო ყოფილიყო ეს მინდვრები, კარგი არ იქნებოდა? ამ მშიერ ცხენს გავაძღობდი, მეც ტანს დავიბანდი და ამდენი ლაპარაკით და დავიდარაბით დაღლილი ცოტას მოვისვენებდი.

— რა ვქნა, წრეულს ეს არის, — ამოოხვრით თქვა მაძინიამ. — მომივიდა შეცთომა, მაგრამ მომავალ წლისათვის, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ცხონებული მამიჩემის სულს გეფიცები, ერთი მტკაველი მიწა არ დავამუშაო, თოხი ხელში არ ავიღო. ჩემს ექვსივე შვილს ჩემი ხელით ყელს გამოვჭრი და ის იქნება, თუ მოგატყუილე. თუმცა წრეულს მთელი ჭალა საბალახოდ არ გავუშვი, მაგრამ შენი ცხენის სამყოფი ბალახი როგორ არ მოიძებნება, რა ვიცი, ამ ჩემს დიდებულ მამულში. არა, ხუმრობა შორს იყოს,—სხვა კილოთ დაუმატა მაძინიამ,—შენ იცოცხლე და ამ ჭალას, როცა იქნება, მინდვრად ნახავ.

— თებერვალში და მარტში! — მოუსწრო ფარნამ.

— კვირკობისთვეში და აგვისტოშიც, ისე იხარა მაძინიამ.

ფარნამ ორჭოფად შეხედა.

— არა გჯერა? დამირწმუნებიხარ. ტყუილუბრალოდ ვიყავი გგონია დაფიქრებული? აგერ ოცი წელიწადი ქე იქნება, ამ მიდამოს არ მოვშორებივარ. მაგრამ უკაცრავად. ფარნა, ხუმრობა იქით იყოს, ჩამობრძანდით, თუ გნებავთ, ცხენს ვაბალახებ, ისეთ ადგილას დავაბამ, რომ სულ ალაზონი იყოს.

— დიდად მადლობელი ვიქნები, სადილი ქე ვჭამე და შინ ასვლაც მეზარება, ერთი ცივ წყალშიაც მინდა ცოტა შევიგრილო და მერე ისევ საქმეს უნდა გავუდგე. ძლიერ საჩქარო საქმეები მაქვს. შენ კი თქვი, რას ამბობდი.

— რა თქმა გინდა, შე კაცო, ჩამობრძანდი, — პატივისცემით მიუგო მაძინიამ და ფარნასაკენ გაეჩქარა, რომ ცხენიდან ჩამოსვლას მიშველებოდა.

სანამ მაძინია ფეხს გადადგამდა, ფარნა ცხენიდან ჩამოხტა.

— საბრალო ცხენი, როგორ გაგიოფლიანებია. ქალაქში ნაცხოვრებმა კაცებმა სულ არ იცით ცხენის მოხმარება. ამას ახლავე უნა-

გირი უნდა მოხადო, თორემ დაშავდება და თუ ერთხელ დაშავდა, მისი მორჩენა ტყუილია. მორჩება გგონია! დაადგამ უნაგირს, ისევ დაშავდება, — ამ სიტყვებით მაძინია უნაგირს მოებღაუჭა მოსახსნელად. ფარნამ თვითონ მოინდომა მოეხსნა და ორივენი ერთმანეთს შეეცილნენ.

— თუ ჩემი სტუმარი ხარ, მე უნდა დამანებო უნაგირიც და ცხენიც. ჰაი. დროებავ! მაძინია საწისქვილე კაცი არ იყო, — ამოოხვრით თქვა მან. — მაგრამ მადლობა ღმერთს, ზოგი ასე და ზოგიც ისე... ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ჩემი სიბერეც ღმერთმა ნუ აჩვენოს. შენ გეცოდინება. ფარნა, კორსანტელი ტომბაშვილს პირველად მე მივასწავლე შენ სახლში. იმათ ოჯახში მე ჰალა-ჰალა კაცი არ ვიყავი. აა? ცხონებული აფხაიძის ქალს კიდევ უდგია სული!

— ოხ, კაცო, შენზე იქ რომ ლაპარაკობენ, მართლა, როგორ შეიცვლება კაცის საქმე. შენ მაგათი სული და გული ყოფილხარ თურმე. აფხაიძის ქალი კი ცოცხალია, მაგრამ ვაი იმისთანა სიცოცხლეს, მაგოდენა მოხუცებულის ცხოვრება ცოდვაა სწორედ.

— ჰაი, ჰაი — მიუგო მაძინიამ და უნაგირი შესანახავად წისქვილში შეიტანა. ცოტა ხნის შემდეგ მაძინია ისევ დაბრუნდა.— ნუ გეშინია, უნაგირი მაღლა ჩამოვკიდე. ზოგიერთებივით უბრალოდ ძირს არ დამიგდია. მაგისთანები მაძინიამ ქე იცის, თუმცა ახლა მეწისქვილეა... საწყალს რავა აქაფებია გავა. — თანაგრძნობით თქვა მან და ცხენს გავაზე ხელი წაუსვ-წამოუსვა. — ესეც დაბანე ბარელამ.

— ეს გუშინწინ დავბანე, ისე. გავა გადავუბანოთ და ეყოფა, მაგრამ შენ ეს მითხარი, სადა გაქვს საბალახო ადგილი? წისქვილის წინ, ჩემო ძმაო, ბალახი კი არა. ისეა მოტრუსული, ენა რომ მოავლო, მტვერი არ აგყვება.

— ის მაძინიამ იცის, აქვს თუ არა საბალახო.

— ბაწარი გაქვს?

—სიდედრი რომ მომიკვდეს, აბა თავი რით უნდა ჩამოვიხრჩო!— იხუმრა მაძინიამ და გვარიან მარჯვედ ცხენს მოახტა. — ჰე, გუშა! შემპარავია სიბერე, — ნაღვლიანად დაიძახა მან და აღვირს მაღლა ასწია.

ცხენი კიშმიშზე შედგა.

— თო, თო! — გაიკვირვა ფარნამ.—ჩემთან რომ სამი მათრახი დაარტყა, ფეხს არ შეანძრევს და შენთან კი რას შობა ეს წყეული, ეს სამგლე.

— ეს მაძინიამ იცის... — კმაყოფილებით მიუგო მეწისქვილემ..

— მაშ ახლა მე შემიძლია საბანაოდ წავიდე?

— შეგიძლია, ბანაობა ღმერთმა გაამოს და ჩიტებიც დაგაჭერინოს.

— რომელი ჩიტები?! — გაიკვირვა ფარნამ.

— რომელი ჩიტები იქნება, ჩიტები სულ ორფეხიანებია. წაქცეული კაკლის ქვემოთ ბანაობენ.

— ო... — მიუგო ფარნამ, გაწითლდა და ჩაიცინა.

— მაძინიას მაგისთანებიც არ გამოეპარებოდა, შენხელა რომ იყო, მაგრამ ახლა ჩიტები კი არა, ძერებიც სიახლოვეს არ მეკარებიან, ამოუვარდებათ მასაფი. — თან ლაპარაკობდა და თან ცხენსაც ქუსლავდა.

ფარნაც საჩქაროდ სიმინდებში შევიდა და დანიშნულ ადგილისაკენ გაეჩქარა. ქუჩუმელა ძეწნის ხეს გულის ფანცქალით უახლოვდებოდა. სიმინდებს შუა ფრთხილად გადიოდა. თუმცა ხანდახან გაფხვიერებულ ნიადაგზე ძალაუნებურად ფეხს წამოკრავდა, წაჩოთირდებოდა და სიმინდის ღეროს დაეტაკებოდა, ის კი თავის მხრივ შრიალს მოადენდა. სიმინდიანი მშვიდობით გაიარა, არავინ შეხვედრია და არც შორიდან შეუმჩნევია. ქუჩუმელა ძეწნასთან მივიდა, მაგრამ იქ არავინ დახვდა. ბასილის სახლისაკენ მიიხედა, ჯერ ცოტა მორიდებულად, მერე უფრო და უფრო თამამად და ერთი-ორი ნაბიჯიც წინ წარსდგა.

— კა, კა, კა, კა, კა, კა, კა,—იძახდა ერთი კრუხი ბასილის ეზოში. — ჭვიტ, ჭვიტ, ჭვიტ, ჭვიტ, — დაიჭიკჭიკა რაღაც ჩიტმა მახლობელი ხიდან და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ფარნა ძეწნის ძირში ჩამოჯდა, სწორედ იმ ალაგას, საცა იმ ღირსსახსოვარ დღეს წამოწოლილიყო. მისი ცხენის ნაბალახევი და ფეხის კვალი არემარეს ჯერ ნათლად აჩნდა. ფარნამ ლოდინი დაიწყო, მალ-მალ იხედებოდა ბასილის ეზოსაკენ და იქიდან ყოველ ხმაურობა-ტკაცუნს ყურს უგდებდა. აშრიალდა ხის ფოთოლი. ფარნას გააჟრჟოლა და საჩქაროდ მიიხედა: ბეღურები თხმელის ტოტებიდან გადმოფრინდნენ და ჰაერში შეინავარდნენ. ერთი წინ მიქროლავდა და გზას ათასფრად აბრუნებდა, დანარჩენები კვალდაკვალ მისდევდნენ. ჭივ, ჭივ, ჭივ! ცქვიტად ჭყიოდა მოწინავე ბეღურა, ცის ლაჟვარდში ხან აღმა, ხან დაღმა და ხან განზე ოსტატურად ცურაობდა. ჭივ, ჭივ! კიდევ მოისმა და დაიმალა.

„ამ ერთი ბეწო არსებათაც აქვთ, ალბათ, ერთმანეთთან შური და მტრობა, სიხარული და სიმწუხარე, სიძულვილი და სიყვარული,— გაიფიქრა ფარნამ და ისევ ღობისაკენ მიიხედა. მაგრამ არავინ ჩან-

და. — სწორედ დამიგვიანდა ალბათ. მოვიდოდა, და რაკი არა მნახავდა, წავიდოდა. ღმერთო, მომკალი, ცუდად მომივიდა ძლიერ. ამ ფიქრით გული საშინლად დაეწვა და სხეული მთლად დაუმძიმდა. — ადრე წამოვსულიყავი, ეგ ოხერი... კიდევაც მოვიდოდი, ის ოჯახდაქცეული ბიჭი არ შემხვედროდა. იმან დამაგვიანა სწორედ. მაგრამ იმას რა ბრალი აქვს. ჩემთვის სახეირო საქმისთვის დამარჩინა. მადლობელიც უნდა ვიყო. ორასი ფუთი ბიჭიასია, ასოცი მისი ძმის, ორმოცდაათი მისი სიძის. ესეც სამას სამოცდაათი... სამას სამოცდაათი? კარგი. ახლა მათი მეზობლის—ასი ფუთი. ესეც ოთხას სამოცდაათი თითქმის. ხუთას ფუთამდე... აგაშენა ღმერთმა! საათ-ნახევარი დრო დავკარგე მათთან ლაპარაკში. ნაღდი ოცდახუთი მანეთი უკვე ჯიბეშია. მეტი რაღა გინდა საათ-ნახევარში! ღმერთმა თუ მშეიდობა ქნა, ამ ერთ წელში მეც...“ — ამ ფიქრთან სასიამოვნო ჟრუანტელმა გაურბინა სხეულში და ამ სასიამოვნო აზრის გავლენით ჯიბეზე ხელი წაივლო. იქიდან პატარა უბის წიგნაკი ამოიღო, წიგნი სულ ანგარიშებით იყო გადაჭრელებული. „აგვისტოს ოცდარვა დღესა“, წაიკითხა ფარნამ. — დედა, ღმერთო! ხუთი დღეღა დამრჩენია და ჯერ სადა ვარ? მოიცა, მოიცა, — გადაფურცლა წიგნაკი, — впчего, თო, თო, კარგად მიყიდია: „თექვსმეტი ათას ექვსასოცდაორი ფუთი“. არა უშავს რა, მოვასწრებ. ამ გადაზიდვამ გამიჭირა საქმე. როგორ გაუხარდება კონსტანტინეს! ფულიც შემომელია, მგონია. — ფარნამ მეორე ჯიბეზე წაივლო ხელი და ტყავის ფართო ქისა ამოიღო. შიგ ჩაიხედა და სალოკი თითით შიგ დაკეცილ ქაღალდებს გადი-გადმოწია. — ხუთი და ექვსი, სახლშიაც შვიდი, ივანეს ორი. კი მეყოფა. როგორცაა. რაც მიაკლდება, არა უშავს რა. გუშინწინ რა კარგად მოვჩარხე საქმე. აბა მაინც დაწვრილებით ვიანგარიშო... ფო, ფო ფო, შენი ჭირიმე, ორი ათას...

— ჭიტა, — მოესმა ამ დროს ქალის მხიარული ხმა. ფარნა შეკრთა, გაოცებით ზევით აიხედა. მის წინ ტასია იდგა.

— უკაცრავად, მოულოდნელად თავს დაგეცი, ვაჭარი კაცი ანგარიშებში იყავი გართული,—ვითომდა მოიბოდიშა ტასიამ და ხელების მხარზე დადებით მიწაზე დაამაგრა ასადგომად მომზადებული ყმაწვილი კაცი.

— არა, ანგარიში, რა ანგარიში. ეს ისე ამოვიღე... მე... რომ... რაღაცები,—არეულად მიუგო ფარნამ, ტასიას მოულოდნელად მოსვლით გულაძგერებულმა წიგნი და ფანქარი საჩქაროდ შეინახა.

— ბევრი ხანია მიცდი? — თანაგრძნობით ჰკითხა ქალმა და მის გვერდით მდელოზე ჩამოჯდა.

— არც მაინცდამაინც.

— მე კი მესამედ მოვედი ახლა. პირველად კარგა ხანი გიყურე, მაგრამ შენ არ გამოჩნდი.

— მერე სახლში არ გითხრეს, სად მიდიხარო?

— ვინ მკითხავდა.

— როგორ ვინ?

— სულიერი ადამიანი ჩემ გარდა შინ არავინაა დღეს. დედა და ბაბა სატირალში წავიდნენ გაღმა, საღამომდი არ მოვლენ, ძუკუ, ხომ იცი, წუხელ მგონია შუაღამეზე მოვიდა, მე არც კი შემიტყვია მისი მოსვლა. დღეს დილით ისაუზმა კარგად და მერე გაიქცა საღაცა, დღეს ხომ შაბათია, შეიძლება სრულებითაც არ დაბრუნდეს. ირინე კი შინ იყო. მაგრამ ძიძასთან წასვლა დააპირა. მეც, რა თქმა უნდა, გავუშვი. დავუბარე კი, ადრე დაბრუნდი-მეთქი, — აქ ცალი თვალი დახუჭა ტასიამ და ღიმილით ცალი წარბიც აიბზიკა. — უსათუოდ მოვალ, მოვალო. ვიცი კი ნამდვილად, ისიც საღამომდი არ დაბრუნდება.

— მოჯამაგირე ბიჭი? — ჰკითხა ფარნამ.

— ჩვენი მოჯამაგირე, ივაკია? ვაი, მისი ცოდვა, ვაი, მის დაბადების დღეს! მის დაბადების დღეს ალბათ იხარებდნენ, ვაჟიშვილი დაბადაო და თოფს გაისროდნენ. სახარებელი კი არა, სატირალი ყოფილა მისი დაბადების დღე. ივაკია აქეთ, ივაკია იქით. ბაბა ყანაში გზავნის, ძუკუ ცხენს აბარებს და თანაც სცემს ხოლმე: ცხვირს მოგამტვრევ, თუ მაძღარი არ დავინახეო. დედა კი წისქვილში, დუქანში და შეშაზე წასვლას ერთსა და იმავე დროს უკვეთავს. ივაკია კი. გინდ გაზომე, გინდ გაჭერი, ერთია და ერთი. დარბის საწყალი, დაჩანჩალებს, ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოიმადლიერა, ყველა მისი უკმაყოფილოა.

— კარგი. ახლა ეს მითხარი, — მორიდებით გააწყვეტინა ფარნამ, — უკაცრავად კი ვარ, სამჯერ ყოფილხარ... ვერ მოვიცალე საჩქარო საქმეების გამო. დრო ცოტა დამრჩა და თუ დროზე ვერ გავათავე, ხაზეინსაც ჯარიმა გადახდება, მეც ნდობა დამეკარგება და თანაც დიდი ზარალი მომივა, სამნაირად საჩქარო საქმე მაქვს და...

— დაგვიანება არაფერია, — დაამშვიდა ტასიამ. — მე ისევ, ორჯერ, ნამდვილი დრო ახლაა. ცხენით არ იყავი, რა უყავი?

— მაძინიას მივაბარე.

— მაძინიას?! — უკმაყოფილოდ გაიკვირა ქალმა.

— ჰო, მაძინიას, ვითომ რაა?

— მერე სად მივდივარო უთხარი?

— ფიქრი ნუ გაქვს. იმას ცხენი საბალახოდ მივაბარე და მე ტანის საბანად მივდივარ-მეთქი ვუთხარი.

— ეჰვი არ აიღოს რამე, — შიშით თქვა ტასიამ და ვაჟს ღაიცქერდა.

—არა, ფიქრი ნუ გაქვს,—მიუგო ფარნამ. ქალის ჟუჟუნა თვალების ისარივით გამგმირავი ცქერა გულგრილად ვერ გადაიტანა, ჩუმად მისი ხელი ხელში დაიჭირა. ჯერ ნელ-ნელა და მერე უფრო და უფრო მაგრა ხელი ხელს მოუჭირა.

ქალმა პასუხი გასცა და თანაც დასძინა: ხელი არ მომამტვრიო, ტლანქად ნუ იქცევიო.

—უკაცრავად, — გონს მოვიდა ფარნა, უცბად ხელი გაუშვა და თითქმის მტირალი სახე მიიღო. ტასიამაც მეტისმეტად სანდომიანად შემოხედა.

— ხელი არ მახლო-მეთქი, კი არ მითქვამს, — ჩუმად მიუგო.

ფარნამ ისევ ნელა წაავლო ხელი. ტასიას მარჯვენა ხელისგული მოწიწებით თავის მარცხენა ხელისგულზე დაიდო და მარჯვენა ხელი ზედ ნაზად წაუსვ-წამოუსვა.

— ახლა ხომ არა გწყენია ჩემგან რამე? — არეულად დაეკითხა ვაჟი, მეტად აღელვებისა გამო რიგიანად ვერ ლაპარაკობდა და ცოტ-ცოტად ძიგძიგობდა კიდეც.

— მეწყინა-მეთქი, როდის გითხარი, — მარტივად და თითქო გულგრილად მიუგო ქალმა, მაგრამ ლაპარაკის კილო და სახის გამომეტყველება იმასაც ცხადად ამტკიცებდა, რომ ისიც კარგა ჟერჟოლებულიყო.

— მაშ კარგი, მაშ კარგი, — არეულად თქვა ფარნამ, თავი ძირს დასწია და ფუნთუშა ხელი კოცნით დაუფარა.

ქალი კისერზე დაეკონა, ფარნამ ხელი მხრებზე მოხვია...

— აჰ, მე...ა... — თრთოლვით ლუღლუღებდნენ ორივენი და ტუჩებს მაგრა აკრავდნენ ერთმანეთს.

ვაჟკაცს ვნებათა ღელვამ დასძლია და უწინდელურად თავის კარგა ღონიერ ხელებს ტლანქად შეხების ნება მისცა.

ქალი მოიკაკვა და ვაჟის ხელებისგან ნელ-ნელა თავის განთავისუფლება დაიწყო, თან ჩუმად ეუბნებოდა: — მომითმინე, მოიცა, ფარნა! თავს მეტის ნებას ნუ აძლევ. ჰა, ეს როგორ შეიძლება... ჰი, აი, სუ, მეტკინა, სუ-მეთქი, ნუ ჩქარობ... შენ უფრო დალაგებული კაცი იყავი, მეგონა, აი, სუ-მეთქი, თორემ შინ გავიქცევი!

მაგრამ ერთხელ აცეცხლებული ყმაწვილი კაცის დამშვიდება ასე ადვილი როდი იყო. ის მაინც თვალებგაცეცხლებული, მთელ

სხეულზე ალმოდებულ გოგოს ხელს უფათურებდა, საცა მოხვდებოდა, თუმცა გოგოც ოსტატურად იგერიებდა.

ბოლოს, როგორც იყო, ფარნაც დალაგდა და შერცხვა კიდეც.

— თუ კიდევ ასე მოიქცევი, საიდუმლოდ არ დაგენახვები, — სალოკი თითის დაჯავრებით უთხრა ტასიამ. — მე შენთან ლაპარაკი მინდოდა. ბევრი რამეების კითხვა მინდოდა და შენ კი... ეს როგორ შეიძლება!

— მომიტევე, — მოიბოდიშა ფარნამ. — ეს ოხერი კაცის ბუნება ასეთია. თვალს სინათლე დაეკარგება. რაც გინდა, ის დამარქვი. როგორ შევძლო გულგრილად გიყურო, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო სულის ჩამდგმელო, ჩემო...—ანთებული თვალები დაუშტერა ვაჟმა, ერთი ხელი ქალს კეფაზე დაადო, მეორე ნიკაპ ქვეშ ამოუდო, თავისაკენ მიიზიდა და გაშმაგებულად ზედიზედ ტუჩებში აკოცა.

ქალმა ჯერ თავი გაიქნია და მერე თვითონაც მწვავი კოცნით პასუხი გასცა და თან ხვეწნით უთხრა:

— კარგი, ფარნა, ახლა დამშვიდდი.

— იცი ტასია, — უთხრა ახლა გვარიანად დამშვიდებულმა ფარნამ, — ეს ორი დღეა, რაც მე სულ სხვა კაცი შევიქენი, რაღაც წინეთ გამოუცდელი ხასიათი შემეთვისა. ველაპარაკები ვისმე, ვევაჭრები, ფულს ვაძლევ... რაღაც სხვანაირი ზნე მეტყობა.

— მერე რა მიზეზია? — ეშმაკურად ჰკითხა ტასიამ.

ფარნამ გაკვირვებით შეხედა.

— როგორ მიყურებ? — სიცილით ჰკითხა ტასიამ. — მე შენ გეკითხები.

ფარნამ საყვედურით შეხედა.

— ვითომ იმდენად გიყვარვარ? ა!

— საეჭვოდ მიგაჩნია? — თავდაკიდებით მიუგო ფარნამ და თვალს არ აშორებდა.

— ვნახოთ.

— ვნახოთ, — დაბეჯითებით თქვა ფარნამ.

—ჩემს მასწავლებელ ქალს კი ვაჟკაცების სიყვარული არა სჯერა. მაგათი სიყვარული მხოლოდ ჟინის დაკმაყოფილებაა, ამბობს.

—ეს ვინ ახირებული მასწავლებელი ქალი ყოფილა, ალბათ თვითონ... ჰო, იმას ხომ ვიცნობ, ის...

— სუ-მეთქი, მეტი არაფერი თქვა მაგაზე, უკაცრაული რამე არ ამოგცდეს, თორემ გაგლახავ,—სიცილით და თითის ქნევით გააწყვეტინა ტასიამ. — ის ძლიერ გამოცდილი ქალია.

— მეც მაგაზე ვამბობ და მაგ გამოცდილებაზე, უბედურ სიყვა-

რულში გამოცდილებას რომ მიიღებენ ქალები და რიგიანად დუშაში არ მოუვათ, მამაკაცების ჟინს გადააბრალებენ და ის კი ავიწყდებათ დალოცვილებს, რომ ამ ჟინის გამომწვევი თვითონ არიან. ქალის ტანადობა, მისი მსხვილი გულ-მკერდი და წვრილი წელი, განიერი თეძოები და ჟუჟუნა თვალები, ფუნთუშა ლოყები და ალისფერი ტუჩები, ბროლის კისერი და, ერთი სიტყვით... წინ დაგიდგება რაღაც ისეთი არსება, რომ ვინ იქნება კაცი, ხორციელი, დედით შობილი, თუ გინდა უდაბნოს ბერიც, რომ გული არ შეუვარდეს? ეს ბუნების კანონია, ღმერთს ისე გაუჩენია, კაცს რა ბრალი და ან რა მიზეზი აქვს!

— მაშ, შენი ფიქრით, მხოლოდ ქალს აქვს მიზეზი და ეს არის? ქალიც ხომ ღვთის გაჩენილია, იმნაირად, როგორიც არის. გარეგანი სილამაზე ღმერთს ასეთი მიუცია, მისი რა ბრალია.

— ქალის ბრალია-მეთქი ხომ არ ვამბობ.

—როგორ არ ამბობ, მამაკაცის ჟინის გამომწვევი ქალის გარეგნობაა. ქალმა რა ქნას, თავს ხომ არ მოიკლავს.

— ვაჟმა რა ქნას, ისიც თავს ხომ არ მოიკლავს.

— ვაჟმა ვნებათა ღელვას საზღვარი უნდა დაუდვას, თავისი ზნე და ხასიათი გააკეთილშობილოს მეფე-მთავრების საბუთით კი არა, რიგიან და ზომიერ შრომას მიაჩვიოს, — დარიგების კილოთი უთხრა ტასიამ.

— ქალმაც უნდა ვაჟკაცი მახეში არ გააბას, საორპოფოდ არ გაუცინოს, — დარიგების კილოთივე მიუგო ფარნამაც.

ტასიამ გულმოსულივით თვალები გადაუბღვირა, ტუჩებით კი უცინოდა და საქოქოლედ ხელი მოიმართა. ვაჟმა ხელი დაუჭირა და რამდენჯერმე აკოცა.

— კარგი ახლა, გეყოფა, კიდევ გეტყვი, ნაკლებ ვილაპარაკოთ და საქმით დავუმტკიცოთ ერთმანეთს, ვინ ვის უფრო უყვარს. მე არაფერს არ დავიქადებ, არაფერს არ გეტყვი. მომავალი გვაჩვენებს. ერთს კი გეტყვი, რომ მეტისმეტი სიფრთხილე გვმართებს, თორემ! თუ ან მამამ, ან დედამ შეიტყო, ვაიმე, ვაიმე! ჭინისწყალს ალმა დენას დააწყებინებენ. განსაკუთრებით დედა, მეტისმეტი თაყვანისმცემელია წოდებრივი უპირატესობისა. მისი უტყუარი რწმენით, აზნაური და გლეხი ისეთივე მოწინააღმდეგე სიტყვებია, როგორც თეთრი და შავი.

— ჩემი მხრივ დარწმუნებული იყავი, — მტკიცედ თქვა ფარნამ. — კისრამდი კირში ჩამაწვინონ, არავის გავუმხელ... და შენ კი...

—ჩემზე ფიქრი ნუ გაქვს. ეს ახლა კარგი. სხვა? ახლა შენ ანგარიშებზე მითხარი, როგორ მიდის? — ჰკითხა ტასიამ.

— ღვთით, კარგად, თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა, მგონი ამ მოკლე დროში ცოტა რამე მეც დავაფუძნო, კონსტანტინე ამ მოგების მესამედს მპირდება, ჩემი ჯამაგირი კი თავის ძალაში რჩება. ერთად თავს მოვუყრი და ჩემისთანა ახალ კაცს ხელს არ დასწვავს, მგონია, თუ მშვიდობით გავათავე ეს საქმე და კონსტანტინეს ჯარიმა ავაცდინე.

— მოასწრობ, გგონია?

— ვფიქრობ.

— იქნებ მე გაცდენ?

— არა, — თითქმის გულაჩვილებულად მიუგო ფარნამ,—მაცდენ კი არა, სიცოცხლეს მმატებ. დღეის იქით სულ სხვაგვარ მუყაითად და მომჭირნედ მოვეკიდები საქმეს. ახლა კი ვიცი, როგორ მოვიქცევი, და თუ ფარნა ვარ, სასაცილოდ თავს არ გავიხდი მგონია. თუმცა გლეხის შვილი ვარ, მაგრამ ცოტაოდენი სირცხვილ-სახელი მეც მაქვს, დამირწმუნებიხარ ამაში.

—მეორეჯერ არ წამოგცდეს ეგ სიტყვები, თორემ ახლო არ მოგეკარები, — უკმაყოფილოდ მიუგო ტასიამ. — მე პირველი წინააღმდეგი ვარ წოდებრივი განსხვავებისა. ვიცი, ბევრი დამცინებს, ბევრს ეწყინება, ბევრი დამწყევლის, ბევრი სულელად ჩამთვლის. დეე, რაც გინდა, მიყონ, ჩემს რწმენას თავის დღეში არ ვუღალატებ, მით უფრო, რომ ჩემი რწმენა. სიმართლეა, ნათელია, როგორც დღევანდელი დღე. წოდებრივი განსხვავება თანამედროვე ცხოვრებას არ შეეფერება. რაც წასულია, ხელიდან წასულია: საუკუნოდ იყოს ხსენება მისი! ახლა, ჩემო ფარნა, დღეა ხომ ხედავ, დღეა, მზე რა კარგად ანათებს, ღამეაო, რომ დავიჯინოთ, რაღა გამოვა. დედ-მამასთან რამდენჯერ მომდის მაგაზე ჩხუბი, მაგრამ მაგათ ზეციდან ანგელოზიც რომ ჩამოვუყვანო, ვერ დაჯერებ, რა ვქნა.

თავდაღუნული და გაოცებული ფარნა ტასიას თვალს არ აშორებდა.

— რა დაკვირვებულად მიყურებ, მე ადამიანი არა ვარ, გგონია! თეთრს შავიდან მე ვერ გავარჩევ, გგონია! მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი. შენ მე ყური დამიგდე, რა გთხოვო: მე წერილს მოგწერ და რაც მოგწერო, ის წიგნები გამომიგზავნე ზუგდიდში, მასწავლებელი ქალის სახელზე. მასწავლებელი ქალი მე გადმომცემს. შენც ხომ კითხულობ, ფარნა, წიგნებს!

—ჰაი, ტასია, რა ადვილად ამბობ, დრო სადა მაქვს. ერთი წუთი თავისუფალი დრო დილიდან საღამომდი ვინ მომაშავა. შეიძლება ერთი ორი წლის შემდეგ ცოტად მომეშვეს, და მაშინ ხომ, რა თქმა უნდა... მე კი ვერ მოგწერ წერილს?

— მომითმინე, — დაფიქრებით თქვა ტასიამ. — სანამ მე არ მოგწერო, შენ ნუ მომწერ. საჭიროა ჯერ მასწავლებელ ქალს მოველაპარაკო და გავანდო ყველაფერი, მერე შეიძლება.

— მასწავლებელი ქალი? — იჭვნეულად და შიშით თქვა ფარნამ.

— გეშინია მასწავლებელი ქალისა! არა, ის პატიოსანი და შრომისმოყვარე ადამიანია. მეც სულ გოგონა არა ვარ, ისეთ საქმეს არ ჩავიდენ, რომლის მნიშვნელობა და სიავკარგე არ მესმოდეს. ბავშვი კი არა ვარ, ჩქარა ცხრამეტი წელიწადი შემისრულდება.

— მე კი ოცი, ვაი ჩემი ცოდვა. მომავალ წელს სალდათად უნდა დავდგე.

— მართლა? — გაკვირვებით თქვა ტასიამ და მოიწყინა.

— მაგრამ კონსტანტინე ან თავს მოიკლავს, ან რასმე მომიხერხებს, თორემ, თუ მე წამიყვანეს, მისი საქმეც დაღუპულია. თავის ქებით არ ვიტყვი და უჩემოდ ცუდად წავა მისი საქმე. ის ახლა ვაჭრობის წვრილმანებს გადაჩვეულია, შორიდან ადევნებს თვალს, თორემ დახლში დაბეჯითებით ვერ ჩადგება და საიმედო კაცის შოვნა ახლანდელ დროში ძნელია.

— ოჰ, მე მაინც ეს შენი სალდათობა ლოდივით გულზე მაწვება. ვაითუ იმან ვერ გიშველოს, მაშინ?

— ჰა, შენი ჭირიმე, ტასია, შენ ნუ სწუხარ. ცა და დედამიწა რომ დაიქცეს, მაინც, როგორც იქნება, თავს დავაღწევ, ნუ გეშინია. შენ კი, თუ ჩემი სიკვდილი არა გსურს...

— კარგი, კარგი, — ნაძალადევი ღიმილით მიუგო ქალმა, — ახლა გითხრა კიდევ, მამაჩემს...

ამ დროს სიმინდიანში ვიღაცამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიკიჟინა:

— ვოდიტია, ვუი, ვუი!

ორივენი გაფითრდნენ. ტასიამ ერთი მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ფარნას და საჩქაროდ ღობისკენ გაიქცა. ფარნა კი სიმინდებში შევიდა. ისევ ხელმეორედ მოისმა კიჟინი. ძლივძლიობით გასაგონი პასუხიც გასცა ვიღაცამ, როგორც ხმაში ეტყობოდა, ასე რვა-ცხრა წლის ბავშვმა.

— ნახე თუ არა, ნახე თუ არა! — დაიკიჟინა ისევ პირველმა.

ბავშვმა რაღაც უპასუხა, მაგრამ ფარნამ ვერ გაიგონა. იგი ფრთხილად მიდიოდა სიმინდიანში. წისქვილის წყალს რომ მიუახლოვდა, ქუდი მოიხადა, პირი დაიბანა და თმაც დაისველა, რომ ტანდაბანილს დამგვანებოდა და ნელ-ნელა სათემო გზაზე გამოვიდა.

აქ ფალაგეზე ერთი იმავე სოფლელი გლეხი ივა ბურთია შეამჩნია. ივას ხარის რქებზე მობმული თოკი ხელში ეჭირა და აბალახებდა.

— თეი, დიდობა, შენდა! — გაიკვირვა ივამ. — ეს აქეთ სად ყოფილა. გოგო ხომ არ გყავდა, შე დამწვარო, მოპრიანებული. არ დამღუპო, კაცო, ჩემი ყანა არ გამიუპატიურო, თორემ შეიძლება წვიმა მოვიდეს და მთელი სოფელი გავსწორდეთ. მაშინ ათასობით კი არა, ათობითაც ვერ იყიდი სიმინდს.

ფარნა შემწვარი კიბოსავით გაწითლდა. ერთი ბედი, რომ ივა ჯერ გვარიან შორს იყო.

— ვოი, იმის მეტი, სადა გვყავს, ჩემო ძმაო, ასე ოხრად გოგოები. სიმინდებში კი არა, სახლებშიაც სანთლით ვერ მოსძებნი.

— ჰეჰე გიდი, სადაა აღლაკი, რჯულ ძაღლი, თორემ, — გააწყვეტინა ივამ და მოკლე წვერ-ულვაშზე ხელი გადისვა. — არ არის კი არა, ფურჩასავით ყრია, ჩემო ძმაო. კარგები, მართალია, ცოტაა, იშვიათია. მაგრამ, — ივამ კრავის დაგლეჯილი ქუდი მოიხადა და ისევ დაიხურა. ტანზე მტვრისაგან გაგლესილი პერანგი ეცვა, ფეხები კი შიშველი ჰქონდა. — ეჰ, — გაადრძელა ივამ, — ისეთი ჩიტუნებია ზოგიერთები, რომ... აქაც სიახლოვეს, — ხელი გაიშვირა ბასილის სახლისაკენ, — ისეთი მტრედია, რომ ანგელოზია, რაღა, ანგელოზი. მაგას ხელი წაავლე, ძმაო, და მერე, თუ გინდ, ოხრად ღარჩეს შენი ყანაც და შენი ბოსტანიც. მარა ჩვენთვის კი არ არის, ძმაო... შენ კი ჰო, ცოტა სხვა სუნი მიგეცხო და კიდევ ასე.

„დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი. — ფიქრობდა ფარნა. — ამ კაცმა ხომ არ დაგვინახა ნეტავ ერთად". — ბრაზი მოუვიდა, მზად იყო სცემოდა ამ კაცს ყელში, მაგრამ თავი შეიმაგრა.

ივა კი უდანაშაულო იყო. ის მხოლოდ ლაპარაკობდა, როგორც კაცი, ფარნა და ტასიას დამოკიდებულებაზე არც კი ფიქრობდა. ივას სახის გამომეტყველებამ ფარნა სრულიად დაამშვიდა.

ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ და მიესალმენ. ხარმა უცხო კაცის დანახვაზე თავი მაღლა აიღო და ფარნას დაკვირვებით შეაჩერდა.

— აა... — ტანის საბანაოდ ყოფილხარ? — ჰკითხა ივამ.

— კაცო, ხელში რათ გიჭირავს ეს ხარი? — თავის მხრივ დაეკითხა ფარნა.

— მაშ, რა ვუყო!

— გაუშვი.

— სად!

— მინდორში.

— რომელ მინდორში?

— რომელი მინდორია... ყველა მინდორში, სადაც...—ფარნამ ხელი გაიშვირა სერებისაკენ.

— მერე იქ რა უნდა ჭამოს, გვიმრა? ეჰ, ჩვენი ცხოვრება ასეთ ტანჯვაში უნდა დაილიოს. ერთი ეს და მეორე ამისთანა მოზვერი ახლა ვიყიდე. თუ მუდამ ასე ხელში არ დაიჭირე, შიმშილით მოკვდება და დღეს და ხვალ კი ურემში უნდა შეაბა. თუ არ მოაღონიერე, ცარიელ ურემსაც ვერ გასწევს. რას ვუზამ, მუდამ ასე ხელში უნდა დაიჭირო. ერთი წუთით გავუშვი ამას წინეთ, ყანაში შევირბინე უვარგისი სიმინდების გამოსაჭრელად, კიდევ მაგათთვის მინდოდა. ერთი მაშინათვე გაქცეულიყო.

— შენ იყავი, ვო, დატიაო, რომ დაიკიჟინე?

—ლიან,მე ვიყავი, ბავშვი, ხომ იცი, უბრალო რამეში გაერთობა.

— მე მაშინ ტანზე ვიცვამდი, — ცოტა ფრთხილად თქვა ფარნამ და ოდნავ შეწითლდა.

ივას კი თავისი დარდი აწუხებდა.

— აი, აი, საბალახო ძლიერ ნაკლებად გვაქვს. ჩვენისთანა შევიწროებული, ამ მხრივ, მეორე სოფელი არ მოიძებნება. საცა მოსახერხებელია, ხომ სულ სიმინდებია და სიმინდები, და რაც დარჩენილი ადგილებია, ან ტყეა და ან მარტო გვიმრით მოფენილია; გვიმრას კი პირუტყვს რა აკმევს.

— მოსავალი კი რიგიანია წრეულს, თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა, — თქვა ფარნამ, რომელსაც საძოვრის სივიწროვე ამ წუთში სრულიად არ აინტერესებდა.

— თუ ღმერთმა არ მოგვიძულა და ერთი-ორი კვირა დარები დაიჭირა, მოგეცა სიმართლე! ნახე აქ ჩემი ყანა? — ცოტა არ იყოს ამაყად და თვალებაწითლებულად მიუგო ივამ. — ფო, ფო, ფო, რა სიმინდია!

— შენი ყანა რომელია?

— აი, წისქვილის წყლის გაღმა, გამხმარი კოპიტის პირდაპირ.

— ის მაღალი სიმინდი?

— ჰო, ჰო, ტაროებით რომ არის დაჯორგილი.

— ის განა შენია?

— ჩემია.

— მიწაც შენია?

— ფოი... შე ბედიანო! ის მიწა ჩემი საკუთარი იყოს, მაშინ შეძლება ეს პერანგიც გამოვიცვალო. იქ მე ვინ მომაშავა მიწა. მიწა იმისია. — გაიშვირა ხელი ბასილის სახლისაკენ.

— ჰო, ქე მეუბნებოდა ბასილი, — გაახსენდა ფარნას.

—ფარნა თოხიტარია,—ლმობიერად წარმოთქვა ივამ, — სამი მოწევა ამ მიწაზე მე ვდგავარ და თუ კარგად დაათვალიერე, დედა ნუ წაგიწყდება, მართალი თქვი, კარგად არ არის დამუშავებული? ერთი პატარა ბალახბულახი საზიარებლად იშოვება სადმე? არა, როგორც კაცი, მაგრამ რაღათ გინდა, ჩემი კაცობა და ჯან-ღონე მაგას შევალიე. წინეთ თონდორიკა ჰქონდა. თონდორიკა ნაბადია, განა არ იცი, რა მუშაა? ერთი კუდა და მეორე ის ჭყონონაში. მეორეჯერ მაგას თოხი თავის დღეში აღარ უქნია. ასე, აა, სიმინდი და ჭყორჭყოტი, — აქ ხელის თითები ჯგუფად ზევით ასწია ივამ.

— კარგად გიმუშავნია, აგაშენა ღმერთმა, — დაასწრო ფარნამ, გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

— ვმუშაობ, ბატონო, მაგრამ ბასილი არაფერი, და ძუკუ, მგონია, ქე ფიქრობს სხვანაირად და მე და მაგას, არ ვიცი, როგორ მოგვივა! თუ გაუსინდისდნენ და წამართვეს, ღმერთი არ იციან, ადგილი ჩინებულად დამუშავებულია, ნახევარ ღალას ჩალა-სიმინდისას ქე ვაძლევ სულ ნაღდად, მეტი რაღა უნდათ კიდევ... აიტ, შე მამალი ენწერული მგლის დასაფხრეწო! — დაიძახა ივამ.

ფარნამ საჩქაროდ მოიხედა. ფალაგის მეორე კიდეზე ათი წლის ბიჭს ბაწრით მოზვერი მოჰყავდა. მოზვერი თითქოს თავის დანაშაულს გრძნობსო, თავდაღუნული უნებურად მიდიოდა, თუმცა ბავშვიც ჩქარ-ჩქარა ზურგზე სახრეს სთავაზობდა. ხან მოზვერი თავს გულმოსულად დააკანტურებდა, ბალახს ხარბად მოგლეჯდა, კუდსაც გაიქნევ-გამოიქნევდა ხოლმე.

— ოოიტ, შე! — დაუყვირა ისევ ივამ. — მომითმინე, მე შენ მოგიღუნავ კისერს, თუ არ მოგიკვდი. სად დაეწიე, შაბა? — მიეალერსა შვილს.

— ჭანისწყალი გასულიყო და, ეს- ეს იყო, ბეჩუს ყანაში შედიოდა.

— ო... მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა სხვის სიმინდებში თარეში. აბა, ბაბა, კარგად უყურე. სიმინდებში არ შეუშვა და მე ბევრ სიმინდს გამოვჭრი, — ამ სიტყვებით ივა საჩქაროდ ხშირ სიმინდში შევიდა და ფარნამაც თავისი გზა განაგრძო.

* * *

— ჩემო მაძინია, მაგიერი პატივი როგორ უნდა გადაგიხადო, — ეუბნებოდა ფარნა მაძინიას რამდენიმე ხნის შემდეგ. — კაცო, ეს რა მშვენიერი საბალახო გქონია, ვისია ეს ადგილი?

— ვისია? ვისი იქნება, ტურა-მგლის, მთელი ქვეყნის, მაგრამ დღესდღეობით კი ჩემს განკარგულებაშია.

წისქვილის უკან ერთ ქცევამდი ადგილი, სადაც თავის დღეში არაფერი ითესებოდა, წისქვილში გარეშე სოფლიდან საფქვავის მომტანთა ცხენისა და ხარების საძოვრად იყო მიჩნეული, მიწა საერთო იყო მძებრაძეებისა, მაგრამ მაძინია თავის ნებაზე განაგებდა და უფეშკაშოდ, თუნდ მეხუთე სოფლიდან ყოფილიყო, არავის შეუშვებდა. და თუ შეუშვებდა, ისიც მოკლე ვადით. ამიტომ აქ საბალახო, მართლაც, ჩინებული იყო. აი ამ საბალახოში გაუმასპინძლდა მაძინია ფარნას ცხენს და კარგადაც გაუმასპინძლდა. მშიერი ცხენი ხარბად დასწაფებოდა ნოყიერ, მაღალ ბალახს და მუცელი ისე გაბერეოდა, რომ კაცს მაკე ეგონებოდა.

— ჰო, მითხარი, შე კაცო, რით გადაგიხადო ეგეთი პატივისცემა.

— რა პატივისცემაა, — მიუგო მაძინიამ და ერთიც მწუხარედ ამოიოხრა. — ჩემ პატივისცემად ის მიმაჩნია, როცა გხედავ, რიგიანად და წესიერად იქცევი, სამერმისო საქმეს ადგიხარ. პირველად მე მოვასწავლე ტომბაშვილს შენი სახლი და მისი გაცნობის შემდეგ თქვენს ოჯახს წაღმართობა დაეტყო. თქვენც რომ რიგიანი ბიჭები გამოხვედით, სწორედ დიდად მოხარული ვარ. ახლანდელ ცხოვრებას რომ ეუკვირდები, სულ სხვა დროებაა მოსული? მოგიკვდეს მაძინია, თუ ბას თვალი, ყური ან ხელი სხვაზე უარესად ერჩოდეს. მაგრამ უკუღმართ დღეს გაჩენილი კაცის საქმეს. რა გამოაკეთებს. ჩემზე ბევრი რაიმე გექნება გაგონილი. ტყუილსაც ბევრს ლაპარაკობენ ჩემზე, მაგრამ ბევრიც მართალია... *

უნაგირზე ნიდაყვდაყრდნობილ ფარნას მეორე ხელი ცხენის კისერზე ედო და ფაფარს ხელს უსვამდა. მაძინია მის პირდაპირ, მომაღლო ადგილზე იდგა.

წისქვილიდან ვიღაც წვერაბურძგვნილი, შავ-შავი კაცი გამოვიდა და მაძინიას მიუბრუნდა.

— დიდ დოლაბზე საფქვავი ჩამოილია, ახლა მე დამაყრევინე, წმიდა გიორგის მადლი თუ გაქვს.

—კარგი, კარგი, დააყარე,—მიუგო მაძინიამ და ისევ ფარნას მიუბრუნდა: — ამას იმიტომ გეუბნები, ჩემო ფარნა, რომ შენ ჯერ ბავშვი ხარ, მაგრამ ამთავიდანვე სწორ და რიგიან გზას ადგიხარ. მე აქ იაქესავით ვდგავარ. არათუ ჩვენ სოფელში, მთელ გრუბენიაში რაც ხთება, რაც ახალი ამბავი იქნება. იმას ჩემზე წინ არავინ შეიტ-

* აქ ხელნაწერი დაზიანებულია, არ იკითხება. — ს. ც.

ყობს. ვინ გინდა, თითო-თითოდ აიღე. საზოგადოება ვის როგორ უყურებს, ვინ რა კაცად მიაჩნია, ანი და ბანივით ხელზე მაწერია. აი, თუგინდ შენზე, ერთი კვირაა, რომ ვთქვათ, მეტი ხანი არაა, შე კაცო, რაც ჩამოხვედი და ისეთი კაი სახელი გაითქვი და ისე გიმადლის სოფელი, რომ მეტი არა შეიძლება. მე, ჩემი მხრივ, დიდად მოხარული ვარ და ეცადე შემდეგშიაც სახელი არ გაიტეხო. ამასთანავე ფრთხილად და მაგრად იყავი საქმეში, თორემ სოფელი სალესავი ბორბალივით ერთნაირად ტრიალებს აღმა და დაღმა. რამდენსაც ახლა გაქებს, უფრო მეტს, დიდად მეტს გაგინებს, თუ ერთი ენინი რამე შეგამჩნია. საწყალი და გაჭირვებული კაცი მუდამ გებრალებოდეს, შენი მოგების გულისათვის ყელში ხელი არავის წაუჭირო და ღმერთიც მაგიერ ბარაქას მოგცემს. გაგიკვირდება ეს ჩემგან, მართალია. გასაკვირველიც არის, მაგრამ მე ამას ამ საათში, ამ წუთში გულწრფელად გეუბნები. თუმცა არა ერთი ქვრივი და ობოლი ამიტირებია ჩემი მხეცობის და უვიცობის მეოხებით. დღეს შენ რომ მეუბნებოდი, რამ დაგაფიქრაო, და მე გაგეხუმრე. ღმერთი მოწმეა. გულში სრულიად არ ვფიქრობდი. ჩემი საქმე, ბაბა, შვილო, ხომ გარდაწყვეტილია მოაბრუნე ლობიოო, მიაბრუნე ლობიოო, დანაყე ლობიოო. ისე არ იყოს, ათასნაირად მატრიალო, მე მხოლოდ მაძინია მეწისქვილე ვარ და გათავდა. აწი უვარესობას კი, და უკეთესობას არაფერს მოველი ცხოვრებიდან. ერთ მშვენიერ დღეს სადმე ალბათ დოლაბის გვერდით მივილეევ და ღვთის გულისათვის ეკლესიის გალავნის განაპირად მიწას მიმაბარებენ. ჰა. უბედური მაძინიაო, სახუმაროდ მაინც იტყვიან. შეიძლება, ერთ წელიწადს, სანამ საფლავის მიწას მდელო არ მოერევა, კიდევ გამიხსენონ აქა-იქ და მერე, ფჰფიიტ. ეს ცხადია ისე, თუ გინდა ახლა ჩემი თვალით ვხედავდე, მაგრამ სანამ კიდევ დავდივარ, მეც ადამიანი ვარ, მეც მიხარია სასიხარულო და მწყინს საწყენი. აი ჩვენ წინ ჭალას ვხედავთ. ამაზე უკეთესი მიწა, ნიადაგი, ბევრი ადგილი მივლია, კახეთის აქეთ ყველგან ვყოფილვარ ჩვენს ქვეყანაში და ამაზე უკეთესი მიწა, იცოდე, ძვირია. მე რომ სხვაგან მინახავს შრომა, იმდენი აქ რომ იშრომო, სიმინდს კი არა, ეს მიწა პირდაპირ ოქროს გამოისხამს. მაგრამ სადღაა რიგიანი შრომა! რიგიანი მუშა მთელ სოფელში ხუთი არ ურევია. შრომობენ, გგონია, მაგრამ იმას შრომა არ ჰქვია. თოხნიან იმიტომ, რომ შიმშილისა ეშინიანთ, თორემ ვინმემ რომ გამოუცხადოს დღეში თითო სულს ორ-ორ ჩოგან ღომს დაგირიგებო, ნახევარზე მეტი თოხს დააგდებს და ჩრდილქვეშ წამოწვება. ამას თუგინდ თავი დავანებოთ; ორი-სამი კაცი ურევია სოფელში, ორ-ორი საჟენი გასაღო-

ბავი მიუჩინეს, კვირკობისთვის დამლევს შესრულებული არ ჰქონდათ ღმერთს გეფიცები, სიმინდს ტარო ამოჰქონდა და ღობე კი სრულებით არ იყო შემოვლებული. ეს დაუდევრობა არ არის? თორემ ორი-სამი არამზადა როგორ მოერევა ას და ორას კაცს! ისე მოვუგრეხ კისერს. რომ სულ ამან, ამანს იძახოდეს. არ არის და არ არის ჩვენში ერთმანეთის მოყოლა და ერთი პირობა რამე სასარგებლო და საკეთილდღეო საქმისათვის. სამარცხვინო და საეშმაკო რამეზე თუ გინდა შთელ სოფელს ფეხზე დააყენებ. თვითონ არ გამომიცდია? ისეთი კაცები გამომყოლია საქურდლად... ერთხელ მღვდელიც წამყვა. — ყურში ჩასჩურჩულა მაძინიამ, — ხა, ხ, ხა, ხ. შაშა! — ორი გამოქნილი კაცი აბრუნებს სოფლის საქმეს თავის ნებაზე. თვითონ კანში არ ეტევა; ორი-სამი კიდევ არამზადა, თვითონაც დაფსებული, სხვასაც საქმეს უფუჭებს...

მაძინია გაჩუმდა. ერთი გაიხედ-გამოიხედა. ფარნა გაკვირვებული შეჰყურებდა ამ სიმინდის ფქვილის ხრილით წვერ-ულვაშ და საკინძე გადაყვითლებულ კაცს და თავის ყურს და თვალებს არ უჯერებდა, რომ ამას მაძინია რულაია ეუბნებოდა. მაძინია მეწისქვილე. რომლისაგან ხუმრობა-გინებისა და ლაზღანდარობის მეტი კაცს არავითარი სასიკეთო რამ არ გაუგონია. ფარნამაც გაიხედ-გამოიხედა, თითქო თვალით ეძებს, ვინ ჩაუწვეთა ამ კაცს ასეთი აზრებიო. პირდაპირ აიხედა, წისქვილის მჭვარტლისაგან გამურული სახურავის კუნჭული მოხვდა თვალში. მარჯვნივ — წიფლის გამხმარი როკი, მარცხნივ კი ძველი, ცხრა ადგილას გაჭედილი ურემი შეამჩნია.

„არა, ასეთი აზრების მასწავლებელი აქ არავინ უნდა იყოს“.— გაუელვა ფარნას, მაძინიას შეხედა და თავის დაქნევით. დაუდასტურა: „მართალს ამბობ, მართალს, ჩემო მაძინია...“ — რაღაცა კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მაძინიამ დაასწრო:

— უკაცრაოდ, ფარნა, მგონია გაგაცდინე ტყუილ-უბრალო ყბედობით, ვაჭარი კაცი ხარ, შენთვის დროს დაკარგვა...

— ცოტა კი მეჩქარება, მაგრამ არა უშავს რა. ერთს კი გეტყვი, მაძინია, და არ გამაწბილო, არ გეწყინოს, თუ ღმერთი გწამს, — ამ სიტყვებით ფარნამ ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— რა ყოფილა, მიბრძანე.

— ეს ჩემ სახსოვრად გქონდეს, შენმა ნათქვამმა ისე გამაოცა, რომ...

— შენი თავი ნუ მომიკვდება, იმის მეტი, — მიუგო მაძინიამ და უკან დაიხია.

— მომითმინე, ცხენის ბალახობისათვის საჩუქარ ფულს კი არ გაძლევ, შე კაცო. ეს თათრული მეჯითიაა, მე სხვამ მაჩუქა და შენთვის სახსოვრად მიჩუქებია, თორემ ქირას როგორ გაგიბედავ, — და მაძინიას ხელი გაუწოდა.

— შენი ნახელავი მრავალ წელს, — მიუგო მაძინიამ, ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

ფარნა ცხენზე შეჯდა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ჯერ უსადილო იყო.

— ხომ არ დაგეკარგა რამე? — ჰკითხა მაძინიამ.

—არა, — მიუგო ფარნამ, გაუცინა და ცხენს მათრახი მოუქნია. დასვენებულმა და მაძღარმა ცხენმა ამტვერებულ შარაგზაზე კორიანტელი ააყენა.

XXXIX

შუაღამე იქნებოდა. კონსტანტინე ტომბაშვილი თავისი მაღაზიის უკანა ოთახში მაგიდასთან იჯდა და რაღაც დავთარს ათვალიერებდა. მის პირდაპირ ფარნა იჯდა და ხელში თავისი უბის წიგნი ეჭირა. ანგარიშებით აჭრელებულ მაგიდაზე არეულად ეყარა სხვადასხვა ზომის ქაღალდები. კონსტანტინეს წინ დიდი საანგარიშე ჩოთქი იდგა. ოთახის კარი და ფანჯარა დაკეტილი იყო. ოთახს ლამპა ანათებდა.

— კარგი, ახლა დავიწყოთ, — დაარღვია სიჩუმე კონსტანტინემ და საანგარიშეს ხელი დაადო.

— სულ თავიდან? — ნელა ჰკითხა ფარნამ, უბის წიგნს თვალი მოარიდა და კონსტანტინეს შეხედა.

— მაშ როგორ, სულ თავიდან დავიწყოთ, ე. ი. რაც შენ გიყიდია. ჯერ რამდენი ვიყიდეთ და რამდენად ვიყიდეთ, მერე რამდენად გავყიდეთ და მერე შევუღაროთ ერთმანეთს, მოგება რამდენი დარჩა.

— ნება შენია.

— ასე სჯობია, მგონია, სხვაფრივ როგორ?

— არა, ამაზე უკეთ როგორ იქნება, მხოლოდ, წინათ რომ ხუთი ათასი ვიყიდე, მაგი ცალკე ვიანგარიშოთ. მაშინ ხამი ვიყავი და ზოგან ავრიე, მაგრამ ზარალი იქაც არ მინახავს მგონია.

— ნება შენია, ბერძენს რომ მივუწონეთ, დავთარში ხომ ცალკე აღნიშნე?

— უბის წიგნაკშიაც და დავთარშიაც.

— აბა, დაიწყე.

ფარნამ გაშლილი დავთარი წინ დაიდო და უბის წიგნი მოიმარჯვა. უბის წიგნს ერთი დაკვირვებით დახედა, მერე დავთარს და დაიწყო:

— ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდასამი ფუთი ვიყიდე; ორი ათასში მივეცი ორ-ორი აბაზი, სულ რვაასი მანეთი.

— რვაასი!—დაიძახა კონსტანტინემ და რგოლები გაატკაცუნა.

—ათას ორას სამოცდარვა ფუთში მივეცი, თითოში ათ-ათი შაური, სულ ექვსას ოცდათოთხმეტი მანეთი.

— კარგი, ესეც სულ ათას ოთხმოცდათორმეტი.

—რვაას ფუთში მივეცი თერთმეტ-თერთმეტი შაური. ჰაი, დედამისს, ჯიბრზე იყო საქმე და... ერთი ვიღაც კუდა კაცი გამომიჩნდა მოქიშპე, ვიღაც აბაშელი, მაგრამ გაქვს ღვთის წყალობა, ჩქარა გავაკოტრე, თორემ ცუდად იყო საქმე. ფული იზამს ყველაფერს, ეგ ოხერი... ესეც ახლა ოთხას ორმოცი მანეთი.

— კარგი, ესეც მივუმატეთ, ჩემო ბატონო, — თქვა კონსტანტინემ და საანგარიშე რგოლები გაატკაც-გამოატკაცუნა. — ახლა გამოდის ათას რვაას სამოცდათოთხმეტი მანეთი.

— ექვსას ფუთში მივეცი ისევ ორ-ორი აბაზი. ესეც ორას ორმოცი მანეთი.

— ოჰო, ორი ათას ას თოთხმეტი მანეთი.

—და სამას თხუთმეტი ფუთი ვიყიდე ცხრა-ცხრა შაურად. ესეც ას ოცდათვრამეტი მანეთი და თხუთმეტი შაური.

— ესეც გამოდის სულ!—დაიძახა კონსტანტინემ.—ოთხი ათას ორას ორმოცდათორმეტი მანეთი და თხუთმეტი შაური.

— სწორია! — დაიძახა ფარნამაც.

— ნუ გეშინია, ანგარიშში იაღლიში ძვირად მომივა.

— მე ესენი სულ თითო-თითოდ მაქვს გამოანგარიშებული. ღმერთმა აცოცხლოს, ვინც მე ეს მასწავლა. ახლა გადმოტანა მაგისი დაგვიჯდა მუშის ფულიანად. ხუთას ორმოცდარვა მანეთი და სამი შაური...

— კარგი, ესეც რომ მივუმატოთ, გამოდის: ორი ათას რვაასი მანეთი და ოთხმოცდარვა კაპეიკი. ასეა?

— სწორია, — ენაზე კბილების დაჭერით მიუგო ფარნამ.

— ახლა, რავა გაიყიდა!

— მოიცა, ჯერ აქ რამდენი გამოვიდა, აქაურ სასწორში.

— ჰო, მართლა, — ჩაიცინა კონსტანტინემ.

— ბევრი არაფერი მოუმატნია, — უკმაყოფილოდ თქვა ფარნამ, საჭყონდიდლო ჩვენებური სოფლები კი არ არის, ქილით რომ დაუზომო? სასწორი ყველამ იცის და ქილას არც კი შეგატანინებს.

თავის სახლში. მაგრამ, ღმერთო, შენ შემინდე! ზოგან ცოტ-ცოტად იქაც გადავუქნიე. ჰო, აქ კი გამოვიდა ხუთი ათას ასი ფუთი, ე. ი. ას ჩვიდმეტი ფუთი იმატა წმინდად.

— ესეც კარგია.

— ესეც როგორ იმატა, საკვირველია, მე ერთი ხამი კაცი. ისინი კი ისე გამოქნილი ხალხი და კიდევ იმდენი მყიდველები.

— რას მეუბნები, საკვირველებაა. ჩინებულად მოეწყო საქმე. მე ერთი გაჭირვებული კაცი ვიყავი. ღმერთგამწყრალმა შუაალაგას გამიწყვიტა ბაწარი და არ ვიცოდი, რა მექნა. სხვა გზა არ იყო, თორემ პირში გეტყვი: ძლიერ კი მეშინოდა შენი. ფულებს რომ გაძლევდი. გული მიკანკალებდა. ყველანი, — გამოუცდელი ბავშვიაო, — ამბობდნენ შენზე. ზოგი, ხომ იცი, ის „მოკეთეებიც“ ულვაშში იცინოდნენ: მადლობა ღმერთს, ეს არის, გაკოტრდა ტომბაშვილიო.

— მოითმინონ, ჯერ ნუ ჩქარობენ, — შხამიანად მიუგო ფარნამ, — ჰე, აბა, ახლა რამდენად გავყიდეთ?

— გავყიდეთ სამ აბაზად და ერთ შაურად, როგორც პირობაში გვეწერა. სულ ავიღეთ: სამი ათას სამას თხუთმეტი მანეთი. — მომითმინე, ეს დავნიშნო, — მიუგო კონსტანტინემ და ორი ათას რვაასი მანეთი და ოთხმოცდარვა კაპეიკი ქაღალდზე დანიშნა.—სამი ათას სამას თხუთმეტ მანეთს გამოვაკლოთ ორი ათას რვაასი მანეთი და ოთხმოცდარვა კაპეიკი, დარჩება ხუთას თოთხმეტი მანეთი და ოთხმოცდარვა კაპეიკი. ხუთას თოთხმეტი მანეთი და ოთხმოცდარვა კაპეიკი. თო, თო! — კმაყოფილებით თქვა კონსტანტინემ. — არა უშავს რა.

— პირველ ხელზე გვარიანია, — სიცილით მიუგო ფარნამ.

— რას ამბობ! მთელი წლის განმავლობაში ვერ მოიგებს ზოგი წვრილი მესიმინდე ამდენს.

— ახლა ჭყონონაში ნავაჭრი იანგარიშე, — გულმხურვალედ უთხრა ფარნამ.

— ისიც ხომ ასე დაწვრილებით გიწერია?

— დავთარშიაც და უბის წიგნაკშიაც.

— მაშ, მითხარი და ის იქნება. დავთარი კი მაქვს დათვალიერებული, ყველაფერი სწორადაა.

— მაინც გასინჯე ხელახლა.

— არაა საჭირო.

— მე მირჩევნია.

— გენდობი, შე კაცო, არ დაიჯერებ! გენდობი, ძმაო, რა ანგარიში უნდა. ეხედავ და ეს არის. მითხარი, სულ რამდენია ჭყონონაში ნაყიდი?

— კარგი, ნება შენია. სულ. ბატონო, ვიყიდე ცხრამეტი ათას სამასი ფუთი...

— კარგი, ახლა ეს მითხარი: რამდენი ფული გავიდა ყიდვაში?

— ახლავე, ბატონო... ერთი მეორესთან... ათ შაურზე ზევით არ მიმიცია. იმდენი წავუსვ-წამოვუსვი... სიმინდზე მოცემულია... ჩე... რო...ბა...ტონო: ცხრა ათას ექვსას ორმოცდათექვსმეტი მანეთი. არც მეტი და არც ნაკლები. გადმოტანა კი დაგვიჯდა: ათას ცხრაას ოცდაათი მანეთი.

— კარგი, შენი ჭირიმე, — მიუგო კონსტანტინემ. — სულ გამოდის თერთმეტი ათას ხუთას ოთხმოცი მანეთი.

— სწორია, — თქვა ფარნამ. — აქ კი გამოვიდა ოცი ათას ოცი ფუთი; ქილამ ქნა და! — ამაყად დაიძახა ფარნამ. — წონაზე რომ ყოფილიყო საქმე, შენი მტერი, მარა ქილა... ქილა, სადადიო ქილა... კურთხეული.

— გავყიდეთ კი სამოცდაშვიდად, მაზანდა გვეწერა პირობაში.

— ნამდვილია, სულ გავყიდეთ: ცამეტი ათას ოთხას ცამეტ მანეთად და ორ აბაზად.

— კარგი, ახლა გამოვაკლოთ... რჩება, ჩემო ბატონო. წმინდა მოგება: ათას რვაას ოცდაცამეტი მანეთი და ოცდაცამეტი კაპეიკი. აგაშენა ღმერთმა. წინანდელიანად სულ: ორი ათას სამას ორმოცდაშვიდი მანეთი და ცხრა შაური.

— ნამდვილია. ერთი დრამი არც აკლია. არც მეტია. ახლა, როგორც გენებოს, — თავმდაბლად მიუგო ფარნამ და წამოდგა.

— ნუ გეშინია. კონსტანტინე თავის პატიოსან სიტყვას და სისხლს თავის დღეში არ უღალატებს.

ფარნა გაჩუმებული და გულხელდაკრეფილი უყურებდა. კონსტანტინემ ერთი საანგარიშე რგოლებს დახედა, ერთიც დავთარს, ხელი შუბლზე მიიდო და რამდენიმე ხანს დაფიქრებული იყო.

— ჩემო ფარნა, — დაიწყო კონსტანტინემ, — მეც გამომიცდია შეგირდობა. შენ, ღვთით, მესამე წელიწადია, რაც დუქანში ხარ, ათი ათასიან საქმეს ატრიალებ და მე რვა წელიწადი დახლშიაც არ შევსულვარ. სულ ბიჭად ვიყავი, სიცივით ვკანკალებდი გარეთ, და მობრძანდით, მობრძანდის ძახილით მუშტრებს ვეპატიჟებოდი. შენ შენი ხვედრი გერგება, რა თქმა უნდა, და კიდეც მიიღებ, მაგრამ შენი უფროსი ძმა, შენთან რომ შრომას სწევდა, თუმცა მაგაზე არავითარი ლაპარაკი არა გვქონია, მაგრამ ისიც კაცია, და ერთგული და მშრომელი კაცი. ღმერთმა რაკი მოგება მოიტანა, ის სულ ისე დავაგდოთ და დავიყოფოთ, ცოდვაა.

— შენი ჭირი შემეყაროს! — მხიარულად წამოიძახა ფარნამ და კონსტანტინეს მკერდზე დაეკონა.

— ა, წიე? არ დამახრჩო, — გადაიხარხარა კონსტანტინემ. — არა, მე, დედის სულს გეფიცები, გულწრფელად ვამბობ: ორასი მანეთი მისთვის მიჩუქებია.

— დიდად გმადლობ, — თავი დაუკრა ფარნამ. — მართალი უნდა თქვას კაცმა, ხუთი ჩემოდენა იშრომა საწყალმა. მაგან რაც ურმებით რკინიგზის სადგურამდე სიმინდის გადმოტანაში შრომა ნახა, ათასი კაცი ისე დაილევა, მაგის მეხუთედ შრომას არ გასწევს.

— კარგი, ეს ორასი ჩემს ივას ჰქონდეს. დანარჩენი ორი ათას ას ორმოცდაშვიდი მანეთი და ცხრა შაური, როგორც გვითქვამს... მე და შენ, — ტუჩების მაღლა აწევით და მოღიმარი სახით დაათავა კონსტანტინემ.

მეორე დღეს კონსტანტინე ტომბაშვილი, მისი ძმა იოსები, ფარნა და ივანე თოხიტარიები ნოტარიუსთან იყვნენ. ფარნამ ასი თუმნის თანხა ტომბაშვილს შეუტანა მაღაზიაში და ივანემ ოცდახუთი თუმანი საყასბოში, და ორივენი, თანხის დაგვარად, მოგების მონაწილე გახდნენ. მათი ჯამაგირი, როგორც ნოქრებისა, ძალაშივე დარჩა.

...საუბედურო, სწორედ იმავ დღეს, რა დღესაც თოხიტარიებმა ასეთი სამოგებო ნაბიჯი წარსდგეს წინ, სოფელ ჭყონონაში მოხდა ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ამბავი, რომელსაც თოხიტარიას ოჯახთან მჭიდრო კავშირი და საგრძნობელი შედეგიც ჰქონდა.

ხუმრობით დაიწყო და ბოლო სამწუხარო მიეცა.

ძუკუ მძებრაძის და კუდას ჩუმ-ჩუმად შემოსვლა ნიკოია თოხიტარიას სახლში და გაიანესა და ძუკუს შეხვედრა გიტინია თოხიტარიასა და მისი რძლის მეოხებით აქა-იქ დაითესა და, რა თქმა უნდა, მაძინია მეწისქვილემაც შეიტყო. ფარნასთვისაც კი უნდოდა ეთქვა. მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით არ უთხრა.

შუადღე იყო. მაძინია წისქვილის წინ უშნოდ დაყრილ რიყის ქვებზე იჯდა. მასთან ორი გარეშე სოფლელიც იჯდა. ყველანი თუთუნს შეექცეოდნენ და მუსაიფობით ერთმანეთს ართობდნენ. წისქვილის სამივე ბორბალს ბრიალი გაჰქონდა.

ერთიც ვნახოთ, ზედ წამოადგა მათ ჩვენი თემა ბოჭოკია თავისი ნაბდის ქუდით და დაფხრეწილი ჩოხით.

მაძინია დღეს რაღაც განსაკუთრებით მხიარულ გუნებაზე იყო, და ცოდვა გამოცხადებული სჯობია, ამ გარეშე სოფლელების მოტანილი წითელი წვენიც საკმაოდ ეხვრიპა. კუდას ნახვა ძლიერ გაუხარდა შექეიფიანებულ მაძინიას და მაშინვე ოხუნჯობით მიეგება:

—თემას ვახლავარ, თემას, ჩემს თემას ოცდაათი ცხენოსანი კაცით და ამ ჩემი სტუმრებით. შენც და შენი ქუდიც დამიპატიჟებიხარ ღღეს, ისეთ ქაიანურს გასმევ, რომ...

კუდამ გარეშე სოფლელებს დინჯი თვალით შეხედა და მაძინიას უკმაყოფილოდ გადმოხედა. თითქო გულმა უგრძნო, რომ მაძინია საბეიროს არ ეტყოდა, და წისქვილშიაც შეიხედა.

— იქით ვის უყურებ, ჩვენზე უკეთესს იქ ვის ნახავ? მოხუცებულები წუთ-წუთს თვლიან, აბა როდის ჩამოვა წისქვილიო, და სხვა იქ დოლაბები და ტომრების მეტი არავინაა. ლამაზ ქალებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს იქ ადგილი არა აქვს, — მხიარულად დაილაპარაკა მაძინიამ.

კუდა შეწითლდა, გულში დაინანა: აქ ახლა რისთვის მოვედიო. და უკმაყოფილო თვალებით მაძინიას გადმოხედა.

— რას მებღვირები, არ მოდიან ოჯახდაქცეულები ჩემთან, მე რა ბრალი მაქვს. ა, თემაია, სული ნუ წაგიწყდება, ის როგორ იყო, გვიმრონ-გვიმრონით, ღობე-ღობე მოფარებით რომ ეპარებოდი ნიკოიას სახლს?

— დაიკარგე იქით, — გააწყვეტინა კუდამ და გაფითრდა.

— ჰო, ახლა გაიოცე, რაღა! რას მალავ, შვილო. ქვეყანამ იცის, შუბი პარკში არ დაიმალებაო, ხომ გაგიგონია და მაგისთანა საქმე, ხომ იცი, ისე, თავისით დაიძახებს... ა... სული ნუ წაგიწყდება, მოაკვარაჭინე საქმე, ა... თუკი გერგო, ბეჩა, გემრიელი ლუკმა. ჩვენი ხელი კაცის საქმე, ხომ იცი, ნაბოლარაა, სუკები თუ არ გერგო, კანჭებს მაინც მოებღაუჭე, ხი, ხი, ხი, ხი, ხა, ხა, ხა, ხა, — გულიანად გადიხარხარა მაძინიამ.

— რეებს ამბობ, მაძინია! ამბავი რომ არ იცის, იმისთანა კაცებს მართალი ეგონებათ, — დინჯად მიუგო თემამ და შეეცადა მტკიცე და შეუპოვარი გამომეტყველება მიეღო.

— ჰაი, ჩემო თემა, რას მეუბნები. წისქვილში კაცი შევიდეს და ამბავი არ იცოდეს, ვის გაუგონია! ძუკუს ამბავი ვინ არ იცის?

— მძებრაძეზე არ ამბობ, ბასილის შვილზე? — გაერია ერთი სოფლელი, — მართალია, ვიღაც თოხიტარიას ქალს ირთავსო?

— აა... აი... შენდაო და ბატონო და თომა ბერაია! — ხელების ტკაცუნით მიაძახა მაძინიამ. — შენ კი კვირობდი და აგერ ამ კაცს ქე სცოდნია. ეს რა დასამალავია. იწერს თუ არა ჯვარს, რა მოგახსენო, ჩემო ბატონო, — მიუბრუნდა მაძინია გარეშე სოფლელს. — ძუკუ სულ სტამბოლისკენ იწერს პირჯვარს, და ეს ბატონი კი,—მიუთითა კუდაზე, — გახლავთ თემა ბოჭოკია, დახელოვნებული მაშვალი.

ვინიცობაა, რძალი გინდა მოიყვანო, ან შეიძლება თანამეცხედრემ, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ადრე მიგატოვოთ და საიქიოს გეახლოთ, — რა ვქნათ, ყველანი ხომ ადამიანები ვართ, — აქ მობრძანდით, ბატონებო, და აი, აგერ გახლავთ თემა ბოჭოკია, „ღლამის“ მაშვალი. ძუკუს თოხიტარიას ქალთან ეს ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ საქმეს. მაღალ-მაღალი კაცი არაა, თქვენი ბედნიერი თვალითაც ხომ ხედავთ და გვიმრა-ბაბნარში არ უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ, ხომ იცით, ეწერი, კეტეხი მიწა გვიმრასაც ვერა ზრდის რიგიანად და ჩვენს თემასაც თავი გამოუჩნდა, თოხიტარიას სახლს რომ ეპარებოდა, მერე კუდიც გამოჩნდა, თუ რისთვის ეპარებოდა ნიკოიას სახლს, და მერე ხომ იგი ცოდვილი ქვეყნის ამბავს დაახვევს და დაახვევს. ფირფიტაზე, აბრეშუმის ძაფივით და გაბამს აქეთ-იქით. აი თქვენც შეგიტყვიათ, ჩემო ბატონებო. ა, თემაია, თუ დააძეხი, ქე მაინც რიგიანად, ძუკუ გვარიანი უხვია.

— ფუი, რანაირებს ბედავ შენ დღეს, ვერ გამიგია, — წყენით თქვა კუდამ, ერთიც დააფურთხა და მათ გაშორდა.

— მაგისთანა თარნაკი ყაზახი ამ სოფელში არ ურევია, — უთხრა მაძინიამ გარეშე სოფლელებს, როცა თემა მათ მოშორდა. — ამასთან მეტისმეტი ზარმაცი. და წვრილმანი ქურდია.

— რაც არის ის გოგო, კაი კაციზა ქე მიურიგებია, — შენიშნა ერთმა.

მაძინიამ გაკვირვებით შეხედა, თითქო ეუბნება: ნუთუ მაგეთი თხელი ჭკუის კაცი ხარო, და მერე უპასუხა:

— ისე გაურიგდა მაგას თავისი სალოცავი, იმან რომ ის რიგიანად გაარიგოს. ტყუილ-უბრალოდ საბრალო გოგოს, მერე როგორ გოგოს, ყაზახის პირობაზე, დედოფლად ვარგა, იმისთანა გოგოს სახელს გაუტეხს და ნიკოიასაც ოჯახს აურევს. მერე როდის, როცა გამოკეთდა ყაზახი, შვილები დაეზარდა. ერთი შვილი ისეთი ჰყავს, თავადიშვილს სჯობია, ყოველმხრივ ჩინებული ყმაწვილია.

— ის, ამას წინეთ რომ სიმინდს ყიდულობდა? ვიცი, — შენიშნა ერთმა.

— ჰო, ის, და, აჰა, შეუჩნდა მაგის ოჯახს ამისთანა ქვეყნის მოძულებული კაცი და ერია-მორიას აყენებს მის სახლში. ჯერ არაა სოფელს რიგიანად მოდებული ჭორი, თორემ როცა ძმები შეიტყობენ, იმ უბედურს ჩოგანზე ჩამოაცვამენ. მაგრამ ეს დიდი მამაძაღლია, თავს მოიკატუნებს და გამოძვრება. ბასილი კი, ვიცი, გაილანძღება.

— ეს თუგინდ ასეა, მაგრამ... — თქვა ერთმა უცხო სოფლელმა,

რომელიც სულ ჩუმად იჯდა, — ეს ქალებიც რათ ენდობიან ასეთ კაცებს, რათ თანხმდებიან.

— ეხ, ისე ლაპარაკობ, თითქო ორი წლიდან საერმეს მონასტერში იყო გაზრდილი და ქალები თავის დღეში არ გენახოს, — დამცინავი კილოთი გააწყვეტინა მაძინიამ. — ადამიანის ბუნება არ იცი? ავს და კარგს ვინ არ არჩევს, მაგრამ რამდენი ჩადის უბედურ საქმეებს. რამდენი მე ჩამიდენია. იმიტომ კი არა, რომ ავს კარგისაგან არ ვარჩევდი... ქალის ჭკუა ხომ იცი. რასაც ეტყვი, დაიჯერებს. დარწმუნებულიც რომ იყოს, ატყუებ, მაინც სუსტია, გეთანხმება. ის, მე ვიცი, როგორ იქნებოდა: ეს ეშმაკი შეუძვრებოდა. ასე-ისეაო, ეტყოდა. რას ამბობ, მძებრაძეს უყვარხარო, ცოლად შეგირთავსო. შენი გულისათვის თავს იკლავსო. ძუკუ გაუმეორებდა და დაარწმუნებდა. რას დაეძებს, რა ზარალში შევა. გულს მოიჯერებს და მიატოვებს, თითქო აქ არაფერიაო. განა მაგისთანებს ცოტას ჩადიან? ახლანდელ მოარშიყეს ვაშლის ხორცი უნდა. გარშემო გაკმინჩავს და გულს ტალახისაკენ ისვრის. მაძინიას მაგეთები არ გამოეპარება, ჰაი გიდი!

— ვო, გოძია, როგორ ვიყურებით, არ ვიცი. წავიდეთ, ხარებს რამე ბალახი მოვუჭრათ ფალაგეში, თორემ ცოდვაა, დღეს სულ დაბმულები არიან, — დამთქნარებით უთხრა ერთმა გლეხმა მეორეს.

— აჰა, ჰაია! — მიაძახა მეორემ და გაიზმორა, — წავიდეთ, წავიდეთ, კი, კი, კისერიც მოტეხია, მაგათი არშიყობა კი არა, რამდენი მიჭირს, ჩემი ცოდვა, ერთი მტევანი რა არის, ჯერ არ მომიკრეფია, კალათები მთელი არა მაქვს. სიმინდიც კარზე მომდგარია და ბიჭებიც უქეიფოდ მყავს, ვოვა, ჩემი ცოდვა, თუ ავად გამიხთა, — დაღონებულად ამბობდა გლეხი და ფალაგესაკენ ხარების საძოვრის საშოვნად მიჩანჩალებდა.

• • •

მაძინიას მოურიდებელმა, პირდაპირმა სიტყვებმა კუდას დავთარი დაუბნიეს. ამ ჭორს სხვაგანაც მოჰკრა ყური, მაგრამ ასე მოურიდებლად, როგორც მაძინიამ პირში მიახალა, რასაკვირველია, არავის გაუბედნია. „შეხედეთ? გარეშე სოფლელებსაც გაუგიათ. ბასილმა ან ნიკოიამ რომ შეიტყოს, ერთი ალიაქოთი დატრიალდება“, გაიფიქრა კუდამ. სული ყელში მოებჯინა, მზად იყო, მაძინიას ხორცი შეეწვა და შეეჭამა, მაგრამ თვითონ ვერაფერს გაუბედავდა. „ეს ტრიკი, ეს ბუში, ეს ღორის გაგდებული, ესა, ამასაა, რაც ქვეყანაზე გაუვრცელებია, ამ ენაწავარდნილს, ამასა“, — იგინებოდა კუდა და გაჩქარებული მიდიოდა ძუკუ მძებრაძის საძებნელად.

ძუკუ მძებრაძე დუქნებისაკენ ეგულებოდა და მართლაც იქ დაუხვდა. ხუთიოდ სხვა მოცლილ კაცთან დუქნის აივანზე იჯდა და ლაზღანდარობდა. თუ ვინმე ქალი ახლო გაივლიდა, ან დუქანში რასმე საყიდლად შემოვიდოდა, ხომ ყველანი შეცვივდებოდნენ და რიგორმე გამოელაპარაკებოდნენ. კარგი ღირსების საქონლის არჩევაზე თავიანთი სამსახურის გაწევას შეჰპირდებოდნენ, შინაურების ამბავს ჰკითხავდნენ, ან სხვა რასმე მოიმიზეზებდნენ და თან თვალით. და ტუჩებით ათასნაირად ეარშიყებოდნენ. როცა კი წავიდოდა დუქნიდან, მის სახელზე ხომ ხუმრობასა და უწმაწურ სიტყვებს ანგარიში არა ჰქონდა.

თემამ რაკი ძუკუ სხვებთან ნახა, დუქანში არ შევიდა, მხოლოდ საერთოდ ყველას გამარჯობა უთხრა, ძუკუს მხოლოდ შეხედა და ამ შეხედვით გააგებინა, რომ უკან გამოჰყოლოდა. ძუკუ მიხვდა, მაგრამ მაშინვე არ გაყვა, რომ რამე ეჭვი არ აეღოთ, თუმცა დანარჩენებს ეს შეხედვა არ გამოეპარათ და ერთმანეთს სიცილით გადახედეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ძუკუ წამოდგა და, ვითომ ჩქონისკენ ცხენის სანახავად მიმავალმა, თემა რომ წავიდა მის მოპირდაპირე მხრისკენ გაემართა. დუქნის წინ ფართო ყანას მოუარა და შეეფეთა თემას, რომელიც ყანის ბოლოს უცდიდა. თემას აღელვებულ სახეზე ძუკუ მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც უსიამოვნება უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაინც მიეალერსა:

— რამ მოგაწყინა, თემა, ცუდი ხომ არა არის რა?

— ამას, მოვკვდე, რავა არ მირჩევნია, მაგ გაგდებული, მაგ ნაბუშელა, მაგ განაყიდი, — ბრაზით მიუგო კუდამ.

— რომელი?! ვინ?! — გაოცებით ჰკითხა ძუკუმ.

— კაცო, ვინმემ მომკლას, ყელი გამომჭრას, როგორ არ მირჩევნია! რა კარგად მიმყავდა საქმე... და რაც ჭორები დაითესა, სულ მაძინია მაზაკვალის საქმე ყოფილა. მაგასაა, ჩვენთვის რომ ხის დანით ყელი გამოუჭრია, მაგ ღობის კიდეზე მიგდებულს, მაგასა. გარეშე სოფლელებთან მომადგა დღეს და ქვეყანაში გამოგრეცხა შენც და მე ხომ, რა სათქმელია: გაარიგე მძებრაძე და თოხიტარია თუ არაო. არიქა, ეცადე კარგად დააძეხიო. გარეშენი და უცნობი კაცები რომ არ ყოფილიყვნენ... მაგრამ, რა მექნა, — კბილების კაწკაწით დაუმატა ბრაზმორეულმა თემამ.

ძუკუ გაფითრდა და ულვაშების გრეხა დაიწყო.

—მაშ, იმასაა ჩემთვის საქვეყნოდ რომ ყელი გამოუჭრია!—რიხიანად დაიძახა ძუკუმ და სახეზე ალმური აედინა. — მე მართლა მისგ ტოლი ვყოფილვარ, მაგ ვირის გაგდებულის, თუ მაგას კბილები

არ ჩავამტვრიე. მაგას ჩემს საქმეს ვინ ეკითხებოდა! ჩემს მედიატორად ვინ დააყენა! დამაცადოს, და ვასწავლი, თუ ძუკუ ვარ, როგორ უნდა მიჭორ-მოჭორვა. — ულვაში ისევ ძალზე ჩაიგრიხა, ხანჯლის პირი ქარქაშიდან რამდენჯერმე ამოსწია და ისევ ჩაატკაცუნა.

— შენ წადი ერთი, — მიუბრუნდა თემას, — ჩქონში ცხენი დამითვალიერე. ბაწრით დატოულებულია. ნახე, ხომ არ დახლართულა, საბალახოც გამოუცვალე და მე გაყურებინებ მაგ ყურუმსაღის სეირს. ვაჩვენებ მაგას, როგორ უნდა მოჭორვა, — ღირსებით დაუმატა ძუკუმ და წისქვილისაკენ გაემართა.

საღამო ჟამი იყო. გარეშე სოფლელებმა ბახვიამ და გოძიამ ხარებს ბალახი მოუტანეს და წისქვილის უკან დაუყარეს. თვითონ მაძინიასთან ერთად, წისქვილის გვერდით, წყლის პირად, ამაღლებულ ადგილზე ჩამოსხდნენ და ჩიბუხს ეწეოდნენ, ტკბილად მუსაიფობდნენ. მათი სიმინდი იფქვებოდა და საცაა ჩამოილეოდა.

ძუკუ მძებრაძემ ბევრი არ დააყოვნა. ცალი ხელი ხანჯალზე დაედო და ჩუმი სიმღერით მოღიღინებდა. ისე მოდიოდა, თითქოს წისქვილისკენ არც კი უნდა შეიხედოს, ჩქარა უნდა გაიაროს ეს ადგილიო. მათ რომ დაუპირდაპირდა, ერთი შეჩერდა, თითქო არ იცის, როგორ მოიქცესო, გამობრუნდა და მათკენ გაემართა. მაძინიამაც და დანარჩენებმაც ზეზე ადგომა ვერ მოასწრეს, რომ ძუკუ მათ წინ იდგა. გამარჯობა თქვენიო!—როგორც იყო უშნოდ მიაძახა მათ და მაძინიას წინ გაჩერდა. სახეზე სიბრაზე ეტყობოდა, მაგრამ ცდილობდა თავი ჩვეულებრივ გულგრილად მოეჩვენებინა.

— შენ ხარ, მაძინია, ჩემზე რომ უწმაწურ ჭორებს ავრცელებ სოფლებში? — მწარე ღიმილით დაეკითხა ძუკუ და თვალი დაუბრიალა. მაძინია მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და გაფითრდა, მაგრამ სულის სიძლიერე მაინც არ დაჰკარგა და რაც შეიძლებოდა ლმობიერად მიუგო:

— ვინ მოგახსენა, ძუკუ, მაგეთები, შენზე მე რო...

ამ დროს ერთი იმავე სოფლელი გლეხი, ზურგზე ტომარააკიდებული წისქვილში შედიოდა, მათ აყალმაყალზე შეჩერდა და ყურება დაუწყო.

— კიდევ თავს იმართლებს, ეს ტრიკი, ესა, — დაიჭყივლა ძუკუმ. ერთი ხანჯლის ტარზე ხელი წაივლო, მაგრამ ისევ საჩქაროდ გაუშვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ჰკრა ქუსლი მაძინიას კანპებში.

მაძინია წაბორძიკდა, საუბედუროდ, წისქვილის თხრილის ციცაბოზე იდგა. წინ გადაიხარა, მაგრამ ჯეელი ყმაწვილის ღონიერმა შე-

მოკრულმა წიხლმა უკან დასძრა, ხელის მოსავლებელი, ჰაერის გარდა, სიახლოვეს არაფერი იყო, თავი ვეღარ შეიმაგრა და წისქვილის წყალში შვლეპა მოადინა.

ძუკუს ეტყობოდა, მაშინვე ეწყინა. ეს მეტი მომივიდა, — გაუელვა თავში,—ხომ არ მოვკალი ოჯახდაქცეულიო, და ერთიც წყალში ჩაიხედა და რაკი დაინახა, რომ მაძინია, წყალში ამოწუმპული, შიგ სასაცილოდ ფორთოხობდა და ამოსასვლელად თხრილის კიდეს ებღაუჭებოდა, შებრუნდა და ნელ-ნელა გზას გაუდგა.

ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ გარეშე სოფლელებმა ჰაიტის თქმაც ვერ მოასწრეს. თვით მაძინიაც არ მოელოდა ძუკუსაგან ამნაირ ქცევას და თავის მხრივ არავითარი თავის დასაფარავი ზომები არ მიუღია. ტომრიანმა ტომარა იქვე დააგდო და საჩქაროდ მიიჭრა, მაგრამ გვიანი იყო, სამნივე მიეშველენ და მაძინია წყლიდან ამოიყვანეს. ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, შუბლიც ერთ ალაგას ქვას გაეფხაჭნა და იქიდან მომდინარე სისხლი ცხვირის სისხლს უერთდებოდა და წყალშერეული წვერიდან ახალუხზე მოწკანწკარებდა.

მაძინიამ, როგორც შეეძლო, საჩქაროდ, ზოგი ხელით, ზოგიც სახელოთი სისხლი მოიხოცა, სახეზე ხელი მოისვა, წისქვილში შევარდა და თოფი გამოარბენინა. ესღა შერჩენოდა ძველი დროებიდან, წისქვილშიაც ყოფილიყო ერთი-ორი კაცი. ყველანი მიცვივდნენ, თოფი წაართვეს და დაიჭირეს. ძუკუმ კი სიმინდებში შეირბინა.

— ეს მქონდეს მე, მოგიკვდეს მაძინია, თუ მაგიერი ტაბაკი წინ არ დაგიდგას, შე მესოფლიე ძაღლო, შენა, შე გაფუჭებულო!—ბრაზით ამბობდა მაძინია.—ვიცი, მე ეს ვინ მიქნა... ჰაი, შე დამშეულო, კუდავ, შენა, — ბევრი რამის თქმით იჯერა გული საბრალო მაძინიამ, მაგრამ რას გააწყობდა, მომხდარ საქმეს უკან ვერ მოაბრუნებდა.

ნავახშმევი იქნებოდა, როცა სიმინდის ფქვილით დატვირთული ურემი ნელ-ნელა მიჭრიჭინებდა ჭყონონის ბოლოს, სათემო გზაზე. ერთი გლეხი წინ მიუძღოდა, მეორე გვერდით მისდევდა.

— აა.... ბახვაია, რა თვალის სეირი ვნახეთ დღეს, — სიცილით თქვა ურმის გვერდით მიმავალმა და კვესი ტალს მაგრად ჩამოჰკრა. კბილებით ყალიონის ტარი ეჭირა და ამიტომ კაწკაწით ლაპარაკობდა.

— არ უნდა იყო, გოძია, კაცი მეტიჩარა, — დარიგების კილოთი მიუგო წინ მიმავალმა. — რას გრჯის სხვისი საქმე, არშიყობს, არიგებს, თუ რაცხას შობა... ეხ, ნეტავ ბიჭი ავად არ გამიხდებოდეს და...

— არა, ბახვა, სიტყვის თქმისათვის თუ ასე მოექცნენ კაცს, ქვეყანაზე არ დაიდგომილება. ჭორი რაა... ქვეყანა ამბობდა. ჩვენ,

გარეშე სოფლელებმაც კი ვიცოდით. მეწისქვილეს რა ბრალი ჰქონდა. — გოძიამ კვესი ისევ ჩამოკრა, აბედს მოუკიდა და ჩიბუხს დაადო.

— არ შევიდა ი კაცი ამდენ სჯაში, — ნიშნისმოგებით მიუგო ბახვამ. — ეს მძებრაძეები მაინც გასაწყვეტი ხალხია... არიქა, გოძია, კოფოზე ხელი მაგრა მოკიდე, აქ, მგონია, გზა გაფუჭებულია, ურემი არ გადაგვიბრუნდეს, ხიი...ლომა...აი, თავს როგორ აკანტურებ... შე მგლის თავო,—შეუტია ხარს,—მაინც რა ბნელი ღამეა, ეს დასაქცევი!

გზა მართლა დაღმართი იყო და ერთ მხარეს მოგვეერდო. გოძია ურმის კოფოს მოებღაუჭა, რომ ურემი არ გადაბრუნებულიყო. ხარები დაღმართში გაიქცნენ, გოძიაც მირბოდა და ძაგძაგით ამბობდა.

— ეს... საქმე... მე მითქვამს, ასე არ გათავდება... ყველაფერი ბანძლი რომ მაგ ქალებს აყვება ხოლმე.

— დაიქცეს მაგათი ოჯახი, ერთმანეთისათვის თავპირი ჩაემტვრიათ, მე ძვირად დამიჯდება, წრეულსაც თუ შარშანდელივით აიღო ნადელი ნაბატონარის ვექილმა, შენი მტერი, ცოლ-შვილი შიმშილით დამეხოცება, — დარდობდა გოძია.

გზა ისევ გასწორდა. ხარები ნელა მიდიოდნენ. ურემი ჭრიჭინებდა და გლეხებიც ტკბილად მუსაიფობდნენ. უანგარიშო ვარსკვლავები მათ ზევიდან დაჰყურებდა, გარშემო უკუნი სიბნელე იყო.

XL

ძუკუ მძებრაძისაგან მაძინიას გალახვის ამბავი ქარივით მოეფინა არემარეს. დიდი თუ პატარა ამაზე ბჭობდა და თათბირობდა. თავი მიზეზი, რაც იყო, ყველამ იცოდა. ძუკუ და გაიანეს ამბავი ახლა აშკარა იყო.

მაძინიამ, რაკი ცოტად გული მოუგრილდა, საჩქაროდ შეადგინა სამოქმედო გეგმა, ძუკუსთვის სამაგიერო როგორ გადაეხადა, მაგრამ ის, როგორც გამოცდილი კაცი, არ ჩქარობდა. თავის თავს აღთქმა მისცა, რომ სანამ ცოცხალი იქნება, პირდაპირ იქნება თუ ალმაცერად, სულ მუდამ ძუკუ მძებრაძის დაბრკოლებას ეცდება. ამ გეგმაში საპატიო ადგილი ეჭირა ნიკოიას და ბასილის ოჯახების ერთმანეთში გადაკიდებას, რაც არსებულ პირობათა მეოხებით ადვილი საქმე იყო.

„ჭორი თუ გინდა, ახლა მიყურე, შე არამზადა, შენა," — ამბობდა გულში მაძინია და მართლაც, ისე ოსტატურად, ახალშემატებული გლეხის, თოხიტარიას თავმოყვარეობის შემლახველად იმდენად დახლართა საქმე, რომ სულ მოკლე დროში მძებრაძე და თოხიტარია მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ. შორსმჭვრეტელმა მაძინიამ კი

თვითონ არათუ რამე მტრობა დაიჭირა ბასილთან, პირიქით, მაშინვე შეურიგდა.

მართალი უნდა ვთქვათ, ბასილიც კეთილშობილურად და პატიოსნად მოიქცა მაძინიასთან. მან ერთი საათის შემდეგ შეიტყო ეს ამბავი და მეტად გაჯავრდა. მაშინვე ძუკუ მოიკითხა, მაგრამ ის შინ აღარ აღმოჩნდა.

— ამას სიკვდილი როგორ არ მირჩევნია!—ყვიროდა ბასილი. — პატარაობიდან ჩვენ სახლში შვილივით გაზრდილი, ყველას პატივისმცემელი და მოყვარული კაცი, ხანში შესული, გუშინდელმა ბაყაყმა ასე უნდა შეურაცხყოს? ქვეყანა გაიგებს, საზოგადოებაში ყელი გამოგვეჭრება. რატომ არ დაიქცა ის დღე, როცა ის დამებადა.

— შენი დაბადების დღე რატომ არ დაიქცა, იმას რა ბრალი აქვს. — მიუგო თავის მხრივ გაბრაზებულადვე მარიკამ.

— ესეც რომ ხმას იღებს, ესეც რომ ლაპარაკობს! — შეუტია ბასილმა. — ეს უსირცხვილო, ესა.

— უსირცხვილოც ხარ და უსინდისოც! — გაცხარდა მარიკა.

— ეჰ, უფალო, რომ გასწირავ კაცს, სულ გასწირავ. რა ჭრელ გველთან, რა ვეშაპთან მარგუნე ცხოვრება და მერე რა ქაჯი გამიჩინე, ნეტავ რა შეგცოდე? — გულხელდაკრეფით, თავის ოდნავ დაბლა დაწევით წარმოთქვა ბასილმა.

— გველი შენ მოგეხვია და ქაჯიც,—აკაპასდა მარიკა. — ვიღაც ბუში და მამაძაღლი ერთადერთ შვილზე სოფელში საძაგელ ჭორებს გივრცელებს: ბასილის შვილი ნიკოია თოხიტარიას შვილს ირთავსო, ღმერთო, მომკალი. ყური ყველაფერს გაიგონებს, დიდოუ, დიდოუ, დიდოუ, ჯვარი აქაურობას, — დაიწუწუნა მარიკამ, — რატომ შენი სიგრძე სამარე არ გაგისკდება, რატომ ცოცხლად არ დაიმარხები, რომ შენ შვილზე ასეთ ჭორებს გივრცელებს ვიღაც ოხერი, საწყალმა ბიჭმა, კეთილშობილის სისხლიდან, ცოტა ჭკუა რომ დაასწავლა ენაწაგდებულ ყაზახს, ეს კი გამომდგარა და მაგას სწყევლის.

— აი, მე აქ, — დამშვიდებით მიუგო ბასილმა და მარცხენა ულვაში ნელა გადაიგრიხა და ერთიც სწორედ უხერხული სიტყვაც დაუმატა, — თუ თოხიტარიამაც მისცა მაგას ქალი, იმასაც გაიგებ, მე ეს მომპარსე, იმან თუ თავის ლოგინზე სული დალიოს.

— შენი, შენი, შენი სული დაილიოს, — ნიშნისმოგებით მიუგო მარიკამ.

ბასილს მოთმინება დაეკარგა, ერთთავად იგრიალა და თვალებანთებული ცოლისკენ გაექანა.

ამ დროს ტასია, რომელიც დაფიქრებული და მოწყენილი მაო

შეპყურებდა, გამოექანა და ბაბა, ბაბას ძახილით. მამას კისერზე ჩაბოეკიდა, მარიკამაც ამჯობინა ხმა ჩაეკმინდა და სამზარეულო სახლისაკენ წავიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბასილ მძებრაძე, გრძელი ჯოხით ხელში, წისქვილისაკენ მიდიოდა.

დამშვიდებული მაძინია ახლა კერასთან მოწყვეტილი იჯდა. შუბლზე სისხლის კვალი ეტყობოდა, ტანისამოსიც ჯერ სველი ჰქონდა. წისქვილში ერთი მოხუცებული და ერთიც ასე რვა-ცხრა წლის ყმაწვილიც იყო.

კერაზე ფიჩხი ეფარა, თანაც გვარიანად ანათებდა და მაძინიასაც ახალუხის სველ კალთებს უშრობდა. ბასილ მძებრაძე მათ მოულოდნელად თავს წამოადგა.

— შვილო, მაძინია, შენ ჩემი საკუთარი შვილის მსგავსი ხარ. ჩემს ოჯახში გაზრდილი. ჩემი შვილი ძუკუ გიყია, ბაბა, მე შვილი არა მყავს. უფესვოდ ვარ გადავარდნილი. რას გერჩოდა მაგ ვადარეული, მაგი სათოკე, თავის სიჩურჩუტეს შენ გაბრალებდა? — ალერსით შემოილაპარაკა ბასილმა. მაძინია თავდაღუნული წამოდგა, ერთიც ბასილს შეხედა და ღაპაღუპით ცრემლი წამოუვიდა.

— მე... — ქვითინით თქვა მაძინიამ, — თქვენი ოჯახიდან ღირსი არ ვიყავი, მეგონა, ასეთი პატივისცემისა, მაგრამ, მადლობა ღმერთს... შენი ოჯახიდან რატომ დამემართა, თორემ სხვისგან იმდენი საწყენად არ დამირჩებოდა.

— მეც მაგას ვწუხვარ, შვილო, მეც იმასაა, რომ ვნაღვლობ. თავსლაფი მაგას დავასხი, აკი გეუბნები, უშვილოდ ვარ ამოვარდნილი-მეთქი, — ბასილს ხმა უკანკალებდა.

— ეხ, ბატონო, ერთგულ ძაღლს ყოველთვის მოხვედრია ტუკი და მეც ისე დამემართა, რა ვუყოთ. ეს ძუკუს არ უქნია ჩემთვის. ვინც მიქნა, იმას თუ გავეცი როდისმე პასუხი, მე ვიქნები, და თუ არა, ოხრად და ნავრად დარჩა ჩემი საქმე, როგორც დარჩენილიცაა. — გვარიან რიხიანად ჩაილაპარაკა მაძინიამ და სოველი ახალუხის კალთა ცეცხლს მიუშვირა.

—შვილო. მაძინია, დარწმუნებული უნდა გქონდეს გული, რომ მე შენთვის ტუკის დარტყმა თავის დღეში გულში არ გამივლია. აპა, ბაბაია, — ბასილმა წვერზე ხელი მოისვა, — მეც და შენც, ორივენი დავბერდით და თუ ღმერთი გწამს, აბა, ერთხელ მაინც, აბა, გაიხსენე. დარტყმა იქით იყოს, შენთვის ცუდი სიტყვა თუ როდისმე მითქვამს?

— ბასილი არ მომიკვდეს, იმის მეტი, მეც არ მიქნია შენთვის და შენი ოჯახისათვის ცუდი. ჩემი თქმა რათ გინდა, თვითონც ხომ

კარგად იცი, ძალ-ღონე შემწევდა, თქვენს სამსახურში დამილევია. გაცრეებული და გაფუჭებული მეკვერცხე კუდა დაცუდლუტობდა. ბოლოს სოფელმა სოფელმა ეიტყო. აქ მილეთის ხალხი მოდის და ყველანი ამბობდნენ და რასაც საჯაროდ ყველანი ამბობდნენ, მეც გავიგონე. რა ჩემი ბრალი იყო.

— კარგი, ბაბაგელ, — ლმობიერად წარმოთქვა ბასილმა, — შენი გული დარწმუნებული უნდა იყოს, რამდენად მწყენია მე ეს ამბავი და კუდას რაც შეეხება, მაგისთანა დაღუპულ კაცზე ლაპარაკი ღირს. განა? ვაი, ჩემი ბრალი, იმ დღესაც მოვესწარი, რომ ჩემი შვილი თემა ბოლოკოს რჩევით დადის!

ცოტ-ცოტად ორივენი დამშვიდდნენ, ბასილი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ბუსუფი გაბეს დღიურ ვარაზზე, მოსავალზე, წისქვილზე და სრულიად მორიგებულნი ერთმანეთს განშორდნენ.

— ეს ჩინებულად ვქენი, — ფიქრობდა გზა-გზა ბასილი. — ახლავე რომ წყალი დავასხი საქმეს, თორემ ასე გასალახავად ვინ მოგცა, ჩემო ბატონო, ახლანდელ დროებაში ქვეყანა. სახუცესობა ნუკი გვონია. ცალონის ძალით, სუდის წესით თუ მოგექცნენ, სამ თვეს ნალბახჩაში ამოგაყოფინებენ თავს. ცალკე სირცხვილი და ცალკე ხარჯი და დავიდარაბა ამ ქესატ დროში სახუმაროა?

— ვა... აჰა, ჰაა, — ნაღვლიანად ამოიოხრა მაძინიამ, როცა თითქმის ნაშუადამევს ჯერ კიდევ კარგად გაუმშრალი ახალუხი გაიხადა და ფასაძინებლად მოემზადა. — აჰა-ჰაია, ამოსაწყვეტია თქვენი გვარი, მაგრამ, ღვთის იმედით, ქე ადგია ამოსაწყვეტ გზას. პირში ელაქუცებით კაცს და საქმით ხორცსა სჭამთ. დამაცა, თუ ვიცოცხლე, ერთი-ორი წელიწადი, თქვენს საწყენს· როგორ ვერ მოვაგვარებ რასმე, რა ვიცი. ოჰო, შე წუწკო, შენა, — ბრაზით წარმოთქვა მაძინიამ და კუდას სახელზე მყრალი გინება დაუმატა.

მეორე დღეს, ნასადილევს, ასე დაუქმება დროზე, მაძინია თვითონ მივიდა ბასილის სასახლეში. ბასილს მისი მისვლა ძლიერ გაეხარდა. თითქმის მარიკასაც სასიამოვნოდ დაურჩა, რადგან ცოტა ეშინოდა კიდეც ვაითუ უჩივლოს, ან ძველი დრო გაიხსენოს, სადმე დაუდარაჯოს, თოფი ესროლოსო და შვილი რამე უბედურობაში გამიხვიოსო. მარიკა კარგად იცნობდა მაძინიას. გულში მარიკა გუშინდელი მოქმედებისათვის ქმრის ძლიერ მადლობელი იყო.

— რა იყო, შვილო? — ვითომდა გულნატკენად მიაძახა მარიკამ. — ღმერთო, მომკალი, სირცხვილი არ არის? ჩემს შვილს და შენ ერთმანეთთან აყალმაყალი მოგდიოდეთ? ღმერთო, მომკალი. სირცხვილია, იქით, ჯვარი აქაურობას, წართი! ისე მიცოცხლა-ჩემი ორივე

შვილები, პირველად რომ გავიგონე, გულში ზაფრასავით მეცა. მაშინათვე მივხვდი, რომ ეს, ალბათ, ვიღაცას ჩანალაპარაკევია, თორე ძუკუ? ისე მიცოცხლა მისი თავი და ისე მისი წითელი გვირგვინი დედამისს ენახოს, რომ ათასჯერ უთქვამს ჩემთვის: ნანა, მაძინიას რამე გაუგზავნე, ცოდვაა, ჩვენს ოჯახში გაზრდილიაო.

ეს ბოლო სიტყვები მარიკამ შეეცადა, რაც შეიძლებოდა, ბუნებრივი ხმით ეთქვა... *

— რაც იმან შენზე მითხრა, ტყუილი რა საჭიროა, მოთმინებიდან გამოვედი და იქ რომ წისქვილის გარეთ არ დამენახე, შიგ არ შემოვიდოდი და ერთი საათის შემდეგ კიდეც დამავიწყდებოდა, მაგრამ იმ გარეშე სოფლელებთან რომ დაგინახე, ისე მომეჩვენა, თითქო იმათაც ჩემს ამბავს ეუბნებოდი და სიფიცხემ წამძლია, — თავს იმართლებდა ძუკუ. — მერე მეც მეწყინა, მაგრამ რაღა დროის იყოო.

მაძინია ნელ-ნელა აყვა, ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა: ძუკუმაც გული აიხადა, ახალი შერიგების გავლენის ქვეშ, და დედამამის ჩუმად, ყველაფერი უამბო, და ისიც, თუ როგორ მოემწყვდა ხულაში შაბათ ღამეს.

იმ ღამეს მაძინია უვახშმოდ არ გაუშვეს. კარგად გამოეუჟეს ღვინით და ერთი სავსე დოქი იქითაც გაატანეს.

— აჰა-ჰაი? — იძახდა ძილის წინ მაძინია და ახალუხს იხდიდა. ახალუხი ახლა მშრალი იყო, სამაგიეროდ, ხახა კარგად ჰქონდა ჩასველებული. — აჰა-აჰაი, — დაიკრუსუნა და დაგლეჯილ საბანში გაგორდ-გამოგორდა: — მოგიკვდეს მაძინია, თუ იმან ვინმე თავის ზურგზე ათამაშოს. მოიცა, მძებრაძე, რა ჩვილი გული გქონია. მოიცა, ხარდანაძის ქალო. მაძინიას, შენ რომ ფიქრობ, ისე ვერ მოუბან პირს. შენ როცა სწავლობდი, მაძინია ნასწავლი უკან ბრუნდებოდა.

— როგორ არა, როგორ არა, — ხახუნობდა წისქვილის ქვა.

მაძინიამ მართლაც ცოტ-ცოტად შეუკეთა ფიჩხი მძებრაძესა და თოხიტარიას შუა გაჩენილ ალს, ჭორების აშკარად გამომქღავნების შემდეგ, და მოკლე დროში უშველებელი გრიგალი გააჩინა. ისე ოსტატურად კი, რომ თვითონ წყალწმინდად რჩებოდა. საქმე იმ ზომამდი აიწეწა, რომ უბრალო რამ მიზეზი კმაროდა, ნიკოიას შვილებს რომ ძუკუ მძებრაძესთვის ჩხუბი აეტეხათ და ამიტომ ყოველ შეკრებულებაში, პეტრე, ათანასე და მათი მომხრეები, ზოგი მოგვარე და ზოგიც მონათესავე, იარაღით და ჯოხებით მარაგად იყვნენ.

ძუკუ მძებრაძესაც არ ეძინა. თვითონაც ყოველგან და ყოველ-

* აქ ერთი გვერდი აკლია ხელნაწერს. — ს. ც.

თვის მომზადებული დადიოდა და ძმა-ბიჭებიც ყველგან მზადა ჰყავდა, ვინიცობაა, თოხიტარია ჩხუბს აუტეხდა.

ღვთის წინაშე, ბასილმა ქე მოინდომა ნიკოიასთან შერიგება, რომ ვთქვათ, არც კი წაჩხუბებულან, ე. ი. მოინდომა ვითომდა ჭორის უსაფუძვლობის გამორკვევა და შეიძლება კიდევაც რამე მოხერხებულიყო. მაგრამ მაძინიამ სათავეშივე ოსტატურად ჩაშალა და კიდევ უფრო ააფეთქა საქმე.

გიტინია თოხიტარიას და მის ოჯახობას. საქმის ასეთი მიმართულება არ მოსწონდათ და ამბის გამომჟღავნებას ერთმანეთს აბრალებდნენ.

— ქალზე რასაც იტყვიან, ყველაფერი მართალია, — ბრძანებდა გიტინია და თავის რძალს, ელისაბედს ესაყვედურებოდა. — მე რა ბრალი მაქვს, ბაბა, ქვეყანამ შეიტყო, ქვეყანას მე ხომ პირზე ხელს ვერ ავაფარებდი.

— მეც იმას ვწუხვარ, რომ ქვეყანამ შეიტყო, გამომჟღავნდა და ყველანი ფრთხილად და მარაგად არიან. მე მინდოდა, რომ... თუ შეიტყო ვინმემ, კიდევ ჩვენი ოჯახიდან შეიტყობდა.

— უსათუოდ ჩვენი ოჯახიდან, რატომ, ბაბა. მე არავისთვის არ მითქვამს. მხოლოდ ნათლიდედას გავანდე საიდუმლოდ და მახაზსაც ჩემი ძმისთვის ეთქვა საიდუმლოდ.

— ესე იგი, თემშარაზე დამდგარიყავი და გამვლელ-გამომვლელისათვის გეამბნა, უკეთესი იყო, საიდუმლო ერთი პირიდან მეორეში თუ გადავიდა, ის მერე რაღა საიდუმლოა.

ელისაბედი გაჩუმდა.

— აქ ელისაბედს იმდენი ბრალი არა აქვს, — ჩუმად შენიშნა იაკობამ, — ელისაბედმა შენ გაგანდო, ბაბა, და შენც რომ ვერ შეინახე საიდუმლო, — სიცილით დაუმატა მან.

— მე როგორ ვერ შევინახე, — იწყინა გიტინიამ.

— როგორ და ორივე ხელით. აკი იმავე დღეს. ჩვენ გვითხარი, შეშას რომ ვჭრიდით!

— მერე... თქვენ გითხარით, — აირია გიტინია.

— ო... იცოცხლე, ჩვენ. მერე სამ კაცს გვითხარი, თუკი სამმა და ხუთმა იცის, იქ საიდუმლო ვინ გაიგონა.

— აი. მისი რჯულიც... — არეულად წაიდუდუნა გიტინიამ და ცოტა ხანს დარცხვენილი დაფიქრდა. მერე შუბლზე ხელი მიიდო და თქვა: — გაუწყრა ღმერთი, ესეც ეყოფა. ქვეყანაზე თავი მოეჭრა. მთელი ჭყონონა დარწმუნებულია, რომ ძუკუ მძებრაძე გაიანეს ყვარობდა. ოჰო, ჰო, ჰო, ამოხდეს სული ნიკოიას. ახლა ვერცხლით მო-

ჰედილი ლაბაშა დაიჭიროს, მაღალყელიანი და ქუსლებიანი ჩექმა ჩაიცვას, წირვაზე ამობრძანდეს, თანაც თავისი კახპა გოგო წამოიყვანოს, სირცხვილი ახლა მაგისი! ერთ-ორ თვეს თვალს მაინც ვერ გააღებს საზოგადოებაში. მარა ეს რაღაა, — ხმადაშვებით გააგრძელა გიტინიამ, — ეს რას კმარა, მე უფრო მეტი მინდოდა. მე მინდოდა, რომ დაორსულებულიყო, ბუში მოენელებინა, სულ ყელი გამოეროდა ყოველ თემ-ჯარში, სულ თავლაფი დასხმოდა.

— ნუ გეშინია, არც ახლა და არც მაშინ აპელატებს შენ არავინ გამოგიგზავნიდა მაგის გულისათვის, — წყენით მიუგო იაკობამ.

XLI

შობა დღე გათენდა. როგორც ხშირად ჩვენს ქვეყანაში, ამ წელსაც ზამთარი სუსხიანი არ იყო, თითქმის თბილოდა. ამიტომ წირვაზე ქვეითმა და ცხენოსანმაც ბლომად მოიყარა თავი. ნაწირევეს. რადგან დარი ხელს უწყობდა, ცხენოსნები რამდენიმე ხნით ეკლესიის გვერდით მინდორზე სათამაშოდ გავიდნენ, რომ ცხენებისათვის, როგორც იტყვიან, მკერდი გაესინჯათ. პეტრე თოხიტარია, კარგად გამოწყობილი ახალ უნაგირიან მსუქან ცხენზე, ცოტა არ იყოს, ამაყად იჯდა და სხვებთან ერთად თამაშობაში მონაწილეობას იღებდა.

ქვეითი ქალი თუ კაცი ეკლესიის გალავანში იყვნენ მოგროვილნი და იქიდან თვალის სეირს უყურებდნენ.

ძუკუ მძებრაძე ახალ ნაყიდ ნახშირივით შავ და მაღალ-მაღალ ცხენზე იჯდა, და განსაკუთრებული ხალისით ვისაც არ გინდა, მკერდით ებრძოდა.

თოხიტარიასთან ამკარა წალაპარაკება ჯერ არ მოსვლია, მაგრამ ერთმანეთთან უკმაყოფილო რომ იყვნენ, მთელმა სოფელმა იცოდა და სოფელიც გულის ფანცქალით მოელოდა: დღეს თუ ხვალ უსათუოდ ერთმანეთს გაუსწორებენ ანგარიშსაო. ძუკუ ყოველ შემთხვევაში მარაგად იყო. შობის წინა დღეს მის სახლში მოვიდა თავადი მიხა ფარქანიძე, ჯერ სულ ახალგაზრდა ყმაწვილი (წვერ-ულვაში ძლივს ამოდიოდა), რაც სრულებით არ უშლიდა ჩხუბისა და აყალ-მაყალის ატეხაში ბადალი არა ჰყოლოდა. ახლა რომ ასეთია, ღმერთი არ დააცლის, თორემ ერთი ათი-თორმეტი წელიწადი თუ დასცალდა, მთელი მაზრა იძულებული იქნება სხვაგან გადასახლდესო, ამბობდა ხალხი არამზადა თავადიშვილზე. მიხა ფარქანიძე ჭყონნიდან კარგა მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ ძუკუს კარგი მეგობარი იყო და მისი მოსვლა ძუკუს მეტისმეტად გაუხარდა, მით უფრო, რომ ცოტად ყური გაეხვრიტა: თოხიტარია რაღაცას აპირებს და მზად იყავიო.

სამაგიეროდ, ბასილს სტუმრის მოსვლა ბევრი არ გახარებია, ეწყინა კიდეც. „ამის იმედით გათამამებული ძუკუ ალბათ ჩხუბს ასტეხს და ერთ ალიაქოთს დაატრიალებს“, — გაიფიქრა გამოცდილმა მოხუცმა. მაგრამ რას იზამდა. სტუმარს მაინც თეთრი კბილი უჩვენა და მხიარულად მიიპატიჟა. მიხა ფარქანიძე შობა დღეს ძუკუსთან ერთად წირვაზე წავიდა, თავით ფეხებამდე დაიარაღებული, ზარბაზნის გარდა არაფერი აკლდა.

თოხიტარიებიც არ იყვენ ცოტაოდენ მზადებაში, ვინიცობაა, შემთხვევა ხელს შეუწყობდა, ძუკუსთვის ჩხუბი აეტეხათ. პეტრეს ჰყავდა შეპირებული ამხანაგები და ქვეითებში ხომ სალაპარაკო არაა, მისი ძმა ათანასედან დაწყებული მაგარი ჯოხებით შეიარაღებულნი გულის ფანცქალით მოელოდნენ ჩხუბის ატეხას.

— აბა, თარჩია, თარჩია, ყმაწვილებო, რა ამბავია, ერთად რომ შეჯგუფებულხართ! — ხმამაღლა დაიყვირა ერთმა ცხენოსანმა, თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ხელში ააფრიალა და ცხენი გააჭენა. — აბა, გამოდით, აბა, გამოდით, თარჩია, თარჩია!

მართლაც აედევნენ რამდენიმენი და მათ შორის პეტრე თოხიტარიაც. მეთარჩიემ მიაბრუნა ცხენი და აქეთ-იქით მინდორზე ნავარდობა დაიწყო. პეტრეს ცხენი თავდაპირველად ცოტა მძიმედ მირბოდა, მაგრამ თანდათან შეხურდა, დანარჩენ მდევნელებს გაუსწრო და მეოთხე შემობრუნებაზე მეთარჩიეს ძლიერ დაუახლოვდა. მეთარჩიემ ხერხს მიმართა, მოულოდნელად უკან შემობრუნება განიზრახა, რომ პეტრე განზე გაქცეულიყო, და აღვირს განზე გასწია, საუბედუროდ, ცხენი შემობრუნების მაგიერ ცოტად შეჩერდა და პეტრემაც ჩოხის კალთაში ხელი წაავლო.

—ყაბული არა მაქვს, ყაბული, წმიდა გიორგის მადლმა, ეს როგორ იქნება, ცხენი შეჩერდა, ეს ყაბული არ არის. — ამბობდა მეთარჩიე. ცხენი მოაბრუნა, უნაგირზე წინ გადაიწია და თარჩიას პეტრეს არ ანებებდა.

— მერე რა ჩემი ბრალია, რომ შეჩერდი. სრულებით ხომ არ გაჩერებულა. მოგეწიე და ეს არის. თარჩია ახლა ჩემია,—ეუბნებოდა პეტრე და ჩოხის კალთას ხელს არ უშვებდა. ამნაირად, ისინი ჯგუფად მდგომ ცხენოსნებს მოუახლოვდნენ.

— მოეწია, მეტი რა გინდა, — ამბობდა ერთი.

— მოწევა რას ჰქვია, ცხენი შეჩერდა, — ამბობდა მეორე.

— მოწევა იმას ჰქვია, როცა ცხენი გამწარებულად მირბის და მეთარჩიეს ხელს წაავლებ.

— რა გაქანებულობა გინდა, მაინც ხომ მირბოდა, მაგას ფანდი

უნდოდა ექნა, მაგრამ ვერ მოახერხა და ახლა რომ დაეწიენ, საწყენად ურჩება და თარჩიას არ ანებებს, — ბჭობდა მესამე და ამნაირად ზოგი პეტრეს ამართლებდა და ზოგიც მეთარჩიეს. როცა ცხენოსნებთან მოვიდნენ, პეტრემ ჩოხის კალთას ხელი გაუშვა.

— რა თარჩია გაგიჩნდათ, შე კაცო, აპრილი ხომ არ არის, თბილი და მზიანი დარი, თვალი ხომ არ აგერიათ! ოცდახუთი ქრისტიანობის თვეა, ჯერ თარჩია რაღა დროისაა, თარჩია კი არა, ერთი მკერდი გავუსინჯოთ ცხენებს და ჩვენ-ჩვენს სახლში დავიშალოთ, ღორის ხორცი მაინც არ გაგახსენდათ?!—ხმამაღლა გადასძახა ცხენოსნებს ლავრენტი ტკვარჩელიამ და პირველი მაგალითიც თვითონ მისცა: შეაჯახა ცხენი ერთს, ორს, სამს, ვისაც მოხვდა.

მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და რამდენიმე ხნის შემდეგ მათრახების ტკაცატკუცი და ცხენების მკერდის უშველებელი ბაგაბუგი ისმოდა.

ზოგიერთი ცხენი მართლა ჩინებულად იბრძოდა და მათ შორის თავად მიხა ფარქანიძის ცხენს ბადალი არ აღმოუჩნდა. მან რამდენჯერმე გაარღვია მთელი ჯგუფი ცხენებისა და წრეს გავიდა. საეშმაკოდ, როცა მისი ცხენი მკერდით ეცემოდა ხან ერთს, ხან მეორეს, ყველას უკან ჰხევდა და გზას იკვლევდა, ერთმა გლეხმა ცხენს კისერი განზე მოუგრიხა და ცხენის აქაფებული ტუჩი თავადს გვერდებში მოხვდა. ტკივილი ბევრი არ უგრძვნია, მხოლოდ ცხენის ქაფი ახალ ჩოხას კარგა მოეცხო.

— ეს რა უზრდელობაა, საით აბრუნებ ცხენს, ეს როგორ შეიძლება, განით რომ მხვდები, პირდაპირ დაუყენე, თუ ბიჭი ხარ, — მკვახედ უთხრა თავადმა. — ყაზახებმა ჯერ დაისწავლეთ ცხენზე ჯდომა და მერე გამოდით შეკრებულობაში, — ამ სიტყვებთან ერთი მათრახიც ცხენს ცხვირში გაარტყა.

მოპირდაპირე, ცოტა არ იყოს, თავმომწონე ბიჭი იყო და ეს იუკადრისა.

— ყაზახობა, უკაცრავად, მამიშენის ტაბლიდან ვიზრდები, აი. შენ მაშინ დაიქადნე, ჭანისწყალი რომ გახვიდე, — მოუჭრა საჩქაროდ თავადს.

— ასე ჩქარა რამ გაგაამაყა, — მიუგო თავადმა. — დაგავიწყდა, გუშინწინ ღომს რომ ხარშავდი! — მათრახი მოუღერა და გამხეცებული თვალებით შეაჩერდა. — შენისთანა ერთი კი არა, ასიც გამაძღარა მარტო ნამცეცებით, შე ძაღლის გავარდნილო, შენა! — დაიჭექა მიხამ.

— ცხვირიდან სულ ძმარი უნდა ადინო ამ ძაღლის სულს, ამა-

სა, — მიაძახა ძუკუმაც და მიხას გვერდით ამოუდგა, — დაეგდებიან ცხენზე და ცხენოსნობა კი არ იციან, ამ მეკამბეჩეებმა!

ცხენოსანს, რომელსაც ამას ეუბნებოდნენ, გიგო ერქვა, პეტრე თოხიტარიას კაი მეგობარი იყო. მართლა ურემ-კამეჩი ჰყავდა გაწყობილი, კაი მუშა ბიჭიც იყო და შეძლებაც გვარიანი ჰქონდა.

— ამდენს რას უქადი, აბა ახლა ადინე ძმარი ცხვირიდან. თუ დედის შვილი ბრძანდები, — თავდავიწყებულად მიუგო პეტრემ და გიგოს გვერდით ამოუდგა.

— კამეჩის თავი და ფეხი დედაშენს, — მიუგო არა ნაკლებ გაცეცხლებულმა გიგომ და მათრახი ზევით ასწია.

ეს საკმარისი იყო. ხელახლა გაჩნდა მათრახების ტკაცუნი, მაგრამ ცხენების ფერდების მაგივრად ვაჟკაცების ზურგზე და ცხვირ-პირზე.

ცხენოსნებს ქვეითებიც მიემატნენ ტუკებით და გაჩნდა ერთი ალიაქოთი.

ჩქარა ხმალ-ხანჯალმაც იელვა და ზედიზედ ორჯერ დამბაჩაც გავარდა.

დამბაჩა მიხამ ისროლა და დაბეჯითებით ესროლა პეტრე თოხიტარიას და მოარტყა კიდეც, რადგან პეტრემ სამი-ოთხი მათრახი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძუკუს ზურგზე უცხუნა.

მიხა ფარქანიძემ რაკი დამბაჩა გაისროლა, განზე გავარდა, ცხენიდან გადმოხტა, ცალ ხელში შიშველი ხმალი და მეორეში ფეხზე შეყენებული მსწრაფ მსროლელი დამბაჩა დაიჭირა და ცხენს ამოეფარა. მას ეგონა ახლა ყველა მე გამომედევნებაო, მაგრამ შეცდა; მოწინააღმდეგე გუნდი დაჭრილ პეტრეს დაეხვია და მიხა ფარქანიძე მთელი წუთ-ნახევარი არავის გახსენებია.

ამ არეულობით ისარგებლეს მძებრაძეებმა, ფარქანიძე, როგორც იყო, საჩქაროდ ცხენზე შესვეს და თვალის დახამხამებაში გაილალნენ.

ჩინებულათაც მოიქცნენ, რადგან მოწინააღმდეგე პარტია რიცხვით ოთხჯერ მეტი იყო და უკეთესადაც შეიარაღებული. მარტო ტუკებიანები. არც ერთს ცოცხალს არ გაუშვებდნენ.

როცა პეტრეს მომხრეები გონს მოვიდნენ, მძებრაძეები მაშინ კარგა მოშორებით იყვნენ და გამოდევნება უაზრობა იყო.

— მოკვდით და ეს არის, ის ლუკმა-ლუკმა უნდა აგვეჩეხა! — ყვიროდა ერთი.

— დრო რომ ვერ მოვიხელე, ერთი წამი რომ დამცლოდა, პირდაპირ თავზე დავუმიზნე ეს ხმალი! — ყვიროდა მეორე, — მაგრამ

ცხენიდან გადახტა. ვაი დედამისს, ვაი მამამისს! — გულ-მკერდზე ხელის ცემით უმატებდა მესამე.

პეტრეს ჭრილობა გაუსინჯეს. ტყვია თეძოზე მოხვედროდა, ძვალი გადაეტეხა და მეორე მხარეს გასულიყო. მეორე ტყვია ცხენს მოხვედროდა მუცელში და სასიკვდილოდ დაჭრილი უდანაშაულო პირუტყვი, მიწაზე გაშხლართული, საცოდავად ისროდა ტორებს.

დაჭრილი შინ წაიყვანეს და ცოტ-ცოტად ყველანი დაიშალნენ. დანაშაული ძუკუ მძებრაძემ თავის თავზე მიიღო.

— მე საკუთარი ხელით ვესროლე დამბაჩა, — განუცხადა მამასახლისს, — თავადი მიხა ფარქანიძე მხოლოდ მეხმარებოდა.

ასე იყო თუ ისე, საქმე დაიხლართა და თუ სამართლის ხელში გადავიდოდა, ბევრს სიკეთეს არ იქადდა. ამიტომ ბასილ მძებრაძემ საუკეთესოდ სცნო, რადაც უნდა დაჯდომოდა, საქმე გამომძიებლის ხელში მისვლამდე ადრევე, შინაურულად მოერიგებინა. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ პეტრეს ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. თავისი ხერხი და გამოცდილება ბასილმა ამ საქმეს მოახმარა, თუ ვინმე საიმედო ან ნათესავი, ან ნაცნობი ჰყავდა, ამას დაასია. ეცადა, ეწამა და როგორც იყო, თოხიტარია მორიგებაში დაიყოლია. მოკლული ცხენი შვიდ თუმნად დააფასეს. დაჭრილის აქიმობა სამ თუმნად და ისე, ჯარიმასავით, საჩუქარი კიდევ ათი თუმანი. ეს ფული თოხიტარიას ჩააბარეს და მორიგდნენ.

ამნაირად, შუამავალი კაცების პატივისცემისა და გამასპინძლების გარდა, ეს ჩხუბი ბასილს ორას მანეთ ნაღდ ფულად დაუჯდა. ბევრ ყვერულს, ინდაურსა და გოჭს შეეღება წითლად ყელი. სოფლის დიპლომატებმა თავიანთი ხახის სასარგებლოდ საუკეთესოდ გამოიყენეს ეს შემთხვევა.

— შენი სულისა, ბარემ ხუთჯერ ჩინებულად ვისადილე, — ამბობდა ერთი შუამავალი.

— ესაა, ოხერი, რომ ჩქარა გათავდა, მაგ ვირიშვილს, თოხიტარიას, ჭკუა არ ჰქონია, ეთქვა სამასი მანეთი, დაეჯინა, და მოლაპარაკება ერთი კვირა კიდევ გაჯანჯლდებოდა, — სწუხდა მეორე.

— ნეტავ კიდევ ვინმე ისეთი ქონიანი ატეხდეს ჩხუბს ამ ნადღესასწაულებებს, ა... მსუქანი ყვერულები. — ნატრობდა მესამე.

— ოჰო, ჰო, ჰო, ჰო, — ოხრავდა გულზე გამსკდარი ბასილი. — ღმერთი რომ მოიძულებს კაცს, მოიძულებს. დაილოცა მისი სამართალი და ხანდისხან, როგორ ვთქვა მე უბედურმა, თორემ, ჰა, არა და არა. ჰაი, სასწაული! რა ცოდო მიმიძღოდა ისეთი, რომ შობა ძალს კარებზე დაჭერილი ეშმაკი მომიყენა, დიდება შენდა, უფა-

ლო! ტანში გამატანტალა, ეზოში რომ შემოსული დავინახე. იმას წინეთ მარჯვენა საშინლად მომეფხანა. სიკეთე რომ არ შემოჰქონდა, მაშინათვე ვიგრძენი. ან ჩემი დაქცევა ან დაღუპვა იმით უნდა გაეგო კაცს, რომ ჩემი შვილი, აა... ბასილი მძებრაძის შვილი, ა? დიდება შენდა, ღმერთო! ნიკოია თოხიტარიას ქალიშვილს პირობას აძლევდა თურმე, ცოლად შეგირთავო და იმასთან ცუღლუტობდა. ღმერთო, მომკალი, ჩემი ცოდვა, ეს რა დღეს მოვესწარი!

— ასე ჯობია, ბაბამე, ასე, — ეუბნებოდა ნიკოია თოხიტარია ლოგინში მწოლარე პეტრეს. — საქმე სუდში რომ გადავა, დაუსრულებელი დავიდარაბაა. აბლაკაცს კარგს დაიყენებს. ცრუ მოწმეებს ბევრს იშოვნის და საუკუნოდაც მთელი მისი მოყვარეები გადაგემტერება. თუგინდ მოგიგია, კანონი გაატყავებს, გგონია მაგასა? მე ყოველისფერი ვიკითხე. შენ რომ ძუკუსთვის მათრახები გაგირტყამს, ოცი კაცი იტყვის მაგასაო. ამას დიდ ყურადღებას მიაქცევს კანონიო. დიდი, დიდი, მაგას ღირსება ჩამოართვან და რამდენიმე თვე ნალბახჩში ჩააჯინონო. ეს ჩვენ რას გვიკეთებს, ბაბა! ძუკუს თუგინდ ქონდეს ღირსება და თუგინდ არა, ბასილის სიკვდილის შემდეგ მაგას არავითარი ღირსება არ ექნება. თუ რამე დარჩება ბასილს, დაგირავებს, მიყიდ-მოყიდის და დარჩება გაშვიტებული, როგორც სალოკი თითი. ორას მანეთს ქე გვაძლევს, მოვურიგდეთ ჯობია. ფული, ფული გვექნება, შვილო. დამაცადე, მისივე ფულით ღმერთმა თუ ხელი შეგვიწყო, მისივე ჭალას ხელში ჩავიგდებთ.

ერთი თვის შემდეგ პეტრე სრულებით მორჩა. ფარნას მაშინვე არ შეუტყვია ეს ამბავი და როცა შეიტყო, საქმე მორიგებით გაათავესო, ძლიერ გაუხარდა და მამას მადლობა შემოუთვალა.

გარეგნობით ამით უნდა გათავებულიყო საქმე. ორივე მხარე დამშვიდდა და დაკმაყოფილდა. მაგრამ სოფელი განა საქმის ასე გათავებას დასჯერდებოდა? სოფელს პოეზია უნდა, მღელვარე გრძნობა უნდა, სალაპარაკო და დარდის გადასაყოლებელი.

არ გასულა ერთი თვე, რაც მძებრაძე და თოხიტარია შერიგდნენ, რომ ბავშვებმა წამოიწყეს ერთი ახალი სიმღერა, სადაც გვარიან მოგებულად იყო დახატული ძუკუს არშიყობა გაიანესთან. საიდუმლოს გამჟღავნება, თოხიტარიას შურისძიება, პეტრეს ჭრილობა და სხვა. ლექსის შინაარსიდან გამოდიოდა, რომ თოხიტარიამ ქალიშვილის ნამუსი და შვილის ჭრილობა ოც თუმნად გაჰყიდაო. ვინ იყო ამ ლექსის მთხზველი, არავინ იცოდა, ან ვინ დაიწყო პირველად სიმღერა? მხოლოდ ლექსი გაჩნდა, სიმღერაში გაერია და ერთი კვირის შემდეგ მთელმა სოფელმა, დიდმა თუ პატარამ, ზეპირად იცოდა.

ლექსი უფრო შესახები და სასირცხვილო იყო თოხიტარიასთვის, რადგან ის სულმდაბალი და ვერცხლისმოყვარე კაცად იყო გამოყვანილი, მძებრაძე კი გმირად და რაინდად. ამ ლექსის გაჩენამ ნიკოია თოხიტარიას ოჯახი პეტრეს ჭრილობაზე უფრო დააღონა. მაგრამ სამწუხარო კიდევ ის იყო, რომ ზოგიერთი ცრუპენტელა სოფლის ბიჭი ამ ლექსს ნიკოიას და მისთანების გასაგონად განზრახ ხმამაღლა მღეროდა.

მძებრაძეს კი ამ ლექსის გაჩენაში არავითარი წილი არ ედო. გულწრფელად სწყინდა კიდეცა და ძუკუმაც ამის სიმღერისათვის არა ერთ ბავშვს უთავაზა სილა ყურის ძირში.

თებერვლის პირველ რიცხვებში ფარნა ჭყონონაში ამოვიდა ორი დღით და ისიც ძლიერ გააჯავრა ამ ამბავმა.

—რას გეტყვი, იცი, მამაჩემო! — უთხრა მან ნიკოიას, როცა გაიანეს გარდა, ყველანი მოგროვდნენ. გაიანე კი საბრალო, ისე გახდა ამ ალიაქოთში, რომ ვერც იცნობდით. შინაურების ყვედრებისაგან ხომ საშველი არა ჰქონდა.

— იცი, რა გითხრა, მამაჩემო!

— რას მეტყვი, შვილო, — მიუგო ნიკოიამ.

— რას გეტყვი და, ჩვენი მიცვალებული ჩვენვე უნდა დავმარხოთ, სხვა როდი დაგვიმარხავს.

— მერე?

— მერე და მერე. ვაჩვენოთ როგორმე გოგოს გზა და გათავდება. ყოველგვარი ჭორი და ლანძღვა მოისპობა. ისიც ადამიანია, შეხედე, მკვდარს დაემსგავსა.

— მე მაშინათვე ეს ვიყვირე, — თქვა პეტრემ.

— უკეთესი არაფერი იქნება, — კვერი დაუკრა ათანასემ.

— ახლა ისეთი დროა, — განაგრძო ფარნამ. — რომ ერთ საათს დუქანში ერთ თუმნად ვღირვარ, ეს სათქმელი არაა, მაგრამ ამ საქმისათვის წამოვედი. მე კიდევ არ წამოვიდოდი, მაგრამ ივანემ არ დამაყენა. თუ ივანე ამოვიდა აქ, შენი მტერი, ისეთი გაბრაზებულია, იცოდე, ვისმე მოკლავს და აიწეწება საქმე.

— წიე, ამის უარზე ვინ დგას, ამაზე უკეთესი რაღა იქნება, მარა კოპა მსხალი ხომ არ არის, ჭოლოკი ესროლო და ჩამოაგდო, — გააწყვეტინა ნიკოიამ, — ღმერთი რომ გაუწყრა და თავსლაფი რომ დაესხა, იმიტომ... მაინც ჩვენია. იმის მეტი ჩვენ არაფერი გვაბადია ტარიელივით ვაჟკაცებს. ღმერთს ფიცულობს ცეცხლის დასაწვავი, დედის ძვლებს თავის კბილით ხრავს, თუ მე ნამუსახდილი ვიყოო. მე

ყველაფერი გულასდით მითხრა... და შეიძლება მართალიც იყოს გაჭირვებული. და თუ თქვენ არ გეკადრებათ, იმისთანა ვისმეს ხელში ჩავუგდოთ, თუ თქვენ არ შეგრცხვებათ, მე რას დავეძებ.

— გადავაგდოთ და დავკარგოთ-მეთქი, იმას არც მე ვამბობ, ბაბა, — ნიუგო ფარნამ. — ხარჯი რაც გინდა მოვიდეს, ბატონო, მხოლოდ გავათავოთ საქმე. პრინცის შვილი თავის დღეშიც არ შეირთავდა მაგას. გვარიან კაი კაცს, ფუჩხა რომ უზრუნველი ჰქონდეს, იმისთანას მივცეთ.

— მიეცით, ბატონო, — მიუგო ნიკოიამ.

— უნდა მივცეთ, — თქვა პეტრემ. — ეს აუცილებელია.

— უნდა მივცეთ, უნდა მივცეთ. წიე, რომ ლაპარაკობ, თქმა ადვილია. მაგრამ ასე ტკუტკუბირად... ჰა... აიღე და მიეცი. კვერცხი ხომ არ არის? ერთი კაპეიკი ხელთ არა გვაქვს, საეშმაკოდ კიდევ მიწები დავიგირავეთ. დაურწყებამდი მეტი დროც არ არის.

— გადადებული საქმე თავის დღეში არ გათავდებაო, იტყვიან, ბაბა, — ცოტა ფიცხად თქვა ფარნამ. — ფულზე შენ რასა სწუხ, მამაჩემო, აი ეს ოხერი, აი ეს ოხერი, — კბილების დაჭერით თქვა მან, ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ორი ბრიგინა ფართო ქაღალდი ამოიღო და იატაკზე დააგდო. — აი ეს ერთი ჩემ მხრივ და მეორე ივანეს მხრივ. თავსლაფდასხმული ვიყოთ ან მე და ან ივანე, ეს ფულები რამე ანგარიშში თუ შევიტანეთ, ოღონდ მოგვეხმარეთ და ეს საქმე ჩქარა გაგვათავებინეთ. გინდათ, კაციც მე მყავს არჩეული, ხასიათი ვიცი, ქონებაც ვიცი, ვყოფილვარ კიდეც მის სახლში, ძალიან მეგობარიცაა ჩემი. კაი შეძლებული და გამრჯელი კაცია. მხოლოდ მე ვერ ვეტყვი: აჰა, ჩემი და შეირთე-მეთქი. მე გეტყვით ვინაა, სად სახლობს, მხოლოდ თქვენ რიგიანი შუამავალი იშოვნეთ.

ყველანი დაფაცურდნენ. დაფაცურდა ჩვენი ნიკოიაც. მაშვალიც რიგიანი მოძებნეს და აღებაღამეს გაიანე ჭყონნინიდან გააპარეს და ჭყონნინიდან ორმოცი ვერსტის მოშორებით მცხოვრებზე ჯვარი გადაწერეს. ოცდაათი თუმანი ნაღდი მისცეს და მზითევსაც დაპირდნენ. ამდენი ფული გლეხის ცხოვრებაში ამ არემარეში იშვიათი მოვლენა იყო. სასიძო მართლა სახეირო კაცი გახლდათ. ჭყონნინაში მომხდარ ჭორებზე მან არაფერი იცოდა.

ამ ამბავმა მართლა ჩააჩუმა ყველა და ლექსების სიმღერასაც ადათი დაეკარგა.

— რა ჩუმად მოაწყო, ძმაო, იმ კაცმა საქმე! — კვირობდა ერთი.

— ახ, რა ფულები ჩაუჩხრიალეს იმ კაცსა! — უკვირდა მეორეს.

— ასე ჩქარა? კაი ოჯახის კაცს ამბობენ.

— ოჰო, ჰო, ქონება რას არ იზამს, — ამოოხვრით ამბობდა მესამე.

XLII

შ ე უ ტ ყ ვ ე ს

გაიანეს გათხოვების შემდეგ ნიკოია თოხიტარიამ პეტრესაც ცოლი შერთო და გლეხის პირობაზე კაი მზითევიც აიღო. გარდა ამისა, ნიკოიამ ამჟამად მშვენიერი ოთხთვალი ოდა აიშენა. ყავრით გადახურა, კარ-ფანჯრები შეაღებინა და ახალ მოდაზე, ლამაზჩუქურთმიანი ბუხარი მიადგმევინა. უკეთესი სახლი ჭყონონაში კი არა, მეორე სოფელშიაც არ იდგა. თვითონ ნიკოია ყველას ჭკვიან და გამოცდილ კაცად მიაჩნდა. თხუთმეტი წლის წინათ მისი ჭკუა-გამოცდილება არავის სწყუროდა და რამე საზოგადო საქმის გარჩევის დროს ახლოსაც არავინ იკარებდა. ახლა კი მობრძანდი, ნიკოია! — პატიჟობდნენ. მის ნათქვამს დიდი ყურადღებით ისმენდნენ და მნიშვნელობას აძლევდნენ. თვითონაც თავი მორცხვად არ ეჭირა, ღირსეულად მიაბიჯებდა და ვერცხლით მოჭედილ ჯოხს ნება-ნებაზე უბაკუნებდა დედამიწას.

• • •

ამ დროებით ჩვენი ნაცნობი სეევერიანე წყალაძეც მღვდლად ეკურთხა. როგორც ვიცით, ახალგაზრდობაში მღვდლობა ეთაკილებოდა და როცა სწავლა გაათავა სემინარიაში, რაღაც სხვადასხვა წვრილმან სამსახურს წაეტანა. რამდენიმე წელიწადი სცადა, მაგრამ არა გამოუვიდა რა და ისევ მღვდლობას მიმართა. დედ-მამის არჩევის თანახმად ცოლი შეირთო და ჭყონონიდან ერთ მახლობელ სოფელში მღვდლის ადგილი დაიჭირა.

როცა პირველად მივიდა თავის სამრევლოში ახალგაზრდა მღვდელი, მედავითნესთან ჩამოხტა. მედავითნე ადგილობრივი მცხოვრები იყო, მაღალ-მაღალი, ასე ორმოცდახუთი წლის კაცი, და ძლიერ მოყვარულად დაუხვდა.

— ოხ, ბატონო მამაო, — უთხრა სეევერიანეს მედავითნემ. — ცხონებულ მამა პართენას კბილით ეჭირა სამრევლო, მეორე ამისთანა გაობრაგებულ ხალხს მთელ ოდიშში ვერ ნახავ. ჩემისთანა მარ-

თალს, ტყუილია, არავინ გეტყვის, ოცდახუთი წელიწადი გავიდა, რაც ამ ეკლესიაში მედავითნედა ვარ და აქაური ამბები ანი და ბანივით ხელზე მაწერია. ცხონებული პართენა... აა... საწყალი, მგელი იყო, მგელი. მაგას ვერაფერს გაუბედავდნენ, თორემ აქაური ხალხი...

— შენ ეს მითხარი, — გააწყვეტინა სევერიანემ. — ხალხი დადის თუ არა ეკლესიაში?

— ჰმ! — გაიკვირვა მედავითნემ. — წირვაზე ჯოხით ვერ მორეკავ აქაურ კაცს, შობა-აღდგომისა და დიდი დღესასწაულების გარდა. გეუბნები, რაც არის, ბატონო, მხეცი ხალხია, რაც მათ ღრიჭინი უნდა დრამის ფულის გარდასახადზე, ღმერთმა დაგიფაროს. ამიტომ, მამაო, წინდაწინვე უნდა გაგაფრთხილო: ცხონებულს ამ მხრივ კარგად ჰქონდა საქმე დაყენებული. მაგასთან ასე-ისეო, ვერავინ გაბედავდა. ღარიბი-მარიბი, აპა, პა! როგორ შეიძლებოდა! სულ ერთი იყო. ჩვენ წერალთან ჰქონდა საქმე დაჭერილი და, რასაკვირველია, როცა წერალსაც და მამასახლისსაც... ისე, რაღა... მაგრამ დრამის ფულს უკლებლად ამოიღებდა.

— შენ ეს მითხარი, წირვა-ლოცვას კი უკლებლად ასრულებდით?

— რასაკვირველია, ვასრულებდით. როგორ არა... რა თქმა უნდა, მაგრამ რა ექნა, ხალხი არ დადიოდა და... აკი შოგახსენეთ, ჯიუტი ხალხია. თქვენ, მამაო, რასაკვირველია, სწავლული და განათლებული კაცი ბრძანდებით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ერთხელ დაყენებული საქმე... ცხონებულს ჩინებულად ჰქონდა დაყენებული საქმე და ახლა რომ... რასაკვირველია, ახლა რომ გადაასხვაფეროთ, თქვენთვინაც საზარალოა, ცოლ-შვილის პატრონი ბრძანდებით... გვირგვინზე ცხონებული ორი თუმნიდან დაიწყებდა, ხომ იცით, ჩვენი ხალხის ხასიათი, ვაჭარი ხალხია, სულ უნდა ივაჭროს. ორი შაურიც რომ უთხრა, არა, ბატონოო, დაგეღრიჯება, — ორი შაური რავა იქნება, შვიდი კაპეიკიაო, — ბუზღუნს დაიწყებს. აქ ისეთი გაიძვერა ხალხია, თუ მოუპატიოსნე, მთლად წახდება. ერთი-ორჯერ კინაღამ ხანჯლით აჩეხეს განსვენებული შიგ ეკლესიაში, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე მაინც შეირჩინა და რვა მანეთ ქვევით არავის დაწერდა ჯვარს.

— ამდენი თუ არ ჰქონდა? — ჰკითხა სევერიანემ.

— აა... ბატონო მამაო, ასე თუ შეიბრალე სოფელი, მშიერი დავიხოცებით. ქვეყანა ვის გაუსწორებია, ბატონო. აი ასე დაიწყო ლაპარაკი გაღმა ფერდობზე ერთმა ახალგაზრდა მღვდელმა. ყოვლად სამღვდელოსაც რომ შეცთომა მოსვლია, მწყალობდეს მისი მარჯვე-

ნა, და ძუძუმწოვარა უკურთხებია. რაც იმან ჩვენ ზარალი მოგვაყენა, ჩვენ ერთობ საზოგადოდ დაგვღუპა, დაგვღუპა. კაცი არაა, თორემ მოსაკლავია სწორედ. ჯვარს ხუთ მანეთად სწერს გლეხს. მიცვალებულს სულის ფულს არ ართმევს. თუ გამოართვა, უსათუოდ უნდა უწიროს. დაადგება ორშაბათს და, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ხაკი, ხაკი მის სამრეველოში... მიყვება და მიყვება. ამაზე უნდა მოგახსენო, მამაო, რა თქმა უნდა, თქვენ სწავლული კაცი ხართ, მაგრამ მე გამოცდილებით, ეს რათ გეწყინებათ, ოცდახუთი წელიწადი პრიჩეტნიკათა ვარ... ცხონებულმა კარგად იცოდა, თუმნის ნაკლებს არ აიღებდა სულის ფულს.

— მერე არ უწირავდა? — გაფანტულად შენიშნა სევერიანემ.

— დედა, ბატონო, აკი ახლა მოგახსენეთ! დაყენებული ასეა ეს საქმე და რისთვის გამოცვლით? მოსაგები რამე რომ იყოს, ჰო, მესმის... ხალხი წინააღმდეგი არაა, მიეჩვია უკვე. რამდენი ყაზახი მოკვდება, ყველას თუ მოდექი და უწირე, ერთი საათი ამოსასუნთქავი დრო არ დაგვირჩება. ამაზე იყო, რომ მოგახსენეთ. იმ ახალ მღვდელზე. მოდგება და სწირავს და სწირავს, მისი პრიჩეტნიკი მელაპარაკებოდა, სული ამომხდა, მეტი არა ვარო, მწუხრ ცისკარს ვლოცულობდით ჩვენთვის შინა, უსათუოდ ეკლესიაშიო, დაიჟინა თურმე, დაისით ლოცვა გააწესაო, უფალო ღაღადვყავსა ზედა და სტიქარონსა ზედა დასდებლები. სადღესასწაულოდან და პარაკლიტონიდან მომთხოვაო, და სხვა და სხვა, ერთი სიტყვით, ერიამორია შემოიტანა ჩვენ მყუდრო ცხოვრებაში და იმიტომ მოგახსენეთ, სოფელი უბედური არაა? გაიგეს და ახლა, მგონია, აქაც ბუნტს აპირებენ: სულის ფულს თუ აიღებთ, ქე მაინც გვიწირეთო, მაგრამ სანამ განსვენებული პართენა ცოცხალი იყო, მაგისთანა ბუნტოჩიკობას ვერავინ გაბედავდა და თქვენც, მამაო, თუ გამაგრდებით, იმედია, ვერას დაგაკლებენ.

სევერიანე დაფიქრდა. მის თვალწინ ერთ წუთს გაირბინა მთელმა ბისმა სიცოცხლემ, პატარაობიდან დაწყებული მდგომარე ქამამდე. თან გაწითლდა, ერთიც მწარედ ამოიოხრა და მედავითნეს უთხრა:

— აბა, ერთი, მეტრიკის წიგნი მაჩვენე.

პრიჩეტნიკმა საჩქაროდ მიართვა.

სევერიანემ წიგნი გადაშალა. „ნაწილი პირველი, დაბადებულთათვის.“ ამას ბეგრი არ დახედა.

— ნათლობაში ბევრ არაფერს მოგცემენ, — შენიშნა მედავითნემ.

„ნაწილი მეორე, ქორწინებით შეუღვლილთათვის“. ჯამს დახედა,

ცამეტი ქორწინება მომხდარიყო. „ცამეტი თუმანი“, — გაუელვა თავში ახალგაზრდა მღვდელს.

„ნაწილი მესამე, გარდაცვალებულთათვის“. თორმეტი შემთხვევა ყოფილიყო.

„თუ ორთა შუა რიცხვით... აქაც... თითო თუმანი?“ — ძალაუნებურად მოსდიოდა ფიქრი.

— სამრევლოს არა უშავს, ბატონო, რა დასათვალიერებელია, სამრევლო კარგია. კარგადაც დაყენებულია, თუკი არ მოუმჩატეს საქმეს. განსვენებულს ჩინებულად ჰქონდა დაყენებული...

— ქადაგება-მოძღვრება უყვარდა? — დაეკითხა სევერიანე და მეტრიკის წიგნი დაკეცა.

— რომ უქადაგო, შეასმენ. გგონია რასმეს აქაურ კაცს! ქადაგების რა გაეგება. მგელს სახარება უკითხო, რა გამოვა! განსვენებულმა იცოდა აქაური ხალხის ხასიათი, აქაური დაბადებული და აღზრდილი არ იყო? ხან ისე მიუბრუნებდა, ხან ასე და თვითონ თავის დღეში არ იზარალებდა. თუ გასარიგებელი იყო ვინმე, ჩაერეოდა და ორივე მხრივ ააკრავდა რასმე. კაცი, ერთი სიტყვით, იყო, რაღა, განსვენებული! ერთში კი, აცხონოს ღმერთმა, ჰქონდა ნაკლი, მე ძლიერ მცირე შემოსავალს მაძლევდა. ერთად ვიანგარიშებო და გაგისწორდებიო, მეტყოდა, და ამნაირად ათის წლის წინანდელი კიდევ არ ჰქონდა გასწორებული და ისე სიკვდილმაც მოუსწრო და ახლა მისი ქვრივი, ძველს შენ თავი დაანებე, ახალს არ წაგართმევდეს, თორემ.

სევერიანეს გაეცინა, ერთი მედავითნეს შეხედა, მერე თავი ძირს დაჰკიდა და დაფიქრდა. მღვდლობას სწავლობ, მღვდელი უნდა გამოხვიდეო, გაახსენდა მამის ნათქვამი. „ნუთუ? ნუთუ? ასე“ — ეკითხებოდა თავის თავს Homo sum, humani nihil a me alienum puto, — ჩასჩურჩულა რაღაცამ ყურში, სადღაც გაგონილი ანდაზა.

XLIII

ისევ ჩვეულებრივ გაგრძელდა პყონონაში ცხოვრება. ჭანისწყალი ზვირთს ზვირთზე აგორებდა. წისქვილი ფქვავდა და მაძინია დარაჯობდა.

ერთ დღეს, ბასილი მძებრაძის მოჯამაგირემ, ასე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭმა ივაიამ წისქვილში სიმინდით სავსე ტომარა შემოიტანა. წისქვილში გარეშე არავინ იყო. მაძინია ცოტა მოწყენილი, ხმელ ფიცარზე გორავდა და თუთუნის ბოლში გახვეული ოცნე-

ბობდა. ახალ შემოსულს ზანტად შეხედა და ზანტადვე უპასუხა გამარჯვებაზე.

— ადე, ადე, რას წამოწოლილხარ, ჩქარა დააყარე! — ბრძანების კილოთი გაეხუმრა ივაია.

— დააყარე, მერე ვინ გიშლის, — გულშეწუხებულად მიუგო მაძინიამ.

— სად დავაყარო?

— აი, ღარის თავთან მიიტანე. თავი გაუხსენი და შიგ ჩაყარე. ერთი თვალის დახამხამებაში დაიფქვება და საღამოთი ბატონებს ღომი მოუხარშე.

— ხუმრობას თავი დაანებე, მაძინია, ჩქარა დააყარე. თუ კაცი ხარ, თორემ უიმისოდაც საცაა ლამის გადაირიოს ხარდანაძის ქალი და ბასილი, და ესეც დროზე თუ არ მივუტანე...

— რამ გადარიათ? — დაეკითხა მაძინია.

— ხარდანაძის ქალის კაპასობა აქ არ მოგესმა? ჰო, მართლა, დღეს ჩემს გარდა, სადილი მათ ოჯახში არავის არ უჭამია და მე კი გეახელი.

— დაპირებული ხომ არ ჰქონდათ სადილის უკმელობა! რა მოხდა, ბიჭო? — დაინტერესდა მაძინია.

— სასთაულს გადავხედე, კაცო, სასთაულს! საბრალო გოგო კინაღამ შამფურზე წამოაცვეს, რაც იმან დღეს იტირა, თუ მაგას გული არ გაუსკდა, რა ვიცი სწორედ.

— რომელი გოგო, ახლა რომ აიყვანეს მოსამსახურედ, ისა?

— ის კი არა, ტასია, კაცო, ბასილის შვილი ტასია, მიხვდი? ვაჟის მონაწერი ქაღალდი უნახეს.

მაძინია კითხვის ნიშნად გადაიქცა და გაშტერებული ივას შეჰყურებდა.

— მითხარი, შე კაცო, მითხარი, რომელი წერილი?

— რა ვიცი, ამოაგდოს ღმერთმა, მე ხომ არ მიამბობდნენ. ყური ისე მოვკარი. ზუგდიდში რომ არის, ალმასხანის დიდი სახლის ცოტა იქით რომ არის, გოგოებს რომ ასწავლის, დაბალ-დაბალი ქალი რომ არის.

— მერე, მერე?

— მერე, იმ ქალთან ტასია ხშირად ქაღალდებს გზავნის. როცა მე გამგზავნიან ზუგდიდში, უსათუოდ გამატანს, ისიც აქეთ წიგნებს გამოუგზავნის. ალბათ, ერთმანეთს მოკითხვას უთვლიან. დღეს ერთი მოკითხვის ქაღალდი უნახეს, თურმე ვაჟის მონაწერი ყოფილა

და გადაირია ორივე ცოლ-ქმარი. კინაღამ სახლს თავიანთი ხელით ცეცხლი წაუკიდეს.

— ვისი მოწერილი ყოფილა, არ იცი?

— მე აქაურებს ჯერ ბევრს არავის ვიცნობ, მეტი ხანი არაა, აქ დავდექი, შენც ქე იცი, ვიღაც ფარნა თოხიტარია...

მაძინიამ ხელები დაატკაცუნა. აიტ, აიტ, აიტო! — იძახდა გიჟივით და წარამარა ტრიალებდა.

— მერე, მერე, მითხარი, აი დიდება შენდა, ღმერთო!

— მერე, ჩქარა დააყარე და კარგად დაფქვი, თორემ ერთი ყენტი ფქვილი არ მოგვეძევა და უიმისოდაც გულმოსულები გვერდებს აუჭრელებენ შენ ივას. ახლა ხარების საძებრად უნდა გავეჩქარო, ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს. ნეტავ ჩქარა გავიდოდეს ვადა, მერე არ მინდა აქ დგომა, ბიძაშვილი მყავს სოჭაში და იქ წავალ. აბა, შენ იცი, აქეთობისას დამახვედრე, — მიუგო ივამ და ნელი ღიღინით წისქვილიდან გავიდა.

მაძინია, ერთ ხანს დაფიქრებული, ძირს იყურებოდა.

— აიტ! — დაიძახა მერე და რამდენჯერმე ტაში შემოკრა. — აა... ა... მოგიკვდეს მაძინია, თუ აქ საქმე არ გაჩარხოს... რათ არ გამიხვრიტა ცოტათი მაინც ყური ამდენ ხანს ფარნამ! — გაიკვირვა მაძინიამ. — ყოჩაღ, ბიჭო! — დაიძახა ხმამაღლა. — ახლა თუ ივარგა, ვარგოდეს იქნება და ის იქნება. აა, ძუკუ მძებრაძე? მოგიკვდეს მაძინია, თუ... ჯერ სადა ხარ!

ამ დროს კაცის ჩრდილი მოელანდა კარებიდან და მაძინიამ ლაპარაკი შეწყვიტა.

— მაძინიას გომორძგუა, — შემოილაპარაკა ერთმა გლეხმა, ტომრით მხარზე.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, — ალერსიანად მიუგო მაძინიამ.

— მადლობა ღმერთს, საფქვავი ბევრი არა ყოფილა, ვახშმობამდი ვერ გამათავისუფლებ ვითომ? ძლიერ მიჭირს, — შეეხვეწა ახალმოსული.

— შენ სულ გიჭირს და მაძინიას კი არ უჭირს?

— ვიცი, ვიცი, სად სცემს შენი სიტყვები, მარა...

— მარა, ფარას გვერდია! რა მარა გინდა, შეშას მაინც მომიტან?

— ხო, ამ საღამოსთვის აქ ახლომახლო მოვაგროვებ, შე კაცო, გავიხედავ, მოვიხედავ.

— კარგი, ახლა კი შენ აქ დარჩი, მე სხვაგან მინდა წასვლა ერთ წუთს. ეს წინანდელი დოლაბი რომ ჩამოვიდეს, შენი დააყარე. მაგრამ იმ დრომდი მოვალ, მგონია.

— რომც არ მოხვიდე, შე კაცო, და რა იქნება? ამას მე თვითონ რავა ვერ მოვუვლი? — კმაყოფილებით მიუგო ახალმოსულმა და მერე ხვეწნით დაუმატა: — მაძინია, შეიძლება რამე მუცლის ტკივილის წამალი იცოდე!

— ვის სტკივა მუცელი?

— შე კაცო, ჭირში ვარ მოსული, სამი ღამე თვალი არ დამიხუჭავს, ერთ უბედურს ქე ვარ გადაკიდებული, არაფერი გამოვიდა, რანაირი, რა ნაცარში გაწურული წყალი არ ვიხმარე.

— შენ ცოლსა სტკივა?

— დიახ! შე კაცო.

— მერე წამალი შენ თვითონ არ იცი? — ეშმაკურად გაუღიმა მაძინიამ.

— ოი, შე კარგამოსაკეტო! მე მართლა გეუბნები და შენ!

— მეც მართლა გეუბნები. მეორეჯერ არ დაგემართოს. ქალს თუ მუცელი ატკივდა, არავის არ უნდა უთხრა, თორემ ბრიყვად ჩაგაგდებენ. ალბათ, წაგჩხუბებია. ქალებმა ისე იციან, ცოლი არა მყოლია, მაგრამ მაინც ქე ვიცი, ქმარს რო წაეჩხუბებიან, მუცელიც მაშინათვე ატკივდებათ.

მაძინიამ ერთხელ კიდევ მისცა დარიგება, წისქვილიდან გამოვიდა და ბასილის სახლისაკენ გასწია.

ბასილ მძებრაძე აივანზე იჯდა მოწყენილი, მაძინიას ნახვა ძლიერ გაუხარდა.

— აბა, ჩემო მაძინია! — შორიდანვე მიაძახა ბასილმა. — ჯერ არ გაგიგია ჩემი გაბედნიერება, მომილოცე, რაღა, მომილოცე.

— ბედნიერება ღმერთმა ნუ მოგაკლოს, ბატონო, — მიუგო ვითომდა ბასილის კილოთი გაკვირვებულმა მაძინიამ.

— უკეთესი ბედნიერება რავა იქნება. ჩემს სიბერეში სხვა ბედნიერებასთან ესლა მაკლდა და ესეც ეს არის შემისრულდა. აჰა, ჰაია, — ამოიოხრა ბასილმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბასილი დალაგებულად ემუსაიფებოდა მაძინიას.

— სხვისთვის რაც დამიცინია. ის რომ მემართება, ამანაა ხის დანით ყელი გამომჭრა, თორემ სხვა რამე მჭირდეს, მადლობა ღმერთს, რა გაეწყობა. დედა, ღმერთო, თვალი როგორ დამიბრმავდა, რომ ამდენ ხანს ვერაფერი შევამჩნიე? რას მოვიფიქრებდი, მამაჩემის, მერაბის მოსვლას მოველოდი და ამას როგორ მოვიაზრებდი? დედა, ღმერთო, შენ მოიაზრებდი? არა, თუ ღმერთი გწამს, წითხარი, მოიაზრებდი?

— ჰეი, — მიუგო მაძინიამ, ვითომდა დიდად გაკვირვებულ-შეწუხებულმა.

— ის მაზაკვალი ბიჭი კი... მაგრამ, ჰო, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ხომ გაგიგონია! შენი უჭკუობით და მჩატე ხასიათით. ბატონად რომ გაიხდი კაცს, აბა, სხვა რა დაგეშართება! რაც მჭირს, ყველაფერი ჩემი შვილის, ჩემი ვაჟბატონის წყალობაა. ის, ის მენცარი ბიჭი... ამას წინეთ რომ შევრიგდით... ვაი დედამისს, ორასი ცინცხალი მანათი ხელში ჩავუჩხრიალე. ხენწიფე არ მახდევინებს ხარჯს და ნიკოიას მოხარჯედ ჩემი ნებით თავი გავიხადე. მოვიდა, ბატონო, ის წყეული და ისეთი სიტყვებით მომილავაშა, ისე დამიმეგობრდა. ერთხელ კიდევ მოვარდნილიყო, მე შინ არ დავუხვდი, ვაი, დედაჩემს, — მკერდზე ორ-სამჯერ მჯიღის მიბრახუნებით წარმოთქვა ბასილმა, — ვაი დედაჩემს, ახლა კი ვახელ თვალებს, მაგრამ რაღა დროისაა... ერთხელ ხუმრობაში გავურიე: ტომბაშვილი გამირიგე სიძეთ-მეთქი. ვეცდები, კი, კიო, დაფანტულად მომიგო და თან მკვდრის ფერი დაედო, ლილასავით გალურჯდა და კინაღამ გულს შემოეყარა. დასაქცევს ქვეყანაში ციება დამაწყებინა და ხანდისხანაც თავბრუს მასხამსო. აბა რას მოვიფიქრებდი! ეცადე, წამლები იხმარე, თავი ფრთხილად დაიჭირე-მეთქი, დარიგებას ვაძლევდი. აბა, რას მოვიფიქრებდი...

— ამდენს რათ სწუხართ, ბატონო, ჯერ ამოდენა გულზე მისაღები ხომ არაფერია. — ლმობიერად შენიშნა მაძინიამ.

— აბა, შენს მტერს ღმერთი გაუწყრა. აბა, ნახე, რასა სწერს ჩემს ქალიშვილს ნიკოია თოხიტარიას შვილი: ჩემო, გონებიდან განუშორებელო, საფლავამდი განუყოფელო. ის სწერს ასე, კაცო, სწერს! — თითქმის მიაყვირა ბასილმა, — და ჩემი ქალიშვილი კიდევ, — აქ უმწეოდ თავი ძირს დაჰკიდა ბასილმა და საბრალოდ ცბილები დააკრაჭუნა, — ჩემი ქალიშვილი კი სწორედ ასე. სწორედ ასე იმეორებს. მე სრულწლოვანი ვარ, ვინც მიყვარს. იმას წავყვებიო. რათ არ დაიქცა ის დღე, მაგას რომ ანა-ბანა ვასწავლე. თურმე ახლამდი არ გამიგია, მართალი ყოფილა ის კაცები, რომ ამბობდნენ: ქალს სწავლა რაღათ უნდაო. ისინი მე მხეცებად მიმაჩნდა. გაიგე, თურმე ვინ ყოფილა მხეცი! ბასილი მძებრაძე ყოფილა მხეცი, რომ მაგის სწავლისათვის ფულებს ვხარჯავდი. ცხენსა და კაცს რომ ვკლავდი ზუგდიდს და ჭყონონას გზაზე. თოხიტარიასათვის თუ უნდოდა თავი, სწავლა რათ ეჭირებოდა. განა, უსწავლელ ჩემ შვილს არ იკადრებდა, მამაძაღლისშვილი.

— ბატონო, დამშვიდდით, თოხიტარიას რა უნდა თქვენ შვილთან?

— რა უნდა? ზოგი ჩემი თვალის სინათლე ქალიშვილს ჰკითხე და ის გეტყვის, უნდა რამე, თუ არა. რომ გენახა დღეს მისი მშობელი დედა, თათარ და ურიას გულს დაწვავდა მისი ცრემლები. მარიკას იმან თავისი უსირცხო პირით ასე მიუგო: მე ის მიყვარსო. მაშინ ხელში შეყენებული დამბაჩა რომ მქონოდა, ოხ, ძალმა... ჩემ სულს, იქვე თუ არ მომეკლა, მერაბის სულს ვფიცავარ. წესქერ, მის საქმეს. ჩემს სიცოცხლეს მაინც ლაზათი არა აქვს. აზნაურობა მე გამიხდა საძიებელი. ფარქანიძემ კაცი დასჯრა, ჩემი საზღავი გახდა, მძებრაძეების გასააზნაურებელი, ყველაფერი მე გადამხდა... ეხ. მოვცილდებოდი ყოველივე დავიდარაბას და ის იქნებოდა.

— ღმერთმა გაშოროს, ბატონო, ღმერთი შენს მტერს გაუწყრა! ახალგაზდა გოგოა, განა უკეთ არ იცით ქალის ჭკუის ამბავი, რამდენჯერ თქვენგან გამიგონია, ბატონო.

— ეხ, მაძინია, შენ რა... ჩვენი ოჯახის გაზრდილი ხარ, ჩვენი ავი და კარგი ხომ იცი! ხომ შენი თვალით გინახავს ჩვენი ცხოვრება, რა ვიყავით და ახლა რაღა ვართ! განა ამას მოიაზრებდა კაცი ოცდაათიორმოცი წლის წინეთ? ფიქრადაც ვისმე მოუვიდოდა? ყაზახმა ორი გროში მოაგროვა, — აქ ხმას აუწია ბასილმა, — და შეხედეთ. მამაძაღლს, ვის ეპოტინება! მაგრამ დამაცა, მე ჯერ კიდევ ბასილი მქვია, დავბერდი, მაგრამ არ მოგიკვდეს იმის მეტი ჩემი თაი... მაგისთანა, ჯერ ცხვირმოუშრობელ ბიჭებს თუ არ დავასწავლე ჭკუა! თუ მაგას ნალბახთის მსხვილი ტილები არ გამოვაცდევინე. რა ბასილი ვყოფილვარ მაშინ! ამ ჩემს მანათობელს კი, მოგეცა სიკეთე, დავასწავლი ჭკუას, როგორ უნდა მიწერ-მოწერა.

— არაფერია, ბატონო, — დამშვიდებით მიუგო მაძინიამ, — კაი დროს კი შეგიტყვიათ, მადლობა ღმერთს. ეს არაფერია, გული დაიმშვიდეთ და საქმე ისევ კეთილად მოგვარდება. მადლობა ღმერთს, დროზე შეგიტყვიათ.

— აბა, კაცო, — ცოტა დამშვიდდა ბასილი, — დიდება შენდა, ღმერთო! კაცო, უცაბედად არ შევეხეჩე! ძუკუ და ბათლომე. როგორც გითხარი, ზუგდიდში მიდიოდნენ და რაღაც საყიდლები დავაბარეთ! გვინდოდა ცოტაოდენი პიჭი-პაჭუ ეყიდათ. ძუკუმ ზეპირად არ გამახსენდებაო და ქაღალდში დამიწერეთო. ქაღალდს სულ ის გასაქვავებელი. ებღაუჭება.

— გაქვავება ღმერთმა აშოროს, — შენიშნა მაძინიამ.

— ერთი თარნაკი რომ არის ზუგდიდში, — გააგრძელა ბასილ-

ᲛᲐ, — ᲣᲩᲘᲢᲔᲚᲘᲪᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲘᲛᲐᲡ, ᲘᲛᲐᲡ ᲐᲛᲝᲣᲗᲮᲠᲘᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲬᲐᲛᲡ, ᲠᲐᲡ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲘ! ᲡᲣᲚ ᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲔ ᲔᲪᲕᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲘᲦᲔᲑᲓᲘ! ᲗᲣᲠᲛᲔ ᲐᲥ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲑᲘᲭᲘ, ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ. ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲮᲡᲔᲜᲘ, ᲨᲘᲒ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲔᲒᲓᲝ. ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ. ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ, ᲛᲝᲛᲔᲙᲘᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ, ᲒᲐᲕᲐᲮᲘᲚᲔ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲗ ᲒᲘᲜᲓᲐ?

— ᲐᲠᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲨᲔᲜᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲖᲝᲛᲐᲛᲓᲘ ᲜᲣ ᲒᲐᲐᲦᲕᲘᲐᲠᲔᲑᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ. ᲛᲔ ᲠᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲝᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲛᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ. ᲐᲛᲐᲨᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲔ ᲮᲐᲠᲗ, ᲛᲒᲝᲜᲘᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲜᲣ ᲐᲨᲚᲘᲗ, ᲜᲣ ᲒᲐᲐᲦᲕᲘᲐᲠᲔᲑᲗ, ᲒᲝᲒᲝᲡ ᲛᲝᲣᲐᲠᲔᲗ, ᲒᲣᲚᲡ ᲜᲣ ᲬᲐᲣᲮᲓᲔᲜᲗ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲒᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐ ᲕᲣᲣᲧᲝᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲗᲘᲗᲝᲗ ᲨᲔᲪᲗᲝᲛᲐ ᲕᲘᲡ...

ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ, ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲣᲡᲐᲘᲤᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲐ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ. ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲛᲘᲓᲒᲛᲣᲚ ᲤᲘᲪᲐᲠᲖᲔ ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲤᲔᲮᲘ ᲠᲘᲙᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲕᲐᲖᲔ ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲐᲛ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲣᲙᲠᲐ. ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲛ ᲩᲣᲛᲐᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲐᲛᲝᲘᲝᲮᲠᲐ. ᲡᲐᲮᲔ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲘᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲫᲣᲙᲣᲡ ᲛᲐᲛᲐ, — ᲩᲣᲛᲐᲓ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲛ. — ᲡᲣᲚ ᲐᲡᲔᲪ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ. ᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲛᲘᲣᲤᲔᲠᲔ ᲛᲐᲒ ᲙᲘᲡᲔᲠᲛᲝᲡᲐᲢᲔᲮᲡ, ᲓᲦᲔᲡ ᲬᲧᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲚᲔᲕᲘᲐ, ᲖᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲐᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲘᲡ, ᲢᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲔᲪᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ. ᲐᲛ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲣᲚᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ,—ᲒᲣᲚᲐᲩᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲛ.— ᲛᲔ ᲛᲘᲕᲣᲤᲔᲠᲔ, ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲪᲐ, ᲔᲒᲔᲑᲐ ᲨᲔᲜ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲜᲝᲡ.

— ᲐᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲭᲘᲠᲘ ᲨᲔᲛᲔᲧᲐᲠᲝᲡ. ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, — ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲫᲘᲜᲘᲐᲛ.

— ᲜᲘᲙᲝᲘᲐ ᲗᲝᲮᲘᲢᲐᲠᲘᲐᲡ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ, — ᲘᲡᲐᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲐᲑᲐ. ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲔᲑᲡ, ᲛᲔ ᲠᲐᲓ ᲕᲣᲜᲓᲘᲕᲐᲠ, — ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲑᲐᲡᲘᲚᲛᲐ.

— ის დღე თოხიტარიას არ მოესწრება, მამუჩარ ხარდანაძის შვილიშვილი პერტეიას შვილიშვილს მიჰყავდეს, — ამაყად მიუგო მარიკამ.

— ჰეი. ხარდანაძის ქალო, — მწარედ ამოიოხრა ბასილმა, — არ გეგონოს ძველი დროება. შენი მამუჩარები ახლანდელ დროებას ფეხებზე ჰკიდია. შენს ქალიშვილსაც ბევრ საამაყოდ არ მიაჩნია მამუჩარის შვილიშვილობა. არ გახსოვს, რა გითხრა ერთხელ! ამ საბუთის ძებნაში ფულს რათ ხარჯავთ, ახლა ძველებური აზნაურობა ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფულიაო. მაშინ უნდა გაგვეხილა კარგად თვალი, გაგვეწყვიტა ყოველნაირი კავშირი მაგ განათლებულ ქალთან. მისგან მოწერილი ბარათები ყოველთვის უნდა გაგვესინჯა. თოხიტარია ხომ გაღლეტილი მამაძაღლია, გუშინ შევიდა დუქანში და დღეს ტომბაშვილის მონახევრე გახდა. მაგისთანა აბრაგ კაცებს შენ ჯერ არ იცნობ, ერთი თვალით აქეთ იყურება გგონია, მაშინ იქით რა ამბავია, იმასაც ხედავს. ალბათ ის იმ მასწავლებელს მოისყიდიდა...

— ძუკუს მამა, აკი ორივენი პატარაობიდან ერთად სწავლობდნენ და კაი მეგობრებიც იყვნენ. მართლა რომ ვთქვათ, ეს გულის საქმეა...

— ახირებულს შენც რომ იტყვი,— გაჯავრდა ბასილი, — მაგისთანების რა იციან ბავშვებმა. მაგისთანებს გაბედავდა კი არა, უკაცრავად მოხსენებაა, ნიფხავი არ ეცვა, ფეხშიშველი წვივგადატყავებული თხებს მიყვებოდა. ეს ჩემი კი. იმ წიგნებმა და იმ ამჯექა ქალმა დამიღუპა.

ბასილი ცოტა ხანს შეჩერდა. წვერ-ულვაშზე ხელი მოისვა. ერთიც ყალიონს ჩაუფშვიტინა და ამოოხვრით გააგრძელა:

— ჰაი, ჰაი, ჩემი ცოდვა, რა ცუდ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი ვყოფილვარ. ქვეყანას შურდა ჩემი მდგომარეობა და ეს უკანასკნელი ათი წელიწადია, სულ უკან-უკან წავიდა. რაც ეს საუბედურო აზნაურობა შემექნა საძიებელი, მას აქეთ ხომ ერთიანად ავიხლართ-დავიხლართე. სიღარიბე წამომეწია, სიბერეში შევედი, ხელფეხს მომაკლდა და აი... დიდება შენდა, ღმერთო! თოხიტარია ქალიშვილის, ერთადერთი ქალიშვილის გადაბირავებას მიპირებს. განა ეს სიკეთეს რასმე მოასწავებს? მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, სანამ კიდევ ბასილს მეძახიან, იმ ზომამდი თავს არ დავიმცირებ, მგონია. ეეხ! ვიყბედო, რაღა დროისაა, ასე აჩქარებულად არ მინდოდა საქმე, მაგრამ ვინ სიკვდილი და ვინ სიცოცხლე, რაც უნდა დამემართოს, იმ გოგოს ამ მოკლე დროში მაინც უნდა ადგილი მივუჩინო,

თორემ თოხიტარია კი არა, მგონია, ჩემი ნამოჯალაბი ლუკაია ბარეიაც თავს გამოყოფს.

— რამდენი ხანია, ძუკუს მამა. ამას მეც გეუბნები, ქალი წლოვანია, კასთაია პარულაძე გვეძლეოდა, არა უჭირდა რა, ხნიერი ქე იყო ცოტა, მაგრამ კაი მემამულე კაცია, ქალს უზრუნველად დაარჩენდა. ჩინებული აზნაურიშვილია. შენც არ იყავი სულ ყმაწვილი, მაგრამ... — გაეხუმრა მარიკა.

— დედაშენს აქვს ცხონება, ყმაწვილი არ ვიყავი. შენ მასწავლი, რაც ვიყავი? ოცდაათი წლის ვიყავი, მერაბის სულს ვფიცავ, ცოტა ჭაღარა რომ მერია, რა ვუყოთ მერე! ოცი წლის კაციც ქე მინახავს ჭაღარა. თმას რა ჭკუა აქვს? მერე კასთაიაზე მე უარი სრულებით არ მითქვამს, თუ მკითხავ, მე გულით მინდოდა, მაგრამ თვით შენ რაღაც იჭოჭმანე, თარნაკმაც, აი, აი, არ მინდა, თავს მოვიკლავო, ჯერ ქმარი არ მინდაო, გველით რომ გული სავსე ჰქონია, აბა, რას იტყოდა!

— რაც წასული საქმეა, წასული საქმეა, ძუკუს მამა, და ახლა მაინც თავი გადავდოთ და როგორმე საქმე გავათავოთ... თორემ, ეშმაკს თვალი არ აუხელია, საუკუნოდ დაუტირალი საქმე დაგვეშართება.

— მეც იმას ვამბობ და... მოფიქრებით და არჩევით მინდოდა საქმე. მაგრამ თუ არ დაგაცლის მაცდური, რას იზამ, უნდა აჩქარდე.

* * *

„ნუ ჩქარობ, ბასილ მძებრაძე! ჰეი გიდი, მარტო შენ რომ გგონია, ისეც არაა საქმე. ძმა ძმისთვისაა, შავი დღისთვისაა, ნათქვამია. თოხიტარიას ისე დაბლა ნუ უყურებ. მაგასაც გამოუჩნდება ვინმე მშველელი. სულ მდივანბეგობა ნუკი გგონია, თუ ერთხელ გაგიფრინდა ხელიდან, სახუცესს ვერ მიმართავ,"—ფიქრობდა გზა-გზა მაძინია და წისქვილისკენ მოდიოდა. ერთი ციხის ნანგრევისკენ აიხედა. მთვარიან ღამეში ციხის კოშკები ნათლად მოჩანდა. მწვანე სუროთი დაბურული ციხის გალავანი მთვარის შუქზე ელვარებდა. მიიხედა მაძინიამ იქითკენ და გაახსენდა ის დრო, როცა ამ ციხის გალავანში მდივანბეგები და სახლთუხუცესები ბატონობდნენ და გარშემო მცხოვრებთ ბედ-იღბალს ამ ახლა ბევრგან ჩამონგრეული ქვის გალავანს შიგნით სწყვეტდნენ. მთვარე მაშინაც ასე დაკაშკაშებდა ციხის მიდამოს. ახლა რა ამბავია, ღმერთო ჩემო, გაუელვა თავში. ორმოცი წლის წინეთ რა მინახავს, და ახლა რას ვხედავ! ამ ხნის

განმავლობაში როგორ შეიცვალა ჩვენი ქვეყანა! აფერუმ, ფარნა, თუ ვარგიხარ! მე რათ არ გამანდო მაგ ყურუმსაღმა, უკეთ მოგუწყობდი საქმეს", — დაილაპარაკა ხმამაღლა და ერთიც ფრთხილად სიმინდიანში შეიხედა: ხომ ვინმე ყურს არ მიგდებსო.

XLIV

შესაფერი სასიძო

დღე და ღამე იყრებოდა, როცა მაძინია წისქვილიდან გამოვიდა, წისქვილს ზემოდან მოუარა და სიმინდებში შევიდა. ტანზე საგარეო ჩოხა ეცვა, პირი დაებანა და თავისი ერთი ბეწო წვერ-ულვაშიც დაევარცხნა, რასაც იშვიათად მიმართავდა ხოლმე. თავზე ახალი ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული. ასე გამოწყობა არაჩვეულებრივი მოელენა იყო მაძინიას ცხოვრების ბოლო ხანებში. წისქვილი კი ერთ ახლო მცხოვრებ გლეხს, თავის ნათლიმამას, ჩააბარა და დაუბარა, რომ ერთ კაცთან ცოტა ანგარიში მაქვს და შეიძლება შუაღამემდის დამაგვიანდესო. წისქვილში მისი ნათლიმამის გარდა, რომელსაც ბეჩუნა ცალაიას ეძახდნენ, ორი სხვა გარეშე სოფლელი გლეხიც იყო.

კარგა ხანი იარა მაძინიამ ტაროებით დატვირთულ სიმინდებში და ყანის გვერდით მიადგა ერთ ფალაგეს, სადაც ხშირი და მაღალი წალამი ამოსულიყო. წალამს ფრთხილად გასწი-გამოსწია და ერთი წუთის შემდეგ ერთი ახალი უნაგირი გამოიტანა, თოქალთო მკლავზე დაიდო და ერთიც უნაგირს გახედ-გამოხედა.

— გვარიანი კაი უნაგირი ჰქონია, — თავისთვის ჩაილაპარაკა მაძინიამ. — კომპულები და კეხის წინა პირზე კერმუხტი ჰქონია გადაკრული, ბალიში შიგრინის არ არის, მაგრამ, კაი კაზანია, — ერთიც ბალიში ხელით გასინჯა. — თო, თო, მგონია, შეელის ბეწვი ძევს შიგა, ისეთი რბილია. ასეთი უნაგირიც მეტია მაგისთანა ზირტიკი ყაზახისათვის. ისეთი მტვერი აძევს ბალიშზე, რომ ეტყობა, რაც ცოლის მზითევში გამოატანეს, მას აქეთ ორჯერ არც კი შემჯდარა ზედ. დარწმუნებული ვარ, კვირაში ერთხელ არ დაათვალიერებს, აბა, ჰკიდია კედელზე თუ არაო. სანამ არ დასჭირდება, არც კი გაახსენდება და თავის დღეში სხვასაც არ ათხოვებს. — ამასობაში მაძინიას ნათლად წარმოუდგა, თუ როგორ მოპარა ეს უნაგირი ერთ მახლობელ ახალ ცოლშერთულ გლეხს, როგორ აუტეხეს ძაღლებმა ყეფა, როგორ ადგა სახლის პატრონი, გარეთ გამოვიდა და რამდენჯერმე დაიკიჟინა, ძაღლები გაათამამა: არიქათ, ქურდი არ გაუშვა-

თო, და თვითონ კი აივანზე იდგა მარტო თეთრეულით და ზანტად თეძოს იფხანდა. მაძინია მაშინ იყო სახლის უკანა ოთახში, სადაც უნაგირი ეკიდა და კინაღამ გაეცინა. როცა ისევ ყველაფერი მიჩუმდა, უნაგირი გამოიტანა, წამოიღო და აქ ფალაგეში შეინახა.

სიმინდ-სიმინდიანით მაძინია ჭანისწყლის პირად ერთ ხშირ ფალაგეს მიადგა; ეს ისეთი საიდუმლო ადგილი იყო, რომ თუ არ განგებ, თავის დღეში კაცი აქ არ გამოივლიდა. თუ ოდესმე მოვიდოდა აქ, მხოლოდ მახლობელი სიმინდის პატრონი, მაგრამ ჯერ სიმინდი გამხმარი არ იყო და აქ კაცთაგანი არავინ მოდიოდა.

ლაფანის და თხმელის ხშირ ბუჩქნარში, წყლის პირად, დაბმული იყო მშვენიერი, დაღდასხმული მაღალი ცხენი, მაძინიას ამის აქ მოყვანა ძლიერ გაუჭირდა, მაგრამ, როგორც იყო, სძლია ყოველნაირ დაბრკოლებას, და გუშინ შუადღისას აქ ფრთხილად მოიყვანა. ეს ცხენი იყო ჩვენი ნაცნობი ლავრენტი ტკვარჩელიასი, მძებრაძეებზე ჩამოსიძებული აზნაურის. ლავრენტი ცხენს თვალის ჩინივით ინახავდა და თავის გარდა, სხვას არავის შეაჯენდა, თვითონაც იშვიათად ჯდებოდა. ცხენი ჩინებული მოსიარულე იყო.

არ გასულა ორი საათი, რაც ცხენი აქ მოიყვანა, რომ ატყდა კიჟინა: არიქათ, ლავრენტი ტკვარჩელიას საღარია მოიპარესო. თვით ლავრენტიმ, ოფლში გაწურულმა და მკვდარივით ფერდაკარგულმა, წისქვილის წინ რამდენჯერმე გაირბინა. ფეხზე დააყენეს მამასახლისი, ხევისთავები, აცნობეს ბოქაულს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, ეცნენ აქეთ-იქით, მაგრამ ვერას გახდნენ, ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს; ბოლოს მოპარულად დაამტკიცეს და ციმბირიდან გამოქცეულ აბრაგს დარისმან ქუჩაიას დააბრალეს.

წისქვილში, რა თქმა უნდა, დილიდან საღამომდი დღეს უმთავრესი სალაპარაკო საგანი ეს იყო და მაძინიაც ყველას უდასტურებდა: რასაკვირველია, თუ არ დარისმანი, სხვა, აბა, ვინ გაბედავს ამ დამშვიდებულ დროებაში, ასეთი კაი ნაჩალიკის მეოხებით, რამე მოიპაროს, და ისიც ლავრენტის ცხენიო.

ფრთხილად მივიდა მაძინია ცხენთან, აღვირი ამოუდო და შეკაზმა. დაღამებული იყო, ბედზე ძლიერაც ბნელოდა. მაძინია ცხენზე შეჯდა, — დიდება შენდა, ღმერთო! — ჩაილაპარაკა და წყლის ნაპირ-ნაპირ გასწია.

— დამვიწყებია ცხენზე ჯდომა, ვაი, ჩემი ცოდვა, აი, სადა ხარ, ახალგაზრდობავ, სრული ათი წელიწადია, ცხენზე არ შევმჯდარვარ, ოხ, ოხ, ოხ! როგორ მეჩოთირება, — ამბობდა მაძინია გზა და გზა.

სანამ ჭყონონას ბოლომდი არ მივიდოდა, სულ წყალ-წყალ უნდა

ევლო, გზას ამრუდებდა, რადგან მდინარე დაკლაკნილი იყო, თახ საძნელო და უსიამოვნო სასიარულო. ორ-სამ ალაგას რამოდენიმე საჟენი ცურვითაც უნდა გაევლო, მაგრამ სამაგიეროდ გზა უშიშარი იყო. წყლის სიახლოვეს არავინ ესახლა, იქით-აქეთ გაღმა-გამოღმა მხოლოდ სიმინდები იყო, ამიტომ გზაზე აქ არავინ შეხვდებოდა.

როგორც იყო, სამშვიდობოს გამოვიდა. წყალს თავი დაანება, სათემო გზას დაადგა და რაც შეეძლო, მოკურცხლა. ცხენსაც ესიამოვნა, რაკი გადარჩა რიყის ქვებზე ხაბუკხუბუკს და წყალში დაუსრულებელ ტოპვას, და ჩიტივით გაფრინდა.

ერთი საათის შემდეგ მაძინია მესამე სოფელს გადიოდა.

მაგრამ რამ გადარია ამაღამ მაძინია? სად მიდიოდა? ის მიდიოდა ფოთში ფარნა თოხიტარიას სანახავად.

* * *

იმ დიდ სახსოვარ დღიდან, როცა ტასიას ფარნა თოხიტარიასაგან მონაწერი ბარათი უნახეს და ბასილმა და მარიკამ ერთი აურზაური ატეხეს, მაძინია შეეცადა გამოლაპარაკებოდა ტასიას. თავისუფალი დროც იხელთა. გამოელაპარაკა და დაუმეგობრდა კიდეც. პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ ამ საქმეში, რაც შეიძლებოდა, დახმარებას აღმოუჩენდა.

რჩევა მისცა, საქმის გაუმჯობესებისათვის და დედ-მამის თვალების ასახვევად, გაბუტვით და გულმოსულად თავი არ დაეჭირა. დედ-მამის წინ ვითომდა ბოდიში მოეხადა და ყველაფერი შეცდომა ბავშვური გამოუცდელობისათვის დაებრალებინა. ტასია მართლაც ასე მოიქცა. ბასილი და მარიკა სიხარულით ცას ეწიენ.

ერთხელ ბასილმა წისქვილის ახლო გაიარა. თვალები გაბრწყინებოდა, თავი მაღლა ეჭირა და გრძელ, ბოლო რკინის შუბიან ლაბაშას მიწაზე მაგრა აბიჯებდა. მაძინია წისქვილის კარებთან დაუხვდა.

მისალმებისთანავე ბასილი ლმობიერად გამოელაპარაკა: — შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო მაძინია, შენმა ქადაგებამ, მგონი, ქე გაჭრა, (მაძინია, ბასილისა და მარიკას მოსატყუებლად, მათ გასაგონად თოხიტარიას აძაგებდა და ტასიას ურჩევდა, ასეთი სისულელე დაეევიწყებინა. რასაკვირველია, ტასიასთან წინდაწინ იყო მოლაპარაკებული). გოგო, მგონია, ჭკუაზე მოდის. დღეს დედამისთან ბოდიში მოიხადა: ეშმაკმა ტვინი ამირია. თორემ სად თოხიტარია და სად მეო, მაპატიეთ, ყველაფერი უჭკუობით მომივიდაო.

— არა, მართლა, მართლა, შენი ჭირიმე, ბასილი! — კბილების ღრეჭით დაეკითხა ვითომდა ამ ამბით გახარებული მაძინია. — მად-

ლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, ხომ გეუბნებოდით, ბატონო.

— აბა, შე კაცო!—აღტაცებით მიუგო ბასილმა.—აბა, რა ძლიერ გამახარე. მე ვიცი, ბატონო, ჩემი ბაღანას ამბავი, მა რის გამო ვარ მშობელი. ჩემი შვილის ხასიათი რავა არ ვიცი? ჩემ შვილს რავა არ ვიცნობ? განა მე ის ისე ავღზარდე? თვალისჩინზე არ დამივარდებოდა, ისე მიყვარდა და მიყვარს კიდეცა. ის, ბატონო, თავისით, არასოდეს იმ ზომამდე თავს არ დაიმდაბლებდა, მარა არ იცი! ოხ, ღმერთო, მაგ მასწავლებელმა დამიხუჭა თვალები, მაგრამ მე მერაბის შვილი არა ვყოფილვარ, თუ ის იქიდან არ გავაძევებინე.

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, — ამბობდა მაძინია.

— ყოჩაღად კი დავხვდი, რა სათქმელია, — ცოტა ამაყად გააგრძელა ბასილმა. — ისე ცეცხლივით რომ არ მოვკიდებოდი, შენი მტერი. აპა, პა. ქალის ჭკუა ხომ იცი, ქალს ერთი გიდელი* ჭკუა ჰქონდა და ისიც კოჩას თხამ შეუჭამა და დარჩა ცარიელიო, ძუკუ რომ მღეროდა, ხომ გაგიგონია, ბავშვობაში. მარა არ მომიკვდეს შენი თავი, რომ გავცეცხლდი და რომ ალივით მოვეკიდე, ჭკუაზე მოვიყვანე. ხარდანაძის ქალმაც, რომ თქვას კაცმა, გვარიან კარგა იმარჯვა, მაგიც ცოტად აჩვილდა, როგორც ქალი, და მე კი სალ კლდესავით გავუმაგრდი.

— ოოოხ, შენი ჭირიმე, სალი კლდე არა ხარ, განა?—პირმოეფერა მაძინია.

— ოჰ, მაძინია, სადაა სიყმაწვილე! ე... მე დავბერდი, და შვილი კი არ მივარგა. — ცოტა მოწყენით თქვა ბასილმა. — ჭკუა სრულებით არა აქვს, ტუკურად შობა საქმეს და ზარალის მეტი მისგან ჯერ არარა მინახავს რა სასიკეთო. ახლაც კინაღამ ხათაბალას გადამკიდა. იმ მასწავლებელს ახირებია, ცოტა დაჰკლებია, თორემ კინაღამ დაუჭერიათ. ბატონო, ასე ვირულად როდი უნდა საქმე, შენ ფეხით გასათელად ქვეყანა ვინ მოგცა. მართალია, ამ აბრაზოვანმა ქალმა კინაღამ კისერი გამომჭრა, მაგრამ ამას საქმესთან ხომ ვერ იტყვი, ამას კალონის სტატია რომ არ უხდება? აქ სხვა ხერხით უნდა მოიქცე. აგერ, ე... მეორე მხრივ უნდა მოუარო და იქიდან უნდა მოავლო კუდს ხელი და ყრონტი დაუჭირო, თორემ... იმას, მოიცა, მოვასწრებ, ღმერთო, შენით, მხოლოდ ახლა, ახლა, როგორმე ამ გოგოს გზას რომ მივუჩენდე.

— მაგაზე ადვილი რაღაა, ალმასივით გოგო, შენ შვილს თუ გაუჭირდა საქმრო, სხვას, აბა, ვის ეშოვება?

* გიდელი—ყურძნის ჩასაყრელი კალათი.

—ეხ, ბაბა, შვილო, განა არ იცი, როცა გიჭირს კაცს? ამას წინათ თავს მატეხდნენ, აზნაურები კი არა, გაქვს წყალობა, თავადებიც კარზე ბუზს არ მიყენებდნენ. სესი ფარქანიძემ, ოთხი სახარების მადლმა, ოთხჯერ გამომიგზავნა მაშვალი თავისი უფროსი შვილისათვის, გიორგი ქოჩიკაძემ, ვახთა გოკილაძემ, მელიტონ უკოკაძემ, რა ვიცი. რა კაი კაცები აქეთ მეხვეწებოდნენ და ახლა, როცა მე სულით და გულით ჩქარა მინდა, არავინ ხმას არ იღებს, ალბათ, ამ ჭორმა, ჭორი ხომ მაშინათვე გავარდება, ეხ ოხერი, ალბათ ამან დაშიფრთხო სასიძოები.

— რა თქვენი საკადრისია, ბატონო!

— როგორ არა, შვილო, თოხიტარიაზე შეყვარებულიაო, რომ გაიგონებენ, მერე ვახთა გოკილაძე ახლოს მოგეკარება? ვახთას პაპას ლევან დადიანის ღვიძლი ბიძაშვილი ჰყავდა და ამისთანა კაცი ასეთ სამარცხვინო ამბავს რომ გაიგებს...

— ეს მართალია, ბატონო, მაგრამ,—გაბედა მაძინიამ შენიშვნა,— გოკილაძე, რომ ვთქვათ, ბევრი სახეიროც არაა. დადიანის ნათესაობა, კეთილი, მაგრამ მის ოჯახში ახლა, ნახევარ დროს, სიმინდის ფქვილი წამლად არ მოიძებნება, მისი ქონება ზოგი ცხენზე და დამბაჩებზე დაიყიდა და ზოგიც დააგირავა. მეჯაგრედ რომ დადიოდა შარშანწინ წითელი ყაზახი, ზოსიას რომ ეძახდნენ. ათი ქცევა ჭალა ისეთი აქვს იმას იმისი დაგირავებული, რომ ბაბუშერას აქეთ ქვით მაგისთანა მიწა.

— კი, მარა, — ცოტა დარცხვენილად მიუგო ბასილმა. — ქონება-მიწა-მამული მაგათ ალბათ სხვებზე მეტი კიდევ დარჩებოდათ. დიდ ხეს დიდი ნაფოტი დასცვივაო, ხომ გაგიგონია. მთებში აქვთ მაგათ ძვირფასი მამულები, სადავო კი არის, მაგრამ მოიგებენ, ექვი არაა... ამოაგდოს ღმერთმა, სად არის ახლა, ხმასაც არ იღებს.

— რას სწუხართ, ბატონო, თქვენი შვილი არ გათხოვდება. იმისი გეშინია?

— ჩქარა მინდა... აბა, რა დაგიმალო, ერთი კაცი კი მეძლევა, მაგრამ.

— გინ არის, ბატონო? — გახარებულად დაეკითხა მაძინია.

ბასილი ცოტა ხანს შეჩერდა. ცოტა ხანს ყოყმანობდა.

— სალაპარაკოდ არ მოგცემ, ჯერე მეც რა ვიცი, გადაწყვეტილი არაფერი მაქვს... თენგიზი შეერავა მეძლევა, — უთხრა ბოლოს ბასილმა.

— ყვე! — გაიკვირვა მაძინიამ.

— ჰო, ცოტა ხნიერივით ქე არის, ასე ოცდათხუთმეტი წლის...

— ორმოციც ქე იქნება, რა დასამალავია.

— ვითომ? ეს მაინცდამაინც არაფერია! საქმე ისაა ნავარი, რომ, მგონია, სისხლის სამართალშია გახვეული, ხომ იცი, ყმაწვილობისას ცოტ-ცოტა ქურდობა ვის არ გამოუცდია.

— ამაზე მე მკითხე, ბატონო, თენგიზი მაგ საქმეებში ჩემი ნაშაგირდალი არაა. ახ, ცხონებული როსთომი!.. რა და რა გამახსენდება, წართი... ორმოცი წლის, საეკვო არაა, ერთივით იქნება, თუ მეტის არა. სამ წელიწადს ჩემთან დადიოდა. მაშინ, უკანასკნელი, ოცი წლისა მაინც ქე იქნებოდა და მას შემდეგ აგერ ოც წელზე მეტია. გვარიშვილობა და მამულიც, გემოწმები, კარგი აქვს. მხოლოდ მამულს დამუშავება უნდა, ბატონო.

— ეს არის, მეც რომ მაყოყმანებს. მამული აქვს, მაგრამ ცოტა ზარმაცი კაცია, ოჯახქორი. თუმცა თუ ჩემს ხელში მოვიდა, გამოვაფხიზლებ მგონია.

— კეთილი, კეთილი, — ეუბნებოდა ვითომ აღტაცებული მაძინია.

— ა... ვითომ, შენი ფიქრით, არა უშავს რა? — გულის ფანცქალით ეკითხებოდა ბასილი.

— ჭირებით რა უჭირს, ბატონო, კაი სასიძოა, გოგო რას ამბობს?

— რიგიან საქმროს თუ ამომირჩევთ, წავყვებიო და რა რიგიანი გინდა მეტი, კაცო, ოქროს კაცს ხომ ვერ გავჭედავ. შესახედავად კაი კაცია, გვარიანი მოსახლეა, მამული რიგიანი აქვს, აზნაურიშვილია, საბუთი იმისთანა აქვს შეტანილი, რომ ქვას ტეხს.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს და მერე ბასილი შინ წავიდა, მაძინია კიდევ დიდხანს იჯდა დაფიქრებული და თავს ათასნაირად აქნევდა.

გავიდა ხუთიოდ დღე ამის შემდეგ. სექტემბრის პირველი რიცხვების შუა დღე იყო. მაძინიამ ისადილა და ჩიბუხით პირში ხმელ ფიცარზე წამოწვა.

—გრრ! — ესროლა ვიღაცამ წისქვილის უკანა კედელს გამხმარი ბელტი.

— ოხ, ალბათ კისერმოსატეხი კუდას ბალღები იქნებიან. ხომ არ მოგასვენებენ ეგ ამოსაწყვეტები, სიკვდილსაც არ დაგაცლიან, შემჭამა მაგ მართლა კუდამ, მარა როგორ მოვკლა, აბრაგობის დროს კაცის მოკვლით ხელი არ გამისვრია და ახლა გლახაკი რავა მოვკლა, — წაიბუზღუნა მაძინიამ და საჩქაროდ წისქვილს მოუარა, რომ ბელტის მსროლელს გამოდევნებოდა. გაიხედა და სახტად დარჩა. სიმინდიანში ვიღაც ქალი იდგა, მაგრამ არც ისე ახლო, რომ კარგად

ლაენახა და გამოეცნო, და არც ძლიერ შორს, რომ სულ არ დაენახა. მის დანახვაზე ქალმა ხელი დაუქნია. მაძინია მიუახლოვდა. ტასია მძებრაძე იყო. ისინი ხშირ სიმინდებში შეეიდნენ და ერთ ფალა-გესთან ჩამოსხდნენ.

— მერე როგორ, ახლა, როგორ, ახლა? — ამბობდა დაფიქრებული მაძინია.

— რა ვიცი, როგორ, მეც იმიტომ მოვედი შენთან, რომ მითხრა, როგორ მოვიქცე! რამე გზაზე უნდა დამაყენო; თავი მოვიწამლო, ჯობია, თუ წყალში დავიხრჩო, — აპილპილებულად უთხრა ტასიამ.

— მე ვფიქრობ, რომ წყალში გადავარდნა უნდა სჯობდეს, — დინჯად მიუგო მაძინიამ. — ერთი რომ, თუმცა სექტემბერია, მაინც ძლიერ ცხელა და წყალი სასიამოვნოა, კაცს მოუგრილებს, განსაკუთრებით სიკვდილის წინ, მეორე ის, რომ ამ სახით უფრო უეჭველია სიკვდილი. მოწამლულთან აქიმს მოიყვანენ, წყალს დაალევინებენ, შეიძლება ისედაც არ აწყინოს ადამიანს, და მდინარეში გადავარდნა, რასაკვირველია, თუ კაცი არ გიყურებს, უეჭველი სიკვდილია დალოცვილი.

— მე სრულიად არ მეხუმრება, — თითქმის წყენით თქვა ტასიამ და გაწითლდა.

— სახუმარო მეც არაფერი მაქვს, — მიუგო მაძინიამ. — შენ მკითხე და შეძლებისდა გვარად ჩემი აზრი მოგახსენე და როგორც მოიქცევი, ეს სრულებით შენგანაა დამოკიდებული. მხოლოდ ხელახლა გავბედავ დავუმატო, რომ წყალში უფრო იაფიცაა, არავითარი ხარჯი არ უნდა.

ტასიამ ქვითინი ამოუშვა და თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები წამოუვიდა.

— აჰა, ჰა, გამოტეხილად გეტყვი, ამიტომაა, რომ ქალების არაფერი მწამს. მე, საბრალო მაძინიას. უბრალო ხუმრობაზე მაშინათვე ფშუკუნს ამოუშვებთ, თქვე დალოცვილებო, გული ობობას ქსელისაგან ხომ არა გაქვთ მოქსოვილი.

— აბა, რას მემასხრები, ხუმრობა კი არა, გულზე ალი მეკიდება, — წარმოთქვა ტასიამ და მწარედ აქვითინდა.

— ტირილით, დამირწმუნებიხარ, რასაც არ გააფუჭებ, საქმეს ვერაფერს უშველი.

— მაშ, მითხარი, როგორ მოვიქცე. მომეხმარე რამე, იმიტომ მოვედი შენთან, — ტირილით თქვა ტასიამ და თან ცრემლი შეიმშრალა.

— ვეცადოთ, ბატონო, მოვიაზროთ. ქვეყანა ხომ არ დაქცეულა!

— ქვეყანა არ დაქცეულა და არც დაიქცევა, მაგრამ ჩემი საქმე კი გაფუჭდა. ხომ გითხარი ჩემი ამბავი. დედ-მამაც მიყვარს, მაგრამ ამ საქმეში მათი დაჯერება შეუძლებელია. ყვირილი დავიწყო და უარი განვუცხადო, ხომ მოვუშხამე მაგათ სიცოცხლე, მაგათ კიდევ არაფერი, მე მომიშხამავენ სიცოცხლეს. ისე, თვალის ასახვევად და დროს სათამაშოდ უარი არ ვუთხრა, მაგრამ ისინი ჩქარობენ. ის კაცი, თუ გინდა, ზეგვე მოვა. დროს გასაჯანჯლებელს რასმე მოვიფიქრებდე ქე მაინც?

მაძინია დაფიქრდა.

— მოდი ერთი, — თქვა ტასიამ, — ერთ რამე წამალს დავლევ, და თავს ავათ გავიხდი, ან მარხვა მომასწრებს, ან სხვა რამე.

— ოჰ, რას ამბობ, — მიუგო მაძინიამ და ისევ ფიქრი განაგრძო. შუბლზე ხელს ისვამდა, ტუჩებს ნელ-ნელა აცმაცუნებდა.

— გაჩვენეს ის კაცი? — ჰკითხა ბოლოს მაძინიამ.

— მაჩვენეს, როგორ არა!

— არ მოგეწონა?

ტასიამ მწყრალად შეხედა.

— შენ ხომ იცნობ მაგას, — უკმაყოფილოდ მიუგო მან. — შენი ძველი მეგობარი ყოფილა. ვთქვათ, მე თანახმა რომ ვიყო, შენ მირჩევდი მაგის გაყოლას?

— რა ვიცი!

— არა, მითხარი, თავი ნუ მოგიკვდება, ძველ დროებაში აკი შენი ამხანაგი ყოფილა.

— ამხანაგი რას ჰქვია, — მიუგო მაძინიამ. — შეგირდი იყო ჩემი. ერთხელ მოგვშივდა, ქათამი ვერ მოიპარა დასაღუპავმა, შეუტყვეს და ცოტა დააკლდა, თორემ კინაღამ დაიჭირეს. მაგის ნაგულისარი, მეორე ღამეს მივედი იმ ქათმის პატრონის სახლში და ისეთი ბაჩა გამოვიყვანე ქათმის მაგივრად, ათი თუმანი ათი კაპეიკი იყო მაგისი ფასი. საფლავში არ დამაყენებს მისი ცოდვა.

— შენც ხომ ამბობ, წარმოიდგინე, ქურდობაშიაც რომ არ ვარგებულა.

— მაინც საიდან გამოვარდა ახლა ის დასაქცევი, — შეწუხებით თქვა მაძინიამ, — დასწყევლოს ღმერთმა. ძლიერ ჩქარობენ, ერთი თვე მაინც მომცა... მოიცა, რა გითხრა, — დინჯად უთხრა მაძინიამ.

— რა არის!

— ახლა ყოველივე ხუმრობა შორს იყოს. შენ ის კაცი ნამდვილად გიყვარს?

— ფარნა?

— დიახ.

— ნამდვილად მიყვარს. ათი წელიწადი იქნება, რაც მიყვარს. მიყვარს ნამდვილი სიყვარულით. ბრმა სიყვარულით კი არა, აწონ-დაწონილი სიყვარულით. წინა წლებში, რა თქმა უნდა, სიყვარული გაურკვეველი იყო და ახლა კი გარკვეულია. მე მიყვარს ახალი დროება, ნე ახალი დროების შვილი ვარ და ისიც ახალი დროების შვილია. გესმის ესა?

მაძინიამ დაუდასტურა.

— ის ცოცხალი დროების წარმომადგენელია. ჩემს დედ-მამას სიცოცხლე არა სწამთ. ისინი წარსულ, მკვდარ დროებაში ეძებენ ბედნიერებას. არა სჯერათ, რომ, ცხოვრება გადაბრუნდა, სულ სხვას თხოულობს დროება. ჩემი მშობლები ბედნიერებას ახალი ცხოვრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში კი არ ეძებენ, არამედ დადიანის მოცემულ ძველ, ჭუჭყიან ქაღალდის ნახევში... თენგიზი შქერავა ერთი რომ მამად გამომადგება, მეორე, ხომ ცუდი ხასიათის კაცია. ვიცი, ზარმაცია, მტკნარი უვიცია. ამას ისინი ყურადღებას არ აქცევენ... დედაჩემს დაუჩემებია: ხახუს შვილიშვილია, ხახუსიო. აი ისინი რას ხედავენ და როგორ აფასებენ კაცს. თოხიტარია მაგათი აზრით სულ არ არის ნამდვილი კაცების ანგარიშში. ჩემი აზრით კი ფარნა თოხიტარია შქერავასთანას ხუთს ჯობია.

— კარგი, ვთქვათ ასეა, მაგრამ ერთს კიდევ გეტყვი, შენც მაგრე უყვარხარ იმ კაცსა?

— ვუყვარვარ მგონია, მაქვს საბუთები ვთქვა, რომ ვუყვარვარ.

— მაშ, ბევრს არ გავაგრძელებ. შენ მე მენდობი? ჯვარი დაგიწერე, მაგრამ სიტყვაზე ვთქვათ, როგორც მამას?

— არაფერი ბოდიში არაა საჭირო, გენდობი.

— რასაც მე გეტყვი, ყველაფერს აასრულებ?

— რა ვიცი, შენ რას მეტყვი, — გაკვირვებით ჩაიცინა ტასიამ.

— აი ამ საქმის სასურველად გათავებისათვის!

— ავასრულებ!

— მაშ, შენ... მიკვირს, იმ ფარნამ ცოტა მაინც ყური რათ არ გამიხვრიტა! ადრე რომ მცოდნოდა, სხვანაირად ვიზამდი. მაშინ... ფარნა ძლიერ კარგი მეგობარია ჩემი. უკანასკნელად რომ იყო, კარგა ხანს ვმუსაიფობდით, მაგრამ ერთი სიტყვაც რა არის, არ წამოსცდენია.

— აბა, როგორ გეტყოდა! ჯერ მაგასაც საქმე აწეწილი აქვს. სალდათობა წინ უძევს. მეტი ხანი არაა, რაც მოგების გზას დაადგა. სამი წელიწადი უნდა მოგვეთმინა, პირობა ისე მივეცით ერთმანეთს,

მანამდის ის თავის და თავისი ძმების საქმეს მოაწესრიგებდა. ეს ამ-ბავი ახლა, უბედურს, თავზარს დასცემს.

— მაშ, შენ, — ცოტა ფიქრის შემდეგ მიუგო მაძინიამ, — როგორ-ლაც იცოდე კი, ხერხიანად იყავი. ერთი ბეწო არ გადაუხვიო, ისე შეას-რულე. ბასილს თენგიზის შერთვაზე თანხმობა გამოუცხადე. ისე, დარდიმანდად მოექეცი! უხეშად ნუ ეტყვი: ჰა, კარგი, გამათხოვე-თო! ჯერ ცოტა უარზე დადექი და რომ ფეხს მოგიდგამენ, ნელ-ნელა დაყევი და ბოლოს თანხმობა გამოუცხადე. იმდენი ეცადე, ორ კვი-რაზე ადრე არაფერი საქმე არ გადააწყვეტინო, და რაც თავი და ბო-ლოა, აქაურ ჯვარისწერაზე არ დასთანხმდე. ვითომ გამოტყუებუ-ლად წაგიყვანონ აქედან, როგორც ახლა მოდაშია.

— მამაჩემი აქაურ ჯვარისწერას იქით წაყვანას არჩევს, ხომ იცი, ჭორები! მაგრამ ეს რას გვიშლის?

— მეც ეს მინდა, თუ არჩევს, ღმერთმა აცოცხლოს! რას უშვე-ლის, ის მაძინიამ უკეთ იცის. საკინძე ფქვილით გადაფენილი აქვს, მაგრამ მოგიკვდეს, თუ ზოგ სირმიანებს არ აჯობოს. შენ ხომ მი-თხარი, რასაც მეტყვი ავასრულებო, რაც მე გითხრა და როგორც გითხრა, მტკიცედ აასრულე და საქმე ტორში იქნება. ერთი ბედი ისაა, რომ მე მენდობა ბასილი და თითქმის არაფერს მიმალავს. თენ-გიზზე, ყველაზე უწინ, იქით კვირას მე მითხრა. ჩემი მოსვლა თქვენ-სას სათაკილო არაა. მხოლოდ აქ ერთი საქმე მიჭირს: დაუყოვნებ-ლივ ფოთში უნდა წავიდე და ფარნა ვნახო, ეს აუცილებლად საჭი-როა, როგორც წყალი თევზისათვის. ამას არაფერი არ შეელის. სხვი-სი გაგზავნა არ შეიძლება, ან ვის გაგზავნი? ბარათი და მაგისთანები დროს დაკარგვაა. მე უნდა წავიდე უსათუოდ.

— ეჰ, ეს ერთობ ძნელია, რომ შეგიტყონ, — ნაღვლიანად წარ-მოთქვა ტასიამ და თავი ძირს დაჰკიდა.

— ნუ გეშინია, მოვასწრებ, ერთხელ კიდევ გავიხსენებ ყმაწვი-ლობას. ახლა კი შინ წადი. რამე ეჭვი არ აიღონ, ფრთხილად იყავი.

ტასია შინ წავიდა. მაძინიამ კი იმავე დღეს ლავრენტის ცხენი და საღამოს ერთი მეზობლის უნაგირი მოიპარა და, როგორც ვიცით. ფოთისაკენ გაემგზავრა.

XLV

მოუღოდნელი სტუმარი

კონსტანტინე ტომბაშვილი დახლის ახლო, სკამზე იჯდა, ცალი ხელი დახლზე ედო და თითებს ათამაშებდა. მას ჯერ ჭაღარა არ ერია, სახეც ნორჩი და მხიარული ჰქონდა, თუმცა ორმოც წელს

გადასული იყო. ფარნა თოხიტარია დახლში იჯდა. წინ პატარა ლამპა ედგა. მის წინ ვიწროდ და გრძლად გაკეცილი ფანქრით დაწერილი ქაღალდები ეყარა და მათ ათვალიერებდა. სამი-ოთხი ბიჭი ზოგი ათის, ზოგი თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, საქონლით სავსე მაღაზიის სხვადასხვა კუთხეში იდგა და მუშტარს ელოდებოდა.

— ეს დღევანდელია, ფარნა? — დაეკითხა კონსტანტინე.

— არა, გუშინდელია. გუშინ ტამოჟნაში დიდხანს დამაგვიანდა და ვერ მოვუსწარი.

— კარგი. ოღონდ იქ კარგად გაათავე საქმე და ეს არაფერია, როცა გინდა, მაშინ ჩასწერ თეთრ დავთარში.

— ასეც შეიძლება, მაგრამ ამის მოგროვებაც არ ვარგა. ან აირევა, ან დაიკარგება. ღვთით, გვარიან კარგად მიდის საქმე და ჩასაწერიც ბევრია.

— თუ ღმერთმა მშვიდობა ქმნა, ივანეც კაი ამბებს მოიტანს და საქონელიც უზიანოდ მოვა...

— დრო კარგია, რა უნდა გაუჭირდეს. მერე, ხორცს ახლა კაი ფასი აქვს და აფხაზეთის საქონელი ამ შემოდგომაზე მსუქანი იქნება.

— თუ გზაზე სიარულმა არ გალახა, ნედლი საქონელი საეჭვოა, ოხერი. ჰაი, დედასა, — ცოტა ფიქრის შემდეგ დაუმატა კონსტანტინემ, — ცოტა ხანს კიდევ არ დაეკლო, ოხერი, სიმინდის ფასს, კაცი წელს გაიმართავდა.

— ჰაი, — ნაღვლიანად მიუგო ფარნამ, — ეს ჩემ ჯიბრზე მოხდა. მე რომ სიმინდის ყიდვა არ დამეწყო, ფასი არ დაეცემოდა.

— მერე როგორ დაეცა! ფართხუნია აფშირხავას ვხედავდი დღეს სოფელში, აბაზ-ხუთ შაურზე მეტი თუ მიეცი ქილაში, ფუთში კი არა, ქილაში ზარალს ნახავო. რას იზამ კაცი, თორემ მაშინაც საზარალოა.

— ნწ, ნწ, ნწ, — გაიქნია თავი ფარნამ, — აბა, კონსტანტინე, ახლა რომ ასეთი ვაჭრობა არის, ვთქვათ რომ სოფელში ათი შაური მაინც იყოს, ორი აბაზი მაინც იყოს ფუთი სიმინდი, მაშინ რაღა იქნება...

— ოხო, ხო, შენი გულისა, — მხიარულად მიუგო კონსტანტინემ. — მაშინ მგონი ხუთი ბიჭი კიდევ დაგვჭირდება.

— სალაპარაკო არაა ახლაც, მადლობა უფალს, ძლივძლივობით აუდივართ. საბრალო ბიჭები, ღღეს მაინც ძლიერ დაიღალნენ. სადილიც რიგიანად არ უჭამიათ. მაგრამ სამაგიეროდ ვახშმად შევუვსებ, რაც სადილად დააკლდათ. ერთი ბოთლი ღვინო მაგათი ფეშ-

ქაში იყოს ამაღამ. აა, შენ როგორ იტყვი, ვასილ, — მიუბრუნდა ფარნა ერთს, ასე თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ყმაწვილს.

ბიჭმა მორცხვად ჩაიცინა თავდაღუნულად და მის ახლო დაწყობილ ქაშანურ ჭურჭლეულობას ხელით ფხაჭუნი დაუწყო.

— მართლა, რომელი საათია?—იკითხა კონსტანტინემ. — ივახშმონ მაგათა და მერე ჩვენც.

ფარნამ საათს დახედა.

— სრული ცხრა საათია, ერთი წუთი კიდევ გადაცილებულია.

— დრო ყოფილა, იოსებიც ჩქარა მოვა ალბათ. ენა მოიტანე-მეთქი, დავაბარე, მე ძლიერ მიყვარს ენის მწვადი, — მადიანად თქვა კონსტანტინემ.

— მწვადზე უარს არც მე ვიტყვი, — მადიანადვე მიუგო ფარნამ, — აბა, მაშ, — დაუქნია ხელი ბიჭებს, — ივახშმეთ. ერთი ბოთლი ღვინოც გადაისხით. ვასილ, შენ გადაასხი, გუშინ რომ მილი მივადგით, იმ ბოჭკიდან.

ბიჭებმა ივახშმეს.

ჩქარა იოსებიც მოვიდა და ენაც მოიტანა. მერე სამივენი უკანა ოთახში შევიდნენ, მწვადი შეაწვევინეს და მადიანად შეექცნენ.

კონსტანტინე ტომბაშვილს ფოთში საკუთარი ერთი პატარა სახლიც ედგა. ორივე ძმები ღამე იქ იძინებდნენ, ფარნა კი მაღაზიის უკანა ოთახში იძინებდა. თორმეტის ნახევარი იყო, როცა კონსტანტინე და იოსები დასაძინებლად წავიდნენ. ბიჭებმა კარები დაკეტეს, ფანჯრების დარაბებს რკინის ურდოები გაუყარეს და თვითონაც მოსვენებას მიეცნენ.

ფარნა ფეხთ გახდილი და ახალუხ ღილებგახსნილი ოთახში პატარა მაგიდასთან იდგა და დავთარს ათვალიერებდა. კარგი ხანი ათვალიერა, საანგარიშე რგოლიც რამდენჯერმე შეატკაცუნა და ის იყო ახალუხი უნდა გაეხადა, რომ მაღაზიის კარებზე კაკუნი მოესმა.

— ვინ არის! — დაიძახა ფარნამ.

კაკუნი უფრო მაგრა მოესმა.

— ვინ სახლკარდაქცეულია ამაღამ, სამიკიტნო ხომ არ არის, შუაღამე რომ მიკაკუნებს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან, კალოშები შიშველ ფეხებზე ჩაიცვა და ახალუხის ღილების ბნევით კარებისაკენ გაეშურა.

— ვინ ხარ, რომ ბრახუნობ?

— მე ვარ, მე, — მოესმა მეზობელ სამიკიტნოს ნოქრის ნაცნობი ხმა.

— ფილიპე ხარ?

— მე გიბრძანებ!

— შენს გაბერილ აღას უბრძანე! რამ აგიშალა ამაღამ საღერღელი. მე ძილს ვაპირებ, ღვინო ხომ არ შემოგაკლდათ?

— მამაშენსაც შიგ ჩავახრჩობ, თუ გინდა, ორი რუმბი სავსე მაქვს. აგერ, ვიღაცა გეძახის.

— ვინაა? — გაიოცა ფარნამ.

— რა ვიცი, სოფლიდანაა ვიღაცა, ალბათ თვითონ გეტყვის.

თქმა საჭირო არაა, ვინც ეძახდა ფარნას.

მაძინიამ, რაც შეიძლებოდა, გაქუსლა ცხენი და შუაღამეს ფოთში მოადინა შვლეჭა.

ფარნას შინ რამე უბედურობა მოხდაო ეგონა და შიშისაგან აკანკალდა.

მაძინიამ დაამშვიდა.

— უბედურობა არაფერი არ მომხდარა, შენ სახლში ყველანი კარგად არიან. მხოლოდ შენთან ძლიერ საჭირო საქმე მაქვს და ერთ წამს გამოდი, მინდა მოგელაპარაკო, — უთხრა მაძინიამ.

— აქ შემოდი, კაცო, — მოიპატიჟა სტუმარი ფარნამ და კარი გაუღო.

— ცხენი აქ, ამ შუაღამეში ვის დავუტოვო?

— სვეტზე მივაბათ.

— ო... ღმერთმა გაცოცხლოს, მე ამ ცხენიდან ვერ ჩამოვალ, ამას, ტყუილია, ვერ მოვშორდები. ჩაიცვი, ჩაიცვი ჩქარა და გამოდი.

— კაცო, რას მეუბნები, ბიჭს გავაღვიძებ და ცხენს უკანიდან შემოვაყვანინებ....

— ბატონო, მე წუთებს ვითვლი, ამაღამ ისევ ჭყონნაში უნდა მივიდე, — ჩუმად და ბეჯითად მიუგო მაძინიამ. — საპოლიტიკოდ და ქვეყნის გასაღვიარებლად არა მცალია.

სხვა გზა არ იყო. ფარნა ისევ ოთახში შებრუნდა, საჩქაროდ წაღები ჩაიცვა, ყაბალახი დაიხურა, ნაბადი გადაიგდო და გარეთ გამოვიდა. ორივენი რიონის პირისაკენ გავიდნენ.

მაძინია მოუყვა და მოკლედ, მაგრამ დალაგებით უამბო. თუ რაში იყო საქმე და რისთვის მოვიდა მასთან. ანთებული სანთელი რომ მიეტანა კაცს ფარნას სახესთან, შეეშინდებოდა, იმდენად აღშფოთებული იყო. რამდენიმე ხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და ბოლოს მწარედ ამოიოხრა.

— რას ხვნეში, რას შეგეშინდა, მე აგერ არა ვარ? ჰაიტ, შე ძაბუნო! — გაათამამა მაძინიამ. — დარწმუნებული ხარ თუ არა, მე

ამალამ რომ მოვახერხე, იმას თავის ქებად ნუ ჩამითვლი და ყოველი კაცი ვერ მოახერხებდა. ჯერ კიდევ რა მიჭირავს ხელში, მაგრამ თუ ღმერთმა იპრიანა და აქედან როგორმე მშვიდობით გავედი... და თუ ეს მოვახერხე, იცოდე, სხვა უფრო საძნელოსაც მოახერხებს მაძინია, ნუ გეშინია!

ფარნამ ისევ მწუხარედ ამოიოხრა.

— ეეჰ, ბანძღი თუ გინდა, ამწეწია საქმე, მარა როგორ. ის ოხერი ბარათი იმ უბედურმა ვერ დასწვა, ან საიდუმლო ალაგას ვერ შეინახა! — როგორც იყო, წარმოთქვა ფარნამ.

— ახლა ამისთანების ლაპარაკი უსაფუძვლოა. გაჭირვების დროს კიდევ ვაჟკაცობა გასჭრის რასმე, თორემ ნაღვლით და მწუხარებით ვერაფერი გაკეთდება.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ, — გაგრძელებით მიუგო ფარნამ. — შენ ეს მითხარი, შენ რით გადაგიხადო ასეთი დავალება...

— ახლა, თუ შეიძლებოდეს, მაგისთანებს თავი დაანებე. მე თუ მათქმევინებ, ერთი წუთი ას მანეთად მიღირს. ვინმე ნაცნობმა თუ მნახა ამალამ აქ, ამ ცხენით, დედა, დედა, რა დატრიალდება! მაშინ ნახავ საქმის აკორიანტელებას, თორემ ახლა რაა. შენ კი ერთს გეტყვი: თუ ვარგიხარ და თუკი ვაჟკაცის სისხლი გიდუღს, ახლა გამოგაჩნდება. ჩემი კი სრული იმედი გქონდეს. მართალია, მეწისქვილე ვარ, მაგრამ შეიძლება ერთ-ორს კიდევ ავუხვიო თვალი.

— მე ამალამ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაძინია, მაგრამ თუ ვიცოცხლე, იცოდე, შენ შრომას.

— ფუი, დედა! ეს რა კაცი ყოფილა! — წყენით მიაძახა მაძინიამ და ცხენი მიაბრუნა. — მშვიდობით, მშვიდობით, რაც გითხარი ესაა, აბა შენ იცი.

— მოიცა, მაძინია, დამაცა ერთ წამს, — აჩქარებულად წამოიძახა ფარნამ, მიირბინა ცხენთან და აღვირს ხელი მოკიდა.

— რა გინდა?

— მომითმინე ერთი წუთი,—სულშეწუხებულად უთხრა ფარნამ.

— რა გინდა-მეთქი?

— ერთი წუთი, მხოლოდ ერთი წუთი, შენი ჭირიმე, მაძინია, — შეეხვეწა ფარნა და დუქნისაკენ სირბილ-სირბილით გასწია.

ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, მაძინიას მიუახლოვდა და კარგა მოზრდილი ბოხჩა გადასცა.

— აჰა, ეს დაიჭირე ხელში და აბა, შენ იცი, მეტს მე არ გაგაჩე-

რებ, — საჩქაროდვე უთხრა ფარნამ. — მე ყოველნაირ ზომას მიეიღებ. მეც თვითონ ჩუმად ამოვალ.

მაძინიამ ბოხჩას ხელი მოავლო: ბოთლები, პურის ნაჭერი და კიდევ რაღაც-რაღაცეები მოუვარდა თითებში.

— ო, ეს ჭკუიანად გიქნია, ნიჭიერი ხარ, ამიტომ მიყვარხარ.

— ესეც ჯიბაში ჩაიდევი, — გააწყვეტინა ფარნამ და ერთი ქაღალდიც ხელში მისცა.

—ესეც საჭიროა თავის ალაგას და მიუცილებელი საჭიროც, — კმაყოფილებით მიუგო მაძინიამ და ქაღალდიც ჯიბეში შეინახა. — გესმის, — უთხრა მან. — თუ ამოხვიდე ჭყონონაში, ისე მოახერხე, რომ ღამე შემოხვიდე. ჩემთანაც ღამე მოდი. წისქვილს უკანიდან მოუარე და ბელტი ესროლე, მე გამოვალ, ოცი კაციც რომ იჯდეს წისქვილში, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ჭინკა ეგონებათ და შიშით კანკალს დაიწყებენ. მეც, არიქა, ჭინკაა-მეთქი, და გამოვედევნები ჭინკას. გულადი კაცის სახელსაც გავიგდებ სოფელში, — გადაიხარხარა მაძინიამ და ცხენი გაათოხარიკა.

მამლებმა ყივილს მოუმატეს, როცა მაძინია ჭყონონაში შემოვიდა იმ გზით, რა გზითაც გავიდა. ცხენი მეტისმეტად დაღლილი იყო. ტანი სქელი ქაფით ჰქონდა დაფარული. დიდ ფალაგესთან მივიდა, უნაგირი მოხსნა, ცხენს გავა ცივი წყლით გადაუბანა და წყლის პირად კარგა ხანი ატარა ნელ-ნელა.

. — ეხ, ცხენის მოვლა მაგ აზნაურებმაც არ იციან. ცხენი ხატ ხომ არ არის, პირჯვარი მიაწერო? — უკმაყოფილოდ თქვა მაძინიამ. — ცხენს აშმევენ, აშმევენ, აშმევენ, ზედ კი ნაკლებად ჯდებიან. რიგიანი დახედნილი რომ ყოფილიყო, ამდენს არ შეწუხდებოდა. ბევრი, ბევრი ასი ვერსტი გაიარა. სამი-ოთხი თვე კაცი ზედ არა მჯდარა.

უნაგირი ფალაგეში შეინახა. ცხენი ისევ გამოიყვანა. პირველ შეხვედრილ ორღობეში შერეკა, აღვირი მოხსნა და ორივე ხელი დაუქნია. ცხენი ცოტად დაფრთხა. სხვა დროს მაგისთანა ხელის დაქნევაზე კიშმიშზე შედგებოდა და უკანა ფეხებით ლამაზად შეიკუნტრუშებდა, მაგრამ ახლა, ორი-სამი ნაბიჯი წინ ზანტად წააძუნძულა, ერთიც მთელი ტანი გააკანკალა და ღობეს გაყოლება, მტვრიან, დაბალ მდელოს დაუწყო ძიძგნა.

მაძინია წისქვილისკენ წამოვიდა. წისქვილში მოვიდა და კარნელა შეაღო. თითქმის თენდებოდა. სამივე დოლაბს ბრიალი გაჰქონდა. მისი ნათლიმამა პირაღმა იწვა მის ლოგინზე და პირდაღებული ხვრინავდა. ორ გარეშე სოფლელსაც ტომრებზე ეძინათ. საჩ-

ქაროდ თვითონაც გაიხადა, ერთი ტომრის გვერდით დაეგდო და მაშინვე მიეძინა.

— რა მკვდარივით ძინავს მაგ ოჯახდაქცეულს, აგერ შუადღე ქე იქნება, — მოესმა მაძინიას და თვალი ოდნავ გაახილა. თავში სიმძიმეს და ტკივილს გრძნობდა, წვივიც და კანჭებიც საშინლად ტკიოდა.

— არ გაიღვიძო, არა, ჯერე, თუ კაცი ხარ, ერთი ტომარა კიდევ მაქვს დასაყრელი! — მოესმა ხმა.

მაძინიამ ძილი ცოტ-ცოტად დასძლია და მძიმედ და ზანტად წამოდგა. მთელი სხეული უწკრიალებდა. წისქვილში მხოლოდ ერთი გარეშე სოფლელი, ანტონია ჭოლია იყო.

— ბეჩუნა სად არის? — ზანტად და თვალების ფშვნეტით იკითხა მაძინიამ.

— ბეჩუნა რა ხანია წავიდა, — სიცილით მიუგო ანტონიამ.

— დიდი ხანია წავიდა? — უაზროდ გაიმეორა მაძინიამ და ერთიც ლაზათიანად დაამთქნარა.

— ცოტა ხანი ნუკი გგონია, რაც შენ გძინავს. შენი მოსვლა, ბართალი გითხრა, არ გაგვიგია, თუმცა კარგა ხანი ვილაპარაკეთ წუხელ მე და ბეჩუნამ. დღეს დილით რომ გამოგვეღვიძა, შენ გეძინა. ცოტა ხანი გიცადეთ. მერე გიჯიკავეთ, გიჯიკავეთ, მაგრამ არ იქნა და არა შენი საშველი, ვერას გზით ვერ გამოგაღვიძეთ. ბეჩუნას, საბრალოს, აქ რა დაარჩენდა, ბაღნებით სავსე კაცს, მაშინათვე გაიქცა.

მაძინია ხშირ-ხშირად ამთქნარებდა და თან ერკვეოდა.

— კარგა ხანი დაგაგვიანდა. ალბათ. სადმე სანადიროდ იქნებოდი, ა... შე ქოსავ. შენა, — გაეხუმრა ანტონია. — კიდევ არ დაანებე თავი მაგისთანებს... ა... შე წუწკო, შენა!

— აი იმდენი აგაშენებს ღმერთი. შინ არ დამიხვდა მაგ ოჯახდაქცეული. შუაღამემდი ვუცადე, მერე ძლივღა მოეთრა.

— ქე მაინც თუ ამოიღე რამე? — თანაგრძნობით დაეკითხა ანტონია.

— იმდენი აშენება მის ოჯახს. განა არ გაგიგონია. ვალი იქით მიიცინისო და აქეთ მოიტირისო. აგერ, ზამთარი მომდგარია, ნაბადი არა მაქვს, ერთი, და მეორე, ხშირად მის სახლში ამ სიშორეზე, და ისიც ფეხით, ხანში შესულ კაცს რა მატარებს ან სადა მცალია. წუხელ კინაღამ ხუთ ალაგას ფეხი მოვიმტვრიე. წისქვილიც ისე მივაგდე.

— წისქვილს რა უქირდა, ჩვენ ფხიზლად გიყავით.

— კი გეტყობოდათ სიფხიზლე, — დაცინვით მიუგო მაძინიამ.

— თავის დღეში არ დავიჯერებ, — შემოილაპარაკა ამ დროს ერთმა გლეხმა და წისქვილში შემოვიდა.

— ნამდვილად ასეა, — მიუგო მეორემ. — და თუ არ დაიჯერებ, შენი ნებაა.

— რა ამბავია? — შეეკითხა მაძინია.

— ხომ ნახეს ლავრენტის ცხენი, — მხიარულად თქვა პირველმა გლეხმა.

— სუ, თუ ღმერთი გწამს! — გაიოცა მაძინიამ. ის ამ წუთებში დახელოვნებულ მსახიობს გააფუქებდა.

— მართლა, დამავიწყდა შენთვის მეთქვა, — გაერია ანტონია. — ეს კიდევ, დილით, შენ რომ გეძინა, ერთი კაცი შემოვიდა და იმან გვითხრა.

— მე ვამბობ, რომ ის ცხენი არ იყო მოპარული, — დაიწყო ისევ პირველმა, — სოსო კი არ მიჯერებს, — გადახედა მეორეს.

— მოპარული რავა არაა! — წამოიძახა სოსომ, — ჩემი თვალით ვნახე, ცხენი ძლივს დგას ფეხზე.

— რომ მოეპარა, ისევ აქ არ გაუშვებდა, იმას ი კაცი ან წებელს მიაგდებდა, ან საჩხერეს აჩვენებდა.

— მაშ, იმ ცხენზე კაცი არ მჯდარა, შენი ფიქრით? — დაიჯინა სოსომ.

— რა ვუყოთ მერე, რომ მჯდარა. ეს კიდევ არაა მოპარვა. მოპარვა ისაა, როცა ის კაცი სულ წაიყვანს.

— ძლიერ დახედნილია ცხენი? — გაერია მაძინია.

— მეტისმეტი, — მიუგო სოსომ,—რავარც გინდა, ისე თქვი, ეს საქმე დარისმან ქუჩაიას არ აკლია. მოიპარა, ერთი დღე და ღამე კარგა გახედნა, და როცა ძლიერ საწყენი შეიქნა ყველასათვის და ბევრ უმართლო პირს წაატანეს ხელი, შეებრალა. აბრაგი რო არი, იმიტომ ისიც კაცი არაა თუ... და მერე ქე გაუშვა, — გაგრძელებით ჩაილაპარაკა სოსომ.

— მაშ, სხვა ახლა ამისთანა საქმეს ვინ გაბედავდა, — კვერი დაუკრა მაძინიამაც ისე დინჯად, თითქო აქ არაფერიაო.

— ისაა, ბატონო, ის, იმან დააქცია ჩვენი ქვეყანა, — დაემოწმა ანტონიაც.

— დარისმან ქუჩაიას ის ცხენი ჩავარდნოდა და მერე ის იმას გამოუშვებდა? თქვენც გინახავთ გულჩვილი კაცი? ასეთი ცირია რომ იყოს, აბრაგი არც იქნებოდა. დიახ, ნევრი არ ეინტერესება ციბდირიდან გამოქცეულ კაცს, საწყენი შეიქნა თუ არა ტკვარჩელიას ცხე-

ნის მოპარვა. ის, ბატონო, ვიღაც აქაური წვრილმან ცქუცქუტის საქმეა, სადღაც წასასვლელი ჰქონდა საჩქაროდ. რომ ეთხოვა, ლავრენტი, მამამისი რომ ადგეს, იმას არ ათხოვებს. შეჯდა ის კაცი, თავისი გზა მოისტუმრა და მერე ქე გაუშვა, — მაინც არა სცხრებოდა პირველად შემოსული.

მაძინიამ მას ალმაცერად შეხედა, პირი მოარიდა და შუა დოლაბს თვალიერება დაუწყო.

— ყა, ყა, ამას ჩვენ სოფელში არავინ გაბედავდა, — მაინც გაიძახოდა სოსო.

— არა, არა, არა, არა, — ხახუნობდა წისქვილის ქვაც.

იმავე ღამეს მაძინიამ უნაგირი საიდანაც გამოიტანა, იქვე ჩამოკიდა. პატრონს არც ერთი შეუტყვია და არც მეორე.

XLVI

ა ს ი ა ნ ი

კონსტანტინე ტომბაშვილი ძლიერ დაფიქრებული და მოწყენილი იჯდა უკანა ოთახში და მტვრისაგან კარგა გაჭუჭყიანებულ ფანჯარას გასცქეროდა. ფარნაც, არანაკლებ დაფიქრებული, მორცხვად იქვე კუთხეში იჯდა და ძირს იყურებოდა.

— რას მეუბნები, კაცო, რას მეუბნები! — წამოიძახა კონსტანტინემ და ფარნას შეხედა, — ნამდვილად გადაწყვიტე გუნებაში ეს საქმე?

— გადაწყვეტილი მაქვს სწორედ, — ჩუმად მიუგო ფარნამ. — რა ვქნა, ასე ჩქარა არ მინდოდა, მაგრამ დროებამ ასე მომიტანა.

— რას ამბობ, კაცო, რას ამბობ! მე ჯერ კიდევ სიზმარში ვარ, მგონია, — გაკვირვებით გაიმეორა კონსტანტინემ და ერთიც მწარედ გაიცინა. — დიდება შენდა, ბასილი მძებრაძე ქე გამიგონია. ვიცნობ კიდეცა, კაი აზნაურიშვილია, როსთომის რა არის, ნეტავ?

— რომ მოჰკლეს? აბრაგი რომ იყო, იმისი?

— ჰო.

— ბიძაშვილია, მგონია, კარგად არ ვიცი, ღმერთმა ამოაგდოს...

— მართლა ამოაგდოს ღმერთმა,—მოუსწრო კონსტანტინემ, — კაცო, შენ კარგად წარმოდგენილი გაქვს თუ არა, რაც მე მითხარი? ასეთი გატაცებული ხართ, შვილო, ახალგაზრდა ბიჭები. თქვენი ფიქრით, ქვეყანა სათამაშო ბურთია. ბიჭო, შენ ჯერ ცოლი კი არა, ტუჩებზე რძე არ შეგშრობია. ორი შენზე უფროსი ძმა კიდევ არის

უცოლო. იმათ თუგინდ თავი დავანებოთ, სალდათობა წინ გიძევს. ხუმრობა საქმე ნუკი გგონია. ორი შენი ძმა ძლივსძლივობით გადავარჩინე. სულ ერთი და იგივე „კეთილი“ კაცები არა სხედან ამ პრისუსტიაში, რა იცი, როგორ დატრიალდება საქმე.

— რაც უნდა დამიჯდეს, ეს გადაწყვეტილია. თუ ეს ახლა ვერ მოვაგვარე, თავიც ცოცხალი არ მინდა. მაინც არავისათვის გამოსადეგი არ ვიქნები, არც ჯარისკაცად ვივარგებ და არც ნოქრად, — თავის ძირს დახრით და განზე ყურებით გააწყვეტინა ფარნამ.

— დიდება შენდა, ღმერთო! რა სასოწარკვეთილი ხალხია ეს ახალგაზრდობა, — პირჯვრის წერით წარმოთქვა კონსტანტინემ. — ბიჭო, შენ ნუკი გეწყინება და შენი დაბადების დღეს, ალბათ, გვარიანი ბიჭი ვიქნებოდი. შენ სახლში პირველად რომ მოვედი, შენ მაშინ პატარა, ძლივს მოტიკტიკე ბავშვი იყავი. გახსოვს, აბაზიანი რომ გაჩუქე?

ფარნამ ნელ-ნელა ჩაიცინა და ახალ წვერ-ულვაშზე ხელი გადისვა.

— მაშინ მე, რომ მხედავ, — გააგრძელა კონსტანტინემ. — გვარიანი სახელი მქონდა გავარდნილი. ასეთივე გაწყობილი იყო თითქმის მაშინაც ჩემი მაღაზია. შენ რათ გეწყინება, და მე, მამაპაპეულიც ორასი ქცევა მიწა ხელუხლებელი მაქვს ლეტაკარში, ას ქცევამდე დარჩენილი ტყეა. სახლ-კარი როგორი მოწყობილი მაქვს იქ, შენც ქე იცი, აქ რაც მაქვს, სულ შენ ხელში არ არის? მაგრამ ხომ ხედავ, მეც, იოსებიც ჯერჯერობით ისევ უცოლშვილონი ვართ. ბევრი კი გვემდურის, გვესაყვედურება, მაგრამ ხუმრობა როდია, ჩემო ძმაო, ცოლ-შვილი დიდზე დიდი ტვირთია. თუ რიგიანად გაუძეხი, დიდი მოვალეობაა.

— ეს ყველაფერი ცოტად მეც მესმის, მაგრამ ხომ გიამბე, საქმე რაშია.

— თოლი, ღმერთი ამოაგდებს ყველა მძებრაძეს, ის გოგოც ჩემ საჭირბოროტოდ რამ გააჩინა, წართი! წიე, მეც ისაა, ცეცხლს რომ მიკიდებს. ეს არეულობაა, რომ ხის დანით ყელსა მჭრის. შენ ნუ გეწყინება, და მძებრაძეები, ბაბა, როგორც საზოგადოდ ყველა ჩვენი აზნაურები, თავაღებული ხალხია, უკაცრავა მოხსენებაა: არ აცვიათ, მაგრამ მაინც იპრანჭებიან, იბღინძებიან. ჩვენი ქვეყანა, ძმაო, ჯერ კიდევ ძველ აზრებზეა. მე პირადად თუ მკითხავ, კისერიც მოუტეხია მძებრაძესაც და გაძებრაძესაც, მძებრაძის კი არა, ნეტავი დადიანის ქალი შეგერთოს, გამიხარდება, თორემ რად მეწყინება... შენ მე ჩემი ოჯახიდან არა გყოფ, მაგრამ სადარდელი ისაა, რომ აქ საქ-

მე ნებაყოფლობაზე და მშვიდობიანობაზე არაა. შენ დაგიჟინია, ქალს ვუყვარვარო. ჰაი, ეს სიყვარულიც. შენ ჯერ არ იცი, რას ჰქვია ქალის სიყვარული. მეთარე რომ უკრავდა ახლახან, ხომ გაიგონე: გაზაფხულის ჰეპელაა, ვერ დაიჭერ, წაგივაო, არც ხორცი ხორცად ივარგებს, არც ტყავი ფასად გაგივაო... ქალის სიყვარული და კაცისაც, რა დასამალია, ძლიერ მჩატეა და ჩქარა წარმავალი. ასეთ გადამეტებულ, მეტისმეტ გადაწეწილ სიყვარულს მოწყენა და სიძულვილი მოსდევს. ამასაც თუნდ თავი დავანებოთ, ატყდება მამა, დედა, ნათესავები, მტერ-მოყვარე, ერთი, მეორე, გაიმართება აყალ-მაყალი, დაითესება მტრობა, ჩხუბი, შეიძლება საქმე სისხლის ღვრამდე მივიდეს, ან, ქარბორიას, შეიძლება ვინმე უმართლო პირი დაიჭრას ან მოკვდეს კიდევაც. მოყვება სისხლის სამართალი, პროკურორი, გამომძიებელი და დავიდარაბა. შენ კი, ჩემო ძმაო, რიგიან გზაზე დგახარ. მამაშენსაც და შენ ძმებსაც კარგად გაქვთ საქმე დაწყებული, მაგრამ ჯერ მაინც, ასე ვთქვათ, ახალშეძენილი კაცები ხართ. ახალი დარგული ხე უნდა გაამაგრო, გაამტკიცო და ერთხელ ფესვებს ღრმად მიწაში რომ ჩაუშვებს, მერე არა უჭირს რა, ტოტები რომც შემოაჭრა შემთხვევის დროს, ძირი, ღერი და ფესვები მაგარი თუ ექნება, ტოტებს ხელახლა ამოიყრის და გაზრდის. ახლა კი ჯერ თქვენი მდგომარეობა ნორჩ ხესა ჰგავს, ამ თავითვე კი ეტყობა, ოდესმე ჩინებული ხე იქნება, მაგრამ ფესვები გამაგრებული არა აქვს, ღერო დამსხვილებული არ არის. ახლავე ტოტები რომ შემოაჭრა, შეიძლება სულ გახმეს, ან რიგიანად ვერ გაიზარდოს. საჩხუბარი, სადავიდარაბო საქმეა. ახლა ფულები რამდენი წავა, დრო რამდენი დაიკარგება, მერე რა დრო! მერე თვითონ ხომ ხედავ, ერთ წუთს ერთ მანეთად ღირს კაცი... თუ დამიჯერებ და ხელს განზე გაუქნევ, კარგი იქნება. დამერწმუნე, ერთი ხუთი წლის შემდეგ კი დამიმადლებ: შენი ჭირი შემეყაროს, კონსტანტინე, მაშინ რომ მიმახვედრეო, ქე მეტყვი, ეს უეჭველად ვიცი. კისერიც ქე მოუტეხია ყველა მძებრაძეს ერთად. დამიცადე ცოტა, ჯერ ეს სალდათობა აგაშორო, რაც უნდა დამიჯდეს. ხუმრობა საქმეა! სამ-ოთხ წელიწადს თუ შენ მოშორდი მაღაზიას, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვაჭრობას თავი უნდა დავანებო. ღმერთმა და კეთილმა კაცებმა და კეთილ კაცებზე უფრო კასაში რომ გვიძევს, იმან სალდათობა თუ აგაშორა, დამაცადე კიდევ ერთი ორი-სამი წელიწადი, მანამდე მეც, ალბათ, რასმე ვიზამ, რა ვიცი, ბერად შედგომა ფიქრადაც არ მომსვლია ჯერე. და შენც მერე ისეთ ქალს შეგრთავ, რომ სახით ვარდი იყოს, ხმით იადონი, სწავლით სტუდენტი.

ფარნამ ისეთი თვალებით გადახედა კონსტანტინეს, თითქო ეუბნება: ამდენი ყბედობა რა საჭიროა, ეს ყველაფერი წყლის ნაყვაა, ჩემ გადაწყვეტილებას არაფერი არ დაარღვევსო.

— კონსტანტინე, — მტკიცედ მიუგო ფარნამ,—შენ ხელში გაზრდილი ვარ, დარწმუნებული იყავი, მამაჩემს იმდენს არ დავუჯერებ, რამდენს შენ, მაგრამ ამ საქმეში ანგელოზიც ციდან რომ ჩამოვიდეს, ისიც ვერ გადამათქმევინებს ერთხელ გულში გადაწყვეტილ განზრახვას. თუ დახმარებას ვერ გამიწევ რა ექნა, ჩემი რაც მერგება...

— სუ! — წამოიძახა კონსტანტინემ და ფარნას პირზე ხელი მიაფარა,—აიტ, მართლა სანდო არა ხართ ახლანდელი ბიჭები,—მწუხარედ და ჯავრით წარმოთქვა კონსტანტინემ. — არა ხართ და არა ზართ საიმედო. ბიჭო, ენა როგორ დაგეძრა ამის სათქმელად? ვთქვათ, მე ისე გავსულელდი და აჰა, შენი წილი, წადი-მეთქი რომ გითხრა, შენ კი წახვალ? განა ამიტომ ვუცინით ერთმანეთსა? თუ მეტი არა ვართ, ჩემო ძმაო, ფუჭი ყოფილა ჩვენი საქმე. ბიჭო, მე რამე თუ გითხარი, იმიტომ გითხარი, რომ მგონია შენთვის ისე სჯობია და კიდევაც სჯობია, ისე ცხონდა დედიჩემის სული, ისე ვიხარე მე და, თუ მაინცდამაინც არ დაგიშლია, სხვა რა გზაა, უნდა ვეცადოთ. აიტ, შე გლახავ, შენა. შენ გლახა გულის კაცი ყოფილხარ. უკეთესი ვაჟკაცი მეგონე. რჩევა-დარიგება სულ სხვაა და გაჭირვების დროს დახმარება სულ სხვა. თუ მაინცდამაინც არ დაგიშლია, უნდა ვეცადოთ. აბა დაწვრილებით და გულახდილად მომიყევი ყველაფერი. იცოდე, არაფერი არ დამიმალო. თორემ უარესია, რაც შენ იცი ამ საქმეში, ის მეც უნდა ვიცოდე.

ფარნამ ყველაფერი უამბო.

გავიდა ამ მუსაიფის შემდეგ ორი საათი და იმავე ოთახში ისხდნენ კონსტანტინე, მისი ძმა იოსები, ივანე და ფარნა და ერთიც ვიღაც გრძელწვერა, კარგა ჩასუქებული, მამაცი გამომეტყველების, ხანჯლით და რევოლვერით შეიარაღებული კაცი. გულზე წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის თეთრი ჯვარი ეკიდა.

ოთახის კარები დაკეტილი იყო.

— იცი, კოსთაია, რაზე მოგიხმეთ? — დინჯად შეეკითხა კონსტანტინე თეთრ ჯვრიანს.

— აბა საიდან მეცოდინება, გულთმისანი ხომ არა ვარ? — ეს ისეთი კილოთი თქვა კოსთაიამ და ისე ეშმაკურად გადახედა იქ მყოფთ და ოთახს თვალი ისე მოავლო, რომ ყველას გაეცინა. კონ-

სტანტინემაც თავი ვერ შეიმაგრა. კოსთაიამ წვერზე ხელი მოისვა და კონსტანტინეს კითხვით შეაჩერდა.

— კაცო, ვიცი, რომ არ გეცოდინება და იმიტომ გეუბნები, — მიუგო კონსტანტინემ. — ერთი ძლიერ მოულოდნელი და სადავიდარაბო საქმე გაგვიჩნდა. სწორედ ისეთი საქმე, საცა შენი დახმარება გვჭირია. თუ ვაქკაცის სისხლი გიდუღს, გვიშველე ამ საქმეში და იცოდე, უპატივცემულო არ დაგირჩებით.

— რა ყოფილა, კაცო, ისეთი? ეს რა ესმის ჩემს ყურებს. რაში უნდა გამოგადგეთ? — გააწყვეტინა კოსთაიამ. — შეიძლება, აა... — შეხედა ივანეს. — აა... ვითომ, ივანე, სუკის მწვადები?

— ხუმრობა შორს იყოს, კოსთაია, — დინჯად გააწყვეტინა იოსებმა. — ჩვენ მართლა ცოტა მაგარი საქმე გვაქვს.

— უკაცრავად, ბრძანეთ, ბატონო. ეს ოხერი ენა არ მომითმენს. ამას წინეთ მშიერი მოვდიოდი და თქვენ საყასბოს წინ რომ გამოვიარე, ისეთი სუკის ნაჭრები ეკიდა... ოოხ, ისევ მწვადებზე გადავედი, უკაცრავად. მიბრძანეთ, ბატონო! რა შემიძლია მე საწყალს, თუ რამე... მაგრამ ოხ, ოხერი, შემომლევია, — ჯიბეში ხელის ფათურით წარმოთქვა კოსთაიამ, — ერთი პაპიროსი მოიტა, თუ კაცი ხარ, — ხვეწნით შეხედა კონსტანტინეს.

პაპიროსი მიართვეს, თან უამბეს, რაში იყო საქმე.

კოსთაია ტყობინჯელია, ან როგორც ზოგიერთები ეძახდნენ, კოხთაია, იყო აზნაურიშვილი. მამამისი საშუალო ქონებისა იყო, ე. ი. როცა ბატონყმობა გადავარდა, რვა მოსახლე ყმა აღმოაჩნდა. ხუთი წლის შემდეგ ნაყმევებმა თავი გაითავისუფლეს, მიზომილი მიწები შეისყიდეს და ამით ყოველნაირი კავშირი მოსპეს ნაბატონართან, საკუთარ ცხოვრებას დაადგნენ. კოსთაია მამის ერთადერთი შვილი იყო. უკანასკნელი ომიანობის დროს ჯარში შევიდა და ციხისძირის აღებაზე ერთი თეთრი ჯვარი იშოვნა. იქიდან დაბრუნებულს მამა მოუკვდა და დარჩა მარტოხელა. დედა ადრე მომკვდარიყო. ჯერ ცოლის შერთვა დააპირა, მაგრამ რატომღაც ჭკუაში არ-დაუჯდა. მიყო ხელი და რამდენიმე წელიწადს, რაც მიწა-მამული ჰქონდა, (ვარგისი და უვარგისი ას ქცევამდე ექნებოდა) ყველა მიყიდ-მოყიდა ცოტ-ცოტად. მომეტებული ნაწილი ისევ მის ნაყმევმა გლეხებმა შეისყიდეს. ამის შემდეგ სოფელში აბა რა აცხოვრებდა. საზოგადოდ ცხოვრობდა ფოთში, ქუთაისშიაც ხშირად დადიოდა, ზუგდიდ-სენაკსაც არ იწუნებდა, თუ მდგომარეობა ხელს შეუწყობდა, ოზურგეთ-ბათუმშიაც შეიხედავდა. სოფლებშიაც დადიოდა. განსაკუთრებით არავითარი ხელობა არ იცოდა და არც არავითარ მრე-

წველობას მისდევდა. მხოლოდ ღვინის სმაში იყო დახელოვნებული. ღვინის სმა მართლა რომ საკვირველი იცოდა. ოთხ თუნგ ღვინოს არხეინად დალევდა. საქმე ის იყო, რომ არ დაითვრებოდა და ჩხუბსა და აყალ-მაყალს არ ატეხდა, თუმცა ძლიერ თავმოყვარე და გამბედავი კაციც იყო და თავის შეურაცხყოფას არავის შეარჩენდა. რომ თქვას კაცმა, ჯვარი ტყუილად კი არ მიუღია. ერთი შეტაკების დროს ისეთ ადგილას მოექცა, სადაც ტყვია ფეტვივით ცვიოდა. ერთი-ორი კოსთაიასაც შეუთამაშდა, საბედნიეროდ, არა სასიკვდილოდ. მიუხედავად ჭრილობისა, ის თავგანწირვით მიუახლოვდა მტერს და ერთი თათარი ჭარხალივით აკაფა.

კოსთაია საზოგადოდ ტკბილი და ხუმარა კაცი იყო, სიმღერაც კარგი იცოდა და, რასაკვირველია, უკეთესი სამაყრო კაცი სანთლითაც არ მოიძებნებოდა. ქალაქში თუ სოფელში გამოჩენილ წვეულებაზე პირველი კაცი იყო. ბანქოს თამაშიც ძლიერ უყვარდა, კარტოჟნიკსაც კი ეძახდნენ. გურია-სამეგრელო-იმერეთში ძლიერ ბევრი ნაცნობი ჰყავდა და ყველგან სასურველი სტუმარი იყო.

აი, ამ კოსთაიას მიმართა კონსტანტინე ტომბაშვილმა, როცა ფარნამ თავისი დაიჟინა და განზრახვაზე ხელი არ აიღო.

კოსთაიამ ყურაღღებით მოისმინა, რაც უამბეს. ფარნა აათვალიერ-ჩაათვალიერა, ერთიც ივანეს შეხედა და ხუმრობით შენიშნა:

— აბა, შეხედეთ ყურუმსაღს, ეტყობა, გემო ჰქონია, აზნაურისთვისაც ხელი წაუპოტინებია. რა გოგოსთვის უტაცნია ხელი. ბიჭო, ივანეს რომ არა ჰყავს ჯერ ცოლი?

— ივანეს უმცროსი და ფარნას უფროსიც კიდევ არის ერთი, — შიუგო კონსტანტინემ და ერთიც ამოიოხრა.

კოსთაიამ ისევ ფარნას შეხედა.

— არჩევა კი ცოდნია, მაგრამ ჯერ ეს რა საცოლოა! როგორ მიეგბა, ან როდის გაახერხა! — კვირობდა კოსთაია. — ე, ჩემო ბატონებო, ხუმრობა, ხუმრობა�ო, იტყვიან და... ეს, ჩემო ბატონებო, მართლა ძლიერ ძნელი საქმეა. იშვიათია, თუ მკითხავთ. ისე უნდა მოხერხდეს, რომ ჩემზე რამე ეჭვი არ მიიტანონ, თორემ ქვეყანაში თვალს ვერ გავახელ, თავადაზნაურობა სათოფედ არ მიმიკარებს.

— როგორც გინდა, ისე მოახერხე, ოღონდ მოახერხე, ჩვენ რომ გითხარით, იმრიგად. ქალი ჩვენკენაა, იცოდე, ლუკმა-ლუკმა რომ აკეპონ, არ გვიღალატებს.

— ე, აბა მაშ ქალი თუ არ იქნება ჩვენკენ, მაშინ როტა ჯარი რომ ჯამაყოლო, მაინც ვერაფერს ვიზამ, ან რავა შეიძლება. კაცო, სხვა-

ფრიე ვერ მოვახერხებთ? პირდაპირ სახლიდან რომ წამოვიყვანოთ უფრო ადვილია...

— საქმეც ისაა, არ გვინდა სახლიდან. აა, გეტყვი, რატომ არ გვინდა: ჩვენ ბასილ და მის შვილთან დავიდარაბას ვუფრთხით. როგორმე ბასილის თავმოყვარეობა ნაკლებ უნდა შეილახოს. იმის სახლიდან რომ გააპარო, ბასილი უსიკვდილოდ არ მოგვეშვება.

— ოჰო, ჰო! — წამოიძახა კოსთაიამ და დაფიქრდა. — ახლა კაციც უნდა რიგიანი ხელის შემწყობი, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— ხელის შემწყობი ისეთი გვეყოლება, ნუ გეშინია, — აღტაცებით უთხრა კონსტანტინემ.

— ვინაა ასეთი?

— მაძინია ჰქვია, რულაია.

— ოხ, ის კიდევ ცოცხალია? სადაა, სად სახლობს?

— სახლობს კი არა, ის არ გინდა... მეწისქვილეა ჭყონონაში.

— სუ!

— მაშ რა გინდოდა?

— საწყალი, კი ვიცნობდი ერთ დროს. თუ ძლიერ მოხუცი არაა, ხელის შემწყობი მართლა კარგია. ოჰ, საწყალი!

— მოხუცი კი არა, ჯერ შველივითაა.

კოსთაია გამხიარულდა, წვერ-ულვაშზე ხელი მოისვა.

— აბა, შენ იცი, კოსთა, და უმადური არ დაგირჩებით. მე, ხომ იცი, ვაჭარი კაცი ვარ. აღთქმის, დალოცვის და მაგნაირი აფხაზური წესების არაფერი ვიცი, — უთხრა კონსტანტინემ. — თუ საქმეს, როგორც გითხარით, ისე მოაგვარებ, აი შენი საჩუქარი, — კონსტანტინემ ჯიბეში ხელი ჩაიყო და რაღაც ქაღალდი გამოაჩინა.

კოსთაიამ ქაღალდს დახედა, იცნო, თვალები გაუბრწყინდა და ხელი წაატანა.

— ორე, ხიი...—უთხრა კონსტანტინემ.—ჯერ კი ვერ მოგართვი.

— არა, არა, მამის სული ნუ წაგიწყდება, ისე მაჩვენე, დავხედავ, — მოუთმენლად წარმოთქვა კოსთაიამ.

— ისე დახედვა რად უნდა, დათვალიერებულიცაა და შემოწმებულიც.

— არა, მაინც ისე, რაა, შე კაცო! არა, ხუმრობის გარეშე... შეიძლება ყალბია, განა ცოტას აკეთებენ. თქვენ ჯვარი დაგწერეთ და თქვენი მეზობელი ერთი-ორი არ ვიცი, ყალბი ფულით უკეთ ვაჭრობს, ვინემ ჩაი-შაქრით და საინ-ფინჯანით. აბა, მაჩვენე.

კონსტანტინემ ოდნავ ღიმილით საუაროდ თავი დაუქნია.

— მე, როგორც, — რიხიანად წარმოთქვა კოსთაიამ და მკერდზე მიიბრახუნა. — მე, როგორც წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის კავალერი, სრული უფლება მაქვს, მოვითხოვო და შევამოწმო, ყალბია თუ არა, თორემ на основан устав, 165 статия уголовни шестой том. ხელად დავაჭერინებ თქვენ თავს.

კონსტანტინემ მარჯვენა ცერი ცხვირზე მიიდო, თითები გაშალა. თვალები დაპრაწა და ისე შეხედა.

— ჰო, მამა გიცხონდა, ერთი შენც გაიჭიმე ახლა, თითქო ფული არ მინახავს თუ. მაგისთანები პახოტობის დროს, არც კი მახსოვს, რამდენი მქონდა, მაინც მაჩვენე, — ხმა დაუშვა კოსთაიამ, — აბა. ვნახო მაინც, რომელი წლის მოჭრილია. შეიძლება მართლა ყალბი იყოს, მამიჩემის სულს ვფიცავ, ახლა ძლიერ ხშირია. — ისევ ხელი წაატანა კოსთაიამ.

— შენ იმის ფიქრი ნუ გაქვს, ყალბი არ არის. — არხეინად მიუგო კონსტანტინემ. — ხუმრობა შორს იყოს. ეს ათთუმნიანი შენი საკუთრება იქნება, როცა საქმეს რიგიანად გაათავებ.

კოსთაია ისევ დაფიქრდა.

— იცით, საქმე რაშია, — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა მან. — მე ბევრ რასმე ვერ გავაკეთებ. თავიდათავი, რასაც მე ვიზამ. ეს არის, რომ წავალ ლაკადისკენ, თენგიზ შქერავას მე ვიცნობ. რაკი დამინახავს, თქმა არ უნდა, მაყრად მიმიწვევს და მერე ხომ იცი...

— აი, აი, ეს გვინდა ჩვენ. აბა, რის გამოსადეგია შენი ღვინის სმა? მაშინ საქმეც თავისთავად მოეწყობა.

— მოეწყობა. მოეწყობა, კაცო. მაგრამ, ათი თუმანი ამისთანა ათასნაირად გულმისახვედრ საქმეში... რაც გინდა იყოს, ბედაური აზნაურიშვილებია, სისხლის და ხორცის ღალატი...

— ვაი, დედიშენს მეტი, — გულზე მუშტმიბრახუნებით მოუსწრო ივანემ.

— არა, არა, ივანე, — სიცილით გაასწორა ისევ კოსთაიამ. — ვიხუმრე. ოღონდ შენ არ გამიჯავრდე და სისხლი კი არა. არ უნდა ძვალი? მაგათი ოჯახის ამოგდება. მძებრაძის სახლში ერთი ღამე არ გამითენებია, და რას მიკეთებს მაგათი სისხლი, მაგათი ყოფა... ივანე და ფარნა კი ოც აზნაურს მირჩევნია. განსაკუთრებით ივანე. ღმერთო, შენ დაამძიმე მაგის ოყა-გირვანქა. სოფელში უბალახობით ღონემიხდილი და ოცდაათი ნაუღლარი ხარი იაფად აყიდვინე. და აქ გირვანქა თითო აბაზად გააყიდვინე. ამას შეეთხოვ შენ ბედნიერ თავს, — თვალების აღპყრობით მოწიწებით წარმოთქვა კოსთაიამ.

ყველანი იცინოდნენ. კოსთაიამ კი დინჯად გააგრძელა:

— ხუმრობა საქმეა, კაცო, ივანე არ იყოს აქ, ამდენ ხანს ხუთჯერ დავლევდი სულს. დამადგებოდა გრძელწვერა მღვდელი და ბირ, ბირ, ბირ, ბირ, ამ, ამ, ამ, ამ. არიქა, შვილო, ჩქარა, ჩქარაო! აუჩქარებდა დიაკვნებს, რადგან ჩემში ბევრ სახეიროს ვერაფერს ნახავდა და ნახუტურუში* ჩამმარხავდა. მაგრამ, ღმერთო, მიცოცხლე ჩემი ივანე. ოხ, ერთხელ, მე და ჩემმა ღმერთმა, ორმა თავმოძულებულმა ჩვენიანმა ისე გამხადა, ისე გამხადა, რა გინდა, გამატყავეს პირდაპირ... ნაბადიც კი წავაგე, წამოვედი, მაგრამ რა წამოსვლა! ნანა, ნანა, შიმშილი, შიმშილი. გავიარე ივანეს ახლო... ო, მაგის ჭირი შემეყარა, კაი ბიჭია სწორედ, ისეთი მანუგეშა, ისე გული გამიკეთა, და რაც თავი და თავია, ისეთი მწვადი მაჭამა, ა... ნაბადი კი არა, ქუდიც დამავიწყდა. თუ კოსთაია ვარ, ამ საქმეს მარტო ივანეს ხათრისათვის გავახერხებ, კაპეიკიც არ მინდა, ისე! — აღტაცებით წარმოთქვა კოსთაიამ, ქუდი მოიხადა და ზეზე წამოხტა. იმ სიმაღლე იყო, რომ თითქმის პატარა ოთახის ჭერს სწვდებოდა. — მაგრამ ფუ! — ტუჩების კვნეტით წარმოთქვა მან, ათასნაირად დაიღრიჯა, შეშინებულივით მოკუზული ტახტზე ჩამოჯდა და თვალები ივანეს გადაუპრაწა. — ვავა, ბაბა! იქნება, შენს ივას არც კი უხარია, ფარნა რომ უმცროსი ძმაა.

— რას მეუბნები! — მოუჭრა ივანემ. — უფროს-უმცროსობა კი არა, აქ კიდევ სხვა ისტორიაა, აქ სხვა საქმეა კიდევ. ოღონდ შენ ეს გაათავე და ჩემი მხრივ თუმანი კიდევ დამიმატებია და თუ ვიცოცხლე, პატივს კიდევ გცემ. იმის სახლიდან ისე გავილანძღეთ, რომ აგერ წელიწადია, სირცხვილით შინ არ მივსულვარ. მძებრაძე კაი აზნაურია, თავისთვის არი, ჩემთვის არაფერი უჩუქებია. იმის გოგოს და ამას, — მიუშვირა ფარნაზე, — რაღაც მოუჩურჩუტებიათ. დასწყეველა ღმერთმა. მე, თუ მკითხავ, არც კი მიხარია ბევრად. ჩვენთვის არაა, ბატონო, საჭირო ისეთი ქალი. იმდენს ვიხტუნებ, რამდენიც შემფერის. ხენწიფემ ერთხელ გამათავისუფლა და ხელახლად ყმად თავს რად გავიხდი, ბატონს თავზე რად დავიჯენ? მე ჩემი გემოს ქალს შევირთავ. მამაჩემი არ იჯდა დახლში და პაპაჩემი. ვინ იცის, მეც, შეიძლება, ერთ დღეს ისევ თოხი შემექნას ხელში დასაჭერი, მაშინ ჩემი ცოლი ცოლად უნდა გამომადგეს. მე შუადღეზე, მარტო პერანგა, სქელი თოხით ხელში სიმინდს რომ უტორისებდე,

* ნახუტურუ — სასაფლაო ფოთში.

ის მაშინ ცხელი ღომით საკვე კალათით ციხე-ფერდიდან უნდა მოჩინდრიკებდეს.

— ხა, ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა კოსთაიამ და სხვებმაც გაიცინეს.

— განსაკუთრებით თუ სქელი ქალი შეგხვდა, აა... ჩამურივით მიათრევდეს იქნება თეძოებს იმ დაღმართში, ვიცი, ეყოფილვარ თქვენ სოფელში... ჰა, ღმერთმა დაგიფაროს, კაცო, შენ რომ თოხნიდე, მე მწვადები? მაშინ რაღა მეშველება?

— მე და ჩემმა ღმერთმა, მე სრულიად არ ვხუმრობ, აქ მარტო ცოლის ინტერესი არ არის. გაგვლანძღა, ქვეყანაზე ყელის გამოჭრა არ გვაკმარა, მოდგა თურმე და ახლაც ილანძღება, მოხუცებულ კაცს შინ არ მიყენებს და რადგან ჯინაზეა საქმე, ენახოთ...

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ივანე, — წააქეზა კოსთაიამ. — თუ ვიცოცხლე, მძებრაძის ქალს კი არა, — რაღაც ჩასჩურჩულა ყურში ივანეს.

— ჯერ ეს გაათავე და იმას მერე მოვასწრებთ, — სიცილით მიუგო ივანემ.

— ჰოჰ, თქვენი ხმა მრავალ წელს, მაგრამ მე მზადება მინდა წასასვლელად, რადგან საქმე ასეა, — თქვა კოსთაიამ. — ერთი პაპიროსი კიდევ.

— ფარნა, — მიუბრუნდა კონსტანტინე, — ორი-სამი კოლოფი ერთად მოუტანე მაგ გასახეთქს. თითო-თითო პაპიროსით თავს მოგაბეზრებს.

ფარნა მაღაზიაში გავიდა.

— აი, აი, კეთილშობილი კაცი, მე და ჩემმა ღმერთმა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — მიეალერსა კოსთაია კონსტანტინეს.

— ჰა, ჰა, ნუ ლაქუცობ.

— აბა, შენ იცი, საგზაოდ კი ეს, აი, შეხედე, — უთხრა კონსტანტინემ და თეთრი ქაღალდი გაუწოდა.

— ეეჰ, რათ მინდა, კაცო, მაგისთანების მეტი რაღა მაქვს, — მიუგო კოსთაიამ და საუაროდ ხელი გაუქნია. — აი, აი, აი, ნამუსი არ გაიფუჭო!—მიაყვირა მან მაშინვე.—აბა, რას ჰქვია, დუქანში გაზრდილი კაცი, სულ რომ დაეკარგა ამ უბედურს ზრდილობა! სულ გირვანქა-მისხლებს რომ გადაყვა. მე ზრდილობის გულისათვის მოვიბოდიშე და ამ ღორ ყაზახმა კი კინაღამ ისევ ჯიბაში იშვლიპა! კინაღამ დავიღუპე. ხუთი მანეთი ახლავე იაკობა მიკიტანს უნდა მივუტანო, ხმალი აქვს ჩემი დაგირავებული, — ამ სიტყვებით მეოთხე ხარისხის კავალერმა ოცდახუთმანეთიანი ჯიბეში შეინახა.

XLVII

უცნაური შემთხვევა

ბასილ მძებრაძის ოჯახში რაღაც დიდი ფაცაფუცი და მზადება იყო. დარბაზი და წინა ოთახი თითქმის სავსე იყო მეზობელ-ნათესავებით. სამზარეულო სახლის კერაზე ვეებერთელა ცეცხლი იყო გაჩაღებული და სხვადასხვა საჭმელი მზადდებოდა. ოდის უკანა ოთახში ბასილის სახლთან დაახლოებული ქალები შეკრებილიყვნენ და ტასიას გამოწყობაში იყვნენ გართულნი. მარიკა კმაყოფილი სახით ხან შემოდიოდა, ხან გადიოდა, ხან რამე ტანისამოსი შემოჰქონდა, ხან სხვადასხვა დარიგებებს იძლეოდა.

ტასიას ახალ შეკერილ აბრეშუმის კაბას აცმევდნენ. მის სახეზე სიხარული, შიში და მოწყენა ერთმანეთს ეცილებოდა.

— მე ვფიქრობ, — ჩვეულებრივ მძიმედ შემოვიდა მარიკა უკანა ოთახში და თან შემოილაპარაკა: — მე ვფიქრობ, რომ ეს კაბა არ ჩაიცვას, ემჯობინება. რაც გინდა ეცვას ამაღამ, ამ ბნელაში, ვინ ნახავს. აი თუგინდ ის, მიხაკისფერი შალის კაბა ჩავაცვათ და იქ რომ მივლენ, მაშინ შეიძლება გამოუცვალონ და ისევ ეს ჩააცვან და საყდარში ამით წაიყვანონ.

ტასიას მთელი ტანი აუკანკალდა, სახე გაუფითრდა, გულმა საშინლად ცემა დაუწყო და ერთიც ამოიოხრა. რამდენიმე ქალმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. მარიკაც ცოტა შეწითლდა, მაგრამ თავი ღირსეულად დაიჭირა. — სწორედ არ ვარჩევ ამ კაბის ჩაცმას, — თქვა მან, — ამაღამ ტყუილ-უბრალოდ ეკლებში მიეფხრიწება.

ტასიამ დედას უკმაყოფილო თვალებით შეხედა.

— მე მირჩევნია, ეს მეცვას, — მტკიცედ მიუგო მან.

— ეს ეცვას ჯობიან ჩემი ფიქრითაც, მარიკა, — დაემოწმა ლავრენტი ტკვარჩელიას ცოლიც. — შენ რას ამბობ, ბატონო მარიკა, აკი პირდაპირ ეკლესიაში მიიყვანენო, დრო და ადგილი სად ექნებათ, გახადონ და ისევ ჩააცვან.

მარიკა დაფიქრდა.

— მოიცა, ერთი ვკითხავ, — თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

ბასილ მძებრაძეს არაჩვეულებრივი მხიარულება და მხნეობა ეტყობოდა დღეს. ოდიდან სამზარეულოში ხშირად მიდიოდა, ეზოს ათვალიერებდა. სტუმრების დასახვედრად ბიჭებს არიგებდა; თუ ცხენები სად მიებათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ყველას ტკბილად

ემუსაიფებოდა, ეხუმრებოდა. ღვთის წინაშე, სამხიარულო საქმე კიდევაც ჰქონდა დღეს. აზნაური ბასილ მძებრაძე ათხოვებდა თავის ერთადერთ ქალიშვილს ტასიას აზნაურ თენგიზ შქერავაზე. მოლაპარაკება ისე ჰქონდათ, რომ თენგიზ შქერავას, რამდენიც უნდოდა, მაყრებს გამოგზავნიდა საღამოს ბასილის სახლში. ბასილი ჯერ-ჯერობით მარტო ერთ კარგ ცხენს საქალებო უნაგირით და ხელის ბარგს მისცემდა. შქერავას ამაღამვე უნდა დაეწერა ჯვარი თავის სოფლის ეკლესიაში, რომელიც ჭყონნიდან ოცი ვერსის მანძილზე იყო. ორი-სამი თვის შემდეგ, შქერავა ქალს ისევ დააბრუნებდა და მაშინ ბასილი, რაც შეეძლო, მზითევსაც და ფულსაც მისცემდა, და საბოლოოდ გაისტუმრებდა. ნამდვილ ქორწილსაც მაშინ გადაიხდიდა. დღეს მხოლოდ შინაურული კამპანია ჰქონდა, მარტო ერთი მოზვერი დაკლა და მისი მიყოლებული ინდაური, გოჭი, ქათმები, მაგრამ, როგორც პურ-მარილით ქებულ კაცს, ვახშამი მაინც ჩინებული ჰქონდა.

მზე გადიხარა, თითქმის ნახევრამდი კიდეც ჩავიდა, მერე სულაც ჩავიდა, მაგრამ მაყრები არ ჩანდნენ: ბასილი, ცოტა არ იყოს, შეშინდა.

ვაითუ თავზე ლაფი დამასხას იმ კაცმა და მომატყუოსო, — ფიქრობდა გულში და ჭიშკარს, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ სტუმრები, თვალს არ აშორებდა.

ამ დროს მის წინ მაძინია გაჩნდა.

— საღამო მშვიდობისა, — დაეღრიჯა მაძინია. — ბედნიერება, ბატონო, სიკეთე, მაგას ხუთი-ექვსი ვაჟიშვილი და სხვა ამგვარები, — მხიარულად მიაყარა მაძინიამ.

— ოხ, ჩემო მაძინია, — გაუხარდა ბასილს, — მადლობთ, მადლობთ. მადლობა ღმერთს, ძლივძლივობით მოვაწყვე საქმე, ღვთის იმედით, — მხიარულად მიუგო ბასილმა და ერთიც ჭიშკრისაკენ შეშინებულად მიიხედა. — ქე მეშინია კიდევ ცოტა, აგერ ღამდება და არსაიდან არავინ ჩანს.

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა, — გააწყვეტინა მაძინიამ, ჯერ მათი მოსვლის დრო საღაა. ნამდვილი ქორწილი იყოს. სულ სხვაა, ბატონო, და ეს, როგორც იტყვიან, ჩუმათაა საქმე და დღის სინათლით რომ მოვიდნენ, სირცხვილიცაა.

— ვითომ! — მხიარულად წამოიძახა ბასილმა და სახე გაუბრწყინდა. — არ გაგიგონია, წყლის შეშინებულს ნამისა შეეშინდაო? განა მე უნდა მეშინოდეს შვილის გათხოვებისა, მაგრამ კარგი შვილი ყველაფერს შეახვედრებს კაცს.

— წასული საქმე წასულია, ბატონო. ღმერთი შემდეგში მშვიდობით გამყოფებდეს, თორემ არა გიჭირთ რა. ახლახან ერთ ლაკარდელ კაცს ვხედავდი და ისეთი რამეები მითხრა თენგიზზე, რომ სწორედ გამეხარდა.

— ა... ა... ა, რა გითხრა, რა, თუ გიყვარდე?—მოუთმენლად დაეკითხა ბასილი.

—რა მითხრა, ბატონო, და,—გაჭიმა მაძინიამ, (იგი უღმერთოდ ცრუობდა), — მე ისე, სიტყვა გადავუკარი: როგორა სახლობს, როგორ ცხოვრობს თენგიზი შქერავა-მეთქი. თენგიზისთანა მოსახლე და. საზოგადოდ, იმისთანა საქმედაწყობილი ახლა ამ ჩვენს ახლომახლო არავინ არის სახლითაც, კარითაც, ფულითაცო.

— არა, მართლა, დედიშენის სული თუ გწამს, — გაეხარდა ბასილს.

— ბასილი, ერთ წამს აქ მობრძანდი, — მოისმა ბართლომეს ხმა აივნიდან.

ბასილი მაშინვე მიბრუნდა.

— შენ კი არსად წახვიდე, მაძინია, მეტად არ დაგპატიჟებ! — მიაძახა ბასილმა მაძინიას.

— მე რა საჭირო ვარ, ბატონო! წისქვილი...

— სუ, სუ, წისქვილი ამაღამ არ დაიქცევა, ნუ გეშინია.

სრულიად დაღამებულიყო, მაყრებიც მოვიდნენ.

შქერავას კარგი შეიარაღებული და დარჩეული ახალგაზდები გამოეგზავნა. მხოლოდ ორი კაცი ერია „მოჭკვიანო“, როგორც ჩვენში იტყვიან. ერთი სოლომონ შქერავა, ასე ორმოცდახუთი წლის კაცი, თენგიზის ბიძაშვილი, და მეორე, ჩვენთვის უკვე ნაცნობი კოსთაია. მან, როგორც თქვა, ისეც შეასრულა.

ჯერ ბასილის სახლში სიმღერა გაიმართა, მერე სტუმრებს მოართვეს ჩაი და ბოლოს სადილი, თუმცა ვახშმის დროზე მეტიც იყო.

— აბა, თქვენი ჭირიმე, თუ არ დამაგვიანებთ, თქვენ იცით, — თქვა სოლომონ შქერავამ. — ჩვენ აქ ავიბარგებით ამ ბნელ ღამეში. იქ მივალთ, ჯვარს დავწერთ, მერე სახლში მივალთ, იქაც გვიცდიან. გვიან იქნება, თუ ცოტა არ ვიჩქარეთ.

— კი, კი, გენაცვალე, — დაემოწმა კოსთაიაც. — დაგვაგვიანდა კიდეცა, თენგიზმა რაც შეიძლება დაჩქარება გვთხოვა, ხომ იცი, სიძე კაცის ამბავი, თუ დაგვიანდა, იქაური მღვდელი ჭიჭყინა კაცი ყოფილა, მგონი, გვიან ჯვარი, შეიძლება, არც კი დაწეროს და მერე, მე ხომ ვერ დავწერ.

— ჯვარს როგორ არ დასწერს! — წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა

მაყართაგანმა, რომელიც ცეცხლივით თვალებს აშტერებდა ახალგაზრდა ქალებს, — არ დასწერს კი არა, შუაში გავაპობ, — გულადად დაიძახა და მოოქრული ხმლის ტარზე ხელი წაივლო. ეტყობოდა, ჯერ გამოუცდელი იყო და ცეტობდა.

— არა, ჩემო ბატონო, ჩემო ბაბა სოლომონ, — დინჯად მიუგო ბასილმა, რომელიც შუა დარბაზში იდგა და თადარიგს იძლეოდა. — არა, ბაბა, შვილო, მოითმინე,—აქ ბასილმა მარჯვენა ხელი ბრტყლად მკერდზე მიიდო, მეორე ხელში კი მისგან განუშორებელი ბლის ტარიანი ყალიონი ეჭირა, — მე... მართალია, ქვეყანა გადაბრუნდა და გადაირია, უმცროს-უმფროსობა აღარაა, მაგრამ... მარა მაინც, რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ბასილი მქვია. გული ჯერ კიდევ არ გამტეხია, იცოდეთ. თუმცა ჩემ მოხუცებულობას ბევრი უსიამოვნობა შეხვდა ამ ბოლო დროს, თითქმის ღირსებაც საძებნელი შემექნა, მადლობა ღმერთს, ჭანისწყლის აღმა დენას მოველოდი და მძებრაძეს კიდევ აზნაურობა დასამტკიცებელი თუ შეექნებოდა საბუთით, არ ვიცოდი, მაგრამ, მადლობა ღმერთს... ეს საზოგადო გასაჭირია მთელი ოდიშისათვის. მე, ჩემო ბატონო, ბევრი მიშრომია, ბევრიც მიშოვნია, ტრაბახობა რა საჭიროა. დღეს კი, ღვთის მადლით, და ყველა ამ ჩემი კეთილების შემწეობით, ერთ-ერთი ბაღნის ბედნიერებას ვხედავ. ერთი ვაჟიც ქე მყავს, მაგრამ ვაჟს კიდევ სხვა სახელი ჰქვია, და ეს ბაღანა კი სხვა ბაღანაა, და რაკი ღმერთმა მისი ბედნიერება მაჩვენა, ასე აჩქარებულად, თქვენ რომ ფიქრობთ, როგორ შეიძლება. ლაშქარი თავის სახლშია. საშიში და ასაჩქარებელი, კოჭლი და ბრმა არავინა მყავს, ბატონებო, არა წვიმს და არა თოვს, ქვეყანა ხომ არ იქცევა! მართალია, აჩქარებულად მოგვივიდა და თქვენი საკადრისი პატივისცემა არა გაქვთ, მაგრამ, რაც გქონდესთ, იმედი მაქვს, არ იჩქარებთ, ისე ისიამოვნებთ.

— მართალია, ბატონო, თქვენი ბრძანება, — დაიწყო სოლომონმა და კილოში ეტყობოდა, რომ ნახევარ საათს მაინც აპირებდა სიტყვების რახარუხს. კოსთაიამ ეს ვერ მოითმინა და ხმამაღლა გაერია ლაპარაკში. ჯერ ერთი, ისეთი მიაკივლა, რომ ქალებს ფერიც შეეცვალათ.

— ა... უი! — მიაყვირა მან. — სასთაული, ბატონებო, თუ გინდათ ეს არის. მოდგა, ჩემო ბატონო, ეს ჩვენი ბასილი მძებრაძე, ახალი მზახალი, და დაიწყო ჟამნი, მოყვა, შენ ხარ, ჩემო ბატონო. ეს ჩვენი თავი კაცი სოლომონ შქერავა და ეუბნება ალილუიას. ბასილს უნდა, რომ ლაპარაკ-ლაპარაკით დრო ჩაატაროს და ღვინონაკლებ დაეხარჯოს, სოლომონს კი—დაუთრობელი აქედან წაგიდეს,

მაგრამ ვერ მოვართვი ვერც ერთს და ვერც მეორეს. რიგზე უნდა გადავკრათ, სხვა გზა არაა, ასე არ არის, ბარიშნებო, ცირებო? — მიიხედა ქალებისაკენ.

კოსთაიას ხმაზე საერთო ხარხარი ატყდა.

— არიქა, ეცადე როგორმე, — ხარხარითვე მიუგო ბასილმა. — იქნებ ჩემი ტიკები ამოსწურო.

— ვაი, დედასა, — თავმომწონედ მიუგო სოლომონმა. — ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაღაც დავსნეულდი, თორემ შენისთანები არ მეტყოდნენ ამას, მარა...

— შენ ჯანზე ოცი წლის წინათაც არ იყავი, მაგრამ რა ვუყოთ, რაც ხარ, მადლობა ღმერთს, იმის მადლობელიც უნდა ვიყოთ, — მიუგო კოსთაიამ. — სიტყვას ბანზე ნუ აგდებ. აიღე, რაღა, ჭიქა და შეუდექი შენს საქმეს. წესი როგორაა, ხომ იცი, ჯერ მოსამსახურეები დალოცე, მერე მაძინია მეწისქვილე, აიტ! — მიაყვირა კოსთაიამ. — სადაა მაძინია მეწისქვილე? დაუძახეთ, სოლომონი მის სადღეგრძელოს დალევას აპირებს.

— მეე? იმდენი ღმერთი აგაშენებს, — დინჯად ჩაილაპარაკა სოლომონმა.

— ჰო, შენ, აბა ვინ?

— ხუმრობის გარეშე, შენზე უკეთ ამ საქმეს არავინ არ გაუძღვება.

— მე კარგად არა ვარ, — შეწუხებულად თქვა კოსფაიამ. — აქიმებმა ღვინის სმა ამიკრძალეს, ერთმა მითხრა, ექვსი ბოთლის მეტი არ დალიოო და მეორემ, ეტყობოდა, ხათრიანი კაცი იყო, თორმეტიო, მეტზე კი იმანაც უარი მითხრა, თორემ საიქიოს...

— აი გასახეთქი და გასაპანჯავი იმის მუცელი! — მოსძახეს აქეთ-იქით.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ტოლუმბაშად კოსთაია იქნა არჩეული და საათ-ნახევრის შემდეგ ყველანი კარგა შეზარხოშებულნი იყვნენ, ახალგაზრდა მაყრები ხარბად დაეწაფნენ ტკბილ სვირულ ღვინოს და ძალზე დათვრნენ. თვით ჭაღარა და თავკაცად გამოგზავნილი სოლომონ შქერავაც ბეჯითად ვერა ხმარობდა ენას და როცა მეტად შეწუხდა და ვითომდა ცხენების დასათვალიერებლად გარეთ ვამოვიდა, ფეხებშიაც სიმტკიცე არ ეტყობოდა...

საკვირველი ის იყო, რომ თვითონ კოსთაიაც დათვრა, რაც იშვიათად და თითქმის სულ არ შომხდარა. ფეხზე თუმცა თამამად იდგა, მაგრამ ლაპარაკსა და ყოფაქცევაში გადაჭარბებული სიჩქარე ეტყობოდა.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მაყრები ბასილის ეზოდან დიდი ხმაურით, სიმღერითა და დამბაჩების სროლით გამოვიღნენ. მაყრად, რასაკვირველია, ძუკუც მიჰყვებოდა. ძუკუს ბასილმა დაბარა, ტასიას ცხენს არ მოშორებოდა, სულ იმის ახლო ეელო. ბნელი და ცოტა ცივი ღამე იყო და ყველანი, ზოგი ნაბადში, ზოგი ყაბალახში იყვნენ გახვეულნი. ძუკუმ ცოტა ხანს მტკიცედ შეასრულა მამის ბრძანება, მაგრამ როცა სახლს ერთი ვერსით მოშორდა, ვერ მოითმინა და მომღერალ ბიჭებში გაერია.

კოსთაია გზა-გზა ყვიროდა, ოხუნჯობდა და ხანდახან უშვერ სიტყვებსაც ურევდა. ჯერ გზა ჭალა-ჭალა მიდიოდა. ჭყონონას ბოლოს აუხვიეს და სერებს აყვნენ. ერთ სერზე ავიდნენ. აქედან ძირს უნდა ჩასულიყვნენ ხევში, სადაც პატარა ღელე მიდიოდა და აქეთ-იქით ხშირი ტყით და ბუჩქნარით დაფარული ფერდობი იყო. ძირს გზა პატარა ბილიკით მიდიოდა, ასე რომ, თითო-თითოდ უნდა ეელოთ. აქ კოსთაია ერთობ გამხიარულდა და ისეთ-ისეთ საოხუნჯო ამბებს მოყვა, რომ ყველას გონება მოიტაცა. ზოგი იცინოდა, ზოგი სწყევლიდა. ხევში ჩავიდნენ, აქ ოხუნჯობასთან საშინელი ხველაც აუტყდა. ხევი ბანს აძლევდა და მისი ხმა შორი-შორს გუგუნით იკარგებოდა. ღელეზე რომ გავიდნენ, ისე საშინელი ხველა აუტყდა. რომ კინალამ ცხენიდან გადმოვარდა.

— სწორედ ძვირფასია ასეთი კაცი, — თქვა ერთმა, რომელსაც ხმაზე ეტყობოდა, რომ ტვინი ძლიერ შეხურებული ჰქონდა.

— ეს რომ არ მოდიოდეს, ამდენ ხანს დამეძინებოდა კიდეც და ცხენიდან ჩამოვეშვებოდი. — მიუგო მეორემ, არა ნაკლებ გაბაკრულმა.

— არა, ის დიდი ჭიქა ჩემი დასალევი არ იყო. — ახმაურდა ერთი.

— საყოლაწმინდო ქე დაგვავიწყდა, — იწუხა მესამემ.

კოსთაია კი ყიჟინს და ოხუნჯობას უმატებდა.

— აფუ, აფუ! — მიაძახა მან, როცა მეორე სერზე ადიოდნენ და ბიჯურს უახლოვდებოდნენ. — აი დედასა... არა, კაცის საქმე ცოტა რამეა, ასე ერთი ხანია ღვინო არ მომკიდებია. მაინც რა მაგარი მოუტანია, მაგ ოჯახდაქცეულს. აფუ, აფუ! — დაიყვირა ისევ. — უჰ, თავიც ისე მტკივა, რომ...

— იქნება თავის ტკივილი კეთილი ნიშანი იყოს და მიგიღოს უფალმა, — გაეხუმრა ერთი.

— ნუ გეშინია, პურით არ გაძღები, — მოუსწრო კოსთაიამ. — ჩემ სიკვდილს არც მღვდელი ჩამორჩება და არც ერი, ისევ ისა

სჯობია, ბიძია, ვიცოცხლო. გაუმარჯოს, გაუმარჯოს კოსთაიას! აფუ, აფუ!

სხვებიც არ მიდიოდნენ დინჯად. წამდაუწუმ ცხენების ფერდებზე მათრახის მწარე ტკაცუნი ისმოდა. სიმღერა, ყვირილი, ყიჟინი და მასხარაობა ერთმანეთში ირეოდა.

ბიჯურ ტყეში შევიდნენ.

— სატახტო სულ უკან წამსვლია, ცხენი დამიშავდება, — თქვა სოლომონმა. ცხენი შეაჩერა, ჩამოხტა და უნაგირს გასწორება დაუწყო. ეტყობოდა, ღვინო გვარიანად მონელებოდა.

— აგაშენა ღმერთმა, რომ გამახსენე, ნათხოვარ ცხენზე ვზივარ, რომ დაშავდეს, ხუმრობაა, — თქვა ერთმა მაყარმა და ისიც შეჩერდა. მას მეორე მოყვა, მეორეს მესამე და თითქმის ყველანი შეჩერდნენ.

— აუ, აუ, ვა, ვა, ვა, ვა, ვა, ვა. აუ, აუ. — ღიღინებდა კოსთაია, იმანაც ცხენი შეაჩერა და ჩამოსასვლელად მოემზადა.

— მიდით, მიდით!—დაიძახა სოლომონმა და ხმა ისე მძიმედ ამოუშვა, რომ ცხადი იყო, მოსართავს უჭერდა პირუტყვს. — მიდით, მიდით, პატარძლის ცხენს დახედეთ ერთი, მოსართავები ხომ არ მოეშვა.

— აი, მართლა, მართლა! — მიაძახა ძუკუმ, თითქო გონს ახლა მოვიდაო. — ტასია, ტასია, სადა ხარ? ფუ, რა ბნელი ღამეა მაინც ამ დასაქცევ ბიჯურში, — უკმაყოფილოდ თქვა ძუკუმ და გაიწ-გამოიწია, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— თქვენ მიდით, თქვენ, ბიჭებო, — გაიმეორა სოლომონმა. — ელიზბარ კინტირია, სოსო, სადა ხართ?

— არ გესმის, გოგო, სადა ხარ? — გაიმეორა ძუკუმაც, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— თოლი, ღმერთო, მომკალი ახლა. ღმერთო, ქვასავით გამაცივე ახლა. — თითქმის ტირილით ამბობდა შქერავა რამდენიმე წუთის შემდეგ.

— კაცო, რას ამბობ, ხუმრობა შორს იყოს! — კვირობდა კოსთაია.

— აიტ, მამაძაღლი! — იძახდა ძუკუ.

ყველანი ცხენებზე შესხდნენ, კვირობდნენ, იწყევლებოდნენ, იგინებოდნენ.

— რა იყო, რა მოხდა?!

მოხდა ის, რომ ყველანი იყვნენ და პატარძალი ტასია მათ შორის არ იყო.

— ეი, ვინ მოსდევდა პატარძალს, — კითხულობდა ერთი.

— ჯერე ძუკუ.

— მერე!

— მე რომ, მე რომ... — დაიბნა ძუკუ.

— ამას მოვკვდეთ ჯობია, აქამდი არც კი გაგვხსენებია, პატარძალს არ უნდა მოსცილებოდა ერთი კაცი, — ბრძანებდა ერთი.

— დიდება შენდა, ღმერთო! დანით ყელის გამოჭრა თუ გინდა, ამასა ჰქვია, — ამბობდნენ ყველანი არეულად, თავიანთ თავს წყევლიდნენ, ერთიმეორეს აბრალებდნენ, თავს იმართლებდნენ.

ცოტ-ცოტად გონს მოვიდნენ, ყველა უცბად გამოფხიზლდა.

დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა.

ძუკუმ გულახდილად თქვა, თუ რამე ეჭვი ჰქონდა.

— ნამდვილად ასეა. ქალს მოვუტყვილებივართ, კისერი გამოუჭრია. აბა, სხვა რა, კაცო, ცხენიდან ჩამოვარდნილიყო, მიაკივლებდა, დაგვიძახებდა, აბა რა, ქარი ხომ არ მოიტაცებდა, ნეტავ ერთი ახლა ვინმემ მომკლას. ან იმ კაცს რა თვალით შევხედო, ან ქვეყანაზე თვალი როგორ გავახილო? — მწარედ სწუხდა სოლომონი.

— აიტ, თქვე ძაბუნებო! — მაგრა წარმოთქვა კოსთაიამ. — ბევრი, ბევრი, ეს საქმე ნახევარი საათის წინ დაგვემართებოდა, რადგან პირველ ფერდზე ასვლის დროს რომ მოდიოდა, ჩემი თვალით ვნახე.

—თქვით აბა, ვინ სად ხედავდით!—შეწუხებულად დაიძახა სოლომონმა.

— კაი მაგას, კაი მაგას, გზები შევუკრათ, ჭიანჭველა ხომ არ არის, ფოთოლში ხომ არ დამალავენ ამ ერთ წუთს, ცაში ხომ არ ააფრენენ, არიქა, ჩქარა! — მხნედ წარმოთქვა კოსთაიამ.

საჩქაროდ ყველანი უკან დაბრუნდნენ.

— არიქა, კოსთაია, შენი ჭირიმე! — სასოწარკვეთით ამბობდა სოლომონი. — შენ საით წახვალ?

— მე? საით გირჩევნიათ? ჭალისკენ წავალ, ფართო ფონისკენ.

— არიქა, შენ გენაცვალე. მოგვეხმარე რამე, ქვევით გაეჩქარე, ფართო ფონისაკენ, ფართო ფონისაკენ.

ყველანი აქეთ-იქით საძებრად დაიფანტნენ.

XLVIII

კოსთაია ტყობინჯელიამ გვარიან კარგად შეასრულა მინდობილობა; მაგრამ ამ საქმეში მაძინიასთანა გამოცდილი და ერთგული კაცი რომ არა ჰყოლოდა, ვერაფერს გახდებოდა. იმათ წინდაწინ მოიაზრეს ყველაფერი და სამოქმედო გეგმა დაწვრილებით შეადგინეს.

ყოველნაირი მოსალოდნელი დაბრკოლება სახეში იქნა მიღებული. ორი დღის წინათ, ღამით, კოსთაიამ ფარნასთან ერთად მაძინია ნახა და კარგად მოილაპარაკეს. მაძინიამ კი ყველაფერი ტასიას გადასცა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

მაყრების მოსვლის წინაც, მაძინია ბასილს რომ სიძეს ულოცავდა, მაშინაც არ იყო უსაქმოდ. იმდენი იეშმაკა, რომ ტასია რამდენიმე წუთი სალაპარაკოდ იშოვნა და ზოგიერთი მოქმედების ფრიად საჭირო მუხლები გაუმეორა.

კოსთაიამ თუმცა ღვინო ბლომად დალია და ყველანი დაათრო, მაგრამ თვითონ მთვრალი სრულებით არ იყო. მხოლოდ თავი ისე მოაჩვენა ხალხს, ვინიცობაა, რამე ეჭვი არ აეღოთ, იმისთვის არ დაებრალებინათ. მარტო იმისთვისაც, რომ არ ეთქვათ: შენ მაინც როგორ მოგივიდა, შენ ხომ მთვრალი არ იყავიო.

თვითონაც დალია და შეეცადა კი, რომ მაყრებს, და განსაკუთრებით სოლომონ შქერავას, რაც შეიძლებოდა, მეტი დაელია. საუბედუროდ, სვირულმა ღვინომ ბევრი არ დააყოვნა, ახალგაზრდა მაყრები ხომ მაშინვე ჩაითრია და თავკაცად წამოსულ ჭაღარა სოლომონსაც დავთარი დაუბნია. ერთი სიტყვით, ყველამ ზომაზე მეტი ჩაყლურჭა.

კოსთაიას ყველაფერზე უფრო სიფხიზლისა ეშინოდა, რადგან ფხიზლები ჭკუიანად და წინდახედულად იქნებოდნენ გზაში, პატარძალს ხშირ-ხშირად მოიკითხავდნენ და რაკი ამ მხრივ საქმე სასურველად მოაგვარა და რაკი დაინახა, რომ სოლომონ შქერავა ლაპარაკში იბნეოდა, ერთი-ორად მოუმატა მასხრობა-ოხუნჯობას. კოსთაიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როცა სუფრაზე დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ, მაძინია წამოვიდა და ერთიც წისქვილში შეიხედა. წისქვილში ორი გარეშე სოფლელი ელოდებოდა. ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდნენ იმაზე, თუ სად მიდიოდა მაძინია. ერთს თითქმის ეძინა. მეორეც საღად ვერ ახელდა თვალებს. მაინც იმ უფრო მღვიძარეთაგანს წისქვილი ჩააბარა და გასწია. ახალი არაფერი ჩაუცვამს, მხოლოდ ყაბალახით თავი წაიკრა. წისქვილს უკანიდან მოუარა, სიმინდებში შევიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ცნობილ საიდუმლო ფალაგეს მიადგა და ჩუმად დაახველა. ჩუმადვე პასუხი მიიღო.

მაძინია მიუახლოვდა. აქ ფარნა თოხიტარია უცდიდა.

— რა ამბავია, მაძინია? — მოუთმენლად ჰკითხა ფარნამ.

მშვიდობა! — გულდამშვიდებით მიუგო მაძინიამ. — ჩემი წასვლის დრო კი არის, ყოველ შემთხვევაში, ადრე ჯობია. ტოლუმბაში

ახლა ამორჩეული იქნება, იმედი მაქვს, კოსთაიას ამოირჩევენ. ღმერთი იპრიანებდეს და სოლომონ შქერავა დათვრებოდეს, ბევრი არაფერი გაგვიჭირდება. იცი, ფარნა, სამი ადგილი მაქვს დანიშნული. პირველ ორ ადგილას, თუ მოვახერხე, აქ მოვიყვან და ის იქნება. მესამე ადგილამდე, თუ ვერ მოვახერხე, მაშინ ვეღარ დავბრუნდები. მაშინ პირდაპირ წავალ, ბიჯურს ზემოთ მოვუარ, დავყვები ნატურკარს, გამოვალ ოხარჩალაიაზე, საკურდღლოს პირდაპირ გავალ, ჭანისწყალს ავყვები თხილისფერდს და იცი, ცხვირწატეხილ გორაკზე პატარა ეკლესია რომ დგას, იქ მივალ და იქ მოვიცდი. ორი საათის შემდეგ, იცოდე, მაყრები რომ გადავლენ ბასილის სახლიდან, რომ გაიგონებ სიმღერას, ყიჟინს, ხმაურობას, აი, იმის შემდეგ ორი საათი რომ გავა, და მე თუ არ დავბრუნდი, იცოდე, იქ გამოეშურე ცხვირწატეხილ გორაკზე შენი ამხანაგებით. ფართო ფონამდი, იცოდე, სულ წყლის ნაპირით იარე, გზაზე არ გამოხვიდე.

— აბა, შენ იცი, აბა, შენ იცი, — ათრთოლებით მიუგო ფარნამ.— მე, როგორც მეუბნები, ისე მოვიქცევი.

ფარნა თოხიტარია მაძინიას აქ ჰყავდა შეპირებული. ის მართლაც დაპირებისამებრ მოვიდა, ამხანაგები, ხუთიოდ რჩეული, დაიარაღებული ბიჭები ფოთიდან წამოყვანილი, ფართო ფონის გაღმა, ტყეში უცდიდა. თან ერთი ცხენი და ერთი ჯორი მოიყვანა. ცხენი ფრანგული უნაგირით იყო შეკაზმული.

მაძინიამ საჩქაროდ ფარნას ნაბადი გადიხურა, მათრახი ხელში დაიჭირა, ექვსპატრონიანი ამერიკული დამბაჩა ჩამოიკიდა, ჯორზე შეჯდა, ფარნას რაღაც-რაღაცეები კიდევ დაუბარა და გაეჩქარა.

ჭყონონას ბოლოს, საცა მაყრებს უნდა გამოევლოთ, ერთ ბუჩქნართან ჩამოხტა და მოლოდინი დაუწყო.

თითქმის ორი საათი ელოდა. ეს ორი საათი საბრალო მაძინიას ორ წელიწადად მოეჩვენა, მოთმინება თითქმის დაეკარგა და ბოლოს, როგორც იყო, სიმღერა და ხმაური მოესმა.

კოსთაიას ყიჟინი შორიდანვე გამოიცნო. მაძინია ჯორზე შეჯდა, მოსართავები მოუჭირა და როცა მაყრები მოუახლოვდნენ, შეუმჩნევლად მათ გაერია. გაერია და სამჯერ ზედიზედ ჯორს მათრახი დაარტყა. გავიდა ნახევარი წუთი და სამჯერ კიდევ გაიტკაცუნა მათრახმა ცხენის ზურგზე. ეს ტასია იყო. შეპირება ასეთი ჰქონდათ. ამით მაძინიამ შეატყობინა, რომ მე აქა ვარო, და ტასიამ პასუხი გასცა, გავიგეო. ძუკუ მომღერლებთან კუჩხა ბედნიერას უკრიმანჭულებდა. სხვები, ღვინისაგან გაბრუებულები, თავიანთ თავს ძლიესღა პატრონობდნენ.

მაძინიამ იდროვა, კოსთაიას მიუახლოვდა და მათრახის ტარით შეატყობინა თავისი აქ ყოფნა. კოსთაიამ მათრახის ტარითვე გასცა პასუხი.

ავიდნენ ერთ სერზე, დაღმართი თითო-თითოდ უნდა ჩაევლოთ. ხევში პატარა ღელეც მოჩუხჩუხებდა. ამ ხევში უკუნითი სიბნელე იყო და ისეთი ოღროჩოღრო და საიდუმლო ადგილი ჰქონდა, რომ ღამე კი არა, კაცს დღე შეეშინდებოდა. ხალხის ფანტაზიაც ამ ადგილს ჭინკებით, ალებით და სხვადასხვა დაშინებული გონების მოგონილი არსებებით ასახლებდა. კლდიდან უბრალო ქვაც რომ გადმოვარდნილიყო და ხევში ბრაგვანი მოედინა, ცრუმორწმუნე მგზავრი მაშინვე ჭინკას დააბრალებდა და პირჯვრის წერით გაეჩქარებოდა ამ ადგილიდან. აქ მაძინიამ რამდენიმე საიდუმლო ბილიკი იცოდა, რომლით ხშირად უვლია ნეტარხსენებულ დროს. ახლომახლო არავინ ესახლა და სამოქმედოდ ეს ადგილი გამოირჩია. აქ კოსთაიამაც, როგორც შეპირებული იყო, ოხუნჯობას უმატა და საშინელი ხველაც აუვარდა. ყველანი კოსთაიას ყურის გდებით იყვნენ გართულნი და თან ცდილობდნენ ეს ჯოჯოხეთური ადგილი, როგორც ამას ეძახდნენ, ჩქარა გაევლოთ. პატარძალი ამ დროს არავის ახსოვდა. კოსთაიამ ერთი საშინლად დაახველა, ტასიამ ორჯერ ცხენს მათრახი შემოკრა და შეჩერდა. მაძინია მასთან დაიბადა. ერთი-ორი წუთიც და, მაყრები ორმოცდაათი საჟენის მანძილზე დაშორდნენ.

მაძინია ჯორიდან ჩამოხტა. ტასია ხელში აიყვანა და ცხენიდან პირდაპირ ჯორზე გადასვა. თვალის დახამხამებაში ცხენი გზისპირად, ხის ტოტს მიაბა, შემობრუნდა, ჯორის სადავე ტასიას ხელში მისცა, თვითონ ლაგამს დაეჭიდა და ნაცნობი ბილიკისაკენ გადაუხვია. ჯერ დაღმართი ჰქონდა სავლელი ღელეს გამოსწვრივ, მერე ისეთი აღმართი უნდა აევლო და ისეთი დაკლაკნილი გზა იყო, რომ ჯორის გარდა, ვერავითარი ცხენი ასვლას ვერ შესძლებდა. ბნელაში მაძინია გზას ხან ფეხით, ხან ხელის ფათურით იგნებდა. ორ ალაგას ღობეც გასარღვევი შეექნა, გზა რომ შეემოკლებინა და წისქვილის პირდაპირ ჭალაში გამოსულიყო.

. გზაზე არაფერს ლაპარაკობდა, მხოლოდ ორჯერ დაეკითხა ტასიას: კარგად ზიხარ თუ არაო, და იმანაც უპასუხა კარგად ვზივარო, მხოლოდ ცხენს რაღა ეშველება, შეიძლება დაიკარგოსო.

— ცხენს რა უჭირს, — სიცილით მიუგო მაძინიამ. — ის, ალბათ, აღვირს გაწყვეტს და შინ წავა, ან ისინი იპოვნიან.

მართლა არ გასულა ხუთი წუთი, რომ ხევში ჭოტმა გაინავარდა,

ცხენი დაფრთხა, აღვირი გაწყვიტა, გზას გაჰყვა, ერთ დობერაში ციხის ფერდისაკენ შეუხვია და იქ ბალახობა დაიწყო.

ტასიას მეტი ხმა არ ამოუღია და არც არაფერი მაძინიას უკითხავს, მხოლოდ ორ-სამჯერ მწარედ ამოიოხრა.

ამნაირად, მაძინიამ, როგორც იყო, დიდ ფალაგემდე მიაღწია. ტასია ფრთხილად ჩამოიყვანეს ჯორიდან. ძირს ნაბადი დააგეს და იმაზე დასვეს. ფარნას შეკითხვაზე, კარგადა ვარ, არაფერი არ მტკივაო, ამბობდა ტასია, მაგრამ ნამდვილად კი მთელ სხეულში ტკივილს გრძნობდა. გული საშინლად უცემდა და ცრემლი თვალთაგან ღაპაღუპით სდიოდა.

— ა... ფარნა, შენი ჭირიმე, მე, ეს არის, რაც შემეძლო ჩემი მოვალეობა შევასრულე. კოსთაიას მოსვლამდი ფეხი არსად გადგათ, ის ალბათ ჩქარა მოვა. ახლა იმათ ალიაქოთი ექნებათ, მე კიდევ რამეში გამოგადგებოდით, მაგრამ მეშინია, ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არა ტკივა, შეიძლება წისქვილში შემოცვივდნენ და არა მნახონ, ეჭვს აიღებენ, — მაძინიამ წასვლა გააპირა.

— სად მიდიხარ, მაძინია? ერთ წამს მომითმინე! — მოუთმენლად შიაძახა ფარნამ.

— რატომ?

— მომითმინე, მომითმინე, — ფარნამ ჯიბეში ფათური დაიწყო.

— მოვესწრებით, ნუ ჩქარობ.

— არა, არა, შენი ჭირიმე.

ფარნა დაეწია მიმავალ მაძინიას და რაღაც გვარიანად ფართო ქაღალდი ჩაუდო ხელში.

— მადლობას არ გეტყვი,—დაუმატა მან,—რადგან შენ ისეთი საქმე მიყავი ამაღამ, რომ იმის მადლობა ენით არ გამოითქმება. იცი, რომ ეს ამბავი არც მამაჩემმა, არც პეტრემ არ იცის. ივანეს გარდა კაცმა არ იცის. — ეს უთხრა, კისერზე ხელი შემოხვია და ერთიც მაგრა აკოცა.

მაძინია სამოც წელს გადასული იყო და ჯერ ასეთი ტკბილი კოცნა არ გამოეცადა. რაღაც გამოუცდელმა გრძნობამ გაურბინა სხეულში, გული აუჩვილდა და ორი-სამი ცრემლიც გადმოაფრქვია.

ნახევარი საათის შემდეგ კოსთაია ტყობინჯელიაც გაჩნდა.

— ა-ა, მოგაგენით! სად დამალულან! ჩემი იმედი რომ არა ჰქონოდა თენგიზ შქერავას, მაყრად არც კი გამომაგზავნიდა. ხომ ვიპოვე გამოქცეული პატარძალი. კინაღამ ქორწილი არ ჩაგვეშალა! — ნახევარი ხმით დაილაპარაკა კოსთაიამ.

— ვაი, შენ რა გითხრა მეტი. — მიუგო ფარნამ.

— ათ თუმანს თუ კიდევ დამიმატებ, ხომ კარგი, თუ არა და ეს არის ვმართავ ყიჟინს.

— მეტი რა გითხრა შენ, — ისევ მიუგო ფარნამ.

— შენ ისე ილაპარაკე, აქ ბაკალიონის ვაჭრობა არ არის, აქ ჭანისწყლის პირია, აქ დავთარი და ჩოთქი არ გამოგადგება. იძლევი თუ არა კიდევ ათ თუმანს? თორემ, ა-ა!

ტასია, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა და ფარნას აკანკალებული ხელი წაავლო.

— ჰა, ჩემო ძმაო, — ხმადაშვებით თქვა კოსთაიამ. — ხუმრობა, ხუმრობაა და ის თქვენი მაძინია ას კაცად ღირს, როგორც გინდა, ისე თქვი, მაგისთანა გამოქნილი კაცი ძვირია სწორედ. ახლა ვხედავდი, ზის წისქვილში ისე, თითქო ერთი თვე ფეხი არსად გაედგას. მერე სად იკლავს თავს ეს უბედური, ეს მიწაში ჩასაძვრომი, რა მისი საქმეა მეწისქვილეობა! იმასაც რომ ხელობა მოუძებნია. ეხ, გადავყევი, კაცო. — აქ ხმა ძლიერ დაუშვა კოსთაიამ. — აქ ვინმე ყურს არ გვიგდებდეს და არ მოგვეკიდოს ცეცხლი და გენია.

— ნუ გეშინია, აქ ეშმაკის და ჩიტის გარდა, ორასი საჟენის სიახლოვეს ხორცშესხმული კაცი არაა.

— ეშმაკს... — შეუკურთხა კოსთაიამ. — ოხ, ვსკდები სიცილით, კაცო, იმდენი სასაცილო სალაპარაკო მაქვს ამაღამ, ნახული და გამოვლილი. ღმერთმა თუ მშვიდობით მაჩვენა თქვენი თავი ფოთში, რომ მოვუსხდებით მწვანე სუფრას, შენ რომ იცი, იმ ღვინით... ახ, ჰა. ერთი სიტყვით, ჰა! ბევრი ლაპარაკი და ყბედობაც არ ვარგა ახლა, ამის დრო არა გვაქვს, ვიჩქაროთ.

ფარნა მზადებას შეუდგა, ცხენს მოსართავებს უჭერდა.

—საბრალო სოლომონ შქერავა,—გააგრძელა კოსთაიამ,—ჩერჩეტი კაცის მეტი რა მინახავს და მაგისთანა კი მთელ დუნიაში მგონი არ მოიძებნება; თენგიზ შქერავამ თავკაცად გამომგზავნაო. მაგასაც რომ თავი ჰქონია, რომ ასეთი თავის არჩევა ცოდნია. აქეთობას გზაზე ტრაბახობით ყური გამომიჭედა. ასეთი კაცი ვარ, ასეთი კაცი ვარო. ფხიზელი კაცი ვარ მეტისმეტიო. შიშით კბილები ამიკანკალდა, დავიღუპე კაცი-მეთქი, ვამბობდი... და ნუ იტყვი, სვირული ღვინო რომ დაინახა, ანგელოზები დაავიწყდა. ღმერთო, შენ ამიშენე ბასილი ასეთი ღვინის მოტანისათვის და ისეთი ყანწების დაჭერისათვის. ყანწები ჰქონია, მარა რა ყანწები. იმ ხარების გუგუბას ვენაცვალე, რომელი ხარების თავსაც ისინი ერთ დროს ამშვენებდნენ. რომ გადავაყლურჭინე შენს სოლომონს ერთი, ორი, ხომ გადაპრაწა თვალები! სხვები კი, სალაპარაკო არაა. კოღოები არ გინახავს საწნა-

ხელში?.. ის ღვინო არ ყოფილიყო, შეიძლება უფრო საძნელო გამხდარიყო საქმე, თუმცა, არა მაგათი გამოგზავნილი მაყრები, საწყენად არ ვიტყვი, და აქაურებიც გათლილ კიტრად არ ღირებულან. მაგათ პატარძალს კი არა, კაი ჯიშის ქათამს არ მივაბარებ. კაცო, აქედან ბიჯურამდი ავედით და არც ერთს არ გახსენებია პატარძალი მოგვყავს თუ არაო.

ფარნამ ცხენი გამოაწყო, ტასია ზედ შესვა, თვითონ ჯორზე შეჯდა და გასწიეს.

— საწყალი სოლომონ შქერავა... მე ფართო ფონისაკენ გამაგზავნა გზის შესაკრავად. რა გულუბრყვილო კაცი ყოფილა.

— ჩემზე უკვე აიღეს ეჭვი? — გაკვირვებით ჰკითხა ფარნამ.

— ძუკუმ მაშინათვე დაიძახა: — თოხიტარიამ გამოგვჭრა ყელიო.

ტასიამ ერთი მწარედ ამოიოხრა.

— იცი, ლაპარაკიც ბევრი არ ვარგა, — ჩუმად ჩაულაპარაკა კოსთაიამ ფარნას. — ქალის მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდე, კაცო. რაც გინდა იყოს, დედ-მამა მაინც დედ-მამაა. ქალი კი არა, გაწურული ოქრო ყოფილა. აშენებულის შვილი. კარგად რომ დაფიქრდე, რაც ამან ამაღამ გააკეთა, იშვიათად გაბედავს და იზამს ხოლმე ქალი. დედ-მამის გარდა, რამდენ კაცს გამოჭრა ყელი. აბა, მე შენ ახლა მართალს გეტყვი. მე რომ პირდაპირ ამის წამყვანად წამოვსულიყავი და ეს ჩემთვის სხვას ექნა, კოსთაია მოგიკვდეს, თუ აქედან ცოცხალი წავიდოდი. რას ამბობ, კაცო!

კოსთაია წინ გაუძღვა და ფრთხილად, წყლის ნაპირ-ნაპირ გასწიეს. ფართო ფონს რომ გავიდნენ, ტასია და ფარნა შარაგზაზე დაყენა და ცოტა კიდევ გააცილა.

— სად არიან შენი მაყრები? — ჰკითხა კოსთაიამ ფარნას.

— იქით, მარტოხელა მუხასთან, ტყეში არიან ჩასაფრებული.

— მე იქით არ წავალ, იცოდე, იმათ რომ დამინახონ. არ ვარგა. ხომ არ იციან შენმა ბიჭებმა ჩემზე რამე?

— არა, იმათ სხვას რომ მიყავდა ქალი ამაღამ, ისიც არ იციან, მხოლოდ, როგორც ჩვეულებაა, გამოვიტყუებ და აქ მოვიყვან-მეთქი. ვუთხარი.

— კარგი. — კმაყოფილად მიუგო კოსთაიამ,—ახლა. ალბათ. ბასილიც გაიგებდა. საბრალო სოლომონმა არ იცოდა, როგორ შეეტყობინებინა, ჰა! შენ ნახე რა სალაპარაკო გაჩნდება სოფელში. დიდს და პატარას. ერთ-ორ თვეს მაინც ეყოფა ახალ ამბად თითქმის ნახევარ მაზრას. ახლა გზა დამილოცნია. ზეგ ფოთში ვიქნები, იცო-

დე, შენ რომ იცი, ის ღვინო მოიმარაგე. მშვიდობით, მშვიდობით, თამამად იყავით, ნუ გეშინიათ. შენს მაყრებს რომ შეეყრები, მერე მხიარულად წახვალთ. ჯორი ბედაურია, ცხენიც რიგიანია, პავლიას გამოართვი?

— დიახ!

—კარგი მოსიარულეა, აბა, ნახვამდის. წავალ, ერთს სოლომონსაც ვანუგეშებ. — ამ სიტყვებით ისინი ერთმანეთს გაშორდნენ.

XLIX

ისევ საბუთი

ბასილ მძებრაძე მეტად დაღვრემილი იჯდა თავისი ოდის აივანზე და თამბაქოს აბოლებდა. მარიკაც იქვე შორი-ახლო იდგა. ისე გამოცვლილიყო, რომ კარგად ვერც კი გამოიცნობდით. ძლიერ გამხდარიყო, თვალები ჩაცვენოდა. ბასილი, ეტყობოდა, ახლახან მოსულიყო საიდანღაც, რადგან ჩექმა ეცვა, ხანჯალიც ეკიდა, ქუდი ეხურა, კისერზე ყაბალახი გადაეგდო და მათრახიც ხელში ეჭირა. მწარე ფიქრს იმდენად გაეტაცნა, რომ მათრახსაც ჯერჯერობით ხელიდან არ იშორებდა.

მოჯამაგირე ბიჭმა დარბაზის კარებიდან თავი გამოყო.

— ნახე? — ჰკითხა ბასილმა.

— მოდიან, ბატონო.

მართლაც, სახლის გვერდით ირაკლი და პავლე გამოჩნდნენ. ორივეს დაგლეჯილი ჩოხები ეცვათ, წუღიდან სანახევროდ შიშველი ფეხები უჩანდათ. მათ სახეზე მხოლოდ ტირილი, შიმშილი და მწუხარება იხატებოდა. ორივენი ძლიერ გამხდარიყვნენ და სახეზე მოლურჯო ფერიც გადაფენოდათ.

— დედა, დედა, დედა, — მოთქმით შესწუწუნა მარიკამ და აივანზე ახალამოსულ ირაკლისა და პავლეს, თითქო არც კი ამჩნევსო, თავის დაკვრაზე პასუხიც არ გასცა, შეწუხებულად და თავის კანტურით ქმარს მიუბრუნდა: — ნუთუ, ნუთუ? შენ, შენი თვალით ნახე ის მასწავლებელი? ის კახპა, ისა! და მაგის თმა ხელზე არ დაიხვიე და სულ თრევა-თრევით და მათრახის ცემით აქ არ მოათრიე! ჰმ, ჰმ, ჰმ... ან მართებლობამ და უფალმა პოლიციამ როგორ ინება, თუკი ყაზახმა ქალი გამოაჩინა, ქალი საქმესთან მოიყვანა, ყაზახი ნალბახჩში არ ჩააჯინა და კეთილშობილ კაცს თავისი ქალიშვილი არ დაუბრუნა. ვახთანგიდან მოყოლებული კალონი ასე უნდა იყოს.

— კიდევ დამიჯინა — ვახთანგის კალონი და ყაზახი, — გააჯავრა ბასილმა. — შენი ყაზახი რომ შემოვიდა, იმ შენმა პრისთავმა გაუცინა და ხელიც ქე ჩამოართვა.

— ვის?! — თითქმის მიაყვირა მარიკამ.

— „ვის?“ — გააჯავრა ბასილმა. — ვის და თოხიტარიას.

— დიდო, დიდო, დიდო, დიდო, ნეტავ მაშინ იქ ვყოფილიყავი, ნეტავ მაშინ იქ ვყოფილიყავი.

— იმდენი იხეირა შენმა გვერდებმა, რომ ყოფილიყავი, ჩემზე ბევრ რასმე შენ იქ გააკეთებდი, — უკმაყოფილოდ, თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ბასილმა. — აბა, რა მექნა, კაცო, საკუთარი ხელით თავს ხომ ვერ მოვიკლავ, სხვას რას იზამ, როცა შენი შენვე გკლავს, — მიუბრუნდა ირაკლისა და პავლეს. — შენ ქალი მოიტაცეო? — ჰკითხეს თოხიტარიას.

— ნებით წამომყვაო, — მიუგო მან.

— ქალი სადღაა? — ჰკითხეს ისევ.

— აქ გახლავს, დასამალი და საძალადო არაფერი მაქვსო. ქალი შემოიყვანეს.

— უჰ, უჰ, უჰ! — თავის ქნევით და კბილების კაწკაწით წარმოთქვა მარიკამ. — მერე რათ გინდოდა ეს ხანჯალი! იქვე შუაზე გავაპობდი და ის იქნებოდა. რამდენი წიწილა შემოაკვდება კრუხს, ვინ იცის, მაგრამ იმისთვის ქვეყანა ხომ არ დაიქცევა.

— კიდევ! თავის სისულელეს რომ ვერ დაიშლის, — დინჯად თქვა ბასილმა და ისევ ირაკლისა და პავლეს მიუბრუნდა: — ის წყეულიც შემოიყვანეს. ფაფარიც არ დაუდრეკია. სრულწლოვანი ვარო, ვისაც მე მსურდა, იმას წავყევიო. ეს კაცი მინდოდა და ახლაც მინდა ქმრადაო. მე ამაში საკვირველს არაფერს ვხედავ და მიკვირს, ამდენი კაცი რამ ააშფოთაო. შქერავას ჩემთან რა უნდა? რა პირობა მიმიცია, ჯვარი ხომ არ დაუწერია ჩემზეო?.. მართალია, ცოტა კი გაილანძღა ჩემგან, მაგრამ ისე არ მექნა, სხვა გზა არა მქონდაო და შქერავას წინ ბოდიშს ვიხდიო და თუ რაიმე ზარალი მივაყენე, მიბრძანოს და ფულით გავუსწორდებიო! ამნაირად, ჩემო ძმაო, პირში ჩალაგამოვლებული დაგვტოვა ყველა. ქვეყანა იქ იყო, თვით ნაჩალიკი იქ ბრძანდებოდა, მაგრამ მაგიერი პასუხი ვერ მოახერხა. ისე ყველანი გაშტერებული შეჰყურებდნენ. იქვე, სანაჩალიკო სახლთან იმისთანა კრიალა ფაიტონი მოაყენა იმ კაცმა, ოთხი ცხენი ისეთი ება, რომ ცხვირიდან ცეცხლს აფრქვევდნენ. იქვე, ყველას თვალწინ, ჩაიჯინა ჩემი შვილი იმ კაცმა და ხრიგინ-ხრიგინით თვალებიდან მიგვეფარა. შემომითვალა: თუ მოწმობას გამომიგზავნი, კარგი იქნება,

სიმდაბლით გთხოვთ და თუ უარზე დადგებით, მეტი ჭირმა არ შეგ-ჭამა, არც შენ და არც მე, იმისთვის საქმე გავიფუჭოო. და, აი, ჩემო ძმაო...

— ეს ყველაფერი ალბათ ამ ქუსლმოქცეული ყაზახის ბრალია, ეს სულ იმის ხერხია, — ჩააკერა სიტყვა ირაკლიმ.

— ვისი? — ჰკითხა ბასილმა.

— ნიკოიასი.

— არა, რას მეუბნები? სად ნიკოია... ნიკოიაზე ადრე მგონია მგ შევიტყე. ტყუილად უმართლო კაცს დააბრალო, რა პატიოსნებაა. ის ყოვლად უმიზეზოა ამ საქმეში. ის, ის კი არა, თავს იკლავდა. საჯაროდ თავის შვილს თავსლაფი გადაასხა, მე დიდი ბოდიში და მორიდება მითხრა, რას ჰქვია, ვის ჰქვია, რა ეცოლებოდა, ან მაგასთან რა ხელი ჰქონდა, მაგ ჭირიანს, მაგასაო. ჯერ მაგის უფროსის უფროსს არა ჰყავს ცოლიო და ეს რა ხანშიგადასული მყავდაო, ავარდა და დავარდა საწყალი. სალდათობა ჯერ არ გაუთავებია მაგ კისერმოსატეხსაო. რაღაც ორი გროშის საშოვნელად მყავდა მეგონა და რა ალიაქოთი შემიყენა მაგ შეჩვენებულმა, მაგანაო. სულ ასე, პარანას შობოდა. არა, მაგას რა ბრალი აქვს!

ბასილმა სული მოითქვა, ერთი-ორი ყალიონს მოუპაპუნა და ისევ განაგრძო:

— აქ, ამ საქმეში, ჩემო ძმაო, ბრალი მაქვს მე... მე, ბასილ მძებრაძეს. მე კი არა, ჩვენ. ჩვენ კი არა, დროებას. დრო... ე... ბას. დროე... ბა... სს. ის ხომ ქალის ღირსი არც კი ყოფილა, შქერავა თუ რაცხა ჭაკი ცხენია, ის გლახაკი ვინმე ყოფილა! ზუგდიდში ვხედავდი და გახუნებული, ულაზათო ვინმე ყოფილა. გლახაკი რომ ყოფილა, კიდეც იმიტომ ვერ უშოვნია ღირსეული მაყარი. ვიღაც ცეკერე, ცეკერე, ცეტი-ცეტი, თავიანთ ჩრდილს რომ ეთამაშებოდნენ, იმისთანა ბალღები და ლოთი და კარტოფენიკების მეტი რიგიანი კაცი რომ ვერ მოუძებნია, ეს ხომ ჩვენი თვალით ვნახეთ. კოსთაია ტყობინჯელიას არ ვიცნობ? ის ორ ჭიქა ღვინოს რომ დალევს, ღმერთი დაავიწყდება. — ბასილი ერთ ხანს დაფიქრდა. — აა!.. — წამოიძახა რამდენიმე ხნის შემდეგ. — იცით, თქვენ რაზე მოგიხმეთ? — მიმართა ირაკლისა და პავლეს.

— ქაღალდიაო რაღაცაო, გავიგეთ, ბიძი, დეპუტატ საბრანიაა თუ პირსუსტიაა იქიდანაო, — ფრთხილად მიუგო ირაკლიმ.

— ოო, ქე მაინც, თუ ის ჩვენი საქმე გათავდა,—შენიშნა პავლემ.

— ვაი, ისე გაათავოს და ისე გადაწყვიტოს ღმერთმა ამბაკო

მღვდლის საქმე, იმან რომ რიგიანად გადაწყვიტა. კაცის საქმე რომ ერთხელ წანამხთარა, მერე წანავალა და წანავალა.

— რა ამბავია! — შეშინებულად წამოიძახა ორივე ძმამ და ლურჯი სახე კიდევ უფრო გაულურჯდათ.

— სასიამოვნო ბევრი არაფერი და თავსატეხი და სახარჯო კი ბევრი, — გულდამწვარად მიუგო ბასილმა. — პეტერბუხთიდან ჩვენი საქმე ისევ უკან დაუბრუნებიათ: საბუთში მერაბი წერიაო და მოწმეების ჩვენებაში ზოგისას მერაბი წერია, ზოგისას ბერაბიკაო და ორი მოწმე კი მერაბიას ასახელებსო; გარდა ამისა, ზოგ მოწმეს, არც მათ რწმუნებულებს, ხელი არ მოუწერიათ, მათ მაგივრად თვითონ გამომძიებელს მოუწერიაო. ხელახლა გამოიძიეთ და ისე გამოგზავნეთო.

ირაკლის და პავლეს, რომ დაგეკლათ, წვეთი სისხლი არ წამოუვიდოდათ.

— ღმერთო, შენ დააქციე მაგის ოჯახი, — მწარედ წარმოთქვეს მათ.

— მერე იცით, მერე იცით! — ცხარედ ამოიკვნესა ბასილმა, — რას ჰქვია ეს ხელახლა გამოიძიეთო? ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, აიღეთ და სულ უკანასკნელი ხუთასი მანეთი კიდევ დახარჯეთო.

ირაკლისა და პავლეს მკვდრის ფერი ედოთ.

— აი, ჩემო ძმაო, შენი აზნაურობაც, მოდი და ეძიე ახლა. აი შენი საბუთიც. აი შენი გამომძიებელიც. რა უშობელი დავუკალი მაგ ჭირგაჩენილს, რამდენი ღვინო ჩაისხა მაგ ჩასაოხრებელ ხახაში... ეჰ, ამანაა, რომ გადამრია, ამანაა, რომ მომკლა კაცი, თორემ რაც მოხდა მოხდა. რა ვუყო! განა შვილი ჩემს გარდა სხვას არ მოკვდომია? მაგრამ ერთი მოკვდა, მოკვდა, და მეორე მხრივ, ყველანი რომ ცოცხლად ვკვდებით? ყველანი, მთელი რჯული, მთელი გვარი, მთლად ყველანი. ან სადღაა კიდევ ფული! ხელახლა გამოძიება, ხელახლა მოწმეები. ახლა ისინიც ფეხს გააბიჯინიკებენ. იმათაც დაისწავლეს, ჩვენც საჭირონი ვყოფილვართო. ისევ ახალი გამომძიებელი და ჯანაბა, ისევ ქრთამი და ამათ ყველას ფული, ფული და ფული, ფული ღა ფული! აა, თქვენ როგორ იტყვით, ა? — შეაჩერდა ბასილი ირაკლისა და პავლეს.

მათ თვალები კაკლის ტოლა გახდომოდათ.

— ა, რას იტყვით? სად არის ფული? ა... წისქვილის ქვემოთ ჭალა უნდა გავყიდო, ან ნიკოიას დავუგირავო. მაშ, როგორ? აბა, ჩემო მზახალო, ფულები მასესხე-თქვა უნდა ვუთხრა? ა... როგორ მიბრძანებთ? ახლა საიდან მოვიტანო ფული? თოფი გადვიკიდო და ვაჭარ-

ურიების გაცარცვას შევუდგე ტახტის აზნაურობის მაძიებელმა? სხვა, აბა, როგორ? სამოცდაათი წლის კაცი ვარ. ჩემი შვილი ძუკუ მოარბენინებს ფულებს? აბა, რა მარდი ბიჭია! ღმერთო, მტერსაც ნუ გაუჩენ მაგისთანა შვილს-მეთქი, უნდა ვთქვა. ა, ჭალას დავაგირავებ, წისქვილს დავაგირავებ... სახლს ყავარი დაულპა, შიგნითაც ისე წვიმს, როგორც გარეთ, აივანზე ამოსასვლელი კიბე ჩალპა, ამათ ხომ გაკეთება უნდა, რით გააკეთებ? ყველაფერს დააგირავებ და აზნაურობაც მოგივა. მერე რას სჭამ? აზნაურობას? ა, ვითომ? ვაითუ მარტო აზნაურობამ ვერ გაგვაძღოს, ა? — თანდათან ბრაზმორეული ამბობდა ბასილი. — ჩემი ტასია თოხიტარიას არწევდეს იქნება აკვანში, ა? — აქ გული აუჩვილდა მოხუცს და მსხვილი კურცხლები გადმოცვივდა ჯერ კიდევ საღ თვალებიდან. მარიკა აქვითინდა და სვეტს მიეყრდნო.

— ა, — სული მოითქვა, გულის სიჩვილე დასძლია და ისევ სევდიანად განაგრძო: — მერაბის შვილიშვილი თოხიტარიას არწევდეს იქნება, ნანინას დამღეროდეს იქნება, — ახლა დიდი ხნით გაჩუმდა და მერე ისევ ძმებს მიუბრუნდა: — თქვენ რას იტყვით? კიდევ დაგირავებთ რამეს?!

ირაკლიმ და პავლემ შემოხედეს, მაგრამ პასუხი ვეღარ მიუგეს. სიტყვების ნაცვლად, მათი თვალები ლაპარაკობდა: რომ არა დაგვრჩა რა დასაგირავებელიო.

ბასილმა, თითქო მიხვდაო, მწარედ წამოიძახა:

— ჰო, არა დარჩა რა დასაგირავებელი. მაშ, აზნაურობა ხუმრობა გეგონათ? ტახტის აზნაურობა! დასაგირავებელიც არაფერი დაგვრჩა.

ბასილი გაჩუმდა, სამივენი ერთმანეთს გაკვირვებით შეჰყურებდნენ; თითქო ბუნებაც მათ თანაუგრძნობსო, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ჭვიტ, ჭვიტ, ჭვიტ, — დაარღვია სიჩუმე რაღაც ჩიტმა მახლობელ ხეზე.

— შრ..—დაიშრიალა ფოთლებმა და შემოდგომის ქარმა შემოუსისინა არემარეს.

რომანის დასასრული.



ᲨᲠᲘᲤᲢᲔᲑᲘ

სახარგიელ̓ო ადგილი

I

თუმცა ფოთისაკენ მიმავალ სახალხო მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ ორი საათი იყო, მაგრამ ს-ის რკინიგზის სადგურზე ხალხი უკვე გროვდებოდა. ურმულ-ჩავლადრულ მიმოსვლას ჩვეული ხალხი რკინიგზის სისწრაფესთან დროს საკმაოდ ვერ აფასებდა და იქ, სადაც ივანე მგზავრობას ნახევარი საათი უნდებოდა, მგზავრობისათვის მომზადებას სამ-ოთხ საათს ანდომებდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მგზავრის ფსიქოლოგია ჩვენში მაინც თავისებურია. ის თითქო არ ენდობა ცხრილში ნაჩვენებ დროს, ეშინია არ დამაგვიანდესო და რამდენიმე საათი სადგურზე ტყუილ-უბრალოდ ელოდება მატარებელს.

ს-ის სადგური მისვლა-მოსვლის და აღებ-მიცემობის მხრივ ერთი ცოცხალი ადგილთაგანი იყო და ამიტომ მატარებელს ხალხი მუდამ ბლომად უხვდებოდა. სადგურს მგზავრების და მათი გამყოლ-შემხვედრელის გარდა მოსეირნე ხალხიც არ აკლდა. დაბაში არ იყო არც კლუბი, არც თეატრი, არც სხვა რამ კულტურული გასართობი და ყველა ამათ მაგიერობას რკინიგზის სადგური ასრულებდა. მატარებლის მოსვლის წინ აქ ნახავდით ყოველი ჯურის ხალხს. აქ იყო გლეხი, მუშა, აზნაური, მოხელე, ვაჭარი, მასწავლებლობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ცოლები, დედები და დები.

დღეს ამ კაცთა ჭრელ კრებას კიდევ უფრო აჭრელებდა ერთი გარემოება, სახელდობრ, თვალსაჩინოდ ბევრი იყო ანაფორიანი ხალხი, ე. ი. სამღვდელოება. მართალია, იმ ხანებში ანაფორიანები განსაკუთრებით გამრავლდნენ, რადგან მღვდლობა ნიეთიერ შემოსავლის გარდა სხვა სოციალურ პრივილეგიებსაც ანიჭებდა კაცს. აზნაურებდა, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, ხოლო აზნაურო-

ბისადმი მიმზიდველობა კოლხიდაში მობინადრე ხალხს, აშკარად უნდა ვთქვათ, ბუნებით თანდაყოლილი აქვს. მაგრამ დღეს სადგურზე ანაფორიანების არაჩვეულებრივი სიუხვე იყო. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მღვდლობა-აზნაურობა ჩვეულებრივ აზნაურობაზე გაცილებით ხელსაყრელი შეიქნა და ხალხიც ამ დარგს წაეტანა. და წაეტანა მით უფრო, რომ ამ ხარისხის საშოვნელად ამ ხანებში ერთგვარი მოკლე გზა გაიხსნა. პირობები ისეთი შეიქნა, რომ მღვდლის ხარისხის მისაღებად ყველასათვის საჭირო არ იყო უსათუოდ სემინარიაში მრავალ წლობით თავის მტვრევა. ცოტაოდენი ჟამნ-დავითნის უაზროდ ჩაბულბულება, კაი ნაცნობობა, და განსაკუთრებით თვალსაჩინო ბანოვანებისა; კიდევ ცოტა რამ ხელის ჭუჭყი (რაც ქვეყნის გაჩენიდან წონასწორობას ამყარებს დედამიწის მთელ სიგრძე-სიგანეზე) — და ყველა მამრობითი სქესის ჰასაკით სრულწლოვანს და წერა-კითხვის მცოდნეს შეეძლო ეოცნება მღვდელი გამხდარიყო.

რამდენად მატარებლის მოსვლის დრო ახლოვდებოდა, იმდენად ქალი და კაცი მეტი გროვდებოდა სადგურის ბაქანზე და ანაფორიანებიც ხშირდებოდა, ასე რომ, ყოველ ათ კაცში ერთი მაინც ანაფორიანი გამოვიდოდა. მათშიც იყო განსხვავება ხარისხის და წოდების მიხედვით. აი, მამა ბლაღოჩინ-დეკანოზი პავლე მახარაძე, ხანში შესული, ახოვანი კაცი, აბრეშუმის ანაფორა აცვია, გულზე ოქროს ჯვარი, ხოლო მკერდზე ორი ორდენი, — ერთი ანნასი მეოთხე ხარისხისა, ხოლო მეორე კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმადგენელი საზოგადოების წევრობისა. პირველი „ჯილდოა", „უმაღლესი", ბოძებული, ხოლო მეორე ნაყიდი, საწევრო ხუთი თუმნის შეტანით. დეკანოზს თავი ღირსეულად უჭირავს.

მას თან ახლავს მღვდელი იოანე, შუახნის კაცი, საკმაოდ ჩასუქებული, გულზე ვერცხლის ჯვრით, მკერდზე მხოლოდ მედლით. სუფთად აცვია და კმაყოფილად გამოიყურება. მათ შორიახლო მორიდებით მისდევს სისო ნანაძე. იგი ოცდაათიოდ წლისაა, არც ჯვარი ჰკიდია და არც მედალი, ეს ჯერ მღვდელიც არ არის, მთავარდიაკონია. ტანზე გახუნებული სატინის ანაფორა აცვია, თავზე ძველი, არშიაგაცვეთილი ჩალის ქუდი ჰხურავს, ფეხზე წაღები აცვია. ბუნებით ცუდი შესახედავი კაცი არაა, მაგრამ რაღაც გულდათუთქულად გამოიყურება და თავდაღუნული დადის.

სადგურის ბაქანი თითქმის გაივსო მოსეირნე ხალხით, საცაა ორთქლმავლის ბუმბერაზი თვალები სადგურზე შემოანათებს. სალაროსთან ბილეთების ასაღებად ხალხი შეჯგუფულია, საბარგო გან-

ყოფილებაში გაჭიმული მუშაობაა. საერთოდ, ყველას ნერვიულობა ეხატება სახეზე.

მხოლოდ მატარებლის მიმოსვლის ნიშნის მიმცემი დარაჯი კოსთაია, რომელიც უკვე ხუთმეტი წელიწადია, რაც ამ თანამდებობაზე მსახურობს, მატარებლის მოძრაობის წესრიგს ისე შეეჩვია, რომ არც მისი მოსვლა აღელვებს და არც წასვლა. ის ახლაც დგას ზარის ქვეშ და გულგრილად ელის მატარებლის მოსვლას და საგზურის მორიგის მიერ მოცემულ ნიშანს დარეკვისათვის.

— კოსთაიას გაუმარჯოს, — მიალაპარაკა ერთმა შავ ჩოხაში გამოწყობილმა და ყაბალახით თავწაკრულმა გლეხმა და კოსთაიას წინ გაჩერდა.

— აა, ბასილიკა, შენა? საით?

— აქეთ, ფოთისკენ გეახლები. რაღაც ნავსადგურზე სამუშევარი იშოვებაო და მივდივარ ერთი-ორი გროშის საშოვნელად. სიმინდები მეორედ უკვე გავთოხნე და ერთი-ორი კვირა ცოტას წავიმუშავებ, ხომ იცი, ოჯახის პატრონი.

— კარგია, კარგი დაგემართოს. ამბობენ გემია საჭვირთავიო, გუშინაც მიდიოდნენ ბიჭები, — კვერი დაუკრა კოსთაიამ.

— სხვა, კოსთაია, როგორ გიკითხო?

— მადლობთ, გახლავარ. მაგრამ, კაცო, ეს მღვდლები რამ აშალა დღეს! რამდენი ხანია აქ ვმსახურობ და ამდენი ერთად არ მინახავს და, როგორც სჩანს, ყველანი ფოთისაკენ მიდიან.

— მაშ არა და, სტამბოლში წავლენ, მათი ბატონი აქ არის. მართლაც, კაცო, რამდენია შეხედე. აა, დეკანოზიც აქ ყოფილა, მე რომ ჯვარი დამწერა, ისიც, კოსთია ჩოჩუა. როგორ ფაფარადრეკილი მოდის, დარი აქ დამდგარი, დარი. ო, ერთი ჩამიგდო მისი თავი ჭურიის ტყეში.

— ჰე, რა ამბავია, ბასილიკა, ეტყობა, იმ მღვდელს ძლიერ ემდური.

— დასამდურებელი არა მაქვს თუ, კაცო, ხუთმეტი მანეთი გადამახდევინა ჯვრისწერაში. ერთი კაპიკი არ დაიკლო. ორ საათს ვეაჭრობდით, არ იქნა საშველი.

— მამალი ღვდელი ყოფილა, — სიცილით ჩაილაპარაკა კოსთაიამ.

— მამალია, მაშა, კაი ყაზახი კია, ყურუმსაღი. ან რა კარგად ცხოვრობს, რომ იცოდე! ჰა, საწყალი, შეხედე ანდრია ცახუჯიც* აქ

* ცახუჯი — მთავარი.

ყოფილა. ეს ქუდი ინჯინერმა აჩუქა შარშანწინ, სულ გახუნებია, უწყინარი კაცი კია საწყალი.

— თქვენი სოფლელია?

— მეზობელია ჩემი. იცი, კოსთაია, რა გითხრა! შენ ნუ გაგეცინება. ახლა ამ ხალხს რომ ვუყურებ, ჩემი ყანა მაგონდება, თითო კაცი თითქო თითო ღერი სიმისდია, და ეს ღვდლები მათში ისეა შერეული აქა-იქ, როგორც ლობიო სიმინდში.

— ჰა, ჰა, — გადაიხარხარა კოსთაიამ.

ბასილიკასაც გაეცინა და უნდოდა რაღაც კიდეე ეთქვა, მაგრამ ამ დროს მატარებელმა ქშენით შემოანათა სადგურის წინ და კოსთაიამაც ზარის დარეკვის ნიშანი მიიღო, ხოლო ბასილიკა მატარებლისაკენ გაეშურა.

მატარებლის ვაგონების ასასვლელ კარებთან ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ჩამსვლელ-ამსვლელნი, ვაგონის კიბეებზე პირისპირ შეჯახებულები, ერთიმეორეს გზას არ უთმობდნენ. ისმოდა ერთი ყვირილი, ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა. მაინც ხუთიოდ წუთის განმავლობაში ჩამომსვლელნი ჩამოვიდნენ, წამსვლელი ავიდნენ და მატარებელიც ჩვეულებრივ გზას გაუდგა. ერთ-ერთი ვაგონის კუთხეში ჩვენი უკვე ნაცნობი ბასილიკა, გვარად ჯაბია, იჯდა, დაკეცილი ნაბადი, თოკით შეკრული, მუხლზე ედო. მის გვერდით ერთი მაღალი ტანის, შავ ჩოხაში გამოწყობილი ხმელ-ხმელი შავწვერა, შუახნის კაცი იჯდა. მის მომდევნოდ გურია-სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროებში ცნობილი მეფართლე ებრაელი ყობოია თავის ბარგიბარხანას ალაგებდა. ორი სავსე ტომარა თაროებზე დაეწყო, ორი ხურჯინი სკამებქვეშ ჩაელაგებინა და ახლა ორი ბოხჩის საიმედო ალაგას ჩასაკვეხებელ ადგილს ეძებდა; ერთი ბოხჩა ხელში ეჭირა და ნერვიულად თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და თან სქელ და ლოყებთან განზე გაზრდილ წვერებზე ხელს ისვამდა. როგორც იყო, ბოხჩებიც მიალაგა, სკამზე ჩამოჯდა და წითელი ხელსახოცით შუბლი და პირი მოიწმინდა. მის გვერდით, ე. ი. სკამის ბოლოში, ერთი ჭაღარა, საშუალოდ ჩაცმული, ჯვრიანი მღვდელი იჯდა. მათ მოპირდაპირედ სხვა ოთხნი ისხდნენ: ერთი ანაფორიანი, ერთი კაკარდიანი ჩინოვნიკი, ერთი ევროპულ ყაიდაზე გამოწყობილი, ალბათ ვაჭარი, და ერთი დედაკაცი, რომელსაც ჭინჭებში გახვეული ძუძუმწოვარა ბავშვი ეჭირა, და ერთიც ორიოდე წლის ვაჟი დედის მუხლებს მიბჯენოდა.

— ახ, პატიოსანო მღვდელო, უკაცრავად, ამ ჩაჩუტების დალა-

გებაში ვერც კი შეგამჩნიეთ, — ცქვიტად მიესალმა ყობოია ჯერიანს, როცა სახე მოიწმინდა და აქეთ-იქით მიიხედა.

— ყობოიას გაუმარჯოს, — ღიმილით მიუგო მღვდელმა, — მეც არ შეგაწუხეთ. ძლიერ იყავით გართული მაგ ბარგის დალაგებაში.

— რა ვქნათ, პატიოსანო მღვდელო, — მიუგო ყობოიამ, — გაჭირდა ცხოვრება, თუ ასე არ იტანჯე, ცოლ-შვილს ვერ არჩენ. ყველაფერი თუ საბარგო განყოფილებაში მიეცი, პურის ფული არ დაგრჩება. ვიტანჯებით, ვიტანჯებით, პატიოსანო მღვდელო, — საცოდავად დაუმატა ყობომ, სახე ერთხელ კიდევ მოიწმინდა და ზამთარზაფხულ მის ტანიდან განუშორებელი, მარადქამ გაუცვეთელი ტილოს თავისებური სამოსი, რომელიც არც ევროპულსა ჰგავდა, არც ანაფორას, არც ახალუხს, მიასწორ-მოასწორა.

ყობოს ყველა იქ მსხდომი იცნობდა და ყველას ჩაეცინა.

— აბა, შე საცოდავო, პურის ფული არ გრჩება, — ღიმილით შენიშნა მღვდელმა.

— შენი მაკურთხებლის მადლმა, პატიოსანო მღვდელო, წრეულს სულ ზარალში ვარ. ამ ნისიებმა სულ გამაწყალეს,—მწუხარებით ამბობდა ყობო.

ებრაელის სიტყვებს კი საერთო ხარხარი მიეგება. იქ მყოფი ლედაკაციც გულიანად იცინოდა და მტირალ ბავშვს ნელ-ნელა არწევდა. თვით ყობოც იცინოდა და ხალხს ათვალიერებდა. თითქმის ყველა იცნო და თავის გამართლებას თავი დაანება. არათუ ყველანი იცნო, ისიც გაახსენდა, ვის რა ფართალი როდის მიყიდა. თითოეულიდან რამდენი მოიგო. მღვდელს ქალიშვილის მზითევისათვის ფართალი მიუტანა და კარგად გაახსენდა, რომ ორი საათის ვაჭრობის განმავლობაში ორი მანეთი ნაღდი მოიგო. საქონელს უმთავრესად კვირაცხოვლობას იაფობაში ყიდულობდა თბილისში და ახალი საქონლის სახით ასაღებდა სოფლებში. თითონ სუჯუნელი იყო. ორი სახლი ქუთაისში ჰქონდა, ერთი თბილისში და ორასიოდ ათასი მანეთი ნაღდი ფული ბანკში. ტანისამოსი მუდამ დაგლეჯილი ეცვა, სვამდა კვერცხსა და პურს და კვირაში ორჯერ სვამდა თითო პატარა ჭიქა არაყს.

მატარებელმა მდინარე ცივის ხიდი გაიარა და ქვალონის ჭაობებში ქოშინ-ქოშინით გაინავარდა.

— რა ამბავია, მამაო ვასილ. — დაეკითხა კაკარდიანი ჯერიან მღვდელს. — ამდენი მღვდელი რომ ფოთისაკენ მიდიხართ, სოფლებში ვინღა დარჩა? რომ გაჭირდეს, უზიაროთ ამოწყდება ხალხი, რაშია საქმე? ყოვლად სამღვდელოს ქორწილი ხომ არა აქეს?

— დაქორწილებულები მისი არაა, ხათაბალაში თავს რად ჩაიგდებს, — სიტყვა მოუჭრა ვაჭარმა.

— არა, დიდი ვაკანცია გაიხსნა, მღვდელი სოფრომა პერტაშვილი გარდაიცვალა და ამანაა რაც აშალა ამოდენა ხალხი, — დინჯად მიუგო მღვდელმა.

— აბა, საწყალი სოფრომ, — ინაღვლა ჩოხიანმა კაცმა და ქარქაშის ტყავშემოგლეჯილ ხანჯალზე ხელი გაიკრა და თან ულვაში გადისწორა. — კაი კაცი იყო, კაი ოჯახის კაცი, დიდი პურ-მარილის, კაი სულმოდგმული.

— მეც ვიცნობდი, მეც, — გაერია ჩვეულებრივი აღტაცებით ყობოია, — ღულა-კარის წმინდა გიორგის მღვდელი იყო, წინეთ იქითკენ დამქონდა სავაჭრო. სწორედ მეწყინა, ღმერთმა განუსვენოს.

„ჰა, მაშ რას აურევია ეს ხალხი", — გაიფიქრა გლეხმა ბასილიკამ, მაგრამ თქმით კი არა თქვა რა.

— მგონი უშვილო იყო, — თქვა ჩინოვნიკმა.

— დიახ, ბატონო, უშვილო. შვილი თავის დღეში არ გაჩენია, — თავმდაბლად მიუგო მთავარდიაკონმა.

— სამრევლოს აქებენ. აბა ნახე, მართლა რა კორიანტელი ატყდეს. ნეტავ ვის მიცემენ მრევლს, — თქვა ვაჭარმა.

—ვინ იცის, ქვეყანა კი დაესია, დიდ შეხლა-შემოხლას და ბრძოლას ექნება ადგილი, — განმარტა მღვდელმა.

— ბევრი კაცი მოითბობს ხელს, — თქვა ჩინოვნიკმა.

— აჰა, ჰაია, — ამოიოხრა დიაკონმა.

— შენც ხომ მღვდლის ადგილის სათხოვნელად არ მიდიხარ, ივანე? — გაეხუმრა ვაჭარი შავჩოხიან კაცს.

შავჩოხიანმა კვლავ ხანჯალზე გაიკრა ხელი, შემდეგ ულვაში გადაისწორა და ნაღვლიანად ვაჭარს შეაჩერდა.

— შენ ხუმრობ, გიორგი, და რაც მე ამ დავიდარაბაში ფული ჩავლუპე, რომ მომენდომებია, მღვდლად კიდეც მაკურთხებდა.

— რაში, ივანე?

— ამ ოხერ აზნაურობის ძიებაში. გავწყალდი კაცი, მეტი არა ვარ. ეს საბუთიო, ეს მეტრიკაო, ახლა ეს ოცდახუთი ჩინოსანის ხელის მოწერაო, აგერ ერთი თვეა მაგაზე დავდივარ. ოცდასამ კაცს უკვე მოვაწერინე ხელი. ორი კაცი დამრჩა. სახეში მყავდა ერთი მილიციის პრაპორშიკი, თავადი ბუჭა ბუჭაძე და მეორე. პრაპორშიკი იოსებ ხალამაძე. როგორც მოგეხსენებათ, ხელნწიფე მობრძანდა თბილისში 1868 წელს. საპატიო ყარაული იყო და მაშინ მიიღო ეს ჩინი. ბუჭა გუშინ თბილისში წასულა, სამ დღეს იქ დარჩებაო. იო-

სებმა კი დილის მატარებლით გამომასწრო, სუხუმში წასულა და აი, მეც მას მივსდევ, პარახოტი ხვალ თორმეტ საათზე გადის და მინდა მივუსწრო, მოვბრუნდები და იმდენხანს ბუჭაც ჩამოვა.

— და ამნაირად ამ ორ დღეში ორი კურდღელი გინდა დაიჭირო?

— ეს დასაქცევი ამოვარდა. სირცხვილია, კაცო, მამაპაპეული ღირსება არ მინდა დავკარგო, თორემ, როგორც მოგახსენეთ, რაც ფული ეს მიზის.

ვაჭარმა და ჩინოვნიკმა ერთიმეორეს შეხედეს და ჩუმად ჩაიცინეს. მღვდელმა მთავარდიაკონს გადახედა და თვალით რაღაც ანიშნა.

— ვინ არის ეს კაცი? — ჩუმად ჰკითხა ჩინოვნიკმა ვაჭარს.

— ივანე ჩაკიბაია?

— ივანე ჩაჩიბაია?

— არა, ჩაკიბაია.

— მერე, ეს სადაური აზნაურია?

— ახალი მოდის.

ჩინოვნიკმა კოპი შეიკრა და ცალი თვალით ივანეს ახედა.

— კი, ბატონებო, მაგრამ ერთ სისულელეს მეც ვიტყვი, — დაარღვია სიჩუმე ბასილიკა გლეხმა. — მღვდელი გარდაცვლილა, ადგილი გახსნილია. ეს მესმის. მღვდლის ალაგს დიაკონი უნდა აკურთხონ, ესეც მესმის. მარა ეს დეკანოზები და მღვდლები ამდენი რომ მიდის, ეს კი ვერ გამიგია.

ერთ ხანს პასუხი არავინ გასცა. მხოლოდ მთავარდიაკონმა მწარედ ამოიოხრა.

— ე, ბაბაია, — პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ ნელა შენიშნა მღვდელმა, — ახლანდელ დროში, ვთქვათ, ერთი მღვდელი მოკვდა. როგორ გგონია, ადგებიან და მის ადგილზე ვინმე დიაკონს აკურთხებენ და მორჩა საქმე? ეეე, ამის მეტი ჭირმა ნუ შეგეპამა. აქ დიდი ბრძოლაა, დიდი ადგილების გაცვლა-გამოცვლა. განსვენებულის ადგილას ვინმე შედარებით მდარე მრევლის მღვდელს გადმოიყვანენ, ან უკეთ, თვითონ შეეცდება გადმოვიდეს. მის ადგილას კიდევ სხვა გადმოვა... დაბოლოს, ერთ-ერთ მთავარს მღვდლად აკურთხებენ და საბოლოოდ უბრალო დიაკვანსაც მთავრად მიაყოლებენ. ამნაირად გაიჩარხება საქმე.

ს ა ლ დ ა თ ო გ ა*

ყავრით გადახურული, ლამაზად გაკეთებული ჭიშკარი ოდნავ აჭრიჭინდა და ქვაცა ღორებულიამ ცხენი ეზოში შემოახტუნა. ის იყო ორმოცდაათი წლის, ჯერ კიდევ საღად შენახული გლეხი. მოწითანო წვერს ჭაღარა აქა-იქ ერია. დიდი, მოღუნული ცხვირი და ოდნავ ბეცი თვალების მეოხებით, სილამაზეს ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ კმაყოფილი გამომეტყველება, ჩასკვნილი აგებულება და თამამი მიხრა-მოხრა პირველ ნახვითვე კაცს მიიზიდავდა.

მის მისვლისთანავე ეზოში ერთი ჩოჩქოლი შეიქმნა. სამზადი სახლიდან მისი ცოლი, ელენე, თითისტარით და მატყლით ხელში საჩქაროდ გამოვიდა და ქმრისაკენ თვალმიშტერებული მიიჩქაროდა, თითქო უსიტყვოდ უნდა მიხვდეს, ქმარმა რიგიანი ამბავი მოიტანა თუ არაო. ოდის აივანზე ქვაცას გასათხოვარი ქალიშვილი, ბარბალე, რაღაც საკერავს ჰკერავდა, მაგრამ მამის დანახვისთანავე, იმანაც საჩქაროდ საკერავი მიაგდო და მამისაკენ გაეშურა. ამასობაში ქვაცაც მოვიდა და სამზადი სახლის წინ ცხენიდან ჩამოხტა. მსუქანი და მარჯვე ცხენი მუცლის ქვემოთ სველი იყო, ეტყობოდა, პატრონს ღრმა წყალში შეეყვანა.

— ბეგო სადღაა? — მისალმების მაგივრად იკითხა ქვაცამ.

— თოლიგე, რა ამბავია? — ცოტა არ იყოს, დაშინებული კილოთი შეეკითხა ცოლი პასუხის მაგიერ.

ამ დროს სახლის გვერდიდან აუჩქარებლად ერთი ასე ოცი წლის მაღალ-მაღალი, ჯან-ღონით სავსე, ცოტა არ იყოს ფერმკრთალი და მოწყენილი ჭაბუკი გამოჩნდა.

— აბა, ბაბაი, ბეგო, ეს ცხენი დააბინავე, სიმინდი ახლავე აჭამო, არა უშავს რა, ხირხუს აქეთ სულ ნელი ნაბიჯით მომყავდა, წყალ-

* სათაური პირობითია. — ს. ც.

შიაც ამოვასველე. კაი ცხენი გამოდგა. არა. ამაზე არ მიზარალნია,— კმაყოფილად თქვა ქვაცამ და ლაგამი ახალმოსულს გაუწოდა. შვილმა თვალებში შეატყო, რომ მამას საქმე სასურველად მოეგვარებინა. ოდნავ აღელდა, მამას ცხენი გამოართვა და თავლისაკენ გასწია.

— რა ამბავი მოიტანე, ჰო, — განუმეორეს ცოლმა და ქალიშვილმა ერთად.

— რა მოვიტანე, ის მე ვიცი, ქვაცამ იცის, — ცოტა მოამაყედ თქვა მან და სახლში შევიდა.

ქვაცა ღორებულია შეძლებული გლეხთაგანი იყო. მამამისმა ჯგობოიამ ჯერ კიდევ ბატონყმობის დროსვე თავი დაიხსნა მებატონესაგან. შინაური საქონლის, ძროხა-ხარების მოშენებას მისდევდა და სულმოდგმულ გლეხად ითვლებოდა. ქვაცა ძმებს კარგა ხანია გამოეყო და ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ძმებთან კეთილგანწყობილება ჰქონდა და საზოგადოდ მათი ოჯახი ერთი საუკეთესო ოჯახთაგანი იყო სოფელში.

ქვაცამ წაბლის მშვენიერი ოთხთვალი ოდა ააშენა. ეზოში კოინდარი დათესა, გარშემო მესერი შემოავლო და გადახურული ჭიშკარი ჩადგა.

თვითონ ალივით მუშა იყო. საქმეში არც შვილები ჩამოუვარდებოდნენ. ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, ერთი ოცდახუთი წლისა იყო, მეორე ოცისა. უფროსი შვილი სალდათობიდან განთავისუფლდა, როგორც უფროს შვილს შეეფათი მისცეს. უმცროსს. ბეგოს კი კენჭი წრეულს უნდა ამოეღო და ეს იყო მთელი ოჯახის სადარდებელი და საგოდებელი ამ დროებით. სანამ დრო არ მოახლოვდა. ქვაცა ბევრ ყურადღებას არ აქცევდა, ალბათ ღმერთი მოწყალეაო. ოიქრობდა, ალბათ, ალბათო, გულს იმაგრებდა და ყოველდღიურ საქმეს ბეჯითად აგრძელებდა. გაზაფხულ და ზაფხულში დილით ადრე რიჟრაჟზე დგებოდა და ყანაში მირბოდა, ხნავდა, თესავდა. მარგალავდა... უფროს შვილთან ერთად. უმცროსს—ბეგოს კი. კამეჩ-ურემი ჰყავდა გაწყობილი და სიმინდს ეზიდებოდა მახლობელი დაბებისაკენ.

მამაკაცებს არც დედაკაცები ჩამოუვარდებოდნენ. ქვაცას ცოლი ელენე და ქალიშვილი ბარბალე წელიწადში სამ-ოთხ ფუთ აბრეშუმის პარკს მაინც მოიწევდნენ, ოთხ-ხუთ საჩოხე შალს მაინც მოქსოვდენ გასაყიდად და მამაკაცებსაც თავიანთი ნაქსოვით მოსავდნენ. ერთი სიტყვით, ქვაცა ღორებულიას ოჯახი წარმოადგენდა ერთ მცირერიცხოვან სკას. სადაც ყველა წევრი მუშა ფუტკარივით შრომობდა და ფუსფუსებდა. თუმცა როგორც სკაში ფუტკარს. ისე ქვაცასაც ცხოვრებაში ათასნაირი ქვეყნიური მოუწყობლობა, შური-

უსამართლობა და სხვანი და სხვანი მიზეზნი, რომელთა არა არს რიცხვად, ხელს უშლიდნენ, ვნებას აყენებდნენ, მაგრამ საკმაო თაფლი მაინც რჩებოდა და ქვაცაც, თავისი ცხოვრებით კმაყოფილი, ღმერთს მადლობას სწირავდა. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის სასამართლოში ჯარში გასაწვევი ახალგაზრდა ბიჭების სია გამოაკრეს. სიაში შუა ალაგას გამოჭიმული იყო ბეგო ქვაცას ძე ღორებულიაო. ამის გაგონებამ, რადგან თვითონ ქვაცამ კითხვა არ იცოდა, მხოლოდ უთხრეს ასე და ასეა საქმეო, ქვაცას და მთელად მის ოჯახს თავზარი დასცა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ ეს ამბავი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ყველანი მაინც გულს ინუგეშებდნენ, ალბათაო ღმერთი შეგვეწევაო, მაგრამ სიცხადემ თავის გამოჩენა არ დააყოვნა.

— აიტ, ახლა რა ვქნა, — ამბობდა ქვაცა.—წაიყვანენ, წაიყვანენ, ეჭვი არაა. არავითარი გოტა მაგას არა აქვს. გოტამ კინტირია ხომ გამითავისუფლა. ეხ, კინტირიასთვის ცოლი შემერთო და ცალკე დამესახლებინა. შეიძლება რამე მშველებოდა. მაგრამ არა, მე ხომ ჯერ ჯეელი ვარ. სამოცი წლის უნდა იყოს კაციო, კალონი ასეთიაო. არა, არა, წაიყვანენ და მე შენ გეტყვი, სუსტია, ან ზომაში არ მოვა? არშინი არ მიუწვდება გულ-მკერდზე ყაზახს. დავიღუპე კაცი, — ნაღვლობდა ქვაცა. ნაღვლობდნენ დანარჩენებიც.

ბეგოსაც მოეწყინა და თუმცა ჯანს არ იტეხდა და არაფრად აგდებდა, მაგრამ მისი სულიერი მდგომარეობა ნათლად იხატებოდა მის სახეზე და ძალაუნებურად ამხელდა. რაც დრო გადიოდა, ჭაბუკს უფრო და უფრო მოწყენა ეტყობოდა. აგერ, ოთხი თვეც და კენჭი უნდა ამოიღოს. ქვაცა აქეთ ეცა, იქით ეცა, ვის არ ჰკითხა, ვის არ შეეხვეწა, არჩია, იფიქრა და ბოლოს გამოაწყო რიგიანი ძღვენი და თავად ა-ს ეახლა. თავად ა-ს, მისი ბრწყინვალების სხვა ღირსებასთან, სახელი გავარდნილი ჰქონდა ახალგაზრდა ბიჭების სალდათობისაგან განმათავისუფლებელის.

თავად ა-ს გვარიანი კარგი თანამდებობა ეჭირა და საზოგადოებაშიაც ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი. თავაზიანი და გულკეთილი მოხელე. და აი, ქვაცაც ამ გულკეთილ მოხელეს ეახლა, თავისი სული ჩააბარა, როგორც თვითონ ამბობდა.

უგედურება

მიკიტან ივანე პრასაძეს დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონდა; ორი თუნგი არაყი და ოთხი ფუთი ღვინო გაასაღა. შემწვარი გოჭიდან და ინდაურიდან რაღაც ხაბაკხუბაკებიღა დარჩა. ქვაბში ერთი კოვზი ჩიხირთმა არ დარჩენილიყო. არც კი ახსოვს რამდენჯერ ააგებინეს ცხვრისა თუ ღორის მწვადები. დილით დამზადებულის გარდა სამჯერ მოიტანა ათ-ათი შოთი მეთონედან.

ცხრის ნახევარი იყო და ჯერ ივანეს სადილი არ ეჭამა. მუშტრებისაგან მორთმეული ღვინო თუ არაყი კი მრავალი გადაყლურჯა. ყველას ერთნაირი მოღიმარი სახით ლოცავდა და უღიმოდა.

მუშტრები ცოტ-ცოტად შეთხელდნენ და ბოლოს ორი-სამი მაწანწალა ლოთიღა დარჩა. მათ ივანე ისე უყურებდა, როგორც აუცილებელ სურდოს ან თავის ტკივილს. ივანემ ვერცხლის ქამარში ჩარჭობილი ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა და დახლში სკამზე დაეშვა.

— ბიჭო, სამწვადე აღარ დარჩა? — გადასძახა თავის ნოქარს, რომელიც დახლის გვერდით ჭურჭლეულობას რეცხდა. — ერთი ბოთამზადე რამე. ჩვენც ხომ ღვთისაგან გაჩენილი ადამიანები ვართ. ამდენი ხალხი გაგვიძღია და დაგვითვრია, ჩვენი თავიც უნდა გავიხსენოთ.

ნოქარს ამის გახსენება სრულებით არ ეპირვებოდა. მას უკვე მიეღო საჭირო ზომები. ღორის, ცხვრის და ძროხის სამწვადე ხორცი, რაც დარჩენილიყო, ორ დიდ შამფურზე აეგო და ქურაზე აეშიშხინებინა.

ივანემ ერთი მიიხედა მაწანწალებისაკენ, რომლებიც დახლის მოშორებით კუთხეში მაგიდას უსხდნენ, წინ თითო-თითო ჭიქა არაყი და პურის ნაჭერი ედოთ და მუსაიფობდნენ. ივანემ მათ ზურგი აქცია, დახლი გამოაღო და ფულის თვლა დაიწყო. ჯერ ფულს ერთგვარი კვალიფიკაცია გაუკეთა: მანეთიანი, სამმანეთიანი და ხუთმა-

ნეთიანი ცალ-ცალკე დააწყო და შემდეგ დათვალა. თან თვლიდა და თან ჩქარ-ჩქარა მარცხენა ცერს ნერწყვით ასველებდა.

— არა უშავს რა, მადლობა ღმერთს, — სიამოვნებით ჩაილაპარაკა მან. — შერცხვენილი ვიყო, თუ კვირას ხატის წინ ერთი კარგი კელაპტარი არ დავანთო. ეხ, წასულ კვირასაც მინდოდა დამენთო და ვერ მოვიცალე. მომავალ კვირას კი ცოლს მაინც გავგზავნი, რომ ღმერთს მადლობა შესწიროს.

ამასობაში ნოქარმა ფართო თეფშზე დალაგებული, ახლად შემწვარი მწვადები მოიტანა, პურის და საუზმის დაწყობას შეუდგა. დახლზე სუფრა უკვე გაშლილი იყო და ივანე და მისი ნოქარი ის იყო ჭამას უნდა შედგომოდნენ, რომ კარი გაიღო და სამიკიტნოში მახლობელი სადარაჯოს პოლიციელი შემოვიდა.

— ჰა, სწორედ შენ მოგელოდი, — მხიარულად გაეხმაურა ივანე. — კაცო, ერთი კვირაა, რაც არ გამოჩენილხარ. აბა, ბიჭო, სკამი მოართვი... აქეთ, აქეთ, პეტრე, აი აქ, პირდაპირ დაბრძანდი. დღეს საგანგებოდ ახალი ტიკჭორა მოვხსენი, ისეთი ღვინო დაგალევინო, რომ...

პოლიციელმა ბევრი არ მოიბოდიშა, დახლს მიუჯდა და სამთავენი საჭმელს მადიანად შეექცნენ.

— სხვა, პეტრე, ახალს რას იტყვი?

— ცუდს, ივანე, უბედურება, უბედურება. კვლავ ხოლერა გაჩენილა.

— ჰა! ღმერთო, შენ დაგვიფარე, — პირჯვარი გადაიწერა ივანემ.

— ბაქოდან ცუდი ამბები მოდის, იქ თურმე ათობით ქუჩაში ეცემა ხალხი. აქ სასტიკ ზომებს იღებენ. ბრძანებაა, სისუფთავე უნდა დაიცვათო. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ სამიკიტნო-სასადილოებს. ხვალ იქნებ დუქანი გაგისინჯონ და იმიტომაც შემოვიარე, რომ გაგაფრთხილო. საჭირო ზომები უნდა მიიღო, თორემ დაგაჯარიმებენ.

— გმადლობ, ჩემო პეტრე, მე ხომ სისუფთავე ძლიერ მიყვარს, სულ პატარძალივით მორთული მაქვს დუქან-ეზო. მაგრამ ამ ხალხში. — ხელით ანიშნა კუთხეში მსხდომებისაკენ. — აბა, რა სისუფთავეს დაიცავ. რჯულის მადლმა, დღეს ექვსჯერ გადაგავა ბიჭმა დუქანი. ერთი ცოცხი ორ დღეში გვიცვდება.

პატიოსნეგა და უპატიოსნეგა

სააღდგომო ესკიზი

იმ ქუჩაზე თითქმის ყველა სახლი სამსართულიანი იყო. წინა პირი ყველას თეთრად მოალიბასტრებული ჰქონდა. შედარებით ქუჩა წმინდად ინახებოდა და თუ არ პირველთაგანი, საუკეთესოთაგანად მაინც ითვლებოდა მრავალრიცხოვან ქალაქში. ხალხიც ყველა პატიოსანი და რიგიანი ცხოვრობდა ამ ქუჩაზე. ურემსა და მძიმე ტვირთის გადასატან ეტლს ამ ქუჩაზე პოლიცია არ გაატარებდა, მხოლოდ კოპწია, რეზინიანი ეტლების ნელი ბრიგინი თუ არღვევდა ხანდისხან აქაურ სიჩუმეს.

აი, მოადგა ერთ-ერთ სახლს ლამაზი ეტლი. მდიდრულად ჩაცმული ვაჟკაცი მარდად გადმოხტა ეტლიდან, ხელოვნურად ჩაჩუქურთმებულ კარებს მიუახლოვდა და ელექტრონის ზარს ხელი დააჭირა. ორი წუთის შემდეგ ის მესამე სართულის ერთ-ერთ ძვირფასა მორთულ სასტუმრო ოთახში ხავერდგადაკრულ სავარძელში იჯდა. მის გვერდით ეჭვმიუტანელ სიშორეზე სავარძელშივე განისვენებდა საკმაოდ შესქელებული, გულ-მკერდ მომრგვალებული, გრძელ, საშინაო აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი დიასახლისი.

— გუშინწინ რად არ მოხვედი? ჩემი ბრძანება უცვლელად უნდა იქნას შესრულებული, — უსაყვედურა ქალმა და ცალი თვალით დაუბღვირა, მაგრამ მეორე თვალით ისე მიეალერსა. რომ ვაჟკაცმა ვერ მოითმინა და ფუნთუშა მაჯაზე ხელი წაავლო.

— ვერ მოვიცალე, ჩემო სულის ჩამდგმელო, — მიუგო აერეოლებულმა ვაჟკაცმა და მაჯიდან ხელის ფათური ზორბა მკლავსაც შეაყოლა.

— სუ, ჩუმად! — დინჯად მიუგო ქალმა და კარებისაკენ ფრთხილად მიიხედა. — უცბად მოსამსახურე გოგო რომ შემოვიდეს, მაშინ

რას მეუბნები? — ვაქკაცის ხელი მოიშორა და სავარძელში გასწორდა. — ახლა ხომ ვნების კვირაა, მაგისთანები ხომ დიდი ცოდვაა, — ღიმილით გააგრძელა ქალმა. — სჯობიან დღეს ჭკუიანურ რაშეზე ვილაპარაკოთ. ან თუგინდ იმაზე, თუ როგორ მოვემზადე საღდგომოდ. ჯერ ჩემგან დავიწყებ. სამი კაბა შევაკერინე. უნდა იცოდე, რომ საუკეთესო ხელოსანმა შეჰკერა და ძლიერ კოხტადაც მადგია ტანზე. ფართალიც საუკეთესო მაღაზიაშია ნაყიდი. შლიაპა გამოვიწერე; ოცდახუთი მანეთი დამიჯდა, აქ სამ თუმნადაც ვერ ვიშოვნიდი. ორი ფუთი პასკა მზადა მაქვს. გირვანქა მანეთი ღირს, როგორც ერთი შაური. ისიც უდაჩნი მომივიდა. გოჭებს, ინდაურებს, ღორებს და სხვა წვრილმანებს ნუ იკითხავ. საუკეთესო ხიზილალა და ნამდვილი კახური ღვინო დღეს დილით მივიღე. ხვალ რომ მოხვალ და ოფიციალურ საპასექო დარბაზობას გადაგიხდი, მაშინ შენ თვითონ დარწმუნდები, თუ რა ნიჭიერი დიასახლისი ვარ და ჩემი გემოვნების სიდიადესაც ღირსებით დააფასებ.

— წინდაწინვე ვაფასებ, ჩემო ღვთაებავ, — ლუღლუღებდა ვაქკაცი, რომელსაც პასქის ამბავი სრულებით არ აინტერესებდა და არც დიასახლისის ნიჭი. მას მხოლოდ იზიდავდა თხელი ფართლის ქეემოდან ბროლივით თეთრად მოელვარე, შერგვალებული მკლავის კანი და იმას ეპოტინებოდა.

— სუ-მეთქი, გენაცვალე, — იწყინა ქალმა. — სამზარეულოში მთელი შტატი დომესტნიკებისა ფაციფუცობს. ყოველ წუთს შემოდიან და მომახსენებენ, თუ რა როგორ გააკეთონ და მეც ბრძანებას ვაძლევ: ეს ასე და ეს ასე-მეთქი და ჩემი ნაბრძანები ყოველთვის ჩინებული გამოდის. ახლა რომ შემოვიდეს ვინმე და თავზე წაგვადგეს ხომ დავიღუპებით.

— ერთხელ მაინც მაკოცე, — დაელრიჯა ვაქკაცი.

ქალმა ფრთხილად მიმოიხედა, კაცი გულში ჩაიკრა და აჩქარებით მაგრა აკოცა.

— ახლა კი გაუჩქარე, სულიკო, თორემ, ჩემი ქმარი საცაა მოვა. ხვალ კი, დიდ დღესასწაულს ზრდილობიანი დარბაზობა გაგვიკეთე. ზეგ კი ჩემი ქმარი მორიგეა, მოსამსახურე გოგოებსაც სასეირნოდ დავითხოვ და საათის სამზე ან ოთხზე შენც მოდი. ახლა კი ჰაიდა, ორ უარ.

ვაქკაცი საჩქაროდ წავიდა.

* * *

იმავე სახლის ქვედა სართულის ერთ-ერთ ოთახში ტახტზე წამოწოლილიყო ასე (სახელი და გვარი დამავიწყდა, ან რა საჭიროა) ოცდახუთი წლის უფერო და უხორცო, მაგრამ ლამაზი სახის და მოხდენილი აგებულების ქალი და დაფიქრებული იყურებოდა.

„ხვალ აღდგომაა, პასექი", — გაიფიქრა მან. გაახსენდა ბავშვობა, თუ რა გულუბრყვილო სიხარულით ეგებებოდა ამ დღესასწაულს. გაახსენდა დედაც, რომელსაც გემრიელი პასქების გამოცხობაში ბადალი არ ჰყავდა იმ არემარეში, გაახსენდა გიმნაზიაც, უდროოდ სწავლის შეწყვეტა, ყმაწვილკაცობა და სხვა ათასგვარი ერთი მეორეზე საზარელი და საზიზღარი ხანა თავისი უკვე გავლილი ცხოვრებისა.

ახლა იგი თავისუფალი ქალია, მამა კაი ხანია მოუკვდა, დედისაგან სამი წელიწადია წერილი არ მიუღია, იქნება ისიც გარდაიცვალა. ერთი თვეა, რაც დაიჭირა ეს ოთახი. ქვედა სართულია და ცოტა არ იყოს, მოისარდაფებს, მაგრამ ღირსებაც ბევრი აქვს. თავი და თავი ღირსება ის არის, რომ ქუჩიდან საკუთარი შემოსასვლელი კარები აქვს, თითქო განზრახ მისთვის გაუკეთებიათო. ასე რომ სტუმრებს თამამად შეუძლიათ მასთან მისვლა. ოთახი სუფთაა, სინათლეც საკმაო, როცა საჭიროა, და ქუჩაც რიგიანია, სულ რჩეული ხალხი ცხოვრობს.

„ხვალ აღდგომაა. ეს ერთი თვე გვარიანად ვიშოვე ფული. რაღაც-რაღაცები მოვამზადე, ტანისამოსიც ახალი შევიკერე, მხოლოდ შლიაპა ახალი არა მაქვს და ამისთანა შლიაპით ამ გაზაფხულზე ზედაც არავინ შემხედავს. მამაკაცებს ხომ შლიაპა-კაბა ხიბლავს და არა ადამიანი. მაშ, დღესაც უნდა წავინადირო ცოტა. თორემ ორი მანეთიღა დამრჩა," — გაიფიქრა კელავ ქალმა და მორთვა-მოკაზმვას შეუდგა.

* * *

— რა იყო, დუშკა, რა ყოფილა აურზაურის მიზეზი? — გადასძახა მესამე სართულის რკინის მოაჯირიდან ჭკუიანმა დიასახლისმა ქმარს, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინ ქვედა სართულთან რაღაც მომხდარ აურზაურის შესატყობად ძირს ჩავიდა.

— ახლავე, ძვირფასო, ახლავე — ამოსძახა ქმარმა.

— დაიშალეთ, დაიშალეთ! — ხმამაღლა იძახდა პოლიციელი და ვეებერთელა ხიშტიან თოფს ჯოხივით აქეთ-იქით აქნევდა, რომ ხელდახელ შეგროვილი ხალხი დაშლილიყო...



საერთო საგოდებელი

პეტრე ვერის დაღმართზე ჩიდიოდა. თავჩაქინდრული და ნოწყენალი იყო. ახალი, კოხტად შეკერილი პალტო, რომელსაც სხვა დროის ასეთი მოწიწებით იცვამდა, ახლა მხარზე უშნოდ გადაეგდო და მიუსედავად გიორგობისთვის საკმაოდ საგრძნობელი სიცივისა, ქუდსაც ძალზალ ისდიდა და მელოტ თავზე ხელს ისვამდა, თითქო ივლისის პაპანაქება აწუხებსო. ახლად დაგებულ ქვაფენილზე ხალხი ბლომად მიდი-მოდიოდა, მაგრამ პეტრე არავის ამჩნევდა. იმდენად გართულიყო თავის ფიქრ-დარდებში, რომ პირდაპირ შეხვედრილ მოსიარულეთაც ყურადღებას არ აქცევდა, რომ დროით გზა აექცია და არ დატაკებოდა. აი კიდეც დაეტაკა ერთ მაღალ ქუდიან კაცს. პეტრე გამოერკვა, მაგრამ იმდენად აირია, რომ ბოდიშის მოხდასაც ვერ მიხვდა. მაღალ ქუდიანმა რაღაც ბრაზით წაიდუდუნა და თავისი გზა გააგრძელა. „კიდევ არ დაეეტაკო ვისმე, ეს საევრანე“.— გაიფიქრა პეტრემ და სწორედ ამ დროს ქალის ვეებერთელა შლიაპის ფერად-ფერადი ფარფლისაგან გამოჭრილი ყვავილები ცხვირზე მოხვდა.

— უზრდელი, ღვინით გაბრუებული იქნება ალბათ, — ჩაილაპარაკა შლიაპოსანმა.

პეტრე შეკრთა და ნოწყენილ გულზე კიდევ რაღაც მეტი წყენა იგრძნო. დღეს ერთი წვეთი ღვინო არ დაელია. პალტო მხარზე გაისწორა და ქუჩის მეორე ნაპირს გაჰყვა. „აქაც დაუგიათ ქვაფენილი. ეს როდის გაუკეთებიათ ნეტავ“. — ფიქრობდა ის,—„ჰო, ეს ის ადგილია, სადაც წყეულ 5 [illegible] ტრამვაის ვაგონი დაიმსხვრა. უბედურნი, რამდენი [illegible]“. პეტრეს თვალწინ წარმოუდგა ხელ-ფეხმომტვრეული, [illegible] ჩოსვრილნი, რომლებიც ეტლებით საავადმყოფოსკენ [illegible] ამ საზარელ სცენას იმ საღამოს თვითონ დაესწრო.

„აქ ჯობია სიარული, ხალხიც ნაკლებად დადის. აი ვერის ხიდიც, — ამბობდა გულში პეტრე, — რამდენჯერმე მომხდარა, რომ აქედანაც გადავარდნილან და დაღუპულან. არც გასამტყუნარნი რიან. მოვა წამი, რომ კაცი მართლაც გაიმეტებ თავსა. სახლიდან რომ გამოვედი მაშინ, იქვე ეს ხიდი რომ ყოფილიყო, შეიძლება მეც გულში გამევლო გადავარდნა. ან ვისთვის რა საჭიროა ასეთი გაძაღლებული სიცოცხლე!“

— პეტრე. პეტრე! — მოესმა უკანიდან.

პეტრემ ხმითვე იცნო. ეს მისი მეგობარი იოსებ ვესახვაძე იყო.

— რა ხანია, კაცო, გეძახი, მთელი ეს მოკაზმულ, მოუმარილებელ ბანოვანთა გროვა შემომაჩერდა, ისე გავკიოდი შენს სახელს და შენ კი კაკუტივით დაგიხრია თავი და მითოხარიკობ.

— ერთი შენცა, — — მიუგო პეტრემ და გაჩერდა.

— ვა, კაცო, რა დაგმართნია, როგორი ფერი გადევს, ეს პალტოც როგორ გადაგიგდია, თითქო ხეჩუას სარდაფიდან ახლა ამოსულიყო. მართლაც და ერთი ხეჩუასთან ჩავიაროთ. ისეთი ახალი მაჭარი მოუტანია, რომ ერთი ჭიქაც რომ დალიო, ყოველივე დარდვარამს გააქარწყლებსო.

ნახევარი საათის შემდეგ ორივე მეგობარი ხეჩოს სარდაფში იჯდა.

— აბა, ხეჩო, ერთი შენი ჭირიმე, კაი მაჭარი.

— ამ საათში, შენი ჭირიმე, ისეთი მოგართვა, ვაზის ძირის მადლმა, რომ ნამდვილი მოსკოვსკი.

— მაჭარი მოსკოვსკი? — დაეკითხა პეტრე.

— წმინდა.

— მოსკოვსკი მაჭარი შენ საქელეხედ შეინახე. ჩვენ კი კახური ჩამოგვისხი.

მეგობრებმა რამდენიმე ჭიქა გადაჰკრეს. პეტრეც თანდათან გამხიარულდა. იოსები კი ამბობდა:

— რა მიხარია, მეგობარო, რომ შეგხვდი, მეც რომ სახლიდან გამოვედი, ისეთი გაბრაზებული ვიყავი. დანა რომ მქონოდა, გულში ჩავიკრავდი, მაგრამ თანდათან გამიარა. შენ რომ შეგხვდი, სულ დავმშვიდდი, შვილები ნუ მომიკვდება. ჰა, აიღე, ეს შენი სადღეგრძელო იყოს, როგორც ჩემი კარგი მეგობრისა... კაი მაჭარია. მართლაც ხომ კაი მაჭარია. მე, ძმაო, ერთი, ცხოვრებაში დასჯილი კაცი ვარ, ცუდად არ ვიქცევი. თვიური ჯამაგირი მოდამ შინ მიმაქვს, არ ვლოთობ. ხანდისხან, აი, როგორც დღეს, ერთ ბოთლ ღვინოს თუ დავლევ მეგობრებთან. თორემ სხვა არაფერი, ეს კი რა ლოთობაა.

ბანქოს ფულზე არ ვთამაშობ, მაგრამ არ გამივიდა, კაცო, არაფერ• ჩემ ცოლთან. მუდამ ჯავრობს. მუდამ მეჩხუბება. დღეს სულ უმიზეზოდ ამიტყდა საეშმაკოდ, ჩემმა ერთმა მეზობელმა თავის ცოლს ახალი შლიაპა უყიდა. მოდისა არისო. იმერული გიდელი არ გინახავს, ყურძნის საკრეფი, სწორედ იმას მოგაგონებს. მოყვა ჩემი ცოლი საყვედურს: მე შენ გადამრიე, თორემ სხვას ვისმე გავყოლოდი, ასეთ სიღატაკეში არ ჩავვარდებოდიო. ათას რასმე მპირდებოდი და არაფერი გვაქვსო და სხვა და სხვა. მეეტლეების და მეეზოვეების ცოლები ჩემზე უკეთ ჩაცმულ-დახურული დადიანო. საჭმელი ხეირიანი არა გვაქვსო და სასმელიო. ბავშვები ტიტვლები დაგვიდისო. ღმერთო, მაღალო, თუ ხარ სადმე. წითურ-წითური ურია რომ დაღის მიწირილმანე. მარტო იმას ვაძლევ თვეში ერთ თუმანს. სახლის პატრონს, შეპურეს, მეხორცეს, მეფართლეს სულ ყველას ნაღდად ვუსწორდები. ერთი კი არა, ოთხი შლიაპა აქვს ჩემს ცოლს. ხუთთუმნიანი პალტო ვუყიდე შარშან. კაბების ანგარიში არ ვიცი. საცა კი მოიხედავ ჩემ სახლში, ყველგან ქალის კაბა მოგხვდება. ის კი ამბობს, ტიტველი დავდივარო. არა, სავალალო ესაა, რომ მასთან ლაპარაკი და დაჯერება არ შეიძლება. თუ ერთხელ თქვა არაო. მორჩა და გათავდა, გერმანიის იმპერატორიც რომ მოუყვანო, ვერ გადაათქმევინებს. მოდი და ამისთანა ადამიანთან იცხოვრე.

— ეჰე, ჰე! შენ ჩემი იკითხე, — ამოიოხრა და გააწყვეტინა პეტრემ, — მე დღეს შენ რომ არ შეგხვედროდი, შეიძლება ვერის ხიდიდან გადავვარდნილიყავი კიდეც, ისეთ გუნებაზე გახლდი. მივდიოდი, მაგრამ ჩემ თავს ანგარიშს არ ვაძლევდი. მგონი რამდენიმე კაცს და ქალს დავეტაკე კიდეც გზაზე. ერთი, სამხედრო წესებია და რევოლვერი არა მაქვს, თორემ, დღეს ისე გამაბრაზა ჩემმა ცოლმა, რომ იმასაც მოვკლავდი და თავსაც მოვიკლავდი. კაცო, შენი საქმე სულ სხვაა. შენ ჩემთან შედარებით ბედნიერი ყოფილხარ. ნეტავ წამიჩხუბებოდეს, ან გამლანძღავდეს, ან რასმე მისაყვედურებდეს, ოღლა მიპირს. ხმას რომ გამაგონებს, თითქო ერთი ფუთი ოქროვერცხლი ეჩუქებინოს. დაჯდება და გაიბუტება. არ ჭამს და არ სვამს, რაც გინდა ელაპარაკო. გაუჯავრდე, ნახევარ სიტყვას არ გეტყვის, თავი ჩამოიხრჩო, კრინტს არ დასძრავს. თითქო ქანდაკებაა, მიჯდება ერთ კუთხეში და არის ისე გაქვავებული.

დღეს ჩემი ბიძაშვილი მესტუმრა. სრული თხუთმეტი წელიწადია არ მენახა. რა თქმა უნდა, გამიხარდა. აბა, სონაჯან, ერთი შენებურად დაფაცურდი, დღეს გემრიელი პური გვაჭამე მე და ჩემს ბიძა-

შვილს-მეთქი. რაღაც-რაღაცეები მე თვითონ მოვარბენინე ბაზრიდან.

— ჩემი ბიძაშვილი რომ მოვიდეს, მაშინ კი არ დაფაცურდები ასე, — ჩუმად, ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა თავისთვის.

ეს სიტყვები ისე ცივად, ისეთი მშრალი მოურიგებელი კილოთი იყო წარმოთქმული, რომ მთელ ტანში ისარივით დამიარა. საშინლად მეწყინა, მაგრამ თავი შევიმაგრე. სამსახურიდან დავბრუნდი. მოვიდა ჩემი ბიძაშვილიც. ჩემმა ცოლმა სუფრა გაშალა, მაგრამ ვაი ამისთანა გაშლას. აშკარად გაბუტული და გულმოსული, თეფშებს მაგიდაზე ისე ალაგარდულად ალაგებდა, როგორც უიღბლო მოთამაშე ბანქოს ფურცლებს მთელი ფულის წაგების შემდეგ.

ესეც მოვითმინე, მაგრამ როცა პურის ჭამაზე დავსხედით და სონა მეორე ოთახში წამოწვა და ჩვენთან არ მოვიდა, სწორედ გითხრა, მოთმინების ფიალა ამევსო, მიზეზს დავეკითხე. თავი მოიავადმყოფა. რის ავადმყოფობა! ნეტავ მე და შენ ვიყოთ ისე ჯანსაღი. მაშინ კი დავიჭექე, სადილიც ჩამიშხამდა, მაგრამ იმას ვეიქრობდი, ჩემი ბიძაშვილი არ ყოფილიყო...«

— ეხ, კაცო, მესმის, — გააწყვეტინა იოსებმა, — თანაგიგრძნობ, ორთავენი, ეტყობა, ერთ ტაფაში ვიწვით. სიანჩხლე ცეცხლია, მაგრამ მეტისმეტი სიჩუმეც ნიაღვარია... მაშ, კიდევ დავლიოთ.

— დავლიოთ, — ბრაზით წარმოთქვა პეტრემ.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ქალი. რომელიც ქმარს არ აჯავრებს, არ ანჩხლობს. მე, ძმაო, ქალის სიმშვენიერედ სიჩუმე მიმაჩნია.

— ეი, შენც ერთი, რას ამბობ, ღმერთმა ის ქალი აცოცხლოს, რომელიც ხმას მაინც ამოიღებს, მსჯელობს, ბაასობს. ქვაც რომ იყოს, შევასმენ.

— შეასმენ, მეტი შენ არ გაიხარე, — იჯღანებოდა იოსები.

— შევასმენ.

— ბოლოკის კუდს ვერ შეასმენ. ჯერ ის დალიე.

— ვსვამ სწორედ ასეთი ქალის სადღეგრძელოს.

— ასეთი ჩემი ცოლია.

— ღმერთმა აცოცხლოს.

ხეჩუამ მესამე ბოთლიც მოიტანა.

მეგობრები ყურჩამოყრილები ისხდნენ და ღვინოს ნელ-ნელა წრუპავდენ.

— არა, მართლა, რისთვის არის, — უგულოდ წარმოთქვა პეტრემ, — ზოგიერთ კაცს რომ მართლა შესანიშნავი კაი ხასიათის ცო-

ლი ჰყავს? მოყვარული, დარბაისელი, მიმხვდარი. აი თუგინდ ჩვენს თანამოსამსახურეს, ივანეს.

— ვანიკოს ისე გრძნობიერად დაკაშკაშებს ცოლი, რომ იტყვი, თითქო მთელი სული და გული შიგ ჩაატანაო.

— რაო, სულიკო, ისეთი გრძნობით, მიუგებს ივანეც, რომ კაცს რაღაც იმედი ჩაგესახება, გული მოგილბება, შენი მწუხარება დაგავიწყდება. ისიც კარგია, რომ სადმე მაინც არის კაცი ბედნიერი.

— მართალია, ღმერთმა აი, სწორედ ის ქალი აცოცხლოს, თუმცა ის, რა ჰქვია მაგ ივანეს ცოლს?

— დარიკო.

— ჰო, დარიკო ხომ იშვიათი მოვლენაა.

— აცოცხლოს, აცოცხლოს, თუ კაცი ხარ, გამოსცალე.

— მართლა რომ ბედნიერი ოჯახია ვანოს ოჯახი, — ამბობდნენ ორივენი.

სამი ბოთლის გამოცლის შემდეგ მეგობრები ქუჩაში გამოვიდნენ და კარგა ხანს სეირნობდნენ.

— რომელი საათია? — ჰკითხა პეტრემ. — საათიც არ წამომიღია.

— სრული რვა საათია.

— ძოდი ერთი, იოსებ, ვანოსთან წავიდეთ, დავტკბეთ სხვისი ბედნიერებით მაინც.

იოსებმა საორჭოფოდ თავი გაიქნია.

— ჰა, წამოდი.

— არა, ძმაო, მე ვანოსთან ვერ წავალ. მე სხვაგან უნდა წავიდე. თხუთმეტი წელიწადია ერთი გროში ჯამაგირი არ მოუმატებიათ. მინდა ერთ კაცთან შევიარო, რომ მისაშველოს.

პეტრე ისევ მარტო მიდიოდა. პალტო ჩაეცვა და ღვინისაგან შეხურებულს, უფრო საღი და მხიარული ელფერი სცემდა.

გადაწყვიტა ივანესთან წასულიყო და, როგორც ამბობდა, სხვისი ბედნიერებით მაინც დამტკბარიყო.

გაიარა რამდენიმე ქუჩა, მოუხვია მარჯვნივ და ვორონცოვის ძეგლთან ამოჰყო თავი. გაჰყვა ნელ-ნელა და ნახევარი საათის შემდეგ მთაწმინდის ერთ-ერთ საკმაოდ სუფთა ქუჩაზე ახლად აგებულ სამ სართულიან სახლის კარებთან იდგა. ამ სახლში იდგა ივანე. პეტრემ ზარი დარეკა. მოსამსახურე გოგო გამოვიდა. პეტრე იცნო და რაღაც საორჭოფოდ ჩაიცინა.

— ვანო შინ არის, დარიკო შინ არის? — იკითხა პეტრემ.

— ვანო შინ გახლავთ, — მიუგო გოგომ და კიდევ იმგვარადვე ჩაიცინა.

პეტრეს გონება წინდაწინვე ხატავდა ოჯახური ბედნიერების იდეალს, რომლის ცოცხალ სახედ ივანე და მისი ცოლი, დარიკო მიაჩნდა. „ვანო და დარიკო ალბათ სხედან მაგიდასთან. ვანო წიგნს კითხულობს, დარიკო რამე ხელსაქმეს აკეთებს, თან ყურს უგდებს და თან მოყვარულ თვალებს ქმარს არ აშორებს, ხან ჩაიცინებს, ხან დინჯ გამომეტყველებას მიიღებს. ბავშვებს ან სძინავთ, ან იქვე შორიახლო თამაშობენ. მაგიდაზე ხილი, ჩაი და მურაბა აწყვია. ორთავენი შეექცევიან და ტკბებიან. ნეტავ მათ, ნეტავ მათ!“ — ფიქრობდა პეტრე, როცა პალტო გაიხადა და ოთახში შესვლას აპირებდა.

პირველ წუთს ნახულმა ცოტა არ იყოს იმედი გაუცრუა. სანოვაგით გაბრწყინვებული მაგიდა არსად ჩანდა. სახლში საკმაო სიბნელე იყო გამეფებული. მხოლოდ ერთ ოთახში საწერ მაგიდაზე ბჟუტავდა პატარა ლამპა. მაგიდასთან იჯდა ივანე. თმა გაბურძგნული, რაღაც ძველ ჩახეულ, გახუნებულ ბლუზაში გამოწყობილი, მაგიდაზე ნიდაყვით დაყრდნობოდა და გაბუტული სახით უაზროდ კედელზე ერთ წერტილს შეჰყურებდა.

მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ თვით თავი და თავი მიზეზი იდეალური ოჯახისა, დარიკო, არსად ჩანდა, მაგრამ ივანეს მაინც შორიდანვე მიემხიარულა.

პეტრეს დანახვაზე ივანემ წარბი შეიჭმუხნა, ტუჩებიც უკმაყოფილოდ მიმობურცა, მაგრამ მეგობარს მაინც მიეახლა და შეეცადა მხიარული სახე მიეღო.

— მარტო ჩემი თავი იყო მეგონა მოწყენილი და სასოწარკვეთილი და დახეთ, ვანოც არ არის, როგორც ვხედავ, ქეიფზე,—შემოილაპარაკა პეტრემ, ხელი ჩამოართვა და სკამზე ჩამოჯდა.

— სწორედ კი ჰგავხარ მოწყენილს, — უგულოდ მიუგო ივანემ.

— შენი მტერი ასე ხელოვნურად, ხეჩუას მაჭრით განამხიარულები. იოსებ ვესახვაძე არ შემხვედროდა, შეიძლება ახლა სოღანლუღის ქვემოთ ვყოფილიყავ სადმე მტკვრის მორევში, — მწარედ წარმოთქვა პეტრემ და სახლს თვალი მიმოავლო.

ოჯახის თვალი დარიკო არსად ჩანდა.

—შენ კი გადარჩენილხარ და კიდეც გამხიარულებულხარ და მე კი მგონი არ ამცდება სოღანლუღისკენ მტკვრით გასეირნება,—იმავ მწუხარე კილოთი წარმოთქვა ვანომ.

პეტრე გაოცებით შეჰყურებდა. ცხადი იყო, რომ ივანე რაღაც აუტანელ მდგომარეობაში იყო. სახე დაპატარავებოდა, ოდნავ შესამჩნევი ჭაღარა თითქო დახშირებოდა. სახეზე ყვითელი ფერი სცემდა.

— კაცო, მართლა და რა დაგემართა. ან სად არის დარიკო. ჰოდ ვენაცვალე მაგის გამჩენს. სინდისს გეფიცები, სიმთვრალით კი არ დააგდო, დღეს მე და იოსები სულ შენი ოჯახის ქებაში ვიყავით. როცა გაბედნიერებს კაცს ღმერთი, ხომ გაბედნიერებს. შენ, ძმაო, ისეთი საუნჯე გყავს ხელში, შენი დარიკო, რომ სხვას მხოლოდ სიცოცხლის შეტს ნურას ინატრი.

— რაო, დამცინი თუ?.. — გაიოცა იმანემ და წამოვარხალდა. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

პეტრე აირია. ზეზე წამოიჭრა, ისევ დაჯდა. არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარები გაიღო და თვით დარიკო გამოჩნდა.

ერთ წამს პეტრემ ვერც კი იცნო მუდამ კოხტად თმა გადავარცხნილი, შნოიანად ჩაწნულ-ჩაგრეხილი, სადად, მაგრამ ლამაზად ჩაცმული დარიკო. ამ წუთში იგი ქუჩაში მოხეტიალე მსმელ დედაკაცს უფრო წააგავდა, ვიდრე სათაყვანებელ იდეალს. თავშიშველს, თმის ნაწნავები დაშლოდა და უშნოდ ეყარა ლოყებზე და შუბლზე. ერთ-ერთი თმის მისამაგრებელი, მიხაკისფერი სავარცხელი თმიდან ამომძვრალიყო და დასავარღნად გამზადებული, ყურთან ეკიდა. თვალებზე აშკარად ეტყობოდა, რომ ნამტირალევი იყო და პირიც არ დაებანა. პეტრეს მოულოდნელ დანახვაზე დარიკო ცოტად შედრკა და გაოცებით ცოტა უკან დაიხია, მაგრამ საჩქაროდ გასწორდა. პეტრეს მისალმებას აჩქარებით პასუხი გასცა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო ამბობსო: ჩემთვის სულ ერთია, ვინც გინდა იყოს, შინაური თუ გარეული, ჩემი გადაწყვეტილება შეურყეველიაო.

სახის გამომეტყველების შესაფერი სიტყვებიც დაურთო.

— გადაწყვეტილია, ბოლო უნდა მოეღოს ამისთანა ცხოვრებას, — ცხარედ მიაყოლა დარიკომ, — ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. მეყოფა. აი შენი ორი შვილი, როგორც გინდა, ისე მოუარე. მეც თუ მოვაწყე ჩემი ცხოვრება, მოგეშველები. ამ ჭერქვეშ ყოფნა კი ჩემთვის ჯოჯოხეთია. ხუთი წელიწადი წვალება მეყოფა.

პეტრე მაშინ გამოერკვა, როცა ვიღაცას დაეტაკა და კაი მოწონებული რუსული შეკურთხვაც მიიღო.

მიმოიხედა; გრიბოედოვის ქუჩის ახლად ფისგადასხმულ ტროტუარზე იდგა. საჩქაროდ გაექანა, თუმცა გარკვევით თვითონაც არ იცოდა, საითკენ ან რისთვის მიდიოდა.

— დარიკო... დარიკო...—იმეორებდა ხშირ-ხშირად და თან გაოცებული ხელებს შლიდა. კაი ხნის სიარულის შემდეგ, ერთ ვიწრო და ბნელ ქუჩაში მოხვდა, რომლის ბოლოში ხალხი მოგროვილიყო

და ერთი ხმაურობა, ღრიანცელი მოისმოდა. პეტრე საჩქაროდ იქ დაიბადა.

— ეხ, კაცის საქმე, — ამბობდა ერთი სქელ-სქელი, მოკლე ახალუხიანი და ჭუჭყიან-წინსაფრიანი კაცი, ალბათ, მიკიტანი.

— ზიარების მადლმა, აი, ამის წინათ, გუშინ იყო თუ გუშინწინ, აქ ჩემ დუქანთან გაიარეს ორთავემ, რაღაც ნაყიდებიც მიჰქონდათ, ისე მოყვარულად მიტიკტიკებდნენ და დღეს კი, მაკრატლით, კაცო! ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, სედრაკ, წამო, აქ რა უნდა ვაკეთოთ.

— ხანჯალი დაურტყამს? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხულობდა ერთი.

— რის ხანჯალი, მაკრატელი დაურტყამს.

— აი, აი, მოუკლავს, ა?

— იქვე.

— სრულებითაც არა, მე ჩემი თვალით ვხედავდი, ეტლში ჩასვეს, ჭიშველეთ, მიშველეთო იძახდა.

— ვაი, საწყალი.

— ახლა, რაო, იმ კაცსაც ხომ ციმბირში უკრავენ თავს?

— ვა! რის ციმბირიო, დუნდუკოვის ხანა ხომ არ გგონია! ვოენნი პოლოჟენია ასე ჩქარა დაგავიწყდა. ალბათ ჩამოახრჩობენ.

— ვა, ვა, ვა, საცოდაობა, საცოდაობა, შვილები ნუ მომიკვდება, — მწარედ წუწუნებდა ერთი ქალი. — ქალის გაჩენასაც რა უთხრა! მოითმენ და მამაკაცი სულ თავზე დაგაჯდება. არ მოითმენ, შენც ადამიანად გამოაცხადებ შენ თავს და მაკრატელს გვერდში გითავაზებს.

— ერთი შენცა, როდამ, სამწუხაროა, თქმაც მეტია, მაგრამ ის ქალი ფოლადსაც გამოიყვანდა მოთმინებიდან, არათუ ადამიანს. სწორედ რომ აუტანელი ხასიათისა იყო. თვითონაც დაიღუპა და ეს საწყალი კაციც დაღუპა.

პეტრე გარეტიანებულივით ტრიალებდა ხალხში და ამნაირი კანტიკუნტი მსჯელობა ესმოდა. გულით უნდოდა დალაგებით გაეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ ნაცნობს არავის ხედავდა. თავის სიცოცხლეში ამ ჭუჩაში პირველად მოდიოდა.

ხალხს თანდათან ემატებოდა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. პეტრე მახლობელ საწვრილმანოში შევიდა პაპიროსის სასყიდლად.

— თუ ძმა ხარ, რა ამბავია, ვიცი, რომ ქალი დაუჭრია კაცს, მაგრამ კარგად მაინც ვერ გავიგე, რაშია საქმე, — მიმართა მეწვრილმანეს.

— ჰე, ბატონო, იმ სახლში ერთმა მოხელემ თავისი ცოლი დასჭრა.

— რაო, რა ამბავია?

— ვინ იცის. კაცის შინაურ საქმეს ვინ მიხვდება. ურიგო კაცს არც ერთი ჰგავდა და არც მეორე. გარეგნობით, თითქო თანხმობით ცხოვრობდნენ. კაცი პატიოსანი და უწყინარი. ქალიც გამრჯელი. ოთხი შვილის დედა. მოდი და გაარკვიე მიზეზი.

პეტრე ისევ ხალხში შეერია.

— გოროდავოი, მოდის გოროდავოი! — გაისმა ხმა.

— ბოქაული, ბოქაული! — ახმაურდნენ ქუჩის ბიჭები.

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ ისმოდა: — ბატონებო, დაიშალენით.

— წადით... დაიშალენით-მეთქი!

— წადით-მეთქი!

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

უფრო დაძმარებული და გაოცებული პეტრე გზას გაუდგა.

„რა რთული რამეა ეს ცხოვრება,—ფიქრობდა იგი,—რისთვის ხდება, რომ რაც გინდ სულით და გულით გინდოდეს, ქალთან მშვიდობიანად ვერ იცხოვრებ. რატომ არის ქალი საზოგადოდ მუდამ უკმაყოფილო, სულმოკლე და შეწუხებული? ყველაფერს მოველოდი, მაგრამ დარიკო რომ შვილებს დააგდებდა და ვანოს მოშორდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი“.

— ეჰე, ხაბარდა! — გაისმა მეეტლის ხმა და პეტრეც განზე გახტა, რომ ეტლი არ დაჯახებოდა. მიიხედ-მოიხედა, ვერის ხიდის შუაგულ იდგა, საცალფეხო ნაწილისაკენ გადაიწია და ნელ-ნელა გზა გააგრძელა. ხიდი თითქმის ცარიელი იყო. წინ ერთი, ძალზე მთვრალი, ბარბაცით მიმავალი კაცი შემოეყარა.

— ეეხ, სიყვარულო, რა გრძნობა ხარ? არა... შენ რომ სინიდისი გქონოდა... ღმერთი გამიწყრეს, თუ მე მას... შენ გენაცვალე, არ იყო... — უთავბოლოდ ამბობდა მთვრალი კაცი.

„ვინ იცის, საწყალს რა ბოღმა უტრიალებს გულში, — გაიფიქრა პეტრემ, — რამდენიმე წუთით მაინც დაუვიწყნია იმ კაცს თავისი ჭირ-ვარამი. თუმცა, გამოტეხილად რომ ვთქვათ, ესეთი წუთიერი დავიწყება ვარამისა კიდევ უარესია. სიმთვრალე მხოლოდ ადამიანის სისუსტის და ცხოვრებისათვის მოუმზადებლობის მომასწავებელია“.

პეტრე ხიდის ყურამდე მივიდა. აქ წინ შემოეყარა ორი არსება. ქალი და კაცი. ორთავენი ხელი-ხელ გაყრილნი ტკბილად მუსაი-

ფობდენ. ქალი თვალს არ აშორებდა ყმაწვილკაცს. ყმაწვილიც მალ მოელვარე თვალებით ჩააცქერდებოდა ხოლმე.

„აი შეყვარებულები, — გაიფიქრა პეტრემ, — ახლა ორთავენი ანთებულნი არიან. თავიანთ ჭკუაში არ იმყოფებიან. ეკალი ვარდად ეჩვენებათ და თივის ბულული თაიგულად. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ჯვარს დაიწერენ, — ახლა გასაგონად წარმოთქვა მან, — გაიარს ერთი ორი თვე და იმედის გაცრუება დაიწყება, კიდევ გაივლის ერთი-ორი თვე, ჩხუბს და ერთმანეთის ლანძღვა-გინებას დაიწყებენ. კიდევ დრო და ხანი, და გაყრაზე ლაპარაკს ჩამოაგდებენ, მაგრამ აშკარად დაინახავენ...“

— უი, გენაცვალე, გადარეული ხომ არ არის ის კაცი? — წამოიძახა ქალმა და ვაჟს უფრო მიეკრა.

—ნუ გეშინია, ნუ, გვრიტო, მთვრალი ვინმე იქნება, მე აგერ არა ვარ!

— მთვრალი? — ხმას აუწია პეტრემ და ქალ-ვაჟს უკან ფეხდაფეხ მიჰყვა. — მთვრალი თქვენა ბრძანდებით, მოწყალენო ხელმწიფენო. ჩემ სიმთვრალეს ადვილად მოევლება. სამი-ოთხი საათის ძილი და მზადაა ისევ სიფხიზლე. თქვენი სიმთვრალის გამოფხიზლება კი ძლიერ ძნელია. თუ ერთხელ შემოგატარა მღვდელმა ფარჩაგადაკრული მაგიდა, მშვიდობით...

— გენაცვალე, ეს კაცი ნამდვილად შეშლილია, არც კი გვშორდება. არ აგვიტეხოს რამე, — ამბობდა ისევ ქალი.

— დასწყევლოს ღმერთმა, მაგრამ, აი პოლიციელი! — სიხარულით წამოიძახა ვაჟმა და ხიდის ყურთან მდგომ პოლიციელს მიმართა.—მომაშორეთ ეს კაცი. ამეკვიატა, აღარ გვეშვება. მგონი მთვრალია.

— მთვრალი თვითონ გახლავს, ბ. პოლიციელო, ეს ვაჟბატონი, ან უკეთ ვთქვათ, ახლა იწყებს ჭარბად სმას და მე, როგორც მაგისთანა სახიფათო სიმთვრალით გამოცდილი, წინდაწინვე ვაფრთხილებ, რომ ჭირი თავიდან ავაცილო.

პოლიციელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა, რა ექნა. აშკარა რამე მიზეზს არც ერთში არ ხედავდა, რომ რამე ძალაუფლება ეხმარა. არც ერთი ჩაცმულობით ვიგინდარებს არ ჰგავდნენ. თორემ ერთ-ერთი მდარედ ჩაცმული რომ ყოფილიყო, მაშინ ბევრს არ დააყოვნებდა, თვითონ იცოდა რას იზამდა.

— შენ არ გესმის! — დაიძახა ახალგაზრდა კაცმა და შეჩერდა. — მაშ რის მშვიდობის დამცველი ხარ, თუ ასეთ ადამიანებისაგან არ დამიფარავ.

— გული კი ნუ მოგდის, ჯეელო, — მშვიდად მიუგო პეტრემ და მიუახლოვდა, — საქმე არც ისე გახლავს, როგორც შენა გგონია.

პოლიციელს ჩინებულმა აზრმა გაურბინა.

— ბატონებო, უკეთესია, საპოლიციო ნაწილში წამობრძანდეთ, იქ მორიგე უბნის ზედამხედველი უკეთ გაიგებს, რაშია საქმე, — წინადადება მისცა პოლიციელმა ორივეს.

— აბა, ღმერთო მომკალი ერთი, საყბედოდ რათ ვიხდით თავს,— საყვედურით უთხრა ქალმა ვაჟს.

— უთხარით, გაგვეცალოს, ჩვენ ჩვენს გზაზე მივდივართ,— უთხრა პოლიციელს ახალგაზრდამ.

— მე მაინც ჩემსას ვიტყვი, ბატონებო, თქვენ ორივენი მთვრალები ხართ! — რაღაც გაჭიანურებით და მართლაც უსიამოვნოდ გაიძახოდა პეტრე.

— სწორედ უმჯობესია, ბატონებო, საპოლიციო ნაწილში წამობრძანდეთ, — განუმეორა პოლიციელმა.

ამ დროს ხიდის მეორე ყურესთან რაღაც ჩოჩქოლი მოისმა.

— არიქათ, უშველეთ, კაცი წყალში გადავარდა.

— მეეზოვე, პოლიციელი!

ატყდა ერთი აურზაური, ყველანი იქითკენ გაეჩქარნენ.

უკანასკნელი ფუთეგი

მდიდარი მემამულე კვდებოდა, უკანასკნელად მიწვეულმა საუკეთესო დოსტაქარმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ავადმყოფს მარტო ერთი საათის სიცოცხლე დარჩენიაო. მღვდელთან კაცი აფრინეს, რომ ეზიარებინა. მღვდელი მოვიდა. ყველანი ოთახიდან დაითხოვა და საალსარებოდ ავადმყოფს მიუჯდა.

— ცოდვილი ვარ, მამაო, ცოდვილი,—დაიწყო ავადმყოფმა,— დამნაშავე ვარ ჩემი შვილების, შვილიშვილების და ყველა ჩემი უანგარიშო ყმა-მოსამსახურეების და მთლად შთამომავლობის წინაშე. დიდი დანაშაული მიმიძღვის. თუმცა სულით და გულით ჩემი სიცოცხლე მათ სასიკეთოდ მინდოდა შემეწირა, მაგრამ დახეთ მუხთალ ბედსა, მწუხარების მეტი ვერა ვარგუნე რა. მაგრამ მარტო ჩემი ბრალი არ არის, ცხონებულ პაპაჩემს და მამაჩემსაც დიდი დანაშაული მიუძღვით.

განსაკუთრებით პაპაჩემი, მეტად ჰარამი და შურიანი კაცი იყო ნეტარხსენებული. ამოდენა თვალუწვდენელი მამულის პატრონი იყო და მაინც ეცოტავებოდა და სულ სხვისი ქონებისაკენ აცეცებდა თვალებს. ერთ ჩვენ მომიჯნე, ჩვენზე დიდად მცირე მამულიან მეზობელს მშვენიერი სათევზაო ჰქონდა თურმე გამართული. პაპაჩემმა სული ცხვირში შეიჯინა, ან უნდა მოვკვდე, ან მეზობელს სათევზაო წავართვაო. ჭკუიანმა და სიმართლის მოყვარე პირებმა ურჩიეს: ბატონო, თავი გაანებე სხვის სათევზაოს: ჩვენს თვალუწვდენელ მამულში ასი და ორასი მაგისთანა სათევზაო გაკეთდება, ოღონდ თქვენი სიცოცხლე და მცოდნე და გამრჯელი პირები იყოსო.

გაიძვერა მოურავებმა იგრძნეს, რომ მათი ხელის მოსათბობი საქმე იჩარხებოდა და ერთხმად სულ სხვა ურჩიეს: ბატონო, ლაჩარ მრჩევლებს ყურს ნუ უგდებ, თუკი სათევზაო მოგწონს, დიახაც შენი უნდა იყოსო. გადარიეს ცხონებული. მაშინ პაპაჩემი ის იყო

დავაჟკაცდა. ბოროტ მრჩევლების ხმას აჰყვა, ძალა შემოიკრიბა და მეზობელს მიესია. მეზობელი, თურმე ნუ იტყვით, ისეთი ლაჩარი როდი ყოფილა, როგორც პაპაჩემის გაიძვერა მოურავებს ეგონათ. ის მტერს მტრულად დაუხვდა და არათუ თავისი სათევზაო არ დაანება, პაპიჩემის სათევზაოც ზედ შემოიერთა. პაპაჩემმა ასეთი სირცხვილი ვერ მოინელა და დარდს თან გადაყვა.

მამაჩემმა პაპის შელახული თავმოყვარეობის აღდგენა მოინდომა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ მეზობელს მიუხტა, მაგრამ პაპაზე უფრო სირცხვილი ჭამა. ყველა ნავები და რამოდენიმე სათევზაოც წინანდელ ზარალს ზედ დაუმატა, იძულებული შეიქნა დიდად დავალიანებული -მტერს შერიგებოდა, შინ დაბრუნებულიყო.

ამასობაში შინაურობა ამოძრავდა. მთლად სამამულო აყაყანდა. უკმაყოფილოთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა, ჩვენი დიდი მაცული მოუწესრიგებელი გვაქვს და სხვის სათევზოს ვეპოტინებითო, გაიძახოდნენ ზოგიერთები. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, ერთი აქეთ იწევდა და მეორე იქით, ერთი ალთას სცემდა, მეორე ბალთას. აირია მონასტერი. მართლაც, საქმეს რომ კარგად დააკვირდნენ, მამულის დიდი მოუწყობლობა და გაუმაძღარ მოურავისაგან ყმების საშინელი აწიოკება და უსამართლობა გამომჟღავნდა. საჭირო იყო ძირითადი განახლება, თორემ მამულს განსაცდელი მოელოდა. მამაჩემმაც მოინდომა განახლება და ამაზე ყმებს შეატყობინა. ყმები დიდ სიხარულს მიეცნენ. საუბედურო ამის გაგონებაზე მოურავების უსირცხვილო შუბლს ჯავრისაგან შავი ღრუბელი გადაეფარა. იგრძნეს, რომ მათ განუკითხველ ბატონობას ბოლო ეღებოდა და შეეცადნენ, რაც უნდა დაჯდომოდათ, საქმე აერიათ, რომ მღვრიე წყალში ბლომად თევზი დაეჭირათ და თავიანთი თავი უზრუნველეყოთ. შეუჩინეს მცხოვრებთ თავიანთი დამქაშები და ისეთი აურზაური ასტეხეს, რომ ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა. ძმა ძმას მისდევდა მოსაკლავად, შვილი მამას და ვერც ერთი ვერ გეტყოდა, თუ ამას რისთვის ჩადიოდა. ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა. ამის ყურებას ვერ გაუძლო საწყალმა მამაჩემმა და გული გაუსკდა. მაშინ მე ახალგაზდა ვიყავი. ჩემ თავს აღთქმა მივეცი, რომ პაპის და მამის აწეწილი საქმე როგორმე გამომესწორებინა. თავდაპირველად ზოგიერთი გაიძვერა მოურავი დავითხოვე და ჩემი აზრით უფრო საიმედო პირები ავირჩიე. ხალხს მოვეფერე, დავიყოლიე. მათგან უფრო გამოცდილ და ჭკუიან პირებს თავი მოვუხარე, ვასვი, ვაჭამე და მამაშვილურად გულკეთილად თათბირი გავმართე, თუ როგორ გვე-

შველა დასანგრევად გამზადებული მამულისათვის. იმათაც დიდი იმედი მომცეს. ხალხსაც დავამშვიდებთ, ზარალსაც ავინაზღაურებთო. მეც გავმხიარულდი, ღმერთს მადლობა შევწირე, ბევრი აღთქმა-დაპირებაც დავუდე, თუ აწეწილ საქმეს სრულებით მოაწესრიგებდა. პირველად საქმე რიგზე მიდიოდა. დიდი იმედი მომეცა. მაგრამ ვაი. ამისთანა იმედსა! ჩემი მოურავები და სათათბიროდ მოსული პირები ვერაფრის გზით ვერ შეთანხმდნენ. ერთი მეორისაგან ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეჩვენებოდათ. მოურავებმა დიდი მომხრეები იშოვნეს, ტუკები მოიმარჯვეს და სათათბიროდ მისულნი იფრინეს. მეც დამარწმუნეს: ისინი შენი მოურიგებელი მტრები არიან. მთელი მამული თვითონ უნდა დაიყონ და შენ მშრალზე დაგსვანო. რა უნდა მექნა, მისანი ხომ არ ვიყავი. ჩემ მოურავებს უფრო ვერწმუნე და თითქმის მათ გავლენის ქვეშ შთავვარდი. მოურავები ყველაფერს ყმებს აბრალებდნენ, ყმები მოურავებს. შეიქნა მათ შორის ცილობა, ჯერ ბარათებით ლანძღეს ერთმანეთი, მერე ბარათებს ტყვია-წამალიც და ყუმბარებიც მიაყოლეს. ისევ სისხლი, ისევ გულშემზარავი კვნესა-ვაება! მეც ხან აქეთ ვეცი, ხან იქით, მაგრამ ვერა გავარიგე რა, ღმერთს მივენდე და თავიც მივანებე.

ამასობაში მამულში შიმშილი გაჩნდა. ან როგორ არ გაჩნდებოდა. ერთმანეთის ძარცვა-გლეჯაში და ხოცვა-ცემაში ყანა-ბოსტანი არავის გახსენებია და ნოემბრის დამდეგს ბეღლები და სამზადები თითქმის ცარიელი აღმოჩნდა. ერთ-ერთ ჩემ ერთგულ, ჩემ ხელში გაზრდილ საიმედო მოურავს დავუძახე, ერთი ხალთა ბაჯაღლოებით სავსე მივეცი და დამშეულებისათვის პურის ყიდვა დავავალე. მაგრამ, ხომ იცი, მამაო, უბედური კაცის არაკი: ქვა რომ აღმართში მოხვდებაო. ერთგულმა მოურავმაც მიღალატა. ოქროები ბლომად რომ ნახა, მოარშიყე თვალები აქეთ-იქით ბოროტად გააცეცა. ლამაზ გოგოებთან დროს გატარება მოინდომა და ისეთ კაცებს დაუამხანაგდა, რომ სათქმელადაც სირცხვილია. დამშეულთათვის პურის საყიდელი ფული მოცეკვავე ქალებს შეაჭამა. უჰ! უჰ! მეტი არ შემიძლია, მამაო. ჩემი შვილებისათვის მიმინდვია, როგორც ჭკუამ გაუჭრასთ, ისე მოიქცნენ. შემინდე, მამაო!

მღვდელი მომაკვდავს თვალებში შეაჩერდა.

— შემინდე, მამაო, — განუმეორა მემამულემ,—როცა მაზიარო, განსასვენებელი ლოცვაც წამიკითხე, შენი საჩუქარი აგერ მუთაქის ქვეშ მიძევს. გულნატკენი არ დარჩები, ნუ გეშინია.

— შეგინდობ, შეგინდობ, როგორ არა, — გამოცოცხლდა მღვდე-

ლი. — იმდენ პანაშვიდებს გადაგიხდი, რომ უეჭველად წიაღთა შინა აბრაამისათა განისვენო!

მოხუცი ეზიარა და ღამის სრული თორმეტი საათი იყო, რომ მოუბრუნებლად განისვენა. შეიქნა ერთი ტირილი, ერთი ვაება.

— რა საწყენად მირჩება, რომ ხვალინდელ გაზეთებში ამის სიკვდილზე გამოცხადება არ იქნება. ახლა ხომ გვიანია, — ნაღვლობდა უფროსი შვილი.

— ფიქრი ნუ გაქვს! — წამოიძახა მოურავმა, რომელიც კუთხეში იდგა და ვითომ ტიროდა, ნამდვილად კი ცხვირსახოცს ფურთხით ასველებდა და ცრემლის მაგივრად თვალებში ისვამდა. — ექიმებმა დღისითვე თქვეს შუა ღამეს არ გადაურჩებაო და მეც წინდაწინ გაზეთებში გამოვაცხადე. ხვალ მაგის გარდაცვალების ამბავი ყველა ვაზეთში იქნება.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. „მაძიებელნი“ — რომანი სამ ნაწილად (სამეგრელოს ცხოვრებიდან). რომანის სრული ავტოგრაფული ტექსტი დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (ხ-10711). შეიცავს სუფთად, წვრილი ხელით გადაწერილ 617 გვერდს. როგორც ხელნაწერიდან ჩანს, ავტორს მისი წერა დაუწყია 90-იანი წლების მიწურულში, ერთი ნაწილი (დაახლოებით ათი თავი) კიდეც დაუმთავრებია 1900 წლის 15 ნოემბერს, სოფელ ხეთაში, სადაც იგი იყო მასწავლებლად ე. წ. Церковно-учительское второклассное училище-ში. ამაზე მეტყველებს ავტორისეული მინაწერი მეცხრე თავის დასასრულს: 1900 წ. 15 ნოემბერი, ს. ხეთა. დანარჩენი თავები დაუწერია თბილისში გადმოსვლის შემდეგ. დამთავრების თარიღი: 1902 წელი, 20 თებერვალი თბილისი.

იმავე წლებში ავტორს უცდია რომანის გამოცემა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი დიდტანიანი წიგნის დაბეჭდვის ხარჯები ვერავინ იკისრა. ავტოგრაფის პირველ გვერდზე სათაურს ქვეშ ხაზგასმით წერია: ვასილ გადილიას გამოცემა. ვასილ გადილია (დაიბადა 1872 წ.) — ცნობილი მწიგნობარი და გამომცემელი უმთავრესად არალეგალური მარქსისტული ლიტერატურისა, რედაქტორ-გამომცემელი გაზეთისა „ჩვენი ცხოვრება“ (1906 წ.), რომელიც მთავრობამ დახურა. ვასილ გადილია ახლაც ცოცხალია და გადმოგვცემს, რომ კონდრატე თათარიშვილი (უიარაღო) მისი უახლოესი მეგობარი იყო. მას სურვილი ჰქონია დახმარებოდა და გამოეცა ეს რომანი, რომელიც კარგა ხანს მის ხელში ყოფილა, მაგრამ ცალკე უსახსრობამ და ქვეყნის არევ-დარევამ, ხოლო შემდეგ დაპატიმრებამ და წიგნის მაღაზიის კონფისკაციამ ყველა ჩემი განზრახვა ჩაშალა და ეს ხელნაწერი ძლივს გადავარჩინე დაღუპვასო. ამის შემდეგ, როგორც ვიცით, რომანის ავტორი ევროპაში გაემგზავრა და თხზულება დაუბეჭდავად დარჩენილა მის არქივში. ჩვენს დროს რამდენჯერმე დაიბეჭდა „მაძიებელნი“. პირველად 1940 წელს ჟურნალ „მნათობში“, ხოლო 1941 წელს საბლიტგამმა ცალკე წიგნადაც გამოსცა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ

არც ერთი ეს გამოცემა არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ გამოცემებში ტექსტი საგრძნობლად არის შეკვეცილი (და საკმაოდ თვითნებურადაც). წინამდებარე კრებულში „მაძიებელნი“ იბეჭდება მთლიანად, შეუკვეცავად, ავტოგრაფული ტექსტის მიხედვით.

2. „სახარბიელო ადგილი“—(გვ. 527) როგორც უიარაღოს არქივის შესწავლით გამოირკვა, მას ზოგი თხზულება ფრაგმენტების სახით დარჩენია. სისრულისათვის ვბეჭდავთ ზოგიერთ მათგანს, რომელთა წაკითხვა მოხერხდა და რომელთაც, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, გარკვეული მხატვრული ღირებულება გააჩნიათ. ეს ნაწყვეტები ყურადღებას იმსახურებენ იმითაც, რომ ისინი გვაწვდიან დამატებით მასალას უიარაღოს იდეურ-მხატვრული მრწამსის გარკვევისათვის.

აღნიშნული მოთხრობა (ფრაგმენტი) დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, უიარაღოს არქივში: ხ-10534 ნომრით, თარიღი არ უზის, მაგრამ ყველა ნიშნით იგი დაწერილი უნდა იყოს ავტორის ბელგიაში წასვლამდე, ე. ი. 1912 წლამდე.

3. „სალდათობა“—(გვ. 534) მცირე ნაწყვეტი მოთხრობიდან. როგორც ჩანს, ავტორს ის დაუმთავრებელი დარჩენია. სათაური პირობითია. ნაწყვეტი ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში: უიარაღოს არქივი ხ-19998. ეს ნაწყვეტიც 1912 წლამდე უნდა იყოს დაწერილი.

4. „უბედურება“ — (გვ. 537) მოთხრობა, რომლის მხოლოდ ექსპოზიციაა დარჩენილი. ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, უიარაღოს არქივში — ხ-10701. თარიღი არ ჩანს. ეს ნაწყვეტიც 1912 წლამდეა დაწერილი.

5. „პატიოსნება და უპატიოსნება“ (სააღდგომო ესკიზი) — (გვ. 539) ყველა ნიშნით დაწერილია 1908 — 1912 წლებში. ინახება ლიტერატურულ მუზეუმში, უიარაღოს არქივში — ხ-10716.

6. „საერთო საგოდებელი“—(გვ. 542) დაწერილი უნდა იყოს 1912 წლამდე. ინახება ლიტერატურულ მუზეუმში — ხ-10720.

7. „უკანასკნელი წუთები“ — (გვ. 553), თარიღი — 1901 წელი. დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში — ხ-10724.

სოლომონ ცაიშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

რ ო მ ა ნ ი

მაძიებელნი 7

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი

სახარბიელო ადგილი 527
სალდათობა 534
უბედურება 537
პატიოსნება და უპატიოსნება 539
საერთო საგოდებელი 542
უკანასკნელი წუთები 553

ბიოგრაფიული შენიშვნები (სოლომონ ცაიშვილის) 557

УПАРАГО (КОНДРАТЭ ТАТАРИШВИЛИ)

Полное собрание сочинений

Т О М II

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали"

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали"
19 Тбилиси 68
Плехановский, 181

* *

გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი
ტექრედაქტორი შ. დემეტრაძე
მხატვარი ი. ჯანაშვილი
უიარაღოს სურათი სუპერზე
უჩა ჯაფარიძისა
კორექტორი თ. იოსელიანი

* *

გადაეცა წარმოებას 18.IV, 1958 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.VII, 1958 წ., ანაწყობის ზომა 6 × 10, საამონაბეჭდო ფორმა 31,15, სასტამბო ფორმა 35, ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 30.000, შეკვეთის № 265

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის" სტამბა
თბილისი, პლეხანოვის, 181

ფასი 20 მან. 20 კაპ.